საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია

ანგარიში

ტომი I ტომი II **ტომი III**

სექტემბერი, 2009

ტომი III

მხარეთა შეხედულებები კონფლიქტის შესახებ, ქრონოლოგია და პასუხები კითხვარებზე

საქართველო

- კონფლიქტის ხედვა
- ქრონოლოგია
- სამხედრო ასპექტები – შეკითხვები და პასუხები
- სამხედრო ასპექტები – დამატებითი შეკითხვები და პასუხები
- საერთაშორისო სამართალი – შეკითხვები და პასუხები
- ჰუმანიტარული სამართალი და ადამიანის უფლებები – შეკითხვები და პასუხები

რუსეთი

- კონფლიქტის ხედვა
- ქრონოლოგია
- სამხედრო ასპექტები – შეკითხვები და პასუხები
  სამხედრო ასპექტები – დამატებითი შეკითხვები და პასუხები
- საერთაშორისო სამართალი – შეკითხვები და პასუხები
- ჰუმანიტარული სამართალი და ადამიანის უფლებები – შეკითხვები და პასუხები

სამხრეთ ოსეთი

- კონფლიქტის ხედვა და ქრონოლოგია
- სამხედრო ასპექტები – შეკითხვები და პასუხები
- ჰუმანიტარული სამართალი და ადამიანის უფლებები – შეკითხვები

აფხაზეთი

- კონფლიქტის ხედვა
- ქრონოლოგია და სამხედეო ასპექტები – შეკითხვები და პასუხები
- ჰუმანიტარული სამართალი და ადამიანის უფლებები – შეკითხვები და პასუხები

ოფიციალური დოკუმენტები

- 6-პუნქტიანი გეგმა, რომელსაც ხელი მოაწერა მისმა აღმატებულება ბატონმა ნიკოლა სარკოზიმ
- 6-პუნქტიანი გეგმა, რომელსაც ხელი მოაწერეს მისმა აღმატებულება ბატონმა ნიკოლა სარკოზიმ და მისმა აღმატებულება ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა
- 6-პუნქტიანი გეგმა, რომელსაც ხელი მოაწერა მისმა აღმატებულება ბატონმა დიმიტრი მედვედევმა

- 6-პუნქტიანი გეგმა, რომელსაც ხელი მოაწერეს მისმა აღმატებულება ბატონმა სერგეი ბაღაფშმა და მისმა აღმატებულება ბატონმა ედუარდ კოკოითმა
- განხორციელების გეგმა
- ბრძანებები #1 და #2

DVD: დამატებითი მასალები მხარეებისაგან

ტომი III

ტომი III მოიცავს მასალას, რომელიც საქართველოს, რუსეთის ფედერაციის, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ხელისუფლებებმა მიაწოდეს ფაქტების დამდგენ დამოუკიდებელ საერთაშორისო მისიას წერილობითი ან ელექტრონული ფორმით. ტომი შეიცავს შეხედულებებს კონფლიქტის შესახებ, ქრონოლოგიებსა და პასუხებს სამხედრო, იურიდიულ და ჰუმანიტარულ შეკითხვარებზე და კონფლიქტთან დაკავშირებულ დამატებით მასალებს. ფაქტების დამდგენმა დამოუკიდებელმა საერთაშორისო მისიამ იქ, სადაც აუცილებელად ჩათვალა, წარმოადგინა ორიგინალი ტექსტების ინგლისური (არაოფიციალური) თარგმანი. სხვა თარგმანების ტექსტი უცვლელია და წარმოდგენილია ისეთივე სახით, როგორც გადაცემული იყო ფაქტების დამდგენი კომისიისათვის. მათი აქ წარმოდგენის მიზანია გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და ანგარიშის მომზადებისათვის გამოყენებული ოფიციალური წყაროების ხელმისაწვდომლობა. ეს ტომი წარმოდგენს მხარეების მიერ მხოლოდ მოწოდებული მასალების ნაკრებს და შესაბამისად, ამომწურავი არ არის.

საქართველო

- კონფლიქტის ხედვა
- ქრონოლოგია
- სამხედრო ასპექტები – შეკითხვები და პასუხები
- სამხედრო ასპექტები – დამატებითი შეკითხვები და პასუხები
- საერთაშორისო სამართალი – შეკითხვები და პასუხები
- ჰუმანიტარული სამართალი და ადამიანის უფლებები – შეკითხვები და პასუხები

რუსეთის ფედერაციის აგრესია საქართველოს წინააღმდეგ

რეზიუმე

2008 წლის 7 აგვისტოს, რუსეთის შეარაღებულმა ძალებმა, რომლებიც წინასწარ უკვე განლაგებულნი იყვნენ საქართველო-რუსეთის ჩრდილოეთ საზღვარზე, დაიწყეს მასიური, კოორდინირებული და საქმის მასშტაბებიდან გამომდინარე – წინასწარ გათვლილი იერიში საქართველოზე. რუსეთის ძალებმა გადაკვეთეს საზღვარი სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში და რამდენიმე საათის შემდეგ, აფხაზეთში. კარგად გათვლილი, ფართომასშტაბიანი თავდასხმა ხორციელდებოდა ხმელეთზე, ზღვაზე და საჰაერო და კიბერ-სივრცეებში. გენოციდის შეჩერება, რომელიც მოსკოვის მიერ იქნა საქართველოში შემოჭრის მიზეზად დასახელებული, მოგვიანებით სიცრუე აღმოჩნდა.

2008 წლის 26 აგვისტოს, რუსეთის ფედერაციამ თვალნათლივ დაარღვია სამშვიდობო შეთანხმება, რომელსაც რუსეთის პრეზიდენტმა სულ რაღაც ორი კვირით ადრე მოაწერა ხელი, როდესაც ამ ორი ტერიტორის დამოუკიდებლობა ოფიციალურად აღიარა. ეს აშკარა კულმინაცია იყო გრძელვადიანი გეგმისა – დაემხო საქართველოს სახელმწიფო და ეკონტროლებინა საქართველოს ტერიტორიები. რუსეთ-საქართველოს სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტის თითქმის ორი ათწლეულის განმავლობაში, მოსკოვი წარმატებით იყენებდა სეპარატისტებს, როგორც თავის მარიონეტებს; ამ ჯერზე, რუსეთმა რეალურად დაიკავა საქართველოს ეს ტერიტორიები და ცდილობს მოახდინოს მათი სრული ანექსია

იზრდებოდა რა, რუსეთის თავდასხმის მასშტაბები, საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მას აღარ ჰქონდა სხვა არჩევანი გარდა იმისა, რომ გაეცა ბრძანება სამხედრო მოქმედების დაწყების შესახებ და სწრაფად გაეწია წინააღმდეგობა შემოჭრისთვის, რომლის მიზანი სცდებოდა უთანხმოებას საქართველოს ორ ტერიტორიასთან დაკავშირებით. საქართველოს სამხედრო მოქმედებების მთავარი განზრახვა იყო შეეფერხებინა რუსეთის შეტევა, რათა საერთაშორისო დიპლომატიური ძალისხმევის საშუალებით, არ დაეშვა საქართველოს მთლიანი ოკუპაცია. ამით საქართველოს გადაყვეტილებამ – დააეწყო მოქმედებები – თავის მიზანს მიაღწია.

საქართველოს ტერიტორიის დაცვის შესახებ, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კომუნიკაცია სხვადასხვა საშუალებით მოხდა, რაც ჩამოთვლილია წინამდებარე შენიშვნაში. რეზიუმეს შეზღუდვების გამო, სამართალის დასადგენად აქ ვერ მოგვყავს ის დიდი რაოდენობის მტკიცებულებები, რომლებიც ხელმისაწვდომი იყო კომისიისათვის. ამავდროულად, მკითხველისთვის უნდა აღინიშნოს, რომ რეზიუმეში

განხილული თითოეული საკითხი ეყრდნობა მრავალ მტკიცებულებას, რომელიც 200-ზე მეტ სხვადასხვა დოკუმენტშია მოცემული და აგრეთვე, კომიისათვის გადაცემულ სხვა მასალებს.

ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი საკითხები, რომლებიც შესულია საქართველოს მიერ კომისიისათვის გადაცემულ მასალებში:

1. მრავალი წლის მანძილზე რუსეთის ფედერაციის ქმედებათა ანალიზი იძლევა საკმარის მტკიცებულებეს, რომ რუსეთს, მშვიდობიანი თუ ძალისმიერი გზით, განზრახული ჰქონდა საქართველოს სახელმწიფოს დამხობა, რათა დაეყო და ემართა თავისი სამხრეთის მეზობელი. სხვადასხვა დროს საქართველოში მოქმედი მთავრობების მუდმივმა უარმა იმაზე, რომ მიმხრობოდნენ რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების დე-ფაქტო კონტროლს, თანდათან უფრო მოსალოდნელი გახადა რუსეთის მიერ სამხედრო ძალის გამოყენება. დასავლეთის მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებამ თებერვალში, შესაძლებელია ერთგვარი ბიძგი მისცა საქართველოში შეჭრისათვის საბაბის შესაქმნელად და 2008 წლის მარტში, მოსკოვის მიერ წინასწარ გათვლილი იურიდიული, სამხედრო, საპარლამენტო და დიპლომატიური მანევრების ამოქმედებას.

   7 აგვისტოს მოვლენები მოჰყვა თვეების მაძილზე უწყვეტ იურიდიულ, პოლიტიკურ და სამხედრო პროვოკაციებს საქართველოს წინააღმდეგ, რასაც წინ უძღვოდა წლების განმავლობაში, ამ ტერიტორიებზე რუსეთის კონტროლის გაძლიერება. ამ წლებისა და თვეების განმავლობაში, რუსეთმა გამოავლინა, რომ წინასწარი განზრახვით უგულებელყოფდა იმ საერთაშორისო შეთანხმებებს, რომლის მხარესაც ის წარმოადგენდა. მან ბოროტად გამოიყენა თავისი მშვიდობისმყოფელის როლი. იგი სიტემატურად ხელს უშლიდა ყველანაირ ძალისხმევას (რომელთაგან ბევრი, საქართველოს მთავრობის მიერ იყო ინიცირებული) დამყარებულიყო რეალური სამშვიდობო პროცესი, რომლის შედეგად საქართველოს მთავრობა მიაღწევდა ურთიერთგაგებასა და შეთანხმებას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის დე-ფაქტო ხელისუფლებასთან. ამის ნაცვლად, მოსკოვმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის დე-ფაქტო ხელისუფლება რუსეთის მარიონეტად აქცია. ხშირ შემთხვევაში, მაღალ პოლიტიკურ და სამხედრო პოზიციებზე დანიშვნა პირდაპირ რუსეთიდან ხდებოდა.

ქვემოთ მოცემულია რუსეთის პოლიტიკის გატარების რამდენიმე მნიშვნელოვანი ეტაპი:

- ქართველების გრძელვადიანი ეთნიკური წმენდა კონფლიქტის ზონებიდან, მოსახლეობის ჰომოგენიზაციისათვის და პოლიტიკური კონტროლის კონსოლიდაციისათვის;
- 2002 წლის ივლისიდან დაწყებული, პასპორტიზაციის არალეგალური კამპანია კონფლიქტის ზონებში, რათა ხელოვნურად წარმოქმნილიყო „რუსეთის მოქალაქეები," რომლებსაც რუსეთი შემდგომში ,,დაიცავდა;" ამ მოქალაქეთა „დაცვის" მოთხოვნა, რომელიც მოსკოვმა თავის სასარგებლოდ გამოიყენა, გასული წლის აგვისტოში საქართველოში შემოჭრისთვის, ყალბი საბაბი აღმოჩნდა
- საერთაშორისო ხელშეკრულებების დარღვევა ეკონომიკური და სამხედრო სანქციების შესახებ სეპარატისტულ რეგიონებში; საქართველოსთან საზღვრისა და სატრანსპორტო საკომუნიკაციო არხების დაკეტვა; ქართველების დეპორტაცია რუსეთის ფედერაციიდან; ეკონომიკური ემბარგო ქართულ პროდუქტებზე;
- 2007 წლის 12 დეკემბერს ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულების (Treaty on Conventional Armed Forces in Europe - CFE) შეჩერება. იმავდროულად, სამხედრო ძალების ინტენსიური გამაგრება რუსეთ-საქართველოს საზღვრის ახლოს, აგრეთვე, კონფლიქტურ რეგიონებში;
- რუსეთის მიერ იურიდიული კავშირების ზრდა სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში და აფხაზეთში, 2008 წლის აპრილში;
- ინტენსიური ანტი-ქართული პროპაგანდის კამაპანია;
- კონფლიქტის ზონებში უკანონო სამხედრო ძალების სწრაფი ზრდა (2008 წლის გაზაფხულიდან დაწყებული); ეს მოიცავდა რუსეთის სარკინიგზო ჯარების მიერ სარკინიგზო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას ამ არეალში, რამაც ცხადი გახადა რუსეთის მთვარი მიზანი, – მოემზადებინა საჭირო ლოგისტიკური ინფრასტრუქტურა მძიმე სამხედრო აღჭურვილობის სწრაფი გადაადგილებისთვის.;
- მიზანმიმართული მკვლელობები და სხვა შეიარაღებული პროვოკაციები ამ ტერიტორიებზე უშუალოდ შემოჭრამდე, დღეებისა და კვირების განმავლობაში.

2014 წლის ზამთრის ოლიმპიადისათვის სოჭის შერჩევამ ერთგვარად მოამწიფა მოსაზრება, რომ რუსეთი აპირებდა აფხაზეთში თავისი კონტროლის კონსოლიდაციას და მეტიც, საკითხის „მოგვარებას" ოლიმპიური თამაშების კონტექსტში, ვიდრე ის პოლიტიკური ვალდებულება გახდებოდა. ამასთან,

არსებობს მტკიცებულება, რომ მას შემდეგ რაც გამოცხადდა სოჭის შესახებ გადაწყვეტილება, რუსეთის მხრიდან იყო დიდი ბიზნეს აქტივობა და მასთან დაკავშირებული ქონების შემენა აფხაზეთში.

2. საქართველომ დაიწყო საერთაშორისო საზოგადოებასთან თავისი ურთიერთობის გაძლიერება, რათა შეეჩერებინა რუსეთის მიერ მისი ტერიტორიების ხელყოფა, თავიდან აეცილებინა ნებისმიერი შესაძლო სამხედრო შემოჭრა და მიეღწია კონფლიქტების მოგვარებისათვის, მოლაპარაკების გზით. თბილისმა მრავალჯერ წამოაყენა წინადადება მოლაპარაკებათა გზით საკითხის მოსაგვარებლად. აღნიშნული გამაფრთხილებელი სიგნალები და შემოთავაზებები თავადპირველად გარკვეული ინდეფერენტულობით იქნა მიღებული. საერთაშორისო საზოგადოება პრობლემას აღიქვამდა როგორც შიდა უთანხმოებას და არა როგორც უფრო კომპლექსურ, სახელმწიფოთაშორის კონფლიქტს, როგორც ეს რეალურად იყო. გარკვეულწილად, ამ მიზეზის გამო, მხოლოდ უმნიშვნელო ზომები იქნა გატარებული ნდობის აღსადგენად. ვინაიდან მოსკოვი ფაქტობრივად, აკონტროლებდა მოლაპარაკებებს და სამშვიდობო ფორმატებს (რომლებსაც ის ბოროტად იყენებდა წლების მანძილზე), მათი სათანადო გადახედვა ვერ მოხერხდა. ბოლოს, როდესაც დასავლეთის მედიატორებმა მოინდომეს დიპლომატიური შუამავლობა 2008 წლის დასწაყისში, მათი ეს ძალისხმევა წარუმატებელი აღმოჩნდა.
3. გამოუვალი მდგომარეობის წლებმა, ეთნიკური მოსახლეობის მთლიანი ნაწილი ორივე კონფლიქტურ ზონაში გააღარიბა და ფუნდამენტური უფლებების დაცვის გარეშე დატოვა; კერძოდ, ქართველები გამიზნულად, ეთნიკურ ნიადაგზე იდევნებოდნენ.

უფრო კონკრეტულად, 2004 წელს საქართველოს ლეგიტიმური, დემოკრატიული მთავრობის არჩევნების შემდეგ, საქართველოს მთავრობამ გადადგა პირველი ნაბიჯები, რათა მოეხდინა ჭეშმარიტად სამშვიდობო პროცესის ინიციარება ცხინვალის რეგიონში/ სამხრეთ ოსეთში და აფხაზეთში.

საქართველოს მთვარობამ მნიშვნელოვანი ძალისხმევა გაიღო, რათა გამოეყენებინა ე.წ ,,რბილი ძალა“ და მიეღწია პრობლემის მშვიდობიანი მოგვარებისთვის. ამ ძალისხმევის ერთ-ერთი ცნობილი წარმატებული მაგალითი იყო დროებითი ადმინისტრაციული ერთეულის შექმნა სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ არჩეული, ყოფილი სეპარატისტული ლიდერი დიმიტრი სანაკოევი.

მაშინაც კი, როდესაც საერთაშორისო საზოგადოება მხარს უჭერდა ამ ინიციატივებს, რუსეთის ფედერაციამ და მარიონეტული რეჟიმის ლიდერებმა უარყვეს საქართველოს ყველა სამშვიდობო ინიციატივა, რაც მოიცავდა ფართო ავტონომიას, ძალების გადანაწილებას ცენტრალურ მთავრობაში, გარანტირებულ უფლებებს ენისა და კულტურის დაცვისთვის, ეკონომიკური რეაბილიტაციის პროექტებს და განსაკუთრებულ კონსტიტუციურ უფლებებს.

2008 წლის გაზაფხულზე, საქართველოს მთვარობამ განმეორებით სცადა საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მიმხრობა რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოზე ზეწოლის ზრდის ფაქტებთან დაკავშირებით. საქართველოს მაღალჩინოსნები ცდილობდნენ შეხვედროდნენ თავიანთ უცხოელ კოლეგებს, რათა მიეღწიათ კონენსუსისთვის, თუ როგორ უნდა ეპასუხათ რუსეთის პროვოკაციებისათვის; საქართველოს მთავრობა ასევე შეეცადა პირდაპირი მოლაპარაკება ეწარმოებინა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან, რაზეც უარი მიიღო. მთავრობა ასევე რამდენჯერმე შეეცადა პირდაპირი მოლაპარაკებები გაემართა დე-ფაქტო ხელისუფლებასთან. ყოველი ამგვარი მცდელობა, შესუსტებულიყო რუსეთის მხრიდან სიტუაციის პოლიტიკური და სამხედრო ესკალაცია ამ ტერიტორიებზე, წარუმატებელი აღმოჩნდა.

2008 წლის ივნისში, როდესაც რუსეთის პროვოკაციები კიდევ უფრო გაძლიერდა, მოსკოვმა და მისმა სატელიტებმა არაერთხელ უარყვეს სამშვიდობო ინიციატივა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის შუამავლობით; მოგვიანებით, შემოჭრის წინა დღეს, ეუთო-ს მაშინდელმა თავმჯდომარემ წამოაყენა წინადადება, რომ ჰელსინკში ჩატარებულიყო მოლაპარაკებები სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის სეპარატისტულ რეგიონსა და საქართველოს მთავრობას შორის; ეს წინადადებაც უარყოფილი იქნა.

მოლაპარაკების დაწყებაზე ამ მკაცრმა უარმა საქართველო მიახვედრა, რომ მოსკოვი აპირებდა ძალის გამოყენებას. თბილისის შეფასებით, რუსეთი შეარჩევდა მომენტს, რომელიც იქნებოდა საუკეთესო სამხედრო და პოლიტიკური შესაძლებლობა დაუსჯელი მოქმედებისათვის. აგვისტოს სიცხემ, როდესაც მსოფლიოს ყურადღება მიპყრობილი იყო პეკინის ოლიმპიადის გახსნისაკენ, როგორც ჩანს, მოსკოვს ასეთი შესაძლებლობა მისცა.

4. დაწყებული 1990 წლიდან, საქართველოს მიმართ რუსეთის ფედერაციის დამოკიდებულება ცივიდან მტრულ დამოკიდებულებამდე გაიზარდა. რუსეთის

მოქმედი პრეზიდენტი ღიად ემუქრებოდა თავის ქართველ კოლეგას საქართველოს ტერიტორიების ბედთან დაკავშირებით

2003 წლის ნოემბრის მოვლენებს – ვარდების რევოლუციას და შემდგომში, ახალი დემოკრატიული მთავრობის არჩევას – მოსკოვი არ მიესალმებოდა. ეს ფაქტი მალევე გახდა ცხადი საქართველოს ხელისუფლებისათვის. მიუხედავად საქართველოს ახალი მთავრობის უდიდესი ძალისხმევისა, რუსეთის ფედერაციასთან დაემყარებინა მეგობრული ურთიერთობა (დაწყებული ახალადარჩეული პრეზიდენტის ვიზიტით მოსკოვში, არჩევნების შემდეგ მისი პირველი საერთაშორისო ვიზიტის ფარგლებში და დამთავრებული ჩრდილოეთ კავკასიათან საზღვრის ჩაკეტვით), რუსეთის მზარდი აგრესიული განზარახვები ახალი მთავრობის მიმართ სრულიად აშკარა გახდა მთელი რიგი ინციდენტებითა და რუსეთის მაღალჩინოსანი ოფიციალური პირების განაცხადებით. 2006 წლის დეკემბრისათვის, პრეზიდენტი პუტინი უკვე მზად იყო გაეფრთხილებინა ქართველი კოლეგა, რომ საქართველოში ის „ჩრდილოეთ კვიპროსს“ შექმნიდა. პრეზიდენტმა პუტინმა იგივე გაფრთხილება მისცა ნატო-ს გენერალურ მდივანსაც. ისტორიის მანძილზე, საქართველომ ისწავლა თუ რას ნიშნავდა რუსეთის მუქარა.

5. რუსეთის პოლიტიკა, მოეხდინა საქართველოს სტრატეგიული იზოლაცია, ერთგვარ ტანდემში იყო მის მცდელობასთან დაემხო ქვეყნის დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი. საქართველოს მთავრობას ამაში ეჭვი არ ეპარებოდა.

2004 წლიდან საქართველოს მთავრობა მიყვებოდა სტარტეგიულ კურსს, რომლის მიზანი იყო საქართველოს სრულყოფილი ინტეგრაცია ევროატლანტიკურ ინსტიტუციებში და ამ ახალი შესაძლებლობის შექმით უზრუნველეყო კასპიის ზღვის რეგიონის მიღმა მყოფი ქვეყნების წვდომა ენერგომატარებლებზე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სტრატეგია არ შეიცავდა საფრთხეს რუსეთის ფედერაციის მიმართ, მოსკოვი წინ აღუდგა ამ პოლიტიკას მზარდი აგრესიის გზით.

2006 წელს, რუსეთმა გამოაცხადა სრული სავაჭრო, ფინასური, საფოსტო და სატრანსპორტო ბლოკადა საქართველოზე (ამ ქმედებას დიდი გავლენა ჰქონდა, რადგან საქართველოს ექსპორტის 70% იმ დროს რუსეთში გადიოდა). მოსკოვმა ასევე დაიწყო ეთნიკური ქართველების დისკრიმინიაცია და მათი დევნა რუსეთის ფედერიციიდან.

გარდა ამისა, რუსეთის დიპლომატიურ ძალისხმევას, წარმოეჩინა საქართველო არასასურველ პარტნიორად ევროპისთვის, აძლიერებდა უწყვეტი, ძალიან კარგად მომზადებული ანტიქართული პროპაგანდის კამპანია.

ამას გარდა, საქართველოს ხელისუფლებამ საგანგაშოდ მიიჩნია კოსოვოს დამოუკიდებლობის ცალმხრივი აღიარების პროცესი, და მისი აღიარება ნატო-ს რამდენიმე მნიშვნელოვანი წევრის მიერ, რაც მისი აზრით გამოიწვევდა რუსეთის გაღიზიანებას და რისკის ქვეშ მოაქცევდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ტერიტორიებს. ამის შესახებ საქართველომ თავისი შეშფოთება უმაღლეს დონეზე დააფიქსირა. თავის მხრივ, პრეზიდენტმა პუტინმა აცნობა საქართველოს პრეზიდენტს, რომ საქართველოს ეს გადაწყვეტილება ძვირად დაუჯდებოდა.

2008 წლამდე, საერთაშორისო საზოგადოების ყურადღებას იპყრობდა მხოლოდ ვითარების სამხედრო ესკალაცია და სხვა პროვოკაციები აფზახეთში. შემდეგ რუსეთის ფედერაციამ თავისი პროვოკაციები სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონისაკენ მიმართა. 16 ივლისს იყო დიმიტრი სანაკოევის, სამხრეთ ოსეთის ლიდერის მოკვლის მცდელობა, რომლის პოლიტიკაც მიზნად ისახავდა გაერთიანებას. ამას მოჰყვა ვითარების ესკალაცია, რაც სრულად არის ასახული კომისიისათვის გადაცემულ მტკიცებეულებებში. საომარ მოქმედებათა არეალი სამხრეთ ოსეთში იყო სტრატეგიულად მნიშნველოვანი და ის ამყარებდა საქართველოს მთავრობის შიშს, რაც ყველაზე უარეს შემთხვევაში შემდეგნაირად გამოიყურებოდა: ეს იყო პირდაპირი და უმოკლესი გზა საქართველოს შუაგულისკენ და ყველაზე სწრაფი საშუალება საქართველოს გაყოფისათვის, მთავრი გზატკეცილების კონტროლისათვის, ეკონომიკის დასუსტებისთვის და თბილისზე იერიშისათვის.

რუსეთის სრულმასშტაბიანი თავდასხმის წინა დღეებში, სამხრეთ ოსეთში ადგილი ჰქონდა პროვოკაციებს, შეიარაღებული შეტევებისა და მკვლელობების სახით; 7 აგვისტოს მოკლეს ორი ქართველი მშვიდობისმყოფელი, სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებების დაწყებამდე. საქართველოს საწინააღმდეგოდ მიმართული პროპაგანდის აგიტაცია რუსეთში სწრაფად იზრდებოდა, რის გამოც რუსეთის სატელიტებმა გამოაცხადეს ტერიტორიიდან ქალებისა და ბავშვების ევაკუაცია. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდის განმავლობაში, საქართველო ცდილობდა არ მომხდარიყო ვითარების ესკალაცია და პრობლემა დიპლომატიური გზით მოეგვარებინა. ამიტომაც მან არ გამოიწვია

საქართველოს შეიარაღებული ძალების ყველაზე ბრძოლისუნარიანი კონტინგენტი ერაყიდან.

6. 2008 წლის 7 აგვისტოს, დილით ადრე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ სატელეფონო საუბრის მოსმენით მოიპოვა პირველადი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ რუსეთის სამხედრო ქვედანაყოფი, რომელიც მოიცავდა ტანკებს და ჯარისკაცებით სავსე სამხედრო სატვირთო მანქანებს, შევიდა როკის გვირაბში. 7 აგვისტოს საღამოს, საქართველოს მთვარობის წინაშე სახეზე იყო თვისებრივად სხვა სიტუაცია: მიუხედავად საქართველოს მთვარობის მრავალი მცდელობისა, შეემცირებინა დაძაბულობა და ცალმხრივად შეეწყვიტა ცეცხლი, საქართველოს კონტროლის ქვეშ მყოფი სოფლები, პოლიცია და სამშვიდობო პოსტები ინტენსიური ცეცხლის ქვეშ მოექცა. ამ სიტუაციაში, უკვე ანკლავში მყოფი მოქალაქეები დაუცველები აღმოჩნდენ, ხოლო შუადღეს, პირველად მრავალი ხნის მანძილზე ორი ქართველი მშვიდობისმყოფელი დაიღუპა სამხედრო თავდასხმის დროს. დაქირავებული ჯარის შემოდინებაზე გავრცელებული ინფორმაციისა და რუსეთის ჯარის შემოჭრის შესახებ საწყისი სადაზვერვო ანაგრიშების გარდა, საქართველოს მთვარობამ მოიპოვა სერიოზული დასაბუთება იმისა, რომ რუსეთის ფართომასშტაბიანი თავდასხმა პროგრესირებდა. ესკალაციის საპასუხოდ და კონსტიტუციური ვალდებულების შესაბამისად (საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის თანახმად), 7 აგვისტოს 23 საათსა და 25 წუთზე, საქართველოს პრეზიდენტმა გასცა ბრძანება თავდაცვითი ოპერციების დაწყების შესახებ, რათა დაეცვა საქართველოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთალიანობა და აგრეთვე, საქართველოს მოსახლეობის უსაფრთხოება.

7. ამ კამპანიაში საკვანძო იყო საქართველოს მიმართ წაყენებული გენოციდის ბრალდება. სამხრეთ ოსეთში 2,000 ადამიანის მიმართ განხორციელებული გენოციდი იყო casus belli (ფორმალური საბაბი ომისათვის) რუსეთისათვის; მართალია ეს სიცრუე მოგვიანებით გამოაშკარავდა, როგორც საერთაშორისო საზოგადოების, ასევე თავად რუსების მიერ, მაგრამ სიცრუემ თავისი როლი შეასრულა და დიდი ზიანი მიაყენა საქართველოსა და საერთაშორისო საზოგადოებას.

მიმდინარე საინფორმაციო ბარათში მოცემული ფაქტორებისა და რუსეთის ინტერვენციის გეოგრაფიული არეალის გათვალისწინებით, საქართველოს მთვარობას ისღა დარჩენოდა სასწრაფოდ ემოქმედა თავის დასაცავად, რათა შეენელებინა რუსეთის თავდასხმა.

საქართველოს მიერ სამხედრო თავდაცვითი ძალების გამოყენებამ წარმატებულად შეანელა რუსეთის იერიში. ამით მოგებული იქნა დრო საერთაშორისო საზოგადოების მობილიზებისათვის, რამაც შედეგი გამოიღო 12 აგვისტოს, როდესაც გაფორმდა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, რომელსაც ხელი მოაწერეს პრეზიდენტმა მედვედევმა და პრეზიდენტმა სააკაშვილმა საფრანგეთის პრეზიდენტის სარკოზის შუამავლობით.

სამწუხაროდ, რუსეთმა მალევე დაარღვია ეს შეთანხმება, როდესაც 26 აგვისტოს ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობა აღიარა. მომდევნო წლის განმავლობაში, რუსეთი მუდმივად არღვევდა 12 აგვისტოს გაფორმებულ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების ექვსივე პუქტს, განსაკუთრებით კი იმით, რომ არ აბრუნებდა თავის ძალებს იმ პოზიციებზე, რომლებსაც ისინი 7 აგვისტომდე იკავებდნენ. გარდა ამისა, ახლახანს, ეუთო-სა (ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია) და UNOMIG-ის (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სადამკვირვებლო მისია საქართველოში) მისიების ფუნქციონირების შეწვეტით, რუსეთმა უფრო დიდი არასტაბილურობა დათესა რეგიონში. მოსკოვის ვეტომ ამ ორ მისიაზე უგულვებელყო საერთაშორისო საზოგადოების ერთსულოვანი ხედვა და შექმნა დამატებითი დაბრკოლება იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნებისათვის, ადამიანების ფუნდამენტური უფლებების დაცვისათვისა და კონფლიქტის გრძელვადიანი მოგვარების შესახებ.

- ქრონოლოგია

.

2004-2007 წლებში

რუსეთის ფედერაციის მნიშვნელოვანი აგრესიული ქმედებები საქართველოს წინააღმდეგ

გრუ-ს მიერ დაფინანსებული ტერორისტული აქტები გორში და საბოტაჟური აქტები შიდა ქართლის რეგიონში

- 2004-2005 წლებში, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განლაგებული შერეული სამშვიდობო ძალების ფორმატის ქვეშ, რუსეთის სპეციალურმა სამსახურებმა შეაგროვეს სადაზვერვო ინფორმაცია და მოახდინეს საქართველოს წინააღმდეგ გამიზნული ტერორისტული აქტებისა და გამანადგურებელ ქმედებების ორგანიზება.
- 2005 წლის 1 თებერვალს, თეთრი „VAZ-2101“ ტიპის ავტომობილი აფეთქდა გორში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის რეგიონული განყოფილების წინ. უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა სამი პოლიციელი, დაიჭრა 30-ზე მეტი კაცი, დაზიანდა ახლოს მყოფი შენობები და მანქანები.
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრ-დაზვერვის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად, გაირკვა, რომ ტერორისტული აქტი მომზადებული და განხორციელებული იყო რუსეთის სპეც. სამსახურის (კერძოდ გრუ-ს და ფსბ-ს თანამშრომლების) მიერ, რომლებიც მოქმედებდნენ შერეული სამშვიდობო ძალების რუსეთის სამშვიდობო ბატალიონისა და სამხრეთ ოსეთის მარიონეტული რეჟიმის სამხედრო მრჩეველთა ფრთის ქვეშ. ქვემოთ მოცემულია ამ მრჩეველთა სია:
  - ✓ **ანატოლი სისოევი,** გრუ-ს პოლკოვნიკი; სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო პრეზიდენტის ედუარდ კოკითის სამხედრო მრჩეველი;
  - ✓ **მიხეილ აბრამოვი,** შერეული სამშვიდობო ძალების მეთაურის მოადგილე;
  - ✓ **რომან ბოიკო,** შერეული სამშვიდობო ძალების რუსეთის სამშვიდობო ბატალიონის ლეიტენანტ-პოლკოვნიკი.
- 2005 წლის 23 ოქტობერს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დააკავა **რომან ბოიკო** და მოგვიანებით, თავისი კეთილი ნების ნიშნად, გადასცა ის რუსეთის საელჩოს საქართველოში;
- 2004 წელს, პოლკოვნიკი ანატოლი ივანეს ძე სისოევი ცხინვალში გაიგზავნა როგორც სამხერთ ოსეთის დე-ფაქტო პრეზიდენტის, ედუარდ კოკოითის მრჩეველი, სადაც მან შექმნა გამანადგურებელი სადაზვერვო ქვედანაყოფი თვითაღიარებული რეჟიმის თავადაცის სამინისტროში – ე.წ. „ოსური გრუ.“ ის შედგებოდა 120 კაცისაგან, რომლებიც გაგზავნეს ჩრდილოეთ ოსეთში, სადაც რუსეთის 58-ე არმიის ბაზაზე, რუსეთის სამხედრო ინსტრუქტორები მათ წვრთნას უტარებდნენ საბრძოლო მოქედებებში;

- „ოსურმა გრუ-მ“ განახორციელა შემდეგი ზიანის მომტანი ქმედებები საქართველოს ცენტრალურ ნაწილში:
  - ✓ 2004 წლის 9 ოქტომბერს, 500-კილოვატიანი ელექტროგადამცემი ხაზების აფეთქება „ქართილი-2“ #365 და „ლიახვი“ #57 გორის რაიონის სოფელ შავშვების მახლობლად;
  - ✓ 2004 წლის 9 ოქტომბერს, კასპის რაიონში „გრაკალი-მეტეხი“ სარკინიგზო მონაკვეთის აფეთქება;
  - ✓ 2004 წლის 17 ნოემბერს, ნავთობსადენთან დამაკავშირებელი რადიოგადამცემი სადგურის აფეთქება ხაშურის რაიონის სოფელ ჩორჩანას მახლობლად.

რუსეთის სამხედრო სადაზვერვო ქსელი საქართველოში

- 2006 წლის 28 სექტემბერს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრ-დაზვერვის დეპარტამენტმა გამოააშკარავა გრუ-ს ჯაშუშური ქსელი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებდა ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების საფარქვეშ.
- ჯაშუშური ქსელი იმართებოდა სომხეთიდან პოლკოვნიკ **ანატოლი სინიცინის** მიერ, რომელიც ერევანში განლაგებული რუსეთის შეიარაღებული ძალების #44843 სამხედრო განყოფილების უფროსი იყო. სინიცინმა, სოსოევთან ერთად, დაგეგმა ზემოხსენებული ტერორისტული აქტი გორში.
- 2006 წლის 28 სექტემბერს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დააკავა გრუ-ს ოთხი რუსი ოფიცერი თბილისსა და ბათუმში:
  - o გრუ-ს ვიცე-პოლკოვნიკი **ალექსანდრე სავვა,** საქართველოში მომქმედი ჯაშუშური ქსელის უფროსი;
  - o გრუ-ს ვიცე-პოლკოვნიკი **დიმიტრი კაზანცევი;**
  - o გრუ-ს ვიცე-პოლკოვნიკი **ალექსეი ზავგოროდნი;**
  - o გრუ-ს მაიორი **ალექსანდრე ბარანოვი.**

- გრუ-ს ვიცე-პოლკოვნიკი **კონსტანტინე პიჩუგინი** იმალებოდა თბილისში, რუსეთის სამხედრო შტაბის შენობაში;
- მოგვიანებით, კეთილი ნების ნიშნად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინიტრომ რუსეთის ოფიცერი გადასცა კარელ დე გუხტს, ეუთო-ს მოქმედ თავმჯდომარეს.

რუსეთის მიერ დაფინასებული და პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ შემუშავებული დამხობის გეგმა

- 2006 წლის 7 სექტემბერს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქართველოში დააკავა მოსკოვის სატელიტური პოლიტიკური ორანიზაციების 13 წამყვანი წევრი, კერძოდ, პოლიტიკური პარტია „სამართალი," კოსერვატულ-მონარქისტული პარტია, კავკასიის დემოკრატიული ინსტიტუტი და მოძრაობა ,,ანტისოროსი", რომლებმაც უკანონოდ შეისყიდეს ცეცხლსასროლი იარაღი და გეგმავდნენ მის გამოყენებას თბილისში საპროტესტო აქციის მსვლელობისას, რათა მოახდინათ საქართველოში სამოქალაქო არეულობის პროვოცირება.
- ეს გეგმა მოფიქრებული და მთლიანად დაფინანსებული იყო რუსეთიდან, იქ გადასახლებული, ყოფილი სახელმწიფო უშიშროების მინისტრის, **იგორ გიორგაძის** მიერ. იგი იძებნებოდა საქართველოს პოლიციისა და ინტერპოლის მიერ, 1995 წელს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული აქტის ბრალდებით.

საჰაერო და საარტილერიო თავდასხმები ზემო აფხაზეთში

- 2007 წლის 11 მარტს, 22 სთ და 10 წთ-დან 24:00 სთ-მდე, კორდორის ხეობაში ერთდროულად ხდებოდა საარტილერიო და საჰაერო თავდასხმები. სახმელეთო გზით, სულ მცირე, 17 „BM-21/Grad"-ის ტიპის ყუმბარა და მინიმუმ, ერთი „AR-9/Ataka"-ს ტიპის მართვადი საჰაერო რაკეტა იყო გამოყენებული. საჰაერო თავდასხმა მიმართული იყო სოფელ ჩხალთას ადმინისტრაციის შენობაზე. საარტილერიო იერიშის სამიზნე იყო: სოფელ ჩხალთას ადმინისტრაციის შენობა, ზეთისა და საწვავი მასალის საწყობი და პოლიციის შენობა სოფელ აჟარაში. დიდი სიზუტის საჰაერო თავდასხმა თანამედროვე რაკეტებით, ვერტმფერენების ფრენა ღამით, მაღალმთიან ზონაში და მასიური საარტილერიო დაბომბვა იმის მანიშნებელი იყო, რომ ეს იყო კარგად ორგანიზებული და დაგეგმილი სამხედრო ოპერაცია, რომლის ჩატარება ამ რეგიონში მხოლოდ რუსეთის შეიარაღებულ ძალებს შეეძლოთ.

წითელუბნის ინციდეტი

- 2007 წლის 6 აგვისტოს, დაახლოებით, 19 საათსა და 30 წუთზე, ფრონტის ხაზზე მყოფმა რუსეთის ორმა SU-24 ტიპის საჰაერო ხომალდმა გადაკვეთა საქართველოს საჰაერო სივრცე და ისროლა ზუსტად მართვადი, ანტირადარული „X-58" ტიპის ჭურვი, რომელიც ქართულ სოფელ წითელუბანთან დავარდა, რუსეთ-საქართველოს საზღვრიდან 80 კილომეტრის დაშორებით, გორის მახლობლად.
- საქართველოს სამოქალაქო და სამხედრო რადარების ჩანაწერების მიხედვით და მრავალი თვითმხილველის ინფორმაციით, თვითმფრინავები შემოიჭრენ საჰაერო

სივრცეში 19 საათსა და 31 წუთზე. ისინი დაფრენდნენ დაბალ სიმაღლეზე სამხრეთის მიმართულებით ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის თავზე, ვიდრე გაუშვედნენ რაკეტას სოფელ წითელუბანზე. საქართველოს რადარები მიუთითებენ, რომ ეს თვითმფრინავები აფრინდნენ რუსეთის სამხედრო საჰაერო ბაზიდან, რომელიც მოზდოკში, რუსეთის ჩრდილო ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში იყო განლაგებული. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამხედრო ძალებს არ გააჩნიათ არც SU-24 ტიპის თვითმფრინავები და არც „X-58“ ტიპის ჭურვები.

- არავინ დაშავებულა რადგან ჭურვი დაცემისას არ აფეთქდა. საქართველოს მთავრობა, ეუთო-სთან და საერთშორისო საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან თანამშრომლობით ახლა იძიებს ამ ინციდენტს.

გამანადგურებელი დაჯგუფება ზემო აფხაზეთში

- 2007 წლის 20 სექტემბერს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფმა, კოდორის ხეობაში, მოახდინა 10-კაციანი შეიარაღებული დაჯგუფების ნეიტრალიზება, რომელსაც დაგეგმილი ჰქონდა ზემო აფხაზეთის საქართველოს დანარჩენ ტერიტორიასთან შემაერთებელ ახალ გზაზე თავდასხმა.
- დაჯგუფების მეთაური და მისი მოადგილე სროლების შედეგად დაიღუპნენ. ისინი იდენტიფიცირებულები იყვნენ როგორც:
    - **იგორ მუზავატკინი** (რუსეთის სამხედრო ძალების ვიცე-პოლკოვნიკი, შერეული სამშვიდობო ძალების ყოფილი წევრი, რომელიც კონტრაქტით მსახურობდა აფხაზეთის სეპარატისტული უშიშროების სამსახურის სასაზღვრო საჯარისო დანაყოფში);
    - **არტურ ზურინი** (რუსეთის შეიარაღებული ძალების მაიორი, ასევე, შერეული სამშვიდობო ძალების ყოფილი წევრი).
- ამ ჯგუფის შვიდმა წევრმა თავი დაასახელა აფხაზეთის სეპარატისტული უშიშროების სამსახურის სასაზღვრო საჯარისო დანაყოფის წევრებად. ისინი დაკავებული და მოგვიანებით, გადაცემული იქნენ, აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობისათვის კეთილი ნების ნიშნად.

2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის ქრონოლოგია

მოვლენათა ქრონოლოგია: 2008 წლის მარტი-ივნისის პერიოდი

- 6 მარტს, რუსეთი გამოვიდა 1996 წლის დსთ-ის ხელშეკრულებიდან, რომელიც უკრძალავდა დსთ-ის წევრებს პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიკურ ურთიერთობებს აფხაზეთთან (იხ. დანართი 1).
- 21 მარტს, რუსეთის სახელმწიფო დუმამ გამოსცა დეკლარაცია, რომელიც მოუწოდებდა რუსეთის მთავრობას აქტიურად დაეცვა რუსეთის იმ მოქალაქეთა უფლებები, რომლებიც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ცხოვრობდნენ, აგრეთვე განეხილა ამ ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარების საკითხი (იხ. დანართი 2).
- 3 აპრილს, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა წერილი გაუგზავნა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ლიდერებს, რომელშიც იგი აღნიშნავდა, რომ საქართველოს ინტეგრაცია ნატო-ში უარყოფით შედეგებს იქონიებდა და რუსეთის მხარდაჭერა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ იქნებოდა არსებითი, მაგრამ არა დეკლარაციული ხასიათის (იხ. დნართი 3).
- 16 აპრილს, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა გამოსცა ბრძანება, რომლითაც მან რუსეთის მთავრობას მისცა უფლება დაემყარებინა პირდაპირი ურთიერთობა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლებებთან (იხ. დანართი 4).
- 17 აპრილს, „ურალის“ ტიპის რამდენიმე სატვირთო მანქანამ, რომლებსაც რუსეთის 300 დაქირავებული ჯარისკაცი მიჰყავდა, შევიდა ოჩამჩირის საზღვაო პორტის სამხედრო ბაზაში (საქართველოს დაზვერვის მონაცემები, HUMINT).
- 20 აპრილის 10 საათზე, რუსეთის საბრძოლო თვითმფრინავი თავს დაესხა და ჩამოაგდო საქართველოს უპილოტო საჰაერო ხომალდს „Hermes-450“ სოფელ გაგიდას თავზე, გალის რაიონში. ეს ფაქტი იყო დადასტურებული გაერო-ს სპეციალური გამოძიების მიერ (იხ. დანართი 5).
- 29 აპრილს, რუსეთმა დაიწყო ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში თავისი სამშვიდობო კონტრინგენტის გაზრდა, როგორც ეს აღნიშნული იყო რუსეთის თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ (იხ. დანართები 6 და 7).
- 29 აპრილს, 30-ვაგონიანმა სარკინიგზო ეშელონმა, რომელსაც მიჰქონდა 26 ცალი შენიღბული ჯავშანტექნიკა, მათ შორის, BMD-ები, D-30 ტიპის ჰაუბიცები (ქვემეხები) და სხვა, გადაკვეთა საქართველო-რუსეთის საზღვარი მდინარე ფსოუს მახლობლად. ამ ეშელონს ჰქონდა დამატებითი 4 ვაგონი, რომლებითაც მიჰყავდათ ჯარისკაცები ნოვოროსიისკის სამხედრო ბაზიდან. ტვირთი სოხუმის სარკინიგზო სადგურში გადმოზიდეს და იქიდან ჯარისკაცები და აღჭურვილობა

გადაანაწილეს სოხუმში მაიაკის სამხედრო ბაზის, წებელდას სამხედრო ობიექტის (კოდორის ხეობის მიმართულებით), ოჩამჩირის საზღვაო პორტისა და აგრეთვე, ტყვარჩელისა და გალის რაიონებს შორის (იხ. ფოტომასალა დანართში 8).

- 1-ელ მაისს, დამატებითი საკონტროლო პუნქტები გაიხსნა თითქმის ყველა სტრატეგიულად მნიშვნელოვან გზაზე ოჩამჩირესა და ტყვარჩელის რაიონებში, მათ შორის, საქართველოს აფხაზურ სოფლებში ნაკარღალი, არასაძიხი და აკამარა.
- 3 მაისს, ხუთი 120 მმ-იანი საარტილერიო სისტემა და რამდენიმე BUK-M1-ის ტიპის საავიაციო დაცვის სისტემა განლაგებული იყო ოჩამჩირის საზღვაო პორტის სამხედრო ბაზაში (საქართველოს დაზვერვის მომაცმები, HUMINT).
- 6 მაისს დასრულდა, 26 აპრილს რუსეთის მიერ დაწყებული დამატებითი საავიაციო-სადესანტო ბატალიონის (სულ მცირე, 400 ჯარისკაცის) გადაყვანა აფხაზეთში ნოვოროსიისკისა და ფსკოვის საავიაციო სადესანტო დანაყოფებიდან. ეს ფაქტი შემდგომში დადასტურდა უამრავი მედია საშუალების მიერ, რუსეთის თავდაცვის სამინიტროს ოფიციალური გაზეთის „კრასნაია ზვეზდას“ ჩათვლით (იხ. დანართები 9, 10, 11).
- 16 მაისს, მცირე ლიახვის ხეობის მახლობელ გზაზე, ცხინვალის რეგიონში/ სამხრეთ ოსეთში, ქართული პოლიციის მანქანა აფეთქდა ნაღმზე, რომელიც დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარულმა ძალებმა დადეს. აფეთქების შედეგად დაზარალდა ქართველი პოლიციელი დავით კორაშვილი.
- 31 მაისს, რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ აფზახეთში განათავსა რუსეთის სარკინიგზო ძალების ვოლგოგრადის 76-ე ქვედანაყოფის 400 ჯარისკაცი. მათ დაიწყეს რკინიგზის რეკონსტრუქცია სოხუმიდან ოჩამჩირემდე, ასევე ბაქანის გაძლიერება და რკინიგზის მომზადება მძიმე სამხედრო აღჭურვილობის ტრანსპორტირებისა და ჩამოტვირთვისათვის (იხ. დანართები 12 და 13).
- აპრილ-მაისში რუსეთმა შემდეგი აღჭურვილობით გააძლიერა სამხედრო ბაზები სოხუმში (მაიაკი), ბომბორაში (გუდაუთა), ოჩამჩირეში და ოხურეიში:
    - 3 BUK ტიპის საჰაერო თავდაცვის სისტემა;
    - 40 D-30 ტიპის ქვემეხი;
    - 20 შილკა, ZU-23-2, ZU-23-4 AA ტიპის ტყვიამფრქვევი;
    - 120 ტაკნსაწინააღმდეგო ქვემეხი;
    - 2 MI-23 ვერტმფრენი;
    - ავიაციის 50 სპეციალისტი;
    - 30 სამხედრო ექსპერტი;
    - კომუნიკაციისა და საავიაციო თავდაცვის 100 ექსპერტი.

- 6 ივნისს, რამდენიმე SU-25 და SU-27 ტიპის საბრძოლო თვითმფრინავი იდენტიფიცირებული იყო ბომბორას სამხედრო ბაზაში გუდაუთაში (საქართველოს დაზვერვის ინფორმაცია, HUMINT).
- 14 ივნისს, ნაღმზე აფეთქდა სოფელ ერგნეთის მცხოვრები 14 წლის კარლო ინაური. ნაღმი დადებული იყო სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარული ძალების მიერ ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის მახლობლად. ბიჭი ძლიერი დაზიანების შედეგად გარდაიცვალა.
- 16 ივნისს, ტანკსაწინააღმდეგო ჭურვებით დატვირთული „ურალის“ ტიპის 8 სატვირთო მანქანა შევიდა ქალაქ ცხინვალში (საქართველოს დაზვერვის ინფორმაცია, HUMINT).
- 23 ივნისს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ წერილი გადასცა რუსეთის პრეზიდენტს, დიმიტრი მედვედევს, რომელიც მოიცავდა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ ადრე დაწყებულ სამშვიდობო ინიციატივებს და დამატებით დეტალებს. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი უარყოფილი იყო პრეზიდენტ მედვედევის 1 ივლისის პასუხში.
- 25 ივნისს, ცხინვალში ჩავიდა რუსეთის სახმელეთო ძალების მეთაური, გენერალი ალექსეი მასლოვი. მასლოვი შეხვდა რუსეთის სამშვიდობო ძალების ლიდერებსა და სამხრეთ ოსეთის მარიონეტული ხელისუფლების ოფიციალურ პირებს (საქართველოს დაზვერვის ინფორმაცია, HUMINT).

მოვლენათა ქრონოლოგია: 2008 წლის ივლისი-აგვისტო

- 3 ივლისს, 10 საათზე, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარულმა ძალებმა სცადეს დიმიტრი სანაკოევის მოკვლა, რომელიც სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის უფროსი იყო. ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც დამონტაჟებული იყო ერედვი-ხეითის შემოვლით გზაზე, წვერიახოს მთის მახლობლად, მაშინ ამოქმედდა, როდესაც სანაკოევის კორტეჟი გადიოდა. აფეთქების შედეგად დაიჭრა ხუთი პოლიციელი, რომლებიც თან ახლდნენ სანაკოევს (იხ. დანართები 14 და 15). იმისათვის, რათა დაეცვათ შემოვლითი გზა, რომლითაც ინტენსიურად სარგებლობდნენ სამოქალაქო პირები ამ რაიონში, სარაბუკის მაღლობზე, სასწრაფოდ გაიხსნა საქართველოს სამშვიდობო პუნქტი.
- 3 ივლისს, 23 საათსა და 30 წუთზე, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარულმა ძალებმა ცეცხლი გახსნეს ავტომატური შაშხანებიდან და ყუმბარმტყორცნებიდან იმ მიმართულებით, სადაც მდებარეობდა ცენტრალური მთვარობის მიერ კონტროლირებადი სოფლები – ნიქოზი, ერგნეთი, ერდევი,

ზემო ფრისი, ვანათი, თამარაშენი და ავნერვი. 23 საათსა და 40 წუთზე საქართველოს პოლიციამ ცეცხლითვე უპასუხა.

- 4 ივლისს, ექვსი ტყვიამფრქვევი იქნა ტრანსპორტირებული ჯავის რაიონიდან სოფელ დმანისში და გადაცემული სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარული ძალების ადგილობრივი ქვედანაყოფისათვის (საქართველოს დაზვერვის მონაცემები, SIGINT).
- 4-6 ივლისს, 10 ბრონირებული მანქანა შევიდა ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში რუსეთის ფედერაციიდან როკის გვირაბის გავლით (საქართველოს დაზვერვის მონაცემები, HUMINT).
- 8 ივლისს, ცხინვალის რეგიონში, ოხურეის სამხედრო ბაზაზე დამატებით გადაიყვანეს რუსი ჯარისკაცები, 4 BTR-70 ტიპის და 4 BRDM ტიპის სამხედრო მანქანა და რამდენიმე ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა (საქართველოს დაზვერვის მონაცემები, HUMINT).
- 9 ივლისს, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისის საქართველოში ვიზიტის წინა დღეს, ოთხმა რუსულმა საჰერო ხომალდმა დაარღვია საქართველოს საჰაერო სივრცე. ეს ფაქტი დაადასტურა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ (იხ. დანართი 16).
- 11 ივლისს, SU-27-ის ტიპის მებრძოლთა ესკადრონმა გადაინაცვლა ლენინგრადის სამხედრო ოლქიდან ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქში (საქართველოს დაზვერვის მონაცემები, HUMINT).
- 13-14 ივლისს, დაფიქსირდა 13 T-72 ტიპის ტანკის გადაადგილება ქალაქ ალგარიდან (ჩრდოლოეთ ოსეთი) როკის გვირაბის მიმართულებით. გარდა ამისა, ჯარისკაცებით სავსე „ურალის“ ტიპის 6 სატვირთო მანქანა მოძრაობდა სოფელ ზარამაგიდან (ჩრდოლოეთ ოსეთი) როკის გვირაბის მიმართულებით (საქართველოს დაზვერვის მონაცემები, HUMINT).
- 15 ივლისს, ბომბორას სამხედრო ბაზაზე შემჩნეული იქნა რამდენიმე ასეული რუსი ჯარისკაცი და 44 სამხედრო მანქანა (საქართველოს დაზვერვის მონაცემები, HUMINT).
- 15 ივლისი–2 აგვისტო, საქართველოს ჩრდილოეთ საზღვართან უშუალო სიახლოვეს, რუსეთმა დაიწყო ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნა „კავკასია 2008.“ აღნიშნულ წვრთნებში მონაწილეობდა 8 000 ჯარისკაცი და 700 ბრონირებული მანქანა, ძირითადად, ჩრდილო კავკასიური სამხედრო ოლქიდან, მათ შორის იყო საავიაციო-სადესანტო ქვედანაყოფები, საავიაციო ძალების ქვედანაყოფები, შავი და კასპიის ზღვების ფლოტები, ფედერალური უსაფრთხოების სამსახური და შინაგანი ჯარები. საავიაციო-სადესანტო ქვედანაყოფები ფსკოვიდან და ნოვოროსიისკიდან (რომლებმაც შემდეგ მონაწილეობა მიიღეს საქართველოში შემოჭრაში) ვარჯიშობდნენ რუსეთ-

საქართველოს დამაკავშირებელ, როკისა და მამისონის უღელტეხილებთან. წვრთნაში მონაწილე ჯარისკაცებს დაურიგდათ ბროშურა სახელად „იცნობდე შენ მტერს," სადაც ჩამოთვლილი იყო საქართველოს არმიის შემადგენლობა და აღჭურვილობა როგორც მათი მთავარი სამიზნე. მონაწილეთა უმრავლესობა, წვრთნების დასრულების შემდეგ, არ იქნა გაყვანილი რეგიონიდან (იხ. დანართები 17, 18 და 19). რუსეთის საავიაციო-სადესანტო ჯარების მეთაურის მოადგილემ, გენერალმა ვიაჩესლავ ბორისოვმა (რომელიც სამხედრო ძალებს ხელმძღვანელობდა სამხრეთ ოსეთში და 2008 წლის აგვისტოში საქართველოს ცენტრალურ ნაწილის მიმართულებით) ასევე დაადასტურა, რომ მისი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფმა ქვედანაყოფმა ერთი კვირით ადრე გაიარა წვრთნა იმავე რეგიონში, სადაც რეალურად საომარ მოქმედებებს ჰქონდათ ადგილი და, რომ რუსეთის საავიაციო-სადესანტო ჯარები ცხინვალში ბევრად უკეთ მოქმედებდნენ, ვიდრე რუსეთის არმიის სხვა ქვედანაყოფები (იხ. დანართი 19A).

- 18 ივლისს, აფხაზეთის დე-ფაქტო და რუსეთის ხელისუფლებებმა უარყვეს გერმანიის შუამავლობა სამშვიდობო გეგმაზე და უარი თქვეს მონაწილეობაზე სამშვიდობო მოლაპარაკებაში, რომელიც ივლისის ბოლოს იყო დაგეგმილი ბერლინში.
- 20 ივლისს, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ვებგვერდი (www.president.gov.ge) მიუწვდომელი იყო მასზე განხორციელებული მრავალჯერადი (DDoS) თავდასხმის გამო.
- 22-24 ივლისს, ევროკავშირი შეეცადა, ბრუსელში ჩაეტარებინა მოლაპარაკებები საქართველოს მთავრობისა და სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რეჟიმის წარმომადგენლებთან, რუსეთის ფედერაციის მონაწილეობით. დე-ფაქტო ხელისუფლებამ უარი თქვა მოლაპარაკებაში მონაწილეობაზე; თავდაპირველად, პროტესტი გამოითქვა მინისტრ იაკობაშვილის წოდებასთან – „რეინტეგრაციის მინისტრი" – დაკავშირებით. ამის საპასუხოდ, საქართველოს მთავრობამ იაკობაშვილი დანიშნა სპეციალურ წარმომადგენლად კონფლიქტის მოგავრებისთვის. დე-ფაქტო ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ თქვა უარი მოლაპარაკებაში მონაწილეობაზე, გაურკვეველი მიზეზით.
- ივლისის ბოლოს, ეუთო-ს მოქმედმა თავმჯდომარემ, ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე შტუბმა, გააკეთა შემოთავაზება ეწარმოებინათ მოლაპარაკება აგვისტოს დასაწყისში ჰელსინკში, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლებასა და საქართველოს მთავრობას შორის. დე-ფაქტო ხელისუფლებამ უარი თქვა ამ წინადადებაზე.

- 23 ივლისს, რუსი ექიმების/სამედიცინო პერსონალის 120-კაციანი ჯგუფი ჩავიდა ცხინვალში და დაიწყო მუშაობა ცხინვალის საავადმყოფოში (საქართველოს დაზვერვის მონაცემები, HUMINT).
- ივლისის ბოლოს (ზუსტი დრო და თარიღი ცნობილი არაა), რუსეთის სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე, ცხინვალის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, გაშალეს დიდი კარავი (დაახლოებით, 1500-2000 კაცისათვის). რუსეთის სამშვიდობოებს შორის არსებული ინფორმაციის თანახმად, ახლო მომავალში იქ უნდა გადაეყვანათ ჯარისკაცები 33-ე მექანიზებული სამთო ბრიგადიდან (ცენტრით ბოტლიხში, დაღესტანში) (საქართველოს დაზვერვის მონაცემები, HUMINT).

29 ივლისი

- დილის 5 საათზე, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარული ძალების ორი სატანკო ოცეული განთავსდა კონფლიქტის ზონაში, სოფელ ანძისის მახლობლად (საქართველოს დაზვერვის მონაცემები, SIGINT).
- დილის 10 საათზე, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარულმა ძალებმა ცეცხლი გაუხსნეს შერეულ სამშვიდობო ძალებს და ეუთო-ს დამკვირვებელთა ჯგუფს, რომლებიც მოძრაობდნენ სოფელ ანძისის მახლობლად, ცხინვალის რაიონში (იხ. ანგარიში დანართში 20).
- 16 საათზე, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარული ძალები, 40 წუთის განმავლობაში, ნაღმსატყორცნებისა და ყუმბარმტყორცნების გამოყენებით, ესვროდნენ ცენტრალური მთავრობის მიერ კონტროლირებად სოფლებს დიდი ლიახვის ხეობაში.
- 22 საათზე, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რეჟიმის არარეგულარული ძალები 100 მმ-იანი და 120 მმ-იანი საქვემეხო საცეცხლე საშუალებებით ბომბავდნენ საქართველოს სამშვიდობო საკონტროლო-გამშვებ პუნქტს სარაბუკის მაღლობზე. ასეთი მსხვილი კალიბრის საქვემეხო საცეცხლე საშუალებები პირველად იქნა გამოყენებული 1990 წლის სამხედრო მოქმედებების შემდეგ.

1 აგვისტო

- 8 სთ და 05 წუთზე და 8 სთ 12 წუთზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს „ტოიოტას“ ფირმის „პიკაპის“ ტიპის ავტომობილს, რომელსაც მიჰყავდა პოლიციის ექვსი ოფიცერი, ერედვი-ხეითის შემოვლით გზაზე მოხვდა ორი დისტანციური მართვის ასაფეთქებელი ჭურვი. პოლიციის ხუთი ოფიცერი მძიმედ დაშავდა (იხ. დანართები 21 და 22). ამ ინციდენტის შემდეგ ერედვი-ხეითის შემოვლითი გზა სამოქალაქო პირებისათვის დაიხურა და ცხივალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში არსებული, ცენტრალური მთავრობის

კონტროლქვეშ მყოფი სოფლები მოწყდნენ საქართველოს ტერიტორიის დანარჩენ ნაწილს.

- 21 სთ და 30 წუთიდან დაწყებული, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების არარეგულარული ძალები ნაღმსატყორცნებიდან და ავტომატებიდან ესროდნენ საქართველოს სოფლებს – ზემო ნიქოზს, ქვემო ნიქოზს, ავნევს, ნულს, ერგნეთს, ერედვს და ზემო ფრისს. სროლები ღამითაც გაგრძელდა და მხოლოდ, 2 გვისტოს დილით შეჩერდა. ეს ფაქტი, ისევ როგორც უფრო ადრინდელი თავდასხმები საქართველოს სამშვიდობო საგუშაგოზე ზემო სარაბუკში, მოგვიანებით, დაადასტურეს ერთობლივმა შერეულმა ძალებმა თავიანთ 4 აგვისტოს ანაგარიშში (იხ. დანართი 23). სროლების შედეგად დაიჭრა ექვსი სამოქალაქო და ერთი პოლიციის ოფიცერი (იხ. დანართები 24 და 25)

2 აგვისტო

- 12 საათსა და 23 წუთზე, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რეჟიმმა გამოაცხადა მოსახლეობის ევაკუაცია ცხინვალიდან და დე-ფაქტო რეჟიმის კონტროლის ქვეშ მყოფი სოფლებიდან. ევაკუაცია 6 აგვისტომდე მიმდინარეობდა (იხ. დანართები 26 და 27).
- დღის განმავლობაში რუსული გაზეთების ჟურნალისტებმა და ტელერეპორტიორებმა მასიურად დაიწყეს ცხინვალში ჩასვლა. რუსი ჟურნალისტების მობილიზაცია სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე რამდენიმე დღე გრძელდებოდა (იხ. დანართში 28 ჟურნალისტების სია, მათი ჩანაწერების ბმულები და აგრეთვე, საინტერსეო სტატიები Radio Free Europe/ Radio Liberty-დან).

3 აგვისტო

- 6 საათსა და 30 წუთზე, ზნაურის რაიონის სოფელ ველებში განთავსებულმა სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რეჟიმის არარეგულარულმა ძალებმა ცეცხლი გახსნეს საქართველოს პოლიციის საგუშაგოს მიმართულებით სოფელ დვანთან, ქარელის რაიონში (იხ. დანართი 29).
- ქართულ საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსთან“ დილის ინტერვიუში, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო შინაგან საქმეთა მინისტრი მიხაილ მინძაევი დაბომბვით დაემუქრა „გორს, ქარელს და ერთ-ერთ საკურორტო ზონას“ საქართველოში (იხ. დანართი 30).
- რუსეთის 58-ე არმიის მე-19 მექანიზებული დივიზიის სადაზვერვო ბატალიონის ცალკეული ერთეულები როკის გვირაბით გადაიყვანეს ჯავის რაიონში (საქართველოს დაზვერვის მონაცემები, HUMINT).

4 აგვისტო

- ღამის განმავლობაში, 10 ცალი BTR/BMP ტიპის ჯავშანტექნიკა რუსეთის ფედერაციიდან შეყვანილი იქნა ცხივალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში და განაწილდა დე-ფაქტო ხელიფლების ძალებს შორის. ორი საბრძოლო ჯავშანმანქანა გადაეცა დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარულ ჯარებს სოფელ დმენისში, ცხინვალის რაიონში (საქართველოს დაზვერვის მონაცემები, HUMINT).
- 7 საათსა და 30 წუთზე, სოფელ დმენისში განთავსებულმა, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარულმა ძალებმა ცეცხლი გახსნეს ქართული სამშვიდობო საგუშაგოს მიმართულებით, სარაბუკის მაღლობზე. ურთიერთსროლა 30 წუთს გრძელდებოდა. არავინ დაშავებულა.
- რუსული ელექტრონულ მედიასთან – „The Caucasian Knot“ თავის ინტერვიუში სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული ხელისუფლების ხელმძღვანელმა ედუარდ კოკოითმა განაცხადა, რომ 300 „მოხალისე“ (ე.ი.დაქირავებული ჯარისკაცი) ჩრდილოეთ ოსეთიდან უკვე ჩასული იყო სამხრეთ ოსეთში და მათი რიცხვი საბოლოოდ, 2.000-მდე გაიზრდებოდა (დანართი 31).
- 18 საათსა და 40 წუთზე, სამხრეთ ოსეთის მარიონეტული რეჟიმის ხელმძღვანელმა ედუარდ კოკოითმა მიიღო ტელეგრამა დონის კაზაკთა ძალების მეთაურისაგან და რუსეთის სახელმწიფო დუმის წევრისაგან ვიქტორ ვოდოლაცკისგან, რომელიც სამხედრო მხარდაჭერას პირდებოდა. დონის კაზაკთა მეორე არმიის მეთაურმა ნიკოლაი კოზიცინმა კი, განაცხადა, რომ მას შეეძლო მიევლინა 10.000-15.000 „მოხალისე“ (ე.ი.დაქირავებული ჯარისკაცი) სამხრეთ ოსეთში (იხ. დანართი 32).

5 აგვისტო

- 00 საათსა და 15 წუთზე, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარულმა ძალებმა ზნაურის რაიონის სოფელ უბიათიდან 3 ყუმბარა ისროლეს სოფელ ნულში, ფრონეს ხეობაში საქართველოს პოლიციის საგუშაგოს მიმართულებით. ორი მათგანი დაეცა პოლიციის შენობას.
- 01 საათსა და 30 წუთზე სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარულმა ძალებმა ცეცხლი გაუხსნეს სარაბუკის სიმაღლეებზე მყოფ ქართველ სამშვიდობოებს. თავდასხმა დილის 6 სთ 30 წთ-მდე მიმდინარეობდა. შერეული სამშვიდობო ძალების ქართული ბატალიონის ორი წევრი დაიჭრა (ქართველი სამშვიდობოების დაშავების შემთხვევების სია იხ. დანართში 33);
- 09:01 სთ-ზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოიპოვა სატელეფონო საუბარი, რომლის თანახმად, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო შინაგან საქმეთა მინისტრმა მიხეილ მინძაევმა გასცა ბრძანება მასიური თავდასხმისა და ქარელის

რაიონის ქართული სოფლის დვანის განადგურების შესახებ (იხ. დანართები 34 და 35, სადაც მოცემულია სატელეფონო საუბარი და მისი ჩანაწერი).

- 10:00 სთ-დან 17:00 სთ-მდე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ჩავიდნენ ცენტრალური მთავრობის მიერ კონტროლირებადი სოფლებში – ერგნეთის, ნიქოზის, ავნევის და ნულის შემოგარენში, რომლებსაც დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარულმა ძალებმა საშინელი ზიანი მოაყენეს. საერთაშორისო მედიისა და საქართველოში არსებული უცხოური დიპლომატიური მისიების წამომადგენლებს, რუსეთის ელჩის – ვიაჩესლავ კოვალენკოს ჩათვლით, საშუალება ჰქონდათ ეხილათ ყველა ქართული სამშვიდობო და პოლიციის საგუშაგო, სადაც რეალურად არ ხდებოდა შეიარაღების გაძლიერება, როგორც ამას რუსეთის ოფიციალური წყაროები აცხადებდნენ (იხ. მედიის ინფორმაცია დანართში 36).
- 15:10 სთ-ზე, ცხინვალში ჩავიდა დაახლოებით, დამატებითი 15 „მოხალისე“ (ე.ი. დაქირავებული) ჩრდილოეთ კავკასიიდან, როგორც ამას იუწყეობოდა რუსეთის მედია (იხ.: დანართი 37). დაქირავებული ჯარისკაცების შესვლა ჩრდილოეთ კავკასიიდან ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში გაგრძელდა, სულ მცირე, 10 აგვისტომდე. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოიპოვა ოფიციალური დოკუმენტები რუსეთის (ჩრდილოეთ ოსეთის) პროკურატურიდან, რომლებიც ეხებოდა ერთ-ერთი ასეთი „მოხალისის“ გარდაცვალებას ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე 2008 წლის აგვისტოში. ინფორმაცია შეიცავდა რუსეთის მოქალაქეების ჩვენებებს. ისინი შემოსული იყვნენ ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში, საქართველოში ჩრდილოეთი ოსეთიდან, რუსეთიდან, რათა მონაწილეობა მიეღოთ საბრძოლო მოქმედებებში როგორც „მოხალისეებს“ (ე.ი. დაქირავებულებს). გარდა ამისა, არსებობს ფოტო, რომელიც გადაღებულია ჩრდილოეთ ოსეთში, ვლადიკავკაზში, სადაც ხდებოდა დაქირავებული ჯარისკაცების რეკრუიტირება (იხ.დანართები 37 A და B).
- 18:05 სთ-ზე, დონის კაზაკთა სამხედრო ძალების მეთაურის მოადგილემ ვლადიმირ ვორონინმა, თავის ინტერვიუში რუსულ რადიოსადგურთან „ეხო მოსკვისთან“ დაადასტურა, რომ სამხრეთ რუსეთში ჩამოყალიბდა „მოხალისეების“ (ე.ი. დაქირავებულების) ბატალიონები და რომ ისინი მზად იყვნენ სამხრეთ ოსეთში გადასაყვანად. სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელმა მოსკოვში, დიმიტრი მედოევმა კი განაცხადა, რომ „მოხალისეების“ (ე.ი. დაქირავებულების) პირველი რაზმები რუსეთიდან უკვე ჩასული იყო სამხრეთ ოსეთში (იხ. დანართი 38).
- დღის განმავლობაში, დაღესტანის, ბოლტიხის 33-ე სამთო მექანიზებული ბრიგადის თვითმავალი არტილერიის 40 ერთეული და სადაზვერვო ბატალიონი გადაიყვანეს სამხრეთ ოსეთში, როკის გვირაბის გავლით. გარდა ამისა, 30

საარტილერიო იარაღი მიიტანეს ჯავას რეგიონში. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 58-ე არმიის ზოგიერთი ერთეული, მობილიზებული იყო როკის გვირაბის მახლობლად, ჩრდილოეთ ოსეთში, რუსეთში. მათ შორის იყო ყაბარდო–ბალყარეთის, პროხლადნის 135-ე მექანიზებული პოლკი და ჩრდილოეთ ოსეთის, ზარამაგის, 693-ე მექანიზებული პოლკი (საქართველოს დაზვერვის მონაცემები, HUMINT).

- საღამოს საათებში, შემჩნეული იყო თუ როგორ მოძრაობდა რამდენიმე ტანკი და სამხედრო სატვირთო მანქანა შეიარაღებული ჯარისკაცებით ცენტრალური მთავრობის მიერ კონტროლირებადი სოფელ ავნევისაკენ, ფრონის ხეობაში (საქართველოს დაზვერვის მონაცემები, HUMINT).
- 5-6 აგვისტო, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი შეეცადა ტელეფონით დაკავშირებოდა პრეზიდენტ მედვედევს. ყველა მცდელობა უარყოფილი იქნა რუსეთის მხარის მიერ.

6 აგვისტო

- ღამის განმავლობაში, რამდენიმე ერთეული ჯავშანტექნიკა (BTR-ის და BMP-ის ტიპის და აგერთვე, თვითმავალი საარტილერიო სისტემები) რუსეთის ფედერაციიდან სამხრეთ ოსეთში ჩამოიტანეს და როკის გვირაბის სამხრეთ შესასვლელთან განალაგეს (საქართველოს დაზვერვის მონაცემები, HUMINT).
- დილით, რუსეთისა და ცხინვალში არსებულ რუსეთის სამხედრო ბაზაზე მომსახურე პერსონალი დროებით იქნა გათავისუფლებული. მაღაზიები და სხვა სამსახურები დაიხურა, როგორც ამას აცხადებდა დე-ფაქტო რეჟიმის ადგილობრივი ტელევიზია.
- 16:00 სთ-ზე, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რეჟიმის არარეგულარულმა ძალებმა სოფლებიდან – ფრინევი, უბიათი და ხეთაგუროვო (ეს უკანასკენლი იყო მთავარი საარტილერიო ბაზა დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარული ძალებისათვის) ნაღმსატყორცნებით გაუხსნეს ცეცხლი ცენტარლური მთავრობის მიერ კონტროლირებად სოფლებს – ერედვს, ზემო ფრისს, ავნევს, დვანს და ნულს. საქართველოს პოლიციისა და სამშვიდობოების საგუშაგოები სოფელ ნულში ჯავშანტექნიკისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლის სამიზნედ იყო ქცეული. ეს თავდასხმა გაგრძელდა 19:00 სთ-მდე.
- 18:00 სთ-ზე, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარული ძალები თავს დაესხნენ სარაბუკის მაღლობს, სადაც საქართველოს მშვიდობისმყოფლები იყვნენ განლაგებული. ამ დროს დაჭრეს შერეული სამშვიდობო ძალების საქართველოს ბატალიონის <u>სამი</u> წევრი (იხ. დანართი 33).

- 20:00 სთ-ზე, გაანხლდა საარტილერიო თავდასხმები ხეთაგუროვოდან ცენტრალური მთავრობის მიერ კონტროლირებად სოფლებზე – ერედვი, ზემო ფრისი, ავნევი, დვანი და ნული. თავდასხმა გაგრძელდა 06:00 სთ-მდე.
- 6 აგვისტოდან დაწყებული, შერეული სამშვიდობო ძალების ქართული ბატალიონის მოთხოვნის მიუხედავად, კონფლიქტის ზონაში მონიტორინგს აღარ ატარებდნენ შერეული სამშვიდობო ძალები.

7 აგვისტო

- 00:15 სთ-ზე, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარულმა ძალებმა საარტილერიო თავდასხმა დაიწყეს სოფლებზე – ერედვი, ზემო ფრისი და ვანათი. თავდასხმის დროს გამოყენებული იყო ნაღმმტყორცნები (მორტირები) და ყუმბარმტყორცნები. ამ ზონაში ბრძოლები დაახლოებით, დილის 10 საათამდე გაგრძელდა.
- 03:25 სთ-ზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ სატელეფონო მოსმენით მიიღო პირველადი ინფორმაცია, რომლის თანახმად, რუსეთის საჯარისო ერთეული, ტანკებითა და ჯარისკაცებით დატვირთული სამხედრო მანქანებით, შევიდა როკის გვირაბში (იხ. დანართები 39 და 40, სადაც მოცემულია მოპოვებული სატელეფონო ინფორმაცია და მისი ჩანაწერი).
- 03:41 სთ-ზე, რუსეთის არარეგულარული არმიის დიდი რაოდენობით ჯავშანტექნიკა, ტანკები და სამხედრო სატვირთო მანქანები შევიდნენ როკის გვირაბში და განთავსდნენ ჯავას რაიონში. ეს დადასტურდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მობილური ტელეფონებით განხორციელებული ორი საუბრის მოსმენით (იხ. დანართები 41–46, სადაც მოცემულია სატელეფონო საუბრები და მათი ჩანაწერები). რუსეთის პრესის მთელი რიგი სტატიები ადასტურებენ, რომ რუსეთის საჯარისო ერთეულები, კერძოდ კი, 58-ე არმიის 693-ე და 135-ე მექანიზებული პოლკების ნაწილები, 8 აგვისტომდე შევიდნენ სამხრეთ ოსეთში (იხ. მედიაში ამბების გაშუქება დანართებში 47–67). სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რეჟიმის მთავარი გაზეთის – „იუჟნაია ოსეტიას“ მიხედვით, იმ ღამეს სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების ლიდერი ედუარდ კოკოითი ცხინვალიდან ჯავის რაიონში გაემგზავრა „იმისათვის, რათა შეხვედროდა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს“ (იხ. დანართი 68).
- 09:30 სთ-ზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოიპოვა სატელეფონო საუბრის ჩანაწერი, სადაც სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარული ძალების წარმომადგენელი ამჟღავნებდა გეგმას – მოეხდინათ თავდასხმა ქართულ სოფლებზე – ავნევი (ფრონეს ხეობაში) და დვანი (ქარელის რაიონში) (იხ.

დანართები 69 და 70, სადაც მოცემულია მოპოვებული სატელეფონო ინფორმაცია და მისი ჩანაწერი).

- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა საგანგებო განცხადება, რომ რუსეთის სამხედრო აღჭურვილობა და ტექნიკა, რომლებიც გამოყენებული იყო ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მშვიდობიან სოფლებზე განხორციელებუილ რეიდებისთვის, როკის გვირაბით შემოდიოდა საქართველოში. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ეს პროცესი შეაფასა როგორც რუსეთის ფედერაციის მიერ გატარებული აგრესიის გამოხატულება.. ასეთი განაცხადი ასევე გააკეთა საქართველოს საელჩომ ევროკავშირში (იხ. დანართი 71).
- 10:42 სთ-ზე, რუსეთის ტელევიზიასთან და საინფორმაციო სააგენტოებთან ინტერვიუში სამხრეთ ოსეთის მარიონეტული რეჟიმის ლიდერმა ედუარდ კოკოითმა განაცხადა, რომ თუ საქართველოს მთავრობა არ გაიყვანდა თავის ძალებს (ანუ ის გულისხმობდა საქართველოს სამშვიდობოებს და პოლიციას) რეგიონიდან, მაშინ ის დაიწყებდა „მათ განადგურებას“ (იხ. კოკოითის განცხადება დანართებში 72 და 73).
- 11:00 სთ-ზე, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარულმა ძალებმა, ზნაურის რაიონის სოფელ ხეთაგუროვოდან განაგრძეს თავდასხმა ცენტრალური მთავრობის მიერ კონტროლირებად სოფლებზე – ნულზე და ავნევზე. საქართველოს პოლიციამ საპასუხო ცეცხლი გახსნა ხეთაგუროვოს მიმართულებით, საიდანაც სროლები მოდიოდა.
- <u>დაახლოებით, 12:00 სთ-ზე, აფხაზეთის მარიონეტული ხელისუფლების ლიდერმა სერგეი ბაღაფშმა განაცხადა, რომ აფხაზეთის სამხედრო ძალები საბრძოლო მზადყოფნაში იყვნენ, რათა გაეწიათ სამხედრო დახმარება სამხრეთ ოსეთისათვის და, რომ რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის ერთი ბატალიონი უკვე შესული იყო ცხინვალის რეგიონში (ეს განცხადება რუსეთის სატელევიზიო არხით გადაიცა 17:00 სთ-ზე, იხ. დანართი 77).</u>
- 12:30 სთ-ზე, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას, გორის სამხედრო ჰოსპიტალში (სადაც მან მოინახულა 6 აგვისტოს დაჭრილი სამი ქართველი მშვიდობისმყოფელი), დაადასტურა, რომ მიუხედავად სასიკვდილო თავდასხმებისა, ცენტრალური მთავრობის კონტროლქვეშ მყოფ სოფლებზე, საქართველოს მთავრობა მაქსიმალურად იჩენდა თავშეკავებას. სააკაშვილმა ასევე, მოუწოდა რუსეთს, რომ „გაეწვია თავისი ოფიციალური პირები,“ რომლებიც მარიონტეულ რეჟიმს ემსახურობდნენ (იხ. დანართი 74).
- 14:00 სთ-ზე, ქართული სამშვიდობო საკონტროლო-გამშვები პუნქტი ავნევში ძლიერ დაიბომბა 100 მმ-იანი და 120 მმ-იანი საქვემეხო საცეცხლე საშუალებებით, რაც ისევ სამხრეთ ოსეთის მარიონეტული რეჟიმის არარეგულარული ძალების

ერთეულმა განახორციელა სოფელ ხეთაგუროვოდან. თავდასხმის შედეგად განადგურდა საქართველოს სამშვიდობო საჯარისო ერთეულის ჯავშანტექნიკა, დაიჭრა ხუთი და დაიღუპა ორი ქართველი მშვიდობისმყოფელი – შალვა ტრაპაიძე და ვიტალი თაყაძე (იხ. დანართი 33). საარტილერიო ცეცხლი 16:00 წთ-მდე გაგრძელდა. საქართველოს სამშვიდობოებმა და პოლიციამ საპასუხო ცეცხლი გახსნეს თავდაცვის მიზნით. მოგვიანებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოიპოვა ინფორმაცია სატელეფონი ზარის მოსმენით, სადაც დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარული ძალების ერთ-ერთი წევრი ადასტურებდა იმ ფაქტს, რომ საარტილერიო ქვემეხით ააფეთქეს ქართველი სამშვიდობოების ჯავშანმანქანა ავნევში (იხ. დანართები 75 და 76, სადაც მოცემულია სატელეფონო საუბარი და მისი ჩანაწერი).

- ამავე დროს, საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო სამხედრო დაზვერვის ინფორმაცია, რომ რუსეთის ჯარები (რომლებიც აღარ გაუყვანიათ ივლისში ჩრდილოეთ კავკასიაში ჩატარებული სამხედრო წვრთნის შემდეგ) უმაღლესი დონის მზადყოფნაში იყვნენ მოყვანილი და მიღებული ჰქონდათ ბრძანება ემოძრავათ საქართველოს საზღვრის მიმართულებით.
- ავნევის სამშვიდო-საკონტროლო საგუშაგოზე თავდასხმის შემდეგ, თავდასხმის მზარდი რისკის საპასუხოდ, 14:30 სთ-ზე საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა ძალების მობილიზაციის შესახებ, ჯავშანტექინიკის, ტანკებისა და არტილერიის ჩათვლით, ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის მიმართულებით.

- დაახლოებით, 15:00 სთ-დან 17:00 საათამდე, საქართველოს საგანგებო დესპანი და სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში, თემურ იაკობაშვილი კონფლიქტის ზონას ეწვია მარიონეტული ხელისუფლების წარმომადგენლებთან შესახვედრად. შეხვედრაზე უარის მიღების შემდეგ, დაიგეგმა შეხვედრა შერეული სამშვიდობო ძალების მეთაურთან, გენერალ მარატ კულახმეტოვთან ცხინვალში, რომელმაც განაცხადა, რომ იგი ვერ დაუკავშირდა ედუარდ კოკოითს და რომ რუსეთის მშვიდობისმყოფელებმა ვერ მოახერხეს დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარული ძალების თავდასხმის შეჩერება. იმავდროულად, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დესპანმა, იური პოპოვმა ვერ მოახერხა ცხინვალში ჩასვლა და წინასწარ შეთანხმებული ცეცხლის შეწყვეტის მოლაპარაკებაზე შუამავლის როლის შესრულება. ამის მიზეზად მან „დაშვებული საბურავი“ და დე-ფაქტო ხელისუფლების მხრიდან უარი დაასახელა (ბატონ იაკობაშვილთან სატელეფონო საუბარში).
- დაახლოებით, 17:00 საათისთვის, მას შემდეგ, რაც შერეული სამშვიდობო ძალების მეთაურმა, მარატ კულახმეტოვმა უარი განაცხადა საქართველოს სამშვიდობო ძალებისთვის დამატებითი უსაფრთხოების გარანტიის მიცემაზე, (რომლებიც ცხინვალში იყვნენ განთავსებულნი), საქართველოს სამშვიდობო ძალების მეთაურმა,

მამუკა ყურაშვილმა საქართველოს სამშვიდობო ძალების ბატალიონის ოფიცრებს უბრძანა, დაეტოვებინათ შერეული სამშვიდობო ძალების შტაბი ცხინვალში.

- 17:10 სთ-ზე, საქართველოს სამშვიდობო ძალებს შორის დანაკარგის და ცენტრალური მთავრობის მიერ კონტროლირებადი სოფლების მიმართულებით სროლების მიუხედავად, საქართველოს სამართალდამცავებმა და სამშვიდობო ძალებმა ცალმხრივად შეწყვიტეს ცეცხლი სიტუაციის განმუხტვის მიზნით. ამ გადაწყვეტილების შესახებ რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა, თემურ იაკობაშვილმა აცნობა შერეული სამშვიდობო ძალების მეთაურს, გენერალ მარატ კულახმეტოვს 17:00 სთ ზე.
- 18:40 სთ-ზე, საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში, თემურ იაკობაშვილმა თბილისში პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ იგი კვლავ შეეცადა დაკავშირებოდა სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლებას, თუმცა უშედეგოდ.
- 19:10 სთ-ზე, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, საქართველოს მასშტაბით გადაცემულ სატელევიზიო მიმართვაში, დაადასტურა ცალმხრივად ცეცხლის შეწყვეტა და რუსეთის ხელისუფლებას და დე-ფაქტო რეჟიმებს მოლაპარაკებისაკენ მოუწოდა (იხ. დანართი 78, მ. სააკაშვილის განცხადება).
- 19:55 სთ-ზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოისმინა სატელეფონო საუბარი, რომლის მიხედვითაც სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების არარეგულარული ჯარების წევრები გეგმავდნენ საარტილერიო თავდასხმას ქართულ სოფლებზე (იხ. დანართები 79 და 80, სატელეფონო საუბარი და მისი სტენოგრაფიული ჩანაწერი).
- 20:30 სთ-ზე, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარულმა ძალებმა განაახლეს საქართველოს სამშვიდობო ძალებსა და პოლიციის ოფიცრებზე თავდასხმა, რომლებიც განლაგებულნი იყვნენ სოფელ ავნევში, ფრონეს ხეობაში. ცეცხლი კვლავ ხეთაგუროვოდან გაიხსნა. ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის ოფიცრებმა დაადასტურეს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დარღვევა 22:00 სთ-ზე.
- 22:30 სთ-ზე, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარულმა ძალებმა ცეცხლი გახსნეს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად სოფლებზე ზემო ფრისსა და თამარაშენზე, დიდი ლიახვის ხეობაში ცხინვალიდან და თლიაყანას მთებიდან.
- 23:30 სთ-ზე, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარულმა ძალებმა გააძლიერეს საარტილერიო ცეცხლი საქართველოს პოლიციისა და სამშვიდობოების ყველა პოზიციის მიმართულებით დიდი ლიახვის, პატარა ლიახვისა და ფრონეს ხეობებში, განსაკუთრებით კი, ავნევზე, ნულზე, თამარაშენსა და ქურთაზე. ქურთაში განადგურდა პოლიციის შენობა.
- იმავდროულად, საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო მრავალი შეტყობინება დაზვერვისგან, რომ დაახლოებით, 150 ჯავშანტრანსპორტიორი და სატვირთო ავტომობილი რუსი ჯარისკაცებით, უახლოვდებოდა როკის გვირაბს რუსეთის მხრიდან და მოძრაობდა ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მიმართულებით. მოგვიანებით, დაფიქსირდა მრავალი სატელეფონო საუბარი დე-ფაქტო უშიშროებასა და სამხედრო ოფიცრებს შორის, 02:20 სთ-სა და 04:30 სთ-ს შორის 8

აგვისტოს, რამაც დაადასტურა, რომ რუსეთის სამხედრო კოლონები მოიცავდა როკის გვირაბიდან სოფელ ჯავამდე არსებულ ტერიტორიას (იხ. დანართები 81-86, სატელეფონო საუბრები და მათი სტენოგრაფიული ჩანაწერები).

- გვიან საღამოს, განხორციელდა კიბერშეტევა საქართველოს სამთავრობო და სამოქალაქო ინტერნეტ საშუალებებზე. საქართველოს ინტერნეტ-სერვერების უმეტესობა მოექცა გარე კონტროლის ქვეშ (იხ. დანართი 87, რუსეთის მიერ დაფინანსებული საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული კიბერშეტევის დეტალური ანგარიში).
- 23:35 სთ-ზე, რუსეთის რეგულარული ჯარის მიერ საქართველოში შემოჭრისა და კონფლიქტის ზონაში ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად სოფლებზე უწყვეტი ცეცხლის საპასუხოდ, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გასცა სამი ბრძანება თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბისათვის: 1. დაეცვათ სამოქალაქო პირები ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში; 2. მოეხდინათ იმ წერტილების ნეიტრალიზება, საიდანაც ხდებოდა სამოქალაქო პირებზე, საქართველოს სამშვიდობო ძალებზე და პოლიციაზე შეტევა; და 3. შეეჩერებინათ რუსეთის რეგულარული ჯარის გადაადგილება როკის გვირაბის გავლით ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში. საქართველოს სამთავრობო ძალებმა დაიწყეს სამხედრო ოპერაცია, რათა შეესრულებინათ პრეზიდენტის ბრძანება.
- 23:35 სთ-ზე, საქართველოს შეიარაღებული ძალების საარტილერიო დანაყოფებმა განახორციელეს შეტევა კვამლის ყუმბარებით და შემდგომში, 23:50 სთ-ზე, გახსნეს ცეცხლი მტრის მოძრავ და ფიქსირებულ სამიზნეებზე, ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე.

8 აგვისტო

- 00:15 სთ-ზე, საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა დაიწყეს სახმელეთო ოპერაცია მარცხენა და მარჯვენა ფლანგებზე, არტილერიის თანხლებით.
- 00:23 სთ-ზე, შერეული სამშვიდობო ძალების მეთაურმა, მარატ კულახმეტოვმა საქართველოს სამშვიდობო ძალების მეთაურთან, მამუკა ყურაშვილთან სატელეფონო საუბრისას აღიარა, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალები საარტილერიო შეტევებისთვის საქართველოს შეიარაღებული ძალების კოორდინატებს სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების სამხედროებს აწვდიდნენ (იხ. დანართები 87 „ა“ და „ბ,“ სატელეფონო საუბარი და მისი სტენოგრაფიული ჩანაწერი).
- 02:37 სთ-ზე, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, გრიგორი კარასინმა დაურეკა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, გრიგოლ ვაშაძეს და აუწყა, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალები იწყებდნენ სამხედრო ოპერაციას ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში, რის მიზეზადაც რუსეთის სამშვიდობო ძალებს შორის დანაკარგი დაასახელა. თუმცა, პირველი შეტაკება საქართველოს შეიარაღებულ ძალებსა და რუსეთის სამშვიდობოებს შორის მოხდა 06:00 სთ-ზე, გ. კარასინთან სატელეფონო საუბრიდან 3 საათის შემდეგ.
- 04:10 სთ–ზე, რუსეთის ელჩმა საქართველოში, ვიაჩესლავ კოვალენკომ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტროში ვიზიტის დროს, გრიგოლ ვაშაძეს, განუცხადა, რომ

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩამოერთვა გადაწყვეტილების მიღების უფლება და შესაბამისად, ყოველი გადაწყვეტილების მიღება ხდებოდა უკვე რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის დონეზე.

- 05:00 სთ-თვის, საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მოიპოვეს კონტროლი ცხინვალის გარშემო არსებული სოფლების უმრავლესობაზე, მათ შორის წინაგარზე, ორჭოსანზე, დიდმუხაზე, მუგუთზე, გრომზე, ოკონაზე, არცევსა და დმენისის ნაწილზე.
- 05:20 სთ-ზე, რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა გაიარეს სოფელი ჯავა, გადაკვეთეს გუფთის ხიდი და გაიარეს ძარას შემოვლითი გზა, რაც დადასტურდა სატელეფონო საუბარში, რომელიც მოისმინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ (იხ. დანართები 88 და 89, სატელეფონო საუბარი და მისი სტენოგრაფიული ჩანაწერი). 06:35 სთ-ზე, საქართველოს საარტილერიო და საჰაერო ძალებმა განახორციელეს წერტილოვანი დარტყმები გუფთას ხიდზე და რუსეთის მოძრავ კოლონაზე (საქართველოს ავიაციას მას შემდეგ <u>აღარ</u> განუხორციელებია საჰაერო ოპერაციები). მალევე, რუსეთის ჯარების კიდევ ორი კოლონა შევიდა როკის გვირაბში და გაემართა სამხრეთისკენ, გერი–დმენისის გზით.
- 06:00 სთ-თვის, საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მოიპოვეს კონტროლი სოფელ ხეთაგუროვოზე, 07:00 სთ-თვის სოფელ ზნაურზე, ხოლო 08:00 სთ-თვის სოფელ კოხათზე.
- დაახლოებით, 06:00 სთ-თვის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალურმა დანაყოფებმა, „კობრას“ ტიპის ჯავშანტრანსპორტიორებით და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს რამდენიმე ტანკით დაიწყეს მოძრაობა სოფელ ზემო ნიქოზიდან ცხინვალის გარეუბნებისაკენ, რათა აღეკვეთათ ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ე.წ. „შანხაის“ გარეუბანში განლაგებული დე-ფაქტო ხელისუფლების სამხედრო ძალების მიერ სოფლისთვის გახსნილი ცეცხლი. შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალურ დანაყოფებზე განხორციელდა სნაიპერთა და ჯავშანტრანსპორტიორთა მასიური შეტევები რუსეთის სამშვიდობო შტაბიდან „ვერხნი გოროდოკიდან,“ რომელიც განლაგებული იყო ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, რის გამოც ისინი იძულებულნი გახდნენ გაეხსნათ საპასუხო ცეცხლი და მოეთხოვათ სატანკო დახმარება. რეალურად, „ვერხნი გოროდოკის“ ძირითადი შენობის სახურავს მტერი იყენებდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებზე განხორციელებული საარტილერიო თავდასხმის სიზუსტისათვის, რაც დადასტურდა სამხრეთ ოსეთის პრესაში განთავსებული სტატიით (იხ. დანართი 90).
- 09:30 სთ-დან 11:05 სთ-მდე, რუსეთის ავიაცია ბომბავდა სოფლებს გორისა და ქარელის რაიონებში და თავად ქალაქ გორს.
- 11:00 სთ-ზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანაყოფები და თავდაცვის სამინისტროს „კობრას“ ტიპის ჯავშანტრანსპორტიორები და სატანკო ბატალიონი შევიდნენ ცხინვალში, სოფელ ზემო ნიქოზიდან. ქალაქში, მათ ცეცხლი გაუხსნეს სხვადასხვა შენობებიდან, რომელთაც სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების არარეგულარული ჯარები საბრძოლო მიზნით იყენებდნენ (იხ. დანართები 91-94, საგაზეთო სტატია, რომელიც ადასტურებს სამშვიდობო, ადმინისტრაციული და სამოქალაქო ობიექტების გამოყენებას რუსეთის ჯარებისა და

სამხრეთ ოსეთის არარეგულარული ძალების მიერ ფარის სახით) (იხ. დანართი 37 ა, პარ.14 და Human Rights Watch-ის „ცეცხლის ალში – ჰუმანიტარული კანონის დარღვევები და სამოქალაქო მსხვერპლი სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში“, გვერდები 87-127, http://hrw.org/sites/default/files/reoprts/georgia0109web.pdf).

- იმავდროულად, დაახლოებით 11:00 სთ-თვის, რუსეთის სამხედრო საჰაერო ძალებმა და არტილერიამ დაიწყეს ქ. ცხინვალისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის სხვა ტერიტორიების დაბომბვა (იხ. დანართები 95 და 96, სტატიები მტკიცებულებით, რომ რუსეთის არტილერია და ავიაცია ბომბავდა ცხინვალს). სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების არარეგულარულმა ჯარებმა რუსეთის SU-25 ტიპის თვითმფრინავიც კი ჩამოაგდეს, რომელიც ბომბავდა ცხინვალს, რადგან ეს ქართული თვითმფრინავი ეგონათ (იხ. დანართები 97 და 98). დადასტურებული ფაქტია, რომ საქართველოს ავიაციამ ფრენები განახორციელა მხოლოდ 06:35 სთ-ზე და მას დანაკარგი არ განუცდია.
- 14:30 სთ-თვის, საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მოიპოვეს კონტროლი ცხინვალის ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე – მის სამხრეთ და ცენტრალურ ნაწილებზე, მაშინ, როდესაც ბრძოლა ჯერ კიდევ მიმდინარეობდა მის ჩრდილოეთ ნაწილში.
- 15:00 სთ-თვის, საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა გამოაცხადეს 3-საათიანი ცალმხრივი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რათა შექმნილიყო ჰუმანიტარული კორიდორი. რუსეთმა ეს პერიოდი გამოიყენა იმისთვის, რომ გადასულიყო ცხინვალისკენ, ძარას გზით და მიახლოვებოდა დმენისს, გერი–დმენისის გზით.
- 15:00 სთ-სა და 19:05 სთ-ს შორის, რუსეთის ავიაციამ დაბომბა თბილისი (ვაზიანი), მარნეული, ბოლნისი და გორი.
- 18:45 სთ-ზე, რუსეთის ერთი სატანკო კოლონა, ჯავშანმანქანებითა და სატვირთო მანქანებით, მიუახლოვდა ცხინვალს, ძარას გზით. კიდევ ორი კოლონა შეჩერდა სოფელ დმენისთან. რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა გახსნეს ინტენსიური ცეცხლი საქართველოს შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ, რომელიც განლაგებული იყვნენ დმენისში, ცხინვალსა და სხვა მიმდებარე სიმაღლეებზე.
- 20:30 სთ-ზე, საქართველოს შეიარაღებული ძალები გავიდნენ ცხინვალის ცენტრიდან, გადაჯგუფდნენ და დაიკავეს პოზიციები ქალაქის სამხრეთ ნაწილში.
- 22:00 სთ-თვის, რუსული ჯარები მიუახლოვდნენ დიდი ლიახვის ხეობას ჩრდილოეთის მხრიდან, თუმცა შესვლა ვერ მოახერხეს, რადგან განიცადეს მძიმე დანაკარგი საქართველოს არტილერიის მხრიდან გახსნილი ცეცხლის გამო, ასევე შეჩერდა მათი მოძრაობა ძარას გზაზე, ცხინვალის მიმართულებით.
- 23:45 სთ-ზე, რუსულმა ავიაციამ კვლავ დაბომბა თბილისი (ვაზიანი).
- 23:50 სთ-ზე, რუსულმა ჯარებმა დაბომბა ფოთი (დასავლეთ საქართველო) Tochka-U/SS-21 ტიპის რაკეტებით.

9 აგვისტო

- 00:40 სთ-ზე, რუსულმა ჯარებმა კვლავ დაბომბეს ფოთი.
- ღამის განმავლობაში, საქართველოს შეიარაღებული ძალები კონტროლს ინარჩუნებდნენ ცხინვალის სამხრეთ ნაწილზე. საქართველოს შეიარაღებული

ძალების დანაყოფებმა, მათ შორის, სენაკის სამხედრო ბაზის რაზმმა, რომლებიც განთავსებულნი იყვნენ დასავლეთ საქართველოში, გადაინაცვლეს ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში, რათა დახმარება აღმოეჩინათ სამხედრო ოპერაციებისთვის მარცხენა ფლანგზე.

- დილით, რუსეთის პრემიერ-მინისტრი, ვლადიმირ პუტინი ჩავიდა ვლადიკავკაზში, ჩრდილოეთ ოსეთში, რათა ზედამხედველობა გაეწია სამხედრო ოპერაციებისთვის (იხ. დანართი 99, შეხვედრის ჩანაწერი).
- იმავე დილით, აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ მოსთხოვა გაერო-ს სადამკვირვებლო მისიას საქართველოში (UNOMIG), დაეტოვებინა ზემო აფხაზეთი, რადგან ისინი რუსეთის ჯარებთან ერთად, აპირებდნენ სამხედრო ოპერაციის დაწყებას ხეობიდან ქართული პოლიციის გაძევების მიზნით. გაერო-ს სადამკვირვებლო მისიამ საქართველოში შეასრულა მოთხოვნა და დაუყოვნებლივ დატოვა ტერიტორია.
- 09:25 სთ-ზე, რუსულმა ავიაციამ დაბომბა კოპიტნარის აეროპორტი ქუთაისთან ახლოს (დასავლეთ საქართველო).
- 09:50 სთ-სა და 11:05 სთ–ს შორის, რუსულმა ავიაციამ დაბომბა გორი და ახლომდებარე სოფელი შავშვები.
- 11:40 სთ-ზე, რუსეთის შეიარაღებულმა ძალები, მათ შორის, საჰაერო-სადესანტო ძალები შევიდნენ ცხინვალში, ჩრდილო-დასავლეთიდან და სოფელ ტბეთიდან.
- 12:00 სთ-სა და 13:00 სთ-ს შორის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დამატებითი ძალები შევიდნენ ცხინვალში, სადაც მათ წინააღმდეგობა გაუწიეს რუსულმა ჯარებმა, რომლებმაც ბოროტად გამოიყენეს ჯავშანტრანსპორტიორები მშვიდობისმყოფელთა საიდენტიფიკაციო ნიშნებით.
- 13:00 სთ-დან 15:00 სთ-მდე, საქართველოსა და რუსეთის ჯარებს შორის ინტენსიური ბრძოლა მიმდინარეობდა ცხინვალის ცენტრში; საქართველოს ჯარები ძირითადად ქალაქის სამხრეთ ნაწილს აკონტროლებდნენ, რუსეთის ჯარებმა კი მისი ჩრდილოეთი ნაწილი დაიკავეს.
- 13:40 სთ-სა და 14:40 სთ-ს შორის, რუსეთის სამხედრო ავიაციამ დაბომბა ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი სოფლები ზემო აფხაზეთში/კოდორის ხეობაში, მათ შორის, რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი ჩხალთა.
- 15:50 სთ-ზე, აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ გამოაცხადა თავისი გადაწყვეტილების შესახებ გაეგზავნა შეიარაღებული ძალები ადმინისტრაციული საზღვრისკენ და დაეწყო სამხედრო ოპერაციები ქართული პოლიციის ზემო აფხაზეთიდან/კოდორის ხეობიდან გაძევების მიზნით (იხ. დანართი 100).
- 16:00 სთ–ზე, რუსეთის შავი ზღვის ფლოტი შევიდა საქართველოს ტერიტორიულ წყლებში და დაიწყო აფხაზეთის სანაპიროს პატრულირება (იხ. დანართი 101).
- 16:05–სა და 18:35 სთ–ს შორის, რუსულმა ავიაციამ დაბომბა ონის რაიონის ტერიტორია (დასავლეთ საქართველო).
- 16:40 სთ–ზე, რუსეთის საზღვაო ფლოტმა მოლდავეთის გემი „ლოტუს-1“, რომელსაც ხორბალი გადაჰქონდა, არ შეუშვა ფოთის პორტში.

- 17:00 სთ–ზე, დამატებითი რუსული ჯარები შევიდნენ ცხინვალში. რუსეთის საჰაერო, საარტილერიო და სახმელეთო ძალებთან ბრძოლის ფონზე, საქართველოს შეიარაღებული ძალები ინარჩუნებდნენ კონტროლს ცხინვალის სამხრეთით და მის გარშემო მდებარე სოფლებში, გვიან საღამომდე.
- 21:00 სთ–თვის, რუსულმა ჯარებმა წინ წაიწიეს გერი–დმენისის გზით, დმენისისაკენ.
- 22:00 სთ—თვის, საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მოიპოვეს კონტროლი სოფლებზე ტბეთი და გალუანთი, ცხინვალის დასავლეთით.
- გვიან საღამოს, საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა გაანადგურეს ცხინვალის ჩრდილო-დასავლეთ შესასვლელთან მყოფი რუსეთის ავტოკოლონა, რომელიც შედგებოდა 30 ჯავშანტრანსპორტიორისაგან, 58-ე არმიის გენერალის, ანატოლი ხრულიოვის მეთაურობით,
- 22:20 სთ–ზე, რუსულმა ავიაციამ კვლავ დაბომბა ზემო აფხაზეთი/კოდორის ხეობა.
- 22:30 სთ–ზე, საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა ეტაპობრივად დაიწყეს უკან დახევა ცხინვალიდან და გადაინაცვლეს ქალაქის სამხრეთით ღამის განმავლობაში.
- 23:50 სთ–ზე, რუსულმა ავიაციამ დაბომბა ქ. სენაკი (დასავლეთ საქართველო).

10 აგვისტო

- ღამის განმავლობაში და გამთენიისას, 300-ზე მეტმა რუსულმა ტანკმა და ჯავშანტრანსპორტიორმა, 10 000-ზე მეტ სამხედროსთან ერთად, გაიარა როკის გვირაბი.
- 04:00 სთ-ზე, რუსულმა ჯარებმა დაიკავეს დიდი ლიახვის ხეობა.
- 05:30 სთ-ზე, რუსულმა ავიაციამ დაბომბა თბილისი (ვაზიანი) და ბაქო–სუფსის ნავთობსადენი თბილისთან ახლოს.
- 06:00-სა და 11:30 სთ-ს შორის, რუსეთის ავიაციამ დაბომბა ზემო აფხაზეთი/კოდორის ხეობა.
- 10:00 სთ-ზე, საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა დატოვეს ფრონეს ხეობა, რომელიც დაუყოვნებლივ დაიკავა რუსულმა ჯარმა.
- 11:00 სთ-ზე, რუსეთის შავი ზღვის ფლოტის გემები მიუახლოვდნენ ოჩამჩირეს პორტს. 4000-ზე მეტი საჰაერო-სადესანტო სამხედრო პერსონალი დაეშვა სანაპიროზე.
- დაახლოებით, 11:00 სთ-ზე, ქართულმა პოლიციამ დაიწყო მოსახლეობის ევაკუაცია ზემო აფხაზეთიდან/კოდორის ხეობიდან.
- 12:20 სთ-სა და 15:15 სთ-ს შორის, რუსულმა ავიაციამ განახორციელა ზემო აფხაზეთის/კოდორის ხეობის ინტენსიური დაბომბვა.
- 14:00 სთ-ზე, თურქეთის ტელევიზიის თანამშრომლებს, რომლებიც მიემართებოდნენ ცხინვალისაკენ, გზად თავს დაესხნენ. ორი ჟურნალისტი, ლევენტ ოზთურქი და გურაი ერვინი მძიმედ დაშავდა.
- შუადღისას (ზუსტი დრო უცნობია), ორი ქართველი ჟურნალისტი, ალექსანდრე კლიმჩუკი და გიგა ჩიხლაძე, ტყვედ აიყვანეს და მოკლეს სამხრეთ ოსეთის მილიციის მუშაკებმა ცხინვალში.
- 15:00 სთ-ზე, რუსულმა ჯარებმა დაიწყეს მოძრაობა ცხინვალიდან სამხრეთისაკენ, სოფელ მეღვრეკისის, გორის რაიონის მიმართულებით.

- 15:10 სთ-ზე, რუსულმა ავიაციამ დაბომბა სოფელი კნოლევი, ქარელის რაიონში.
- 15:30 სთ-ზე რუსულმა ავიაციამ დაბომბა გორი.
- 15:40 სთ-ზე რუსულმა ავიაციამ დაბომბა სოფელი ანაკლია, ზუგდიდის რაიონი.
- 16:10 სთ-ზე რუსულმა ავიაციამ დაბომბა ზემო აფხაზეთი/კოდორის ხეობა.
- 16:20 სთ-ზე რუსულმა ავიაციამ კვლავ დაბომბა სოფელი ანაკლია, ზუგდიდის რაიონი.
- 17:00 სთ-თვის, რუსულმა ჯარებმა დაიკავეს სოფელი მეღვრეკისი, გორის რაიონი.
- 17:20 სთ-ზე, რუსულმა ავიაციამ კვლავ დაბომბა ზემო აფხაზეთი/კოდორის ხეობა.
- 17:40 სთ-ზე, აფხაზიის დე-ფაქტო ხელისუფლების ხელმძღვანელმა სერგეი ბაღაფშმა გამოაცხადა მობილიზაცია და საომარი მდგომარეობა აფხაზეთის ტერიტორიაზე (იხ. დანართი 102).
- 18:30 სთ-თვის, რუსული ჯარები და აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების არარეგულარული არმია განლაგდა ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ, მდინარე ენგურთან (იხ. დანართი 103).
- 18:40 სთ-ზე, რუსულმა ავიაციამ დაბომბა თბილისი (აეროპორტის ახლოს მდებარე რადარი).
- 19:30 სთ-ზე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაუგზავნა დიპლომატიური ნოტა რუსეთის ელჩს და შესთავაზა საქართველოს მიერ დაუყოვნებლივი ცეცხლის შეწყვეტა.
- 19:40 სთ-ზე, რუსულმა ავიაციამ დაბომბა სენაკი და ზემო აფხაზეთი/კოდორის ხეობა.
- 20:20 სთ-სა და 22:10 სთ–ს შორის, რუსულმა ავიაციამ დაბომბა ზემო აფხაზეთი/კოდორის ხეობა.
- 22:30 სთ-ზე, რუსულმა ჯარებმა გადაკვეთეს ადმინისტრაციული საზღვარი მდინარე ენგურთან და შევიდნენ სამეგრელოს რაიონში, სადაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, არ იყვნენ საქართველოს შეიარაღებული ძალები, რადგან დასავლეთ საქართველოში განლაგებულმა საქართველოს რეგულარულმა არმიამ შეიცვალა ადგილმდებარეობა და გადავიდა ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში 9 აგვისტოს, დილით ადრე.
- 23:55 სთ-ზე, რუსულმა ავიაციამ დაბომბა სოფელი შავშვები, გორის რაიონი.
- გვიან საღამოს, მშვიდობიანმა მოსახლეობამ დაიწყო ქ. გორისა და გორის მიმდებარე სოფლების დატოვება.

11 აგვისტო

- 01:00 სთ-თვის, რუსულმა ჯარებმა დაიკავეს სოფელი ხეითი, პატარა ლიახვის ხეობაში და სოფლები ნიქოზი და ერგნეთი ცხინვალის სამხრეთით, ასევე გადაინაცვლეს სოფლების ხვითის და ბროწლეთის მიმართულებით, გორის რაიონში.
- 00:20 სთ-სა და 03:30 სთ-ებს შორის, რუსულმა ავიაციამ დაბომბა ზედა აფხაზეთი/კოდორის ხეობა.
- 02:45 სთ-სა და 03:20 სთ-ებს შორის, რუსულმა ავიაციამ დაბომბა ხელვაჩაურის რაიონის ტერიტორია, აჭარაში (სამხრეთ–დასავლეთ საქართველო).
- 04:10 სთ-ზე, რუსულმა ავიაციამ დაბომბა თბილისი (აეროპორტთან ახლოს მდებარე რადარი) და შირაქის აეროდრომი კახეთში (აღმოსავლეთ საქართველო).
- 05:25 სთ-ზე, რუსულმა ავიაციამ დაბომბა გორი.

- 07:10 სთ-ზე, რუსულმა ავიაციამ დაბომბა სენაკი და სოფლები განმუხური და ანაკლია, ზუგდიდის რაიონი.
- 10:00 სთ-ზე, რუსულმა არტილერიამ დაბომბა სოფელი ერედვი. საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა დაიწყეს გასვლა გორის რაიონის სამხრეთით.
- 11:00 სთ-ზე, რუსულმა ჯარებმა დაიკავეს პატარა ლიახვის ხეობა, მათ შორის, სოფელი ერედვი.
- 11:30 სთ-ზე, რუსულმა ჯარებმა დაიწყეს სამხრეთით სვლა სოფლების – ვარიანისა და ტყვიავის მიმართულებით გორის რაიონში, ხოლო გზად დაიკავეს მთელი რიგი სოფლები, მათ შორის, ხვითი, ყელქცეული, ბროწლეთი და ტირძნისი.
- 12:00 სთ-ზე, ქართულმა პოლიციამ დაასრულა მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია ზემო აფხაზეთიდან/კოდორის ხეობიდან.
- 16:45 სთ-თვის, რუსულმა ჯარებმა და აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების არარეგულარულმა არმიამ დაიკავეს სოფელი ხურჩა, ზუგდიდის რაიონი.
- 17:00 სთ-თვის, რუსული ჯარები შევიდნენ ქ. ზუგდიდში, დაიკავეს ადმინისტრაციული შენობების უმრავლესობა და წაუყენეს ულტიმატუმი ადგილობრივ პოლიციას იარაღის დაყრის თაობაზე (იხ. დანართები 104 და 105).
- 17:00 სთ-ზე, გორის რაიონში განლაგებულმა საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა დაიწყეს გადასვლა ქ. გორის სამხრეთისაკენ.
- 18:10 სთ-ზე, რუსულმა ჯარებმა დაიკავეს სოფელი შინდისი, გორის რაიონი.
- 18:20 სთ-ზე, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების არარეგულარული არმია შევიდა სოფელ ბელოთში, პატარა ლიახვის ხეობაში და ტყვედ აიყვანა ადგილობრივი მოსახლეობა.
- 19:00 სთ-ზე, თბილისში მოეწყო ბანაკი დევნილთათვის.
- 19:05 სთ-ზე, რუსულმა ავიაციამ დაბომბა ზემო აფხაზეთი/კოდორის ხეობა.
- 19:30 სთ-თვის, რუსული ჯარები შევიდნენ ქ. სენაკში, დასავლეთ საქართველოში და მძიმედ გაანადგურეს სამხედრო ბაზის ინფრასტრუქტურა ქალაქის მახლობლად.
- 20:00 სთ-ზე, რუსული სამხედრო კოლონა, რომელიც შედგებოდა მძიმე ჯავშნიანი ტრანსპორტის 70 ერთეულისაგან და დაახლოებით, 600 ჯარისკაცისაგან, დაიძრა ზუგდიდის რაიონიდან ჯვრის უღელტეხილისა და ხაიშის მიმართულებით (საიდანაც მათ შეეძლოთ შეეღწიათ ზემო აფხაზეთში/კოდორის ხეობაში). მტრის ჯარების მიერ ალყაში მოქცევის თავიდან ასაცილებლად, ქართულმა პოლიციამ დაიწყო გასვლა ზემო აფხაზეთიდან/კოდორის ხეობიდან.
- 20:00 სთ-ზე, რუსულმა ჯარებმა განაგრძეს სამხრეთით მოძრაობა გორის რაიონში, ქ. გორის მიმართულებით და შეჩერდნენ სოფლების – ვარიანისა და ტყვიავის ახლოს.
- 20:25 სთ-ზე, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შეატყობინეს, რომ რუსეთის შავი ზღვის ფლოტმა არ შეუშვა სატვირთო გემები „კასტორი“ და „აშა“ ფოთის პორტში.
- 22:00 სთ-ზე, საქართველოს შეარაღებული ძალები გადავიდნენ ქ. მცხეთისკენ, რათა დაეცვათ დედაქალაქი, თბილისი.

12 აგვისტო

- 01:30 სთ-ზე, რუსულმა ავიაციამ დაბომბა სოფელი რუისი, ქარელის რაიონში და ქ. კასპი.
- 03:00 სთ-ზე, ქართულმა პოლიციამ დაასრულა გამოსვლა ზემო აფხაზეთიდან/კოდორის ხეობიდან.
- 09:30 სთ-ზე, რუსულმა ავიაციამ დაბომბა გორი.
- 11:00 სთ-ზე, რუსულმა საჰაერო–სადესანტო ჯარებმა და აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების არარეგულარულმა ძალებმა განახორციელეს სახმელეთო შეტევა ზემო აფხაზეთში/კოდორის ხეობაში.
- 11:30 სთ-სა და 12:00 სთ-ზე, რუსულმა ძალებმა დაბომბეს ბაქო–სუფსის ნავთობსადენი და ქ. გორი ისკანდერ–M/SS-26 ტიპის რაკეტებით. რაკეტები ჩამოვარდა ქალაქის ცენტრალური მოედნის მახლობლად, რასაც მოჰყვა 8 მშვიდობიანი მოქალაქის დაღუპვა და 15-ის დაშავება. ჰოლანდიის ტელევიზიის Stans Storimans-ის ოპერატორი, სტენ სტორიმანსი დაიღუპა, საბერძნეთის ტელევიზიის ჟურნალისტი, ფილიოს სტანგოსი და ებრაელი ჟურნალისტი, ზადოკ იეჰეზკელი დაშავდნენ (მოგვიანებით, Human Rights Watch-მა აღმოაჩინა, რომ ეს გახლდათ RBK-250 ტიპის კასეტური ბომბი, რომელიც შეიცავდა 30 PTAB 2.5M საბრძოლო მასალას, იხ. დანართი 106, Human Rights Watch-ის განცხადება).
- 12:40 სთ-ზე, რუსეთის პრეზიდენტმა, დიმიტრი მედვედევმა განაცხადა, რომ მან საქართველოში სამხედრო ოპერაციის დასრულების ბრძანება გასცა.
- 14:00 სთ-ზე, რუსულმა ავიაციამ დაბომბა სოფლები კასპისა და ხაშურის რაიონებში.
- 15:00 სთ-ზე, რუსეთის შავი ზღვის ფლოტმა განახორციელა თავდასხმა და დააზიანა საქართველოს სასაზღვრო დაცვის ხომალდები.
- 15:30 სთ-ზე, რუსულმა ჯარებმა მოიპოვეს კონტროლი გორისა და ქარელის რაიონების სოფლებზე. სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების არარეგულარულმა ძალებმა დაიწყეს დაკავებული ქართული სოფლების დარბევა და ადგილობრივი მოსახლეობის დახოცვა.
- შუადღისას (ზუსტი დრო უცნობია), რუსულმა ვერტმფრენმა ცეცხლი გაუხსნა „ფორდ ტრანზიტის“ მინი–ავტობუსს (ნომერი: TBS442) გორის ცენტრალურ გზატკეცილზე, რომელსაც მგზავრები გადაჰყავდა დასავლეთ საქართველოდან თბილისისკენ. დაიღუპა 9 მშვიდობიანი მოქალაქე (იხ. დანართი 107, ფოტო).
- 16:00 სთ-თვის, რუსულმა ჯარებმა მიაღწიეს ცენტრალურ გზატკეცილს და ამით გაწყვიტეს საგზაო კავშირი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის.
- 16:00 სთ-ზე, რუსული ჯარები შევიდნენ ქ. გორში.
- 16:30 სთ-თვის, რუსულმა ჯარებმა დაიკავეს ტელე-რადიოგადამცემი სადგური სოფელ ახალდაბაში, გორის რაიონში, გაანადგურეს აღჭურვილობა, მოკლეს ერთი თანამშრომელი – მორის პაპუაშვილი და დაჭრეს – ვახტანგ შავდათუაშვილი და მერაბ ხეხელაშვილი.
- 17:00 სთ-ზე, აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების არარეგულარულმა ძალებმა დაიკავეს სოფლები ზემო აჟარა და ქვემო აჟარა ზემო აფხაზეთში/კოდორის ხეობაში.
- 17:30 სთ-ზე, აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების არარეგულარულმა ძალებმა დაიკავეს სოფელი განმუხური, ზუგდიდის რაიონში და გახსნეს გამშვები პუნქტი.

- 18:00 სთ-ზე, რუსეთის შავი ზღვის ფლოტის გემებმა განახორციელეს თავდასხმა და ჩაძირეს ქართული გემები, რომლებიც გაჩერებულები იყვნენ ფოთის პორტში (იხ. დანართი 108).
- 18:30 სთ-ზე, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების არარეგულარულმა ძალებმა დაარბიეს სოფლები დისევი და კარალეთი გორის რაიონში და თავს დაესხნენ ადგილობრივ მშვიდობიან მოსახლეობას.
- 19:00 სთ-ზე, რუსეთის სამხედრო კოლონა, რომელიც შედგებოდა მძიმე ჯავშანტრანსპორტიორების 70 ერთეულისაგან და დაახლოებით, 600 სამხედროსაგან, დაიძრა ჯვრის უღელტეხილის გავლით და მიაღწია ხაიშს (ჩრდილო–დასავლეთ საქართველო), დაბლოკა ზემო აფხაზეთისაკენ/კოდორის ხეობისაკენ მიმავალი გზა.
- 21:30 სთ-თვის, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების არარეგულარული ძალები თავს დაესხნენ და დაარბიეს ადგილობრივი მოსახლეობა სოფლებში – კორდი, მერეთი და ტყვიავი, გორის რაიონი.
- 20:40 სთ-ზე, აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების არარეგულარულმა ძალებმა მთლიანად დაიკავეს ზემო აფხაზეთის/კოდორის ხეობა.
- 21:50 სთ-ზე, რუსულმა ჯარებმა გაძარცვეს სენაკის სამხედრო ბაზა და წაიღეს იარაღი და აღჭურვილობა.
- 22:52 სთ-ზე, სამი თურქი ჟურნალისტი გაქურდეს და ჩამოართვეს მანქანა სოფელ კარალეთთან, გორის რაიონში.
- 23:00 სთ-ზე, გავრცელდა ინფორმაცია, რომ გორის რაიონის სოფლები, მათ შორის, ბერბუკი, რეხა, სვენეთი, ხელთუბანი, კარალეთი და სხვა, ააწიოკეს სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების არარეგულარულმა ძალებმა
- გვიან საღამოს, ექვსპუნქტიანი ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებას საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტებს შორის წარმატებით უშუამდგომლა პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ.
- რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა, საქართველოზე თავდასხმისას, გამოიყენეს SU-24, SU-25, SU-27 და MIG-29 ტიპის სამხედრო თვითმფრინავები, ასევე, სტრატეგიული ბომბდამშენები TU-22M.
- საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა ჩამოაგდეს 14 რუსული სამხედრო თვითმფრინავი და დააკავეს 2 რუსი პილოტი: იგორ ზინოვი (SU-24M-ის პილოტი) და ვიაჩესლავ მალკოვი (TU-22M-ის პილოტი), რომლებსაც სათანადოდ მოექცნენ საავადმყოფოში და მოგვიანებით, გადასცეს რუსულ მხარეს.

2008 წლის აგვისტოს რუსეთის საქართველოზე საჰაერო თავდასხმის ქრონოლოგია

საჰაერო თავდასხმის დრო და თარიღი	**ტერიტორია**
8 აგვისტო – 09:00-09:44	სოფელი შავშვები, გორის რაიონი
8 აგვიტო – 10:23-10:43	სოფელი ვარიანი, ქარელის რაიონი
8 აგვისტო – 10:50-11:04	სოფელი ტყვიავი, გორის რაიონი, ქ. გორი
8 აგვისტო – 15:07-15:21	ქ. თბილისი, ვაზიანის აეროდრომი და საავიაციო ქარხანა

8 აგვისტო – 15:50-16:20	ქ. მარნეული; ქ. ბოლნისი
8 აგვისტო – 16:39-17:06	ქ. მარნეული
8 აგვისტო – 18:29-18:58	ქ. გორი
8–9 აგვისტო – 23:44-00:36	ქ. თბილისი, ვაზიანის აეროდრომი და საავიაციო ქარხანა
8 აგვისტო – 23:50	ქ. ფოთი („Tochka-U“/SS-21–ით)
8–9 აგვისტო – 23:50-00:23 9 აგვისტო – 00:41-01:04	ქ. ფოთი
9 აგვისტო – 09:23-09:45	კოპიტნარის აეროპორტი ქუთაისთან ახლოს
9 აგვისტო – 09:54-10:24 9 აგვისტო – 10:21-10:46	ქ. გორი
9 აგვისტო – 10:29-11:04	სოფელი შავშვები, გორის რაიონი
9 აგვისტო – 13:42-13:50	კოდორის ხეობის დიდი ნაწილი, ზემო აფხაზეთი
9 აგვისტო – 14:03-14:11	სოფელი ომარიშარა, ზემო აფხაზეთი
9 აგვისტო – 14:26-14:39	სოფელი აჟარა, ზემო აფხაზეთი
9 აგვისტო – 14:26-14:39	სოფელი ჩხალთა, ზემო აფხაზეთი
9 აგვისტო – 16:04-16_14	სოფელი კომანდელი, ონის რაიონი
9 აგვისტო – 17:39-17:50 9 აგვისტო – 17:39-17:50 9 აგვისტო – 18:24-18:34	ჯეჯორას ხეობა, ონის რაიონი
9 აგვისტო – 22:20-22:30	სოფელი ჩხალთა, ზემო აფხაზეთი სოფელი გენცივი, ზემო აფხაზეთი
9–10 აგვისტო – 23:50–00:23	ქ. სენაკი
10 აგვისტო – 05:27–05:47	ქ. თბილისი, ვაზიანის აეროდრომი და საავიაციო ქარხანა
10 აგვისტო – 06:02–09:15	სოფელი აჟარა, ზემო აფხაზეთი სოფელი ჩხალთა, ზემო აფხაზეთი სოფელი ურთა, ზუგდიდის რაიონი
10 აგვისტო – 11:25–11:27	სოფელი წედისი, ონის რაიონი
10 აგვისტო – 12:22–12:26 10 აგვისტო – 13:51–13:55	სოფელი ჩხალტა, ზემო აფხაზეთი
10 აგვისტო – 15:05–15:15	კოდორის ხეობის დიდი ნაწილი, ზემო აფხაზეთი
10 აგვისტო – 15:09–15:24	სოფელი კნოლევი, ქარელის რაიონი
10 აგვისტო – 15:29–15:39	ქ. გორი
10 აგვისტო – 15:40–15:50	სოფელი ანაკლია, ზუგდიდის რაიონი
10 აგვისტო – 16:29–16:14	კოდორის ხეობის დიდი ნაწილი, ზემო აფხაზეთი
10 აგვისტო – 16:20–16:35	სოფელი ანაკლია, ზუგდიდის რაიონი
10 აგვისტო – 17:21–17:55	კოდორის ხეობის დიდი ნაწილი, ზემო

	აფხაზეთი
10 აგვისტო – 18:42–19:16	ქ. თბილისი, ლენინისის სარადარო სადგური თბილისის საერთაშორისო აეროპორტთან ახლოს
10 აგვისტო – 19:40–20:05	ქ. სენაკი კოდორის ხეობის ნაწილი, ზემო აფხაზეთი
10 აგვისტო – 20:23–20:27	კოდორის ხეობის ნაწილი, ზემო აფხაზეთი
10 აგვისტო – 22:03–22:09	სოფელი გენთვისი, ზემო აფხაზეთი
10 აგვისტო – 23:54–00:00	სოფელი შავშვები, გორის რაიონი
11 აგვისტო – 00:19–00:39	კოდორის ხეობის ნაწილი, ზემო აფხაზეთი
11 აგვისტო – 02:09–02:40	სოფელი ჩხალთა, ზემო აფხაზეთი
11 აგვისტო – 02:44–03:20	სოფელი შარაბიძეები, ხელვაჩაურის რაიონი სოფელი კაპანდიჩი, ხელვაჩაურის რაიონი სოფელი მახო, ხელვაჩაურის რაიონი
11 აგვისტო – 03:03–03:29	კოდორის ხეობის ნაწილი, ზემო აფხაზეთი
11 აგვისტო – 04:12–04:50	ქ. თბილისი, ლენინისის სარადარო სადგური თბილისის საერთაშორისო აეროპორტთან ახლოს
11 აგვისტო – 05:25–06:15	ქ. გორი
11 აგვისტო – 07:10–07:20	სოფელი განმუხური, ზუგდიდის რაიონი სოფელი ანაკლია, ზუგდიდის რაიონი ქ. სენაკი
11 აგვისტო – 19:05–19:10	კოდორის ხეობის ნაწილი, ზემო აფხაზეთი
12 აგვისტო – 01:30–02:00	სოფელი რუისი, ქარელის რაიონი ქ. კასპი, რკინიგზის სადგური ქ. კასპი, ჰაიდელბერგის ცემენტის ქარხანა
12 აგვისტო – 09:30–10:55	ქ. გორი
12 აგვისტო – 11:30	ბაქო–სუფსის ნავთობსადენი, 27-ე კმ-ის სექცია („Iskander-M“/SS-26-ით)
12 აგვისტო – 12:00 (დაახლოებით)	ქ. გორი („Iskander-M“/SS-26-ით)
12 აგვისტო – 14:00–14:15	სოფელი აგარა, ხაშურის რაიონი სოფელი საკორინთო, კასპის რაიონი
13 აგვისტო – დილა, ზუსტი დრო	სოფელი საქაშეთი, გორის რაიონი

უცნობია	სოფელი ოკამი, კასპის რაიონი
დრო და ღარიღი უცნობია	სოფელი კარბი, გორის რაიონი
დრო და ღარიღი უცნობია	ონის რაიონი („Tochka-U“/SS-21-ით), არ აფეთქდა
დრო და ღარიღი უცნობია	სოფელი სინაგური, ჯავის რაიონი („Tochka-U“/SS-21-ით), არ აფეთქდა

სამოქალაქო, სამხედრო, პოლიციური და ჟურნალისტური დანაკარგები ომის შედეგად

საქართველოს დაღუპული მოქალაქეები

სულ: **412**
სამხედრო: 170*
სამოქალაქო: 228
პოლიცია: 14**
* მათ შორის, 10 დაიკარგა მოქმედებების დროს (იხ. დანართი 109)
** მათ შორის, 3 დაიკარგა მოქმედებების დროს (იხ. დანართი 110)

საქართველოს დაშავებული მოქალაქეები

სულ: **1747**
სამხედრო: 973
სამოქალაქო: 547
პოლიცია: 227

ჟურნალისტები
დაღუპულია: 3 (1 უცხოელი, 2 ქართველი)
დაშავებულია: 4 (4 უცხოელი)

მოვლენათა ქრონოლოგია: 2008 წლის აგვისტო (გაგრძელება)

13 აგვისტო

- 01:05 სთ-ზე, გავრცელდა ინფორმაცია, რომ გორის რაიონის სოფლების – ნიქოზის, ტყვიავის და კარალეთის მცხოვრებლები ტყვედ აიყვანეს სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტი ხელისუფლების არარეგულარულმა ძალებმა.
- 07:00 სთ-თვის, რუსეთის ავიაციამ დაბომბა გორისა და კასპის რაიონის სოფლები.

- 08:00 სთ-ზე, გავრცელდა ინფორმაცია, რომ გორის რაიონის სოფელ კარალეთის მცხოვრებლებს თავს დაესხნენ და შეურაცხყოფა მიაყენეს.
- 09:20 სთ-ზე, დამატებითი რუსული ჯარები შევიდნენ გორში ჯავშანტრანსპორტიორებით.
- 12:00 სთ-თვის, რუსულმა ჯარისკაცებმა გაძარცვეს და გაანადგურეს საარტილერიო ბრიგადის სამხედრო ბაზა, გორთან ახლოს.
- 13:00 სთ-ზე, რუსული ჯარები შევიდნენ სოფელ ატოცში, ქარელის რაიონში. სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების არარეგულარული ძალები თან მიყვნენ მათ და დაარბიეს სოფელი.
- 13:05 სთ-ზე, რუსი სამხედროები შევიდნენ სოფელ ფახულანში, წალენჯიხის რაიონში.
- 14:00 სთ-ზე, რუსულმა ჯარებმა ააფეთქეს ქართული სასაზღვრო დაცვის სამი გემი ფოთის პორტში.
- 15:00 სთ-ზე, გორში დაფიქსირდა ძარცვის უამრავი შემთხვევა.
- 16:10 სთ-ზე, რუსულმა ჯარებმა დაიწყეს მოძრაობა გორიდან მთავარ გზატკეცილზე და გადაუხვიეს მარცხნივ სოფელ ორჭოსანისაკენ, ახალგორის რაიონში.
- 17:15 სთ-ზე, გავრცელდა ინფორმაცია სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების არარეგულარული ძალების მიერ ჩადენილი სისასტიკის თაობაზე სოფლებში – წეროვანი და კნოლევი, ქარელის რაიონში.
- 20:00 სთ-თვის, მოსახლეობა გამოიქცა ქ. ქარელიდან და რაიონის სოფლებიდან ბრეთიდან და არადეთიდან. მიტოვებული სოფლები გაიძარცვა სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების არარეგულარული ძალების მიერ.

14 აგვისტო

- 11:00 სთ-თვის, რუსულმა ჯარებმა განაგრძეს ქართული სამხედრო შენობების განადგურება სენაკში.
- 12:00 სთ-ზე, დამატებითი რუსული ჯარები შევიდნენ ზუგდიდსა და ფოთში.
- 12:05 სთ-ზე, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების არარეგულარულმა ძალებმა გაძარცვეს სამი კანადელი ჟურნალისტი CBC ტელე არხიდან, წაიღეს მათი მანქანა, აღჭურვილობა და პასპორტები ქ. გორთან ახლოს. შემთხვევა მოხდა რუსი სამხედროების თანდასწრებით, რომლებმაც არ მოახდინეს რეაგირება.
- 14:00 სთ-ზე, დამატებითი რუსული ჯარები შევიდნენ გორში.
- 14:40 სთ-ზე, დამატებითი რუსული ჯარები შევიდნენ სოფელ მეჯვრისხევში, გორის რაიონში და სოფლებში რუისსა და წვერში, ქარელის რაიონში.
- 15:40 სთ-ზე, რუსმა ჯარისკაცებმა გაძარცვეს პოლიციის ქართველი ოფიცრები და წაიყვანეს მათი ავტომანქანა სოფელ დოღლაურთან ახლოს, ქარელის რაიონში.
- 16:00 სთ-ზე, რუსმა ჯარისკაცებმა გორში გაძარცვეს ოთხი ებრაელი ჟურნალისტი, მათ შორის „ჰაარეტცის“ კორესპონდენტი, ანშელ პფეფერი და ფოტოგრაფი ნირ კაფრი.
- 16:30 სთ-ზე, გავრცელდა ინფორმაცია, რომ სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების არარეგულარულმა ძალებმა გაძარცვეს სოფლები ბროწლეთი მეჯვრისხევი და გორიჯვარი გორის რაიონში და ბრეთი ქარელის რაიონში.

- 17:00 სთ-ზე, სნაიპერმა ხელში დაჭრა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტი, თამარ ურუშაძე, პირდაპირი ჩართვისას გორში.
- 18:30 სთ-ზე, გავრცელდა ინფორმაცია, რომ გაიძარცვა სოფლები აგარა და ძევერა, ქარელის რაიონი.
- 19:10 სთ-ზე, რუსმა ჯარებმა გაამაგრეს თავიანთი გამშვები პუნქტები ზუგდიდში.
- საღამოს (ზუსტი დრო უცნობია), სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების არარეგულარულმა ძალებმა გორთან ახლოს გაძარცვეს სამი ჩეხი ჟურნალისტი, მათ შორის მარეკ გურება, წაიღეს მათი ავტომობილი და აღჭურვილობა.
- 22:10 სთ-ზე, რუსული ჯარის დაახლოებით, 100 ჯავშანტრანსპორტიორი და სატვირთო მანქანა ზუგდიდიდან სენაკში გადავიდა.
- 23:50 სთ-ზე, გავრცელდა ინფორმაცია, რომ გაიძარცვა სოფელი რუისი გორის რაიონში და სოფელი მოხისი ხაშურის რაიონში.

15 აგვისტო

- 15 აგვისტოს ჩაწერილ ინტერვიუში რუსულ გაზეთთან „კომერსანტი," სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების ხელმძღვანელმა, ედუარდ კოკოითმა საჯაროდ განაცხადა, რომ მათ მიზანს წარმოადგენდა გაეწმინდათ ქართული ანკლავები სამხრეთ ოსეთში ისე, რომ ეთნიკურად ქართულ მოსახლეობას აღარ ჰქონოდა შესაძლებლობა ოდესმე დაბრუნებულიყვნენ საკუთარ სახლებში (იხ. დანართი 111, კოკოითის განცხადება, ასევე, დანართი 112, მსგავსი განცხადება დე-ფაქტო პარლამენტის სპიკერის, ზნაურ გასიევის მიერ).
- 08:00 სთ-ზე, რუსული ჯარები 14 ჯავშანტრანსპორტიორით და 4 სატვირთო მანქანით დაიძრნენ სენაკიდან და შეჩერდნენ მდინარე აბაშისწყალთან, 40 კმ-ით ქუთაისის დასავლეთით.
- 09:30 სთ-ზე, სამხედროებით დატვირთული დაახლოებით 20 რუსული სამხედრო ავტომობილი დაიძრა სენაკიდან ფოთის მიმართულებით.
- 10:30 სთ-ზე, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების არარეგულარულმა ძალებმა გაძარცვეს ქართველი შტატგარეშე მომსახურე ჟურნალისტი, მარგარიტა ახვლედიანი სოფელ საღოლაშენთან ახლოს, ქარელის რაიონში, ჩამოართვეს კუთვნილი ავტომობილი, კამერა და სხვა ნივთები.
- 13:00 სთ-ზე, რუსმა სამხედროებმა ორი ჟურნალისტი დააკავეს ფოთში: ლაშა ბერულავა, რადიო „იმედის" რეპორტიორი და მურად ფარცვანია, სატელევიზიო კომპანია „ოდიშის" ოპერატორი. მოგვიანებით, ისინი გაათავისუფლეს.
- 15:30 სთ-ზე, ბორჯომის რაიონს გადაუფრინა რამდენიმე რუსულმა ვერტმფრენმა და ჩამოყარა საცეცხლე ყუმბარები სოფელ ცაგერთან ახლოს (ცეცხლი სწრაფად მოედო ბორჯომი–ხარაგაულის ეროვნულ პარკს და მიუხედავად უდიდესი მცდელობისა, ცეცხლმა მოიცვა 950 ჰექტარზე მეტი მიწის ნაკვეთი, და მთლიანობაში გაანადგურა 250 ჰექტარი).
- 16:10 სთ-ზე, ნამგალაურების ოჯახის ოთხი წევრი გაიტაცეს სოფელ ღოღეთიდან, ქარელის რაიონში და წაიყვანეს სოფელ ზნაურის მიმართულებით.
- 17:00 სთ-ზე, რუსულმა ჯარმა გაძარცვა საქართველოს სასაზღვრო დაცვის შენობები ფოთში და წაიყვანა რამდენიმე კატერი აფხაზეთის სანაპიროს მიმართულებით.

- 18:30 სთ-ზე, რუსულმა ჯარმა – 9 ჯავშანტრანსპორტიორმა, რომელსაც თან ახლდა სამი Mi-24 ტიპის ვერტმფრენი, დაიწყო მოძრაობა მთავარ გზატკეცილზე, თბილისის მიმართულებით. ისინი შეჩერდნენ და გახსნეს გამშვები პუნქტი სოფელ იგოეთთან ახლოს, კასპის რაიონში – თბილისიდან 20 კმ-ის დაშორებით.
- 21:00 სთ-ზე, რუსული ჯარები შევიდნენ ქ. ხაშურში (ცენტრალური საქართველო) და გახსნეს გამშვები პუნქტი. ქალაქში დაახლოებით 10 ტანკი იქნა შემჩნეული.
- 21:50 სთ-ზე, რუსულმა ჯარებმა განაგრძეს მოძრაობა ხაშურიდან და შევიდნენ ახლომდებარე ქალაქ სურამში, მთავარ გზატკეცილზე.
- 23:30 სთ-ზე, რუსულმა ჯარებმა განაგრძეს მოძრაობა ხაშურიდან და სურამიდან. როგორც ადგილობრივმა მოსახლეობამ განაცხადა, რუსული ჯარი შეიჭრა ადგილობრივი მცხოვრებლების ოჯახებში და მათ წაართვა საკვები. ისინი მალევე დაბრუნდნენ უკან და შეჩერდნენ ხაშურში.

16 აგვისტო

- 00:30 სთ-ზე, გავრცელდა ინფორმაცია, რომ სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების არარეგულარულმა ძალებმა გაძარცვეს და დაარბიეს მშვიდობიანი მოსახლეობა სოფლებში – აბისი, კოდა, ფცა, ქარელის რაიონში.
- 08:45 სთ-ზე, რუსული ჯარის დამატებითი კოლონა ტანკებით, ჯავშანტრანსპორტიორებით და სატვირთო ავტომანქანებით, შევიდა სოფელ კარალეთში, გორის რაიონში.
- 10:15 სთ-ზე, რუსული ჯარის 10 ტანკი წამოვიდა იგოეთიდან ხაშურის მიმართულებით, ხოლო 7 ტანკი გაემართა ზნაურის მიმართულებით; 4 ჯავშანტრანსპორტიორი, ერთი ამწე და ათი შეიარაღებული სატვირთო ავტომობილი (8 „ურალი,“ 2 „კამაზი“) შევიდა ფოთის პორტში.
- 10:30 სთ-ზე, რუსულმა ავიაციამ ჩამოყარა საცეცხლე ყუმბარები სოფელ ხანდაკთან ახლოს, კასპის რაიონში, რის შედეგადაც ცეცხლი მოედო ახლომდებარე ტყეს.
- 12:30 სთ-ზე, რუსულმა ჯარმა ააფეთქა მთავარი სარკინიგზო ხიდი სოფელ გრაკალთან ახლოს, კასპის რაიონში და გადაჭრა სარკინიგზო გზა, რომელიც აკავშირებდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს.
- 13:00 სთ-ზე, სამხედროებით დატვირთული ორი რუსული სატვირთო ავტომობილი დაიძრა სურამიდან რიკოთის გვირაბის გავლით (ცენტრალური საქართველო) და გაიარა სოფელი ხევი, ხარაგაულის რაიონი (დასავლეთ საქართველო). ისინი შეაჩერა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციამ ქ. ზესტაფონთან ახლოს.
- 14:30 სთ-ზე, სამხედროებით დატვირთული რვა რუსული ჯავშანტრანსპორტიორი დაიძრა ხაშურიდან ქ. საჩხერეს მიმართულებით (დასავლეთ საქართველო), მაგრამ ისინი სოფელ გომთან ახლოს შეაჩერა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციამ.
- 16:00 სთ-ზე, რუსულმა ჯარმა უარი განუცხადა თურქულ და უკრაინულ თვითმფრინავებს ნებართვის გაცემაზე, რომ შემოსულიყვნენ საქართველოს საჰაერო სივრცეში, რათა გაეწიათ დახმარება ბორჯომის რაიონის ტყეში გაჩენილი ცეცხლის ჩაქრობაში.

- 18:00 სთ-ზე, რუსული ჯარები ტანკებით და ჯავშანტრანსპორტიორებით შევიდნენ ქ. ახალგორში, ახალგორის რაიონის ცენტრში, თბილისიდან 40 კმ-ის დაშორებით, ჩრდილო-დასავლეთით.
- 18:30 სთ-ზე, რუსულმა ავიაციამ ჩამოყარა საცეცხლე ყუმბარები სურამის გარშემო არსებულ ტყეში, ხაშურის რაიონში.
- 20:00 სთ-ზე, გავცრელდა ინფორმაცია, რომ რუსულმა ჯარებმა დაიწყეს რუსული პასპორტების შეთავაზება ადგილობრივი მოსახლეობისათვის ახალგორის რაიონში.
- 21:15 სთ-ზე, დამატებითი რუსული ჯავშანტრანსპორტიორები განლაგდნენ ქ. ახალგორის შესასვლელში.

17 აგვისტო

- 10:45 სთ-ზე, 21 რუსული სამხედრო-სატვირთო მანქანა და 4 ჯავშანტრანსპორტიორი ერთი ვერტმფრენის თანხლებით, შევიდა სენაკის სამხედრო ბაზაში.
- 11:25 სთ-ზე, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების არარეგულარული ძალების დაახლოებით 100 წევრი შევიდა ქ. ახალგორში.
- 11:30 სთ-ზე, რუსული ჯარის გარკვეული ნაწილი დაიძრა სოფლებისაკენ – რექა და მენჯი სენაკთან ახლოს.
- 13:20 სთ-ზე, რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ მან მოიპოვა კონტროლი ენგურის ჰიდრო-ელექტრო სადგურის შენობაზე.
- 13:25 სთ-ზე, რვა რუსული სამხედრო ვერტმფრენი დაეშვა სენაკის სამხედრო ბაზაზე.
- 14:05 სთ-ზე, რუსულმა ჯარებმა დანაღმეს გზა მცხეთის რაიონში (ჩრდილო-დასავლეთ საქართველო).
- 16:30 სთ-ზე, რუსული ჯავშანტრანსპორტიორები მიუახლოვდნენ სუფსის ნავთობ-ტერმინალს.
- 19:30 სთ-ზე, რუსულმა ჯარებმა ორი ხიდი დანაღმეს ქ. კასპთან ახლოს.

18 აგვისტო

- 11:00 სთ-ზე, რუსული ჯარები განლაგდნენ სოფელ იგოეთთან და დაბლოკეს ქ. კასპისაკენ მიმავალი გზა.
- 13:00 სთ-ზე, რუსულმა ჯარებმა დაიწყეს მოძრაობა ქ. საჩხერისა (დასავლეთ საქართველო) და ბორჯომის (სამხრეთ საქართველო) მიმართულებით. ისინი ბორჯომთან ახლოს შეაჩერა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციამ, მაგრამ მათ მოახერხეს სოფელ გომის გავლა და ჯვრის უღელტეხილთან მიღწევა საჩხერეს რაიონში, სადაც განლაგდნენ კიდეც.
- 16:00 სთ-ზე, რუსმა სამხედროებმა ააფეთქეს ყაზარმები და სხვა ნაგებობები სენაკის სამხედრო ბაზაზე.
- 17:30 სთ-ზე, რუსულმა ჯავშანტრანსპორტიორებმა დაიწყეს მოძრაობა სოფელ იგოეთიდან ქ. ახალგორის მიმართულებით. პოლიციის ქართველმა ოფიცრებმა

სცადეს მათი შეჩერება სოფელ ლამისყანასთან, მაგრამ რუსმა სამხედროებმა დააზიანეს ქართული საპატრულო პოლიციის ავტომანქანა საგზაო-საკონტროლო გამშვებ პუნქტთან და განაგრძეს გზა ქ. ახალგორის მიმართულებით (იხ. დანართი 113, ვიდეო).

- 17:30 სთ-ზე, რუსული სამხედრო თვითმფრინავები შევიდნენ საქართველოს საჰაერო სივრცეში სტეფანწმინდასთან ახლოს, ყაზბეგის რაიონში (ჩრდილო-დასავლეთ საქართველო), გაფრინდნენ ჟინვალის კაშხლის მიმართულებით, გადაუფრინეს მას და დაბრუნდნენ რუსეთში.

19 აგვისტო

- 01:00 სთ-ზე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 20 თანამშრომელი შევიდა ფოთის პორტში, რათა დაეცვათ მისი ინფრასტრუქტურა ძარცვისაგან. 18:30 სთ–ზე, რუსული ჯარები შევიდნენ პორტში, განაიარაღეს და დაატყვევეს ქართველი სამხედროები.
- 12:30 სთ-ზე, რუსეთის ჯარებმა ბეტონის ბლოკებით გადაკეტეს სარკინიგზო გზა სოფელ გომთან ახლოს და დაბლოკეს სარკინიგზო მიმოსვლა.
- 13:20 სთ-ზე, რუსულმა ჯარებმა 6 თვალახვეული ქართველი სამხედრო და აშშ-ის კუთვნილი 6 ავტომანქანა „ჰამერი“ წაიყვანეს ფოთის პორტიდან სენაკის სამხედრო ბაზის მიმართულებით.
- 14:50 სთ-ზე, რუსული ჯარის ნაწილები გადავიდნენ სოფელ გომიდან ქ. საჩხერისკენ და შეჩერდნენ ჯვრის უღელტეხილზე.

20 აგვისტო

- 09:40 სთ-ზე, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ გამოაცხადა საკუთარი ადმინისტრაციის შექმნის შესახებ ახალგორის რაიონში (რომელსაცლენინგორი დაარქვეს), და დაასახელა ვალერი კარაევი დე-ფაქტო ადმინისტრაციის ხელმძღვანელად.
- 11:00 სთ-ზე, რუსულმა ჯარებმა დაიკავეს სოფელი პერევი საჩხერის რაიონში (დასავლეთ საქართველო), სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვართან ახლოს. მათ იქ დაახლოებით 50 სამხედრო და 3 ტანკი განალაგეს.
- 11:00 სთ-ზე, რუსულმა ჯარებმა არ შეუშვეს სატვირთო მანქანები, რომლებსაც მიჰქონდათ ჰუმანიტარული დახმარება, სოფელ კარალეთში, გორის რაიონში.
- 12:00 სთ-ზე, რუსულმა ჯარებმა დააკავეს შიდა ქართლის რაიონის გუბერნატორი, ლადო ვარძელაშვილი ერთ-ერთ არალეგალურ რუსულ გამშვებ პუნქზე ქ. გორთან ახლოს, რადგან იგი ცდილობდა, ჰუმანიტარული დახმარებით დატვირთული სატვირთო მანქანები გადაეცა ადგილობრივი მოსახლეობისათვის. იგი ორი საათის შემდეგ გაათავისუფლეს.
- 14:00 სთ-ზე, გავრცელდა ინფორმაცია, რომ სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების არარეგულარულმა ძალებმა ცეცხლი წაუკიდეს სახლებს, სოფელ ძევერაში, გორის რაიონში.
- 15:30 სთ-ზე, რუსულმა ჯარებმა გახსნეს გამშვები პუნქტი ქ. ფოთის შესასვლელში.

- 16:00 სთ-ზე, რუსული ჯარები შევიდნენ სოფელ ჭოღაში, ჩხოროწყუს რაიონი (დასავლეთ საქართველო) ჯავშანტრანსპორტიორებით და დაიწყეს სანგრების გათხრა.
- 18:30 სთ-ზე, რუსულმა სამხედრო თვითმფრინავებმა ჩამოყარეს საცეცხლე ყუმბარები სოფელ კიკეთთან ახლომდებარე ტყეში, თბილისიდან 10 კმ-ის დაშორებით.

21 აგვისტო

- 10:30 სთ-ზე, რუსულმა ჯარებმა დაიწყეს სანგრების გათხრა ქ. ფოთში. გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსული ჯავშანტრანსპორტიორები და „ურალის“ ტიპის სატვირთო მანქანები განლაგდნენ ნაბადაზე, ქალაქის შესასვლელთან.
- 10:35 სთ-ზე, რუსულმა ჯარებმა გააჩერეს საფრანგეთის ელჩი, ერიკ ფურნიე ქ. გორთან, როდესაც იგი მოემგზავრებოდა საჩხერიდან თბილისისაკენ. მას ნება დართეს გაეგრძელებინა გზა მხოლოდ 13:00 სთ-თვის.
- 14:00 სთ-ზე, რუსეთის საელჩომ თბილისში ნოტა გაუგზავნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომლის მიხედვითაც, რუსეთის თავდაცვის სამინისტროსათვის წინასწარ უნდა ეცნობებინათ ყველა დელეგაციის დაგეგმილი გამგზავრების შესახებ ოკუპირებულ ქალაქ გორში.
- 15:00 სთ-ზე, რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ, ანატოლი ნოგოვიცინმა განაცხადა, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალები გახსნიდნენ გამშვები პუნქტების ორ ზოლს – „უსაფრთხოების ზონაში“ სამხრეთ ოსეთთან ახლოს. პირველი ზოლი მოიცავდა რვა გამშვებ პუნქტს რუსეთის მშვიდობისმყოფელების პასუხისმგებლობის ზონაში, ხოლო მეორე ზოლი, მოიცავდა ათ გამშვებ პუნქტს და გაივლიდა სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ. ამ გამშვებ პუნქტებზე განლაგდებოდა 272 სამხედრო მოსამსახურე. ქ. გორი არ შევიდოდა ამ ზონაში.
- 16:30 სთ-ზე, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ რუსეთი შექმნიდა 8 „სამშვიდობო“ გამშვებ პუნქტს საქართველოში, სადაც განლაგდებოდა 500 „მშვიდობისმყოფელი.“
- 19 აგვისტოს 19:30 სთ-ზე, ფოთის პორტში რუსულმა ჯარებმა 120 დაკავებული სამხედრო მოსამსახურიდან 10 სამხედრო გაათავისუფლეს.
- 21:00 სთ-ზე რუსეთის სახმელეთო ძალების მეთაურმა, გენერალმა ვლადიმირ ბოლდირევმა განაცხადა, რომ საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ჯარების გაყვანის პროცესს 10 დღე დასჭირდებოდა და დარჩენილი „სამშვიდობო“ გამშვები პუნქტების მუშაობა დაიწყებოდა 22 აგვისტოს.
- 23:20 სთ-ზე, რუსეთის თავდაცვის მინისტრმა, ანატოლი სერდიუკოვმა განაცხადა, რომ რუსული ჯარები დაიწყებდნენ სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის მიმართულებით გასვლას დილის 06:00 სთ-ზე.

22 აგვისტო

- 12:00 სთ-ზე, რუსეთის შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსის მოადგილემ, ანატოლი ნოვიგიცინმა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის გარშემო რუსეთის სამხედრო გამშვები პუნქტების განლაგების თაობაზე განაცხადა და ამ ტერიტორიებს „უსაფრთხოების/ბუფერული ზონა“ უწოდა. როგორც მან განაცხადა, აფხაზეთთან ახლოს მდებარე ზონის საზღვარი გაივლიდა შემდეგ დასახლებებს: ნაბადა, ჭალადიდი, სენაკი, კვირა, ხუდონი, ჯიკმური, ოჩამჩირე და ანაკლია, ხოლო სამხრეთ ოსეთთან ახლოს მდებარე ზონის საზღვარი გაივლიდა შემდეგ დასახლებებს: პერევი, ღოდორა, ალი, ვარიანი, იკოთი, წიარა და ფცა.
- 12:30 სთ-ზე, რუსულმა ჯარებმა დაიწყეს გასვლა იგოეთიდან გორის მიმართულებით. რუსულმა ჯარებმა ასევე, დაიწყეს ზუგდიდში ადგილობრივი ადმინისტრაციული და პოლიციის შენობების დატოვება.
- 14:00 სთ-ზე, დაახლოებით 100-მა რუსულმა ჯავშანტრანსპორტიორმა დაიწყო სვლა სენაკიდან ზუგდიდის მიმართულებით.
- 19:30 სთ-ზე, რუსულმა ჯარებმა ააფეთქეს დარჩენილი შენობები გორის სამხედრო ბაზაზე.
- 20:00 სთ-ზე, რუსულმა ჯარებმა დაიწყეს გორიდან და ხაშურიდან გასვლა აღმოსავლეთ საქართველოში.
- გვიან ღამით, რუსულმა ჯარებმა მთლიანად დატოვეს ქ. გორი.

ოკუპაციის ქრონოლოგია: 23 აგვისტო – 8 ოქტომბერი

23 აგვისტოს, რუსული ჯარები გავიდნენ ქ. ზუგდიდიდან, მაგრამ შორს არ წასულან. რუსული ჯარები დარჩნენ ფოთის პორტსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. მათ მოაწყვეს გამშვები პუნქტები და ატარებდნენ ყოველდღიურ, უკანონო პატრულირებას ქალაქში და გარშემო მდებარე სოფლებში.

23 აგვისტოს, რუსულმა საოკუპაციო ჯარებმა გახსნეს 28 უკანონო გამშვები პუნქტი საქართველოს ტერიტორიაზე:

- რუსული ჯარები განლაგდნენ აღმოსავლეთ საქართველოში (შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის რაიონები) შემდეგი სოფლების გარშემო და თავად სოფლებში:
  1. პერევი (საჩხერის რაიონი)
  2. ღოდორა (საჩხერის რაიონი)
  3. ალი (ხაშურის რაიონი)
  4. ფცა (ქარელის რაიონი)
  5. ვარიანი (გორის რაიონი)
  6. კარალეთი (გორის რაიონი)
  7. შავშვები (გორის რაიონი)
  8. ერგნეთი (გორის რაიონი)
  9. იკოთი (ახალგორის რაიონი)
  10. მეღვრეკისსა და ბროწლეთს შორის (გორის რაიონი)
  11. ოძისი (ახალგორის რაიონი)
  12. მოსაბრუნი (ახალგორის რაიონი)

- რუსული ჯარები განლაგდნენ დასავლეთ საქართველოში (სამეგრელო–ზემო სვანეთისა და ზემო აფხაზეთის რაიონებში) შემდეგი სოფლების ახლოს და თავად სოფლებში:
  13. თეკლათი (სენაკის მახლობლად, აღმოსავლეთ/დასავლეთ მთავარ გზატკეცილზე)
  14. პირველი მაისი (ხობის რაიონი)
  15. ჭალადიდსა და შუა ხორგას შორის (ხობის რაიონი, ფოთთან ახლოს)
  16. ნაბადა (ფოთის შესასვლელში)
  17. მენჯი (სენაკის რაიონი)
  18. კანთისუბანი (წალენჯიხასა და ჩხოროწყუს შორის მდებარე გზაზე)
  19. ჭალესა და მუჟავას გზაჯვარედინი (წალენჯიხის რაიონი)
  20. კვირის მთა (წალენჯიხის რაიონი)
  21. ჩხოროწყუ (ჩხოროწყუს რაიონი)
  22. ანაკლია (ზუგდიდის რაიონი)
  23. ხუდონი (მესტიის რაიონი)
  24. გენწვისი (ზემო აფხაზეთი/კოდორის ხეობა)
  25. ომარიშარა (ზემო აფხაზეთი/კოდორის ხეობა)
  26. საკენი (ზემო აფხაზეთი/კოდორის ხეობა)
  27. ჩხალთა (ზემო აფხაზეთი/კოდორის ხეობა)
  28. ქვაბჭარა (ზემო აფხაზეთი/კოდორის ხეობა)

(იხ. დანართი 114, გამშვები პუნქტების რუკა)

- 24 აგვისტოს, 10:30 სთ-ზე, მატარებელი, რომელსაც გადაჰქონდა 34 ცისტერნა ნედლი ნავთობი აზერბაიჯანიდან ბათუმში, აფეთქდა რუსების მიერ დადებულ ნაღმზე, სოფელ სკრასთან ახლოს, გორიდან 5 კმ-ის დაშორებით, დასავლეთისკენ. შემდგომში, კიდევ სხვა ნაღმები და მიწაში ჩამარხული საარტილერიო ტყვია-წამალი აღმოჩნდა გზის გასწვრივ სხვა ადგილებზე.
- 24 აგვისტოს, 11:00 სთ-ზე, აშშ-ის სამხედრო ხომალდი „McFaul," რომელიც დატვირთული იყო ჰუმანიტარული დახმარებით, შევიდა ბათუმის პორტში.
- 24 აგვისტოს, 11:10 სთ-ზე, მოკლული იქნა ერთი მშვიდობიანი მოქალაქე და ერთიც დაჭრილი ნაღმების აფეთქების შედეგად: ნანა მატრასიძე დაიღუპა ქ. გორის ჩრდილოეთ შესასვლელთან, ხოლო მიხეილ ყაიდარაშვილი დაიჭრა სოფელ ტირძნისში.
- 25 აგვისტოს, რუსულმა ჯარებმა გათხარეს სანგრები სოფელ ჭუბერში, ენგურის ჰიდრო-ელექტროსადგურთან. რუსული სამხედროების არსებობა ასევე დაფიქსირდა ჰიდრო-ელექტროსადგურის კაშხალთან არსებულ ინფრასტრუქტურასთან.
- 25 აგვისტოს, 10:00 სთ-ზე, რუსი სამხედროები ორი ჯავშანტრანსპორტიორით შევიდნენ სასაზღვრო დაცვის ტერიტორიაზე ფოთის პორტში. მათ მოიპარეს საოფისე აღჭურვილობა და კონდიციონერი.
- 25 აგვისტოს, რუსეთის პარალმენტის ორივე პალატამ ერთხმად მიიღო დადგენილებები, რომლითაც მათ მოუწოდეს რუსეთის პრეზიდენტს ეღიარებინა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა.

- 26 აგვისტოს, რუსეთის პრეზიდენტმა, დიმიტრი მედვედევმა, ხელი მოაწერა პრეზიდენტის ორ ბრძანებას, რომელიც აღიარებდა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობას, და იძლეოდა „ახალ სახელმწიფოებთან“ „მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებების“ გაფორმების საშუალებას (იხ. დანართი 115).
- 26 აგვისტოს, რუსული სამხედრო ხომალდები მიადგა სოხუმს, მათ შორის, რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ფლაგმანი, რეაქტიული სარაკეტო გემი „მოსკოვი.“
- 28 აგვისტოს, საქართველოს პარლამენტმა ერთხმად მიიღო დადგენილება, რომელიც აცხადებდა საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ რუსეთის შეიარაღებულ ძალებს საოკუპაციო ძალად, ხოლო სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს - რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებად.

13 სექტემბერს, რუსულმა ჯარებმა დატოვეს დასავლეთ საქართველოს ხუთი სტრატეგიული წერტილი მათ შორის, ფოთი, თუმცა დარჩნენ 23 არალეგალურ გამშვებ პუნქტზე:

- რუსული ჯარები დარჩნენ აღმოსავლეთ საქართველოში (შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის რაიონები), შემდეგ ახლომდებარე სოფლებთან ან თავად სოფლებში:

  1. პერევი (საჩხერის რაიონი)
  2. ღოდორა (საჩხერის რაიონი)
  3. ალი (ხაშურის რაიონი)
  4. ფცა (ქარელის რაიონი)
  5. ვარიანი (გორის რაიონი)
  6. კარალეთი (გორის რაიონი)
  7. შავშვები (გორის რაიონი)
  8. ერგნეთი (გორის რაიონი)
  9. იკოთი (ახალგორის რაიონი)
  10. მეღვრეკისსა და ბროჭლეთს შორის (გორის რაიონი)
  11. ოძისი (ახალგორის რაიონი)
  12. მოსაბრუნი (ახალგორის რაიონი)

- რუსული ჯარები დარჩნენ დასავლეთ საქართველოში (სამეგრელო-ზემო სვანეთისა და ზემო აფხაზეთის რაიონები), შემდეგ ახლომდებარე სოფლებთან ან თავად სოფლებში:

  13. კანთისუბანი (წალენჯიხასა და ჩხოროწყუს შორის მდებარე გზაზე)
  14. ჭალესა და მუჟავას გზაჯვარედინი (წალენჯიხის რაიონი)
  15. კვირის მთა (წალენჯიხის რაიონი)
  16. ჩხოროწყუ (ჩხოროწყუს რაიონი)
  17. ანაკლია (ზუგდიდის რაიონი)
  18. ხუდონი (მესტიის რაიონი)

19. გენწვისი (ზემო აფხაზეთი/კოდორის ხეობა)
20. ომარიშარა (ზემო აფხაზეთი/კოდორის ხეობა)
21. საკენი (ზემო აფხაზეთი/კოდორის ხეობა)
22. ჩხალთა (ზემო აფხაზეთი/კოდორის ხეობა)
23. ქვაბჭარა (ზემო აფხაზეთი/კოდორის ხეობა)

(იხ. დანართი 116, გამშვები პუნტქების რუკა)
ამრიგად, საქართველოს მთავრობამ დაკარგა კონტროლი 189-ზე მეტ სოფელზე, რომელსაც იგი აგვისტოს ომამდე აკონტროლებდა:

დიდი ლიახვის ხეობა

1. თამარაშენი
2. ზემო აჩაბეთი
3. ქვემო აჩაბეთი
4. ქურთა
5. კეხვი
6. ხეითი
7. ქემერტი
8. სვერი
9. ძარწემი

პატარა ლიახვის ხეობა

10. ერედვი
11. ვანათი
12. ბელოთი
13. ზემო ფრისი
14. საცხენეთი
15. აწრისხევი
16. არგვიცი
17. ბერულა
18. დისევი
19. ქსუისი
20. ჭარები

ფრონეს ხეობა

21. ავნევი
22. ნული

ახალგორის რაიონი

23. ახალდაბა
24. ახალგორი
25. ახმაჯი
26. ბალაანი
27. ბაზუანი
28. ბეჟანაანთკარი
29. ბიდხიანი
30. ჩიგოიანი
31. ჩიტიანი
32. ჩორჩანი
33. ცხავათი
34. დაბაკნეთი
35. დადიანეთი
36. დორეთკარი
37. ელოიანი
38. ერედა
39. გარუბანი
40. გავაზი
41. ღდუ
42. გეზევრეთი
43. გუდაწვერი
44. იკოთი
45. ჯვარისუბანი
46. კორინთა
47. ლარგვისი
48. მარტიანი
49. მახიარეთი
50. მიდელაანი
51. მორბედაანი
52. მოსაბრუნი
53. მშველიეთი
54. მსხლები
55. ნახიდი
56. ოხირი
57. პავლიანი
58. პირველი საძეგური
59. კარალეთკარი
60. კენკაანი
61. ქურთა
62. ქვემო ალევი
63. შუა ალევი
64. ზემო ალევი

65. ზემო ბოლი
66. ქვემო ბოლი
67. ზემო ღრუ
68. ქვემო ღრუ
69. თოხთა
70. უკანამხარი
71. უკანუბანი
72. ვაშლოვანი
73. წიფთაური
74. ცირკოლი
75. ციხისოფელი
76. ჭორჭოხი
77. ხარბალი
78. ხარკელანი
79. ხოზუეთი
80. ყანჩავეთი
81. ყოჩიანი
82. ყველდაბა
83. ძეგლევი
84. ზოდეხი
85. ბოსელთა
86. კოდიჯვარი
87. გარუეთი
88. სალბიერი
89. დელკანი
90. ნაგომევი
91. ციხისუბანი
92. ციგრიანთკარი
93. პეტრიანი
94. გრემისხევი
95. ძველი ბურღული
96. ახალი ბურღული
97. მიქელიანი
98. მუხუჯი
99. თინიკაანი
100. მამულაანი
101. რევაზიანთკარი
102. შალიანთკარი
103. ხუდალიანი
104. ქარქუშაანი
105. თხილოვანი

გორის რაიონი

106.ვარიანი
107.საქაშეთი
108.ძლევიჯვარი
109.ყელქცეული
110.ფხვენისი
111.ზემო ხვითი
112.ქვემო ხვითი
113.ზემო ნიქოზი
114.ქვემო ნიქოზი
115.ერგნეთი
116.დიცი
117.არაშენდა
118.ქორდი
119.მერეთი
120.კარბი
121.ქერე
122.ფლავი
123.ფლავისმანი
124.მეღვრიკისი
125.ტირძნისი
126.ბროწლეთი
127.თერგვისი
128.ტყვიავი
129.კარალეთი
130.ქვეში
131.მარანა
132.შინდისი
133.ძევერა
134.შერთული
135.ყიწნისი
136.სათემო
137.გარეჯვარი
138.აძვი
139.ქვემო არცევი
140.არბო

ქარელის რაიონი

141.დვანი
142.ტახტიძირი

143.დირბი
144.წვერი
145.ბრეთი
146.ფცა
147.ღოღეთი
148.თამარაშენი
149.წერონისი
150.ავლევი
151.კნოლევი
152.ატოცი
153.კოდა
154.ბრეძა
155.აბისი
156.საწიხური
157.აბანო

ხაშურის რაიონი

158.ჩორჩანა
159.კობი
160.თითვინისწყარო
161.წაღვალი
162.საციხური
163.ტკოცა
164.ქინძათი
165.შაკშაკეთი

ზუგდიდის რაიონი

166.განმუხური
167.ხურჩა

ზემო აფხაზეთი/კოდორის ხეობა

168.საკენი
169.ომარიშარა
170.ღვანდრა
171.მარცხენა გენწვისი
172.მარჯვენა გენწვისი
173.ხუტია
174.ზემო აჟარა
175.ქვემო აჟარა

176.ნახარი
177.მრამბა
178.ხეწკვარა
179.მარცხენა პტიში
180.მარჯვენა პტიში
181.ჩხალთა
182.ბუძგური
183.შაბათკვარა
184.ზემო ზიმა
185.ქვემო ზიმა
186.ქვაბჩარა
187. ბუჩუკური
188. აძგარა
189. ტვიბრაშენი

17 სექტემბერს, რუსეთის პრეზიდენტმა, დიმიტრი მედვედევმა, ხელი მოაწერა „მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას“ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებებთან.
8 ოქტომბერს, რუსული ჯარები გავიდნენ ე.წ. „უსაფრთხოების/ბუფერული ზონიდან,“ მაგრამ ჯერ ისევ ოკუპირებული აქვთ სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი, მათ შორის, დიდი ლიახვის ხეობა, პატარა ლიახვის ხეობა, ფრონეს ხეობა, ახალგორის რაიონი და ზემო აფხაზეთი/კოდორის ხეობა, რითიც არღვევენ 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებას.

ამჟამად, საქართველოს მთავრობა ვერ ახორციელებს კონტროლს 128 სოფელზე, რომელიც აგვისტოს ომამდე, მისი ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში იყო:

დიდი ლიახვის ხეობა

1. თამარაშენი
2. ზემო აჩაბეთი
3. ქვემო აჩაბეთი
4. ქურთა
5. კეხვი
6. ხეითი
7. ქემერთი
8. სვერი
9. ძარწემი

პატარა ლიახვის ხეობა

10. ერედვი
11. ვანათი

12. ბელოთი
13. ზემო პრისი
14. საცხენეთი
15. აწრისხევი
16. არგვიცი
17. ბერულა
18. დისევი
19. კსუისი
20. ჭარები

ფრონეს ხეობა

21. ავნევი
22. ნული

ახალგორის რაიონი

23. ახალდაბა
24. ახალგორი
25. ახმაჯი
26. ბალაანი
27. ბაზუანი
28. ბეჟანიანთკარი
29. ბიდხიანი
30. ჩიგოიანი
31. ჩიტიანი
32. ჩორჩანი
33. ცხავათი
34. დაბაკნეთი
35. დადიანეთი
36. დორეთკარი
37. ელოიანი
38. ერედა
39. გარუბანი
40. გავაზი
41. ღდუ
42. გეზერვეთი
43. გუდასწვერი
44. იკოთი
45. ჯვარისუბანი
46. კორინთა
47. ლარგვისი

48. მარტიანი
49. მახიარეთი
50. მიდელაანი
51. მორბედაანი
52. მოსაბრუნი
53. მშველიეთი
54. მსხლები
55. ნახიდი
56. ოხირი
57. პავლიანი
58. პირველი დაძეგური
59. კარალეთკარი
60. კენკაანი
61. ქურთა
62. ქვემო ალევი
63. შუა ალევი
64. ზემო ალევი
65. ზემო ბოლი
66. ქვემო ბოლი
67. ზემო ღრუ
68. ქვემო ღრუ
69. თოხთა
70. უკანამხარი
71. უკანუბანი
72. ვაშლოვანი
73. ციფთაური
74. ცირკოლი
75. ციხისოფელი
76. ჭორჭოხი
77. ხარბალი
78. ხარკელანი
79. ხოზუეთი
80. ყანჩავეთი
81. კოჭიანი
82. ქველდაბა
83. ძეგლევი
84. ზოდეხი
85. ბოსელთა
86. კოდიჯვარი
87. გარუეთი
88. სალბიერი
89. დელკანი

90. ნაგომევი
91. ციხისუბანი
92. ციგრიანთკარი
93. პეტრიანი
94. გრემისხევი
95. ძველი ბურღული
96. ახალი ბურღული
97. მიქელიანი
98. მუხუჯი
99. თინიკაანი
100. მამულაანი
101. რევაზიანთკარი
102. შალიანთკარი
103. ხუდალიანი
104. ქარქუშაანი
105. თხილოვანი

საჩხერის რაიონი

106. პერევი

ზემო აფხაზეთი/კოდორის ხეობა

107. საკენი
108. ომარიშარა
109. გვანდრა
110. მარცხენა გენწვიში
111. მარჯვენა გენწვიში
112. ხუტია
113. ზემო აჟარა
114. ქვემო აჟარა
115. ნახარი
116. მრამბა
117. ხეწკვარა
118. მარცხენა პტიში
119. მარჯვენა პტიში
120. ჩხალთა
121. ბუძგური
122. შაბათკვარა
123. ზემო ზიმა
124. ქვემო ზიმა
125. ქვაბჩარა

126.ბუჩუკური
127.აძგარა
128.ტვიბრაშენი

სამხედრო ასპექტები – კითხვები და პასუხები
საქართველოში კონფლიქტის შემსწავლელი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია

სამხედრო საკითხებთან დაკავშირებულ შეკითხვების პირველი ნაწილი საქართველოსა და რუსეთის მთავრობებისადმი

1. არსებობს 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის ქრონოლოგიის სხვადასხვა ანგარიში. რა აზრის ხართ მოვლენათა თანმიმდევრობაზე?
2. რა ლოგიკური ახსნა შეიძლება ჰქონოდა ქართველების მიერ ჩატარებულ ოპერაციებს ცხინვალის რეგიონში 2008 წლის 7 და 8 აგვისტოს? როდის დაიწყო ოპერაციები ქ. ცხინვალის მიმართულებით? როდის შევიდნენ რუსული ჯარები რუსეთის ფედერაციიდან როკის გვირაბში? როდის შევიდნენ ისინი ცხინვალის რეგიონში? იყვნენ თუ არა რუსეთის ჯარების ნაწილები განლაგებული ცხინვალის რეგიონში 2008 წლის 7 აგვისტომდე?
3. 2008 წლის აგვისტოს რა როლი და ფუნქციები ეკისრებოდათ შერეულ სამშვიდობო ძალებს (რომელსაც ჰქონდა მანდატი ცხინვალის რეგიონში) და რა როლი და ფუნქციები ეკისრებოდათ დსთ-ის სამშვიდობო ძალებს (რომელსაც ჰქონდა მანდატი საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში)?
4. რა ვადებში განლაგდნენ ჯარები/დაიწყეს ოპერაციები კოდორის ხეობაში? რა ძალები იყვნენ ჩართულნი?
5. რა სახის ერთეულები იქნა გამოყენებული და რა რაოდენობის სამხედროები იქნა განლაგებული ზოგადად, და კონკრეტულ ოპერაციებში? მათგან რამდენ პროცენტს წარმოადგენდნენ ახალწვეულები და რეზერვისტები?
6. რა სახით იყო წარმოდგენილი ორგანიზაციული ნაწილი, მართვა და კონტროლი?
7. რა დონის გადაწყვეტილებები იქნა მიღებული მიზნების შერჩევასა და რა საშუალებები იყო ჩართული?
8. რა სახის წრთვნა ჩაუტარდათ ოპერაციებში ჩართულ ჯარისკაცებს კონფლიქტების შესახებ საერთაშორისო სამართლის სფეროში? რა გეგმები დაისახა მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად სამხედრო ოპერაციების დაწყებამდე? რა გააკეთა გააკეთეს რეგულარულმა შეიარაღებულმა ძალებმა, რათა ხელი შეეშალათ ადამიანის უფლებების დარღვევისათვის, ძარცვის, სახლების გადაწვის და ა. შ. ჩათვლით 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების დროს და მათ შემდეგ?
9. რა სახის სამხედრო მომზადება მიმდინარეობდა 2008 წლის აგვისტომდე?
10. რა გეგმები იყო იქნა დასახული კონფლიქტის ზონიდან ძალების გამოყვანისა და გადაადგილებისათვის? რა თანმიმდევრობით და რა ვადებში იქნა ჯარები გაყვანილი ან გადაადგილებული?

პასუხისათვის პირველ კითხვაზე სამხედრო საკითხებთან დაკავშირებით
იხ. ქრონოლოგია დანართში, სათაურით საქართველო, ქრონოლოგია

2. რა ლოგიკური ახსნა შეიძლება ჰქონოდა ქართველების მიერ ჩატარებულ ოპერაციებს ცხინვალის რეგიონში 2008 წლის 7 და 8 აგვისტოს? როდის დაიწყო ოპერაციები ქალაქ ცხინვალის მიმართულებით ,,რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს მთავრობების მიმართ“ სამხედრო საკითხების შესახებ დასმული შეკითხვების პირველი ნაკრებიდან? როდის გადმოისროლეს რუსული ჯარები რუსეთის ფედერაციიდან როკის გვირაბში? როდის შევიდნენ ისინი ცხინვალში? იყო თუ არა განლაგებული რაიმე სახის რუსული შენაერთები ცხინვალის რეგიონში 2008 წლის 7 აგვისტომდე?

2.1. რა ლოგიკური ახსნა შეიძლება ჰქონოდა ქართველების მიერ ჩატარებულ ოპერაციებს ცხინვალის რეგიონში 2008 წლის 7 და 8 აგვისტოს? როდის დაიწყო ოპერაციები ქალაქ ცხინვალის მიმართულებით, „რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს მთავრობების მიმართ“ სამხედრო საკითხების შესახებ დასმული შეკითხვების პირველი ნაკრებიდან?

რუსეთის აგრესიულმა ქმედებებმა აფხაზეთის, საქართველო და ცხინვალის რეგიონის /სამხრეთ ოსეთის მიმართ თვისებრივად უფრო აგრესიული ხასიათი 2008 წლის დასაწყისიდან მიიღო, კოსოვოს აღიარების შემდეგ. მას შემდეგ, რაც მოხდა კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთს აქვს „წინასწარ განზრახული გეგმა,“ რომელიც იქნებოდა რეაქცია კოსოვოს აღიარებაზე.[1] შედეგად, რუსეთის ქმედებები გახდა უფრო მეტად მიზანმიმართული და ინტენსიური და მოიცვა სულ უფრო მზარდი, მაგრამ ამავე დროს, ერთმანეთთან დაკავშირებული ინტერვენციათა სერია. ეს მოიცავდა: აგრესიულ პოლიტიკურ ნაბიჯებს (სხვა მსგავსთა შორის, ოფიციალური კავშირების დამყარება მარიონეტულ რეჟიმებთან), რასაც ახლდა პირდაპირი საომარი მოქმედებები და ინტერვენციები (მაგალითად, ქართული უპილოტო, შეუიარაღებელი საფრენი აპარატის ჩამოგდება რუსული საბრძოლო თვითმფრინავის მიერ), აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსული ჯარების ახალი შენაერთების უკანონო განლაგება, მაგ., პარაშუტისტებისა და სარკინიგზო ჯარების შეყვანა, აგრეთვე, რეგიონის აღმოსავლეთ საზღვრების გასამაგრებელი ნაგებობების აშენება. 2008 წლის ივნისამდე, რუსეთის ქმედებები ძირითადად ორიენტირებული იყო აფხაზეთზე, საქართველო.

ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში სიტუაცია მნიშვნელოვნად დაიძაბა 2008 წლის ივლისში – აფხაზეთში შეტევითი სამხედრო ინფრასტრუქტურის მშენებლობის დასრულების პარალელურად – როდესაც განხორციელდა ტერორისტული თავდასხმა სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, დიმიტრი სანაკოევის

[1] იხ.: პუტინის გამოსვლის ჩანაწერი ვებ-გვერდზე: http://www.kremlin.ru/appears/2008/02/14/1327; ჩაწერეთ 63380; ჩაწერეთ 82634_ [60]02.sbtm.

გადანგურების მიზნით. ამ ქმედებას თან ახლდა საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებულ სოფლებზე,[2] ქართულ პოლიციასა და სამშვიდობო ძალებზე დე-ფაქტო მთავრობის მილიციის მიერ განხორციელებული თავდასხმების მასშტაბისა და ინტენსიურობის საგრძნობი ზრდა. ამ აქტებს შედეგად მოჰყვა დანაკარგი და მსხვერპლი (პირველად, ადრეული 1990-იანი წლების შემდეგ გამოყენებულ იქნა 120 მმ-იანი კალიბრის ნაღმტყორცნები, რომელთა გამოყენება აკრძალულია არსებული ხელშეკრულებების თანახმად). პარალელურად, ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში იზრდებოდა დაქირავებული მეომრების შემოსვლა, აგრეთვე, ადგილი ჰქონდა ქართული საჰაერო სივრცის დარღვევას რუსული სამხედრო თვითმფრინავების მიერ. 9 ივლისს, საქართველოს საჰაერო სივრცე დაარღვია ოთხმა რუსულმა სამხედრო თვითმფრინავმა, სწორედ იმ საღამოს, როდესაც საქართველოში ვიზიტი ჰქონდა აშშ-ის სახელმწიფო მდივანს, კონდოლიზა რაისს. ეს ფაქტი დაადასტურა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ.

და ბოლოს, დაფიქსირდარუსული არმიის მძიმე სამხედრო ტექნიკისა და შენაერთების შესამჩნევი ზრდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია რუსული სამხედრო პერსონალის დიდი რაოდენობა, რომელიც მობილიზებული იყო რუსეთ-საქართველოს საზღვარის მახლობლად, სამხედრო წვრთნების „კავკასია 2008“ ჩასატარებლად. ამ წვრთნების დროს 8 000-ზე მეტი ჯარისკაცი (58-ე არმიის, ჩრდილო კავკასიის სამხედრო ნაწილის, საჰაერო ძალების, მე-4 საჰაერო არმიის და საჰაერო თავდაცვის ჩათვლით), და სულ ცოტა, 700 ერთეული მძიმე სამხედრო ტექნიკა და 30 თვითმფრინავი ახდენდა „მეზობელი სახელმწიფოს“ შემოჭრის სიმულირებას. მიუხედავად იმისა, რომ ეს წვრთენები 2 აგვისტოს დასრულდა, ამ შეიარაღებული ძალების უკან გაწვევა არ მომხდარა.

2008 წლის 1 აგვისტოს, ერედვი-ხეითის შემოვლით გზაზე მოხდა აფეთქება, რასაც მოჰყვა ხანგრძლივი სროლები სარაბუკის ქართული სამშვიდობო ძალების პოსტის მიმართულებით, რომელთა მოვალეობა გზაზე თვალყურის დევნება იყო. ამ აგრესიის შედეგად, ცხინვალის ჩრდილოეთით მდებარე ქართული ანკლავი, რომლის მოსახლეობა 10 000-ზე მეტია, მოწყვეტილი აღმოჩნდა დანარჩენი საქართველოსაგან. შეიქმნა სიტუაცია, სადაც შეუძლებელი გახდა ანკლავის მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ინტენსიური სროლებისა და რუსული რეგულარული ჯარების შენაერთების შემოსვლის ფონზე, რომლებიც ამ დასახლებებისაკენ მიიწევდნენ.

7 აგვისტოს საღამოს, საქართველოს მთავრობის წინაშე სახეზე იყო თვისებრივად სხვა სიტუაცია: მიუხედავად საქართველოს მთვარობის მრავალი მცდელობისა, შეემცირებინა დაძაბულობა და ცალმხრივად შეეწყვიტა ცეცხლი, საქართველოს კონტროლის ქვეშ მყოფი სოფლები, პოლიცია და სამშვიდობო პოსტები ინტენსიური ცეცხლის ქვეშ

[2] საქართველოს მთავრობისათვის ცნობილი იყო, რომ ეს იყო მიზანმიმართული თავდასხმები საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებად სოფლებზე, მიზნად ისახავდა როგორც მაქსიმუმ, მათ განადგურებას. მაგალითად, მარიონეტული რეჟიმის შინაგან საქმეთა მინისტრმა, მიხეილ მინძაევმა თავისი პერსონალისათვის გასცა განკარგულება, რომ დაეცალათ საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებადი სოფლები. ეს სატელეფონო ჩანაწერი შეგიძლიათ იხილოთ დანართში #34, პასუხი 1-ელ კითხვაზე , სამხედრო საკითხების შესახებ დასმული კითხვების პირველი ნაკრებიდან.

მოექცა. ამ სიტუაციაში, უკვე ანკლავში მყოფი მოქალაქეები დაუცველები აღმოჩნდენ, ხოლო შუადღეს, პირველად მრავალი ხნის მანძილზე დაიღუპა ორი ქართველი მშვიდობისმყოფელი სამხედრო თავდასხმის დროს, [3] . ძალადობის საგანგაშო და უპრეცედენტო ზრდის შესახებ კომენტარის გაკეთებისას, დე-ფაქტო რეჟიმის ლიდერმა, ედუარდ კოკოითმა დაიმუქრა, რომ „გაწმენდდა“ ქართულ სოფლებს, ვიდრე ქართველი სამართალდამცავები არ დატოვებდნენ რეგიონს. ამასთან, დაქირავებული ჯარის შემოდინებაზე გავრცელებული ინფორმაციისა და რუსეთის ჯარის შემოჭრის შესახებ საწყისი სადაზვერვო ანაგრიშების გარდა, საქართველოს მთავრობამ მოიპოვა სერიოზული დასაბუთება იმისა, რომ რუსეთის ფართომასშტაბიანი თავდასხმა პროგრესირებდა (უფრო დეტალური ინფორმაცია და მტკიცებულებები იხ. პასუხებსა და დანართში 1-ელ შეკითხვაზე პასუხში, სამხედრო საკითხების შესახებ დასმული კითხვების პირველი ნაკრებიდან).

ესკალაციის საპასუხოდ და კონსტიტუციური ვალდებულების შესაბამისად (საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის თანახმად), 7 აგვისტოს 23 საათსა და 25 წუთზე, საქართველოს პრეზიდენტმა გასცა ბრძანება თავდაცვითი ოპერციების დაწყების შესახებ, რათა დაეცვა საქართველოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთალიანობა და აგრეთვე, საქართველოს მოსახლეობის უსაფრთხოება შემდეგი მიზნებით:

– ცხინვალის რეგიონის/სამხრეთი ოსეთის რეგიონის მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა;
– იმ საცეცხლე პოზიციების გაუვნებელყოფა, საიდანაც ესროდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, ქართულ სამშვიდობო ძალებს და პოლიციას;
– ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში როკის გვირაბის გავლით, რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების რეგულარული შენაერთების მოძრაობის შეჩერება.

ჩამოყალიბდა ოპერატიული ჯგუფი, რომელსაც უნდა შეესრულებინა ბრძანებები და და დაეწყო ოპერაციას. ოპერატიული ჯგუფის მეთაურად სახმელეთო ძალების მეთაური დაინიშნა. სამეთაურო შტაბს ნაბრძანები ჰქონდა ოპერაციის განხორციელება.

ოპერაციის გეგმის განხილვის დროს, განისაზღვრა კონკრეტული ქმედებები, რომელთა მიხედვით, ბრძანებების მიღების შემდეგ, ოპერატიულ ჯგუფს დაუყოვნებლივ უნდა დაეწყო მოძრაობა საარტილერიო და საჰაერო ძალების დახმარებით:

[3] 7 აგვისტოს, დაახლ. 14:00-ზე, მარიონეტული რეჟიმის მიერ კონტროლირებული სოფლიდან ხეთაგუროვოდან 100-მმ და 120 მმ-იანი კალიბრის არტილერიით, ქართული სამშვიდობო ძალების პოსტის დაცხრილვის დროს, მოკლული იქნა ორი ქართველი მშვიდობისმყოფელი, შალვა ტრაპაიძე და ვიტალი ტაკაძე, დაიჭრა ხუთი (იხ. დანართი 33, პასუხი კითხვაზე 1, სამხედრო საკითხების შესახებ დასმული კითხვების პირველი ნაკრებიდან). მარიონეტული რეჟიმის სამხედროებმა სატელეფონო საუბარში მოახსენეს მეთაურებს ქართველი მშვიდობისმყოფელების მოკვლის შესახებ იმ სატელეფონო საუბარში, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოიპოვა და ჩაიწერა 2008 წლის 7 აგვისტოს. ეს სატელეფონო ჩანაწერი შეგიძლიათ იხილოთ დანართში 77, პასუხი კითხვაზე 1, სამხედრო საკითხების შესახებ დასმული კითხვების პირველი ნაკრებიდან.

– მე-4 ქვეით ბრიგადას უნდა ემოქმედა მარცხენა ფლანგზე, შემდეგი მიზნებით: 1-ელი ფაზა – წინ წაწევა სოფლების – ხეთაგუროვო, ტბეთი და ზნაურის მიმართულებით; სოფელ ძარას შემოვლითი გზის ბლოკირება. შემდგომში (მე-2 ფაზა) წინ წაწევის გაგრძელება და მნიშვნელოვანი სიმაღლეების დაკავება კუსირეთი-გუფთას ხიდის მისადგომებთან და რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების რეგულარული შენაერთებისათვის ცხინვალში, ზნაურსა და დიდი ლიახვის ხეობის სოფლებში შეღწევის საშუალების არ მიცემა.

– მე-3 ქვეით ბრიგადას უნდა ემოქმედა მარჯვენა ფლანგზე, შემდეგი მიზნებით: 1-ელი ფაზა – წინ წაწევა სოფლების – ტირძნისი, ერედვი და სარაბუკის მიმართულებით, თავდაცვითი პოზიციების დაკავება სოფლების – ფრისი, ზემო კოხათი – ბუნებრივ საზღვარზე, რათა დაეცვათ მშვიდობიანი მოსახლეობა და ერედვი-ხეითის შემოვლითი გზა. შემდგომში (მე-2 ფაზა) წინსვლის გაგრძელება დე-ფაქტო რეჟიმის სამხედროების მიერ კონტროლირებული თლიაყანას მაღლობის მიმართულებით. აეღოთ ეს სიმაღლე და დაეკავებინათ დაცვითი პოზიციები თლიყანა - დიდხევის გასაყარზე, რათა არ მიეცათ მტრისათვის რეგიონში გერის შემოვლითი გზით შემოსვლის საშუალება. დაეცვათ მშვიდობიანი მოსახლეობა, დაეცვათ შემოვლითი გზები დიდი ლიახვის ხეობაში და უზრუნველეყოთ მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხო ევაკუაცია.

მას შემდეგ, რაც ეს ოპერაციები შესრულებული იქნებოდა მე-3 და მე-4 ქვეითი ბრიგადების მიერ (მე-3 ფაზა), გეგმის მიხედვით გათვალისწინებული იყო ცხინვალში შესვლა ცენტრალური მიმართულებიდან, შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური შენაერთების გამოყენებით, შეიარაღებული ძალების ცალკეული მსუბუქი ქვეითი ბატალიონის და მათ დაქვემდებარებაში მყოფი ერთეული სატანკო ბატალიონის დახმარებით. მათ უნდა გაენეიტრალებინათ საცეცხლე პოზიციები ქალაქის შიგნით და მიეღწიათ ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ქართული ანკლავისათვის.

განისაზღვრა საჰაერო ძალების შემდეგი ამოცანები:

– SU-25 ტიპის თვითმფრინავის მიერ გუფთას ხიდის განადგურება, მის მახლობლად მოძრავი პერსონალისა და შეიარაღების ჩათვლით;
– MI-24 ტიპის მოიერიშე ვერტმფრენების მიზანს წარმოადგენდა მტერთან შესაძლო საკონტაქტო ხაზის უზრუნველყოფა სოფელ ხეთაგუროვოსა და ცხინვალის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარს შორის, აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლო ჩართვით.

საარტილერიო შენაერთები დაჯგუფდა 1-ელ და მე-2 საარტილერიო დაჯგუფებად, შემდეგი მიზნებით:

– საცეცხლე დახმარება მე-3 და მე-4 ქვეითი ბრიგადებისათვის;
– უკვე იდენტიფიცირებული და ახლადაღმოჩენილი საცეცხლე პოზიციების განადგურება;

– რუსული რეგულარული შეიარაღებული ძალების შემოვლით გზებზე მოძრავი კოლონების ნეიტრალიზაცია.

7 აგვისტოს, მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანება, საქართველოს შეიარაღებული ძალების არტილერიამ დაიწყო საკვამლე ნაღმების სროლა და 23:50 სთ-ზე დაიწყო დაბომბვა.

8 აგვისტოს, 00. 15 სთ-ზე აღნიშნულმა შენაერთებმა დაიწყეს მოძრაობა თავისი განლაგების ადგილებიდან განსაზღვრული მიმართულებებით:

– მარცხენა ფლანგზე მე-4 ქვეითი ბრიგადა მოძრაობდა მნიშვნელოვანი წინააღმდეგობის გარეშე და დილით, დაახლოებით, 08.00 სთ-ზე დაასრულა ოპერაციის პირველი ფაზა და შეუდგა მეორე ფაზის განხორციელებას. ამავე დროს, რუსულმა რეგულარულმა შეიარაღებულმა ძალებმა დაიწყეს ინტენსიური მოძრაობა ძარას შემოვლით გზაზე. ამავდრუოულად, დაიწყო მასიური საარტილერიო და საავიაციო თავდასხმები მე-4 ქვეითი ბრიგადის პოზიციების მიმართულებით. ეს თავდასხმები ხორციელდებოდა ჩრდილოეთიდან (კერძოდ, სოფელ კუსურეთიდან), რამაც მე-4 ქვეით ბრიგადაში საბრძოლო ძალების საგრძნობი დანაკარგი გამოიწვია.
– მარჯვენა ფლანგზე მე-3 ქვეითი ბრიგადა მოძრაობდა წინასწარ განსაზღვრული მიმართულებით, მაგრამ მათი წინსვლა შეაჩერა მძიმე არტილერიის ცეცხლმა. ამის გამო, მე-3 ქვეითმა ბრიგადამ ოპერაციის პირველი ფაზა ერთი საათის დაგვიანებით (08.00 სთ-ზე) დაასრულა და წარმატებას ვერ მიაღწია განსაზღვრულ დროში მნიშვნელოვანი სიმაღლეების დაკავებაში. ამ ფაქტმა პირდაპირი საფრთხის ქვეშ დააყენა დიდი ლიახვის ხეობიდან მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხო ევაკუაცია.

მარცხენა და მარჯვენა ფლანგებზე გადაადგილების დროს, ქართული შენაერთები ცხინვალიდან მხრიდან ინტენსიური ცეცხლის ქვეშ მოექცნენ. ამის პარალელურად, ცხინვალიდან განხორციელებული სროლები მიმართული იყო სოფლების – თამარაშენის, ერგნეთისა და ზემო ნიქოზის მიმართულებით.

დაახლოებით, 06.00 სთ-თვის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალურმა ძალებმა, რომლებიც ეკიპირებული იყვნენ კობრას ტიპის ჯავშანმანქანებით და რომლებსაც ზურგს უმაგრებდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს რამოდენიმე ტანკი, დაიწყეს მოძრაობა სოფელ ზემო ნიქოზიდან ცხინვალის მისადგომებისაკენ, რათა აღეკვეთათ ამ სოფლისაკენ ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ე. წ. „შანხაის“ დასახლებაში განლაგებული მარიონეტული რეჟიმის შეიარაღებული ძალების მხრიდან წამოსული ცეცხლი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ძალები მოექცნენ სნაიპერებისა და მასიური ჯავშანმანქანების ნაღმტყორცნების ცეცხლის ქვეშ, რომელიც ხორციელდებოდა ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარე „ვერხნი გოროდოკის“ რუსული სამშვიდობო ძალების შტაბის მხრიდან. საქართველოს შინაგან

საქმეთა სამინისტროს სპეციალური ძალები იძულებულნი გახდნენ ცეცხლითვე ეპასუხათ და აგრეთვე, ეთხოვათ სატანკო დახმარება. რეალურად, „ვერხნი გოროდოკის“ ძირითადი შენობის სახურავს მტერი იყენებდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებზე განხორციელებული საარტილერიო თავდასხმის სიზუსტისათვის, რაც დადასტურდა სამხრეთ ოსეთის პრესაში განთავსებული სტატიით.[4] აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ უფრო ადრე, 00:23 სთ-ზე, შერეული სამშვიდობო ძალების მეთაურმა, მარატ კულახმეტოვმა ქართული სამშვიდობო კონტინგენტის მეთაურთან, გენერალ ყურაშვილთან სატელეფონო საუბარში დაადასტურა, რომ საარტილერიო თავდასხმისთვის საჭირო კოორდინატებს დე-ფაქტო რეჟიმის სამხედრო შენაერთებს სამშვიდობო ძალები აწვდიდნენ.[5]

მათ გასაძლიერებლად მზადყოფნაში იყო შეიარაღებული ძალების ცალკეული მსუბუქი ქვეითი ბატალიონი და მათ დაქვემდებარებაში მყოფი სატანკო ბატალიონი. როგორ კი მეწინავე ძალები შევიდნენ ქალაქ ცხინვალში, დილის 11 საათზე, ქალაქის სამხრეთ ნაწილში, ისინი მაშინვე მოექცნენ ინტენსიური საჰერო და საარტილერიო დაბომბვის ქვეშ. ქალაქის შიგნით შენაერთების გადაადგილებასთან ერთად დამომბვა უფრო გაფართოვდა და თანდათან მთელი ქალაქი მოიცვა. ბრძოლების ხასიათიდან გამომდინარე და აგრეთვე, იმის გამო, რომ ქალაქის შიგნით მტრის მრავალი გამაგრებული საცეცხლე პოზიცია იყო, შინაგან საქმეთა სამინისტროს შენაერთები გაძლიერდა დამატებითი ძალებით (მე-4 ბრიგადა). ვიდრე ეს მოხდებოდა, მიღებული იყო გადაწყვეტილება, შემოეყვანათ მე-2 ქვეითი ბრიგადა, რომელიც დაბანაკებული იყო სენაკში, დასავლეთ საქართველოში და ამით ჩაენაცვლებინათ მე-4 ბრიგადა მარცხენა ფლანგზე მას შემდეგ, რაც ის გადავიდოდა ცხინვალში (უფრო დეტალური ქრონოლოგია და მტკიცებულებები იხ. პასუხებში და დანართში მოცემულ 1-ელ შეკითხვაზე პასუხში, სამხედრო საკითხების შესახებ დასმული შეკითხვების პირველი ნაკრებიდან).

2.2. როდის გადმოისროლეს რუსული ჯარები რუსეთის ფედერაციიდან, როკის გვირაბში? როდის დაიძრნენ ისინი ცხინვალის მიმართულებით? იყო თუ არა განლაგებული რაიმე რუსული შენაერთები ცხინვალის რეგიონში 2008 წლის 7 აგვისტომდე?

7 აგვისტომდე – 1992 წლიდან არსებული რუსული სამშვიდობო ძალებისა და დაქირავებული ჯარისკაცების გარდა, რეგიონში რუსული ჯარების განლაგება სხვა ფორმებითაც ხდებოდა. პირველ რიგში, რუსები გამუდმებით იყენებდნენ სამშვიდობო ძალების როტაციას, როგორც ერთგვარ წინაპირობას და მექანიზმს, რეგიონში საჯარისო ნაწილების განლაგებისთვის, რაც მოგვინებით გამოიყენეს თავდასხმისათვის (მაგალითად, გრუ-ს დაქვემდებარებაში მყოფი ბატალიონი „ვოსტოკი“). ამგვარი როტაციების დროს კონკრეტულ შენაერთებს დავალებული ჰქონდათ რელიეფის შესწავლა და რეკოგნისცირება, შესაძლო სამომავლო ბრძოლებისათვის. მეორეც, 2007 და 2008 წლებში ჯავასა (უგარდანთა) და ცხინვალში აშენდა ორი სამხედრო ბაზა

[4] იხ.: დანართი 90 პასუხი შეკითხვაზე 1, სამხედრო საკითხების შესახებ დასმული შეკითხვებიდან.
[5] იხ.: დანართები 87 და B პასუხი შეკითხვაზე 1 სამხედრო საკითხების შესახებ დასმული შეკითხვებიდან.

საქართველოს მთავრობის თანხმობის გარეშე. განსაკუთრებული ინტერესის საგანს ჯავის ბაზა წარმოადგენს. გარედან ყოველგვარ მონიტორინგის მექანიზმს მოკლებულ ბაზაზე, ომის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე, რუსეთმა განათავსა როგორც არტილერია, ასევე სატანკო შენაერთები.

რუსეთის საჰაერო-სადესანტო ჯარების მეთაურის მოადგილემ, გენერალმა ვიაჩესლავ ბორისოვმა, რადიოსადგურ „ეხო მოსკვისადმი“ მიცემულ თავის ინტერვიუში აღნიშნა, რომ საჰაერო ჯარების წარმატება გამოწვეული იყო მათი უშუალო ყოფნით „იგივე ადგილებში... 7 აგვისტომდე, ერთი კვირით ადრე“ და რომ ის იყო ჩართული „სამხრეთ ოსურ და ქართულ სექტორებში“ და ასევე, იმ ფაქტის გამო, რომ ისინი უკვე დაძრულნი იყვნენ საომარი მოქმედებების აქტიური ფაზის დაწყებამდე.[6]

4–6 ივლისიდან დაწყებული, ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში რუსეთის ფედერაციის მხრიდან, როკის გვირაბის გავლით, 10 ჯავშანმანქანა შევიდა (ქართული დაზვერვის მონაცემები, HUMINT). შემდეგ, 13-14 ივლისიდან, მიღებული იყო ინფორმაცია T-74 ტიპის 13 ტანკის გადაადგილების შესახებ ჩრდილოეთ ოსეთის ქალაქ ალაგირიდან როკის გვირაბის მიმართულებით; ასევე როკის გვირაბის მიმართულებით, ჩრდილოეთი ოსეთის სოფლიდან ზარამაგი – დაიძრა „ურალის“ ტიპის 6 საბარგო მანქანა, რომლებშიც ჯარისკაცები იმყოფებოდნენ (ქართული დაზვერვის მონაცემები, HUMINT).

ივლისის დასასრულს, (ზუსტი დრო და ადგილი უცნობია), ცხინვალის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში დიდი კარვები გაშალეს რუსეთის ახალ სამხედრო ბაზაზე (დაახლოებით 1 500-2 000 ადამიანისთვის). რუსი სამშვიდობოების მიხედვით, აღნიშნულ კარვებში მოხდებოდა 33-ე მოტომსროლელთა სამთო ბრიგადის (ცენტრით ბოტლიხში, დაღესტანი) განლაგება (საქართელოს დაზვერვის მონაცემები, HUMINT).

ამ ნაბიჯების შემდეგ, 3 აგვისტოს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჯავას რაიონში, როკის გვირაბის გავლით, შემოვიდა რუსეთის 58-ე არმიის მე-19 მოტომსროლელთა დივიზიის ცალკეული სადაზვერვო ბატალიონის შენაერთები (ქართული დაზვერვის მონაცემები, HUMINT).

4 აგვისტოს, ღამით, ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში რუსეთის ფედერაციის მხრიდან სამხედრო შეიარაღების 10 ერთეული შემოვიდა (ბტრ/ბმპ მანქანები) და განაწილდა დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარულ შეიარაღებულ ძალებს შორის. ორი მანქანა გადაეცა დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარული შეიარაღებული ძალების შენაერთს, რომელიც განლაგებული იყო ცხინვალის რაიონის სოფელ დმენისში (ქართული დაზვერვის მონაცემები, HUMINT).

5 აგვისტოს, დღის განმავლობაში სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ბოლტიხიდან (დაღესტანი) როკის გვირაბის გავლით 40 ერთეული თვითმავალი არტილერია და 33-ე

[6] რადიოსადგური „ეხო მოსკვი,“ პროგრამა „სამხედრო რჩევები,“ 03.03.2009, http://www.echo.msk.ru/programs/voensovet/596473-echo (იხ.: თანდართული).

მოტორიზებულ მსროლელთა დივიზიის ცალკეული სადაზვერვო ბატალიონის სამთო ბრიგადა შემოვიდა; ასევე, ჯავას რაიონში ჩატანილ იქნა 30 საარტილერიო დანადგარი. 58-ე არმიის ზოგიერთი შენაერთი მობილიზებული იყო როკის გვირაბთან რუსეთის, ჩრდილოეთ ოსეთის მხრიდან, მათ შორის 135-ე მოტორიზებულ მსროლელთა პოლკი პროხლადნიდან (ყაბარდო-ბალყარეთი) და 693-ე მოტორიზებულ მსროლელთა პოლკი ზარამაგიდან – ჩრდილოეთ ოსეთი (ქართული დაზვერვის მონაცემები, HUMINT).

6 აგვისტოს, ღამის განმავლობაში, სამხრეთ ოსეთში რუსეთის ფედერაციის მხრიდან შემოვიდა რამდენიმე ერთეული შეიარაღება (ბტრ-ების და ბმპ მანქანების ჩათვლით, აგრეთვე, თვითმავალი საარტილერიო სისტემები) და განლაგდა როკის გვირაბის სამხრეთის შესასვლელის სიახლოვეს (ქართული დაზვერვის მონაცემები, HUMINT).

- 7 აგვისტოს, 03:25 სთ-ზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოიპოვა პირველადი სატელეფონო ჩანაწერი, რომლის თანახმად, რუსეთის საჯარისო ერთეული, ტანკებითა და ჯარისკაცებით დატვირთული სამხედრო მანქანებით, შევიდა როკის გვირაბში.[7] 03:41 სთ-ზე, რუსეთის არარეგულარული არმიის დიდი რაოდენობით ჯავშანტექნიკა, ტანკები და სამხედრო სატვირთო მანქანები შევიდნენ როკის გვირაბში და განთავსდნენ ჯავას რაიონში. ეს დადასტურდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მობილური ტელეფონებით განხორციელებული ორი საუბრის მოსმენით.[9] რუსული პრესის უამრავი სტატია სტატია ადასტურებს, რომ რუსეთის საჯარისო ერთეულები,[8] კერძოდ, 58-ე არმიის 693-ე და 135-ე მოტორიზებული მსროლელთა პოლკები სამხრეთ ოსეთში 8 აგვისტომდე შევიდა. სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რეჟიმის მთავარი გაზეთის „იუჟნაია ოსეტიას“ მიხედვით, იმ ღამით სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების ხელმძღვანელი, ედუარდ კოკოითი ჯავას რაიონში იმყოფებოდა, „რათა შეხვედროდა რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს.“[9] მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ სატელეფონო საუბრების აუთენტურობა რუსეთს ეჭვქვეშ არ დაუყენებია. თავდაპირველად რუსეთი უარყოფდა ამგვარი კოლონების რაიმე სახით არსებობას. თუმცა უნდა ითქვას, რომ მტკიცებულებების გაცნობის შემდეგ რუსმა სამხედროებმა განაცხადეს, რომ ჯარების გადაადგილება იყო „ჩვეულებრივი როტაციის“ ნაწილი.[10] რუსეთის მხრიდან გაკეთებული ახსნა, თითქოს ამ საუბრებში ლაპარაკი იყო მისი სამშვიდობო ძალების რუტინული როტაციის შესახებ – ტყუილია. იმ დროს მოქმედი სამშვიდობო შეთანხმების მიხედვით, როტაცია უნდა მომხდარიყო

[7] იხ.: დანართები 39 და 40 პასუხი შეკითხვაზე 1 სამხედრო საკითხების შესახებ დასმული შეკითხვებიდან.
[9] იხ.: დანართები 41-46 პასუხი შეკითხვაზე 1 სამხედრო საკითხების შესახებ დასმული შეკითხვებიდან.
[11] იხ.: დანართი 68, პასუხი შეკითხვაზე 1, სამხედრო საკითხების შესახებ დასმული შეკითხვებიდან.
[12]დენ ბილეფსკი და სხვ. „საქართველო წარადგენს ახალ მტკიცებულებებს ომის დაწყების შესახებ“ ("Georgia Offers Fresh Evidence on War's Start", by Dan Bilefsky, C. J. Chivers, Tom Shanklin and Michael Schwirtz, The New Yerk Times, Sept. 8, 2016).

დღის შუქზე; არც ერთ სამშვიდობო ძალების შენაერთს არ ჰქონდა უფლება ჰყოლოდა ტანკები და ყველა შესაბამის მხარეს (მაგ., საქართველოსა და ეუთო-ს) უნდა ცნობებოდა ამის შესახებ წინასწარ, ერთი თვით ადრე. მსგავსი არაფერი მომხდარა. რუსული ძალების წინა როტაცია 2008 წლის მაისში განხორციელდა.

7 აგვისტოს, დაახლოებით, 12:00 სთ-ზე, აფხაზეთის მარიონეტული ხელისუფლების ხელმძღვანელმა სერგეი ბაღაფშმა განაცხადა, რომ მან აფხაზური შეიარაღებული ძალები საბრძოლო მზადყოფნაზე გადაიყვანა, რათა გაეწიათ სამხედრო დახმარება სამხრეთ ოსეთისათვის და რომ რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის ბატალიონი უკვე შესული იყო ცხინვალის რეგიონში (ეს განცხადება რუსეთის ტელევიზიის მიერ გადაიცა 17:00 სთ-ზე).[11]

7 აგვისტოს, დღის განმავლობაში, საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო სამხედრო დაზვერვის ინფორმაცია, რომ რუსული ჯარები (რომლებიც ივლისში ჩატარებული ჩრდილო კავკასიური წვრთნების შემდეგ უკან აღარ გაუწვევით) მაღალი დონის სამხედრო მზადყოფნაში იყვნენ მოყვანილი და მათ მიიღეს ბრძანება, მომზადებულიყვნენ საქართველოს საზღვრის მიმართულებით გადასაადგილებლად.

7 აგვისტოს, გვინ საღამოს, საქართველომ მრავალი შეტყობინება მიიღო დაზვერვისაგან, რომ დაახლოებით 150 ჯავშანმანქანა და რუსი ჯარისკაცებით დატვირთული სატვირთო მანქანა უახლოვდებოდა როკის გვირაბს რუსეთის მხრიდან და მოძრაობდა ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მიმართულებით. მოგვიანებით, მოპოვებულ იქნა დე-ფაქტო უშიშროების სამსახურის თანამშრომლებსა და სამხედრო პირებს შორის შემდგარი რამდენიმე სატელეფონო საუბარი, რომლებიც განხორციელდა 8 აგვისტოს, 02:20 სთ-სა და 04:30 სთ-ს შორის და ადასტურებდა, რომ სამხედრო კოლონები მოიცავდა ტერიტორიას როკის გვირაბიდან სოფელ ჯავამდე.[12]

8 აგვისტოს, 05:20 სთ-ზე, რუსული ჯარები გასცდნენ სოფელ ჯავას, გადაკვეთეს გუფთას ხიდი და წინ წაიწიეს სოფელ ძარის შემოვლით გზისკენ, რაც დასტურდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოპოვებულ სატელეფონო საუბარში.[13] მალევე, კიდევ ორმა რუსულმა კოლონამ გადმოკვეთა როკის გვირაბი და წინ წაიწია გერი-დმენისის მიმართულებით, სამხრეთით.

8 აგვისტოს 18:45 სთ ზე, რუსეთის ერთი სატანკო კოლონა, ჯავშანმანქანებითა და სატვირთო მანქანებით, მიუახლოვდა ცხინვალს, ძარას გზით. კიდევ ორი კოლონა შეჩერდა სოფელ დმენისთან. რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა ინტენსიური ცეცხლი გაუხსნეს ქართულ შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც განლაგებული იყვნენ დმენისში, ცხინვალსა და მახლობლად მდებარე სიმაღლეებზე.

---

[13] იხ.: დანართი 77, პასუხი კითხვაზე 1, სამხედრო საკითხების შესახებ დასმული შეკითხვებიდან.

[14] იხ.: დანართები 81-86, პასუხი კითხვაზე 1, სამხედრო საკითხების შესახებ დასმული შეკითხვებიდან.

[15] იხ.: დანართები 88-89, პასუხი კითხვაზე 1, სამხედრო საკითხების შესახებ დასმული შეკითხვებიდან.

8 აგვისტოს 22:00 სთ.ზე, რუსული ჯარები მიუახლოვდნენ დიდი ლიახვის ხეობას ჩრდილოეთის მხრიდან, თუმცა შესვლა ვერ მოახერხეს, რადგან განიცადეს მძიმე დანაკარგი საქართველოს არტილერიის მხრიდან გახსნილი ცეცხლის გამო შეაჩერა ცხინვალის მიმართულებით ძარას გზაზე მოძრაობა.

9 აგვისტოს 11:40 სთ ზე, რუსეთის შეიარაღებულმა ძალები, მათ შორის, საჰაერო სადესანტო ძალები შევიდნენ ცხინვალში, ჩრდილო დასავლეთიდან და სოფელ ტბეთიდან.

9 აგვისტოს, 17:00 სთ-ზე, ცხინვალში დამატებითი რუსული ჯარები შევიდა.

10 აგვისტოს, ადრე დილით, 300-ზე მეტმა რუსულმა ტანკმა და ჯავშანმანქანამ, 10,000-ზე მეტ რუს ჯარისკაცთან ერთად, გაიარა როკის გვირაბი.

3. რა როლს ასრულებდნენ და რა საქმიანობას ეწეოდნენ 2008 წლის აგვისტოში შერეული სამშვიდობო ძალების ნაწილები (რომლებსაც მანდატი ჰქონდათ ცხინვალის რეგიონში), და აგრეთვე დსთ-ის სამშვიდობო ძალების ნაწილები (რომლებსაც მანდატი ჰქონდათ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში)?

შერეული სამშვიდობო ძალების კონტიგენტი, რომელიც განლაგებული იყო ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, საქართველოსა და რუსეთს შორის 1992 წელს დადებული სოჭის ხელშეკრულების ფარგლებში, მოიცავდა სამშვიდობო ძალების სამ ბატალიონს: რუსულ ბატალიონს, ქართულ ბატალიონს და ჩრდილო კავკასიის (რუსეთის ფედერაცია) ბატალიონს (რომელიც სინამდვილეში დაკომპლექტებული იყო სამხრეთ ოსეთის ბანდფორმიებებით [14]). თითოეული ბატალიონის საბრძოლო შემადგენლობა მოიცავდა 500 ჯარისკაცს (გადაუდებელ შემთხვევებში, თითოეული ბატალიონის საშტატო შემადგენლობა შეიძლება გაზრდილიყო 900 ჯარისკაცამდე).

შერეული სამშვიდობო ძალების შემადგენლობას ცხინვალის რეგიონში (სამხრეთ ოსეთში) ჰქონდა ორი შტაბი. ერთი, რომელსაც ჩვეულებრივ, „ნიჟნი გოროდოკს“ ეძახდნენ, მდებარეობდა ქალაქ ცხინვალის ცენტრში, სადაც იმყოფებოდა შერეული სამშვიდობო ძალების მეთაური, ხოლო მეორე, „ვერხნი გოროდოკი,“ მდებარეობდა ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში.

2008 წლის აგვისტოში, სამშვიდობო ძალები განლაგებული იყვნენ 14 საკონტროლო პუნქტზე, რომლებიც ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის შემდეგ სოფლებში იყო მოწყობილი:

ერთობლივი საკონტროლო პუნქტები:

1. კეხვი (1 რუსული ოცეული; დამკვირვებლები: 1 რუსი, 1 ქართველი, 1 ოსი).

[14] იხ.: კრიზისის საერთაშორისო ჯგუფი, საქართველოს სამხრეთი ოსეთის კონფლიქტი: იჩქარე აუჩქარებლად (International Crisis Group, Georgia’s South Ossetia Conflict: Make Haste Slowly), გვ. 17-18.

2. ფრისი (1 რუსული ოცეული; დამკვირვებლები: 1 რუსი, 1 ქართველი, 1 ოსი).
3. წვერიახო (1 რუსული ოცეული, 1 ქართული ოცეული; დამკვირვებლები: 1 რუსი, 1 ქართველი, 1 ოსი).
4. მეღვრეკისი (1 რუსული ოცეული; დამკვირვებლები: 1 რუსი, 1 ქართველი, 1 ოსი).
5. ვანათი (1 რუსული ოცეული; დამკვირვებლები: 1 რუსი, 1 ქართველი, 1 ოსი).
6. კვერნეთი (1 რუსული ოცეული; დამკვირვებლები: 1 რუსი, 1 ქართველი, 1 ოსი).
7. თამარაშენი (1 რუსული ოცეული; დამკვირვებლები: 1 რუსი, 1 ქართველი, 1 ოსი).
8. არცევი (1 რუსული ოცეული; დამკვირვებლები: 1 რუსი, 1 ქართველი).
9. ავნევი (1 რუსული ოცეული; დამკვირვებლები: 1 რუსი, 1 ქართველი).

რუსული საკონტროლო პუნქტები:

10. ერედვი (1 რუსული ოცეული).

ქართული საკონტროლო პუნქტები:

11. ავნევი (1 ქართული ოცეული).
12. სარაბუკი (1 ქართული ოცეული).
13. კეხვი (6 ქართველი მშვიდობისმყოფელი).

2008 წლის ივლისში, როდესაც კონფლიქტის ზონაში დაძაბულობამ იწყო მატება, შერეულმა სამშვიდობო ძალებმა, როგორც ეს მსგავს სიტუაციებში მანამდე მრავალჯერ მოხდა (იხ. პასუხი კითხვაზე 3, სამართლებრივ საკითხებზე კითხვების 1-ელი ნაკრებიდან და დანართი 1, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2004 წლის აგვისტოს ანგარიში შერეული სამშვიდობო ძალების საქმიანობის შესახებ) ვერ მოახერხეს მანდატით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება და სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარული შეიარაღებული ძალების უკანონო მოქმედებების აღკვეთა მათდამი დაქვემდებარებულ კონფლიქტის ზონაში. ამასთან, ეს ძალები გამუდმებით ახორციელებდნენ სროლებს დიდი ლიახვის, პატარა ლიახვისა და ფრონეს ხეობებში განლაგებული საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებადი სოფლების, აგრეთვე, სამხრეთით, ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვართან მდებარე სოფლების მიმართულებით.

29 ივლისს, 16:00 სთ-ზე, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარული შეიარაღებული ძალები, 40 წუთის განმავლობაში ცეცხლს ესროდნენ დიდი ლიახვის ხეობაში მდებარე ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ქართულ სოფლებს, ნაღმმტყორცნებისა და ჭურვების გამოყენებით. 22:00 სთ-ზე 100 მმ-იანი და 120 მმ-იანი არტილერიით დაცხრილეს სარაბუკის მაღლობზე მდებარე ქართველი მშვიდობისმყოფელების საკონტროლო პუნქტი. 1-ელ აგვისტოს, დაწყებული 21:30 სთ-დან, სამხრეთი ოსეთის დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარული შეიარაღებული ძალები მსხვილკალიბრიანი არტილერიით ცხრილავდნენ ქართულ სოფლებს – ზემო ნიქოზი, ქვემო ნიქოზი, ავნევი, ნული, ერგნეთი, ერედვი და ზემო ფრისი. სროლები გაგრძელდა მთელი ღამის მანძილზე და მხოლოდ 2 აგვისტოს დილას შეწყდა.

2 და 3 აგვისტოს, შერეული სამშვიდობო ძალების კონტიგენტმა მონიტორინგი ჩაატარა სროლებისაგან დაზიანებული სოფლების უმრავლესობაში და 4 აგვისტოს ანგარიშში დაადასტურა ზემო ნიქოზის, ქვემო ნიქოზის, ავნევის, ნულის, ერედვისა და ზემო ფრისის დაცხრილვა 82 მმ-იანი არტილერიით, აგრეთვე, უფრო ადრე, ქართველი მშვიდობისმყოფელების პოსტის დაცხრილვა სარაბუკის მაღლობზე 100 მმ-იანი და უფრო დიდი კალიბრის არტილერიით.[15] თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ ანგარიშში არ არის აღნიშნული, თუ ვინ ახორციელებდა ამ სოფლების დაცხრილვას, მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილო ოსეთის სამშვიდობო ძალების ბატალიონის ხელმძღვანელობამ, განსაკუთრებით კი მისმა მეთაურმა ძალიან კარგად იცოდა, რომ მხოლოდ სამხრეთ ოსეთის მარიონეტული რეჟიმის არარეგულარული შეიარაღებული ძალები იყვნენ პასუხისმგებელი საქართველოს მიერ კონტროლირებად სოფლების დაცხრილვაზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოპოვებულმა მრავალმა სატელეფონო საუბარმა აჩვენა, რომ რუსი და ოსი სამშვიდობო ძალებისათვის ცნობილი იყო ამ დარღვევების შესახებ, მაგრამ მათ არ მოახსენეს ამის შესახებ, და რამდენიმე შემთხვევაში, ხელი შეუწყვეს ამ დარღვევების მიჩქმალვას. უფრო მეტიც, დროგამოშვებით სამხრეთ ოსეთის მარიონეტული რეჟიმის არარეგულარული შეიარაღებული ძალები და „ჩრდილოეთ ოსური“ სამშვიდობო ძალები ახდენდნენ ქართულ სამშვიდობო ძალებსა და პოლიციაზე თავდასხმების კოორდინირებას. ქვემოთ ჩამოთვლილია ამგვარი დარღვევების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითები:

- 29 ივლისს, 22:40 სთ-ზე, ჩრდილო ოსეთის სამშვიდობო ძალების ბატალიონის მორიგე ოფიცერმა, რუსლან მაკეევმა, ინფორმაცია მიაწოდა ჩრდილო ოსეთის სამშვიდობო ძალების მეთაურს, ყაზბეგ ფრიევს, რომ ჩრდილო ოსეთის სამშვიდობო ძალების ბატალიონმა ცეცხლი გაუხსნა ქართული, ჩრდილო-სამშვიდობო ძალების ბატალიონს.
- 30 ივლისს, 10:42 სთ-ზე, ალიკ ლაკგოევი, ჩრდილო ოსეთის სამშვიდობო ძალების ბატალიონის უფროსი სამხედრო დამკვირვებელი ტელეფონით დაუკავშირდა სამხრეთი ოსეთის დე-ფაქტო თავდაცვის სამინისტროს მორიგე ოფიცერს და გააფრთხილა, რომ სარაბუკის მაღლობის მახლობელ ტერიტორიებზე მონიტორინგს ჩაატარებდა შერეული სამშვიდობო ძალების კონტიგენტი.
- 1-ელ აგვისტოს, 22:57 სთ-ზე, არსენ კვეზეროვმა, სამხრეთი ოსეთის დე-ფაქტო თავდაცვის სამინისტროს მე-7 ბატალიონის მეთაურის მოადგილემ, უთხრა ბატონ ფილიპ ხაჩიროვს, ჩრდილო ოსეთის სამშვიდობო ძალების ბატალიონის მეთაურს, რომ ჩრდილო ოსეთის სამშვიდობო ძალების ბატალიონს გადაეცა მოთხოვნა მებრძოლებისათვის, რათა მათ დახმარება აღმოეჩინათ ცეცხლის გახსნაში და შესთავაზა ქართული პოლიციის ან ქართველი მშვიდობისმყოფელების კოორდინატების გადაცემა.
- 2 აგვისტოს, 21:01 სთ-ზე, არსენ კვეზეროვმა, სამხრეთი ოსეთის დე-ფაქტო თავდაცვის სამინისტროს მე-7 ბატალიონის მეთაურის მოადგილემ, და ბატონმა ფილიპ ხაჩიროვმა, ჩრდილო ოსეთის სამშვიდობო ძალების ბატალიონის მეთაურმა, იმსჯელეს

[15] იხ.: დანართი 23, პასუხი შეკითხვაზე 1 სამხედრო საკითხების შესახებ დასმული შეკითხვებიდან.

ქართული სამშვიდობო ძალებისა და პოლიციის პოზიციების დაცხრილვის სქემის შესახებ.

- 4 აგვისტოს, 14:44 სთ-ზე, ქართული სამშვიდობო ძალების უფროსი მეთაური, გენერალი მამუკა ყურაშვილი ტელეფონით დაუკავშირდა შერეული სამშვიდობო ძალების მეთაურს, გენერალ მარატ კულახმეტოვს და სთხოვა დამატებითი მონიტორინგი ჩაეტარებინა იმ ადგილებში, საიდანაც შეიძლება მომხდარიყო სარაბუკის მაღლობის დაცხრილვა, ვინაიდან ის დარწმუნებული იყო, რომ 100 მმ-იანი ჭურვის მიერ დატოვებული კვალით შესაძლებელი იყო იმ მიმართულების დადგენა, საიდანაც სროლები განხორციელდა. 15:34 სთ-ზე, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო თავდაცვის მინისტრი, რუსი პოლკოვნიკი ვასილი ლუნევი, რომელიც უკვე ინფორმირებული იყო, რომ შესაძლებელი იყო ჭურვების კვალის დადგენა, ტელეფონით დაუკავშირდა სამხრეთი ოსეთის დე-ფაქტო თავდაცვის სამინისტროს მე-7 ბატალიონის მეთაურს, ვასილ კოკოევს, რომელიც პასუხისმგებელი იყო ამ სროლებზე და ინსტრუქცია მისცა, რომ რაიმე შეეცვალა საცეცხლე პოზიციებში, რათა კვალი დაეფარათ.
- 6 აგვისტოს, 11:58 სთ-ზე, პირმა სახელად ალანი, მოახსენა ალიკ ლაკგოევს, ჩრდილო ოსეთის სამშვიდობო ძალების ბატალიონის უფროსს, რომ ქართული პოლიციისა და ქართული სამშვიდობო ძალების პოზიციები დაცხრილა „მათ ხალხმა.“ ლაკგოევს ამ ფაქტის შესახებ არ მოუხსენებია.
- 6 აგვისტოს, 19:06 სთ-ზე, ალიკ ლაკგოევმა, ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ძალების ბატალიონის უფროსმა, სთხოვა იბრაჰიმ გასეევს, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო თავდაცვის მინისტრის მოადგილეს, მოეხსენებინა ქართული სამშვიდობო ძალების ბატალიონის ჯავშანმანქანის დაცხრილვის შესახებ.
- 6 აგვისტოს, 21:18 სთ-ზე, ვასილ კოკოევმა, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო თავდაცვის სამინისტროს მე-7 ბატალიონის მეთაურმა, აცნობა ყაზბეგ ფრიევს, ჩრდილო ოსეთის სამშვიდობო ძალების მეთაურს, რომ ღამის განმავლობაში ამ ადგილებში „რაღაც“ უნდა შემოეტანათ. ფრიევმა შეაწყვეტინა მას საუბარი და გააფრთხილა არ ესაუბრა ქართული მობილური კავშირის მეშვეობით.
- 7 აგვისტოს, 00:22 სთ-ზე, ჩრდილო ოსეთის სამშვიდობო ძალების ბატალიონის უფროსმა, ალიკ ლაკგოევმა სთხოვა იბრაჰიმ გასეევს, სამხრეთი ოსეთის დე-ფაქტო თავდაცვის მინისტრის მოადგილეს, კორექცია შეეტანა ქართველის სამშვიდობო ძალებისაკენ საარტილერიო ცეცხლის მიმართულებაში, ვინაიდან ზოგიერთი ჭურვი შეცდომით დაეცა რუსი სამშვიდობო ძალების მახლობლად.
- 7 აგვისტოს, 06:51 სთ-ზე, ფილიპ ხაჩიროვმა, ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ძალების ბატალიონის მეთაურმა, ურჩია არსენ კვეზეროვს, სამხრეთი ოსეთის დე-ფაქტო თავდაცვის სამინისტროს მე-7 ბატალიონის მეთაურის მოადგილეს, შეერჩიათ სამიზნეები მათი საარტილერიო თავდასხმებისათვის.

(სატელეფონო საუბრების მოსმენისა და მათი ჩანაწერებისათვის იხ. დანართები 2–23).

6 აგვისტოდან დაწყებული, შერეული სამშვიდობო ძალების ქართული ბატალიონის მხრიდან არა ერთი მოთხოვნის მიუხედავად, კონფლიქტის ზონაში მონიტორინგი არ ჩატარებულა შერეული სამშვიდობო ძალების მიერ. 7 აგვისტოს, 14:00 სთ-ზე, სოფელ ავნევში მდებარე ქართული სამშვიდობო ძალების საკონტროლო პუნქტი სოფელ

ხეთაგუროვოში განლაგებული სამხრეთ ოსეთის მარიონეტული რეჟიმის არარეგულარული შეიარაღებული ძალების მხრიდან 100 მმ და 120 მმ-იანი არტილერიის მძიმე ცეცხლის ქვეშ მოხვდა, რომლის დროსაც განადგურდა ქართული სამშვიდობო ძალების ჯავშანმანქანა და გარდაიცვალა ორი ქართველი მშვიდობისმყოფელი, შალვა ტრაპაიძე და ვიტალი თაყაძე, და კიდევ ხუთი დაიჭრა.[16] თავის მხრივ, თავდაცვის მიზნით, ქართველმა მშვიდობისმყოფელებმა ასევე გახსნეს ცეცხლი. მოგვიანებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოიპოვა სატელეფონო საუბარი, სადაც დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარული შეიარაღებული ძალების წევრმა დაადასტურა, რომ სოფელ ავნევში ადგილი ჰქონდა ქართული სამშვიდობო ძალების ჯავშანმანქანის აფეთქებას ყუმბარით.[17] დაახლოებით, 17:00 სთ-თვის, მას შემდეგ, რაც შერეული სამშვიდობო ძალების მეთაურმა მარატ კულახმეტოვმა უარი განაცხადა ცხინვალში ქართველი სამშვიდობო ძალებისათვის უსაფრთხოების დამატებითი გარანტიების მიცემაზე, ქართული სამშვიდობო ძალების მეთაურმა მამუკა ყურაშვილმა გასცა ბრძანება, რომ ქართული სამშვიდობო ძალების ბატალიონს დაეტოვებინა შერეული სამშვიდობო ძალების შტაბი ცხინვალში. 17:10 სთ-ზე, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ სამშვიდობო ძალებში იყო მსხვერპლი და ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი სოფლები კვლავ ცეცხლის ქვეშ იყვნენ, ქართულმა სამშვიდობო ძალებმა ცალმხრივად შეწყვიტეს ცეცხლი, რათა შეემცირებინათ დაძაბულობა. ეს გადაწყვეტილება 17:00 სთ-ზე რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა, თემურ იაკობაშვილმა აცნობა სამშვიდობო ძალების მეთაურს, გენერალ მარატ კულახმეტოვს.

7 აგვისტოს, საღამოს, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარულმა შეიარაღებულმა ძალებმა განაახლეს სოფელ ავნევში და ფრონეს ხეობაში განლაგებული ქართული სამშვიდობო ძალებისა და პოლიციის ოფიცრებისათვის ცეცხლის სროლა. 23:30 სთ-ზე გააძლიერეს საარტილერიო ცეცხლი დიდი ლიახვის, პატარა ლიახვისა და ფრონეს ხეობებში განლაგებული ქართული სამშვიდობო ძალებისა და პოლიციის ყველა პოზიციის მიმართულებით.

8-დან 9 აგვისტოს, ქართული სამშვიდობო ძალების ბატალიონი განაგრძობდა მსახურს საკონტროლო პუნქტებზე, ვიდრე მიმდინარეობდა დიდი ლიახვის, პატარა ლიახვისა და ფრონეს ხეობებში განლაგებული სოფლებიდან მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია. ევაკუაციის პროცესი დასრულდა 9 აგვისტოს შუადღეს. მნიშვნელოვანია, რომ ქართულ შეიარაღებულ ძალებს თავდასხმა არ განუხორციელებიათ რუსი და ჩრდილო ოსეთის სამშვიდობო ძალების ქალაქ ცხინვალის გარეთ მდებარე არც ერთ საკონტროლო პუნქტზე. სიტუაცია შერეული სამშვიდობო ძალების ისეთ ძირითად სტრატეგიულ წერტილებზე როგორებიცაა წვერიახოს მთა, სოფლები – მეღვრეკისი და არცევი, იყო მშვიდი, მიუხედავად მიმდინარე საომარი მოქმედებებისა. თუმცა, ცხინვალში განსხვავებული მდგომარეობა იყო.

---

[16] ქართველ მშვიდობისმყოფელთა შორის მსხვერპლთა სიის სანახავად იხ. დანართი 33 პასუხი შეკითხვაზე 1 სამხედრო საკითხების შესახებ დასმული შეკითხვებიდან.

[17] სატელეფონო მოსმენებისა და მათი ჩანაწერების სანახავად იხ.: დანართი 87 პასუხი შეკითხვაზე 1 სამხედრო საკითხების შესახებ დასმული შეკითხვებიდან.

შერეული სამშვიდობო ძალების რუსული და ჩრდილო ოსეთის ბატალიონები თავის შტაბებში „ნიჟნი გოროდოკი“ (ქალაქ ცხინვალის ცენტრში), და „ვერხნი გოროდოკი“, (ცხინვალის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში) აქტიურად ჩაერთნენ საომარ მოქმედებებში. მრავალი მიზეზის გამო, ისინი ეხმარებოდნენ რუსულ ჯარს და სამხრეთ ოსეთის მეომრებს იმით, რომ სამშვიდობო ძალების შენობებსა და ინფრასტრუქტურას უთმობდნენ მარიონეტული რეჟიმის მაღალჩინოსნებს, ასევე დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარული შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს. უფრო მეტიც, ეს შტაბები გამოყენებული იყო რუსული ჯარისა და სამხრეთ ოსეთის მებრძოლთა მიერ საქართველოს სამთავრობო შეიარაღებული ძალების მიმართ წარმოებული საჰაერო დაბომბვებისა და საარტილერიო ცეცხლისათვის მიმართულების მისაცემად.

აღსანიშნავია, რომ უფრო ადრე, 00:23 სთ-ზე, შერეული სამშვიდობო ძალების მეთაურს, გენერალ მარატ კულახმეტოვს სატელეფონო საუბარი ჰქონდა ქართული სამშვიდობო ძალების უფროსთან, გენერალ მამუკა ყურაშვილთან, სადაც მან აღიარა, რომ სეპარატისტ მებრძოლებს კოორდინატებს საარტილერიო ცეცხლისათვის აწვდიდნენ რუსი მშვიდობისმყოფელები.[18] მნიშვნელოვანია, რომ ზემოხსენებულს ადგილი ჰქონდა ბევრად ადრე, ვიდრე თავად რუსები გააკეთებდნენ რაიმე განცხადებას ქართველების მხრიდან სამშვიდობო ძალებზე განხორციელებული თავდასხმების შესახებ.

8 აგვისტოს, დაახლოებით, 06:00 სთ-ზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალურმა ძალებმა, რომლებიც ეკიპირებული იყვნენ „კობრას“ ტიპის ჯავშანმანქანებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს რამდენიმე ტანკის თანხლებით, დაიწყეს მოძრაობა სოფელ ზემო ნიქოზიდან ცხინვალის მისადგომების მიმართულებით, რათა ჩაეხშოთ ამ სოფლისაკენ ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ე. წ. „შანხაის“ დასახლებაში განლაგებული მარიონეტული რეჟიმის შეიარაღებული ძალების მხრიდან წამოსული ცეცხლი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების ძალები მოექცნენ სნაიპერებისა და მასიური ჯავშანმანქანების ნაღმმტყორცნების ცეცხლის ქვეშ, რომელიც ხორციელდებოდა ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარე „ვერხნი გოროდოკის“ რუსული სამშვიდობო ძალების შტაბის მხრიდან და იძულებული გახდნენ ცეცხლითვე ეპასუხათ, და აგრეთვე, მოეთხოვათ სატანკო დახმარება. რეალურად, „ვერხნი გოროდოკის“ ძირითადი შენობის სახურავს მტერი იყენებდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებზე განხორციელებული საარტილერიო თავდასხმის სიზუსტისათვის, რაც დადასტურდა სამხრეთ ოსეთის პრესაში განთავსებული სტატიით. [19] ქართული შეიარაღებული ძალების მხრიდან, შტაბის მიმართულებით გახსნილი საპასუხო ცეცხლის შედეგად მძიმედ დაიჭრა და მოგვიანებით გარდაიცვალა რუსული საარტილერიო დაზვერვის დივიზიის ლეიტენანტი ოლეგ გოლოვანოვი. აღნიშნული სტატიის მიხედვით, „მისი სადამკვირვებლო პოსტი მდებარეობდა რუსული სამშვიდობო ძალების ბატალიონის

[18] იხ.: დანართები 75 და 76 პასუხი შეკითხვაზე 1 სამხედრო საკითხების შესახებ დასმული შეკითხვებიდან.

[19] იხ.: დანართი 90, პასუხი კითხვაზე 1, სამხედრო საკითხების შესახებ დასმული კითხვებიდან. http://osradio.ru/genocid/19778-oleg-palavanov-pogib-projaviv-muzhestvo-i-geroism.html

შენობის სახურავზე, ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ გარეუბანში," რომელსაც „ოლეგი საარტილერიო ცეცხლის სიზუსტისთვის იყენებდა .[20]

სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რეჟიმის რადიოსათვის ჩრდილო ოსეთის სამშვიდობო ძალების მეთაურის, პოლკოვნიკ ყაზბეგ ფრიევის მიერ მიცემული ინტერვიუს მიხედვით, მის დაქვემდებარებაში მყოფი ბატალიონის ნაწილებმა „დაიკავეს წინასწარ განსაზღვრული პოზიციები და [რუსეთის] თავდაცვის სამინისტროს ბატალიონებთან ერთობლივად მოქმედებდნენ, და „ხელს უშლიდნენ ქართული ჯარის წინსვლას."[21] პოლკოვნიკმა ფრიევმა აგრეთვე განაცხადა, რომ სამშვიდობო ძალების მისია იყო „არ მიეცათ ქართველებისათვის საშუალება შეეღწიათ ქალაქში." მან თავისი ჯარისკაცები და ჯავშანტექნიკა (ბმპ-ები და ბტრ-ები) განალაგა ცხინვალში, კერძოდ, ქალაქის სამხრეთ ნაწილში მდებარე „შანხაის," ცარზისა და მამისაანთუბნის რაიონებში. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ისინი რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად მოქმედებდნენ.[22]

2008 წლის 7 აგვისტოს ნაშუადღევს, დე-ფაქტო რეჟიმის ხელმძღვანელობამ, კერძოდ, „ყველა ძალოვან მინისტრმა," დაიწყო შეკრება სამშვიდობო ძალების „ნიჟნი გოროდოკის" შტაბში. ამ ადგილას, რომელიც გამოყენებულ იყო, როგორც „ქალაქის თავდაცვითი ღონისძიებების კოორდინაციის" ერთ-ერთი ცენტრი, შეგროვდნენ გაფანტული არარეგულარული შეიარაღებული ძალების ნაწილებიც.[23]

შერეული სამშვიდობო ძალების „ნიჟნი გოროდოკის" შტაბი სწორედ ის ადგილი იყო, სადაც ანატოლი ბარანკევიჩი, მარიონეტული რეჟიმის უშიშროების საბჭოს მდივანი, გამოცხადდა და ითხოვა დახმარება.[24] ბარანკევიჩის მიხედვით, მან „შესთავაზა კულახმეტოვს [გაერთიანებული სამშვიდობო ძალების მეთაურს], თავდაცვის წრე ერთობლივად შეეკრათ, რუსული ჯარის მოახლოვებამდე." ამავე დროს, სამშვიდობო ძალების ბაზაზე მას მისცეს მობილური ტელეფონი, რომლითაც ის დაუკავშირდა რუსეთის ხელმძღვანელობას და მოითხოვა „დაპირებული დახმარება." ბარანკევიჩმა, რამდენიმე სამხრეთელი ოსი მებრძოლის დახმარებით, ასევე გადაწყვიტა გაერთიანებული სამშვიდობო ძალების შტაბისაკენ მიმავალი გზის დაცვის უზრუნველყოფა. ამ მიზნით მან დაიკავა ირგვლივ მდებარე სახლები, სადაც ისინი ჩაუსაფრდნენ ქართულ პოლიციას და სამხედროებს, რომლებიც ქალაქში გადაადგილდებოდნენ და მათ ესროდნენ.[25]

---

[21] იხ.: დანართი 91, პასუხი კითხვაზე 1, სამხედრო საკითხების შესახებ დასმული კითხვებიდან. http://osradio.ru/news/all/eid/15376.html
[22] იგივე.
[23] იგივე.
[24] იხ.: დანართები 93-94 პასუხი კითხვაზე 1, სამხედრო საკითხების შესახებ დასმული კითხვებიდან. http://www.izvestia.ru/special/article3119348/index.html. http://www.kommersant.ru/doc.aspx?!DocsID=1089120
[25] იგივე.

მიუხედავად ზემოთ მოტანილი მტკიცებულებებისა, (რაც აშკარა იყო ადგილზე საომარი ოპერაციების მიმდინარეობის დროს), ქართულ შეიარაღებულ ძალებს არცერთხელ არ გაუხსნიათ ცეცხლი „ნიჟნი გოროდოკის“ მიმართულებით. ეს ადგილი, ისევე, როგორც ზოგადოდ, ქალაქი ცხინვალი, რუსული არტილერიის მხრიდან მძიმე ცეცხლის ქვეშ მას შემდეგ მოჰყვა რაც ქალაქში ქართული შეიარაღებული ძალები შევიდნენ. რუსული საზელევიზიო არხის ნტვ-ს მიერ გადმოცემული მასალის (იხ. დანართი 24) ანალიზი აჩვენებს, რომ „გრადის“ ტიპის რაკეტა, რომელიც აფეთქდა სამშვიდობო ძალების შტაბის მახლობლად, ჩრდილოეთიდან იყო წამოსული. ღია წყაროდან აღებული კიდევ ერთი ინტერვიუს მიხედვით, რუსი ჯარისკაცი აღიარებს ქალაქ ცხინვალისათვის „გრადის“ ტიპის რაკეტების სროლას.[26]

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მრავალი მტკიცებულება, რომ სამშვიდობო ძალები ჩართული იყვნენ საომარ მოქმედებებში, ქართული შეიარაღებული ძალები მათ სათანადო სიფრთხილით ეკიდებოდნენ და არასოდეს განუხორციელებიათ შეტევა მათ წინააღმდეგ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მშვიდობისმყოფელები ან მათი საიდენტიფიკაციო ნიშნების მატარებელი პირები/მანქანები აგრესიულ ქმედებებს მიმართავდნენ. მაგალითად, 9 აგვისტოს დილით, 12:00 სთ-სა და 13:00 სთ-ს შორის, საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-4 ქვეითი ბრიგადის 41-ე ბატალიონი მოძრაობდა ქალაქ ცხინვალის მიმართულებით, რათა გაემაგრებინა შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების ძალები. სულ ცოტა ხნით ადრე, ვიდრე ქალაქში შევიდოდნენ, გამოჩნდა შეიარაღებული პირებით სავსე ჯავშანმანქანებისა და ტანკების კოლონა. ბატალიონის მეთაურმა ჯარებს უბრძანა მიეცათ საშუალება ჯავშანმანქანებისა და ტანკებისათვის დაბრკოლების გარეშე გამოევლოთ, ვიდრე არ მოაღწევდნენ თვალსაჩინო მანძილზე, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მათი იდენტიფიკაცია. მალე ცნობილი გახდა, რომ ჯავშანმანქანები და ტანკები რუსულ სამშვიდობო ძალებს ეკუთვნოდა (ლურჯ ფონზე ყვითელი წარწერით „MC“). ბატალიონის მეთაურმა გასცა ბრძანება ცეცხლი არ გაეხსნათ და სამშვიდობო ძალებისათვის მიეცათ გავლის საშუალება. კოლონა 41-ე ბატალიონში ღრმად შეიჭრა და უეცრად შეუტია ქართულ შენაერთს ავტომატის ჯერით და ჭურვებით. ბატალიონის მეთაური, მაიორი შალვა დოლიძე, აგრეთვე ბატალიონის რამდენიმე წევრი დაიღუპა, დაიჭრა ათობით ქართველი ჯარისკაცი.

საომარი მოქმედებების მსვლელობისას საბოლოოდ გახდა აშკარა, რომ რუსული შეიარაღებული ძალები შემოჭრამდე დიდი ხნით ადრე, შერეული სამშვიდობო ძალების რუს მშვიდობისმყოფელთა ბატალიონს ადგილზე რეკოგნისცირების ჩასატარებლად იყენებდნენ. მაგალითად, სპეციალური ბატალიონ „ვოსტოკის“ (გრუ-ს ხელმძღვანელობით განლაგებული გუდერმესში, ჩეჩნეთი) შენაერთები თავდაპირველად განლაგდნენ ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში, როგორც შერეული სამშვიდობო ძალების ნაწილი, 2007 წლის ზაფხულში და მას შემდეგ სულ ცოტა, ორჯერ გაიარეს როტაცია. „ვოსტოკის“ ბატალიონის ჯგუფის მეთაური, რასულ ბაიმურადოვი, რომელიც ამ შენაერთებში 2007 წელს მსახურობდა, 2008 წლის აგვისტოს

[26] იხ.: დანართები 95-96 პასუხი კითხვაზე 1, სამხედრო საკითხების შესახებ დასმული შეკითხვებიდან.

ომში ხელმძღვანელობდა თავის ჯგუფს, როგორც რუსული რეგულარული ჯარების შენაერთს (იხ. დანართი 25, ვიდეო, სადაც 2007 წელს, ბაიმურადოვი გამოდის, როგორც მშვიდობისმყოფელი ცხინვალის რეგიონში, დანართები 26-28, ფოტო და ვიდეო მასალა, სადაც ასახულია ბაიმურადოვის ყოფნა ცხინვალში 2008 წელს და დანართი 29, მისი ჩვენების ვიდეოჩანაწერი).

10 აგვისტოს, რუსულმა შეიარაღებულმა ძალებმა, ძირითადად, სამშვიდობო ძალების საიდენტიფიკაციო ნიშნებით, დაიწყეს დასავლეთ საქართველოს დაკავება.

2008 წლის აგვისტოში, კოლექტიური სამშვიდობო ძალები, რომლებიც განლაგებული იყვნენ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში, საქართველოსა და რუსეთს შორის 1994 წელს დადებული მოსკოვის ხელშეკრულების საფუძველზე, განთავსებული იყვნენ შემდეგ საკონტროლო პუნქტებზე: # 301 რუხი; # 302 ხუდონი; # 304 ერისწყალი; # 305 ფახულანი; # 306 შამგონა; #306ა შამგონა, # 308 განმუხური; # 309 (ბაზა) ანაკლია; # 310 ხურჩა; # 311 (ბაზა) რიყე; # 312 (ბაზა) ფოცხო-ეწერი; # 201 ჭუბურხინჯი; #202 (ბაზა) თაგილონი; # 203 ტყვარჩელი; # 5 მაღარო; # 204 (ბაზა) ენგურის ჰიდროელექტროსადგური; # 205 საბერიო, სამკერვალოს დასახლება; # 206 ენგურის ჰიდროელექტროსადგური, ნაჯიხურის დასახლება; # 207 (ბაზა) ქვიშონა; # 208 მეორე ოტობაია; # 209 ნაბაკევი; #210 ფიჩორი; # 211 სამარქვალო; # 101 ხიდი გალის არხზე; # 102 (ბაზა) რეჩხი; # 103 რეფო-ეწერი; # 104 პრიმორსკი; # 105 ზემო ბარგები; # 106 (ბაზა) ქვემო ლატა; # 107 ზემო ლატა; # 108 ქვემო გუმურიში; # 109 სიდა.

2008 წლის 10 აგვისტოს, დაახლოებით, 22:30 სთ-ზე, რუსულმა ჯარებმა, რუსული სამშვიდობო ძალებისა და აფხაზეთის დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარული შეიარაღებული ძალების ჩათვლით, გადაკვეთეს მდინარე ენგურზე მდებარე ადმინისტრაციული საზღვარი და შევიდნენ ზუგდიდის რაიონში. რუსულმა „სამშვიდობო ძალებმა“ დაიკავეს ქალაქ ზუგდიდის ადმინისტრაციული შენობების უმრავლესობა, და ულტიმატუმი წაუყენეს ადგილობრივ პოლიციას, რომ დაეყარათ იარაღი.[27] რუსი „მშვიდობისმყოფელების“ მიერ ქალაქების – ზუგდიდი, სენაკი და ფოთი და ასევე ხობისა და წალენჯიხის რაიონების სოფლების – ოკუპაცია 12 აგვისტოსათვის დასრულდა.

12 აგვისტოს, 11:00 სთ-ზე, რუსულმა საჰაერო-სადესანტო ჯარებმა და აფხაზეთის დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარულმა შეიარაღებულმა ძალებმა დაიწყეს სახმელეთო თავდასხმა ზემო აფხაზეთზე/კოდორის ხეობაზე. კოდორის ხეობის ოპერაცია დაიგეგმა 2008 წლის 30 აპრილიდან, ალექსანდრე პავლიუშკოს, აფხაზეთის დე-ფაქტო თავდაცვის მინისტრის მოადგილის მიერ, რომელიც ადრე რუსული სამშვიდობო ძალების მეთაური იყო შერეული სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში. გამომდინარე იქიდან, რომ მშვიდობისმყოფელის რანგში მან გამოცდილება მიიღო საქართველოში გაერო-ს სადამკვირვებლო მისიასთან ერთად, იგი ხშირად მოგზაურობით კოდორის ხეობაში

[27] იხ. დანართები 104-105 პასუხი კითხვაზე 1, სამხედრო საკითხების შესახებ დასმული შეკითხვებიდან.

2006–2008 წლებში და კარგად იცოდა იმ ადგილებში ქართული პოლიციის მდებარეობის ყველა წერტილი (იხ. დანართები 30-31, ფოტო-ვიდეო მასალისათვის).

ამრიგად, რუსული სამშვიდობო ძალები აქტიურად იყვნენ ჩართული საქართველოს სამხედრო თავდასხმასა და ოკუპაციაში. 2008 წლის აგვისტოს განმავლობაში, რუსული სამშვიდობო ძალები იმყოფებოდნენ რუსული საოკუპაციო ძალების მრავალ საკონტროლო პუნქტზე, რაც მათი სამშვიდობო მანდატისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების აშკარა დარღვევა იყო.

დიდი რაოდენობით მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებს რუსული სამშვიდობო ძალების მხრიდან მათი მანდატის სხვადასხვა სახით დარღვევების შესახებ, მათ შორის რუსული სამშვიდობო ძალების მიერ სენაკის ქართული სამხედრო ბაზისა და ფოთის სანაპირო დაცვის შენობების ძარცვის შესახებ, ხელმისაწვდომია საქართველოს სატელევიზიო რეპორტაჟებში (იხ. დანართები 32-33 სატელევიზიო რეპორტაჟებისა და მათი აღწერებისათვის).

რუსეთის ფედერაცია გამუდმებით ამტკიცებდა, რომ მათი შემოჭრის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იყო რუსულ სამშვიდობო ძალებზე განხორციელებული თავდასხმა. 8 აგვისტოს დილით, 02:37 სთ-ზე, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, გრიგორი კარასინი ტელეფონით დაუკავშირდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს გრიგოლ ვაშაძეს და აცნობა, რომ რუსეთი სამხედრო ძალის გამოყენებით უპასუხებდა ცხინვალში მისი მშვიდობისმყოფელების მოკვლის ფაქტს. დაახლოებით, საათნახევრის შემდეგ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში მივიდა რუსეთის ელჩი საქართველოში, რათა ოფიციალურად ეცნობებინა იგივე ინფორმაცია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პირველ შეტაკებას ქართულ შეიარაღებულ ძალებსა და რუსულ სამშვიდობო ძალებს შორის ადგილი ჰქონდა 06:00 სთ-ზე, კარასინის სატელეფონო ზარიდან სულ ცოტა, 3 საათის შემდეგ.

აქ მოტანილი მტკიცებულებები აჩვენებს, რომ რუსულმა სამშვიდობო ძალებმა როგორც აფხაზეთში, ასევე სამხრეთ ოსეთში, არამარტო ვერ შეასრულეს მათი, როგორც მშვიდობისმყოფელების, მანდატი, არამედ ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიეს მარიონეტული რეჟიმების სამხედროებს ომამდე არსებულ პერიოდში, ხოლო შემდომ, უშუალო მონაწილეობა მიიღეს საომარ მოქმედებებში, რუსული ინტერვენციის აქტიურ ფაზაში.

4. როგორი იყო პოზიციათა განლაგებისა და ოპერაციების ქრონოლოგია კოდორის ხეობაში და რა ძალები იყვნენ მასში ჩართული?

ქართული პოლიცია ზემო აფხაზეთში

2006 წლის ივლისი – 2008 წლის აგვისტო

კანონიერებისა და წესრიგის აღდგენა კოდორის ხეობაში

1. 2006 წლის ივლისში, კოდორის ხეობას აკონტროლებდა უკანონო შეიარაღებული დაჯგუფება, რომელსაც ხელმძღვანელობდა ხეობის ყოფილი გუბერნატორი ემზარ კვიციანი (დათხოვნილი იქნა 2004 წლის დეკემბერში) და მისი დისშვილი ბაჩო არღვლიანი. ეს ჯგუფი, სადაც შედიოდნენ მილიციის ყოფილი ბატალიონის „მონადირის“ წევრები (დაიშალა 2005 წლის აპრილში), ჩართული იყო იარაღით უკანონო ვაჭრობაში, მძევლების აყვანასა და ადამიანთა ტრეფიკინგში. კვიციანი და მისი ნათესავები აგრეთვე, ისაკუთრებდნენ ჰუმანიტარულ დახმარებას, რომელსაც საქართველოს მთავრობა უგზავნიდა რეგიონის მოსახლეობას. 2003 წლის ივნისში, მძევლად აყვანის ინციდენტის შემდეგ, საქართველოში გაერო-ს სადამკვირვებლო მისიამ, დროებით შეწვიტა კოდორის ხეობის მონიტორინგი.

2. 2006 წლის ივლისში, საქართველოს მთავრობამ შესთავაზა ემზარ კვიციანს დაეყარა იარაღი და საშუალება მიეცა ახლადდანიშნული ადგილობრივი ადმინისტრაციისა და პოლიციისათვის შესულიყვნენ ხეობაში. ბატონი კვიციანი მოთხოვნას არ დაემორჩილა და მოაწყო მთავრობის საწინააღმდეგო შეიარაღებული აჯანყება. ამის პასუხად, 2006 წლის 25-27 ივლისს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალურმა ძალებმა, პირადად მინისტრის, ივანე მერაბიშვილის მეთაურობით, ჩაატარეს ანტიკრიმინალური ოპერაცია, რათა რეგიონში კანონიერება და მართლწესრიგი აღედგინათ. 25 ივლისს, სოფელ საკენის მახლობლად, პოლიციასა და კრიმინალებს შორის გახსნილი ცეცხლის შემდეგ კვიციანი, არღვლიანი და მათი უახლოესი თანამებრძოლები გაიქცნენ ხეობიდან, აფხაზი სეპარატისტების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე, ხოლო მილიციის ყოფილი ბატალიონის, „მონადირის“ წევრების უმრავლესობამ იარაღი დაყარა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამოიღო რამდენიმე მილიონი აშშ დოლარის ღირებულების თანამედროვე რუსული შეიარაღების დიდი რაოდენობით მარაგი, გაათავისუფლა ადამიანთა ტრეფიკინგის რამდენიმე მსხვერპლი და დააპატიმრა მრავალი კრიმინალი, რომლებიც ხეობაში რამდენიმე წლის მანძილზე იმალებოდნენ. ემზარ კვიციანი ბოლოს რუსეთში წავიდა და საქართველოს მთავრობას რუსული ცენტრალური სატელევიზიო არხებით ტერორიზმის მრავალი მუქარა შემოუთვალა.

3. ამ წარმატებული ოპერაციის შემდეგ, საქართველოს მთავრობამ ოფიციალურად გადაარქვა კოდორის ხეობას სახელი და მას ზემო აფხაზეთი უწოდა, ხოლო შემდგომ, რეგიონის ადმინისტრაციულ ცენტრში, სოფელ ჩხალთაში, განათავსა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური (დევნილი) მთავრობა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა ხეობაში ინფრასტრუქტურის აღდგენა. 2006 წლის ნოემბრისათვის ზემო აფხაზეთში მან დაასრულა პოლიციის განყოფილების, პოლიციის ოფიცრების საცხოვრებელი სახლების, საავადმყოფოს, ბანკის, სკოლის, სოფელ ჩხალთას ადმინისტრაციის შენობისა და კომუნიკაციების მშენებლობა. საქართველოს მთავრობამ აგრეთვე, დაიწყო კოდორის ხეობის დანარჩენ საქართველოსთან დამაკავშირებელი გზის მშენებლობა.

ქართული პოლიციური ძალები ზემო აფხაზეთში

4. 2006 წლის აგვისტოს ბოლოდან, 2008 წლის აგვისტოს დასაწყისამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზემო აფხაზეთში ჰყავდა 380–580-მდე პოლიციის ოფიცერი (რაოდენობა იცვლებოდა უსაფრთხოების საჭიროებებიდან გამომდინარე). პოლიციის ამ ოფიცერთა უმრავლესობა, კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტიდან და სპეციალური დანიშნულების მთავარი განყოფილებიდან, ყოველთვიურად განიცდიდა როტაციას, ხოლო მცირე ნაწილი (დაახლ. 100 ადამიანი), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის მიერ ადგილობრივად იყო დაქირავებული, რათა დაეცვათ საქართველო-რუსეთის საზღვრის ზემო აფხაზეთის მონაკვეთი.

5. ქართული პოლიციის შენაერთები (საშუალოდ, შედგებოდა 30-40 პოლიციელისაგან) მუდმივად იმყოფებოდნენ სოფლებში – ქვაბჩარა, მრამბა, პტიში, ჩხალრა, აჟარა, მარცხენა გენწვისი, მარჯვენა გენწვისი, ომარიშარა და საკენი. ისინი მსუბუქი შეიარაღებით იყვნენ აღჭურვილი და აწარმოებდნენ პატრულირებას განსაზღვრულ რეჟიმში ხეობის ამ და სხვა სოფლებში (სულ, 22 სოფელი).

6. 2006 წლის 12 ოქტომბერს, საქართველოში გაერო-ს სადამკვირვებლო მისიამ და დსთ-ის კოლექტიურმა სამშვიდობო ძალებმა ჩაატარეს ზემო აფხაზეთის რეგულარული პატრულირება. შემდგომი ერთობლივი პატრულირების დროს, 2006 წლის 14–16 დეკემბერს, საქართველოში გაერო-ს სადამკვირვებლო მისიამ და დსთ-ის კოლექტიურმა სამშვიდობო ძალებმა იხილეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2006 წლის ივლისში ამოღებული შეიარაღების დიდი მარაგი, რომელიც განადგურდა. საქართველოში გაერო-ს სადამკვირვებლო მისიისა და დსთ-ის კოლექტიური სამშვიდობო ძალების მომდევნო ერთობლივი პატრულირება ჩატარდა 2007 წლის 5–7 მარტს, 2007 წლის 14–15 მაისს და 2007 წლის 4–6 ივნისს.

7. 2007 წლის ივლისში, საქართველოში გაერო-ს სადამკვირვებლო მისიამ განაახლა თავისი გუნდის წარმომადგენლობა სოფელ აჟარაში და დაიწყო მთლიანად ხეობის ყოველდღიური მონიტორინგი, რაც 2008 წლის 9 აგვისტომდე გაგრძელდა. ამ დროის განმავლობაში, UNOMIG-ის დამკვირვებლებს არ დაუფიქსირებიათ 1994 წლის მოსკოვის შეთანხმების რაიმე სახის დარღვევა ქართული მხარის მიერ ზემო აფხაზეთში, მაშინ როდესაც აფხაზმა სეპარატისტებმა, რუსული მხარის დახმარებით, რამდენიმე სერიოზული პროვოკაცია მოაწყვეს (გაერო-ს ანგარიშები კოდორის ხეობის შესახებ, იხ. დანართი 1).

რუსების /აფხაზების თავდასხმები ზემო აფხაზეთზე, აგვისტოს ომამდე არსებულ პერიოდში

8. 2006 წლის 25 ოქტომბერს, სოფელ აჟარაში ჩამოვარდა „ბმ - 21 /გრადის“ ტიპის სამი რაკეტა, მათ შორის, ერთი დაეცა ივანე მერაბიშვილის, საქართველოს შინაგან

საქმეთა მინისტრის მახლობლად, რომელიც იმ დროს ვიზიტით იმყოფებოდა კოდორის ხეობაში. ცეცხლი გაიხსნა აფხაზების მიერ კონტროლირებული ტყვარჩელის რაიონიდან.

9. 2007 წლის 11 მარტს, 22:10 სთ-დან 24:00სთ-მდე, კოდორის ხეობა მოექცა ერთდროული საარტილერიო და საჰაერო თავდასხმის ქვეშ. სულ ცოტა, 17 „ბმ21/გრადის“ ტიპის რაკეტა იყო ნასროლი მიწიდან და სულ ცოტა, 1 „ატ-9/ატაკას“ ტიპის მართვადი რაკეტა იყო ნასროლი ჰაერიდან. საჰაერო თავდასხმის სამიზნე იყო სოფელ ჩხალთაში მდებარე ადმინისტრაციის შენობა. საარტილერიო თავდასხმის სამიზნეები იყო: სოფელ ჩხალთაში მდებარე ადმინისტრაციის შენობა, ბენზინისა და საწვავი მასალების საწყობი და პოლიციის განყოფილება სოფელ აჟარაში. მაღალი სიზუსტის საჰაერო თავდასხმა თანამედროვე რაკეტების გამოყენებით, ვერტმფრენების ღამის ფრენები მთიან ადგილებში და მასიური საარტილერიო დაბომბვა იმის მანიშნებელია, რომ ეს იყო კარგად ორგანიზებული და დაგეგმილი სამხედრო ოპერაცია, რომლის ამ რეგიონში ჩატარება მხოლოდ რუსულ შეიარაღებულ ძალებს შეეძლოთ.

10. 2007 წლის 20 სექტემბერს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალურმა შენაერთმა კოდორის ხეობაში გაანეიტრალა 10-კაციანი შეიარაღებული დაჯგუფება, რომელსაც დაგეგმილი ჰქონდა თავდასხმის განხორციელება ზემო აფხაზეთის დანარჩენ საქართველოსთან დამაკავშირებელ გზაზე. ურთიერთსროლების შედეგად დაიღუპა ამ დაჯგუფების მეთაური და მისი მოადგილე. ისინი იდენტიფიცირებულნი იყვნენ, როგორც იგორ მუზავატკინი (რუსული შეიარაღებული ძალების ვიცე-პოლკოვნიკი, დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების ყოფილი წევრი, რომელიც კონტრაქტის საფუძველზე მსახურობდა აფხაზი სეპარატისტების უშიშროების სამსახურის სასაზღვრო ჯარების დივიზიაში) და არტურ ზორინი (რუსული შეიარაღებული ძალების მაიორი, აგრეთვე დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების ყოფილი წევრი). გამანადგურებელი ჯგუფის შვიდი წევრი, რომლებმაც თავი გაამჟღავნეს, აფხაზი სეპარატისტების უშიშროების სამსახურის სასაზღვრო ჯარების დივიზიის წევრებად, დააპატიმრეს. მოგვიანებით, კეთილი ნების ნიშნად, ისინი გაათავისუფლეს და გადასცეს აფხაზეთის სეპარატისტულ მთავრობას.

11. 2008 წლის 9 ივლისს, აფხაზეთის სეპარატისტულმა შეიარაღებულმა ძალებმა იერიში მიიტანეს კოდორის ხეობის ზევით მდებარე აჩამხარას მაღლობზე განლაგებულ პოლიციის ოფიცრებზე. ქართველმა პოლიციელებმა ცეცხლითვე უპასუხეს. ურთიერთსროლების შედეგად, დაიჭრა პოლიციის სამი ქართველი ოფიცერი და აფხაზური მილიციის ორი მებრძოლი. 2008 წლის 26 ივლისს, აფხაზეთის სეპარატისტულმა შეიარაღებულმა ძალებმა კოდორის ხეობაში მდებარე ქვაბჭარას მდინარის ველს ყუმბარმტყორცნებით გაუხსნა ცეცხლი. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა.

რუსეთის/აფხაზეთის ინტერვენცია და ზემო აფხაზეთის ოკუპაცია აგვისტოს ომის დროს

12. რუსეთის მთავრობა ამტკიცებს, რომ ზემო აფხაზეთსა და ზუგდიდის რაიონში რუსული შეიარაღებული ძალების მიერ ჩატარებული ოპერაციები მიზნად ისახავდა ქართული შეიარაღებული ძალების მხრიდან აფხაზეთზე შესაძლო თავდასხმის პრევენციას. თუმცა, უნდა ითქვას, რომ სენაკში განლაგებული ქართული შეიარაღებული ძალები 9 აგვისტოს, დილით ადრე, სრულად იქნა გადასროლილი ცხინვალის რეგიონში /სამხრეთ ოსეთში, რუსული სამხედრო თვითმფრინავის მიერ ზემო აფხაზეთზე მიტანილ პირველ საჰაერო იერიშამდე 9 აგვისტოს 13:40 სთ-ზე და 10 აგვისტოს და 12 აგვისტოს რუსული ჯარის მიერ სახმელეთო ოპერაციების დაწყებამდე, ზუგდიდის რაიონსა და ზემო აფხაზეთში. რუსულ არგუმენტებს სრულიად აქარწყლებს ის ფაქტი, რომ დასავლეთ საქართველოში რუსული შეიარაღებული ძალების მიერ წინ წაწევის დროს, არ არსებობდა რაიმე სახის ქართული სამხედრო კონტინგენტი.

8 აგვისტო

13. დაახლოებით, 23:45 სთ-თვის კოდორის ხეობას ორმა რუსულმა სამხედრო თვითმფრინავმა გადაუფრინა, რეკოგნისცირების მიზნით.

9 აგვისტო

14. დილით, აფხაზეთის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ მოსთხოვა გაერო-ს სადამკვირვებლო მისიას საქართველოში დაეტოვებინათ ზემო აფხაზეთი, ვინაიდან ისინი აპირებდნენ სამხედრო ოპერაციის დაწყებას რუსული არმიის შენაერთებთან ერთად, ქართული პოლიციიის ხეობიდან გაძევების მიზნით. საქართველოში გაეროს სადამკვირვებლო მისია დაემორჩილა მოთხოვნას და მაშინვე დატოვა დაკავებული ადგილები.

15. 13:00 სთ-სა და 14:40 სთ-ს შორის, რუსულმა სამხედრო თვითმფრინავმა დაბომბა ზემო აფხაზეთის რამდენიმე სოფელი, სოფელ ჩხალთაში მდებარე რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრის ჩათვლით, აგრეთვე, სოფლები ომარიშარა და აჟარა.

16. 9 აგვისტოს, 15:50 სთ-ზე, აფხაზეთის სეპარატისტულმა მთავრობამ ღიად გამოაცხადა, რომ ის იწყებდა სამხედრო ოპერაციის, რათა გაეძევებინა ქართული პოლიცია ზემო აფხაზეთიდან. (ამ განცხადებისათვის იხ. დანართი 2).

17. 22:20 სთ-დან 22:30 სთ-მდე, რუსულმა ავიაციამ კვლავ დაბომბა სოფლები – ჩხალთა და გენწვისი.

10 აგვისტო

18. 06:00 სთ-სა და 11:30 სთ-ს შორის, რუსულმა თვითმფრინავმა დაბომბა სოფლები – ჩხალთა და აჟარა.

19. დაახლოებით, 11:00 სთ-ზე, ქართულმა პოლიციამ დაიწყო ხეობიდან მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია.

20. 12:20 სთ-სა და 15:15სთ-ს შორის, რუსულმა ავიაციამ მძიმედ დაბომბა ხეობის დიდი ნაწილი, სოფელ ჩხალთას ჩათვლით.

21. 16:00 სთ-სა და 16:15სთ-ს შორის და 17:20 სთ-სა და 17:55 სთ-ს შორის, რუსულმა ავიაციამ კვლავ დაბომბა ზემო აფხაზეთის ნაწილები. ამ დაბომბვის შედეგად დაიჭრა ოთხი სამოქალაქო პირი და პოლიციის სამი ოფიცერი. შემდგომში მოხერხდა მათი ხეობიდან ევაკუაცია.

22. 17:40 სთ-ზე, აფხაზეთის დე-ფაქტო ხელმძღვანელმა, სერგეი ბაღაფშმა გამოაცხადა აფხაზეთის ტერიტორიაზე მობილიზაციისა და საომარი მდგომარეობის შესახებ (იხ. დანართი 1).

23. 19:40 სთ-სა და 20:05 სთ-ს შორის, და 20:20 სთ-სა და 20:30 სთ-ს შორის, რუსულმა თვითმფრინავმა დაბომბა ზემო აფხაზეთის ნაწილები.

24. 22:00 სთ-სა და 22:10 სთ-ს შორის, რუსულმა ავიაციამ დაბომბა სოფელი გენწვისი.

25. 22:30 სთ-ზე, რუსულმა ჯარებმა გადაკვეთეს მდინარე ენგურზე მდებარე ადმინისტრაციული საზღვარი და შევიდნენ ზუგდიდის რაიონში, სადაც არ იმყოფებოდნენ ქართული შეიარაღებული ძალები, ვინაიდან როგორც ზემოთ აღინიშნა, დასავლეთ საქართველოში პოსტირებული ქართული შეიარაღებული ძალები 9 აგვისტოს, დილით ადრე, სრულად იქნა გადასროლილი ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში.

11 აგვისტო

26. 00:20 სთ-სა და 03:30 სთ-ს შორის, რუსული ავიაცია ბომბავდა ზემო აფხაზეთის ნაწილებს, სოფელ ჩხალთის ჩათვლით.

27. 12:00 სთ-თვის, ქართულმა პოლიციამ დაასრულა ხეობიდან მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია (მთალიანობაში დაახლოებით, 2 000 ადამიანი).

28. 16.05 სთ-ზე, აფხაზეთის დე ფაქტო თავდაცვის მინისტრმა, მერაბ ქიშმარიამ დაიმუქრა, რომ გამოიყენებდა „ყველა საშუალებას, კოდორის ხეობაში აფხაზეთის იურისდიქციის დამყარებისთვის (ამ განცხადებისათვის იხ. დანართი 5).

29. 19:05 სთ-სა და 19:10 სთ-ს შორის, რუსული ავიაცია ბომბავდა ზემო აფხაზეთის ნაწილებს.

30. 20:00 სთ-ზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის ცნობილი გახდა, რომ რუსული არმიის შენაერთებმა, რომლებიც წინა დღეს ზუგდიდის რაიონში შევიდნენ, დაიწყეს გადაადგილება ჯვრის უღელტეხილის მიმართულებით, სვანეთში მდებარე ხაიშისკენ (საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ პროვინცია, რომელიც ესაზღვრება ზემო აფხაზეთს), საიდანაც ისინი ადვილად შეძლებდნენ კოდორის ხეობაში შესვლას და იქ მყოფი ქართული პოლიციის შენაერთებისათვის ალყის შემორტყმას. ეს რუსული კოლონა შედგებოდა 70 ერთეული მძიმე შეიარაღებისა და დაახლოებით, 600 რუსული ჯარისკაცისაგან. ამრიგად, იმისათვის, რათა ეს ალყა თავიდან აეცილებინათ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გადაწყვიტა დაუყოვნებლივ გამოეყვანა თავისი ძალები ზემო აფხაზეთიდან (კოდორის ხეობის მიმართულებით რუსების გადაადგილების შესახებ, იხ. დანართი 3).

31. ღამის განმავლობაში ქართულმა პოლიციამ (დაახლოებით, 450-მდე პოლიციელი) დატოვა ხეობა და ხაიშის გზით მესტიისაკენ დაიძრა.

12 აგვისტო

32. 03:00 სთ-ზე, კოდორის ხეობა დატოვა ქართველი პოლიციის ოფიცრების ბოლო ჯგუფმა. 08:00 სთ-ზე, ყველა ქართული საპოლიციო შენაერთი, რომელიც გამოვიდა კოდორის ხეობიდან, გასცდა ხაიშს და დაახლოებით, 12:00 სთ-თვის ისინი მესტიაში ჩავიდა.

33. 11:00 სთ-ზე, რუსულმა საჰაერო-სადესანტო ჯარებმა და აფხაზეთის გასამხედროებულმა ჯარებმა ზემო აფხაზეთში, სახმელეთო ოპერაცია წამოიწყეს.

34. 17:00 სთ-ზე, აფხაზეთის გასამხედროებულმა ჯარებმა დაიკავეს სოფლები ზემო აჟარა და ქვემო აჟარა.

35. 19:00 სთ-თვის, რუსულმა კოლონამ, რომელიც შედგებოდა 70 ერთეული მძიმე შეიარაღებისა და დაახლოებით 600 რუსული ჯარისკაცისაგან, გაიარა ჯვრის უღელტეხილი, მიაღწია ხაიშს და აღმოსავლეთიდან ჩაკეტა კოდორის ხეობაში მიმავალი გზა.

36. 20:40 სთ-თვის, აფხაზეთის გასამხედროებულმა ჯარებმა დაიკავეს ზემო აფხაზეთი.

ზემო აფხაზეთზე რუსული საჰაერო თავდასხმების დეტალური ქრონოლოგია

საჰაერო დაბომბვის თარიღი და დრო	**ადგილი**
9 აგვისტო – 13:42–13:50	კოდორის ხეობის დიდი ნაწილი
9 აგვისტო – 14:03–14:11	სოფელი ომარიშარა
9 აგვისტო – 14:26–14:39	სოფელი აჟარა

9 აგვისტო – 14:26–14:39	სოფელი ჩხალთა
9 აგვისტო – 22:20–22:30	სოფელი ჩხალთა სოფელი გენწვისი
10 აგვისტო – 06:02–09:15	სოფელი აჟარა სოფელი ჩხალთა
10 აგვისტო – 12:22–12:26 10 აგვისტო – 13:51–13:55	სოფელი ჩხალთა
10 აგვისტო – 15:05–15:55	კოდორის ხეობის დიდი ნაწილი
10 აგვისტო – 16:09–16:14	კოდორის ხეობის დიდი ნაწილი
10 აგვისტო – 17:21–17:55	კოდორის ხეობის დიდი ნაწილი
10 აგვისტო – 19:40–20:05	კოდორის ხეობის ნაწილები
10 აგვისტო – 20:23 – 20:27	კოდორის ხეობის ნაწილები
10 აგვისტო – 22:03–22:09	სოფელი გენწვისი
11 აგვისტო – 00:19–00:39	კოდორის ხეობის ნაწილები
11 აგვისტო – 02:09–02:40	სოფელი ჩხალთა
11 აგვისტო – 03:03–03:29	კოდორის ხეობის ნაწილები
11 აგვისტო – 19:05–19:10	კოდორის ხეობის ნაწილები

ზემო აფხაზეთის ოკუპირებული სოფლები

საქართველოს მთავრობამ კონტროლი დაკარგა ზემო აფხაზეთის 22 სოფელზე, რომლებიც აგვისტოს ომამდე, მის ადმინისტრაციას ექვემდებარებოდა:

1. საკენი
2. ომარიშარა
3. გვანდრა
4. მარცხენა გენწვისი
5. მარჯვენა გენწვისი
6. ხუტია
7. ზემო აჟარა
8. ქვემო აჟარა
9. ნახარი
10. მრამბა
11. ხევწყარა
12. მარცხენა პტიში
13. მარჯვენა პტიში
14. ჩხალთა
15. ბუძგური
16. შაბატყვარა

17. ზემო ზიმა
18. ქვემო ზიმა
19. ქვაბჩარა
20. ბუჩუკური
21. აძგარა
22. ტვიბრაშენი

5. რა ტიპის შენაერთები იყო გამოყენებული და საერთოდ, რა რაოდენობის ჯარი იყო გამოყვანილი და კერძოდ, რა ოპერაციებისათვის?
რამდენი იყო სამხედრო მოსამსახურეებისა და რეზერვისტების პროცენტული შემცველობა?

a) რა ტიპის შენაერთები იყო გამოყენებული და საერთოდ, რა რაოდენობის ჯარი იქნა გამოყვანილი და კერძოდ, რა ოპერაციებისათვის?

კონფლიქტის დროს, სამხედრო ოპერაციებში ქართულ მხარეს ჩართული ჰყავდა შემდეგი ერთეულები (ჯამური სიმძლავრე დაახლოებით, 10 000):

– სახმელეთო ძალების სარდლობა – II, III, IV ქვეითი ბრიგადები, I საარტილერიო ბრიგადა, 53-ე ქვეითი ბატალიონი, საარტილერიო და მექანიზებული ბატალიონები (1-ელი ბრიგადა), ცალკეული სატანკო ბატალიონი, ცალკეული ქვეითი ბატალიონი, საჰაერო დაცვის ბატალიონი, სამედიცინო ბატალიონი.

საჰაერო ძალების ნაწილი – სუ-25 ფიქსირებული ფრთებით, მი-24 მბრუნავი ფრთებით, მი-8/17, UH–IH მბრუნავი ფრთებით, საჰაერო თავდაცვის რადარი და SHORAD (Short Range Air Defense) – მოკლე დიაპაზონის საჰაერო თავდაცვის შენაერთები.

– სპეციალური დანიშნულების ნაწილი – სპეციალური დანიშნულების ბატალიონი.

– განათლების (წვრთნის) დეპარტამენტი – სამთო წვრთნის სკოლის შენაერთი, კრწანისის ტრენინგ-ცენტრის შენაერთი.

– ეროვნული გვარდიის დეპარტამენტი – სარეზერვო შენაერთები.

– სამხედრო პოლიციის დეპარტამენტი – მოძრაობის მართვის გუნდები.

– შეიარაღებული ძალების ლოგისტიკის დეპარტამენტი – ლოგისტიკური დახმარების ბატალიონი.

– შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმისა და კონტრტერორისტული ბატალიონის შენაერთები.

– I ბრიგადა იმყოფებოდა ერაყში და დაბრუნების შემდეგ, ბრძოლებში მონაწილეობა არ მიუღია.

რაც შეეხება რუსულ მხარეს, ქვემოთ მოყვანილია რუსული არმიის იმ შენაერთების არასრული სია, რომლებიც საქართველოში შემოჭრაში მონაწილეობას იღებდნენ (ეს ინფორმაცია მოპოვებულია რუსული მასმედიის სხვადასხვა წყაროებიდან):

1. რუსული სახმელეთო შეიარაღებული ძალების 58-ე არმია, შემდეგის ნაწილების ჩათვლით:

- მე-19 მსროლელთა მოტორიზებული დივიზია – ვლადიკავკაზი, ჩრდილო ოსეთი, რომელიც წარმოდგენილი იყო შემდეგი ძალებით:
  - 135-ე ცალკეული მსროლელთა მოტორიზებული პოლკი – პროხლადნი, ყაბარდო-ბალყარეთი (7 აგვისტოს შემოვიდა);
  - 693-ე ცალკეული მსროლელთა მოტორიზებული პოლკი – ზამარაგი, ჩრდილო ოსეთი (7 აგვისტოს შემოვიდა);
  - ყუბანელი კაზაკების სახელობის 429-ე ცალკეული მსროლელთა მოტორიზებული პოლკი – მოზდოკი, ჩრდილო ოსეთი;
  - 503-ე ცალკეული მსროლელთა მოტორიზებული პოლკი – ტროიცკოე, ინგუშეთი;
  - 292-ე თვითმავალი საარტილერიო პოლკი – ვლადიკავკაზი, ჩრდილო ოსეთი;
  - 1415-ე ცალკეული თვითმფრინავით მართული საარტილერიო ბატალიონი, პროხლადნი, ყაბარდო-ბალყარეთი;
  - 141-ე ცალკეული სატანკო ბატალიონი – ვლადიკავკაზი, ჩრდილო ოსეთი;
  - 239-ე ცალკეული სადაზვერვო ბატალიონი – ვლადიკავკაზი, ჩრდილო ოსეთი;
  - 136-ე ცალკეული მსროლელთა მოტორიზებული ბრიგადა – ბუინაკსკი, დაღესტანი;
  - 481-ე საჰაერო თავდაცვის სარაკეტო პოლკი – ვლადიკავკაზი, ჩრდილო ოსეთი.

- 42-ე მსროლელთა მოტორიზებული დივიზია – ხანკალა, ჩეჩნეთი, რომელიც წარმოდგენილი იყო შემდეგი ძალებით:
  - სპეციალური ბატალიონი „ვოსტოკი“– გუდერმესი, ჩეჩნეთი (ამჟამად იმყოფება გრუ-ს განკარგულებაში);
  - 70-ე მსროლელთა მოტორიზებული პოლკი – შალი, ჩეჩნეთი;
  - 71-ე მსროლელთა მოტორიზებული პოლკი – ხანკალა, ჩეჩნეთი;
  - 291-ე მსროლელთა მოტორიზებული პოლკი – ბორზოი, ჩეჩნეთი.
- 33-ე სამთო მსროლელთა მოტორიზებული ბრიგადა – ბოტლიხი, დაღესტანი (ჩამოყალიბდა ვლადიმერ პუტინის 2006 წლის 30 ივნისის სპეციალური ბრძანების თანახმად, სრულად დაკომპლექტდა 2007 წლის 1-ელი დეკემბრისათვის);

- 34-ე სამთო მსროლელთა მოტორიზებული ბრიგადა – ზელენჩუკი, ყარაჩაევო-ჩერქეზეთი (ჩამოყალიბდა ვლადიმერ პუტინის 2006 წლის 30 ივნისის სპეციალური

ბრძანების თანახმად, განლაგებული იყო აფხაზეთში, მაგრამ ბრძოლებში მონაწილეობა არ მიუღია);

- 114-ე სარაკეტო ბრიგადა – ზნამენსკი, ასტრახანის რაიონი (”ტოჩკა-უ” და ”ისკანდერის” ტიპის რაკეტები), კაპუსტინ იარის საცდელი ცენტრი, ასტრახანის რაიონი;

- 67-ე ცალკეული ანტისაჰაერო სარაკეტო ბრიგადა – ვოლგოგრადი, ვოლგოგრადის რაიონი;

- 20-ე მსროლელთა მოტორიზებული დივიზია – ვოლგოგრადი, ვოლგოგრადის რაიონი (გადასხმული იყო აფხაზეთში, მაგრამ ბრძოლებში მონაწილეობა არ მიუღია);

2. რუსული საჰაერო შეიარაღებული ძალები, შემდეგის ჩათვლით:

- 76-ე საჰაერო დივიზია – ფსკოვი, ფსკოვის რაიონი, რომელიც წარმოდგენილი იყო შემდეგით:
  - 104-ე საჰაერო პოლკი;
  - 234-ე საჰაერო პოლკი;

- 98-ე საჰაერო დივიზია – ივანოვო, ივანოვოს რაიონი, რომელიც წარმოდგენილი იყო შემდეგით:
  - 217-ე საპარაშუტო პოლკი;

- 45-ე ცალკეული სადაზვერვო პოლკი – კუბინკა, მოსკოვის ოლქი, კერძოდ, მისი სპეციალური დანიშნულების ძალების 218-ე ბატალიონი;

- მე-7 საჰაერო-სადესანტო (სამთო) დივიზია – ნოვოროსიისკი, კრასნოდარის ხარე, რომელიც წარმოდგენილი იყო შემდეგით:
  - კავკასიელი კაზაკების 247-ე საჰაერო თავდამსხმელი ბატალიონი – სტავროპოლი, სტავროპოლის მხარე (შევიდა კოდორის ხეობაში);

- 31-ე საჰაერო ბრიგადა – ულიანოვსკი, ულიანოვსკის რაიონი (განლაგებული იყო აფხაზეთში, მაგრამ ბრძოლებში მონაწილეობა არ მიუღია);

3. რუსეთის სამხედრო დაზვერვის (გრუ) სპეციალური დანიშნულების ძალები, შემდეგის ჩათვლით:

- სპეციალური დანიშნულების 22-ე ბრიგადა – აკსაი, როსტოვის რაიონი;
- სპეციალური დანიშნულების მე-10 ბრიგადა – მოლკინო, კრასნოდარის რაიონი;

4. რუსეთის საჰაერო ძალები, შემდეგის ჩათვლით:

- რუსეთის საჰაერო ძალების მე-4 არმია – დონის როსტოვი, როსტოვის რაიონი. წარმოდგენილი იყო შემდეგით:
  - 1-ელი საჰაერო დივიზიის (ეისკი, კრასნოდარის მხარე) 368-ე მოიერიშე ავიაციის პოლკი – ბუდიონოვსკი, სტავროპოლის მხარე (სუ-25);
  - 1-ელი საჰაერო დივიზიის (ეისკი, კრასნოდარის მხარე) 461-ე მოიერიშე ავიაციის პოლკი – კრასნოდარი, კრასნოდარის მხარე (სუ-25);

- უმაღლესი მთავარსარდლობის 37-ე საჰაერო არმია (სტრატეგიული დანიშნულების) – მოსკოვი, რომელიც წარმოდგენილი იყო შემდეგით:
  - 22-ე მძიმე ბომბდამშენი საჰაერო დივიზიის (ენგელსი, სარატოვის რაიონი) 52-ე მძიმე ბომბდამშენი საჰაერო პოლკი – შაიაკოვკა, კალუგის ოლქი (ტუ-22 მ3);
  - 22-ე მძიმე ბომბდამშენი საჰაერო დივიზიის (ენგელსი, სარატოვის რაიონი) 840-ე მძიმე ბომბდამშენი საჰაერო პოლკი – სოლცი, ნოვგოროდის ოლქი (ტუ-22 მ3);

- რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს ვ. პ. ჩკალოვის სახელობის 929-ე სახელმწიფო საფრენი და საცდელი ცენტრი – აკტიუბინსკი, ასტრახანის ოლქი (სუ-24მ);

- ვ. პ. ჩკალოვის სახელობის მებრძოლთა მომზადებისა და პილოტების ტრენინგის მე-4 ცენტრი – ლიპეცკი, ლიპეცკის ოლქი (სუ-24მ);

- კიდევ რამდენიმე სუ-24, სუ-25, სუ-27, მიგ-29 საჰაერო პოლკი (ზუსტი დასახელებები უცნობია). ამ თვითმფრინავების უმრავლესობა აფრინდა ჩრდილო ოსეთში მდებარე, მოზდოკის საჰაერო ბაზიდან;

5. რუსეთის ფედერაციის საზღვაო ძალების შავი ზღვის ფლოტი, შემდეგის ჩათვლით:

- 30-ე ზედაპირული ბრძოლების დივიზიის 197-ე გემი – ამფიბიების ბრიგადა, რომელიც წარმოდგენილი იყო შემდეგით:
  - მართული სარაკეტო კრეისერი „მოსკვა,“ 1983;
  - ზედაპირული აკუსტიკური ტალღის დამშლელი „სმერტლივი,“ 1969;

- 30-ე ზედაპირზე ბრძოლების დივიზიის მე-11 წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო გემების ბრიგადა, რომელიც წარმოდგენილი იყო შემდეგით:
  - გადასასხმელი გემი „ცეზარ კურნიკოვი,“ 1986;
  - გადასასხმელი გემი „სარატოვი,“ 1966;
  - გადასასხმელი გემი „იამალი,“ 1987;

- სარაკეტო ნავების 41-ე ბრიგადის ნოვოროსიისკის 166-ე მცირე სარაკეტო ნავების ბატალიონი, რომელიც წარმოდგენილი იყო შემდეგით:
  - მართვადი სარაკეტო კორვეტი „მირაჟი,“ 1983;
  - მართვადი სარაკეტო კორვეტი „სამუმი,“ 1991;

- ნოვოროსიისკის სანაპირო თავდაცვის 184-ე ბრიგადა, რომელიც წარმოდგენილი იყო შემდეგით:
  - ზედაპირული აკუსტიკური ტალღის კორვეტი „პოვორინო,“ 1989;
  - ზედაპირული აკუსტიკური ტალღის კორვეტი „კასიმოვი,“ 1986;
- საპატრულო გემების 112-ე ბრიგადა, რომელიც წარმოდგენილი იყო შემდეგით:
  - მცირე საპატრულო გემი „ეკვატორი,“ 1968;

- სანაპირო თავდაცვის საომარი 68-ე ბრიგადის მე-400 წყალქვეშა გემების საწინააღმდეგო ბატალიონი, რომელიც წარმოდგენილი იყო შემდეგით:
  - ზედაპირული აკუსტიკური ტალღის კორვეტი „სუზდალეცი,“ 1983;

- სანაპირო თავდაცვის საომარი 68-ე ბრიგადის 418-ე წყალქვეშა გემების საწინააღმდეგო ბატალიონი, რომელიც წარმოდგენილი იყო შემდეგით:
  - ზღვაზე მავალი გამნაღმველი „ტურბინისტი,“ 1972;
  - ზღვაზე მავალი გამნაღმველი „ჟუკოვი,“ 1977.

b) რამდენი იყო სამხედრო მოსამსახურეებისა და რეზერვისტების პროცენტული შემცველობა?

ქართული მხრიდან წარმოდგენილი ყველა შენაერთი დაკომპლექტებული იყო პროფესიონალი მოსამსახურეებით და საომარ მოქმედებებში ახალწვეულები მონაწილეობას არ იღებდნენ. რუსული ინტერვენციის მასშტაბის გამო, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ გამოსცა ბრძანება რეზერვისტების მობილიზაციის შესახებ (დაახლოებით, 5 000 რეზერვისტი იყო მობილიზებული). თუმცა, ისინი საომარ მოქმედებებში მონაწილეობას არ იღებდნენ.

6. რა სახით იყო წარმოდგენილი ორგანიზაციული ნაწილი, მართვა და კონტროლი?
ქართული სამხედრო ოპერაციების მართვა და კონტროლი წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:



7. 7. რა დონის გადაწყვეტილებები იქნა მიღებული მიზნების შერჩევისას და რა საშუალებები იყო ჩართული?

ოპერაციების განსაზღვრულ მიზნებთან ერთად და დაზვერვის მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოს შეიარაღებული ძალების დავალების ერთობლივი ჯგუფი ადგენდა სამხედრო სამიზნეებს, რაც გადაიცემოდა ტაქტიკურ დონეზე.

ცეცხლი მიმართული იყო ორი ტიპის სამიზნეზე: ა) დაზვერვის ინფორმაციის მიხედვით წინასწარ განსაზღვრულ სამიზნეებზე; ბ) ოპერაციის მსვლელობის დროს განსაზღვრულ იმ სამიზნეებზე, საიდანაც ცეცხლს ესვროდნენ საქართველოს მიერ კონტროლირებად სოფლებს, სამშვიდობო ძალებს და აგრეთვე, საქართველოს შეიარაღებულ ძალებს.

არტილერიისა და საჰაერო ძალებისათვის წინასწარ განსაზღვრული სამიზნეების მატრიცა მტრის პოზიციებზე, შემუშავდა J2 დეპარტამენტის მიერ. წინასწარ განსაზღვრულ სამიზნეებთან ერთად, ცეცხლი მიმართული იყო აგრეთვე, იმ სამიზნეებისაკენ, რომლებიც მტრის მიერ მათი საბრძოლო მიზნებისათვის გამოყენების გამო, კანონიერი სამიზნე გახდა.

ძალთა ჩართულობის წესების მიხედვით, შენაერთების მეთაურები (როგორებიცაა, ბრიგადის, ბატალიონის, შენაერთის, ოცეულის დონე) ბრძოლების დროს განსაზღვრავდნენ ამგვარი სახის ცალკეულ სამიზნეებს და უფლებამოსილი იყვნენ მიეღოთ გადაწყვეტილება ცეცხლის დაბრუნების შესახებ.

გამოყენებული საარტილერიო ობიექტებისა და საშუალებების კატეგორიები

1. ქალაქ ცხინვალში და მის შემოგარენში მდებარე სამხედრო ობიექტები, აგრეთვე საცეცხლე მხარდაჭერა საქართველოს შეიარაღებული ძალების ფლანგებზე გადაადგილების დროს (ჰაუბიცები და 120 მმ, 152 მმ, და 203 მმ კალიბრის მქონე იარაღი);

2. ძარასა და გერის შემოვლით გზებზე, მტრის მოძრავი კოლონები და აგრეთვე, გუფთას ხიდის მიმდებარე ტერიტორიები (122 მმ და 162 მმ კალიბრის მქონე ცეცხლსასროლი სარაკეტო სისტემები);

3. გუფთას ხიდი (203 მმ კალიბრის მქონე იარაღი და საჰაერო დაბომბვა).

წინასწარ განსაზღვრული სამხედრო სამიზნეები, სამხრეთისაკენ მოძრავი რუსული სამხედრო კოლონების ჩათვლით

1. გუფთას ხიდი;
2. შეიარაღებული კოლონები ძარასა და გერის შემოვლით გზებზე;
3. ე. წ. „სარეაბილიტაციო ცენტრი“ ცხინვალში (2 500 მოსამსახურის ყაზარმები);
4. ე. წ. თავდაცვის სამინისტრო ცხინვალში;
5. მარიონეტული რეჟიმის მეომრების შტაბი ცხინვალის ე. წ. „შანხაის“ დასახლებაში;
6. ოცეულის მიერ გამაგრებული პოზიცია, გაძლიერებული სამი ტანკით, ცხინვალის ასფალტის ქარხნის მახლობლად;
7. შენაერთის მიერ გამაგრებული პოზიცია, გაძლიერებული შეიარაღებული შენაერთებით (თლიაყანას მაღლობი);
8. ოცეულის მიერ გამაგრებული პოზიცია, გაძლიერებული 3-5 ერთეული ჯავშანტექნიკით, ცხინვალის ე. წ. ტრაქტორის ქარხნის მახლობლად;
9. ოცეულის მიერ გამაგრებული პოზიცია, გაძლიერებული 3-5 ერთეული ჯავშანტექნიკით, ცხინვალის ცემენტის ქარხნის მახლობლად;
10. მტრის არტილერიის ერთი ბატალიონი, განლაგებული სოფლების – დამპალეთის და მონასტერის მახლობლად;
11. ჯავშანტექნიკის ერთი შენაერთი სოფელ კუსირეთის მახლობლად;
12. საარტილერიო პოზიცია სოფელ ხეთაგუროვოს მახლობლად;

13. ოცეულის მიერ გამაგრებული პოზიცია, გაძლიერებული ჯავშანტექნიკით და 120 მმ-იანი ნაღმმტყორცნით, სოფელ უბიათის მახლობლად;
14. ურადანთას მთაზე მდებარე სამხედრო ბაზა.

8. რა სახის წრთვნა ჩაუტარდათ ოპერაციებში ჩართულ ჯარისკაცებს კონფლიქტების შესახებ საერთაშორისო სამართლის სფეროში?
რა გეგმები დაისახა მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად სამხედრო ოპერაციების დაწყებამდე? რა გააკეთეს რეგულარულმა შეიარაღებულმა ძალებმა, რათა ხელი შეეშალათ ადამიანის უფლებების დარღვევისათვის, ძარცვის, სახლების გადაწვის და ა. შ. ჩათვლით 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების დროს და მათ შემდეგ?

ა) რა სახის წრთვნა ჩაუტარდათ ოპერაციებში ჩართულ ჯარისკაცებს კონფლიქტების შესახებ საერთაშორისო სამართლის სფეროში?

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ვრცელი კურსი საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო აკადემიის აკადემიური კურსის შემადგენელი ნაწილია. ლექციებს კითხულობენ ლექტორები, რომელთაც ტრენინგები გაიარეს სან რემოში, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის კურსების იმ სერიის დროს, რომელიც წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა მოაწყო.

ამასთან, 2002 წლის 25 ოქტომბერს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს შორის გაფორმდა შეთანხმება „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ინტეგრაციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ.“ 2007 წლის 16 მარტს, ხელი მოეწერა ხელშეკრულებას – „საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წესების გავრცელების სფეროში.“ ამ ხელშეკრულებების საფუძველზე, საქართველოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები ესწრებოდნენ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის საკითხებზე ჩატარებულ სემინარებს.

აქ მნიშვნელოვანი და უპრიანი იქნება აღინიშნოს, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების წევრების მნიშვნელოვან რაოდენობას მიღებული აქვს მონაწილეობა სამშვიდობო და საერთაშორისო დახმარების ოპერაციებში, ერაყისა და კოსოვოს ჩათვლით. ამ მოსამსახურეებიდან, ყველას აქვს გავლილი ვრცელი ტრენინგი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის საკითხებზე.

ბ) რა გეგმები დაისახა მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად სამხედრო ოპერაციების დაწყებამდე?

იმ ფაქტის გამო, რომ საქართველოს მთავრობას არ გააჩნდა არავითარი გეგმა სამხედრო ოპერაციის ჩატარებისათვის, არ არსებობდა მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის რაიმე კონკრეტული გეგმა.

2009 წლის 7 აგვისტოს, საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემულ ბრძანებაში რუსეთის თავდასხმის საპასუხოდ, თავდაცვითი ოპერაციის დაწყების შესახებ სპეციალურად იყო გამოყოფილი ცხინვალის რეგიონის/სამხრეთი ოსეთის მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის საკითხი, როგორც ერთ-ერთი ოთხი ძირითადი მიზნიდან. ქართველ სამხედროებს არა მარტო ევალებოდათ განმასხვავებელი პრინციპის დაცვა, არამედ მოეთხოვებოდათ უზრუნველეყოთ მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა, იმ მოსახლეობის ჩათვლით, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად სოფლებში ცხოვრობენ, ცხინვალიდან ჩრდილოეთით. ისინი მძიმე საარტილერიო დაბობმვის ქვეშ იმყოფებოდნენ.

დეტალური ინფორმაცია საქართველოს შეიარაღებული ძალების რეალური შესრულების დონის შესახებ მოცემულია კითხვარის ჰუმანიტარული და სამხედრო საკითხებზე გაცემული პასუხების სექციაში. ამ კითხვებში მოცემული ინფორმაციის კონტექსტში, მნიშვნელოვანია ინფორმაცია იმ ჰუმანიტარული დერეფნის შინაარსისა და მიზნების შესახებ, რომელიც საქართველოს მთავრობამ მოაწყო 8 აგვისტოს, 15:00 სთ-ზე. მიუხედავად იმ რისკისა, რომელიც სამხედრო თვალსაზრისით არსებობდა, საქართველოს მთავრობამ 15:00-დან 18:00-მდე, ცხინვალიდან ერგნეთამდე გამოაცხადა ჰუმანიტარული კორიდორი, რათა დარჩენილი მშვიდობიანი მოსახლეობისათვის მიეცათ საშუალება დაეტოვებინათ სამხედრო ოპერაციების ზემოქმედების ქვეშ მყოფი ტერიტორიები.

გ) რა გააკეთეს რეგულარულმა შეიარაღებულმა ძალებმა, რათა ხელი შეეშალათ ადამიანის უფლებების დარღვევისათვის, ძარცვის, სახლების გადაწვის და ა. შ. ჩათვლით, 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების დროს და მათ შემდეგ?

საომარი მოქმედებების მსვლელობის დროს, ადამიანის უფლებებში ადრე გავლილი ტრენინგები, სამხედრო პოლიციის ადგილზე ყოფნა და უმაღლესი ხელისუფლებისაგან მიღებული მკაფიო ინსტრუქციები საკმარისი უნდა ყოფილიყო სამხედრო ოპერაციების ზემოქმედების ადგილებში მყოფი ყველა სამოქალაქო პირის დაცვის უზრუნველსაყოფად. აღსანიშნავია, რომ ქართველი სამხედროები არ აწარმოებდნენ არც ძარცვას და არც ცუდად ეპყრობოდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. თუმცა, თუ რაიმე სანდო ინფორმაცია ცნობილი გახდება საქართველოს მთავრობისათვის, ის საფუძვლიანად იქნება გამოკვლეული.

Human Rights Watch-მა აღნიშნა, რომ ქართველი სამხედროები მკაცრად იცავდნენ პრეზიდენტის ბრძანებას „დაეცვათ მშვიდობიანი მოსახლეობა.“

> Human Rights Watch-ის მიერ გამოკითხული მოწმეების უმრავლესობა არ უჩიოდა ქართული შეიარაღებული ძალების მხრიდან რაიმე სხვა ტიპის დარღვევებს მათ წინააღმდეგ. მათი ინფორმაციით, <u>უმრავლეს შემთხვევებში ჯარები, რომლებიც სოფლებში შემოდიოდნენ, მშვიდობიან მოსახლეობას გამიზნულ ზიანს არ აყენებდნენ.</u> რამდენიმე ოსმა გამოკითხულმა პირმა აღნიშნა, რომ ქართველმა ჯარისკაცებმა მათ უთხრეს, რომ მათ ნაბრძანები ჰქონდათ ოსური მილიციის

> წევრების მოძებვნა და დაკავება **მაგრამ დაინდობდნენ ქალებს, ბავშვებსა და მოხუცებს სახმელეთო თავდასხმების დროს.**[28]
>
> ზარეტა ზ.-მ, სოფელ სარაბუკიდან, თქვა, რომ ქართველი ჯარისკაცები შევიდნენ სარდაფში, სადაც ის თავის ქმართან ერთად იმალებოდა და უთხრეს მათ, „ახლა თქვენ ჩვენთან, ქართველებთან, ერთად იცხოვრებთ, და ჩვენ ყველანი ვიცხოვრებთ მშვიდობაში. **მიშამ [სააკაშვილი] გვითხრა, რომ ქალებს და ბავშვებს ხელი არ უნდა ვახლოთ.** ჩვენ ინსტრუქცია გვაქვს მიღებული, რომ მხოლოდ ახალგაზრდა ბიჭები [მებრძოლები] უნდა დავხოცოთ. და ჩვენც, სწორედ ამას გავაკეთებთ. თქვენ არ უნდა შეწუხდეთ.“ იგივე სოფლიდან კიდევ ერთმა ქალმა, სვეტლანა ს.-მ, აგრეთვე თქვა, რომ ქართველი ჯარისკაცები ეუბნებოდნენ სოფლელებს, რომ **„ჩვენ არ უნდა მოვკლათ არც ერთი მცხოვრები და არც ვაპირებთ ამას! ყველანი ხართ უსაფრთხოდ!**“[29]

აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ მას შემდეგაც კი, რაც რუსეთმა მოახდინა ტერიტორიის ოკუპაცია, საქართველოს მთავრობა ყველაფერს აკეთებდა პოლიციის მინიმალური რაოდენობის შენარჩუნებისთვის, რათა მშვიდობიანი მოსახლეობა რამენაირად დაცული ყოფილიყო. პოლიცია მართლაც, უკანასკნელი იყო, რომელმაც დატოვა სოფლები და ქალაქები რუსების შემოსვლის შემდეგ. იმ ერთადერთი მიზნით, რომ მორალური მხარდაჭერა გაეწია მშვიდობიანი მოსახლეობისათვის და თუ ვერ აღკვეთდა, აღერიცხა მაინც, ცუდად მოპყრობისა და ძარცვის ფაქტები, ზუგდიდის (დასავლეთი საქართველო) პოლიცია იმასაც კი დათანხმდა, რომ დაეყარა იარაღი საოკუპაციო ძალების მოთხოვნით, დარჩენის სანაცვლოდ.

თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ არანაირი ეფექტიანი შედეგი ამ მცდელობებს არ მოჰყოლია, რადგან ადამიანის უფლებების დარღვევები რუსების, აგრეთვე, მარიონეტული რეჟიმის ხელისუფლებების და არარეგულარული შეიარაღებული ძალების მხრიდან – ცუდად მოპყრობის, ძარცვის, გადაწვის, მოკვლისა და ეთნიკურ ნიადაგზე დისკრიმინაციის ფაქტები მძიმე ტვირთად დააწვა მშვიდობიან მოსახლეობას, რომლებსაც ზიანი მიაყენეს როგორც საომარი მოქმედებების მსვლელობის დროს, ისე მათ შემდეგაც.[30]

9. რა გეგმები იქნა დასახული კონფლიქტის ზონიდან ძალების გამოყვანისა და გადაადგილებისათვის?
რა თანმიმდევრობით და რა ვადებში იქნა ჯარები გაყვანილი ან გადაადგილებული? როგორი იყო ამ გამოყვანისა და გადაადგილების თანმიმდევრობა და გრაფიკი?

---

[28] Human Rights Watch, ცეცხლის ალში - ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და სამოქალაქო მსხვერპლი სამხრეთ ოსეთში განვითარებულ კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), 2009, გვ. 61.
[29]

[30] იხ.: დანართი შეკითხვაზე 8: ინციდენტების სია.

ა) რა გეგმები იქნა დასახული კონფლიქტის ზონიდან ძალების გამოყვანისა და გადაადგილებისათვის?

ქართული შეიარაღებული ძალების კონფლიქტის ზონიდან გამოყვანის გეგმა შემუშავდა ომის მსვლელობის დროს. ომის დაწყებამდე მსგავსი გეგმა არ არსებობდა.

ბ) რა თანმიმდევრობით და რა ვადებში იქნა ჯარები გაყვანილი ან გადაადგილებული?

2008 წლის 10 აგვისტოს, ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა მიიღეს ბრძანება უკან დახევისა და თავდაცვითი პოზიციების გაამგრების შესახებ სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვართან.

2008 წლის 11 აგვისტოს, ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა მიიღეს ბრძანება დაეტოვებინათ საბრძოლო ასპარეზი, რათა გადასულიყვნენ უსაფრთხო ადგილზე და ჩაეტარებინათ სათანადო ქმედებები, დედაქალაქ თბილისის დასაცავად..დაეცვათ

10. რა სამხედრო მზადება ტარდებოდა 2008 წლის აგვისტომდე?

რუსეთის სამხედრო მზადებები ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში და მის მახლობლად

რუსული სამხედრო ბაზები და სხვა სამხედრო ინფრასტრუქტურა ცხინვალის რეგიონში /სამხრეთ ოსეთში

- 2007–2008 წლებში რუსეთის მთავრობამ სამხრეთ ოსეთში ორი სამხედრო ბაზა ააგო – ერთი უგარდანთაში, ჯავას რაიონში და მეორე, ქალაქ ცხინვალის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (აქ არის მოცემული ამ ბაზების შესაბამისი გამოსახულებები, გადაღებული თანამგზავრიდან, მაგრამ აგრეთვე, შეგიძლიათ იხილოთ დანართებში 1-2 ვიდეო მასალისათვის).

1. სამხედრო ბაზა ცხინვალის ე. წ. „ბამის“ დასახლებაში უმოკლეს პერიოდში აშენდა. მისი მშენებლობა დაიწყო 2007 წლის ბოლოს და ძირითადი სამშენებლო სამუშაოები დასრულდა 2008 წლის აგვისტომდე.

სურათის გადაღების თარიღი: 2007 წლის 26 ივლისი
სურათის გადაღების თარიღი: 2007 წლის 10 აგვისტო

2. ჯავას რაიონში, უგარდანთას სამხედრო ბაზის მშენებლობა 2006 წელს დაიწყო, მაგრამ 2007 წლის ბოლოსათვის მშენებლობა უფრო ინტენსიური გახდა. ბაზის მშენებლობა დასრულდა 2008 წლის ივლისში. რუსული ჯარები, რომლებიც როკის გვირაბში 7 აგვისტოს დილით შემოვიდნენ, ამ ბაზაზე შეგროვდნენ.

სურათის გადაღების თარიღი: 2007 წლის 26 ივლისი

სურათის გადაღების თარიღი: 2007 წლის 28 აგვისტო

- უგარდანთასა და ცხინვალის სამხედრო ბაზების სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებდა რუსული სამშენებლო კომპანია, შპს „პრაქტიკა," რომელიც რეგისტრირებულია ქალაქ ესენტუკში, სტავროპოლის მხარე და მას ხელმძღვანელობს ლეონიდ **მიხეილის ძე ვაგანოვი**, გრუ-ს ყოფილი ოფიცერი.

- გარდა ამ ორი სამხედრო ბაზისა, რუსეთის მთავრობა დაეხმარა სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლებას სამხედრო ინფრასტრუქტურის აგებაში, მათ შორის სამხრეთ ოსეთის მარიონეტული რეჟიმის თავდაცვის სამინისტროს სატანკო ბატალიონის სამხედრო ინფრასტრუქტურის აშენებაში, რომელიც განლაგებულია სოფელ ბუზალაში, ჯავას რაიონში. აგრეთვე, ცხინვალში მარიონეტული რეჟიმის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (სუკ-ის) ახალი ოფისების აგებაში.

სატანკო ბაზა ბუზალაში, 2008
შინაგან საქმეთა სამინისტრო ცხინვალში, 2007
მილიციის სპეციალური დანიშნულების ძალების ბაზა, 2007
სუკი ცხინვალში, 2007

- 2004–2008 წლებში, რუსეთის მთავრობამ ტანკებით, ჯავშანმანქანებით, სამხედრო სატვირთო მანქანებით და აგრეთვე, სხვადასხვა სახის შეიარაღებითა და ამუნიციით აღჭურვა სამხრეთ ოსეთის მარიონეტული რეჟიმის არარეგულარული შეიარაღებული ძალები. რუსი სამხედრო და პოლიციის სპეციალისტები ეხმარებოდნენ სამხრეთ ოსურ მილიციას წვრთნასა და აღჭურვაში.

სამხრეთ ოსეთის მილიციის სპეციალური დანიშნულების ძალების ტრენინგი – 2008 წელი.
ტრენინგი ცხინვალში – 2008 წელი.
საბრძოლო ტანკები ცხინვალში – 2005 წლის სექტემბერი.

- 2005 წლის ბოლოსათვის, რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახური (ფსბ) დაეხმარა სამხრეთელ ოსებს ე. წ. საზღვრის დაცვის სამსახურის ჩამოყალიბებაში, რომელიც გახდა დე-ფაქტო რეჟიმის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (სუკ-ის) დაქვემდებარებული ორგანო.

რუსული არმიისა და სპეციალური სამსახურების ოფიციალური პირები ცხინვალის რეგიონში / სამხრეთ ოსეთში

- 2004 წლიდან დაწყებული, სამხრეთ ოსეთის მარიონეტული რეჟიმის ძალოვან სამინისტროებში ძირითად პოზიციებს იკავებდნენ რუსეთის მოქალაქეები, რუსული შეიარაღებული ძლაებისა და სპეციალური სამსახურების მაღალი ჩინის მქონე ოფიცრები:

დე ფაქტო შინაგან საქმეთა სამინისტრო

1. **მიხეილ მაირამის ძე მინძაევი** – სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო შინაგან საქმეთა მინისტრი 2005 წლის აპრილიდან 2008 წლის ოქტომბრამდე. რუსული პოლიციის (მილიციის) პოლკოვნიკი.

დე-ფაქტო უშიშროების საბჭო

2. **ანატოლი კონსტანტინეს ძე ბარანკევიჩი** – სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო უშიშროების საბჭოს მდივანი 2006 წლის დეკემბრიდან 2008 წლის ოქტომბრამდე. სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო თავდაცვის მინისტრი 2004 წლის ივლისიდან 2006 წლის დეკემბრამდე. რუსეთის არმიის პოლკოვნიკი.

დე- ფაქტო თავდაცვის სამინისტრო

3. **იური ანვარის ძე ტანაევი** – სამხრეთ ოსეთის დე -ფაქტო თავდაცვის მინისტრი 2008 წლის ოქტომბრის შემდეგ.

4. **ვასილ ვასილის ძე ლუნევი** – სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო თავდაცვის მინისტრი 2008 წლის მარტიდან 2008 წლის ოქტომბრამდე. რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი.

5. სურათი

6. **ანდრეი ივანეს ძე ლაპტევი** – სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო თავდაცვის მინისტრი 2006 წლის დეკემბრიდან 2008 წლის მარტამდე. რუსეთის არმიის პოლკოვნიკი.

7. **სერგეი სარმატოვი** – სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის უფროსი 2007 წლიდან 2008 წლამდე.

8. **ვლადიმერ გრიგორის ძე კრავჩენკო** – სამხრეთ ოსეთის დე -ფაქტო თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის უფროსი 2004–2005 წლებში.

დე ფაქტო სუკი

1. **ბორის მაზიტის ძე ატოევი** – სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (სუკ-ის) უფროსი, 2006 წლის შემდეგ.

2. **ნიკოლაი ვასილის ძე დოლგოპოლოვი** – სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (სუკ-ის) უფროსი, 2006 წლის მარტიდან 2006 წლის ნოემბრამდე.

3. **ანატოლი ვასილის ძე იაროვოი** – სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (სუკ-ის) უფროსი, 2005 წლის იანვრიდან 2006 წლის მარტამდე.

4. **მაირბეგ ვლადიმერის ძე ბიჩეგკაევი** – სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (სუკ-ის) უფროსი, 2004 წლიდან 2005 წლამდე.

5. **სერგეი ალექსანდრეს ძე გუზნოვი** –ოსეთის დე-ფაქტო სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (სუკ-ის) უფროსის თანაშემწე 2005 წლიდან 2008 წლამდე.

დე ფაქტო სუკ-ის საზღვრის დაცვის სამსახური

1. **ვალერი ალექსის ძე ჩუგუნოვი** – სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო საზღვრის დაცვის სამსახურის უფროსი, 2005 წლიდან 2007 წლამდე.

2. **ოლეგ გენადის ძე ჩებოტარიოვი** – სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო საზღვრის დაცვის სამსახურის უფროსი, 2007 წლის შემდეგ. საზღვრის დაცვის სამსახურის უფროსის მოადგილე 2005 წლიდან 2007 წლამდე.

3. **გენადი ნიკოლაის ძე ემელიანენკო** – სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო საზღვრის დაცვის სამსახურის უფროსის მოადგილე, 2005 წლის შემდეგ.

4. **კონსტანტინე გენადის ძე იაცენკო** – სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო საზღვრის დაცვის სამსახურის შტაბის უფროსი, 2005 წლის შემდეგ.

(სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო სუკ-ის კუთვნილი მოპოვებული დოკუმენტების სანახავად იხ. დანართი 3)

სამხრეთ ოსეთის დე -ფაქტო სამთავრობო დაცვის სამსახური

- **ვლადიმერ კუზმას ძე კოტოევი** (ფსევდონიმი, შესაძლოა იყოს **უმაროვი**) – სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო სამთავრობო დაცვის სამსახურის უფროსი, 2007 წლის ივლისიდან 2008 წლის ოქტომბრამდე.

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რეჟიმის მრჩევლები

1. **პეტრე ნიკოლაის ძე კამაევი** – სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო პრეზიდენტის მრჩეველი სამხედრო საკითხებში 2007 წლის მარტიდან, გრუ-ს პოლკოვნიკი.

2. **ვიქტორ პეტრეს ძე კნიაზევი** – სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო პრეზიდენტის მრჩეველი სამართალდამცავების საკითხებში, 2008 წლის იანვრიდან. შერეული სამშვიდობო ძალების მეთაურის მოადგილე.

3. **სერგეი თედორეს ძე შადრინი** – სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო პრეზიდენტის მრჩეველი სამართალდამცავებისა და უშიშროების საკითხებში, 2007 წლის აპრილიდან. რუსული პოლიციის (მილიციის) გენერალ-პოლკოვნიკი. რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე, თანამდებობიდან გაათავისუფლეს 2005 წელს.

4. **ალექსანდრე ანდრეის ძე შაპოშნიკოვი** – სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო პრეზიდენტის მრჩეველი სამართალდამცავების საკითხებში, 2007 წლის იანვრიდან 2008 წლის იანვრამდე. რუსული არმიის გენერალი. შერეული სამშვიდობო ძალების მეთაურის მოადგილე.

5. **ალექსანდრე ალექსანდრეს ძე კლიმენკო** – სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო პრეზიდენტის მრჩეველი სამართალდამცავების საკითხებში, 2006 წლის იანვრიდან 2007 წლის იანვრამდე. რუსული პოლიციის (მილიციის) პოლკოვნიკი. შერეული სამშვიდობო ძალების მეთაურის მოადგილე.

6. **იგორ სერგეის ძე გრუდნოვი** – სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო პრეზიდენტის მრჩეველი სამართალდამცავების საკითხებში, 2005 წლის იანვრიდან 2006 წლის იანვრამდე. რუსული პოლიციის (მილიციის) გენერალ-მაიორი. შერეული სამშვიდობო ძალების მეთაურის მოადგილე.

7. **ანატოლი ივანეს ძე სისოევი** – სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო პრეზიდენტის მრჩეველი სამხედრო საკითხებში, 2004 წლის ივნისიდან 2004 წლის ოქტომბრამდე. გრუ-ს პოლკოვნიკი.

8. **ვასილი ალექსის ძე პლატოვი** – სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო პრეზიდენტის მრჩეველი სამართალდამცავების და სამხედრო საკითხებში, 2004 წლიდან 2005 წლის იანვრამდე. რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი.

რუსული სამხედრო ბაზები რუსეთ-საქართველოს საზღვრის მახლობლად

- 2005–2006 წლებში, რუსეთის მთავრობამ ააგო ახალი სამხედრო ბაზა ზაკას ველზე, ჩრდილო ოსეთში, როკის გვირაბის ჩრდილოეთი შესასვლელიდან სულ რაღაც, 7 კილომეტრში. 2008 წლის აგვისტოში, რუსული ჯარები ამ ბაზას იყენებდნენ, როგორც სამხრეთ ოსეთში შესასვლელ საყრდენ წერტილს.

სურათის გადაღების წელი: 2004

სურათის გადაღების წელი: 2006

- 2007 წლის ბოლოსათვის, რუსეთის მთავრობამ ჩრდილოეთ კავკასიაში ჩამოაყალიბა სპეციალური სამთო ბრიგადები – 33-ე ბრიგადა ბოტლიხში, დაღესტანი (საქართველოს წინააღმდეგ ოპერაციების ჩასატარებლად სამხრეთ ოსეთში) და 34-ე ბრიგადა ზელენჩუკში, ყარაჩაევო - ჩერქეზეთი (საქართველოს წინააღმდეგ ოპერაციების

ჩასატარებლად აფხაზეთში).[31] აგვისტოს ომის მსვლელობის დროს, ორივე შენაერთი გადმოიყვანეს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში (იხ. დანართი 4, იმ რუსული სამხედრო შენაერთების გასაცნობად, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ინტერვენციაში).

რუსული სამხედრო წვრთნები 2008 წლის ივლის - აგვისტოში, რუსეთ - საქართველოს საზღვრის მახლობლად

- 2008 წლის 15 ივლისიდან 2 აგვისტომდე, საქართველოს ჩრდილოეთ საზღვართან ძალიან ახლოს, რუსეთმა წამოიწყო ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნები „კავკასია 2008.“ ამ წვრთნებში მონაწილეობას იღებდა 8 000 ჯარისკაცი და 700 ჯავშანმანქანა, უმთავრესად, ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქიდან, საჰაერო-სადესანტო შენაერთების, საჰაერო ძალების შენაერთების, შავი და კასპიის ზღვების ფლოტების, ფედერალური უშიშროების სამსახურის და შინაგანი ჯარების ჩათვლით. საჰაერო შენაერთები ფსკოვიდან და ნოვოროსიისკიდან (მოგვიანებით, მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ინტერვენციაში, იხ.: დანართი 4) პრაქტიკას გადიოდნენ რუსეთ-საქართველოს დამაკავშირებელ როკისა და მამისონის უღელტეხილებზე. წვრთნებში მონაწილე ჯარისკაცებს დაურიგდათ ბროშურა „იცნობდე შენს მტერს,“ სადაც მოცემული იყო ქართული არმიის შემადგენლობისა და შეიარაღების ჩამონათვალი, როგორც მთავარი სამიზნე. წვრთნებში მონაწილე ჯარების უმრავლესობა, წვრთნების დასრულების შემდეგ რეგიონიდან არ გამოსულა.[32] რუსეთის საჰაერო-სადესანტო ჯარების მეთაურის მოადგილემ, **ვიაჩესლავ ბორისოვმა** (რომელიც 2008 წლის აგვისტოში სამხედრო ძალებს ხელმძღვანელობდა სამხრეთ ოსეთში და საქართველოს ცენტრალურ ნაწილის მიმართულებით) დაადასტურა, რომ სულ რაღაც, ერთი კვირით ადრე მის დაქვემდებარებაში მყოფმა შენაერთებმა სამხედრო წვრთნა გაიარეს იმ ადგილებში, სადაც რეალური საომარი მოქმედებები დაიწყო და ამის გამო რუსულმა საჰაერო ძალებმა ბევრად უკეთ ჩაატარეს მარში ცხინვალში, ვიდრე რუსული არმიის სხვა შენაერთებმა.

- 2008 წლის 24 დეკემბერს, რუსული სატელევიზიო არხებისათვის მიცემულ ინტერვიუში, რუსეთის პრეზიდენტმა **დიმიტრი მედვედევმა** დაადასტურა, რომ რუსეთი ამზადებდა სამხედრო ოპერაციას საქართველოს წინააღმდეგ. (იხ. დანართი 5).

რუსული შეიარაღებული ძალების განლაგება ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში 2008 წლის ივლის-აგვისტოში – საომარი მოქმედებების დაწყების წინ

- 4-6 ივლისიდან დაწყებული, ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში რუსეთის ფედერაციის მხრიდან, როკის გვირაბის გავლით, შევიდა 10 ჯავშანმანქანა (ქართული დაზვერვის მონაცემები, HUMINT). შემდეგ, 13-14 ივლისიდან, გაკეთდა შეტყობინება,

[31] http://www.arms-expo.ru/site.xp/049051124049051050055.html

[32] იხ.: დანართები 17, 18 და 19, პასუხი კითხვაზე 1, სამხედრო საკითხების შესახებ დასმული შეკითხვებიდან.

რომ ქალაქ ალაგირიდან, ჩრდილო ოსეთი, როკის გვირაბის მიმართულებით მოდიოდა 13 ცალი ტ-72-ის ტიპის ტანკი აგრეთვე, სოფელ ზამარაგიდან, ჩრდილო ოსეთი, როკის გვირაბის მიმართულებით დაიძრა „ურალის“ ტიპის სამხედროებით დატვირთული 6 სატვირთო მანქანა (ქართული დაზვერვის მონაცემები, HUMINT).

- 23 ივლისს, ცხინვალში ჩავიდა 120 რუსი ექიმის/მედიკოსისაგან შემდგარი ჯგუფი და მუშაობა დაიწყო ცხინვალის საავადმყოფოში (ქართული დაზვერვის მონაცემები, HUMINT).

- ივლისის ბოლოსათვის (ზუსტი თარიღი და დრო უცნობია), ცხინვალის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე ახალი რუსული ბაზის ტერიტორიაზე გაიშალა დიდი ზომის კარვები (დაახლოებით, 1500-2000 ადამიანისათვის). რუსი მშვიდობისმყოფელების ინფორმაციით, მალე იქ გადმოსხეს 33-ე სამთო მსროლელთა მთის მოტორიზებული ბრიგადა (განლაგებული ბოტლიხში, დაღესტანი) (ქართული დაზვერვის მონაცემები, HUMINT).

- ამ ნაბიჯების შემდეგ, 3 აგვისტოს, 58-ე არმიის მსროლელთა მოტორიზებული მე-19 დივიზიის ცალკეული სადაზვერვო ბატალიონი როკის გვირაბის გავლით, გადმოიყვანეს ჯავის რაიონში (ქართული დაზვერვის მონაცემები, HUMINT).

- 4 აგვისტოს, ღამის განმავლობაში, ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში რუსეთის ფედერაციის მხრიდან შევიდა შეიარაღების 10 ერთეული (ბტრ/ბმპ მანქანები), და დაურიგდა დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარულ შეიარაღებულ ძალებს. ორი მანქანა გადაეცა ცხინვალის რაიონის სოფელ დმენისში განლაგებულ დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარულ შეიარაღებულ ძალებს (ქართული დაზვერვის მონაცემები, HUMINT).

- 5 აგვისტოს, დღის განმავლობაში, სამხრეთ ოსეთში, როკის გვირაბის გავლით გადმოიყვანეს თვითმავალი არტილერიის 40 ერთეული და 33-ე სამთო-მსროლელთა მოტორიზებული ბრიგადის სადაზვერვო ბატალიონი ბოტლიხიდან, დაღესტანი, და 30 საარტილერიო დანადგარი შემოიყვანეს ჯავის რაიონში. ცნობილი გახდა, რომ ჩრდილო ოსეთში, რუსეთი, როკის გვირაბის მახლობლად მობილიზებული იქნა 58-ე არმიის რამდენიმე შენაერთი, მათ შორის, 135-ე ცალკეული მსროლელთა მოტორიზებული პოლკი პროხლადნიდან, ყაბარდინო-ბალყარეთი, და 693-ე ცალკეულ მსროლელთა მოტორიზებული პოლკი ზამარაგიდან, ჩრდილო ოსეთი (ქართული დაზვერვის მონაცემები, HUMINT).

- 6 აგვისტოს, ღამის განმავლობაში, სამხრეთ ოსეთში შეიარაღების რამდენიმე ერთეული (ბტრ და ბმპ ტიპის მანქანების და თვითმავალი საარტილერიო სისტემების ჩათვლით), შემოტანილი იქნა რუსეთის ფედერაციიდან და განლაგდა როკის გვირაბის სამხრეთ შესასვლელთან (ქართული დაზვერვის მონაცემები, HUMINT).

- 7 აგვისტოს, 03:25სთ-ზე, <u>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოიპოვა პირველადი სატელფონო მოსმენა, რომლის თანახმად, რუსეთის საჯარისო ერთეული,</u>

ტანკებითა და ჯარისკაცებით დატვირთული სამხედრო მანქანებით, შევიდა როკის გვირაბში .[33] 03:41 სთ-ზე როკის გვირაბი გამოიარა და ჯავის რაიონში განთავსდა რუსეთის ფედერაციის რეგულარული არმიის ჯავშანმანქანების, ტანკების და სამხედრო სატვირთო მანქანების დიდი რაოდენობა. ეს დასტურდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მობილური ტელეფონებით განხორციელებული ორი საუბრის მოსმენით .[34] რუსულ პრესაში გამოქვეყნებული მრავალი სტატია აგრეთვე, მოწმობს, რომ რუსული არმიის შენაერთები, კერძოდ, 58-ე არმიის 693-ე და 135-ე მსროლელთა მოტორიზებული პოლკების ნაწილები, სამხრეთ ოსეთში 8 აგვისტომდე იყო შესული.[35] სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რეჟიმის მთავარი გაზეთის – „იუჟნაია ოსეტიას“ მიხედვით, იმ ღამეს სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების ხელმძღვანელი **ედუარდ კოკოითი** ცხინვალიდან ჯავას რაიონში გაემგზავრა „იმისათვის, რათა შეხვედროდა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს“.“ [36] მნიშვნელოვანია, რომ სატელეფონო საუბრების ჩანაწერის აუთენტურობა რუსეთს ეჭვქვეშ არ დაუყენებია. თავდაპირველად, რუსეთი უარყოფდა ამდაგვარი კოლონების არსებობას. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მტკიცებულებების გაცნობის შემდეგ, რუსმა სამხედროებმა განაცხადეს, რომ ჯარების ეს გადაადგილება იყო „ნორმალური როტაციის“ ნაწილი.[37] რუსეთის მხრიდან გაკეთებული ახსნა, რომ ამ საუბრებში ლაპარაკი იყო მისი სამშვიდობო ძალების ჯარების დადგენილ რეჟიმში როტაციის შესახებ, არის ტყუილი. იმ დროს მოქმედი სამშვიდობო შეთანხმების მიხედვით, როტაცია უნდა მომხდარიყო დღის შუქზე; არც ერთ სამშვიდობო ძალების შენაერთს არ ჰქონდა უფლება ჰყოლოდა ტანკები და ყველა შესაბამის მხარეს (მაგ., საქართველოსა და ეუთო-ს) უნდა ცნობებოდა ამის შესახებ წინასწარ, ერთი თვით ადრე. მსგავსი არაფერი მომხდარა. რუსული სამშვიდობო ძალების ჯარების წინა როტაცია 2008 წლის მაისში განხორციელდა.

- 7 აგვისტოს, დღის განმავლობაში, საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო სამხედრო დაზვერვის ცნობა, რომ რუსული ჯარები (რომლებიც არ გაიყვანეს ივლისის ჩრდილო კავკასიური წვრთნების შემდეგ) მაღალი დონის მზადყოფნაში იყვნენ მოყვანილი და, რომ მათ მიიღეს ბრძანება, მომზადებულიყვნენ საქართველოს საზღვრის მიმართულებით გადასაადგილებლად.

- 7 აგვისტოს, დაახლოებით, 12:00 სთ-ზე, აფხაზეთის მარიონეტული ხელისუფლების ლიდერმა სერგეი ბაღაფშმა განაცხადა, რომ მან აფხაზური შეიარაღებული ძალები მოიყვანა მზადყოფნაში, რათა სამხრეთ ოსეთისათვის სამხედრო დახმარება გაეწია და, რომ რუსეთის ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის ბატალიონი

[33] იხ.: დანართები 39-40 პასუხი კითხვაზე 1 სამხედრო საკითხების შესახებ დასმული შეკითხვებიდან.
[34] იხ.: დანართები 41-46 პასუხი შეკითხვაზე 1 სამხედრო საკითხების შესახებ დასმული შეკითხვებიდან.
[35] იხ.: დანართები 47-67 პასუხი შეკითხვაზე 1 სამხედრო საკითხების შესახებ დასმული შეკითხვებიდან.
[36] იხ.: დანართი 68 პასუხი შეკითხვაზე 1 სამხედრო საკითხების შესახებ დასმული შეკითხვებიდან.
[37] საქართველო წარადგენს ახალ მტკიცებულებებს ომის დაწყების შესახებ“ დენ ბილეფსკი, და სხვ. ("Georgia Offers Fresh Evidence on War's Start", by Dan Bilefsky, C. J. Chivers, Tom Shanklin and Michael Schwirtz, The New Yerk Times, Sept. 8, 2016).

უკვე შევიდა ცხინვალის რეგიონში (ეს განცხადება რუსეთის ტელევიზიის მიერ გადაიცა 17:00 სთ-ზე).[38]

- 7 აგვისტოს, გვიან საღამოს, საქართველომ მრავალი შეტყობინება მიიღო დაზვერვისაგან, რომ დაახლოებით, 150 ჯავშანმანქანა და რუსი ჯარისკაცებით დატვირთული სატვირთო მანქანა უახლოვდებოდა როკის გვირაბს რუსეთის მხრიდან და მოძრაობდა ცხინვალის რეგიონის/სამხრეთი ოსეთის მიმართულებით. მოგვიანებით, მოპოვებულ იქნა დე-ფაქტო უშიშროებასა და სამხედრო პირებს შორის რამდენიმე სატელეფონო საუბარი, რომლებიც განხორციელდა 8 აგვისტოს, 02:20 სთ-სა და 04:30 სთ-ს შორის და ადასტურებდა, რომ სამხედრო კოლონები მოიცავდა როკის გვირაბიდან სოფელ ჯავამდე არსებულ ტერიტორიას. .[39]

რუსეთის სამხედრო მზადებები აფხაზეთში

- რუსეთის მთავრობა, განსაკუთრებით, უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში, მხარს უჭერდა აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობას არმიის მშენებლობაში, ამარაგებდა მას სამხედრო აღჭურვილობით, წვრთინდა აფხაზ ოფიცრებს რუსეთის სამხედრო სასწავლო ცენტრებში, გზავნიდა სამხედრო ინსტრუქტორებს აფხაზეთში და ნიშნავდა მოხელეებს აფხაზეთის მარიონეტულ მთავრობაში.

სამხედრო წვრთნები აფხაზეთში 2005-2008 წლებში

- 2005 წლის 18-21 აპრილს, აფხაზეთში ჩატარდა მსხვილმასშტაბიანი სამხედრო წვრთნები. ამ წვრთნებში მონაწილეობდა საარტილერიო, სამხედრო-საზღვაო, სატანკო და საავიაციო ნაწილების 3000-ზე მეტი ჯარისკაცი (მათ შორის, უმეტესობა რეზერვისტები). ტაქტიკური წვრთნები მიმდინარეობდა ბატალიონების დონეზე, ხოლო სპეციალური წვრთნები ტარდებოდა საჰაერო-სადესანტო ჯარების განლაგების შეფერხების მიზნით.
- 2006 წლის თებერვლის დასაწყისში, რუსეთის საჰაერო-სადესანტო ჯარების მეთაური ალექსანდრე კოლმაკოვი აფხაზეთს ორი დღით ესტუმრა.[11]
- 2006 წლის 20 თებერვლიდან 27 აპრილამდე, აფხაზეთის დე-ფაქტო რეჟიმის

[38] იხ.: დანართი 77 პასუხი შეკითხვაზე 1 სამხედრო საკითხების შესახებ დასმული შეკითხვებიდან.
[39] იხ.: დანართები 81 - 86 პასუხი შეკითხვაზე 1 სამხედრო საკითხების შესახებ დასმული შეკითხვებიდან.

შეიარაღებულ ძალებში ჩატარდა მსხვილმასშტაბიანი სამხედრო წვრთნები, სადაც მონაწილეობდა 5000-ზე მეტი ჯარისკაცი და რეზერვისტი.

- 2007 წლის 19-21 ნოემბერს, აფხაზეთის დე-ფაქტო რეჟიმის შეიარაღებულ ძალებში ჩატარდა ტაქტიკური წვრთნები, სადაც მონაწილეობდა სამთო მსროლელთა მესამე ბატალიონი.
- 2008 წლის 24-28 მარტს, აფხაზეთის დე-ფაქტო რეჟიმის შეიარაღებულ ძალებში ჩატარდა სამეთაურო და სამობილიზაციო წვრთნები. ამ წვრთნებში მონაწილეობდნენ აფხაზეთის შეიარაღებული ძალების ე.წ. აღმოსავლეთ ჯგუფის სამხედრო ნაწილები და სარეზერვო ბრიგადები, სულ, 4000 ჯარისკაცი.[12]
- 2008 წლის 24-27 ივნისს, აფხაზეთის დე-ფაქტო რეჟიმის შეიარაღებული ძალები ატარებდნენ მობილიზაციისა და ოპერატიულ-ტაქტიკურ წვრთნებს, სადაც მონაწილეობდნენ აფხაზეთის მარიონეტული მთავრობის თავდაცვის სამინისტროს მაღალი რანგის წარმომადგენლები, აფხაზეთის შეიარაღებული ძალების ე.წ. აღმოსავლეთ ჯგუფის მეთაურები, ოფიცრები, საჰაერო თავდაცვისა და არტილერიის წარმომადგენლები და რუსეთის გენერალური შტაბის ოფიცრები.[13]
- 2008 წლის 7 ივლისს, რუსეთის საინფორმაციო სააგენტო „უტროსთვის“ მიცემულ ინტერვიუში აფხაზეთის დე-ფაქტო თავდაცვის მინისტრმა მერაბ ქიშმარიამ განაცხადა, რომ რუსეთის ინსტრუქტორებმა მოამზადეს აფხაზი ჯარისკაცები და ის ანაზღაურებას უხდიდა მათ კონტრაქტის თანახმად. მანვე დაამატა, რომ ისინი ამას აკეთებდნენ ზედმეტი აფიშირების გარეშე. [14]

რუსეთის არმია და ოფიციალური პირების სპეციალური სამსახურები აფხაზეთში

- უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში, აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის ძალოვან სამინისტროებში ძირითადი თანამდებობები ეკავათ რუს მოქალაქეებს, რუსეთის შეიარაღებული ძალებისა და სპეციალური სამსახურების უფროსი შემადგენლობის ოფიცრებს:

[11] http://www .redstar.ru/2006/02 / l 0_02/n.html
[12] Respublika Abkhazia, March 18, 2008.
[13] Respublika Abkhazia, June 28, 2008.
[14] http://www .utro.ru/articles/2008 /07/07/749948.shtml

1. ალექსანდრე პავლიუშკო – აფხაზეთის დე-ფაქტო თავდაცვის მინისტრის მოადგილე 2008 წლის აპრილიდან.

2008 წლის აპრილში, რუსეთის სამშვიდობოთა შტაბის ექს- მეთაური კოლექტიურ სამშვიდობო ძალებში, ალექსანდრე პავლიუშკო დაინიშნა თავდაცვის მინისტრის მოადგილედ აფხაზეთის მარიონეტულ მთავრობაში. თავისი, როგორც მშვიდობისმყოფელის, გამოცდილებიდან (თან ახლდა გაერო-ს სამშვიდობო ძალების მისიის ოფიცრებს მონიტორინგის დროს ზემო აფხაზეთში/ კოდორის ხეობაში) (ფოტო მარცხნივ, გადაღებულია 2006 წლის 12 ოქტომბერს კოდორის ხეობაში მონიტორინგის დროს), პავლიუშკომ იცოდა ქართული პოლიციის მდებარეობის ყველა პუნქტი იმ მიდამოებში. მოგვიანებით, 2008 წლის აგვისტოში, იგი იყო კოდორის ხეობაში სამხედრო ოპერაციის დაგეგმვისა და განხორციელების ინიციატორი (სკრინშოტზე მარჯვნივ, პავლიუშკო აფხაზეთის მარიონეტული მთავრობის მეთაურს–სერგეი ბაღაფშს უხსნის თავის გეგმებს, ზემო აფხაზეთის დაკავების შესახებ).

2. ანატოლი ზაიცევი – აფხაზეთის დე-ფაქტო გენერალური შტაბის მეთაური 2005 წლის მარტიდან, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირი.

3. სულთან სოსნალიევი – აფხაზეთის დე-ფაქტო თავდაცვის ყოფილი მინისტრი.

სოსნალიევი 29 წელი მსახურობდა საბჭოთა კავშირის საჰაერო თავდაცვის ძალებში, იყო პოლკის მეთაური და საავიაციო ცენტრის მეთაური. 1992 წლის აგვისტოდან, იგი მონაწილეობდა საომარ მოქმედებებში აფხაზეთის ტერიტორიაზე როგორც თავდაცვის შტაბის მეთაური და მარიონეტული მთავრობის გენერალური შტაბის უფროსი. იგი მსახურობდა დე-ფაქტო გენერალური შტაბის უფროსად 2005 წლამდე და აფხაზეთის დე-ფაქტო მინისტრად და ვიცე-პრემიერად 2005 წლიდან (გარდაიცვალა 2007 წელს).

4. **ალექსანდრე ვოინსკი** – აფხაზეთის დე-ფაქტო ეროვნული უშიშროების საბჭოს გენერალური მდივნის მოადგილე, რუსეთის უშიშროების კომიტეტის ყოფილი ოფიცერი, რუსეთის საზღვაო ძალების ყოფილი მეთაური, კაპიტანი.
5. **დ. მარკოვი** – აფხაზეთის საჰაერო თავდაცვის დე-ფაქტო მეთაური.
6. **ვლადიმერ გაიდუკოვი** – აფხაზეთის დე-ფაქტო შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე.
7. **დენის ერმიჩევი** – აფხაზეთის დე-ფაქტო თავდაცვის სამინისტროს საერთაშორისო სამხედრო თანამშრომლობის განყოფილების მეთაურის მოადგილე.
8. **ვასილ სოლოვიოვი** – აფხაზეთის დე-ფაქტო თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებისა და აღჭურვის სამსახურის შტაბის მეთაური.
9. 2007 წლის 20 სექტემბერს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დავალებათა ნაწილმა მოახდინა 10-კაციანი შეიარაღებული ჯგუფის ნეიტრალიზაცია კოდორის ხეობაში, რომელიც გეგმავდა თავდასხმას ზემო აფხაზეთისა და დანარჩენი საქართველოს შემაერთებელ ახალ გზაზე. ურთიერთსროლის დროს დაიღუპა დაჯგუფების მეთაური და მისი მოადგილე. ესენი იყვნენ: **იგორ მუზავატკინი** (რუსეთის შეიარაღებული ძალების ვიცე-პოლკოვნიკი, კოლექტიური სამშვიდობო ძალების ყოფილი წევრი, მაიკოპის დივიზიის ყოფილი ოფიცერი, კოლექტიური სამშვიდობო ძალების წევრი 7 წლის მანძილზე, კონტრაქტის საფუძველზე მსახურობდა აფხაზი სეპარატისტების უშიშროების სამსახურის სასაზღვრო ჯარების დანაყოფში) და **არტურ ზორინი** (რუსეთის შეიარაღებული ძალების მაიორი, აგრეთვე დსთ-ის კოლექტიური სამშვიდობო ძალების ყოფილი წევრი).

2008 წლის გაზაფხულზე სამხედრო ინფრასტრუქტურის მშენებლობა აფხაზეთში, რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ

1. 2008 წლის 6 მარტს, რუსეთი გამოვიდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის 1996 წლის ხელშეკრულებიდან, რომელიც თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოებს უკრძალავდა სამხედრო კავშირებს აფხაზეთთან; 2008 წლის 16 აპრილს, რუსეთის პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმა** გამოსცა ბრძანებულება, რომლის თანახმადაც, რუსეთის მთავრობას უნდა დაემყარებინა უშუალო ურთიერთობა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო მთავრობებთან. ამის შემდეგ რუსეთის მთავრობამ სწრაფად დაიწყო სამხედრო ინფრასტრუქტურის გაძლიერება აფხაზეთში, გუდაუთის მახლობლად, ბომბორას სამხედრო ბაზის ჩათვლით, რომელიც დახურული უნდა ყოფილიყო 1999 წლის სტამბულის ხელშეკრულების თანახმად.
   1. 17 აპრილს, 300 რუსი ჯარისკაცით დატვირთული „ურალის“ ტიპის რამდენიმე სატვირთო მანქანა, შემოვიდა ოჩამჩირის საზღვაო პორტის სამხედრო ბაზაზე (საქართველოს სადაზვერვო მონაცემები, HUMINT).
   2. 20 აპრილს, 10:00 სთ-ზე რუსული მოიერიშე თვითმფრინავი თავს დაესხა და ჩამოაგდო ქართული უპილოტო საჰაერო აპარატი „ჰერმეს-450“ სოფელ გაგიდას თავზე, გალის რაიონში. ეს ფაქტი დადასტურდა გაეროს სპეციალური გამოძიებით.[15]
   3. 2008 წლის 25 აპრილს, მოსკოვის მერთან, იური ლუჟკოვთან შეხვედრისას, აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობის მეთაურმა სერგეი ბაღაფშმა ოფიციალურად განაცხადა, რომ აფხაზეთი მზად იყო, ხელი მოეწერა სამხედრო ხელშეკრულებაზე რუსეთთან.
   4. 29 აპრილს, რუსეთმა დაიწყო თავისი სამშვიდობო კონტინგენტის ზრდა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში, როგორც ეს განაცხადა რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ.[16]
   5. 29 აპრილს, 30-ვაგონიანმა ეშელონმა, რომელსაც გადმოყავდა 26 შენიღბული ჯავშანმანქანა, მათ შორის, BMD-ები, D-30 ტიპის ჰაუბიცები და სხვ. რკინიგზით გადმოკვეთა საქართველო-რუსეთის საზღვარი მდინარე ფსოუს მახლობლად. ეშელონს ჰქონდა 4 დამატებითი სამგზავრო ვაგონი, რომლებსაც გადმოჰყავდა ნოვოროსიისკის სამხედრო ბაზის ჯარისკაცები. ეშელონი გადმოტვირთეს სოხუმის რკინიგზის სადგურში, საიდანც ჯარისკაცები და იარაღი გადაანაწილეს მაიაკის სამხედრო ბაზაზე, სოხუმში, წებელდას სამხედრო პუნქტზე (კოდორის ხეობის მიმართულებით), ოჩამჩირეს საზღვაო პორტში, ტყვარჩელისა და გალის რაიონებში (იხ. ფოტოები).

[15] სამხედრო საკითხების I კითხვის პასუხად იხ. დანართი 5.
[16] სამხედრო საკითხების I კითხვის პასუხად იხ. დანართები 6 და 7.

6. 1 მაისს, დამატებითი საკონტროლო-გამშვები პუნქტები გაიხსნა თითქმის ყველა სტრატეგიულად მნიშვნელოვან გზაზე, ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონებში, მათ შორის სოფლებში: ნაკარგალი, ალახაძი და აკალამრა.
7. 3 მაისს, 120 მმ საარტილერიო სისტემების 5 ერთეული და რამდენიმე საზენიტო არტილერიის დაცვის სისტემა BUK-Ml განთავსდა ოჩამჩირის საზღვაო პორტის სამხედრო ბაზაზე (საქართველოს სადაზვერვო მონაცემები, HUMINT).
8. 6 მაისს, დასრულდა რუსეთის დამატებითი, ნოვოროსიისკისა და ფსკოვის საჰაერო-სადესანტო ბატალიონის (მინიმუმ, 400 ჯარისკაცი) განთავსება აფხაზეთში, რომელიც დაიწყო 29 აპრილს. ეს ფაქტი შემდგომ დადასტურდა უამრავი მედია საშუალებით, მათ შორის, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური გაზეთით, „კრასნაია ზვეზდა.“ [17]
9. 6 მაისს, აფხაზეთის მარიონეტული მთავრობის დე-ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა **სერგეი შამბამ** განაცხადა, რომ აფხაზეთი მზად იყო დაეთმო თავისი ტერიტორია რუსეთის სამხედრო კონტროლისთვის უსაფრთხოების გარანტიების სანაცვლოდ.
10. ამ დროისათვის აფხაზეთში ასევე გადმოსული იყო რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მთავარი სადაზვერვო დანაყოფის ბატალიონ „ვოსტოკის“ დაახლოებით 250 ჩეჩენი ბოევიკი. ისინი პატრულირებდნენ გალის რაიონის სოფლებში: გუდავა, პრიმორსკი, მეორე ოტობაია და სიდა.
11. 2008 წლის დასაწყისში, აფხაზეთს ეწვია დონის კაზაკთა დელეგაცია და შეხვდა სერგეი ბაღაფშს. დონის კაზაკთა მეთაურის თანახმად, საქართველოს თავდასხმის შემთხვევაში, იგი აფხაზეთში გააგზავნიდა დაახლოებით 10-15 ათას მოხალისეს.[18]

1. მაისში რუსეთის სამშვიდობო ძალებმა გაამაგრეს შემდეგი საკონტროლო-გამშვები პუნქტები აფხაზეთის აღმოსავლეთ ნაწილში:
    - აქამარა
    - რეჩხი
    - მუჟავა
    - ლეკუხონა
    - საბერიო

---

[17] სამხედრო საკითხების I კითხვის პასუხად იხ. დანართები 9,10,11.

[18] Nezavisimaya Gazeta, May 12, 2008 (http://www.ng.ru/regions/2008-05- 12/8 rostov.html)

- დიხაზურგა
- ჭუბურხინჯი
- ფიჩორი
- ნაბაკევი
- ოტობაია
- ნაკარგალი

2. 31 მაისს, რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ აფხაზეთში გადმოიყვანა ვოლგოგრადის სარკინიგზო ძალების 76-ე ნაწილის 400 ჯარისკაცი და ეს ქმედება აფხაზებისთვის „ჰუმანიტარული დახმარების“ გაწევის საჭიროებით ახსნა.

ამ ძალებმა დაიწყეს რკინიგზის რეკონსტრუქცია სოხუმიდან ოჩამჩირემდე და პლატფორმების გამაგრება; ამრიგად, მოამზადეს რკინიგზა მძიმე სამხედრო აღჭურვილობის ტრანსპორტირებისა და გადმოტვირთვებისათვის.[19]

სამხედრო ოპერაციებისათვის ლოგისტიკური დახმარების გაწევის მიზნით, რუსეთის სარკინიგზო ჯარებმა შეაკეთეს 54 კმ რკინიგზა სოხუმიდან ოჩამჩირემდე. მათ აგრეთვე, შეაკეთეს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სარკინიგზო ხიდები მდინარეზე მითქაზე, რომელიც უერთდება კოდორის ხეობას.

სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაჩქარებით მიმდინარეობდა, რათა 2008 წლის 2 აგვისტომდე დასრულებული ყოფილიყო. რკინიგზის ეს მარშრუტები არ ფუნქციონირებდა უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში და მათი ეკონომიკური მნიშვნელობა თითქმის ნულის ტოლი იყო. დროის მოკლე პერიოდში, რუსულმა სარკინიგზო ძალებმა შეაკეთეს 55 შენობა, 2 დიდი და 44 მცირე ხიდი, ერთი გვირაბი და სხვა ინფრასტრუქტურა. მოგვიანებით, ეს ხიდები გამოიყენებოდა რუსი ჯარების მიერ ჯავშანმანქანებისა და სხვა სამხედრო აღჭურვილობისა და ტვირთის ტრანსპორტირებისთვის. ყველა ზემოჩამოთვლილი მტკიცებულებით მივდივართ დასკვნამდე, რომ რუსების მიერ საჩქაროდ ჩატარებული

სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიზნად ისახავდა რუსეთის შეიარაღებული ძალების ლოგისტიკურ დახმარებას, ვიდრე დაიწყებოდა მათი ინტერვენცია.

12. აპრილ-ივნისში, რუსეთმა გაამაგრა სამხედრო ბაზები სოხუმში (მაიაკი), ბომბორაში (გუდაუთა) ოჩამჩირესა და ოხურეიში შემდეგი საშუალებებით:

- 3 BUK საჰაერო თავდაცვის სისტემები;
- 40 D-30 ტიპის ჰაუბიცები;
- 10 BM-21 "გრადის" სისტემები;
- 20 შილკა, ZU-23 2, ZU-23-4 AA თოფები;
- 120 ტანკსაწინააღმდეგო ჭურვები;
- 2 MI-24 შვეულმფრენები;
- ავაციის 50 სპეციალისტი;
- 30 სამხედრო ექსპერტი;
- კომუნიკაციისა და საზენიტო დაცვის 100 ექსპერტი.

13. 6 ივნისს, SU-25 და SU-27 ტიპის რამდენიმე გამანადგურებელი შეიარაღებულ მდგომარეობაში იქნა აღმოჩენილი ბომბორას სამხედრო ბაზაზე, გუდაუთაში (საქართველოს სადაზვერვო მონაცემები, HUMINT).

---

[19] სამხედრო საკითხების I კითხვის პასუხად იხ. დანართები 12-13.

14. 2008 წლის ივლისში, რუსი სპეციალისტების დახმარებით, დასრულდა ოხურეის სამხედრო ბაზის მშენებლობა ტყვარჩელის რაიონში. 2008 წლის 8 ივლისს, ბაზაზე დამატებით იქნა შემოყვანილი რუსი ჯარისკაცები, 4 BTR-70 და 4 BRDM ტიპის სამხედრო სატვირთო მანქანები და რამდენიმე საზენიტო დაცვის საშუალება.

3. 2008 წლის შუა ივლისისთვის, რამდენიმე ასეული ჯარისკაცი და 44 სამხედრო სატვირთო მანქანა იყო შემჩნეული ბომბორას სამხედრო ბაზაზე. რუსების დახმარებით, ბომბორას სამხედრო ბაზაზე აღდგენილ იქნა სამი დიდი ყაზარმა, ახალი ძალების დისლოკაციისათვის.
4. 2008 წლის 30 ივლისს, რუსეთის სარკინიგზო ჯარების მეთაური, გენერალ-ლეიტენანტი **ს. კლიმეტსი** ესტუმრა აფხაზეთს და აფხაზეთის დე-ფაქტო რეჟიმის ვიცე-პრემიერთან ერთად გახსნა აღდგენილი რკინიგზა.

სამხედრო საკითხები - დამატებითი კითხვები და პასუხები.

კონფლიქტის დეტალების შემსწავლელი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია საქართველოში

დამატებითი კითხვები რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს მთავრობების მიმართ სამხედრო საკითხებთან დაკავშირებით

ა. რუსულ სამშვიდობო ძალების (PKF) შესახებ

1. პირველად როდის გაუხსნეს ცეცხლი რუს სამშვიდობო ძალებს და რომელი იარაღით „ვერხნი გოროდოკში," ქვედა და ზედა ყაზარმებში, გაერთიანებულ შტაბებში და პოსტებზე ცხინვალის გარეთ?
2. როდის განიცადეს რუსმა სამშვიდობო ძალებმა პირველი დანაკლისი და მატერიალური ზარალი? (გთოვთ, ზუსტად ჩამოაყალიბოთ).
3. როდის აცნობა გაერთიანებული სამშვიდობო ძალების მეთაურმა, გენერალმა მურატ კულახმატოვმა ეუთო-ს ამ სროლებისა და დანაკარგების შესახებ?
4. აცნობა თუ არა კოორდინატები „ვერხნი გოროდოკის" მთავარი შენობის სახურავზე არსებულმა რუსული სამშვიდობო ძალების პოსტმა სამხრეთ ოსეთის მილიციას ან ჩრდილოეთ (სამხრეთ) ოსეთის სამშვიდობო ძალების ბატალიონს?
   ა. დადებითი პასუხის შემთხვევაში, რა დროიდან ხდებოდა ეს?

   ბ. იყო თუ არა სატელეფონო საუბარი ამ საკითხზე გენერალ მურატ კულახმეტოვსა და ქართული სამშვიდობო ძალების მეთაურ გენერალ მამუკა ყურაშვილს შორის?

   გ. დადებითი პასუხის შემთხვევაში, გააფრთხილა თუ არა ყურაშვილმა კულახმატოვი სამხრეთ ოსეთის სამხედროებთან კოორდინირების შეწყვეტის შესახებ, ვიდრე ქართული ჯარები გახსნიდნენ ცეცხლს რუსი ან ოსი სამშვიდობო ძალების წინააღმდეგ?

5. კიდევ სხვა რა სახის კოორდინირებას ჰქონდა ადგილი რუს სამშვიდობო ძალებსა და ჩრდილოეთ (სამხრეთ) ოსეთის სამშვიდობო ძალებსა და სამხრეთ ოსეთის მილიციას შორის, ცხინვალის დაცვის განმავლობაში?
6. გაერთიანებული სამშვიდობო ძალების სარეზერვო ნაწილები:
   ა. როდის იყო გაერთიანებული სამშვიდობო ძალების სარეზერვო ძალა (300 სამხედრო პირი, რომელიც შედიოდა სამშვიდობო ძალების თითოეულ ბატალიონში) გამოძახებული ცხინვალის მიმართულებით?

   ბ. როდიდან ჰქონდა გენერალ კულახმატოვს ტაქტიკური კონტროლი ამ ნაწილებზე? რომელ ნაწილებზე/აღჭურვილობაზე?

გ. როდის მოვიდნენ ეს ნაწილები ცხინვალში/რუსულ სამშვიდობო ძალების პოზიციებზე?

დ. გააგზავნეს თუ არა ამ ნაწილებმა სადაზვერვო ჯგუფები ან შუამავალი ჯგუფები ცხინვალის ან ჯავის მიმარულებით? თუ დიახ, როდის?

7. მიაწოდა თუ არა რუსულმა საჰაერო ძალამ საავიაციო დახმარება ცხინვალში განლაგებულ რუსული სამშვიდობო ძალების ბატალიონს 2008 წლის 8-9 აგვისტოს? თუ დიახ, როდის და რა სახის დახმარება?

ბ. ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ბატალიონი - ალანია

1. იყო თუ არა ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ძალების ბატალიონი სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ბატალიონი (პერსონალი)?
2. სამშვიდობო ძალების ეს ბატალიონი ითვლებოდა თუ არა რუსეთის ფედერაციის ან სამხრეთ ოსეთის ნაწილად?
3. რაში მდგომარეობდა ამ ბატალიონის შემადგენლობა და რა შეიარაღებას ფლობდა ის?
4. რამდენად ახდენდა ოსური სამშვიდობო ძალების ბატალიონი თავისი ქმედებების კოორდინირებას სამხრეთ ოსეთის მილიციასთან ვითარების ესკალაციის დროს და სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ?
5. როდის და სად გახდა ოსეთის სამშვიდობო ბატალიონი საბრძოლო მოქმედებების მომსწრე – ესკალაციისა და შეიარაღებული კონფლიქტის განმავლობაში?

გ. ქართულ სამშვიდობო ბატალიონის შესახებ

1. როგორი იყო ქართული ბატალიონის შემადგენლობა და შეიარაღება ვითარების ესკალაციის დროს და სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებების დაწყებისას?
2. რაში მდგომარეობდა ქართული სამშვიდობო ბატალიონის როლი ვითარების ესკალაციისა და რეგულარული ქართული ძალების შეყვანის პერიოდში?
   ა. ცხინვალის სამხრეთ ნაწილში?

   ბ. ცხინვალის ჩრდილოეთით მდებარე ქართულ სოფლებში?

გ. ქართული შემოვლითი გზის გასწვრივ (გერი- დმენისი, სარაბუკის მაღლობები და სხვა).

(გთხოვთ, კონკრეტულად მიუთითოთ ქმედება, დრო და ადგილმდებარეობა)

3. რამდენად ახდენდა ქართული სამშვიდობო ძალების ბატალიონი თავისი ქმედებების კოორდინირებას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების ძალებთან და ქართულ პოლიციურ ძალებთან (სანაკოევის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში)?
4. რომელი მიმართულებიდან მონაწილეობდა ქართული სამშვიდობო ძალების ბატალიონი ცხინვალზე შეტევაზე? (სამხრეთით: ავნევი, ნიქოზი; ჩრდილოეთით: თამარაშენი; აღმოსავლეთით: საქართველოს შემოვლითი გზა გერი-დმენისი?), თუ მონაწილებდა საერთოდ?

დ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების ძალების შესახებ

1. როგორი იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების ძალების შემადგენლობა და შეიარაღება ესკალაციის განმავლობაში და სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებების დაწყებისას?
2. როგორი იყო მათი როლი ესკალაციის განმავლობაში, რეგულარული ქართული შეიარაღებული ჯარების განლაგებისა და სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ?

ა. ცხინვალის სამხრეთ სარტყელში?

ბ. ცხინვალის ჩრდილოეთით მდებარე ქართულ სოფლებში?

გ. საქართველოს შემოვლით გზაზე (გერი-დმენისი-სარაბუკის მაღლობები და სხვა)?

(გთხოვთ, კონკრეტულად მიუთითოთ ქმედება, დრო და ადგილმდებარეობა)

ე. სამხრეთ ოსეთის მილიციის შესახებ

ა. რა შემადგენლობასა და შეიარაღებას ფლობდა სამხრეთ ოსეთის მილიცია აგვისტოს საომარი მოქმედებების დაწყებისას?

ბ. რა სახის იარაღს იყენებდნენ ისინი ბრძოლების დროს, - ხეთაგუროვო, მუგუთი, ტბეთი, დმენისი და სხვა სოფლებში, ისევე როგორც ქალაქ ცხინვალში?

გ. როგორ კოორდინირებდნენ ისინი რუს და ოს სამშვიდობო ძალებთან?

ა. რუსულ სამშვიდობო ძალებზე

1. **პირველად, როდის და რომელი იარაღით გაუხსნეს ცეცხლი რუსულ სამშვიდობო ძალებს „ვერხნი გოროდოკში," ქვედა და ზედა ყაზარმებში, გაერთიანებულ შტაბებში, ცხინვალის გარეთ არსებულ პოსტებზე?**

როგორც უკვე იყო აღნიშნული სამხედრო საკითხების შესახებ 1-3 კითხვების პასუხად, 8 აგვისტოს დაახლოებით, 6:00 საათზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების რაზმების ქვედანაყოფი „კობრა-ს" ტიპის მსუბუქი ჯავშანმანქანით დაიძრა სოფელ ზემო ნიქოზიდან ცხინვალის გარეუბნისაკენ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს რამდენიმე ტანკის თანხლებით, რათა გაენეიტრალებინათ ამ სოფლისკენ დე-ფაქტო რეჟიმის მხრიდან წამოსული ცეცხლი; დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარული ძალები განლაგებულნი იყვნენ ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ე.წ. „შანხაის" გარეუბანში. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების რაზმი აღმოჩნდა სნაიპერისა და მასიური ტყვიამფრქვევის ცეცხლის წინაშე, რომელიც ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში განლაგებული რუსული სამშვიდობო ძალების შტაბიდან „ვერხნი გოროდოკიდან" მოდიოდა. გარდა ამისა, „ვერხნი გოროდოკის" მთავარი შენობის სახურავი მტრის მიერ გამოყენებული იყო საარტილერიო ცეცხლის სიზუსტისათვის ქართული შეიარაღებული ძალების მისამართით (იხ.: კვლავ დანართი 90, სამხედრო საკითხების 1 კითხვის პასუხად). ამ გარემოებაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების რაზმი იძულებული გახდა, გაეხსნა საპასუხო ცეცხლი ,,ვერხნი გოროდოკის" მიმართულებით ავტომატური თოფებიდან და „კობრას" ტიპის მანქანებზე არსებული 12,7მმ მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევებიდან ("Utyos"), ხოლო მოგვიანებით, იძულებული გახდა მოეთხოვა სატანკო დახმარება.

ვიდეო, გადაღებული რუსი სამშვიდობო ძალების ბატალიონის ერთ-ერთი სამხედრო პირის მიერ 06:00 სთ-ზე, 2008 წლის 8 აგვისტოს „ვერხნი გოროდოკის" ტერიტორიაზე, რომელიც ატვირთული იყო სხვადასხვა ვებგვერდებზე აგვისტოს ომის წლისთავამდე, მათ შორის YouTube-ზეც და აგრეთვე, 2009 წლის 8 აგვისტოს ნაჩვენები იყო რუსული სატელევიზიო არხის НТВ-ს მიერ პროპაგანდისტული ფილმის ნაწილად, ნათლად გვიჩვენებს, რომ:

1. 8 აგვისტოს, დილის 06:00 საათზე, რუსული სამშვიდობო ძალების ბატალიონის ბაზის მთავარი შენობა და დამხმარე ნაგებობები „ვერხნი გოროდოკში" იყო ხელუხლებელი და იქ არ იყო მსხვერპლი, განსხვავებით რუსეთის ხელისუფლების განცხადებებისგან. როგორც უკვე აღნიშნული იყო, სამხედრო საკითხების 1-ელი

კითხვის საპასუხოდ, 8 აგვისტოს, 02:37 სთ-ზე, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ **გრიგორი კარასინმა** დაურეკა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, **გრიგოლ ვაშაძეს** და აუწყა, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალები იწყებდნენ სამხედრო ოპერაციას ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში და ამ გადაწყვეტილების მიზეზად ასახელებდა დანაკარგებს რუს სამშვიდობო ძალებში. თუმცა, პირველი შეტაკება ქართულ ძალებსა და რუს სამშვიდობოებს შორის მოხდა **კარასინის** სატელეფონო ზარიდან მინიმუმ, სამი საათის შემდეგ;

2. ქართულ პოლიციასა და არმიას უმიზნებდნენ და ესროდნენ „ვერხნი გოროდოკიდან," რაც დასტურდება ვიდეოზე ჩაწერილი ხმით, რომელიც დროდადრო მოუწოდებდა ცეცხლის შეწყვეტისკენ, როდესაც სროლა გრძელდებოდა;

3. ორმხრივი ცეცხლი წინასწარ განზრახულად, პროვოცირებული იყო „ვერხნი გოროდოკიდან:" როდესაც ქართულმა ძალებმა უპასუხეს განუწყვეტელ ცეცხლს იმ არედან - ქართული სპეცრაზმების მიერ გასროლილი პირველი ტყვიები ჩანს, რომ ხვდებოდა „ვერხნი გოროდოკის" მთავარი შენობის ზედა სართულს, საიდანაც მოემართებოდა საარტილერიო ცეცხლი - ვიდეოში ისმის ხმა, რომელიც მიესალმება ამგვარ შედეგს.

ვიდეოსთვის იხილეთ დანართი **ა**, ხოლო ვიდეოს საწყისი წყაროსთვის, დანართი **ბ** (სკრინშოტის ბლოგი), სადაც წერია, რომ ვიდეო გადაღებული იყო 8 აგვისტოს დაახლოებით, დილის 06:00 სთ.

რუსი სამხედრო ექიმი, სახელად ალექსანდრე, (გვარი არ არის ცნობილი), რომელიც 2008 წლის ივლისის დასაწყისში გაგზავნილი იყო ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში რუსეთის სამშვიდობო ძალების ბატალიონში და დარჩა „ვერხნი გოროდოკის" ტერიტორიაზე ესკალაციისა და საომარი მოქმედებების განმავლობაში, რუსი ჟურნალისტისთვის მიცემულ ინტერვიუში აგრეთვე ადასტურებს, რომ ქართულმა ჯარებმა ცეცხლი გაუხსნეს რუსი სამშვიდობოების „ვერხნი გოროდოკის" ბაზას 8 აგვისტოს მხოლოდ დილის 06:00 სთ-ის შემდეგ, ხოლო რუსი სამშვიდობო ძალების მეთაურმა, დილის 04:00 სთ-ზე მიიღო ბრძანება გაეხსნათ ცეცხლი ქართული ჯარების საწინააღმდეგოდ; ბაზის მთავარი შენობის სახურავზე კი განლაგებული იყო სამხრეთ ოსეთის ბანდფორმირების წევრი, რომელიც ისვროდა საარტილერიო შეიარაღებიდან ქართული ჯარების მიმართულებით (იხ. დანართი "**ბ**" ინტერვიუსთვის).

როგორც აღნიშნულია სამხედრო საკითხების შესახებ მესამე კითხვის პასუხად, მიუხედავად არსებული მტკიცებულებისა, რომ სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო მთავრობის

არარეგულარული ჯარები იყენებდნენ რუსეთის სამშვიდობო ძალების ბაზას „ნიჟნი გოროდოკს“ საბრძოლო მიზნებისთვის (რაც აშკარად ჩანდა სამხედრო ოპერაციის მსვლელობისას), საქართველოს შეიარაღებულ ძალებს არ გაუხსნიათ ცეცხლი „ნიჟნი გოროდოკის“ მიმართულებით. ეს ტერიტორია, ისევე როგორც ზოგადად, ქალაქი ცხინვალი, ქართული ჯარების ქალაქში შესვლის მომენტისთვის მოხვდა რუსეთის მძიმე არტილერიის ცეცხლის ქვეშ. სატელევიზიო არხით HTB-ს მიერ გადაღებული მასალის ანალიზი,[20] გვიჩვენებს, რომ GRAD-ის ჭურვები, რომლებიც აფეთქდა სამშვიდობოების შტაბთან, მოდიოდა ჩრდილოეთიდან. სხვა ღია წყაროებში, კერძოდ კი ინტერვიუში რუსი ჯარისკაცი აღიარებს GRAD-ის ჭურვების სროლას ქალაქ ცხინვალზე.[21]

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ქალაქ ცხინვალის გარეთ მდებარე რუსი სამშვიდობოების ბატალიონის არც ერთ საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე ქართულ შეიარაღებულ ძალებს შეტევა არ განუხორციელებიათ. მიუხედავად უწყვეტი საომარი მოქმედებებისა, შერეული სამშვიდობო ძალების ყველა საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე სიტუაცია რჩებოდა წყნარი, მაგალითად, წვერიახოს მთაზე, სოფლებში მეღვრეკისი, არცევი და სხვა. ქართველი და რუსი სამშვიდობოები იდგნენ ერთმანეთის გვერდით ყველა ერთობლივ საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე, ვიდრე 9 აგვისტოს, გვიან საღამოს, ქართველმა სამშვიდობოებმა არ დატოვეს თავიანთი საკონტროლო-გამშვები პუნქტები, მხოლოდ ქართული ჯარების ცხინვალიდან უკან დახევისა და რუსეთის რეგულარული არმიის მიერ ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ოკუპაციის დაწყების შემდეგ.

2. როდის განიცადეს რუსმა სამშვიდობო ძალებმა პირველი დანაკლისი და მატერიალური ზარალი? (გთხოვთ, განსაზღვროთ ზუსტად)

ზემოთ აღწერილი ფაქტების მიხედვით, რუსი სამშვიდობოები ვერ განიცდიდნენ დანაკლისსა და მატერიალურ ზარალს 8 აგვისტოს დილის 06:00 საათამდე. უფრო მეტიც, გართიანებული სამშვიდობო ძალების მეთაურმა, მარატ კულახმატოვმა 8 აგვისტოს, 05:00 საათისთვისაც კი, ვერ დაადასტურა რაიმე ინფორმაცია მსხვერპლთან დაკავშირებით. ჩანაწერებისა და მოპოვებული სატელეფონო საუბრების აუდიო ფაილებისათვის იხილეთ დანართები „**დ**“ და „ **ე.**“

---

[20] იხ. დანართი 24, სამხედრო საკითხების კითხვა 3-ის პასუხად.

[21] იხ. დანართები 95 და 96, სამხედრო საკითხების კითხვა 1-ის პასუხად.

3. **როდის აცნობა გაერთიანებული სამშვიდობო ძალების მეთაურმა, გენერალმა მარატ კულახმატოვმა ეუთო-ს (ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია) ამ სროლებისა და დანაკლისის შესახებ?**

არ არის ცნობილი.

4. მიაწოდა თუ არა კოორდინატები „ვერხნი გოროდოკის“ მთავარი შენობის სახურავზე განთავსებულმა რუსი სამშვიდობოების პოსტმა სამხრეთ ოსეთის სამხედროებს ან ჩრდილოეთ (სამხრეთ) ოსეთის სამშვიდობო ძალების ბატალიონს?
   ა. თუ დიახ, რა დროიდან?

   ბ. შედგა თუ არა სატელეფონო საუბარი ამ საკითხზე გენერალ მარატ კულახმატოვსა და ქართული სამშვიდობოების მეთაურს გენერალ მამუკა ყურაშვილს შორის?

   გ. თუ დიახ, გააფრთხილა თუ არა ყურაშვილმა კულახმატოვი სამხრეთ ოსეთის მილიციასთან კოორდინირების შეწყვეტის შესახებ, ვიდრე ქართული ჯარები გახსნიდნენ ცეცხლს რუსი და ოსი სამშვიდოების მიმართ?

როგორც უკვე აღნიშნულია სამხედრო საკითხების შესახებ შეკითხვებზე მოცემულ პასუხებში, 7 აგვისტოს სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო მთავრობის არარეგულარული ძალების წევრი **ოლეგ გოლოვანოვი** სადამკვირვებლო პოსტიდან მიმართავდა საარტილერიო ცეცხლს საქართველოს რეგულარული ძალების საწინააღმდეგოდ, რომელიც განთავსებული იყო „ვერხნი გოროდოკის“ მთავარი შენობის სახურავზე (იხ.: საინფორმაციო სტატია დანართი 90, სამხედრო საკითხების 1-ელი კითხვის საპასუხოდ). რუსეთის სამხედრო ექიმი, სახელად ალექსანდრე (რომლის გვარიც არაა ცნობილი), ადასტურებს, რომ სამხრეთ ოსეთის ბანდფორმირების წევრი იმყოფებოდა „ვერხნი გოროდოკის“ მთავარი შენობის სახურავზე მოწყობილ სამეთვალყურეო პოსტზე და მიმართავდა საარტილერიო ცეცხლს ქართული ჯარების საწინააღმდეგოდ; ქართველების მიერ პირველი გასროლის შედეგად დაიჭრა სამხრეთ ოსეთის საარტილერიო ცეცხლის მეთვალყურე, რომელიც მიიყვანეს ექიმებთან, მაგრამ მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა მძიმე ჭრილობების გამო (იხ. დანართი „გ“).

ზუსტად არ არის ცნობილი, თუ რა დროიდან აძლევდა **ოლეგ გოლოვანოვი** საარტილერიო ცეცხლს მიმართულებას „ვერხნი გოროდოკის“ მთავარი შენობის სახურავიდან, მაგრამ როგორც კი, ქართველი სამშვიდობოები მიხვდნენ, რომ აღნიშნული სადამკვირებლო პოსტის საშუალებით გადაიცემოდა საარტილერიო კოორდინატები ბანდფორმირებებისთვის, ქართული სამშვიდობო ძალების მეთაურმა გენერალმა **მამუკა ყურაშვილმა** 8 აგვისტოს, 00:23 საათზე დაურეკა გაერთიანებული სამშვიდობო ძალების მეთაურს გენერალ **მარატ კულახმატოვს** და გააფრთხილა ამის შესახებ (იხ.: დანართები 87 „ა“ და „ბ“; 1-ელ კითხვაზე პასუხის გასაცემად მოპოვებული სატელეფონო საუბრის ჩანაწერი და მისი ტრანსკრიპტი).

5. **სხვა რა სახის კოორედინაციას ჰქონდა ადგილი რუს სამშვიდობოებს და ჩრდილოეთ (სამხრეთ) ოსეთის სამშვიდობოებსა და სამხრეთ ოსეთის მილიციას შორის ცხინვალის დაცვის პერიოდში?**

იხილეთ პასუხები „ბ“ კითხვაზე, ისევე, როგორც პასუხები სამხედრო საკითხების შესახებ დასმულ მე-3 კითხვაზე.

6. **გაერთიანებული სამშვიდობო ძალების სარეზერვო ნაწილები:**

ა. როდის იყო შერეული სამშვიდობო ძალების სარეზერვო ძალა (300 სამხედრო პირი, რომელიც შედიოდა სამშვიდობო ძალების თითოეულ ბატალიონში) გამოძახებული ცხინვალის მიმართულებით?

ბ. როდიდან ჰქონდა გენერალ კულახმატოვს ტაქტიკური კონტროლი ამ ნაწილებზე? რომელ ნაწილებზე/აღჭურვილობაზე?

გ. როდის მოვიდნენ ეს ნაწილები ცხინვალში/რუსულ სამშვიდობო ძალების პოზიციებზე?

დ. გააგზავნეს თუ არა ამ ნაწილებმა სადაზვერვო ჯგუფები ცხინვალის ან ჯავის მიმარულებით? თუ დიახ, როდის?

შერეული საკონტროლო კომისიის (JCC) წესების თანახმად, შერეული სამშვიდობო ძალების თითოეულ ბატალიონს ჰქონდა 300-კაციანი სარეზერვო ნაწილის ყოლის უფლება, სიტუაციის ესკალაციის შემთხვევაში. თუმცა, 1994 წლის 6 დეკემბრის შერეული საკონტროლო კომისიის რეგულაციის მე-5 მუხლის მიხედვით, *”რეგულაცია,*

რომელიც ეხება ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სიტუაციის ნორმალიზებისათვის დანიშნული სამხედრო კონტინგენტებისა და სამხედრო სადამკვირვებლო ჯგუფების ოპერაციის ძირითად პრინციპებს,“ მხოლოდ JCC (შერეული საკონტროლო კომისია) იყო უფლებამოსილი, შეეტანა ნებისმიერი საორგანიზაციო-საკადრო ცვლილებები სამხედრო კონტინგენტებისა და სამხედრო სადამკვირვებლო ჯგუფებში. JCC-ის 2004 წლის 30 სექტემბერი – 2 ოქტომბრის შეთანხმების („კონფლიქტის ზონაში ცეცხლის შეწყვეტაზე, უკანონო შეიარაღებული ფორმირებების გამოყვანაზე და სიტუაციის სტაბილიზაციის ღონისძიებების განხორციელების მსვლელობაზე გადაწყვეტილების“), მე-4 პუნქტის თანახმად, შერეული სამშვიდობო ძალების სამხედრო პერსონალის ნებისმიერი როტაცია უნდა ჩატარდეს დღისით, დილის 7:00 საათიდან საღამოს 18:00 საათამდე, შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარეების წინასწარი შეტყობინების საფუზველზე, არაუგვიანეს, ერთი თვით ადრე, დანიშნულ დღემდე (სათანადო JCC დოკუმენტებისთვის იხ. დანართი „ვ“).

ვინაიდან რუსი სამშვიდობო ძალების ბატალიონის ბოლო როტაცია განხორციელდა 2008 წლის მაისში, შემდეგი 6 თვის მანძილზე როტაცია აღარ იყო მოსალოდნელი. JCC თანათავმჯდომარეები არ იყვნენ ინფორმირებული რუსი სამშვიდობო ბატალიონისთვის სარეზერვო ნაწილების დამატების გეგმების ან რაიმე ღონისძიებების თაობაზე 2008 წლის აგვისტოში სიტუაციის ესკალაციის პირველ დღეებში. უფრო მეტიც, შერეული სამშვიდობო ძალების მეთაურმა, გენერალმა **მარატ კულახმეტოვმა** რუსული ახალი ამბების სააგენტო „ინტერფაქსის“ ერთ-ერთ ჟურნალისტთან სატელეფონო საუბარში განაცხადა, რომ მისთვის არ იყო ცნობილი რუსული სამხედრო კოლონების ცხინვალის რეგიონისკენ/სამხრეთ ოსეთისკენ რაიმე გადაადგილების შესახებ (იხ. კვლავ დანართი „ე“).

აქედან გამომდინარე, რუსეთის რეგულარული ჯარები, რომლებიც შევიდნენ როკის გვირაბში 2008 წლის 7 აგვისტოს 03:25 სთ-ზე და შემდგომ, არ შეიძლება ჩაითვალოს რუსი სამშვიდობოების სარეზერვო ძალებად ან მათ ჩანაცვლებად.

1. **მიაწოდა თუ არა რუსულმა საჰაერო ძალამ საავიაციო დახმარება ცხინვალში განლაგებულ რუსული სამშვიდობო ძალების ბატალიონს 2008 წლის 8-9 აგვისტოს? თუ დიახ, როდის და რა სახის დახმარება?**

როგორც იყო აღნიშნული სამხედრო საკითხების შესახებ დასმული კითხვების

პასუხებში, 8 აგვისტოს, დილიდან რუსმა სამხედრო თვითმფრინავებმა დაიწყეს საქართველოს ტერიტორიის ფართომასშტაბიანი დაბომბვა იმ ადგილების ჩათვლითაც, რომლებიც 250 კმ-ით არიან დაშორებული ცხინვალის რეგიონს/სამხრეთ ოსეთს.

2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ განხორციელებული საავიაციო დაბომბვების ქრონოლოგია

საჰაერო დაბომბვის თარიღი და დრო	**ტერიტორია**
8 აგვისტო, 09:30-09:44	სოფ. შავშვები, გორის რაიონი
8 აგვისტო, 10:23-10:43	სოფ. ვარიანი, ქარელის რაიონი
8 აგვისტო, 10:50-11:0.4	სოფ. ტყვიავი, გორის რაიონი, ქ. გორი
8 აგვისტო,15:07-15:21	ქ. თბილისი, ვაზიანის აეროდრომი და საავიაციო ქარხანა
8 აგვისტო,15:50-16:20	ქ. მარნეული, ქ. ბოლნისი
8 აგვისტო,16:39-17:06	ქ. მარნეული
8 აგვისტო,18:29-18:58	ქ. გორი
8-9 აგვისტო, 23:44-00:36	ქ. თბილისი, ვაზიანის აეროდრომი და საავიაციო ქარხანა
8 აგვისტო, 23:50	ქ. ფოთი (Tochka-U/SS-21),
8-9 აგვისტო, 23:50-00:23 9 აგვისტო, 00:41-01:04	ქ. ფოთი
9 აგვისტო, 09:23-09:45	ქ. ქუთაისთან ახლოს, კოპიტნარის აეროპორტი
9 აგვისტო, 09:52-10:24 9აგვისტო,10:21-10:46	ქ. გორი
9 აგვისტო, 10:29-11:04	სოფ. შავშვები, გორის რაიონი
9 აგვისტო, 13:42-13:50	კოდორის ხეობის დიდი ნაწილი, ზემო აფხაზეთი

9 აგვისტო, 14:03-14:11	სოფ. ომარიშარა, ზემო აფხაზეთი
9 აგვისტო, 14:26-14:39	სოფ. აჟარა, ზემო აფხაზეთი
9 აგვისტო, 14:26-14:39	სოფ. ჩხალთა, ზემო აფხაზეთი
9 აგვისტო, 16:04-16:14	სოფ. კომანდელი, ონის რაიონი
9აგვისტო,17:39-17:50 9 აგვისტო, 17:39-17:50 9აგვისტო,18:24-18:34	ჯეჭორის ხეობა, ონის რაიონი
9 აგვისტო, 22:20-22:30	სოფ. ჩხალთა, ზემო აფხაზეთი სოფ. გენწვისი, ზემო აფხაზეთი
9-10 აგვისტო, 23:50-00:23	ქ. სენაკი
10 აგვისტო, 05:27-05:47	ქ. თბილისი, ვაზიანის აეროდრომი და საავიაციო ქარხანა ბაქო-სუფსას ნავთობის მილსადენი, 25 კმ ნაწილი
10 აგვისტო, 06:02-09:15	სოფ. აჟარა, ზემო აფხაზეთი სოფ. ჩხალთა, ზემო აფხაზეთი სოფ. ურთა, ზუგდიდის რაიონი
10 აგვისტო,11:25-11:27	სოფ. წედისი, ონის რაიონი
10 აგვისტო, 12:22-12:26 10 აგვისტო,13:51-13:55	სოფ. ჩხალთა, ზემო აფხაზეთი
10 აგვისტო,15:05-15:15	კოდორის ხეობის დიდი ნაწილი, ზემო აფხაზეთი
10 აგვისტო,15:09-15:24	სოფ. კნოლევი, ქარელის რაიონი
10 აგვისტო,15:29-15:39	ქ. გორი
10 აგვისტო,15:40-15:50	სოფ. ანაკლია, ზუგდიდის რაიონი
10 აგვისტო,16:09-16:14	კოდორის ხეობის დიდი ნაწილი, ზემო აფხაზეთი

10 აგვისტო, 16:20-16:35	სოფ. ანაკლია, ზუგდიდის რაიონი
10 აგვისტო,17:21-17:55	კოდორის ხეობის დიდი ნაწილი, ზემო აფხაზეთი
10 აგვისტო,18:42-19:16	ქ. თბილისი, ლენინისის რადარის სადგური თბილისის საერთაშორისო აეროპორტთან ახლოს
10 აგვისტო, 19:40-20:05	ქ. სენაკი კოდორის ხეობის სხვადასხვა ნაწილი, ზემო აფხაზეთი
10 აგვისტო, 20:23-20:27	კოდორის ხეობის სხვადასხვა ნაწილი, ზემო აფხაზეთი
10 აგვისტო, 22:03-22:09	სოფ. გენწვისი, ზემო აფხაზეთი
10 აგვისტო, 23:54-00:00	სოფ. შავშვები, გორის რაიონი
11 აგვისტო,00:19-00:39	კოდორის ხეობის ნაწილები, ზემო აფხაზეთი
11 აგვისტო, 02:09-02:40	სოფ. ჩხალთა, ზემო აფხაზეთი
11 აგვისტო, 02:44-03:20	სოფ. შარაბიძეები, ხელვაჩაურის რაიონი სოფ. კაპანდიჩი, ხელვაჩაურის რაიონი სოფ. მახო, ხელვაჩაურის რაიონი
11 აგვისტო, 03:03-03:29	კოდორის ხეობის ნაწილები, ზემო აფხაზეთი
11 აგვისტო, 04:12-04:50	ქ. თბილისი, ლენინისის რადარის სადგური თბილისის საერთაშორისო აეროპორტთან ახლოს შირაქის აეროდრომი, დედოფლისწყაროს რაიონი
11 აგვისტო, 05:25-06:15	ქ. გორი
11 აგვისტო, 07:10-07:20	სოფ. განმუხური, ზუგდიდის რაიონი სოფ. ანაკლია, ზუგდიდის რაიონი ქ. სენაკი
11 აგვისტო,19:05-19:10	კოდორის ხეობის სხვადასხვა ნაწილი, ზემო აფხაზეთი
12 აგვისტო, 01:30-02:00	სოფ. რუისი, ქარელის რაიონი ქ. კასპი, რკინიგზის სადგური

	ქ. კასპი, „ჰაიდელბერგ ცემენტის“ ქარხანა
12 აგვისტო, 09:30-10:55	ქ. გორი
12 აგვისტო,11:30	ბაქო-სუფსის ნავთობის მილსადენი, 27 კმ მონაკვეთი („ისკანდერ-M”/SS-26-ით)
12 აგვისტო,დაახლ. 12:00	ქ. გორი („ისკანდერ -M”/SS-26)
12 აგვისტო,14:00-14:15	სოფ. აგარა, ხაშურის რაიონი სოფ. საკორინთო, კასპის რაიონი
13 აგვისტო, დილა, ზუსტი დრო არ არის ცნობილი	სოფ. საქაშეთი, გორის რაიონი სოფ. ოკამი, კასპის რაიონი
თარიღი და დრო უცნობია	სოფ. კარბი, გორის რაიონი
თარიღი და დრო უცნობია	ონის რაიონი (Tochka-U/SS-21-ით), აღმოჩნდა აუფეთქებელი
თარიღი და დრო უცნობია	სოფ. სინაგური, ჯავას რაიონი (Tochka-U/SS-21-ით), აღმოჩნდა აუფეთქებელი

საქართველოზე თავდასასხმელად, რუსეთის შეიარაღებული ძალები იყენებდნენ SU-24, SU-25, SU-27 და MIG-29 ტიპის სამხედრო თვითმფრინავებსა და TU-22M სტარატეგიულ ბომბდამშენებს.

ბ. ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ძალების ბატალიონის - ალანიის შესახებ

1. იყო თუ არა ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ბატალიონი დე-ფაქტო სამხრეთ ოსეთის ბატალიონი (პერსონალი)?

ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ბატალიონი ძირითადად, დაკომპლექტებული იყო ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მაცხოვრებლებით. ეს მრავალჯერ არის დადასტურებული ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ძალების მეთაურის, გენერალ

ყაზბეგ ფრიევის მიერ, ისევე როგორც სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო მთავრობის წარმომადგენლების მიერ. (იხილეთ დანართი 1, რუსული საინფორმაციო სტატიები, სადაც ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ძალების მეთაური, ისევე, როგორც დე-ფაქტო მთავრობის წარმომადგენლები აღიარებენ ამ ფაქტს.).

2. სამშვიდობო ძალების ეს ბატალიონი ითვლებოდა თუ არა რუსეთის ფედერაციის ან სამხრეთ ოსეთის სამხედრო ნაწილად?

ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ძალების ბატალიონი იყო რუსეთის ფედერაციის სამხედრო ერთეული. ბატალიონის მატერიალურ და ფინანსურ დახმარებას მთლიანად უზრუნველყოფდა რუსეთის ფედერაცია. ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ძალების მეთაური ინიშნებოდა რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგელობიდან. (იხილეთ დანართი 2, გაერთიანებული საკონტროლო კომისიის ოფიციალური დოკუმენტები, რომელიც ადასტურებს ამ ინფორმაციას).

3. როგორი იყო ამ ბატალიონის შემადგენლობა და შეიარაღება?

შერეული საკონტროლო კომისიის წესების თანახმად, ეს ბატალიონი ითვლიდა 500-მდე ჯარისკაცს (ვითარების ესკალაციის შემთხვევაში, შერეული საკონტროლო კომისიის სპეციალური გადაწყვეტილებით, კიდევ 300 ჯარისკაცი შეიძლებოდა დამატებოდა ბატალიონს). ბატალიონი შეიარაღებული იყო კალაშნიკოვის ავტომატებითა და ტყვიამფრქვევებით, 42 ჯავშანმანქანით, აქედან ქვეითი ჯარის 24 საბრძოლო მანქანა (BMP-ები) და 18 ჯავშანტრანსპორტიორი (BTR-ები).

4. რამდენად ახდენდა ქმედებების კოორდინირებას ოსური სამშვიდობო ძალების ბატალიონი სამხრეთ ოსეთის მილიციასთან ესკალაციის პერიოდში და სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებების დაწყებისას?

ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ძალების ბატალიონსა და სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო მთავრობის არარეგულარულ ძალებს შორის კოორდინაციას დიდი ხნის ისტორია აქვს. ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ძალების კონტინგენტის მეთაურები და ჯარისკაცები ყოველთვის აქტიურად თანამშრომლობდნენ ე.წ. „თავდაცვისა და გადაუდებელი სიტუაციების სამინისტროსთან“ და დე-ფაქტო მთავრობის სხვა ორგანოებთან.

ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ბატალიონი ხშირად აძლევდა შეიარაღებას,

აღჭურვილობასა და ტრანსპორტს არარეგულარულ ჯარებს, იყენებდა შერეული სამშვიდობო ძალების პოლიგონებს დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარული ჯარის გასაწვრთნელად და აწვდიდა მათ ინფორმაციას კონფლიქტის ზონაში საქართველოს პოლიციისა და სამშვიდობოების ადგილმდებარეობასა და კოორდინატებზე. ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ძალების ბატალიონი უშუალოდ მონაწილეობდა საომარ მოქმედებებში საქართველოს მთავრობის ძალების წინააღმდეგ 2004 წელს და ასევე, 2008 წელს.

გარდა ამისა, ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ძალების ბატალიონის სამხედრო დამკვირვებლები ხშირად ეხმარებოდნენ სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარულ ძალებს იმ შეიარაღებების დამალვაში, რომელიც იკრძალებოდა სამშვიდობო ძალების ფორმატით. ეს ხდებოდა შემდეგნაირად: არარეგულარული ძალები წინასწარ ინფორმირებული იყვნენ კონკრეტულ ადგილებში შერეული სამშვიდობო ძალებისა და ეუთო-ის მონიტორინგის ჯგუფების მოსალოდნელი ვიზიტების შესახებ ინფორმირების საფუძველზე, რაც მათ აძლევდა საშუალებას გადაემალათ შეიარაღება და სამხედრო ტექნიკა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ფლობს უზარმაზარ ინფორმაციას, რომელიც მოიცავს 2004 წლიდან მოყოლებულ სატელეფონო საუბრებს ამგვარ თამამშრომლობაზე ჩრდილო ოსეთის სამშვიდობო ბატალიონს, რუსულ სამშვიდობო ძალების ბატალიონსა და სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარულ ძალებს შორის. აქ არის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითები, რომლებიც ავლენს ამ წლების მანძილზე რუსი და ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ძალების მიერ განხორციელებულ უხეშ დარღვევებს:

- 2004 წლის 12 აგვისტოს, 15:51 სთ-ზე, ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ძალების მეთაურმა **ყაზბეგ ფრიევმა** დაურეკა „სამხრეთ ოსეთის“ დე-ფაქტო პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის ძმას, **რობერტ კოკოითს** და მისცა მას 1 ჯავშანმანქანა (BMP) თავის ეკიპაჟთან ერთად, რომელიც ეკუთვნოდა შერეულ სამშვიდობო ძალებს, ასევე, PG-7 ნაღმების ორი ყუთი, ავტომატური ცეცხლსასროლი შეიარაღება და ცილინდრიანი ნაღმმტყორცნები (იხ. დანართი 3, დანართი 3 აუდიო);
- 2004 წლის 14 აგვისტოს, 09:00 სთ-ზე სამხრეთ აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობის საგანგებო დავალებათა მინისტრმა, **ბორის ჩოჩიევმა** დაურეკა ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ძალების მეთაურს, **ყაზბეგ ფრიევს** და სთხოვა მას მოსულიყო შეკრებაზე, რომელსაც დაესწრებოდნენ შერეული სამშვიდობო ძალების მეთაური სტანისლავ ნაბძოროვი, სამხრეთ ოსეთის თავდაცვის დე-ფაქტო მინისტრი ანატოლი ბარანკევიჩი და სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა დე-ფაქტო მინისტრი (იხ. დანართი 4, დანართი 4 აუდიო);

- 2004 წლის 15 სექტემბერს, 15:18 სთ-ზე, ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ბატალიონის მთავარმა სამხედრო დამკვირვებელმა **ალიკ ლაგკოევმა** დაურეკა თავისი ბატალიონის უფროსს, **ფილიპ ხაჩიროვს** და უთხრა მას გაეფრთხილებინა სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო თავდაცვის სამინისტრო, გადაემალათ სამხედრო შეიარაღება, რომელიც განთავსებული იყო სოფელი გერისა და ძარას გზის მიმართულებით (იხ. დანართი 5, დანართი 5 აუდიო);
- 2005 წლის 13 იანვარს, 11:34 სთ-ზე ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ბატალიონის მთავარმა სამხედრო დამკვირვებელმა, **ალიკ ლაგკოევმა** დაურეკა სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო თავდაცვის მინისტრის მოადგილეს, **იბრაჰიმ გასეევს** და გააფრთხილა, რომ მონიტორინგი ჩატარდებოდა მუგუთის მთაზე (იხ. დანართი 6, დანართი 6 აუდიო);
- 2005 წლის 14 იანვარს, 10:52 სთ-ზე, ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ბატალიონის მთავარმა სამხედრო დამკვირვებელმა **ალიკ ლაგკოევმა** დაურეკა სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო თავდაცვის მინისტრის მოადგილეს, **იბრაგიმ გასეევს** და გააფრთხილა, რომ მონიტორინგი ჩატარდებოდა 10:30 სთ-ზე, ძარის გზის მიმართულებით (იხ. დანართი 7, დანართი 7 აუდიო);
- 2005 წლის 7 აპრილს, 14:42 სთ-ზე, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (KGB) თავმჯდომარის მრჩეველმა, **სერგეი გუზნოვმა** დაურეკა შერეული სამშვიდობო ძალების მეთაურს, **მარატ კულახმეტოვს** და უთხრა, რომ ხალხი რუსეთიდან, რომელთა შესახებაც, მანამდე სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ესაუბრა, 16:00 სთ-ზე შემოვიდოდა რეგიონში როკის გვირაბის გავლით და სთხოვა, მიეყვანა ისინი ცხინვალამდე შერეული სამშვიდობო ძალების ტრანსპორტით. კულახმატოვი დათანხმდა (იხ. დანართი 8, დანართი 8 აუდიო);
- 2006 წლის 1 მარტს, 16:39 სთ-ზე, ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ბატალიონის მთავარმა სამხედრო დამკვირვებელმა, **ალიკ ლაგკოევმა** დაურეკა თავისი ბატალიონის უფროსს, **ფილიპ ხაჩიროვს** და აცნობა, რომ მან მიიღო ზარი რუსი და ოსი დამკვირვებლებისაგან, რომლებიც აფრთხილებდნენ, რომ ისინი ერთად გადიოდნენ მონიტორინგზე ეუთო-ს წარმომადგენლებთან ერთად, ამიტომ შეიარაღებული არარეგულარული ჯარები არ უნდა მდგარიყვნენ გზებზე და შეიარაღების მარაგები მონიტორებისაგან შორს უნდა გადაემალათ (იხ. დანართი 9, დანართი 9 აუდიო);
- 2007 წლის 12 აპრილს, 11:47 სთ-ზე, ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ძალების მეთაურმა, **ყაზბეგ ფრიევმა** დაურეკა სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო თავდაცვის სამინისტროს მე-10 ბატალიონის მეთაურის მოადგილეს, **მაირბეგ ხურიევს** და სთხოვა ხელი მოეწერა დოკუმენტზე, რომელიც ეხებოდა მე-10 ბატალიონისთვის მის მიერ გადაცემულ მანქანას. მან აგრეთვე შეახსენა, რომ მანქანა საჭიროებდა კომუნიკაციების სპეციალისტს და ხურიევს შეეძლო გაეგზავნა ვინმე ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ძალების ბატალიონში შესაბამისი ტრეინინგის ჩასატარებლად

(იხ. დანართი 10, დანართი 10 აუდიო);

- 2007 წლის 7 მაისს, 13:47 სთ-ზე, ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ბატალიონის მთავარმა სამხედრო დამკვირვებელმა, **ალიკ ლაგკოევმა** დაურეკა თავის უფროსს, **ყაზბეგ ფრიევს** და აცნობა, რომ მონიტორინგმა გამოავლინა სამხრეთ ოსეთის საზენიტო სისტემა სოფელ ძვილეთში, მაგრამ სამხრეთ ოსეთის ბანდფორმირებებმა ცეცხლი გაუხსნეს მონიტორინგის ჯგუფს. **ლაგკოევმა** სთხოვა **ფრიევს,** რომ გაეფრთხილებინა სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლები. (იხ. დანართი 11, დანართი 11 აუდიო);
- 2007 წლის 7 მაისს, 14.04 სთ-ზე, ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ძალების ბატალიონის დამკვირვებელმა, **ფედია ჯიოევმა** დაურეკა ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ბატალიონის მთავარ სამხედრო დამკვირვებელს, **ალიკ ლაგკოევს** და უთხრა მას, რომ ერჩია დე-ფაქტო თავდაცვის სამინისტროსთვის, რაც შეიძლება სწრაფად მოეცილებინათ გამოვლენილი საზენიტო დაცვის სისტემა (იხ. დანართი 12, დანართი 12 აუდიო);
- 2007 წლის 7 მაისს, 14:09 სთ-ზე, ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ბატალიონის მთავარმა სამხედრო დამკვირვებელმა, **ალიკ ლაგკოევმა** დაურეკა სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო მთავრობის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, **ბორის ჩოჩიევს** და უთხრა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მან წინასწარ გააფრთხილა სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო თავდაცვის სამინისტრო დაგეგმილი მონიტორინგის შესახებ, მონიტორინგის ჯგუფმა აღმოაჩინა სამხრეთ ოსეთის საზენიტო დაცვის სისტემა სოფელ ძვილეთთან ახლოს. ჩოჩიევმა მას მიუთითა, რომ ასეთ თემაზე ტელეფონით აღარ ელაპარაკა (იხ. დანართი 13, დანართი 13 აუდიო);
- 2007 წლის 8 მაისს, 08:47 სთ-ზე, ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ბატალიონის მთავარმა სამხედრო დამკვირვებელმა, **ალიკ ლაგკოევმა** დაურეკა სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო მთავრობის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს **ბორის ჩოჩიევს** წინა დღეს მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით და უთხრა, რომ მონიტორინგის გუნდის ანგარიში არახელსაყრელი იყო სამხრეთ ოსეთის მხარისათვის, ვინაიდან მასში საუბარი იყო სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარული ძალების მიერ მონიტორინგის ჯგუფზე განხორციელებული თავდასხმის შესახებ. ჩოჩიევმა დაარიგა, რომ თავი შეეკავებინა ანგარიშზე ხელმოწერისაგან (იხ. დანართი 14, დანართი 14 აუდიო);
- 2007 წლის 22 ივნისს, 21:55 სთ-ზე, ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ძალების მეთაურმა **ყაზბეგ ფრიევმა** დაურეკა სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო თავდაცვის სამინისტროს მე-10 ბატალიონის მეთაურის მოადგილეს, **მაირბეგ ხურიევს** და უთხრა, რომ მას მე-10 ბატალიონისათვის გაგზავნილი ჰქონდა დიზელის საწვავი (იხ. დანართი 15, დანართი 15აუდიო);
- 2008 წლის 20 ივლისს, 10:48 სთ-ზე, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო თავდაცვის სამინისტროს მე-7 ბატალიონის უფროსის მოადგილემ, **არსენ კვეზეროვმა** ამავე ბატალიონის არტილერისტს, **ედიკას** უთხრა, რომ ისინი აპირებდნენ სანგრების

გათხრას ექსკავატორებით, რაც უზრუნველყოფილ იქნებოდა სამშვიდობოების მიერ (იხ. დანართი 16, დანართი 16 აუდიო);

როგორც უკვე აღნიშნული იყო სამხედრო საკითხების შესახებ დასმული მე-3 კითხვის პასუხად, კონფლიქტის ესკალაციის პერიოდში, 2008 წლის 29 ივლისიდან 7 აგვისტომდე, რუსი და ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ძალებისთვის ცნობილი იყო კონფლიქტის ზონაში მომხდარი უხეში დარღვევები, მაგრამ მათ არ განაცხადეს ამის შესახებ და რიგ შემთხვევებში თანამშრომლობდნენ კიდეც ამ დარღვევების მტკიცებულებების დასამალად. უფრო მეტიც, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარული ძალები და ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობოები ახდენდნენ კოორდინირებულ თავდასხმებს ქართულ სამშვიდობოებსა და პოლიციაზე. აქ მოგვყავს ამ დარღვევების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითები:

29 ივლისს, 22:40 სთ-ზე, ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ბატალიონის მორიგე ოფიცერმა, **რუსლან მაკეევმა** აცნობა ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობოების მეთაურს, **ყაზბეგ ფრიევს**, რომ ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობოების ერთმა სამხედრო ნაწილმა, ცეცხლი გაუხსნა ქართულ სამშვიდობო ბატალიონს; [22]

- 30 ივლისს 10:42 სთ-ზე, ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ბატალიონის მთავარმა სამხედრო დამკვირვებელმა, **ალიკ ლაგკოევმა** დაურეკა სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო თავდაცვის სამინისტროს მორიგე ოფიცერს და გააფრთხილა, რომ გაერთიანებული სამშვიდობო ძალები აპირებდნენ მონიტორინგს სარაბუკის მაღლობის სიახლოვეს. [23]
- 1 აგვისტოს, 22:57 სთ-ზე, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო თავდაცვის სამინისტროს მე-7 ბატალიონის უფროსის მოადგილემ, **არსენ კვეზეროვმა** უთხრა ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ბატალიონის უფროსს, **ფილიპ ხაჩიროვს,** რომ გადაეცა თხოვნა რამდენიმე სამხედრო ნაწილისთვის, რომ გაეწიათ მისთვის საცეცხლე მხარდაჭერა და შესთავაზა, რომ მიაწოდებდა ქართული პოლიციისა და ქართული სამშვიდობოების კოორდინატებს;[24]
- 2 აგვისტოს, 21:01 სთ-ზე, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო თავდაცვის სამინისტროს მე-7 ბატალიონის უფროსის მოადგილემ, **არსენ კვეზეროვმა** და ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ბატალიონის უფროსმა, **ფილიპ ხაჩიროვმა** განიხილეს ქართული სამშვიდობოებისა და პოლიციისა პოზიციების ნაღმტყორცნებით დაბომბვის სქემა.[25]
- 4 აგვისტოს, 14:44 სთ-ზე, საქართველოს სამშვიდობოების მეთაური, მამუკა ყურაშვილი ტელეფონით დაუკავშირდა შერეული სამშვიდობო ძალების უფროსს, მარატ კულახმატოვს და სთხოვა მას ჩაეტარებინა იმ ადგილების დამატებითი მონიტორინგი, საიდანაც სარაბუკის მაღლობს ნაღმებს ესროდნენ, რადგანაც იგი დარწმუნებული იყო, რომ 100-მმ ნაღმის მიერ დატოვებულ კვალის საფუძველზე შესაძლებელი იქნებოდა იმ მიმართულება, საიდანაც ის იყო ნასროლი. 15:34 სთ-ზე, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო თავდაცვის მინისტრმა, რუსმა პოლკოვნიკმა ვასილი

ლუნევმა, რომელიც უკვე ინფორმირებული იყო რომ ნაღმების სროლის ადგილისა და წარმომავლობის დადგენა შესაძლებელი იყო, დაურეკა სამხრეთ ოსეთის თავდაცვის სამინისტროს მე-7 ბატალიონის უფროსს, ვალერი კოკოევს (რომელიც პასუხისმგებელი იყო სროლაზე) და მიუთითა მას, რომ შეეცვალა საცეცხლე პოზიცია კვალის დაფარვის მიზნით;[26]

- 6 აგვისტოს, 11:58 სთ-ზე, პიროვნებამ, სახელად **ალანმა** მოახსენა ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ძალების ბატალიონის მთავარ სამხედრო დამკვირვებელს, **ალიკ ლაგკოევს**, რომ „მათმა ხალხმა“ ცეცხლი გაუხსნა საქართველოს პოლიციის ან ქართული სამშვიდობოების პოზიციებს. ლაგკოევს ამ ფაქტის შესახებ არაფერი მოუხსენებია ; [27]
- 6 აგვისტოს, 19:06 სთ-ზე, ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ძალების ბატალიონის მთავარმა სამხედრო დამკვირვებელმა, **ალიკ ლაგკოევმა** სთხოვა სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო თავდაცვის მინისტრის მოადგილეს, **იბრაჰიმ გასეევს,** მოეხსნებინა ქართული სამშვიდობო ბატალიონის ჯავშანმანქანის დაბობმვის შედეგების შესახებ;[28]
- 6 აგვისტოს, 21:18 სთ-ზე, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო თავდაცვის სამინისტროს მე-7 ბატალიონის უფროსმა, **ვალერი კოკოევმა** აცნობა ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ძალების უფროს მეთაურს, **ყაზბეგ ფრიევს**, რომ იმ ღამეს „რაღაც“ უნდა შემოეტანათ. ფრიევმა შეაწყვეტინა და გააფრთხილა, რომ ამ საკითხზე არ ესაუბრა ქართული მობილური ოპერატორის საშუალებით.[29]
- 7 აგვისტოს, 00:22 სთ-ზე, ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ძალების ბატალიონის მთავარმა სამხედრო დამკვირვებელმა, **ალიკ ლაგკოევმა** სთხოვა სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო თავდაცვის მინისტრის მოადგილეს, **იბრაჰიმ გასეევს,** საარტილერიო ცეცხლი ქართული სამშვიდოებისკენ მიემართა, ვინაიდან რამდენიმე ნაღმი შეცდომით დაეცა რუსი სამშვიდობოების მიერ დაკავებულ პოზიციასთან.[30]
- 7 აგვისტოს, 06:51 სთ-ზე, ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ბატალიონის მეთაურმა **ფილიპ ხაჩიროვმა** რჩევა მიაწოდა სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო თავდაცვის სამინისტროს მე-7 ბატალიონის მეთაურის მოადგილეს, **არსენ კვეზეროვს,** თავიანთი საარტილერიო შეტევებისთვის.სამიზნეების შერჩევასთან დაკავშირებით. [31]

---

[22]იხ. სამხედრო საკითხების მე-3 კითხვის პასუხის დანართები 2-3.

[23]იხ. სამხედრო საკითხების მე-3 კითხვის პასუხის დანართები 4-5.

[24] იხ. სამხედრო საკითხების მე-3 კითხვის პასუხის დანართები 6-7.

[25] იხ. სამხედრო საკითხების მე-3 კითხვის პასუხის დანართები 8-9.

[26] იხ. სამხედრო საკითხების მე-3 კითხვის პასუხის დანართები 10-13.

[27] იხ. სამხედრო საკითხების მე-3 კითხვის პასუხის დანართები 14-15.

[28] იხ. სამხედრო საკითხების მე-3 კითხვის პასუხის დანართები 16-17.

[29] იხ. სამხედრო საკითხების მე-3 კითხვის პასუხის დანართები 18-19.

[30] იხ. სამხედრო საკითხების მე-3 კითხვის პასუხის დანართები 20-21.

[31] იხ. სამხედრო საკითხების მე-3 კითხვის პასუხის დანართები 22-23.

5. როდის და სად გახდა ოსური სამშვიდობო ბატალიონი საბრძოლო მოქმედებების მომსწრე – ესკალაციისა და შეიარაღებული კონფლიქტის განმავლობაში?

როგორც უკვე იყო აღნიშნული სამხედრო საკითხების შესახებ დასმული მე-3 კითხვის პასუხად, ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ძალების უფროსის, პოლკოვნიკ **ყაზბეკ ფრიევის** მიერ სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რეჟიმის რადიოსთვის მიცემული ინტერვიუს თანახმად, საომარი მოქმედებების განმავლობაში, მის დაქვემდებარებაში მყოფმა ბატალიონის ნაწილებმა „დაიკავეს წინასწარ დაგეგმილი პოზიციები და მოქმედებდნენ (რუსეთის) თავდაცვის სამინისტროს ბატალიონებთან ერთად და „აფერხებდნენ ქართული ჯარების წინ წაწევას“.[32] პოლკოვნიკმა ფრიევმა აგრეთვე განაცხადა, რომ მშვიდობისმყოფელთა მისია იყო, „არ მიეცათ ქართველებისთვის ქალაქში შესვლის საშუალება.“ მან მოაწყო თავისი ჯარისკაცებისა და ჯავშანტექნიკის (BMP-ები და BTR-ები) პოზიციები ცხინვალში, კერძოდ, შანხაის, ცარზისა და მამისაანთუბანის რაიონებში, ქალაქის სამხრეთით და მოქმედებდა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ჯარებთან ერთად.[33]

2008 წლის 7 აგვისტოს, ნაშუადღევიდან, დე-ფაქტო რეჟიმის ხელმძღვანელობის ნაწილმა, განსაკუთრებით, „ყველა ძალოვანმა მინისტრმა“ დაიწყო შეკრება სამშვიდობოთა შტაბში - „ნიჟნი გოროდოკში.“ გაფანტული არარეგულარული ფორმირებების ნაწილმაც, თავი მოიყარა ზუსტად ამ ადგილას, რომელიც გამოიყენებოდა, „ქალაქის დაცვის კოორდინირების“ ერთ-ერთ ცენტრად.[34]

შერეული სამშვიდობო ძალების შტაბი „ნიჟნი გოროდოკი“ იყო ადგილი, სადაც **ანატოლი ბარანკევიჩი,** სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე, ითხოვდა დახმარებას.[35] ბარანკევიჩის მიხედვით „მან შესთავაზა კულახმატოვს (შერეული სამშვიდობო ძალების მეთაურს), ერთად დაეცვათ თავი რუსეთის ჯარების შემოსვლამდე.“ ამავდროულად, სამშვიდობოების ბაზის ტერიტორიაზე მას გადასცეს მობილური, რის საშუალებითაც იგი უკავშირდებოდა რუსეთის ხელმძღვანელობას და ითხოვდა „შეპირებულ დახმარებას.“ ბარანკევიჩმა, რომელსაც ეხმარებოდნენ სამხრეთ ოსეთის ბანდფორმირებები, აგრეთვე გადაწყვიტა, დაეცვათ შერეული სამშვიდობო ძალების შტაბისკენ მიმავალი გზები. ამ მიზნით, მათ დაიკავეს გარშემო არსებული სახლები, საიდანაც ისინი ჩასაფრებული იყვენენ და უტევდნენ ქართულ პოლიციას და სამხედროებს, რომლებიც მოძრაობდნენ ქალაქის გარშემო.[36]

ბოლო ინტერვიუში, ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ძალების მეთაურმა, პოლკოვნიკმა **ყაზბეგ ფრიევმა** განმეორებით დაადასტურა, რომ მისი მეთაურობის ქვეშ მყოფი ბატალიონი უშუალოდ მონაწილეობდა საომარ მოქმედებებში ქართული

ჯარების წინააღმდეგ. იგი აცხადებდა, რომ სამშვიდობო ბატალიონის ადგილმდებარეობიდან, ცხინვალიდან 100 მ-ში, 50 ოსი სამშვიდობო იბრძოდა ქართველების წინააღმდეგ და იცავდა ქალაქის იმ უბანს (იხ. დანართი 17);

---

[32] იხ სამხედრო საკითხების 1 კითხვაზე პასუხის დანართი 91 ..

[33] იქვე

[34] იქვე

[35] იხ სამხედრო საკითხების 1 კითხვაზე პასუხის დანართები 93 და 94.

[36] იქვე.

ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ძალების ბატალიონის უფროსმა, ვიცე-პოლკოვნიკმა **ფილიპ ხაჩიროვმა** ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ 2008 წლის 8 აგვისტოს, იგი ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ბატალიონის იარაღის საწყობიდან სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რეჟიმის სხვადასხვა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს აწოდებდა ტყვიებს ცეცხლსასროლი ავტომატური იარაღისთვის, ტანკსაწინააღმდეგო ნაღმმტყორცნებს და სხვა სახის იარაღს. მისი თქმით, ისინი ერთად იბრძოდნენ ქალაქში საქართველოს სამთავრობო ძალების წინააღმდეგ (იხ. დანართი 18);

ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ძალების ბატალიონის ფიზიკური წვრთნისა და სპორტის განყოფილების მეთაურმა, **სოსლან ტასოევმა** ინტერვიუში განაცხადა, რომ 2008 წლის 7 აგვისტოს, 14:00 სთ-ზე, ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ბატალიონმა ქვეითი ჯარის საბრძოლო მანქანა (BMP) გადასცა სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო თავდაცვის სამინისტროს დანაყოფს, რომელიც განლაგებული იყო დმენისისა და სარაბუკის სოფლებში და შემდეგ თავადვე მიაწოდა მათ ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რეაქტიული ჭურვები (იხ. დანართი 19);

ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ძალების ბატალიონის უფროსის მოადგილემ, მაიორმა **ანატოლი ბიბილოვმა**, ახლახანს გავრცელებულ ინტერვიუში განაცხადა, რომ 8 აგვისტოს იგი და ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ძალების ბატალიონის სხვა წევრები ცხინვალში იბრძოდნენ საქართველოს მთავრობის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ, ესროდნენ RPG-6 ტანკსაწინააღმდეგო რაკეტებს ქართულ ტანკებს და იკავებდნენ პოზიციებს სახურავებსა და საცხოვრებელი შენობების ზედა სართულებზე ქალაქის სხვადასხვა ნაწილში (იხ. დანართი 20).

გ. საქართველოს სამშვიდობო ძალების ბატალიონის შესახებ

1. **როგორი იყო საქართველოს სამშვიდობო ბატალიონის რიცხობრივი შემადგენლობა და შეიარაღება ესკალაციისა და სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებების დაწყებისას?**

2008 წლის აგვისტოსთვის, საქართველოს სამშვიდობო ბატალიონში, რომელიც იმყოფებოდა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, შედიოდა 541 ჯარისკაცი, მათ შორის, 500 ჯარისკაცი ეკუთვნოდა პირველი ქვეითი ბრიგადის მე-11 მსუბუქ ქვეით ბატალიონს, 41 ჯარისკაცი და 13 ჯავშანმანქანა BMP-2 იმავე ბრიგადის სატანკო ბატალიონს. საქართველოს სამშვიდობო ბატალიონის რიცხობრივი შემადგენლობა და შეიარაღება არ შეცვლილა კონფლიქტის ესკალაციის პერიოდში, ისევე როგორც სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ.

როგორც უკვე აღინიშნა, სამხედრო საკითხების მე-3 კითხვის პასუხად, საქართველოს სამშვიდობო ბატალიონს საკუთრივ, ჰქონდა შემდეგი ოთხი საკონტროლო-გამშვები პუნქტი:

- სოფელი ავნევი (1 ქართული ოცეული);
- სარაბუკის მაღლობებზე (1 ქართული ოცეული);
- სოფელი კეხვი (6 ქართული სამშვიდობო);
- სოფელი თამარაშენი (6 ქართული სამშვიდობო).

ქართული სამშვიდობო ბატალიონის ერთი ოცეული, როგორც შერეული რუსულ-ქართული საკონტროლო პუნქტის ნაწილი, დისლოცირებული იყო წვერიახოს მთაზე, საქართველოს შემოვლითი გზის მაღლა (ერედვი-ხეითი) და ბატალიონიდან თითო დამკვირვებელი იყო გამოყოფილი ერთობლივ საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე, შემდეგ სოფლებში:

- კეხვი
- ფრისი
- მეღვრეკისი
- ვანათი
- კვერნეთი
- თამარაშენი
- არცევი
- ავნევი.

საქართველოს სამშვიდობო ბატალიონს ეკავა სამი მუდმივი ადგილი კონფლიქტის

ზონაში, სადაც მისი პერსონალი იყო დაბინავებული:

- სოფელ ზემო ნიქოზში (311 ჯარისკაცი და 6 ჯავშანმანქანა BMP-2);
- სოფელ ერედვში (104 ჯარისკაცი და 7 ჯავშანმანქანა BMP-2);
- სოფელ აჩაბეთში (126 ჯარისკაცი).

ქართული სამშვიდობოების ბატალიონიდან რამდენიმე უფროსი ოფიცერი დაბინავებული იყო შერეული სამშვიდობო ძალების ცენტრალურ შტაბში, ქალაქ ცხინვალში, ე.წ. „ნიჟნი გოროდოკში.“

2. **რაში მდგომარეობდა ქართული სამშვიდობო ბატალიონის როლი ვითარების ესკალაციის დროს და რეგულარული ქართული ჯარის დისლოცირებისას?**

ა. ცხინვალის სამხრეთ სარტყელში?

ბ. ცხინვალის ჩრდილოეთით მდებარე ქართულ სოფლებში?

გ. საქართველოს შემოვლით გზაზე (გერი-დმენისი-სარაბუკის მაღლობები და სხვა.

(გთხოვთ, დეტალურად მიუთითოთ მოქმედება, დრო და დისლოკაცია)

ქართული სამშვიდობო ბატალიონის მთავარი ამოცანები კონფლიქტის ესკალაციის განმავლობაში, ისევე როგორც საომარი მოქმედებების დროს, დაფუძნებული იყო კონფლიქტის ზონაში შერეული სამშვიდობო ძალების მოქმედებათა ზოგად პრინციპებზე და წარმოადგენდა შემდეგს: ა) სამოქალაქო მოსახლეობის დაცვა; ბ) არალეგალური შეიარაღებული დაჯგუფებების საქმიანობის დაბლოკვა; გ) ცეცხლსასროლი იარაღის, სამხედრო ტექნიკის, ასაფეთქებლების და სხვა მასალების კონფლიქტის ზონაში შემოტანის პრევენცია, რომლებიც შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო ტერორისტული, საბოტაჟისა და სხვა სამხედრო მიზნებით.

2008 წლის 29 ივლისიდან, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარული ძალები ინტენსიურად უტევდნენ კონფლიქტის ზონაში დისლოცირებულ ქართულ სამშვიდობოებსა და ცენტრალური მთავრობით მიერ კონტროლირებად სოფლებს. როგორც უკვე იყო მოხსენიებული სამხედრო კითხვებზე გაცემულ პასუხებში, 29ივლისს, 22:00 სთ-ზე, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარულმა ძალებმა 100 მმ და 120 მმ საარტილერიო ჭურვებით ცეცხლი გაუხსნეს ქართველი სამშვიდობოების საკონტროლო პუნქტს, სარაბუკის მაღლობებზე. 1 აგვისტოს, 21:30 სთ-დან სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარულმა ძალებმა მსხვილკალიბრიანი შეიარაღებიდან საარტილერიო ცეცხლი გაუხსნეს ქართულ სოფლებს: ზემო ნიქოზი, ქვემო ნიქოზი, ავნევი, ნული, ერგნეთი, ერედვი და ზემო

ფრისი, ქართული სამშვიდობოების დისლოკაციის ადგილების ჩათვლით. სროლა გრძელდებოდა მთელი ღამის განმავლობაში და შეწყდა მხოლოდ დილით, 2 აგვისტოს. 2–3 აგვისტოს, შერეულმა სამშვიდობო ძალებმა განახორციელეს დაბომბვის შედეგად დაზიანებული სოფლების უმრავლესობის მონიტორინგი, 4 აგვისტოს კი გამოსცეს ანგარიში, რომელიც ადასტურებდა ზემო ნიქოზის, ქვემო ნიქოზის, ნულის, ერედვის და ზემო ფრისის 82 მმ-იანი არტილერით დაბომბვის ფაქტს, და ასევე ქართული სამშვიდობოების 100 მმ-იანი და უფრო მსხვილკალიბრიანი არტილერიით დაბომბვის ფაქტს სარაბუკის მაღლობზე.[37]

7 აგვისტოს, 14:00 სთ-ზე, ქართული სამშვიდობოების საკონტროლო პუნქტი მძიმედ დაიბომბა 100 მმ და 120 მმ არტილერიით, სოფელ ხეთაგუროვოში დისლოცირებული სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარული ჯარების მიერ. მათ გაანადგურეს ქართული სამშვიდობოების სამხედრო ნაწილის ჯავშანმანქანა, მოკლული იქნა ორი მშვიდობისმყოფელი – შალვა ტრაპაიძე და ვიტალი თაყაძე, ხუთი სამშვიდობო კი დაიჭრა.[38] ქართულმა სამშვიდობოებმა საპასუხო ცეცხლი გახსნეს თავდაცის მიზნით. მოგვიანებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოიპოვა სატელეფონო საუბარი, რომელშიც დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარული ძალების ერთ-ერთი წევრი ადასტურებდა ავნევში ქართული სამშვიდობოების ჯავშანმანქანის ქვემეხით განადგურების ფაქტს.[39]

7 აგვისტოს, დაახლოებით, 17:00 სთ-ზე, მას შემდეგ, რაც შერეული სამშვიდობო ძალების მეთაურმა, მარატ კულახმატოვმა უარი განუცხადა ქართველ სამშვიდობოებს ქ. ცხინვალში უსაფრთხოების დამატებითი გარანტიების მიცემაზე, ქართველი სამშვიდობო ძალების მეთაურმა, მამუკა ყურაშვილმა სამშვიდობო ბატალიონის ოფიცრებს უბრძანა, დაეტოვებინათ შერეული სამშვიდობო ძალების შტაბი ცხინვალში. 17:10 სთ-ზე, ქართველმა სამშვიდობოებმა ცალმხრივად შეწყვიტეს ცეცხლი დაძაბულობის შესამცირებლად, მიუხედავად იმისა, რომ ქართველ სამშვიდობოთა რიგებში არსებობდა მსხვერპლი და ცენტრალური მთავრობის მიერ კონტროლირებადი სოფლები იბომბებოდა. ეს გადაწყვეტილება რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა თემურ იაკობაშვილმა აცნობა შერეული სამშვიდობო ძალების მეთაურს, მარატ კულახმატოვს 17.00 სთ-ზე. მიუხედავად ამისა, 20:30 სთ-ზე, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარულმა ძალებმა განაახლეს სროლა ქართველი მშვიდობისმყოფელების მიმართულებით სოფელ ავნევში და 23:30 სთ-ზე გაამლიერეს საარტილერიო ცეცხლი ქართული სამშვიდობოების ყველა პოზიციაზე – დიდი ლიახვის, პატარა ლიახვისა და ფრონეს ხეობებში.

მას შემდეგ, რაც მოხდა ქართული რეგულარული შეიარაღებული ძალების დისლოცირება რეგიონში და თავდაცვითი სამხედრო ოპერაციისთვის მზადება, საქართველოს პრეზიდენტის მიერ 7 აგვისტოს 23:35 სთ-ზე გაცემული ბრძანების

საფუძველზე, ქართული სამშვიდობო ბატალიონის წევრები აგრძელებდნენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას ყველა საკონტროლო პუნქტზე კონფლიქტის ზონაში. ქართველი და რუსი სამშვიდობოები იდგნენ ერთმანეთის გვერდით ყველა საკონტროლო პუნქტზე 9 აგვისტოს გვიან ღამემდე. მათ შორის არავითარი ინციდენტი არ მომხდარა.

8-9 აგვისტოს, მიუხედავად მასიური დაბომბვებისა რუსული სამხედრო ავიაციისა და არტილერიის მხრიდან, საქართველოს სამშვიდობო ბატალიონი ინარჩუნებდა თავის პოზიციებს და იცავდა სამოქალაქო მოსახლეობას ცხინვალის სამხრეთით მდებარე სოფლებში, ისევე როგორც ცენტრალური მთავრობის მიერ კონტროლირებად სოფლებში – დიდი და პატარა ლიახვისა და ფრონეს ხეობებში.

9 აგვისტოს, ქართული სამშვიდობო ბატალიონი დაეხმარა მოსახლეობას ევაკუაციაში, დიდი და პატარა ლიახვისა და ფრონეს ხეობებიდან.

9 აგვისტოს, 22:30 სთ-ზე, დიდი ლიახვის ხეობიდან ადგილობრივი მოსახლეობის ევაკუაციის დასრულების შემდეგ, ქართული სამშვიდობო ბატალიონის ქვედანაყოფმა ქართული პოლიციის დანაყოფებთან ერთად დაიწყო ტერიტორიის დატოვება ერედვი-ხეითის შემოვლითი გზით; მათ დათმეს თავიანთი პოზიციები კეხვში, თამარაშენსა და აჩაბეთში. 10 აგვისტოს, დილის 02:00 სთ-ზე ქართველი სამშვიდობოები მთლიანად გადავიდნენ სოფ. ერედვში, პატარა ლიახვის ხეობისკენ. დიდი ლიახვის ხეობიდან გამოსვლისთანავე, ქართველ სამშვიდობოთა ოცეულმა დატოვა გაერთიანებული რუსულ-ქართული საკონტროლო პუნქტი წვერიახოს მთაზე.

10 აგვისტოს, 10:00 სთ-ზე ქართულმა სამშვიდობო ბატალიონმა ქართულ რეგულარულ ჯართან ერთად დაიხია ფრონეს ხეობიდან სოფ. ზემო ნიქოზისკენ, ცხინვალის სამხრეთით. დაახლოებით, ამავე დროს, ქართული სამშვიდობო ბატალიონის პერსონალმა დატოვა პატარა ლიახვის ხეობა, სოფელ ერედვში მისი დისლოკაციის ადგილის ჩათვლით. რამდენიმე საათის შემდეგ, ქართულმა სამშვიდობო ბატალიონმა მიატოვა ყველა თავისი საკონტროლო პუნქტი ცხინვალის სამხრეთისკენ, ზემო ნიქოზის ჩათვლით და დაიხია უკან, სამხრეთისკენ გორის რაიონში.

იმის გამო, რომ რუსულმა ჯარებმა დაიწყეს დაწინაურება ქ. ცხინვალიდან სამხრეთისკენ, 11 აგვისტოს, დილით საქართველოს სამშვიდობო ბატალიონი ქართული რეგულარული არმიის უმეტეს ნაწილთან ერთად, დაიძრა გორის რაიონიდან აღმოსავლეთის მიმართულებით და 22:00 სთ-ზე დაიკავა პოზიციები ქ. მცხეთასთან ახლოს, დედაქალაქის თბილისის დაცვის მიზნით.

3. **რამდენად ახდენდა ქართული სამშვიდობო ბატალიონი კოორდინაციას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების ძალებთან და ქართულ პოლიციურ ძალებთან (სანაკოვის ადმინისტრაციის განკარგულებაში)?**

ქართული სამშვიდობო ბატალიონი ყოველთვის შეთანხმებულად მოქმედებდა ქართულ პოლიციასთან კონფლიქტის ზონაში, რათა უზრუნველეყო ცენტრალური მთავრობის მიერ კონტროლირებადი სოფლების მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარული ფორმირებების შეტევებისაგან.

2008 წლის აგვისტოში მიმდინარე საომარი მოქმედებების განმავლობაში, ქართული სამშვიდობო ბატალიონი და ქართული პოლიციის ქვედანაყოფები (შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების რაზმებისა და დროებითი ადმინისტრაციის ანტიტერორისტული ცენტრის ჩათვლით) აგრეთვე კოორდინირებულად ახდენდნენ სამოქალაქო მოსახლეობის ევაკუაციას დიდი ლიახვის, პატარა ლიახვისა და ფრონეს ხეობებიდან, ისევე როგორც ქალაქ გორიდან და მის გარშემო მდებარე სოფლებიდან.

4. **რომელი მიმართულებიდან იღებდა ქართული სამშვიდობო ბატალიონი მონაწილეობას ცხინვალზე განხორციელებულ იერიშში? (სამხრეთი: ავნევი, ნიქოზი; ჩრდილოეთი: თამარაშენი; აღმოსავლეთი: გერი-დმენისის შემოვლითი გზით?) თუ მონაწილებდა საერთოდ იერიშში?**

ქართული სამშვიდობო ბატალიონი არ მონაწილეობდა ქალაქ ცხინვალზე განხორციელებულ იერიშში.

დ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების ძალები

1. როგორი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების ძალების შემადგენლობა და შეიარაღება ესკალაციის პერიოდში და სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ?

2. რაში მდგომარეობდა მათი როლი ესკალაციის განმავლობაში, რეგულარული ქართული ჯარის დისლოცირებისას და სრულმასშატაბიანი საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ?

ა. ცხინვალის სამხრეთ სარტყელში?

ბ. ცხინვალის ჩრდილოეთით მდებარე ქართულ სოფლებში?

გ. საქართველოს შემოვლით გზაზე (გერი-დმენისი-სარაბუკის მაღლობები და სხვ.)?

(გთხოვთ, დეტალურად მიუთითოთ მოქმედება, დრო და დისლოკაცია)

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების რაზმები ძირითადად, წარმოდგენილია ორი განყოფილებით: სპეციალური დავალებების მთავარი განყოფილება და სპეციალური ოპერაციების ცენტრი. სპეციალური დავალებების მთავარი განყოფილება ავსებს რეგიონული პოლიციის ქვედანაყოფებს სპეციალური დანიშნულების რაზმებით და ასრულებს სხვადასხვა დავალებებს საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად. რაც შეეხება სპეციალური ოპერაციების ცენტრს, იგი ახორციელებს ანტიტერორისტულ და ანტიკრიმინალურ ოპერაციებს სპეციალური იარაღითა და ტაქტიკური მონახაზით. გარდა ამისა, სპეციალური დანიშნულების მცირე რაზმი შედის სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების განყოფილებაში, რომელიც იცავს სახელმწიფოს რადიკალურ/ექსტრემისტთა დაჯგუფებებისა და ორგანიზაციების ქმედებებისგან. სპეციალური დანიშნულების ოპერატიული განყოფილებასა და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტს აქვს ქვედანაყოფებები საქართველოს ყველა რეგიონში, მათ შორის, შიდა ქართლის რეგიონში, მაშინ როდესაც სპეცოპერაციების ცენტრი თბილისის მახლობლად მდებარეობს.

2008 წლის აგვისტოსთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების მთავარი განყოფილების შიდა ქართლის ქვედანაყოფის პოლიციის 300-მდე ჯარისკაცი ასრულებდა თავიანთ მოვალეობებს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, ძირითადად ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის სამხრეთ საზღვართან. ისინი განლაგებულნი იყვნენ 6 საკონტროლო პუნქტზე სოფლებში: 1. დვანი, 2. ქვემო ნიქოზი, 3. ზემო ნიქოზი, 4. ერგნეთი, 5. მეჯვრისხევი, 6. ზემო ფრისი (პატარა ლიახვის ველი) და პატრულირებდნენ ამ სოფლებს შორის გზებზე, „ტოიოტას“ მარკის ღია სატვირთო მანქანებით. თითოეული საკონტროლო პუნქტი დაკომპლექტებული იყო 30-40 პოლიციის ოფიცრით, შეიარაღებული კალაშნიკოვის ცეცხლსასროლი იარაღით და ტყვიამფრქვევებით. მათი ბაზა მოთავსებული იყო გორის რაიონის სოფელ კარალეთში.

2006 წლის ბოლოს, ქართული პოლიციის დახმარების მიზნით, სპეცდანიშნულების მცირერიცხოვანი რაზმი (ანტი-ტერორისტული ცენტრი) ჩამოყალიბდა სამხრეთ ოსეთის

ახლადდაარსებული დროებითი ადმინისტრაციის კონტროლის ქვეშ, რათა გაეწია დახმარება ცენტრალური მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის სიახლოვეს, კერძოდ, დიდი ლიახვის, პატარა ლიახვისა და ფრონეს ხეობებში. იგი ძირითადად, დაკომპლექტებული იყო ადგილობრივი მაცხოვრებლებით. 2008 წლის აგვისტოსთვის, დროებითი ადმინისტრაციის ანტი-ტერორისტული ცენტრის 185 პოლიციის ოფიცერი განაწილებულოი იყო 9 საკონტროლო პუნქტზე: 6 დიდი ლიახვის ხეობაში – ცხინვალის ჩრდილოეთისკენ (3 – თამარაშენში, 1 –აჩაბეთში, 1 კეხვში და 1 ძარწემში), 1 – მცირე ლიახვის ხეობაში, ცხინვალის აღმოსავლეთისკენ (ზემო ფრისში) და 2 – ფრონეს ხეობაში, ცხინვალის დასავლეთისკენ (სოფ. ავნევში). დროებითი ადმინისტრაციის ანტიტერორისტული ცენტრის პოლიციის ოფიცრები აგრეთვე რეგულარულად პატრულირებდნენ ერედვი-ხეითის შემოვლით გზაზე, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებდა პატარა და დიდი ლიახვის ხეობებს. თითოეული საკონტროლო პუნქტი დაკომპლექტებული იყო 10-15 პოლიციის ოფიცრით, რომლებიც შეიარაღებული იყვნენ კალაშნიკოვის ცეცხლსასროლი იარღითა და ტყვიამფრქვევებით.

2008 წლის 29 ივლისს, ესკალაციის დაწყებისას, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარულმა ფორმირებებმა ინტენსიურად გაუხსნეს ცეცხლი სპეცდანიშნულების მთავარი განყოფილებისა და დროებითი ადმინისტრაციის ანტი-ტერორისტული ცენტრის პოლიციის ოფიცრებსა და საკონტროლო პუნქტებს. 1 აგვისტოს დაიჭრა ქართული სპეცდანიშნულების რაზმის 5 პოლიციის ოფიცერი, როდესაც მათ „ტოიოტას“ მარკის ღია სატვირთო მანქანას მოხვდა დისტანციური მართვის ასაფეთქებელი მოწყობილობა ერედვი-ხეითის შემოვლით გზაზე. 2 აგვისტოს, დილით, ცხინვალიდან ზემო ნიქოზის საკონტროლო პუნქტზე ნაღმის მოხვედრის შედეგად მძიმედ დაიჭრა სპეც-დანიშნულების მთავარი განყოფილების შიდა ქართლის ქვედანაყოფის ოფიცერი ირაკლი ბექურიშვილი. 5 აგვისტოდან 7 აგვისტომდე, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარულმა ფორმირებებმა ნაღმმტყორცნების, ქვემეხების, ზარბაზნებისა და ჯავშანმანქანების გამოყენებით ცეცხლი გაუხსნეს ქართული პოლიციის საკონტროლო პუნქტებს ცენტრალური მთავრობის მიერ კონტროლირებად სოფლებში, როგორც თვით ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში, ასევე ადმინისტრაციული საზღვრის სამხრეთით. ამ სოფლებში განლაგებული ქართული პოლიციისა და სპეცდანიშნულების ძალები აგრძელებდნენ თავიანთი მოვალეობების შესრულებას მაშველი ძალების გარეშე; მათ მოახერხეს თავიანთი საბრძოლო ტექნიკის საშუალებით საპასუხო ცეცხლის გახსნა დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარული ძალების მიმართულებით.

7 აგვისტოს, სოფელ ავნევში, ფრონეს ხეობაში, ქართულ სამშვიდობო საკონტროლო პუნქტზე განხორციელებული მასიური საარტილერიო იერიშის შემდეგ (რომლის შედეგადაც დაიღუპა ორი ქართველი მშვიდობისმყოფელი) და რუსეთის რეგულარული არმიის საქართველოში შემოჭრის საპასუხოდ, საქართველოს მთავრობამ საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანა პოლიცია და შეიარაღებული ძალები. 14:30 სთ-ზე, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა თავისი ძალების მობილიზაცია და ამავე დროს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო თავისი პოლიციისა და სპეც-დანიშნულების რაზმის გამაგრება. კერძოდ, ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან ადმინისტრაციული საზღვრის სამხრეთით დისლოცირებული ნაწილები: ვინაიდან გრძელდებოდა ცენტრალური მთავრობით კონტროლირებადი სოფლების დაბომბვა (რაც საღამოს უფრო ინტენსიური ხდებოდა), რეგიონში გაიგზავნა სპეცდანიშნულების მთავარი განყოფილების თბილისის ქვედანაყოფის 475 ოფიცერი, სპეციალური ოპერაციების ცენტრის 175 ოფიცერი და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის 100 ოფიცერი (სამინისტროს სხვა განყოფილებების პოლიციის ოფიცრებთან ერთად). ვერავითარი დამატებითი ძალების გაგზავნა ვერ მოხერხდა დროებითი ადმინისტრაციის ცენტრში, ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთის შიგნით.

7 აგვისტოს 23:35 სთ-ზე, ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში, თავდაცვითი სამხედრო ოპერაციის დაწყების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის მიერ გაცემული ბრძანების შემდეგ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების ძალები დაექვემდებარა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის ოპერატიულ ჯგუფს. მათ მიიღეს ბრძანება ოპერაციის ცენტრალური მიმართულებით წარმართვაზე მას შემდეგ, რაც მე-3 და მე-4 ქვეითი ბრიგადები შეასრულებდნენ საკუთარ ამოცანებს მარჯვენა და მარცხენა ფლანგებზე, ქ. ცხინვალში შესვლის მიზნით; მათ მხარს უჭერდა მსუბუქი ქვეითი ბატალიონი და თავდაცვის სამინისტროს ერთი სატანკო ბატალიონი. ცხინვალში შესვლის მიზანს წარმოადგენდა საცეცხლე პოზიციების განეიტრალება და საბოლოოდ, ქალაქის ჩრდილოეთით, დიდი ლიახვის ხეობამდე მიღწევა.

ცენტრალური მიმართულებით მოქმედების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეც-დანიშნულების ოპერატიულმა განყოფილებამ და სპეცოპერაციების ცენტრმა ჩამოაყალიბეს სპეცდანიშნულების პოლიციის 810 ოფიცრისაგან შემდგარი ოპერატიული ჯგუფი, რომელიც შედგებოდა:

- სპეცდანიშნულების მთავარი განყოფილების შიდა ქართლის ქვედანაყოფის 60 ოფიცრისაგან;
- სპეცდანიშნულების მთავარი განყოფილების თბილისის ქვედანაყოფის 475

ოფიცრისაგან;

- სპეცოპერაციების ცენტრის 175 ოფიცრისაგან;
- კონსტიტუციური უსაფრთხოების განყოფილების 100 ოფიცრისაგან.

ჯგუფის შეიარაღება მოიცავდა შემდეგს:

- 5, 45 მმ კალაშნიკოვის საიერიშო ცეცხლსასროლ იარაღს (AKS-74)
- 7.62 მმ კალაშნიკოვის საიერიშო ცეცხლსასროლ იარაღს (AKM)
- 7,62 მმ დრაგუნოვის ნახევრადავტომატურ სნაიპერის ცეცხლსასროლ იარაღს (SVD)
- 7.62 მმ კალაშნიკოვის უნივერსალურ ტყვიამფრქვევს (PK)
- 7.62 მმ კალაშნიკოვის ხელის ტყვიამფრქვევს (RPK)
- პორტატულ რეაქტიულ ტანკსაწინააღმდეგო ნაღმმტყორცნს (RPG-7).

სპეცდანიშნულების პოლიციის ოფიცრები გადაადგილდებოდნენ მსუბუქი ჯავშანმანქანებით („Cobra“), ზოგი მათგანი აღჭურვილი იყო 12,7 მმ მძიმე ტყვიამფრქვევებით („Utyos’), ხოლო ზოგი მათგანი, 40 მმ ავტომატური ნაღმმტყორცნებით (AGL). შინაგან საქმეთა სამინისტრომ, შიდა ქართლის რეგიონში მთლიანობაში გაგზავნა 70 ჯავშანმანქანა („Cobra“).

8 აგვისტოს, დაახლოებით 06:00 სთ-ზე სპეცდანიშნულების პოლიციის ოფიცრების ოპერატიული ჯგუფი აღნიშნული ჯავშანმანქანებით და რამდენიმე ტანკით დაიძრა ზემო ნიქოზიდან ცხინვალის გარეუბნის მიმართულებით, რათა ჩაეხშოთ იმ სოფელზე გახსნილი ცეცხლი, რომელიც მოდიოდა ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილიდან, ე.წ. „შანხაის“ გარეუბანში განლაგებული დე-ფაქტო რეჟიმის ბანდფორმირებებისგან. შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმი აღმოჩნდა სნაიპერისა და მასიური ტყვიამფრქვევის ცეცხლის წინაშე, რომელიც ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში განლაგებული რუსული სამშვიდობო ძალების შტაბიდან „ვერხნი გოროდოკიდან“ მოდიოდა. როგორც უკვე აღინიშნა, „ვერხნი გოროდოკის“ მთავარი შენობის სახურავი მტრის მიერ გამოყენებული იყო საარტილერიო ცეცხლის სიზუსტისათვის ქართველი შეიარაღებული ძალების მიმართულებით (იხ. დანართი 90, სამხედრო საკითხების 1-ელი კითხვის პასუხისათვის). ამიტომ შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების ძალები იძულებული გახდნენ საპასუხო ცეცხლი გაეხსნათ „ვერხნი გოროდოკის“ მიმართულებით ტყვიამფრქვევებიდან და 17 მმ მძიმე ტყვიამფრქვევებიდან („Utyos“), რომლებიც მიმაგრებული იყო „Cobra“ ჯავშანმანქანებზე; მოგვიანებით, მათ სატანკო დახმარება მოითხოვეს.

8 აგვისტოს, მოგვიანებით, 11:00 სთ-ზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების პოლიციის 810-ოფიცრიანი ოპერატიული ჯგუფი, 40 „Cobra“-ს ტიპის ჯავშანმანქანით, მსუბუქ ქვეით ბატალიონთან და თავდაცვის სამინისტროს სატანკო ბატალიონთან ერთად შევიდა ცხინვალში სოფელ ზემო ნიქოზიდან. ქალაქში მოძრაობის დროს მათ გაუხსნეს ცეცხლი სხვადასხვა შენობებიდან, რომლებიც მოწინააღმდეგის მიერ გამოიყენებოდა საბრძოლო მიზნებისთვის. ისინი აგრეთვე აღმოჩნდნენ ინტენსიური დაბომბვის ქვეშ მტრის თვითმფრინავებიდან და არტილერიიდან ცხინვალის სამხრეთ ნაწილში. 14:30 სთ-თვის ოპერატიულმა ჯგუფმა მოიპოვა კონტროლი ცხინვალის უმეტეს ნაწილზე – მის სამხრეთ და ცენტრალურ ნაწილებზე, ვიდრე ბრძოლები გრძელდებოდა ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილის ქუჩებში. 20:30 სთ-ზე ინტენსიური დაბომბვებისა და შეიარაღებული წინააღმდეგობის გამო, ოპერატიულმა ჯგუფმა ცხინვალის ცენტრიდან უკან დაიხია, მოახდინა გადაჯგუფება, და დაიკავა პოზიციები ქალაქის სამხრეთ ნაწილში. ღამის განმავლობაში, ოპერატიულმა ჯგუფმა შეინარჩუნა კონტროლი ცხინვალის სამხრეთ ნაწილზე.

9 აგვისტოს, 12:00-13:00 სთ-ზე, ბრძოლის ხასიათისა და მტრის მრავალრიცხოვანი გამაგრებული საბრძოლო პოზიციების გამო, ცხინვალში შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეც-დანიშნულების ოპერატიული ჯგუფი გაამაგრა თავდაცვის სამინისტროს მე-4 ქვეითმა ბრიგადამ, რომელიც ქალაქში შემოვიდა მარცხენა ფლანგიდან. 13:00 სთ-დან 15:00 სთ-მდე ქართული და რუსული ჯარები ჩაებნენ ინტენსიურ ბრძოლაში ცხინვალის ცენტრში; ქართული ჯარები უმთავრესად აკონტროლებდნენ ქალაქის სამხრეთ ნაწილს, ხოლო რუსული ჯარები დაჯგუფებული იყვნენ მის ჩრდილოეთ ნაწილში. 17:00 სთ-ზე ცხინვალში დამატებით შემოვიდა რუსული ჯარები. ქართული ჯარები გვიან ღამემდე ინარჩუნებდნენ კონტროლს ცხინვალის სამხრეთ ნაწილზე და მიმდებარე სოფლებზე იმის ფონზე, რომ უწევდნენ წინააღმდეგობას რუსეთის საჰაერო, საარტილერიო და ქვეითი ჯარების შემოტევას. 22:30 სთ-ზე საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების ოპერატიულ ჯგუფთან ერთად ეტაპობრივად დაიწყო უკან დახევა და ღამის განმავლობაში გადაინაცვლეს ქალაქის სამხრეთ ნაწილში.

მიუხედავად რუსეთის საჰაერო და საარტილერიო მასიური დაბომბვებისა, მთელი 8 აგვისტოს განმავლობაში და 9 აგვისტოს გვიან ღამემდე დროებითი ადმინისტრაციის ანტი-ტერორისტული ცენტრი ინარჩუნებდა თავის საკონტროლო პუნქტებს ცენტრალური მთავრობის მიერ კონტროლირებად სოფლებში ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში. 8 აგვისტოს ნაშუადღევს დროებითი ადმინისტრაციის ანტიტერორისტული ცენტრის პოლიციის ოფიცრებსა და რუს ჯარებს შორის ადგილი ჰქონდა ორ ხანმოკლე ურთიერთსროლას თამარაშენისა და ძარცემის სოფლების მახლობლად. 9 აგვისტოს, მას შემდეგ, რაც ქართულმა ჯარებმა დაიწყეს ცხინვალის დატოვება 22:30 სთ-ზე, დროებითი ადმინისტრაციის ანტი-ტერორისტულმა ცენტრმა

მიატოვა თავისი საკონტროლო პუნქტები დიდი ლიახვის ხეობაში და ერედვი-ხეითის შემოვლითი გზით გადავიდა პატარა ლიახვის ხეობაში.

10 აგვისტოს, 04:00 სთ-ზე რუსულმა ჯარებმა დაიკავეს დიდი ლიახვის ხეობა. 10:00 სთ-ზე ქართულმა შეიარაღებულმა ჯარმა, დროებითი ადმინისტრაციის ანტი-ტერორისტული ცენტრის ჩათვლით, დატოვა ფრონეს ხეობა, რომელიც დაუყოვნებლივ ხელში ჩაიგდეს რუსეთის ჯარებმა.

11 აგვისტოს, 11:00 სთ-ის შემდეგ, როდესაც რუსეთის ჯარებმა წინსვალა დაიწყეს ცხინვალიდან სამხრეთით, ქართულმა ჯარებმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა სპეცდანიშნულების რაზმის ჩათვლით, დაიხიეს უკან სამხრეთისკენ გორის რაიონში და მიატოვეს საკუთარი საკონტროლო პუნქტები. 22:00 სთ-თვის, ვინაიდან საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა დაიხიეს ქალაქ მცხეთისაკენ დედაქალაქის, თბილისის დასაცავად, შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეც-დანიშნულების რაზმები გაჩერდნენ კასპის რაიონის სოფელ იგოეთთან მთავარ მაგისტრალზე და მოაწყვეს საკონტროლო პუნქტი.

ომის პერიოდში, შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმმა განიცადა შემდეგი დანაკლისი: მოკლული იქნა სპეც-დანიშნულების მთავარი განყოფილების 6 ოფიცერი და კონსტიტუციური უსაფრთხოების 3 ოფიცერი, ხოლო სპეც-დანიშნულების მთავარი განყოფილების 3 ოფიცერი უგზო-უკვლოდ დაკარგულად გამოცხადდა.

გ. სამხრეთ ოსეთის არარეგულარული სამხედრო ძალების შესახებ

1. **როგორი იყო სამხრეთ ოსეთის არარეგულარული სამხედრო ძალების შემადგენლობა და შეიარაღება აგვისტოს საომარი მოქმედებების დაწყებისას?**
2. **რა იარაღს იყენებდნენ ისინი ბრძოლის დროს, ხეთაგუროვოში, მუგუთში, ტბეთში, დმენისში და სხვა სოფლებში, ისევე როგორც ქალაქ ცხინვალში?**
3. **როგორ კოორდინირებდნენ ისინი რუს და ოს მშვიდობისმყოფელებთან?**

2008 წლის აგვისტოსთვის, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რეჟიმი ძალზე მილიტარიზებული იყო, რაც 1992 წლის სოჭის ხელშეკრულებისა და შერეული საკონტროლო კომისიის მრავალრიცხოვანი დებულებების მკაფიო დარღვევას წარმოადგენდა.

სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარული შეიარაღებული ძალები ექვემდებარებოდნენ სამ ძირითად სამეთაურო პუნქტს, რომლებიც, როგორც უკვე იყო

აღნიშნული, იმართებოდა რუსეთის ფედერაციის მაღალი წოდების ოფიცრებით:

1. ე.წ. „სამხრეთ ოსეთის თავდაცვისა და საგანგებო სიტუაციების სამინისტრო“;
2. ე.წ. „სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო“;
3. ე.წ. „სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტი (სუკ)“

„სამხრეთ ოსეთის თავდაცვისა და საგანგებო სიტუაციების სამინისტრო“

1992 წლის სოჭის ხელშეკრულების თანახმად, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რეჟიმს არ ჰქონდა უფლება, შეენარჩუნებინა შეიარაღებული ძალები და ჰქონოდა თავდაცვის სამინისტრო.

სტრუქტურა და პერსონალი

ქვემოთ მოცემული ინფორმაცია ემყარება ქართულ სადაზვერვო მონაცემებს. იგი არ მოიცავს საომარი მოქმედებების დასაწყისში, რუსეთის მიერ მიწოდებულ შეიარაღებას.

2008 წლის აგვისტოსთვის, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რეჟიმის „თავდაცვისა და საგანგებო სიტუაციების სამინისტრო“ ითვლიდა დაახლოებით 3000 ჯარისკაცს. ისინი იყოფოდნენ 10 ბატალიონად და რამდენიმე სხვა დივიზიონად.

II მოტომსროლელთა ბატალიონი

პოზიცია: სოფელი ზნაური, ზნაურის რაიონი
შემადგენლობა: მილიციის არმიის 180 ჯარისკაცი
შეიარაღება:

ქვეითის საბრძოლო მანქანა BMP-1– 2 ერთეული
ჰაუბიცი – 2 ერთეული
მძიმე ტანკსაწინააღმდეგო ნაღმმტყორცნი SPG – 3 ერთეული
საზენიტო არტილერიის სისტემები ZU-23 – 2 ერთეული
კალაშნიკოვის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ტყვიამფრქვევები და სხვა სახის ცეცხლსასროლი შეიარაღება.

III მოტომსროლელთა ბატალიონი

პოზიცია: სოფელი ხეთაგუროვო, ცხინვალის რაიონი
შემადგენლობა: –მილიციის არმიის 250 ჯარისკაცი
შეიარაღება:
ჰაუბიცი – 2 ერთეული
მძიმე ტანკსაწინააღმდეგო ნაღმმტყორცნი SPG – 3 ერთეული
საზენიტო დაცვის სისტემა ZU-23 – 2 ერთეული
კალაშნიკოვის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ტყვიამფრქვევები, RPG-7 და სხვა ცეცხლსასროლი იარაღი.
ეს ბატალიონი მოიცავდა **ტბეთის ასეულს** რომელიც შედგებოდა 30 მილიციელისაგან.

***IV* მოტომსროლელთა ბატალიონი**

პოზიცია: ქალაქი ცხინვალი (ე.წ. „ჟილმასივის“ რაიონი)
შემადგენლობა: - ბანდფორემირების 180 წევრი
შეიარაღება:
ჯავშანტრანსპორტიორი BTR- 1 ერთეული
ჰაუბიცი - 2 ერთეული
მძიმე ტანკ-საწინააღმდეგო ნაღმმტყორცნები SPG- 3 ერთეული
საზენიტო დაცვის სისტემები ZU-23- 2 ერთეული
კალაშნიკოვის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ტყვიამფრქვევები, RPG-7-ები და სხვა ცეცხლსასროლი იარაღი
ეს ბატალიონი აგრეთვე მოიცავდა:

***„შანხაის“* ასეულს**შემადგენლობა: ბანდფორემირების 60 წევრი რეგულარულ საფუძველზე,
250-300 მობილიზაციის შემთხვევაში
შეიარაღება:
თვითმავალი საარტილერიო სისტემა „SAU“ – 1 ერთეული
ქვეითი საბრძოლო მანქანები BMP-1 – l ერთეული
ჯავშანტრანსპორტიორები BTR – 1 ერთეული
ნაღმსატყორცნი – 2 ერთეული
ტყვიამფრქვევი – 2 ერთეული
კალაშნიკოვის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ტყვიამფრქვევები, RPG-7 და სხვა ცეცხლსასროლი იარაღი.

„ცარზ“ ასეული
შემადგენლობა: ბანფორმირების 100 წევრი, მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღით.

„გაფეზ“ ასეული

პერსონალი: 100 მილიციელი, მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღით

V მოტომსროლელთა ბატალიონი

პოზიცია: ქალაქი ცხინვალი („მამისაანთ“ რაიონი)
შემადგენლობა: ბანდფორმირების180 წევრი
შეიარაღება:
ნაღმმტყორცნი – 8 ერთეული
ჰაუბიცი – 2 ერთეული
მძიმე ტანკსაწინააღმდეგო ნაღმმტყორცნი SPG – 3 ერთეული
საზენიტო დაცვის სისტემები ZU-23 – 2 ერთეული
კალაშნიკოვის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ტყვიამფრქვევები, RPG-7 და სხვა ცეცხლსასროლი იარაღი.

„ფრისის ასეული“

შემადგენლობა: ბანდფორმირების150-160 წევრი
შეიარაღება:
ქვეითი საბრძოლო მანქანები BMP-1 – 5 ერთეული
120მმ ნაღმმტყორცნი – 4 ერთეული
82 მმ ნაღმმტყორცნი – 2 ერთეული
საზენიტო დაცვის სისტემა ZU-23 – 1 ერთეული
კალაშნიკოვის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ტყვიამფრქვევები, RPG-7 და სხვა ცეცხლსასროლი იარაღი.

VI მოტომსროლელთა ბატალიონი

პოზიცია: ქალაქი ცხინვალი („ზაგოზერნოს“ შენობა), სოფლები: კვერნეთი და კუსრეთი
შემადგენლობა: ბანდფორმირების250 წევრი
შეიარაღება:
ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა BM21/GRAD – 1 ერთეული
ჰაუბიცი – 2 ერთეული
მძიმე ტანკსაწინააღმდეგო ნაღმმტყორცნი SPG – 3 ერთეული
საზენიტო დაცვის სისტემები ZU-23 – 2 ერთეული
კალაშნიკოვის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ტყვიამფრქვევები, RPG-7 და სხვა ცეცხლსასროლი იარაღი.

ეს ბატალიონი მოიცავდა **„ბამ“ ასეულს**

შემადგენლობა: ბანდფომირების 100 წევრი, შეიარაღებული კალაშნიკოვის საიერიშო თოფებით, ტყვიამფრქვევებით, RPG-7-ით, 2 DShK ტყვიამფრქვევებით და სხვა ცეცხლსასროლი იარაღით.

VII მოტომსროლელთა ბატალიონი

პოზიცია: სოფელი დმენისი, ცხინვალის რაიონი
შემადგენლობა: ბანდფომირების 180 წევრი რეგულარულ ბაზაზე, 300-500 მობილიზაციის შემთხვევაში.
შეიარაღება:
ქვეითის საბრძოლო მანქანები BMP-2 – 1 ერთეული
ჯავშანტრანსპორტიორები BTR – 1 ერთეული
საზენიტო სისტემები ZU-23 – 2 ერთეული
85მმ ზარბაზნები – 2 ერთეული
ნაღმსატყორცნები – 3 ერთეული (82მმ და 120მმ)
მძიმე ტანკსაწინააღმდეგო ნაღმმტყორცნები SPG – 3 ერთეული
კალაშნიკოვის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ტყვიამფრქვევები, RPG-7 და სხვა ცეცხლსასროლი იარაღი.

VIII მოტომსროლელთა ბატალიონი
პოზიცია: სოფელი ჯავა, ჯავის რაიონი (პოლიგონი და საწყობები სოფელ ზივგომში)
შემადგენლობა: ბანდფომირების 300 წევრი
შეიარაღება:
ქვეითის საბრძოლო მანქანა BMP – 2 ერთეული
ჯავშანტრანსპორტიორი BTR-70 – 4 ერთეული
საზენიტო დაცვის სისტემა ZU-23 – 1 ერთეული
თვითმავალი საარტილერიო სისტემა GVOZDIKA – 22 ერთეული
ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა BM-21/GRAD – 3 ერთეული
მძიმე ტანკსაწინააღმდეგო ნაღმმტყორცნები FAGOT – 44 ერთეული
ჰაუბიცი (85-122მმ) –15 ერთეული
ნაღმსატყორცნი (82-120მმ) – 20 ერთეული
კალაშნიკოვის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ტყვიამფრქვევები, RPG-7 და სხვა ცეცხლსასროლი იარაღი.

IX მოტომსროლელთა ბატალიონი
პოზიცია: სოფელი გომი, ცხინვალის რაიონი
შემადგენლობა: ბანდფორმირების 180 წევრი
შეიარაღება:
ქვეითის საბრძოლო მანქანები BMP – 1 ერთეული
საზენიტო სისტემა ZU-23 – 1 ერთეული
კალაშნიკოვის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ტყვიამფრქვევები, RPG-7 და სხვა ცეცხლსასროლი იარაღი.

ეს ბატალიონში მოიცავდა წინაგარისა და არცევის კომპანიებს.

X მოტომსროლელთა ბატალიონი

პოზიცია: სოფელი ველები, ზნაურის რაიონი

შემადგენლობა: ბანდფორმირების 200 წევრი

შეიარაღება:

ქვეითის საბრძოლო მანქანა BMP-1 – 2 ერთეული

საზენიტო დაცვის სისტემა ZU-23 – 1 ერთეული

ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტების გამშვები მოწყობილობა FAGOT – 1 ერთეული

80მმ-იანი ზარბაზანი – 1 ერთეული

კალაშნიკოვის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ტყვიამფრქვევები, RPG-7-ები და სხვა ცეცხლსასროლი იარაღი

XI მოტომსროლელთა ბატალიონი

პოზიცია: სოფელი კვაისა, ჯავის რაიონი

შემადგენლობა: ბანდფორმირების 100 წევრი

შეიარაღება:

საზენიტო დაცვის სისტემები ZU-23 – 1 ერთეული

საზენიტო დაცვის სისტემები IGLA – 3 ერთეული

მძიმე ჯავშანი, განსაკუთრებით, ორი T-55 ტანკი და ერთი მართვადი საარტილერიო სისტემა SAU

ტანკსაწინააღმდეგო მძიმე ნაღმმტყორცნი SPG – 1 ერთეული

ტანკსაწინააღმდეგო ნაღმმტყორცნები RPG-7 –10 ერთეული

კალაშნიკოვის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ტყვიამფრქვევები, RPG-7, SVD სნაიპერის იარაღი და სხვა ცეცხლსასროლი იარაღი.

ცალკეეული სამთო ასეული („სამხრეთ ოსეთის კაზაკთა არმია“)

პოზიცია: ქალაქი ცხინვალი (ე.წ. „ხუტორის დასახლება“) და სოფელი კროზა, ჯავის რაიონი

შემადგენლობა: ბანდფორმირების 150 წევრი

შეიარაღება:

ქვეითის საბრძოლო მანქანა BMP-2 – 6 ერთეული

ჯავშანტრანსპორტიორი BTR – 8 ერთეული

საზენიტო დაცვის სისტემა ZU-23 – 1 ერთეული

საზენიტო დაცვის სისტემა IGLA – 3 ერთეული

ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტა FAGOT – I ერთეული

კალაშნიკოვის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ტყვიამფრქვევები, RPG-7, SVD სნაიპერის იარაღი და სხვა ცეცხლსასროლი იარაღი

ცალკეული სადაზვერვო ბატალიონი
პოზიცია: ქალაქი ცხინვალი (ე.წ. „ბიგ მარკეტის“ ახლოს)
შემადგენლობა: ბანდფორმირების 200 წევრი
შეიარაღება:
ქვეითის საბრძოლო მანქანა BMP-2 – 4 ერთეული
ჯავშანტრანსპორტიორი BTR – 2 ერთეული
საბრძოლო სადაზვერვო მანქანა BRDM – 2 ერთეული
კალაშნიკოვის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ტყვიამფრქვევები, RPG-7, და სხვა ცეცხლსასროლი იარაღი

ცალკეული სატანკო ბატალიონი

პოზიცია: სოფელი ბუზალა, ჯავის რაიონი
შემადგენლობა:უცნობი
შეიარაღება:
ტანკები T-60 – 12 ერთეული
ტანკები T-55 – 2 ერთეუკლი

საზენიტო სარაკეტო ქვედანაყოფი
პოზიცია: ქალაქი ცხინვალი („ზაგოზემოს“ შენობა)
შემადგენლობა: ბანფორმირების 86 წევრი
შეიარაღება:
საზენიტო დაცვის სისტემა ZU-23 – 3 ერთეული
საზენიტო დაცვის სისტემები IGLA და STRELA – დაახლოებით, 20 ერთეული
ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტა METIS – 3 ერთეული
ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტა FAGOT – 3 ერთეული

საინჟინრო ასეული
პოზიცია: ქალაქ ცხინვალი
შემადგენლობა: ბანდფორმირების 60 წევრი
ნაღმსატყორცნი ქვედანაყოფი
პოზიცია: ქალაქი ცხინვალი („ზაგოზემოს“ შენობა)
პერსონალი: 40 მილიციელი
შეიარაღება:
20მმ-იანი ნაღმმტყორცნი – 5 ერთეული

სპეცდანიშნულების ძალების კომპანია („Ossetian GRU”)

პერსონალი: 60 ჯარისკაცი – ყველა მათგანი გაწვრთნილი რუსი ინსტრუქტორების მიერ რუსეთის ფედერაციაში.

„სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო“

საერთო შემადგენლობა: : დაახლოებით მილიციის 900 ოფიცერი.

შეიარაღება: სხვადასხვა დროის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ხელით სამართავი ტყვიამფრქვევები, ნაღმმტყორცნები და SVD სნაიპერული თოფები. UAZ და GAZ-66 ტიპის მანქანები.

ეს „სამინისტრო“ მოიცავდა სპეცდანიშნულების ერთეულებს – OMON და SOBR.

სპეცდანიშნულების ჯგუფი ომონი

შემადგენლობა: ბანდფორმირების 350 წევრი (უმეტესად, კრიმინალური წარსულით). დისლოცირებული ცხინვალში, ჯავაში და ზნაურში.

შეიარაღება:

კალაშნიკოვის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი AKS-U

ნაღმმტყორცნები: RPG, AGS-1 და SPG

SVD-1 სნაიპერული თოფები

TT პისტოლეტები

BTR – 3 ერთეული და BMP – 1 ერთეული,

UAZ და GAZ-66 ტიპის მანქანები.

სპეცდანიშნულების ჯგუფი SOBR ,

შემადგენლობა: არარეგულარული არმიის 45 ჯარისკაცი

შეიარაღება:

კალაშნიკოვის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი – AKS-U

ნაღმმტყორცნი RPG (3 ერთეული), AGS-1 (3 ერთეული) და SPG RPG-7 (3 ერთეული)

SVD-1 – სნაიპერული თოფები

TT ტიპის პისტოლეტები.

UAZ და GAZ-66 ტიპის მანქანები

„სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტი (სუკ)“

შემადგენლობა: 70 თანამშრომელი, პლუს ოპერატიული მხარდაჭერის ჯგუფი 40 თანამშრომლით. შეიარაღებული რუსული მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღით, სნაიპერული თოფებით და სპეციალური აღჭურვილობით. იგი მოიცავდა საზღვრის დაცვის სამსახურს.

საზღვრის დაცვის სამსახური

შემადგენლობა: დაახლოებით, ბანდფორმირების 380 წევრი

შეიარაღება:

კალაშნიკოვის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ტყვიამფრქვევები, ნაღმმტყორცნები.

ჯავშანტრანსპორტიორები BTR-80 – 9 ერთეული

KAMAZ და UAZ ტიპის მანქანები.

საზღვრის დაცვის სამსახურის ცენტრალური შტაბი

შემადგენლობა: 110 მესაზღვრე, მათ შორის: სპეციალური დაზვერვის ჯგუფი – 15 არარეგულარული არმიის ჯარისკაცი

ცხინვალის საზღვრის დაცვის სადგური – ბანდფორმირების 44 წევრი

ოპერატიული დივიზიონი – ბანდფორმირების 20 წევრი

ჯავის საზღვრის დაცვის ოფისი

პოზიცია: ჯავის რაიონი
შემადგენლობა: ბანდფორმირების 150 წევრი

შეიარაღება:
კალაშნიკოვის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი – 160 ერთეული
კალაშნიკოვის ტყვიამფრქვევები – 10 ერთეული
ჯავშანტრანსპორტიორები BTR-80 – 7 ერთეული
KAMAZ-505 ტიპის მანქანები – 3 ერთეული
UAZ-469 ტიპის მანქანები – 5 ერთეული

ეს სამსახური მოიცავდა კვაისის, როკის, ედისისა და სინაგურის საზღვრის დაცვის ერთეულებს.

კვაისი საზღვრის დაცვის ერთეული

პოზიცია: სოფელი კვაისა
შემადგენლობა: დაახლოებით, ბანდფორმირების 35 წევრი
შეიარაღება:
ჯავშანტრანსპორტიორი BTR80 – 2 ერთეული
კალაშნიკოვის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი – 36 ერთეული
ტყვიამფრქვევი – 2 ერთეული
RPG ნაღმმტყორცნები – 3 ერთეული

სნაიპერული თოფები – 2 ერთეული
საზენიტო დაცვის სისტემა
KAMAZ-505 ტიპის მანქანა – 1 ერთეული
UAZ-469 ტიპის მანქანა – 1 ერთეული

როკის საზღვრის დაცვის ერთეული

პოზიცია: როკის გვირაბი
შემადგენლობა: ბანდფორმირების 30 წევრი

კალაშნიკოვის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი - 35 ერთეული
ტყვიამფრქვევები - 3 ერთეული

ედისის საზღვრის დაცვის ერთეული

პოზიცია: სოფელი ედისი
შემადგენლობა: ბანდფორმირების 35 წევრი

შეიარაღება:

კალაშნიკოვის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი – 40 ერთეული
ზარბაზნი – 3 ერთეული

სინაგურის საზღვრის დაცვის ერთეული

პოზიცია: სოფელი სინაგური
შემადგენლობა: ბანდფორმირების 30 წევრი
შეიარაღება:
კალაშნიკოვის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი – 35 ერთეული
ტყვიამფრქვევი – 2 ერთეული

ზნაურის საზღვრის დაცვის ოფისი

პოზიცია: სოფელი ზნაური
შემადგენლობა: ბანდფორმირების 120 წევრი
შეიარაღება:

კალაშნიკოვის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი – 125 ერთეული
ტყვიამფრქვევი – 7 ერთეული

ეს სამსახური მოიცავდა მუგუთის, ველებისა და ბალთას სასაზღვრე ერთეულებს.

მუგუთის საზღვრის დაცვის ერთეული:

პოზიცია: სოფელი მუგუთი
შემადგენლობა: ბანდფორმირების 35 წევრი
შეიარაღება:
კალაშნიკოვის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი – 40 ერთეული
ტყვიამფრქვევი – 3 ერთეული

ველების საზღვრის დაცვის ერთეული

პოზიცია: სოფელი ველები
შემადგენლობა: ბანდფორმირების 30 წევრი

შეიარაღება:
კალაშნიკოვის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი – 30 ერთეული
ტყვიამფრქვევი – 2 ერთეული

ბალთას საზღვრის დაცვის ერთეული

პოზიცია: სოფელი ბალთა
შემადგენლობა: ბანდფორმირების 30 წევრი
შეიარაღება:

კალაშნიკოვის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი – 30 ერთეული
ტყვიამფრქვევი – 2 ერთეული

„ე“ კითხვის მე-3 ნაწილზე გთხოვთ, იხილოთ სამხედრო საკითხების „ბ“ კითხვის პასუხები, ისევე, როგორც სამხედრო საკითხების მე-3 კითხვის პასუხები.

საქართველოში კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია (IIFFMCG)

სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებული შეკითხვები რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს მთავრობებისადმი

პირველი ნაწილი

1. გთხოვთ, გააკეთოთ განმარტება იმ ფორმალური და არაფორმალური ურთიერთობების შესახებ, რომელიც არსებობდა რუსეთის ფედერაციას, საქართველოს, ცხინვალის რეგიონს/სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს შორის 2008 წლის აგვისტოში, კონფლიქტის დაწყებამდე ყველა დონეზე. მიიჩნევთ, თუ არა, რომ ბოლო წლებში, რუსეთის ფედერაციასა და ცხინვალის რეგიონს/სამხრეთ ოსეთს და აფხაზეთს შორის განვითარებული სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური, (მათ შორის, ინფრასტრუქტურის, ენერგეტიკისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროებში განვითარებულ მოვლენები) წარმოადგენდა ინტეგრაციის პროცესებს? როგორ შეაფასებდით სამართლებრივი კუთხით, რუსეთის ფედერაციის მიერ კონფლიქტის დაწყებამდე, რამდენიმე თვით ადრე მიღებულ გადაწყვეტილებას რუსეთის ფედერაციასა და ცხინვალის რეგიონს/სამხრეთ ოსეთს და აფხაზეთს შორის ფორმალური კონტაქტების დამყარების თაობაზე?

2. გთხოვთ, განმარტოთ ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში და აფხაზეთში მცხოვრები პირების მიერ რუსეთის მოქალაქეობის მოპოვების პროცესი და დინამიკა, ასევე, განმარტოთ მათთვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების საფუძვლები. თქვენი შეფასებით, რამდენად შესაბამისობაშია ეს ამ ტერიტორიების საერთაშორისო სამართლებრივ სტატუსთან?

3. გთხოვთ, განმარტოთ, რა გაკეთდა 1992 წლის სოჭის შეთანხმების განხორციელებისათვის, რომელიც ეხება ცხინვალის რეგიონს/სამხრეთ ოსეთს, და ასევე ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა განცალკევების შესახებ 1994 წლის მოსკოვის შეთანხმების განხორციელებისთვის, რომელიც ეხება აფხაზეთს; რა გაკეთდა ამ შეთანხმებათა შესაბამისი ოქმებისა და მხარეთა მიერ პრაქტიკაში მათი განხორციელებისთვის? რა კავშირშია ეს გადაწყვეტილებები რუსეთის ჯარების გადაადგილებასთან 2008 წლის 7 აგვისტომდე არსებულ პერიოდში?

4. გთხოვთ, გააკეთოთ განმარტება რუსეთის ჯარების გადაადგილების შესახებ 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტამდე და კონფლიქტის დროს. რამდენად შეესაბამება აღნიშნული ქმედებები ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ

ხელშეკრულებაში შეტანილ ცვლილებას და რუსეთის მიერ მის პრაქტიკულ რეალიზებას კონფლიქტამდე ხანგრძლივი დროის განმავლობაში? გთხოვთ, მიუთითოთ საქართველოს სამხედრო პოზიციისა და ჯარების გადაადგილების შესახებ კონფლიქტამდე და კონფლიქტის დროს.

5. გთხოვთ, განმარტოთ რუსეთის მიერ ცხინვალის რეგიონის/სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიების აღიარების სამართლებრივი და სხვა საფუძვლები. გთხოვთ, განმარტოთ 2008 წლის 17 სექტემბერს, რუსეთის ფედერაციასა და ცხინვალის რეგიონს/სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს შორის მეგობრობის შესახებ დადებული ხელშეკრულებების სამართლებრივი სტატუსი და მიზნები.

6. კონფლიქტის მიმდინარეობისას, საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ნორმების მიხედვით, როგორ აღწერდით რუსეთის სამხედრო ძალებსა და სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის შეიარაღებულ ძალებს შორის ფორმალურ და არაფორმალურ ურთიერთობებს 2008 წლის 17 სექტემბრამდე და დღეის მდგომარეობით? განსაკუთრებით, გთხოვთ, გააკეთოთ განმარტება შესაბამის ბრძანებათა შესახებ.

7. რა ზომები მიიღეთ სამოქალაქო პირების დაცვისა და მათ მიმართ ძარცვის, დაკავებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციის მიზნით, საომარი მოქმედებების დროს და მათ შემდგომ?

8. რა ზომები მიიღეთ სამოქალაქო მოსახლეობის დახმარებისა და მხარდაჭერის მიზნით იმ რაიონებში, რომლებსაც ზიანი მიაყენა საომარმა მოქმედებებმა და მათმა შედეგებმა?

საქართველოში კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია IIFFMCG
მშვიდობის გამზირი 7 (bis)
1202 ჟენევა

დამატებითი სამართლებრივი კითხვები

საქართველოს მიერ სოჭის შეთანხმების დენონსაცია (ჩვენ გვაქვს ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, ჰქონდა თუ არა ადგილი დენონსაციას).

საქართველოს განცხადება აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა განცალკევების შესახებ 1994 წლის 14 მაისის მოსკოვის შეთანხმების ძალდაკარგულად ცნობასთან დაკავშირებით (2008 წლის 18 აგვისტოს მდგომარეობით).

კითხვა 1. გთხოვთ, გააკეთოთ განმარტება იმ ფორმალური და არაფორმალური ურთიერთობების შესახებ, რომელიც არსებობდა რუსეთის ფედერაციას, საქართველოს, ცხინვალის რეგიონს/სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს შორის 2008 წლის აგვისტოში, კონფლიქტის დაწყებამდე ყველა დონეზე. მიიჩნევთ, თუ არა, რომ ბოლო წლებში, რუსეთის ფედერაციასა და ცხინვალის რეგიონს/სამხრეთ ოსეთს და აფხაზეთს შორის განვითარებული სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური (მათ შორის, ინფრასტრუქტურის, ენერგეტიკისა და სოციალური უზრუნველყოფის, სფეროებში განვითარებული მოვლენები) წარმოადგენდა ინტეგრაციის პროცესებს? როგორ შეაფასებდით სამართლებრივი კუთხით, რუსეთის ფედერაციის მიერ კონფლიქტის დაწყებამდე, რამდენიმე თვით ადრე მიღებულ გადაწყვეტილებას რუსეთის ფედერაციასა და ცხინვალის რეგიონს/სამხრეთ ოსეთს და აფხაზეთს შორის ფორმალური კონტაქტების დამყარების თაობაზე?

ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან, საქართველო,რუსეთის ურთიერთობის დინამიკა შესაძლებელია სამ ძირითად ნაწილად დაიყოს:

I. სეპარატისტული დივერსიული ჯგუფების წაქეზება და მხარდაჭერა ორივე რეგიონში, ხოლო შემდგომში, სამხედრო კონფლიქტებში აქტიური მონაწილეობა;

II. ორივე რეგიონში მარიონეტული რეჟიმების მხარდაჭერა; და

III. განცხადება მარიონეტულ რეჟიმებთან პირდაპირი სამართლებრივი კავშირების დამყარების შესახებ, რითაც დაიწყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ხელყოფის ღია პოლიტიკა და მცოცავი ანექსიის პოლიტიკის გაძლიერება.

რუსეთის ფედერაციასა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში და აფხაზეთში არსებული მარიონეტულ რეჟიმებს შორის ფორმალური და არაფორმალური ურთიერთობები ერთადერთ მიზანს ემსახურებოდა – მოეპოვებინა ამ ქართული რეგიონების მაქსიმალური კონტროლი. ამგვარი პოლიტიკის განხორციელების საშუალებით, რუსეთის ხელისუფლებამ ორივე რეჟიმი მთლიანად დამოკიდებული გახადა თავის „დახმარებაზე“ და ამით აამოქმედა ბერკეტი, უფრო დიდი პოლიტიკური

მიზნების მისაღწევად. სწორედ ამიტომ ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის რეჟიმები, საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, წარმოადგენენ რუსეთის მარიონეტულ რეჟიმებს და მათი მოქმედებები და პოლიტიკა უშუალო კავშირშია ამ უკანასკნელთან.

I. სეპარატისტული დივერსიული ჯგუფების წაქეზება და მხარდაჭერა ორივე რეგიონში, ხოლო შემდგომში სამხედრო კონფლიქტებში აქტიური მონაწილეობა

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში კონფლიქტები რუსეთის ფედერაციის მიერ ინსპირირებული იყო 1990-იანი წლების დასაწყისში, როდესაც საქართველომ გარდამტეხი ნაბიჯები გადადგა თავისი დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ, რომელიც 1921 წელს რუსეთის ანექსიის შედეგად დაკარგა. რუსეთი იმთავითვე, არა მხოლოდ აკონტროლებდა არარეგულარულ შეიარაღებულ ჯგუფებს, რომლებიც მიზნად ისახავდნენ საქართველოს სახელმწიფოებრიობის ხელყოფას ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთისში და აფხაზეთში, რუსეთის ფედერაციის მხარდაჭერაზე მათი დამოკიდებულების მოპოვების მიზნით, არამედ უშუალოდ მონაწილეობდა შეიარაღებულ მოქმედებებში. რუსეთის ჯარებისა და დაქირავებული სამხედროების ჩართულობაზე მიუთითებდნენ დამოუკიდებელი წყაროები. 1995 წელს, Human Rights Watch-მა აღნიშნა, რომ:

> *„კონფლიქტი აფხაზეთში გამწვავდა რუსეთის ჩართულობის გამო, რომელიც ძირითადად, აფხაზების მხარეზე იბრძოდა, განსაკუთრებით, ომის საწყის ეტაპზე. იმის ფონზე, რომ რუსეთი მხარს უჭერდა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას, რუსეთის შეიარაღება აფხაზების ხელში აღმოჩნდა. რუსეთის თვითმფრინავებმა დაბომბეს სამოქალაქო ობიქტები საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, [და] რუსეთის სამხედრო ხომალდები, რომლებიც იმართებოდა აფხაზური მხარის მხარდამჭერების მიერ, მზად იყო ქართველების მიერ დაკავებული ქალაქის სოხუმის დასაბომბად. ...*
>
> *კონფლიქტში რუსი მოთამაშეების როლი უფრო მეტად, 1993 წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში გამოიკვეთა. ეს სწორედ მაშინ მოხდა, როდესაც ადამიანის უფლებების ხელყოფამ და ომის კანონიერი საფუძვლების დარღვევებმა, რაც რუსული წარმოშობის მძიმე შეიარაღების მოპოვებით იყო განპირობებული, უფრო სერიოზული ხასიათი შეიძინა. რიგ შემთხვევებში რუსმა სამხედროებმა უშუალო*

როლი შეასრულეს საომარ მოქმედებებში და, როგორც გამოვლინდა, აფხაზურ მხარეს აღმოუჩინეს ლოჯისტიკური და მატერიალური დახმარება.[40] *“*

რუსეთის უშუალო მონაწილეობა საომარ მოქმედებებში განსაკუთრებით, აშკარა გახდა სოხუმზე საჰაერო თავდასხმების დროს 1992-1993 წლებში, ისევე როგორც 1993 წლის მარტში, სოხუმზე თავდასხმისა და 1993 წლის სექტემბერში ქალაქზე საბოლოო თავდასხმის დროს, რამაც განაპირობა ქართველების ეთნიკური წმენდა და სხვა ეთნიკური უმცირესობების დისკრიმინაცია. აფხაზეთის კონფლიქტში რუსეთის ჩართულობის კოორდინაციას ახდენდა მაღალი რანგის სამი რუსი გენერალი: **სიგუტკინი, სოროკინი** და **კონდრატიევი.** საბოლოოდ, ელიტური ოფიცრების ჯგუფს კოორდინაციას უწევდა საბჭოთა არმიის გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი, გენერალი ალექსანდრ კოლესნიკოვი. გენერალი **ალექსეი სიგუტკინი**, სავარაუდოდ, კონფლიქტის დროს ყველაზე გავლენიანი რუსი ოფიცერი, რომლის სახელსაც უკავშირდება სოხუმზე თავდასხმის გეგმა, ამჟამად რუსეთის დუმის წევრია ფსკოვიდან და სათავეში უდგას პარტიას „ერთიანი რუსეთი.“[41]

გენერალი **სოროკინი** მეთაურობდა 345-ე საჰაერო-სადესანტო პოლკს.[42] ქვედანაყოფის ოფიციალურ ვებგვერდზე აღნიშნულია, რომ ბრძოლაში 24 სამხედრო დაიღუპა. პოლკის სერჟანტს, ვიტალი ვულფს „რუსეთის გმირის“ წოდებაც კი მიენიჭა.[43]

ყველაზე ცნობილი რუსული ქვედანაყოფები, რომლებმაც უშუალო მონაწილეობა მიიღეს კონფლიქტში საქართველოს წინააღმდეგ, მოიცავს, მაგრამ არ იზღუდება მხოლოდ მათი მონაწილეობით:

- **643-ე** საზენიტო-სარაკეტო პოლკი, თავდაცვის სამინისტრო, ქვედანაყოფი **#5482;**
- თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფი **#3697**, სპეციალური დანიშნულების ძალები, რომლებიც ადრე რიგაში, ლატვიაში იყვნენ დისლოცირებული და ცნობილნი არიან ბალტიის ქვეყნებში მასობრივ ხოცვა–ჟლეტაში მონაწილეობით. მისი მეთაური ჩესლავ მლინიკი, რომელზეც ლატვიას, ლიტვას (1991 წელს 9 ლიტველი მესაზღვრის მედინინკაიში მასობრივ მკვლელობაში მონაწილეობის

---

[40] Human Rights Watch-ის პროექტი შეიარაღების სფეროში, Human Rights Watch/Helsinki, „საქართველო/აფხაზეთი: ომის კანონიერი საფუძვლების დარღვევები და რუსეთის როლი კონფლიქტში,“ 1995 წლის მარტი, ტ. 7, #7, გვ. 7, 37.

[41] თავის ოფიციალურ ვებგვერდზე (http://www.sigutkin.ru/biography) სიგუტკინი იკვეხნის „აფხაზეთის კონფლიქტში მონაწილეობას.“

[42] აღნიშნული, ისევე როგორც მისი მონაწილეობა კონფლიქტში, დადასტურებულია პოლკის არაოფიციალურ ვებგვერდზე: http://www.combat345.ru.;

[43] http://www.combat345.ru/biography03_10.html

გამო) და ინტერპოლს ძებნა აქვს გამოცხადებული, აფხაზებმა „ლეონის ორდენით“ („Leon Order“) დააჯილდოვეს, ხოლო შემდგომში, რუსეთის ეროვნულმა უშიშროების საბჭომ 2004 წელს გაგზავნა აფხაზეთში არჩევნებზე ზედამხედველობის მიზნით და რაულ ხაჯიმბას მხარდასაჭერად.[44]

- განჯის, აზერბაიჯანის საჰაერო-სადესანტო ქვედანაყოფი (ცნობილია, ბაქოში 1990 წელს, მასობრივ მკვლელობაში მონაწილეობით), რომელსაც წარმოადგენდნენ რუსეთის საჰაერო-სადესანტო ჯარების პოლკოვნიკი **ანატოლი სიდორენკო**, რუსეთის არმიის პოლკოვნიკი **ბორის აკუმინიჩევი,** მაიორი **გენადი კოლოდინი,** პოლკოვნიკი **ბორის აკვალევიჩი,** გენერალ-მაიორი **იგორ ლუნევი** (რომელიც ხელმძღვანელობდა დივერსიულ ჯგუფს „რუსეთის ლეგიონს“) და სხვები.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მტიცებულებაა, 1993 წლის 19 მარტს რუსეთის საჰაერო ძალების მაიორის, **ვაცლავ შიპკოს** (პირადობის საიდენტიფიკაცი **#622752**) რეაქტიული თვითმფრინავის Su-27-ის ჩამოგდება სოხუმთან ახლოს. (1993 წლის 23 მარტის „იზვესტიაში“ რუსეთის საჰაერო ძალების სარდალმა **ევგენი ზარუდნევმა** დაადასტურა, რომ ფრენის მიზანი იყო ქართული სამიზნე ობიექტების განადგურება. ამ ინციდენტამდე რუსეთის თავდაცვის მინისტრმა პაველ გრაჩოვი აცხადებდა, რომ ქართველები თავიანთ Su-25-ს რუსული ბომბდამშენის რუსულ ფერებში ღებავდნენ და ბომბავდნენ სოხუმის სამოქალაქო რაიონებს, ის შედეგადაც დაიხოცა ასობით სამოქალაქო პირი რუსეთის დისკრედიტაციის მიზნით). ბატონი შიპკო ადგილზე გარდაიცვალა.

აფხაზების მხარეზე რუსეთის სამხედრო ჩართულობის მნიშვნელობა კარგად აქვს განმარტებული რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მაღალი რანგის ექსპერტს, საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ყოფილ უფროსს, ავღანეთის ომის ვეტერანს ვიქტორ ბარანეცს (იხ.: თავი II, ვიქტორ ნიკოლოზის ძე ბარანეცი, გენშტაბი საიდუმლოებების გარეშე/Генштаб без тайн, გამომცემლობა Vargius Press; მოსკოვი, 1999).[45] იგი აღნიშნავს, რომ ქართველების ბრალდებები აფხაზური მხარისათვის შეიარაღების გუდაუთის ბაზიდან მიწოდებასთან, კონფლიქტში საჰაერო-სადესანტო ბრიგადის უშუალო მონაწილეობასა და საფრენ მინდორზე განლაგებული საჰაერო ძალების გამოყენებასთან დაკავშირებით, დადასტურებულია უამრავი ფოტოსურათით, დოკუმენტითა და მრავალი მოწმის ჩვენებით. „მათი უარყოფა ყოველგვარ აზრს მოკლებულია,“ – აღნიშნავს იგი. უფრო მეტიც, იგი აღწერს მთელ რიგ ქურდობის შემთხვევებს გუდაუთის საბრძოლოს მასალების საწყობიდან, მცველებისათვის 8.000

[44] წყარო: ლატვიურ-რუსული ყოველდღიური გაზეთი „Daily Chas“, 04.11.2004: http://www.chas-daily.com/win/2004/11/04/1_052.html?r-3&.

[45] ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: http://militera.lib.ru/research/baranets/index.html

რუბლის სანაცვლოდ და რუსული თვითმფრინავების გამოყენების მრავალ შემთხვევას აფხაზების მხრიდან.

1993 წლის შემოდგომაზე, რუსეთის შუამავლობით 1993 წლის ივლისში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღწეული შეთანხმების დარღვევის შემდეგ, რუსეთის კონტროლქვეშ მყოფმა სამხედრო პირებმა ალყა შემოარტყეს სოხუმს. მათ განაცხადეს, რომ ისინი ჩამოაგდებდნენ ნებისმიერ, თუნდაც სამოქალაქო, თვითმფრინავს, რომელიც აფრინდებოდა სოხუმიდან ან დაეშვებოდა სოხუმში. სულ მცირე, ორი სამოქალაქო თვითმფრინავი იქნა ჩამოგდებული 1993 წლის სექტემბერში, მათ შორის, Tupolev134. ამ სასტიკი აქტის მსხვერპლთა შორის იყო Wall Street Journal-ის რეპორტიორი ალექსანდრა ტუტლე. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ სასროლი ანტირაკეტა, რომელიც გამოყენებული იყო თვითმფრინავის ჩამოსაგდებად, გუდაუთაში მდებარე რუსეთის ბაზიდან იყო მოპოვებული, ხოლო მებრძოლებმა რუსული წვრთნები გაიარეს.[46]

და ბოლოს, არანაკლებ მნიშნელოვანია, რომ რუსეთის ფედერაციამ მხარი დაუჭირა სოჭის სამშვიდობო მოლაპარაკებებს 1993 წლის ივნისში, როდესაც ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტას მესამე ხელშეკრულებას რუსეთის გარანტიებით. ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების თანახმად, საომარ მოქმედებათა ასპარეზიდან საქართველომ ჯავშანტექნიკა და არტილერია მთლიანად გამოიყვანა და რუსეთს ფულიც კი გადაუხადა სატვირთო გემების დაქირავებისათვის. მას შემდეგ რუსეთმა და მისმა მარიონეტებმა მყისიერად გაზარდეს შეიარაღება და სულ რაღაც ორ თვეში წამოიწყეს არაპროვოცირებული თავდასხმა, რაც აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის უმრავლესობის ფართომასშტაბიანი ეთნიკური წმენდით დასრულდა. შედეგად, აფხაზეთში ომამდე არსებული მოსახლეობის დაახლოებით 70%, მათ შორის, სხვა ეთნიკური უმცირესობები, რომლებიც აფხაზეთში ომამდე ცხოვრობდნენ, გამოაძევეს.

იურიდიული თვალსაზრისით, საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ არსებობდა, როდესაც მოსკოვში, კერძოდ, კგბ-ში უკომპრომისო ჯგუფებმა შეიმუშავეს პოლიტიკა ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში ეთნიკური დაძაბულობის ინსპირირებისათვის. რუსეთის ჩართულობის შინაარსი არსებითად, ისეთივე იყო, როგორიც აფხაზეთის შემთხვევაში. კონფლიქტის გაღვივება და მისი მართვა განხორციელდა საბჭოთა კგბ-ს უშუალო ზედამხედველობით. სამხედრო თვალსაზრისით, საბჭოთა კავშირი/რუსეთი მარიონეტ სამხედროებს არა მხოლოდ შეიარაღებით ამარაგებდა, არამედ უშუალო მონაწილეობას იღებდა საომარ მოქმედებებში. ეს ძირითადად, ეხებოდა ცხინვალში განლაგებული

[46] "U. S. Journalist Feared Dead in Battle for a Georgia City", „ნიუ იორკ თაიმსი" (The New York Times), 1993 წლის 30 სექტემბერი, ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.nytimes.com/1993/09/30/world/us-journalist-feared-dead-in-battle-for-a-georgian-city.html

საბჭოთა საჰაერო ძალების Ми24 ტიპის მოიერიშე შვეულმფრენებსა და საბჭოთა კავშირის შინაგანი ჯარების ქვედანაყოფებს.

II. რუსეთის მიერ მარიონეტული რეჟიმების კონტროლი საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ

1. ცხინვალის რეგიონი/სამხრეთი ოსეთი

1.1 ზოგადი მიმოხილვა

2008 წლამდე, რუსეთის ფედერაციას ღიად არასდროს დაუყენებია ეჭვქვეშ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. თუმცა, რეალურად, რუსეთმა განახორციელა კარგად დაგეგმილი პოლიტიკა რეგიონზე კონტროლის დასამყარებლად, რაც ეფექტური საშუალება იყო საქართველოს მიმართ უფრო ფართო პოლიტიკის შემუშავებისთვის; ეს გულისხმობდა ამ ტერიტორიების გამოყოფას საქართველოსგან და რუსეთის ფედერაციაში მათს ინტეგრაციას.

ცხინვალის მარიონეტული რეჟიმი, რომელიც 1990-იან წლებში შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად ჩამოყალიბდა, რუსეთის ფედერაციის მხრიდან მრავალმხრივი დახმარებისა და მხარდაჭერის საფუძველზე განაგრძობდა არსებობას. რუსეთის ფედერაცია აქტიურად უზრუნველყოფდა ცხინვალის მარიონეტულ რეჟიმს სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური და ფინანსური დახმარებით და ამ დახმარებას იყენებდა მის პოლიტიკასა და საქმიანობაზე კონტროლის მოსაპოვებლად.

ამავდროულად, იგი მასიურად გასცემდა რუსეთის პასპორტებს ადგილობრივ მცხოვრებლებზე რაც თავისთავად, წარმოადგენდა მეზობელი სახელმწიფოს – საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის თვალსაჩინო მაგალითს.

რუსეთის სამშვიდობო მისია ემსახურებოდა რუსეთის ფედერაციის ზემოთ განხილულ პოლიტიკას და არა შესაბამისი მანდატებით განსაზღვრული მიზნების შესრულებას.

1.2. პოლიტიკური კონტროლის ასპექტები

რუსეთის პოლიტიკა ძალზე თანმიმდევრული იყო თავის მცდელობებში ერთი მხრივ, წამოეჭრა მარიონეტული რეჟიმის „პოლიტიკური ლეგიტიმაციის“ საკითხი და მეორე მხრივ, ჰქონოდა აბსოლუტური ვეტოს საშუალება ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ

ოსეთის თითოეულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე. მისი პოლიტიკური ჩართულობის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითები, რომლებიც ქვემოთ განიხილება, ეჭვს არ ბადებს, რომ კონფლიქტის მშვიდობიანი, პოლიტიკური მოგვარების პროცესზე მას უარყოფით გავლენა ჰქონდა.

- ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის მხარდაჭერა

ცხინვალის რეგიონის მარიონეტული ხელისუფლებისათვის პოლიტიკური მხარდაჭერის ყველაზე თვალსაჩინო გამოხატულებაა ის მთელი რიგი ქმედებები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებას. დამოუკიდებლობის აღიარების თაობაზე რუსეთის ფედერაციის მხრიდან გადადგმული პირველი ნაბიჯი, 1993 წლის 6 მარტით თარიღდება, როდესაც ჩრდილოეთ ოსეთის (რუსეთის ფედერაცია) უმაღლესმა საბჭომ აღიარა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. შემდგომში, 1993 წლის 22 მარტს, რუსეთის ფედერაციის უზენაესმა საბჭომ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის აღიარების საკითხი თავის დღის წესრიგში შეიტანა.[47]

2006 წლის 30 ნოემბერს, ჩრდილოეთ ოსეთის პარლამენტის წევრებმა დაამტკიცეს მიმართვა ფედერალური ხელისუფლებისადმი, კერძოდ, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტისა და პარლამენტისადმი. ისინი მოითხოვდნენ სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას ცხინვალში/სამხრეთ ოსეთში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე, მიუხედავას იმისა, რომ სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის მოსახლეობის უმრავლესობა არ მონაწილეობდა რეფერენდუმში, რადგან ცხინვალის რეჟიმი ვერ ახორციელებდა კონტროლს ოლქის მთელს ტერიტორიაზე, ხოლო ეთნიკური ქართველები, რომლებიც მარიონეტული რეჟიმის დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, გაძევებული იქნენ ეთნიკური წმენდის შედეგად, 1991-1992 წლების შეიარაღებული კონფლიქტის დროს.

2006 წლის 6 დეკემბერს, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმამ მიიღო რამდენიმე განცხადება საქართველოს ტერიტორიაზე არსებული არააღიარებული რესპუბლიკების შესახებ.[48] პარლამენტის წევრების აზრით, 2006 წლის 12 ნოემბრის რეფერენდუმი და არჩევნები ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში ჩატარდა საერთაშორისო პრინციპებისა და ნორმების სრული დაცვით.[49] ამ სახით დეკლარირებული იყო, რომ

[47] http://www.rre.ge/law/dekr_1993_03_22_e.html?lawid-3988&lng_3=en;
[48] იხ.: სახელმწიფო დუმის 2006 წლის 6 დეკემბრის განცხადება.
[49] იხ.: RIAN-ის 2006 წლის 6 დეკემბრის პრესრელიზი, ხელმისაწვდომია: http://www.rian.ru/politics/20061206/56556963.html.

რუსეთის პოლიტიკა ცხინვალის რეგიონის/სამხრეთი ოსეთის თაობაზე, შეესაბამებოდა რეფერენდუმის შედეგებს შესაბამისი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის სტანდარტებისა და პრეცედენტების გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ რეფერენდუმი იმ დროს ჩატარდა, როდესაც ადგილობრივი ქართული მოსახლეობა გამოდევნილი იყო ამ ტერიტორიიდან და ვერანაირად ვერ შეძლებდა ხმის მიცემას. მისი უკანონო შინაარსის გათვალისწინებით, რუსეთის გარდა, არც ერთ სახელმწიფოს არ უღიარებია რეფერენდუმის ლეგიტიმურობა. ამის საპირისპიროდ, მთლიანმა საერთაშორისო საზოგადოებამ, მათ შორის, ევროპის საბჭომ დაგმო ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში არაკანონიერი რეფერენდუმი.

2005 წლის 3 ოქტომბერს, რუსეთის მთავრობამ თავის განცხადებაში ედუარდ კოკოითი, სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტად მოიხსენია. ქართულმა მხარემ არაერთხელ გამოხატა პროტესტი ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მარიონეტული რეჟიმის ამ კონკრეტულ სახელწოდებასთან დაკავშირებით.

ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია რუსეთის მხრიდან სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ სამხედრო ცერემონიაზე ოფიციალური დასწრება. 2005 წლის 20 სექტემბერს, მარიონეტულმა რეჟიმმა მოაწყო დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნისადმი მიძღვნილი სამხედრო ძალების აღლუმი ქალაქ ცხინვალში.[50] ცერემონიას ესწრებოდა აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის, აგრეთვე დნესტრისპირეთისა და მთიანი ყარაბაღის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები. აგრეთვე, სახელმწიფო დუმის წევრები, ძირითადად, მმართველი პარტიის წარმომადგენლები, ისევე როგორც ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, მათ შორის, რუსეთის ფედერაციის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ხელმძღვანელები.[51] რუსეთის ოფიციალური პირების დიდი ნაწილის მონაწილეობა აღლუმში პირდაპირ ეწინააღმდეგება რუსეთის მიერ კონფლიქტში მედიატორის დეკლარირებულ როლს. ამავდროულად, იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთს რეგიონში მშვიდობისმყოფელის როლი ჰქონდა შეთავსებული, მისი მაღალჩინოსნების მარიონეტული ხელისუფლების წარმომადგენლების გვერდით დგომა ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს მათთვის პოლიტიკურ მხარდაჭერაზე.

მარიონეტული რეჟიმის სამართლებრივი თუ პოლიტიკური მხარდაჭერის ყველა ზემოხსენებულ საშუალებას შემდგომში მოჰყვა პრაქტიკული ქმედებები. არსებული

---

[50] იხ.: REGNUM-ის 2005 წლის 20 სექტემბრის პრესრელიზი და მასზე თანდართული ფოტოები, ხელმისაწვდომია: www. regnum.ru/news/515563.html.
[51] იხ.: http://www.civil.ge/eng/article.php?id=10794.

პრაქტიკის შესაბამისად, რუსეთის ხელისუფლება აგრძელებდა მარიონეტულ რეჟიმთან თანამშრომლობას, მიუხედავად იმისა, რომ ქართულმა მხარემ მრავალგზის გამოხატა პროტესტი საქართველოს სახელმწიფოს საშინაო საქმეებში რუსეთის ჩარევასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, რუსეთის დელეგაცია მუდმივად ესწრებოდა ოფიციალურ ცერემონიებს, მათ შორის, ბატონი კოკოითის ინაუგურაციას, ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში.[52]

2005 წლის 18 სექტემბერს, თეიმურაზ მამსუროვმა, ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელმა და ედუარდ კოკოითმა, ცხინვალის რეგიონის/სამხრეთი ოსეთის თვითგამოცხადებულმა პრეზიდენტმა ხელი მოაწერეს ერთობლივ განცხადებას ორ რესპუბლიკას შორის თანამშრომლობის სამართლებრივი ჩარჩოს გაფართოების შესახებ, „ერთიანი ოსეთის დაცვის დეკლარირებული მიზნით.“[53] 2006 წლის 20 სექტემბერს, ქალაქ მოსკოვის მერმა იური ლუჟკოვმა და დე-ფაქტო პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა ხელი მოაწერეს ქალაქ მოსკოვსა და სამხრეთ ოსეთს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შეთანხმებას.[54]

იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის ფედერაცია სრულად არის პასუხისმგებელი ხელისუფლების ნებისმიერი შტოს, მათ შორის, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებაზე, ჩრდილოეთ ოსეთის ზემოხსენებული პოლიტიკა წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის მხრიდან ცხინვალის მარიონეტული რეჟიმისათვის პოლიტიკური მხარდაჭერის უტყუარ გამოხატულებას.

- **რუსეთის ოფიციალური სტრუქტურების წარმომადგენელთა ვიზიტები**

რუსეთის ფედერაციის ოფიციალური სტრუქტურების წარმომადგენლები ხშირად სტუმრობდნენ ცხინვალის რეგიონს/სამხრეთ ოსეთს, საქართველოს ხელისუფლებასთან წინასწარი კონსულტაციების გარეშე. ამგვარი ქმედებებით ისინი არღვევდნენ სახელმწიფო საზღვრის კონტროლის რეგულაციებს, ისევე, როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პრინციპების შესაბამისად დადგენილ პრაქტიკას, რაც საქართველოს ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში ვიზიტების განსახორციელებლად მოითხოვს საქართველოს ხელისუფლებისათვის

[52] www.cacianalyst.org/?q-node/4376; http://64.233.183.104/search?q=cache:yxbQXSS67b.html; www.silkroadstudies.org/news/docs/GEF/Quarterly/February_2007/Sibladze.pef+kokoity+inauguration+russia&hl-en&ct-clrk&cd=23.

[53] 2006 წლის 19 მაისს ქალაქ ცხინვალში, სავარაუდოდ, დაიწყო ჩრდილოეთი ოსეთის - ალანიას და სამხრეთი ოსეთის მთავრობების ერთობლივი სხდომა. იხ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2006 წლის 26 ივნისის, აგრეთვე REGNUM-ის 2005 წლის 18 სექტემბრის პრეს-რელიზები. ამავდროულად იხ.: REGNUM-ის 2008 წლის 1 იანვრის პრეს-რელიზი.

[54] იხ.: REGNUM-ის 2006 წლის 20 სექტემბრის პრეს-რელიზი.

სათანადო შეტყობინებას და მისგან ნებართვის მიღებას. მარიონეტული რეჟიმის ლიდერებსა და რუსეთის ფედერაციის მაღალჩინოსნებსა და პარლამენტის წევრებს შორის არა ერთი შეხვედრა გაიმართა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ნებართვის გარეშე. ასეთი ტიპის „მაღალი რანგის“ შეხვედრებიდან რამდენიმე მაგალითის დასახელება შეიძლება: დე-ფაქტო პრეზიდენტის, ედუარდ კოკოითის შეხვედრები რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან (ორი ასეთი შეხვედრა იქნა გაცხადებული); რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან, სერგეი ლავროვთან;[55] ქალაქ მოსკოვის მერთან, იური ლუჟკოვთან; რუსეთის სახელმწიფო დუმის ორ ვიცე-სპიკერთან: ვლადიმირ ჟირინოვსკისა და სერგეი ბაბურინთან; სახელმწიფო დუმის საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარესთან კონსტანტინე კოსაჩევთან; სახელმწიფო დუმის დსთ-ის ქვეყნებსა და ემიგრანტებთან ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარესთან ანდრეი კოკოშინთან; რუსეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარესთან, პარლამენტის წევრთან გენადი ზიუგანოვთან; რუსეთის პოლიტიკური პარტია „როდინას“ თავმჯდომარესთან, პარლამენტის წევრთან დიმიტრი როგოზინთან; რუსეთის პოლიტიკური პარტია „როდინას“ თავმჯდომარის მოადგილესთან, პარლამენტის წევრთან ალექსეი მიტროფანოვთან; ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების ლიდერებთან: თეიმურაზ მამსუროვთან (ჩრდილოეთი ოსეთი – ალანია, რუსეთი), მუსტაფა ბაიდიევთან (ყარაჩაი-ჩერქეზეთი, რუსეთი), არსენ კანოკოვთან (ყაბარდო-ბალყარეთი, რუსეთი) და ალუ ალხანოვთან (ჩეჩნეთი, რუსეთი); კრასნოდარის მხარის გუბერნატორთან ალექსანდრე ტკაჩოვთან; რუსეთში მოქმედი კაზაკთა ორგანიზაციების ლიდერებთან, მათ შორის, კაზაკთა ჯარების კავშირის უმაღლეს ატამანთან ვიქტორ ვოდოლაცკისთან. ამ რიგგარეშე ვიზიტების/შეხვედრების გარდა, დიმიტრი მედოევი წარგზავნილი იქნა მოსკოვში, როგორც სამხრეთი ოსეთის მუდმივი წარმომადგენელი რუსეთის ფედერაციაში. და ბოლოს, კოკოითმა და სხვა მარიონეტულმა ლიდერებმა ერთობლივი პრესკონფერენცია ჩაატარეს რუსეთში,[56] ხოლო კოკოითი რუსეთის ოფიციალური წრეების ხშირი სტუმარი იყო.[57]

- **საკადრო შემადგენლობა, როგორც მარიონეტული რეჟიმის კონტროლის პირდაპირი საშუალება**

---

[55] ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა კოკოითსა და ლავროვს შორის, ნახსენებია მინისტრის, ლავროვის წერილში, რომელიც დანართის სახით მოცემულია წინამდებარე ბმულზე: http://caucaz.com/ home_eng/ depeches. php?id =1481: http:// www. regnum.ru/ english/ 847601. html: http:/ /www.mfa.gov.ge/ print.php? gg=1&sec _id=36&info_ id=4601&lang_in=ENG.

[56] http:// www.unomig.org/media/headlines/?id=51728cy=20068&m=1&d=27.

[57] http:// halldor2. wordpress.com/ 2006/09/30/ kokoity- and- bagapsh- in- discussions -with- putin/; http:// news.bbc.co.uk/ 2/bi/Europe/3933933.html.

ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე სრული კონტროლის მოპოვების მიზნით რუსეთის „მხარდაჭერა“ გასცდა პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური დახმარების ფარგლებს. უფრო სწორედ, დროთა განმავლობაში, ეს „მხარდაჭერა“ გადაიქცა ადმინისტრაციული და აღმასრულებელი ფუნქციების პირდაპირი კონტროლის საშუალებად (უმრავლეს შემთხვევაში საიდუმლო სამსახურის) ყოფილი და/ან მოქმედი რუსი ფუნქციონერების დანიშვნითა და წარგზავნით ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში, სადაც ისინი მარიონეტული ხელისუფლების მაღალ თანამდებობებზე ინიშნებოდნენ, რაზეც შემდეგი მაგალითები მეტყველებს (აგრეთვე იხ. დანართი A):

a) **ასლანბექ სოლტანის ძე ბულაცევი** – სამხრეთ ოსეთის პრემიერ-მინისტრი 2008 წლის 31 ოქტომბრიდან. დაბადებული 1963 წელს, მიხაილოვსკში, ჩრდილოეთი ოსეთი, საბჭოთა კავშირი. ჩრდილოეთი ოსეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბუღალტრის სპეციალობის დამთავრების შემდეგ, 1986 წლიდან მსახურობდა საბჭოთა სპეცსამსახურში, ხოლო მოგვიანებით, რუსეთის ფედერაციის უშიშროების სამსახურში. 2006 წლიდან, გარკვეული წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ფსბ-ს ჩრდილოეთ ოსეთის საგადასახადო სამმართველოს ფინანსურ განყოფილებას. 2006 წლიდან 2008 წლის ოქტომბრამდე, იყო ჩრდილოეთი ოსეთის ფედერალური საგადასახადო ინსპექციის უფროსი. 2007 წლის მაისში, ბრალი დადეს კორუფციასა და ფულის უკანონო გამოძალვაში, ბესლანში ყველაზე მსხვილი ალკოჰოლური საწარმოს მფლობელებისაგან.

b) **ალექსანდრ მიხეილის ძე ბოლშაკოვი** – სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი 2008 წლის 31 ოქტომბრიდან. დაბადებული 1954 წელს მურომში, ვლადიმირის ოლქი, სსრკ. 1978 წელს, დაამთავრა ვლადიმირის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. 1978-1993 წლებში მუშაობდა ვლადიმირის ოლქის ადგილობრივი თვითმმართველობისა და კომუნისტური პარტიის სტრუქტურებში. 1998-2000 წლებში, იყო ვლადიმირში „ავტოპრიბორის“ ქარხნის გენერალური დირექტორის მოადგილე. 2001-2004 წლებში, სამარაში ხელმძღვანელობდა „COK“-ს რუსეთში ავტომობილების ნაწილების ერთ-ერთი ყველაზე დიდი მწარმოებლის – ბიზნესჯგუფის საკონტროლო-სარევიზიო საბჭოს. 2005-2007 წლებში იყო ულიანოვსკის ოლქის გუბერნატორის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე და შემდეგ – უფროსი. 2007 წლის ივნისიდან 2008 წლის ოქტომბრამდე იყო ულიანოვსკის ოლქის თვითმმართველობის უფროსის მოადგილე და რუსეთის მმართველი პარტიის „ედინაია რასიას“ ადგილობრივი განყოფილების თავმჯდომარე.

c) **ლევ ვიქტორის ძე პავლიუჩკოვი** - სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე 2008 წლის 31 ოქტომბრიდან. 1990-იანი წლების დასაწყისიდან მუშაობდა პოლიტიკურ და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში კონსულტანტად სამარაში, სამარის ოლქი, რუსეთი. 2000-იანი წლების დასაწყისში იყო ბიზნესჯგუფის „COK"-ის კონსულტანტი სამარაში. 2004 წელს ხელმძღვანელობდა ულიანოვსკის ოლქის გუბერნატორის, სერგეი მირონოვის საარჩევნო შტაბს, ხოლო შემდგომში მუშაობდა მის მრჩევლად 2008 წლის ოქტომბრამდე. 2007-2008 წლებში თავმჯდომარეობდა ვლადიმერ პუტინის მესამე ვადით პრეზიდენტად არჩევის საინიციატივო ჯგუფს.

ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის თავდაცვის სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირები იყვნენ და კვლავაც არიან რუსეთის ფედერაციის ყოფილი და/ან მოქმედი სამხედრო მაღალჩინოსნები:

a) **იური ანვარის ძე ტანაევი** – სამხრეთ ოსეთი თავდაცვის მინისტრი 2008 წლის 31 ოქტომბრიდან. რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი. 1967 წელს დაამთავრა მინსკის სუვოროვის სახელობის სამხედრო სკოლა. მრავალი წლის განმავლობაში იყო ურალის სამხედრო ოლქში, რუსეთის გენერალური შტაბის დაზვერვის განყოფილების უფროსი. 1990-იანი წლებიდან იყო ურალის სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილე.

b) **ვასილ ვასილის ძე ლუნევი** – სამხრეთ ოსეთის თავდაცვის მინისტრი 2008 წლის 1 მარტიდან. რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი. დაბადებული 1956 წელს. დაამთავრა მოსკოვის უმაღლესი სამხედრო სარდლობის სკოლა, ფრუნზეს სამხედრო აკადემია და გაერთიანებული შტაბის აკადემია. იყო სახმელეთო ჯარებისა და ჯავშანსატანკო ოცეულის მეთაური ურალის რაიონის ჩებარკულის სამხედრო ბაზაზე. 2003-2004 წლებში იყოს ციმბირის არმიის სარდლის მოადგილე. 2007 წლის დეკემბრამდე, მუშაობდა სამხედრო მრჩევლად სირიაში. 2007 წლის 26 დეკემბერს, დაინიშნა პერმის ოლქის სამხედრო კომისრად, სადაც იგი მსახურობდა სამხრეთ ოსეთში მისიაში გაგზავნამდე.

c) **ანდრეი ნიკოლოზის ძე ლაპტევი** – სამხრეთ ოსეთის თავდაცვის მინისტრი 2006 წლის 11 დეკემბრიდან 2008 წლის 1 მარტამდე. რუსეთის მოქალაქე, რუსეთის არმიის პოლკოვნიკი. მან კარიერა დაიწყო ცხინვალში/სამხრეთ ოსეთში შერეულ სამშვიდობო ძალებში (JPKF) სამსახურით, ხოლო 2005 წლის შემოდგომიდან იგი არის სამხრეთ ოსეთის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის უფროსი.

d) **ანატოლი კონსტანტინეს ძე ბარანკევიჩი** – სამხრეთ ოსეთის ყოფილი თავდაცვის მინისტრი 2004 წლის ივლისიდან 2006 წლის დეკემბრამდე, რუსეთის მოქალაქე, რუსეთის ჯარის პოლკოვნიკი.[58] 2006 წლის 11 დეკემბრიდან არის სამხრეთ ოსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი.

e) **ვლადიმერ გრიგორის ძე კრავჩენკო** – სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსი 2004 წლის სექტემბრიდან 2005 წლის სექტემბრამდე, რუსეთის მოქალაქე, რუსეთის არმიის პოლკოვნიკი.

f) **ანატოლი ივანეს ძე სისოევი** – დე-ფაქტო პრეზიდენტის, ედუარდ კოკოითის სამხედრო მრჩეველი 2004 წელს, რუსეთის მოქალაქე, რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს მთავარი სადაზვერვო სამსახურის ყოფილი თანამშრომელი. კონფლიქტის ესკალაციის დროს იღებდა მთავარ გადაწყვეტილებს, მათ შორის, რეგიონში დაქირავებული ჯარისკაცებისა და მოხალისეთა კორპუსის მიღებასა და განლაგებასთან დაკავშირებით.

ცხინვალის რეგიონის/სამხრეთი ოსეთის უშიშროების სამსახურის მთავარი ხელმღვანელი პირები რუსეთის ფედერაციის სამხედრო და სპეციალური დანიშნულების სამსახურების ყოფილი და/ან მოქმედი მაღალი თანამდებობის პირები არიან:

a) **ბორის მაჯიტოვის ძე ატოევი** – სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე 2006 წლის 9 ნოემბრიდან, რუსეთის მოქალაქე, ყაბარდო-ბალყარეთში, მოსკოვსა და ავღანეთში საბჭოთა უშიშროების სამსახურის ყოფილი ოფიცერი.

b) **ნიკოლაი ვასილის ძე დოლგოპოლოვი** – გენერალ-მაიორი, სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე 2006 წლის მარტიდან 2006 წლის ნოემბრამდე, რუსეთის მოქალაქე, არის საბჭოთა უშიშროების სამსახურის მარი ელის რესპუბლიკის განყოფილების ყოფილი ოფიცერი (1999 წლიდან 2005 წლის აპრილამდე).

c) **ანატოლი ვასილის ძე იაროვოი** – გენერალ-მაიორი, სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე 2005 წლის იანვრიდან 2006 წლის მარტამდე, რუსეთის მოქალაქე, არის რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის მოლდოვის რესპუბლიკის განყოფილების ყოფილი უფროსი (2000-2004).

---

[58] ამ თანამდებობაზე დანიშვნის მომენტში იგი იყო რუსეთის არმიის მოქმედი პოლკოვნიკი და ოფიციალურად იმყოფებოდა მივლინებაში.

d) 2006 წლის იანვრიდან სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საზღვრის დაცვის სამსახური მთლიანად კონტროლდებოდა რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის სახელმწიფო საზღვრის დაცვის განყოფილების მოქმედი ოფიცრების მიერ, რომლებიც საკონტრაქტო წესით იგზავნებოდნენ რეგიონში. განყოფილების უფროსი არის **გენერალ-ლეიტენანტი ვალერი ალექსეის ძე ჩუგუნოვი**, შტაბის უფროსი – **პოლკოვნიკის ოლეგ გენადის ძე ჩებოტარიოვი**, ხოლო შტაბის უფროსის პირველი მოადგილე – **ვიცე-პოლკოვნიკი გენადი ნიკოლაის ძე ემელიანენკო**.

ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის სამართალდამცავი ორგანოები აგრეთვე, მთლიანად კონტროლდებოდა რუსი მაღალჩინოსნების მხრიდან:

a) **მიხეილ მაირამის ძე მინძაევი** – სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი 2005 წლის აპრილიდან, რუსეთის მოქალაქე, პოლიციის პოლკოვნიკი, ჩრდილოეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს შტაბის ყოფილი უფროსი.
b) **გენერალი ალექსანდრ ანდრეის ძე შაპოშნიკოვი** – JPKF სარდლის მოადგილე სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საკითხებში. 2006 წლიდან იყო დე-ფაქტო პრეზიდენტის, ედუარდ კოკოითის მრჩეველი საშინაო საკითხებში. მანამდე იმავე თანამდებობას იკავებდა **ალექსანდრ ალექსანდრეს ძე კლიმენკო,** რუსეთის შინაგანი ჯარების გენერალ-მაიორი (2006 წლის იანვრიდან 2007 წლის იანვრამდე), შემდგომში – **გენერალ-მაიორი იგორ სერგეის ძე გრუდნოვი**, (2005 წლის იანვრიდან 2006 წლის იანვრამდე) რუსეთის ომის ვეტერანი, რომელიც ავღანეთში იბრძოდა და რუსეთის ფედერაციის გმირი; ხოლოდ შემდგომში – **გენერალი ვასილ ალექსეის ძე პლატოვი**, რუსეთის გენერალი (2004 წელს).

- **უკანონო პასპორტიზაცია**

ცხინვალის რეგიონის/სამხრეთი ოსეთის დარჩენილი მოსახლეობის უკანონო პასპორტიზაცია რუსეთის მხრიდან რეგიონის მცოცავი ანექსიის მნიშვნელოვანი კომპონენტია. ეს შესაძლოა შეფასდეს როგორც წინასწარ განზრახული და კარგად მოფიქრებული პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ადგილობრივი მოსახლეობის სამართლებრივი სტატუსის შეცვლას, დაცვის მოვალოების („R2P“, Responsibility to Protect) წინაპირობის შესაქმნელად რუსეთის პირდაპირი სამხედრო ინტერვენციის შემთხვევაში ან პირდაპირი ინტერვენციის საფრთხის კონტექსტში (აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაცია ცდილობდა R2P-ის არგუმენტის მოშველიებას, 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს ინტერვენციისათვის ერთ-ერთ იურიდიულ საფუძლად). უფრო მეტიც, პასპორტიზაცია წარმოადგენდა რუსეთის ფედერაციისათვის ბერკეტს, გაეფართოებინა კონტროლი მოსახლეობაზე, რომელსაც, როგორც რუსეთის პასპორტის

მფლობელს, უხდიდა პენსიებს და სხვა სოციალურ დანამატებს. რუსეთის მოქალაქეობამ ადგილობრივი მოსახლეობა უშუალოდ დამოკიდებული გახადა რუსეთის სახელმწიფოზე.

ამ მიმართულებით, რუსეთის პოლიტიკა წარმოადგენდა ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობის სურათის ხელოვნურ და უკანონო შეცვლას. ამ თვალსაზრისით, განცხადება გააკეთა ეუთო-ს უმაღლესმა კომისარმა ეთნიკური უმცირესობების საკითხებში კნუტ ვოლებეკმა. უმაღლესმა კომისარმა, 2008 წლის ნოემბრის წერილში, რომლის ადრესატი ეუთო-ს თავმჯდომარე იყო, გაიმეორა, რომ „სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ სხვა სახელმწიფოთა მცხოვრებლებისათვის მასობრივად მოქალაქეობის მინიჭებისაგან, რაც ეწინააღმდეგება სუვერენიტეტისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების პრინციპებს. სახელმწიფოს მოქალაქეების ან „ეთნიკური ნათესავების“ ყოფნა საზღვარგარეთ არ უნდა იყოს გამოყენებული, როგორც სხვა სახელმწიფოთა სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის გამამართლებელი საფუძველი.“[59]

პროცესი, რომლის მეშვეობითაც რუსეთმა დაგეგმა და განახორციელა ეს პოლიტიკა, ნათლად ადასტურებს არა მხოლოდ ზემოხსენებულ შეფასებას, არამედ იმ მიზნებს, რომლებსაც ის ემსახურება.[60]

- **უვიზო რეჟიმი**

დსთ-ის მონაწილე სახელმწიფოთა მოქალაქეების უვიზო მიმოსვლის შესახებ შეთანხმებიდან (ბიშკეკი, 1992 წლის 9 ოქტომბერი), რუსეთის ფედერაციის გამოსვლის შედეგად, 2000 წლის 5 დეკემბრიდან, რუსეთმა სავიზო რეჟიმი შემოიღო საქართველოსთან მიმართებაში. თუმცა, უვიზო მიმოსვლა შეინარჩუნა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ორ არაკონტროლირებად რეგიონთან – აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში.

ევროპულმა პარლამენტმა თავის დადგენილებაში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს მიმართ სავიზო რეჟიმის შემოღებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ „[...] ვიზების შემოღება, საერთაშორისო სამართლის თანახმად, სახელმწიფოს სუვერენიტეტის საკითხია, მაგრამ საქართველოს მოქალაქეებისათვის შემოღებული სავიზო რეჟიმისაგან საქართველოს სამხრეთ ოსეთის/ცხინვალისა და აფხაზეთის

[59] https://www.osce.org/hcnm/iing_1_32663.html

[60] პროცესი და დინამიკა, ისევე როგორც საქართველოს შეფასება, დეტალურად იხ. #2 სამართლებრივიშეკითხვის პასუხში.

სეპრატისტული რეგიონების მცხოვრებთა გათავისუფლების გეგმა არის გამოწვევა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისათვის, რომელსაც ოფიციალურად მხარს უჭერს რუსეთის ფედერაცია; მოვუწოდებთ რუსეთის ფედერაციის მთავრობას, გადახედოს ამ გეგმებს, რამეთუ ისინი **გაუთანაბრდება საქართველოს ტერიტორიების დე-ფაქტო ანექსიას.**“ [ხაზგასმა დამატებულია].[61]

ევროკავშირის პარლამენტის თანაშრომლობის კომიტეტის მიერ 2001 წლის 18-19 ივნისს, მე-3 სხდომაზე მიღებული დეკლარაციებისა და რეკომენდაციების თანახმად, „რუსეთის სავიზო რეჟიმისაგან იმ მაცხოვრებლების გათავისუფლებასთან დაკავშირებით, რომლებიც საქართველოს მოქალაქეები არიან საქართველოს სამხრეთ ოსეთის/ცხინვალისა და აფხაზეთის სეპარატისტულ რეგიონებში, [ევროკავშირი] იმეორებს, რომ ასეთი სახის გათავისუფლება წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისათვის გამოწვევას, რაც შესაძლოა განხილული იქნეს ამ რეგიონების *დე-ფაქტო* ანექსიად, რომელსაც ადასტურებს რუსული რუბლის ოფიციალური ვალუტის სახით მიმოქცევაში ყოფნა საქართველოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში.“[62]

საქართველოს პარლამენტმა 2000 წლის 24 ნოემბრის განცხადებაში, რუსეთსა და საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის შემოღების თაობაზე აღნიშნა:

„სხვა სახელმწიფოსთან სავიზო რეჟიმის შემოღება რუსეთის სუვერენული ნებაა, მაგრამ არავის აქვს უფლება საქართველოსთან შეუთანხმლებლად განსხვავებულ უფლებრივ მდგომარეობაში ჩააყენოს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობა, როგორც ამას რუსული მხარე ცალმხრივად აპირებს სავიზო ხელშეკრულების დამატებითი ოქმით.

საქართველოს პარლამენტი აღნიშნულს განიხილავს, როგორც უპატივცემულობას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული უზენაესობის მიმართ. ეს არღვევს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს და სამართლიანად აღიქმება საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევის მცდელობად და კიდევ ერთხელ ადასტურებს რუსეთის ხელისუფლების არალეგალურ ინტერესს აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის მიმართ.

---

[61] ევროპული პარლამენტის დადგენილება რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს მიმართ სავიზო რეჟიმის შემოღებასთან დაკავშირებით, 2001 წლის 18 იანვარი.

[62] ევროკავშირი-საქართველოს საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტი, დეკლარაციები და რეკომენდაციები, ref: IRE/PCC/GH/KM/es, 2001 წლის 27 ივნისი, პუნქტი 27.

თუ რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობა მაინც გადაწყვეტს, დააწესოს სავიზო რეჟიმის წარმოდგენილი ვარიანტი, რაც რუსეთის მხრიდან საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების უხეში დარღვევაა, საქართველოს პარლამენტი ამ ნაბიჯს განიხილავს, **როგორც საკუთარი ტერიტორიის ანექსიის მცდელობის ფაქტს** [ხაზგასმა დამატებულია], საქართველოს ისტორიული ტერიტორიების მიტაცების იურიდიულად დაკანონებას და მთელი პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ საქართველო გამოიყენებს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ბერკეტებს საკუთარი სუვერენიტეტისა და მთლიანობის დასაცავად.“

2001 წლის 2 მარტს, ნოტების გაცვლის გზით, შეთანხმება გაფორმდა ორ ქვეყანას შორის, რის შედეგადაც, 2001 წლის 1 მარტის მოლაპარაკებათა ოქმის საფუძველზე დაწესდა დროებითი პროცედურა გარკვეული კატეგორიების პირებისათვის, საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებით. თუმცა, ხსენებული შეთანხმება არ შეიცავს დებულებებს, რომლითაც უვიზო რეჟიმი დაუწესდებოდათ ცხინვალის რეგიონში/საქართველო, შერეული სამშვიდობო ძალების რუსულ კონტინგენტში მომსახურე რუს სამხედრო პერსონალს. კატეგორიები არ ეხებოდა რუსეთის ოფიციალურ პირებს, რომლებიც ცხინვალის რეგიონში/საქართველოში მიემგზავრებოდნენ და არც იმათ, რომლებიც მარიონეტულ რეჟიმში ცხოვრობდნენ და მსახურობდნენ. შესაბამისად, რადგან არანაირი შეთანხმება არ ყოფილა, რომელიც რაიმე სახის პრივილეგიას მისცემდა რუს მშვიდობისმყოფელებს საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლასთან დაკავშირებით. საქართველოსა და რუსეთს შორის ზოგადი სავიზო რეჟიმი მოქმედებდა სამშვიდობო ძალების პერსონალთან მიმართებაშიც. ანალოგიურად, საქართველო არ არის დსთ-ის ფარგლებში გაფორმებული დოკუმენტის მხარე, რომელიც ითვალისწინებს დსთ-ის კოლექტიური ძალების სტატუსს პასპორტსა და ვიზასთან დაკავშირებულ საკითხებზე. თუმცა, რუსეთის სამხედრო კონტინგენტი მუდმივად მგზავრობს ცხინვალის რეგიონში/საქართველო, სათანადო სავიზო პროცედურების დაცვის გარეშე.

1.3. ერთიანი კონსოლიდირებული საინფორმაციო სივრცის შექმნის მცდელობა

ერთიანი საინფორმაციო სივრცის შექმნის თვალსაზრისით, უნდა აღინიშნოს რუსეთის მასმედიის წარმომადგენლების მუდმივი არსებობა ზოგადი აკრედიტაციის პროცედურის გარეშე. პრაქტიკულ ნაბიჯებს მოჰყვა ფედერალური სახელმწიფოს უნიტარული საწარმოს – რუსეთის ტელე-რადიო მაუწყებლობისგენერალური დირექტორის მოადგილის, სერგეი ტრუბიცინის, განცხადებები, რომლის თანახმად,

„გადაწყვეტილება, რომ სამხრეთ ოსეთი შეყვანილი იყოს რუსეთის ერთიან საინფორმაციო სივრცეში, რეალობა გახდა.“[63]

მცდელობებს ჰქონდა ადგილი ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის და ჩრდილოეთი ოსეთის საერთო საინფორმაციო სივრცის შექმნის თვალსაზრისით. ქვემოთ ჩამოთვლილი აქტივობები მიუთითებს რუსული მხარის მიერ გაწეული ფინანსური და ლოგისტიკური დახმარების მოცულობაზე სამხრეთ ოსეთში დამოუკიდებელი საკომუნიკაციო სისტემების განვითარებასა და შესაბამისად, საქართველოს ერთიანი საინფორმაციო სივრციდან მის გამოყოფასთან დაკავშირებით.

ადგილობრივი სატელევიზიო არხის „ალანიასა“ და რუსეთის სატელევიზიო კომპანიების: „ენ-ტე-ვეს“ (НТВ) და „ო-ერ-ტეს“ (ОРТ) არასანქცირებული მაუწყებლობა.

რუსეთის რადიოსაკომუნიკაციო კომპანიების მიერ რადიოსაკომუნიკაციო ქსელების უკანონო მშენებლობა, ექსპლუატაცია და უკანონო საერთაშორისო სატელეფონო კავშირი კონფლიქტის ზონებში, მათ შორის, ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში.

ციფრული უკაბელო საკომუნიკაციო ხაზები გაყვანილი იქნა დე-ფაქტო რესპუბლიკაში, რამაც განაპირობა:

1. რუსული სატელევიზიო არხების რაოდენობის გაზრდა, რომლებსაც მაუწყებლობა ჰქონდათ რეგიონში, აღნიშნულ ეტაპზე სამაუწყებლო არხები: „Культура,“ „Россия,“ „Первий Канал.“ აგრეთვე იგეგმება სამაუწყებლო ქსელის გაფართოება სამხრეთ ოსეთის მთელი ტერიტორიის დაფარვის მიზნით.
2. რუსეთთან სატელეფონო კომუნიკაციის ტარიფების მნიშვნელოვანი შემცირება.
3. სამხრეთ ოსეთის საკომუნიკაციო ქსელის საქართველოს საკომუნიკაციო ქსელისაგან იზოლაცია.

რაც შეეხება ტელესაკომუნიკაციო სფეროს, 2004 წლიდან რუსეთის ტელესაკომუნიკაციო კომპანია „Мегафон“ ფუნქციონირებს ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში საქართველოს ხელისუფლების ნებართვის გარეშე.[64] დე-ფაქტო პრეზიდენტი კოკოითი და მისი მრჩევლები, ისევე როგორც მარიონეტული რეჟიმის სხვა წარმომადგენლები აქტიურად სარგებლობენ აღნიშნული ქსელის მომსახურებით. რუსულმა კომპანიამ „Мегафон“-მა მოგვიანებით, წამოიწყო უკაბელო ქსელის მშენებლობა. უკაბელო ქსელს „Мегафон“ (მეგაფონი) ექსპლუატაციას უწევს უკაბელო სიხშირის (რადიო ტალღების

[63] იხ.: http://www.mfa.gov.ge/print.php?gg-1&sec_id=36&info_.id-17968&lang_id=ENG
[64] http://newsgeorgia.ru/geo1/20061112/41839887.html;

სივრცის, „radio-wave space”) გამოყენებით, რაც საქართველოში მოქმედ ლიცენზირებულ კომპანიებს ეკუთვნის და, შესაბამისად, ეწინააღმდეგება ქართულ კანონმდებლობას. ძირითადად „Мегафон“-ის (მეგაფონი) ანტენები მაგთიკომის (ქართული კომპანია) ბოძებზეა მიმაგრებული. ხსენებული უკაბელო სივრცის დახმარებით შესაძლებელი გახდა პირდაპირი კავშირის უზრუნველყოფა ანალოგიურ ქსელებთან რუსეთში, საქართველოს გაერთიანებული ტელესაკომუნიკაციო სისტემის უგულებელყოფითა და გვერდის ავლით. გარდა ამისა, „Мегафон“-ის (მეგაფონი) სერვისის გასაუმჯობესებლად, გადამცემი ანტენის ექვსი (6) მოწყობილობა და ოთხი (4) კომპიუტერი ცხინვალში უშუალოდ რუსეთიდან იქნა შეტანილი, 2006 წლის იანვარში.[65]

რუსეთის ფედერაციის მხრიდან ზემოხსენებული აქტივობების განხორციელებით, ირღვევა საქართველოსთან დადებული სხვადასხვა შეთანხმება, მათ შორის, 1994 წლის „შეთანხმება კომუნიკაციების სფეროში ურთიერთთანამშრომლობის შესახებ საქართველოსა და რუსეთის მთავრობებს შორის;“ „საქართველოსა და რუსეთის მთავრობებს შორის შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ კონფლიქტის ზონის ეკონომიკური რეაბილიტაციისა და ლტოლვილთა დაბრუნების სფეროში“ (2000), მსოფლიო საფოსტო კავშირისა (UPU) და საერთაშორისო ტელესაკომუნიკაციო კავშირის (ITU) წესდებები და რეგულაციები, ისევე როგორც ამ სფეროში მოქმედი სხვა საერთაშორისო პრინციპები.

ერთიანი საინფორმაციო სივრცის შექმნის მიზნით, თვითნებურ საქმიანობასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობამ დააყენა საკითხი რუსეთის ფედერაციის კომუნიკაციებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების მინისტრის წინაშე რუსეთ-საქართველოს სამთავრობათშორისი კომისიის შეხვედრაზე ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ. [66] რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ხელისუფლების პასუხი მიღებული იქნა 2006 წლის ოქტომბერში, მოსკოვში BSEC-ის ქვეყნების მინისტრების შეხვედრაზე და 2006 წლის ნოემბერში, ანტალიაში საერთაშორისო ტელესაკომუნიკაციო კავშირის (ITU) ფარგლებში ჩატარებულ კონფერენციაზე. [67] საკითხი ეცნობა მსოფლიო საფოსტო კავშირსა (UPU)[68] და კომუნიკაციების დარგში

[65] თუმცა, კომპანიას ჯერ არ შეუძლია რეგიონის სრული დაფარვის უზრუნველყოფა.

[66] საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის წერილი რუსეთის ფედერაციის კომუნიკაციებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების მინისტრისადმი, 2005 წლის 18 ოქტომბერი.

[67] იხ.: საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილის, დავით წიკლაურის, განცხადება, ანტალია, თურქეთი, 6-24 ნოემბერი, 2006.

[68] შპს „საქართველოს ფოსტის“ გენერალური დირექტორის, ინწკირველის წერილი მსოფლიო საფოსტო კავშირის ოპერაციებისა და ტექნოლოგიების დირექტორისადმი, ბ-ნ მსოფესადმი, 2006 წლის 9 ოქტომბერი.

რეგიონულ თანამეგობრობას (RCC).[69] ამგვარად, საქართველოს მთავრობამ სცადა ყველა არსებული საერთაშორისო მექანიზმის გამოყენება ზემოხსენებული საკითხების მოსაგვარებლად.[70]

1.4. ეკონომიკური ინტეგრაციის მცდელობა

რუსეთის ფედერაცია დიდ ძალისხმევას მიმართავდა ეკონომიკის სფეროში მარიონეტი რეჟიმის მხარდაჭერისა და მისი შენარჩუნებისათვის. ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ადგილობრივი ეკონომიკა სწორედ რუსეთიდან მიღებული ჰუმანიტარული დახმარებისა და საბიუჯეტო სუბსიდიების წყალობით გადარჩა.

- **მარიონეტული რეჟიმისთვის გაწეული პირდაპირი ეკონომიკური დახმარება**

რუსეთის ფედერაციის მტკიცებით, 2000 წლის ორმხრივი ხელშეკრულების (საჭიროა ხელშეკრულების სახელწოდების გარკვეული აღწერა, ანუ კომენტარი სახელწოდებასთან დაკავშირებით) საფუძველზე, რუსეთის ფედერაციის ცენტრალური და ტერიტორიული მართვის ორგანოებს, ცხინვალში მოქმედი მარიონეტული რეჟიმისათვის პირდაპირი ეკონომიკური და ჰუმანიტარული დახმარების აღმოსაჩენად არ ესაჭიროებოდათ საქართველოს მთავრობის სპეციალური თანხმობა (დამტკიცება). რუსეთის ფედერაციას არ შეუსრულებია აღნიშნული ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცედურები და ქვემოთ აღწერილი მისი ეკონომიკური საქმიანობა ყოველგვარ იურიდიულ დასაბუთებას არის მოკლებული.

ამგვარი ჰუმანიტარული დახმარების პროგრამების კანონიერების შესახებ საუბრისას, განსაკუთრებით საყურადღებოა, ხელშეკრულების მე-5 მუხლი, რომელიც გარკვევით განსაზღვრავს <u>შერეული საკონტროლო კომისიის</u> როლს, როგორც ორგანოს, რომელიც პასუხიმგებელია ეკონომიკური რეაბილიტაციის პროგრამების განხორციელების მონიტორინგსა და კონტროლზე. ამ მუხლის მიზანია, არ მოხდეს მარიონეტული რეჟიმისათვის აკრძალული დასახელებებისა და საქონლის მიწოდება ჰუმანიტარული დახმარების საფარქვეშ. ცხინვალის რეგიონისთვის/სამხრეთ ოსეთისთვის დახმარების ერთპიროვნული გაწევის გზით, რუსეთის ხელისუფლება ახდენდა ხელშეკრულების პირობების იგნორირებასა და გვერდის ავლას, მათ შორის შერეული საკონტროლო კომისიის მოთხოვნებს. უფრო მეტიც, რუსეთის ფედერაცია ჰუმანიტარული დახმარების მოტივს ხშირად იყენებდა ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში ეკონომიკური საქმიანობის რეალური მიზნების დამალვისათვის

ზემოაღნიშნული რუსეთის ფედერაციის კარგად დაგეგმილი პოლიტიკის ნაწილია და მიზნად ისახავდა მარიონეტული რეჟიმის რუსეთის ფედერაციაზე დამოკიდებულების

---

[69] საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მიმართვა კომუნიკაციების დარგში რეგიონული თანამეგობრობისადმი, 2006 წლის 23 ოქტომბერი.

[70] საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მიმართვა BSEC-ის წევრ სახელმწიფოებში ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციის სფეროში მინისტრების შეხვედრის მონაწილეებისადმი, 2006 წლის 13 ოქტომბერი.

გაძლიერებას, რაც წინააღმდეგობაში მოდიოდა რეგიონის დახმარებისა და მრავალმხრივი მხარდაჭერის ზომებთან, მათ შორის საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენისკენ მიმართულ ღონისძიებებთან და მშვიდობის დამყარების პროცესის ხელშეწყობასთან.

მოსკოვის მერიას პირდაპირ ჰქონდა მიღებული დავალება და ასრულებდა წამყვან როლს ცხინვალის რეგიონისთვის/სამხრეთ ოსეთისთვის გაწეულ ე.წ. ჰუმანიტარულ დახმარებაში. უწყვეტი დახმარების მიზნით, ცხინვალის რეგიონისთვის/სამხრეთ ოსეთისთვის სხავდასხვა დასახელების საქონელის მიწოდება ხორციელდებოდა 6 თვეში ერთხელ, მოსკოვი-ვლადიკავკაზი-ცხინვალის მარშრუტით. აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაცია ყოველგვარი პასუხის/რეაქციის გარეშე ტოვებდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ამ ფაქტებთან დაკავშირებით გამოხატულ მრავალ საპროტესტო განცხადებას.

ქვემოთ აღწერილი დიპლომატიური კორესპოდენცია, რომელიც იწარმოებოდა კონკრეტული ჰუმანიტარული ტვირთების ტრანსპორტირებამდე, წარმოადგენს საქართველოს მთავრობის მიერ ადგილობრივი მოსახლეობისთვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევის თვალსაჩინო მაგალითს, რომელიც ორმხრივად შეთანხმებული მექანიზმის ფარგლებში უნდა ყოფილიყო შემუშავებული. ეს თავის მხრივ, არ გამოიწვევდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პრინციპების შელახვას, და ამასთან ერთად, შეამცირებდა მარიონეტული რეჟიმისათვის სამხედრო შეიარაღების უკანონოდ მიწოდების რისკს ჰუმანიტარული ტვირთის საფარქვეშ.

2004 წლის 9 სექტემბერს, საქართველოს მთავრობამ 2004 წლის 8 სექტემბრით დათარიღებული #111 დიპლომატიური შეტყობინების საფუძველზე მიიღო ინფორმაცია, რომ რუსეთის ფედერაციის საგანგებო საქმეთა სამინისტრო გეგმავდა ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში ჰუმანიტარული ტვირთის ტრანსპორტირებას 13 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე არსებულ პერიოდში. ტვირთის შემადგენლობაში შედიოდა: 1000 ტონა ფქვილი, 570 ტონა შაქარი და 150 ტონა საწვავი/ბენზინი. 2004 წლის 10 სექტემბერს, საქართველოს მთავრობამ გამოხატა თავისი თანხმობა, ჰუმანიტარულ დახმარების განოხრციელებასთან დაკავშირებით, იმ პირობით, რომ ტვირთის შემოტანა განხორციელდებოდა „ყაზბეგი–ზემო ლარსის“ გამშვები პუნქტის გავლით, რადგან ეს უკანასკნელი წარმოადგენდა საქართველო-რუსეთის საზღვარზე ერთადერთ ლეგიტიმურ გამშვებ პუნქტს.

დამატებით, 2004 წლის 17 სექტემბერს, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ N 6080 – н/4дсгн დიპლომატიური ნოტით, აცნობა საქართველოს მხარეს, რომ იმავე დღეს დაგეგმილი იყო ჰუმანიტარული ტვირთის ტრანსპორტირება ვლადიკავკაზიდან – ჩრდილოეთ ოსეთი, რუსეთი. ტვირთის ტრანსპორტირება მოხდებოდა 12 (თორმეტი) სატვირთო მანქანით, ხოლო სატვირთო მანქანები დატვირთული იქნებოდა 150 ტონა ფქვილით. ნოტის საპასუხოდ, საქართველოს მხარემ შეახსენა რუსეთის მთავრობას მისი ადრე დაფიქსირებული პოზიციის შესახებ და კიდევ ერთხელ გააჟღერა საქართველოს

მთავრობის მოთხოვნა საქართველოს მხარისთვის ტვირთის ტრანსპორტირების შესახებ ინფორმაციის დროულად მიწოდების შესახებ.

2004 წლის 7 ოქტომბერს, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ N 6542 – н/4дсгн დიპლომატიური ნოტით, – აცნობა საქართველოს მხარეს, რომ ოქტომბრის პირველ ნახევარში გეგმავდა მოსკოვის მთავრობის მიერ გამოყოფილი ჰუმანიტარული ტვირთის შეტანას ცხინვალის რეგიონში. ტვირთი შეიცავდა საკვებს, ფართო მოხმარების საგნებს, სასწრაფო დახმარების მანქანებს, მედიკამენტებს და ა.შ. ნოტის საპასუხოდ, 2004 წლის 7 ოქტომბერს (წერილით N 1751) საქართველოს მხარემ, საელჩოს საშუალებით, შეახსენა რუსეთს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მისი (საქართველოს მხარის) ადრინდელი დიპლომატიური პოზიციის შესახებ და კიდევ ერთხელ შეახსენა რუსეთის მთავრობას მოთხოვნა – საქართველოს მხარისთვის ტვირთების მარშრუტისა და მოძრაობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე.

2004 წლის 11 ოქტომბერს, ქართული მხარის მიერ მრავალჯერადი მოთხოვნის მიუხედავად, გამოყენებული ყოფილიყო საზღვრის გადაკვეთის ლეგიტიმური მონაკვეთი, 16-20 სატვირთო მანქანის კოლონა, რომელიც განცხადების მიხედვით შეიცავდა ჰუმანიტარული ხასიათის ტვირთს (საკვები, მედიკამენტები, ელექტროენერგიის გენერატორები, სასწრაფო დახმარების მანქანები და ა.შ), მოსკოვიდან ცხინვალის რეგიონში შევიდა როკის გვირაბის გავლით.

2005 წლის 7 ივნისს, ცნობილი გახდა, რომ რომ მოსკოვის მერი, იური ლუჟკოვი 25 ივნისს, გეგმავდა ცხინვალის რეგიონისთვის/სამხრეთ ოსეთისთვის ჰუმანიტარული ტვირთის მიწოდებას, ტვირთის ღირებულება 60 მილიონ რუსულ რუბლს აღემატებოდა. 2005 წლის 9 ივნისს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ დიპლომატიური ნოტით (N 11 – 06/983) რუსული მხარის წინაშე თავისი პროტესტი გამოხატა. ამის მიუხედავად, 2005 წლის 25 ივნისს, საქართველოს მხარის ლეგიტიმური მოთხოვნების უგულვებელყოფით, რუსეთის მთავრობამ, სეპარატისტული მთავრობის მონაწილეობით, დემონსტრაციულად მოახდინა ჰუმანიტარული ტვირთის გაგზავნა ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში როკის გვირაბის გავლით. ძალზედ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ტვირთის ნაწილს ორმაგი, ნაწილობრივ სამხედრო, დანიშნულებაც ჰქონდა. ამასთან დაკავშირებით, 2005 წლის 24 და 27 ივნისს, პროტესტის სპეციალური მემორანდუმები დამატებით გადაეცა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს.[71]

მიუხედავად მრავალი დიპლომატიური პროტესტისა, როკის გვირაბის გავლით მოხდა მთელი რიგი ჰუმანიტარული ტვირთის ტრანსპორტირება. 2005 წლის ივლისში, მოსკოვის მერის იური ლუჟკოვის ინიციატივით, ჰუმანიტარული ტვირთი გაიგზავნა ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში; ტვირთი მოიცავდა საკვებს, ტანსაცმელს,

[71] ასევე, იხ.: RIAN-ის 14 და 21 ოქტომბრით, ასევე, 2006 წლის 1 დეკემბრით დათარიღებული პრეს რელიზები. ხელმისაწვდომია შემდეგ საიტებზე: http://www.rian.ru/politics/20061012/54809445.html; http://www.rian.ru/politics/20061021/55012024-print.html; http://www.rian.ru/society/20061201/56313071.html

ყოველდღიური მოხმარების საგნებს, სასწრაფო დახმარების მანქანას, ავტობუსებს, სამშენებლო დანადგარებს, დიზელის გენერატორებს. უფრო მეტიც, 2006 წლის 10 ოქტომბერს, მოსკოვის მერიამ 20 მილიონ (20.000.000) რუბლზე მეტი (დაახლოებით, 800.000 აშშ დოლარი) გამოყო ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ჰუმანიტარული დახმარების მიზნით. დახმარება მოიცავდა 25 სატრანსპორტო ერთეულს, კომპრესორებს, შესადუღებელ აპარატებს, ავეჯსა და წიგნებს სკოლებისათვის, ასევე, სამედიცინო აღჭურვილობას.

ზემოხსენებული ყველა ტვირთის შეტანა ხდებოდა ჰუმანიტარული დახმარების საბაბით; თუმცა, რადგან როკის გვირაბის მეთვალყურეობდა არ ხორციელდებოდა საერთაშორისო მონიტორების მიერ, შეუძლებელი იყო ტვირთის რეალური შემადგენლობის დადგენა დამოუკიდებელი ნეიტრალური მექანიზმების გამოყენებით. საქართველოს მთავრობამ მრავალჯერ ითხოვა ეუთო-ს (OSCE) სამხედრო სადამკვირვებლო მისიის გაძლიერება, რათა მის მანდატს მოეცვა როკის გვირაბის ტერიტორია.(დამატებითი ინფორმაციისთვის გვესაჭიროება წყარო). სამწუხაროდ, ყველა ამგვარი შესაძლებლობა რუსეთმა დაბლოკა.

რეალურად, ჰუმანიტარული დახმარების საბაბით ტრანსპორტირებული ტვირთი გამოიყენებოდა მარიონეტულ რეჟიმზე კონტროლის გაძლიერებისა და საქართველოს ლეგიტიმური ხელისუფლების შესუსტების მიზნით. ზემოხსნებული პოლიტიკა კიდევ უფრო გაფართოვდა მოსკოვსა და სამხრეთ ოსეთის მარიონეტულ რეჟიმს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმებით; აღნიშნულ ხელშეკრულებას 2006 წლის 20 სექტემბერს ხელი მოაწერეს მოსკოვის მერმა, იური ლუჟკოვმა და დე-ფაქტო პრეზიდენტმა, ედუარდ კოკოითმა მოსკოვის მერიის შენობაში.

რუსეთის საპენსიო ფონდის საქმიანობა ცხინვალში: რუსეთის ინტერვენციული ეკონომიკური პოლიტიკის კიდევ ერთ ნათელ დადასტურებას წარმოადგენდა 2006 წელს ცხინვალში რუსეთის საპენსიო ფონდის ფილიალის ოფიციალური გახსნა. 2006 წლის 19 აგვისტოს, რუსეთის საპენსიო ფონდმა საკონსულტაციო ოფისი გახსნა ცხინვალში.[72] გახსნის ცერემონიალს ესწრებოდნენ ცხინვალის რეგიონის/ სამხრეთ ოსეთის მარიონეტული რეჟიმის ლიდერი ედუარდ კოკოითი, რუსეთის ფედერაციის საპენსიო ფონდის ხელმძღვანელი, გენადი ბატანოვი და ჩრდილოეთ ოსეთის – ალანიას საპენსიო ფონდის ხელმძღვანელი, ბელა იკოევა. მადინა ჩეკოევას ინფორმაციით, რომელიც რუსეთის ფედერაციის საპენსიო ფონდის ცხინვალის ფილიალის უფროსი უნდა გამხდარიყო, ოფისის მიზანი იყო „პენსიების რეგისტრაციის პროცესისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის პენსიების გაცემის პროცესის დაჩქარება.“ [73] საქართველოს მთავრობამ მაშინვე გამოხატა ზემოაღნიშნულ მოვლენებთან დაკავშირებით პროტესტი, მოითხოვა რუსეთის მხარისგან შესაბამისი

[72] http://geotimes.ge/index.php?m-home&newsid=1428; http://www.unomig.org/medin/headlines/?id-66928ry-2006&m=8&d=23.

[73] ეუთოს (OSCE) მისია საქართველოში, საქმიანობის ანგარიში N 15/06: 2006 წლის 16-31 აგვისტო (ვენა, 2006 წლის 7 სექტემბერი).

ახსნა-განმარტება და საკონსულტაციო ოფისის დაუყოვნებლივ დახურვა; ამასთან, საქართველომ მოითხოვა რუსეთის ყველა იმ ოფიციალური პირის მიერ საქართველოს ტერიტორიის დატოვება, რომლებიც არაკანონიერად, სასაზღვრო წესების დარღვევით იმყოფებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე. 2006 წლის 22 აგვისტოს, ამ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ საპროტესტო მემორანდუმი გადასცა რუსეთის საკითხებში დროებით წარმომადგენელს, ბატონ ვილკინს.[74] საქართველოს მხარემ გარკვევით განაცხადა, რომ ეს ზომები აღქმული იქნა, როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილის ფაქტობრივი ანექსია. რა თქმა უნდა, ზემოთ აღნიშნული ტიპის „დამხმარე“ ღონისძიებების საშუალებით, რუსეთი მუდმივად ხაზს უსვამდა თავის მიზანს ყოფილიყო ქართულ-ოსურ კონფლიქტში ჩართული და ჰქონოდა განსაკუთრებული ინტერესები.

რუსეთიდან გაცემული ხელფასები: სამხრეთ ოსეთის ეროვნული ბანკის დახურულ სახელფასო და საპენსიო ანგარიშებზე სპეციალური თანხები იქნა გადარიცხული. 2004 წლის სექტემბრიდან, ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის საბიუჯეტო ორგანიზაციებში ხელფასებისა და სხვა ხარჯების დაფინანსება პირდაპირ რუსეთის ფედერაციიდან ხდებოდა. რაც შეეხება პენსიებს, ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის 20.000 პენსიონერი იღებდა 1.200-1.800 რუბლის ოდენობის პენსიას, ხოლო სამართალდამცავი ორგანოების ყოფილი თანამშრომლები, საშუალოდ იღებდნენ 3.000 რუბლის ოდენობის პენსიას. 2006 წლის ივლისიდან 2007 წლის ივნისამდე პერიოდში, რუსეთიდან დაფინანსებული პენსიონერების რიცხვი 1300-დან 2200-მდე გაიზარდა.

ცხინვალის რეგიონისთვის/სამხრეთ ოსეთისთვის გამოყოფილი თანხები ირიცხებოდა შემდეგ ბანკებში: „არტ ბანკი“ და „მოსკოვის ბანკი,“ მათი ოფისები ვლადიკავკაზში იყო განთავსებული და ამ ბანკებიდან ხდებოდა თანხების გადატანა ცხინვალის „ეროვნულ ბანკში.“ გარდა ჩრდილოეთ ოსეთისა, ცხინვალის რეგიონისთვის/სამხრეთ ოსეთისთვის განკუთვნილი თანხების გადარიცხვა ხდებოდა რუსეთის ფედერაციის სხვა ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების საშუალებით. ცხინვალში სააქციო საზოგადოება შემნახველი ბანკის გახსნის შემდეგ, პენსიების გაცემა ადგილობრივად ხორციელდებოდა.[75]

საბანკო საქმიანობა. 2006 წელს, დე-ფაქტო პრეზიდენტის, ედუარდ კოკოითის განკარგულებით, ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში შეიქმნა სააქციო საზოგადოება „შემნახველი ბანკი.“ ცხინვალის მარიონეტული რეჟიმი ფლობს ეროვნული ბანკის აქციების 51%-ს, ამასთან, „ეროვნული ბანკი“ წარმოადგენს „შემნახველი ბანკის“ ერთადერთ აქციონერს. სხვა საბანკო საქმიანობასთან ერთად, „შემნახველი ბანკი“ ახორციელებს რუსეთის ფედერაციიდან გადმორიცხული პენსიების გაცემას. 2007 წლის 3 ივლისს, ცხინვალში გაიხსნა კომერციული ბანკი სახელწოდებით, „პირველი

[74] http://www.mfa.gov.ge/print.php?gg-1&sec_id=461&info_id=2018&lang_id=ENG.
[75] იხ.: 2007 წლის 4 აგვისტოთი დათარიღებული პრესრელიზი - „იუჟნაია ოსეტია.“

რესპუბლიკური ბანკი,“ [76] რომელიც ფაქტობრივად წარმოადგენს „ევრაზიის საინვესტიციო ბანკის“ ფილიალს, რომლის სათავო ოფისი მოსკოვში მდებარეობს და მისი მფლობელი რუსი ბიზნესმენი ალბერტ ჯუსოევია. ცხინვალის „ეროვნული ბანკის“ შენობის რემონტი განახორციელა რუსულმა სამშენებლო კომპანიამ, რუსეთის ცენტრალური ბანკიდან მიღებული განკარგულების საფუძველზე. ასევე, აღსანიშნავია, რომ ცხინვალის რეგიონში/ სამხრეთ ოსეთში მოქმედ ბანკებში და ბანკებიდან ჩარიცხვებსა და გადარიცხვებზე დაწესებული ძალზე დაბალი საკომისიო განაკვეთები წარმოადგენს მტკიცებულებას, რომ ცხინვალის რეგიონსა და რუსეთის ფედერაციას შორის არსებობს ინტეგრირებული საბანკო სისტემა. [77]

ზემოაღნიშნული განხორციელდა ფინანსური მომსახურების რეგულაციების ზოგადად, მიღებული წესების დარღვევით და წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ სფეროებში აშკარა ჩარევას.

- **რუსეთის კომპანიების მიერ განხორციელებული არალეგალური კაპიტალდაბნდებები**

მთავრობის მიერ დაფინანსებული დახმარების პროგრამებთან ერთად, რუსული კომპანიები წარმოადგენდა დამატებით ელემენტს, რისი საშუალებითაც იზრდებოდა რეგიონის რუსეთის ფედერაციაზე ეკონომიკური დამოკიდებულება. ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევები ამის თვალსაჩინო მაგალითია, თუმცა იგი არ წამოადგენს ცხინვალის რეგიონში/ სამხრეთ ოსეთში რუსული კაპიტალდაბანდებების ამომწურავ ჩამონათვალს:

1. ურალის მადნეულის მომპოვებელმა საწარმომ (ООО „Угмк-Холдинг“) შეიძინა კვაისის ტყვია-თუთიის მიწისქვეშა საბადო.
2. ურალის მადნეულის მომპოვებელმა საწარმომ (ООО „Угмк-Холдинг“) შეკვეთები მიაწოდა ცხინვალის „ემალ პროვოდს.“ 2004 წელს, კომპანია „სიბ კაბელმა“ შეიძინა ცხინვალის საწარმო „ემალ პროვოდი.“
3. 2004 წელს, კომპანიამ „ტრანსმაშჰოლდინგმა“ ინვესტიცია განახორციელა ცხინვალის საწარმოში „ელექტრო ვიბრო მაშინა.“ აღსანიშნავია, რომ ორივე „ემალ პროვოდი“ და „ელექტრო ვიბრო მაშინა“ რუსეთიდან მიღებულ შეკვეთებზე მუშაობს.[78]

- **ელექტროობისა და გაზის სფეროში ეკონომიკური ინტეგრაციის მცდელობა**

საქართველოს მხარესთან და შერეულ საკონტროლო კომისიასთან წინასწარი კონსულტაციების გარეშე, რუსეთისა და ოსეთის ექსპერტებმა ჩაატარეს, საპროექტო სამუშაოები, რომელიც მიზნად ისახავდა „სამხრეთ ოსეთის“ ელექტრომომარაგებისა და გაზის სისტემების მიერთებას რუსეთის შესაბამის სისტემებთან.

---

[76] უფრო ზოგადი ინფორმაცია იხ.: გაზეთის „იუჟნაია ოსეტიას“ პრესრელიზი, ინტერვიუ ედუარდ კოკოითთან, VSESM, 2007 წლის 7 ივლისი.
[77] „ოსინფორმის“ პრეს-რელიზი, 2007 წლის 4 ივლისი.
[78] იხ.: ინტერვიუ „ემალ პროვოდის“ დირექტორთან. 2006 წლის 28 აგვისტო, „რეგნუმ.“

გაზის მილსადენი: 2006 წლის მეორე ნახევარში, რუსეთის სახელმწიფო კომპანია „გაზპრომმა“ სასწრაფოდ დაიწყო „ძუარიკაუ-ცხინვალის“ გაზის მილსადენის მშენებლობა.[79] ზოგადად, რეგიონისთვის გაზის მიწოდება ხორციელდება საქართველოს ცენტრალური მილსადენის საშუალებით. მშენებლობა მიზნად ისახავდა ცხინვალის რეგიონისთვის/სამხრეთ ოსეთისათვის ბუნებრივი აირის მიწოდებას საქართველოს გვერდის ავლით. რუსეთის ფედერაციამ ამ პროექტში დაახლოებით, თხუთმეტი (15) მილიარდი რუბლის (დაახლოებით, 600 მილიონი აშშ დოლარი) ინვესტიცია განახორციელა. 2006 წლის 1 სექტემბერს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური განცხადება გააკეთა, სადაც შეფასებული იყო მილსადენის მშენებლობის უკანონობა და ეხებოდა პროექტში ჩართულ ყველა მხარეს. სამინისტრომ გარკვევით განაცხადა, რომ ცხინვალის მარიონეტულ მთავრობასთან ნებისმიერი ცალმხრივი გარიგება, მათ შორის ნებისმიერი უცხოური კომპანიის დაგეგმილ სამშნებლო ტენდერებში მონაწილეობა, რომელიც არ იქნებოდა შეთანხმებული საქართველოს მთავრობასთან, კვალიფიცირდებოდა როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შელახვა და ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევა. [80] ზემოხსენებული მილსადენის მშენებლობა „გაზპრომს“ არ მოუტანდა არათუ მნიშვნელოვან, არამედ რაიმე სახის ეკონომიკურ სარგებელს ან შემოსავალს. ამიტომ ეკონომიკური თვალსაზრისით (განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთისთვის ბუნებრივი გაზის მიწოდება საქართველოდან ხორციელდება), არ არსებობდა მილსადენის მშენებლობის აუცილებლობა. 15 მილიარდი რუბლის მოცულობის ინვესტიცია დაუსაბუთებელი იყო და შესაბამისად, ამ ინვესტიციის მიზანს წარმოადგენდა რეგიონზე პოლიტიკური და ეკონომიკური კონტროლის გაძლიერება, რეგიონის საქართველოსთან კავშირების შესუსტება და რუსეთის ფედერაციის მიერ მისი ანექსია.

ელექტროგადამცემი ხაზი (ელექტროენერგიის მთავარი ხაზი). 2007 წლის სექტემბერში, სეპარატისტულმა მთავრობამ რუსეთის სახელმწიფო კომპანია „რაო-ესის“ მნიშვნელოვანი მონაწილეობით დაასრულა ჯავა-ცხინვალის 110-კილომეტრიანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა. ხაზის მშენებლობა მიზნად ისახავდა ელექტროენერგიის მიწოდებას ცხინვალისთვის და ზოგიერთი ეთნიკურად ოსური სოფლისთვის, რომლებიც ქართული დასახლებების მოსაზღვრედ მდებარეობდა. ასევე, დაგეგმილი იყო ელექროენერგიის გამანაწილებელი სადგურის მშენებლობა სოფელ იტრაპთან ახლოს. როგორც განაცხადეს, სადისტრიბუციო სადგურის მშენებლობის მიზანს წარმოადგენდა ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მთელ ტერიტორიაზე ელექტროენერგიის განაწილების უზრუნველყოფა.

---

[79] http://www.redorbit.com/news/business/777327/gas_pipeline_linking_north_south-_osetia_to_be_commissioned_in/index.html; http://www.redorbit.com/news/business/699080/georgia_construction_of_gas_pipeline_between_russia_south_osetia_to/index.html. გაზის მილსადენი აკავშირებს ალაგირსა (ჩრდილოეთ ოსეთი,რუსეთი) და ცხინვალს (სამხრეთ ოსეთი, საქართველო).

[80] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, http://www.mfa.gov.ge/print.php?gg-18sec_id=36info_id=2054&LANG_ID=ENG

წყლის სათავე ნაგებობა. ჩრდილოეთ ოსეთის ექპერტების მონაწილეობით, დაგეგმილი იყო ედისი-ცხინვალის წყლის სათავე ნაგებობის მშენებლობა. მოცემული პროექტი მიზნად ისახავდა ცხინვალისთვის წყლის მიწოდებას ქართული სოფლების გვერდის ავლით. წყალსადენი მილის მშენებლობა დაფინანსებულია ჩრდილოეთ ოსეთის მუნიციპალური ეკონომიკის სამინისტროს მიერ და პროექტი ხორციელდება ჩრდილოეთ ოსეთისა და რუსეთის ექსპერტების უშუალო ზედამხედველობით.

გზის მშენებლობა. ძარას შემოვლითი გზის მშენებლობა რუსეთის ფედერაციის მიერ გაწეული აქტიური დახმარებით განხორციელდა. შემოვლითი გზის მშენებლობამ საშუალება მისცა ცხინვალის მარიონეტულ მთავრობას მოეხდინა დიდი ლიახვის ქართული სოფლების ცხინვალისგან ბლოკირება და შემოეტანა რუსეთიდან შეიარაღება იმ მარშრუტებით, რომელთა კონტროლს ვერ ახორციელებდნენ საერთაშორისო დამკვირვებლები. მოსკოვის მერმა იური ლუჟკოვმა სწორედ მოცემული პროექტის დასაფინანსებლად გამოყო 1.5 მილიონი აშშ დოლარი.[81] თანხები პერიოდულად ირიცხებოდა ვლადიკავკაზის ერთ-ერთ ბანკში. სამშენებლო სამუშაოები 2005 წლის მაისში დაიწყო და მათ ახორციელებდნენ ალაგირის და არდონის სამშენებლო კომპანიები.

ძარას გზას სასიცოცხლოდ სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნდა და გზის ამუშავებამ რუსეთის ფედერაციას მისცა ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის რუსეთთან პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანების პროცესის დაჩქარების საშუალება. ვინაიდან გზა შემოვლითია, მისმა გამოყენებამ ხელი შეუწყო ლიახვის ხეობის ქართული სოფლების იზოლაციას, ადგილობრივ ეკონომიკაზე ნეგატიური გავლენის გარეშე.

ამასთან, ძარას გზა წარმოადგენდა კონფლიქტის ზონაში იარაღის, საომარი აღჭურვილობის შემოტანის ადვილ და სწრაფ საშუალებას. ხშირად სწორედ ამ გზით ხორციელდებოდა იარაღის შემოტანა.[82] ის როლი, რომელიც ძარას გზამ შეასრულა 2008 წლის აგვისტოში, რუსეთის სამხედრო ძალების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე თავდასხმისას, იმის დამადასტურებელია, რომ აღნიშნული გზის მშენებლობას სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. (ჩვენ შეგვიძლია განმარტება დავამატოთ ამ ნაწილს სამხედრო ნაწილზე შესაბამისი მითითებით).

1.5. დახმარების სამხედრო ასპექტები
იარაღის მიწოდება და სამხედრო დახმარება

90-იანი წლების დასაწყისში კონფლიქტის დასრულების შემდეგ, რუსეთის მთავრობამ სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით გააძლიერა ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის სამხედრო დახმარება.

---

[81] 2006 წელს, რუსეთმა ძარას გზის მშენებლობაზე გამოყო 120 მილიონი რუბლი (48 მილიონი აშშ დოლარი).
[82] http://www.mfa.gov.ge/print.php?gg=1&sec_id=36&info_id=1792&lang_id=ENG

დახმარების მასშტაბები და ხასიათი ბოლო ჩვიდმეტი წლის განმავლობაში სხვადასხვა ფორმით ხორციელდებოდა. მარიონეტული რეჟიმისთვის გაწეული სამხედრო დახმარება ასევე მოიცავდა დიდი რაოდენობის იარაღის და სამხედრო აღჭურვილობის მოწოდებას. არსებული მონაცემებით, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო თავდაცვის სამინისტრო მუდმივად იღებდა რუსეთის ფედერაციიდან იარაღს, საბრძოლო მასალას და სამხედრო აღჭურვილობას.

იმ იურიდიული დოკუმენტების დიდი ნაწილი, რომელიც არეგულირებდა შერეული სამშვიდობო ძალების მოქმედებასა და ოპერაციებს ცხინვალის რეგიონში/ სამხრეთ ოსეთში ითვალისწინებდა რეგიონში მოქმედი შეიარაღებული დაჯგუფებების გაუქმებასა და დაშლას. 1992 წლის 24 მაისის სოჭის შეთანხმება შეიცავს კონკრეტულ დებულებას „შეიარაღებული დაჯგუფებების გაყვანის... და ...თავდაცვის მიზნით შექმნილი ფორმირებების დაშლის“ შესახებ.[83] მსგავსი ფორმირებების დაშლის შესახებ განმარტება მოცემულია შერეული სამშვიდობო ძალების რეგულაციებშიც,[84] რომელიც კონკრეტულად კრძალავს „უკანონო შეიარაღებული პირებისა და ფორმირებების არსებობასა და საქმიანობას.“ იგივე მუხლი მკაფიოდ და ცხადად აწესებს აკრძალვებს „კონფლიქტის ზონაში შეიარაღების, ტექნიკის და სხვა იმ საშუალებების მიწოდებასთან (ტრანსპორტირებას) დაკავშირებით რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას ტერორისტული და საბოტაჟური ქმედებებისთვის.“[85] შერეული საკონტროლო კომისიის 1994 წლის 6 დეკემბრის განკარგულების თანახმად, შერეული სამშვიდობო ძალები პასუხისმგებელი იყვნენ „ნებისმიერი შეიარაღებული ფორმირების საქმიანობის ბლოკირებასა და მათ დაშლაზე,“ „კონფლიქტის ზონიდან მძიმე ტექნიკისა და შეიარაღების გამოტანაზე,“ „კონფლიქტის ზონაში შეიარაღების, სამხედრო აღჭურვილობის, სამხედრო ტექნოლოგიების, სხვა სამხედრო არსენალის, ასევე ფეთქებადი და მომწამლავი ნივთიერებებისა და სხვა მასალების არდაშვებასა და კონფლიქტის ზონიდან მათ გატანაზე.“ [86] ზემოხსენებული ვალდებულებების დარღვევით, სამხედრო შეიარაღება და მძიმე სამხედრო ტექნიკა მუდმივად შეედინებოდა კონფლიქტის ზონაში. ამავე ზონაში მოქმედებდნენ შეიარაღებული დაჯგუფებები, რომლებიც მუდმივად ახორციელებდნენ ეთნიკურად ქართული სოფლების მშვიდობიან მოსახლეობაზე თავდასხმებსა და ტერორს, ცეცხლს ხსნიდნენ

---

[83] სოჭის შეთანხმება, მუხლი 3, პუნქტი 1.

[84] ერთობლივი სამშვიდობო ძალების რეგულაციები და კანონისა და წესრიგის დამცავი ძალები კონფლიქტის ზონაში (პროტოკოლი N3-ის დანართი1, გაერთიანებული საკონტროლო კომისია, 1992 წლის 12 ივლისის შეხვედრა), მუხლი 3.

[85] იხ.: ქართულ-ოსური ონფლიქტის დამარეგულირებელი შერეული საკონტროლო კომისიის მარეგულირებელი ნორმები (1994 წლის 31 ოქტომბრის შერეული საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილების დანართი, მოსკოვი). „მინიჭებული მანდატით ...სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობა განახორციელებს... არალეგალური შეიარაღებული ფორმირებების განსაიარაღებლად ...აუცილებელ ზომებს.“ მუხლი 10.

[86]ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სიტუაციის ნორმალიზაციის მიზნით განთავსებული სამხედრო კონტიგენტისა და სამხედრო დამკვირვებელთა ჯგუფების ოპერაციების ძირითადი პრინციპების შესახებ რეგულაციები (შერეული საკონტროლო კომისიის 1994 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილების დანართი N1), მუხლი 3.

შერეული სამშვიდობო ძალების ქართული ბატალიონების პოზიციებზე და ა.შ.[87] მარიონეტული რეჟიმის თავდაცვის სამინისტრო თავისუფლად მოქმედებდა რუსეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ბატალიონების, ასევე, ე.წ. სპეციალური ძალების - „ომონის“ და პრეზიდენტის სპეციალური დაცვის ქვეშ.

რუსეთის სამხედრო დახმარებამ განაპირობა ის, რომ 2006 წელს სეპარატისტების სამხედრო არსენალი უკვე მოიცავდა ქვეითი ჯარების თერთმეტ ბატალიონს, რომელთა არსენალშიც შედიოდა ორი (2) ერთეული ჰაერსაწინააღმდეგო საცეცხლე საშუალება (მაშინ, როდესაც 2006 წლის ზაფხულში, მხოლოდ ერთი ასეთი დანადგარი არსებობდა). ზემოხსენებული ბატალიონების არსენალში არსებული ტანკსაწინააღმდეგო ჭურვების (ისევე, როგორც ტანკსაწინააღმდეგო მოძრავი ყუმბარმტყორცნების კომპლექსი „ფაგოტი“) და ჰაუბიცების რაოდენობა გასამმაგდა.

ასევე, მნიშვნელოვნად გაიზარდა სატანკო და ჰაერსაწინააღმდეგო არტილერიის რაოდენობაც. 2007 წელს, ცხინვალის მარიონეტული მთავრობის საკუთრებაში იყო სულ მცირე, თორმეტი (12) ერთეული ტ-60 ტიპის ტანკი (ჯავის რაიონში) და ოცდაორი (22) ერთეული 122 მმ თვითმავალი არტილერიის აღჭურვილობა 2C1 „გვაზდიკა“ (ჯავის რაიონი). 2005 წლის 20 სექტემბერს, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ სამხედრო აღლუმზე გამოყვანილი იქნა სამხედრო რაზმები და ბრონირებული ტრანსპორტი: სამი (3) თვითმავალი ჰაუბიცა (2S1), ოთხი (4) ტანკი (ტ-55), ოთხი (4) ბრონირებული ტრანსპორტიორი (ბტრ-70), ქვეითი ჯარების ოთხი (4) ბრონირებული საომარი ტრანსპორტიორი (ბმპ-2), სამი (3) 120 მმ-იანი ნაღმსატყორცნი და სამი (3) ჰაერსაწინააღმდეგო ტყვიამფრქვევი ზუ 23-2. ამ შეიარაღების დემონსტრირება ღიად მოხდა ცხინვალში, იმის მიუხედავად, რომ არსებული შეთანხმებების მიხედვით ცხინვალი განიხილებოდა შეზღუდული შეიარაღების მქონე ზონად.

ჩრდილოეთ კავკასიაში განლაგებული რუსეთის ფედერაციის 58-ე არმია აქტიურად გამოიყენებოდა სეპარატისტებისათვის იარაღის მიწოდების საშუალებად. საშუ 58-ე არმიისათვის გამოყოფილი სხვადასხვა ტიპის სამხედრო შეიარაღება პერიოდულად, გადაეცემოდა მარიონეტულ ხელისუფლებას. ცეცხლსასროლი იარაღით, სამხედრო აღჭურვილობითა და ტექნიკური დანადგარებით დატვირთული მანქანები მუდმივად კვეთდა საქართველოს საზღვარს როკის გვირაბის გავლით, რათა მომხდარიყო მათი მიწოდება მარიონეტული რეჟიმისთვის.

ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის სამხედრო ძალების შემდგომი გაძლიერების მიზნით, რუსეთის მხარე აქტიურად იყენებდა რუსულ სამშვიდობო ძალებზე რეგისტრირებულ ტრანსპორტს. რუსეთის სამშვიდობო ძალებისა და ე.წ. ჩრდილოეთ ოსეთის ბატალიონების როტაციისას, რეგულარულად ხდებოდა სამხედრო შეიარაღებისა და ტრანსპორტის გადატანა როკის გვირაბის გავლით, რომელიც 1990-

[87] დამატებითი ინფორმაციისთვის, იხ. ქრონოლოგია, პასუხი კითხვაზე N1 სამხედრო საკითხებზე კითხვების პირველი წყებისთვის; ასევე იხ. პასუხი კითხვაზე N3 იურიდიულ საკითხებზე კითხვების პირველი ნაწილისთვის; კითხვები საქართველოს და რუსეთის ფედერაციის მთავრობებს.

იანი წლების ომის შემდეგ არ ექვემდებარებოდა არც საქართველოს (იხილეთ: პასუხი იურიდიულ კითხავზე 3, როკის გვირაბის კონტროლთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისათვის) და არც საერთაშორისო დამკვირვებლებს კონტროლს. ამასთან ერთად, რუსეთის რეგისტრაციაში მყოფი მანქანები, რომლებიც რუსეთის სამხედრო ძალებს ეკუთვნოდა, პერიოდულად გადაადგილდებოდნენ ცხინვალის მიმართულებით, ძარას გზაზე, რომელიც სპეციალურად უკანონო შეიარაღების მიწოდებისათვის იქნა აშენებული. ანალოგიურად, სამშვიდობო ძალების კონტინგენტისთვის ოფიციალურად გამოყოფილი ფართო მოხმარების საგნები, მათ შორის სამხედრო აღჭურვილობა და საწვავი გადაეცემოდა სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო თავდაცვის სამინისტროს.

გარდა იმისა, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალები მარიონეტულ რეჟიმს ზემოხსენებულ ფართო მოხმარების საგნების აწვდინენ, ასევე ხდებოდა მათი პირდაპირი სამხედრო დახმარება, ჰუმანიტარული დახმარების საფარქვეშ.

ყოველივე ამის გარდა, კონკრეტული საჭიროების შემთხვევაში, რუსეთის ფედერაცია პირდაპირ სამხედრო დახმარებას უწევდა სეპარატისტულ მთავრობას, სამხედრო მოსამსახურეთა გაგზავნის გზით. 2004 წლის აგვისტოს მოვლენებისას, როდესაც მოხდა კონფლიქტის ესკალაცია, ჩრდილოეთიდან მომავალი დაქირავებული სამხედროები უერთდებოდნენ სამხედრო კონტინგენტს, ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის მხარდასაჭერად.

2002 წლის ბოლოს, მარიონეტული რეჟიმის ძალოვან ორგანოებში (თავდაცვა, უშიშროება, დაზვერვა და ა.შ.) მაღალ თანამდებობებზე რუსი ოფიციალური პირების დანიშვნა დაჩქარებული წესით დაიწყო (იხ. ტექსტში ქვეთავი ***საშტატო შემადგენლობა, როგორც მარიონეტული რეჟიმის კონტროლის პირდაპირი საშუალება***). 2005 წლის 17 იანვარს, მოსკოვმა სამხრეთ ოსეთის სუკ-ის თავმჯდომარედ დაასახელა ანატოლი იაროვოი, რუსეთის ფედერაციის მორდოვიის რესპუბლიკის ფედერალური უშიშროების სამსახურის უფროსი. 2005 წლის მარტში, გენერალ-ლეიტენანტი ანატოლი ზაიცევი, რუსეთის ტრანსბაიკალის სამხედრო ოლქის მთავარსარდლის ყოფილი მოადგილე, გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობაზე დაინიშნა, თუმცა, მანამდე მას უკვე ეკავა აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის თავდაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობა. 2005 წლის 25 აპრილს, მიხეილ მინძაევი, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ჩრდილოეთ ოსეთის ოლქის გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე დაინიშნა. 2005 წლის 4 ივლისს, იური მოროზოვი, რუსეთის კურსკის საწვავის კომპანიის კომერციული დირექტორი და სამხრეთ ოსეთის ლიდერის, კოკოითის ძველი ბიზნესპარტნიორი სამხრეთ ოსეთის პრემიერ-მინისტრად დასახელდა.

ზემოხსენებულ დანიშვნებს მოჰყვა რუსეთის მხრიდან საქართველოში განხორციელებულ აგრესიულ ქმედებათა ზრდა. განსაკუთრებით სამარცხვინო იყო 2005 წლის 1 თებერვლის ინციდენტი, როდესაც ქალაქ გორში აფეთქების შედეგად დაინგრა პოლიციის მთავარი სამმართველო; შედეგად, დაიღუპა სამი და დაიჭრა ჩვიდმეტი

პოლიციელი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ წარმართა ხუთთვიანი გამოძიება, რომლის შედეგადაც დადგინდა, რომ აფეთქება ორგანიზებული იყო რუსეთის სამხედრო დაზვერვის სამსახურის, გრუ-ს მიერ.[88]

- **რუსული სამხედრო ბაზების მშენებლობა**

გასული წლების განმავლობაში, ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე სამხედრო დანიშნულების ობიექტების მშენებლობა ინტენსიურად მიმდინარეობდა რუსეთის ფედერაციის პირდაპირი მონაწილეობით.

2006-2008 წლებში, რუსეთის მთავრობამ ორი სამხედრო ბაზა ააშენა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, ერთი – უგარდანთაში, ჯავას რაიონში და მეორე ბაზა – ცხინვალის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში; თითოეული ბაზა 2000-2500 ჯარისკაცზე [89] იყო გათვლილი. ცხინვალის სამხედრო ბაზების მშენებლობას ახორციელებდა რუსული სამშენებლო კომპანია შპს „პრაქტიკა," რომელიც ესენტუკში, სტავროპოლის მხარეშია რეგისტრირებული. კომპანიას ხელმძღვანელობს ლეონიდ მიხეილის ძე ვაგანოვი, გრუ-ს ყოფილი ოფიცერი.

მსგავსი სამხედრო ბაზის მშენებლობა ასევე, დაგეგმილი იყო დაბა ზნაურის მახლობლად მდებარე ტერიტორიაზე. რუსეთის სამხედრო ექსპერტები სპეციალურად ეწვივნენ ამ ბაზისთვის შერჩეულ ტერიტორიას.

2005-2006 წლებში, რუსეთის მთავრობამ ახალი სამხედრო ბაზა გახსნა ზაქაგორის ველზე, ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე, რომელიც მხოლოდ 7 კილომეტრით არის დაშორებული როკის გვირაბის ჩრდილოეთ შესასვლელიდან. 2008 წლის აგვისტოში, რუსეთის ჯარებმა ეს ბაზა გამოიყენეს სამხრეთ ოსეთში შესასვლელად გამოიყენეს.

უფრო მეტიც, ცხინვალში დამონტაჟდა სამხედრო შეიარაღების სარემონტო საწარმო „ემალ პროვოდი," რომელიც ასევე, აწარმოებდა ნურსის ტიპის ჭურვების სასროლ დანადგარებს. ყველა ზემოაღნიშნული ღონიძიება განხორციელდა საქართველოს მთავრობასთან წინასწარი შეთანხმების ან საქართველოს მთავრობის ნებართვის გარეშე.

მოცემულთან დაკავშირებით, საყურადღებოა თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის პარლამენტის თავმჯდომარის ზნაურ გასიევის განცხადება, რომ ცხინვალის

---

[88] „საქართველოს შინაგან საქმეთ მინისტრი სიამაყით უსვამს ხაზს გორში აფეთქების საქმის „მაღალი სიზუსტით" გამოძიებას," სატელევიზიო არხი „იმედი." თბილისი, 2005 წლის 27 ივლისი, BBC მონიტორინგი; „ქართველი მინისტრი აცხადებს, რომ რუსეთი დახმარებას ვერ გვიწევს მანქანის აფეთქების ფაქტით," რადიო 1, თბილისი, 2005 წლის 10 ნოემბერი, BBC მონიტორინგი; „საქართველოს ტელევიზია აჩვენებს დოკუმენტურ ფილმს გორში მანქანის აფეთქების შესახებ," რუსთავი 2, ტელევიზია. თბილისი, 2006 წლის 1 თებერვალი; BBC მონიტორინგი.

[89] იხ. ვიზუალური მასალები „მითითება 50."

რეგიონში/სამხრეთ ოსეთში რუსეთის სამხედრო ბაზების მშენებლობა საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს წარმოადგენდა.[90]

- **მარიონეტული რეჟიმის სამხედრო ძალების მომზადება**

ზემოაღნიშნულის გარდა, სამხრეთ ოსეთის მარიონეტული რეჟიმის სამხედრო ძალები პერიოდულად, გადიოდნენ სამხედრო სწავლებას რუსეთის 58-ე არმიის სამხედრო ბაზაზე, რომელიც ჩრდილოეთ ოსეთშია განლაგებული. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ გასული წლის განმავლობაში, რუსეთის სამხედრო ინსტრუქტორებმა თვრამეტი (18) სამხედრო წრთვნა ჩაატარეს სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო თავდაცვის სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფისათვის. სამხედრო წვრთნები ძირითადად, ტარდებოდა ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ბატალიონის ბაზაზე და ხორციელდებოდა მძიმე შეიარაღების გამოყენებით (დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია იურიდიული და სამხედრო სახის შეკითხვებზე გაცემული პასუხების ნაწილში, რომელიც ეხება სამშვიდობო ძალების როლსა და საქმიანობებს).

2. აფხაზეთი, საქართველო
2.1 პოლიტიკური კონტროლის საკითხი

პოლიტიკური მხარდაჭერის თვალსაზრისით, აფხაზეთის შემთხვევაშიც ადგილი ჰქონდა იმავე ტენდენციებს, რაც სახეზე იყო ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ქვეთავში. ის განცხადებები, რომელიც რეგიონის დამოუკიდებლობას უჭერდა მხარს ამ მიდგომის ნაწილი იყო. 2006 წლის 6 დეკემბერს, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმამ რამდენიმე განცხადება გააკეთა საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ არაღიარებულ რესპუბლიკებთან დაკავშირებით.[91] 2006 წლის 22 დეკემბერს, რუსეთის ფედერაციის პარლამენტის ზედა პალატამ მიიღო სპეციალური განცხადება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებით. ამ განცხადებაში რუსეთის პარლამენტმა მიმართა საერთაშორისო საზოგადოებას, მიეცა თვითგამორკვევის უფლება სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთისათვის. მოგვიანებით, სახელმწიფო დუმის განცხადებას მიემხრნენ რუსეთის ფედერაციის სხვა ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულები.

საქართველოს მთავრობიდან თანხმობის გარეშე რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის ცალკეულ ტერიტორიულ ორგანოებს შორის მთელი რიგი ხელშეკრულებები იყო გაფორმებული. მაგალითად, შეთანხმება გაფორმდა სტავროპოლის მხარესთან (რუსეთის ფედერაცია) მრეწველობის, ვაჭრობის, კულტურისა და განათლების სფეროებში თანამშრომლობის შესახებ; ასევე, ხელშეკრულება გაფორმდა კრასნოდარის მხარის (რუსეთის ფედერაცია) ადმინისტრაციასთან აფხაზეთის მაგისტრალური გზებისა და რკინიგზის რეკონსტრუქციის საკითხებზე.

---

[90] „საიდუმლო არავისთვის არ არის, რომ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე შენდება სამხედრო ბაზები; მშენებლობას ახორციელებს რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს სპეციალური სამშენებლო სააგენტო“. ინტერვიუ გაიმართა 2007 წლის 14 სექტემბერს, www.utro.ru.
[91] იხ.: სახელმწიფო დუმის განცხადება, 2006 წლის 6 დეკემბერი.

- **რუსეთის ოფიციალური სტრუქტურების წარმომადგენელთა ვიზიტები**

საქართველოს ხელისუფლებასთან წინასწარი კონსულტაციების გარეშე, რუსეთის ფედერაციის ოფიციალური წრეების წარმომადგენლები, ხშირად ჩადიოდნენ აფხაზეთში, საქართველო. ამ ქმედებით, ისინი არღვევდნენ სახელმწიფო საზღვრის კონტროლთან დაკავშირებულ რეგულაციებს და ასევე, აფხაზეთში, საქართველო, ვიზიტებთან დაკავშირებით მიღებულ ნორმებს, რომელთა მიხედვით ვიზიტი მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების ინფორმირებისა და მისგან შესაბამისი ნებართვის გაცემის შემდეგ უნდა განხორციელდეს. მრავალი შეხვედრა გაიმართა მარიონეტული რეჟიმის ლიდერებსა და რუსეთის ფედერაციის უმაღლესი რანგის პირებს, ასევე, რუსეთის ფედერაციის პარლამენტის წევრთა შორის საქართველოს ცენტრალური მთავრობის თანხმობის გარეშე. მაგალითისთვის, ამგვარი „მაღალი რანგის“ შეხვედრათა რიცხვში შემდეგი პირების ვიზიტები შედიოდა: 19.12.1997 – რუსეთის ფედერაციის დუმის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე, ვ. ლუკინი; 20.01.1999 – სახელმწიფო დუმის თავმჯდომარის მოადგილე, ბატურინი; 21.01.1999 – სახელმწიფო დუმის თავმჯდომარის მოადგილე, მიტროფანოვი; 22.08.1999 – რუსეთი ფედერაციის სახელმწიფო დუმის დსთ-ის ქვეყნებთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე, გ. ტიხონოვი; 28.11.2001 – რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი, გენერალი გ. ტროშევი (11-08/61); 06.08.2002 – რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე, ვ. სურკოვი (11-08/927); 06.08.2002 – რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციის სამდივნოს უფროსი, ვ. რუმიანცევი; 06.08.2002 – რუსეთის ფედერაციის ფინანსთა მინისტრის მოადგილე, ა. პეტროვი; 06.08.2002 – ვაჭრობისა და ეკონომიკის განვითარების მინისტრის მოადგილე, მ. ციკანოვი; 30.09.2003 – თათარსტანის რესპუბლიკის პრეზიდენტი, მ. შაიმიევი; 30.09.2003 – ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი, ვ. კოკოვი; 30.09.2003 – ბაშკირეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი, მ. რახიმოვი და ა.შ. ვიზიტები წლების განმავლობაში , დღევანდელი დღის ჩათვლით, ხორციელდებოდა.

- **საშტატო შემადგენლობა, როგორც მარიონეტული რეჟიმის კონტროლის პირდაპირი საშუალება**

ა) 2006 წლის 10 მარტს, აფხაზეთის პრემიერ-მინისტრად დაინიშნა **ალექსანდრე სტრანიჩკინი.** იგი 1955 წლის 5 აპრილს, ჩიტაში დაიბადა. 1983 წელს დაამთავრა როსტოვის სახელმწიფო ეკოლოგიური ინსტიტუტი ეკონომისტის სპეციალობით. ორჯერ იყო არჩეული აფხაზეთის პარლამენტის წევრად; 2002 წელს, არჩეული იქნა პარლამენტის ვიცე-სპიკერად.

ბ) **ოლგა კოლტუკოვა**, რუსეთის მოქალაქე, 2005 წლის მარტში დაინიშნა აფხაზეთის შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრად.

გ) 2008 წლის 30 აპრილს, აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტის განკარგულებით, **ალექსანდრე პავლიუშკო** დაინიშნა აფხაზეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე. ბატონი პავლუშკო რუსეთის სამშვიდობო ძალების ყოფილი მეთაურია. მოგვიანებით, 2009 წლის აგვისტოში, პავლიუშკო ხელმძღვანელობდა კოდორის ხეობის ოკუპაციის ოპერაციის დაგეგმვასა და განხორციელებას.

დ) 2005 წლის მარტში, **ანატოლი ზაიცევი** დაინიშნა აფხაზეთის დე-ფაქტო თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის უფროსად; იგი წარსულში რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანი იყო.

ე) **სულტან სოსნალიევი** 2005 წლამდე, გენერალური შტაბის უფროსად მსახურობდა, 2005 წლიდან იყო აფხაზეთის თავდაცვის მინისტრი და ვიცე-პრემიერი (გარდაიცვალა 2007 წელს). იგი 1944 წელს დაიბადა და დაამთავრა სიჟრანსკის საავიაციო ინსტიტუტი, ხოლო შემდეგ, სამხედრო აკადემია. სარეზერვო ძალებში გადასვლის შემდეგ, იგი მუშაობდა სააქციო საზოგადოება „ყაბალგრაჟდანსტროის“ დირექტორის მოადგილედ. 1992 წლის აგვისტოდან მონაწილეობას იღებდა აფხაზეთში, საქართველო, მიმდინარე საომარ მოქმედებებში; მსახურობდა როგორც თავდაცვის პირადი შემადგენლობის უფროსად და ასევე, გენერალური შტაბის უფროსად. მოგვიანებით მან დატოვა სამხედრო სამსახური, რათა ემსახურა აფხაზეთის არმიაში, გენერალ-ლეიტენანტის წოდებით.

ვ) **ა. ვოინსკი** – აფხაზეთის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე, რუსეთის ფლოტის სარდალი.

ზ) **დ. მარკოვი** – რუსეთის მოქალაქე, დაინიშნა აფხაზეთის საჰაერო თავდაცვის სარდლად.

თ) **ვ. გაიდუკოვი** – რუსეთის მოქალაქე, დაინიშნა აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ.

ი) **დ. ერმიჩევი** – რუსეთის მოქალაქე, დაინიშნა აფხაზეთის თავდაცვის სამინისტროს საერთაშორისო სამხედრო თანამშრომლობის განყოფილების უფროსის მოადგილედ.

კ) **ვ. სოლოვიოვი** – რუსეთის მოქალაქე, დაინიშნა აფხაზეთის თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებისა და აღჭურვის სამსახურის აპარატის უფროსად.

- **რუსეთის პირდაპირი ჩართულობა აფხაზეთის (საქართველო) არალეგიტიმურ არჩევნებში**

რუსეთის უშუალო ჩართულობა 2004 წლის 3 ოქტომბერს, აფხაზეთში (საქართველო) ჩატარებულ არალეგიტიმურ არჩევნებში კარგი მაგალითია იმისა, რომ რუსეთის ფედერაცია არ შეეგუებოდა რეგიონში დარჩენილი მოსახლეობის მიერ მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებზე რუსეთის ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად, რაიმე

გადაწყვეტილების მიღებას. ყველფერთან ერთად, ამგვარმა ჩართულობამ ნათლად აჩვენა, რომ რეგიონის სრულმა დამოკიდებულებამ რუსეთის ფედერაციაზე, ხელი შეუწყო რუსეთის ხელისუფლების მიერ დასახული ამოცანების შესრულებას.

არჩევნების ძირითადი არსი კარგად იქნა შეფასებული 2004 წლის 26 ოქტომბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს ელჩისა და მუდმივი წარმომადგენლის, რევაზ ადამიას წერილში, რომელიც მიმართული იყო გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს თავმჯდომარისადმი,: „3 ოქტომბერს, აფხაზი სეპარატისტების მიერ არალეგიტიმური და თვითგამოცხადებული საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება წარმოადგენს კონფლიქტის შედეგად მომხდარი დემოგრაფიული ცვლილებების ლეგალიზების კიდევ ერთი მცდელობას. ეს განხორციელდა საერთაშორისო საზოგადოების პოზიციის უხეში უგულვებელყოფით. მოცემული პოზიცია მრავალჯერ იქნა გაჟღერებული უშიშროების საბჭოს მრავალ რეზოლუციასა და პრეზიდენტის განცხადებებში, რომლებიც ხაზს უსვამდნენ არჩევნების არალეგიტიმურობას, რადგან რეგიონიდან თითქმის 300.000 მოქალაქე იძულებით იქნა განდევნილი. სწორედ იგივე მიზეზით, არჩევნები დემოკრატიის სულ მცირე ნიშანსაც კი არ ატარებდა იმ გარემოში, სადაც საერთაშორისო სამართლის დარღვევით ძალადობა და ადამიანის უფლებათა დარღვევა ყოველდღიური ცხოვრების მახასიათებელია.“

რუსეთმა არა მხოლოდ უგულვებელყო საქართველოს და საერთაშორისო საზოგადოების პოზიცია, არამედ ღიად გამოავლინა თავისი ინტერესი არჩევნებისა და მისთვის მისაღები შედეგების მიმართ. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა ღიად დაუჭირა მხარი რაულ ხაჯიმბას როგორც აფხაზეთის პრეზიდენტობის ერთ-ერთ კანდიდატს, 2004 წლის 29 აგვისტოს, სოჭში შემდგარ შეხვედრაზე.[92]

2004 წლის 30 სექტემბერს, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის წევრები ვლადიმერ ჟირინოვსკი და კონსტანტინე ზატულინი ესწრებოდნენ აფხაზეთის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ სადღესასწაულო ღონისძიებას სოხუმში. იმავე დღეს, ვლადიმერ ჟირინოვსკიმ განაცხადა, რომ თუ აფხაზები მხარს არ დაუჭერდნენ ხაჯიმბას კანდიდატურას, რუსეთი დახურავდა მის საზღვრებს, შეწყვეტდა პენსიების გაცემას და აფხაზეთის მოსახლეობისათვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭებას.

არჩევნების შემდეგ, რუსეთის ფედერაცია, რომელმაც 2004 წლის 4 ოქტომბრის განცხადებაში ჩატარებული არჩევნები „მშვიდად და დემოკრატიულად“ შეაფასა, იყო საერთაშორისო საზოგადოების ერთადერთი წარმომადგენელი, რომელმაც მხარი დაუჭირა ამ არჩევნებს. რუსეთის მთავრობის წევრები უშუალოდ იყვნენ ჩართულნი აფხაზეთში მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანიაში. მხარდაჭერა იმდენად ძლიერი და ღია

[92] იხ.: საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის ბ-ნი რევაზ ადამიას წერილი, მიმღები გაერო-ს უშიშროების საბჭო; 2004 წლის 26 ოქტომბერი

იყო, რომ თავად რუსეთის პრეზიდენტმა პირდაპირ დაუჭირა მხარი საპრეზიდენტო არჩევნების ერთ-ერთ კანდიდატს, რაულ ხაჯიმბას – 2004 წლის 29 აგვისტოს.“[54]

მუხედავად პრეზიდენტ პუტინის მხარდაჭერისა, მისმა კანდიდატმა არჩევნებში გამარჯვება ვერ მოიპოვა. შედეგად, რუსეთი დაუყოვნებლივ ჩაერია პროცესში; შესაბამისად, აფხაზეთის თვითგამოცხადებულმა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და თვითგამოცხადებულმა უმაღლესმა სასამართლომ გააუქმეს არჩევნების შედეგები. რუსეთის მოქალაქე, რუსეთის ფედერაციის საგანგებო საქმეთა სამინისტროს ინვესტიციებისა და მთავარი ფონდების დეპარტამენტის უფროსი, სოხუმის ყოფილი მერი, ნ. ხაშბა დაინიშნა აფხაზეთის დე-ფაქტო პრემიერ-მინისტრად და სასწრაფოდ გაემგზავრა სოხუმში.

2004 წლის 1-2 ნოემბერს, ორივე, ხაჯიმბა და გამარჯვებული კანდიდატი ბაღაფში, გამოიძახეს მოსკოვში. როგორც უკვე აღინიშნა, ორივე მათგანი რუსეთის მოქალაქეები არიან. 2004 წლის 10 ნოემბერს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ გააკრიტიკა რუსეთის ხელისუფლება თვითგამოცხადებული აფხაზეთის წარმოადგენლებთან მოსკოვში გამართული კონსულტაციების გამო: „შემაშფოთებელია, როდესაც მოსკოვში ღიად მიმდინარეობს კონსულტაციები სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენლებთან.“

2004 წლის 12 ნოემბერს, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ა. იაკოვენკომ განცხადება გააკეთა, სადაც მიუთითებდა, რომ „რუსეთის ფედერაცია ყველა ღონეს მიმართავს, რათა თავიდან აიცილოს სიტუაციის გაუარესება აფხაზეთში და დაიცვას თავისი მოქალაქეები.“ უფრო მეტიც, ზეწოლის განხორციელებისა და სასურველი შედეგის მიღწევის მიზნით, რუსეთმა დახურა რუსეთ-საქართველოს საზღვარი მდინარე ფსოუზე.

დაუყოვნებლივ, 2004 წლის 12 ნოემბერს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ საპასუხო განცხადება გააკეთა: „საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოხატავს მის პროტესტს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით...“

ამგვარი ერთპიროვნული და არალეგალური ქმედებები ეწინააღმდეგება გაერო-ს უშიშროების საბჭოს N1554 (2004) დადგენილებას, რომელიც შეახსენებს „ყველა მხარეს თავის შეიკავოს ნებისმიერი ქმედებისგან, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს სამშვიდობო პროცესებს,“ და ასევე გამოხატავს რუსეთის მიერ მისი ოფიციალური როლის უგულვებელყოფას, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო აფხაზეთში (საქართველო), გაერო-ს სამშვიდობო პროცესებისათვის.

რუსეთის ჩარევის შედეგად, რომელიც შესაძლებელი გახდა გენერალური პროკურორის, კოლესნიკოვისა და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, ალექსანდრე ჩელკალინის ვიზიტის შემდეგ, ბატონი ბაღაფში გამოცხადდა აფხაზეთის პრეზიდენტად, ხოლო

ხაჯიმბა – ვიცე-პრეზიდენტად, კარგად შეთანხმებული „საარჩევნო კომპრომისის“ შედეგად.

- **პასპორტიზაცია. აფხაზეთი, საქართველო**

აფხაზეთში, საქართველო, პასპორტიზაციის პროცესი იგივე სქემით განხორციელდა, როგორც ეს ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის შემთხვევაში მოხდა. საქართველოს მთავრობამ არაეთხელ გამოხატა და დააფიქსირა თავისი პროტესტი ამ პოლიტიკის მიმართ, თუმცა ამას არანაირი შედეგი ან ცვლილება არ მოჰყოლია,[93] გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე, საქართველოს მხრიდან გაკეთებული მრავალრიცხოვანი განცხადებებისა/მოთხოვნებისა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაკეთებული საპროტესტო ნოტებისა და საქართველოს პარლამენტის საპროტესტო რეზოლუციების მიუხედავად.

(მოცემული პოლიტიკის პროცესისა და დინამიკის შესახებ, ასევე აღნიშნული პოლიტიკის მიზნების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია პასუხში სამართლებრივ კითხვაზე N2)

- **თავისუფალი სავიზო რეჟიმი**

(ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში გამოყენებული იქნა მსგავსი სქემა. იხილეთ, შესაბამისი ნაწილი)

2.2 ეკონომიკური დახმარების პოლიტიკა

საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური ნორმებისა და დსთ-ის გადაწყვეტილებების უხეში დარღვევით, რუსეთის ფედერაცია ცალმხრივად ახდენდა აფხაზეთის, საქართველო, მარიონეტული რეჟიმისათვის ეკონომიკური და ფინანსური დახმარების გაწევას. ეკონომიკური დახმარების მოტივით, რუსეთის ფედერაცია იცავდა მარიონეტულ რეჟიმს აფხაზეთში, რომელიც უშუალოდ იყო პასუხისმგებელი 1992-1994 წლებში არსებული დაპირისპირებისას განხორციელებულ ეთნიკურ წმენდასა და სხვა უხეშ დარღვევებზე და რომელიც მუდმივად ახორციელებდა გალის რაიონის ქართული მოსახლეობის ეთნიკურ დისკრიმინაციას.

აფხაზეთის (საქართველო) კონფლიქტის მოგვარების ღონისძიებებთან დაკავშირებით დსთ-ის წევრი სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს 1996 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილების მე-6 მუხლი მოიცავს შემდეგ დებულებას: „ვადასტურებთ რა, რომ აფხაზეთი არის საქართველოს განუყოფელი ნაწილი, დსთ-ის წევრი სახელმწიფოები არ განახორციელებენ სავაჭრო-ეკონომიკურ, ფინანსურ, სატრანსპორტო ან სხვა ტიპის

[93] მაგალითად, 2002 წლის 20 მარტის საქართველოს პარლამენტის დადგენილება; რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საელჩოს ნოტა 17.07.2003 წელი; რაც შეეხება მოქალაქეობის მინიჭების პრაქტიკას იხ. ი. მენაღარშვილის, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება, ნიუ-იორკი, 2002 წლის 19 სექტემბერი, გაეროს გენერალური ასამბლეის შეხვედრა N57.

ოპერაციებს აფხაზეთის მხარის ხელმძღვანელობასთან საქართველოს მთავრობისგან წინასწარი თანხმობის მიღების გარეშე.“ ამ მუხლის დარღვევით რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ორგანოები და სამსახურები, კომერციული და ბიზნეს ორგანიზაციები ამყარებდნენ მჭიდრო ურთიერთობას აფახაზეთის მარიონეტულ რეჟიმთან, მისი ხელშეწყობისა და უზრუნველყოფის გზით.

რუსეთის ფედერაცია და სოხუმის მარიონეტული რეჟიმი აქტიურად თანამშრომლობდნენ შემდეგ სფეროებში: ელექტროენერგიის ექსპორტ-იმპორტი, აგურისა და სახურავის სხვადასხვა მასალის ერთობლივი წარმოება; აფხაზეთის ტერიტორიაზე გაზის ტრანსპორტირების ტერმინალის მშენებლობა და ამ გაზსადენის საშუალებით პროპანის ექსპორტი; აფხაზეთის მთელს ტერიტორიაზე რუსეთის მობილური კომუნიკაციების ოპერატორების მომსახურების ამოქმედება; ტელე და რადიო მაუწყებლობა; აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დისტრიბუცია და რეალიზაცია რუსეთის ბაზარზე; რუსეთის თევზის სარეწი გემების ლიცენზირება აფხაზეთის წყლებში; მოსკოვის ხელმძღვანელობის მეთოდური კონსულტაციები აფხაზთათვის მარაგების შექმნის, ფერმერული მეურნეობების, საკანონმდებლო და სხვა საკითხებში.

- **რუსეთის ფედერაციის პოლიტიკა აფხაზეთის ტერიტორიაზე უძრავი ქონების შესყიდვასთან დაკავშირებით**

შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ, აფხაზეთის მარიონეტულმა რეჟიმმა დაიწყო იმ მიტოვებული ქონების გასხვისება, რომელიც ადრე ეკუთვნოდა რეგიონიდან დევნილ ქართულ მოსახლეობას. მყიდველები ძირითადად, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები არიან. ქართველების კერძო საკუთრების კონფისკაციას ახორციელებენ დე-ფაქტო ადმინისტრაციის ადგილობრივი მმართველობითი ორგანოები. კერძოდ, აფხაზური ძალების მხარდაჭერით, ადგილობრივმა ადმინისტრაციამ იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებმაც რეალურად თხუთმეტზე მეტი წლის წინათ იძულებით დატოვეს თავიანთი სახლები, დაადანაშაულა დროის დიდი პერიოდის განმავლობაში, კომუნალური და სხვა გადასახადების გადაუხდელობაში. ამ ტიპის განმარტებები დაედო საფუძვლად ქონების კონფისკაციას; ქონება შემდეგ გაიყიდა რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებზე.

რუსი მეწარმეები და ორგანიზაციები მონაწილეობას იღებენ აფხაზეთში მიწის, მამულებისა და ბუნებრივი რესურსების შესყიდვაში. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ პროტესტი გამოხატა რუსეთის ხელისუფლების წინაშე სავაჭრო-ეკონომიკური პროექტების განხორციელებასა და რუსულ ორგანიზაციებსა და აფხაზეთის მარიონეტულ რეჟიმს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებზე.

რუსეთის მაღალჩინოსნებმა და გავლენიანმა ბიზნესმენებმა, დიდი ინვესტიციები განახორციელეს ზღვისპირა კურორტების რეაბილიტაციაში. კონტრაქტები გაფორმდა რუსეთის სამოგზაურო სააგენტოებთან („ამტასტა,“ „რუტა,“ „ჟარ-პტიცა“, „რუსტალ

ტურ,“ „გლადიოლუს“ და ა.შ.), რომლებიც მსურველებს აფხაზეთის ცნობილ კურორტებზე დასვენებას სთავაზობენ.

რუსეთის ფედერაციის კერძო ფირმების, კომპანიების და მოქალაქეების მიერ უძრავი ქონების, კურორტებისა და საკვები ობიექტების შესყიდვას მოჰყვა აფხაზეთში, საქართველო, უძრავი ქონების ფასების მკვეთრი ზრდა. თუ 2005 წელს, სოხუმის ცენტრში ორსართულიანი სახლის ფასი მერყეობდა 15 000-20 000 აშშ დოლარის ფარგლებში, 2007 წელს, იგივე ტიპის სახლის ფასი 60 000 აშშ დოლარს შეადგენდა.

რუსეთის ფედერაციის მოქალაქეთა მხრიდან აფხაზეთში უძრავი ქონების შეძენაზე მაღალმა მოთხოვნამ, რეგიონში უძრავი ქონების სააგენტოების რიცხვისზრდა გამოიწვია. მაგალითად, უძრავი ქონების სააგენტო „იუგ“ (სამხრეთი) ფუნქციონირებს სოხუმში, შემდეგ მისამართზე: მშვიდობის გამზირი N69. სააგენტოს კლიენტთა უდიდესი ნაწილი რუსეთის მოქალაქეა.

რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების მიერ ქართველთა სახლების შესყიდვის ფაქტები:

2004 -2006 წლები

- რუსეთის სამშვიდობო ძალების N309 საკონტროლო პუნქტის (მდებარე სოფელ ანაკლიაში, ზუგდიდის რაიონი) სერჟანტმა ანდრეი ჟილინმა შეიძინა სახლი ოჩამჩირეში, გამარჯვების ქუჩაზე, 80 000 რუსულ რუბლად; დახმარება ამ ოპერაციის განხორციელებაში მყიდველს აღმოუჩინა აფხაზეთის მარიონეტულმა რეჟიმმა.
- მოსკოვში მცხოვრებმა სამხედრო მოსამსახურემ, ანდრეი კალუგინმა შეიძინა სამოთახიანი ბინა 14-სართულიან შენობაში სოხუმში, მისამართზე – თბილისის მაგისტრალი (ამჟამად ახირთავას ქუჩა), შენობა ტურისტული ბაზის გვერდით მდებარეობს.
- რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ყოფილმა მოსამსახურემ, მოსკოვში მცხოვრებმა პირმა შეიძინა ბინა მისამართზე: სოხუმი, თბილისის მაგისტრალი (ამჟამად ახირთავას ქუჩა) N13, ბინა N76. სოხუმში ჩამოსვლიდან მცირე ხნის შემდეგ, აღნიშნულმა პირმა მუშაობა დაიწყო მარიონეტული რეჟიმის თავდაცვის სამინისტროში.
- რუსეთის მოქალაქემ შეიძინა 3-ოთახიანი ბინა 14-სართულიან შენობაში, რომელიც მდებარეობს ტურისტული ბაზის ტერიტორიაზე – 25 000 აშშ დოლარად. ბინას ახალი მეპატრონე მხოლოდ ზაფხულობით იყენებს.
- 2005 წელს, გულრიფშის რაიონის სოფელ განახლების გამგებელის, ასლან ბაღათელიასა და მისი მოადგილის, ედიკ ცარგოშის ინიციატივით, 20 ჩეჩნური ოჯახი ჩამოსახლდა სოფელ ნიკოლაევკაში მდებარე მიტოვებულ სახლებში; სახლები მანამდე ეთნიკურად ქართველ მოსახლეობას ეკუთვნოდა, რომლებიც ამჟამად იძულებით გადაადგილებულნი არიან და ცხოვრობენ ქვეყნის სხვა ნაწილებში.
- გულრიფშის რაიონის სოფელი ესტონკას დე-ფაქტო ადმინისტრაციის ხელშეწყობით, სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეები დასახლდნენ ქართველების მიერ მიტოვებულ სახლებში. სომხები აფხაზეთის ტერიტორიაზე შემოდიან რუსეთის

ფედერაციის ტერიტორიიდან, მდინარე ფსოუს გზით . მოგვიანებით, ისინი ცდილობენ სამოსახლო მიწის ნაკვეთების მიღებას.

- სასტუმრო აშენდა ქართველებით მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიაზე სოხუმში, ლაკობას ქუჩაზე; კერძო სახლები კი, დაანგრიეს.
- გაგრაში, რუსთაველის გამზირზე:

- აშენდა სასტუმრო ნუკრი კაკუჩიას საცხოვრებელი სახლის ტერიტორიაზე;
- მაღაზიების ქსელი აშენდა სიჭინავას, გულორდავასა და ფიფიას საცხოვრებელი სახლების ტერიტორიაზე;
- კაფე-ბარი და რესტორანი გაიხსნა ზურაბ ჯინჭარაძისა და შოთა ჯინიხიძის საცხოვრებელი სახლების ტერიტორიაზე.

სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენლები აქტიურად მუშაობენ ჩრდილოეთ კავკასიაში. მათი მიზანია, მოიზიდონ და დაასახლონ რაც შეიძლება მეტი ჩრდილო კავკასიელი აფხაზეთის ტერიტორიაზე. კერძოდ:

- ოჩამჩირეში 5-სართულიანი (ე.წ. „ხრუშოვკის“ ტიპის ბინები) სახლი გადაეცა ყარაჩაი-ჩერქეზეთის მოქალაქეს ხატალ-ალი კუნძიევს, რომელმაც თავის მხრივ, ნათესავები ჩამოიყვანა. დამატებით საცხოვრებელი ფართები გადაეცათ მუხამედ უზდენოვს და გენადი ციუტოვს.
- სოხუმში, ე.წ. მილიციის სკოლა ფუნქციონირებს N2 საშუალო სკოლის შენობაში; მილიციის სკოლაში ჩრდილოეთ კავკასიელი სტუდენტები სწავლობენ. მათი უმრავლესობა ცდილობს შეიძინოს საცხოვრებელი სახლი აფხაზეთში. კერძოდ, ერთ-ერთმა ყაბარდოელი ეროვნების სტუდენტმა, ბურატ ფლიევმა ბინა შეიძინა სოხუმში.
- უკანასკნელ პერიოდში გაიზარდა ჩრდილო კავკასიელი მაკლერების რაოდენობა. ისინი, ძირითადად, დაკავებული არიან დასასვენებელი სახლების (ე.წ. „დაჩები“) ყიდვა-შეძენით. ერთ-ერთი ასეთი მაკლერია ალხაზურ სულეიმანოვი ჩეჩნეთიდან.

2002-2006 წლებში, რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა და ასევე, კერძო კომპანიებმა აფხაზეთში შემდეგი ადგილები შეიძინეს:

- მოსკოვის მერმა, იური ლუჟკოვმა შეიძინა სოხუმში, პრესტიჟულ ადგილას, სასტუმრო „თბილისსა“ და ზღვის სანაპიროს შორის განლაგებული პარკი. აღნიშნული ტერიტორია ზღვიდან 20 მეტრით არის დაშორებული და იდეალურია სასტუმროს ასაშენებლად.
- ასევე, იური ლუჟკოვს ეკუთვნის მშენებარე სასტუმროს შენობა, რესტორან „დიოსკურიას“ მიმდებარე ტერიტორიაზე სოხუმში.
- 2005 წელს, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის წევრმა, ვლადიმერ ჟირინოვსკიმ შეიძინა გულრიფშის რაიონის სოფელ მაჭარაში მდებარე კოლექტიური მეურნეობის ტერიტორია. ამჟამად ტერიტორიაზე 45 000-მდე ერთეული სხვადასხვა ჯიშის ვაზია გაშენებული.
- რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის წევრმა, იოსებ კობზონმა გულრიფშის რაიონში დაახლოებით, 1 ჰექტარი მიწის ნაკვეთი შეიძინა. ამჟამად ტერიტორიაზე მიმდინარეობს დასასვენებელი სახლის მშენებლობა.
- კრასნოდარის ოლქის გამგებელმა, ალექსანდრე ტკაჩოვმა 25 მილიონ რუსულ რუბლად შეიძინა „ბერიას აგარაკი,“ გაგრაში; თუმცა, ზემოხსენებული დასასვენებელი სახლი რეგისტრირებულია ნიჟეგოროდის კომპანიის „ინვესტ პლუსის“ სახელზე.

- სარატოვის ოლქის გამგებელმა, პავლე იპატოვმა 1.5 მილიონ აშშ დოლარად შეიძინა 420 საწოლზე (დამსვენებელზე) გათვლილი დასასვენებელი სახლი „კომუნისტი.“ დასასვენებელი სახლი რეგისტრირებულია კომპანია „სტორიექსზე.“
- რუსმა მილიარდერმა, ოლეგ დერიბასკამ 10 მილიონ აშშ დოლარად შეიძინა სტალინის დასასვენებელი სახლი „ხოლოდნაია რეჩკა.“
- აფხაზეთის დე-ფაქტო პარლამენტის ყოფილმა წევრმა, ამჟამად ბიზნესმენმა ბესლან ბუტბამ 60 000 აშშ დოლარად შეიძინა სასტუმრო „რიწა.“
- რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებმა შეიძინეს რამდენიმე ფეშენებელური დასასვენებელი სახლი დაბა ბიჭვინთაში. რამდენიმე მათგანი ბიჭვინთა-მიუსერას დაცულ ტერიტორიაზეა აშენებული. ორიოლის ოლქის გამგებელმა, იგორ სტროევმა დასასვენებელი სახლი აიშენა დაცულ ტერიტორიაზე; დასასვენებელ სახლს მიწის საკმაოდ დიდი ნაკვეთი უკავია (შემოღობილია ბლოკის ღობით), ტერიტორია ახლოსაა ზღვასთან.
- ბიზნესმენმა, რუსეთის ფედერაციიდან მოახდინა სანატორიუმების „უკრაინა“ და „სამშიტოვაია როშას“ პრივატიზაცია.
- მორდოვეთში (რუსეთის ფედერაცია) რეგისტრირებული ფირმა „ბერიოზკა“ გახდა გუდაუთაში მდებარე დასასვენებელი სახლის „მიუსერა“ და გაგრაში მდებარე დასასვენებელი სახლის „აბრსკილის“ მფლობელი.
- რუსმა ბიზნესმენმა მთლიანად შეისყიდა მდინარეების, ღალიძგა და ანარიას (ყოფილი საბჭოთა კავშირის სამხედრო ძალების საარტილერიო ეზო, ე.წ. „წარკა“) შორის მდებარე ზღვისპირა ტერიტორია ოჩამჩირეში. ამჟამად ტერიტორიაზე მიმდინარეობს საკურორტო ქსელის მშენებლობა.

შემდეგი ტერიტორიები გადაეცათ (იჯარით) რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სტრუქტურებს, კერძო პირებსა და კომპანიებს:
- 2001 წლის 15 აგვისტოს, აფხაზეთის დე-ფაქტო მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით, გაგრის დასასვენებელი სახლი „კავკასია“ იჯარით გადაეცა საწარმოს „იაროსლავნა,“ რომელიც წარმოადგენს „ტრანსნიტრიას რესპუბლიკის“ ქალაქ ტრანსპოლში რეგისტრირებული რუსული საზოგადოება „რუსი კომპატრიოტების“ ფილიალს.
- 2004 წლის იანვარში, რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს მე-4 განყოფილებამ 25-წლიანი იჯარის გამოყენების უფლებით მიიღო დასასვენებელი სახლი „არჩფანდი.“ დასასვენებელი სახლი მდებარეობს გაგრაში, ლენინის ქუჩაზე. აფხაზურ მხარესთან მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ გენერალი იასოვი და გენერალი ვლადიმიროვი.
- 2004 წელს, სანატორიუმი „არმენია“ 25-წლიანი გამოყენების უფლებით გადაეცა რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს.
- 2004 წელს, ბიჭვინთაში მდებარე ხელოვნების სახლი „ლიტფონდი“ 15-წლიანი იჯარით გადაეცა რუსეთის ფედერაციის ენერგეტიკის სამინისტროს.
- 2005 წლის აგვისტოში, ნიჟნი ტაგილში (რუსეთის ფედერაცია) მოქმედმა სამშენებლო კომპანიამ „პრომიშლენოე გრაჟდანსკოე სტროიტელსტვო“ –რამდენიმე ადგილი შეიძინა ოჩამჩირეში, საკოლმეურნეო ბაზრისა და კერძო საცხოვრებელი

სახლების ჩათვლით. კომპანია აწარმოებს სარემონტო სამუშაოებს, რომელთა დაფინანსებას ახორციელებს რუსული სააქციო საზოგადოება „ურალნეფტი.“

- 2005 წელს, ყარაჩაი-ჩერქეზული (რუსეთის ფედერაცია) კომპანიები „ზარლი“ და „კაგოვ გარანტი“ გახდნენ ოჩამჩირეს რაონში, სოფელ კინდღაში მდებარე დასასვენებლი სახლის „სოხუმის“ და სოხუმის დასასვენებელი სახლის „ტყვარჩელის“ მფლობელები.
- 2005 წელს, რუსულმა კომპანია „მოსტორგ ინვესტმა“ იჯარით აიღო ცისტრუსების მეურნეობა გაგრის რაიონის სოფელ მახუნჯიაში; სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულებულია.
- დე-ფაქტო ხელისუფლებამ გულრიფშის რაიონის სოფელ აგუძერაში მდებარე დასასვენებელი სახლი, ე.წ. „ლიტერატურული გაზეთი“ იჯარით გადასცა კომპანია „რაკადას;“ კომპანია რეგისტრირებულია სანკტ-პეტერბურგში, რუსეთის ფედერაცია.
- აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტმა, სერგეი ბაღაფშმა სოხუმის გულ-სისხლძარღვთა დაავადებების ბავშთა რეაბილიტაციის ცენტრი გადასცა ყარაჩაი-ჩერქეზეთის პრეზიდენტს, მუსტაფა ბადიევს.
- სოხუმში მდებარე სასტუმრო „სოხუმის“ აქციების საკონტროლო პაკეტის მფლობელი გახდა რუსი ბიზნესმენი, რომელიც ქალაქ სამარაში (რუსეთის ფედერაცია) ცხოვრობს.
- ცალკეული საკურორტო და გამაჯანსაღებელი ცენტრი დროებით სარგებლობაში გადაეცათ ისეთ კომპანიებს, როგორიცაა „ლუკოილი“ და „გაზპრომი.“
- 2006 წელს, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებმა მიწები შეიძინეს ე.წ. „ვიომის“ ტერიტორიაზე, სოხუმში, ბარათაშვილის ქუჩაზე; გავრცელებული ინფორმაციით, ამ ტერიტორიაზე რამდენიმე თანამედროვე დასასვენებლი სახლი და სანატორიუმი აშენდება.

რუსეთის ფედერაციის ოფიციალური სტრუქტურები და კერძო კომპანიები მნიშვნელოვან ინვესტიციებს ახორციელებენ აფხაზეთში; ზემოხსენებული ინვესტიციების შედეგად, აფხაზეთის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია ხორციელდება რუსული ფინანსური რესურსებით: 2005 წლის მარტში, ბაღაფშმა და მოსკოვის მერმა, იური ლუჟკოვმა ხელი მოაწერეს ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეკრულებას.

2005 წელი

- სანკტ-პეტერბურგის სატელეფონო კომპანიამ ახალი ციფრული დანადგარებით ჩაანაცვლა სოხუმის სატელეფონო სადგურის მოძველებული აპარატურა. ჩატარებული სამუშაოების ღირებულებამ 600 000 აშშ დოლარი შეადგინა. 29 ოქტომბერს, ბაღაფში და აფხაზეთის დე-ფაქტო პარლამენტის სპიკერი ნუგზარ აშუბა შეხვდნენ პეტერბურგის გაერთიანება „დორსერვის“ წარმომადგენლებს; კომპანია მონაწილეობას მიიღებს გზების, ქუჩების და მოედნების მშენებლობაში, ასევე სანაპირო ზოლის გამაგრებაში.
- ხელშეკრულება გაფორმდა პურის საცხობ კომპანიას, სააქციო საზოგადოება „სტაროოკოლსკი კომბინატ ხლებოპროდუკტოვ“ და სოხუმის კომპანიას შპს „დ.დ. და კომ“-ს შორის; მოცემული ხელშეკრულების საფუძველზე 2005 წლის ოქტომბერში, აფხაზეთში შემოტანილი იქნა 38 000 აშშ დოლარის ღირებულების ფქვილი.

- ჩელიაბინსიკის ოლქში მოქმედმა კომპანიამ, სააქციო საზოგადოება „პაპილონმა“ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიაწოდა 26 790 აშშ დოლარის ღირებულების დაქტილოსკოპიის აპარატურა.
- რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს ომსკის აკადემიასა და სოხუმის მილიციის სკოლას შორის გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში, ომსკის აკადემია სოხუმის სკოლას აწვდის სპეციალურ აღჭურვილობასა და ნაბეჭდ მასალებს.
- რუსული ინვესტიციით, სოხუმში შეიქმნა კომპანია „იახონტი;“ კომპანია ასხამს და ახდენს მინერალური წყალი „ავადრახას“ რეალიზაციას რუსეთში.
- რუსი ბიზნესმენების ხელშეწყობით, დაგეგმილია სოხუმის ქარხნის „სოხუმხელსაწყოს“ მოდერნიზება და პრივატიზაცია. ამჟამად, ქარხანაში მოქმედებს საამქრო, რომელიც ახდენს ჩაის ხელით საკრეფი ელექტროაპარატების აწყობას.
- რუსული კომპანია „როელ-კონსალტინგი“ [94] დახმარებას უწევს აფხაზეთს ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავებაში.

2006 წელი

- იური ლუჟკოვის განკარგულებით, მოსკოვის მერიამ დაგეგმა გალის N1 საშუალო სკოლაში სარემონტო სამუშაოები და ამავე სკოლისთვის სასკოლო ინვენტარისა და კომპიუტერების შეძენა.
- რუსეთის ცნობილმა კომპანიამ „ინტერდორმსტროი“ დაიწყო ფსოუ-სოხუმის გზის 107-კილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაცია; კომპანიის გენერალური დირექტორია სერგეი სირინკო. „ინტერდორმსტროი“ გეგმავს ძლიერი სამრეწველო ბაზის შექმნას აფხაზეთში.
- აფხაზეთში საქმიანობა დაიწყო სააქციო სახოგადოება „ხილის კომპანიის“ ფილიალმა; კომპანია მუშაობს ხილის წვენების წარმოებაზე. კომპანიამ ადგილობრივი მოსახლეობიდან მიიღო ადგილობრივი ნაწარმი და ახდენს ციტრუსის ექსპორტს რუსეთში.
- როსტოვის ოლქის ადმინისტრაცია გეგმავს გულრიფშის რაიონში მდებარე ტუბ-დისპანსერის 25-წლიანი იჯარით აღებას; რუსი სპეციალისტების დახმარებით, დაგეგმილია დისპანსერში კარდეოლოგიური განყოფილების გახსნა; აქ ჩატარდება ოპერაციები გულზე და სავარაუდოდ, ადამიანის ორგანიების ტრანსპლატანცია.
- აფხაზურმა შპს „ინტეგრალმა“ და არმავირის დახურულმა სააქციო საზოგადოებამ „არმავირის კომუნიკაციების ქარხანამ“ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას კაბელების ჩანაცვლებაზე.
- 10 თებერვალს, სოხუმში, ხელშეკრულება დაიდო ტულის იარაღების საწყობსა და „სოხუმხელსაწყოს“ შორის თანამშრომლობაზე. ხელშეკრულების საფუძველზე, სოხუმის ქარხანა გამოყოფს საამქროს, სადაც ტულის ქარხანა დაამონტაჟებს ხის სამიზნეების წარმოებისთვის საჭირო სპეციალურ დანადგარებს.

---

[94] შეიქმნა 1995 წელს, კომპანია ძირითადად, მუშაობს საკონსულტაციო ბიზნესში, რომლის ამოცანაა კომპანიების საორგანიზაციო საქმიანობების ოპტიმიზაცია. კომპანიის მფლობელია რუსი ბიზნესმენი ვლადიმერ კახმანი. კომპანიის წლიური ბრუნვა შეადგენს 340 მილიონ აშშ დოლარს.

o რუსეთის კონტროლი აფხაზეთის, საქართველო, ფინანსურ ინსტიტუტებზე

რუსეთის ფედერაციამ აბსოლუტური კონტროლი დაამყარა აფხაზეთის ფინანსურ სექტორზე, ფინანსური დახმარების გაწევის გზით. რაც გულისხმობდა მარიონეტული რეჟიმისთვის გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტების გაცემას.

რუსული ვალუტა, რუბლი ბრუნავს აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე და წარმოადგენს აფხაზეთის ოფიციალურ ფულად ერთეულს.

მარიონეტულ რეჟიმსა და მის კომერციულ ბანკებს მჭიდრო ბიზნეს ურთიერთობა აქვთ და დამოკიდებული არიან რუსეთის ფედერაციის საბანკო და ფინანსურ სტრუქტურებზე. რეგიონში ფუნქციონირებად საბანკო ინსტიტუტებზე არ არის გაცემული საქართველოს ეროვნული ბანკის ლიცენზიები. ისინი არღვევენ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ პრინციპებს, მათ შორის ზედამხედველობისა და საბანკო ინსტიტუტების ინსპექციის ნორმებს, რომელთა მიზანია ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა. შესაბამისად, მოქმედი საბანკო ინსტიტუტები წარმოადგენენ არალეგალურ დაწესებულებებს.

აფხაზური ბანკები იღებენ საკრედიტო და ანგარიშსწორების მომსახურებებს რუსული ბანკებიდან და ჩართული არიან საერთაშორისო გზავნილების ისეთ სისტემებში, როგორიცაა „კონტაქტი“ (ორგანიზატორი – სააქციო საზოგადოება კომერციული ბანკი „რუსლავ ბანკი“), „ვიპ“ ფულადი გადარიცხვები (ორგანიზატორი – „ვიპ ბანკი“), რუსეთის ბანკთაშორისი გადარიცხვების სისტემა „ოქროს გვირგვინი“ (სისტემის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ერთიანი ანგარიშწორების ცენტრი – არასაბანკო ანგარიშსწორების საკრედიტო ორგანიზაცია (NCCO) „გადახდების ცენტრი“) და ა.შ. აღნიშნული სისტემების საშუალებით, ასევე სხვადასხვა რუსული ბანკების გავლით, აფხაზეთს, საქართველო, ფინანსური ოპერაციების განხორციელება პრაქტიკულად, მთელი მსოფლიოს მასშტაბით შეუძლია. აღსანიშნავია, რომ კომერციული ბანკების გარდა, აფხაზეთის ე. წ. „ეროვნულ ბანკსაც“ გააჩნია მჭიდრო ფინანსური ურთიერთობა რუსულ საბანკო სისტემასთან. „ეროვნულ ბანკს“ რამდენიმე ანგარიში აქვს გახსნილი რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის ოლქში ფუნქციონირებად „კრაინვესტ ბანკში.“

აღნიშნული არღვევს 1995 წლის 10 თებერვალს დსთ-ის წევრი სახელმწიფოების მიერ მიღებულ მემორანდუმს „დსთ-ში მშვიდობისა და სტაბილობის ხელშეწყობის შესახებ.“ მოცემული მემორანდუმის მე-8 პუნქტის თანახმად მხარეები (რუსეთის ფედერაციის ჩათვლით), ვალდებულებას იღებენ არ უზრუნველყონ სეპარატისტული რეჟიმის ეკონომიკური, ფინანსური, სამხედრო და სხვა ტიპის დახმარება. ზემოაღნიშნული, ასევე არღვევს დსთ-ის წევრი სახელმწიფოების დადგენილებას „აფხაზეთის კონფლიქტის რეგულირებისთვის საჭირო ღონისძიებების“ შესახებ (1996 წლის 19 იანვარი), რომლის შესაბამისად, ხელმომწერი მხარეები, აღიარებენ რა, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, იღებენ ვალდებულებას არ აწარმოონ კომერციული, ეკონომიკური,

ფინანსური, სატრანსპორტო და რაიმე სხვა ტიპის ოპერაციები აფხაზეთის მხარის არალეგიტიმურ სამთავრობო სტრუქტურებთან – საქართველოს ხელისუფლებასთან ამგვარი ოპერაციების წინასწარ შეთანხმების გარეშე.

ფაქტობრივად, რუსეთის ფედერაციის ის ფინანსური და საკრედიტო ინსტიტუტები, რომლებიც თანამშრომლობენ აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედ არალეგიტიმურ ბანკებთან, არღვევენ ეფექტიან საბანკო ზედამხედველობის ძირითად პრინციპებსა და საბანკო ანგარიშების მფლობელთათვის კლიენტის ჯეროვანი შესწავლის პრინციპებს (49-50 პუნქტების ჩათვლით, რომელთა შესაბამისად, ბანკებმა საკორესპონდენტო ურთიერთობა უნდა დაამყარონ მხოლოდ იმ ბანკებთან, რომლებიც ექვემდებარებიან ჯეროვან კონტროლს შესაბამისი ორგანოების მხრიდან. აფხაზური ბანკების შემთხვევაში, ამ ტიპის ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი). შესაბამისად, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, რუსეთის ფედერაციის ბანკები არღვევენ რუსეთის კანონებს და რუსეთის ცენტრალური ბანკის მიერ 2004 წლის 19 აგვისტოს, N262-II დებულებით განსაზღვრულ ნორმებს.

საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთის ხელისუფლებასთან განიხილა აფხაზეთში არალეგიტიმური საბანკო სისტემის არსებობასთან დაკავშირებული პრობლემები. საკითხი ასევე წამოყენებული იქნა დსთ-ის წევრი სახელმწიფოების ცენტრალური ბანკების უმაღლესი ხელმძღვანელობის შეხვედრაზეც და უშუალოდ, რუსეთის ფედერაციის ცენტრალურ ბანკთან. ასევე, ოფიციალური შეტყობინება გაეგზავნა ფინანსური ოპერაციების სამუშაო ჯგუფსაც; რუსეთის ფედერაცია ამ ჯგუფის წევრია, საქართველომ შეტყობინება ასევე გაუგზავნა ევროპის საბჭოს მანივალის (MOENYVAL) კომიტეტს.

ზემოთ განხილული პოლიტიკის გაგრძელება იყო რუსეთის ფედერაციის გამოსვლა დსთ-ის წევრი სახელმწიფოების მიერ 1996 წლის 19 იანვარს, „აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის აღმოფხვრის ზომების“ შესახებ მიღებული გადაწყვეტილებიდან. კერძოდ, 2008 წლის 6 მარტს, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალურად შეატყობინა დსთ-ის აღმასრულებლ კომიტეტს, რომ რუსეთის ფედერაცია გამოდიოდა დსთ-ის წევრი სახელმწიფოების მიერ 1996 წლის 19 იანვარს მიღებულ „აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის აღმოფხვრის ზომების“ შესახებ გადაწყვეტილებიდან.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის აღნიშნული გადაწყვეტილება ადგენს შეზღუდვებს და კრძალავს საომარი ტექნიკის/აღჭურვილობის გადატანას და აფხაზეთისათვის დახმარებას. ამავდროულად, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ცდილობს აქცენტი გააკეთოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შეზღუდვებიდან მისი გამოსვლის „ჰუმანიტარულ“ მოტივებზე – იმ არგუმენტით, რომ ეს ღონისძიებები აფერხებს „სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების“ განხორციელებას; დოკუმენტი ძირითადად კრძალავს სამხედრო დახმარებას და იარაღის გადაცემას სეპარატისტებისათვის. ამასთან, გაერთიანებული ერების სხვადასხვა ხელშეკრულები,

რომელთა ძალითაც განსაზღვრულია შეზღუდვები აფხაზეთზე, გამონაკლისს უშვებს ჰუმანიტარულ დახმარებაზე. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის პოზიცია იმაში მდგომარეობს, რომ აღნიშნული ჰუმანიტარული მოტივები მხოლოდ საბაბს წარმოადგენს.

ხელშეკრულებიდან გამოსვლით, რუსეთმა ფორმალურად და ოფიციალურად უარყო, აღნიშნული გადაწყვეტილების ფარგლებში ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება; კერძოდ:

- იარაღის, ყველა ტიპის სამხედრო აღჭურვილობის, სათადარიგო ნაწილების, საომარი აღჭურვილობის, სამხედრო მანქანებისა და აღჭურვილობის გაყიდვის ან მომარაგების შეფერხება კონფლიქტურ ზონაში თავიანთი მოქალაქეების მიერ ან მათი შესაბამისი ტერიტორიების მხრიდან, ან გემისა და თვითმფრინავის საშუალებით (მუხლი 3.).
- არ დაუშვას მოქალაქეთა რეკრუიტირება და კონფლიქტის ზონასთან მათი რაიმე სახის კავშირი, რათა არ მოხდეს მათი მონაწილეობა შეიარაღებული ფორმირებების საქმიანობაში (მუხლი 5.ა).
- არ განახორციელოს სავაჭრო-ეკონომიკური, ფინანსური, სატრანსპორტო ან სხვა ოპერაციები აფხაზეთის ხელისუფლებასთან ერთად, საქართველოს მთავრობის თანხმობის გარეშე (მუხლი 6. „ა“).
- არ შევიდეს ოფიციალურ კონტაქტში აფხაზეთის ტერიტორიაზე შექმნილი სტრუქტურების ოფიციალურ პირებთან ან წარმომადგენლებთან, ასევე, არ შევიდეს ოფიციალურ კონტაქტში აფხაზეთის სამხედრო ფორმირებებთან საქართველოს მთავრობის თანხმობის გარეშე (მუხლი 6. „ბ“).

რუსეთის ცალმხრივი გამოსვლა ზემოხსენებული გადაწყვეტილებიდან, მისი პოლიტიკისა და პოზიციის ნათელი დემონსტრირება იყო, აფხაზეთის, საქართველო, კონფლიქტთან დაკავშირებით; ეს ეწინააღმდეგებოდა შუამავლის ოფიციალურ როლს, რომელსაც რუსეთის ფედერაცია ბოროტად იყენებდა წლების მანძილზე

- **სარკინიგზო, საზღვაო და სახმელეთო კავშირები რუსეთსა და აფხაზეთს შორის**

2002 წლის 25 დეკემბერს, რუსეთის მიერ გაიხსნა სოჭი (რუსეთი) – სოხუმის (აფხაზეთი, საქართველო) სარკინიგზო ხაზი, საქართველოს მთავრობასთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე, ასევე, 1996 წელს, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ლიდერების მიერ მიღებული გადაწყვეტილების დარღვევით. წინამდებარე დოკუმენტის მე-6 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო მხარეებმა განაცხადეს, რომ „აფხაზეთი წარმოადგენს საქართველოს განუყოფელ ნაწილს და ისინი ადასტურებენ, რომ არ გაატარებენ რაიმე ეკონომიკურ, ფინანსურ, სატრანსპორტო ან სხვა სახის ოპერაციებს აფხაზეთის ხელისუფლებასთან ერთად, საქართველოს მთავრობის თანხმობის გარეშე.“ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, ი. მენაღარიშვილმა თავის 2003 წლის 2 ოქტომბრის, განცხადებაში, გაერთიანებული

ერების გენერალური ასამბლეის 58-ე სადებატო სესიაზე, ნიუ იორკში, გამოთქვა პროტესტი სარკინიგზო ხაზის გახსნასთან დაკავშირებით.

2002 წლის 26 დეკემბერს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გაუგზავნა საპროტესტო ნოტა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, სადაც აღნიშნული იყო, რომ „საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მიიჩნევს, რომ რუსეთის ფედერაციის ცალმხრივი ქმედება – რუსეთსა და აფხაზეთს შორის არსებული სარკინიგზო ხაზის აღდგენა, წარმოადგენს საქართველოს სუვერენიტეტის დარღვევას, ასევე, ის აშკარა იგნორირებას უკეთებს საზღვრების დარღვევის პრინციპებს საშინაო საქმეებში ჩარევისაგან თავის შეკავებას და საერთაშორისო ვალდებულებების კეთილსინდისიერად აღსრულებას.“ ქართული მხარე კვლავ იძულებულია ყურადღება მიაქციოს რუსეთის მხრიდან, საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული საზღვრების დარღვევას, რომელიც 1993 წლის 8 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის მთავრობას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში განსაზღვრული წესების საგანს წარმოადგენს. ეს ხელშეკრულება ერთადერთი იურიდიული და სამართლებრივი ინსტრუმენტია, რომელიც ძალაშია და რომელიც მართავს ზემოთ აღნიშნულ საკითხებს. ხელშეკრულების მე-4 მუხლის შესაბამისად, „მხარეები იღებენ ვალდებულებას, გახსნან და დახურონ გადამკვეთი პუნქტები საბაჟო საზღვრის საშუალებით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.“ შეთანხმებულია, რომ შეტყობინებების გაცვლის საშუალებით, განისაზღვროს აღნიშნული პუნქტების გახსნის დროის განრიგი, და ტრანსპორტირების ფორმები, რომლებიც ამ პუნქტების გავლით გადაადგილდებიან. საქართველო-რუსეთის საზღვრის აფხაზეთის ნაწილთან მიმართებაში აღნიშნული წესები არ შესრულდა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა რამდენიმეჯერ სცადა მიეპყრო რუსეთის მხარის ყურადღება იმაზე, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 31 იანვრის #140 განკარგულებით, საქართველო-რუსეთის საზღვრის აფხაზეთის ნაწილი დახურულია ყველა სახისა და ფორმის საერთაშორისო გადაზიდვებისა და ტრანსპორტირებისთვის. ამ ქმედებების შედეგად, რუსეთის მხარემ მოახდინა სუვერენული სახელმწიფოს გადაწყვეტილების იგნორირება, დაარღვია საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და საერთაშორისო სამართლის ნორმები, რომლის მიხედვითაც, გადაწყვეტილება სახელმწიფო საზღვრის გახსნასთან დაკავშირებით უნდა აღსრულდეს მოსაზღვრე ქვეყნებთან შეთანხმების საფუძველზე.“

2003 წლის 30 ივლისს სოჭსა (რუსეთი) და სოხუმს (აფხაზეთი, საქართველო) შორის სარკინიგზო ხაზის გახსნა ასევე გააპროტესტა საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა გაეროში, რევაზ ადამიამ, გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოზე.

2004 წლის 25 ივლისს, რუსეთის სარკინიგზო სარემონტო სამუშაოების საჯარისო ბრიგადამ დაიწყო ვესიოლოე (რუსეთი) – სოხუმის (აფხაზეთი, საქართველო) სარკინიგზო ხაზის რეაბილიტაცია და რეკონსტრუქცია. ამ ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გააგზავნა საპროტესტო ნოტები 2004 წლის 3 აგვისტოს, 2004 წლის 4 აგვისტოს და 2004 წლის 9 აგვისტოს.

2004 წლის 9 სექტემბერს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გაუგზავნა მომდევნო ნოტა რუსულ მხარეს, რომლითაც საქართველოს მთავრობამ გააპროტესტა დაგეგმილი ორი ახალი სარკინიგზო მარშრუტის გახსნა: სოხუმი (აფხაზეთი, საქართველო) – როსტოვი (რუსეთი) და სოხუმი (აფხაზეთი, საქართველო) – მოსკოვი (რუსეთი). რუსეთს არ გამოუხატავს პროტესტი აფხაზეთთან სარკინიგზო კავშირთან დაკავშირებით, მაგრამ გაკეთდა განცხადება რომ სარკინიგზო გადასასვლელის მშენებლობა განახორციელეს რუსეთის კერძო კომპანიებმა და რუსეთის მთავრობას არავითარი ინფორმაცია არ გააჩნდა ამის თაობაზე.

რუსეთის ფედერაციის არგუმენტაციის მიხედვით, რომელიც საქართველოს მთავრობის პროტესტის პასუხად გაჟღერდა, სარკინიგზო ხაზის მშენებლობა განახორციელეს კერძო კომპნანიებმა და რუსეთის მთავრობას არავითარი შეხება არ ჰქონდა ამ საკითხთან; შესაბამისად, ეს არ რეგულირდებოდა საერთაშორისო სამართლით.

ამასთან, სარკინიგზო კომუნიკაციების გახსნით, რუსეთმა დაარღვია 2003 წლის 6-7 მარტის სოჭის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს სოჭი-სოხუმის სარკინიგზო საკომუნიკაციო ხაზის გახსნას, იმ პირობით, რომ ეს მოხდება ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა აფხაზეთში დაბრუნების პარალელურად.

რუსეთმა გამოავლინა უპატივცემულობა და დაარღვია უშიშროების საბჭოს რეზოლუციები ქართულ-აფხაზურ კონფლიქტთან დაკავშირებით, განსაკუთრებით კი, 1993 წლის 876-ე რეზოლუცია, რომელიც „მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს, რომ გარდა ჰუმანიტარული დახმარებისა, არ გაუწიონ არავითარი დახმარება აფხაზურ მხარეს თავიანთი ტერიტორიებიდან, მათ შორის არც იმ პირებმა, რომლებიც იმყოფებიან მათი იურისდიქციის ქვეშ (იგულისხმება *ყველა ტიპის დახმარება*).“

2004 წლის 31 მარტს, რუსეთმა გახსნა ავტობუსის მარშრუტი – სოხუმსა (აფხაზეთი, საქართველო) და როსტოვს (რუსეთი) შორის; 2004 წლის აგვისტოში კი, საზღვაო კავშირი სოჭსა (რუსეთი) და ახალ ათონს (აფხაზეთი, საქართველო) შორის. რუსეთის ეს ერთპიროვნული ქმედებები არღვევს საქართველოს სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას, ასევე, საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს. ამ მიმართულებით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაუგზავნა საპროტესტო ნოტები რუსეთის ხელისუფლებას.

2003 წლის 1 აგვისტოს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ წარუდგინა წერილი გაერთიანებული ერების გენერალურ ასამბლეას, სადაც აპროტესტებდა სამხედრო კატარღის, Vega-1-ის მიმოსვლას რუსეთსა და აფხაზეთს შორის.

ამ წერილის თანახმად:

„რუსეთის მხრიდან ამგვარი მოქმედებები არ შეესაბამება ორ სახელმწიფოს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების პრინციპებს, საერთაშორისო სამართლის

მოთხოვნებს, განსაკუთრებით კი, 1982 წლის გაერთიანებული ერების კონვენციას საზღვაო კანონის შესახებ, ასევე, საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის დადებულ ხელშეკრულებას კომერციული ნავიგაციის შესახებ.

რუსეთის მხრიდან ამგვარი ქმედებები წარმოადგენს 1995 წლის 10 თებერვლის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ქვეყნებში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნების მემორანდუმით გათვალისწინებულ დებულებათა უხეშ დარღვევას; ასევე, აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის გადაჭრის ღონისძიებების შესახებ 1996 წლის 19 იანვრის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილების უხეშ დარღვევას; შესაბამისად, ეს ე.წ. „აფხაზეთის რესპუბლიკასთან“ საზღვაო მიმოსვლის ფაქტობრივი დადასტურებაა. აღნიშნული, სხვა არასამართლებრივ და ერთპიროვნულ ნაბიჯებთან ერთად, აფხაზეთში სეპარატისტული რეჟიმის სრული მხარდაჭერის პოლიტიკის გაგრძელებაა; მათ შორის აღსანიშნავია: აფხაზეთის მხრიდან საქართველო-რუსეთის საზღვრის გამარტივებული გადაკვეთის პროცედურა; აფხაზეთის, საქართველო, მოსახლეობისთვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება; სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა, და ა.შ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი განმეორებით აღნიშნავს, რომ სოხუმის საზღვაო პორტი და საპორტო პუნქტები, საზღვაო აკვატორია და აფხაზეთის, საქართველო, საზღვართან მდებარე ნაწილი, დახურულია ყოველგვარი ტიპის და ფორმის საერთაშორისო ტრანსპორტისთვის, გარდა ჰუმანიტარული დახმარების ტვირთებისა, დადგენილი წესების შესაბამისად. მსგავსი არასამართლებრივი ქმედებების განმეორების შემთხვევაში, ქართული მხარე მოითხოვს, რომ მას დაუყოვნებლივ ეცნობოს ამის შესახებ და მოხდეს საზღვრის დამრღვევი გემების დაკავება, მანამ სანამ ისინი არ მიიღებენ ქართული მხარის შესაბამის პასუხს.“

2.3. სამხედრო დახმარების ასპექტები

1990 წელს, შეიარაღებული საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ, რუსეთის ფედერაციამ განაგრძო მარიონეტული რეჟიმის სამხედრო დახმარება აფხაზეთში (**დეტალები სამშვიდობო ძალების მიერ განხორციელებული დარღვევების შესახებ წარმოდგენილია იურიდიული შეკითხვების #3 და სამხედრო შეკითხვების #3 პასუხებში**). მარიონეტული რეჟიმისთვის გაწეული სამხედრო დახმარება წლების განმავლობაში იყო ყოვლისმომცველი და მრავალმხრივი, მოიცავდა როგორც იარაღსა და სამხედრო აღჭურვილობას, ასევე ადამიანურ რესურსებს/წვრთნებს. ქვემოთ მოყვანილია მაგალითები, რომლებიც ყველაზე თვალსაჩინოდ, თუმცა არა სრულად გამოხატავს ამ დარღვევებს:

- **რუსული უშიშროება/საჯარო მოხელეები აფხაზეთში**

2008 წლის 30 აპრილს, **ალექსანდრე პავლიუშკო** დაინიშნა აფხაზეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილედ აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტის განკარგულებით. პავლიუშკო არის რუსეთის სამშვიდობო ძალების ყოფილი შტაბის უფროსი. მოგვიანებით, 2009 წლის აგვისტოში, პავლიუშკო პასუხისმგებელი იყო კოდორის ხეობის ოკუპაციის დაგეგმვისა და განხორციელების ოპერაციებზე. 2005 წლის მარტში, **ანატოლი ზაიცევი** დაინიშნა აფხაზეთის თავდაცვის დე-ფაქტო მინისტრის გენერალური შტაბის უფროსად; იგი იყო რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანი. 2005 წლამდე, **სულთან სოსნალიევი** მსახურობდა, გენერალური შტაბის უფროსის პოზიციაზე, ხოლო 2005 წლიდან დაიკავა აფხაზეთის თავდაცვის მინისტრისა და ვიცე-პრემიერის თანამდებობა (გარდაიცვალა 2007 წელს). იგი 1944 წელს დაიბადა და დაამთავრა სიჟრანსკის საავიაციო ინსტიტუტი, ხოლო შემდეგ, სამხედრო აკადემია. სარეზერვო ძალებში გადასვლის შემდეგ, იგი მუშაობდა სააქციო საზოგადოება „ყაბალგრაჟდანსტროის“ დირექტორის მოადგილედ. 1992 წლის აგვისტოდან მონაწილეობას იღებდა აფხაზეთში, საქართველო, მიმდინარე საომარ მოქმედებებში, როგორც თავდაცვის პირადი შემადგენლობის უფროსად და ასევე, გენერალური შტაბის უფროსად. მოგვიანებით მან დატოვა სამხედრო სამსახური, რათა ემსახურა აფხაზეთის არმიაში, გენერალ-ლეიტენანტის წოდებით.

- **რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზა გუდაუთაში, აფხაზეთი, საქართველო**

გუდაუთის ბაზა იყო საბჭოთა საჰაერო ძალების დისლოკაციის ადგილი, რომელმაც მნიშვნელოვანი სამხედრო დახმარება გაუწია აფხაზეთის მარიონეტულ რეჟიმს, ადრეულ 1990-იან წლებში, კონფლიქტის განმავლობაში. ბომბორას აეროდრომი, გუდაუთის ფარგლებს გარეთ, საბჭოთა პერიოდში 245-ე საჰაერო-სადესანტო პოლკის ადგილსამყოფელი იყო; მოგვიანებით, კი მოხდა მისი რეფორმირება დამოუკიდებელი სამშვიდობო ძალების საჰაერო-სადესანტო მე-10 პოლკად. ბაზა ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა კონფლიქტის განმავლობაში. ბაზიდან გაიცემოდა პრაქტიკულად ყველა ბრძანება და ხორციელდებოდა სამხედრო ოპერაციების კონტროლი, დაგეგმვა და ზედამხედველობა.

რუსეთმა სამხედრო ბაზა გუდაუთაში (აფხაზეთი), შეინარჩუნა საქართველოსთან თანხმობის გარეშე და ასევე მის მიერ ეუთო-ს სტამბულის სამიტის დროს აღებული საერთაშორისო ვალდებულებების საწინააღმდეგოდ, რომელიც ითვალისწინებდა 2001 წლისათვის ამ ბაზის გაყვანას.

რუსეთის მიერ 1999 წლის ეუთო-ს სტამბულის სამიტის გადაწყვეტილებით, რუსეთს ჯარები უნდა გაეყვანა და დაეხურა გუდაუთის სამხედრო ბაზა; ამ გადაწყვეტილებით რუსეთის მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო საქართველოს პარლამენტმა პროტესტი გამოხატა 2002 წლის 20 მარტის რეზოლუციაში.

საქართველო პერმანენტულად აპროტესტებდა რუსეთის სამხედრო ბაზის უკანონო განთავსებას გუდაუთაში. 2003 წლის 30 ივლისს, საქართველოს წარმომადგენელმა

გაერო-ში უშიშროების საბჭოს სხდომაზე შემდეგი განცხადება გააკეთა: „გუდაუთაში, (აფხაზეთი) რუსეთის სამხედრო ბაზის უკანონო განთავსება წარმოადგენს არსებული სიტუაციის გამწვავების კიდევ ერთ ელემენტს და ძაბავს ორმხრივ ურთიერთობებს... უნდა შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ აღნიშნული უპირატესი მდგომარეობა უნდა აწესებდეს გარკვეული სახის შეზღუდვებს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრ ქვეყანაზე. აფხაზეთის ირიბი ანექსია - ეს არის ის ერთადერთი ტერმინი, რომელიც შეესაბამება მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკური კონტროლისა და ქონების უკანონო შეძენის პროცესებს. საქართველოს სუვერენიტეტის მუდმივი ხელყოფა არ შეიძლება მოიაზრებოდეს სამშვიდობო პროცესის ხელშემწყობ საშუალებად.“

2003 წლის 2 ოქტომბერს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, ი. მენაღარიშვილმა, გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის საყოველთაო დებატების 58-ე სესიაზე გაკეთებულ განცხადებაში პროტესტი გამოთქვა რუსეთის სამხედრო ბაზის გუდაუთაში (აფხაზეთი) უკანონო განთავსებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ეს წარმოადგენდა დამატებით ფაქტორს აფხაზეთში არსებული სიტუაციის გამწვავებისათვის.

საქართველოს პროტესტს მხარი დაუჭირეს საერთაშორისო ორგანიზაციებმაც. 2001 წლის 18-19 ივნისს, მე-3 სხდომაზე ევროკავშირის საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის მიერ მიღებულ დეკლარაციებსა და რეკომენდაციებში, ევროკავშირმა ხაზი გაუსვა საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის ვადებისა და პირობების მნიშვნელობას, როგორც ეს აღნიშნულია ეუთო-ს სტამბულის სამიტის დეკლარაციაში და გამოხატა თავისი შეშფოთება გუდაუთის ბაზიდან[95] სამხედრო ქვედანაყოფების გაყვანის პროცესის გაჭიანურებასთან დაკავშირებით.

1999 წლის სტამბულის სამიტის გადაწყვეტილების შესაბამისად, რუსეთმა განაცხადა, რომ ბაზა 2002 წელს გაუქმდა. თუმცა, რუსეთს არ გადაუცია ქართული მხარისათვის ბაზის დახურვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ქართულმა სადაზვერვო სამსახურმა დაადასტურა, რომ ბაზა სრულად ფუნქციონირებდა. რუსულმა მხარემ საჯაროდაც კი აღიარა, რომ ბაზა გამოყენებული იყო სამშვიდობო ძალებისათვის (საჭიროა სქოლიო). ამ მიმარულებით აღსანიშნავია, რომ ბაზის ნებისმიერი სახით გამოყენება, მათ შორის სამშვიდობო მისიის მიზნებისთვის, წარმოადგენდა არა მხოლოდ გუდაუთის ბაზის დახურვასთან დაკავშირებით არსებული ვალდებულებების, არამედ სამშვიდობო ძალების მისიის მანდატის დარღვევას. 1994 წლის 22 აგვისტოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, დსთ-ის სამშვიდობო ძალები განლაგებული უნდა ყოფილიყვნენ უსაფრთხოების ზონის გარკვეული მონაკვეთის ფარგლებს შიგნით (მდინარე ენგურის ორივე მხარის 12-კილომეტრიანი რადიუსის ფარგლებში). გუდაუთის ბაზაზე სამშვიდობო ძალების არსებობა, ისევე როგორც სამხედრო აღჭურვილობისა და ბაზის

[95] გაერო – საქართველოს საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტი, დეკლარაცია და რეკომენდაციები, ref:IRE/PCC/GH/KM/es, 2001 წლის 27 ივნისი, აბზ. 28.

აეროპორტის გამოყენება წარმოადგენდა სამშვიდობო მისიის მანდატის ტერიტორიული ზღვარის აშკარა დარღვევას.

სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმზე, საქართველომ მრავალჯერ მოითხოვა გუდაუთის ბაზიდან რუსეთის სამხედრო ძალების გაყვანის საერთაშორისო დადასტურება, მაგრამ რუსეთის ფედერაციამ არ დაუშვა ამის აღსრულება.

2005 წლის 10 მარტს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებული რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზების შესახებ რეზოლუცია, რომლის თანახმადაც:

> „[..] სტამბულის ერთობლივი განცხადების თანახმად, რუსეთის ფედერაციამ მიიღო გადაწყვეტილება მოეხდინა ვაზიანისა და გუდაუთის სამხედრო ბაზების ლიკვიდირება 2001 წლის 1 ივლისამდე, ხოლო 2000 წლის განმავლობაში მხარეებს უნდა დაესრულებინათ მოლაპარაკებები ბათუმსა და ახალქალაქში არსებული რუსეთის სამხედრო ბაზების მუშაობის ხანგრძლივობისა და ფორმატის შესახებ. სტამბულის ერთობლივი განცხადების საფუძველზე, დღემდე, სამხედრო საკითხებზე საქართველოსა და რუსეთს შორის გამართულია მოლაპარაკებათა რვა რაუნდი.
>
> გუდაუთისა და ვაზიანის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, რუსეთმა მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულა სტამბულის ერთობლივი განცხადების ფარგლებში ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულება. კერძოდ, ვაზიანის სამხედრო ბაზა გაუქმდა. თუმცა, გუდაუთის ბაზიდან გაყვანილია მხოლოდ ის სამხედრო ტექნიკა და სამხედრო მანქანები, რაზეც ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ ხელშკრულებით განსაზღვრული შეზღუდვები იყო დაწესებული.
>
> რუსული მხარის არაკონსტრუქციული პოზიციის გამო, დღემდე შეუძლებელია ბაზაზე ინსპექციის ჩატარება, რომელიც დაადასტურებს მის დახურვას. ამავე დროს, ერთჯერადი ინსპექცია საკმარისი არ იქნება სამხედრო ბაზის დახურვის დასადასტურებლად; ასევე, არსებითი მნიშვნელობა აქვს კონკრეტული ღონისძიებების გატარებას, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივ გამჭვირვალობას იმ ცალკეული ობიექტების გამოყენებაზე, რომლებიც ბაზას ეკუთვნის.
>
> მიუხედავად იმისა, რომ რუსული მხარის განცხადებით გუდაუთის სამხედრო ბაზა დახურულია, დაახლოებით, 300-მდე სამხედრო მოსამსახურე კვლავაც რჩება ადგილზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბაზა დახურული არ არის; ამ პოზიციას მუდმივად აფიქსირებდა ქართული მხარე ვენაში გამართულ ერთობლივი საკონსულტაციო ჯგუფის (JCG) შეხვედრაზე, რასაც იზიარებდა ეუთო-ს წევრი ქვეყნების უმრავლესობა“

ამგვარად, რუსეთმა შეინარჩუნა გუდაუთის სამხედრო ბაზა საერთაშორისო ხელშეკრულებათა დარღვევით; ამავდრულად, ბაზა გამოიყენებოდა სოხუმის მარიონეტული რეჟიმის სამხედრო და პოლიტიკური მხარდაჭერისათვის, ასევე, რუსეთის ფედერაციის მიერ რეგიონში გაძლიერებული კონტროლის მნიშვნელოვან საშუალებად.

რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოდან გაყვანასთან დაკავშირებით მთავრობათაშორისი მოლაპარაკებების წარმოებისას, საქართველოს მთავრობამ წარმოადგინა ამომწურავი და ნათელი კრიტერიუმები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნებოდა ბაზის დახურვასთან დაკავშირებით რუსეთის განცხადების დადასტურება. ეს მოიცავდა არა მხოლოდ რეგულარულ საერთაშორისო ინსპექციას, არამედ იმ ასაფრენ-დასაფრენი ბილიკის განადგურებას, რომლითაც ხდებოდა ბაზაზე საჰაერო-სადესანტო ჯარების მნიშვნელოვანი რაოდენობის მიღება ძალზე მოკლე დროში.

რუსეთის მიერ თავისი სამხედრო-პოლიტიკური მიზნებისათვის გუდაუთის სამხედრო ბაზის უკანონო ექსპლუატაციის ფაქტი კიდევ ერთხელ დადასტურდა მაშინ, როდესაც საქართელოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მფლობელობაში არსებული უპილოტო საფრენი აპარატი რუსეთის MIG-29-მა ჩამოაგდო. კერძოდ, 2008 წლის 20 აპრილს, დილის 09:48 საათზე რუსული MIG-29 აფრინდა გუდაუთის სამხედრო ბაზიდან და ჩამოაგდო ქართული უპილოტო საფრენი აპარატი. ინფორმაცია დადასტურებულია საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიერ, სარადარო ინფორმაციის საფუძველზე. ჩამოგდების შემდეგ, MIG-29-მა გადაინაცვლა ჩრდილოეთით და შევიდა რუსეთის საჰაერო სივრცეში, 10:06 საათზე. საქართველოს მთავრობამ გაავრცელა მაღალი ხარისხის ვიდეო,[96] რომელიც ნათლად ადასტურებს იმას, რომ თვითმფრინავი რუსული მხარის მფლობელობაში იყო; ამასთან, აღსანიშნავია, რომ სოხუმის მარიონეტული რეჟიმი თავისი სახსრებით ვერ შეძლებდა ამგვარი კლასის[97] თანამედროვე მოიერიშე თვითმფრინავის შეძენასა და ტექნიკურ უზრუნველყოფას. რუსული აგრესიის ეს ქმედება დადასტურდა საქართველოში გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის ერთობლივი ფაქტების შემსწავლელი მისიის მიერ, ასევე, ეუთო-ს ვენის დოკუმენტის ფარგლებში და დამოუკიდებელი საერთაშორისო ექსპერტების მიერ.

ზემოხსენებული ინციდენტი წარმოადგენს გაერო-ს წესდების (მუხლი 2. პუნქტი 4), დარღვევას, რომელიც კრძალავს ნებისმიერი სხვა ქვეყნის ტერიტორიული სუვერენიტეტისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ძალის გამოყენებას. გარდა ამისა, ზემოხსენებული ქმედება წარმოადგენს „აგრესიულ აქტს," როგორც ეს განსაზღვრულია 1974 წლის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის რეზოლუციის დანართის მე-3 მუხლის „ბ" პუნქტით, რომელიც გამარტავს აგრესიულ აქტს. აღნიშნული დეფინიციის მიხედვით, სხვა ქვეყნის

[96] გთხოვთ, იხილოთ თანდართული ვიდეო მასალა დასახელებით „Reference 57."

[97] UNOMIG-ის მიერ მომზადებული ანგარიში, გვერდები 3-6, ხელმისაწვდომია შემდეგ საიტზე: http://www.unomig.org/data/other/080526_unomig_report.pdf.

ტერიტორიის წინააღმდეგ საბრძოლო იარაღის ნებისმიერი სახით გამოყენება წარმოადგენს აგრესიულ აქტს. სამხედრო მოიერიშე თვითმფრინავის არსებობა გუდაუთის აეროპორტში 1999 წლის ეუთო-ს სტამბულის ვალდებულებების პირდაპირი დარღვევაა, რომლის ძალითაც რუსეთს უნდა დაეხურა გუდაუთის სამხედრო ბაზა და გაყევანა სამხედრო კონტიგენტი.

- **რუსეთის ქმედებები ზემო აფხაზეთში/კოდორის ხეობაში**

2007 წლის 20 სექტემბერს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დავალებათა ნაწილმა მოახდინა 10-კაციანი შეიარაღებული ჯგუფის ნეიტრალიზაცია კოდორის ხეობაში, რომელიც გეგმავდა თავდასხმას ზემო აფხაზეთისა და დანარჩენი საქართველოს შემაერთებელ ახალ გზაზე. ურთიერთსროლის დროს დაიღუპა დაჯგუფების მეთაური და მისი მოადგილე. ესენი იყვნენ: იგორ მუზავატკინი (რუსეთის შეიარაღებული ძალების ვიცე-პოლკოვნიკი, კოლექტიური სამშვიდობო ძალების ყოფილი წევრი, მაიკოპის დივიზიის ყოფილი ოფიცერი, კოლექტიური სამშვიდობო ძალების წევრი 7 წლის მანძილზე, კონტრაქტის საფუძველზე მსახურობდა აფხაზი სეპარატისტების უშიშროების სამსახურის სასაზღვრო ჯარების დანაყოფში) და არტურ ზორინი (რუსეთის შეიარაღებული ძალების მაიორი, აგრეთვე დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების ყოფილი წევრი). გამანადგურებელი ჯგუფის შვიდი წევრი, რომლებმაც თავი გაამჟღავნეს, როგორც აფხაზი სეპარატისტების უშიშროების სამსახურის სასაზღვრო ჯარების დივიზიის წევრები, დააპატიმრეს. მოგვიანებით, კეთილი ნების ნიშნად, ისინი გაათავისუფლეს და გადასცს აფხაზეთის სეპარატისტულ მთავრობას.

- **რუსეთის სამხედრო თავდასხმა კოდორის ხეობაზე**

2007 წლის 11 მარტს, 22:10 სთ-დან 24:00სთ მდე, კოდორის ხეობა მოექცა ერთდროული საარტილერიო და საჰაერო თავდასხმის ქვეშ. სულ ცოტა, 17 „ბმ21/გრადის“ ტიპის რაკეტა იყო ნასროლი მიწიდან და სულ ცოტა, 1 „ატ-9/ატაკას“ ტიპის მართვადი რაკეტა იყო ნასროლი ჰაერიდან. საჰაერო თავდასხმის სამიზნე იყო სოფელ ჩხალთაში მდებარე ადმინისტრაციის შენობა. საარტილერიო თავდასხმის სამიზნეები იყო: სოფელ ჩხალთაში მდებარე ადმინისტრაციის შენობა, ბენზინისა და საწვავი მასალების საწყობი და პოლიციის განყოფილება სოფელ აჟარაში. მაღალი სიზუსტის საჰაერო თავდასხმა თანამედროვე რაკეტების გამოყენებით, ვერტმფრენების ღამის ფრენები მთიან ადგილებში და მასიური საარტილერიო დაბომბვა იმის მანიშნებელია, რომ ეს იყო კარგად ორგანიზებული და დაგეგმილი სამხედრო ოპერაცია, რომლის ამ რეგიონში ჩატარება მხოლოდ რუსულ შეიარაღებულ ძალებს შეეძლოთ.

- **რუსეთის სამხედრო ძალების მნიშვნელოვანი ზრდა და 2008 წელს, მარიონეტული რეჟიმის მხარდაჭერა**

2008 წლის 30 აპრილიდან, რუსეთის ფედერაციამ დაიწყო თავისი სამხედრო ძალების დისლოცირება კონფლიქტის ზონაში, სამშვიდობო ძალების საფარქვეშ და საქართველოს მთავრობასთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე. 2008 წლის 29 აპრილს,

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების უფროსმა, ს. ჩაბანმა, რომელიც 2008 წლის თებერვალში ფაქტობრივად გადაყენებული იყო თანამდებობიდან, შეტყობინება გაუგზავნა საქართველოს თავდაცვის მინისტრს. ეს შეტყობინება არ შეიცავდა ინფორმაციას დისლოკაციის დროისა და ადგილის შესახებ, ასევე, დისლოცირებული ჯარების რაოდენობის შესახებ.

სამშვიდობო ძალების ოპერაციების შესახებ, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ხელშეკრულების დარღვევით, 2008 წლის აპრილში, მოსკოვმა ნოვოროსისკის სამხედრო საჰაერო-სადესანტო ბატალიონის სამხედრო საჰაერო-სადესანტო დივიზია აფხაზეთში განათავსა. მაისის დასაწყისში, ეს ძალები აღიჭურვა სამი „BUK“-ის ტიპის ჰაერსაწინააღმდეგო კომპლექსით, თოთხმეტი დამატებითი D-30 ტიპის თვითმავალი ქვემეხით, ათი 122 მმ-იანი BM-30 ტიპის ცეცხლსასროლი სარაკეტო დანადგარით, ოცი ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხით, 120 ტანკსაწინააღმდეგო რაკეტით, ორი ვერტმფრენით და ტექნიკური საკითხების 180 რუსი სპეციალისტით, ზემოხსენებული აღჭურვილობის მომსახურების მიზნით. [98] რუსეთის შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო ფლოტმა რვა სამხედრო წვრთნა შეასრულა, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეითი ბრიგადის ნაპირზე გადმოსვლის სწავლებას. 1 მაისს, რუსეთის ჯარებმა დამატებითი არასანქცირებული საკონტროლო-გამშვები პუნქტი მოაწყვეს აფხაზეთის ტერიტორიაზე, კერძოდ კი, ტყვარჩელისა და ოჩამჩირის რაიონების გზებზე. ერთი კვირის შემდეგ, მოსკოვმა დაადასტურა თავისი ჯარების რაოდენობის ზრდა აფხაზეთში 1997-დან 2542-მდე. [99] მეორე მხრივ, ქართული წყაროების მიხედვით, რუსეთის ჯარების რეალური რაოდენობა ტერიტორიაზე შეადგენდა 4000 ერთეულს. 14 მაისს, სერგეი ბაღაფშმა თხოვნით მიმართა რუსეთს, რომ მას აფხაზეთში რუსული სამხედრო ძალები მუდმივი დროით განეთავსებინა. [100] რუსეთის საჰაერო ძალების უფროსმა მეთაურმა, გენერალ-ლეიტენანტმა, ალექსანდრე ზელინმა დაუყოვნებლივ, დაუჭირა მხარი იდეას.[101]

უკვე 6 ივნისს, რამდენიმე ახალი რუსული SU-25 და SU-27 სამხედრო თვითმფრინავი დაჯდა გუდაუთის საჰაერო ბაზაზე. იმავდროულად, ზელენჩუკის ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის სამთო ქვეითი ბრიგადა დისლოცირებული იქნა საქართველო-რუსეთის საზღვრის უახლოეს მიდამოებში. დაიწყო 10-დღიანი წვრთნები „თავიანთი ქმედებების დახვეწისათვის უცხო ტერიტორიაზე და თავიანთი მუდმივი ადგილსამყოფელიდან გარკვეულ დისტანციაზე.“ საქართველოს ხელისუფლებამ მალევე დააკავა რუსი სამშვიდობო ძალების ჯგუფი ზუგდიდის რაიონში, ქართულ-აფხაზური ადმინისტრაციული საზღვრის ქართულ მოკავეთზე; ჯგუფს ჩამოერთვა ოცი

---

[98] დავით კეზერაშვილის კომენტარი დროებით საპარლამენტო კომისიას, 2008 წლის 27 ოქტომბერი [http://www.parliament.ge/index.php?lang_id-ENG&sec_id=1329&info_id-21926]

[99] რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მუქარა, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების რაოდენობის უმაღლეს ზღვრამდე გაზრდასთან დაკავშირებით http://www.newsru.com/russia.08may2008/micobor_print.html

[100] სოხუმი მზადაა განათავსოს რუსეთის ბაზა აფხაზეთში, http://www.regim.ru/news/999755.hurd?forpoint

[101] აფხაზეთის საჰაერო ბაზის საჰაერო ძალების მეთაური გააუმჯობესებს საზღვრის დაცვის ხარისხს http://www.regnum.ru/news/1099830.hurd?forprint

ტანკსაწინააღმდეგო ჭურვი და სხვა მძიმე აღჭურვილობა, რომლებიც გაადგილდებოდნენ შეთანხმებული პროცედურების დარღვევით და რაიმე სახის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გარეშე. პასუხად, რუსეთის გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ, გენერალმა ალექსანდრე ბურუტინმა განაცხადა, რომ საქართველოს მიერ მომავალში რუსული შეიარაღების ჩამორთმევას სისხლისღვრა მოჰყვებოდა. მისი თქმით, რუს „სამშვიდობო ძალებს“ ჰქონდათ ცეცხლის გახსნის უფლება.[102] გაზეთ „რეზონანსთან“ ინტერვიუში რუსმა სამხედრო ანალიტიკოსმა პაველ ფენგელჰაუერმა აღნიშნა, რომ საქართველოს წინააღმდეგ ომის დაწყების გადაწყვეტილება უკვე მიღებული იყო და სამხედრო ოპერაციების განხორციელება სავარაუდოდ აგვისტოში იგეგემებოდა. [103] რუსებმა დაიწყეს სამხედრო ბაზის ხელახალი მოწყობა სოხუმში, მაიაკის (შუქურის) დასახლებაში. 30 აპრილს, დაახლოებით, 40 საწვრთნელი მანქანა შევიდა სოხუმის რკინიგზის სადგურში, რომლებიც დატვირთული იყო სხვადასხვა ტიპის აღჭურვილობით. ტვირთის ნაწილი გადაიტანეს მაიაკის სამხედრო ბაზაზე, ხოლო დანარჩენი ნაწილი წებელდის მთის ბატალიონთან.

2008 წლის მაისის დასაწყისში, 400 ჯარისკაცი ნოვოროსისკიდან და ფსკოვის საჰაერო-სადესანტო დივიზიიდან, 30 ერთეულ BMD-2 ტიპის აღჭურვილობის (საჰაერო-სადესანტო ჯარების სამხედრო ავტომანქანა), არტილერიასა და საჰაერო თავდაცვის ქვედანაყოფების თანხლებით შევიდნენ აფხაზეთში.[104]

2008 წლის მაისის დასაწყისში, აფხაზეთს, დონის კაზაკთა დელეგაცია ეწვია და სერგეი ბაღაფშს შეხვდა. დონის კაზაკთა ხელმძღვანელის თქმით, საქართველოს მხრიდან შეტევის განხორციელების შემთხვევაში, დაახლოებით 10-დან 15 ათასამდე მოხალისე იქნებოდა გაგზავნილი აფხაზეთში.

2008 წლის 3 მაისს, ხუთი (5) 120 მმ-იანი საარტილერიო სისტემა და რამდენიმე ჰაერსაწინააღმდეგო BUK-M1 თავდაცვის სისტემა განათავსეს ოჩამჩირის საზღვაო პორტის სამხედრო ბაზაზე.

6 მაისს, სეპარატისტული მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი შამბამ განაცხადა, აფხაზეთი მზად იყო დაეთმო თავისი ტერიტორია რუსეთის სამხედრო კონტროლისთვის უსაფრთხოების გარანტიების სანაცვლოდ.
აპრილ-ივნისში, რუსეთმა განახორციელა დამატებითი სამხედრო ძალების დისლოცირება აფხაზეთში:

- 3 BUK-ის ტიპის საჰაერო თავდაცვის სისტემა;
- 40 D-30 ტიპის ჰაუბიცა;
- 10 BM-21 „გრადის“ ტიპის სისტემა;

---

[102] რუსი გენერალი საქართველოში: „რუს სამშვიდობოებს ამოეწურათ მოთმინება,“ ჰერალდის საერთაშორისო ტრიბუნა, 2008 წლის 19 ივნისი.
[103] პაველ ფელგენგაუერი: სავარაუდოდ, აგვისტოში ომს რუსეთი დაიწყებს საქართველოს წინააღმდეგ; http://www.apsny.ge/news/1213985330.php.
[104] „ კომსომოლსკაია პრავდა,“ 2008 წლის 7 მაისი.

- ე.წ. 20 „შილკა,“ ZU-23-2, ZU-23-4 AA ტიპის იარაღი;
- 120 ტანკსაწინააღმდეგო რეაქტიული ჭურვი;
- 2 MI-24-ის ტიპის ვერტმფრენი;
- 50 საავიაციო სპეციალისტი;
- 30 სამხედრო ექსპერტი;
- საკომუნიკაციო და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის 100 ექსპერტი;

მაისში, რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა, მეომართა რაოდენობის გაზრდის გზით, გააძლიერეს შემდეგი სადაზვერვო-გამშვები პუნქტები:

- აქამარა
- რეჩხი
- მუჟავა
- ლეკუხონა
- საბერიო
- დიხაზურგა
- ჭუბურხინჯი
- ფიჩორი
- ნაბაკევი
- ოტობაია ნაკარღალი.

2008 წლის 31 მაისს, რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ აფხაზეთში გადმოიყვანა ვოლგოგრადის სარკინიგზო ძალების 76-ე ნაწილის 400 ჯარისკაცი და ეს ქმედება აფხაზებისთვის „ჰუმანიტარული დახმარების“ გაწევის საჭიროებით ახსნა. რუსეთის სარკინიგზო ჯარებმა შეაკეთეს 54 კმ რკინიგზა სოხუმიდან ოჩამჩირემდე. მათ აგრეთვე, შეაკეთეს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სარკინიგზო ხიდები მდინარეზე მითქაზე, რომელიც უერთდება კოდორის ხეობას. სარეკონსტრუქციო სამუშაოები 2 აგვისტოს დასრულდა. რკინიგზის ეს მარშრუტები არ ფუნქციონირებდა უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში და მათი ეკონომიკური მნიშვნელობა თითქმის ნულის ტოლი იყო. დროის მოკლე პერიოდში, რუსულმა სარკინიგზო ძალებმა შეაკეთეს 55 შენობა, 2 დიდი და 44 მცირე ხიდი, ერთი გვირაბი და სხვა ინფრასტრუქტურა. მოგვიანებით, ეს ხიდები გამოიყენებოდა რუსი ჯარების მიერ ჯავშანმანქანებისა და სხვა სამხედრო აღჭურვილობისა და ტვირთის ტრანსპორტირებისთვის. ყველა ზემოჩამოთვლილი მტკიცებულებით მივდივართ დასკვნამდე, რომ რუსების მიერ საჩქაროდ ჩატარებული სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიზნად ისახავდა რუსეთის შეიარაღებული ძალების ლოჯისტიკურ დახმარებას, ვიდრე დაიწყებოდა მათი ინტერვენცია.

2008 წლის 6 ივნისს, რამდენიმე „SU-25“-ის და „SU-27“-ის ტიპის მოიერიშე თვითმფრინავი (საომარ მდგომარეობაში) შეინიშნებოდა ბომბორას სამხედრო ბაზაზე (გუდაუთა).

აფხაზეთის თავდაცვის სამინისტროს პრეს-სამსახურის თანახმად, 2008 წლის 24-27 ივნისს, აფხაზეთის შეიარაღებული ძალები ახორციელებდნენ სამობილიზაციო, და

საოპერაციო-ტაქტიკურ წვრთნებს. ამ წვრთნებში რუსეთის გენერალური შტაბის ოფიცრებთან ერთად მონაწილობდნენ აფხაზეთის თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები, მათ შორის შეიარაღებული ძალების აღმოსავლეთ ჯგუფის მეთაურები და ოფიცრები, ასევე, საჰაერო თავდაცვისა და არტილერიის წარმომადგენლები.[105]

2008 წლის 28 ივნისს, რუსეთის ფედერაციის უსაფრთხოების, თავდაცვისა და სამართალდამცავი ორგანოების კომისიამ დააჯილდოვა აფხაზეთის თავდაცვის მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი მერაბ ქიშმარია და აფხაზეთის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი ანატოლი ზაიცევი – „სამხედრო მეცნიერებათა კანდიდატის“ აკადემიური წოდებით. სამართალმცოდნეობის აკადემიური ხარისხი მიენიჭა აფხაზეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილეს, პოლკოვნიკ გარი კუპალბას.[106]

რუსი სპეციალისტების დახმარებით, დასრულდა ოხურეის სამხედრო ბაზის მშენებლობა ტყვარჩელის რაიონში. 2008 წლის 8 ივლისს, ბაზაზე დამატებით იქნა შემოყვანილი რუსი ჯარისკაცები, 4 BTR-70 და 4 BRDM ტიპის სამხედრო სატვირთო მანქანები და რამდენიმე საზენიტო დაცვის საშუალება.

2008 წლის 7 ივლისს, აფხაზეთის დე-ფაქტო თავდაცვის მინისტრმა რუსეთის საინფორმაციო სააგენტო „უტროსთან“ ინტერვიუში განაცხადა: „რუსი ინსტრუქტორები ამზადებენ აფხაზ ჯარისკაცებს. მე ვუხდი მათ კონტრაქტის შესაბამისად... ჩვენ ამას უბრალოდ, აფიშირების გარეშე ვაკეთებთ.“

2008 წლის ივლისის შუა რიცხვებისათვის დაფიქსირდა რამდენიმე ასობით ჯარისკაცი და 44 სამხედრო მანქანა ბომბორას სამხედრო ბაზაზე, რომელიც უნდა დახურული ყოფილიყო 1999 წლის სტამბულის ხელშეკრულების თანახმად. რუსების დახმარებით, ხელახლა აშენდა სამი დიდი ყაზარმა ბომბორას სამხედრო ბაზაზე, განახლებული ძალებისათვის.

2008 წლის 30 ივლისს, რუსეთის სარკინიგზო სამხედრო დანაყოფის მეთაური, გენერალ-ლეიტენანტი ს. კლიმენტსი ეწვია აფხაზეთს და აფხაზეთის პრემიერ-მინისტრთან, ალექსანდრე სტრანიჩკინთან ერთად გახსნა გარემონტებული რკინიგზა.

1994 წლის მოსკოვის ხელშეკრულება, რომელიც კავშირშია 1994 წლის 22 აგვისტოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის გადაწყვეტილებასთან, და პროტოკოლთან, ნათლად განსაზღვრავს იმ ტერიტორიებს, სადაც სამშვიდობო ძალები სარგებლობდნენ გადაადგილების თავისუფლებით. შესაბამისად, ნებისმიერ სხვა

[105] აფხაზეთის რესპუბლიკა, 2008 წლის 28 ივნისი.

[106] აფხაზეთის რესპუბლიკა, 2008 წლის 28 ივნისი.

შემთხვევაში, სამშვიდობო ძალების გადაადგილება, ასევე, ახალი სამეთვალყურეო-გამშვები პუნქტების გახსნა, უნდა შეთანხმდეს საქართველოს მთავრობასთან.

ამ ვალდებულების მიუხედავად, ახალი გამშვები პუნქტების ზუსტი მდებარეობა, სამხედრო კონტიგენტის დისლოკაციის ადგილი, და ასევე, სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობა არ შეთანხმებულა საქართველოს მთავრობასთან. საქართველოში გაერთიანებული ერების სადამკვირვებლო მისიას (UNOMIG), რომლის მანდატი სამშვიდობო ძალების ოპერაციების მონიტორინგს მოიცავს, არ წარმოუდგენია ზუსტი ინფორმაცია კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული დამატებითი სამხედრო ნაწილების ადგილმდებარეობის შესახებ. ეს არის საქართველოს სუვერენიტეტის დარღვევა - არც ერთ ქვეყანას არ აქვს უფლება, არც სამშვიდობო ძალების სტატუსით და არც მის გარეშე, განათავსოს თავისი სამხედრო ნაწილები სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე, ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე. უფრო მეტიც, თანხმობის შემთხვევაშიც კი, მასპინძელ ქვეყანას გააჩნია სუვერენული უფლება, იყოს ინფორმირებული სამხედრო ნაწილების რაოდენობისა და ადგილმდებარეობის შესახებ. საქართველო განსაკუთრებით იყო შეშფოთებული იმ ფაქტით, რომ აფხაზეთში, საქართველო, ხდებოდა რუსეთის სამხედრო ძალების გაცხადებული და დადასტურებული განთავსება, რაც რუსეთის მედია საშუალებებისა და ოფიციალური პირების მიხედვით, სცდებოდა სამშვიდობო ძალების მანდატს, რადგან იცავდნენ „კონფლიქტურ ზონაში რუსული ძალებისა და მოქალაქეების უსაფრთხოებას“.

III. განცხადება განმარიონეტულ რეჟიმებთან პირდაპირი სამართლებრივი კავშირების დამყარების შესახებ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დარღვევის ღია პოლიტიკის დაწყება და მცოცავი ანექსიის პოლიტიკის გაძლიერება

1. რუსეთის პრეზიდენტი დე-ფაქტო ხელისუფლებებთან პირდაპირი კავშირების დამყარების შესახებ ოფიციალურად აცხადებს

2008 წლის 3 აპრილს, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მარიონეტულ რეჟიმებს აფხაზეთში, საქართველო, და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში წერილი მისწერა, სადაც მათ მიმართავდა როგორც „პრეზიდენტებს“ და აღუთქვამდა რუსეთის მყარ მხარდაჭერას. წერილში პრეზიდენტი პუტინი აცხადებდა, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ნებისმიერი სახის ,,ზეწოლის“ პოლიტიკა „წარუმატებელი და კონტრპროდუქტიული“ იქნებოდა. რაც მთავარია, ბატონი პუტინი აცხადებდა, რომ რუსეთის მხარდაჭერა სეპარატისტებისთვის შეიძენდა „არა დეკლარაციულ, არამედ პრაქტიკულ“ ხასიათს; ამ მხრივ, რუსთის გამოსვლა ზემოაღნიშნული დსთ-ის შეზღუდვებიდან სწორედ ამ პრაქტიკულ ნაბიჯს წარმოადგენდა.

2008 წლის 21 მარტს, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც რუსეთის მთავრობას მოუწოდებდა განეხილა აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთის რეგიონების „დამოუკიდებლობად ცნობის მიზანშეწონილობა.“ რეზოლუცია, აგრეთვე, მოუწოდებს კრემლს გააძლიეროს ძალისხმევა მარიონეტული რეჟიმის კონტროლქვეშ მყოფ რეგიონებში რუსეთის მოქალაქეების დაცვისთვის, რითიც კიდევ ერთხელ გამოაშკარავდა უკანონო პასპორტიზაციის ჭეშმარიტი მიზნები. გარდა ამისა, რეზოლუცია რუსეთის მთავრობას ორივე რეგიონში რუსეთის საჯარისო კონტინგენტის გაძლიერებისკენ მოუწოდებს.

2008 წლის 11 აპრილს, რუსეთის შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსმა განაცხადა, რომ თუ საქართველო ნატოში შევიდოდა, რუსეთის ფედერაცია მიიღებდა როგორც სამხედრო, ასევე ,,სხვა ზომებს,“ ისე რომ არ განუმარტავს, რა იგულისხმებოდა ამ ,,სხვა ზომებში.“

2008 წლის 16 აპრილს, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანებულება, რომელიც მთავრობას საქართველოს მთავრობასთან რაიმე სახის წინასწარი კონსულტაციისა და კომუნიკაციის გარეშე აფხაზეთის, საქართველო მარიონეტულ ხელისუფლებასთან პირდაპირი თანამშრომლობის გაძლიერებას ავალებდა.[107]

დადგენილებამ შესაძლებლობა მისცა რუსეთის სხვადასხვა სამინისტროს და სახელმწიფო სტრუქტურას, გაეხნათ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში თავიანთი წარმომადგენლობები, რათა დაემყარებინათ პირდაპირი ოფიციალური თანამშრომლობა ორივე მარიონეტული რეჟიმის შესაბამის სტრუქტურებთან. და მოეხდინათ საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში თავიანთი დიპლომატიური სამსახურის კადრების აქტიური შეყვანა საქართველოს მთავრობის თანხმობის გარეშე..

ღია წყაროების თანახმად, რომლებიც დადგენილების ციტირებას ახდენენ, აღნიშნული ნაბიჯები შესაძლოა ითვალისწინებდა აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან სამხედრო შეთანხმებების ხელმოწერას, ხოლო შემდგომ ეტაპზე, რუსული სამხედრო ძალების გუდაუთის სამხედრო ბაზაზე შეყვანას და ოჩამჩირეში სამხედრო-საზღვაო ბაზის ხელახალ გახსნას. ასევე, ერთ-ერთ ვარიანტად რჩებოდა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ოფიციალურად აღიარება, იმ შემთხვევაში თუ საქართველო შევიდოდა ნატოში ან შეეცდებოდა ძალის გამოყენებას სეპარატისტების წინააღმდეგ. .[108]

ამ ქმედებით რუსეთის ფედერაციამ ღიად დაიწყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის დარღვევა. ამგვარი ტიპის სამართლებრივი კავშირების დამყარება წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის უხეშ დარღვევას და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის, საქართველო, მიმართ მცოცავი ანექსიის პოლიტიკის გაგრძელებას.

---

[107] იხ.: რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: http://www.mid.ru/brp 4.nsf/sps/FD5GA80A7198CD7CC325742D003F807C

[108] სტატიის ტექსტი ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე:

http;//www.ng.ru/cis/2008-04-14 sbhazia1?mthree=1

რუსეთსა და საქართველოს სეპარატისტულ ტერიტორიებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის მთელი რიგი პირდაპირი სამართლებრივი კავშირების დამყარებამ მკვეთრად გაამწვავა მოსკოვის ანექსიის პოლიტიკა. ამ ნაბიჯმა ძირეული გავლენა იქონია რეგიონის სამშვიდობო გეგემებზე, აღნიშნული ტერიტორიებიდან იძულებით გამოდევნილ ასობით ათასი ადამიანის ბედსა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე.

რუსეთის ქმედებები დაუყოვნებლივ დაგმო საერთაშორისო თანამეგობრობამ. „ღრმად ვარ შეშფოთებული რუსეთის ქმედებებით, დაამყაროს სამართლებრივი კავშირები საქართველოს რეგიონებთან – აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან," განაცხადა ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰოოპ სხეფერმა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი ნატოს მხარდაჭერის ნიშნად. „რუსეთის ნაბიჯები არღვევს სუვერენიტეტს. მოვუწოდებ რუსეთის ფედერაციას აღკვეთოს ეს ზომები." ევროკავშირის ხელმძღვანელმა საგარეო პოლიტიკის საკითხებში, ჰავიერ სოლანამ გააკრიტიკა რუსეთის „ცალმხრივი გადაწყვეტილებები" და გამოხატა „შეშფოთება," რითიც ხაზი გაუსვა საქართველოს სუვერენიტეტის მიმართ ევროკავშირის მხარდაჭერას.

კითხვა 2. გთხოვთ, განმარტოთ ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში და აფხაზეთში მცხოვრები პირების მიერ რუსეთის მოქალაქეობის მოპოვების პროცესი და დინამიკა, ასევე, განმარტოთ მათთვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების საფუძვლები. თქვენი შეფასებით, რამდენად შესაბამისობაშია ეს ამ ტერიტორიების საერთაშორისო სამართლებრივ სტატუსთან?

ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში მცხოვრებ პირთათვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების პროცესი და დინამიკა საქართველოს ამ ორი რეგიონში დარჩენილი მოსახლეობის უკანონო პასპორტიზაციის პროცესს წარმოდგენს, რომელიც ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის, საქართველო, მიმართ რუსეთის მცოცავი ანექსიის პოლიტიკის მნიშვნელოვანი კომპონენტია. ეს იყო მიზანმიმართული და კარგად შემუშავებული პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავდა ადგილობრივი მოსახლეობის სამართლებრივი სტატუსის პირდაპირი შეცვლას, რასაც შემდგომში საბაბი უნდა შეექმნა საზღვარგარეთ საკუთარი მოქალაქეების დაცვის უფლებისათვის; რეალურად, აღნიშნული პოლიტიკა ითვალისწინებდა საქართველოს საშინაო საქმეებში

ჩარევას, მათ შორის, საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის სამხედროინტერვენციის სცენარს.

ამ პოლიტიკის, ისევე როგორც, მისი მიზნების განხორციელების პროცესი პირდაპირ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ ნორმებს, და გაერო-ს წესდების შესაბამის მუხლებს; კერძოდ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის, სუვერენული ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებს და დავების მშვიდობიანი გზით მოგვარების პრინციპს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პასპორტიზაციის პოლიტიკა მუდმივად მიმდინარეობდა რეგიონებში, სადაც ადგილობრივი მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, მკვეთრად შეიცვალა ომამდ მცხოვრები მოსახლეობის, ძირითადად ქართველების, ეთნიკური წმენდის შედეგად.[109]

2008 წლის აგვისტოს ომის და რუსეთის მიერ ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის ოკუპაციის შემდეგ პასპორტიზაციის პოლიტიკის გაგრძელება ამჟამად არღვევს ჟენევის IV კონვენციის მოთხოვნებს.

აღნიშნულ რეგონებში დარჩენილი მოსახლეობის პასპორტიზაცია აშკარა საფრთხეს უქმნიდა სამშვიდობო პროცესის წარმატებას და ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ფედერაციის შუამავლის ოფიციალურ როლს.

საქართველოს სეპარატისტული რეგიონების პასპორტიზაციის პროცესი მიმდინარეობდა გამარტივებული სავიზო რეჟიმის შესახებ ევროკავშირი-რუსეთის შეთანხმების დაარღვით. გარდა ამისა, პასპორტების უკანონოდ და მასობრივად გაცემით, რუსეთმა კვლავ დაარღვია აღნიშნული ხელშეკრულება კერძოდ: ხელშეკრულების მე-3 (c) მუხლი განსაზღვრავს, რომ ‘რუსეთის ფედერაციის მოქალაქე წარმოადგენს იმ პირს, რომელიც ფლობს ან რომელმაც შეიძინა რუსეთის მოქალაქეობა თავისი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.’ რუსული პასპორტები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ძირითადად, გაიცემოდა რუსეთის თავდაცვის სამინისტროსთან კავშირში მყოფი სხვადასხვა კონტრაქტორის მიერ; შესაბამისად, რუსული კანონმდებლობის მიხედვით,

[109] [1]იხ.: ეუთო-ს სამი სამიტის დეკლარაციები: სახელმწიფოს მეთაურებმა ერთხმად მიიღეს ყველა წევრი სახელმწიფოს სახელით, თავად რუსეთის ჩათვლით, ბუდაპეშტში (1994), ლისაბონში (1996) და სტამბულში (1999) ასევე, გაერთიანებული ერების გენერალურმა ასამბლეამ 2008 წლის მაისში.

არც ერთი მათგანი არ წარმოადგენდა და არ იყო კანონიერი ძალის მქონე, რომ გაეცა პასპორტი.

არსებობს პასპორტიზაციის პროცესის რამდენიმე ელემენტი, რომელიც აძლიერებს ამ არგუმენტს:

– პროცესი არ წარიმართებოდა იმ პირების მიერ, რომლებსაც რუსეთის მოქალაქეობის მიღების სურვილი გარკვეული დროით სურდათ - ის გამიზნული და მასიურად ხორციელდებოდა, როგორც რუსეთის ფედერაციის კონკრეტული პოლიტიკის ნაწილი;

– პროცესი არც სპონტანური და არც არაორგანიზებული იყო - იგი კარგად მომზადებული და კოორდინირებული იყო რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა უწყებას შორის;

– აღნიშნული პოლიტიკა განხორციელდა საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის სრული უგულვებელყოფით, რომლის მოქალაქეებსაც მასობრივად მიენიჭათ რუსეთის მოქალაქეობა, რაც წარმოადგენს საქართველოს სუვერენული უფლებებისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების პრინციპის აშკარა დარღვევას;

ორ რეგიონში დარჩენილი მოსახლეობის მასობრივი პასპორტიზაციისათვის მზადება 2002 წლის სექტემბერში დაიწყო. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად ანალოგიური პოლიტიკა, შემუშავებეული ოყო აჭარისთვისაც, რომელიც იმ პერიოდისათვის წარმოადგენდა ნახევრად დე-ფაქტო დამოუკიდებელ რეგიონს. თუმცა, 2004 წლის შემდეგ, როდესაც ცენტრალურმა ხელისუფლებამ მოახერხა აჭარის საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში ინტეგრირება, რუსეთის ფედერაციამ ამ რეგიონის მოსახლეობას შეუწყვიტა ყველანაირი საშეღავათო რეჟიმი, მათ შორის გამარტივებული სავიზო რეჟიმი. მას შემდეგ რაც რუსეთმა გადაწყვიტა, საქართველოს მოქალაქეების უკანონო პასპორტიზაცია გაკეთდა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები, პროცესის გამარტივების და ლეგალიზების მიზნით. კერძოდ, რუსეთის სახელმწიფო დუმამ მოქალაქეობის შესახებ კანონში ცვლილებები შეიტანა, რამაც საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ძლიერი პროტესტი გამოიწვია.[110] აღსანიშნავია, რომ ამის პარალელურად, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა დაცვის კონცეფცია რუსეთის საგარეო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი გახდა.

---

[110] [2] „საქართველოს პროტესტი რუსეთის მოქალაქეობის შესახებ კანონში ცვლილებების შესახებ“, ტელევიზია რრუსთავი-2 16000 GMT, 2002 წლის 10 ივნისი, BBC-ს მონიტორინგში.

ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის მოსახლეობისთვის რუსული პასპორტების გაცემა დაჩქარებული წესით იქნა განხოციელებული. 2003 წლის ნოემბრის ვარდების რევოლუციის შემდეგ, 29 ნოემბერს, მალევე იგორ ივანოვი შეხვდა საქართველოში რუსეთის მარიონეტული რეჟიმების ლიდერებს: ედუარდ კოკოითს – სამხრეთ ოსეთიდან, ასლან აბაშიძეს – აჭარიდან და რაულ ხაჯიმბას, აფხაზეთის დე-ფაქტო პრემიერ-მინისტრს. შეხვედრაზე მიღებული ერთ-ერთი გადაწყვეტილებით, დაჩქარდა საქართველოს ამ სამი ტერიტორიის მცხოვრებთათვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების პროცესი. 5 დეკემბერს, რუსეთის მასმედია იუწყებოდა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ რეგიონებისთვის ათობით ათას ოპასპორტს ამზადებდა.

ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში და აფხაზეთში პასპორტების ფაქტიური გაცემა განხორციელდა იმ ორგანიზაციების მიერ, რომლებიც არ წარმოადგენდნენ სახელმწიფო სტრუქტურებს რომლებსაც რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის შესაბამისად, მოქალაქეობის მინიჭება და პასპორტების გაცემა ევალებათ. პასპორტებს გასცემდნენ არასახელმწიფო სუბიექტები, რომლებიც სხვადასხვა სახელმწიფო უწყების, მათ შორის რუსეთის საგრეო საქმეთა სამინისტროს კონტრაქტორები იყვნენ, სროგორიცაა, მაგალითად რუსული სათვისტომოების კონგრესი აფხაზეთში (სქოლიო: 1999 წლის 21 ივლისთ დათარიღებული– საქართველოს საგრეო საქმეთა სამინისტროს საპროტესტო ნოტა,).

აღსანიშნავია, რომ 2008 წელს, ცარიელი პასპორტები რუსეთის არმიამაც შემოიტანა. 9 აგვისტოს, საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო პოლიცია წააწყდა სატრანსპორტო საშუალებას, სადაც იმყოფებოდა 2 რუსი ჯარისკაცი, რომლებიც გაიქცნენ, მიატოვეს მანქანა და დარჩათ რუსული პასპორტებით სავსე ჩანთა. აღნიშნული პასპორტები დროის იმავე პერიოდში იყო გაცემული, თუმცა პასპორტის გამოცემის თარიღი 2000 წლიდან 2008 წლამდე მერყეობდა. პასპორტები დაიბეჭდა აგვისტომდე ცოტა ხნით ადრე და მოიცავდა იმავე უნიკალურ საიდენტიფიკაციო კოდს. აღნიშნული ფაქტი შეუსაბამოა სამართლებრივი თვალსაზრისითაც: „მოქალაქეობის შესახებ“ რუსეთის კანონის თანახმად, პასპორტის ნომრები თანმიმდევრულია და იზრდება გაცემის თარიღის შესაბამისად, მაშინ როდესაც, დოკუმენტებზე, რომელთა გამოცემის თარიღები რამდენიმე წლის ფარგლებში იცვლება, თანმიმდევრული პასპორტის ნომრებია გამოყენებული. სხვა პასპორტების საიდენტიფიკაციო ნომრებიც,

ასევე ზემოაღნიშნულს ადასტურებს. სავარაუდოდ, 4600 მგავსი პასპორტი იყო გაცემული ხუთი დღის განმავლობაში, რაც დღეში 1400 პასპორტზე მეტს შეადგენს.

ამ პასპორტებიდან მფლობელის მიერ არც ერთი არ არის ხელმოწერილი. პასპორტებში ყველა ფოტო ძველია, სავარაუდოდ, სხვა საბუთებიდან აღებული, რადგან წინასწარ მოცილებული ბეჭდის ნაკვალევი შესამჩნევია. საქართველოს საჯარო რეესტრის თანახმად, საქართველოს არც ერთ მოქალაქეს, რომელთა სახელებიც პასპორტის მფლობელებად არის მითითებული, არ ჩამორთმევია საქართველოს მოქალაქეობა.

ადგილობრივი მოსახლეობისთვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების პოლიტიკა შემდგომში წახალისებული იყო სხვადასხვა ეკონომიკური და სოციალური სტიმულით. კერძოდ: რუსეთის პასპორტების მფლობელებს რუსეთი უხდიდა უფრო მაღალ პენსიებს, ვიდრე ეს დანარჩენ საქართველოში იყო; ისინი იღებდნენ სხვა სოციალურ შეღავათებს და რუსეთთან საზღვრის გადაკვეთა დაბრკოლებების გარეშე შეეძლოთ. ეს წახალისება ემსახურებოდა ორ მიზანს: პასპორტიზაციის პოლიტიკის ხელშეწყობას და ასევე, ამ რეგიონების რუსეთის ფედერაციაზე შემდგომ ეკონომიკურ დამოკიდებულებას.

2008 წლის აგვისტოს რუსეთის აგრესიამდე, ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის მცხოვრებთა უმრავლესობას, გალის რაიონში მცხოვრები დაახლოებით, 42.000 ეთნიკურად ქართველი მოსახლის გარდა, მიღებული ჰქონდა რუსული პასპორტი. (მაგალითად, სამხრეთ ოსეთში რუსეთის ფედერაციის ელჩის, ელბრუს კარგიევის ინფორმაციით, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ცხინვალის რეგიონის/ სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლებზე 32.519 პასპორტი გასცა.[111])

პასპორტის მისაღებად პირმა, წინასწარ უნდა წარადგინოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის მიღმა დარჩენილ ტერიტორიებზე ბინადრობის დამადასტურებელი საბუთი. ამდენად, ამ რეგიონებიდან იძულებით გადაადგილებული პირები ვერ ისარგებლებდნენ გამარტივებული რეჟიმით, ვინაიდან მათ არ გააჩნდათ მარიონეტული რეჟიმების მიერ გაცემული ბინადრობის დამადასტურებელი საბუთი.[112]

---

[111] იგივე.

[112] ვიცე-პრეზიდენტი: აფხაზეთის მოქალაქეების ეროვნული პასპორტების გაცემის (დამზადების) პროცესში მასობრივ დარღვევებს ჰქონდა ადგილი, რასაც ქვეყნის უსაფრთხოების საკითხისთვის

უფრო მეტიც, ეს პოლიტიკა გატარებული იყო 2002 წელს, დანარჩენ საქართველოსთან სავიზო რეჟიმის ცალმხრივად შემოღების ფონზე. რუსეთის პასპორტი მის მფლობელს რუსეთის ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების საშუალებას აძლევს. შესაბამისად, მექანიზმმა ადგილობრივ მოსახლეობაში რუსეთის მოქალაქეობის მიღების ინტერსი გააჩინა, იმ ვითარებაში, როდესაც საქართველოს მოქალაქეების გადაადგილება რუსეთში და მისი მიმართულებით, სრულად იყო შეზღუდული. როგორც ქვემოთ არის აღწერილი, რუსეთის ფედერაციამ საქართველოს მოქალაქეებისთვის ცალმხრივად შემოიღო სავიზო რეჟიმი, რომელიც არ უნდა გავრცელებულიყო კონფლიქტის ზონებში მცხოვრებ პირებზე თუ მათ რუსული პასპორტები გამარტივებული რეჟიმის ფარგლებში ექნებოდათ მიღებული. შესაბამისად, ცხინვალის მარიონეტულმა რეჟიმმა ქართველ თანამემამულეებს „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ დროებითი პასპორტები შესთავაზა, თუ ისინი უარს იტყოდნენ საქართველოს მოქალაქეობაზე, რასაც ადგილი არ ჰქონია რუსეთის მოქალაქეებთან მიმართებაში.

პასპორტიზაციის პროცესი უფრო ენერგიულად გაგრძელდა 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, რაც გამოიხატა ოკუპირებული ახალგორის რაიონში მცხოვრები ქართველების იძულებითი პასპორტიზაციის გზით. ამასთან დაკავშირებით, განცხადება გააკეთა კნუტ ვოლებეკმა, ეთნიკური უმცირესობების საკითხებში ეუთო-ს უმაღლესმა კომისარმა. 2008 წლის 27 ნოემბრს, ეუთო-ს თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილ წერილში უმაღლესმა კომისარმა შეშფოთება გამოთქვა შექმნილი სიტუაციის გამო, კერძოდ გალის რაიონთან დაკავშირებით, სადაც ეთნიკური ქართველები საკუთარი იდენტობის, ენის და კულტურის დაკარგვის საფრთხის წინაშე არიან. ასევე, თავმჯდომარის ყურადღება გამახვილდა უკანონო პასპორტიზაციაზე, რომელიც განსაკუთრებით აქტუალური იყო ახალგორისა და გალის რაიონებში. უმაღლესი კომისრის ინფორმაციის თანახმად, ვითარება იმ რაიონებში განსაკუთრებით საგანგაშოა, ვინაიდან ეთნიკურად ქართველი მცხოვრებლები „რუსეთის მოქალაქეობის... თავსმოხვევის“[113] წინაშე დგანან, რადგან მათ სხვა არჩევანი არა აქვთ, რუსეთის პასპორტების მიღების ან თავიანთი სახლების დატოვების გარდა.“ ამ

სერიოზულ ზიანის მიაყენება შეუძლია; ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:http;//www.regnum.ru/news/994089.htm

[5] http://www.osce.org/henm/item 1 32663.html

დროისათვის, ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის 90%-ზე მეტს მიღებული აქვს რუსეთის ფედერაციის მოქალაქის პასპორტი.[114]

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის (სამხრეთ ოსეთის?) მოსახლეობამ მონაწილეობა მიიღო რუსეთის ფედერაციის არჩევნებში, რომელიც 2004 წლის 14 მარტს ჩატარდა.

რუსეთის ხელისუფლების ეს ქმედება დაგმო საერთაშორისო თანამეგობრობამ. .ევროკავშირმა თავის დოკუმენტში ხაზი გაუსვა, რომ ეს ქმედება საფრთხეს უქმნის საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს, რაც წარმოადგენს ამ რეგიონების დე-ფაქტო ანექსიას. .[115]

ამასთან დაკავშირებით, განცხადება გააკეთა ეთნიკური უმცირესობის საკითხებში, ეუთო-ს უმაღლესმა კომისარმა კნუტ ვოლებეკმა. უმაღლესმა კომისარმა 2008 წლის 27 ნოემბრს, ეუთო-ს თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილ თავის წერილში განაცხადა: „სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ სხვა სახელმწიფოს მოსახლეობისთვის მოქალაქეობის მასობრივად მინიჭებისგან, რაც სუვერენიტეტის და კეთილმეზობლური ურთიერთობების პრინციპებების დარღვევას წარმოადგენს. საზღვარგარეთ თავისი მოქალაქეების ან „ეთნიკური ნათესავების“ არსებობა არ უნდა იყოს გამოყენებული, როგორც სხვა ქვეყნების სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის გამამართლებელი გარემოება.“[116]

ჯერ კიდევ ომამდე, რუსეთმა აქტიურად გამოიყენა პასპორტიზაციის პროცესის შედეგები საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევისთვის. რუსეთის მთავრობის აღმასრულებელი შტო სხვადასხვა ინსტანციაში აღნიშნავდა, რომ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მარიონეტულ რეჟიმებთან მისი გაძლიერებული

---

[6] „სამხრეთ ოსეთის თითქმის ყველა მცხოვრებმა მიიღო რუსეთის მოქალაქეობა“ http;//rus.postimees.ee/?id=122840

[115] 2001 წლის 18-19 ივნისს, ევროვროკავშირის საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის მიერ III სხდომაზე მიღებული დეკლარაციები და რეკომენდაციები, IRE/PCC/GH/KM/es, 2001 წლის 27 ივნისი, პარაგრაფი 27.

[116] http://www.osce.org/henm/item 1 32663.html

ურთიერთობები ამ რეგიონების მოსახლეობის, მათ შორის რუსეთის მოქალაქეების ინტერესების დაცვისკენ იყო მიმართული.

რუსეთმა ეს საბაბი 2008 წლის აგვისტოშიც გამოიყენა. მიუხედავად რუსეთის ხელისუფლების მცდელობისა, რომ ძალის გამოყენება „უცხოეთში მცხოვრები თანამემამულებების დაცვით“ გაემართლებინა, საერთაშორისო სამართლის მიხედვით მას არ შეუძლია ამ უფლების გამოყენება, ვინაიდან მასთან პირდაპირი და რეალური კავშირის არ აქვს. ეს განისაზღვრა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ, ნოტებომის საქმის მიხედვით (ლიხტენშტეინი გვატემალის წინააღმდეგ). ნოტებომის საქმეში სასამართლომ გამოიტანა დასკვნა, რომ „სახელმწიფო არ უნდა ითხოვდეს მის მიერ დადგენილი წესების აღიარებას სხვა სახელმწიფოს მიერ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის მოქმედებს იმ ზოგადი მიზნით, რომ განახორციელოს მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე სამართლებრივი ვალდებულება, რომელსაც საფუძვლად უდევს პიროვნების ფაქტობრივი კავშირი იმ სახელმწიფოსთან, რომელიც თავის მოქალაქეებს იცავს სხვა სახელმწიფოებისგან.“

არსებულ ვითარებაში, საერთაშორისო სამართლის ფარგლებში არც ერთი სახელმწიფო არ არის ვალდებული აღიაროს რუსეთის კავშირი აფხაზეთის მოსახლეობასთან რადგან რუსეთის ფედერაცია არ იმყოფება იმ სამართლებრივ ვითარებაში, რომ დაიცვას „თავისი მოქალაქეები“ აფხაზეთში საერთაშორისო სამართლის მიერ განსაზღვრული არასაკმარისი ფაქტიური კავშირის არარსებობის გამო. უფრო მეტიც, საზღვარგარეთ მცხოვრები თანამოქალაქეების დაცვისთვის ძალის გამოყენების უფლების არსებობა საერთაშორისო სამართალში არ არის საყოველთაოდ მხარდაჭერილი. კერძოდ, უპრეცედენტოა მეზობელი ქვეყნისგან, ისეთი პოლიტიკის გატარება, რომლის მიზანსაც სადაო ტერიტორიების ეთნიკური შემადგენლობის შეცვლა და შემდეგ „თანამემამულეების დაცვის“ საბაბით ძალის გამოყენება წარმოადგენს,“ მითუფრო მაშინ როდესაც აღნიშნული ქვეყანა აცხადებს, რომ კონფლიქტის შუამავალი და მშვიდობისმყოფელია. ამგვარი პოლიტიკის და პრაქტიკის რაიმე სახით დაშვება ეწინააღმდეგება გაეროს წესდების შინაარსს და მიმართულია სახელმწიფოთა შორის სუვერენიტეტისა და მეგობრული ურთიერთობების პრინციპების წინააღმდეგ.

ვინაიდან რუსეთი საოკუპაციო ძალაა, ნებისმიერი ქმედება, რომლის მიზანსაც ადგილობრივი მოსახლეობის შემადგენლობის ხელოვნური შეცვლა ან საკუთრი მოსახლეობის ჩასახლება წარმოადგენს, ასევე, ნებისმიერი სახის გადაადგილებები ან

დეპორტაციები, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის და კონკრეტულად, ჟენევის IV კონვენციის დარღვევას წარმოადგენს.

კითხვა 3. გთხოვთ, განმარტოთ, რა გაკეთდა 1992 წლის სოჭის შეთანხმების განხორციელებისათვის, რომელიც ეხება ცხინვალის რეგიონს/სამხრეთ ოსეთს, და ასევე ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა განცალკევების შესახებ 1994 წლის მოსკოვის შეთანხმების განხორციელებისთვის, რომელიც ეხება აფხაზეთს; რა გაკეთდა ამ შეთანხმებათა შესაბამისი ოქმებისა და მხარეთა მიერ პრაქტიკაში მათი განხორციელებისთვის? რა კავშირშია ეს გადაწყვეტილებები რუსეთის ჯარების გადაადგილებასთან 2008 წლის 7 აგვისტომდე არსებულ პერიოდში?

რუსული სამშვიდობო ძალები საქართველოს ტერიტორიებზე (აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი) ქართული და აფხაზური მხარეების მიერ 1994 წლის მაისში ხელმოწერილი ძალის არგამოყენების და ძალთა განცალკევების მოსკოვის შეთანხმების, ასევე დსთ-ის 1994 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილების და საქართველოს და რუსეთის ფედერაციის სახელმწიფოთა მეთაურების მიერ 1992 წლის 24 ივნისს ხელმოწერილი სოჭის შეთანხმების საფუძველზე იქნენ განთავსებული.

სისხლისღვრის და რუსეთის საჯარისო ნაწილების წინსვლის შესაჩერებლად, საქართველოს სხვა არჩევანი არ ჰქონდა, გარდა იმისა, რომ ხელ მოეწერა რუსეთის მიერ შემოთავაზებული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებებზე .[117] ამგვარად, ორივე შეთანხმება განსაკუთრებულ ვითარებაში იყო გაფორმებული, სადაც საქართველო იძულებული იყო დათანხმებოდა რუსი სამხედროების მის ტერიტორიაზე განთავსებას მშვიდობისმყოფელების ეგიდით. ამ რეალობამ მნიშვნელოვნად აზარალა სამშვიდობო პროცესების მოსალოდნელი რეალური შედეგები[118] და ინიციატივები, მათ შორის, ნდობის აღდგენის ღონისძიებები. რუსეთის ფედერაცია კარგად იყენებდა თავის მონოპოლიას რეგიონებში სამხედრო ძალების განთავსებაზე, კონტროლის გასაძლიერებლად და მარიონეტული რეჟიმების შესანარჩუნებლად. საქართველო მნიშვნელოვანი, შედეგზე ორიენტირებული საერთაშორისო დაცვის მექანიზმების შესაქმნელად, მთელი წლების განმავლობაში იბრძოდა ყველა ხელმისაწვდომ, მათ

[117] 1 იხ.: თანდართული ე. შევარდნაძის წერილი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტისადმი ცეცხლის შეწყვეთის მოთხოვნით.

[118] 2 იხ.: პასუხი სამართლებრივ კითხვაზე # 5/ სამშვიდობო წინადადებების აღმწერი ნაწილი.

შორის, გაერო-ს, ეუთო-ს, ევროსაბჭოს ფორუმებსა და საერთაშორისო ტრიბუნებზე ისე, რომ არასოდეს გამორიცხავდა რუსეთის თანამონაწილეობას. საქართველო შეშფოთებული იყო რუსი მშვიდობისმყოფელების მიერ განხორციელებული დარღვევების თითოეული შემთხვევის გამო, მაგრამ შეშფოთების მთავარი მიზეზი ყოველთვის ის იყო, რომ მშვიდობისმყოფელები რუსეთის ფედერაციის კონტროლისა და მანიპულირების კიდევ ერთ ინსტრუმენტს წარმოადგენდნენ. რუსული პასპორტების მასობრივი გაცემის შემდეგ [119] რუსეთის ფედერაციის ოფიციალური პოლიტიკა ნეიტრალურ მშვიდობისმყოფელობაზე მეტად, საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში „რუსი მოქალაქეების დაცვა“ გახდა.

რაც შეეხება რუსული სამხედრო შენაერთების და მათი კონტროლქვეშ მყოფი სხვა შენაერთების როლს აგვისტოს ომში, რუსული აგრესიის დროს, გთხოვთ, იხილოთ პასუხი სამხედრო კითხვაზე 3 – „რა როლი შეასრულეს და რა საქმიანობა გასწიეს სამშვიდობო ძალებმა აფხაზეთში, საქართველო და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში, ასევე, კითხვა #1 – „ქრონოლოგია.“

1. მშვიდობის შენარჩუნება აფხაზეთში

მოსკოვის შეთანხმების ხელმოწერის დროს, რუსული საჯარისო ნაწილები უკვე დისლოცირებული იყვნენ მდინარე ენგურთან, აფხაზეთსა და საქართველოს რეგიონის სამეგრელოს შორის. მოსკოვის შეთანხმებამ საქართველოს ტერიტორიაზე მათი ყოფნა „დააკანონა.“ მოგვიანებით, 1994 წლის 22 აგვისტოს, დსთ-ის ქვეყნების სახელმწიფო მეთაურთა საბჭომ რუსეთის სამშვიდობო ძალები დსთ-ის მანდატით აღჭურვა. თუმცა, დისლოცირებული საჯარისო ნაწილები და სარდალი ყოველთვის მხოლოდ რუსი ეროვნების იყო.

მოსკოვის შეთანხმებამ ოფიციალურად დააკანონა ორივე მხარის როლი საომარი მოქმედებების განუახლებლობაში და განსაზღვრა:

[119] 3 იხ.: პასუხი სამართლებრივ კითხვაზე #2.

ა) უსაფრთხოების ზონის და შეზღუდული შეიარაღების ზონის ჩამოყალიბება – ამათგან პირველი კრძალავდა ნებისმიერი შეიარაღებული ძალის და/ან მძიმე სამხედრო ტექნიკის, არსებობას, ხოლო მომდევნო ზღუდავდა ნებისმიერი მძიმე სამხედრო ტენიკის შეყვანას;[120]

ბ) უსაფრთხოების ზონაში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალებისა და სამხედრო დამკვირვებლების განლაგება;[121]

გ) სამშვიდობო ძალების დისლოცირების საწყის ფაზაზე უნდა მომხდარიყო საზღვრების გამიჯვნა დეტალურად შედგენილი რუკის საფუძველზე და ასევე უნდა შემუშვებული ყოფილიყო ძალთა განცალკევების გეგმა, რაც რაც შემდგომ ეტაპზე სამშვიდობო ძალების სარდლობას უნდა წარედგინა.[122]

ამ თვალსაზრისით:

- სამშვიდობო ძალების სარდლობა ვალდებული იყო დეტალური რუკის საფუძველზე საზღვრების გამიჯვნასა და ძალთა განცალკევების გეგმის შემუშავებაზე ეს მოთხოვნა არ შესრულებულა, რადგან საქართველოს მთავრობას სამშვიდობო ძალების სარდლობისგან არ მიუღია არც დეტალური რუკა და არც საზღვრების გამიჯვნის გეგმა; შესაბამისად, 1994 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების თანახმად, ის დსთ-ის სამშვიდობო ძალების ადგილმდებარეობის შესახებ ზოგადი სქემით ხელმძღვანელობდა, მათი დისლოცირების შემთხვევაში. მოსკოვის შეთანხმებაში დსთ-ის სამშვიდობო ძალებთან ერთად სამხედრო დამკვირვებლების განთავსებაც შედის, ხოლო შეთანხმების ოქმი ზემოაღნიშნულ ძალებს დროებითი გაერთიანებული სარდლობის (დგს) დაქვემდებარებაში აყენებს. ამის მიუხედავად, არ შექმნილა არც სამხედრო დამკვირვებლების და არც დგს-ის ჯგუფი. არსებული სამშვიდობო ძალების მართვასა და კონტროლს მთლიანად რუსეთის სამხედრო ძალები ახორციელებდნენ, ნაცვლად დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის დროებითი გაერთიანებული სარდლობისა.

---

[120] [4] მოსკოვის შეთანხმების პუნქტი 2(ა).

[121] [5] მოსკოვის შეთანხმების პუნქტი 2(ბ).

[122] [6] მოსკოვის შეთანხმების პუნქტი 3.

ამ მიმართულებით, მოსკოვის შეთანხმების ოქმში სამშვიდობო ძალებთან დაკავშირებით გაწერილია:

დ) ლტოლვილების და იძულებით გადაადგილებული პირების უსაფრთხო დაბრუნების ხელშეწყობა;

ე) ძალების მიერ ადგილობრივი კანონებისა და რეგულაციების დაცვა;

ვ) ადგილობრივი სამოქალაქო ადმინისტრაციის შეუფერხებელი მუშაობა; სამშვიდობო ძალების ფუნქციონირება დროებითი გაერთიანებული სარდლობისა და სამშვიდობო ძალების სარდლის დაქვემდებარებაში.

- **იძულებით გადაადგილებული პირებისა და ლტოლვილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნება**

ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება ნათლად აღნიშნავს, რომ სამშვიდობო ძალების მანდატი აფხაზეთში, საქართველო, იძულებით გადაადგილებული პირებისა და ლტოლვილთა უსაფრთხო დაბრუნებას ითვალისწინებს. შერეული სამშვიდობო ძალები ვალდებული იყვნენ ემოქმედათ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებისა და1994 წლის დსთ-ის გადაწყვეტილების მოთხოვნათა შესაბამისად. გარდა ამისა, სამშვიდობო ოპერაციის განვითარების შესახებ 1997 წლის 28 მარტის დსთ-ის შესაბამისი გადაწყვეტილებით, სამშვიდობო ძალების კონტიგენტი ვალდებული იყო ერთი თვის ვადაში გაეფართოებინა უსაფრთხოების ზონის აფხაზური მხარის მონაკვეთი, რათა მომხდარიყო რეგიონში კერძოდ, გალის რაიონში, იძულებით გადაადგილებული პირების, უსაფრთხო დაბრუნების პროცესის დაწყება.[123] ეს მოთხოვნები არ დაკმაყოფილებულა და ამგვარი ნაბიჯები არ გადადგმულა.

მიუხედავად დსთ-ის მანდატით აღჭურვილი სამშვიდობო ძალების არსებობისა, 1995-1996 წლებში ადგილი ჰქონდა ეთნიკური ქართველების ხოცვას და მასობრივ მკვლელობებს, რის შედეგადაც დაიღუპა 450 ადამიანი და ათასობით პირი განიდევნა აღმოსავლეთის მიმართულებით.[124] სამშვიდობო ძალები/მათი წევრები ჩართული იყვნენ მარიონეტული რეჟიმის შეიარაღებული ძალების მიერ აფხაზეთის საქართველო,

[123] 7 http://www. rrc.ge/lawigad 1997 03 28 ehim?lawid-1159&lng 3-en

[124] 8 შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი, ქვეყნის ანგარიში ადამიანის უფლებების დაცვაზე 1993, თებერვალი 1994.

გალის რაიონის ადგილობრივი ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებულ რეპრესიებში. ამ მხრივ, აღსანიშნავია 1998 წლის მაისის მოვლენები.[125] მოსკოვის შეთანხმება (ე.წ. ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება) დევნილთა დაბრუნების პროცესთან დაკავშირებულ რიგ დებულებებს ითვალისწინებდა, თუმცა მისი განხორციელება პრობლემატური აღმოჩნდა, აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის მზარდი წინააღმდეგობის გამო შეიქნა.[126] ქართველი მოსახლეობა, რომელიც გალში სპონტანურად დაბრუნდა, რთულ და არასაიმედო ვითარებაში აღმოჩნდა, რომელიც 1998 წლის მაისში ღია სამხედრო მოქმედებებში გადაიზარდა.[127] ამ პერიოდში აფხაზურმა ბანდფორმირებებმა გალი გაანდაგურეს; ისინი სისტემატურად წვავდნენ და ძარცვავდნენ სოფლებს, დევნიდნენ დაახლოებით 40.000 მოსახლეს. უფრო კონკრეტულად, 1998 წლის გალის მოვლენების თვითმხილველთა მიერ გადმოცემული ინფორმაცია ადასტურებს რუსული სამშვიდობო ძალების წარმომადგენელთა ქართველებზე თავდასხმებში პირდაპირი მონაწილეობის ფაქტებს, ან მათი თანდასწრებით აფხაზი, ჩეჩენი და კაზაკი ბოევიკების მიერ განხორციელებულ თავდასხმებს (სოფლებში: საბერიო, დიხაზურგა, ზემო ბარღები, პირველი ოტობაია, გაგიდა, ჭუბურხინჯი, სიდა, განახლება, და სხვა).[128]

რუსმა სამშვიდობოებმა აფხაზურ ბანდფორმირებებთან და შეიარაღებულ დაჯგუფებებთან ერთად და მათ გარეშე მონაწილეობა მიიღეს გალის რაიონში ქართველი მოსახლეობის დევნაში. რუსი სამშვიდობოების ან მათთან დაკავშირებული პირების მიერ ჩადენილი ადამიანის უფლებათა დარღვევის ზუსტი ქრონოლოგია არ არის ხელმისაწვდომი ქართული მხარისთვის, ობიექტური მიზეზების გამო. თუმცა, დაფიქსირებულია ნასვამ მდგომარეობაში მყოფი მშვიდობისმყოფელების მიერ

---

[125] [9] 1998 წლის მაისში გალის რაიონში სამხედრო მოქმედებებმა დაძალადობამ იფეთქა, რის შედეგადაც დაახლოებით გალის რაიონიდან 40 000 მოსახლე იძულებით მეორედ იქნა დევნილი მდინარე ენგურის მეორე ნაპირზე (მათშორის გაეროს ლტოლვილთა საბჭოს დახმარებით აშენებული ქართული სოფლების გადაწვა) - იხ. გაერო-ს გენერალური მდივნის ანგარიში S/1998/647; იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხებში გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენლის ანგარიში, ბატონი Francois Deng, მასობრივი გამოსვლა და ადგილნაცვალი პირები - საქართველო, E/CN4/2001/5/Add.4 2001 წლის 25 იანვარი; Jared ფეინბერგი სქოვილის თანამემამულეთა ცენტრი - თავდაცვის ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე https://www.odi.org/weekly/1998/issue22/#4

[126] [10] ასევე, იხ.: იძულებითი მიგრაცია: რეპატრიაცია საქართველოში, ფონდი ღია სახოგადოება, ნიუ-იორკი, 1995 წლის ივნისი, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე https://www.osi.bu/imp/hool/g H.html

[127] [11]იხ. ზემოთ სქოლიო 6.

[128] [12]კრიმინალურ საქმე # 9798820-თან დაკავშირებით მოწმის დაკითხვის ოქმი.

ეთნიკური ქართველების ცემის, სროლის ასევე, ძარცვის შემთხვევები, რაც ხშირად უბედური შემთხვევით მთავრდებოდა.

ეს ძალები დევნიდნენ და აშინებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. ზოგჯერ რუსი მშვიდობისმყოფელები თვითონ ჩნდებოდნენ აფხაზურ ბანდფორმირებებთან ერთად. მაგალითად, 2006 წლის 29-30 აპრილს, რუსი სამშვიდობოები გალის რაიონის ქართულ სოფლებში ახორციელბდნენ პატრულირებას იმის გადასამოწმებლად, ჰქონდათ თუ არა ეთნიკურ ქართველებს ე.წ. ფორმა # 9 – დოკუმენტი, რომელსაც ითხოვდა მარიონეტული რეჟიმი, აფხაზეთში მოსახლეობის გადაადგილებისა და ენგურის ხიდს გადაკვეთისთვის რათა შესაძლებელი ყოფილიყო მათი დაბრუნება ზუგდიდიდან გალში. ზუგდიდიში ეს ხალხი თავის სარჩენად ჩადიოდა.

- **რუსი მშვიდობისმყოფელები აფხაზი მარიონეტული ბანდფომირებებისთვის იარაღის მიწოდებასა და კონტრაბანდაში მონაწილეობდნენ**

ტერიტორიაზე წვდომის არქონის გამო, ქართულ მხარეს არ გააჩნია რუსი მშვიდობისმყოფელების მიერ ჩადენილი დარღვევების სრული ჩამონათვალი. თუმცა, სხვებთან ერთად შემდეგი შემთხვევები იქნა დაფიქსირებული:

– 2007 წლის დეკემბერში, რუსმა მშვიდობისმყოფელებმა აფხაზურ შეიარაღებულ ძალებს ჯავშანტრანსპორტიორები და საბრძოლო მასალები გადასცეს. ეს შეიარაღება და საბრძოლო მასალები მათ წებელდაში, სამთო ბრიგადის მებრძოლებმა მიაწოდეს.

– 2006 წლის 26 მარტს, რუსმა მშვიდობისმყოფელებმა თავი მოაჩვენეს, რომ დაკარგეს გუდაუთის ბაზაზე შენახული იარაღი და საბრძოლო საბრძოლო მასალები (აფხაზეთის ცენტრში განთავსებული გუდაუთის ბაზის საკუთარი სამხედრო მიზნებისთვის გამოყენება, რუსი მშვიდობისმყოფელების მიერ ჩადენილი ცალკე უკანონო ქმედებაა). მოგვიანებით, ცნობილი გახდა, რომ იარაღი და საბრძოლო მასალები აფხაზურ ბანდფომირებებს და შეიარაღებულ დაჯგუფებებს გადაეცათ (დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. პასუხი სამართლებრივ კითხვაზე #1).

როგორც წესი, რუსი მშვიდობისმყოფელები თვალს ხუჭავდნენ აფხაზეთის მარიონეტული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ დარღვევებზე და ასეთ

დარღვევებში თავადაც მონაწილებდნენ. მაგალითად, 2006 წლის მარტში, მოსკოვის შეთანხმების დარჩევით, აფხაზურმა ეგრეთ წოდებულმა საზღვრის დამცველებმა რუსი მშვიდობისმყოფელების #210 საგუშაგოსთან ახლოს თავიანთი შტაბის მშენებლობა დაიწყეს. იმის მაგივრად, რომ მშენებლობის შესაჩერებლად ზომები მიეღოთ, რუსი მშვიდობისმყოფელები თავად მონაწილეობდნენ პროცესში. სამწუხაროდ, რუსი მშვიდობისმყოფელები გაცილებით უფრო სერიოზულ ქმედებებს გეგმავდნენ და მის განხორციელებაში მონაწილეობდნენ. კერძოდ: 2007 წლის 20 სექტემბერს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალურმა შენაერთმა კოდორის ხეობაში გაანეიტრალა 10-კაციანი შეიარაღებული დაჯგუფება, რომელსაც დაგეგმილი ჰქონდა თავდასხმის განხორციელება ზემო აფხაზეთის დანარჩენ საქართველოსთან დამაკავშირებელ გზაზე. ურთიერთსროლების შედეგად დაიღუპა ამ დაჯგუფების მეთაური და მისი მოადგილე. ისინი იდენტიფიცირებულნი იყვნენ, როგორც **იგორ მუზავატკინი** (რუსული შეიარაღებული ძალების ვიცე-პოლკოვნიკი, დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების ყოფილი წევრი, რომელიც კონტრაქტის საფუძველზე მსახურობდა აფხაზი სეპარატისტების უშიშროების სამსახურის სასაზღვრო ჯარების დივიზიაში) და **არტურ ზორინი** (რუსული შეიარაღებული ძალების მაიორი, აგრეთვე დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების ყოფილი წევრი). გამანადგურებელი ჯგუფის შვიდი წევრი, რომლებმაც თავი გაამჟღავნეს, აფხაზი სეპარატისტების უშიშროების სამსახურის სასაზღვრო ჯარების დივიზიის წევრებად დააპატიმრეს. მოგვიანებით, კეთილი ნების ნიშნად, ისინი გაათავისუფლეს და გადასცეს აფხაზეთის სეპარატისტულ მთავრობას.

მარიონეტული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ქმედებებში მშვიდობისმყოფელების პირდაპირი როლის კიდევ ერთი მაგალითი **ალექსანდრე პავლუიშკოს** თანამდებობრივი გადაადგილებაა: **რუსული სამშვიდობო ძალების შტაბის უფროსი ალექსანდრე პავლუიშკო[129] 2008 წლის აპრილში გადადგა, აფხაზეთის დე-ფაქტო თავდაცვის მინისტრის თანამდებობის დასაკავებლად.** გამომდინარე იქიდან, რომ მშვიდობისმყოფელის რანგში მან გამოცდილება მიიღო საქართველოში, მან კარგად იცოდა ქართული პოლიციის მდებარეობის ყველა წერტილი. 2008 წლის აგვისტოში ის იყო პასუხისმგებელი კოდორის ხეობის/ზემო აფხაზეთის ოკუპაციის დაგეგმვასა და წარმართვაზე.

[129] ალექსანდრე პავლუიშკოს შესახებ, დამოწმება13.

- **რუსეთი მშვიდობისმყოფელებს პროცესის მანიპულირებისა და რეგიონში ვითარებაზე კონტროლის შენარჩუნების იარაღად იყენებდა**

დროთა განმავლობაში ნათელი გახდა, რომ დსთ-ის მანდატით დისლოცირებული რუსული სამშვიდობი ძალები, არ ასრულებდნენ თავიანთ ფუნქციებს, პირიქით, მხარს უჭერდნენ მარიონეტულ რეჟიმებს, ხშირად მონაწილეობდნენ ძალადობაში და უკანონო საქმიანობებში. ამ საგანგაშო ტენდენციამ ნათელი გახადა, რომ სამშვიდობო ფორმატის ცვლილების გარეშე კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტა საეჭვო იყო. სწორედ ამიტომ, საქართველომ ფორმატის შეცვლის საკითხი სხვადასხვა დონეზე მრავალჯერ წამოჭრა.[130] მიუხედავად ამისა, რუსეთის ფედერაცია მუდმივად ეწინააღმდეგებოდ ნებისმიერი სახის ცვლილებას და ამტკიცებდა, რომ აფხაზური მხარე იყო ამის წინააღმდეგი. აშკარა იყო, რომ აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმი და მისი რუსი მხარდამჭერები ერთობლივად მოქმედებნდნენ.

<u>სამშვიდობო მანდატის გამოყენება პოლიტიკური და სამხედრო მიზნებისათვის სულ უფრო აშკარა 2008 წელს გახდა, როდესაც რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ დაუფარავი აგრესიის პოლიტიკა დაიწყო.</u>

2008 წლის 29 აპრილს, რუსეთის თავდაცვის მინისტრმა საქართველოს თავდაცვის მინისტრს აფხაზეთში დისლოცირებული დსთ-ის სამშვიდობოების ცალმხრივად გაზრდის შესახებ აცნობა. რუსეთმა განაცხადა, რომ აფხაზეთში, სამშვიდობოების ზრდის ერთ-ერთი მოტივი „საკუთარი თანამემამულეების დაცვა“ იყო. სინამდვილეში, მშვიდობისმყოფელების საფარქვეშ რუსეთმა მძიმე საბრძოლო აღჭურვილობის, მათ შორის, რუსეთის სადესანტო ბატალიონის კონტინგენტის და მძიმე არტილერიის განთავსება მოახდინა, რაც არ არის ნებადართული მოსკოვის ხელშეკრულების და 1994 წლის დსთ-ის ქვეყნების სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად. საქართველოში, აფხაზეთის ტერიტორიაზე იმ ჯარების ზუსტი დისლოკაციის შესახებ არც საქართველოს მთავრობა და არც საქართველოში გაეროს სადამკვირვებლო მისია (UNOMIG) არ იყო ინფორმირებული.[131]

---

[130] იხ.: პასუხი სამართლებრივ კითხვაზე #5/სამშვიდობო ინიციატივების ნაწილი.

[131] გაეროს გენერალური მდივნის ანგარიში აფხაზეთში, საქართველო, ვითარების შესახებ, 2008 წლის 23 ივლისით დათარიღებული, S/2008/480.

აფხაზეთში, საქართველო, მყოფი რუსეთის შეიარაღებული ძალების ერთპიროვნულმა ზრდამ დაარღვია აფხაზეთში, საქართველო, დსთ-ის (რუს) სამშვიდობოებთან დაკავშირებით არსებული სამართლებრივი ჩარჩო. ეს საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების და საქართველოს სუვერენიტეტის, პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას წარმოადგენდა. დსთ-ის ძალების ზრდასთან და რუსეთის სადესანტო ნაწილების (რომლებიც ოფიციალურად სამშვიდობო ძალების ნაწილს არ შეადგენენ) დისლოკაციის შესახებ, საქართველოსთან კონსულტაციები არ ჩატარებულა. უფრო კონკრეტულად, შემდგომი ზრდა 2008 წლის გაზაფხულზე, 16 აპრილს დაფიქსირდა, როდესაც რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა გამოსცა ბრძანება, რომელიც რუსეთის მთავრობას აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მარიონეტულ ხელისუფლებებთან პირდაპირი კავშირების დამყარებას ავალებდა.[132]

- 17 აპრილს, 300 რუსი კონტრაქტორი ჯარისკაცით დატვირთული „ურალის“ ტიპის რამდენიმე სატვირთო მანქანა, შემოვიდა ოჩამჩირის საზღვაო პორტის სამხედრო ბაზაზე.
- 20 აპრილს, 10:00 სთ-ზე რუსული მოიერიშე თვითმფრინავი თავს დაესხა და ჩამოაგდო ქართული უპილოტო საჰაერო აპარატი „ჰერმეს-450“ სოფელ გაგიდას თავზე, გალის რაიონში. ეს ფაქტი დადასტურდა გაეროს სპეციალური გამოძიებით.
- 29 აპრილს, რუსეთმა დაიწყო თავისი სამშვიდობო კონტინგენტის ზრდა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში, როგორც ეს განაცხადა რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ.
- 29 აპრილს, 30-ვაგონიანმა ეშელონმა, რომელსაც გადმოყავდა 26 შენიღბული ჯავშანმანქანა, მათ შორის, BMD-ები, D-30 ტიპის ჰაუბიცები და სხვ. რკინიგზით გადმოკვეთა საქართველო-რუსეთის საზღვარი მდინარე ფსოუს მახლობლად. ეშელონს ჰქონდა 4 დამატებითი სამგზავრო ვაგონი, რომლებსაც გადმოჰყავდა ნოვოროსიისკის სამხედრო ბაზის ჯარისკაცები. ეშელონი გადმოტვირთეს სოხუმის რკინიგზის სადგურში, საიდანც ჯარისკაცები და იარაღი გადაანაწილეს მაიაკის სამხედრო ბაზაზე, სოხუმში, წებელდას სამხედრო პუნქტზე (კოდორის ხეობის მიმართულებით), ოჩამჩირეს საზღვაო პორტში, ტყვარჩელისა და გალის რაიონებში
- 1 მაისს, დამატებითი საკონტროლო-გამშვები პუნქტები გაიხსნა თითქმის ყველა სტრატეგიულად მნიშვნელოვან გზაზე, ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონებში, მათ შორის სოფლებში: ნაკარგალი, ალახაძი და აკალამრა. 3 მაისს, 120 მმ საარტილერიო სისტემების 5 ერთეული და რამდენიმე საზენიტო არტილერიის დაცვის სისტემა BUK-MI განთავსდა ოჩამჩირის საზღვაო პორტის სამხედრო ბაზაზე. 6 მაისს, დასრულდა რუსეთის დამატებითი, ნოვოროსიისკისა და ფსკოვის საჰაერო-სადესანტო ბატალიონის (მინიმუმ, 400 ჯარისკაცი) განთავსება აფხაზეთში, რომელიც დაიწყო 29 აპრილს. ეს

[132] ქვემოთ მოტანილია ამონარიდები პუნქტობრივად, 2008 წელს, საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესიიდან (პასუხი სამხედრო კითხვაზე #1). გთხოვთ, იხილეთ დანართებში მოცემული მტკიცებულებების ქრონოლოგია.

ფაქტი შემდგომ დადასტურდა უამრავი მედია საშუალებით, მათ შორის, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური გაზეთით, „კრასნაია ზვეზდა.“

- 31 მაისს, რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ აფხაზეთში გადმოიყვანა ვოლგოგრადის სარკინიგზო ძალების 76-ე ნაწილის 400 ჯარისკაცი. ამ ძალებმა დაიწყეს რკინიგზის რეკონსტრუქცია სოხუმიდან ოჩამჩირემდე და პლატფორმების გამაგრება; ამრიგად, მოამზადეს რკინიგზა მძიმე სამხედრო აღჭურვილობის ტრანსპორტირებისა და გადმოტვირთვებისათვის.(იხ. დანართები 12 და 13).
- აპრილ-ივნისში, რუსეთმა გაამაგრა სამხედრო ბაზები სოხუმში (მაიაკი), ბომბორაში (გუდაუთა) ოჩამჩირესა და ოხურეიში შემდეგი საშუალებებით:

  - 3BUK საჰაერო თავდაცვის სისტემები;
  - 40 D 30 ჰაუბიცები;
  - 10 BM 21 „გრადის“ სისტემები;
  - ZU-23-2, ZU-23-4 AA თოფები;
  - 120 ტანკსაწინააღმდეგო ჭურვი;
  - 2MI-24 შვეულმფრენები;
  - ავიაციის 50 სპეციალისტი;
  - 30 სამხედრო ექსპერტი;
  - კომუნუკაციის და საზენიტო დაცვის 100 ექსპერტი;

- 6 ივნის რამდენიმე SU-25 და SU-27 ტიპის მოიერიშე თვითმფრინავი იქნა შემჩნეული გუდაუთაში ბომბორას სამხედრო ბაზაზე (საქართველოს დაზვერვის ინფორმაცია HUMINT).

- **პასუხი ბრალდებებზე 2006 წელს, კოდორის ხეობაში მოქმედების გამო საქართველოს მიერ მოსკოვის შეთანხმების დაცვასთან დაკავშირებით [133]**

2006 წლის აგვისტოს ბოლოდან, 2008 წლის აგვისტოს დასაწყისამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზემო აფხაზეთში ჰყავდა 380–580-მდე პოლიციის ოფიცერი (რაოდენობა იცვლებოდა უსაფრთხოების საჭიროებებიდან გამომდინარე). პოლიციის ამ ოფიცერთა უმრავლესობა, კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტიდან და სპეციალური დანიშნულების მთავარი განყოფილებიდან, ყოველთვიურად განიცდიდა როტაციას, ხოლო მცირე ნაწილი (დაახლ. 100 ადამიანი), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის მიერ ადგილობრივად იყო დაქირავებული, რათა დაეცვათ საქართველო-რუსეთის საზღვრის ზემო აფხაზეთის მონაკვეთი. შედარებით მცირე ტერიტორიისთვის პოლიციის ოფიცრების ასეთი დიდი რაოდენობა ერთი მხრივ განპირობებული იყო იმით, რომ აფხაზეთის მარიონეტული

[133] იხ.: უფრო დეტალურად პასუხში სამხედრო კითხვაში #4.

ხელისუფლება მუდმივად იმუქრებოდა ხეობაზე თავდასხმით (საჯარო განცხადებების ჩათვლით). იმ შემთხვევაშიც კი, თუ მარიონეტული რეჟიმის მხრიდან მცირე მასშტაბის დივერსიული ოპერაცია დაიწყებოდა, საქართველოს მთავრობა საჭირო დროს სამართალდამცველების გაძლიერებას ვერ შეძლებდა ხეობის მიუწვდომლობის გამო (წელიწადში 7-8 თვე სახმელეთო გზით ხეობა მიუწვდომელი იყო, ვიდრე მთავრობამ თავის თავზე არ აიღო გზის რეაბილიტაცია).

ქართული პოლიციის შენაერთები (საშუალოდ, შედგებოდა 30-40 პოლიციელისაგან) მუდმივად იმყოფებოდნენ სოფლებში – ქვაბჭარა, მრამბა, პტიში, ჩხალრა, აჟარა, მარცხენა გენწვისი, მარჯვენა გენწვისი, ომარიშარა და საკენი. ისინი მსუბუქი შეიარაღებით იყვნენ აღჭურვილი და აწარმოებდნენ პატრულირებას განსაზღვრულ რეჟიმში ხეობის ამ და სხვა სოფლებში (სულ, 22 სოფელი).

2006 წლის 12 ოქტომბერს, საქართველოში გაერო-ს სადამკვირვებლო მისიამ და დსთ-ის კოლექტიურმა სამშვიდობო ძალებმა ჩაატარეს ზემო აფხაზეთის რეგულარული პატრულირება. შემდგომი ერთობლივი პატრულირების დროს, 2006 წლის 14–16 დეკემბერს, საქართველოში გაერო-ს სადამკვირვებლო მისიამ და დსთ-ის კოლექტიურმა სამშვიდობო ძალებმა იხილეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2006 წლის ივლისში ამოღებული შეიარაღების დიდი მარაგი (ეკუთვნოდა ადგილობრივი მკვიდრის ემზარ კვიციანის უკანონო შეიარაღებული ფორმირების), რომელიც განადგურდა. საქართველოში გაერო-ს სადამკვირვებლო მისიისა და დსთ-ის კოლექტიური სამშვიდობო ძალების მომდევნო ერთობლივი პატრულირება ჩატარდა 2007 წლის 5–7 მარტს, 2007 წლის 14–15 მაისს და 2007 წლის 4–6 ივნისს.

2007 წლის ივლისში, საქართველოში გაერო-ს სადამკვირვებლო მისიამ განაახლა თავისი გუნდის წარმომადგენლობა სოფელ აჟარაში და დაიწყო მთლიანად ხეობის ყოველდღიური მონიტორინგი, რაც 2008 წლის 9 აგვისტომდე გაგრძელდა. ამ დროის განმავლობაში, UNOMIG-ის დამკვირვებლებს არ დაუფიქსირებიათ 1994 წლის მოსკოვის შეთანხმების რაიმე სახის დარღვევა ქართული მხარის მიერ ზემო აფხაზეთში, მაშინ როდესაც აფხაზმა სეპარატისტებმა, რუსული მხარის დახმარებით, რამდენიმე სერიოზული პროვოკაცია მოაწყვეს (გაერო-ს ანგარიშები კოდორის ხეობის შესახებ, იხ. დანართი 1).

- **რუსმა მშვიდობისმყოფელებმა კოდორის ხეობაზე თავდასხმის ნება დართეს**

2007 წლის 11 მარტს, 22:10 სთ-დან 24:00სთ მდე, კოდორის ხეობა მოექცა ერთდროული საარტილერიო და საჰაერო თავდასხმის ქვეშ. სულ ცოტა, 17 „ბმ21/გრადის“ ტიპის რაკეტა იყო ნასროლი მიწიდან და სულ ცოტა, 1 „ატ-9/ატაკას“ ტიპის მართვადი რაკეტა იყო ნასროლი ჰაერიდან. საჰაერო თავდასხმის სამიზნე იყო სოფელ ჩხალთაში მდებარე ადმინისტრაციის შენობა. საარტილერიო თავდასხმის სამიზნეები იყო: სოფელ ჩხალთაში მდებარე ადმინისტრაციის შენობა, ბენზინისა და საწვავი მასალების საწყობი და პოლიციის განყოფილება სოფელ აჟარაში. მაღალი სიზუსტის საჰაერო თავდასხმა თანამედროვე რაკეტების გამოყენებით, ვერტმფრენების ღამის ფრენები მთიან ადგილებში და მასიური საარტილერიო დაბომბვა იმის მანიშნებელია, რომ ეს იყო კარგად ორგანიზებული და დაგეგმილი სამხედრო ოპერაცია, რომლის ამ რეგიონში ჩატარება მხოლოდ რუსულ შეიარაღებულ ძალებს შეეძლოთ.

- **რუსი მშვიდობისმყოფელები უშუალოდ მონაწილეობდნენ კოდორზე თავდასხმებში**

2007 წლის 20 სექტემბერს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალურმა შენაერთმა კოდორის ხეობაში გაანეიტრალა 10-კაციანი შეიარაღებული დაჯგუფება, რომელსაც დაგეგმილი ჰქონდა თავდასხმის განხორციელება ზემო აფხაზეთის დანარჩენ საქართველოსთან დამაკავშირებელ გზაზე. ურთიერთსროლების შედეგად დაიღუპა ამ დაჯგუფების მეთაური და მისი მოადგილე. ისინი იდენტიფიცირებულნი იყვნენ, როგორც იგორ მუზავატკინი (რუსული შეიარაღებული ძალების ვიცე პოლკოვნიკი, დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების ყოფილი წევრი, რომელიც კონტრაქტის საფუძველზე მსახურობდა აფხაზი სეპარატისტების უშიშროების სამსახურის სასაზღვრო ჯარების დივიზიაში) და არტურ ზორინი (რუსული შეიარაღებული ძალების მაიორი, აგრეთვე დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების ყოფილი წევრი). გამანადგურებელი ჯგუფის შვიდი წევრი, რომლებმაც თავი გაამჟღავნეს, აფხაზი სეპარატისტების უშიშროების სამსახურის სასაზღვრო ჯარების დივიზიის წევრებად, დააპატიმრეს. მოგვიანებით, კეთილი ნების ნიშნად, ისინი გაათავისუფლეს და გადასცეს აფხაზეთის სეპარატისტულ მთავრობას.

2. მშვიდობის შენარჩუნება ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში

შერეული სამშვიდობო ძალები შექმნილი იყო 1992 წლის სოჭის შეთანხმების თანახმად, შერეული საკონტროლო კომისიის ამოცანების შესრულების მიზნით. ამგვარად, შერეული სამშვიდობო ძალების კონტიგენტი წარმოადგენს მექანიზმს სოჭის შეთანხმებით განსაზღვრული ამოცანების და მიზნების მიღწევისთვის, რაც უპირველესად, კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას ნიშნავს. ამდენად, ეს კონტიგენტი სოჭის შეთანხმების საფუძველზე იყო შექმნილი, რომელიც მისი შესაძლებლობებისა და მანდატის ერთადერთ უფლებრივ წყაროს წარმოადგენს.

1992 წლის ივლისის ვლადიკავკასის ოქმის, მე-3 მუხლის თანახმად, შერეული სამშვიდობო ძალები შერეული საკონტროლო კომისიის უშუალო დაქვემდებარებაში იმყოფება. 1992 წლის 6 ივლისით დათარიღებული #2 ოქმის (საკითხი #4) თანახმად, „სახელმწიფო, რომელმაც თავისი სამხედრო კონტინგენტი შერეული სამშვიდობო ძალების სამსახურში განაწესა, შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში, თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას.“ აქედან გამომდინარე, შერეული სამშვიდობო ძალების მიერ სოჭის შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში, ძირითადი პასუხისმგებლობა ეკისრება დარღვევებში მონაწილე სახელმწიფოს.

შერეული სამშვიდობო ძალების მართვის სტრუქტურას და გადაწყვეტილებების მიღების პროცესს, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. 2001 წლის 21 აპრილის ოქმმა #11 დაამტკიცა კოლექტიური სამშვიდობო ძალები ორგანიზაციული და ჯარების მართვის სტრუქტურა. მასში ე. წ სქემა #3 ადგენს – ჯარების მართვის ცალმხრივ სტრუქტურას, ნაცვლად 1994 წლის 6 დეკემბრის რეგულაციების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კოლეგიალური მოდელისა. ზემოაღნიშნული დადგენილება ამბობს: სამხედრო კონტინგენტი და სამხედრო დამკვირვებლები ექვემდებარებიან რუსული, ქართული და ჩრდილოეთ ოსეთის მხარეებისგან შემდგარ **ერთიან ხელმძღვანელობას**. შერეული სამშვიდობო ძალების ქართული, რუსული და ჩრდილოეთ ოსეთის ბატალიონები გაერთიანებული ხელმძღვანელობის დაქვემდებარებაში მოქმედებენ, რომელსაც კოორდინირებას შერეული სამშვიდობო ძალების მეთაური უწევს.[134] ეს უკანასკნელი რუსეთის უშიშროების სამინისტროს მიერ

[134] 1992 წლის ივნისის შეთანხმებამ შექმნა სამმხრივი -ქართულ-ოსურ-რუსული კოლექტიური ძალები. გაუგებრობაა, რომ იგი არის ოთხმხრივი, მოიცავს რა, ორივეს, სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის მხარეებს, მაგრამ არის მხოლოდ ერთი ოსური ბატალიონი. ის ექვემდება ჩრდილოეთ ოსეთის ოფიცერს, მაგრამ

წარდგენილი და შერეული სამშვიდობო კომისიის მიერ არის დანიშნული. ბატალიონების მეთაურები (უმაღლესი ჩინის მქონე სამხედრო პირები) უშუალოდ, მხარეების მიერ არიან დანიშნულები.[135]

თავდაპირველად, სამშვიდობო ძალების ფარგლებში ოსური ბატალიონი ჩრდილოეთ ოსეთის (რუსეთი), ახალწვეულებისგან შედგებოდა. თუმცა, დროთა განმავლობაში იგი ადგილობრივი მცხოვრებლებით შევსებული სამხრეთ ოსეთის ბატალიონად გადაიქცა.[136] საერთაშორისო დამკვირვებლები ადასტურებენ, რომ ოსური ბატალიონი, რამდენიმე ოფიცრის გამოკლებით, სამხრეთ ოსეთის მკვიდრებით იყო დაკომპლექტებული და წარმოადგენდა „სამხრეთ ოსეთის მთავარ დამსაქმებელს.“ აგვისტოში საქართველოში შეჭრის დროს, ამან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.[137]

რუსულმა სამშვიდობო ძალებმა თავი ვერ გაართვეს თავიანთი მანდატის შესრულებას. წარუმატებლობა განსაკუთრებით, აშკარა იყო განიარაღების სფეროში. სამშვიდობოები ძალზე წარუმატებელი აღოჩნდნენ თავიანთი მანდატით განსაზღვრული მიზნების შესრულებაში, განსაკუთრებით,უკანონო შეიარაღებული ფორმირებების განიარაღების, ფორტიფიკაციების ლიკვიდაციის და მძიმე სამხედრო ტექნიკის გამოყვანის მიმართულებით. ამის ნაცვლად, რუსული სამშვიდობო ძალების დაშვებით, შეიარღების რაოდენობა კონფლიქტის ზონაში მნიშვნელოვნად გაიზარდა.

- **წარუმატებლობა რეგიონში არსებული უკანონო შეიარაღებული ფორმირებების განიარაღებასა და დაშლაში, ასევე კონფლიქტის ზონიდან მათ გაყვანაში**

სამხედროების, ისევე როგორც, ოფიცრების უმეტესობა, სამხრეთ ოსეთის მილიციიდან არიან. ყოველ მხარეს, აგრეთვე, შეიძლება ჰყავდეს 300 რეზერვისტი, რომლებიც შეიძლება ესკალაციის შემთხვევაში კონფლიქტის ზონაში იყვნენ დისლოცირებულნი. კრიზისის ჯგუფის ინტერვიუ, კოლექტიური სამშვიდობო ძალების მეთაური, 2007 წლის მარტი.

2004 წლის შემოდგომაზე გსძ-ზე კონტროლს გენერალი კულახმეტოვი ახორციელებდა. საერთაშორისო ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ მისი მუშაობა ძალიან პროფესიონალურია და მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა მისი წინამორბედი გენერალი ნაბზდოროვის მუშაობასთან შედარებით.

[135] შერეული სამშვიდობო კომისიის ოქმი #3.

[136] საერთაშორისო კრიზისის ჯგუფი, საქართველოს სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი: იჩქარე, ნელა, გვ. 17-18.

[137] იხ.: პასუხი სამხედრო კითხვაზე #3 ომის დროს მშვიდობისმყოფელების როლის შესახებ.

ამ მიმართულებით, ძირითადი სარეკომენდაციო პუნქტებია: ოქმი#3, 12.07.1992; დანართი #1, პუნქტი 3; შერეული საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილება, 31.10.1994, მუხლი 10; შერეული საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილება, 6.12.2006, დანართი #1, მუხლი3; მოსკოვის მემორანდუმი, 16.05.1996, მუხლი 6; ოქმი #7, 13.02.1997; ასევე, შერეული საკონტროლო კომისიის ოქმები #33,41,44,45 და საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას და მარიონეტული ხელისუფლების ლიდერი ედუარდ კოკოითის შეხვედრა, 5.11.2004.

რუსული სამშვიდობო ძალების მიერ კონტროლირებად თავდაცვის ზონაში „მშვიდობისმყოფელთა“ რეჟიმი 1992 წლის 21 ივლისის შეთანხმების დარღვევით აგრძელებს საკუთარი სამხედროების უკანონო დისლოცირებას და იარაღის დამზადებასა და გაყიდვას.[138]

ფუნქციების შესრულებაში მშვიდობისმყოფელების უუნარობის ყველაზე მეტყველი მაგალითი 2005 წლის 20 სექტემბერს, ცხინვალში ჩატარებული სამხედრო აღლუმი იყო, რომელმაც წარმოაჩინა, რომ შერეული საკონტროლო კომისიის ხელმძღვანელობას არ სურდა მანდატის შესაბამისად მოქმედება, რაც მისი პირდაპირი ვალდებულება იყო. სამხედრო აღლუმზე, სამხედრო დანაყოფებთან ერთად მძიმე არტილერიაც იყო წარმოდგენილი. ოსური დე-ფაქტო მთავრობის მიერ უკანონო მძიმე შეიარაღების ეს პროვოკაციული გამოფენა რუსული სამშვიდობო ძალების მიერ სრულად იყო უგულვებელყოფილი.[139]

უფრო მეტიც, რუსი მშვიდობისმყოფელების სრული პასიურობის გამო, ახალი სამხედრო დანაყოფები, მათ შორის, „საზღვრის დამცველები“ შეიქმნა. ასობით რუსმა დაქირავებულმა მებრძოლმა, ეგრეთ წოდებულმა „ბოევიკმა“ როკის გვირაბის გავლით გადაკვეთა საზღვარი. საქართველოს ტერიტორიაზე ისინი რუსი მებაჟეების ან საზღვრის დამცველების მხრიდან ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე რუსული

[138] იხ.: შესაბამისი აბზაცები სამართლებრივი კითხვის #1 პასუხში.

[139] იხ.: „რეგნუმის“ ფოტო ანგარიში და თანდართული ვიზუალური მასალები. აგრეთვე, იხ.: ვებგვერდი https://www.cacianalyst.org/view article.php?articleid=3740

სასაზღვრო-გამშვები პუნქტების გავლით შევიდნენ. უფრო მეტიც, დაქირავებულების სამხედრო მანევრებს მსუბუქი და მძიმე შეიარაღებიდან მათი თანდასწრებით ჰქონდა ადგილი. 2006 წელს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე აკრძალული აღჭურვილობით თვრამეტი (18) უკანონო სამხედრო წვრთნა ჩატარდა – ბევრი მათგანი რუსი „მშვიდობისმყოფელების“ მონაწილეობით.

ფორთიფიკაციათა განადგურების შესახებ შეთანხმების შეუსრულებობა

ამ მიმართულებით ამოსავალ წერტილს წარმოადგენს 2004 წლის 5 ნოემბერს, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიასა და მარიონეტული რეჟიმის ლიდერის, ედუარდ კოკოითს შორის შემდგარი შეხვედრის შედეგები: 2004 წლის 5 ნოემბრის შეხვედრა; ოქმი # 40 (19-20 ნოემბერი, 2004), მუხლი # 1 და #2; ოქმი # 42 (16-17 მარტი, 2005), მუხლი # 2; ოქმი # 44, (22-23 ივნისი, 2005), მუხლი # 2, #3.

მიუხედავად კონფლიქტის ზონიდან არალეგალური სამხედრო შენაერთების გაყვანისა და ფორთიფიკაციების განადგურების შესახებ შემდგარი შეთანხმებისა, განვითარდა საპირისპირო პროცესი, მნიშვნელოვნად გაიზარდა ფორთიფიკაციათა რაოდენობა და განვითარდა ამ ნაგებობათა რეგულარული გამაგრების პროცესი. ქართული მხარის მიერ, არაერთხელ გაჟღერდა მიმართვა შერეული სამშვიდობო ძალების გაერთიანებული სარდლობის მიმართ (შერეული საკონტროლო კომისია, ოქმი # 48, 27-29 მარტი, 2006 წ. ვლადიკავკაზი; კორესპონდენცია: წერილი # 4-9/286, 5 აპრილი, 2006; წერილი # 4 9/479; წერილი #4-9/479, 2006 წ. 2 ივნისი და წერილი #4-9/592, 4 ივლისი 2006) სადაც მოთხოვნილ იქნა კონფლიქტის ზონაში არსებული ფორთოფიკაციების სიის წარდგენა და მათი განადგურების სქემის დეტალური შემუშავება.

მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. საპასუხო წერილში # 88, (11 მაისი, 2001) გენერალმა კულახმეტოვმა უპასუხა შემდეგი წინაპირობით: ,,ყველამ თავის გაფუჭებულ საქმეს მიხედოს,“ რაც ნიშნავს მანდატით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას.

რუსული შეიარაღებული ძალების ზრდა სამხრეთ ოსეთში და მის მიმდებარე ტერიტორიზე

2006-2008 წლებში, რუსეთის მთავრობამ ორი სამხედრო ბაზა ააშენა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, ერთი – უგარდანთაში, ჯავას რაიონში და მეორე ბაზა – ცხინვალის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში; (აქ წარმოდგენილია ამ ბაზების შესაბამისი სატელიტური სურათები, ასევე იხილეთ, თანდართული ვიდეო მასალა).

1. ცხინვალის ე.წ. საზღვრის დახმარების მისიის დასახლებაში, უმოკლეს პერიოდში აშენდა სამხედრო ბაზა. მისი მშენებლობა დაიწყო 2007 წლის დასასრულს და ძირითადი სამშენებლო სამუშაოები დასრულდა 2008 წლის აგვისტოს თვემდე.[140] [24]

2. უგარდანთას სამხედრო ბაზის მშენებლობა ჯავის რეგიონში დაიწყო 2006 წელს და გააქტიურდა 2007 წლის დასასრულიდან. ბაზის მშენებლობა დასრულდა 2008 წლის ივლისისთვის. რუსული შეიარაღებული ძალები, რომლებიც შევიდნენ როკის გვირაბში დილის 7 აგვისტოს, ამ ბაზაზე შეიკრიბნენ.

3. უგარდანთას და ცხინვალის სამხედრო ბაზების სამშენებლო სამუშაოები ჩაატარა შ.პ.ს. ,,პრაქტიკამ.“ ეს რუსული სამშენებლო კომპანია დარეგისტრირებულია სტავროპოლის მხარეში, ქალაქ ესენტუკში და მისი ხელმძღვანელია **ლეონიდ ვაგანოვი**, გრუ-ს ყოფილი თანამშრომელი.

4. ამ ორი რუსული სამხედრო ბაზის გარდა, რუსეთის მთავრობამ დახმარება გაუწია სამხრეთ ოსეთის მარიონეტულ ხელისუფლებას, სამხედრო ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის. მოეწყო სამხრეთ ოსეთის თავდაცვის სამინისტროს სატანკო ბატალიონი, რომელიც მდებარეობს ჯავის რეგიონის, სოფელ ბუჟალაში (ის. სურათი). აგრეთვე აშენდა სამხრეთ ოსეთის ჯარის არალეგულარული ძალებისთვის განკუთვნილი ახალი შენობები, შინაგან საქმეთა სამინისტრო და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი (სუკ-ი) ცხინვალში.

5. 2004-2008 წლების განმავლობაში, რუსეთის მთავრობამ სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ფორმირებები ტანკებით, ჯავშანმანქანებით, სამხედრო სატვირთო ავტომანქანებით, ასევე სხავდასხვა შეიარაღებული ტექნიკითა და საბრძოლო მასალით აღჭურვა. რუსეთის სამხედრო სპეციალისტებმა და პოლიციურმა ძალებმა დახმარება გაუწიეს სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულ ფორმირებებს წვრთნასა და აღჭურვაში.

- **რუსეთ-საქართველოს საზღვართან მდებარე რუსული სამხედრო ბაზები**

- 2005-2006 წლებში, რუსეთის მთავრობამ ააშენა ახალი სამხედრო ბაზა, ჩრდილოეთ ოსეთში მდებარე ზაქაგორის ხეობაში, რომელიც როკის გვირაბის ჩრდილოეთ შესასვლელიდან მხოლოდ, 7 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. 2008 წლის აგვისტოში, რუსეთის სამხედრო ჯარებმა ეს ბაზა სამხრეთ ოსეთში შესვლის პლაცდარმად გამოიყენეს.

- 2007 წლის მიწურულისთვის, რუსეთის მთავრობამ შექმნა სპეციალური სამთო ბრიგადები ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ: 33-ე ბრიგადა ბოლტიხში, დაღესტანი. (სამხრეთ ოსეთში საქართველოს წინააღმდეგ ოპერაციების ჩასატარებლად) და 34-ე

[140] ამ ბაზების შესაბამისი სატელიტური სურათები; ასევე, იხ.: თანდართული ვიდეოები.

ბრიგადა ზელენჩუკში, ყარაჩაი-ჩერქეზეთი (აფხაზეთში საქართველოს წინააღმდეგ ოპერაციების ჩასატარებლად). შესაბამისად, აგვისტოს ომის დროს, ორივე ერთეულიგანლაგებული იყო სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში.[141]

- **კონფლიქტის ზონაში მძიმე საბრძოლო ტექნიკის შეტანის აკრძალვა და კონტროლის დაწესება მძიმე შეიარაღების გატანაზე**

ამ მიმართულებით ამოსავალ წერტილს წარმოდგენს შემდეგი პუნქტები: ოქმი #3, დანართი # 1, მუხლი 3, (12.07.1992); შერეული საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილება, დანართი # 1, მუხლი 3, (06.12. 2006).

2004 წლის 20 ივნისს, რამდენიმე ჯავშანმანქანა შევიდა ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში, სადაც ადგილი ჰქონდა სამხედრო ჯარების აქტიურ მანევრებს. როკის გვირაბთან მდებარე ტერიტორიაზე, განთავსებული იყო 7 ტანკი და 2 ჯავშანმანქანა, რომლებიც მზად იყვნენ საქართველოში შემოსასვლელად; ცოცხალი სამხედრო ძალა და ჯავშანმანქანები მობილიზაციას გადიოდნენ ვლადიკავკაზის ერთ-ერთ სადგურზე. ყველა ამ ინფორმაციას შემდგომში მოჰყვა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საპროტესტო მემორანდუმი.

2004 წლის 7 ივლისს, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, სოფელ კეხვში, აიყვანეს ჯავშანმანქანების კოლონა, რომელიც ეკუთვნოდა რუსეთის მშვიდობისმყოფელებს. მათ შორის, ორი მათგანი დატვირთული იყო დაახლოებით, 300-მდე უკანონო საბრძოლო მასალით, არაკონტროლირებადი რეაქტიული ტიპის ყუმბარებით. მონიტორინგის დროს, ეუთო-ს დამკვირვებლებმა იპოვეს ქვეითთა საბრძოლო მანქანის (БМП) კვალი, რომლის მფლობელიც მხოლოდ კოლექტიური სამშვიდობო ძალები შეიძლება ყოფილიყვნენ. [142]

ჩრდილოეთ ოსეთის ე. წ. სამშვიდობო ბატალიონმა შუამავლის როლი შეასრულა, რუსეთის მშვიდობისმყოფელებსა და სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულ დაჯგუფებებს შორის, რათა ამ უკანასკნელისთვის საბრძოლო იარაღი და ტყვია-წამალი გაეგზავნა. პოლკოვნიკი ნიკოლაი ფრიევი და ფილიპ ხაჩიროვი აღნიშნულ ,,თანამშრომლობას“ ხელმძღვანელობდნენ.

---

[141] სტატია ხელმისაწვდომია http://www.arms-expo.ru/site.xp/040511240490510500 55.html.
[142] ეუთოს მოხსენება მოვლენათა ადგილიდან. 2004 წლის 8 ივლისი.

უფრო მეტიც, რუსი სამხედრო ინსტრუქტორები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულ ჯგუფთა სწავლებას, ხშირად ფორმალურად იყვნენ ჩაწერილები რუსეთის სამშვიდობო ბატალიონში.

- **რუსი მშვიდობისმყოფელების მონაწილეობა კონტრაბანდაში**

აღსანიშნავია, რომ რუსი მშვიდობისმყოფელები აქტიურად მონაწილეობდნენ ცხინვალის რეგიონში კონტრაბანდული საქონლის შემოტანაში, როკის გვირაბის გავლით.

მშვიდობისმყოფელები ასევე იტაცებდნენ ეთნიკურ ქართველებს. მაგალითად, 2007 წლის 29 აგვისტოს, ჩრდილოეთ ოსეთის ბატალიონის წევრებმა გაიტაცეს ჟურნალისტები ორი ქართული სატელევიზიო კომპანიიდან – ,,რუსთავი 2“ და ,,მზე.“ მოგვიანებით, საქართველოს ხელისუფლებისა და ეუთო-ს ჩარევის შემდეგ ისინი გათავისუფლდნენ.

- **რუსი მშვიდობისმყოფელები, როგორც არა ნეიტრალური ძალის მქონე, არამედ რუსეთის მიერ გატარებული პოლიტიკის ნაწილი რეგიონში**

მშვიდობისმყოფელთა მხარდაჭერით, რუსეთის ხელისუფლებამ დაზვერვის უფროსები ცხინვალის რეგიონში და სამხრეთ ოსეთში შეუშვა. ამ ადამიანებს უნდა განეხორციელებინათ სადაზვერვო ოპერაციები, ასევე, ტერორისტული საქმიანობა და დაეგეგმათ საბოტაჟი. მაგალითად:

– 2001 წლის 1 თებერვლის გორის ტეორორისტული აქტის ერთ-ერთი ორაგანიზატორი და ლიდერი იყო რუსეთის სადაზვერვო განყოფილების უფროსი, რომელიც საქართველოში მშვიდობისმყოფელის საფარქვეშ გამოგზავნეს. უფრო მეტიც, რუსეთის მშვიდობისმყოფელი ძალების ვიცე-პოლკოვნიკი, რომან ბოიკო პირადად იყო ჩართული ტერორისტული აქტის მოწყობაში. მას ბრალი წაუყენეს საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა და იგი ინტერპოლის მიერ წითელი ცირკულარით ძებნილი პირია.

– რუსეთის სადაზვერვო სამსახურის წევრმა, ანატოლი სისოევმა, რომელიც ამავდროულად, ედუარდ კოკოითის სამხედრო მრჩეველი იყო, შექმნა ორგანიზებული ჯგუფი, რომელმაც ჩაიდინა მრავალი კანონსაწინააღმდეგო მოქმედება: ა) ,,ქართლი 2“-ის და ,,ლიახვის“ მაღალი ძაბვის ელექტროენერგიის გადამცემი ხაზების აფეთქება, გორის რაიონის სოფელ შავშებთან ახლოს, 2004 წლის 9 ოქტომბერი; ბ)

გრაკალი-მეტეხის რკინიგზის დამაკავშირებელი ხაზის აფეთქება კასპის რაიონში, 2004 წლის 9 ოქტომბერი. გ) ხაშურის რაიონის, სოფელ ხორჩანასთან ახლომდებარე ნავთობსადენის რადიოგადამცემის სისტემის აფეთქება, 2004 წლის 17 ნოემბერი. აღსანიშნავია, რომ ეს გახლავთ, იგივე სისოევი, რომელიც დაპატიმრებული იყო და 1995-2001 წლებში, სასჯელს იხდიდა აზერბაიჯანში სახელმწიფო გადატრიალებისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტზე თავდასხმის მცდელობის ბრალდებით.

2006-2007 წლის განმავლობაში, კოლექტიური სამშვიდობო ძალების უფლებამოსილება გადანაწილდა სამშვიდობო ძალების მეთაურის, გენერალ მარატ კულახმეტოვსა და მის მოადგილეს იგორ გრუდნოვს შორის. 2007 წლის იანვრიდან 2008 წლის იანვრის ჩათვლით, მას ხელმძღვანელობდა ალექსანდრე კლიმენკო, ხოლო 2008 წლიდან - გენერალი ვიქტორ კნიაზოვი. ამის აღნიშვნა მნიშვნელოვანია, რადგან ამ მოლაპარაკების მიხედვით, უფროსი პირადად უზრუნველყოფდა მარიონეტული რეჟიმისთვის კოორდინირებისა და დახამრების გაწევას სადაზვერვო და სამხედრო სადაზვერვო ოპერაციების წარმართვის პროცესში. **ხოლო მოადგილეები პასუხისმგებელი იყვნენ ძალოვან სფეროზე, ამ სიტყვის არა ტრადიციული, არამედ მისი პირდაპირი მნიშვნელობით.** გენერალი კნიაზევი იყო კოკოითის მრჩეველი ძალოვანი უწყებების საკითხში და მეთვალყურეობდა ძალოვანი უწყებების ქმედებებს ცხინვალის რეგიონში /სამხრეთ ოსეთში.

– რუსეთის ხელს უშლის სამშვიდობო მანდატის განხორციელებას და საერთაშორისო კონტროლის დაწესებას როკის გვირაბზე, ძარას გზაზე და გუფთას ხიდზე

შერეული საკონტროლო კომისიის შემადგენლობა, რომელიც დაარსდა შეთანხმებით ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების პრინციპების შესახებ (სოჭის ხელშეკრულება, 24 ივნისი, 1992), ასევე, არ იძლეოდა რეალური და კონსტრუქციული გადაწყვეტილებების შემუშავებისა და განხორციელების საშუალებას, რადგან კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულება ეფუძნებოდა კონსენსუსის პრინციპს. შერეული სამშვიდობო ძალებისთვის საჭირო სამოქმედო ტერიტორიის განსაზღვრა ნათელი ილუსტრაციაა იმ სირთულეებისა, რასაც წააწყდა შერეული საკონტროლო კომისია. 1992 წლის, 12 ივლისს (ოქმი # 3 და დანართი # 1), შერეულმა საკონტროლო კომისიამ განსაზღვრა ,,კონფლიქტის ზონა“ – ქალაქ ცხინვალიდან 15 კილომეტრის დაშორებით მდებარე ტერიტორია და ,,უსაფრთხოების კორიდორი“ [143] – ე.წ. „ადმინისტრაციული საზღვრის“ თითოეული მხარის, 7 კილომეტრის მოშორებით მდებარე ტერიტორია. თუმცა, ზემოაღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, ძარას გზა

[143] შერეული საკონტროლო კომისიის შეხვედრის ოქმი # 3 საქართველო-ოსეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხებზე; 12 ივლისი, 1992, ვლადიკავკაზი.

და გუფთა უსაფრთხოების კორიდორის საზღვრებში აღმოჩნდნენ. რუსეთის მთავრობის ბრძანებულების თანახმად, შერეულმა სამშვიდობო ძალებმა თავიდან აიცილეს შერეული საკონტროლო კომისიის მეორე გადაწყვეტილებით ნაკისრი უშუალო ვალდებულებები, რომელიც აწესებდა შერეული სამშვიდობო ძალების პასუხისმგებლობის ზონას, [144] გარდა სტრატეგიული კომუნიკაციებისა როკის გვირაბის სამხრეთით მდებარე ტერიტორიებზე (გუფთას ხიდი და ძარის გზა), რაც არ აკმაყოფილებდა არც სოჭის ხელშეკრულების და არც შერეული საკონტროლო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მოთხოვნებს. [145] ძარას გზას გააჩნია არსებითად სტრატეგიული მნიშვნელობა და მისი ამოქმედება, შესაძლებლობას აძლევდა ცხინვალის მარიონეტულ რეჟიმს გაეძლიერებინა რუსეთთან პოლიტიკური და ეკონომიკური და დაახლოების პროცესები. ვინაიდან, გზა შემოვლითია, ის წარმოადგენდა რუსეთიდან კონფლიქტის ზონაში, საბრძოლო ტექნიკის, საბრძოლო მასალის და ჯავშანტრანსპორტის შემოტანის იოლ და სწრაფ საშუალებას, ეს გადაზიდვები კი იმ მარშრუტების გავლით ხორციელდებოდა, რომლებიც მშვიდობისმყოფელთა კონტროლს მიღმა იყო.[146]

ყველანაირი მცდელობა უზრუნველყოფილი ყოფილიყო ამ სტრატეგიული ობიექტების კონტროლი, კოლეტიური სამშვიდობო ძალების მხრიდან, არ განხორციელდა. ასევე წარუმატებელი აღმოჩნდა ეუთო-ს მცდელობაც, რადგან რუსეთის ფედერაცია ეუთო-ს შეთავაზებულ ყველა იმ ნაბიჯის ბლოკირებას ახდენდა, რომელიც მიმართული იყო, საერთაშორისო კონტროლის დაწესებაზე როკის გვირაბსა და გუფთას ხიდზე.[147]

რუსეთის ამგვარი წინააღმდეგობა გუფთას ხიდზე, ძარას გზაზე და როკის გვირაბზე სულ მცირედი გამჭვირვალობის მქონე კონტროლის დაწესების მიმართ

---

[144] შერეული საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილება ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების შესახებ, ეკონომიკის რეაბილიტაციის საკითხების თობაზე, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში.

[145] იხ.: ზემოთ მითითებული შენიშვნა 2.

[146] 2004 წლის 20 ივლისს, რამდენიმე შეირაღებული ჯავშანტრანსპორტი შევიდა ცხინვალის რეგიონში და აღსანიშნავია სამხედრო ძალების აქტიური მოძრაობა. როკის გვირაბის მიმდებარე ტერიტორიაზე, საქართველოში გადასატანად გამზადებული 7 ტანკი და 2 ჯავშანმანქანა იქნა დისლოცირებული, იმ დროს, როცა საბრძოლოდ განწყობილი სამხედრო ძალა და ჯავშანტექნიკა იმყოფებოდა მობილიზების პროცესში, ვლადიკავკაზის ერთ-ერთი დისლოკაციის ადგილზე. ყველა ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია, მოცემული იყო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ წარდგენილ საპროტესტო მემორანდუმში. აგრეთვე, იხილეთ, 2003 წლის, 30 იანვრის საქართველოდ დელეგაციის მხრიდან გაკეთებული განცხადება ეუთოს მიმართ; რეალური ფაქტების ამსახველი მონაცემები ცხინვალის რეგიონში მიმდინარე მოვლენების გნვითარების შესახებ, რომელიც გავრცელდა ეუთოში მყოფი ქართული დელეგაციის მიერ, 2004 წლის 29 ივლისს; 2004 წლის 24 აგვისტოს, ეუთოს მუდმივ საბჭოზე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, სალომე ზურაბიშვილის მიერ გაკეთებული განცხადება; http://mfa.gov.ge/print.php?gg=1&sec_id=1792&lang_id=ENG

[147] საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მიერ გაკეთებული შენიშვნები, ევროპის საბჭოს საპარლამენტო კრებაზე, 2005 წლის 26 იანვარი.

განპირობებული იყო მისი განზრახვით, გაგრძელებულიყო სამხედრო ძალებისა და მათი აღჭურვილობის თავისუფალი და უკონტროლო მიმოსვლა.

საბოლოოდ, რუსეთმა კარგად ისარგებლა როკის გვირაბსა და ძარას გზაზე მოპოვებული კონტროლით, რათა დაეფარა საქართველოში შემოჭრა. ანალოგიურად, აფხაზეთში რეაბილიტირებული რკინიგზა გამოყენებული იყო დასავლეთიდან შემოჭრის საშუალებად.

რუსეთის ფედერაციის მხრიდან ორივე სამშვიდობო ფორმატის ბოროტად გამოყენება და ასევე მისი მხრიდან მშვიდობისმყოფელთა გამოყენება საქართველოში ინტერვენციისა და აგრესიული პოლიტიკის საშუალებად, აღწერილია #-3 სამხედრო შეკითხვისპასუხში და ასევე, # 1 სამხედრო შეკითხვაში. (რუსული აგრესიის ქრონოლოგია).

კითხვა # 4. გთხოვთ, გააკეთოთ განმარტება რუსეთის ჯარების გადაადგილების შესახებ 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტამდე და კონფლიქტის დროს. რამდენად შეესაბამება აღნიშნული ქმედებები ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულებაში შეტანილ ცვლილებას და რუსეთის მიერ მის პრაქტიკულ რეალიზებას კონფლიქტამდე ხანგრძლივი დროის განმავლობაში? გთხოვთ, მიუთითოთ საქართველოს სამხედრო პოზიციისა და ჯარების გადაადგილების შესახებ კონფლიქტამდე და კონფლიქტის დროს.

ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ, ხელშეკრულების ადაპტირებული ვერსია, რომელსაც ხელი მოეწერა 1999 წლის 19 ნოემბერს, რატიფიცრებული იქნა მხოლოდ ოთხი ქვეყნის მიერ, მათ შორის, რუსეთის მიერაც. ადაპტირებული ხელშეკრულება ძალაში შევა, როდესაც მისი ყოველი 30 მონაწილე წევრი სახელმწიფო მოახდენს დოკუმენტის რატიფიცირებას. სტამბულის 1999 წლის ეუთოს სამიტზე, როდესაც ხელს აწერდნენ ადაპტირებულ ხელშეკრულებას, რუსეთი დათანხმდა აეღო მრავალი ვალდებულება, რაც უკავშირდებოდა შეიარაღებული ძალებისა და საბრძოლო მასალების გაყვანა/გატანას საქართველოდან, იმ ძირითადი პრინციპების დაცვით, რაც უკავშირდებოდა მასპინძელი ქვეყნის თანხმობას, უცხოური საბრძოლო ძალების თავის ტერიტორიაზე განთავსებაზე, რაც ასევე შესულია 1990 წლის ხელშეკრულებაში ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ. სტამბულის ვალდებულებები [148] ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების

[148] იხ.: ცნობა - ლეგალური კითხვების პირველი ჩამონათვალი # 2 კითხვის – პასუხი 1.

ხელშეკრულებაში არსებული დასკვნითი აქტის ნაწილია, რომელიც წარმოადგენს ადაპტირებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1990 წლის ხელშეკრულება ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ საშუალებას იძლევა მოხდეს ჩვეულებრივი სახმელეთო და საჰაერო შეიარაღებული ძალების განლაგება სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, იმ პირობით რომ ,,არც ერთი წევრი სახელმწიფო არ მოახდენს ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების განთავსებას სხვა წვერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მეორე წევრი სახელმწიფოს თანხმობის გარეშე“ (პუნქტი IV, მუხლი 5). ქართული მხარის თანხმობის გარეშე, საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ძალების შემდგომი განლაგებით რუსეთმა უხეშად დაარღვია მასპინძელი ქვეყნის თანხმობის პრინციპი, რომელიც წარმოადგენდა ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულების ფუნდამენტურ პრინციპს.

ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ადაპტირებული ხელშეკრულების რატიფიკაციის გაჭიანურება გამოწვეული იყო, როგორც რუსეთის მხრიდან, ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მუდმივი დარღვევით, ასევე ზოგადად, სტამბულის ვალდებულებების შეუსრულებობით, კერძოდ ქართულ მხარის მიმართ გათვალისწინებული ვალდებულებების. 1999 წლის ეუთოს სტამბულის სამიტზე მიღებული ვალდებულება კიდევ ერთხელ ადასტურებდა იმას, რომ რუსეთი, წლების განმავლობაში, 1999 წლამდე, მუდმივად არღვევდა ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ხელშეკრულების დებულებებს, რომელიც,,ევროპის უსაფრთხოების ქვაკუთხედად“ იყო მიჩნეული.

რუსეთის მიერ მე-5 მუხლის, მე-4 პუნქტის, დარღვევის მნიშვნელოვნობა კიდევ ერთხელ იყო ხაზგასმული ,,პირველი კონფერენციის საბოლოო დოკუმენტში, რომელიც მიმოიხილავდა ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულებისა და სამხედრო შენაერთის პირადი შემადგენლობის მოლაპარაკების საბოლოო აქტის ქმედითიანობას“ (ვენა, 15-31 მაისი, 1996, პუნქტი II, მუხლი 13). ამ დოკუმენტში ხაზგასმით იყო მითითებული: ,,თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის დებულებებს, რაც გულისხმობს, ხელშეკრულების სიცოცხლისუნარიანობას და ასევე, წევრ სახელმწიფოთა სუვერენიტეტს.“

2007 წლის, 14 ივლისს, რუსეთის პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანებულება, რომლის ძალითაც შეაჩერა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, რომელიც ძალაში შეიოდა 150 დღის შემდეგ. მან განაცხადა, რომ ეს განპირობებული იყო ,,განსაკუთრებული ვითარებით, რომელიც გავლენას ახენდა რუსეთის ფედერაციის

უსაფრთხოებაზე, და საჭიროებდა სასწრაფო ზომების მიღებას.“ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, შეტყობინება გაეგზავნა ყველა იმ წევრ სახელმწიფოს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ხელშეკრულების გაფორმებაში. უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულებაში არ არსებობს დებულება, რომელიც დაუშვებს ცალმხრივ მორატორიუმს, ხელშეკრულების პირობების შესრულების პერიოდში. ბრძანებულება, რომელიც გაიცა რუსეთის პრეზიდენტის მიერ და რომელიც ითვალისწინებდა ხელშეკრულების პირობებზე მორატორიუმის დაწესებას, განხორციელდა საერთაშორისო სამართლის და განსაკუთრებით, ხელშეკრულების XIX პუნქტის დარღვევით, რომელიც არ ითვალისწინებს ,,დროებითი შეწყვეტის“ ცნებას ან ,,ცალმხრივი მორატორიუმის“ დაწესების შესაძლებლობას ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე უფრო მეტიც, ,,დროებითი შეწყვეტა“ ან ნებისმიერი სხვა, გადავადების შედეგის მომტანი მსგავსი ქმედება, ეწინააღმდეგება თვით ხელშეკრულების საგანს და მიზანს.[149] შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების გადავადება ხელშეკრულების და საერთაშორისო სამართლის პირდაპირ და უხეშ დარღვევას წარმოადგენს.

ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულების ერთ-ერთი წამყვანი პრინციპი, რომელიც წარმოდგენილია პრეამბულაში, ნათლად მიუთითებს, რომ სახელმწიფო მხარეები ,,თავიანთ ვალდებულებად თვლიან, როგორც ორმხრივ, ასევე ზოგადად, საერთაშორისო ურთიერთობებში, თავი შეიკავონ მუქარისგან ან ძალის გამოყენებისგან, ნებისმიერი სახელმწიფოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის ან ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ. ასევე, თავი შეიკავონ სხვა ისეთი ქმედებებისგან, რაც შეუსაბამოა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების და პრინციპების მიმართ“ (ხელშეკრულების პრეამბულა, პუნქტი 4). პრეამბულაში ასევე ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ სახელმწიფო მხარეები ,,აცნობიერებენ სამხედრო კონფლიქტის პრევენციის აუცილებლობას ევროპაში,“ და რომ ისინი ცდილობენ განვითარებას და წევრ სახელმწიფოთა შორის უსაფრთხოების საკითხებში ახლი სახის თანამშრომლობის განმტკიცებას რომელიც დაფუძნებული იქნება მშვიდობიან ურთიერთობაზე და რომლის ძალითაც ხელი შეეწყობა ერთიანი და განუყოფელი

[149] სწრაფვა, რომ შეიცვალოს სამხედრო დაპირისპირება, ყველა სახელმწიფო მხარეებს შორის არსებული, თავდაცვის ურთიერთობების ახალი მოდელით, რომელიც ეფუძნება მშვიდობიან თანამშრომლობას“... „ვალდებულების თავზე აღება, იმ მიზნების შესასრულებლად რაც ითვალისწინებს ევროპის ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების, ადრინდელთან შედარებით, უფრო უსაფრთხო და სტაბილურ ბალანსის დამყარებას უფრო ქვედა ფენების საფეხურზე. აღმოიფხვრას შეუსაბამობა, რაც სტაბილურობის და უსაფრთხოების ზიანის მომტანია და ასევე, უმაღლეს პრიორიტეტად ჩაითვალოს, ევროპაში ფართომაშტაბიანი თავდასხმითი ოპერაციების ინიცირების და მოულოდნელი შეტევების წამოწყების შესაძლებლობის აღმოფხვრა...“ (პრეამბულა, ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ხელშეკრულება, 1990).

უსაფრთხოების გარემოს შექმნას ევროპაში. 2008 წლის აგვისტოში, რუსეთის ინტერვენცია საქართველოს სუვერენულ ტერიტორიაზე წარმოადგენს ზემოაღნიშნული პრინციპების აშკარა დარღვევას.

ანალოგიური ტექსტი წარმოდგენილია ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ადაპტირებულ ხელშეკრულებაში, (პუნქტი II, მუხლი 3), რომელიც განსაზღვრავს, რომ ,,წევრი სახელმწიფოს ჩვეულებრივი შეიარაღება და აღჭურვილობა, რომელიც იზღუდება ხელშეკრულების ძალით, წარმოდგენილი უნდა იყოს მეორე წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მხოლოდ საერთაშორისო სამართლის შესამაბისად, მასპინძელ წევრ სახელმწიფოსთან მკაფიო თანხმობის ან გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თანახმად. მკაფიო თანხმობა უნდა გაკეთდეს წინასწარ და ძალაში უნდა იყოს იმ დრომდე, როგორც ეს, ორჯერ არის აღნიშნული ხელშეკრულებაში (პუნქტი XIII, მუხლი 1).“ აქვე, აღსანიშნავია, მიუხედავად იმისა, რომ ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ადაპტირებული ხელშეკრულება ჯერ ძალაში არ შესულა – ხელმომწერი წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან იმოქმედონ იმ პრინციპებით, რომელიც შეესაბამება ადაპტირებული ხელშეკრულების მიზნებსა და ამოცანებს, ვიდრე ის არ შევა ძალაში.

2008 წლის აგვისტოში, საქართველოს წინააღმდეგ, პირდაპირი სამხედრო აგრესიის წამოწყებით, რუსეთმა იმოქმედა ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ხელშეკრულების მიზნებისა და ამოცანების საწინააღმდეგოდ, რომ აღარაფერი ვთქვათ მასპინძელი ქვეყნის თანხმობის ფუნდამენტური პრინციპის დარღვევაზე.

რუსეთის ფედერაციის და საქართველოს ერთობლივ განცხადებაში (პუნქტი II, მუხლი 2) რომელიც გაკეთდა წევრ სახელმწიფოთა შორის გამართულ კონფერენციაზე, ხელშეკრულების საბოლოო აქტის ძალით (სტამბული, ნოემბერი, 1999), ხაზგასმით აღინიშნა, რომ ,,გუდაუთაში და ვაზიანში მდებარე რუსული სამხედრო ბაზები დაიშლება და გაყვანილი იქნება 2001 წლის 1 ივლისისთვის.“ რუსულმა მხარემ საერთოდ არ შეასრულა თავისი ვალდებულება – გაეყვანა გუდაუთაში არსებული სამხედრო ბაზა და ახლაც განაგრძობს ამ ვალდებულების დარღვევას. უფრო მეტიც, აგვისტოს აგრესიის შემდგომ, მან დაიწყო ძველი სამხედრო ბაზების გაძლიერება და ახალი ბაზების აშენება აფხაზეთში, საქართველოში, ცხინვალის და სამხრეთ ოსეთის რეგიონში და მასპინძელი სახელმწიფოს თანხმობის გარეშე; ასევე ოკუპირებულ ტერიტორიებზე განალაგა ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი, დიდი რაოდენობით დამატებითი საბრძოლო ტექნიკა.

რუსეთის უარი, რომ ჩატარებულიყო საერთაშორისო ინსპექცია ხელშეკრულებით განსაზღვრულ ტერიტორიაზე, ასევე, გახლავთ ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ადაპტირებული ხელშეკრულების (მუხლი XIV, პუნქტი 1) დარღვევა, რომლის მიხედვითაც, ,,იმისათვის, რათა მოხდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ დებულებათა შესრულების გადამოწმება, თითოეულ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს უფლება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების თავის თავზე აღებით, განახორციელოს ინსპექცია, ინსპექციის შესახებ პროტოკლის თანახმად.“

ხელშეკრულებით განსაზღვრული დებულებების დარღვევით, რომელიც ითვალისწინებს ინფორმაციის მოწოდებას, რუსეთი ასევე დაუფარავად არღვევს ,,პროტოკოლს წინასწარ ცნობისა და გაზიარების შესახებ,“ რომლის მიხედვითაც მხარეები შეთანხმდნენ იმ პროცედურების და დებულებების შესრულებაზე, რომელიც ეხება ინფორმაციის წინასწარ ცნობასა და გაზიარებას ხელშეკრულების მე-13 მუხლის თანახმად. 1-ელი პუნქტის მიხედვით, ,,ხელშეკრულებით განსაზღვრულ დებულებებათა შესრულების დადასტურების მიზნით თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა მიაწოდოს წინასწარი შეტყობინება და გაავრცელოს ინფორმაცია, ჩვეულებრივი საბრძოლო შეიარაღებისა და ჩვეულებრივი საბრძოლო ტექნიკის გამოყენებაზე, ,,ინფორმაციის გაზიარების შესახებ პროტოკოლის მიხედვით.“

საქართველო ყოველთვის ახდენდა და აგრძელებს, ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას, და ინარჩუნებს შეიარაღების ზღვრულ რაოდენობის, რაც დადგენილია ხელშეკრულებით შეზღუდული საბროლო ტექნიკის კატეგორიებში.

საქართველო-რუსეთის ომის დაწყებამდე, ქართული შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები განლაგებული იყვნენ თავიანთი დისლოკაციის ადგილაზე, ჩვეულ რეჟიმში ფუნქციონირებდნენ და ახორციელებდნენ დაგეგმილ მოქმედებებს (გთხოვთ, იხილოთ, საქართველოს შეიარაღებულ ძალების ქვედანაყოფთა წვრთნების თანდართული სქემა 2008 წლის 1 იანვრიდან 2008 წლის 7 აგვისტოს ჩათვლით).

7 აგვისტოს, 14:30 წუთზე, საქართველოს შეიარაღებული ძალები მობილიზებული იყვნენ (მობილიზაციისდასაბუთებისთვის, გთხოვთ, იხილოთ, პასუხი მეორე კითხვაში, ,,სამხედრო საკითხებთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის მიმართ დასმული შეკითხვების პირველი სექცია“) და ქვედანაყოფებმა დაიწყეს მოძრაობა თავიანთი დისლოკაციის მიმართულებით.

ბრძოლის პერიოდში, საქართველოს შეიარაღებული ძალების რაზმთა გადაადგილების შესახებ არსებული ინფორმაცია მოცემულია მეორე შეკითხვაში, ,,სამხედრო საკითხებთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის მიმართ დასმული შეკითხვების პირველი სექციიდან“)

კითხვა 5. გთხოვთ, განმარტოთ რუსეთის მიერ ცხინვალის რეგიონის/სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიების აღიარების სამართლებრივი და სხვა საფუძვლები. გთხოვთ, განმარტოთ 2008 წლის 17 სექტემბერს, რუსეთის ფედერაციასა და ცხინვალის რეგიონს/სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს შორის მეგობრობის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებების სამართლებრივი სტატუსი და მიზნები.

2008 წლის 26 აგვისტოს, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა (# 1260 და # 1261) ბრძანებულებებს, რომელთა ძალითაც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარა. [150] ორივე ბრძანებულებაში ხაზგასმით იყო გამოხატული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხალხის თავისუფალი ნება, მათი სუვერენულ და დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების თაობაზე. ბრძანებულების მიხედვით, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაევალა დიპლომატიური ურთიერთობების წამოწყება აფხაზურ/სამხრეთ ოსურ მხარეებთან და ხელშეკრულების პროექტის მომზადება მეგობრობის, თანამშრობლობისა და ორმხრივი დახმარების თაობაზე. ამასთანავე, ამ ბრძანების მიხედვით, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ,,პრეზიდენტების“ მოთხოვნები განისაზღვრა როგორც კანონიერ საფუძველზე გაკეთებული მოთხოვნები, სადაც ნათქვამია, რომ აღნიშნულ ტერიტორიებზე განლაგებული რუსული შეიარაღებული ძალების არსებობა შესაძლოა ,,გამართლებული“ ყოფილიყო, ზემოხსენებული ხელშეკრულებების ხელმოწერამდე.[151]

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა, თავისი გადაწყვეტილება დაამყარა ორი რესპუბლიკის პარლამენტის მიერ ჩატარებული რეფერედუმის შედეგებზე და მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. მათ თხოვნით მიმართეს რუსეთის ფედერაციას ამის თაობაზე და დახმარებაც მიიღეს ფედერაციის საბჭოს და სახელმწიფო დუმის მხრიდან.[152] აღსანიშნავია, რომ მოთხოვნა დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ, 2008 წლამდე რამდენიმეჯერ გაკეთდა. თუმცა, იმ პერიოდში რუსეთის მთავრობის აღმასრულებელმა შტომ თავი შეიკავა მოთხოვნის დამტკიცებისგან. რუსეთის

[150] ბრძანებულების ორგინალური ვერსიები ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართებზე:
http://en.wikipedia.org/wiki/File:Decree_recognising_Abkhazian_independence.png#file
http://en.wikipedia.org/wiki/File:Decree_recognising_South_Ossetia_independence.png

[151] იხ.: უსაფრთხოების საბჭოს შეხვედრა 5969, 2008 წლის 28 აგვისტო, რომელიც ხელმისაწვდომია http://www.undemocracy.com/securitycouncil/meeting_5969

[152] რუსეთის პრეზიდენტის - დიმიტრი მედვედევის მიერ გაკეთებული განცხადება 2008 წლის 26 აგვისტოს ხელმისაწვდომია http://www.kremlin.ru/eng/speeches/2008/08/26/1543_type82912_20752.shtml

ფედერაციამ ამ რეგიონების უკანონო ცალმხრივი აღიარების შესახებ გადაწყვეტილება, მხოლოდ 2008 წლის აგვისტოში მომხდარი საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციისა და დაპყრობის შემდგომ მიიღო.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა დაასაბუთა ორი ძირითადი ,,გამამართლებელი გარემოება“ ტერიტორიების კანონიერად აღიარების შესახებ: ა) რეფერენდუმში გამოხატული აფხაზი და ოსი ხალხის ნება; ბ) ქართული მხარის მიერ გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულებების დარღვევა და მშვიდობიანი მოლაპარაკებებისა და სამშვიდობო პროცესების ჩაშლა.[153] მსგავსი არგუმენტაცია შეინიშნებოდა საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაკეთებულ განცხადებაში, სადაც მცირე ხაზგასმით არის აღნიშნული ,,აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ხალხის თვითგამორკვევის უფლების შესახებ. .[154]

ბრძანებულება, ტერიტორიების კანონიერი აღიარების შესახებ, რომელსაც მოსდევს ხელშეკრულებების დასკვნა, უნდა განიხილოს ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის და ასევე საქართველოს შიდა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის დარღვევად.[155] რუსეთის ფედერაციის მიერ წამოყენებული არგუმენტები, სადაც ერთვარად ლეგალიზაბულია ამ ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარება, შესაბამისობაში არ მოდის საერთაშორისო სამართალთან. არსებითად, ამ რეგიონების კანონიერად ცნობა წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის პირდაპირ მცდელობას, შეცვალოს მეზობელი სუვერენული სახელმწიფოს საზღვრები შეიარაღებული თავდასხმისა და ოკუპაციის შედეგად.

შეიარაღებული ძალის გამოყენებით და ეთნიკურ წმენდის საფუძველზე ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი ერთეულის კანონიერად ცნობა წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის დარღვევას.

რუსეთის ფედერაცია ირწმუნებოდა, რომ მისი გადაწყვეტილება, სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ, შეესაბამებოდა საერთაშორისო სამართლის შესაბამის ნორმებს და წესებს. კერძოდ, პრეზიდენტი მედვედევი ამტკიცებდა რომ მისი გადაწყვეტილების (ტერიტორიების კანონიერი აღიარების თაობაზე) მიღების დროს, მან იხელმძღვანელა გაერო-ს წესდების დებულებებით, 1970 წელს შედგენილი დეკლარაციით, სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობების

[153] იხ.: იგივე წყარო.
[154] http://www.mid.ru/brp_4.nsf/0/FF61E0682d1506E1C3257523000F9DD6
[155] იხ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ, 2008 წლის 27 აგვისტოს გაკეთებული განცხადება რაც ხელმისაწვდომია მისამართზე:
http://mfa..gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=59&info_id=7769

მართვის საერთაშორისო კანონის პრინციპების დაცვის შესახებ, 1975 წლის ეუთო-ს მიერ მიღებული ჰელსინკის დასკვნითი აქტით და სხვა ფუნდამენტური საერთაშორისო დოკუმენტით. სრულიად საპირისპიროდ, ტერიტორიების კანონიერად ცნობა არღვევს ზემოხსენებულ ხელშეკრულებებს და საერთაშორისო კანონის სხვა ნორმებს.

საერთაშორისო სამართლის ზოგადი წესების თანახმად, სახელმწიფომ თავი უნდა შეიკავოს ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი ერთეულის კანონიერად აღიარებისგან, რომელიც მოხდა საერთაშორისო კანონის ერთი ან მეტი ფუნდამენტური ნორმების დარღვევით.[156] ამ მხრივ, საქართველო მიიჩნევს, რომ რუსეთის ფედერაციას უარი უნდა ეთქვა აღიარებაზე, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა იმ ქმედებების ან ქმედებათა შედეგების *არაღიარების ვალდებულებაზე,* რომელიც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ ნორმებს.[157] არაღიარების ვალდებულება მჭიდრო კავშირშია პრინციპთან: ,,უსამართლობა არ ქმნის კანონს.“ ამ გამოთქმის მიხედვით, ,,საერთაშორისო სამართლის კანონსაწინააღმდეგო აქტები შეუძლებელია დამნაშავისთვის წარმოადგენდეს ლეგიტიმაციის წყაროს.“[158]

რუსეთის მიერ, აფხაზეთის, ცხინვალის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცალმხრივი აღიარება არის სამხედრო ინტერვენციის პირდაპირი შედეგი და რუსეთის შეიარაღებული ძალების მხრიდან საქართველოს ტერიტორიის უწყვეტი ოკუპაციის შედეგი, რაც წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 2(4) მუხლის დარღვევას. ასევე, დაირღვა საერთაშორისო სამართლის სავალდებულო ნორმა – აგრესიის აკრძალვა.

როგორც ზემოთ არის მითითებული, ევროსაბჭომ, განიხილა თვით რუსეთის ფედერაციის მიერ მიღებული დამოუკიდებლობის აღიარების აქტი, როგორც, საერთაშორისო სამართლის შესაბამისი პრინციპების დარღვევის ფაქტი:

> ,,...[საპარლამენტო] ასამბლეა გმობს რუსეთის მიერ, სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის დამოუკიდებლად ცნობას და ამ ქმედებას თვლის, საერთაშორისო სამართლისა და ევროსაბჭოს კანონით გათვალისწინებული პრინციპების დარღვევად. ასამბლეა ადასტურებს თავის მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ და განმეორებით ხაზგასმით მოუწოდებს რუსეთს, რომ უარი თქვას სამხრეთ ოსეთის და

[156] დავით რაიკი, სახელმწიფოებრივი სტატუსი და დამოუკიდებლობის მიღების კანონი, კლუვერის საერთაშორისო კანონი, გვ. 105-113

[157] ლაუტერპახტი, საერთაშორისო კანონის ცნობა, კემბრიჯი 1947. გვ. 413.

[158] დავით რაიკი, სახელმწიფოებრივი სტატუსი და დამოუკიდებლობის მიღების კანონი, კლუვერის საერთაშორისო კანონი, გვ. 109.

აფხაზეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე და გამოხატოს სრული პატივისცემა საქართველოს სუვერენიტეტის და და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ, ასევე საზღვრების ხელშეუხებლობის პრინციპის მიმართ.“[159]

საერთაშორისო სამართლის კიდევ ერთი ფუნდამენტური ნორმა, რომელიც განხილულია ამ კონტექსტში, არის ერთა თვითგამორკვევის უფლება, რომელიც უნდა აიხსნას და შეესადაგოს საერთაშორისო სამართლის შესაბამისი წესებს. ამ კონტექსტში, საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური წესების გარდა, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული სუვერენული სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობის პრინციპები და საერთაშორისო სამართლის სხვა ნორმები.[160] ამ მხრივ, საერთაშორისო კანონის უმთავრესი ნორმა, რომელიც დაირღვა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მარიონეტული რეჟიმის მიერ მიღებული ცალმხრივი დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღებით და ასევე, რუსეთის ფედერაციის მხრიდან ტერიტორიების დამოუკიდებლობის ცალმხრივი აღიარებით, წარმოადგენს ეთნიკური წმენდის აკრძალვას.[161] აღსანიშნავია, რომ თვით რუსეთმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ეთნიკურ წმენდაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა ორივე რეგიონში (ორივე რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ქართველები იყვნენ; ეთნიკური წმენდა ასევე შეეხო სხვა ეთნიკური წარმოშობის ხალხს). რუსეთის წარმომადგენლები აქტიურად იყვნენ დაკავებული მოსახლეობის ეთნიკურ წმენდაში ან/და ხელს არ უშლიდნენ იმგვარ ქმედებებს რომლებსაც ადგილი ჰქონდა, მათი კონტროლქვეშ მყოფი, აფხაზეთის ან სამხრეთ ოსეთის ბანდფორმიებების მიერ. საერთაშორისო საზოგადოების მიერ გამოხატული ქმედებები ყოველთვის იყო მტკიცე და მყარი, საერთაშორისო სამართლის შესაბამის ნორმებთან მიმართებაში და არასდროს

[159] საპარლამენტო ასამბლეა, გადაწყვეტილება 16 47 (2009). რეზოლუციის განხორციელება 1633 (2008) საქართველო-რუსეთს შორის გამართული ომის შედეგების თაობაზე; იხ.: http://assembly.coe.int/Mainf.asp?link=/Documents/AdaptedText/ta09/ERES1647.htm

[160] დამოუკიდებლობის უფლება უნდა დაბალანსდეს ,,ტერიტორიული მთლიანობის“ პრინციპების თანახმად, როგორც ეს დასაბუთებულია 1970 წლის მეგობრული ურთიერთობების დეკლარაციაში: „წინამდებარე პარაგრაფი არ ასახავს ისეთ ინფორმაციას, რომელიც შეეხება ნებისმიერი საქმიანობის წაქეზებას ან ნების დართვას, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ, დაანაწევრიანებს ან შეასუსტებს სუვერენიტეტის პოლიტიკურ ერთიანობას ან ტერიტორიულ მთლიანობას და დამოუკიდებელი სახელმწიფოები მოიქცევიან დამოუკიდებელ ხალხთა თანაბარი უფლებების პრინციპების დაცვის შესაბამისად, როგორც ეს ზემოთ არის აღნიშნული, და აქედან გამომდინარე, ასეთი სახის მთავრობის არსებობის შემთხვევაში, მთელ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი არ განირჩევა რასის, რწმენის და ფერის მიხედვით.“

[161] იხ.: საერთაშორისო კონვენციის განცხადება ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის თაობაზე, საქართველო V. რუსეთის ფედერაცია, საერთაშორისო სასამართლო, განაცხადი წინასწარი ზომების მითითების თაობაზე იხ.: http://www.icj-cij.org/docket/index.php?pl=3&p2=3&code=GR&case=140&k=4d

უშვებდა ამგვარი დარღვევების ლეგალიზებას, მათ შორის, ამგვარი სახის დე-ფაქტო რეჟიმის კანონიერად ცნობას.[162]

საქართველო მიიჩნევს, რომ დამოუკიდებლობის უფლების შელახვის გარდა, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მარიონეტული რეჟიმების დამოუკიდებლად ცნობა მოისაკლისებდა იურიდიულ ძალას, რადგან ეს მოხდა საერთაშორისო სამართლის შესაბამისი წესების დარღვევით, რომელიც განსაზღვრავს თვითგამორკვევისა და სეცესიის უფლებას.[163]

საქართველოს ,,უარი" კონფლიქტის მშვიდობიან გადაჭრასთან დაკავშირებით:

რუსეთის ფედერაციის მიერ გამოყენებული ერთ-ერთი არგუმენტი, რომელიც ამართლებს აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის და ცხინვალის რეგიონების დამოუკიდებლობის უკანონო ცალმხრივი აღიარებას საქართველოს მხრიდან მოლაპარაკების პროცესის ,,ჩაშლით", არანაირი იურიდიული საფუძველი არ გააჩნია საერთაშორისო სამართალში. თუმცა, სიტუაციის უკეთ გაგებისთვის, სასარგებლო იქნებოდა, გაკეთებულიყო შესაბამისი ინფორმაციის მოკლე ანალიზი, თუ რა ვითარებაში მოხდა რუსეთის ფედერაციის მიერ ამ რეგიონების დამოუკიდებლობის უკანონო ცალმხრივი აღიარება.

საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკა, ყოველთვის მიმართული იყო ტერიტორიული დავების მშვიდობიანი გზით მოგვარებისკენ. საქართველოს ახლანდელმა მთავრობამ, 2004 წლიდან, დაიწყო ახალი პოლიტიკის გატარება, რომელიც სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიებს სთავაზობდა ფართო ავტონომიას და კონსტიტუციურ უფლებებს, საქართველოს სუვერენული ტერიტორიის ფარგლებში. საქართველომ, არაერთხელ წარადგინა შემოთავაზებები, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისთვის. აღნიშნული პოლიტიკის გატარებისას საქართველო ცდილობდა, დაეფასებინა უკვე არსებული დიპლომატიური პროცესები და იმედოვნებდა, რომ რუსეთის ფედერაციაც დაიწყებდა მისი ფორმალური, მშვიდობისმყოფელი როლის პატივისცემას.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდის განმავლობაში, საქართველოს მთავრობა ვერ ახორციელებდა ტეროტორიების ვერც ეკონომიკურ და ვერც უსაფრთხოების გარემოზე კონტროლს. უფრო მეტიც, საქართველოს მთავრობის ღრმა რწმენა იყო და არის ის, რომ

[162] სამხრეთ აფრიკის მშობლიური ტერიტორიების და სამხრეთ როდეზიას მაგალითები, მოძიებული დევიდ რაიკის მიერ, დამოუკიდებლობის კანონის და სახელმწიფოებრიობის შესახებ არსებული მასალა. გვერდები 128-140.

[163] იხ.: კროუფორდი, სახელმწიფოს შექმნა საერთაშორისო კანონის დაცვით, მე-2 გამოცემა, გვ. 376-415..

მის მიერ გატარებული საკუთარი პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები, რომლებიც დაიწყო 2003 წლის ნოემბრის პოლიტიკური ცვლილებების შემდგომ, განხილული უნდა იქნას როგორც ქვეყნის, ლიბერალური, ჰუმანური, ტოლერანტული და მშვიდობიანი გაერთიანების საფუძველი.

საქართველოს მხრიდან გაკეთებული ყველა შემოთავაზება, ეფუძნებოდა გარკვეულ პრინციპებს:

- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა;
- რეგიონში კონფლიქტის შედეგად გადაადგილებულ ხალხთა დაბრუნების უფლების გამოყენება;
- აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოს სუვერენულ პოლიტიკურ ცხოვრებაში ეტაპობრივი ინტეგრაცია, რათა დამყარდეს ნდობა ორივე მხარეს;
- არსებობს საჭიროება. რომ ორივე ტერიტორიას ჰქონდეს შესაძლებლობა, ისარგებლონ ყველაზე ფართო შესაძლებლობების მქონე კონსტიტუციური ავტონომიით;
- მშვიდობისმყოფელებმა უნდა გამოავლინონ სრული ნეიტრალობა;
- მოლაპარაკებთა ფორმატი წარმოდგენილი უნდა იყოს დროულად;
- პირდაპირი მოლაპარაკება მარიონეტულ ხელისუფლებასთან.

ამ შემოთავაზებებს არ მოჰყოლია პოზიტიური შედეგი და ზემოაღნიშნულ პრინციპებზე რეაგირება საერთოდ არ მომხდარა. ქართული მხარის მიერ წარმოდგენილ შემოთავაზებებს, მუდმივად, წინ ეღობებოდა რუსეთის ფედერაციის დიპლომატიური წინააღმდეგობა, ან რუსეთის ფედერაციის მიერ და მარიონეტული ხელისუფლების მხრიდან ადგილი ჰქონდა ისეთ ქმედებებს, რომლის საფუძველზეც მოხდა საქართველოს რესპუბლიკიდან ტერიტორიების შემდგომი გამოყოფა.

არსებული მონაცემები მიუთითებს, რომ დროის გარკვეულ პერიოდში, რუსეთისა და მარიონეტული რეჟიმების მიერ გადაიდგა დიპლომატიური ნაბიჯები, შემდეგ საფუძველზე:

- გაღრმავებულიყო საქართველოდან გამოცალკევების პროცესი;
- მომხდარიყო გადაადგილებული პირების დაბრუნების პროცესისთვის ხელის შეშლა;
- შეზღუდულიყო ნდობის აღდგენის ზომების მიღება;
- გაძლიერებულიყო რუსეთის ფედერაციის მხრიდან დე-ფაქტო ხელისუფლებაზე კონტროლი;

- ტერიტორიებზე გაძლიერებულიყო რუსეთის უშიშროების პირადი შემადგენლობის მუდმივი ყოფნა;
- არსებულ ტეროტორიებზე რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური კურსის ლეგალიზება;
- კონფლიქტის მოგვარებისთვის საქართველოს პირდაპირი მიდგომის იგნორირება;
- კონფლიქტის დარეგულირების ფორმატში მარიონეტული ხელისუფლების სრულყოფილი მონაწილეობისთვის ხელის შეშლა.

თბილისში მიიჩნევდნენ, რომ აღნიშნული ფაქტები ცხადყოფდა მარიონეტული ხელისუფლებისა და რუსეთის ფედერაციის წინასწარ შემუშავებულ ერთობლივ სტრატეგიას, არ ჩართულიყვნენ მნიშვნელოვან მოლაპარაკებაში, პარალულურად კი რუსეთი აღრმავებდა თავის ძალისხმევას ორ რეგიონზე პოლიტიკურ, ეკონომიკურ და უსაფრთხოების საკითხებზე კონტროლის მოსაპოვებლად.

საქართველოს არც სურვილი ჰქონდა და არც ძალუძდა დაპირისპირებოდა მარიონეტული რეჟიმებისა და რუსეთის მხრიდან გამოხატულ წინააღმდეგობას, ჩართულიყვნენ მოლაპარაკებაში. სწორედ ამიტომ საქართველოს მთავრობამ ამ ფაქტებს საზოგადოებრივი წინააღმდეგობა დაუპირისპირა, გააძლიერა თავისი ძალისხმევა და სამშვიდობო შემოთავაზებების მოცულობა და მოითხოვა მესამე მხარის პირდაპირი ჩართულობა, რათა მათ შეეთავსებინათ შუამავლის როლი რუსეთის ფედერაციასთან მიმართებაში.

2008 წელს, საერთაშორისო ჩართულობისა და მედიაციის საჭიროება უფრო მწვავე გახდა. 2008 წლის მარტიდან, რუსეთის ფედერაციის ქმედებები აღნიშნულ ტერიტორიებზე, განსაკუთრებით აფხაზეთში, საქართველოს მთავრობისთვის უკიდურესი შეშფოთების საგანი გახდა. რუსეთის მხრიდან ამგვარი ქმედებების დროის კონკრეტულ მონაკვეთში განხორციელებამ საქართველოს მთავრობა მიიყვანა დასკნამდე, რომ აღნიშნული ფაქტები დაკავშირებული იყო კოსოვოს სტატუსზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან, (17 თებერვალს კოსოვოს დამოუკიდებლობის ცალმხრივი გამოცხადება და მისი შემდგომი აღიარება რიგი სახელმწიფოების მიერ) და 2008 წლის მარტში, ნატო-ს სამიტზე მიღებულ გადაწყვეტილებებთან.

2008 წლის მაისისთვის, სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. აღმოჩნდა, რომ რუსეთის ფედერაციამ არჩევანი ოკუპაციისა და ანექსიის სასარგებლოდ გააკეთა და გასცდა მიუკერძოებელი მედიატორის როლის ფარგლებს. არსებულ რეალობაში საქართველოს მთავრობა ცდილობდა მოეპოვებინა საერთაშორისო მედიაცია და ამასთან ერთად მიემართა რუსეთის ფედერაციისათვის, მხარი დაეჭირა მოლაპარაკებებისათვის.

საქართველოს რესპუბლიკა არ არის იმ პოზიციაში, რომ გააკეთოს კომენტარი იმაზე, თუ რატომ ვერ გამოიღო შედეგი საქართველოს სახალხო და პირდაპირმა მოწოდებებმა საერთაშორისო საზოგადოებისადმი, ეშუამდგომლა გაურასებული სიტუაციის დარეგულირებისათვის, განსაკუთრებით 2008 წლის განმავლობაში, და მოეხდინა კონფლიქტის პრევენცია. ამაზე პასუხი სხვა დედაქალექებშია. თუმცა, საქართველო აცხადებს და ოფიციალურად ადასტურებს, რომ ის მზად იყო ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ფორმატში, ნებისმიერ ადგილას და რაიმე წინაპირობის გარეშე მონაწილეობა მიეღო მოლაპარაკებებში, როცა კი, შეიქმნებოდა ამის საჭიროება.

აღნიშნული დროის განმავლობაში საქართველოს მთავრობა დაკავებული იყო შიდა რეფორმის უპრეცენდეტო პროგრამის გატარებით – ეკონომიკის განვითარებით, დემოკრატიული ინსტიტუტების მშებებლობით და კანონის უზენაესოების განმტკიცებით. ყოველივე ამის განხორციელებისთვის, მთავრობამ შექმნა პოლიციის სრულიად ახალი სისტემა და რეფორმები გაატარა შეირაღებული ძალების სისტემაში. ეს გაკეთდა სხვადასხვა მეგობარი ქვეყნების მიერ გაწეული უშუალო დახმარებისა და საქართველოს პოლიტიკური კურსის გატარების საფუძველზე რომელიც გულისხმობდა ევროკავშირთან და ნატო-სთან კავშირების გაღრმავებას.

აღნიშნული ნაწილი, რომელიც ეხება საქართველოს შიდა პოლიტიკის განვითარებას 2003 წლის ნოემბრის თვიდან, მთავარ პუნქტად ითვლება, როგორც ფაქტორბივი თვალსაზისით, ასევე იმ მოვლენათა განვითარების კუთხით, რამაც ქვეყანა 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტამდე მიიყვანა. მართალია, საქართველოში გატარებულმა რეფორმებმა, ეკონომიკა გააძლიერა, მაგრამ ამ რეფორმებმა ქვეყანა ჩააყენეს იმ პოზიციაში, სადაც მეზობელი ქვეყანა იოლად შეძლებდა უარყოფითი გავლენის მოხდენას საქართველოს ეკონომიკურ ზრდაზე. შემთხვევითი არ არის ის, რომ რუსეთის ფედერაციამ 2006 წელს, საქართველოს მიმართ ცალმხრივი ეკონომიკური სანქციები დააწესა. იმისათვის, რათა სახელმწოფოს აღედგინა თავისი ძირითადი ფუნქციის შესრულება, საქართველომ ახალი წესრიგი დაამყარა პოლიციისა და სამხედრო შეიარაღებული ძალების სისტემაში. ამ პროცესმა, პირველად დააწესა წესრიგი საქართველოში, ყოფილი საბჭოთა კავშირის პერიოდიდან მოყოლებული. თუმცა, რუსული პროპაგანდა მას დაუსაბუთებლად წარმოაჩენდა ისე, რომ თითქოს საქართველო ემზდებოდა რეგიონში კონფლიქტისათვის. უფრო მეტიც, საქართველოს ჰქონდა და აქვს სუვერენული უფლება თავად განსაზღვროს ის, თუ ვინ იქნება მისი საერთაშორისო პარტნიორი, რაც დადასტურდა დემოკრატიული არჩევნებისა და რეფერენდუმის გზით. საქართველოს მთავრობა მიიჩნევს, რომ აღნიშნული პოლიტიკის ალტერნატივა იქნებოდა მუდმივი ქაოსი, არეულობა, სიღარიბე და ოზოლაცია.

აღნიშნული ნაწილი ყურადღებას უთმობს საქართველოს რამოდენიმე ინიციატივას, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიული დავების მშვდიობიან მოგვარებასთან დაკავშირებით.

საქართველო, არა მხოლოდ აქტიურად იყო ჩაბმული სამშვიდობო პროცესებში, არამედ სხვადასხვა დროს, ახდენდა პროაქტიული, მნიშვნელოვანი სამშვიდობო ინიციატივების შეთავაზებას. მეტი თვალსაჩინოებისათვის, ქვემოთ მოყვანილია 2004 წლიდან საქართველოს მთავრობისა და საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენელთა მიერ შემოთავაზებული რამდენიმე საკვანძო სამშვიდობო ინიციატივების სია. სამწუხაროდ, წინამდებარე ინიციატივების განხორციელება აფხაზური და სამხრეთ ოსური მხრეების (რომლებსაც მხარს უჭერდა რუსეთის მთავრობა) უგულვებელყოფის ან/და რუსეთის ფედერაციის პირდაპირი უარის გამო ჩაიშალა. საქართველო-რუსეთს შორის კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების თაობაზე წარმართული მოლაპარაკებების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციისათვის იხილეთ თანდართული სქემა, რომელიც დეტალურად აღწერს ამ პროცესს.[164]

რაც შეეხება, ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის, საქართველო, მიმართ არსებულ სამშვიდობო შემოთავაზებებს, აღნიშნული მოიცავს ბოლო დროს შეთავაზებულ რამოდენიმე ინიციატივას:

– ვალდებულებების ოქმს, რომელიც ხელმოწერილია 2005 წლის 24 იანვარს, ცხინვალში.[165]
–სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებასთან დაკავშირებით, 2005 წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის ინიციატივას, სადაც შედის პოლიტიკური სტატუსი, ენა, განათლება, სოციალური და ეკონომიკური რეაბილიტაცია;[166]
– შემდგომი ქმედებების შესახებ ხელშეკრულების მემორანდუმს, რომელიც მიზნად ისახავდა ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის საბოლოო მოგვარებას;[167]
– ქართულ-ოსურ სამშვიდობო გეგმას, რომელიც შემუშავდა საქართველოს მთავრობის მიერ 2005 წლის 8 ნოემბერს;[168] გეგმას მხარდაჭერა აღუთქვა ეუთო-მ, 2005 წლის 6 დეკემბერს, ლიუბლიანაში, (საქართველოს შესახებ გაკეთებული განცხადება), მეცამეტე

[164] იხ.: მითითება 15.
[165] http://www.rrc.ge/law/Protoc_2005_01_24_e.htm?lawid=1349&lng_3=en
[166] http://www.rrc.ge/law/tsinad_2006_24_03%20_E.htm?lawid=1684&lng_3=en
[167] იხ.: მითითება 18.
[168] http://www.rrc.ge/lawoseti_2005_11_08_e.htm?lawid=1496&lng_3=en

შეხვედრის მეორე დღეს, (სამხედრო კომისიის #13, ჟურნალი .. 2), რომელსაც რუსეთმა. თავდაპირველად, მხარი დაუჭირა მაგრამ შემდგომ უარყო. [169]

ეუთო-ს მიერ შემოთავაზებული სამშვიდობო მოლაპარაკებები, რომელიც 2008 წლის ივლისის ბოლოს გაიმართა, უარყოფილი იქნა სამხრეთ ოსეთის მარიონეტული მთავრობის მიერ. ეუთო-ს მაშინდელმა თავმჯდომარემ, ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ალექსანდრე შტუბმა მხარეებს შესთავაზა, რომ მოლაპარაკებები ეწარმოებინათ ჰელსინკიში, აგვისტოს დასაწყისში, სამხრეთ ოსეთის მარიონეტული რეჟიმსა და საქართველოს მთავრობას შორის. მარიონეტულმა მთავრობამ უარი თქვა ამ შემოთავაზებაზე.

ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში, ეუთო-ს სამხედრო მონიტორინგის სამსახურის თანამშრომელთა რაოდენობის ზრდის საკითხი, აქტუალურად იდგა ეუთო-ს დღის წესრიგში, სხვადასხვა ფორუმებზე 2006, 2007 და 2008 წლებში. ასეთი ნაბიჯი, უზრუნველყოფდა უფრო მეტ გამჭირვალობას ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში უსაფრთხოების გარემოს დაცვის თაობაზე, ასევე, ეს ხელს შეუწყობდა, ნდობის აღდგენის ზომების მიღებას. ეუთო-ს ფორმატში განხილული იყო დამკვირვებელთა რაოდენობის გაზრდის შესაძლებლობა. ეს ფორმატები იყო: საქართველოს მეგობრების არაფორმალური ჯგუფი, მენეჯმენტის და ფინანსების საკონსულტაციო კომიტეტი, მუდმივმოქმედი საბჭოს მოსამზადებელი კომიტეტი, მუდმივმოქმედი საბჭო და მინისტერიალის საბჭო.

ეუთო-ს წევრი სახელმწიფოების დიდმა უმრავლესობამ, ამ იდეას მხარი დაუჭირა. თუმცა, რუსეთი დაჟინებით ეწინააღმდეგებოდა ამ შესაძლებლობას. ერთ-ერთი მაგალითი რუსეთის წინააღმდეგობისა, ამ მნიშვნელოვანი შესაძლებლობის მიმართ, რომელიც ინიცირებული და მხარდაჭერილ იქნა ეუთო-ს თავმჯდომარეობის მიერ, სხვა ეუთო-ს მონაწილე სახელმწიფოებთან ერთად გამოხატული იქნა 2007 წლის 20 სექტემბერს კომიტეტის მიერ გამართულ მოსამზადებელ შეხვედრაზე. ხანგრძლივი დისკუსიებისა და ფიქრის შემდგომ, ესპანელმა წარმომადგენლებმა, გაავრცელეს ,,გადაწყვეტილების პროექტი, მისიის მონიტორინგის თანამშრომლების რაოდენობის ზრდის თაობაზე.“ შეხვედრაზე, ამ პროექტს მხარი დაუჭირა ეუთო-ს წვერი სახელმწიფოების დიდმა უმრავლესობამ. საქართველომ როგორც, ეუთო-ს მისიის მასპინძელმა ქვეყანამ, მტკიცედ დაუჭირა მხარი ამ პროექტს. თუმცა, რუსეთის ფედერაციამ, კიდევ ერთხელ უკუაგდო შემოთავაზება, არ შეუერთდა კონსენსუსს და დაბლოკა პროექტის მიღება.

---

[169] იხ.: მითითება 20; (როგორც დოკუმენტი ასევე, PDF – გადასატანი დოკუმენტის ფორმატის ფაილები/არქივები).

რაც შეეხება აფხაზეთს, საქართველო, ბოლო დროს გაკეთებული შემოთავაზებები მოიცავდა შემდეგს:

– 2006 წლის ,,საგზაო რუკა“, რომელიც მოამზადა საქართველოს მთავრობამ და რომელიც მიმართული იყო აფხაზეთში კონფლიქტის მოგვარებისკენ.[170]
– 2008 წლის 28 მარტს, [171] საქართველოს პრეზიდენტმა წამოაყენა შემოთავაზება აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირების თაობაზე, სადაც შედიოდა:

o აფხაზების ფართო პოლიტიკური წარმომადგნელობა, მათ შორის, საქართველოს ვიცე-პრეზიდენტის ახალი პოსტი, რომელიც დაკავებული უნდა ყოფილიყო აფხაზი პირის მიერ.
o ვეტოს უფლების გამოყენება აფხაზეთის კონსტიტუციურ სტატუსთან დაკავშირებით და საკითხებზე, რომლებიც ეხება აფხაზურ კულტურას, ენას და ეთნიკურ წარმომავლობას.
o გალის რეგიონში, ერთობლივი თავისუფალი ეკონომიკური ზონის დაარსება, მათ შორის, ოჩამჩირის საზღვაო პორტის აშენება. აფხაზეთის ავტონომიის საერთაშორისო გარანტიები და რუსეთის მიმართ გაკეთებული შემოთავაზება, რაც ითვალისწინებს კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებაში მედიატორის როლს.

- [2001 წელს გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობარმა ქვეყნებმა დაიწყეს მუშაობა დოკუმენტზე „თბილისსა და სოხუმს სორის პასუხისმგებლობის გადანაწილების ძირითადი პრინციპები.“ ე.წ ,,ბოდენის დოკუმენტი,“ რომელსაც სახელი დაერქვა საქართველოში გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის, დიტერ ბოდენის მიხედვით, ახდენს ძალაუფლების გადანაწილებას ქართულ და აფხაზურ ხელისუფლებებს შორის. დოკუმენტის ტექსტი საიდუმლოდ ინახებოდა 2002 წლის იანვრამდე. აღსანიშნავია, რომ უფრო ადრე, 2001 წლის აგვისტოში, აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის პრემიერ-მინიტრმა ა.ჯერგენიამ გაუგზავნა წერილობითი განცხადება გენერალურ მდივანს კ. ანანს, სადაც მან კიდევ ერთხელ უარყო ,,ბოდენის დოკუმენტით“ განსაზღრულ რაიმე სახის მოლაპარაკებაში მონაწილეობის შესაძლებლობა. ამ დოკუმენტის საბოლოო ვერსია მოიწონა გაერო-ს უშიშროების საბჭომ 2002 წლის 31 იანვრის # 1393 გადაწყვეტილების საფუძველზე. ამის მიუხედავად, ბოდენის დოკუმენტს კვლავ უარყოფდა აფხაზური მხარე და როგორც ირაკლი მენაღარიშვილმა (საქართველოს მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა) ინტერვიუში აღნიშნა: „რუსებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს იმაში, რომ გადაერწმუნებინათ

[170] იხ.: მითითება 21.
[171] იხ.: მითითება 22.

აფხაზები არ დათანხმებულიყვნენ დოკუმენტის პირობებს.“] **იხილეთ დანართი „ბოდენის დოკუმენტი.“**

- 2008 წლის 23 ივნისს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, პრეზიდენტ მედვედევს გაუგზავნა წერილი, სადაც ჩამოყალიბებული იყო დამატებითი დეტალები, რიგ სამშვიდობო ინიციატივებზე, რომლებიც საქართველოს პრეზიდენტმა დაიწყო. სამწუხაროდ, პრეზიდენტმა მედვედევმა, 1 ივლისის თავის საპასუხო წერილში, კატეგორიული უარი განაცხადა ამ ინიციატივებზე **იხილეთ დანართი „ა,“ პრეზიდენტ მედვედევის და პრეზიდენტ სააკაშვილის წერილები.**

- 2008 წლის 22-24 ივლისს, ევროკავშირმა მოაწყო სამშვიდობო მოლაპარაკებები, სადაც სეპარატისტები არ გამოცხადნენ. 22-24 ივლისს, ევროკავშირმა სცადა, ბრიუსელში ჩაეტარებინა მოლაპარაკებები, საქართველოს მთავრობასა და სამხრეთ ოსეთის მარიონეტული რეჟიმის წარმომადგენლებს შორის, სადაც რუსეთის ფედერაცია მიიღებდა მონაწილეობას. სეპარატისტებმა უარი განაცხადეს მონაწილეობის მიღებაზე, თვადაპირველად, უკმაყოფილება გამოხატეს მინისტრ იაკობაშვილის წოდების მიმართ – ,,რეინტეგრაციის მინისტრი.“ საპასუხოდ, საქართველოს მთავრობამ იაკობაშვილი საგანგებო ელჩად დანიშნა კონფლიქტის დარეგულიერების საკითხებში. სეპარატისტებმა, დაუსაბუთებული მიზეზების საფუძველზე, კიდევ ერთხელ თქვეს უარი, დასწრებოდნენ მოლაპარაკებებს.

- გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის სამშვიდობო გეგმა ,,შტაინმაიერი/გერმანული გეგმა“ შემოთავაზებული იყო მეგობართა ჯგუფის შეხვედრის დროს, 2008 წლის ივნისში. ამავე წლის 18 ივლისს, აფხაზეთის მარიონეტულმა რეჟიმმა და რუსეთმა უკუაგდეს გერმანელების შუამდგომლობით შედგენილი გეგმა და უარი განაცხადეს დასწრებოდნენ სამშვიდობო მოლაპარაკებების შესახებ გამართულ შეხვედრას ბერლინში, აგვისტოს დასაწყისში.[172]

მრავალი სამშვიდობო შეთავაზება იმგვარად იყო შემუშავებული, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო ეთნიკური იდენტობის, ადამიანის უფლებების და თვითმყოფადობის სრული დაცვა, იმ ადამიანებისთვის რომლებიც ცხოვრობდნენ ამ ტერიტორიებზე. ეს მოიცავდა ლტოლვილთა და დევნილთა ნებაყოფლობით,

[172] იხ.: მითითება 23.

უსაფრთხო და ღირსეულ დაბრუნებას. რეგიონებს შესთავაზეს, რაც შეიძლება ფართო ავტონომია და საკუთარი წარმომადგენლობა ცენტრალური მთავრობის დონეზე. მიუხედავად საქართველოს და საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევისა, რუსეთისა და მარიონეტული რეჟიმების პოზიციამ შეუძლებელი გახადა ამ ინიციატივების შემდგომი ათვისება და რეალიზაცია.

აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დადებული მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებების სამართლებრივი სტატუსი

მეგობრობის და თანამშრომლობის ხელშეკრულებებს, ასევე მომდევნო ხელშეკრულებას სახელმწიფო საზღვრების დაცვის მიზნით განხორციელებული ერთობლივი ქმედებების შესახებ, რომელიც რუსეთმა გააფორმა აფხაზეთან და, ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან არ გააჩნიათ იურიდიული ძალა, და შესაბამისად ეს ხელშეკრულებები უკანონოა; ამგვარად, ისინი არ შეესაბამებიან საერთაშორისო სამართალს.

ხელშეკრულებათა კანონის შესახებ 1969 წლის ვენის კონვენციის მიხედვით, ,,ხელშეკრულება“ ნიშნავს სახელმწიფოთა შორის საერთაშორისო შეთანხმების გაფორმებას წერილობითი ფორმით, რომელიც ექვემდებარება საერთაშორისო სამართალს. სახელმწიფოს (და საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტების) ექსკლუზიური უფლება, ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით (მუხლი # 6, ვენის კონვენცია) წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებათა კანონის ძირითად ელემენტს. ვინაიდან, არც აფხაზეთი, და არც ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი არ წარმოადგენენ საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელ სუბიექტებს, მათ მიერ გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულება ჩაითვლება ბათილად ან იურიდიული ძალის არმქონედ.

ვინაიდან, ეს ორი რეგიონი საქართველოს სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ, აღნიშნული ხელშეკრულებების გაფორმება წარმოადგენს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას. ეს ქმნის დამატებით საფუძველს, რომ საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ისინი იურიდიული ძალის არმქონედ ითვლებოდეს. ვენის კონვენციის, 53-ე პუნქტი მიხედვით, ,,ხელშეკრულება ბათილია თუ მისი გაფორმების დროს, ის არ ემთხვევა საერთაშორისო სამართლის საყოველთაო სავალდებულო ნორმებს.“

კითხვა # 6. კონფლიქტის მიმდინარეობისას, საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ნორმების მიხედვით, როგორ აღწერდით რუსეთის სამხედრო ძალებსა და სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის შეიარაღებულ ძალებს შორის

ფორმალურ და არაფორმალურ ურთიერთობებს 2008 წლის 17 სექტემბრამდე და დღეის მდგომარეობით? განსაკუთრებით, გთხოვთ, გააკეთოთ განმარტება შესაბამის ბრძანებათა შესახებ.

რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთი/სამხრეთ ოსეთის მარიონეტულ არალეგულარული ჯარებს შორის ურთიერთობა 2008 წლის აგვისტოს ომამდე, აღწერილია ზემოთ იურიდიული საკითების შესახებ 1-ელი კითხვის პასუხში.

აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მარიონეტული არალეგულარული სამხედრო ძალები არ ახორციელებდნენ დამოუკიდებელ კონტროლს ან სამხედრო ოპერაციებს, არც შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში და არც საოკუპაციო პერიოდის განმავლობაში. მითუფრო იმის გათვალისწინებით, რომ ეს მარიონეტული სამხედრო ძალები მოქმედებდნენ როგორც რუსეთის ფედერაციის სატელიტები ან დე-ფაქტო ორგანოები და ამგვარად, ისინი წარმოადგენდენ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების შეიარაღებული ძალების დანამატს. აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის არალეგალურმა სამხედრო ძალების მიერ განხორციელებული ქმედებები ნაბრძანები და მართული იყო რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების მიერ ან/და ლეგალიზებული იყო რუსეთის ფედერაციის მიერ უსიტყვო მორჩილების პოლიტიკის საშუალებით. მთლიანი სქემა, სტრატეგია და პოლიტიკა, რომლის თანახმად, ხორციელდებოდა სამხედრო ოპერაციები, წარმართული იყო რუსეთის ფედერაციის მიერ, რომელიც წარმოადგენდა სამხედრო ოპერაციების მთავარ არქიტექტორს, მაკონტროლებელ ძალას, ხელმძღვანელსა და შემსრულებელს. რეალურად, ამგვარმა ურთიერთობამ რუსეთის ფედერაციასა და სამხრეთ ოსეთის/აფხაზეთის არალეგალურ სამხედრო ძალებს შორის განაპირობა ის, რომ ეს მარიონეტული რეჟიმები სრულად იყვნენ დამოკიდებული რუსეთის ფედერაციაზე. ამგვარად, მათი დამკვიდრება, არსებობა და დაცვა შესაძლებელი იყო ექსკლუზიურად მხოლოდ რუსეთის ფედერაციის მიერ გაწეული პოლიტიკური, სამხედრო, ლოგისტიკური და ფინანსური დახმარების საშუალებით. მართლაც, 2008 წლის აგვისტოს, სამხედრო ოპერაციების მსვლელობისას მარიონეტულ ბანდფორმირებებს ყოფილი რუსი სამხედრო პირები ხელმძღვანელობდნენ.[173] ამგვარმა

[173]აფხაზი მაღალჩინოსანი სამხედრო პირები იყვნენ ან რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები ან რუსეთის შეიარაღებული ძალების ყოფილი წარმომადგენლები. აფხაზეთის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე და გენერალური შტაბის მეთაური იყო რუსეთის ჯარის გენერალ ლეინტენანტი. აფხაზეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილე იყო რუსული მშვიდობისმყოფელთა ძალების ერთობლივი შტაბის ყოფილი უფროსი, ხოლო აფხაზეთის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე კი, რუსეთის ყოფილი საზღვაო მეთაური. სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა დე ფაქტო მინისტრი, რომელიც დაინიშნა 2005 წლის აპრილიდან, მრავალი წლის განმავლობაში მსახურობდა რუსეთის ფედერაციში შემავალი ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში. აგრეთვე, დე-ფაქტო მინისტრი, მანამდე მსახურობდა როგორც ჩრდილოეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს განყოფილების უფროსის მოადგილე და 2004 წელს, ის სათავეში ჩაუდგა სპეციალურ დროებით

ქმედებებმა გაადვილეს რუსეთის ფედერაციის მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სამხედრო ფორმირებების ხელმძღვანელობა, კონტროლის დაწესება და მართვა.

ამგვარად, სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის ბანდფორმირებები წარმოადგენდნენ რესპონდენტი სახელმწიფოს მარტივ ინსტრუმენტებს.

არსებობს პირდაპირი, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი რუსეთის ფედერაციის მიერ გაწეულ დახმარებასა და მარიონეტული ბანდფორმირებების არსებობას შორის. რუსეთის ფედერაცია ერთადერთი სახელმწიფო იყო, რომელმაც გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული საერთაშორისო ხელშეკრულების და რეზოლუციების საწინააღმდეგოდ, ღიად გამოხატა სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური მხარდაჭერა ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის მიმართ. შედეგად, მათი ყველა ქმედება, მათ შორის, ადამიანთა უფლებათა უხეში დარღვევები უკავშირდება რუსეთის ფედერაციას.[174]

თვითმხილველთა გადმოცემით, რუსეთის შეიარაღებული ძალები და სეპარატისტული ბანდფომირებები არ მოქმედებდნენ როგორც ცალკეული საბრძოლო ერთეულები. მათი მოქმედებები კოორდინირებული და ერთობლივი იყო. ბატონი თეიმურაზ ჯაშაშვილის განცხადებით, რუსეთის შეირაღებულმა ძალებმა დახმარება გაუწეს სამხრეთ ოსეთს არალეგალურ შეიარაღებულ ფორმირებებს გორის რაიონის, სოფელ ტყვიავში არსებული სახლების გაძარცვასა და გადაწვაში:

ოპერატიულ-ტაქტიკურ ჯგუფს ბესლანში, კონტრტერორისტული ოპერაციების განხორციელების დროს. 2006 წლის დეკემბრიდან მოყოლებული, სამხრეთ ოსეთის უშიშროების საბჭოს დე-ფაქტო მდივანი, დაწინაურდა როგორც რუსეთის ჯარის პოლკოვნიკი და 2001 წლის შემდგომ, 4 წლის განმავლობაში მუშაობდა, რუსეთის ფედერაციის მმართველობის ქვეშ მყოფი ჩეჩნეთის სამხედრო საგანგებო კომისრის პირველ მოადგილედ. სამხრეთ ოსეთში დანიშვნამდე, ის მუშაობდა სტავროპოლის მხარის სამხედრო საგანგებო კომისრის მოადგილედ. 2006 წლის ნოემბრიდან, სამხრეთ ოსეთის, სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტის დე ფაქტო ხელმძღვანელი, მრავალი წელი მუშაობდა მოსკოვის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურში. სამხრეთ ოსეთის თავდაცვის დე ფაქტო მინისტრი, რომელიც დაინიშნა 2008 წლის მარტში, რუსულ არმიაში დაწიანურდა როგორც გენერალ-მაიორი. იგი მსახურობდა როგორც, ურალის რეგიონის, ჩებარკულის სამხედრო ბაზასთან არსებული სახმელეთო ჯარების და შეიარაღებული ჯავშანსაკავალერიო ოცეულის მმართველად. 2003-2004 წლებში, ის მსახურობდა როგორც ჯარის მმართველის მოადგილე ციმბირში. სანამ ის გაიგზავნა სამხედრო ამოცანის შესასრულებლად სამხრეთ ოსეთში, იგი მსახურობდა როგორც სამხედრო საგანგებო რწმუნებულად პერმის ოლქში რუსეთის ფედერაციის გადაწყვეტილებით. 2008 წლის აგვისტოს ომის განმავლობაში, გენერალი ლუნევი გახდა 58-ე ჯარის მეთაურის მოვალეობის შემსრულებელი, რუსეთის ფედერაციის სამხედრო ერთეულის უფროსი.

[174] ვ. ილასკუ. მოლდოვა და რუსეთის ფედერაცია, ზემოთ მითითებულია მსჯელობა - 2004 წ. 8 ივლისი,& 382; ილასკუს შემთხვევაში, სასამართლომ ჩათვალა, რომ „რუსეთის ფედერაციის პასუხისმგებლობა [იყო] დნეტნისპირეთის სეპარატისტების მიერ უკანონო მოქმედებების შესაბამისად, სამხედრო და პოლიტიკური მხარდაჭერის განხორციელება, რითაც ხელი შეეწყო, სეპარატისტული რეჟიმის დამყარებას და ბრძოლაში სამხედრო შემადგენლობის მონაწილეობის მიღებას.“

14 აგვისტოს, რუსი სამხედრო შეიარაღებული ჯარი სოფელში ტანკებით და ჯავშანტექნიკით შევიდა... რუს სამხედროებს უკან მიჰყვებოდა ოსეთის რაზმი და სხვა დაქირავებული ჯარისკაცები... რუსეთის ჯარისკაცები არაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რათა ხელი შეეშალათ ოსეთის რაზმისთვის და დაქირავებული ჯარისკაცებისთვის ქართველ მოსახლეობაზე თავდასხმის განხორციელებაში. პირიქით, ისინი ეხმარებოდნენ მათ, რომ შეჭრილიყვნენ ჩაკეტილ ეზოებში, თავიანთი შეიარაღებული ტექნიკით და მძარცველებისთვის მიეცათ საბრძოლო მანქანების შიგნით შეტანის შესაძლებლობა.[175]

ქალბატონი ანა დათაშვილის ჩვენება ცხადყოფს რომ მარიონეტული ბანდფორმირებები სოფლებში რუსმა სამხედროებმა მიიყვანეს:

რუსი ჯარისკაცებით სავსე რუსული ტანკები სოფლში შევიდნენ. მათ დაიკავეს ჩვენი სოფელი და ჯარის ნაწილი და შევიდნენ ცხინვალში. იმავე დღეს, რუსი ჯარისკაცები დაბრუნდნენ სოფელში, კაზაკებთან, ჩეჩნებთან და სხვა ჩრდილოეთ კავკასიის აგრესორებთან ერთად. მათ დაიწყეს ძარცვა და ქართული სახლების მასიურად დაწვა... ეს გაგრძელდა 6 დღე... 14 აგვისტოს, სამი შეიარაღებული, სამხედრო ფორმაში გადაცმული კაცი შემოიჭრა ჩემს სახლში. როგორც მოგვიანებით შევიტყვე, ერთ-ერთი ჯარისკაცი რუსი იყო, ხოლო დანარჩენი ორი ოსი ეროვნებისა იყვნენ. რუსმა ჯარისკაცმა ხმამაღალა დამიწყო ყვირილი, მაგრამ მე არაფერი მესმოდა მისი, რადგან რუსული არ ვიცი. ამის შემდეგ, ოსმა ჯარისკაცმა ამიხსნა ქართულად, რომ რუსმა ჯარისკაცმა მიბრძანა სახლის დატოვება, რადგან ისინი აპირებდნენ მის გადაწვას... რუსმა ჯარისკაცმა, ფიზიკური ძალის გამოყენებით მაიძულა სახლის დატოვება. მე დავინახე თუ როგორ გადაისროლა ოსმა ჯარისკაცმა ბომბის მსგავსი საგანი ჩემი სახლის პირველ სართულზე და ვხედავდი როგორ ეხვეოდა სახლი ცეცხლში.[176]

კიდევ ერთი მოწმე, ბატონი ენვერ ბაბუციძე ამტკიცებს, რომ რუსეთის სამხედრო ძალები და სამხრეთ ოსეთის მარიონეტული სამხედრო შენაერთები კოორდირებულად მოქმედებდნენ სოფელ ქვემო აჩაბეთში.

მათ [რუს ჯარისკაცებს] თან ახლდათ ოსები, რომელთაც ეცვათ შავი და სამხედრო მწვანე ფორმა... მე მოწმე გავხდი იმისა, თუ როგორ გადმოვიდნენ ჯარისკაცები ტანკიდან და შეიჭრნენ მეზობლის სახლში, ვიდრე სხვა რუსები გარეთ იყვნენ. შემდეგ, დავინახე ის ჯარისკაცები, რომლებიც შეცვივდნენ სახლში, როგორ

[175] იხ.: მოწმის - თეიმურაზ ჯაშიაშვილის მიერ გაცემული წერილობითი განცხადება.
[176] იხ.: მოწმის - ანა დათაშვილის მიერ გაცემული წერილობითი განცხადება.

> ბრუნდებოდნენ სტერეო სისტემით ხელში და დებდნენ მას ტანკში. იმის შემდეგ რაც რუსმა ჯარისკაცებმა დაასრულეს სახლის ძარცვა, მას ცეცხლი წაუკიდეს. არავინ ცდილობდა ცეცხლის ჩაქრობას. რუს ჯარისკაცებს წინ უძღოდათ უფროსი ლეინტენატის წოდების მქონე მეთაური, რომელსაც სამი ვარსკვლავი ჰქონდა მხრებზე. ამ რუსმა მეთაურმა დაავალა ჯარისკაცებს აეღოთ მოპარული ნივთები და ჩაედოთ ტანკში. შემდეგ, დავინახე ჩემი ბიძა, რომელმაც მითხრა, რომ რუსმა ჯარისკაცებმა გაიტაცეს ჩემი მეზობელი, ვაჟა ვაზაგაშვილი... მე ვკითხე ბიძაჩემს, თუ სად წაიყვანეს ის. ბიძაჩემმა მიმითითა დაახლოებით, 15 მეტრის მოშორებით, სადაც დავინახე რუსი ჯარისკაცების ჯგუფი რომელიც წიხლებით ურტყამდა და უმოწყალოდ სცემდა მას. იმ მომენტში, უცებ, რუსმა ჯარისკაცმა ჩამარტყა ზურგში, შაშხანის წვეტით და შემდგომ კონდახი დამარტყა. მან მე და ბიძაჩემს გვიბრძანა, რომ წავსულიყავით მასთან ერთად. დაახლოებით, კიდევ 10 ჯარისკაცი, რამდენიმე ოს ჯარისკაცთან ერთად მოვიდა და მათ უბრძანეს ბიძაჩემს სახლში შესულიყო... მე და ვაჟა რუსეთის და ოსეთის ჯარისკაცების ჯგუფის ტყვეობაში ვიყავით და ფეხით დავიძარით ცხინვალისკენ. ჯარისკაცების რაოდენობა მერყეობდა 5 - დან 20 - მდე, რადგან ჯარისკაცები მოდიოდნენ და მიდიოდნენ. მათი ლიდერი იყო ლეინტენანტი რუსული არმიიდან...[177]

იმავე მოწმის მიერ გაკეთებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ციხეს, სადაც ქართველი მოქალაქეები იყვნენ დაპატიმრებული, ერთობლივად ყარაულობდა და მართავდა სამხრეთ ოსეთის ჯარისკაცები და რუსი სამხედრო შეიარაღებული ძალები. რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის მაღალი რანგის სამხედრო ოფიციალური პირები ერთმანეთს ხშირად და პირდაპირ ეკონტაქტებოდნენ და ერთობლივად ახდენდნენ დაკავებულთა დაკითხვას.[178]

გორის რაიონის, სოფელ კეხვში, ქალბატონი ლიზა გოგაშვილის, როგორც მოწმის მიერ გადმოცემული ინფორმაციის მიხედვით, რუსეთის და სამხრეთ ოსეთის ჯარები, დაბომბვის შემდგომ, ერთად შევიდნენ სოფელში და დაიწყეს ძარცვა და მოსახლეობის სახლების გადაწვა. რუს ჯარისკაცებს არავითარი რეაქცია არ ჰქონიათ ამაზე. ეს ინფორმაცია დასტურდება მაყვალა მელანაშვილის მიერაც, რომელიც ცხოვრობდა გორის რაიონის სოფელი კეხვში. ის ამბობს:

> შეიარაღებული ხალხი შემოიჭრა სოფელში და დაიწყო ქართველი მოსახლეობის სახლების გადაწვა. მათ არ ანაღვლებდათ, სახლში იმყოფებოდა თუ არა მეპატრონე. უმეტესი ძარცვა ხდებოდა ოსური შეიარაღებული რაზმის მიერ და

[177] იხ.: მოწმის - ენვერ ბაბუცაძის მიერ გაცემული წერილობითი განცხადება.
[178] იგივე წყარო.

> უმეტესი სახლები მათ მიერ გადაიწვა; რაც შეეხება რუს ჯარისკაცებს, ისინი უყურებდნენ სიტუაციას და ხელს არ უშლიდნენ და არც ახშობდნენ შეტევებს საქართველოს მოსახლეობის მიმართ.[179]

ის, რომ რუსეთის და სამხრეთ ოსეთის სამხედრო შეიარაღებული ძალები ერთობლივად და შეთანხმებულად მოქმედებდნენ, ნათლად ჩანს, კლარა ხეთაგურის განცხადებიდან. მისი ჩვენება ნათელყოფს, რომ ძარცვა და სახლების გადაწვა არ იყო მხოლოდ სამხრეთ ოსეთის სამხედრო შეიარაღებული ძალების მიერ ჩადენილი სპონტანური ქმედებები, არამედ ეს ქმედებები უფრო მეტად ხორციელდებოდა რუსეთის მხრიდან წინასწარი თანხმობის საფუძველზე.

> ,,ჩემი სახლი მდებარეობდა ორ შენობასთან ახლოს, სადაც რუსული ჯარის ჯგუფი რჩებოდა... მე კარგი დამოკიდებულება მქონდა რუს ჯარისკაცებთან იმიტომ, რომ მე მათ საკვები მივეცი... რუსმა ჯარისკაცებმა თეთრი ნაჭერი მიაბეს იმ შენობებს, სადაც ისინი რჩებოდნენ. იმის გამო, რომ მეშინოდა ჩემს სახლს გადაწვავდნენ, უფროსმა მირჩია, სახლზე მიმება თეთრი ტილო, რაც ოსებს აფიქრებინებდა, რომ ჩემი სახლი იყო რუსების თავშესაფარი და შედეგად, მას არ გადაწვავდნენ. უფროსმა მითხრა, რომ ეს შენობები, მათ შორის, ჩემი სახლი არ გადაიწვებოდა, სანამ რუსები სოფელში დარჩებოდნენ.“[180]

კითხვა: 7 რა ზომები მიიღეთ სამოქალაქო პირების დაცვისა და მათ მიმართ ძარცვის, დაკავებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციის მიზნით, საომარი მოქმედებების დროს და მათ შემდგომ?

საომარი მოქმედებების მსვლელობის დროს, ადამიანის უფლებებში ადრე გავლილი ტრენინგები, სამხედრო პოლიციის ადგილზე ყოფნა და უმაღლესი ხელისუფლებისაგან მიღებული მკაფიო ინსტრუქციები საკმარისი უნდა ყოფილიყო სამხედრო ოპერაციების მოქმედების ადგილებში მყოფი ყველა სამოქალაქო პირის დაცვის უზრუნველსაყოფად. აღსანიშნავია, რომ ქართველი სამხედროები არ აწარმოებდნენ არც ძარცვას და არც ცუდად ეპყრობოდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. თუმცა, თუ რაიმე სანდო ინფორმაცია ცნობილი გახდება საქართველოს მთავრობისათვის, ის საფუძვლიანად იქნება გამოკვლეული.

Human Rights Watch-მა აღნიშნა, რომ ქართველი სამხედროები მკაცრად იცავდნენ პრეზიდენტის ბრძანებას „დაეცვათ მშვიდობიანი მოსახლეობა.“

---

[179] იხ.: მოწმის - მაყვალა მელანაშვილის მიერ გაცემული წერილობითი განცხადება.
[180] იხ.: მოწმის - კლარა ხეთაგურის მიერ გაცემული წერილობითი განცხადება.

Human Rights Watch-ის მიერ გამოკითხული მოწმეების უმრავლესობა არ უჩიოდა ქართული შეიარაღებული ძალების მხრიდან რაიმე სხვა ტიპის დარღვევებს მათ წინააღმდეგ. მათი ინფორმაციით, **უმრავლეს შემთხვევებში ჯარები, რომლებიც სოფლებში შემოდიოდნენ, მშვიდობიან მოსახლეობას გამიზნულ ზიანს არ აყენებდნენ**. რამდენიმე ოსმა გამოკითხულმა პირმა აღნიშნა, რომ ქართველმა ჯარისკაცებმა მათ უთხრეს, რომ მათ ნაბრძანები ჰქონდათ ოსური მილიციის წევრების მოძებვნა და დაკავება მაგრამ **დაინდობდნენ ქალებს, ბავშვებსა და მოხუცებს სახმელეთო თავდასხმების დროს.** [181]

ზარეტა ზ. მ, სოფელ სარაბუკიდან, თქვა, რომ ქართველი ჯარისკაცები შევიდნენ სარდაფში, სადაც ის თავის ქმართან ერთად იმალებოდა და უთხრეს მათ, „ახლა თქვენ ჩვენთან, ქართველებთან, ერთად იცხოვრებთ, და ჩვენ ყველანი ვიცხოვრებთ მშვიდობაში. მიშამ [სააკაშვილი] გვითხრა, რომ ქალებს და ბავშვებს ხელი არ უნდა ვახლოთ. ჩვენ ინსტრუქცია გვაქვს მიღებული, რომ მხოლოდ ახალგაზრდა ბიჭები [მებრძოლები] უნდა დავხოცოთ. და ჩვენც, სწორედ ამას გავაკეთებთ. თქვენ არ უნდა შეწუხდეთ.“ იგივე სოფლიდან კიდევ ერთმა ქალმა, სვეტლანა ს.-მ, აგრეთვე თქვა, რომ ქართველი ჯარისკაცები ეუბნებოდნენ სოფლელებს, რომ „ჩვენ არ უნდა მოვკლათ არც ერთი მცხოვრები და არც ვაპირებთ ამას! ყველანი ხართ უსაფრთხოდ!“ [182]

აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ მას შემდეგაც კი, რაც რუსეთმა მოახდინა ტერიტორიის ოკუპაცია, საქართველოს მთავრობა ყველაფერს აკეთებდა, პოლიციის მინიმალური რაოდენობის შენარჩუნებისთვის, რათა მშვიდობიანი მოსახლეობა რამენაირად დაცული ყოფილიყო. პოლიცია მართლაც, უკანასკნელი იყო, რომელმაც დატოვა სოფლები და ქალაქები რუსების შემოსვლის შემდეგ. იმ ერთადერთი მიზნით, რომ მორალური მხარდაჭერა გაეწია მშვიდობიანი მოსახლეობისათვის და თუ ვერ აღკვეთდა, აღერიცხა მაინც, ცუდად მოპყრობისა და ძარცვის ფაქტები, ზუგდიდის (დასავლეთი საქართველო) პოლიცია იმასაც კი დათანხმდა, რომ დაეყარა იარაღი საოკუპაციო ძალების მოთხოვნით, დარჩენის სანაცვლოდ.

თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ არანაირი ეფექტიანი შედეგი ამ მცდელობებს არ მოჰყოლია, რადგან ადამიანის უფლებების დარღვევები რუსების, აგრეთვე, მარიონეტული რეჟიმის ხელისუფლებების და არარეგულარული შეიარაღებული ძალების მხრიდან – ცუდად მოპყრობის, ძარცვის, გადაწვის, მოკვლისა და ეთნიკურ

[181] Human Rights Watch, „ცეცხლის ალში: ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში სამხრეთ ოსეთის ირგვლივ კონფლიქტში,“ 2009, გვ. 61.

[182] Human Rights Watch, „ცეცხლის ალში: ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში სამხრეთ ოსეთის ირგვლივ კონფლიქტში“, 2009, გვ. 61.

ნიადაგზე დისკრიმინაციის ფაქტები მძიმე ტვირთად დააწვა მშვიდობიან მოსახლეობას, რომლებსაც ზიანი მიაყენეს როგორც საომარი მოქმედებების მსვლელობის დროს, ისე მათ შემდეგაც..[183]

კითხვა 8. რა ზომები მიიღეთ სამოქალაქო მოსახლეობის დახმარებისა და მხარდაჭერის მიზნით იმ რაიონებში, რომლებსაც ზიანი მიაყენა საომარმა მოქმედებებმა და მათმა შედეგებმა?

რუსულმა აგრესიამ საქართველოში, ინტენსიური დახმარების მცდელობის საჭიროება შექმნა. 8 აგვისტოდან მოყოლებული, უშუალოდ საომარი მოქმედებებით დაზარალებული მოსახლეობის რიცხვმა დღითიდღე იმატა, ვინაიდან რუსული საჯარისო ნაწილები საქართველოს ტერიტორიაზე უფრო ღრმად გადაადგილდნენ.
საქართველოს სამოქალაქო რეესტრის მონაცემებით, მთლიანობაში 138, 193 პირი დაზარალდა (განიდევნა) ომის შედეგად. საქართელოს ნაწილობრივი დე-ოკუპაციის შედეგად 31,245 პირი კვლავ დევნილია.

სქესი	0-4	5-11	12-17	18-59	60+	სულ:
მამრობითი	4108	7388	7159	38355	5789	62799
მდემრობითი	3995	6968	7147	47519	9765	75394
სულ:	8103	14356	14306	85874	15554	**138193**

საომარი მოქმედებების მიმდინარეობის დროს მთავრობის ძალისხმევა შემდეგი საკითხების მოგვარებაზე იყო კონცენრტირებული:

რუსული შეიარაღებული ძალების მიერ ოკუპირებულ სოფლებში დაჭრილებს ან/და შოკურ მდგომარეობაში მყოფ პირებს, ასევე, რუსეთის მიერ კონტროლირებული ტერიტორიიდან გამოქცეულ მოსახლეობას სამედიცინო მომსახურება გაეწია. ეს ძალისხმევა საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის დახმარებით იყო კოორდინირებული. რუსული ჯარის ნაწილების წინსვლის გამო, მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაციას, ასევე, მათ ტრანსპორტირებას (ჯერ გორში, რუსების მიერ მისი დაკავების შემდეგ, ხაშურში და ა.შ. საბოლოოდ, აღმოსავლეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა (იგპ) უმეტესობამ თბილისში, რუსთავში, მცხეთაში, თიანეთში მოიყარა თავი, ხოლო იგპ-მა დასავლეთიდან – ქუთაისში) ერთობლივარ ახორციელებდნენ შინაგან საქმეთა სამინისტრო, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ლტოლვილთა და განსახლების

[183] შემთხვევების ჩამონათვალი.

სამინისტრო და ადგილობრივი მუნიციპალიტეტები (რამდენადაც ისინი სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფდნენ). საერთაშორისო ორგანიზაციებმა ასევე, სწრაფად მოახდინეს მობილიზაცია საქართველოს მთავრობისთვის დახმარების გასაწევად.

2008 წლის 8 აგვისტოს, სამინისტროში საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სამუშაო კომიტეტი შეიქმნა. შეხვედრას თბილისის და სახელმწიფოს სხვა რეგიონების 43 კლინიკის ხელმძღვანელი ესწრებოდა. ჯანმრთელობისა და სოციალური საკითხების დაცვის სამინისტრო საგანგებო სიტუაციებში სტრუქტურის სამოქმედო გეგმის შესაბამისად რეაგირებდა. ეს გეგმები ეროვნული რეაგირების გეგმის ნაწილი იყო, რომლის განხორციელების კოორდინირებას შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი უწევდა, დარგობრივი სამინისტროების მიერ იყო შემუშავებული და სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოს შორის კოორდინირების დეტალურ მექანიზმს მოიცავდა. ჯანდაცვის სექტორში სათანადო კოორდინაციის უზრუნველსაყოფად სამოქმედო გეგმებში ასევე მონაწილეობდნენ მთავარი საავადმყოფოები, სისხლის ბანკები, ფარმაცევტული კომპანიები და სამედიცინო სფეროს სხვა ძირითადი კომპონენტები ბუნებრივ თუ ხელოვნურ კატასტროფებზე რეაგირებისთვის. კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ხალხის დიდი ნაკადის მისაღებად რეფერალური (მიმართვიანობის) სისტემა შეიქმნა.

8 აგვისტოს, სოფელ ტყვიავში საველე ჰოსპიტალი მოეწყო. თბილისიდან ტყვიავში გადაიყვენეს 42 სასწრაფო დახმარების მანქანა და სათანადო პერსონალით აღჭურვილი 14 რეანიმობილი.– აგრესიის მანძილზე, ტყვიავის საველე ჰოსპიტალი დამხარისხებელი პუნქტის როლს ასრულებდა. სამაშველო შტაბები ტყვიავშიც იყო განთავსებული. გორის სამხედრო ჰოსპიტალი, რომელსაც მაღალი დონის გადაუდებელი და რეანიმაციული განყოფილებები აქვს, ტყვიავის საველე ჰოსპიტლიდან მძიმედ დაჭრილი მოსახლეობის ძირითადი მიმღები იყო. დანარჩენი დაჭრილები და ისინი, ვისი ტრანსპორტირებაც შესაძლებელი იყო ტყვიავიდან თბილისში 2 სამედიცინო ცენტრში – ღუდუშაურის საავადმყოფოში და პირველ რესპუბლიკურ გადაუდებელ სამედიცინი დახმარების ცენტრში იყვნენ გადაყვანილები. ქუთაისის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრი გორის დასავლეთიდან, ასევე, ზემო აფხაზეთიდან – კოდორის ხეობის ევაკუირებული პაციენტებისთვის იყო გამოყოფილი.

სასწრაფო დახმარების მანქანები სამ ჯგუფად დაიყო – პირველ ჯგუფს დაჭრილები კონფლიქტის ზონებიდან უნდა გამოეყვანა. მეორე ჯგუფს პაციენტები ტყვიავიდან გორის სამხედრო ჰოსპიტალში უნდა გადაეყვანა, ხოლო მესამე ჯგუფს – გორიდან

თბილისში; საერთო ჯამში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, 111 სასწრაფო დახმარების მანქანა იყო საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებაში ჩართული.

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროში 24-სათიანი ცხელი ხაზი ამოქმედდა და ახლობლებს დაჭრილების განთავსების ადგილის შესახებ ინფორმაციას აწვდიდა. შინაგან საქმეთა სამინისტროში, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში და რეინტეგრაციის სამინისტროში, ამოქმედდა ცხელი ხაზები ინფორმაციის მისაღებად საფრთხის წინაშე, მძევლად ან ტყვეობაში მყოფი ადამიანების შესახებ ან მათ შესახებ ვინც ტყეებს აფარებდა თავს და ევაკუაციას საჭიროებდა.

ქვეყნის მასშტაბით, 43 საავადმყოფოში 2.232 ადამიანი მკურნალობდა, ტრანსპორტირებისას, არც ერთი პაციენტი არ გარდაცვლილა, სამი ადამიანი გარდაიცვალა საავადმყოფოებში ოპერაციის დროს. დანარჩენებს ჩაუტარდათ მკურნალობა და სათანადოდ მოხდა მათი გაწერა. აგრესიის დროს, 228 მშვიდობიანი მოქალაქე იყო მოკლული. გორში, რუსეთის დაბომბვისას 2 ექიმი და 1 მედდა გარდაიცვალა. გორში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრს, რომელსაც ჰქონდა სამედიცინო დაწესებულებად დასადგენი ნათელი ნიშნებით (ეზოში პარკირებული რამდენიმე სასწრაფო დახმარების მანქანა), თვითმფრინავიდან დამიზნებით ნასროლი რაკეტა მოხვდა, რა დროსაც ორი ექიმი და ერთი მედდა გარდაიცვალა, ხოლო დანარჩენი პერსონალი მძიმედ დაშავდა. ცენტრი მთლიანად იქნა განადგურებული. სამედიცინო ფორმაში ჩაცმული ექიმი საავადმყოფოს ტერიტორიაზე ვერტმფრენიდან პირდაპირი დამიზნებით იყო მოკლული.

კონფლიქტის დროს, პირველადი ჯანდაცვის 14 კლინიკა დაზიანდა. კარალეთში, ახალი თანამედროვე პირველადი ჯანდაცვის კლინიკა მთლიანად იყო განადგურებული, დანარჩენები სხვადასხვა ხარისხით გაძარცვული და დარბეული. ტყვიავის პირველადი ჯანდაცვის კლინიკა მთლიანად იყო გაძარცვული, ამასთან, ავეჯის თითეული ნაწილი დამტვრეული. ქურთაში თანამედროვე საავადმყოფო მთლიანად იყო განადგურებული, ასევე, ერთი კოდორის ხეობაშიც. ოთხი სასწრაფო დახმარების მანქანა ნათლად გამოხატული ნიშნებით სრულად ან ნაწილობრივ იყო დამტვრეული, სამი მათგანი ტყვიებით იყო დაცხრილული.

რუსების მიერ გორის დაკავების დროს, ექიმები და მედდები დარჩნენ ქალაქში. პირველი რამდენიმე დღის განმავლობაში, სასწრაფო დახმარების მანქანებს არ რთავდნენ შესვლის ან გამოსვლის ნებას, რამაც სასწრაფო-სამედიცინო რეაგირების დიდი გადატვირთვა შექმნა, ვინაიდან გორში ბომბები კვლავ ფეთქდებოდა და მოკლულებისა და დაჭრილების შესაბამის საავადმყოფოებში გადაყვანა ვერ

ხერხდებოდა. გორის სრული ბლოკადის გამო, სასწრაფო დახმარების ბრიგადებს არ შეეძლოთ ქალაქში უაღრესად საჭირო სამედიცინო საშუალებების და წამლების მარაგების შევსება. რამდენიმე დღეში, სასწრაფო დახმარების მანქანებს გორში შესვლის ნება დართეს, მაგრამ ისინი კვლავ უარს იღებდნენ რუსი სამხედროების მიერ შექმნილ ე.წ. ბუფერულ ზონაში შეღწევაზე. იმ ზონებში მყოფ ადამიანებს არ ჰქონდათ (აკლდათ) წამლები და სამედიცინო მარაგი და ქართულმა ბრიგადებმა მათთან მიღწევა რუსული საჯარისო ნაწილების გასვლამდე, ოქტომბრამდე ვერ შეძლეს.

საცხოვრებელი პირობებით, საკვებითა და მკურნალობით უზრუნველყოფა მოხდა ათასობით იძულებით გადაადგილებულ პირისათვის (იგპ) ქვეყნის აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან, რომლებიც ყოველდღიურად ჩამოდიოდნენ სხვადასხვა, შედარებით უფრო უსაფრთხო ქალაქებსა და სოფლებში. ამ საქმიანობას კოორდინაციას უწევდა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (ვინაიდან იგპ-ის უმრავლესობა დროებით, სკოლებში იყო შეფარებული) და ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციები.

როდესაც მოსახლეობამ კონფლიქტის ზონის დატოვება დაიწყო, ჯანდაცვის სამინისტრომ რეაგირება პირველადი და მეორადი კლინიკების პოტენციალის გაძლიერებით მოახდინა, სამედიცინო პერსონალის დამატების გარდა, საჭიროების შემთხვევაში, აწვდიდა აუცილებელ წამლებს და სამედიცინო საშუალებებს იმ ქალაქებს, სადაც ადგილნაცვლი პირები იყვნენ ჩასახლებულები. ყველა კოლექტიური ჩასახლების ცენტრში, სადაც რუსული აგრესიით დაზარალებული მოსახლეობა განთავსდა, სამინისტრომ თავისი პირველადი დახმარების კლინიკების ქსელის მეშვეობით, სამედიცინო ცენტრები აამოქმედა და მათ შესაბამისი წამლების მარაგი და სამედიცინო აღჭურვილობა გადასცა. მკურნალობა პირველადი და მეორადი სამედიცინო მომსახურების დაწესებულებებში, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მთელი მოსახლეობისთვის უსასყიდლო იყო განკუთვნილი და ხარჯები მთლიანად სამინისტროს მიერ იყო დაფარული. კოლექტიური ჩასახლების ცენტრებში, ახლომდებარე ადგილობრივი პირველადი კლინიკების მიერ მოსახლეობის სრულად მომსახურების განახლებამდე, სამედიცინო წერტილები ფუნქციონირებდა. 2008 წლის აგვისტო – 2009 წლის იანვრის განმავლობაში, საავადმყოფოებში უფასო სამედიცინო მომსახურება ორი ათასმა დევნილმა მიიღო.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, პირველი კვირის განმავლობაში, იგპ-ების რაოდენობა ყოველდღიურად იზრდებოდა. იგპ-ების ჩამოსვლა არ იყო ყოველთვის ორგანიზებული. იმის გამო, რომ რუსულმა საჯარისო ნაწილებმა დაბლოკეს გზები; ამასთან,

საქართველოს მთავარი, აღმოსავლეთ-დასავლეთის საავტომობილო გზა, მრავალ იგპ-ს იმ ადგილამდე მისაღწვად, საიდანაც ხელისუფლების მიერ ტრანსპორტირება იქნებოდა შესაძლებელი, საათობით და დღეების განმავლობაშიც კი, ფეხით უნდა ევლოთ. მრავალი მათგანი თბილისში ჩავიდა და თავშესაფარი მეგობრებთან და ნათესავებთან იპოვნა. საწყის ეტაპზე ამან რეგისტრაციის პრობლემა გამოიწვია.

იგპ-ების უმეტესობა სამხრეთ ოსეთიდან და ზემო აფხაზეთიდან იყო და აგვისტოს ბოლოსთვის, თბილისში 700-ზე მეტ სხვადასხვა ადგილას იყო განთავსებული. ამ თავშესაფართა უმრავლესობა (90%) სკოლა (როგორც საჯარო, ასევე კერძო), საბავშვო ბაღი, პროფესიული სწავლების ცენტრი, სპეციალური სკოლა უნარშეზღუდული ბავშვებისთვის, კვლევითი ინსტიტუტი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სტუდენტური საერთო საცხოვრებელი იყო.

ამ კოლექტიურ ცენტრებში იგპ-ებისთვის საკვებისა და წყლის მიწოდება საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ იყო ორგანიზებული. განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინეს ჩვილბავშვიანი დედებისა და მათი სპეციალური საჭიროებების მიმართ.

უნდა აღინიშნოს, საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევებში აისახა, რომ იგპ-ებისთვის აღმოჩენილ სახელმწიფო და საერთაშორისო დახმარებასთან ერთად, მხარდაჭერის უზარმაზარი ტვირთი თავიანთ თავზე ადგილობრივმა საზოგადოებებმა (თემებმა) აიღეს. ყოველი კოლექტიური ცენტრი „აყვანილი“ ჰყავდა ადგილობრივ კერძო ორგანიზაციას, იმ მიდამოში მცხოვრებ კონკრეტულ მოქალაქეებს უწყვეტად აწვდიდნენ საკვებს (ცხელი კერძების ჩათვლით), ჩასაცმელს, საბნენს, ბავშვებისთვის სათამაშოებს და სხვა მრავალ დიდ თუ მცირე შემოწირულობას. ასობით ათასი დახმარების მსურველისთვის ხელშესაწყობად, ქალაქის მასშტაბით სპეციალური „დახმარების კუთხეები“ შეიქმნა მოხალისეების, შემოწირულობების, საქველმოქმედო შენატანის სარეგისტრაციოდ და გასანაწილებლად.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელდა სამაშველო ოპერაციები და ევაკუაციები (სადაც ჯერაც შესაძლებელი იყო) და საზოგადოებრივი წესრიგის/პოლიციის ადგილზე შენარჩუნება პანიკის სამართავად და ადგილობრივი მოსახლეობისთვის სულ მცირე, მორალური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად სწორედ, ოკუპირებულ ტერიტორიებზე და თუნდაც, პოლიციის სატაბელო იარაღის რუსული საჯარისო ნაწილისთვის ჩაბარების ფასად (მაგ., ზუგდიში).

- სამაშველო ბრიგადები დაეხმარნენ სამედიცინო ბრიგადებს ბრძოლის ველიდან 100-ზე მეტი დაჭრილის და დაღუპულის გამოყვანაში.
- 8 და 9 აგვისტოს 300-ზე მეტ მშვიდობიან მოსახლეს გაეწია დახმარება, რომ გამოქცეულიყო ზემო ნიქოზიდან, ნიქოზიდან, ერგნეთიდან, შინდისიდან, ერედვიდან და ტყვიავიდან.
- კოდორიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 1000-ზე მეტი მშვიდობიანი მოსახლე იქნა ევაკუირებული და შემდეგ, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ ქუთაისში გადაყვანილი.
- 12 ქვეყნიდან 200 ტონა ჰუმანიტარული დახმარება (33 თვითმფრინავი) იქნა მობილიზებული და გადანაწილებული 147 იგპ-ების კოლექტიურ ცენტრებზე.
- გორში, დაბომბილი სახლიდან 8 მშვიდობიანი მოქალაქე გადაარჩინეს, 1 გარდაცვლილი ქალი და 2 გარდაცვლილი ბავშვი შენობების ნანგრევებიდან იყო გამოყვანილი.

შემდგომ პერიოდში:

სექტემბრიდან დაწყებული და უკვე დეკემბრის ბოლოს, საქართველოს მთავრობა ორიენტირებული იყო, რომ იგპ-ები, რომელთა დაბრუნებაც საშუალო და გრძელ ვადაში ნაკლებად სავარაუდო იყო, გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველეყო.

მოხალისეობის პრინციპი მაქსიმალურად გამოიყენებოდა იგპ-ების რუსეთის მიერ დეოკუპირებულ ტერიტორიებზე დაბრუნების დროს. ასევე შემუშავდა განსახლების გადაწყვეტილებების ალტერნატიული არჩევანის შეთავაზება მათთვის, რომლებსაც დაბრუნება არ შეეძლოთ, ან დაბრუნება არ არჩიეს:

ალტერნატივა: 1. საცხოვრებელი ახალ ან არსებულ დასახლებებში საავტომობილო გზასთან ახლოს და/ან ქალაქში (ქალაქად დასაქმების შესაძლებლობით); 2. საცხოვრებელი ახალ ან არსებულ დასახლებებში სოფლად, სამეურნეო დანიშნულების მიწით, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვით ყოველ ოჯახზე, სამეურნეო საქმიანობის შესაძლებლობით; საცხოვრებლის ნაცვლად კომპენსაცია მათთვის, ვინც ირჩევს, რომ საბინაო მოწყობა თავად მოიგვაროს; აგრეთვე, რუსული აგრესიის შედეგად „ბუფერულ ზონაში“ დანგრეული და/ან დაზიანებული სახლები და ბინები რეაბილიტირებული იქნა, ან კომპენსაცია იქნა გაცემული.

- 3979 სახლი აშენდა და 1542 ბინა გარემონტდა ძირითადად, მცხეთა-მთიანეთში; კასპის, გორის, ქარელის, ხაშურის, თეთრიწყაროს, მარნეულის, გარდაბნის, ბოლნისის რაიონებში.

- მთავრობის მიერ ქვეყნის მასშტაბით, 453 სახლი იქნა შეძენილი.
- გარდა ამისა, 9342 სახლი და ბინა იქნა რეაბილიტირებული ე.წ. „ბუფერულ ზონაში.“
- დახმარების სახით, იგპ-ზე 200 ლარი იქნა გამოყოფილი.
- ყოველი ოჯახი უზრუნველყოფილი იქნა ძირითადი ავეჯით, სამზარეულო და სხვა აღჭურვილობით (ტექნიკით, მოწყობილობებით).
- 1,000 იგპ ბავშვი სარეაბილიტაციოდ საზღვარგარეთ გაიგზავნა, პროექტი 2009 წელსაც გაგრძელდება.

საცხოვრებლით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, უფრო დეტალური ინფორმაცია მოტანილია დანართში 2 (2008 წლის 25 დეკემბრის ვითარებას ასახავს). ეს ყოველივე საბიუჯეტო სახსრებით შესრულდა.

ამჟამად, 400 ოჯახი ელოდება უცხოელი დონორების მიერ აღდგენილი საცხოვრებლებით (300 სახლი გერმანელების და 100 თურქების მიერ) დაკმაყოფილებას.

პოლიცია და სამედიცინო პერსონალი პირველი იყო, ვინც სოფლებსა და ქალაქებში რუსული საჯარისიო ნაწილების გაყვანის შემდეგ დაბრუნდა.

სამედიცინო პერსონალი მარაგდებოდა (და ჯერ კიდევ მარაგდება) უფასო მედიკამენტებითა და სამედიცინო აპარატურით. სამედიცინო პერსონალი, უკლებლივ, ვინც სამუშაო ადგილი დაკარგა, ირიცხება უწყისში და მისი გადანაწილება ახლადაშენებულ დასახლებებში მიმდინარეობს.

ყველა ახალ დასახლებას ხელი მიუწვდება სამედიცინო დაწესებულებაზე. პირველადი სამედიცინო მომსახურების ის დაწესებულებები, რომლებიც დასახლებებთან ახლოს მდებარეობენ, გაძლიერებული იყო ექიმებით და მედდებით, რომლებიც რიგ შემთხვევებში, კონფლიქტის ზონიდან იყვნენ. წეროვანის მსგავს დიდ დასახლებებში, ახალი კლინიკა აშენდა (ჩეხეთის მთავრობის მიერ შემოწირული), იგივე იგეგმება კოდასა და სხვა დასახლებებში.

გარდა ამისა, ყველა ახლადაშენებულ დასახლებაში მცხოვრებ ადგილმონაცვლეს უფლება აქვს ისარგებლოს სამედიცინო დაზღვევის ვაუჩერით (იმ ტიპის, როგორიც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ მოსახლეობას დაურიგდა), რომელიც მათ სრულ სამედიცინო მომსახურებას მოიცავს.

12 პოლიციის შენობა გარემონტდა და 2 აშენდა ომისგან დაზარალებულ გორის, ქარელი, კასპის რაიონებში, სადაც მოსახლეობა დაბრუნდა. ადგილობრივ მოსახლეობაში არსებული დაუცველობის შეგრძნების გასანეიტრალებლად, პოლიციის შემადგენლობა ადგილზე იყო გაძლიერებული.

მოხდა ომის დროს დაზიანებული, 51 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია.

ბავშვები იგპ-ების ოჯახებიდან მათი ამჟამინდელი განსახლების ადგილების მახლობლად მდებარე სკოლებში ჩაირიცხა. გაზრდილი ჩარიცხვებით განპირობებული ახალი გამოწვევების დასაკმაყოფილებლად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ამ სკოლებს დამატებითი დახმარება და მხარდაჭერა აღმოუჩინა. ისინი დამატებითი სასკოლო მერხებით იყო აღჭურვილი. 1,094 მერხი გადანაწილდა 32 სკოლაზე. დევნილი მოსწავლეებისთვის უახლოეს სკოლებამდე ფეხით სავალი საშუალო მანძილი არის 2,5 კმ (მინიმალური – 0,5 კმ, მაქსიმალური – 20 კმ). ტრანსპორტირების პრობლემას რაც შეეხება, ლტოლვილი მოსწავლეების გადასაყვანად რამდენიმე სკოლა სასკოლო ავტობუსით იყო უზრუნველყოფილი.

აგრეთვე, აკადემიური წლის დასაწყებად, ადგილნაცვალი ბავშვები მოამზადეს და სათანადოდ აღჭურვეს; ეს სამუშაო განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გაწია. სამინისტრომ ოჯახებს მატერიალური დახმარება გაუწია. სასკოლო ასაკის ბავშვის მქონე ყოველ ოჯახს 100 ლარის ოდენობით ერთჯერადი დახმარება გაუწიეს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ასევე, უფასოდ მისცა ყველა ადგილნაცვალ ბავშვს სახელმძღვანელოების კომპლექტი. 258.546 ლარი დაიხარჯა 6014 მოსწავლისთვის, 2–12 კლასების სახელმძღვანელოების შესაძენად. (პირველი კლასის სახელმძღვანელოები განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ ყველა მოქალაქეს უფასოდ ეძლევა)

2009 წელს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ რუსული შეიარაღებული ინტერვენციის შედეგად დაზარალებული სტუდენტების საჭიროებებზე დამყარებული გრანტების პროგრამის ფარგლებში გრანტები გასცა (tuition waiver). სტუდენტები, როგორც კონფლიქტის ზონიდან ასევე, გორიდან და მიმდებარე ტერიტორიებიდან, ამ კატეგორიას განეკუთვნენ. შედეგად სახელმწიფომ სრულად დაფარა 14.000 სტუდენტის საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლის საფასური. ამ პროგრამაზე საერთო ჯამში 1.845.000 ლარის ოდენობის თანხა იყო დახარჯული.

შრომის ბაზარზე იგპ-ების ინტეგრირების ახლადგაჩენილ საჭიროებაზე საპასუხოდ, განათლების და მეცნიერების სამინისტრომ მათ პროფესიული გადამზადების შესაძლებლობა შესთავაზა. იგპ-ების დასახლებებთან ახლოს არსებულ ცენტრებში

სხვადასხვა სწავლების შეთავაზება ხდება. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი იძულებით გადაადგილებული პირების სწავლების საჭიროებების შესაბამისად, საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის, ასევე მოკლე და გრძელვადიანი პროგრამების შემუშავებას ახდენს.

იგპ-ების დასაქმება და საარსებო საშუალებების მდგრადი პროექტებით უზრუნველყოფა ამჟამად უდიდეს პრიორიტეტს წარმოადგენს. იგპ-ების სახლების მშენებლობისას, უკვე გადადგმული იყო საწყისი ნაბიჯები: ა) ისეთი ადგილმდებარეობის შერჩევა, რომელსაც ქალაქში დასაქმების ან ფერმერული მეურნეობის პერსპექტივა გააჩნია, ბ) იგპ-ების სამშენებლო ობიექტებზე დასაქმება.

ამჟამად, მრავალი პოლიტიკური დონის ინიციატივა, ისევე, როგორც ადგილობრივი პროექტი არის წამოწყებული სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მსოფლიო ბანკის, მსოფლიო სასურსათო პროგრამის, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და სხვა მონაწილეების მიერ. ყველაზე მნიშვნელოვან სახელმწიფო ინიციატივები:

- 500 პირუტყვი (ძროხა) გადაეცათ იგპ-ებს, რომლებმაც სასოფლო-სამეურნეო მიწის მქონე საცხოვრებელი აირჩიეს.
- 20 ჰა მიწა (იგპ-ებისთვის გადაცემული სახნავი მიწა) მოიხნა და სასუქი შეტანილია.
- 3000 ტონა მარცვლეული იყო აღებული.
- 5.052 იგპ-ის ოჯახს საჩუქრად, საკარმიდამო ნაკვეთისთვის 16 სხვადასხვა სახის სათესლე მასალა (კარტოფილის ჩათვლით) გადაეცა.
- ყოველ იგპ ოჯახს საჩუქრად, 50 კგ აზოტის სასუქი გადაეცა.
- ყოველ იგპ ოჯახს საჩუქრად, 50 კგ პურის ფქვილი გადაეცა.
- საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, 1.5 მლნ გამოეყო ოჯახებს, რომლებიც „ბუფერულ ზონაში“ დაბრუნდნენ, ძირითადად, პირუტყვის საკვებისთვის, რამდენადაც ამ ოჯახების მთავარი შემოსავლის წყარო მესაქონლეობაა.
- წეროვანში (ყველაზე დიდი არასასოფლო-სამეურნეო დასახლება) ტკბილეულის ფაბრიკა შენდება, სადაც სულ მცირე, 300 იგპ-ს დასაქმდება.
- აგრეთვე, ქაღალდის წარმოების ქარხანა შენდება წეროვანში, რომელიც 150 იგპ-ს დაასაქმებს.
- წეროვანში (ასევე, სხვა დასახლებებში), ხელშეკრულებით, სკოლა, საბავშვო ბაღი და სუპერმარკეტი არის გათვალისწინებული, რაც იგპ-ებს დაასაქმებს.

საქართველოს მთავრობამ 2008 წლის 30 ივლისს, იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ სახელმწიფო (ეროვნული) სტრატეგიის განხორციელების სახელმწიფო

სამოქმედო გაგმა მიიღო (მთავრობის განკარგულება # 489). საქართველო-რუსეთის ომმა და რუსეთის ხელისუფლების მიერ საქართველოს ტერიტორიების შემდგომმა ოკუპაციამ შედეგად იგპ-ების (ქართული წარმოშობის) ახალი ნაკადი წარმოშვა. ამ ახალმა გამოწვევამ არსებული სამოქმედო გეგმის ახალი რეალობასთან შეწყობა მოითხოვა, რის გამოც, საქართველოს მთავრობამ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს არსებული სამოქმედო გეგმის გადახედვა და შესწორებების შეტანა დაავალა (2008 წლის 4 დეკემბრის განკარგულება #85). პროცესი წამყვანი სამთავრობო უწყებებისგან და დონორი ორგანიზაციებისგან შემდგარი ერთობლივი სამუშაო ჯგუფის მიერ რეგულირდება.

ახალი სამოქმედო გეგმა წინა, 2008 წლის აგვისტოს პრიორიტეტების გარდა, იმ ღონისძიებებს მოიცავს, რომლებიც იგპ-ების სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობისა და განსახლების კურსის სტაბილურობისთვის არის გამიზნული. სამოქმედო გეგმის პირველი პროექტი მომზადებულია. ამის შემდეგ საჭიროა გარკვეული დამატებითი სახის ინფორმაცია მიზნობრივ ჯგუფებთან (ბენეფიციარები), საჭიროებების სახეებთან და აუცილებელ ფინანსურ დახმარებებთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, საქართველოს მთავრობამ შესაბამის სამთავრობო დაწესებულებებს მომზადების პროცესის უახლოეს მომავალში დასრულებისთვის, ყველა აუცილებელი ზომის მიღება დაავალა (იხ. 2009 წლის 12 იანვრის განკარგულება # 4).

2008 წლის აგვისტოში და რუსეთის ხელისუფლების მიერ საქართველოს ტერიტორიის შემდგომი ოკუპაციის შედეგად ადგილნაცვალ პირებს, 2009 წლის პირველ ნახევარში იგპ-ების სტატუსი ოფიციალურად უნდა მიენიჭოთ. მას შემდეგ, გადაწყდა, მთავრობა ეპყრობა და კვლავაც მოეპყრობა მათ როგორც იგპ-ებს და აღმოუჩენს აუცილებელ დახმარებას და მხარდაჭერას.

ამავე დროს, მთავრობა წინდახედულად იქცევა, რადგან მიიჩნევს, რომ სათანადო მხარდაჭერა და ყურადღება 1990-იანი წლების დასაწყისში ადგილნაცვალ იგპ-ებს უნდა მიექცეს. სწორედ ამიტომ, მთავრობამ აღიარა საჭიროება, რომ ახალ გამოწვევებთან ერთად, საქართველოს მთავრობის კონტროლოს ქვეშ არსებულ ტერიტორიებზე ყველა იგპ-ის მიმართ არსებული ვალდებულებები დააკმაყოფილოს.

საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ სულ ახლახანს (2009 წლის 10 მარტს), გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს

კომისართან ერთად ხელი მოაწერა იგპ-ებთან დაკავშირებით შესაძლებლობების განვითარებისა და გრძელვადიანი გადაწყვეტილებით უზრუნველყოფის პროექტს.

მოიცავს რა, იგპ-ებს 1992-1993 წლებიდან, ისევე, როგორც 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის განმავლობაში და მის შემდეგ ადგილნაცვალ მოსახლეობას, პროექტი 5 ძირითად მიზანს მოიცავს:

1. სამინისტროს მიერ 2009 წლის დეკემბრის #4 განკარგულებით და კოლექტიური ცენტრების პრივატიზებასთან დაკავშირებით აღებული საკუთარი ვალდებულებების შესრულებაში ხელშეწყობა;
2. ყველგან, საქართველოში დარჩენილი კოლექტიური ცენტრების ტექნიკური ანალიზის ჩატარება;
3. არაოფიციალურად განთავსებული იგპ-ების მოკვლევა, რამაც ამ ჯგუფზე მორგებულ გრძელვადიან გადაწყვეტილებების მიღებას უნდა შეუწყოს ხელი;
4. მოსახლეობისთვის, რომელიც 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შემდეგ კვლავ ადგილნაცვალი რჩება, იგპ-ის სტატუსის მინიჭების განხორციელების პროცესის განხორციელება;
5. იგპ-ებთან ინფორმაციის გაცვლის ხელშეწყობა.

1. ქართველების მიერ სოჭის შეთანხმების დენონონსირება (ჩვენ დაუდგენელი ინფორმაცია გვაქვს იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ჰქონდა ამ დენონსირებას ადგილი).

2. ქართველების განცხადება, რომ 1994 წლის 14 მაისის მოსკოვის შეთანხმება აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ არის ძალადაკარგული (2008 წლის 18 აგვისტო).

- **საქართველოს განცხადება, რომ 1994 წლის 14 მაისის მოსკოვის შეთანხმება აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის და ძალთა დაშორიშორების შესახებ არის ძალადაკარგული**

მოსკოვის შეთანხმებასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობა ამტკიცებს, რომ ეს შეთანხმება არ უნდა იქნას აღქმული, როგორც საერთაშორისო შეთანხმება, რომელიც შეთანხმებების შესაბამისი სამართლებრივი ნორმებით რეგულირდება. მოსკოვის შეთანხმება, როგორც ასეთი, მხარეთა (ქართული და აფხაზური მხარე) ფორმალურ ვალდებულებას წარმოადგენს ძალის არგამოყენების და ძალის გამოყენების მუქარის აკრძალვაზე, ისე, როგორც ეს 1994 წლის 13 იანვრის შესაბამის კომუნიკეშია აღნიშნული. იგი აღნიშნულ მხარეებს შორის ძალთა დაშორიშორებას აწესრიგებს. ასეთი შეთანხმებები ფორმდება შეიარაღებული კონფლიქტის დროს ან შემდეგ (საომარი

მოქმედებების აქტიური ფაზის ბოლოს) და შეიძლება შეიცავდეს გარკვეული ნორმების მიმართ მხარეთა ერთობლივ ვალდებულებებს [184] – მოსკოვის ხელშეკრულების შემთხვევაში, შეიარაღებული ძალების დაშორიშორებას, ტერიტორიის ზუსტ დემარკაციას სამშვიდობო ძალების დისლოცირებისთვის და ა.შ. ასეთი პრაქტიკის შესაბამისად, მოსკოვის შეთანხმების მიზანს მოსახლეობის ნდობის აღდგენა და საიმედო დაცვა წარმოადგენს. ის ითვალისწინებს არამოქმედი პირის პოტენციალს, რომელიც შეთანხმების მიხედვით, თავის თავზე გარკვეულ ვალდებულებას იღებს.

რაც შეეხება აფხაზეთში, საქართველოს დისლოცირებული დსთ-ის სამშვიდობო ძალების მანდატს, იგი 1994 წლის 22 აგვისტოთი დათარიღებული დსთ-ის ქვეყნების მეთაურთა გადაწყვეტილებით (დსთ-ის გადაწყვეტილება)[185] რეგულირდება. 1994 წლის მოსკოვის შეთანხმება და ოქმი დსთ-ის 1994 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებაში, დამოწმების სახით არის მოტანილი. იგი იზიარებს საერთაშორისო საჯარო სამართლის არსს მშვიდობის დაცვასთან და შესაბამის პრაქტიკასთან მიმართებაში, რაც დაინტერესებული სახელმწიფოს თანხმობას ოპერაციის წინაპირობად განიხილავს: I პარაგრაფში აღნიშნულია, რომ შერეული სამშვიდობო ძალები შეთანხმებულად უნდა მოქმედებდნენ კონფლიქტის მხარეებთან ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მოთხოვნების შესაბამისად. ქართულ განცხადებასთან დაკავშირებით, მოსკოვის შეთანხმების შეწყვეტის თაობაზე, საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება #243 (2008 წლის 28 აგვისტო) რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის საკითხთან დაკავშირებით. ამ დადგენილების თანახმად, პარლამენტი მთავრობის აღმასრულებელ შტოს ავალებდა სათანადო ზომების მიღებას საქართველოს ტერიტორიაზე რუსული შეიარაღებული ძალების ყოფნისთვის სამართლებრივი

[184] ე. კლაფამი, არასახელმწიფო მოქმედი პირის ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულებები, ტომი 88, #863, 2006 წლის სექტემბერი, გვ. 493.

[185] 1994 წლის 22 აგვისტოს დსთ-ის გადაწყვეტილებამ სამშვიდობო ძალების გამოყენება 6 თვის ვადით დაადგინა, ვიდრე 1994 წლის 21 ოქტომბრის დსთ-ს გადაწყვეტილებამ სამშვიდობო ძალების მანდატი არ განსაზღვრა. 1995 წლის 26 მაისის დსთ-ის გადაწყვეტილებით, მანდატი 1995 წლის 31 დეკემბრამდე იყო გაგრძელებული. 1996 წლის 16 მაისის დსთ-ის გადაწყვეტილება აღნიშნავდა სამშვიდობო ძალების მოქმედების გაფართოებას – გაფართოების პერიოდის მითითების გარეშე, ვიდრე 1997 წლის 17 ოქტომბრის დსთ-ს გადაწყვეტილებამ არ გააგრძელა სამშვიდობო ძალების მანდატი 1997 წლის 31 დეკემბრამდე ან იმ მომენტამდე, როდესაც კონფლიქტში მონაწილე ნებისმიერი მხარე ოპერაციის შეწყვეტის სურვილს გამოხატავს. დსთ-ის მსგავსი გადაწყვეტილებები (კონფლიქტში მონაწილე მხარის თანხმობა/სურვილი განსხვავებული ტერმინებით ფორმულირებული) იყო მიღებული დსთ-ის 2003 წლის 22 მარტის ბოლო გადაწყვეტილებამდე, რომელმაც დსთ-ის სამშვიდობო ძალების მანდატი 2003 წლის 30 ივნისამდე გააგრძელა. დსთ-ის 2003 წლის გადაწყვეტილება, ისევე, როგორც მისი წინამორბედები, კვლავ განსაზღვრული მანდატის პერიოდის მეორე ალტერნატივას იძლეოდა „იმ დრომდე, ვიდრე კონფლიქტში მონაწილე ერთ-ერთი მხარე ითხოვს, რომ სამშვიდობო ოპერაცია უნდა შეწყდეს. ეს იყო დსთ-ის ბოლო გადაწყვეტილება, რომელიც სამშვიდობო ძალების მანდატს ეხება და ის წარმოადგენდა საქართველოში დსთ-ის სამშვიდობო ძალების უწყვეტად ყოფნის სამართლებრივ საფუძველს. ხელმისაწვდომია: http://www.rre.ge/admn/url12subpir.php?idstrae=63&idea=9&lng 3=en

საფუძვლის შემქმნელი ყველა შესაბამისი სამართლებრივი აქტის მოქმედების შესაწყვეტად, ვინაიდან აღნიშნული სამართლებრივი აქტების მიზანი, თავად რუსეთის ფედერაციის მიერ იყო უარყოფილი (მისი უკანონო ქმედებების მეშვეობით).

შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ გამოსცა განკარგულება #555 (2008 წლის 28 აგვისტო) რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის კონტექსტში მისაღებ ზომებთან დაკავშირებით. შესაბამისმა განკარგულებამ საქართველოს მთავრობას აფხაზეთში, საქართველო და სამხრეთ ოსეთში, საქართველო სამშვიდობო ოპერაციების შეწყვეტის სასწრაფო პროცედურის დაწყება და საქართველოს ტერიტორიებიდან მათი (სამშვიდობო ძალების) გაყვანა დაავალა. ამ თვალსაზრისით:

– საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს დაევალა შესაბამისი წერილის დსთ-ის აღმასრულებელი კომიტეტისთვის, როგორც დეპოზიტარისთვის გაგზავნა.
2003 წლის დსთ-ის სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილების – დსთ-ის ბოლო გადაწყვეტილება, რომელიც აფხაზეთში, საქართველო დსთ-ის სამშვიდობო ძალების მანდატს ეხება;[186]
– საქართველოს რეინტეგრაციის მინისტრს დაევალა საქართველოს პრემიერ-მინისტრის სახელით, დსთ-ის წევრი სახელმწიფოების შესაბამისი პრეზიდენტების სახელზე სათანადო წერილების მომზადება, მიაწვდიდა რა, საქართველოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციას. მსგავსად ამისა, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს საქართველოს ხელისუფლების პოზიციასთან დაკავშირებით, გაერო-ს და ევროსაბჭოს გენერალური მდივნების ინფორმირება დაევალა.

ამ ქმედებით, მინისტრებმა ეს ზომები სათანადოდ გაატარეს აფხაზეთში, საქართველო, სამშვიდობო ძალების ყოფნასთან დაკავშირებით და ამით საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული ყველა შეთანხმება უკან წაიღეს.

აღსანიშნავია, რომ ეს პროცესი მიმდიმარეობდა დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობიდან საქართველოს გასვლის შესახებ გადაწყვეტილების პარალელურად (იხ. Note Verbale #7/228-10 და #7/229-10) და დსთ-ის სამშვიდობო ძალების საქართველოს ტერიტორიებზე დისლოცირებასთან დაკავშირებით არსებული თანხმობის უკან წაღებისგან ცალკე უნდა იქნას განხილული. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ უკან წაიღო თავის თანხმობა დსთ-ის 2003 წლის გადაწყვეტილებაზე, რითაც, საქართველოში რუსი სამშვიდობოების დისლოცირების ჰიპოთეტური

[186] იხ.: ზემოთ, მითითება 2.

საფუძველის არსებობაც კი, გაუქმდა (იხ. თანდართული 2008 წლის 1 სექტემბრის Note Verbale #7/244-10 დსთ-ის აღმასრულებელი კომიტეტის მიმართ).[187]

საქართველოს ორივე ამ გადაწყვეტილებას არ შეხვედრია რაიმე სახის წინააღმდეგობა დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობისგან [188] ან რუსეთის ფედერაციისგან, რომელიც ორგანიზაციაში გავლენით სარგებლობს. საკმაოდ საინტერესოა, რომ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრო აფხაზეთში, საქართველო სამშვიდობო ძალების მანდატის შეწყვეტის პოზიციას ცალსახად მხარს უჭერდა. [189] შემდგომში მან გაყვანა განსაზღვრა, როგორც საქართველოს „სამწუხარო“ გადაწყვეტილება.[190]

შედეგად, დსთ-ის სამშვიდობო ძალების მანდატი შეწყდა 2008 წლის 10 ოქტომბრის დსთ-ის ქვეყნების მეთაურთა გადაწყვეტილებით, ხოლო 2008 წლის 9 ოქტომბრის დსთ-ის საგარეო საქმეთა მინისტრების გადაწყვეტილებამ საქართველოს წევრობის შეწყვეტა დაადგინა.[191] მაგრამ, საქართველოს პოზიცია ასეთია, რომ ეს დეკლარაციები და მათგან გამომდინარე გადაწყვეტილებები აუცილებელი ფორმალობებია და რუსულმა საჯარისო ფორმირებებმა ლეგიტიმურობა საქართველოში რუსეთის შეჭრისთანავე დაკარგეს.

---

[187] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება დსთ-დან გასვლის შესახებ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://mfa.gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id 36&info id=7526.

[188] 2008 წლის 9 ოქტომბრის დსთ-ის საგარეო საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილებაში საქართველოს დსთ-ის წევრობის შესახებ აღინიშნა, რომ დსთ-ის წესდების თანახმად, თარიღი, რომლიდანაც 12 თვის ვადა უნდა იქნას ათვლილი, არის 2008 წლის 18 აგვისტო, რუსულ ენაზე ხელმისაწვდომია: http://cis.minsk.by/webnpa/text.asp?RN=N90800548. აფხაზეთიდან, საქართველო დსთ-ის სამშვიდობო ძალების გაყვანასთან დაკავშირებით, 2008 წლის 10 ოქტომბრის დსთ-ის სახელმწიფო მეთაურთა გადაწყვეტილებაში განცხადებული იყო, რომ სამშვიდობო ძალების მანდატი გაუქმდა/შეწყდა და, რომ დსთ-ის აღმასრულებელ კომიტეტს აღნიშნულთან დაკავშირებით გაეროს სამდივნოსთვის ინფორმაციის მიწოდება ჰქონდა დავალებული. ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომია: http://cis.minsk.by/webnpa/text.asp?RN=N90800581.

[189] რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა „ტექნიკური გადაწყვეტილება იყო მიღებული საკუთარი მოთხოვნის თანახმად, საქართველოს დსთ-ის წევრობის შეწყვეტის შესახებ. ეს შეწყვეტა მოხდება შესაბამისი განცხადების მიღებიდან ერთი წლის შემდეგ, რაც 2009 წლის აგვისტოს წარმოადგენს. გადაწყდა აღმასრულებელი საბჭოს დაევალოს შეთანხმებების განხილვა, რომელთა მიხედვითაც, საქართველოს დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობის მიმართ ჯერაც გააჩნია ზოგიერთი ვალდებულება. ჩვენი წინადადების საფუძველზე, ასევე, ოფიციალური ტექნიკური გადაწყვეტილება იყო მიღებული აფხაზეთში კოლექტიური სამშვიდობო ძალების მოქმედების შესაწყვეტად, რაც წარსულში დსთ-ის სახელმწიფოთა მეთაურთა გადაწყვეტილებით იყო დაგეგმილი.“ იხ.:http://www.mid.ru/oro_4ms17e78a48070f128a7b43256999005bcbb3/18259318a64b3edac32574de00287bO6?OpenDocumrnt

[190] იქვე.

[191] იხ.: ზემოთ, მითითება 5.

საქართველოს მთავრობამ ყურადღება გაამახვილა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის #1866 (2009) მოქმედ პუნქტზე 2, და „მოითხოვს, რომ დებულებები (პირობები), რომლებიც ცეცხლის შეწყვეტის და ძალთა დაშორიშორების შესახებ 1994 წლის 14 მაისს, მოსკოვში ხელმოწერილი შეთანხმების (S/1994/583) პუნქტში 2(ა) იყო განსაზღვრული, უნდა იქნას დაცული უსაფრთხოების განახლებულ რეჟიმთან დაკავშირებით მიმდინარე კონსულტაციებისას და შეთანხმებისას“ და აღნიშნავს, რომ ის, როგორც გაეროს წევრი ქვეყანა, განუხრელად აღიარებს ზემოაღნიშნულ დებულებებს (პირობებს) გაეროს სულისკვეთების შესაბამისად.[192]

- **სოჭის შეთანხმების დენონსირება საქართველოს მიერ**[193]

2008 წლის 27 აგვისტოს, საქართველოს პარლამენტმა გამოაქვეყნა დადგენილება #243 და შემდეგ, 2008 წლის 29 აგვისტოს, საქართველოს მთავრობამ გამოსცა განკარგულება #552 ყველა იმ სამართლებრივი აქტის გაუქმების შესახებ, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე რუსული შეიარაღებული ძალების ყოფნის სამართლებრივ საფუძველს უზრუნველყოფდნენ, შესაბამისად, 1992 წლის 24 ივნისის სოჭის ხელშეკრულებისაც (დეტალური ინფორმაცია ზემოხსენებული დადგენილებისა და განკარგულების შესახებ იხ. ქვემოთ). საქართველო თვლის, რომ საქართველოს ტერიტორიებზე რუსეთის ფედერაციის უკანონო შეჭრა, რასაც შედეგად რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესია მოჰყვა, იმ მიზნების არსებით დარღვევას წარმოადგენს, რომლებიც შესაბამისი მშვიდობის შენარჩუნების ფორმატის მარეგულირებელ სოჭის შეთანხმებაში იყო ფორმულირებული (აქ, საქართველოს მთავრობა ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ნორმას ეყრდნობა, რომელიც დარღვევის მიზეზით, ქვეყანას შეთანხმების გაუქმების უფლებას აძლევს).[194]

ამ თვალსაზრისით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან დაკავშირებით, საქართველოს პოზიცია ოფიციალურად განაცხადა 2008 წლის 1 სექტემბრის დიპლომატიური ნოტის #6/4141-10 მეშვეობით, რომელიც შემდგომ, სოჭის შეთანხმების მანდატის შესაბამისად,

---

[192] ეს არის საქართველოს მთავრობის სამართლებრივი შეფასება, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის 1866 მოქმედი პუნქტის 2 განმარტებული ფორმულირება არ გულისხმობს მისი გამოყენებას ვალდებულების კონტექსტში, როგორც ეს გაეროს წესდების 25-ე მუხლშია განსაზღვრული. გარდა ამისა, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1866 ან მასში აღნიშნული სათანადო რეზოლუციები (რეზოლუციები 1808 და 1839) გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ გაეროს წესდების VII თავის შესაბამისად, არ იყო მიჩეული, რაც აღმატებულ ვალდებულებას შექმნიდა კონფლიქტის მოანაწილე ყველა სახელმწიფოსთან/მხარესთან მიმართებაში ერთმნიშვნელოვნად დაავალდებულებდა, რა, მათ მოსკოვის შეთანხმების პუნქტის 2(ა) გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის 1866 ნაწილად აღიარებას.

[193] http://www.rre.ge/law/xels_1992_06_24_e.btm?lawid 368& ng 3-eo.

[194] გაბსიკოვოს საქმე, საერთაშორისო სასამართლო 1997, გვ.3, პარაგრაფი 46.

საქართველოს ტერიტორიაზე რუსული „სამშვიდობო ძალების“ ყოფნის სასაწრაფოდ აღკვეთას ითხოვდა.

ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც ეხება რუსეთის ფედერაციის საქართველოში შემოჭრას, 2008 წლის აგვისტოში

17 ივნისი, 2009 წელი

მოკლე მიმოხილვა

2008 წლის 7 აგვისტოს, რუსეთის ფედერაციამ დაიწყო ფართომასშტაბიანი შემოჭრა საქართველოს სუვერენულ ტერიტორიაზე. ძალის ასეთი გამოყენება უკანონო და გაუმართლებელი იყო საერთაშორისო სამართლის შესაბამისად. გაერო-ს წესდების მე-2(4) მუხლისა და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის თანახმად, ეს წარმოადგენდა საქართველოს პოლიტიკური სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უხეშ დარღვევას. ამავდროულად, იგი ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო სამართლითა და საერთაშორისო ურთიერთობებით გათვალისწინებულ ჩაურევლობის ძირითად პრინციპს და თავისი მოცულობითა და მასშტაბით გაუთანაბრდა აგრესიის აქტს.

ამ საყოველთაო აკრძალვის არანაირი გამონაკლისი – მოქმედი (კოლექტიური ნებართვა, თავდაცვა, თანხმობა) თუ ნაგულისხმევი (ჰუმანიტარული ინტერვენცია, მოქალაქეების დაცვა, მშვიდობისმყოფელთა დაცვა, შეიარაღებული ძალების გამოყენება თვითგამორკვევის კანონიერი უფლების მხარდასაჭერად) არ ამართლებს და არც კანონიერს ხდის რუსეთის შემოჭრას.

არ არსებობდა უშიშროების საბჭოს არავითარი რეზოლუცია ამგვარი ქმედების განხორციელებაზე ნებართვის მიცემასთან დაკავშირებით (ფაქტობრივად, საბჭოს ბევრმა წევრმა დაგმო აღნიშნული შემოჭრა). საქართველოს მხრიდან რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ ადგილი არ ჰქონია არც შეირაღებული თავდასხმას და არც შეიარაღებული თავდასხმის ,,საშიშროებას“ რის გამოც საჭირო გახდებოდა ძალის გამოყენება თავდაცვის მიზნით; საქართველოს სახელმწიფოს ასევე არ მიუმართავს თხოვნით რუსეთისათვის გამოეყენებინა ძალა საქართველოს ტერიტორიაზე.

რაც შეეხება ზოგად გამონაკლისებს ძალის გამოუყენებლობასთან დაკავშირებით, მოცემულმა საინფორმაციო ბარათმა აჩვენა, რომ საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, არ არსებობს ძალის ცალმხრივი, უნებართვო გამოყენების უფლება ჰუმანიტარული მიზნებისათვის. არანაირი მსგავსი უფლება არ ყოფილა აღიარებული სახელმწიფოთა პრაქტიკაში ან საზოგადოებრივ ინსტიტუტებში და არსებობს მთელი

რიგი მყარი პოლიტიკური არგუმენტები ამგვარი უფლების გამოყენების წინააღმდეგ. თავდაცვის უფლება შესაძლოა გამოიყენოს სუვერენულმა სახელმწიფომ საკუთარი მოსახლეობის დასაცავად და უშიშროების საბჭომ შესაძლოა შეასრულოს თავისი როლი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული მოვალეობების შესრულებას. ეს არ გულისხმობს ძალის ცალმხრივ და უპირობო გამოყენებას. არ არსებობს არც სამართლებრივი და არც ფაქტობრივი საფუძვლი, იმისა, რაც გაამართლებდა რუსეთის მხრიდან ძალის გამოყენებას საქართველოს წინააღმდეგ, 2008 წლის აგვისტოში, თუნდაც ჰუმანიტარული ინტერვენციის ზემოსხენებული უფლების ფარგლებში. ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში სიტუაციის მნიშვნელოვანი ესკალაციის, ქართულ სოფლებზე მუდმივი თავდასხმებისა და ქართველ მშვიდობისმყოფელთა, პოლიციელთა და სამოქალაქო პირთა შორის მსხვერპლის მიუხედავად, საქართველომ გამოავლინა მაქსიმალური თავშეკავება და მიმართა მის ხელთ არსებულ ყველა დიპლომატიურ ზომას ძალის გამოყენების თავიდან ასაცილებად. რუსეთის განცხადება ქართველების მხრიდან ეთნიკური ოსების წინააღმდეგ განხორციელებულ გენოციდთან დაკავშირებით მხოლოდ პროპაგანდას წარმოადგენდა, რომელიც მიზნად ისახავდა რუსეთის უკანონო ქმედებების გამართლებასა და ოსეთის მარიონეტული სამხედროებისა და სხვა შეირაღებული ფორმირებების წაქეზებას, ჩაედინათ სისასტიკე ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ „გენიციდსა და მასობრივ მკვლელობებზე“ შურისძიების მიზნით.

საზღვარგარეთ მყოფ პირთა დაცვის ე.წ. უფლებას არ აქვს სტატუსი საერთაშორისო სამართლში. აღნიშნული საფუძვლით განხორციელებული ინტერვენცია საერთაშორისო თანამეგობრობის წევრთა უმრავლესობამ გააკრიტიკა. უფრო მეტიც, რუსეთმა ვერ შეძლო ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში და აფხაზეთში მცხოვრებ სამოქალაქო მოსახლეობასთან მიმართებაში მოქალაქეობის საერთაშორისო სამართლებრივი კრიტერიუმის დაკმაყოფილება, რომელიც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ *ნოტებომის* (Nottebom) საქმეზე ჩამოაყალიბა. 1990-იანი წლების დასაწყისში, ამ ორ რეგიონში ქართველების ეთნიკური წმენდა და რუსული პასპორტების *მასობრივი* (en masse) დარიგება სამოქალაქო მოსახლეობისათვის წინასწარ მოფიქრებული და კარგად დაგეგმილი პოლიტიკა იყო, რომელიც მიზნად ისახავდა წინაპირობის შექმნას სამხედრო ინტერვენციისთვის საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის მხრიდან.

არ არსებობს არანაირი ზოგადი წესი უცხო სახელმწიფოში მოქმედი სამშვიდობო ძალების დაცვის მიზნით ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით და არც საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის ყოფილა გაფორმებული რაიმე სახის შეთანხმება, რომელიც ასეთი ძალის გამოყენებას ითვალისწინებდა. სამშვიდობო ფორმატი

ითვალისწინებს არა აგრესიის წინაპირობის შექმნას, არამედ ისეთი სახის ომის პრევენციას, რომელიც რუსეთმა განახორციელა აგვისტოში. რუსეთის მცდელობა, გაემართლებინა ძალის გამოყენება მშვიდობისმყოფელთა დაცვის მიზნით, უსაფუძვლოა ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. საქართველოს თავდაცვითი ოპერაცია რუსეთის შემოჭრიდან რამდენიმე საათის შემდეგ დაიწყო, ხოლო მანამდე არანაირ სამხედრო შეტაკებას საქართველოს ძალებსა და მშვიდობისმყოფელთა შორის ადგილი არ ჰქონია. პირველი სამხედრო შეტაკება რუს მშვიდობისმყოფელთა და საქართველოს ძალებს შორის 8 აგვისტოს მოხდა, დაახლოებით, დილის 6 საათზე, მაშინ როდესაც რუსეთმა დაიწყო თავისი ფართომასშტაბიანი შეიარაღებული ძალების განლაგება 7 აგვისტოს, დილით ადრე. უფრო მეტიც, რუს სამშვიდობოთა ბაზა, რომელზეც საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა იერიში მიიტანეს, უშუალოდ მონაწილეობდა შეიარაღებულ მოქმედებებში და ის აღარ სარგებლობდა საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული დაცვის უფლებით. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს შეიარღებული ძალები უტევდნენ მხოლოდ იმ სამშვიდობათა ქვედანაყოფებსა და ინფრასტრუქტურას, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ შეიარაღებულ მოქმდებებში, ხოლო რუს სამშვიდობოთა სხვა პოსტები აგრძელებდნენ ფუნქციონირებას სამარი მოქმდებების განმავლობაში და მათზე თავდასხმა საერთოდ არ განხორციელებულა. აღსანიშნავია, რომ პირველი მსხვერპლი მშვიდობისმყოფელთა კონტინგენტში ქართველ მშვიდობისმყოფელთა შორის იყო. ორი ქართველი მშვიდობისმყოფელი შალვა ტრაპაიძე და ვიტალი თაყაძე იქნა მოკლული, ხოლო ხუთი დაიჭრა 7 აგვისტოს, დაახლოებით, შუადღის 2 საათზე, როდესაც ქართველ მშვიდობისმყოფელთა საგუშაგოს 100 მმ-იანი და 120 მმ-იანი საქვემეხო-საცეცხლე საშუალებები დაუშინეს მარიონეტული რეჟიმის მიერ კონტროლირებადი სოფლიდან, ხეთაგუროვოდან. მარიონეტული რეჟიმის შეირაღებულმა პირმა თავის ხელმძღვანელობას უპატაკა ქართველ მშვიდობისმყოფელთა მკვლელობის ფაქტზე, სატელეფონო საუბარში, რომლის მოსმენაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ განახორციელა 2008 წლის 7 აგვისტოს. ამ საუბრის ჩანაწერი მოცემულია #75 დანართში სამხედრო კითხვების ნაწილის პირველ კითხვაზე, პასუხის სახით.

და ბოლოს, საქართველოს საპასუხო რეაქცია რუსეთის შეიარაღებულ თავდასხმაზე შემოიფარგლებოდა მხოლოდ თავისი სუვერენული ტერიტორიით და იყო იძულებით წამოწყებული. ამასთან, მის მიერ ჩვეულებითი ნორმებითა და წესდებით გათვალისწინებული თავდაცვითი ძალის გამოყენება სრულებით პროპორციული, აუცილებელი და გამართლებული იყო.

ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც ეხება რუსეთის ფედერაციის საქართველოში შემოჭრას 2008 წლის აგვისტოში

17 ივნისი, 2009 წელი

I. შესავალი

2008 წლის აგვისტოში, საერთაშორისო საზოგადოება საერთაშორისო სამართლებრივი წესრიგის ფუნდამენტურ საწყისებზე უპრეცედენტო თავდასხმის თვითმხილველი გახდა. იმ პროვოკაციებისა და მუქარის შემდეგ, რომელსაც მრავალი თვის განმავლობაში ადგილი ჰქონდა რუსეთის ფედერაციის მხრიდან, მისმა სამხედრო ძალებმა გადმოკვეთეს საქართველო-რუსეთის საზღვარი და გამოიყენეს შეიარაღებული ძალები საქართველოს წინააღმდეგ საქართველოს ტერიტორიაზე.[195] არსებული საერთაშორისო სამართლის წესების თანახმად, ძალის გამოყენება იყო უკანონო და გაუმართლებელი. გაერო-ს წესდების მე-2(4) მუხლისა და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის თანახმად, ეს წარმოადგენდა საქართველოს პოლიტიკური სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უხეშ დარღვევას..[196] ამავდროულად, იგი

[195] ისტორიული და სამართლებრივი მიმოხილვის თვალსაზრისით, დეტალურად იხ. რეინ მულერსონის „პრეცედენტები მთებში: კოსოვოს, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს შორის მსგავსებებისა და მათი უნიკალურობის შესახებ“ (Precedents in the Mountains: On the Paralles and Uniquesness of the Cases of Kosoco, South Ossetia and Abkhazia), (2009) 8, საერთაშორისო სამართლის ჩინეთის ჟურნალი 2-25; მაიკლ ემერსონი, „21-ე საუკუნეში ევროპის პირველი ომის შემდგომი ანალიზი“ (PostMortem on Europe's First War of the 21st Century) (2008) 167 CEPS Policy Briefs 1 <(http://ceps.eu>, 2009 წლის 17 ივნისი; ნიკოლას ლემი-ჰერბერტი, „კონფლიქტის ზონა: პარადიგმების შეჯახება სამხრეთ ოსეთში: (Zone of Conflict; Clash of Paradigms in South Ossetia) (2009) 2, საერთაშორისო სტრატეგიული კვლევების ორგანიზაციის (USAK) საერთაშორისო პოლიტიკისა და სამართლის წელიწდეული, 251-264; დერეკ ავერე, „პრიშტინადან ცხინვალამდე: სამეკავშირეო ძალების ოპერაციის მემკვიდრეობა რუსეთის ურთიერთობებში დასავლეთთან“ (From Pristina to Tskhinvali: the Legacy of Operation Allied Force in Russia's Relations with the West") (2009) 85, საერთაშორისო საქმეები, 575-591; მარკ ველერი, „თვითგამორკვევასთან დაკავშირებული კონფლიქტების მოგვარება: ბოლო დროს განვითარებული მოვლენები“ (Settling Self-Determination Conflicts: Recent Developments) 20 საერთაშორისო სამართლის ევროპის ჟურნალი 111, 133; ნოელე მ. შანაჰამი, „მტრები კარს მიღმა: რუსეთის მიერ საერთაშორისო სამართლის დარღვევები საქართველოს/აფხაზეთის კონფლიქტში“ (Enemies through the Gates: Russian Violations of International Law in Georgia/Abkhazia Conflict), (2008) 40 საერთაშორისო სამართლის დასავლეთის დამატებითი ჟურნალი, 281; რობერტ ჯ. დელაჰანტი და ანტონიო ფ. პერზი, „კოსოვოს კრიზისი: დოსტოევსკის დიალოგი საერთაშორისო სამართალზე, სახელმწიფოებრივ და ზნეობრივ საკითხებზე“ (The Kosovo Crisis: a Dostoievskian Dialogue on International Law, Statecraft, and Soulcraft), (2009) 42 სახელმწიფოთაშორისი სამართლის ვანდერბილის ჟურნალი, 15, 21-22. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულ საკითხავ მასალებზე მითითება არ გულისხმობს მათში გამოხატული პოზიციის დადასტურებას რაიმე სახით.

[196] მე-2(4) მუხლის თანახმად, „[ყველა] წევრმა თავი უნდა შეიკავოს თავის საერთაშორისო ურთიერთობებში ძალით მუქარის ან ძალის გამოყენებისაგან ნებისმიერი სახელწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა თუ პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.“ ჩვეულებითი საერთაშორისო

ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო სამართლითა და საერთაშორისო ურთიერთობებით გათვალისწინებულ ჩაურევლობის ძირითად პრინციპს და თავისი მოცულობითა და მასშტაბით გაუთანაბრდა აგრესიის აქტს.[197]

რუსეთის მიერ ძალის გამოყენება არ შეიძლება გამართლებული იყოს, როგორც გაერო-ს წესდების 51-ე მუხლით გათვალისწინებული თავდაცვის უფლების გამოყენება ან როგორც გაერო-ს უშიშროების საბჭოს წესდების VII თავის შესაბამისად, ნებადართული კოლექტიური უსაფრთხოების აქტი, ან როგორც თანხმობის მიმცემი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ძალის გამოყენება თხოვნის საფუძველზე. ქმედება, რომელიც არ არის თავდაცვითი, ან თხოვნის საფუძვლის გარეშე შეირაღებული ძალების გამოყენება ყოველთვის საჭიროებს გაერო-ს უშიშროების საბჭოს წინასწარ ნებართვას, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე. [198] სხვა შესაძლო გამამართლებელი საფუძვლები ისეთ დოქტრინებზე დაყრდნობით, როგორიცაა: საზღვრაგარეთ მყოფი მოქალაქეების დაცვა, ჰუმანიტარული ინტერვენცია ან სამშვიდობო ოპერაციებიდან გამომდინარე საჭიროება არ ეფუძნება საერთაშორისო სამართალს და დაუშვებელია გამოყენებული იქნას მოცემულ შემთხვევაში მაშინაც კი, თუ ის ქმედითუნარიანია საერთაშორისო სამართლის მიხედვით.[199] მაგალითად, იმ შემთხვევაშიც კი თუ ძალაშია ჰუმანიტარული ინტერვენციის უფლება, როგორც ამას რამდენიმე მკვლევარი ამტკიცებს, რუსეთის ინტერვენციაზე არ ვრცელდებოდა ეს უფლება . [200] რეალურად, გაერო-ს წესდების

სამართლის შესახებ, მაგალითისათვის იხ. დეკლარაცია სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევის დაუშვებლობისა და მათი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვის შესახებ, გაეროს გენერალური ასამბლეა, რეზოლუცია #2625, UN GAOR, მე-6 კომიტეტი, 25-ე სესია, 1883-ე პლენარული შეხვედრა, UN Doc A/RES/2625 (1970 წლის 24 ოქტომბერი); რეზოლუცია აგრესიის განსაზღვრის შესახებ, 2625, გაეროს გენერალური ასამბლეა, რეზოლუცია 3314, UN GAOR, მე-6 კომიტეტი, 29-ე სესია, 2319-ე პლენარული შეხვედრა, UN Doc A/RES/3314 (1974 წლის 14 დეკემბერი); საერთაშორისო სამართლის კომისია, მშვიდობისა და კაცობრიობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების კოდექსის პროექტი, როგორც ეს მოცემულია საერთაშორისო სამართლის კომისიის საქმიანობის ანგარიშში თავის 48-ე სესიაზე, 6 მაისი-26 ივლისი, 1996, UN Doc A/51/10 (1996).

[197] სამხედრო და გასამხედროებული მოქმედებები ნიკარაგუაში და ნიკარგაუას წინააღმდეგ (ნიკარაგუა აშშ-ის წინააღმდეგ), (საქმის არსებითი განხილვა) [1986], მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო, ანგარიში 14 (ინტერვენცია); საერთაშორისო სამხედო ტრიბუნალი, მთავარ სამხედრო დამნაშავეთა სასამართლო პროცესი საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წინაშე (ნიურნბერგი), 14 ნოემბერი, 1945 წელი, 1 ოქტომბერი, 1946 (1947) წელი, ტომი 1, 186 (აგრესიის დანაშაული).

[198] ტ. გაზინი, „წესები ძალის გამოყენების შესახებ XXI საუკუნის დასაწყისში“ (The Rules on the Use of Force at the Beginning of the XXI Century), კონფლიქტისა და უსაფრთხოების სამართლის ჟურნალი (Journal of Conflict and Security Law), 11 (319) (2006).

[199] ბრაუნლი და აპერლი, „კოსოვოს კრიზისის გამოძიება: მემორანდუმი საერთაშორისო სამართლის ასპექტების შესახებ“ (Browlie & Apperley, “Kosovo Crisis Inquiry: Memorandum on International Aspects”), 2009, 49 ICLQ, 878.

[200] მაშინაც კი, როდესაც მკვლევრები ამტკიცებენ ჰუმანიტარული ინტერვენციის გარკვეულ ფორმას, ისინი მოითხოვენ საზოგადოების მიერ მხარდაჭერის ან წინასწარი აღიარების ხარისხს, რასაც არ ჰქონია ადგილი მოცემულ შემთხვევაში; მაგალითისათვის, იხ. ანტონიო კაზესე, „Ex iniuria ius oritur: მივდივართ თუ არა ძალადობრივი ჰუმანიტარული კონტრზომების საერთაშორისო ლეგიტიმაციისაკენ მსოფლიო

სრული შინაარსი განმარტავს დავების მშვიდობიანი საშუალებებითა და თანამშრომლობის გზით მოგვარებას.[201] აღნიშნული დოკუმენტი აჩვენებს, რომ საქართველოს მიერ ძალის გამოყენება რუსეთის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ, რომლებიც შემოიჭრნენ საქართველოს ტერიტორიაზე, გამართლებული იყო გაეროს წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად, როგორც თავდაცვითი ქმედება რუსეთის აგრესიაზე საპასუხოდ და როგორც საქართველოს მიერ თავის სუვერენულ ტერიტორიაზე ძალის გამოყენების ხელშეუვალი პრეროგატივა. მეორე მხრივ, რუსეთის მხრიდან ძალის გამოყენება საქართველოს წინააღმდეგ წარმოადგენს ძალის არალეგიტიმურ გამოყენებას – აგრესიის აქტს, რომელიც იკრძალება გაერო-ს წესდებითა და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის შესაბამისად და აგრეთვე არღვევს ჩვეულებით ნორმებითა და წესდებით გათვალისწინებული მოვალეობის - დავების მშვიდობიანად მოგვარების პრინციპს.[202]

II. ძალის გამოყენება საერთაშორისო სამართალში

გაერო-ს წესდება ზღუდავს სახელმწიფოთა მიერ საერთაშორისო დონეზე ძალის გამოყენებას. ეს შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის,[203] გაერო-ს მიერ ნებდართული ან კონტროლირებული სამხედრო ოპერაციებისათვის დახმარების შეთხვევებში ან სახელმწიფოს თხოვნის საფუძველზე.[204] შესაბამისად, ნებისმიერმა სახელმწიფომ, რომელიც ცდილობს გაამართლოს ძალის გამოყენება, იგი უნდა განიხილოს ქვემოთ განხილული სამი გამონაკლისიდან ერთ-ერთთან მიმართებაში.

თანამეგობრობაში?“ (Ex iniuria ius oritur: Are We Moving towards International Legitimation of Forcible Humanitarian Countermeasures in the World Community?” (1999) 10, საერთაშორისო სამართლის ევროპის ჟურნალი, 23. უახლესი მოსაზრებებისათვის ჰუმანიტარული ინტერვენციის შესახებ, იხ. კერძოდ, ნიკოლას ვილერი, „უცხოელების გადარჩენა: ჰუმანიტარული ინტერვენცია საერთაშორისო საზოგადოებაში“ (Saving Strangers: Humanitarian Intervention in International Soceity), (2000); ანნე ორფორდი, „მუსკულარული ჰუმანიტარიზმი: ახალი ინტერვენციონიზმის აღწერილობათა კითხვა“ (Muscular Humanitarianism: Reading the Narratives of the new Intervenionism), (1999) 10, საერთაშორისო სამართლის ევროპული ჟურნალი 679. ამ მომენტამდე ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი, რასაც მოჰყვა ისრაელის რეიდი ენტებეზე (და არა ჰუმანიტარული ინტერვენცია მკაცრი გაგებით) და ტანზანიის შეჭრა უგანდაში: იან ბრაუნლი, „ჰუმანიტარული ინტერვენცია“ ჯონ ნორტონ მურის მიხედვით (რედაქტორი), „კანონი და სამოქალაქო ომი თანამედროვე მსოფლიოში“ (1974), 217; ვილ ვერვი, „ჰუმანიტარული ინტერვენცია საერთაშორისო სამართლის შესაბამისად“ (Humanitarian Intervention under International Law), (1985) 32, ნიდერლანდების საერთაშორისო სამართლის მიმოხილვა 357; ჟან-პიერ ფონტენი, „ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის დოქტრინა ჰუმანიტარული ინტერვენციის შესახებ: მისი კანონიერება გაეროს წესდების შესაბამისად“ (The Customary International Laწ Doctrine of Humanitarian Intervention: Its Current Validity under the UN Charter) (1974) 4, დასავლეთ კალიფორნიის სამართლის ჟურნალი, 203.

[201] მაგალითისათვის, იხ.: გაეროს წესდების მე-2(3) და 33-ე მუხლები.

[202] მაგალითისათვის, იხ.: გაეროს წესდების მე-2(3) და 33-ე მუხლები.

[203] გაეროს წესდების 51-ე მუხლი.

[204] გაეროს წესდების 53-ე მუხლი.

სუვერენიტეტი, ძალის გამოყენება და ინტერვენციის დაუშვებლობა

როგორც წესი, აღნიშნული საყოველთაო აკრძალვა უკავშირდება სუვერენიტეტისა და სუვერენული თანასწორობის პრინციპს, რაც დადგინდა საერთაშორისო სამართალში ვესტფალიის ზავიდან გაერო-ს წესდებამდე არსებულ პერიოდში.[205] სუვერენული სახელმწიფოს საზღვრები ხელშეუხებელია და სახელმწიფოს აქვს უფლება, გადაწყვიტოს თავისი პოლიტიკური ინსტიტუტების ფორმა და შინაარსი, ან როგორც ამას ითვალისწინებს 1970 წლის *დეკლარაცია მეგობრული ურთიერთობების შესახებ*:

> „... შეიარაღებული ინტერვენცია და ჩარევის ყველა სხვა ფორმა ან მუქარის მცდელობა სახელმწიფოებრიობის ან მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ელემენტების წინააღმდეგ, წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის დარღვევას.“[206]

აქედან გამომდინარე, ტერიტორიული სუვერენიტეტის პატივისცემა უმნიშვნელოვანესი ფუნდამენტური პრინციპია საერთაშორისო ურთიერთობებში.[207] ომამდე, რუსეთი რეზოლუციებში გამუდმებით აღიარებდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.[208] არც ერთ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფს არა აქვს უფლება ჩაერიოს პირდაპირ ან არაპირდაპირ, ნებისმიერი საფუძლით, სხვა ნებისმიერი სახელმწიფოს საშინაო თუ საგარეო საქმეებში.[209] ჩაურევლობის პრინციპი საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილია და მჭიდროდ უკავშირდება ძალის გამოყენების აკრძალვას.[210]

---

[205] გაეროს წესდების მე-2(4) მუხლი.

[206] GA Res. 2625 (1970).

[207] Corfu Channel-ის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება (გაერთიანებული სამეფო ალბანეთის წინააღმდეგ), მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ანგარიშები, 1949, გვ. 35 (Corfu Channel Case).

[208] როი ელისონი, „ამბოხებული რუსეთი?: მოსკოვის კამპანია „საქართველოს აიძულოს მშვიდობა“ (Russia resurgent?: Moscow's Campaign to "Coerce Georgia to Peace"), (2008) 84, საერთაშორისო საქმეები 1145-1171; პ. ვორსნიპი, „გაეროს საბჭო კვლავ ორად გაიყო საქართველოს შესახებ რეზოლუციასთან დაკავშირებით“ (U.N. Council Still Divided on Georgia Resouliton), რეიტერი, 2008 წლის 21 აგვისტო.

[209] დეკლარაცია სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევის დაუშვებლობისა და მათი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვის შესახებ, გაეროს გენერალური ასამბლეის #2131 (XX) რეზოლუციის დანართი, 1965 წლის 21 დეკემბერი, მე-20 სესია, დამატება #14, 12,U.N. Doc. A/6220; დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ, G.A. Res. 2625 (XXV).

[210] სამხედრო და გასამხედროებული მოქმედებები ნიკარაგუაში და ნიკარგაუას წინააღმდეგ (ნიკარაგუა აშშ-ის წინააღმდეგ), მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ანგარიშები, 1986, გვ. 14, 106 (Nicaragua-ს საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება); ლ. ოპენჰეიმის საერთაშორისო სამართალი (L. Oppenheim's International Law), 334, ჯენინგსი და ვოტსი (რედაქტორები), 1999, გვ. 385; მ. შო, საერთაშორისო სამართალი, Cambridge University Press, მე-6 გამოცემა, გვ. 1039 (Shaw); ა. კაზესე, საერთაშორისო სამართალი, მე-2 გამოცემა, გვ. 54, 111.

ერთი სახელმწიფოს მიერ სამხედრო ძალების არალეგიტიმური, თავდაცვით შინაარსის არმქონე და თვითნებური გამოყენება მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე – იმ ნორმათა ერთობლიობის ყველაზე თვალსაჩინო დარღვევაა, რომლებიც საერთაშორისო სამართლებრივი და პოლიტიკური სისტემის საწყისს განეკუთვნება. აღნიშნული ნორმების მკაცრი დაცვის გარეშე, საერთაშორისო სამართალი გახდებოდა ძალადობრივი, ქაოტური და ანტაგონისტური.

ინტერვენციას ცალსახად გმობს გაერო-ს წესდების მე-2(4) მუხლი, რომლის თანახმად:

> „საერთაშორისო ურთიერთობების ყველა მონაწილემ თავი უნდა შეიკავოს ძალის მუქარის ან ძალის გამოყენებისაგან, ნებისმიერი სახელწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა თუ პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ან სხვა ნებისმიერი მეთოდით, რაც შეუთავსებელია გაერთიანებული ერების მიზნებთან.“

გაეროს წესდების მე-2(4) მუხლის შესაბამისად, ძალის გამოყენების აკრძალვა საყოველთაოდ აღიარებული ნორმაა[211] და იგი არსებობს ჩვეულებით საერთაშორისო სამართალში. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ მას *იმპერატიული ნორმის* (jus cogens) კვალიფიკაცია მისცა,[212] რაც გულისხმობს, რომ ეს არის განსაკუთრებული მნიშვნელობის ნორმა, რომელთან მიმართებაშიც საერთაშორისო თანამეგობრობაში არსებობს საყოველთაო შეთანხმება. გენერალური ასამბლეის შესაბამის რეზოლუციებში კიდევ ერთხელ განმტკიცებულია წესდების არსი, რომელთა შესაბამისად, „ძალის გამოყენება, რომელიც არღვევს საერთაშორისო საზღვრებს [...] ან როგორც საერთაშორისო დავების მოგვარების საშუალება“ [213] ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლებრივ სისტემას და რომ „დაუშვებელია ნებისმიერი შინაარსის მოსაზრებებით გამართლებული იყოს ძალის გამოყენება ან მისი მუქარა.“[214] აკრძალვა

---

[211] პ. მალანჩუკი, აკჰურსტის თანამედროვე შესავალი საერთაშორისო სამართალში, მე-7 გამოცემა, 1997, გვ. 309.

[212] ნიკარაგუას საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, პუნქტი 190.

[213] დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპებთან დაკავშირებით, გაერთიანებული ერების წესდების შესაბამისად, სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობებისა და თანამშრომლობის შესახებ, გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 2625 (XXV), დამატება #28, U.N. Doc. A/ 8028 (1970) [დეკლარაცია მეგობრული ურთიერთობების შესახებ].

[214] დეკლარაცია საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის გამოყენების ან მისი მუქარისაგან თავის შეკავების პრინციპის ეფექტიანობის განმტკიცების შესახებ, გაეროს რეზოლუცია #42/44, დამატება #41, U.N. Doc. A/42/766 (1987), მუხლი 3.

აბსოლუტური იყო, და მიზნად ისახავდა პატარა სახელმწიფოებისათვის გარანტიების მიცემას და შეუზღუდავი მოქმედების უზრუნველყოფას.[215]

გაერო-მ ცალსახად განაცხადა, რომ ინტერვენციული პოლიტიკური კურსი საფრთხეს უქმნის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობასა და ხალხთა თავისუფლებას, რითაც საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებას.[216]

აღნიშნულ ნორმასთან მჭიდროდ დაკშირებულია ინტერვენციის დაუშვებლობის ზოგადი ნორმა.

,,სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობის შესახებ" 1965 წლის დეკლარაციაში ეს უკანასკნელი პრინციპი ხაზგასმით არის აღნიშნული:

> „არც ერთ სახელმწიფოს არ აქვს უფლება ჩაერიოს პირდაპირ თუ ირიბად ნებისმიერი მიზეზით, სხვა რომელიმე სახელწიფოს საშინაო თუ საგარეო საქმეებში. შესაბამისად, შეიარაღებული ინტერვენცია და ჩარევის ყველა სხვა ფორმა ან მუქარის მცდელობა სახელმწიფოებრიობის ან მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ელემენტების წინააღმდეგ დაუშვებელია."

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ იგი მიიჩნია დარღვევად, რომელიც „ვერ დაიმკვიდრებს ადგილს... საერთაშორისო სამართალში."[217]

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ როგორც ეს ზოგადად არის აღიარებული – სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეჭრა წარმოადგენს მე-2(4) მუხლის დარღვევას იმ

---

[215] წესდების მოსამზადებელი დოკუმენტებიდან (travaux préparatoires) ჩანს, რომ ფრაზა „ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა თუ პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ" ჩაიწერა პატარა სახელმწიფოების სურვილის საპასუხოდ, რომ გაეძლიერებინათ თავიანთი დაცულობა (იხ. ავსტრალიის სახელით წარდგენილი დუმბარტონ-ოკსის წინადადებში შეტანილი ცვლილებები, U.N.C.I.O 543 (1945 წლის 5 მაისი)). არსებობდა პრობლემა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ უზრუნველყოფილიყო პოტენციური ხარვეზების აღმოფხვრა (მაგალითისათვის, იხ.: კომიტეტის მე-11 შეხვედრის შემაჯამებელი ანგარიში, I/1, 6 U.N.C.I.O. 335 (1945 წლის 4 ივნისი)); ბრაუნლი, საერთაშორისო სამართალი და ძალის გამოყენება სახელმწიფოთა მხრიდან, 267-8 (1963); ბრაუნლი და აპერლი, „კოსოვოს კრიზისის გამოძიება: მემორანდუმი საერთაშორისო სამართლის ასპექტების შესახებ" (Browlie & Apperley, "Kosovo Crisis Inquiry: Memorandum on International Aspects"), 49 I.C.L.Q. 878 (2000), გვ. 885; აკჰურსტი, თანამედროვე შესავალი საერთაშორისო სამართალში (A Modern Introduction to International Law), გვ. 309-11, (პ. მალანჩუკი, მე-7 გამოცემა, 1997); ჩესტერმანი, „მხოლოდ ომი თუ მხოლოდ მშვიდობა? ჰუმანიტარული ინტერვენცია და საერთაშორისო სამართალი" (Just War or Just Peace? Humanitarian Intervention and International Law), 48-52 (2001).

[216] UNGA 2131 (XX) 1965 წლის 21 დეკემბერი.

[217] Corfu Channel-ის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ანგარიშები, 1949, გვ. 4, 35.

შემთხვევაშიც, თუ მიზნად არ ისახავს ამ სახელწიფოსათვის მისი ტერიტორიის ნაწილის ჩამორთმევას, ან თუ ოკუპანტი ჯარები გეგმავენ გამოსვლას დროებითი და შეზღუდული ოპერაციის („შინ და გარეთ ოპერაციებით“ (in-and-out operations)) დასრულებისთანავე.[218]

აგრესიული ქმედებები

გაერო-ს წესდებისა და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის შესაბამისად, აკრძალულია ძალის გამოყენების მუქარა ან ძალის გამოყენება ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. [219] ამავდროულად, შეიარაღებული ძალების ნებისმიერი სახის ძალადობრივი შეჭრა უცხო სახელმწიფოში მისი თანხმობის გარეშე ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ნებართვის გარეშე, არღვევს ამ სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას და შესაძლებელია გაუთანაბრდეს აგრესიის აქტს. [220] აგრესიის დანაშაული ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დანაშაულია საერთაშორისო სამართალში. მისი არსებობა უკავშირდება საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის 1945 წლის წესდებას (ნიურნბერგის წესდება), რომლის მე-6 მუხლის თანახმად, ტრიბუნალის იურისდიქცია ვრცელდება მშვიდობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებებზე, როგორიცაა:

> „საერთაშორისო ხელშეკრულებების, შეთანხმებების ან გარანტიების დარღვევით ომის ან აგრესიის დაგეგმვა, მომზადება, წამოწყება და წარმოება...“

ნიურნბერგის პრინციპები 1946 წელს, საყოველთაო საერთაშორისო სამართლის ნაწილი გახდა, მას შემდეგ, რაც იგი გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ #95(1) რეზოლუციით დაამტკიცა, ხოლო შემდგომში, სულ მცირე, სამჯერ დაადასტურა #2131 (1965) და #2625 (1970) რეზოლუციებით და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აგრესიის ოფიციალური განმარტების შესახებ 1974 წლის #3314 რეზოლუციით, სადაც გენერალურმა ასამბლეამ წარმოადგინა ის აქტები, რომლებიც აგრესიულ ქმედებებს წარმოადგენს.

მათ შორისაა:

---

[218] ბ. სიმა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება: კომენტარები (The Charter of the United Nations: A Commentary), Oxford University Press, 2002, გვ. 123 (სიმა, კომენტარები).
[219] გაეროს წესდების მე-2(4) მუხლი.
[220] შახტერი, საერთაშორისო სამართალი თეორიასა და პრაქტიკაში, 113 (1991).

„ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების შეჭრა ან თავდასხმა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ან ნებისმიერი სამხედრო ოკუპაცია, თუნდაც დროებითი, რომელიც ასეთი შეჭრის ან თავდასხმის შედეგია...“

2008 წლის აგვისტოში, რუსეთის მხრიდან საქართველოში შემოჭრა პირდაპირ ექვემდებარება ამ განსაზღვრებას და შესაბამისად, აკმაყოფილებს აგრესიის დანაშაულის მოთხოვნებს, რაც ითვალისწინებს ინდივიდუალურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.[221]

თავდაცვის უფლება

გაეროს წესდების 51-ე მუხლი აკეთებს დათქმას თავდაცვის ხელშეუვალი უფლების გამოყენებაზე, რომელიც ძალის გამოუყენებელობის პრინციპის გამონაკლისია. [222] თავდაცვის უფლების არეალთან დაკავშირებით ყველა სახელმწიფო შეთანხმდა, რომ შეიარაღებული თავდასხმის არსებობა სახელმწიფოს წინააღმდეგ, წარმოშობს ამ სახელმწიფოს თავდაცვის უფლებას. [223] და მაინც, რა წარმოადგენს შეირაღებულ თავდასხმას?

როგორც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა *ნიკარაგუას* საქმეზე: „რეგულარული შეიარაღებული ძალების მოქმედება საერთაშორისო საზღვრის გასწვრივ“ წარმოადგენს შეიარაღებულ თავდასხმას, როდესაც მისი მასშტაბები მოიცავს უფრო მეტ ტერიტორიას, ვიდრე ეს მხოლოდ საზღვართან მომხდარი ინციდენტია.[224]

ასეთ შემთხვევებში შეიარაღებული თავდასხმის სამიზნე სახელმწიფოს აქვს განუხრელი და „ხელშეუვალი“ და (გაეროს წესდების 51-ე მუხლი) უფლება, გამოიყენოს ძალა თავდაცვის მიზნით. თუმცა, საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, თავდაცვის უფლება გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ შეიარაღებული თავდასხმის საჭირო და პროპორციული მიზნებიდან გამომდინარე. მართალია, გაერო-ს წესდებაში არ არის ნახსენები აუცილებლობისა და პროპორციულობის მოთხოვნები, მაგრამ ისინი საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილს წარმოადგენენ.[225] *ბირთვული იარაღის*

---

[221] მაგალითისათვის იხ. R. v. Jones [2006] UKHL 16.
[222] გაეროს წესდების 51-ე მუხლი.
[223] გრეი, გვ. 108.
[224] იქვე; აგრეთვე, 1974 წლის რეზოლუცია აგრესიის განსაზღვრების შესახებ, მუხლი 3(a) (იქვე).
[225] ნავთობის საბადოებთან (Oil Partforms) დაკავშირებული საქმე, პუნქტები 43, 73 და 74; გრეი, გვ. 121; „კაროლინას საქმე“ (Caroline Case): „მისი უდიდებულესობის მთავრობამ... უნდა დაამტკიცოს თავდაცვის აუცილებლობა მყისიერი, გადამწყვეტი მნიშვნელობის, რამაც არ მისცა ჩივილის საშუალება და არ ჰქონდა მოსაფიქრებელი დრო,“ ხოლო მოქმედება არ უნდა იყოს „არაგონივრული ან გადაჭარბებული რადგანაც

საქმეზე (Nuclear Weapons Case) მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა, რომ აუცილებლობისა და პროპორციულობის მოთხოვნები მოქმედებს ძალის ყველანაირ გამოყენებასთან მიმართებაში, მათ შორის, წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად.[226]

აუცილებლობა და პროპორციულობა უნდა შეფასდეს თითოეულ კონკრეტულ საქმეზე. ამ თვალსაზრისით, არსებობს რამდენიმე ფუნდამენტური მოსაზრება. როგორც წესი, შემდეგი პრინციპები მოქმედებს:

- თავდაცვითი ძალა არ უნდა იყოს რეპრესიული და სადამსჯელო;
- ასეთი თავდაცვითი ძალის მიზანი უნდა იყოს თავდასხმის შეჩერება ან მოგერიება (რომ თავდაცვის მიზნით განხორციელებული მოქმედებები ფაქტობრივად, არ წარმოადგენდეს სადამსჯელო ზომებს).[227]
- თავდაცვის აუცილებლობა უნდა იყოს „გადამწყვეტი მნიშვნელობის“ (*„კაროლინას ინციდენტი“).*[228]
- არ უნდა არსებობდეს სხვა პრაქტიკული ალტერნატივა, რომელიც ძალის გამოყენების უფლებას დააკნინებს.

როგორც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა ნავთობის საბადოებთან დაკავშირებულ საქმეზე *(„ირანის ისლამური რესპუბლიკა ამერიკის შეერთებული შტატების წინააღდეგ“ (Islamic Republic of Iran v. United States of America*))[229] გამოტანილ გადაწყვეტილებაში, „საერთაშორისო სამართლის მოთხოვნაა რომ აშკარა თავდაცვითიზომები უნდა იყოს საჭირო, მკაცრი და ობიექტური და არ მოიცავდეს ,,დისკრეციის საშუალებას.“ [230]

აქტი, რომელიც გამართლებულია თავდაცვით, უნდა შეზღუდული იყოს ასეთი აუცილებლობით და მის ფარგლებში იყოს მოქცეული.“

[226] „ბირთვული იარაღით ძალის გამოყენების მუქარის ან ძალის გამოყენების კანონიერება, საკონსულტაციო მოსაზრება,“ (Legality of the Threat or use of force of nuclear weapons, advisory opinion) 1997, პუნქტი 41. აგრეთვე, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა ნიკარაგუას საქმეზე, რომ „კონკრეტული ნორმა, რომლის შესაბამისადაც, თავდაცვის ქვეშ მოაზრებული იქნება მხოლოდ ის ზომები, რომლებიც არის პროპორციული შეიარაღებულ თავდასხმასთან მიმართებაში და აუცილებელი მასზე რეაგირებისათვის,“ იყო „კარგად დასაბუთებული ნორმა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის შესაბამისად.“

[227] კ. გრეი.

[228] 29 B.F.S.P. 1137-1138; 30 B.F.S.P. 195-196.

[229] ნავთობის საბადოებთან (Oil Partforms) დაკავშირებული საქმე („ირანის ისლამური რესპუბლიკა ამერიკის შეერთებული შტატების წინააღდეგ,“ Islamic Republic of Iran v. United States of America), 2003), მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო (ICJ).

[230] იქვე, პუნქტი 73.

აუცილებლობა და პროპორციულობა არ ამართლებს ძალის სხვაგვარად უკანონო გამოყენებას. ძალის საჭიროებისა და პროპორციულობის განხილვის საჭიროება არ არსებობს, როდესაც ძალა აშკარად უკანონოა სხვა საფუძლებიდან გამომდინარე.[231]

ძალის გამოყენების სხვა გამამართლებელი საფუძვლები
გაერო-ს უშიშროების საბჭოს ნებართვა

გაეროს წესდების VII თავის შესაბამისად, ძალის გამოყენება დასაშვებია უშიშროების საბჭოს ნებართვის ან მის მიერ მიცემული მანდატის საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში არანაირ ნებართვას არ ჰქონია ადგილი.

მოქალაქეების დაცვა საზღვარგარეთ

გაერო-ს წესდების შემოღებამდე, ძალის გამოყენება საზღვარგარეთ მყოფი მოქალაქეებისა და საკუთრების დასაცავად კანონიერად ითვლებოდა. [232] გაერო-ს წესდების მიღებით აღნიშნული პოზიცია შეიცვალა. დღეისათვის ცხადია, რომ თავდაცვითი ქმედება უშუალოდ ხელყოფს შესაბამისი სახელმწიფოს „ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.“ [233] არსებობს ორი ყველაზე ცნობილი შემთხვევა, როდესაც ძალის გამოყენებას განზრახ ჰქონდა ადგილი საზღვარგარეთ მყოფი მოქალაქეების დაცვისათვის, უგანდაში (1976 წელს) და გრენადაში (1983 წელს). მოცემულ შემთხვევებში ჩართული სახელმწიფოების მხრიდან (ისრაელი და შესაბამისად, შეერთებული შტატები) ძალის გამოყენებას არ დაეთანხმა საერთაშორისო საზოგადოება. ამ უკანასკნელ საქმეზე, გენერალურმა ასამბლეამ დაგმო ძალის გამოყენება და მხოლოდ შეერთებულის შტატების ვეტოს შედეგად იქნა აღკვეთილი მსგავსი რეზოლუციის მიღება უშიშროების საბჭოს მიერ.[234] სახელმწიფოთა პრაქტიკის ყოვლისმომცველი ანალიზი ე.წ. საზღვარგარეთ მყოფი მოქალაქეების დაცვის დოქტრინასთან დაკავშირებით, კ. გრეიმ გააკეთა. იგი აღნიშნავს, რომ ძალიან ცოტა

---

[231] იხ.: mutatis mutandis, ნიკარაგუას საქმე; აგრეთვე, ნავთობის საბადოების საქმეზე სასამართლომ სიღრმისეულად არ განიხილა საკითხი ერთი ასპექტის გარდა, იმ სამიზნეების ბუნება, რომლებიც შეერთებულმა შტატებმა თავდასხმისათვის აირჩია, მაშინ როდესაც თავდაცვის უფლებით აპელირებდა.

[232] ბრაუნლი, „ძალის გამოყენება“ (Use of Force), გვ. 289.

[233] ამ კონტექსტის ქვეშ არ იგულისხმება ისეთი საქმეების განხილვა, როდესაც სამიზნე სახელმწიფომ აშკარა თანხმობა მისცა მესამე სახელმწიფოს, რომ მის ტერიტორიაზე შემოსულიყო, გვ. 1143.

[234] კ. გრეი, „ძალის გამოყენება და საერთაშორისო მართლწესრიგი,“ მ. ევანსი, საერთაშორისო სამართალი (2003), 602-603; აგრეთვე, იხ. გრენადას საქმეზე: გაერთიანებული ერების წელიწდეული, 1983, 211, ხოლო ენტებეს საქმეზე - გაერთიანებული ერების წელიწდეული, 1976, 315. აგრეთვე, იხ. მ. ბ. აკჰურსტი, „ძალის გამოყენება საზღვარგარეთ მყოფი მოქალაქეების დასაცავად“ (Use of Force to protection National abroad), საერთაშორისო ურთიერთობები, 1977, გვ. 3; დისკუსია ენტებეს ინციდენტთან დაკავშირებით, აშშ-ის ინტერვენციები დომინიკის რესპუბლიკაში (1965), გრენადაში (1983) და პანამაში (1989), ხოლო გაერთიანებული სამეფოს მიერ - სუეცში (1956), რაც განხილულია ჰარისის მიერ, გვ. 909-912.

სახელმწიფო უჭერს მხარს ასეთ უფლებას.[235] ეს პოზიცია დაადასტურა იან ბრაუნლიმ თავის *საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპებში* (მე-6 გამოცემა).[236] აშკარაა, რომ *თავშესაფრის საქმის* მოთხოვნები ჩვეულების ჩამოყალიბებისათვის არ არის დაკმაყოფილებული:

„მხარემ, რომელიც ეყრდნობა ჩვეულებას... უნდა დაამტკიცოს, რომ ეს ჩვეულება დადგენილია... შესაბამისი სახელმწიფოების პრაქტიკაში, მუდმივი და ერთგვაროვანი გამოყენებით...“[237]

საზღვარგარეთ მყოფი მოქალაქეების დაცვის დოქტრინის შემთხვევაში, მისი გამოყენება ან უფრო სწორედ მასზე თანხმობა, არც ერთგვაროვანია და არც მუდმივი. რასაკვირველია, განსხვავებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

მეორე არგუმენტი, რომელიც ზოგჯერ, საზღვარგარეთ მყოფი მოქალაქეების დაცვის უფლების სასარგებლოდ არის მოშველიებული, როგორც ჩანს, თავდაცვის უფლებას ეფუძნება (როზნიტი, (1985)). ამ მოსაზრების თანახმად, სახელმწიფოს მოქალაქეებზე თავდასხმა ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე თავდასხმას უთანაბრდება ან მისი ანალოგიურია და შესაბამისად, უშუალოდ ამ სახელმწიფოზე თავდასხმას წარმოადგენს. მართალია, ამ პოზიციას გარკვეულწილად, მომხრეებიც ჰყავს მკვლევრებს შორის (თუმცა, მეცნიერული აზრი ორად იყოფა), მაგრამ არ არსებობს სახელმწიფოთა პრაქტიკა და *opinion juris*, რაც მხარს დაუჭერდა უფლებას, ხოლო ტექსტობრივი მასალა ორაზროვანია.[238] აშკარაა, რომ „შეიარაღებული თავდასხმა“ უპირატესად გაგებულია, როგორც სახელმწიფოს ტერიტორიაზე თავდასხმა.

თუმცა, თუ ასეთი უფლება იარსებებდა, მისი განხორციელება უნდა იყოს თავდაცვის უფლებების პრინციპებთან (მაგალითად, პროპორციულობისა და საჭიროების მოთხოვნებთან) შესაბამისობაში.

და ბოლოს, არსებობს ძალიან მყარი პოლიტიკური საფუძვლები, თუ რატომ უნდა მოვეკიდეოთ სიფრთხილით ამ ე.წ. დოქტრინის გამოყენებას. როგორც კრისტინ გრეიმ აღნიშნა,

---

[235] კ. გრეი, ძალის გამოყენება, 2000, 108.
[236] ი. ბრაუნლი, პრინციპები, გვ. 705.
[237] თავშესაფრის საქმე (Asylum case), მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ანგარიშები (1950), გვ. 276-7.
[238] ჟილიან ტრიგსი, საერთაშორისო სამართალი (2006), გვ. 588. აგრეთვე იხ. ი. ბრაუნლი, საერთაშორისო სამართალი და ძალის გამოყენება, გვ. 301. დერეკ ბოვეტი, „თავდაცვა საერთაშორისო სამართალში“, გვ. 87.

„ძალიან ხშირად მოქალაქეების დაცვა მხოლოდ საბაბია ხელისუფლების დამხობის რეალური განზრახვის შესანიღბად.“[239]

ძალის გამოყენება ჰუმანიტარული საფუძვლებით (ჰუმანიტარული ინტერვენცია)

როგორც უკვე ითქვა, გაერო-ს წესდება აღიარებს შეზღუდული რაოდენობის გამონაკლისებს, ძალის გამოუყენელობასთან დაკავშირებით. ზოგიერთმა მეცნიერმა, ასევე, რამდენიმე სახელმწიფომ წამოაყენა წინადადება გამონაკლისების დამატებასთან დაკავშირებით, უშიშროების საბჭოს ნებართვის საფუძველზე, თავდაცვის თვალსაზრისით, რითაც გამართლებული იქნებოდა დაცვის უფლების გამოყენება საზღვარგარეთ მცხოვრები საფრთხეში ან სასტიკი მოპყრობის ქვეშ მყოფ მოსახლეობასთან მიმართებით. ამ დოქტრინას, რომელსაც ხშირად ჰუმანიტარულ ინტერვენციას უწოდებენ, ბევრი მომხრე ჰყავს, თუმცა, მას აქვს სამი ძალიან მნიშნელოვანი ნაკლი. პირველი, იგი *არასოდეს* ყოფილა შეტანილი რაიმე სახის საყოველთაო საერთაშორისო ხელშეკრულებაში. მეორე, დოქტრინას მხოლოდ უმნიშვნელო მხარდაჭერა აქვს სახელმწიფოთა პრაქტიკაში. მესამე, იგი უპირისპირდება იმპერატიული ნორმას (*jus cogens)* რომელიც კრძალავს ძალის გამოყენებას, ხოლო გამომდინარე იქიდან, რომ ძალის გამოუყენებლობა წარმოადგენს იმპერატიულ ნორმას, იგი შეიძენს იმავე ხარისხის ახალ ნორმას რომელიც იმპერატიულ ნორმას უკუაგდებს. [240] ამდენად, აუცილებელი იქნება ნორმა, რომელიც „მიღებული და აღიარებულია სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის, როგორც ერთი მთლიანის მიერ.“[241] უახლოეს მომავალში ასეთი აღიარება არ არის მოსალოდნელი.

მეორე მხრივ, მართალია, ზოგიერთმა სახელმწიფომ გამოიყენა „ჰუმანიტარული ინტერვენციის“ დოქტრინა, როგორც ძალის გამოყენების საფუძველი,[242] მაგრამ ასეთმა ინტერვენციებმა ძალიან მცირე მხარდაჭერა მიიღო ფართო საზოგადოებიდან და ინტერვენციების უმეტესობა დაგმობილი იქნა მოწონების ნაცვლად. [243] ნებისმიერ შემთხვევაში, ე.წ. „ჰუმანიტარული ინტერვენციების“ უმრავლესობა არ ყოფილა გამართლებული ჰუმანიტარული საფუძვლებით. ტანზანიის შეჭრა უგანდაში, ვიეტნამის ინტერვენცია კამბოჯაში და ინდოეთის მოქმედებები აღმოსავლეთ

[239] იქვე.
[240] ჩერნი, ნატოს კოსოვოს ინტერვენცია: წინასწარი ჰუმანიტარული ინტერვენცია კოსოვოში, 93 A.J.J.J., 834 (1999), გვ. 837.
[241] V.C.L.T., მუხლი 53.
[242] კ. გრეი, საერთაშორისო სამართალი და ძალის გამოყენება, მე-2 გამოცემა (Oxford University Press, 2004), გვ. 35.
[243] მინისტერიალის დეკლარაცია, 77 ქვეყნის ჯგუფის საგარეო საქმეთა მინისტრების 23-ე წლიური შეხვედრა (1999 წლის 24 სექტემბერი), 69. იხ. ბმულზე: http://www.g77.org/doc/Decl1999.html

პაკისტანში ექსკლუზიურად ან უმეტესწილად გამართლებული იყო როგორც თავდაცვის აქტები.

ამავდროულად, მაშინაც კი, როდესაც განხორციელდა ინტერვენციები აღნიშნული წესის საწინააღმდეგოდ, ეს ქმედებები მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს თანახმად, უნდა ჩაითვალოს ამ წესის დარღვევად და არა ახალი წესის აღიარების მინიშნებად. [244] როგორც პროფესორმა ბრაუნლიმ აღნიშნა: „ჰუმანიტარული ინტერვენციის მომხრეები ან უგულვებელყოფენ ჩვეულებითი სამართლის ახალი პრინციპების ჩამოყალიბების პირობებს ან დროდადრო გვთავაზობენ *opinion juris* მოთხოვნის შემსუბუქებას.“[245]

ბოლო წლებში, ადგილი ჰქონდა ჰუმანიტარული ინტერვენციის პრინციპების ან დოქტრინის აღდგენის მცდელობებს, რაც 3 ფორმით გამოიხატებოდა. პირველ შემთხვევაში, მკვლევარები იყენებენ გაერო-ს ქარტიას ან საერთაშორისო ადამიანის უფლებათა დაცვის სამართალს ჰუმანიტარული ინტერვენციის უფლების გასამართლებლად. ისინი მიიჩნევენ, რომ ვინაიდან ადამიანების უფლებათა დაცვის მოვალეობა გაერო-ს სისტემას და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალს უდევს საფუძვლად, ზემოხსენებულ მოვალეობებათა დაცვის მიზნით განცორციელებული ინტერვენცია კანონიერი უნდა იყოს. მიუხედავად იმისა, რომ ამ არგუმენტის პირველი ნაწილი სწორია, ის მთლიანობაში ნათელი არ არის, რის გამოც მკვლევარები აღნიშნულ დასკვნამდე მიდიან. ადამიანების უფლებათა დაცვის სისტემა შექმნილია მოქლაქეების და მოქალაქეობის არმქონე პირების მიმართ დამოკიდებულების გასაუმჯობესებლად, მაგრამ არსებული კანონის არც ერთ ნაწილში გაკვრითაც არ არის ნახსენები ძალის გამოყენების უფლება, მსგავს მოვალეობათა უზრუნველსაყოფად. ამავდროულად, ცხადია, რომ ადამიანების უფლებათა დაცვის გარდა გაერო-ს უდიდეს, თუარა უპირველეს მიზანს წარმოადგნეს მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ცალმხრივი მოქმედებისა და არალეგიტიმური ძალის გამოუყენებლობა.[246 52]

მეორე შემთხვევაში, ზოგი მკვლევარი განმარტავს, რომ ნატო-ს ინტერევენციამ კოსოვოში შექმნა ჰუმანიტარული ინტერვენციის ახალ ნორმა. მსგავს მაგალითს სიფრთხილით უნდა მიუდგეთ. ნატო-ს ქვეყნების უმრავლეობას ჰუმანიტარული საფუძველი არ მოჰყავდა არგუმენტად ინტერვენციის განხორციელებისათვის. ამის

[244] ნიკარაგუას საქმე, გვ. 98, 186.
[245] ბრაუნლი, პრინციპები, იხ. ზემოთ, 2, გვ. 712.
[246 52] CHESTERMAN, სქოლიო 26, გვერდი 45; დინშტეინი - War Aggression and Self Defence 89 (1988); კასესი International Law 373 (მე-2 გამოცემა, 2005).

ნაცვლად, ძალის გამოყენების უფლების გამამართლებელ გარემოებად, მათ საფუძვლად მოჰყავდათ უშიშროების საბჭოს რამდენიმე რეზოლუცია, სადაც ვითარება შეფასებული იყო როგორც „საფრთხე მშვიდობისადმი“ ამავდროულად, მკვლევარებს ორაზროვანი მიდგომა აქვთ ინტერვენციის მიმართ პროფესორ (ამჟამად მოსამართლის) სიმმას პოზიცია „საერთაშორისო კანონების შესახებ“ ,,საერთაშორისო სამართლის ევროპულ ჟურნალში“ („European Journal of International Law“) იყო მოცემული. მისთვის ინტერვენცია უკანონო იყო (მორალური ან პოლიტიკური საჭიროების მიუხედავად).[247 53] ყველა შემთხვევაში, მისი ლეგიტიმურობა (კანონს გარეთ) ეფუძნებოდა მრავალმხრივობას და იურიდიულ უფლებამოსილებას და არა ჰუმანიტარული ინტერვენციის ცალკე აღებულ უფლებებს.[248 54] სწორედ ეს განასხვავებს მას რუსეთის ინტერვენციისგან საქართველოს ტერიტორიაზე. ს

მესამე პროცესი, რომელიც შესაძლებელია ითქვას, რომ იძლევა ჰუმანიტარული ინტერვენციის გარკვეული სახის უფლებას, ხშირად მოიხენიება, როგორც R2P („დაცვის მოავლეობა“ დოქტრინა). 2000 წელს, სახელმწიფოთა სუვერენიტეტის დაცვის საერთაშორისო კომისიამ, რომელიც წარმოადგენდა კანადის მიერ მოწვეული ელიტარული პოლიტიკური მიმომხილველებითა და იურისტებით დაკომპლექტებულ ჯგუფს, გამოაქვეყნა დოკუმენტი, სადაც განმარტებული იყო „დაცვის მოავლეობის“ არსი (ICISS 2000). 2004 წელს, ამ იდეამ შემდგომი განვითარება და სტატუსი ჰპოვა გენერალური მდივნის სიტყვაში – „საფრთხეების მაღალი დონის ჯგუფი, გამოწვევები და ცვლილებები,“ ასევე გამოყენებული იქნა თვით კოფი ანანის მიერ თავის განაცხადში ძირითადი რეფორმების შესახებ „მეტი თავისუფლება“ (2005). დოქტრინა დასაბუთებულია სულ, ორ წინადადებაში. დოქტრინის მხარდამჭერები ამტკიცებდნენ, რომ სუვერენულ სახელმწიფოებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა დაიცვან საკუთარი მოქალაქეების უფლებები, საკუთარ ტერიტორიაზე (თავისთავად ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ ჩავთვლით, ადამიანის უფლებების დაცვის კონვენციებს, რომლებზეც სახელმწიფოებს აქვთ ხელი მოწერილი), ასევე უშიშროების საბჭოს გააჩნია ჰუმანიტარულ ინტერვენციაზე ნებართვის გაცემის უფლება – დაუცველი ადამიანების გადასარჩენად (მსგავსი ფორმულირება მოცემულია VII თავში, კერძოდ, 39-ე მუხლში). ეს ორი ნორმა, ცხადია, არ წარმოადგენს არანაირ გამართლებელ გარემოებას ერთპიროვნული ინტერვენციისათვის. მართლაც, არალეგიტიმური ჰუმანიტარული ინტერვენციის იდეა არ არის დასაბუთებული მაღალი დონის პანელის ან გენერალური მდივნის სარეფორმო წინადადებაში. თუმცა, როი ელისონი აღნიშნავს *საერთაშორისო ურთიერთობების* ჟურნალში:

[247 53] ბრუნი სიმმა „NATO the UN and Use of Force: Legal Aspects“, 10 (1999).

[248 54] გერი სიმპსონი,“Great Power and Outlaw States” 2004, მე-7 თავი.

„მიუხედავად რუსეთის განცხადებებისა მსხვერპლთა შორის მნიშვნელოვანი დანაკარგის შესახებ, არ არსებობს მასობრივად სასტიკი დანაშაულების ნათელი მტკიცებულებები რეგიონში ან მისი რეალური რისკი (რაც წარმოადგენს „დაცვის მოავლეობის“ გამოყენების წინასწარი შეფასების კრიტერიუმს). [249] [55]

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაცია კონფლიქტის დროსაც, და კონფლიქტის შემდეგაც, უწყვეტად მანიპულირებდა ციფრებით.[250] [56] რუსეთის ხელისუფლება ჯერ კიდევ, 2008 წლის 9-10 აგვისტოს, აჟღერებდა დაუსაბუთებელ ბრალდებებს დაშავებულთა აღმაშფოთებელი რაოდენობის შესახებ და საქართველოს ხელისუფლების ქმედებებს გენოციდად მოიხსენიებდა. ცხადია, რომ დაშავებულთა ციფრების გაბერვა სპეციალურად კეთდებოდა ინტერვენციის იურიდიული და მორალური საფუძვლის შესაქმნელად. სამწუხაროდ, ადამიანთა უფლებადამცველი საერთაშორისო ორგანიზაციების თანახმად, (Human Rights Watch) ამ ცრუ და გადამეტებულ ბრალდებებს, რუსეთის მხრიდან, მოჰყვა პირდაპირი და დამღუპველი შედეგები, რამაც ხელი შეუწყო შემდგომ შურისძიებას. მოგვიანებით, სპეციალურმა საგამოძიებო კომიტეტმა (Следственний Комитет Прокуратуры – СКП) დოკუმენტალურად დაადასტურა 162 ადამიანის გარდაცვალება მანამდე მოყვანილი ციფრების საპირისპიროდ.[251] [57]

დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სამართალში ჰუმანიტარული ინტერვენციის მხოლოდ მცირე გამამართლებელი გარემოება არსებობს. მკვლევართა შეხედულებები, სახელმწიფოებრივი პრაქტიკა და ინსტიტუციური განვითარება მყარად ადასტურებს, რომ არ არსებობს რეალური საფუძველი მსგავსი ნორმისათვის. ამას გააჩნია ძალიან კარგი პოლიტიკური და იურიდიული მიზეზები. „ჰუმანიტარული ინტერვენცია“ შეიძლება იოლად იქნას გამოყენებული სუსტი ქვეყნების წინააღმგედ.[252] [58] მიუხედავად იმისა, რომ დოქტრინას შესაძლოა, მხარს უჭერდენენ დომინანტი სახელმწიფოები, რომლებიც წარმოადგენენ ქარტიის პირველადი ნაწილის წევრებს,[253] [59] ეს შეუთავსებელია სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის ძირითად პრინციპებთან და ინტერვენციის აკრძალვასთან. .[254] [60]

---

[249] [55] როი ელისონი, „Russia resurgent?; Moscow’s Campaign to „Coerce Georgia to Peace“ (2008) 84 საერთაშორისო ურთიერთობები 1145-1171/1153.

[250] [56] დამატებითი ინფორმაციის მოსაძიებლად იხ.: Human Rights-ის ანგარიში ,,ცეცხლში გახვეული“ – „UP IN FLAMES,“ გვ. 70-73.

[251] [57] დამატებითი ინფორმაციის მოსაძიებლად იხ.: Human Rights-ის ანგარიში ,,ცეცხლში გახვეული“ – „UP IN FLAMES“ გვ. 75.

[252] [58] ბრაუნლი, „ძალის გამოყენება“ სქოლიო 14, გვ. 340; სქოლიო 3, გვ. 1046; ოპენჰეიმი - სქოლიო 10, გვ 442-3.

[253] [59] შოუ, სქოლიო 3, გვ. 1045.

[254] [60] ბრაუნლი, ძალის გამოყენება, სქოლიო 14, გვ. 341.

სამშვიდობო ძალების დაცვა

აქამდე, დისკუსია კონცენტრირებული იყო საერთაშორისო სამართალის ფარგლებში ძალის გამოყენების ცნობად გამამართლებელ გარემობებზე (თავდაცვა, კოლექტიური უსაფრთხოება, ჰუმანიტარულ ინტერვენცია). საბოლოოდ, გაირკვა, რომ იმპერატიული ნორმის განოაკლისი არც გაერო-ს ქარტიის 2(4) მუხლის და არც საერთაშორისო ჩვეულებით სამართალის მიხედვით არ შეესაბამება არსებულ ვითარებას (კოლექტიური უსაფრთხოება და თავდაცვა); ასევე, ეს გამონაკლისი არ შეეხება საწყის ვითარებას (ჰუმანიტარული ინტერვენცია). არსებობს ორი დასკნითი, ნაკლებად დოგმატური არგუმენტი, რომლის განხილვა აუცილებელია, უშუალოდ ფაქტობრივი მასალების განხილვამდე. პირველი არგუმენტი – სახელმწიფოს გააჩნია ძალის გამოყენების უფლება სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე, როდესაც ამ ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფ ლეგიტიმურ სამშვიდობო ძალებზე (რომელთა შემადგენლობაშიც შედიან ამ სახელმწიფოს მოქალაქეები) მასპინძელი ქვეყანა განხორციელებს სამხედრო შეტევას.

ეს არგუმენტი შეიძლება განივრცოს სამი სხვადასხვა (თუმცა ურთიერთსაწინააღმდეგო) მიმართულებით. პირველი, შესაძლოა ეს დასაბუთებული იქნას იმგვარ ვითარებად, სადაც სახელმწიფოს მიერ გაწეული ქმედება ეროვნული ძალების დასაცავად ჭეშმარიტად თავდაცვითი ხასიათისაა. მეორე, ქვეყანას, რომელიც სამხედრო ძალებს აგზავნის, შეუძლია გაამართლოს საფრთხეში მყოფი სამშვიდობო ძალების დაცვისთვის გამოყენებული ძალა იმით, რომ მას წინასწარ ჰქონდა მიღებული ოფიციალური თანხმობა მიმღები ქვეყანისაგან სამშვიდობო ოპერაციების ჩატარებაზე ამ ქვეყნის ტერიტორიაზე. მესამე, სახელმწიფოს შეუძლია არგუმენტად მოიყვანოს ის ფაქტი, რომ მკაფიო ინსტიტუციური ნებართვა საწყისი სამშვიდობო ოპერაციების ჩატარებისათვის, უკვე გულისხმობს ნებართვას ძალის გამოყენებისთვის საკუთარი სამშვიდობო ძალების დასაცავად.

საინფორმაციო ბარათის აღნიშნული ნაწილი თითოეულ მათგანს განიხილავს.

თავდაცვა და სამშვიდობო ოპერაციები

აქ მთავარი საკითხია ის, ითვლებიან თუ არა ის სამშვიდობო ძალები, რომლებიც იმყოფებიან უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე ორმხრივი ხელშეკრულების შესაბამისად, იმ ქვეყნის სამშვიდობო ძალებად, რომლებიც მათ ამ ქვეყენაში აზგავნიან თავდასხმის საპასუხოდ და ითვლება თუ არა ამ სამშვიდობო ძალებზე თავდასხმა, ქვეყანაზე თავდასხმად.

ითვლებიან თუ არა სამშვიდობო ძალები „იმ ქვეყნის ძალებად, რომლებსაც სახელმწიფო აგზავნის?“ ამ მიმართულებით, ბევრია დამოკიდებული ინდივიდუალურ შეთანხმებაზე, ხელშეკრულებაზე, ან უერთიერთგაგების მემორანდუმზე. სოჭის ხელშეკრულების ტექსტში ბევრი ორაზროვნებაა. ერთადერთი, რაც ამ ხელშეკრულებაში ნათლად არის აღნიშნული, არის, ის რომ 1992 წელს, რუსეთის შეირაღებულმა ძალებმა საქართველოში განიცადეს ტრანსფორმაცია. ხელშეკრულება განმარტავს, რომ აღნიშნული რეგიონიდან „შეიარაღებული ფორმირებები გაყვანილი უნდა იქნას“ და მათი ჩანაცვლება უნდა მოხდეს შერეული საკონტროლო კომისიის ძალებით. აქედან გამომდინარე შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ რუსეთის ძალები ამ შემთხვევაში აღარ წარმოადგენდნენ ,,იმ ქვეყნის ძალებს, რომლებსაც სახელმწიფო აგზავნის.“

თუმცა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ რუსეთის დარჩენილი შეიარაღებული ძალები განიხილებოდნენ „იმ ქვეყნის ძალებად, რომლებსაც სახელმწიფო აგზავნის,“ ჩნდება ორი შეკითხვა: ითვლება თუ არა, თავდასხმა სამხედრო ძალების პირად შემადგენლობაზე, თავდასხმად იმ ქვეყნის ძალებზე,, რომლებსაც სახელმწიფო აგზავნის? და არის თუ არა თავდასხმა მსგავს სამშვიდობო ძალებზე თავდასხმა მათს ქვეყანაზე? ამ საკითხებთან დაკაშირებით, არსებობს სხვადასხვა მოსაზრება. ერთადერთი რაც, ცხადად აღინიშნება არის, ის რომ გაეროს ქარტიის 2(4) მუხლის მიხედვით ძალის გამოყენება წევრი სახელმწიფოს „ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის“ წინააღმდეგ წარმოადგენს უკანონო ქმედებას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გაეროსთვის უფრო მნიშვნელოვან დარღვევას წარმოადგენს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური თვითგამორკვევის უფლების ხელყოფა, ვიდრე ზოგადად ქვეყნის ინტერესების წინააღდმეგ მიმართული ნაბიჯი. აქედან გამომდინარე, ნათელი ხდება, თუ რატომ გააჩნია „საზღვარგარეთ საკუთარი მოქალაქეების დაცვის“ დოქტრინას ამგვარი არამყარი საფუძველი საერთაშორისო სამართალში; სწორედ ამიტომ საჭიროა კარგად იქნას გააზრებული 51-ე მუხლის მნიშნველობა, რომელიც კრძლავას თავდასხმას სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ სამხედრო ძალებზე. იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს საზღვარგარეთ სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებზე თავდასხმას, გამოიყენება ძალის შედარებით უფრო მეტი მოცულობა იმ სამშვიდობო ძალების დასაცავად, რომლებიც სახელმწიფოს სამხედრო კონტიგენტში ირიცხებიან სამშვიდობო შეთანხმებათა სტატუსით.

თავდაცვის უფლების გამოყენებისას ცხადია, დაცული უნდა იყოს აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპები. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სამშვიდობო ძალების რუსული კონტინგენტი შესაძლოა მიჩნეული ყოფილიყო ,,იმ ქვეყნის ძალებად, რომლებსაც სახელმწიფო აგზავნის,“ იმ შემთხვევაშიც, კი თუ თავდასხმა ამ ძალებზე წარმოადგენდა თავდასხმას რუსეთის ფედერაციაზე და იმის ფონზეც კი თუ ეს

ვითარება მას ძალის გამოყენების უფლებას აძლევდა, ეს ძალა უნდა ყოფილიყო პროპორციული და თავდაცვისთვის აუცილებელი, გაეროს ქარტიის 51-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად. რუსეთის განცხადება, რომ მან ძალის გამოყენებით უპასუხა თავის სამშვიდობო კონტინგენტზე ,,თავდასხმას," წარმოადგენდა უსარგებლო (ვითარება, სადაც არ არსებობს კონფლიქტის გადაჭრის სხვა საშუალება) და არაპროპორციულ (სამშვიდობოებზე გაურკვეველი მასშტაბის მქონე თავდასხმის საპასუხოდ უცხო ქვეყნის ფართომასშტაბიანი სამხედრო შემოჭრა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე არ ითვლება პროპორციულ საპასუხო ქმედებად) ზომას. .[255] [61]

ქვემოთ აღნიშნული სამართლებრივი ანალიზის გათვალისწინებით, რომელიც ნათლად ასახავს მაშინდელ (7-8 აგვისტოს, 2008 წ.) ვითარებას, იმ დროისათვის როდესაც დაიწყო რუსეთის ფართომასშტაბიანი შემოჭრა საქართველოს ტერიტორიაზე, რუსეთის სამშვიდობო ძალებთან არანაიარ სამხედრო დაპირისპირებას არ ჰქონია ადგილი. სამშვიდობო ძალების დაცვა - არგუმენტი, რომელიც რუსეთმა გამოიყენა, იყო ყალბი საბაბი, რუსეთის შემოჭრისათვის.

თანხმობა ან ავტორიზაცია

ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების პრინციპების შესახებ სოჭის ხელშეკრულების ძალით, (ხელმოწერილია 1992 წლის 4 ივნისს) რუსეთის სამშვიდობო ქვედანაყოფები სამხრეთ ოსეთში, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსდნენ. ეს ხელშეკრულება შეიქმნა სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, ხოლო ამ ხელშეკრულების კიდევ ერთ მიზანს წარმოადგენდა კონფლიქტის ზონის გარეთ რუსეთის სამშვიდობო ძალების განლაგების აკრძალვა. ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლი, აგრეთვე ითვალისწინებდა კონფლიქტის ზონიდან რუსეთის სამხედრო ძალების იმ კონტიგენტის გაყვანას, რომელიც არ წარმოადგენდა მშვიდობისმყოფელთა ნაწილს. სხვაგავრად რომ ითქვას, ხელშეკრულება არ გულისხმობდა რუსეთის რეგულარული ჯარის გამოყენებას სამშვიდობო ოპერაციების ჩასატარებლად. სოჭის ხელშეკრულება ასევე არ ითვალისწინებდა ძალის ცალმხრივი გამოყენების უფლებას რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიაზე. რეალურად, იმ შემთხვევაში თუ კარგად გადავხედავთ სოჭის ხელშეკრულების სწორ კონტექსტს, დავინახავთ, რომ სამშვიდობო ძალების მხრიდან კონფლიქტის მოგავრების ვალდებულება ეფუძნება შერეული საკონტროლო

---

[255] [61]როი ელისონი, „Russia resurgent?; Moscow's Campaign to „Coerce Georgia to Peace" (2008) 84 საერთაშორისო ურთიერთობები 1145-1171/1151 (დაცვა) წარადგენს პირობებს რუსეთის სამშვიდობო ძალების საგანგებო მხარდაჭერისთვის ან ევაკუაციისათვის და არა ფართომასშტაბიანი ღია ძალის გადაჭარბებისთვის."

კომისიის მანდატს და არა სახელმწიფოთა ინდივიდუალურ უფლებამოსილებას (V მუხლი). ყოველივე ეს, რუსეთის არგუმენტებს საკმაოდ ასუსტებს.[256 62]

მსგავსად ამისა, საერთაშორისო საყოველთაო სამართალი არ ითვალისწინებს არანაირ დებულებას, რის მიხედვითაც სამშვიდობო კონტიგენტის მქონე სახელმწიფოს გააჩნია თავდაცვის უფლება, სამშვიდობო ძალებზე თავდასხმის დროს. სამშვიდობო მისიის ძირითადი არსი, კონსენსუსის პრინციპს ეფუძნება. სამშვიდობო ძალების ყოფნა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, დამოკიდებულია ამ სახელმწიფოსთან შეთანხმებაზე. როგორც კირგიცი განმარტავს:

> „სამშვიდობო ოპერაციების ძირთადი პრინციპია - ქვეყნის შიდა პროცესებში ჩაურევლობა და თანაბარი, სამართლიანი დამოკიდებულება კონფლიქტის ყველა მხართან.“[257 63]

აღნიშნული ხელშეკრულება, ამ შემთხვევაში, არ ითვალისწინებს რუსეთის მხრიდან სამხედრო ძალების გამოყენებას მსგავს ვითარებაში. რეალურად, სოჭის ხელშეკრულების მთელი არსი სხვა მიმართულებას ემყარება. ხელშეკრულება შედგენილი იყო მსგავსი ვითარების ესკალაციის თავიდან ასაცილებლად. ამ დოკუმენტში არაფერი მიანიშნებს იმაზე, რომ საქართველო თანახმაა, მსგავს ქმედებებზე. გამომდინარე იქიდან, რომ მსგავსი დოკუმენტი არ არსებობს, სამშვიდობო ქმედებათა არეალი ეფუძნება იმ ზოგად ნორმებს, სადაც ნათლად გაწერილია რომ ძალის მსგავსი სახით გამოყენება აკრძალულია. იორამ დინშტეინმა ლაკონურად ჩამოაყალიბა ეს პრინციპები:

> „სამშვიდობო ოპერაციების ჩასატარებისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს ორი აუცილებელი და მნიშვნელოვანი კომპონენტი: (1) ამის ჩამოყალიბება და განხორციელება უნდა მოხდეს ხელშეკრულების ყველა მონაწილე ქვეყნების თანხმობით; (2) *დაუშვებელია* სამხედრო ქმედებების გამოყენება სახელმწიფოს წინააღმდეგ.“[258 64]

სამშვიდობო ოპერაციებზე დაწესებული შეზღუდვები ასევე შემუშავებულია მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს განაჩენში *„გარკვეული სახის შემთხვევები,“ რომელიც* საერთაშორისო კომისიის იურისტებმა შეადგინეს სამშვიდობო

[256 62]იხ.: როი ელისონი, “Russia resurgent?;Moscow’s Campaign to „Coerce Georgia to Peace“ (2008) 84 საერთაშორისო ურთიერთობები 1145-1171 /1152.

[25763] F.Kirgiz, (International Organizations) საერთაშორისო ორგანიზაციები, 1993, 717.

[258 64] ი.დინშტეინი -War, Aggression abd Self-Defence (მე-3 გამოცემა), 2001, 266.

მისიის წარმოშობის განსახილველად. ქვემოთ მოყვანილია მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს განაჩენი, ეგვიპტეში ჩატარებულ სამშვიდობო მისიაზე, სადაც მკაფიოდ არის განმარტებული მშვიდობისმყოფელთა როლი:

> „..სამშვიდობო ძალების სამხედრო ფუნქციები არ უნდა იყოს იმაზე მეტი, ვიდრე ეს საჭიროა მშვიდობის უზრუნველსაყოფად ...“[259 65]

ცხადია, ეს მოსაზრება გამოითქვა კონკრეტული ოპერაციის წარმართვის შესახებ. მიუხედავად ამისა, ის განსაზღვრავს სამშვიდობო ოპერაციების ძირითად კონცეფციას. ამგვარ ვითარებაში, სამშვიდობო ოპერაციების ზოგადი შინაარსი, ისევე როგორც სოჭის ხელშეკრულების ცალკეული პირობები და საერთაშორისო წესრიგის ფუნდამენტური ნორმები ცხადყოფს, რომ რუსეთის მიერ ძალის ცალმხრივი გამოყენება არ ეფუძნებოდა არც თავის დაცვის დოქტრინას და არც დისკრეციულ უფლებას გამოყენებინა მსგავსი ძალა მშვიდობისმყოფელთა შორის მყოფ მოქალაქეთა დაცვისათვის.

III. ფაქტობრივი გარემოებები

რუსეთის ქმედებები სამხედრო აგრესიის ფაქტამდე, აგვისტო, 2008 წელი

რუსეთის აგრესიულმა ქმედებებმა აფხაზეთის, საქართველო და ცხინვალის რეგიონის /სამხრეთ ოსეთის მიმართ თვისებრივად უფრო აგრესიული ხასიათი 2008 წლის დასაწყისიდან მიიღო, კოსოვოს აღიარების შემდეგ. მას შემდეგ. რაც მოხდა კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთს აქვს „წინასწარ განზრახული გეგმა,“.[260 66]

შედეგად, რუსეთის ქმედებები გახდა უფრო მეტად მიზანმიმართული და ინტენსიური და მოიცვა სულ უფრო მზარდი, მაგრამ ამავე დროს, ერთმანეთთან დაკავშირებული ინტერვენციათა სერია. ეს მოიცავდა: აგრესიულ პოლიტიკურ ნაბიჯებს (სხვა მსგავსთა შორის, ოფიციალური კავშირების დამყარება მარიონეტულ რეჟიმებთან), რასაც ახლდა პირდაპირი საომარი მოქმედებები და ინტერვენციები (მაგალითად, ქართული უპილოტო, შეუიარაღებელი საფრენი აპარატის ჩამოგდება რუსული საბრძოლო თვითმფრინავის მიერ), აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსული ჯარების ახალი შენაერთების უკანონო განლაგება, მაგ., პარაშუტისტებისა და სარკინიგზო ჯარების შეყვანა, აგრეთვე, რეგიონის აღმოსავლეთ საზღვრების გასამაგრებელი ნაგებობების

[259 65] Certain Expenses Case - „ხარჯების გარკვეულ შემთხვევებში“ (1962), პარ. 10.

[260 66] იხ.: პუტინის სიტყვის ჩანაწერი www.kremlin.ru/appears/2008/02/14/1327_type63380type82634_160108.shtml

აშენება. 2008 წლის ივნისამდე, რუსეთის ქმედებები ძირითადად ორიენტირებული იყო აფხაზეთზე, საქართველო.

ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში სიტუაცია მნიშვნელოვნად დაიძაბა 2008 წლის ივლისში – აფხაზეთში შეტევითი სამხედრო ინფრასტრუქტურის მშენებლობის დასრულების პარალელურად – როდესაც განხორციელდა ტერორისტული თავდასხმა სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, დიმიტრი სანაკოევის გადანგურების მიზნით. ამ ქმედებას თან ახლდა საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებულ სოფლებზე, ქართულ პოლიციასა და სამშვიდობო ძალებზე დე-ფაქტო მთავრობის მილიციის მიერ განხორციელებული თავდასხმების მასშტაბისა და ინტენსიურობის საგრძნობი ზრდა.[261 67] ამ ქმედებებს მოჰყვა დანაკარგი და მსხვერპლი (პირველად, ადრეული 1990 იანი წლების შემდეგ გამოყენებულ იქნა 120 მმ იანი კალიბრის ნაღმტყორცნები, რომელთა გამოყენება აკრძალულია არსებული ხელშეკრულებების თანახმად). პარალელურად, ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში იზრდებოდა დაქირავებული მეომრების შემოსვლა, აგრეთვე, ადგილი ჰქონდა ქართული საჰაერო სივრცის დარღვევას რუსული სამხედრო თვითმფრინავების მიერ.

9 ივლისს, საქართველოს საჰაერო სივრცე დაარღვია ოთხმა რუსულმა სამხედრო თვითმფრინავმა, სწორედ იმ საღამოს, როდესაც საქართველოში ვიზიტი ჰქონდა აშშ-ის სახელმწიფო მდივანს, კონდოლიზა რაისს. ეს ფაქტი დაადასტურა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ.

და ბოლოს, დაფიქსირდა რუსული არმიის მძიმე სამხედრო ტექნიკისა და შენაერთების შესამჩნევი ზრდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია რუსული სამხედრო პერსონალის დიდი რაოდენობა, რომელიც მობილიზებული იყო რუსეთ საქართველოს საზღვარის მახლობლად, სამხედრო წვრთნების „კავკასია 2008“ ჩასატარებლად. ამ წვრთნების დროს 8 000-ზე მეტი ჯარისკაცი (58 ე არმიის, ჩრდილო კავკასიის სამხედრო ნაწილის, საჰაერო ძალების, მე 4 საჰაერო არმიის და საჰაერო თავდაცვის ჩათვლით), და სულ ცოტა, 700 ერთეული მძიმე სამხედრო ტექნიკა და 30 თვითმფრინავი ახდენდა „მეზობელი სახელმწიფოს“ შემოჭრის სიმულირებას. მიუხედავად იმისა, რომ ეს წვრთენები 2 აგვისტოს დასრულდა, ამ შეიარაღებული ძალების უკან გაწვევა არ მომხდარა.

[261 67] საქართველოს მთავრობისათვის ცნობილი იყო, რომ ეს იყო მიზანმიმართული თავდასხმები საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებად სოფლებზე, მიზნად ისახავდა როგორც მაქსიმუმ, მათ განადგურებას. მაგალითად, მარიონეტული რეჟიმის შინაგან საქმეთა მინისტრმა, მიხეილ მინძაევმა გასცა ბრძანება ქართული სოფლების მიწასთან გასწორებაზე. მისი დაფიქსირებული სატელეფონო საუბრის ჩანაწერი, იხილეთ დანართში 340.

რუსეთის სამხედრო ძალების განლაგება საქართველოს ტერიტორიაზე ომის დაწყებამდე

2008 წელის 3 აგვისტოს, საქართველოს სადაზვერვო ინფორმაციის თანახმად, ჯავას რაიონში, როკის გვირაბის გავლით, შემოვიდა რუსეთის 58 ე არმიის მე 19 მოტომსროლელთა დივიზიის ცალკეული სადაზვერვო ბატალიონის შენაერთები. 4 აგვისტოს, ღამით, ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში რუსეთის ფედერაციის მხრიდან სამხედრო შეიარაღების 10 ერთეული შემოვიდა (ბტრ/ბმპ მანქანები) და განაწილდა დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარულ შეიარაღებულ ძალებს შორის. ორი მანქანა გადაეცა დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარული შეიარაღებული ძალების შენაერთს, რომელიც განლაგებული იყო ცხინვალის რაიონის სოფელ დმენისში იმავე დღეს, „სამხრეთ ოსეთის“ (სამაჩაბლოს) მარიონეტული რეჟიმის ლიდერმა ედუარდ კოკოითმა რუსეთის მედიაში, კერძოდ „კავკასიის კვანძისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ცხინვალის რეგიონში, ჩრდილოეთ ოსეთიდან და რუსეთიდანაც უკვე ჩამოვიდა 300 მეტი „მოხალისე“ (ანუ დაქირავებული მებრძოლეები) და მათი რიცხვი სავარაუდოდ, მიაღწევს 2 000 კაცს.[262] [68] იმავე დღის საღამოს, რუსეთის დუმის წევრმა, ვიქტორ ვოდოლატსკიმ ოფიციალური პირობა დადო ცხინვალის მარიონეტულ რეჟიმის მხარდაჭერაზე. პარალელურად, დონის კაზაკების ძალების მეთაურმა, ნიკოლაი კოზიცინმა განაცხადა, რომ მას შეეძლო „მოხალისეების“ (დაქირავებული მებრძოლეების) 10 000-–15 000 კაცამდე „სამხრეთ ოსეთში“(სამაჩაბლში) გაგზავნა.[263] [69]

2008 წლის 5 აგვისტოს, შუადღისას, რუსეთის მედიის განცხადების თანახმად, ჩრდილოეთ ოსეთიდან ცხინვალში, დამატებით ჩამოვიდა დაახლოებით, 150 დაქირავებული მებრძოლი. [264] [70] ინფორმაცია, ჩრდილოეთ ოსეთიდან ცხინვალში დაქირავებული მებრძოლეების თავმოყრის შესახებ, დაადასტურა თვით ვლადიმერ ვორონინმა, დონის კაზაკთა ძალების მეთაურის მოადგილემ თავის ინტერვიუში რუსეთის რადიოსადგურისთვის „ეხო მოსკვი.“[265] [71]

იმავე დღეს, 5 აგვისტოს, ცხინვალის რგიონის/სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ბოლტიხიდან (დაღესტანი) როკის გვირაბის გავლით 40 ერთეული თვითმავალი არტილერია და 33 ე მოტორიზებულ მსროლელთა დივიზიის ცალკეული სადაზვერვო ბატალიონის სამთო ბრიგადა შემოვიდა; ასევე, ჯავის რაიონში ჩატანილ იქნა 30 საარტილერიო დანადგარი. 58 ე არმიის ზოგიერთი შენაერთი მობილიზებული იყო

[262] [68] Military, იხ.: დანართი 31.
[263] [69] Military, იხ.: დანართი 32.
[264] [70] Military, იხ.: დანართი 37.
[265] [71] Military, იხ.: დანართი 38.

როკის გვირაბთან რუსეთის, ჩრდილოეთ ოსეთის მხრიდან, მათ შორის 135-ე მოტორიზებულ მსროლელთა პოლკი პროხლადნიდან (ყაბარდო ბალყარეთი) და 693-ე მოტორიზებულ მსროლელთა პოლკი ზარამაგიდან – ჩრდილოეთ ოსეთი. ჯავშანტექნიკის შემოყვანა მომდევნო დღესაც გაგრძელდა.

რუსეთის სამხედრო ძალების ფართომასშტაბიანი შემოჭრა საქართველოში

7 აგვისტოს, დილით ადრე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოიპოვა პირველადი სატელეფონო ჩანაწერი, რომლის თანახმად, რუსეთის საჯარისო ერთეული, ტანკებითა და ჯარისკაცებით დატვირთული სამხედრო მანქანებით, შევიდა როკის გვირაბში.[266] [72] 03:41 სთ ზე, რუსეთის არარეგულარული არმიის დიდი რაოდენობით ჯავშანტექნიკა, ტანკები და სამხედრო სატვირთო მანქანები შევიდნენ როკის გვირაბში და განთავსდნენ ჯავას რაიონში. ეს დადასტურდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მობილური ტელეფონებით განხორციელებული ორი საუბრის მოსმენით .[267] [73] რუსული პრესის უამრავი სტატია ადასტურებს, რომ რუსეთის საჯარისო ერთეულები, კერძოდ, 58-ე არმიის 693-ე და 135-ე მოტორიზებული მსროლელთა პოლკები სამხრეთ ოსეთში 8 აგვისტომდე შევიდა.

7 აგვისტოს საღამოს, საქართველოს მთვარობის წინაშე სახეზე იყო თვისებრივად სხვა სიტუაცია: მიუხედავად საქართველოს მთვარობის მრავალი მცდელობისა, შეემცირებინა დაძაბულობა და ცალმხრივად შეეწყვიტა ცეცხლი, საქართველოს კონტროლქვეშ მყოფი სოფლები, პოლიცია და სამშვიდობო პოსტები ინტენსიური ცეცხლის ქვეშ მოექცა. ამ სიტუაციაში, უკვე ანკლავში მყოფი მოქალაქეები დაუცველები აღმოჩნდენ, ხოლო შუადღეს, პირველად მრავალი ხნის მანძილზე ორი ქართველი მშვიდობისმყოფელი დაიღუპა სამხედრო თავდასხმის დროს,.[268] [75] საგანგებო ვითარების და ძალადობის უპრეცენდენტო ფაქტების შესახებ კომენტირებისას, მარიონეტული რეჟიმის ლიდერი, ედუარდ კოკოითი ემუქრებოდა საქართველოს ხელისუფლებას „ანკლავების მიწასთან გასწორებით," თუ საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები არ დატოვებენ რეგიონს. დაქირავებული ჯარის შემოდინებაზე

---

[266] [72] Military, იხ.: დანართი 39-40.

[267] [73] Military, იხ.: დანართი 41-46.

[268] [75] 7 აგვისტოს, 14:00 საათზე, საქართველოს სამშვიდობო ძალების გამშვებ პოსტზე განხორციელდა თავდასხმა, რის შედეგად დაიღუპა ქართველი სამშვიდობო ძალების ორი სამხედრო მოსამსახურე: შალვა ტრაპაიძე და ვიტალი თაყაძე (იხ. დანართი 33). საარტილერიო ცეცხლი 16:00 წთ მდე გაგრძელდა. საქართველოს სამშვიდობოებმა და პოლიციამ საპასუხო ცეცხლი გახსნეს თავდაცვის მიზნით. მოგვიანებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოიპოვა ინფორმაცია სატელეფონი ზარის მოსმენით, სადაც დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარული ძალების ერთ ერთი წევრი ადასტურებდა იმ ფაქტს, რომ საარტილერიო ქვემეხით ააფეთქეს ქართველი სამშვიდობოების ჯავშანმანქანა ავნევში (იხ. დანართები 75 და 76, სადაც მოცემულია სატელეფონო საუბარი და მისი ჩანაწერი).

გავრცელებული ინფორმაციისა და რუსეთის ჯარის შემოჭრის შესახებ საწყისი სადაზვერვო ანაგრიშების გარდა, საქართველოს მთვარობამ მოიპოვა სერიოზული დასაბუთება იმისა, რომ რუსეთის ფართომასშტაბიანი თავდასხმა პროგრესირებდა. 2008 წლის 7 აგვისტოს, დილით ადრე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ სატელეფონო საუბრის მოსმენით მოიპოვა პირველადი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ რუსეთის სამხედრო ქვედანაყოფი, რომელიც მოიცავდა ტანკებს და ჯარისკაცებით სავსე სამხედრო სატვირთო მანქანებს, შევიდა როკის გვირაბში. მოგვიანებით, რამდენიმე სატელეფონო საუბარმა დე-ფაქტო უსაფრთხო სამსახურისა და ოფიციალურ სამხედრო პირებს შორის, რომელიც დაფიქსირდა 02:20 სთ-დან 04:30 სთ-მდე, დაადასტურა, რომ რუსეთის სამხედრო კოლონები მოიცავდა როკის გვირაბიდან, სოფელ ჯავამდე არსებულ ტერიტორიას.[269 76]

ესკალაციის საპასუხოდ და კონსტიტუციური ვალდებულების შესაბამისად (საქართველოს კონსტიტუციის 71 ე მუხლის თანახმად), 7 აგვისტოს 23 საათსა და 25 წუთზე, საქართველოს პრეზიდენტმა გასცა ბრძანება თავდაცვითი ოპერციების დაწყების შესახებ, რათა დაეცვა საქართველოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთალიანობა და აგრეთვე, საქართველოს მოსახლეობის უსაფრთხოება.

რუსეთის ჯარის საქართველოს ტერიტორიაზე შეჭრის შემდგომი გადაადგილება

8 აგვისტოს, 05:20 სთ-ზე, რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა გაიარეს სოფელი ჯავა, გადაკვეთეს გუფთის ხიდი და გაიარეს ძარის შემოვლითი გზა, რაც დადასტურდა სატელეფონო საუბარში, რომელიც მოისმინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ.[270 77] შემდეგ, მალევე, რუსეთის ჯარების კიდევ ორი კოლონა შევიდა როკის გვირაბში და გაემართა სამხრეთისკენ, გერი–დმენისის გზით. 18:45 საათზე, რუსეთის ერთი სატანკო კოლონა, ჯავშანმანქანებითა და სატვირთო მანქანებით, მიუახლოვდა ცხინვალს, ძარას გზით. კიდევ ორი კოლონა შეჩერდა სოფელ დმენისთან. რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა გახსნეს ინტენსიური ცეცხლი საქართველოს შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ, რომელიც განლაგებული იყვნენ დმენისში, ცხინვალსა და სხვა მიმდებარე სიმაღლეებზე. 22:00 საათისთვის, რუსული ჯარები მიუახლოვდნენ დიდი ლიახვის ხეობას ჩრდილოეთის მხრიდან, თუმცა შესვლა ვერ მოახერხეს, რადგან განიცადეს მძიმე დანაკარგი საქართველოს არტილერიის მხრიდან გახსნილი ცეცხლის გამო, ასევე შეჩერდა მათი მოძრაობა ძარის გზაზე, ცხინვალის მიმართულებით.

[269 76] Military, იხ.: დანართი 81-86.

[270 77] Military, იხ.: დანართი 89 .

11:40 სთ ზე, რუსეთის შეიარაღებულმა ძალები, მათ შორის, საჰაერო სადესანტო ძალები შევიდნენ ცხინვალში, ჩრდილო დასავლეთიდან და სოფელ ტბეთიდან.17 საათზე რუსეთის დამატებითი ქვედანაყოფები შეიჭრნენ ცხინვალში.

იმავე დღეს, 13:40 სთ-დან 14:40 სთ-მდე, რუსეთის სამხედრო თვითმფრინავმა დაბომბა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლქვეშ მყოფი სოფლები და რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი ჩხალთა (ზემო აფხაზეთი), კოდორის ხეობაში. 22:20 საათზე, რუსეთის სამხედრო თვითმფრინავმა განმეორებით დაბომბა ზემო აფხაზეთი/კოდორის ხეობა.

10 აგვისტოს, გამთენიისას, 300-ზე მეტი რუსეთის ტანკმა და ბრონირებული ტექნიკამ 10000-ზე მეტ სამხედრო მოსამსახურესთან ერთად, გადმოკვეთა როკის გვირაბი. იმავე დღის 06:00 სთ-დან 11:30 სთ-მდე, მესამედ დაიბომბა ზემო აფხაზეთი/კოდორის ხეობა. საჰაერო დაბომბვა გაგრძელდა მომდევნო დღესაც. 2008 წლის 11 აგვისტოს შუადღეს, რუსეთის ძალებმა მოიპოვეს ზემო აფხაზეთის/კოდორის ხეობის მთლიანი კონტროლი.

2008 წლის 11 აგვისტოს, საქართველოს სამხედრო ძალებმა დაიწყეს პირადი შემადგენლობის და სამხედრო ტექნიკის უკან გაყვანა თბილისის მიმართულებით, რათა დაიცვათ დედაქალაქი რუსეთის ჯარის მოსალოდნელ თავდასხმისგან.

2008 წლის 12 აგვისტოს, საფრანგეთის შუამავლობით, მიღწეული იყო შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტაზე. თუმცა, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია გრძელდებოდა.

დღემდე რუსეთი აგრძელებს ცხინვალის რეგიონის/სამხრეთი ოსეთის ოკუპაციას, აგრეთვე იმ ტერიტორიების, რომლებიც იმყოფებოდნენ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლქვეშ აგვისტოს ომამდე; მათ შორისაა აფხაზეთი, კოდორის ხეობის ჩათვლით, რომელიც არ იყო რუსეთის კონტროლის ქვეშ, 2008 წლის აგვისტომდე.

აგვისტოს ომის დროს, საქართველოს სამხედრო ძალების გადაადგილება საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირებულია და აღიარებულია საერთაშორისო ხელშეკრულებებით და გაეროს უშიშროების საბჭოს შემდეგი რეზოლუციებით – 1808, 1781, 1752, 1716, 1666, 1656, 1615, 1582, 1554, 1524, 1494, 1462, 1427, 1393, 1364, 1339, 1311, 1287, 1255, 1225, 1187, 1150, 1124, 1096, 993, 971, 937, 934, 906, 901, 896, 892, 881, 876, 858, 854, 849. სამხედრო ძალების გადაადგილება სრულდებოდა კონსტიტუციური ნორმების ფარგლებში, და შეესაბამებოდა საქართველოს სუვერენულ უფლებას გამოეყენებინა თავდაცვა საკუთარ

ტერიტორიაზე, როგორც ეს განსაზღვრულია გაეროს ქარტიის 51-ე მუხლში და საერთაშორისო სამართალში.

IV. რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ძალის გამოყენება წარმოადგენს აგრესიის უკანონო აქტს

რუსეთი შეიჭრა საქართველოში და მოახდინა მისი ოკუპაცია საერთაშორისო სამართლის დარღვევით. რუსეთის მიერ ძალის გამოყენება არ იყო ნებადართული გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ და ის არ შეიძლება ჩაითვალოს, როგორც თავდაცვის უფლების კანონიერი გამოყენება. აშკარაა, რომ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულმა ძალებმა გადაკვეთეს საქართველო-რუსეთის საზღვარი, შეიჭრნენ საქართველოს ტერიტორიაზე და მოახდინეს მისი ოკუპაცია მრავალი საერთაშორისო სამართლებრივი უპირატესი ნორმის დარღვევით. რუსული ინტერვენცია არ შეიძლება გამართლებული იყოს საზღვარგარეთ ე. წ. საკუთარ მოქალაქეთა დაცვის უფლების გამოყენებით. საზღვარგარეთ მყოფ პირთა დაცვის ე.წ. უფლებას არ აქვს სტატუსი საერთაშორისო სამართლში. აღნიშნული საფუძვლით განხორციელებული ინტერვენცია საერთაშორისო თანამეგობრობის წევრთა უმრავლესობამ გააკრიტიკა, რადგან აღნიშნული არგუმნეტი, რომელიც გამოყენებული იქნა ამ კონკრტეულ შემთხვევეში, წარმოადგენს პრეტექსტს უკანონო ინტერვენციისათვის (უპირატესი ნორმის თანახმად). რუსეთის საქართველოში შემოჭრა არ შეიძლება კვალიფიცირებული იყოს როგორც ,,ჰუმანიტარული ინტერვენცია.“ ამ დოქტრინას სახელმწიფოებსა და პოლიტიკურ მიმომხილველთა შორის, ძალზე ცოტა მომხრე ჰყავს და ნებისმიერ შემთხვევაში, რუსეთის შემოჭრა საქართველოში არ აკმაყოფილებს ამ უფლების აღსრულებისათვის საჭირო პირობებს. და ბოლოს, ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში განთავსებული სამშვიდობო ძალების დაცვა არ წარმოადგნეს გამამართლებელ გარემოებას რუსეთისთვის ზემოხსენებული მიზეზების გამო; ასევე იმის გათვალისწინებით, რომ საქართველომ ძალა გამოიყენა სამშვიდობოების წინააღმდეგ მხოლოდ მას შემდეგ რაც ისინი აღარ სარგებლობდნენ დაცვის სტატუსით, რუსეთის ფედერაციის მიერ წარმოებულ სამხედრო მოქმედებებში პირდაპირი მონაწილეობისა და რუსეთის მიერ სამშვიდობო შეთანხმებების დარღვევის გამო.

რუსეთის სამხედრო ქმედებათა გამამართელებლი გარემობისთვისთვის პირველი ორი შესაძლო საფუძველი, კერძოდ გაერო-ს უშიშირობის საბჭოს ნებართვა და თავის დაცვის მოვალეობის გამოყენება არ შეესატყვისებოდა რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებულ ქმედებას, რაც თავისთავად შეუსაბამობას წარმოადგენს; სწორედ ამიტომ თავს ვიკავებთ აღნიშნული საკითხის სიღრმისეული ანალიზისგან.

საკუთარი მოქალაქეების დაცვა

როგორც აღინიშნა, უპირატესი საერთაშორისო სამართალისა და გაერო-ს ქარტიის უზენაესობა არ ცნობს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ძალა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე თავისი მოქალაქეების დაცვის მიზნით. უფრო მეტიც, რუსეთმა ვერ შეძლო ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში და აფხაზეთში მცხოვრებ სამოქალაქო მოსახლეობასთან მიმართებაში მოქალაქეობის საერთაშორისო სამართლებრივი კრიტერიუმის დაკმაყოფილება, რომელიც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ ნოტებომის (Nottebom) საქმეზე ჩამოაყალიბა. ამ ორ რეგიონში ქართველების ეთნიკური წმენდა და რუსული პასპორტების მასობრივი (en masse) დარიგება სამოქალაქო მოსახლეობისათვის წინასწარ მოფიქრებული და კარგად დაგეგმილი პოლიტიკა იყო, რომელიც მიზნად ისახავდა წინაპირობის შექმნას სამხედრო ინტერვენციისთვის საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის მხრიდან, საზღვარგარეთ რუსეთის მოქალაქეების დაცვის არარსებული უფლების საფუძველზე.

ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში და აფხაზეთში მცხოვრები დარჩენილი მოსახლეობის პასპორტიზაციის პროცესში არსებობს რამოდენიმე ელემენტი, რომლებიც რომელიც ადასტურებს, რომ რუსეთის ფედერაციასა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის მოსახლეობას შორის რეალური კავშირი არ არსებობს:

– პროცესი არ წარიმართებოდა იმ პირების მიერ, რომლებსაც რუსეთის მოქალაქეობის მიღების სურვილი გარკვეული დროით სურდათ - ის გამიზნული და მასიურად ხორციელდებოდა, როგორც რუსეთის ფედერაციის კონკრეტული პოლიტიკის ნაწილი;

– პროცესი არც სპონტანური და არც არაორგანიზებული იყო - იგი კარგად მომზადებული და კოორდინირებული იყო რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა უწყებას შორის;

– აღნიშნული პოლიტიკა განხორციელდა საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის სრული უგულვებელყოფით, რომლის მოქალაქეებსაც მასობრივად მიენიჭათ რუსეთის მოქალაქეობა, რაც წარმოადგენს საქართველოს სუვერენული უფლებებისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების პრინციპის აშკარა დარღვევას;

მას შემდეგ რაც რუსეთმა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქეების უკანონო პასპორტიზაცის შესახებ, გაკეთდა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები, პროცესის გამარტივების და ლეგალიზების მიზნით. კერძოდ, რუსეთის სახელმწიფო დუმამ მოქალაქეობის შესახებ კანონში ცვლილებები შეიტანა, რამაც საქართველოს

პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ძლიერი პროტესტი გამოიწვია.[271] რუსეთის ხელისუფლების აღნიშნული ქმედება საერთაშორისო საზოგადოებამაც გაკიცხა. თავის დოკუმენტში ევროკავშირმა ხაზგასმით განაცხადა, რომ ეს ქმედება პრობლემას უქმნიდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს, რაც შეიძლებოდა განხილული ყოფილიყო, როგორც საქართველოს ამ რეგიონების დე-ფაქტო ანექსია."[272]

შესაბამისად, საკუთარი მოქალაქეების დაცვის მიზნით ძალის გამოყენების გამართლების ნებისმიერი მცდელობა უსაფუძვლოა.

ჰუმანიტარული ინტერვენცია

ჰუმანიტარული ინტერვენციის პრინციპს არ ამართლებს არც სახელმწიფოებრივი პრაქტიკა და არც მართლზომიერების მოსაზრებები და არ არსებობს რაიმე სახის ფაქტობრივი საფუძველი, რომელიც ამგვარ ქმედებას გაამართლებს (უპირატესი ნორმა).

მიუხედავად იმისა, რომ ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში სიტუაციის სერიოზულ ესკალაციას ჰქონდა ადგილი, ასევე მიუხედავად იმისა, რომ ქართული სოფლები უწყვეტი თავდასხმების ქვეშ იმყოფებოდა და ქართველ მშვიდობისმყოფელებს, პოლიციასა და მშვიდობიან მოსახლეობაში იყო მსხვერპლი, საქართველო მაქსიმალურად იკავებდა თავს და მიმართავდა ყველა დიპლომატიურ ხერხს ძალის გამოყენების თავიდან აცილების მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ რუსული აგრესიის გამო, საქართველო იძულებული იყო ძალა გამოეყენებინა თავდაცვის მიზნით, რუსული პროპაგანდა განაგრძობდა მტკიცებას, რომ საქართველომ განახორციელა გენოციდი ეთნიკური ოსების წინააღმდეგ.[273] რუსეთის პროპაგანდა ორ მიზანს ემსახურებოდა, პირველ რიგში, რუსეთის უკანონო ქმედებათა გამართლებას და მეორე, ოსი სეპარატისტების მხარდაჭერას, რათა ისინი სხვა შეიარაღებულ ფორმირებებთან ერთად უხეშად მოქცეოდნენ ეთნიკურ ქართველებს და შური ეძიათ „გენოციდისა და მასობრივი მკვლელობებისათვის." Human Rights Watch-მა თავის ანგარიშში ,,ცეცხლის ალში" დაადასტურა, რომ რუსეთის მხრიდან ქართველების

---

[271] საქართველო აპროტესტებს შესწორებებს რუსეთის კანონში „მოქალაქეობის შესახებ," ტელეკომპანია რუსთავი - 2, 16:00 სთ. გრინვიჩის მერიდიანის დროით. 10 ივნისი, 2002 წელი.

[272] ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თანამშრომლობის კომიტეტის დეკლარაციები და რეკომენდაციები, მიღებული შეხვედრაზე 2001 წლის 18-19 ივნისს, IRE/PCC/GH/KM/es, 27 ივნისი, 2001 წ., პარაგრაფი 27.

[273] 2008 წლის 10 აგვისტოს, დიმიტრი მედვედევის მიერ გაკეთებული განცხადება. იხ.: რუსეთის ფედერაციის პსკპ-მ დაიწყო სისხლის სამართლის ძიება რუსეთის მოქალაქეების მკვლელობის ფაქტების შესახებ სამხრეთ ოსეთში, „კომერსანტ ონლაინ," 2008 წლის 14 აგვისტო, http://www.kommersant.ru/doc.aspx?DocsD=1011523&Themes ID-301.

მიერ ჩადენილი გენოციდის გამოცხადება არანაირი მტკიცებულებით არ არის გამყარებული.[274] ამ განცხადებას არ ადასტურებს არც ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სახელმწიფოების მხრიდან საკუთარი ვალდებულებებისა და მოვალეობების პატივისცემის კომიტეტი, რომელიც საქართველოსა და რუსეთს სექტემბრის ბოლოს ეწვია.[275] ამის შემდგომ, თვით რუსეთის პროკურატურის სპეციალურმა საგამოძიებო კომიტეტმა (Следственный Комитет Прокуратуры- СКП), ადრე გამოცხადებული რიცხვების ნაცვლად, აღრიცხა 162 პირის გარდაცვალება.

რუსეთის მიერ განხორციელებული ჰუმანიტარული ინტერვენცია არის მცდელობა დაიფაროს მისი რეალური განზრახვები და არ არის გამყარებული ფაქტებით, ამიტომ ის ვერ იქნება გამართლებული საერთაშორისო სამართლის მიერ.

მშვიდობისმყოფელების დაცვა

როგორც ზემოთ მოყვანილი არგუმენტების მიხედვით გახდა ნათელი, არ არსებობს ეროვნული სამშვიდობო ძალების კონტინგენტის დასაცავად ძალის გამოყენების საზოგადო უფლება. რეალურად, სტატუსი და (სხვა ფორმის) დაცვის უფლება, რომელიც სამშვიდობო ძალებს აქვთ მინიჭებული, საერთაშორისო სამართლის მიხედვით ძალაში რჩება მანამ სანამ მშვიდობისმყოფელბი სარგებლობენ ნეიტრალური სტატუსით. ეს სტატუსი ჩამოშორებულია და დაცვის უფლებაც ავტომატურად აღარ მოქმედებს, როდესაც ისინი მონაწილეობას იღებენ საომარ მოქმედებებში.

არგუმენტებს სამშვიდობო ძალების კონტინგენტის დასაცავად ძალის გამოყენების შესახებ ის ფაქტიც ასუსტებს, რომ საქართველოს თავდაცვითი ოპერაცია რუსეთის შემოჭრიდან რამდენიმე საათის შემდეგ დაიწყო, ხოლო მანამდე არანაირ სამხედრო შეტაკებას საქართველოს ძალებსა და მშვიდობისმყოფელთა შორის ადგილი არ ჰქონია. ამის საპირისპიროდ, რუსეთის ფართომასშტაბიან შემოჭრამდე, ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში განლაგებულ საქართველოს შიერაღებულ ძალებსა და მათ გამშვებ პუნქტებზე განხორციელდა შეტევა 7 აგვისტომდე ერთი კვირით ადრე.

---

[274] ,,ცეცხლის ალში“ ("Up in the Flames"), p. 71-72.

[275] ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის იურიდიული საქმეებისა და ადამიანის უფლებების კომიტეტი (PACE), „საქართველოსა და რუსეთს შორის მომხდარი ომის შედეგები,“ (The Consequences of the War between Georgia and Russia") რეპორტიორ ქრისტოს პურგურიდესის მოსაზრება, დოკუმენტი 11732, გადასინჯულია 2008 წლის 1 ოქტომბერს.

რაც შეეხება სამშვიდობო ძალების მონაწილეობას საომარ მოქმედებებში,[276] 8 აგვისტოს, საკმაოდ ადრე, 00:23 სთ-ზე, შერეული სამშვიდობო ძალების მეთაურმა, მარატ კულახმეტოვმა საქართველოს სამშვიდობო ძალების მეთაურთან, მამუკა ყურაშვილთან სატელეფონო საუბრისას აღიარა, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალები საარტილერიო შეტევებისთვის საქართველოს შეიარაღებული ძალების კოორდინატებს სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების სამხედროებს აწვდიდნენ. [277] 8 აგვისტოს, დაახლოებით, 06:00 სთ-ზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალურმა დანაყოფებმა, „კობრას“ ტიპის ჯავშანტრანსპორტიორებით და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს რამდენიმე ტანკით დაიწყეს მოძრაობა სოფელ ზემო ნიქოზიდან ცხინვალის გარეუბნებისაკენ, რათა აღეკვეთათ ქალაქის სამხრეთ დასავლეთ ნაწილში, ე.წ. „შანხაის“ გარეუბანში განლაგებული დე-ფაქტო ხელისუფლების სამხედრო ძალების მიერ სოფლისთვის გახსნილი ცეცხლი. შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალურ დანაყოფებზე განხორციელდა სნაიპერთა და ჯავშანტრანსპორტიორთა მასიური შეტევები რუსეთის სამშვიდობო შტაბიდან „ვერხნი გოროდოკიდან,“ რომელიც განლაგებული იყო ქალაქის სამხრეთ დასავლეთ ნაწილში, რის გამოც ისინი იძულებულნი გახდნენ გაეხსნათ საპასუხო ცეცხლი და მოეთხოვათ სატანკო დახმარება. რეალურად, „ვერხნი გოროდოკის“ ძირითადი შენობის სახურავს მტერი იყენებდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებზე განხორციელებული საარტილერიო თავდასხმის სიზუსტისათვის, რაც დადასტურდა სამხრეთ ოსეთის პრესაში განთავსებული სტატიით.[278] კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ქართული შეიარაღებული ძალები უტევდნენ სამშვიდობო ძალების მხოლოდ იმ პოლკებსა და ინფრასტრუქტურას, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული იყო საომარ მოქმედებებთან; რუსული სამშვიდობო ძალების სხვა პოსტები განაგრძობდნენ ფუნქციონირებას საომარი მოქმედებების განმავლობაში და მათზე თავდასხმას ადგილი საერთოდ არ ჰქონია.

ამრიგად, რუსეთის მცდელობა – გაამართლოს მის მიერ ძალის გამოყენება, როგორც სამშვიდობო ძალების დაცვის საშუალება, უსაფუძვლოა: პირველი, არ არსებობს ეროვნული სამშვიდობო ძალების კონტინგენტის დასაცავად ძალის გამოყენების საზოგადო უფლება. მეორე, სამხედრო შეტაკება რუსულ სამშვიდობო ძალებსა და ქართულ შეიარაღებულ ძალებს შორის მოხდა 8 აგვისტოს, დაახლოებით, დილის 6 საათზე, მაშინ როდესაც რუსული ჯარების ფართომასშტაბიანი განლაგება დაიწყო 7 აგვისტოს, ადრე დილით. უფრო მეტიც, რუსული სამშვიდობო ძალების შტაბი, რომელზეც იერიში მიიტანა ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა, პირდაპირ იყო

[276] იხ.: პასუხები კითხვაზე #3 ჰუმანიტარული საკითხების შესახებ, კითხვაზე #3 სამართლებრივი საკითხების შესახებ და კითხვაზე #3 სამხედრო საკითხების შესახებ.
[277] სატელეფონო საუბრისა და მისი ჩანაწერის სანახავად იხ.: დანართები 87 A და B.
[278] სამხედრო დანართი 90. აგრეთვე, იხ.: http://osradio.ru/genocid/19778-oleg-galavanov-pogib-projaviv-muzhestvo-i-geroism.html

ჩართული საომარ მოქმედებებში და ის უკვე აღარ სარგებლობდა დაცვის იმ უფლებით, რომელიც ჩვეულებრივ, მას ეკუთვნის საერთაშორისო სამართლის მიხედვით.

V. საქართველო მოქმედებდა თავის დასაცავად

საქართველოს მიერ განხორციელებული სამხედრო ოპერაცია, რომელიც დაიწყო 2008 წლის 7 აგვისტოს, 23:50 სთ-ზე, წარმოადგენდა *საკუთარ ტერიტორიაზე* განხორციელებულ თავდაცვით ქმედებას, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის და გაეროს ქარტიის 51-ე მუხლს:

– საქართველო მოქმედებდა თავის საკუთარ ტერიტორიაზე შემოჭრილი რუსული ჯარების წინააღმდეგ;
– რუსული ინტერვენცია უკვე რეალიზებული იყო, როდესაც უმაღლესმა მთავარსარდალმა გამოსცა ბრძანება ძალის გამოყენების შესახებ;
– ადგილი ჰქონდა „შეიარაღებულ თავდასხმას," საერთაშორისო სამართალის მიხედვით;
– საქართველოს ქმედებები მიმართული იყო თავისი სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის და აგრეთვე, თავის საკუთარ ტერიტორიაზე მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად.

არსებული რუსული აგრესიის შეჩერებისათვის, საჭირო ძალის გამოყენება გარდაუვალი იყო. საქართველომ მიმართა ყველა შესაძლო პოლიტიკურ და დიპლომატიურ საშუალებას, რათა თავიდან აეცილებინა კონფრონტაცია. თუმცა, ყველა ეს მცდელობა უნაყოფო აღმოჩნდა.

მიუხედავად მიღებული დიპლომატიური და პრევენციული ზომებისა, საქართველოს მთავრობის მიერ ცეცხლის ცალმხრივად შეწყვეტის გამოცხადების ჩათვლით, ქართული სოფლების მუდმივად იცხრილებოდა და რუსული ჯარების გადაადგილება გრძელდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე, რამაც თავდაცვის მიზნით ძალის გამოყენება გარდაუვალი გახადა.

საქართველოს შეიარაღებული ძალები მოქმედებდნენ თავის დასაცავად თავის სამშობლოში. მათი ქმედებები წარმოადგენდა ლეგიტიმურ და სრულიად კანონიერ პასუხს გაერო-ს ქარტიისა და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის დარღვევებზე, ინტერვენციის აკრძალვისა და სახელწმიფოს შიდა საქმეებში ჩაურევლობის ნორმებთან დაკავშირებით. საქართველოს მიერ შეიარაღებული ძალის გამოყენება შემოჭრილი რუსული არმიის წინააღმდეგ იყო საჭირო და პროპორციული.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რუსული ინტერვენცია საქართველოში წარმოადგენს ძალის უკანონო გამოყენებას, გაერო-ს ქარტიისა და საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური ნორმების საწინააღმდეგოდ. არც ერთი გამონაკლისი ზოგადი აკრძალვებიდან, რეალური (თავის დაცვა, კოლექტიური უფლებამოსილება) თუ სავარაუდო (ჰუმანიტარული ინტერვენცია, მოქალაქეების დაცვა, ან სამშვიდობო ძალების დაცვა), ვერ გაამართლებს რუსეთის ინტერვენციას. საქართველოს პასუხი რუსულ შეიარაღებულ თავდასხმაზე წარმოადგენდა ჩვეულებითი სამართალითა და ქარტიით მინიჭებული თადაცვის უფლებების პროპორციულ, საჭირო და ჯეროვან გამოყენებას.

ჰუმანიტარული სამართალი და ადამიანის უფლებები - შეკითხვები და პასუხები

საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შესახებ ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია

რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს მთავრობებისათვის ჰუმანიტარულ საკითხებზე დასმული შეკითხვების პირველი ნაწილი

1. გენოციდთან მიმართებაში გაკეთებული განცხადებების შესახებ, გთხოვთ, განმარტოთ თქვენი აზრით, ვინ განახორციელა გენოციდი და თუ გენოციდს ადგილი ჰქონდა, როდის? გთხოვთ, დაგვისახელოთ ფაქტები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს დავასკვნათ, რომ სახეზე იყო გენოციდის კონკრეტული ელემენტები, კერძოდ, არსებობდა თუ არა დაცული ჯგუფი და იყო თუ არა ამ ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურების მცდელობა.

2. რატომ დატოვეს ადამიანებმა თავიანთი საცხოვრებელი ადგილები 1990 და 2008 წლებს შორის არსებულ პერიოდში, კერძოდ, 2008 წლის აგვისტოში, სექტემბერსა და ოქტომბერში და რა უშლის მათ ხელს უკან დაბრუნებაში? როგორაა დაცული ამ პირების საკუთრების უფლება? აქვთ თუ არა მათ ამ საკუთრებით თავისუფლად სარგებლობის უფლება?

3. რა სამიზნეებზე იყო განხორციელებული თავდასხმა და რომელ დღეს, იმ ძალების მიერ, რომლებიც არ აკონტროლებენ ადგილებს, სადაც ეს სამიზნეები იყო განლაგებული 2008 წლის 7-12 აგვისტოს შორის არსებულ პერიოდში? იმ შემთხვევაში, როდესაც ეს სამიზნეები განლაგებული იყო ქალაქებსა და სოფლებში, როგორ ხდებოდა მოსალოდნელი შემთხვევითი მშვიდობიანი მოსახლეობის გარდაცვალების, მშვიდობიანი მოსახლეობის დაშავების ან სამოქალაქო ობიექტების დაზიანების შეფასება? შეესაბამება თუ არა რეალური ზიანი მოსალოდნელ ზიანს? და თუ ეს ასე არაა, რატომ? ამგვარი თავდასხმების დროს სიფრთხილის რა ზომებს იღებდა თავდამსხმელი

და თავის დამცველი, რათა თავიდან აეცილებინა ან შეემცირებინა მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურება, დაშავება ან სამოქალაქო ობიექტების დაზიანება? წარმატებული იყო თუ არა მიღებული სიფრთხილის ზომები? და თუ ეს ასე არ არის, რატომ?

4. რა სამართლებრივი პოზიცია გქონდათ თქვენ, შეიარაღებული კონფლიქტის დროს გრადის ტიპის მრავალჯერადი გამოყენების სარაკეტო სისტემების და კასეტური ბომბების გამოყენებასთან დაკავშირებით, საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალთან მიმართებაში? რატომ იყო გრადის ტიპის მრავალჯერადი გამოყენების სარაკეტო სისტემები და/ან კასეტური ბომბები გამოყენებული და რომელი სამიზნეების წინააღმდეგ (კერძოდ, მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში)?

5. იმ ადგილებში, სადაც თქვენმა შეიარაღებულმა ძალებმა ან მოწინააღმდეგის შეიარაღებულმა ძალებმა სრულად მოიპოვეს კონტროლი 2008 წლის საომარი მოქმედებების მსვლელობის დროს, მშვიდობიანი მოსახლეობის ადამიანთა ჯგუფების რა ტიპი იყო დასჯილი, ნაცემი, გაუპატიურებული, ცუდად მოპყრობის ობიექტი და რა ტიპის შენობები იყო გაძარცული, დამწვარი ან დანგრეული? რა სახის ზომებს მიიღო ადგილზე კონტროლის მქონე მხარემ ამგვარი ძალადობის შესაჩერებლად ან ჩასახშობად?

6. 2008 წლის საომარი მოქმედებების მსვლელობისას ან მათ შემდეგ, როდის იყვნენ დაპატიმრებული პირები, რომელთაც ძალაუფლება მოიპოვეს თქვენი მხრიდან და პირები, რომელთაც ძალაუფლება მოიპოვეს მოწინააღმდეგის მხრიდან? რა სამართლებრივ საფუძველზე დააპატიმრეს ისინი? როგორ ექცეოდნენ ამ პირებს? აწამებდნენ მათ? როდის მოხდა მათი გათავისუფლება?

7. 2008 წლის საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ, იყვნენ თუ არა პირები, რომლებიც აღიქმებოდნენ, მოწინააღმდეგე მხარესთან ასოცირებულ პირებად? მოხდა თუ არა მათი დისკრიმინაცია ან /და ხელი ილახებოდა თუ არა მათი ადამიანის უფლებები? რა ზომები იქნა მიღებული ამგვარი პრაქტიკის წინააღმდეგ?

8. რა ნაბიჯები გადადგა თქვენმა ან მოწინააღმდეგე მხარემ, რათა გაერკვია იმ პირების ბედი, რომლებიც დაკარგულად არიან გამოცხადებული 1990 წლის შემდეგ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის, მათი ოჯახების, ან იმ მხარის მიერ, რომელთაც ისინი ეკუთვნიან? ეს ნაბიჯები რა შემთხვევებში იყო წარმატებული? და თუ იგი არ იყო წარმატებული, რატომ?

9. რა სახის გამოძიება ჩატარდა ან რა ბრალი იქნა წაყენებული 1990 წლის შემდეგ, თქვენი სამართალდამცავი ორგანოების მიერ თქვენი შეიარაღებული ძალების წევრების, მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალების წევრების, ადგილობრივი შეიარაღებული ძალების წევრების და სამოქალაქო პირების მიმართ კონფლიქტთან დაკავშირებული დანაშაულების გამო?

10. თუ თქვენი კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებულმა ძალებმა ან პირებმა ჩაიდინეს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ან ადამიანის უფლებების რაიმენაირი დარღვევა, მიიღო თუ არა მსხვერპლმა ზიანის ანაზღაურება? მიღებული იყო თუ არა მართლმსაჯულების ზომები? თუ არ იყო, რატომ? როგორ შეეძლო მსხვერპლს მიეღო ზიანის ამგვარი ანაზღაურება?

კითხვა 1. _გენოციდთან მიმართებაში გაკეთებული განცხადებების შესახებ, გთხოვთ, განმარტოთ თქვენი აზრით, ვინ განახორციელა გენოციდი და თუ გენოციდს ადგილი ჰქონდა, როდის? გთხოვთ, დაგვისახელოთ ფაქტები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს დავასკვნათ, რომ სახეზე იყო გენოციდის კონკრეტული ელემენტები, კერძოდ, არსებობდა თუ არა დაცული ჯგუფი და იყო თუ არა ამ ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურების მცდელობა.

საქართველო არ ამტკიცებს, რომ 2008 წლის საომარი მოქმედებების მსვლელობის დროს ან მათ შემდეგ, რომელიმე მხარის მიერ ჩადენილი იყო გენოციდის დანაშაული.

ამავე დროს, საქართველო აღნიშნავს, რომ რამდენიმე შემთხვევაში რუსეთის ფედერაციამ გამოაცხადა, რომ ქართულმა მხარემ ჩაიდინა გენოციდის დანაშაული, რათა სამართლებრივად გაემართლებინა საქართველოს ტერიტორიაზე ინტერვენცია. ამ მიზეზის გამო, ჩვენ შეკითხვას ორ ნაწილად ვყოფთ:

– პირველი, საქართველო აცხადებს, რომ გენოციდის არანაირ დანაშაულს საქართველოს მხრიდან ადგილი არ ჰქონია; არც როგორც იმ ქმედებათა სახით, რომლებიც თავისი სიმძიმით აკმაყოფილებს მსგავს დანაშაულს და არც რაიმე სახის ცნობადი ფაქტების სახით, რომელიც გაამყარებდა ან დაასაბუთებდა მსგავს განცხადებებს.

– მეორე, ჩვენ ვაცხადებთ, რომ ეთნიკური ქართველები აღმოჩდნენ ეთნიკურად მოტივირებული დანაშაულებების მსხვერპლი, რაც განახორციელეს უშუალოდ რუსულმა შეიარაღებულმა ძალებმა, ან ჩაიდინეს სამხრეთ ოსეთის ბანდფორმირებებმა მათი უსიტყვო თანხმობით (იმ ტერიტორიებზე, რომლებიც რუსეთის კონტროლის ქვეშ მოხვდა). ამ საკითხის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია მასალებში, რომლებიც კომისიას მარტში წარედგინა, კერძოდ, საქართველოს მიერ რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენციის გამოყენების შესახებ აღძრულ საქმეში, საქართველოს მიერ 2008 წლის 25 აგვისტოს გაკეთებულ მოთხოვნაში დროებითი ზომების მიღების შესახებ, იქ მოცემულ დანართებში და აგრეთვე, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში საქართველოს სიტყვით გამოსვლაში.

რუსეთის ფედერაციამ კონფლიქტის დაწყებისთანავე დიდი ძალისხმევა გამოიყენა (ძირითადად, ფართომასშტაბიანი პროპაგანდის სახით), რომ საქართველოს სახმელეთო

ძალების ქმედებები გენოციდის აქტად ყოფილიყო მიჩნეული.[279] კონფლიქტის დაწყების დროისათვის, რუსეთისა და სამხრეთი ოსეთის მარიონეტული რეჟიმის მიერ გამოცხადებული გარდაცვლილთა რაოდენობები 1 500-2 000 ადამიანამდე მერყეობდა.[280]

რუსეთის პრეზიდენტმა რუსეთის ფედერაციის პროკურატურის სპეციალურ საგამოძიებო კომიტეტს (პსსკ) დაავალა გამოეძიათ სამხრეთ ოსეთში ჩადენილი გენოციდის აქტი.[281] სხვა საკითხია თუ რამდენად იყო უფლებამოსილი რუსეთის პროკურატურის სამსახური თავისი იურისდიქცია გაევრცელებინა ამ შემთხვევაში, მაგრამ ფაქტია რომ უკვე, 2008 წლის 12 აგვისტოს, პსსკ-მა გამოაცხადა, რომ სამხრეთ ოსეთში გამოძიების ჩასატარებლად მან მიავლინა 200-ზე მეტი გამომძიებელი და 29 ექსპერტი.[282] აღსანიშნავია, რომ პსსკ-გან განსხვავებით, საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს 2008 წლის 19-20 აგვისტომდე, ტერიტორიაზე შესვლის უფლება არ მიეცათ.[283] მტკიცებულებების შეგროვების პირველ ეტაპზე, პსსკ იყო ის ერთადერთი ფაქტების მომძიებელი უწყება, რომელიც ადგილზე იმყოფებოდა.

2008 წლის 21 აგვისტოს, ამ კონტექსტში, პსსკ-მა გამოაცხადა, რომ გარდაცვლილთა რაოდენობა შეადგენს 133 პირს, 2008 წლის 12 ოქტომბერს – 159 პირს, ხოლო 2008 წლის 23 დეკემბერს – 162 პირს.[284] საკმაოდ საინტერესოა, რომ რუსეთის ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლები, ჯერ კიდევ, პსსკ-ის განლაგებამდე 2008 წლის 9-10 აგვისტოს აკეთებდნენ თამამ განცხადებებს მსხვერპლის წარმოუდგენლად დიდი რაოდენობის შესახებ, რამაც შემდგომში, ეჭვქვეშ დააყენა ამგვარი ინფორმაციის სანდოობა. ამრიგად, რაოდენობა სერიოზულად იყო გადაჭარბებული ინტერვენციის მორალურად გამამართლებელი გარემოების შესაქმნელად. მართლაც, ადამიანის უფლებადამცველი ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაციის (მაგ., Human Rights Watch) თანახმად, ამ გადაჭარბებულ განცხადებებს შეიძლება პირდაპირი და გამანადგურებელი შედეგები ჰქონოდა შურისძიების მიზნით, მკველობების ინსპირირების მხრივ. (იხ. დანართი)

რაც შეეხება რუსეთის განცხადებას გენოციდის დანაშაულის შესახებ, 2008 წლის 25 სექტემბერს სპეციალურმა კომიტეტმა გამოაცხადა, რომ მათ დაასრულეს მტკიცებულებების შეგროვება და რომ ისინი მივიდნენ ერთსულოვან დასკვნამდე, რომ საქართველო მიზნად ისახავდა ცხინვალის რეგიონში სამხრეთ ოსეთში მცხოვრები

---

[279] 2008 წლის 10 აგვისტოს, დიმიტრი მედვედევის მიერ გაკეთებული განცხადება. იხ.: რუსეთის ფედერაციის პსკპ-მ დაიწყო სისხლის სამართლის ძიება რუსეთის მოქალაქეების მკვლელობის ფაქტების შესახებ სამხრეთ ოსეთში, „კომერსანტ ონლაინ," 2008 წლის 14 აგვისტო, http://www.kommersant.ru/doc.aspx?DocsD=1011523&ThemesID-301.

[280] 2008 წლის 9 აგვისტოს, საქართველოში რუსეთის ელჩის, ვიაჩესლავ კოვალენკოს მიერ გაკეთებული განცხადება; რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, გრიგორი კარასინის მიერ 2008 წლის 10 აგვისტოს გაკეთებული განცხადება; რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის, ბორის მალახოვის მიერ 2008 წლის 11 აგვისტოს გაკეთებული განცხადება.

[281] http://www.sledcomproc.ru/news/666/.

[282] იგივე.

[283] იხ.: http://www.dcrc.org/Web/beng/siteensO.r.sf/html/georgia-interview-150808

[284] ,,ცეცხლის ალში" ("Up in the Flames"), p. 75.

ოსების ეროვნული ჯგუფის განადგურებას. აქ უმთავრესი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ პსსკ-ს არ გაუკეთებია არანაირი განცხადება, თუ როგორ შეიძლება ქართველი ჯარისკაცების მიერ ჩადენილი ქმედებები ჩაითვალოს საქართველოს მხრიდან განხორციელებულ გენოციდად. ამასთან, პსსკ-ს თავისი მიგნებები არც სათანადო მტკიცებულებებით არ გაუმყარებია და არც დაუსაბუთებია, რომ მისი განცხადებები გენოციდის შესახებ იყო ობიექტურად დადგენილი ფაქტი. კერძოდ:

- პსსკ-ის საგამოძიებო ფაილები საჯაროდ ხელმისაწვდომი არაა;[285]
- პსსკ-ის მოკვლევა არ არის გამყარებული რომელიმე საერთაშორისო/ დამოუკიდებელი ფაქტების დამდგენი უწყების მიერ;[286]
- პსსკ იყენებდა მოარულ ხმებს, რომელთაგან არც ერთი, როდესაც Human Rights Watch-მა ადგილზე (სოფლებში, რომლებიც გამიზნულად გახდა განადგურების ობიექტი) გადაამოწმა, სინამდვილეს არ შეესაბამებოდა; [287] Human Rights Watch-ის მოთხოვნა, მიეწოდებინათ მათთვის მოწმეების სახელები, რომელთაც შეეძლოთ დაედასტურებინათ საშინელი ფაქტები, რუსულმა მხარემ არ შეასრულა;
- პსსკ ანგარიში შეიცავდა განცხადებებს გარდაცვალებისა და დაშავების შესახებ, შემდგომი დეტალების მოწოდების გარეშე, ეს ადამიანები, რომლებიც მოხსენიებული იყვნენ მსხვერპლად, სამოქალაქო პირები იყვნენ თუ მებრძოლები/კანონიერი სამხედრო სამიზნეები. ანგარიშში აგრეთვე, არ იყო არანაირი სიტუაციის აღწერა, თუ როგორ მოხდა ეს გარდაცვალება/დაშავება (საომარი მოქმედებების მსვლელობის დროს, ადგილზე, და ა. შ.);[288]
- საინტერესოა, რომ რუსეთის ხელისუფლების მიერ ოფიციალურად გარდაცვლილად გამოცხადებული პირების (სამოქალაქო პირები) რაოდენობაც კი, ბადებს შეკითხვებს. ასევე, საინტერესოა, ეს სია მხოლოდ სამოქალაქო პირებს შეიცავს, თუ მასში სამხრეთ ოსეთის ბანდფორმირებების წარმომადგენლებიც შედიან, რომლებიც საბრძოლო ოპერაციების მსვლელობის დროს კანონიერ სამხედრო სამიზნეებს წარმოადგენდნენ.

ეს ბოლო დებულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან სამხრეთ ოსეთში მოწმეები სამხრეთი ოსეთის მარიონეტული რეჟიმის ბადფორმირებებს ხშირად მოიხსენიებდნენ „სამოქალაქო პირებად," მაშინ როდესაც ისინი მებრძოლები იყვნენ, და ამრიგად, თავდასხმების განხორციელების დროს, ისინი კანონიერ სამხედრო სამიზნეებს წარმოადგენდნენ.

---

[285] იხ.: http://www.dcrc.org/Web/beng/siteensO.r.sf/html/georgia-interview-150808

[286] ,,ცეცხლის ალში" ("Up in the Flames"), p. 75.

[287] Human Rights Watch-ის ანგარიში ,,ცეცხლის ალში" ("Up in the Flames"), p. 70;

[288] ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის იურიდიული საქმეებისა და ადამიანის უფლებების კომიტეტი (PACE), „საქართველოსა და რუსეთს შორის მომხდარი ომის შედეგები", (The Consequences of the War between Georgia and Russia") რეპორტიორ ქრისტოს პურგურიდესის მოსაზრება, დოკუმენტი 11732, გადასინჯულია 2008 წლის 1 ოქტომბერს.

საჯაროდ ხელმისაწვდომი მტკიცებულებების (მოწმეთა ჩვენებები) მიხედვით, არა მხოლოდ გენოციდის არამედ დისკრიმინაციის განზრახვაც არ იყო ქართველ ჯარისკაცებში, როდესაც ისინი სახმელეთო ოპერაციას ატარებდნენ.

კერძოდ, ქართული ჯარი, როდესაც სოფლებში შედიოდა, გამიზნულად არ აყენებდა ფიზიკურ ზიანს მშვიდობიან მოსახლეობას. რამდენიმე ოსმა, რომლებთანაც ინტერვიუ აიღო Human Rights Watch-მა განაცხადა, რომ ქართველმა ჯარისკაცებმა მათ უთხრეს, რომ მათ ნაბრძანები აქვთ, მოძებნონ და დააკავონ ოსური ბანდფორმირებების წევრები, *მაგრამ დაინდონ ქალები, ბავშვები და მოხუცები სახმელეთო თავდასხმების დროს.*[289]

რუსული პროპაგანდა განაგრძობდა მტკიცებას ქართველების მიერ გამიზნულად ჩატარებული გენოციდის შესახებ; კერძოდ თითქოს საქართველომ განახორციელა გენოციდი ეთნიკური ოსების წინააღმდეგ. ეს პროპაგანდა ორ მიზანს ემსახურებოდა, პირველი, გაემართლებინდა რუსეთის უკანონო ქმედებები და მეორე, გაემხნევებინა ოსი სეპარატისტი მეომრები და სხვა შეიარაღებული ფორმირებები უხეშად მოქცეოდნენ ეთნიკურ ქართველებს და შური ეძიათ „გენოციდისა და მასობრივი მკვლელობებისათვის.“ Human Rights Watch-მა თავის ანგარიშში „ცეცხლის ალში“ დაადასტურა, რომ რუსეთის მხრიდან ქართველების მიერ ჩადენილი გენოციდის გამოცხადება არანაირი მტკიცებულებით არ არის გამყარებული.[290] ამ განცხადებას არ ადასტურებს არც ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სახელმწიფოების მხრიდან თავისი ვალდებულებებისა და მოვალეობების პატივისცემის კომიტეტი, რომელიც საქართველოსა და რუსეთს ეწვია სექტემბრის ბოლოს.[291]

რაც შეეხება ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებს, საქართველო აცხადებს, რომ ჩვენ განვასხვავებთ გენოციდის აქტს ეთნიკური წმენდის აქტისაგან, ვინაიდან ეს უკანასკნელი მიზნად ისახავს მოახდინოს „ტერიტორიიდან ეთნიკურად ჰომოგენური ძალის გამოყენებით პირების ან მოცემული ჯგუფების იძულებით გადაადგილება.“ [292] არც მიზანი, როგორც პოლიტიკის საგანი, რომ ტერიტორია „ეთნიკურად ჰომოგენური“ გამხდარიყო და არც ოპერაციები, რომლებიც უნდა ჩატარებულიყო მსგავსი პოლიტიკის გასატარებლად, არ შეიძლება იქნას ჩათვლილი, გენოციდის ფაქტად; განზრახვა, რომელიც ახასიათებს გენოციდს, არის გარკვეული ჯგუფის „მთლიანად, ან ნაწილობრივ განადგურება,“ და ჯგუფის წევრების დეპორტაცია ან გადაადგილება, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეს ძალის გამოყენებით ხორციელდება,

---

[289] Human Rights Watch-ის ანგარიში ,,ცეცხლის ალში“ - ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები სამხრეთ ოსეთში განვითარებულ კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), 2009, გვ. 61.

[290] ,,ცეცხლის ალში“ ("Up in the Flames"), გვ. 71-72.

[291] ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის იურიდიული საქმეებისა და ადამიანის უფლებების კომიტეტი (PACE), „საქართველოსა და რუსეთს შორის მომხდარი ომის შედეგები“, (The Consequences of the War between Georgia and Russia") რეპორტიორ ქრისტოს პურგურიდესის მოსაზრება, დოკუმენტი 11732, გადასინჯულია 2008 წლის 1 ოქტომბერს.

[292] ექსპერტების კომისიის საწყისი ანგარიში, S /35374 (1993), პარაგრაფი 55.

რაც ამ ჯგუფის განადგურების ექვივალენტური არ არის, და არც მსგავსი განადგურება წარმოადგენს ავტომატურად გადაადგილების შედეგს.[293]

ეს არ ნიშნავს, რომ ეთნიკურმა წმენდამ არ შეიძლება მოიცვას გენოციდი, თუ ის დანაშაულის კონკრეტულ განზრახვას – *ჯგუფის განადგურებას* მიაღწევს, ჯგუფის რეგიონიდან განდევნის ნაცვლად.

საქართველო ამტკიცებს, რომ გარკვეული რეგიონებიდან ეთნიკური ქართველების გამოძევება, რაც განახორციელა რუსეთის ფედერაციამ სამხრეთ ოსეთის მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებთან ერთად არის ეთნიკური წმენდის ტოლფასი. საქართველო „ეთნიკურ წმენდას“ მიიჩნევს რასობრივი დისკრიმინაციის უკიდურეს ფორმად ისე, როგორც ეს განსაზღვრულია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენციის 1-ელი მუხლით.

ეთნიკური წმენდა იყო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში 1990-იან წლებში მომხდარი კონფლიქტების ერთ-ერთი ძირითადი ასპექტი, როგორც ნათლად აღნიშნა რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა (CERD).[294] სიტუაცია დაიძაბა 2008 წლის აგვისტოს შემდეგ, როდესაც დაახლოებით, 140 000 ქართველი იძულებით გამოიყვანეს თავისი სახლებიდან რუსეთის შემოჭრის შედეგად. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო თვლის, რომ ამ დავას დასაბამი მიეცა 2008 წლის აგვისტოს წინ, 1990-იან წლებში, რამდენიმე ასეული ათასი ქართველის იძულებით გამოდევნა ამ შეკითხვის ქვეშ დისკუსიის საგანი არ უნდა გახდეს და შეიძლება განხილული იქნას, როგორც ქართული მხრიდან ფაქტების დამდგენი მისიისათვის მარტში წარდგენილი მეორეხარისხოვანი ტიპის დოკუმენტის ნაწილად (რომელიც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში იქნა შეტანილი).

კითხვა 2. რატომ დატოვეს ადამიანებმა თავისი საცხოვრებელი ადგილები 1990-2008 წლებს შორის არსებულ პერიოდში, კერძოდ, 2008 წლის აგვისტოში, სექტემბერში და ოქტომბერში და რა უშლის მათ ხელს უკან დაბრუნებაში? როგორ არის ამ პირების საკუთრების უფლება დაცული? აქვთ თუ არა მათ ამ საკუთრებით თავისუფლად სარგებლობის უფლება?

აფხაზეთში, 1992-1993 წლებში და სამხრეთ ოსეთში 1991-1992 წლებში მომხდარი ომების შედეგად, საომარ მოქმედებებში რუსეთის ფედერაციის უშუალო სამხედრო მონაწილეობისა და მარიონეტულ რეჟიმებისთვის სხვა სახის დახმარების გაწევის შედეგად აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთი ოსეთიდან განიდევნა ეთნიკური ქართველები და სხვა ეთნიკური უმცირესობები. ეთნიკური წმენდის

[293] გენოციდის საქმე, პარაგრაფი 190.

[294] CERD/C/304/ დამატება 120, 27/04/2001, რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის დასკვნითი დაკვირვებები, პარაგრაფი 4; CERD/C/GEO/CO/3, 01/11/2005, რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის დასკვნითი დაკვირვებები, პარაგრაფი 5; CERD/C/GEO/CO/3, 27/03/2007, რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის დასკვნითი დაკვირვებები, პარაგრაფი 5.

შედეგად, ქართველებმა და სხვა ეთნიკურმა უმცირესობებმა (მაგ., ბერძნებმა, ესტონელებმა, უკრაინელებმა, ებრაელებმა, და ა. შ.) დატოვეს აფხაზეთი (მხოლოდ გალის რეგიონის ქართულმა მოსახლეობამ მოახერხა დაბრუნება, თუმცა უნდა ითქვას, რომ ისინი მას შემდეგ შევიწროებასა და ძალადობას განიცდიან). ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში უმთავრესად, ქართველების ეთნიკური წმენდა მიმდინარეობდა. ეთნიკური ქართველების გამოდევნის შემდეგ, რუსეთის ფედერაციამ შეითავსა ნეიტრალური მედიატორის და მშვიდობისმყოფელის ფორმალური როლი. რეალურად, რუსეთის ფედერაციამ ორივე რეგიონში ჩამოაყალიბა და დახმარება გაუწია თავის მარიონეტულ რეჟიმებს.

2008 წლის აგვისტოში, რუსეთის ფედერაცია შეიჭრა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში და დაიკავა ეს ტერიტორიები იმ ნაწილების ჩათვლით, რომლებიც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლქვეშ იმყოფებოდა აგვისტოს ინტერვენციამდე. რუსული შეიარაღებული ძალები, მარიონეტული რეჟიმების არარეგულარულ შეიარაღებულ დაჯგუფებებთან შეთანხმებით თავს ესხმოდნენ მათი კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე განლაგებულ ქართულ სოფლებს და სიცოცხლის ხელყოფის მუქარით დევნიდნენ ეთნიკურ ქართველებს. ამ მოვლენის შედეგად 130 000-ზე მეტმა მშვიდობიანმა მოსახლემ დატოვა თავისი საცხოვრებელი. ცხინვალის რეგიონის/სამხრეთი ოსეთის და კოდორის ხეობის/ზემო აფხაზეთის დაახლოებით, 32 000 მშვიდობიან მოქალაქეს კვლავ არ შეუძლია დაბრუნდეს უკან.

მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების სამშვიდობო ინიციატივებისა, ეთნიკურად ქართული მოსახლეობა კვლავ ვერ ახერხებსს დაბრუნებას. (სამშვიდობო ინიციატივების შესახებ იხ. პასუხი სამართლებრივ კითხვაზე 5: აღიარება). რუსეთს აკისრია პირდაპირი პასუხისმგებლობა იძულებით გადაადგილებული პირებისა და ლტოლვილების უკან, მარიონეტული რეჟიმების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე დაბრუნების უფლების შეუსრულებლობაზე.[295]

- **იძულებით გადაადგილებული პირების საკუთრების უფლებები**

აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან გამოდევნილ პირებს აკრძალული აქვთ საკუთრებით სარგებლობის უფლება. ზოგიერთმა მათგანმა უფლებების დარღვევის გამო, საჩივრით მიმართა ადამიანის უფლებების ევროპულ სასამართლოს.[296]

---

[295] იხ.: მოლაპარაკებების სქემა.

[296] 2006 წელს, ეთნიკურად ქართველი იძულებით გადაადგილებული პირების ჯგუფმა შეავსო ადამიანის უფლებების ევროპულ სასამართლოს აპლიკაციის ფორმა რუსეთისა და საქართველოს წინააღმდეგ. მოსარჩელე მხარე ამტკიცებდა, რომ კონფლიქტში რუსეთის უშუალო ჩართვის გამო ისინი გამოდევნილი იყვნენ აფხაზეთში მდებარე თავისი სახლებიდან და აღკვეთილი ჰქონდათ უკან დაბრუნების უფლება. საქართველოსთან მიმართებაში, აპლიკანტები აცხადებდნენ, რომ საქართველო უნდა იყოს პასუხისმგებელი, ვინაიდან ტერიტორია, სადაც გამიზნულ ძალადობას ჰქონდა ადგილი, დე-იურე

უფრო მეტიც, მარტში ჩვენ მივაწოდეთ „საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის მთავრობებისათვის სამართლებრივ საკითხებზე დასმული კითხვების პირველ ნაწილზე“ გაცემულ პასუხებში მოცემული ინფორმაცია იძულებით გადაადგილებული პირების უკანონოდ ჩამორთმევისა და მათი რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების და კომპანიების მიერ შესყიდვის შესახებ.

რაც შეეხდება 2008 წლის კონფლიქტის მიერ გამოწვეულ სიტუაციას, იხილეთ ქვემოთ:

დამოუკიდებელმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა, როგორებიცაა Human Rights Watch, Amnesty International ეუთო, და სხვა, აგრეთვე, თვითმხილველებმა და თანამგზავრიდან მიღებულმა გამოსახულებებმა დაადასტურა დიდი ოდენობით ზარალი სხვადასხვა დასახლებაში, სადაც შეიჭრა რუსეთის ფედერაცია და დაიკავა იგი.[297]

საერთაშორისო ჰუმანიტარულმა ინსტიტუტებმა დაადგინეს, რომ დაახლოებით, 300-დან 500-მდე სახლი, რუსების მიერ გამოცხადებულ ე. წ. „ბუფერულ ზონაში“ [298] სრულად იყო გადამწვარი და კიდევ, იყო 2 000 სხვაგვარად დაზიანებული კონფლიქტის მსვლელობის დროს.[299]

- **იძულებით გადაადგილებული პირებისათვის თავის „სახლებში“ დაბრუნებაში ხელის შეშლა**

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, 2008 წლის აგვისტოში რუსული აგრესიის შედეგად ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან ათობით ათასი მცხოვრები გამოიდევნა. ადამიანის უფლებების შემფასებელმა მისიამ გამოკითხა გადაადგილებული ადამიანების გარკვეული რაოდენობა, რომლებიც აღნიშნეს, რომ იძულებით დატოვეს სახლები რუსული თვითმფრინავების მიერ მათი სოფლების საჰაერო დაბომბვის გამო და ასევე იმიტომ, რომ ეშინოდათ მოახლოებული შეიარაღებული ძალების მხრიდან ზიანის მოტანის. მაგალითად, სოფლებიდან ერედვი, ქსუისი, კეხვი და ნული მოსახლეობამ გამოქცევა დაიწყო მას შემდეგ, რაც ტერიტორიის დაბომბვა დაიწყო. სხვა სოფლების მოსახლეობა გამოიქცა მაშინ, როდესაც მათ სოფლებში რუსებმა და რუსების

საქართველოს ნაწილს წარმოადგენს, და ამრიგად, ხვდება საქართველოს იურისდიქციის ქვეშ, როგორც შეიძლება გავიგოთ კონვენციის მუხლის 1 მიხედვით.

[297] Amnesty International, სამოქალაქო პირები ცეცხლის ხაზზე - საქართველო-რუსეთის კონფლიქტი (Civilians in the Line of Fire – The Georgia-Russia Conflict), გვ. 40.

[298] დანართი: რუსეთის მიერ გამოცხადებული ბუფერული ზონა. ბუფერული ზონის ფარგლებში მოქცეული იყო შემდეგი სოფლები: ვარიანი, ნიქოზი, ხვითი, ერგნეთი, შინდისი, ფხვენისი, კარალეთი, ტყვიავი, ტირძნისი, კოშკა, მერეთი, მძევერა.

[299] დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) ანგარიში, ადამიანის უფლებები საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შემდეგ ომის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადგილებში (Human Rights in the War - Affected Areas Following the Conflict in Georgia), ვარშავა, 2008 წლის 27 ნოემბერი, გვ. 22 – 24. შეგიძლიათ იხილოთ http://www.osce.org/document/odihr/2008/12/_cn.pdf

კონტროლქვეშ მყოფმა მარიონეტული რეჟიმის სამხედრო ძალებმა იწყეს შესვლა, როგორც, მაგალითად, ეს მოხდა ვანათსა და ახალგორში.[300]

როგორც სოფლის მოსახლეები აცხადებენ, ერედვში რუსების კონტროლქვეშ მყოფი მარიონეტული რეჟიმის სამხედრო ფორმებში ჩაცმულმა მებრძოლებმა უთხრეს, რომ მათ უნდა დაეტოვებინათ იქაურობა; მარიონეტული რეჟიმის ამ მებრძოლებიდან ერთ-ერთმა კი, უთხრა ადგილობრივებს რომ „თუ თქვენ არ წახვალთ, მაშინ მოგლკავთო.“ სოფლის კიდევ ერთმა მოსახლემ ადამიანის უფლებების შემფასებელ მისიას განუცხადა, რომ ერთი მოხუცებული ცოლ-ქმარი დააშინეს „რუსებმა და ოსებმა,“ და აიძულეს დაეტოვებინათ ტერიტორია.[301]

მეორე მხრივ, მრავალ ეთნიკურ ქართველს, რომლებმაც კონფლიქტის მსვლელობის დროს და მის შემდეგ დატოვეს სოფლები ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში, არ მიეცა უკან დაბრუნების საშუალება. კოკოითმა (სეპარატისტული ძალების ლიდერმა), გავრცელებული ინფორმაციით, შუა სექტემბერში გააკეთა განცხადება, რომ ქართველ „ლტოლვილებს,“ რომელთაც გააჩნიათ სამხრეთი ოსეთის მოქალაქეობა, თავისუფლად შეუძლიათ დაბრუნება თავის ყოფილ საცხოვრებელ ადგილებზე. გადაადგილებულ ქართველებს უფლება ეძლევათ უკან დაბრუნდნენ იმ შემთხვევაში, თუ ისინი უარს იტყვიან საქართველოს მოქალაქეობაზე და მიიღებენ სამხრეთი ოსეთის მოქალაქეობას.[302]

სამხრეთი ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმაც, მსგავსი მოსაზრებები გამოთქვეს. დე-ფაქტო შინაგან საქმეთა მინისტრმა, მაგალითად, უთხრა ადამიანის უფლებათა შემსწავლელ მისიას, რომ მან ნახა ჩანაწერები სამხრეთ ოსეთში მცხოვრები 4 000 ეთნიკური ქართველის შესახებ, რომელთაც მიიღეს იარაღი 2006 წლის შემდეგ და რომ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირები უკან დაბრუნდებიან, მათ წინააღმდეგ საქმეები აღიძვრებოდა. სხვებს, როგორც მან განაცხადა, უკან დაბრუნების უფლებას იმ შემთხვევაში მისცემდნენ თუ ისინი უარს იტყვოდნენ საქართველოს მოქალაქეობაზე. დე-ფაქტო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ (დე-ფაქტო პრემიერ-მინისტრის მოადგილემ) უთხრა ადამიანის უფლებების შემსწავლელ მისიას: „თუ ქართველი, რომელიც გადაწყვეტს დარჩეს სამხრეთ ოსეთში, არ გაამართლებს ჩვენს მოლოდინს, ის გაძევებული იქნება აქედან. ...მე არ მსურს, რომ ქართველები დაბრუნდნენ ჩრდილოეთით მდებარე სოფლებში, მაგალითად, თამარაშენში და ისინი

[300] ODIHR, ზემოთ ციტირებული, ადამიანის უფლებები საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შემდეგ ომის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადგილებში (Human Rights in the War - Affected Areas Following the Conflict in Georgia), გვ. 24.

[301] ODIHR, ზემოთ ციტირებული, ადამიანის უფლებები საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შემდეგ ომის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადგილებში (Human Rights in the War - Affected Areas Following the Conflict in Georgia), გვ. 47.

[302] ODIHR, ზემოთ ციტირებული, ადამიანის უფლებები საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შემდეგ ომის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადგილებში (Human Rights in the War - Affected Areas Following the Conflict in Georgia), გვ. 48.

ვერც მოახერხებენ დაბრუნებას.“ [303] სამხრეთ ოსეთში დისლოცირებული რუსული შეიარაღებული ძალების კომენდანტმა უთხრა ადამიანის უფლებების შემსწავლელ მისიას, რომ ამჟამად ძალიან ადრეა გადაადგილებული პირების უკან დაბრუნებაზე საუბარი.[304]

ადამიანის უფლებების შემსწავლელ მისიას მრავალმა იძულებით გადაადგილებულმა ეთნიკურმა ქართველმა უთხრა, რომ მათ არ მიეცათ თავის ყოფილ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების საშუალება. სოფელ დისევიდან იძულებით გადაადგილებულმა ქალმა ადამიანის უფლებების შემსწავლელ მისიას უთხრა, რომ ის შეეცადა დისევში დაბრუნებას, მაგრამ ამაში მას ხელი რუსმა ჯარისკაცებმა შეუშალეს. კიდევ ერთმა პირმა, ცალკე ინტერვიუში განაცხადა, რომ „შეუძლებელი იყო რუსული საკონტროლო პუნქტების გავლა“ და მინდვრების გავლით დაბრუნება არ იყო უსაფრთხო.[305]

სოფელ ვანათიდან იძულებით გადაადგილებულმა ცოლ-ქმარმა უთხრა ადამიანის უფლებების შემსწავლელ მისიას, რომ მათ ვერ შეძლეს თავის საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება, რადგან მათ ტერიტორიაზე შესვლაში ხელი პოლიციამ შეუშალა. სოფლის მცხოვრები, რომელიც ცდილობდა სოფელ ქსუისში დაბრუნებას, უკან მოაბრუნეს საკონტროლო პუნქტიდან მას შემდეგ, რაც უთხრეს, რომ, თუ მას თავის სოფელში დაბრუნება სურს, უნდა მიმართოს თხოვნით რუსული პასპორტისა და მოქალაქეობის მიღების შესახებ. სოფლების სხვა მოსახლეებმა თქვეს, რომ მათ ეშინიათ სოფლებში დაბრუნება მას შემდეგ, რაც იქ განიცადეს და ნახეს. სოფელ ოქონას მცხოვრებმა ქალმა თქვა, რომ არ დაბრუნდება თავის სოფელში, ვიდრე იქ რუსები არიან. სოფელ თამარაშენიდან იძულებით გადაადგილებულმა ქალმა განაცხადა, რომ მას ძალიანაც რომ უნდოდეს, თავის სოფელში დაბრუნების არანაირი საშუალება არ აქვს, თანაც, ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც მას უთხრეს, სოფელში ყველა სახლი განადგურებულია, რაც დაბრუნებას შეუძლებელს ხდის.[306]

მას შემდეგ, რაც ცხინვალის რეგიონის/სამხრეთი ოსეთის მარიონეტულმა რეჟიმმა, რეგიონში განლაგებული რუსული ჯარების ხელშეწყობით, მოიპოვა კონტროლი ახალგორის მიდამოებზე, რეგიონი მრავალმა ადამიანმა დატოვა. ოქტომბრის ბოლოსათვის ახალგორის რაიონიდან წამოსული იყო 5 100-ზე მეტი ადამიანი. ამასვე

[303] ODIHR, ზემოთ ციტირებული, ადამიანის უფლებები საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შემდეგ ომის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადგილებში (Human Rights in the War - Affected Areas Following the Conflict in Georgia), გვ. 48.

[304] ODIHR, ზემოთ ციტირებული, ადამიანის უფლებები საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შემდეგ ომის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადგილებში (Human Rights in the War - Affected Areas Following the Conflict in Georgia), გვ. 48.

[305] ODIHR, ზემოთ ციტირებული, ადამიანის უფლებები საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შემდეგ ომის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადგილებში (Human Rights in the War - Affected Areas Following the Conflict in Georgia), გვ. 48.

[306] ODIHR, ზემოთ ციტირებული, ადამიანის უფლებები საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შემდეგ ომის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადგილებში (Human Rights in the War - Affected Areas Following the Conflict in Georgia), გვ. 49.

ადასტურებს მასწავლებელის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ადამიანის უფლებების შემსწავლელი მისიისთვის, რის მიხედვითაც წელს მის სკოლაში მხოლოდ 40 მოსწავლე იყო, მაშინ როდესაც წინა წელს მათ 170 მოსწავლე ჰყავდათ და მასწავლებლების რაოდენობაც, წინა წლებთან შედარებით, ორჯერ მეტი იყო. ადამიანის უფლებების შემსწავლელ მისიას უთხრეს, რომ ბევრი ადამიანი ყიდის თავის საცხოვრებელ სახლებს და ბევრიც აპირებს გაყიდვას; სხვებმა განაცხადეს, რომ ისინი ხშირად ბრუნდებიან, რათა შეაფასონ სიტუაცია, ვიდრე გადაწყვეტილებას მიიღებენ, გაყიდონ თუ არა სახლები და საცხოვრებლად საქართველოს სხვა რეგიონში გადავიდნენ. ქართველები ტოვებენ ახალგორს, ვინაიდან იქ რუსები მყარად დგანან და აგრეთვე, არიან რუსეთის კონტროლის ქვეშ მყოფი მარიონეტული რეჟიმის შეიარაღებული მებრძოლები და მათი აზრით, შეიძლება საბრძოლო მოქმედებები ისევ განახლდეს. [307] დღეისათვის, ახალგორში დარჩენილი ქართველები გამოუდმებული შიშის ქვეშ იმყოფებიან, მათი უფლებები და თავისუფლება შეზღუდულია; მათ აიძულებენ მიიღონ რუსული და ე. წ. სამხრეთ ოსური პასპორტები და გაწყვიტონ კავშირი დანარჩენ საქართველოსთან.

Human Rights Watch-ის მკვლევარები ესაუბრნენ რუსეთის კონტროლქვეშ მყოფი მარიონეტული რეჟიმის შეიარაღებულ მებრძოლებს, რომელთაც ღიად განაცხადეს, რომ სახლები თანამებრძოლებმა გადაწვეს და ეს იმით ახსნეს, რომ მათი მიზანი იყო დარწმუნებულიყვნენ, რომ ეთნიკურ ქართველებს აღარ ექნებათ სახლები, სადაც ისინი დაბრუნებას შესძლებენ.[308]

- **იძულებით გადაადგილებული პირების უფლება თავისუფლად ისარგებლონ თავისი საკუთრებით/ქონებით**

საქართველოს კონსტიტუცია ცნობს საკუთრების უფლებას. იძულებით გადაადგილებული პირების საკუთრების უფლება მათ მიერ აფხაზეთში დატოვებულ ქონებაზე განსაკუთრებული სიტუაციის შესაბამისად რეგულირდება. პარლამენტის ბრძანებით (2002) საქართველოს კონსტიტუცია ცნობს, რომ საკუთრების უფლება შეზღუდულია, ,,ვიდრე არ აღმოიფხვრება ამ პირების გადაადგილების გამომწვევი პირობები.“ შეზღუდვა ეხება არა საკუთრების უფლების საზოგადოდ ცნობას, არამედ აფხაზეთის იმ ნაწილებში არსებული საკუთრების რეგისტრაციის სპეციალურ რეჟიმს, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის ფარგლებს გარეთაა.

საკუთრების რეგისტრაციის საერთო კანონმდებლობის მიხედვით, საჯარო რეესტრში წარდგენილი უნდა იყოს მოქმედი საიდენტიფიკაციო დოკუმენტაცია და საკადასტრო ინფორმაცია. აფხაზეთში მდებარე საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები,

---

[307] ODIHR, ზემოთ ციტირებული, ადამიანის უფლებები საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შემდეგ ომის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადგილებში (Human Rights in the War - Affected Areas Following the Conflict in Georgia), გვ. 50.

[308] Human Rights Watch(HRW), საქართველო: თანამგზავრული გამოსახულებები აჩვენებს განადგურებას, ეთნიკურ თავდასხმებს. შეგიძლიათ იხილოთ საიტზე:
http://www.hrw.org/en/news/2008/08/27/georgia-satellite-images-show-destruction-ethnic-attacks

აგრეთვე, საკადასტრო ინფორმაცია,[309] კონფლიქტის დროს განადგურდა. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, აფხაზეთში მდებარე საკუთრების ვალიდური რეგისტრაციისათვის, აუცილებელია მდგომარეობის ადგილზე გადამოწმება. ადგილზე გადამოწმება საჭიროა, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთში ქონების პრივატიზაცია ადრე არასოდეს ჩატარებულა, ვინაიდან რეგისტრაციის ჩვეულებრივი პროცედურების გამოყენებამ შეიძლება დაარღვიოს მესამე პირების უფლებები. პირიქით, არსებობს ძალიან დიდი რისკი, რომ პირი, რომელიც აცხადებს უფლებას რაიმე საკუთრებაზე, სინამდვილეში არ იყოს ნამდვილი მესაკუთრე. უგულებელყოფილი რეგისტრაციის პირობებში, რისკის ქვეშ დგება აგრეთვე, პოტენციური მყიდველების საკუთრების უფლებებიც. სწორედ ამიტომ, საქართველოს მთავრობა ძალზედ სერიოზულად ეკიდება საკუთრების რეგისტრაციას აფხაზეთის იმ ადგილებში, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის გარეთ იმყოფება.

თუმცა, იმისათვის, რათა დაცული იქნას სხვადასხვა პირის ინტერესებს შორის ბალანსი, საქართველოს საჯარო რეესტრი ატარებს წინასწარ რეგისტრაციას. წინასწარი რეგისტრაცია ნიშნავს, რომ საჯარო რეესტრს შეუძლია დაარეგისტრიროს საკუთრების უფლება მთავრობის მიერ გადაღებული თანამგზავრული ფოტოების და განმცხადებლის მიერ წარდგენილი ვალიდური საიდენტიფიკაციო დოკუმენტების საფუძველზე.

ეს პროცედურა რეგულირდება პრეზიდენტის პროგრამის, „ჩემი სახლი“ ფარგლებში.[310] ეს პროგრამა მიზნად ისახავს უძრავი ქონების აღრიცხვას და საკუთრების უფლების რეგისტრაციას საქართველოს მთავრობის მიერ არაკონტროლირებად დე-ფაქტო ტერიტორიებზე. პროგრამა ქმნის საფუძველს და აწარმოებს იმ პირების საკუთრების უფლების წინასწარ რეგისტრაციას, რომელთაც აფხაზეთში გააჩნდათ უძრავი ქონება შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებამდე და რომლებიც იძულებულნი იყვნენ, დაეტოვებინათ და შეეცვალათ საცხოვრებელი ადგილი. აფხაზეთში მდებარე საკუთრებაზე უფლების წინასწარი რეგისტრაცია ქმნის საფუძველს მისი ჩვეულებრივი წესით რეგისტრაციისათვის მას შემდეგ, რაც იქ საქართველოს იურისდიქცია აღდგება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წინასწარი რეგისტრაცია არის სადავო საკუთრების ფლობის გამოხატულება, რომლის მფლობელს დროებით აკრძალული აქვს თავისი უფლება გაყიდოს ან სხვაგვარად გაასხვისოს საკუთრება.

124 ბრძანებულების მიხედვით, იმისათვის, რათა მოხდეს საკუთრების უფლების აფხაზეთში არსებული უძრავი ქონების წინასწარი რეგისტრაცია, ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა შეავსონ დეკლარაციის სპეციალური ფორმა, სადაც

[309] საკადასტრო მონაცემები იძლევა ინფორმაციას გარკვეული უძრავი ქონების მდებარეობის, საზღვრების, ფართობისა და უფლებების შესახებ.

[310] ეს პროგრამა შეიქმნა პრეზიდენტის 2006 წლის 14 თებერვლის ბრძანებულებით # 124 „აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში არსებულ უძრავ ქონებაზე უფლებების აღრიცხვასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ,“ და პრეზიდენტის 2006 წლის 8 აპრილით დათარიღებული ბრძანებულებით # 255 „აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში არსებული უძრავი ქონების წინასწარი რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ.“

მოცემული იქნება ინფორმაცია იმ უძრავი ქონების შესახებ, რომელსაც ისინი ფლობდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე. ამის შემდეგ მითითებული მონაცემები დეკლარაციაში შევა თანამგზავრიდან გადაღებულ სურათებთან ერთად, რაც გამოყენებული იქნება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ საქართველოს საინფორმაციო სისტემის შესაქმნელად. ყოველივე ეს წარმოადგენს აუცილებელ მოთხოვნებს და საშუალებას იძლევა ჩატარდეს აფხაზეთის ტერიტორიაზე ფიზიკური და იურიდიული პირების მფლობელობაში არსებული ქონების წინასწარი რეგისტრაციის ჩატარების საშუალებას. ამ მიზნით, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში შეიქმნა იძულებით გადაადგილებული პირების კუთვნილ მიწის ნაკვეთებთან და საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხების დეპარტამენტი.

სხვა მიზანთა შორის, პროგრამა „ჩემი სახლი“ მიზნად ისახავს იმ „პირების“ იდენტიფიკაციას, რომლებიც სარგებლობენ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლებით (პირები, რომლებიც ფლობდნენ უძრავ ქონებას) დე-ფაქტო ტერიტორიებზე და სურთ დაიცვან თავისი სამოქალაქო უფლებები და ინტერესები. აფხაზეთში საქართველოს დე-იურე იურისდიქციის აღდგენის შემდეგ, საქართველოს მოქალაქეებს ექნებათ ქართულ და აფხაზურ ენებზე, უძრავი ქონების კანონიერად ქმედითი და ტექნიკურად დამტკიცებული საბუთი, სადაც დადასტურებული იქნება მათი საკუთრების უფლება (უძრავი ქონების „აღრიცხვის სერტიფიკატი“ თანდართულ საკარმიდამო ნაკვეთის გეგმასთან ერთად). ამის საფუძველზე დარეგულირდება საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხები და ჩატარდება იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნება და ხელახალი დასახლება თავის საცხოვრებელ ადგილებში.

საჯარო რეესტრს შესაძლებლობა ექნება, ჩაატაროს საკუთრების სრულ და ნორმალურ რეჟიმში რეგისტრაცია აფხაზეთის იმ ნაწილებში, რომლებზეც საქართველოს მთავრობა ვერ ახორციელებს კონტროლს მხოლოდ საარქივო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, რაც იძლევა საკუთრების მდებარეობის, საზღვრების, ფართობისა და მიზნის ზუსტად გადამოწმების საშუალებას.

იმისათვის, რათა ვაჩვენოთ საქართველოს სურვილი და მზაობა, აღადგინოს იძულებით გადაადგილებული პირების, მათ მიერ დაკარგული საკუთრების უფლებები - მნიშვნელოვანია ხაზი გაუვსვათ იმ ზომებს, რომლებიც მიღებული იქნა ზემო აფხაზეთში, კოდორის ხეობაში. 2006 წელს მაშინვე, როგორც კი, ცენტრალურმა ხელისუფლებამ მოიპოვა შესაბამისი კონტროლი ზემო აფხაზეთზე, გაიხსნა საჯარო რეესტრის გულრიფშის ოფისი, რომელიც არეგისტრირებდა აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებულ ქონებას; შესაბამისად, მაცხოვრებლებმა ეფექტიანად შეძლეს საკუთრების უფლებების აღდგენა.

- **საკუთრების უფლებები ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში**

2006 წლის 29 დეკემბერს, მიღებული იქნა კანონი „ქონების რესტიტუციის შესახებ.“ ამ კანონის მიზანია ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად

საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებული ფიზიკური პირების ქონების რესტიტუცია, ადექვატური (სანაცვლო) უძრავი ქონებით უზრუნველყოფა ან ქონებრივი ზიანის კომპენსაცია. ამჟამად მიმდინარეიბს მუშაობა ქონების რესტიტუციის შესახებ კანონის სისრულეში მოყვანის მიმართულებით.

კითხვა 3. რა სამიზნეებზე იყო განხორციელებული თავდასხმა და რომელ დღეს, იმ ძალების მიერ, რომლებიც არ აკონტროლებენ ადგილებს, სადაც ეს სამიზნეები იყო განლაგებული 2008 წლის 7-12 აგვისტოს შორის არსებულ პერიოდში? იმ შემთხვევაში, როდესაც ეს სამიზნეები განლაგებული იყო ქალაქებსა და სოფლებში, როგორ ხდებოდა მოსალოდნელი შემთხვევითი მშვიდობიანი მოსახლეობის გარდაცვალების, მშვიდობიანი მოსახლეობის დაშავების ან სამოქალაქო ობიექტების დაზიანების შეფასება? შეესაბამება თუ არა რეალური ზიანი მოსალოდნელ ზიანს? და თუ ეს ასე არაა, რატომ? ამგვარი თავდასხმების დროს, სიფრთხილის რა ზომებს იღებდა თავდამსხმელი და თავის დამცველი, რათა თავიდან აეცილებინა ან შეემცირებინა მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურება, დაშავება ან სამოქალაქო ობიექტების დაზიანება? წარმატებული იყო თუ არა მიღებული სიფრთხილის ზომები? და თუ ეს ასე არ არის, რატომ?

საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა იერიში მიიტანეს: ა) წინასწარ განსაზღვრულ სამხედრო სამიზნეებზე, სამხრეთის მიმართულებით მოძრავი რუსული სამხედრო კოლონების ჩათვლით; ბ) კანონიერ სამხედრო სამიზნეებზე, რომლებიც განსაზღვრულია საომარი მოქმედებების მსვლელობის დროს.

საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა (არტილერიამ) ცეცხლი გახსნა რუსეთის საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრისა და ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებული სოფლების დაბომბვის შემდეგ, 7 აგვისტოს, 23:50 სთ-ზე და წინასწარ განსაზღვრული სამხედრო სამიზნეების მიმართულებით. სახმელეთო ოპერაცია მარცხენა და მარჯვენა ფლანგებიდან დაიწყო 8 აგვისტოს, 00:15 სთ-ზე.

ა) წინასწარ განსაზღვრული სამხედრო სამიზნეები, სამხრეთის მიმართულებით მოძრავი რუსული სამხედრო კოლონების ჩათვლით

1. ძარასა და გერის შემოვლით გზებზე მოძრავი ჯავშანტექნიკის/ტანკების კოლონები;
2. გუფთას ხიდი;
3. ე. წ. „სარეაბილიტაციო ცენტრი“ ცხინვალში (2 500 სამხედრო მოსამსახურის ყაზარმა);
4. ცხინვალში მდებარე ე. წ. თავდაცვის სამინისტრო, უშიშროების სამინისტრო (სუკი), სპეციალური დანიშნულების ძალების შტაბი (ომონი და პრეზიდენტის დაცვის სამსახური);
5. მარიონეტული რეჟიმის მებრძოლების შტაბი ცხინვალის ე. წ. „შანხაის“ დასახლებაში;

6. ცხინვალის ყოფილი ასფალტის ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე ოცეულის მიერ გამაგრებული პოზიცია, გაძლიერებული სამი ტანკით;
7. საბრძოლო ერთეულის მიერ გამაგრებული პოზიცია, გაძლიერებული ჯავშანტექნიკით (თლიაყანას მაღლობი);
8. ცხინვალის ყოფილი ტრაქტორების ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე ოცეულის მიერ გამაგრებული პოზიცია, გაძლიერებული 3-5 ჯავშანმანქანით;
9. ცხინვალის ყოფილი ცემენტის ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე ოცეულის მიერ გამაგრებული პოზიცია, გაძლიერებული 3-5 ჯავშანმანქანით;
10. მტრის არტილერიის ერთი ბატალიონი, რომელიც განთავსებული იყო სოფლების - დამპალეთის და მონასტერის მახლობლად;
11. ერთი შეიარაღებული შენაერთი სოფელ კუსირეთის მახლობლად;
12. საარტილერიო პოზიცია სოფელ ხეთაგუროვოს მახლობლად;
13. სოფელ უბიათის მახლობლად მდებარე ოცეულის მიერ გამაგრებული პოზიცია, გაძლიერებული ჯავშანტექნიკითა და 120 მმ-იანი მინამტყორცნებით;
14. სამხედრო ბაზა ურადანთაში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამხედრო მეთაურობამ მინიმუმამდე დაიყვანა ქალაქ ცხინვალში და მის მახლობლად მდებარე დასახლებულ სოფლებში საარტილერიო სამიზნეებისა და სახმელეთო ჯარების რიცხვი. წინასწარ განსაზღვრული სამიზნეების სიაში შედიოდა მხოლოდ მტრის ცოცხალი ძალისა და სამხედრო აღჭურვილობის დიდი კონცენტრაციის ადგილები. საქართველოს სამხედრო მეთაურობას დასახლებული ტერიტორიების შიგნით არ გამოუყენებია რაიმე სახის მრავალჯერადი გამოყენების სარაკეტო სისტემები. და ბოლოს, მეთაურობა ინფორმირებული იყო როგორც ღია წყაროების, ასევე დაზვერვის მიერ, რომ მარიონეტული რეჟიმის მიერ კონტროლირებული ტერიტორიებიდან, ქალაქ ცხინვალის ჩათვლით, განხორციელდა მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი ევაკუაცია.

კერძოდ, მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია ცხინვალის რეგიონიდან რუსეთის ფედერაციაში დაიწყო 2008 წლის 2 აგვისტოს.[311] 12:23სთ-ზე მარიონეტულმა რეჟიმმა ცხინვალიდან და რეგიონის სეპარატისტების მიერ კონტროლირებული სოფლებიდან მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია გამოაცხადა. ევაკუაციამ 6 აგვისტოს ჩათვლით გასტანა.

ეს ფაქტი შემდგომში დადასტურდა ანატოლი ბარანკევიჩის, მარიონეტული რეჟიმის უშიშროების საბჭოს მაშინდელი მდივნის, მიერ:

> „1-ელი აგვისტოს შემდეგ, საზღვარზე სიტუაციამ გამწვავება დაიწყო; საწყის ეტაპზე ეს იყო მხოლოდ დაბომბვა, შემდეგ პირველი მსხვერპლიც გაჩნდა. ამის გამო პრემიერ-მინისტრმა იური ივანეს ძე მოროზოვმა გადაწყვიტა, მოეხდინა ადამიანების ევაკუაცია და სწორედ მას უნდა ვუმადლოდეთ, რომ გადარჩა

[311] სამხრეთი ოსეთი იუწყება საქართველოსთან ომის დაწყების შესახებ, რუსული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ საიტზე http://www.kavkaz-uzel.ru/newstext/news/id/1226808.html

ასობით სიცოცხლე: როგორც ბავშვებისა და ქალების, ასევე მოხუცების. გაყვანილ იქნა დაახლოებით, 35 000 ადამიანი... 8 აგვისტოს, ქალაქი თითქმის მთლიანად გაწმენდილი გვქონდა."[312]

7 აგვისტოს, ერთ კვირაზე მეტი ხნის შემდეგ, რაც ცხინვალის მახლობლად მდებარე ქართულ სოფლებზე თავდასხმები დაიწყო, 19:10 სთ-ზე, პრეზიდენტმა სააკაშვილმა გააკეთა პირდაპირი სატელევიზიო მიმართვა და განაცხადა, რომ ქართულ შეიარაღებულ ძალებს ცეცხლის შეწყვეტა უბრძანა და მოუწოდა კოკოითის მარიონეტულ რეჟიმს მოლაპარაკებისკენ.[313] მოწოდება უპასუხოდ დარჩა. მიუხედავად საქართველოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა, ცეცხლზე ცეცხლით არ ეპასუხა, ქართული სოფელი ავნევი დაახლოებით, 19:30 სთ-ზე კვლავ ცეცხლის ქვეშ მოექცა. ამის შედეგად, სოფელი მთლიანად განადგურდა. 22:30 სთ-ზე, მარიონეტული რეჟიმის შეიარაღებულმა ფორმირებებმა, რომელთაც წინ რუსული სამშვიდობო ძალები მოუძღოდა, ცხინვალიდან და თლიაყანას მთიდან ცეცხლი გაუხსნეს საქართველოს მიერ კონტროლირებულ სოფლებს ფრისს და თამარაშენს ცხინვალიდან და თლიაყანას მთიდან. სამხრეთ ოსეთის არარეგულარულმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა ქართულ სოფელ ფრისს ცეცხლი გაუხსნეს დაახლოებით, 22:30 სთ-ზე. ამ თავდასხმის შედეგად, ქართულ მხარეზე რამდენიმე ადამიანი დაიჭრა. დაახლოებით, 23:30 სთ-ზე ქართული პოლიციისა და სამშვიდობო ძალების ყველა პოზიციაზე დიდი ლიახვის, პატარა ლიახვისა და ფრონეს ხეობებში საარტილერიო ცეცხლი გაძლიერდა, განსაკუთრებით, სოფლებში – ავნევი, ნული, თამარაშენი და ქურთა. დაინგრა სოფელ ქურთაში მდებარე პოლიციის განყოფილების შენობა.

უფრო მეტიც, 8 აგვისტოს, 15:00 სთ-ზე, საქართველოს მთავრობამ განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ სამსაათიანი ცალმხრივი ცეცხლის შეწყვეტა გამოაცხადა, რათა საშუალება მიეცა დარჩენილი მშვიდობიანი მოსახლეობისათვის დაეტოვებინა კონფლიქტის ტერიტორია და წასულიყვნენ ცხინვალიდან სამხრეთის მიმართულებით, ერგნეთისკენ.

ბ) საომარი მოქმედებების დროს განსაზღვრული კანონიერი სამხედრო სამიზნეები

საქართველოს შეიარაღებული ძალები ყოველთვის განასხვავებდა სამხედრო ობიექტებს სამოქალაქო ობიექტებისაგან და თავდასხმებს შესაბამისად მიმართავდა. წინასწარ განსაზღვრულ სამხედრო ობიექტებთან ერთად, ძალა გამოიყენებოდა იმ ობიექტების მიმართაც, რომლებიც სამხედრო ოპერაციების დროს იქნა განსაზღვრული, როგორც სამხედრო ობიექტები. არსებობს დოკუმენტალური მასალა, რომ მარიონეტული რეჟიმის არარეგულარული შეიარაღებული ფორმირებები, ისევე როგორც რუსული სამხედრო ძალები ინტენსიურად იყენებდნენ სამოქალაქო ობიექტებს, როგორც ბრძოლის საშუალებას, მხოლოდ სამხედრო მიზნებისათვის და ამით არღვევდნენ

[312] სამხრეთ ოსეთში არ არის ადგილი ასეთი პრეზიდენტისათვის, 4 დეკემბერი, 2008, რუსული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ საიტზე http://www.kommersant.ru/doc.aspx?DocsID1089120

[313] საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სპეციალური მიმართვა, 7 აგვისტო, 2008 წელი, შეგიძლიათ იხილოთ საიტზე http://www.president.gov.ge/?!=F&m-0&sm=3&st 20&id=2686

გარჩევითობის პრინციპს, აგრეთვე ხელყოფდნენ ამ ობიექტების დაცულობას და ახდენდნენ მათ გარდაქმნას კანონიერ სამხედრო სამიზნეებად. საქართველოს შეიარაღებული ძალების მხრიდან თავდასხმები მიმართული იყო უშუალოდ მოწინააღმდეგის საცეცხლე პოზიციების წინააღმდეგ. თვით ოსური ომონის მებრძოლის, გიორგის განცხადებაც კი, ამას საკმაოდ კარგად აჩვენებს:

> [...] „ქართული ტანკები იმ სახლებს ესვროდნენ, საიდანაც საწინააღმდეგო ცეცხლი მოდიოდა“ [...][314]

ამ სამიზნეების განეიტრალება, საიდანაც ცეცხლს ჯერ მშვიდობიან ქართულ სოფლებს უხსნიდნენ, ხოლო შემდგომ ბომბავდნენ და ცეცხლს ხსნიდნენ საქართველოს შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ ხორციელდებოდა იმიტომ, რომ ეს სამხედრო აუცილებლობით იყო გამოწვეული და მიზნად ისახავდა კონკრეტული სამხედრო უპირატესობის მიღწევას.

იმ შემთხვევებში, თუ არსებობდა ეჭვი ობიექტის ხასიათის შესახებ, მათ ექცეოდნენ ისე, როგორც სამოქალაქო ობიექტებს. „მსგავსი ობიექტები სამოქალაქო ობიექტებად ითვლება და საერთაშორისო სამართლის მიხედვით დაცულია; **<u>მაგრამ, როგორც ეს ქვემოთ იქნება აღწერილი, ამ შენობათაგან რამდენიმე გამოყენებული იყო სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების (მოხალისე ბანდფორმირებების ჩათვლით) მიერ, როგორც თავდაცვითი პოზიციები ან რაიმე სხვაგვარი პოსტები,</u>** რაც გულისხმობს იმას, რომ ისინი უკვე კანონიერ სამხედრო სამიზნეებს წარმოადგენდნენ.“ [315] ქართველი ჯარისკაცები ცეცხლის მძიმე დარტყმის ქვეშ მოხვდნენ მრავალი ისეთი სამოქალაქო შენობიდან, როგორებიცაა სკოლები, საბავშვო ბაღები, საცხოვრებელი სახლები და იძულებული იყვნენ ცეცხლზე ცეცხლითვე ეპასუხათ, განსაკუთრებით, ცხინვალში. ეს ინფორმაცია გადაამოწმა Human Rights Watch-მა.

> Human Rights Watch-ის მიერ გამოკითხულმა მრავალმა მოწმემ, სამხრეთ ოსეთის ბანდფორმირებების ჩათვლით, აღნიშნა, რომ სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალები არა მარტო იმყოფებოდნენ ცხინვალსა და მის მიმდებარე სოფლებში, არამედ აგრეთვე, აქტიურად იყვნენ ჩართული ბრძოლებში და ქართული შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ სარაკეტო შეტევებსაც კი, ახორციელებდნენ. **მოწმეებმა აგრეთვე, ნათლად აღნიშნეს, რომ სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალები თავდაცვით პოზიციებს იკავებდნენ და შტაბებს ხსნიდნენ სამოქალაქო ობიექტებში, რაც მათ კანონიერ სამხედრო სამიზნეებად აქცევდა.**[316]

---

[314] ელენა მიშინა, ოსეთის სამხედრო გზები, # 68, 15 სექტემბერი, 2008, რუსული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ საიტზე http://www.novayagazeta.ru/data/2008/68/17.html

[315] Human Rights Watch-ის ანგარიში ,,ცეცხლის ალში“ - ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), 2009, გვ. 41.

[316] Human Rights Watch-ის ანგარიში ,,ცეცხლის ალში“ - ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), 2009, გვ. 50.

ეს ადგილები მოიცავდა ქართული არტილერიის მიერ დაბომბილ ზოგ ადმინისტრაციულ შენობას, როგორებიცაა, ოსეთის პარლამენტის შენობა, რამდენიმე სკოლა და საბავშვო ბაღი. მაგალითად, როგორც Human Rights Watch-ს გამოკითხულმა მოწმემ უთხრა – ბანდფორმირებებმა პოზიცია დაიკავეს ცხინვალის სამხრეთ ნაწილში მდებარე მე-12 სკოლაში, რომელიც სერიოზულად იყო დაზიანებული ქართველების მიერ გახსნილი ცეცხლის შედეგად. მეორე მოწმემ განაცხადა, რომ სამხრეთ ოსეთის მეომრები შერეული იყვნენ მშვიდობიან მოსახლეობასთან ცხინვალის მე-6 სკოლის შენობის სარდაფში, რამაც გამოიწვია მისთვის ქართული ტანკის მიერ ცეცხლის გახსნა. შედეგად სამოქალაქო პირთა შორის მსხვერპლი არ ყოფილა.[317]

Human Rights Watch-ის მიერ გამოკითხულმა ოსური მილიციის რამდენიმე წევრმა დაადასტურა, რომ მრავალი სკოლისა და საბავშვო ბაღის შენობა ბანდფორმირებების მიერ გამოყენებული იყო, როგორც შეკრების პუნქტი და თავდაცვითი პოზიცია.[318]

უფროსმა ლეიტენანტმა სერგეი შეველიოვმა, თავის ხელქვეითებთან ერთად, ცეცხლის გასახსნელად დაიკავა და ოცეულით გაამაგრა ხელსაყრელი პოზიცია ხუთსართულიან სახლში, რომელიც ცხინვალში, ლენინისა და ხეთაგუროვოს ქუჩების გადაკვეთაზე მდებარეობს.[319]

როგორც 58-ე არმიის ლეიტენანტმა, მიხეილ მელნიჩუკმა განაცხადა, მათ მძიმე შეიარაღება კერძო მოსახლეების ეზოებში განათავსეს და თავდაცვის მოსაწყობად იყენებდნენ ბეტონის ბლოკებს, ღობეებს და სახლების კედლებს.[320]

უფრო მეტიც, ქართული დაზვერვის მიერ მოპოვებული დოკუმენტი[321] იძლევა რუსი დაქირავებული მეომრის ჩვენებას, რომელიც ადასტურებს, რომ ცხინვალის მე-6 სკოლის შენობა სამხედრო ბაზად იყო გამოყენებული.

თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს ყოფილ მდივანთან, ანატოლი ბარანკევიჩთან ინტერვიუ ნათელს ხდის, რომ სამშვიდობო

---

[317] Human Rights Watch-ის ანგარიში ,,ცეცხლის ალში“ - ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), 2009, გვ. 50.

[318] Human Rights Watch-ის ანგარიში ,,ცეცხლის ალში“ - ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), 2009, გვ. 51.

[319] კრასნაია ზვეზდა, მათი შიში გაქარწყლდა, ოლეგ გორუპაი, რუსული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ საიტზე http://redstar.ru/2008/08/1.01.html

[320] კრასნაია ზვეზდა, დიმიტრი სიმიონოვი, დამარცხებული ოცეულის მეთაური, რუსული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ საიტზე http://redstar.ru/2008/09/09/1.01.html

[321] იხ.: დანართი 37A, გვ. 14, ქრონოლოგიაში, პასუხი შეკითხვაზე 1 სამხედრო საკითხების შესახებ შეკითხვების პირველი ნაკრებიდან.

ძალების ჯარების რუსული ბატალიონის ახლომდებარე სახლები და აგრეთვე, სხვა სახლებიც, გამოყენებული იყო, როგორც სამხედრო ობიექტები:

> [...] ჩვენ გადავედით ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში. გადავწყვიტეთ, წავსულიყაით სამშვიდობო ძალების შტაბში. იქ მივედით და მე ვუთხარი კულახმეტოვს, მოდი, წრიული დაცვა ერთად დავიკავოთ და აქ ვიდგეთ, ვიდრე რუსული არმია არ მოვა [...]
>
> [...] კარგი, გადავწყვიტე. აუცილებელია, დავიცვათ სამშვიდობო ძალების ქალაქთან (ე. წ. „ვერხნი გოროდოკთან“) მიმავალი გზები. დავიწყეთ შტაბის მახლობლად მდებარე სახლების დაკავება და უახლოესი გზაჯვარედინების დაბლოკვა. ახალგაზრდები გარეთ გამოვარდნენ და არ იცოდნენ, რა ექნათ. ძლიერი პანიკა შეიქმნა, დეზორგანიზაციაც იყო. უმაღლესი მთავარსარდალი უკვე წასული იყო და არავინ დაუტოვებია. სუკის უფროსი რჩებოდა მშვიდობისმყოფელებთან ერთად.[322]

სამხრეთ ოსეთის უშიშროების საბჭოს მაშინდელი მდივნის, ბარანკევიჩის განცხადებიდან ნათელი ხდება, რომ რუსი სამშვიდობო ძალების ბაზის მახლობლად მდებარე სახლები, მებრძოლების მიერ დაკავებული იყო სამხედრო მიზნებით და ამიტომ ქართულ შეიარაღებულ ძალებს, შესაბამისი საერთაშორისო სამართლის ფარგლებში, შეეძლოთ გამოეყენებინათ ძალა მსგავსი სამიზნეების წინააღმდეგ.

მშვიდობიანი მოსახლეობისა და სამოქალაქო ობიექტებისათვის მიყენებული თანმხლები ზარალი

სამართლებრივად დადგენილია, რომ ომის მკაცრ რეალობაში, შესაძლოა მშვიდობიანი მოსახლეობა და სამოქალაქო ობიექტები შემთხვევით დაზიანდეს იმ შეტევების დროს, რომლებიც ხორციელდება კანონიერი სამხედრო ობიექტების მიმართ და ამას „თანმხლებ მსხვეერპლს“ ან „თანმხლებ ზარალს“ უწოდებენ; [323] მშვიდობიანი მოსახლეები შეიძლება იყვნენ კანონიერ სამხედრო სამიზნეზე განხორციელებული თავდასხმის არაგამიზნული, მაგრამ გარდაუვალი გვერდითი მოვლენის მსხვერპლი, რომელიც მათ მახლობლად განხორციელდა. პროპორციულობის პრინციპის მიხედვით, ეს თანმხლები მსხვერპლი და დაზიანებები კანონიერია ხელშეკრულებათა ძალით და ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი გადამეტებული არაა მიღებულ სამხედრო უპირატესობასთან შედარებით.

---

[322] იხ.: სუპრა - ს შენიშვნა 2.

[323] „თანმხლები მსხვეერპლის“ ან „თანმხლები ზარალის“ განსაზღვრებები მოცემულია სან რემოს ზღვაზე შეიარაღებული კონფლიქტის დროს გამოყენებული საერთაშორისო სამართლის სახელმძღვანელოში, როგორც „მშვიდობიანი მოსახლის ან სხვა პირის სიცოცხლის მოსპობა, ან ზიანის მიყენება, ბუნებრივი გარემოს ან იმ ობიექტების დაზიანება ან განადგურება, რომლებიც თავისთავად სამხედრო ობიექტებს არ წარმოადგენენ“.

კვლავ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რუსი სამხედროებისა და მარიონეტული რეჟიმის არარეგულარული ფორმირებების მიერ სამხედრო ობიექტების განთავსება სამოქალაქო სტრუქტურებთან ძალიან ახლოს, დადასტურდა Human Rights Watch-ის მიერ.

> ზოგიერთ სოფელში, (მაგალითად, ხეთაგუროვო) Human Rights Watch-მა შეძლო დაედგინა, რომ ქართულმა არტილერიამ **იერიში მიიტანა ოსური ბანდფორმირებების მიერ სამოქალაქო სახლებთან ძალიან ახლოს განლაგებულ პოზიციებზე**. ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა განაცხადეს, რომ ისინი ხეთაგუროვოს მხრიდან ძლიერი ცეცხლის ქვეშ იყვნენ.[324]

საქართველოს მთავრობა აცხადებს, რომ ისინი აკმაყოფილებენ მოთხოვნას თანმხლები ზიანის გამამართლებელი გარემოების შესახებ, ანუ ის მოქმედებდა პროპორციულობის პრინციპის დაცვით და იყენებდა სიფრთხილის ზომებს, როდესაც გარემოებები მას ამის საშუალებას აძლევდა.

აგრეთვე, ხაზგასასმელია, რომ ქართველი სამხედროები მკაცრად ასრულებდნენ პრეზიდენტის ბრძანებას, რომ დაეცვათ მშვიდობიანი მოსახლეობა.

> Human Rights Watch-ის მიერ გამოკითხული მოწმეების უმრავლესობა არ უჩიოდა ქართული შეიარაღებული ძალების მხრიდან რაიმე სხვა ტიპის დარღვევებს მათ წინააღმდეგ. მათი გამონათქვამების მიხედვით, **უმრავლეს შემთხვევებში ჯარები, რომლებიც სოფლებში შემოდიოდნენ, მშვიდობიან მოსახლეობას გამიზნულად ზიანს არ_აყენებდნენ.** რამდენიმე ოსმა გამოკითხულმა პირმა აღნიშნა, რომ ქართველმა ჯარისკაცებმა მათ უთხრეს, რომ ნაბრძანები აქვთ მოძებნონ და დააკავონ ოსური ბანდფორმირებების წევრები, **მაგრამ დაინდონ ქალები, ბავშვები და მოხუცები სახმელეთო თავდასხმების დროს.**[325]
>
> ზარეტა ზ.-მ, სოფელ სარაბუკიდან, თქვა, რომ ქართველი ჯარისკაცები შევიდნენ სარდაფში, სადაც ის თავის ქმართან ერთად იმალებოდა და მათ უთხრეს – „ახლა თქვენ ჩვენთან, ქართველებთან, ერთად იცხოვრებთ და ჩვენ ყველანი ვიცხოვრებთ მშვიდობიანად. **მიშამ [სააკაშვილი] გვითხრა, რომ ქალებს და ბავშვებს ხელი არ უნდა ვახლოთ.** ჩვენ ინსტრუქცია გვაქვს მიღებული, რომ მხოლოდ ახალგაზრდა ბიჭები [მებრძოლები] უნდა დავხოცოთ. და ჩვენც, სწორედ ამას გავაკეთებთ. თქვენ არ უნდა შეწუხდეთ.“ იგივე სოფლიდან კიდევ ერთმა ქალმა, „სვეტლანა ს.-მ, აგრეთვე თქვა, რომ ქართველი ჯარისკაცები

[324] Human Rights Watch-ის ანგარიში ,,ცეცხლის ალში“ - ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), 2009, გვ. 51.

[325] Human Rights Watch-ის ანგარიში ,,ცეცხლის ალში““ - ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები სამხრეთ ოსეთში განვითარებულ კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), 2009, გვ. 61.

ეუბნებოდნენ სოფლელებს, რომ **„ჩვენ არ უნდა მოვკლათ არც ერთი მცხოვრები და არც ვაპირებთ ამას! ყველანი ხართ უსაფრთხოდ!**“[326]

მადინა მ.-მ სოფელ ხეთაგუროვოდან თქვა, რომ მას ძალიან შეეშინდა, როდესაც ქართული ჯარები შევიდა მის სოფელში, მაგრამ მისდა გასაკვირად, ისინი „ზრდილობიანები“ იყვნენ და მათ არაფერი დაუშავეს. მან თქვა, რომ „ისინი ეზო-ეზო დადიოდნენ და ეძებდნენ ახალგაზრდა ბიჭებს. მათ არ იცოდნენ, რომ ახალგაზრდა ბიჭები იქ უკვე აღარ იყვნენ. მე ისე მეშინოდა, მეგონა, რომ ისინი სასტიკები იქნებოდნენ და ქალებსა და ბავშვებს საშინელებებს გაუკეთებდნენ, როგორც პირველი ომის დროს, 1992 წელს, ხდებოდა. მაგრამ ისინი ისეთი... ზრდილობიანები იყვნენ, ნამდვილად. **ისინი სულ იმეორებდნენ, რომ მათ ბრძანება აქვთ მიღებული ხელი არ ახლონ ქალებს, ბავშვებს და მოხუცებს და რომ ჩვენ მათი არ უნდა გვეშინოდეს.**“[327]

საქართველოს პარლამენტში, აგვისტოს ომის მიზეზების შემსწავლელი საპარლამენტო კომისიის მოსმენების დროს, ზოგიერთმა მაღალი რანგის ჩინოსანმა (მათ შორის, გენერალური შტაბის უფროსმა, თავდაცვის მინისტრმა, შინაგან საქმეთა მინისტრმა, სახელმწიფო უშიშროების საბჭოს მდივანმა) განაცხადა, რომ 7 აგვისტოს, 11:35 სთ-ზე, <u>პრეზიდენტმა სააკაშვილმა სამი ბრძანება გამოსცა:</u> 1. რუსეთიდან საქართველოში ყოველგვარი სამხედრო გადაადგილების შეჩერება; 2. იმ საცეცხლე პოზიციების გაუვნებელყოფა, საიდანაც ქართულ სამშვიდობო ძალებს და მშვიდობიან მოსახლეობას ცეცხლს უხსნიდნენ; 3. <u>ამ ბრძანებების შესრულების დროს მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის უზრუნველყოფა.</u> შემდგომ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა განმეორებით აღნიშნეს, რომ ცხინვალი, თავისთავად სამიზნეს არ წარმოადგენდა, მაგრამ აუცილებელი იყო ცხინვალში მდებარე საცეცხლე პოზიციების გაუვნებელყოფა და **ქართულ შეიარაღებულ ძალებს სჭირდებოდა კონტროლის მოპოვება ცხინვალზე, ცხინვალის ჩრდილოეთით მდებარე ქართული სოფლებიდან მოსახლეობის ევაკუაციის მიზნით.**[328]

მიუხედავად სიფრთხილის იმ ზომებისა, რომელიც საქართველოს მთავრობამ და ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა მიიღეს, სამოქალაქო ინფრასტრუქტურის დაზიანება გარდაუვალი იყო. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ძნელია იმის დადგენა, თუ რა სახის ზარალი არის მიყენებული ქართული შეიარაღებული ძალების მიერ, ვინაიდან **რუსული შეიარაღებული ძალები იყო დომინანტური სამხედრო ძალა და ის იმავე**

---

[326] Human Rights Watch-ის ანგარიში ,,ცეცხლის ალში“ - ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები სამხრეთ ოსეთში განვითარებულ კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), 2009, გვ. 61.

[327] Human Rights Watch-ის ანგარიში ,,ცეცხლის ალში“ - ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები სამხრეთ ოსეთში განვითარებულ კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), 2009, გვ. 61.

[328] Human Rights Watch-ის ანგარიში ,,ცეცხლის ალში“ - ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები სამხრეთ ოსეთში განვითარებულ კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), 2009, გვ. 23, იხ.: სქოლიოს პ. 3 -ის ტექსტი.

ტერიტორიაზე და დროის იმავე მონაკვეთში იყენებდა მძიმე საჰაერო და საარტილერიო ცეცხლს.

გრადის ტიპის მრავალჯერადი გამოყენების რაკეტები ცხინვალში და სხვა სოფლებში რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულმა ძალებმა გამოიყენეს. ეს ცნობილი ხდება „გრადის“ დანადგარის ოპერატორის, მე-19 ქვეითი დივიზიის თვითმავალი არტილერიის პოლკის 292-ე საკონტრაქტო სამსახურის უფროსი სერჟანტის, დენისის განცხადებიდან

> „...გუშინ (8 აგვისტოს) ჩვენ ცხინვალს „გრადებით“ ვუტევდით, რათა ქალაქი აგვეღო. ქალაქის დაკავება აუცილებელი იყო...“[329]

რუსების მხრიდან ცხინვალის დაბომბვა „გრადით“ შეიძლება აგრეთვე, დადასტურდეს თუ ადგილზე გადავამოწმებთ გასროლის ხაზს. ქალაქისათვის მიყენებული ზიანის შეფასების ჩატარების დროს აღსანიშნავია, რომ ცხინვალი 1990-იან წლებში საომარი მოქმედებების დროსაც დაზარალდა და მას შემდეგ არ იყო აღდგენილი. ვინაიდან საქართველოს ხელისუფლებას საშუალება არ მიეცა სათანადო საგამოძიებო სამუშაოები ჩაეტარებინა, ჩვენ გაწვდით თანდართულ ვიდეო-მასალას, რომელიც დაფუძნებულია ღია წყაროზე.[330] საქართველო აცხადებს, რომ ცეცხლის ტრაექტორია და ჭურვების მდებარეობა ამტკიცებს, რომ რუსები ბომბავდნენ ნიჟნი გოროდოკში განლაგებული სამშვიდობო ძალების შტაბიდან.

სამშვიდობო ძალების საკითხი ცალკე უნდა იქნას განხილული. რუსეთის ფედერაცია ინტენსიურად იყენებდა თავისი სამშვიდობო ძალების „დაცვის“ არგუმენტს, როგორც საქართველოში ინტერვენციის კიდევ ერთ გამამართლებელ საბუთს. მიუხედავად ამისა, მრავალი ფაქტი ამტკიცებს რუსეთის შეჭრის არა ჰუმანიტარულ, არამედ პოლიტიკურ განზრახვებს. (ფაქტობრივი მტკიცებულებებისათვის გთხოვთ, მიმართოთ პასუხს სამხედრო კითხვაზე # 3 ომამდე და ომის მსვლელობის დროს, სამშვიდობო ძალების როლისა და საქმიანობის შესახებ.)

საქართველო ადასტურებს თავის ერთგულებას იმ სტანდარტის მიმართ, რის მიხედვითაც თავდასხმის განხორციელება სამშვიდობო მისიაში ჩართული ობიექტებისა და პერსონალის მიმართ, რომლებიც სარგებლობენ დაცვის უფლებით საერთაშორისო სამართლის მიხედვით აკრძალულია.[331] მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ნებისმიერმა სამოქალაქო ობიექტმა შეიძლება დაკარგოს თავისი დაცულობა იმ შემთხვევაში, თუ ის იმგვარად არის გამოყენებული, რომ კარგავს თავის სამოქალაქო ხასიათს და კვალიფიცირდება, როგორც სამხედრო ობიექტი, და ამრიგად, ხდება

---

[329] 19 ოქტომბერი, 2008 წელი, რუსული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ საიტზე http://www.iterasi.net/openviewer.aspx?sqrlitid+srwpvede3uowwltkiyhpa

[330] იხ.: ვიზუალური მასალა წყაროებში 20.

[331] ჯ.-მ. ჰენკაერტსი, ლ. დოსუალდ-ბეკი (გამომცემლები). ჩვეულებითი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (J-M. HENCKAERTS, L. DOSWALD-BECK (eds), Customary International Humanitarian Law), ტ. I, წესები, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, Cambridge University Press, გვ. 112, წესი 33.

შეტევის ობიექტი. ამასთან, საქართველოს მთავრობა ამტკიცებს, რომ სამშვიდობო ძალები და მათი შენობები, რომლებიც გამოყენებული იყო სამხედრო მიზნებისათვის, გადაიქცა ლეგიტიმურ სამიზნედ და ამიტომ დაკარგა თავისი დაცულობა. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების მხრიდან თავდასხმები განხორციელდა სამშვიდობო ძალების მხოლოდ იმ პოლკებსა და ინფრასტრუქტურაზე, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩართული საომარ მოქმედებებში, ხოლო რუსული სამშვიდობო ძალების სხვა პოსტები განაგრძობდნენ ფუნქციონირებას საომარი მოქმედებების მსვლელობის დროს და თავდასხმის ობიექტი არ გამხდარან.

სამშვიდობო ძალები ჩართული იყვნენ ომში და სხვადასხვა საშუალებით დახმარებას უწევდა ოსეთის არარეგულარულ ძალებს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოიპოვა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, რუსეთის სამშვიდობო ძალები სეპარატისტული ძალების მიერ გამოყენებული იყო როგორც ქართული პოზიციების წინააღმდეგ საარტილერიო ცეცხლის საწარმოებლად ასევე ცეცხლის კორექციისათვის:

> „7 აგვისტოს, ლეიტენანტი ო. გოლოვანოვი მორიგეობდა სამიზნეების გამოვლენისა და საარტილერიო ცეცხლის სიზუსტის მისაცემად“, – ეს ჩვენ მისმა უშუალო უფროსმა გვითხრა, ვინაიდან ოლეგს, რა თქმა უნდა, კარგად ესმოდა, რომ ბრძანების გარეშე არ შეიძლებოდა და მის გარეშე მსგავს სიტუაციაში ამ მისიას უკეთ ვერავინ შეასრულებდა. მისი სამეთვალყურო პოსტი მდებარეობდა ქალაქის სამხრეთ ნაწილში მდებარე რუსული სამშვიდობო ძალების ბატალიონის შენობის სახურავზე. იმ დორისათვის, 7-8 აგვისტოს ღამეს, ეს ქალაქში ყველაზე საშიში ადგილი იყო, ვინაიდან ქართული არმია პირველ რიგში, სამშვიდობო ძალების განადგურებას აპირებდა. ოლეგს საომარი პოსტი არ მიუტოვებია და ის ჩვენი მსროლელების ცეცხლის კორექციას ახდენდა, მიუხედავად იმისა, რომ სახურავზე ინტენსიური ცეცხლი მოდიოდა. და, შემთხვევით, მოწინააღმდეგემ გამოითვალა მისი ადგილსამყოფელი და დაიწყო მისი სამეთვალყურო პოსტის მიმართულებით ზუსტი სროლა. ოლეგი მძიმედ დაიჭრა. რუსმა მშვიდობისმყოფელებმა ის სამედიცინო ნაწილში წაიყვანეს, მაგრამ ძლიერი სროლები გრძელდებოდა. ირგვლივ ყველაფერი იწვოდა, მშვიდობისმყოფელებს შორის ბევრი იყო დაჭრილი და დახოცილი. სამედიცინო ნაწილი მდებარეობდა კარავში, რომელიც ასევე აალდა. კრიტიკულად დაჭრილი პაციენტის – ოლეგის იქედან გამოყვანა ვერ მოხერხდა - იქ არც ადგილი იყო და არც არავინ, ვინც ამას გააკეთებდა. ოლეგ გოლოვანოვი დაიღუპა, მაგრამ საომარ პოსტზე სიმამაცე და გმირობა გამოავლინა. ოლეგ გოლოვანოვს გარდაცვალების შემდეგ მიენიჭა „რუსეთის გმირის“ წოდება.[332]

პირველ შეტაკებას რუსულ სამშვიდობო ძალებთან ადგილი ჰქონდა 8 აგვისტოს, დაახლოებით, 06:00 სთ-ზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების ძალები, რომლებიც აღჭურვილი იყო „კობრას“ ტიპის ჯავშაბმანქანებით

[332] გაზეთი „სუადონი,“ იგორ თუაევი, „ოლეგ გოლოვანოვი დაიღუპა, მაგრამ საომარ პოსტზე გამოავლინა სიმამაცე და გმირობა, 22 ნოემბერი, 2008, შეგიძლიათ იხ.: http://osradio.ru/news/genocid/cic14326.html.

და გაძლიერებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს რამდენიმე ტანკით, დაიძრა სოფელ ზემო ნიქოზიდან ცხინვალის შემოგარენის მიმართულებით, რათა ჩაეხშო ამ სოფლისათვის ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ე. წ. „შანხაის“ რაიონში განლაგებული დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარული ძალების მხრიდან გახსნილი ცეცხლი. შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების ძალები მოექცნენ სნაიპერული და მასიური ჯავშანმანქანების ჭურვებიდან წამოსული ცეცხლის ქვეშ რუსული სამშვიდობო ძალების შტაბიდან – „ვერხნიი გოროდოკიდან,“ რომელიც ცხინვალის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობდა და იძულებულნი იყვნენ ცეცხლზე ცეცხლითვე ეპასუხა და ამასთან, მოეთხოვა ტანკების დახმარება.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ნათელი ხდება, რომ სამშვიდობო ძალების ჯარების რუსული ბატალიონი გადაიქცა სამხედრო ობიექტად და ამით გახდა სამხედრო სამიზნე, ვინაიდან ის იყო მტრის სამხედრო მიზნების განხორციელებაში ჩართული. მან არა მარტო დიდი წვლილი შეიტანა სამხედრო ოპერაციაში, მოწინააღმდეგის სამხედრო პოზიციებში მისი ჩართულობის გამო, არამედ უშუალოდ უტევდა ქართველ სამხედროებს. უნდა აღინიშნოს, რომ 8 აგვისტოს, 00:23 სთ-ზე, გაერთიანებული სამშვიდობო ძალების მეთაურს გენერალ მარატ კულახმეტოვს სატელეფონო საუბარი ჰქონდა ქართული სამშვიდობო ძალების უფროსთან, გენერალ მამუკა ყურაშვილთან, სადაც მან აღიარა, რომ სეპარატისტ მებრძოლებს კოორდინატებს საარტილერიო ცეცხლისათვის აწვდიდნენ რუსი მშვიდობისმყოფელები. [333]

მნიშვნელოვანია, რომ ზემოხსენებულს ადგილი ჰქონდა ბევრად ადრე, ვიდრე თავად რუსები გააკეთებდნენ რაიმე განცხადებას ქართველების მხრიდან სამშვიდობო ძალებზე განხორციელებული თავდასხმების შესახებ. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი ტელეფონით დაუკავშირდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძეს და აცნობა, რომ რუსეთი სამხედრო პასუხს გასცემს ცხინვალში მისი მშვიდობისმყოფელების მოკვლაზე. დაახლოებით, საათნახევრის შემდეგ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში მივიდა რუსეთის ელჩი საქართველოში, რათა ოფიციალურად გადაეცა იგივე ცნობა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პირველ შეტაკებას ქართულ შეიარაღებულ ძალებსა და რუსულ სამშვიდობო ძალებს შორის ადგილი ჰქონდა 06:00 სთ-ზე, კარასინის სატელეფონო ზარიდან სულ ცოტა, 3 საათის შემდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ მრავალის მტკიცებულება არსებობს, რომ სამშვიდობო ძალები ჩართული იყო საომარ მოქმედებებში, ქართული შეიარაღებული ძალები მათ სათანადო სიფრთხილით ეკიდებოდნენ და არ ახორციელებდნენ შეტევებს მათ წინააღმდეგ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საომარ მოქმედებებს იწყებდნენ მშვიდობისმყოფელები ან მათი საიდენტიფიკაციო ნიშნების მატარებელი პირები ან მანქანები. მაგალითად, 9 აგვისტოს დილით, 12:00 სთ-სა და 13:00 სთ-ს შორის, საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-4 ქვეითი ბრიგადის 41-ე ბატალიონი მოძრაობდა ქალაქ ცხინვალის მიმართულებით, რათა გაემაგრებინათ შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური

[333] სატელეფონო საუბრისა და მისი ჩანაწერის სანახავად იხ.: დანართები 87 A და B.

დანიშნულების ძალები. სულ ცოტა ხნით ადრე, ვიდრე ქალაქში შევიდოდნენ, გამოჩნდა შეიარაღებული პირებით სავსე ჯავშანმანქანებისა და ტანკების კოლონა. ბატალიონის მეთაურმა ჯარებს უბრძანა მიეცათ საშუალება ჯავშანმანქანებისა და ტანკებისათვის დაბრკოლების გარეშე გამოევლოთ, ვიდრე არ მოაღწევდნენ ხილულ მანძილზე და შესაძლებელი გახდებოდა მათი იდენტიფიკაციის გარჩევა. მალე ცნობილი გახდა, რომ ჯავშანმანქანები და ტანკები რუსულ სამშვიდობო ძალებს ეკუთვნოდა (ლურჯ ფონზე ყვითელი წარწერა „MC“). ბატალიონის მეთაურმა გასცა ბრძანება ცეცხლი არ გაეხსნათ და სამშვიდობო ძალებისათვის მიეცათ გავლის საშუალება. 41-ე კოლონა ბატალიონში ღრმად შეიჭრა და უეცრად შეუტია ქართულ შენაერთს ავტომატების ცეცხლსასროლი იარაღით და ხელყუმბარებით. ბატალიონის მეთაური, მაიორი შალვა დოლიძე, აგრეთვე ბატალიონის რამდენიმე წევრი დაიღუპა და დაიჭრა ათობით ქართველი ჯარისკაცი.

შენიშვნა: ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებული ყველა მტკიცებულება მოცემულია პასუხებში სამხედრო კითხვებზე # 1 (ქრონოლოგია) და # 3 (სამშვიდობო ძალების როლი).

კითხვა 4. რა სამართლებრივი პოზიცია გქონდათ თქვენ, შეიარაღებული კონფლიქტის დროს გრადის ტიპის მრავალჯერადი გამოყენების სარაკეტო სისტემების და კასეტური ბომბების გამოყენებასთან დაკავშირებით, საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალთან მიმართებაში? რატომ იყო გრადის ტიპის მრავალჯერადი გამოყენების სარაკეტო სისტემები და/ან კასეტური ბომბები გამოყენებული და რომელი სამიზნეების წინააღმდეგ (კერძოდ, მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში)?

2008 წლის აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს შორის საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დროს, საქართველო არ წარმოადგენდა რომელიმე საერთაშორისო სამართლებრივი აქტის მხარეს, რომელიც კატეგორიულად კრძალავდა გრადის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემის ან კასეტური საბრძოლო მასალის გამოყენებას საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში; ასევე არ ვრცელდებოდა საქართველოზე საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის რაიმე სახის ნორმა, რომელიც ზემოაღნიშნულს კრძალავდა. უფრო მეტიც, იარაღის ტიპების - გრადის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემის ან კასეტური საბრძოლო მასალის გამოყენება სრულად შეესაბამებოდა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესაბამის ნორმებს, კერძოდ, გარჩევითობისა და პროპორციულობის პრინციპებს.

კასეტური საბრძოლო მასალა, კონკრეტულად, GRADLAR160-ის ტიპის სარაკეტო სისტემა და MK4 LAR160-ის ტიპის რეაქტიული რაკეტები – M-85 კასეტური ბომბებით, გამოყენებული იყო მხოლოდ მძიმე ჯავშანმანქანებისა და საბრძოლო ტექნიკის წინააღმდეგ, რომლებიც შემოდიოდა საქართველოს ტერიტორიაზე.

აღნიშნული საბრძოლო მასალის გამოყენება ემყარებოდა სამხედრო აუცილებლობის ანალიზს და მიზნად ისახავდა საქართველოს სამხედრო ძალების მიერ უპირატესობის მოპოვებას. გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენდა რუსი სამხედრო პერსონალისა და სამხედრო ტექნიკის წინსვლის შეჩერება საქართველოს ტერიტორიაზე. იერიში მიმართული იყო კონკრეტულად, სამხედრო პერსონალზე და ობიექტებზე. GRAD LAR-160-ის ტიპის სარაკეტო სისტემისა და M-85 კასეტური ბომბების და MK-4 LAR-160-ის ტიპის რეაქტიული რაკეტების გამოყენებამ, რამდენიმე საათით შეაფერხა რუსული შეიარარებული ძალების წინსვლა საქართველოს ტერიტორიაზე. ქართულ შეუარაღებულ ძალებს, რომელიც მოწინააღმდეგეზე რიცხობრივად რამდენჯერმე ნაკლები იყო, მიეცა სამხედრო უპირატესობა და შესაძლებლობა მოეხდინა ტერიტორიიდან მოქალაქეების უსაფრთხო ევაკუაცია.

საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა GRAD-ის ტიპის რაკეტები გამოიყენეს მხოლოდ სამხედრო ობიექტების და დაუსახლებელი რაიონების წინააღმდეგ.

და ბოლოს, საქართველოს მთავრობას სურს, კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნოს, რომ გამოყენებული საშუალებები (ამ შემთხვევაში GRAD-ის ტიპის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა და კასეტური საბრძოლო იარაღი), ისევე როგორც მათი გამოყენების მეთოდები, სრულ შესაბამისობაში იყო საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესაბამის ნორმებთან. იარაღის ზემოაღნიშნული ტიპის გამოყენებით მიღწეულმა სამხედრო უპირატესობამ თვალნათლივ შეზღუდა სამოქალაქო ობიექტების მოსალოდნელი, და რეალური დაზიანება, ასევე ან სამოქალაქო მსხვერპლი და ფიზიკური დაზინებები და იგი სრულიად გამართლებული იყო სამხედრო საჭიროებით.

ფეთქებადსაშიში საომარი ნარჩენების იდენტიფიცირებისა და განადგურების მიზნისთ გატარებულიზ ზომები

2008 წლის აგვისტოს კონფლიქტმა ქვეყანაში მძიმე ჰუმანიტარული სიტუაცია გამოიწვია. ომის ფეთქებადსაშიში ნარჩენები გაბნეული იყო საქართველოს მთავარ ქალაქებსა და რეგიონებში. განაღმვითი და რისკის შესამცირებელი სამუშაოები სწრაფად ჩატარდა. თუმცა, ეს ვერ განხორციელდა ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ოკუპირებულ რეგიონებში, ვინაიდან რუსეთის საოკუპაციო ძალების ხელმძღვანელობა ბლოკავს ამ ტერიტორიებზე გამნამღველთა შესვლას.

დაბომბილი და დანაღმული ტერიტორია საქართველოში მოიცავს შემდეგ რაიონებს:

– ცხინვალი და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი (ბომბები, ყუმბარები, რეაქტიული ჭურვები, კასეტური ბომბები, ქვეითსაწინააღმდეგო და ტანკსაწინააღმდეგო ნაღმები);
– გორი და გორის რაიონი (საავიაციო ბომბები, კასეტური ბომბები, სფერული ბომბები, ფუგასური (მსხვრევადი საავიაციო ბომბი) ნაღმები, ტაქტიკური რაკეტები, ჭურვები, დისტანციური მექანიზმის ბომბები);
– საჩხერესა და ონის რეგიონები (საავიაციო ბომები, სფერული ბომბები);
– მარნეულის რეგიონი (საავიაციო ბომბები)
– დედოფლისწყარო (საავიაციო ბომბები);
– თბილისი (საავიაციო ბომბები);
– კასპის რეგიონი (ტროტილი ასაფეთქებლებთან ერთად);
– ზედა აფხაზეთი (ბომბები, ჭურვები, რაკეტები);
– ფოთი (საჰაერო ბომბები, ტაქტიკური რაკეტები);
– სენაკი და სენაკის რეგიონი (საავიაციო ბომბები, სატანკო ნაღმები);
– ქუთაისი (საავიაციო ბომბები);
– ხელვაჩაური (საავიაციო ბომბები);
– ყაზბეგის რეგიონი (მთავარი გზა) – ნაღმები.

სიტუაციის სწრაფად გამოსწორების მიზნით, მემორანდუმები შეთანხმებაზე „ჰუმანიტარული დახმარება განაღმვის ოპერაციაზე“ დაიდო ორ ორგანიზაციასთან: (1) „ჰალო თრასთ“ (დიდი ბრიტანეთი – შეერთებული შტატები - „Halo Trust“) და (2) „ნორვეგიის ხალხის დახმარება“ (Norwegian People’s Aid (Norway)) შესაბამისად, 5 და 17 სექტემბერს.

ეს მემორანდუმები მოიცავს შემდეგ ქმედებებს: (1) შეფასება/შესწავლას, მონიშვნას, ნაღმის აფეთქების რისკის შემცირებას; (2) ომის ფეთქებადსაშიში ნარჩენებისაგან გაწმენდითი ქმედებებს. მემორანდუმები ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, თუმცა, ისინი არ ხორციელდება ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ვინაიდან რუსეთის საოკუპაციო ძალების ხელმძღვანელობა გამნაღმველებს არ აძლევს იმ ტერიტორიებზე შესვლის უფლებას. შესაბამისად, საჭიროა საერთაშორისო ძალისხმევა.

გარდა ამისა, ესტონეთმა გამოგზავნა 5-კაციანი ჯგუფი ესტონეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ფეთქებადი საარტილერიო იარაღის განადგურების ცენტრიდან. ჯგუფმა ქართველ გამნაღმველ ტექნიკურ ბრიგადასთან ერთად წარმატებით განახორციელა ომის ფეთქებადსაშიში ნარჩენებისაგან გაწმენდითი სამუშაოები 3 კვირის მანძილზე (7-28 სექტემბერი) რამდენიმე რაიონში.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J-3 დეპარტამენტში ჩამოყალიბდა განყოფილება, რომელსაც დაევალა ომის ფეთქებადსაშიში ნარჩენებისაგან გაწმენდით სამუშაოებში კოორდინირება. ამ მიზნით, 2008 წლის 9 ოქტომბერს, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ხელი მოაწერა შეთანხმებას „განაღმვის ოპერაციებში დახმარებაზე“ (ორგანიზაციასთან IMMAP,აშშ). მემორანდუმი მოიცავს ტექნიკურ, პროგრამულ, საინფორმაციო და საკონსულტაციო დახმარებას ზემოაღნიშნულ ქმედებათა განხორციელების მიზნით. აღნიშნული მომსახურების საფუძველზე უკვე შესრულდა ინფორმაციის შეკრებისა და კოორდინაციის ფუნქციები.

მთელი ტექნიკური მარაგი (ოსიაურში) განადგურდა რუსული აგრესიის დროს, რის გამოც პრიორიტეტული გახდა ქართული შეიარაღებული ძალების ტექნიკური ბრიგადის ხელახალი აღჭურვა, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და პერსონალის ხელახალი გადამზადება. „DynCorp“ (აშშ) წარმომადგენლები იმყოფებიან საქართველოში ზარალის ტიპისა და ოდენობის შესაფასებლად.

ამ მხრივ აღსანიშნავია „Halo Trust“-ის მიერ განხორციელებული ღონისძიებები ომის ფეთქებადსაშიში ნარჩენების მარკირების შესახებ.

განაღმვის ოპერაციებთან დაკავშირებით, მემორანდუმი შეთანხმებაზე – „ჰუმანიტარული დახმარება განაღმვის ოპერაციაზე“ დაიდო ITF-თან (სლოვაკეთი). ეს მემორანდუმი მოიცავს სახელმწიფო პოტენციალის ამაღლებას განაღმვით ოპერაციებში, დაზარალებულთა დახმარებისა და სამოქალაქო პირთა გადამზადების მიზნით.

იგივე საკითხი წამოიჭრა ნატოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და მომარაგების სააგენტოში (NAMSA), თუმცა, დაგეგმილია, რომ აღნიშნული დახმარება იქნება მხოლოდ ჰუმანიტარული ხასიათის.

კითხვა 5. იმ ადგილებში, სადაც თქვენმა შეიარაღებულმა ძალებმა ან მოწინააღმდეგის შეიარაღებულმა ძალებმა სრულად მოიპოვეს კონტროლი 2008 წლის საომარი მოქმედებების მსვლელობის დროს, მშვიდობიანი მოსახლეობის ადამიანთა ჯგუფების რა ტიპი იყო დასჯილი, ნაცემი, გაუპატიურებული, ცუდად მოპყრობის ობიექტი და რა ტიპის შენობები იყო გაძარცული, დამწვარი ან დანგრეული? რა სახის ზომებს მიიღო ადგილზე კონტროლის მქონე მხარემ ამგვარი ძალადობის შესაჩერებლად ან ჩასახშობად?

1. არც ერთი ამგვარი ქმედება არ არის ჩადენილი ქართული ძალების მიერ, როგორც დასტურდება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

2. რაც შეეხება მოწინააღმდეგე მხარის მიერ ჩადენილ ქმედებებს, იხილეთ ქვემოთ მოყვანილი ფაქტები:

სიცოცხლის უფლება

მოქალაქეებზე თავდასხმები, რომლებიც განხორციელდა 2008 წლის ივლისის ბოლოდან 2008 წლის 12 აგვისტომდე და მას შემდეგაც, წარმოადგენდა სიცოცხლის უფლების ხელყოფას შემდეგი მიზეზების გამო: ეს თავდასხმები ა) თავისი ხასიათით იყო უწესრიგო და არაპროპოციული ბ) განხორციელებული იყო უშუალოდ რუსეთის ფედერაციის ძალების მიერ ან/და რუსეთის კონტროლქვეშ მყოფი მარიონეტული ძალების მიერ, გ) სპეციალურად გამიზნული იყო ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ. ამ თავდასხმების შედეგად, ასობით მოქალაქე დაიღუპა ან მათი სიცოცხლე სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა შეიარაღებული კონფლიქტის განმავლობაში, კერძოდ: 2008 წლის აგვისტოს ომში, რუსეთის ფედერაცია წარმოადგენდა დომინანტ სამხედრო ძალას. მის უშუალო დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ ოსური შეიარაღებული ძალები, რომლებიც მოქმედებდნენ რუსეთის კონტროლის ქვეშ როგორც მარიონეტული მებრძოლები. მაშასადამე, რუსეთის ფედერაცია არის პასუხისმგებელი მის მიერ შეიარაღებული ძალების მიმართ გაცემულ ბრძანებებსა და მის კონტროლქვეშ არსებული მარიონეტული მებრძოლების მიერ წარმოებული ოპერაციების ხასიათზე. აქედან გამომდინარე, რუსეთის ფედერაცია ვალდებული იყო გეგმაზომიერად ეკონტროლებინა სამხედრო ოპერაციები, მათ შორის მის კონტროლქვეშ არსებული მარიონეტული მებრძოლების მიერ განხორციელებული ოპერაციები, რათა საფრთხე სიცოცხლის მიმართ მინიმუმამდე ყოფილიყო დაყვანილი. რუსეთის ფედერაციამ ვერ შეასრულა თავისი ვალდებულება, გამომდინარე იქიდან, რომ იგი განურჩევლად ბომბავდა და ცრხილავდა იმ რაიონებს, რომლებიც არ წარმოადგენდნენ სამხედრო დანიშნულების კანონიერ ობიექტებს;[334] ამის განხორციელებისათვის, რუსეთის ფედერაცია იყენებდა ისეთ საომარ საშუალებებს, როგორებიცაა ნაღმები და კასეტური ბომბები,[335] იმგვარად, რომ არ ხდებოდა მოქალაქეებისა და მეომრების ერთმანეთისგან გარჩევა. მის მიერ ძალის გამოყენება არ იყო არც ,,საჭირო ოდენობის“ და არც კანონიერი.

არ მოიპოვება არავითარი სახის მტკიცებულება, რომ იმ უამრავი ადგილის მახლობლად, რომლებიც რუსეთის ფედერაციისა და მარიონეტული მებრძოლების მხრიდან ქაოტური სროლების, საარტილერიო შეტევის, საჰაერო დაბომბვის სამიზნე

---

[334] დანართი 1: „ადამიანის უფლებათა დაცვა,“ რუსეთი/საქართველო: სამოქალაქო პირების გარდაცვალების გამოძიება, დასახლებულ ზონებზე მიტანილი იერიში (Russia/Georgia: Investigate Civilian Deaths, High Tollfrom Attacks on Populated Area)s, 12 აგვისტო, 2008, იხ.: http://www.hrw.org/en/news/2008/08/12/russiageorgia-investigate-civilian-deaths.

[335] Pasa and Erkan Erol v. Turkey, App. No. 51358/99, judgment of 12 December 2006, § 38.

გახდნენ, არსეობდა კანონიერი სამხედრო ობიექტები.[336] ამგვარი თავდასხმები მოიცავდა, თუმცა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ შემდეგით:

> მოქალაქეთა ორი ესკორტის საჰაერო დაბომბვა სოფელ ერედვთან, რომლის შედეგადაც დაიღუპა ორი მოქალაქე, თინა და მარიკა კახნიაშვილები, 2008 წლის 8 აგვისტოს;[337]
>
> 2008 წლის 7-დან 9 აგვისტომდე არსებულ პერიოდში, სოფელ კეხვზე განხორციელებული სროლებისა და დაბომბვის შედეგად დაინგრა სოფლის სკოლა და დაიღუპა სოფლის სამი მცხოვრები;[338]
>
> 2008 წლის 8 აგვისტოს, სოფელ ერედვზე განხორციელებული საჰაერო დაბომბვა;[339]
>
> 2008 წლის 8 აგვისტოს, სოფელ ქვემო აჩაბეთზე განხორციელებული საჰაერო დაბომბვა;[340]
>
> 2008 წლის 9 აგვისტოს, სოფელ ხეითზე განხორციელებული საჰაერო დაბომბვა, რის შედეგადაც დაიღუპა ერთი მოქალაქე ნუგზარ ბუგიანიშვილი;[341]
>
> 2008 წლის 9 აგვისტოს, სოფელ კარბიზე განხორციელებული საჰაერო დაბომბვა, რის შედეგადაც დაიღუპა ერთი ქალბატონი ციალა ბიძინაშვილი და დაიჭრა რამდენიმე სხვა მოქალაქე;[342]

---

[336] დანარათი l: „ადამიანის უფლებათა დაცვა," Russia/Georgia: Investigate Civilian Deaths, High To!l fi·om Attacks on Populated Areas, 12 August 2008, იხ.: http:://www .hrw.org:/en/news/2008/08/12/russiageorgia-investigate-civilian-deaths; მაგალითისთვის იხ.: დანართი 28: პაშა ფაკელიანის მოწმის ჩვენება (witness statement of Pasha Pakeliani); დანართი 4: „საერთაშორისო ამნისტია," ცეცხლის ალში: საქართველო-რუსეთის კონფლიქტი, (Civilians in the line of fire: the Georgia-Russia conflict), EUR 04/005/2008, ნოემბერი, 2008, გვ. 29-31.

[337] დანარათი 2: იხ.: ზაირა ხეთაგაშვილის მოწმის ჩვენება.

[338] დანარათი 3: „ადამიანის უფლებათა დაცვა," "Up in Flames: Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict Zone over South Ossetia," 22 იანვარი, 2009; გვ. 91-92, იხ.: http://www.hrw .org/enlrepO!ts/2009/01/22/flam s-0

[339] დანარათი 4: „საერთაშორისო ამნისტია," Civilians in the line offir e: the Georgia-Russia conflict, EUR 04/005/2008, Nov ember 2008, at pp. 29-3I .

[340] დანარათი 3: „ადამიანის უფლებათა დაცვა," "Up in Flames: Human itarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict Zone over South Ossetia"; 22 იანვარი, 2009, გვ. 92. იხ.: http ://www.hrw .org/enlrepO!is/2009/01/22/flames-O

[341] იქვე.

[342] დანარათი 4: „საერთაშორისო ამნისტია," Civilians in the line of fi re: the Georgia-Russia conflict, EUR 04/005/2008, ნოემბერი 2008, at pp. 29-31; დანარათი 3: „ადამიანის უფლებათა დაცვა," "Up in Flames: Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict Zone over South Ossetia", 22 იანვარი 2009, გვ. 96-97, იხ.: http://www.hrw.org/en!repO!is/2009/01/22/flames-O

2008 წლის 9 აგვისტოს, სოფელ თამარაშენში მოქალაქეთა სახლებზე განხორციელებული სატანკო შეტევა;[343]

2008 წლის 11 აგვისტოს, სოფელ ტყვიავზე განხორციელებული საჰაერო დაბომბვა;[344]

2008 წლის 12 აგვისტოს, სოფელ ტყვიავში განხორციელებული ძარცვა, რის შედეგადაც დაიღუპა 9 მოქალაქე: მიხეილი და შაქრო მელითაურები, გელა ჩიხლაძე, ნოდარ ბათაური, კობა ჯაშიაშვილი, შამილ ოქროპირიძე, ლაშა ბაშარაული, სოსო ოტიაშვილი და ჯაბა ჯაბალაძე;[345]

2008 წლის 12 აგვისტოს, ქალაქ გორის ცენტრალურ მოედანზე განხორციელებული საჰაერო დაბომბვა, რის შედეგადაც დაიღუპა 8 და დაშავდა 23 მოქალაქე;[346]

2008 წლის 12 აგვისტოს, სარაკეტო სისტემებით გორის სამხედრო ჰოსპიტალზე განხორციელებული თავდასხმა, რის შედეგადაც დაიღუპა სასწრაფო დახმარების განყოფილების ექიმი გიორგი აბრამიშვილი;[347]

2008 წლის 12 აგვისტოს, სოფელ თორტიზაზე განხორციელებული საჰაერო სარაკეტო თავდასხმა, რის შედეგადაც დაიღუპა სამი და დაშავდა უამრავი მოქალაქე;[348]

---

[343] ANNEX 3: „ადამიანის უფლებათა დაცვა," "Up in Flames: Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict Zone over South Ossetia", 22 იანვარი 2009, გვ. 114, ხელმისაწვდომია: http://www.hrw.org/enlrepO!is/2009/01/22/flames-O

[344] იქვე, გვ. 101.

[345] დანარათი 6: თამაზ დემეტრაშვილის მოწმის ჩვენება და დანართი 66: თეიმურაზ ჯაშაშვილ. აგრეთვე, იხ.: დანართი 3: „ადამიანის უფლებათა დაცვა," "Up in Flames: Hum anitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict Zone over South; Ossetia", 22 იანვარი, 2009, გვ. 154-156, იხ.: http://wwv.hrw.org/en/reports /2009/01/22/flames-O.

[346] ინციდენტი კიდევ უფრო განსაცვიფრებელი ხდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართულმა ჯარებმა წინა ღამეს დაიხიეს გორიდან. უფრო მეტიც, დაბომბვას ადგილი ჰქონდა ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის შენობის წინ, სადაც უამრავი მოქალაქე იყრიდა თავს ადგილობრივი მმართველობის მიერ განაწილებული სურსათის მისაღებად. მრავალსართულიანი მუნიციპალიტეტის შენობა ნათლად ჩანს საჰაერო სივრციდან, იხ. დანართი 4: „საერთაშორისო ამნისტია," Civilians in the line offire: the Georgia-Russia conflict, EUR 04/005/2008, ნოემბერი 2008, გვ. 29-31.

[347] დანარათი 3: „ადამიანის უფლებათა დაცვა," "Up in Flames: Hum anitarian Law Viol ations and Civilian Victims in the Conflict Zone over South Ossetia", 22 იანვარი, 2009, გვ. 95, იხ.: http://www.hrw.org/en/reports/2009/01/22/flames-0

2008 წლის 12 აგვისტოს, სოფელ ვარიანზე განხორციელებული საჰაერო დაბომბვა რის შედეგადაც დაიღუპა 1 მოქალაქე;[349]

2008 წლის 12 აგვისტოს, საკუთარ მანქანებში მყოფ მოქალაქეებზე განხორციელებული სროლები ახალდაბის მახლობლად, რის შედეგადაც დაიღუპა ერთი მოქალაქე, მორის პაპუაშვილი;[350]

2008 წლის 12 აგვისტოს, სოფელ ახალდაბაზე განხორციელებული სარაკეტო იერიში;[351]

2008 წლის 12 აგვისტოს, სოფელ თედოწმინდაში ტაქსის ავტომობილზე განხორციელებული სატანკო იერიში, რომელმაც იმსხვერპლა ორი მგზავრი, დოდო გარსევანიშვილი და ნინო არაბიშვილი;[352]

2008 წლის 12 აგვისტოს, სოფელ კარალეთში მოძრავი ავტომობილიდან ვასიკო ზაალიშვილზე განხორციელებული სროლა;[353]

სოფელ დისევში, ცხინვალის აღმოსავლეთით, ერთი მოქალაქის მკვლელობა ძარცვის დროს;[354]

---

[348] იქვე, გვ. 97-98.

[349] გზაზე მოქალაქის ერთადერთი მანქანა მოძრაობდა, როდესაც დაიწყო დაბომბვა. საჰაერო სივრციდან საუკეთესო ხედვის პირობებში, ცარიელ გზაზე ერთადერთ სამოქალაქო მანქანაზე განხორციელებული იერიში ნიშნავდა ან უშუალოდ მოქალაქეებზე განხორციელებულ თავდასხმას ან ტერიტორიის განურჩევლად გამიზნულ დაბომბვას, დანართი 4: „საერთაშორისო ამნისტია," Civilians in the line of fire : the Georgia-Russia coriflict, EUR 04/005/2008, ნოემბერი, გვ. 29-31.

[350] ამ ინციდენტში რუსეთის ქვეითმა ჯარებმა სროლა აუტეხეს რამდენიმე მოქალაქეს, როდესაც ეს უკანასკნელნი ცდილობდნენ თავის დაღწევას საჰაერო დაბომბვიდან გორის რაიონის სოფელ ახალდაბის მახლობლად. მოქალაქეებს დატოვებული ჰქონდათ სატელევიზიო ანძა და ჩაუარეს სატანკო კოლონას, რომელიც მოემართებოდა ცხინვალიდან. ჯარისკაცებმა მანქანას გაუხსნეს ცეცხლი, შედეგად დაიღუპა მანქანაში მყოფი ოთხი მოქალაქიდან ერთი მოქალაქე; იხ.: დანართი 3: „ადამიანის უფლებათა დაცვა," "Up in Flames: Humanitarian Law V iolations and Civilian Victims in the Conflict Zone ovet South Ossetia", 22 Janumy 2009, გვ. 118-119. იხ.: http://www.hrw.or g/en/reports/2009/01/22/flames"O

[351] დანარათი 3: Human Rights Watch, "Up in Flames: Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict Zone over South Ossetia", 22 იანვარი 2009, გვ. 102-103, იხ.: http://www.hrw .org/en/reports/2009/01/22/flames-O

[352] იქვე, გვ. l17-ll8.

[353] იქვე, გვ. 58.

[354] "Ani" სოფ. დისევიდან, სამხრეთ ოსეთი, ცხინვალიდან აღმოსავლეთით, შეატყობინა „საერთაშორისო ამნისტიას" – ყველა ქართული სოფელი გადამწვარია. მხოლოდ იმათი სახლებია გადარჩენილი, ვისაც ოსი ცოლები ჰყავდათ. ეს გაკეთებული იყო ოსი სეპარატისტების, რუსების და კაზაკთა ჯგუფების მიერ, რომლებსაც ეცვათ შავი სამხედრო ფორმები და სახეზე ეკეთათ ნიღბები. ერთ-ერთი მათგანი ტანკიდან კიდეც გამოგველაპარაკა ქართულად. ერთ-ერთი ჩემი მეზობელი, რომელიც შეეცადა წინააღმდეგობის გაწევას, მოკლეს." იხ. დანართი 4: „საერთაშორისო ამნისტია," Civilians in the line offire: the Georgia-Russia conflict cited above, გვ. 39.

ქალბატონ და ბატონ გურგენაშვილებზე განხორციელებული სროლა, რამაც იმსხვერპლა მათი სიცოცხლე;[355]

2008 წლის 12 აგვისტოს, თბილისი-სენაკი-ლესელიძის გზაზე ზუგდიდისკენ მიმავალ მიკროავტობუსზე განხორციელებული სროლა, რის შედეგადაც დაიღუპა 9 მოქალაქე, მათ შორის, ერთი ბავშვიც.[356]

ეს თავდასხმები ერთმანეთისგან არ არჩევდა მოქალაქეებსა და მეომრებს, გამომდინარე იქიდან, რომ ამ ინციდენტებში დაზარალებულ მხარეს წარმოადგენდნენ მოქალაქეები, რომლებიც საომარ მოქმედებებში არ იღებდნენ უშუალო მონაწილეობას. ამ მხრივ, პასუხისმგებლობა ეკისრება რუსეთის ფედერაციას, რომელმაც უნდა წარმოადგინოს მტკიცებულება ამ თავდასხმების გასამართლებლად და აჩვენოს, რომ ის ადგილები, რომლებზეც განხორციელდა სამხედრო იერიში წარმოადგენდა კანონიერ სამხედრო სამიზნეებს.[357]

იმ შემთხვევაშიც კი, თუ სამოქალაქო პირებით დასახლებულ სოფლებში მდებარეობდა სამხედრო სამიზნე ობიექტი, რომლებიც რუსეთმა დაბომბა, რუსეთის ფედერაციამ ან/და მის კონტროლქვეშ არსებულმა მარიონეტულმა მებრძოლებმა ვერ შეძლეს თავდასხმის იმ მეთოდებისა და საშუალებების გამოყენება, რომელიც შეამცირდებდა სამოქალაქო პირებსა და სამოქალაქო ობეიექტებზე თანხმლები ზარალის ოდენობის შემცირებას. რუსეთის ფედერაციამ იცოდა და უნდა სცოდნოდა, რომ მის მიერ გაცემული ბრძანებები დააზარალებდა მოქალაქეებსა და სამოქალაქო ობიექტებს.

შეიარაღებული კონფლიქტის განმავლობაში, რუსეთის ფედერაცია მის კონტროლქვეშ მყოფ მარიონეტულ მებრძოლებთან ერთად აწარმოებდა უწესრიგო და არაპროპორციულ შეტევებს. ეს დოკუმენტურად დასაბუთდა რამდენიმე ობიექტური არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ, მათ შორის, Human Rights Warch-

---

[355] დანარათი 7: მოწმის, ქ-ნ ლიანა გურგენაშვილის ჩვენება.

[356] დანარათი 8 : მოწმის, ბატონ ხვიჩა ჩანიას ჩვენება.

[357] „საერთაშორისო ამნისტია“ ეძიებდა ინფორმაციას საიერიშე ობიექტების კლასიფიკაციასთან დაკავშირებით, მაგრამ რუსეთის ფედერაცია არ რეაგირებდა ამაზე. დანართი 4: „საერთაშორისო ამნისტია,“ Amnesty International, Civilians in the line ofjire: the Georgia-Russia conflict, EUR 04/005/2008, ნოემბერი 2008, გვ. 31; აგრეთვე, იხ. გვ. 29. „საერთაშორის ამნისტიამ“ ვერ მიიღო პასუხი რუსეთის ხელისუფლებისგან ინფორმაციის, რომელიც შეეხებოდა საომარი მოქმედებების წარმოებას და მოქალაქეებისადმი რისკის შესამცირებლად, რუსი ძალების მიერ გატარებულ ღონისძიებებს,“ ხელმისაწვდომია: http://www.amnesty.org/en/library/asset/EUR04/005/2008/en/d9908665-ab55-11dd-a4cd-bfa0fdea964 7/eur0400 52008eng .pdf

ის[358] და Amnesty International-ის[359] მიერ.

ნაღმებისა და კასეტური ბომბების გამოყენების ტექნიკა, წარმოადგენს კიდევ ერთ ნათელ მაგალითს, თუ როგორ ვერ შეძლო რუსეთის ფედერაციამ სამოქალაქო მოსახლეობის სიცოცხლის დასაცავად საკმარისი სიფრთხილის ზომების მიღება .[360] თუმცა, რუსეთის ფედერაციამ უარყო კასეტური ბომბების გამოყენება, მაგრამ ობიექტურმა წყაროებმა დოკუმენტურად დააფიქსირა რუსეთის ფედერაციის მიერ კასეტური იარაღისა და ბომბების ჩამოყრის ფაქტები ვარიანის,[361] ქვემო ხვითის, ტირძნისის, ტყვიავის, ფხვენისის, კეხვის, რუისის[362] სოფლებსა და ახალდაბაზე, ისევე როგორც ქალაქ გორზე[363] და გორის ჩედილოეთით მდებარე, რამდენიმე სოფელზე.[364]

ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა ოკუპაციის პერიოდში

სიცოცხლის უფლების დარღვევა და მისი უგულვებელყოფა საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგაც გრძელდებოდა. უფრო მეტიც, ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ იმატა ყველაზე მსხვილი, ეთნიკურად მოტივირებული დარღვევების ფაქტებმა. რუსეთის ფედერაციის, როგორც ოკუპაციური ძალის, მოვალეობა იყო შეეჩერებინა მის ან მის კონტროლქვეშ მყოფი მარიონეტული მებრძოლების მიერ განხორციელებული თვითნებური ქმედებები, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო მის კონტროლქვეშ არსებული რაიონებში მცხოვრები მოქალაქეების კეთილდღეობა. ამგვარი ინციდენტების რამდენიმე მაგალითია:

2008 წლის 14 აგვისტოს, ივანე ლალაშვილი სასიკვდილო დაჭრეს სოფელ

---

[358] „ადამიანის უფლებების დაცვამ“ დოკუმენტურად დააფიქსირა რუსეთის სამხედროების მიერ ძალის უწესრიგოდ გამოყენება და მისი თითქოსდა, მიზნობრივი იერიშები მოქალაქეებზე, მათ შორის, მოქალაქეების კოლონებზე; იხ. დანართი 9: „ადამიანის უფლებათა დაცვა,“ Georgia: International Gi·oups Should Send Missions; Investigate Violations and Protect Civilians, 16 August, 2008, ხელმისაწვდომია: http:/Iwww.hrw.ortden/news/2008/08/16/georgia- international-groups-should-send-missions

[359] დანარათი 4: Amnesty International, Civilians in the line offire: the Georgia-Russia conflict, EUR 04/005/2008.

[360] Ergi v. Turkey, App . No. 23818/94, judgment of28 July 1998, § 81

[361] დანარათი 3: „ადამიანის უფლებათა დაცვა,“ "Up in Flames: Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict ·zone over South Ossetia", 22 იანვარი, 2009, გვ. 105-108, იხ.: http://www.hrw.org/en!reports/2009 /01/22/flames- O

[362] იქვე, გვ. 108-110.

[363] დანარათი 3: „ადამიანის უფლებათა დაცვა,“ "Up in Flames : Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict Zone over South Ossetia", 22 იანვარი, 2009, გვ. 111-113, იხ.: http://www.hrw.org/en!reports /2009/01/22/flames-O

[364] დანარათი 4: Amnesty International, Civilians in the line offire: the Georgia-Russia conflict cited above, pp. 32-34.

კარალეთში;[365]

2008 წლის აგვისტოს შუა პერიოდში, ვიქტორ გაგოშვილის მკვლელობა სოფელ ერგნეთში;[366]

2008 წლის 28 აგვისტოს, 70 წლის ოლია ხალაძის წამება და მკვლელობა სოფელ მეღრეკისის გადაწვის დროს;[367]

2008 წლის 29 აგვისტოს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ხანშიშესული ქალის ნადია გაბარიევა-მიდოდაშვილის მკვლელობა და დაწვა;[368]

2008 წლის 6 სექტემბერს, სოფელ აბანოსკოდაში, სამხრეთ ოსეთის საზღვარის მახლობლად, 75 წლის მოხუცი ქალის, ნორა კვინიკაძის მკვლელობა;[369]

2008 წლის 5 ნოემბერს სოფელ ყანჩავეთში 76 წლის მოხუცის, გივი ტეტუნაშვილის ცემა (რასაც მოჰყვა მისი სიკვდილი)[370]

საქართველოს შეუძლია მოიყვანოს მინიმუმ, 67 სხვა მკვლელობის ფაქტი, რომელიც ჩადენილ იქნა რუსეთის ძალებისა და მის კონტროლქვეშ არსებული სეპარატისტული ძალების მიერ.[371] საერთაშორისო ორგანიზაციამ „Human Rights Watch-მა დოკუმენტურად აღრიცხა რუსეთის კონტროლქვეშ მოქმედი მარიონეტული ძალებისა და შეიარაღებული კრიმინალების მიერ მოქალაქეებზე განხორციელებული უამრავი სასიკვდილო თავდასხმის ფაქტი, რუსეთის მეირ კონტროლირებად რაიონებში, ოკუპაციის პერიოდში.[372]

---

[365] დანარათი 10 : მოწმის, გიორგი ლალაშვილის ჩვენება.

[366] დანარათი 3: „ადამიანის უფლებათა დაცვა," "Up ln Flames: Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict Zone over South Ossetia", 22 იანვარი, 2009, გვ. 157-158, იხ.: http://www.hrw.org/en/repoiis/2009/01/22/flames 70

[367] დანარათი 11: მოწმის, ბატონ თემურ ინაურის ჩვენება.

[368] დანარათი 12: მოწმის, ქ-ნ მანანა მჭედლიძის ჩვენება.

[369] დანარათი 13: „ადამიანის უფლებათა დაცვა," Georgia: EU Mission Needs to Protect Civilians, In Security Vacu m, Frequent Attacks and Pervasive Fear. დანართი 3: „ადამიანის უფლებათა დაცვა," "Up in Flames: Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict Zone over South Ossetia", 22 იანვარი, 2009, გვ. 158-159, იხ.: http://www .hrw.org/en/repmts/2009/0 1/22/flames-0

[370] იქვე, გვ. 149.

[371] დაღუპულთა რაოდენობა უმთავრესად ეფუძნება მხოლოდ ქართული მორგების მიერ მიღებული სხეულების რაოდენობას და იგი არ მოიცავს დამწვართა ან რუსეთისა და სეპარატისტული ძალების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე სხვაგვარად გაბნეულთა რიცხვს. აგრეთვე, იხ.: ანგარიშები, რომლებიც მოიცავს ქართველი მოქალაქეების წინააღმდეგ განხორციელებულ მკვლელობებს. დანართი l4: დემოკრატიული ინსტიტუტებისა და „ადამიანის უფლებათა დაცვის" ანგარიში (ODIHR), Human Rights in, the War-affected Areas Following the Conflict in Georgia, Warsaw, 27 ნოემბერი, 2008, გვ. 22-24. იხ.: http://www .osce.org/docum ents/odihr/2008/12/3 5656 en.pdf

[372] დანარათი 13 : „ადამიანის უფლებათა დაცვა," Georgia: EU Mission Needs to Protect Civilians, In Security Vacuum, Frequent Attacks and Pervasive Fear. Available at: http://www .hrw.org/enlnews/2008/09/ 15/georgia-eu-

შეიარაღებული კონფლიქტის განმავლობაში რუსეთის და მის კონტროლქვეშ მოქმედი მარიონეტული მებრძოლების მიერ გამოყენებული ნაღმები და კასეტური ბომბები გახდა მრავალი მოქალაქის გარდაცვალების მიზეზი ოკუპაციის დროს. მაგალითად, ნაღმის აფეთქებამ იმსხვერპლა ერთი ქალის სიცოცხლე გორში, ხოლო სერიოზულად დაშავდა მამაკაცი ტირძნისში 2008 წლის 24 აგვისტოს.[373] უფრო მეტიც, 70 წლის მოქალაქე ველიკო ბედიანაშვილი დაიღუპა სოფელ ფხვენისში კასეტური საბრძოლო იარაღის აფეთქების შედეგად.[374] 2008 წლის 24 აგვისტოს, მატარებელი, რომელსაც მოჰქონდა ნედლი ნავთობი, ნაღმზე დაჯახებისას აფეთქდა 5 კმ მანძილზე, გორის დასავლეთით. კონფლიქტის ზონის მრავალი ტერიტორია – სოფლები, სასაფლაოები და სახნავ-სათესი მიწები აივსო აუფეთქებელი საარტილერიო იარაღით მათ შორის, ნაღმებით, რეაქტიული ჭურვებით და ბომბებით.

წამება, არაადამიანური და შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი მოპყრობა

ქართველი მოქალაქეებისადმი ცუდი მოპყრობა (მათ შორის, წამება, ცემა, გაუპატიურება, იძულება, ეყურებინათ საკუთარი სახლების გადაწვისთვის და ცუდი მოპყრობა პატიმრობისას) რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებისა და მის კონტროლქვეშ არსებული დე-ფაქტო სეპარატისტების მხრიდან კლასიფიცირდება როგორც წამება, არაადამიანური და შეურაცხმყოფელი მოპყრობა.

მოქალაქეებისადმი ცუდი მოპყრობა

ცემა და წამება: მოქალაქეების ცემა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების კონტროლქვეშ მოქმედი მარიონეტული მებრძოლების მიერ 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის საერთო მახასიათებელი იყო. ობიექტურ მტკიცებულებებში ისეთი ორგანიზაციებიდან, როგორიცაა დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ბიურო (ODIHR), რომელმაც მიიღო ანგარიშები იძულებით

---

mission-needs- protect civilians; დანართი 14 : Report by the Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR), Human Rights in the War-affected Areas Following the Conflict in Georgia, Warsaw, 27 ნოემბერი: 2008, გვ.. 22-24 . იხ.: http://www .osce.org / docum ents/odihr/? 008112/3 565 6 en.pdf

[373] დანარათი 4: „საერთაშორისო ამნისტია," Civilians in the line offire: the Georgia-Russia conflict cited above, p. 34.

[374] დანარათი 5: „ადამიანის უფლებათა დაცვა," Georgia: Civilians Killed by Russian Cluster Bomb 'Duds', More Attacks Confirmed; Unexploded Ordnance Threatens Many, 19 აგვისტო, 2008. იხ.: http://ww w.hrw.org/fr/news/2008/08/ 19/e:eore:ia-civilians-killed-russian-cluster-bomb-duds

გადაადგილებული ბევრი მოქალაქისაგან, შეიცავს ცუდად მოპყრობისა და წამების მაგალითებს, მათ შორის:

მამაკაცის სასიკვდილოდ ცემა „ოსების“ მიერ სოფელ ტირძნისში;[375]
ორი მოქალაქის ცემა „ოსების“ მიერ გორში;[376]
სამი სოფლელის ცემა, რომლებიც ცდილობდნენ ქსუისში დაბრუნებას, სოფლიდან გამოქცევის შემდეგ;[377]
ქალის ცემა სოფელ თამარაშენიდან შვიდი ოსი ქალის მიერ, იმ დროს, როდესაც ჯარისკაცები იქვე იდგნენ და უყურებდნენ;[378]
მამაკაცის სახეში დაჭრა, როდესაც იგი უარს ამბობდა საკუთარი სოფლის, ქსუისის დატოვებაზე;[379]
სოფლის მცხოვრებისთვის ყურის მოკვეთა და ყბის გატეხვა თოფის კონდახით; [380]
წყალობა ხუცინაშვილის, 79 წლის მოხუცი მამაკაცის ცემა ძარხვის დროს ქურთაში;[381]
2008 წლის 11 აგვისტოს, 84 წლის მოხუცი მამაკაცის ცემა (გონების დაკარგვამდე) სოფელ ქვემო აჩაბეთში;[382]
2008 წლის 15 აგვისტოს, 78 წლის მოხუცი მამაკაცის ცემა სოფელ კარალეთში;[383]
2008 წლის 16 ნოემბერს, 83 წლის მოხუცი მამაკაცის ცემა სოფელ კორინთაში.[384]

---

[375] დანარათი 14: დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ბიურო (ODIHR), Human Rights in the War-affected Areas Following the Conflict in Ge01·gia, Warsaw, 27 ნოემბერი, 2008; გვ. 24 იხ.: http://www.osce.org /docum ent s/odihr/ ?008/ 12/ 35656 en.pdf

[376] თანახმად, გორის საავადმყოფოს მთავარი ექიმისა, რომელიც მკურნალობდა ორ პაციენტს.

[377] დანარათი 14: დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ბიურო ("ODIHR") (ODIHR)Human Rights in the War- affected Areas Following the Conflict in Georgia, Warsaw, 27 ნოემბერი 2008, გვ. 37. იხ.: http://w ww .osce . org/docum en ٬t s/odihr/ 2008/ I?/ 35656 en .pdf

[378] იქვე, გვ. 24.

[379] იქვე, გვ. 37.

[380] იქვე

[381] დანართი 16: მოწმის, წყალობა ხუცინაშვილის ჩვენება.

[382] დანარათი 3: „ადამიანის უფლებათა დაცვა,“ "Up in Flames : Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict Zone over South Ossetia", 22 იანვარი, 2009, გვ. 120, იხ.: http://www .hrw.org/en/reports/2009/01/22/flames-0

[383] იქვე, გვ. 121.

[384] იქვე, გვ. 150.

Human Rights Watch-ის მიერ აგრეთვე, დოკუმენტურად დადასტურდა ოსური ბანდფორმირებებისა და შეიარაღებული კრიმინალების მხრიდან მოქალაქეებზე განხორციელებული უამრავი თავდასხმისა და მუქარის ფაქტები, როგორც შეიარაღებული კონფლიქტის განმავლობაში, ასევე ოკუპაციის შემდგომ არსებულ პერიოდში.[385] უფრო მეტიც, თბილისის არასამთავრობო ორგანიზაციის ანგარიშში, რომელიც მუშაობს წამების მსხვერპლთა დახმარების საკითხებზე, კონფლიქტის ზონაში იდენტიფიცირებულია წამების მინიმუმ, 50 ინციდენტი.[386]

გაუპატიურება: საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ დაადასტურა, რომ იმ დროს, როდესაც არ არსებობდა კონფლიქტის პერიოდში ჩადენილი სისტემატური გაუპატიურების მტკიცებულებანი, ადგილი ჰქონდა გაუპატიურების რამდენიმე ფაქტს, რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების წევრებისა /და მათ კონტროლქვეშ მოქმედი მარიონეტული მებრძოლების მხრიდან. ამგვარი ინციდენტები მოიცავდა შემდეგს:

20 წლის გოგონას, მარიამ ს., ჯგუფური გაუპატიურება; იგი მიკროავტობუსიდან გაიტაცეს ქ. გორის მახლობლად, 2008 წლის 13 აგვისტოს;[387]

18 წლის გოგონას, ელისო ე., გაუპატიურება საკუთარ სახლში, ძარცვის დროს;[388]

დაკავებული ქალის გაუპატიურება ოთხი ადამიანის მიერ;[389]

ქალის ჯგუფური გაუპატიურება, რომელიც იმალებოდა ეკლესიაში, ქ. გორში;

დაპატიმრებული ქალის განმეორებითი გაუპატიურება მისი მცველების მიერ ცხინვალში;[390]

გატაცებული გოგონას გაუპატიურება ქ. გორში;[391]

---

[385] „ადამიანის უფლებათა დაცვა," Georgia: EU Mission Needs to Protect Civilians, In Security Vacuum, Freque nt Attacksand Pervasive Fear. Availab le at: http ://www.hrw.orelen!news/?008/09/15/£eore:ia-eu-J1lissio n-needs·protect-civ lians

[386] დანარათი 14: დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ბიურო (ODIHR), Human Rights in the War- affected Areas Following the Conflict in Georgia, Warsaw, 27 ნოემბერი 2008, გვ. 24. იხ.: http://www .osce.org/docum ents/odihr/2008/12/35656 en.pdf

[387] დანარათი 3: „ადამიანის უფლებათა დაცვა," "Up in Flames: Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict Zone over South Ossetia", 22 იანვარი, 2009, გვ. 159-160, იხ.: http://www.hrw.org/en/report s/2009/0l/22/flam es-O

[388] იქვე, გვ. I61-162.

[389] იქვე, გვ. 25.

[390] იქვე.

[391] იქვე.

მამაკაცი ჯარისკაცის გაუპატიურება.[392]

მოსახლეობის იძულება ეყურებინათ საკუთარი სახლების გადაწვისთვის. ეს იყო ფართოდ გავრცელებული და სისტემატური პრაქტიკა რუსი და მათ კონტროლქვეშ მყოფი მარიონეტული მებრძოლების მხრიდან; მოქალაქეებს აიძულებდნენ, ეყურებინათ საკუთარი სახლების გადაწვისთვის და თან ხელს უშლიდნენ ცეცხლის ჩაქრობაში. ანგარიშები ამ პრაქტიკის შესახებ მოიცავს შემდეგს:

> ODIHR -ის მიერ დოკუმენტურად დასაბუთებული შემთხვევები – „ოსები ხელს უშლიდნენ მოქალაქეებს ცეცხლის ჩაქრობაში, მოკვლის მუქარით;[393]
>
> სროლა სოფელ დისევის მცხოვრების მიმართულებით, რომელიც ცდილობდა ცეცხლის ჩაქრობას, მას შემდეგ რაც შეიარაღებულმა ძალებმა ცეცხლი წაუკიდეს მის სახლს;[394]
>
> Human Rights Watch-ის მიერ დოკუმენტურად დასაბუთებული შემთხვევები იმ მოქალაქეების შესახებ, რომლებსაც აიძულებდნენ ეყურებინათ საკუთარი სახლების ბოლომდე ჩაწვამდე.[395]

აღსანიშნავია, რომ როდესაც Amnesty International-ის დელეგატმა ჰკითხა რუსეთის არმიის ოფიცერს, თუ რატომ არ იღებდნენ ზომებს რუსების კონტროლის ქვეშ მყოფი მარიონეტული მებრძოლების მიერ გაჩენილი ცეცხლის ჩასაქრობად, მისი პასუხი იყო შემდეგი: „ეს არის პოლიტიკა.“ ეს განცხადება ნათლად მიუთითებს, რომ რუსეთის ფედერაციამ არ შეუშალა ხელი მის კონტროლქვეშ მყოფი მარიონეტული მებრძოლების მხრიდან მოქალაქეებისადმი ცუდ მოპყრობას.[396]

ცუდი მოპყრობა პატიმრობისას: დაახლოებით, 160 მოქალაქე ჰყავდა დაკავებული

---

[392] დანარათი 14: ODIHR, Human Rights in the War-affected Areas Foll owing the Conflict in Georgia cited above, p.25.

[393] იქვე.

[394] იქვე, გვ. 24.

[395] დანარათი 25: „ადამიანის უფლებათა დაცვა,“ Georgia: Satellite Images Show Destruction , Ethnic Attacks, Russia Should Investigate , Prosecute Crimes, 27 August 2008. იხ.: http: //www.hrw.ore:/en/news/2008/08/27/georgia-satellite-images-show-destruction-ethnic-attacks

[396] დანარათი 4 : Amnesty International , Civilians in the line offire: the Georgia-Russia conflict cited above.

სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო მთავრობას 2008 წლის 19 აგვისტოდან 27 აგვისტომდე, საქართველოს ხელისუფლებისთვის გადაცემამდე. [397] Amnesty International-ის წაარმომადგენელი ესაუბრა დაკავებულებთა პირველი ჯგუფის წევრებს, რომლებიც უნდა გათავისუფლებულიყვნენ 2008 წლის 21 აგვისტოს. გასაუბრებიდან ჩანს, რომ დაკავებულთა უმრავლესობას შეადგენდა ხანში შესული მოქალაქეები, რომლებიც ტყვედ იყვნენ აყვანილი აქტიური საომარი მოქმედებების დასრულების – 2008 წლის 13 აგვისტოს შემდეგ. ისინი ამბობდნენ, რომ ხშირად განიცდიდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას, არ ჰქონდათ დაძინების საშუალება, საბნები/გადასაფარებლები და ძირითადი საკვები.[398] შედარებით ახალგაზრდა დაკავებულები დღის განმავლობაში გაჰყავდათ პოლიციის შენობიდან, ცემდნენ და იძულებით აწმენდინებდნენ ცხინვალის ქუჩებს ნანგრევებისაგან, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე.

Human Rights Watch-მა დაადასტურა, რომ ბევრი დაკავებული მოქალაქე ჰყავდათ ცხინვალის დე-ფაქტო შინაგან სამინისტროს შენობის სარდაფში, დაახლოებით, ორი კვირის განმავლობაში უაღრესად დამამცირებელ პირობებში.[399] სარდაფები სავსე იყო დაკავებულებით, მათ ეძლეოდათ საჭმელისა და წყლის ძალიან მცირე რაოდენობა, არ ჰქონდათ დენი, განიცდიდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას, ცემას, იძულებით მუშაობას კომპენსაციის გარეშე, მოკლებულნი ელემენტარულ სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს.[400]

ოთხი მოქალაქე აგრეთვე, დაკავებული ჰყავდათ 2008 წლის 8-12 აგვისტომდე, ორ სხვადასხვა სამხედრო ბაზაზე, სადაც ისინი უმოწყალოდ სცემეს რუსი და რუსების კონტროლქვეშ მყოფი ბოევიკებმა, ვიდრე ცხინვალის შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში გადაიყვანდნენ.[401]

მოქალაქეების უკანონო დაკავება

---

[397] დანარათი 17: Human Rights Watch, Summary of Recommendations, იხ.: http://www.hrw.org/en/news/2008/10/20/summary-recommendations

[398] დანარათი 18: მოწმის, თინა ნებიერიძის ჩვენება.

[399] დანარათი 19 : Russia/Georgia : Investigate Abuse of Detainees , 21 September 2008, Available at http:// www.hrw.org/legacy/english/docs/2008/09/19/georgi19858.htm; ANNEX 3 : Human Rights Watch , "Up in Flames: Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict Zone over South Ossetia", 22 იანვარი, 2009, გვ. 173-184, იხ.: http://www.hrw.org/en/reports/2009/01/22/flames-0

[400] დანარათი 3 : „ადამიანის უფლებათა დაცვა," "Up in Flames: Humanitarian Law Violati.ons and Civilian Victims in the Conflict Zone over South Ossetia", 22 იანვარი, 2009, გვ. 173-184, იხ.: http://www .hrw .org/en/reports/2009/0 1/22/flam es-0

[401] იქვე, გვ. 182-184.

ორ კვირის განმავლობაში დაკავებული იყო დაახლოებით, 160 მოქალაქე, მათ შორის, ქალებიც,[402] რომლებიც დაატყვევეს რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულმა ძალებმა და მათ კონტროლქვეშ მოქმედმა მარიონეტულმა მებრძოლებმა. ამ დროის განმავლობაში, ისინი განიცდიდნენ თავისუფლების უკანონო შელახვას. დაკავებული პირები, ძირითადად მოხუცები, რომლებიც ვერ გაიქცნენ კონფლიქტის პერიოდში, დატყვევებულნი იყვნენ რუსეთის საოკუპაციო ძალებისა და მათი თანამებრძოლების მიერ ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან. მათი მცირე რაოდენობა დაკავებული იყო 2008 წლის 10 აგვისტოს, მალევე ქართული ჯარების უკან დახევის შემდეგ, მაგრამ დაკავებულთა უმრავლესობა დატყვევებული იყო 2008 წლის 13 აგვისტოს ან მას შემდეგ, მათ სოფლებზე განხორციებული ძარცვის დროს. საქართველოს ხელისუფლებისათვის გადაცემამდე, 2008 წლის 19-დან 27 აგვისტომდე, მანამ სანამ საქართველოს ხელისუფლებას გადასცემდნენ, ამ მოქალაქეთა უმრავლესობას ამყოფებდნენ ცხინვალში, ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობის სარდაფში, საშინლად დამამცირებელ პირობებში. ეს შემთხვევები დოკუმენტურად დასაბუთებული ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების მიერ, როგორიცაა Human Rights Watch, [403] Amnesty International“ [404] და ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ბიური.[405]

ყოფილი დაკავებულების განცხადებები ნათლად მიუთითებს დატყვევების გარემოებებზე. **ანა დათაშვილი** იხსენებს:

> მათ [რუსმა და ოსმა ჯარისკაცებმა, რომლებიც შემოვიდნენ სოფელ თამარაშენში] წაგვიყვანეს ცხინვალში და ჩაგვსვეს ციხეში. იქ ვნახე დაახლოებით, 200 ქართველი, ძირითადად, მოხუცები, ქალებიცა და კაცებიც. მე მომათავსეს კამერაში, რომელიც იყო დაახლოებით, 30 კვ. მ. ჩემთან ერთად

---

[402] დანარათი 20: დაკავებული მოქალაქეების სია, რომელიც გვიჩვენებს მათი დაბადების თარიღს, ადგილს, საცხოვრებელ ადგილს და დაკავებას. აგრეთვე, იხ.: დანართი 15: მოწმის, ლიზა გოგაშვილის ჩვენება და დანართი 2: მოწმის, ზაირა ხეთაგაშვილის ჩვენება.

[403] დანარათი 19: Russia/Georgia: Investigate Abuse of Detainees, September 21, 2008, იხ.: http://www.hrw.org/legacy/english/docs/2008/09/19/georgi19858.htm; იხ. დანართი 3 : Human Rights Watch, "Up in Flames: Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict Zone over South Ossetia", 22 იანვარი 2009, გვ. 173-184, იხ.: http://www.hrw.org/en!reports/2009/0 l/22/flames-0

[404] დანარათი 4: Civilians in the Line of Fire: the Georgia·Russia conflict” of ნოემბერი 18, 2008, იხ.:: http://www.amnestv.org/en/lib;arv/asset/EUR04/005/2008/en/d9908665-ab55·11dd-a4cd-bfa0fdea9647/eur04005?008enQ.pdf

[405] დანარათი 14 :Human Rights in the War Affected Areas-Following the Conflict in Georgia, 27 ნოემბერი 2008, იხ.: http://www.osce.org/documents /odihr/2008/12/35656en.pdf.

> კამერაში იყო 30 ქალი. 200 ქართველში იყო 15 ახალგაზრდა კაცი. ყოველ დილით ისინი გაჰყავდათ და აიძულებდნენ ქალაქი დაესუფთავებინათ. ქართველი მამაკაცების უმრავლესობაზე შეიმჩნეოდა სხეულის დაზიანებები.[406]

ენვერ ბაბუციძე აღწერს პოლიციის შენობას, სადაც ისინი ჰყავდათ დაკავებული:

> ჩემი შეფასებით, ციხეში 200-ზე მეტი მძევალი იყო, მათ შორის, ბევრი ქალი. როდესაც მძევალთა რიცხვი ისე გაიზარდა, რომ კამერებში ყველას მოთავსება შეუძლებელი გახდა, ისინი პატიმრებს დერეფნებშიც ათავსებდნენ. ზოგ ჩვენგანს ისინი აგრეთვე, ათავსებდნენ გარეთ მოწყობილ ბანაკებში. ოსი მცველები გვეუბნებოდნენ, რომ ჩვენ ვიყავით მძევლები, ვიდრე და არ მოხდებოდა მძევლების გაცვლა.[407]

ყოფილი დაკავებული **გულნარა ჯახველაძე** მოგვითხრობს:

> ჩვენ შევხვდით სამხედრო ფორმიან პირს, რომელმაც გვითხრა, რომ უნდა გავყოლოდით მას პოლიციაში, სადაც ისინი დაგვარეგისტრირებდნენ და გაგვიშვებდნენ. როგორც კი, მივედით პოლიციაში, მათ ჩამოგვართვეს დოკუმენტები, ფიჭური ტელეფონები და სხვა საკუთარი ნივთები. პოლიციის ოფიცრები იყვნენ ოსები. შემდეგ მათ ჩაგვიყვანეს დაკავების იზოლატორებში.[408]

რუსი ჯარების უშუალო მონაწილეობა დაკავებებში დასტურდება **მინიმუმ,** ერთი ყოფილი დაკავებულის მიერ. **ენვერ ბაბუციძე** იხსენებს, თუ როგორ ცემეს მას და მის მეზობელს სოფელში შემოსულმა რუსმა ჯარისკაცებმა და როგორ წაიყვანეს ცხინვალში.

> მე და ვაჟა გავემართეთ ცხინვალისაკენ ფეხით, რუსი და ოსი ჯარისკაცების დაცვის ქვეშ. ჯარისკაცების რაოდენობა მერყეობდა 5-დან 20-მდე, რადგან

---

[406] დანარათი 21: მოწმე, ანა დათაშვილის ჩვენება.

[407] დანარათი 22: მოწმე, ენვერ ბაბუციძის ჩვენება.

[408] დანარათი 23 : მოწმე, გულნარა ჯახველაძის ჩვენება.

ჯარისკაცები მოდიოდნენ და მიდიოდნენ. მათი ხელმძღვანელი იყო რუსეთის არმიის ლეიტენანტი. ცხინვალის გზაზე ჯარისკაცებმა დაინახეს ჩემი მეზობლები, რომლებიც იდგნენ თავიანთი სახლების წინ. ჯარისკაცებმა ისინიც დააკავეს და ჩასვეს „ჟიგულის“ მარკის მანქანაში. ცოტა სიარულის შემდეგ, ჩემმა დამტყვევებლებმა გააჩერეს „ვილისის“ მარკის მანქანა და რუსმა ლეიტენანტმა გვიბრძანა მე და ვაჟას მანქანაში ჩაჯდომა. მანქანაში იყო ორი ოსი ჯარისკაცი. ერთმა მათგანმა თქვა: „ჩვენ ვაპირებთ ამ ქართველების მოკვლას.“ მე შევემზადე, რომ მომკლავდნენ, მაგრამ მეორე ჯარისკაცმა თქვა, რომ ისინი არ მოგვკლავდნენ ჩვენ და წაგვიყვანეს ცხინვალში.[409]

იგი ადასტურებს რუსი ჯარისკაცების აქტიურ მონაწილეობას საპატიმროებს შიგნით და გარეთ. ასევე აღნიშნავს, რომ დაკავებულების დაკითხვებს აწარმოებდნენ რუსი ოფიცრები. უფრო მეტიც, იგი იხსენებს, რომ სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო მარიონეტული რეჟიმის შინაგან საქმეთა მინისტრი მიხეილ მინძაევი (რუსული პოლიციის პოლკოვნიკი) ბრძანებებს აძლევდა ხალხს, მათ შორის, მძევლების სხვადასხვა ადგილებზე გადაყვანის თაობაზე და შემდეგ აღწერს, რომ დაინახა ბატონი მინძაევი, როგორ ელაპარაკებოდა რუსი სამშვიდობოების მეთაურს, გენერალ კულახმატოვს დაკავებულთა თვალწინ.[410]

არასამთავრობო ორგანიზაციები, როგორიცაა მაგალითად, Human Rights Watch, აგრეთვე, აღნიშნავენ რუსეთის ჯარისკაცების უშუალო მონაწილეობას დაკავებებში.

ოსეთის დე-ფაქტო შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გადაცემამდე, მინიმუმ, ოთხი ქართველი მოქალაქე სცემეს რუსეთის სამხედრო ძალებმა და ამყოფებდნენ ბნელ ორმოში, რომელიც აღმოჩნდა რუსული საველე ბაზა.[411]

დამატებით OSCE ODIHR-ის (ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანთა უფლებების დაცვის ბიურო) მიერ დოკუმენტურად დადასტურებულია რუსეთის ფედერაციის მოხელეების უშუალო მონაწილეობა დაკითხვებში და დაკავებულთა ზედამხედველობაში,

---

[409] დანართი 22: მოწმე, ენვერ ბაბუციძის ჩვენება.

[410] იქვე.

[411] დანართი 19: Russia/Georgia: Investigate Abuse of Detainees, September 21, 2008, იხ.: :http://www.hrw.org/legacy/english/docs/2008/09/19/georgi19858.htm

ცხინვალის საპატიმროში.[412]

ძარცვა

ორგანიზაციას – Human Rights Watch დოკუმენტურად აქვს აღწერილი ძარცვისა და მოქალაქეთა სახლების გადაწვის სისტემატური ფაქტები, რომლებიც ხორციელდებოდა რუსეთის კონტროლქვეშ მყოფი მარიონეტული მებრძოლების მიერ სოფლებში: თამარაშენი, ზემო აჩაბეთი, ქვემო აჩაბეთი, ქურთა, ტყვიავი, ტირძნისი, დვანი, კოშკა, მეღვრეკისი, ნიქოზი, კარალეთი, კნოლევი, ავლევი, წერონისი და კეხვი.[413] ამის მაგალითად შეიძლება დასახელდეს შემდეგი: ქალმა დაინახა, თუ როგორ ძარცვავდა მის სახლს „ოსების“ ჯგუფი, რომლებსაც ეცვათ თეთრსამკლავურიანი სამხედრო ფორმები. კაცებმა მოიპარეს მისი მანქანა, დატვირთეს იგი მეზობელი სახლიდან გამოტანილი ავეჯით და წავიდნენ. როდესაც ქალი გაიქცა სოფლიდან, დაინახა, თუ როგორ ანადგურებდნენ და ძარცვავდნენ მაღაზიებსა და სახლებს „ოსი“ ჯარისკაცები, რომლებსაც იცავდნენ რუსული ჯარები.[414]

ორგანიზაციამ Amnesty International აგრეთვე, აღნიშნა, რომ რუსული ჯარები უყურებდნენ რუსეთის კონტროლქვეშ მოქმედ ბოევიკებს და შეიარაღებულ პირებს, როდესაც ისინი ანადგურებდნენ და ძარცვავდნენ სოფლებს, ემუქრებოდნენ და აბუჩად იგდებდნენ იქ დარჩენილ მოსახლეობას.[415] ამგვარი ქმედებები მასშტაბურად, რამდენიმე კვირის განმავლობაში საომარი მოქმედებების ოფიციალურად შეწყვეტის შემდეგაც გრძელდებოდა; ამგვარად, რუსეთის ხელისუფლება ვერ ასრულებდა თავის მოვალეობას – აღეკვეთა რუსეთის

[412] დანართი 14: Human Rights in the War Affected Areas Following the Corrflict in Georgia, 27 ნოემბერი, 2008, იხ.: http://www.osce.org/documents/odihr/2008/12/35656 en.pdf

[413] დანართი 25 : „ადამიანის უფლებათა დაცვა,“ (HRW), Georgia: Satellitdmages Show Destruction. Ethnic Attacks, იხ.: http:1/wviVv Jrrw.org/en/news/2008/08/27/georgia-sate!!ite-images-show-destructi 0n-ethni c-attack.s; აგრეთვე, იხ.: დანართი 3: Human Rights Watch, "Up in Flames: Humanitar ian Law Violations and Civilian Victims in the Conflict Zone over South Ossetia", 22 იანვარი, 2009, გვ. 130-142; 164-169. იხ.: http://www .hrw.orglen/reports/2009/01/22/flames-0 ·

[414] დანართი 14 : ODIHR, Human Rights in the War:.affected Areas Following the Conflict in Georgia cited above, p.44.

[415] დანართი 4: Amnesty International 'Civilians in the Line of Fire', p.32.

კონტროლქვეშ მყოფი მარიონეტული მებრძოლებს მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევები.[416] ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაგალითია 2008 წლის 26 აგვისტოს, სოფელ ერედვში შეიარაღებული ჯგუფის მიერ განხორციელებული ძარცვა, [417] რომლის მოწმენიც იყვნენ Amnesty International-ის წარმომადგენლები იმის ფონზე, რომ რუსეთის სამხედრო ტექნიკა აგრძელებდა სოფელში მიმოსვლას და რუსული საკონტროლო გამშვები პუნქტები აკონტროლებდა სოფელში შემოსვლას და გასვლას. ერთ-ერთმა პირმა, რომელიც როგორც ჩანს, რუსული არმიის ოფიცერი იყო ჩრდილოეთ ოსეთიდან, სთხოვა წარმომადგენლებს, რომ არ მოეხსენებინათ მათთან შეხვედრის შესახებ, ხოლო როდესაც წარმომადგენლებმა ჰკითხეს მას, თუ რატომ არ იღებდნენ ისინი ზომებს ცეცხლის ჩასაქრობად, მან უპასუხა: „ეს არის პოლიტიკა.“[418]

ეუთო-ს ODIHR-მ (დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანთა უფლებების დაცვის ბიურო) ანგარიშში წარმოადგინა სამოქალაქო მოსახლეობით დასახლებული სოფლების ძარცვისა და გადაწვის ფაქტები, როგორიცაა ქურთა, ვანათი, ჭარები, საცხენისი, კეხვი, იკოთი, ნული, ტყვიავი და ზემო ნიქოზი. სოფლის მოსახლეობამ ადამიანთა უფლებების დაცვის დამხმარე მისიას ("HRAM") აღუწერა, თუ ძარცვის რა ფაქტები ხდებოდა რიგ შემთხვევებში, დაბომბვის შეწყვეტის შემდეგ და რიგ შემთხვევებში 2008 წლის 12 აგვისტოს, ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ. ძარცვაში ტიპურად იკვეთება რუსული ტანკების როლი, რომლებიც შემოდიოდნენ სოფლის ტერიტორიაზე და ასევე, რუსეთის კონტროლს დაქვემდებარებული მარიონეტული მებრძოლები, რომლებიც ოს მოქალაქეებთან ერთად შედიოდნენ სახლებსა და მაღაზიებში. პროტესტის შემთხვევაში ემუქრებოდნენ სოფლელებს და მიჰქონდათ მათი ავეჯი, მიჰყავდათ მათი საქონელი, ხოლო შემდეგ ბრუნდებოდნენ და წვავდნენ სახლებს. [419] მოწმეები იხსენებდნენ, რომ რუსული ძალები მათ ან „უბრალოდ ძარცვის ნებას აძლევდნენ,“ ან მათთან ერთად მონაწილეობდნენ

---

[416] იქვე.

[417] ერედვიდან მცხოვრებლები მოგვითხრობენ, თუ როგორ ძარცვავდნენ ბანდფორმირებები სახლებს, სანამ გადაწვავდნენ. ერთ-ერთი კაცი ჩიოდა, რომ მძარცველებმა არა მარტო მათი ავეჯი და საყოფაცხოვრებო ტექნიკა, არამედ ტრაქტორი და მოსავალი წაიღეს. მან და მისმა ცოლმა დაინახეს, თუ როგორ ტოვებდა სოფელს ნაძარცვით დატვირთული ტანკები და მანქანები. ODIHR, Human Rights in the War-affected Areas Following the Conflict in Georgia cited above, p. 44.

[418] დანარათი 4 :Amnesty International ‘Civilians in the Line o Fire, p.43.

[419] დანარათი 14 : ODIHR, Human Rights in the War-affected Areas Following the Conflict in Georgia cited above, p. 28, 44-45.

ძარცვაში, [420] იყოფდნენ ნაძარცვს, ხოლო რისი წაღებაც არ შეეძლოთ, ანადგურებდნენ. [421] ეუთო-ს ადამიანთა უფლებების დამხმარე მისიის წარმომადგენლები თავად გახდნენ ავნევსა და ნულში, ასევე ცხინვალის ჩრდილოეთით მდებარე სოფლებში განხორციელებული ძარცვის მოწმენი, სადაც რუსეთის პოლიციის ოფიცრები, რუსული სამხედრო მანქანები არც კი ცდილობდნენ ძარცვის შეჩერებას.[422]

ქონების განადგურება

დამოუკიდებელი საერთაშორისო ორგანიზაციები, თვითმხილველების მტკიცებულებანი და თანამგზავრით მიღებული ინფორმაცია ადასტურებს, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ დაპყრობილმა და ოკუპირებულმა რამდენიმე დასახლებამ ძალიან სერიოზული ნგრევა განიცადა.[423] ეს ნგრევა გამოწვეული იყო ქონების გამიზნული გადაწვითა, ქაოტური დაბომბვებითა და სროლებით.

2008 წლის 19 აგვისტოს, სატელიტური ინფორმაციით, რომლის ანალიზიც UNOSAT-ის [424] ექსპერტების მიერ ჩატარდა, დადგინდა ყველაზე შესამჩნევად დანგრეული ან ძლიერ დაზიანებული შენობები. [425] მაგალითად, თამარაშენში, UNOSAT-ის ექსპერტებმა დაითვალეს 177 დანგრეული ან ძლიერ დაზიანებული შენობა; ქვემო აჩაბეთში არის 87 დანგრეული და 28 ძლიერ დაზიანებული შენობა, ზემო აჩაბეთში 56 დანგრეული და ძლიერ დაზიანებული შენობა; ქურთაში 123 დანგრეული და 21 ძლიერ დაზიანებული შენობა; კეხვში 109 დანგრეული და 44

---

[420] მაგალითისათვის, არასამთავრობო ორგანიზაცია იუწყებოდა, რომ სოფელ ტყვიავში ტანკმა დაანგრია მაღაზიის კედელი. ჯარისკაცებმა გაიტაცეს, რაც მათ სურდათ და ადგილობრივებს უთხრეს, რომ მათ შეეძლოთ დარჩენილის აღება. აგრეთვე, იხ.: ანგარიშები რუსულ და ოსურ ძალებზე, რომლებიც ერთად მაროდიორებდნენ, ანგრევდნენ, ემუქრებოდნენ და სცემდნენ მოქალაქეებს სოფლებში: ქვემო აჩაბეთი, კარალეთი და კოშკა. იხ.: დანართი 3: Human Rights Watch , "Up in Flames: Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict Zone over South Ossetia", 22 იანვარი 2009, გვ.120- 123, იხ.: http://www .hrw.org/en/reports/2009/0 1122/flames-0

[421] დანარათი 14 : ODIHR, Human Rights in the War-affected Areas Following the Conflict in Georgia cited above, p . 45.

[422] იქვე.

[423] დანართი 4 : „საერთაშორისო ამნისტია,“ "Civilians in the Line of Fire", გვ. 40.1

[424] http://unosat.web.cemch /unosat/

[425] დანარათი 26: UNOSAT გამოსახულებები.

ძლიერ დაზიანებული შენობა; ქემერტიში 58 დანგრეული და 20 ძლიერ დაშავებული შენობა და ძმისემში 29 დანგრეული და 10 ძლიერ დაზარალებული შენობა.[426]

სატელიტური ინფორმაციით ნათელია, რომ ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში სოფლების განზრახ გადაწვები უფრო ინტენსიურია, ვიდრე შეიარაღებული საომარი მოქმედებებით გამოწვეული დაზიანებები.[427] გამოსახულებები ამყარებს რეგიონში მომუშავე ადამიანის უფლებათა დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მიღებულ მტკიცებულებას.[428] UNOSAT-ის ვებგვერდზე საჯაროდ ხელმისაწვდომია რუკა, რომელიც აღნიშნავს თანამგზავრით აღმოჩენილ აქტიური ხანძრის ადგილმდებარეობებს მოქალაქეთა სოფლებში, ცხინვალის ირგვლივ 2008 წლის 10, 12, 13, 17, 19 და 22 აგვისტოს.[429] რუკაზე აღნიშნულია აქტიური ხანძრები ამ სოფლებში 2008 წლის 10, 12, 13, 17, 19 და 22 აგვისტოს, 10 აგვისტოს აქტიური საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ.[430] გამოსახულებები მკაფიოდ აჩვენებს, რომ განადგურებების უმრავლესობა ხუთ სოფელში – თამარაშენში, კეხვში, ქვემო აჩაბეთში, ზემო აჩაბეთში და ქურთაში გამოწვეული იყო განზრახ გადაწვით.[431]

საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციების შეფასებით, დაახლოებით, 300-დან 500-მდე სახლი რუსეთის მიერ „ბუფერულად“ გამოცხადებულ ზონაში სპეციალურად იყო გადამწვარი,[432] ხოლო დაახლოებით, 2000 სახლი სხვა მიზეზით

---

[426] დანართი 25: „ადამიანის უფლებათა დაცვა“ (HRW), Gem·£ia: Satellite Im a£es Show Destruction. Ethnic Attack s, available at: http ://w ww .hrw .or£/ en/ new s/ 200 8/08/ 27/ georgia- sate!!ite-ima£es- sho w -destructi on-ethnic-attacks

[427] იქვე.

[428] იქვე.

[429] იხ.: ANNEX 26.

[430] იქვე.

[431] იქვე.

[432] დანართი 27: რუსეთის მიერ ბუფერულად გამოცხადებული ზონის რუკა. ბუფერულ ზონაში შედის შემდეგი სოფლები: ვარიანი, ნიქოზი, ხვითი, ერგნეთი, შინდისი, ფხვენისი, კარალეთი, ტყვიავი, ტირძნისი, კოშკა, მერეთი, ძევერა. ეს სტატისტიკა დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის მიერ „ბუფერულ ზონაში“ 2008 წლის 10 და 13 ოქტომბერს ჩატარებული კვლევით, რის შედეგადაც გამოვლინდა 463 გადამწვარი სახლი გორის რაიონში და 115 – ქარელის რაიონში.

იყო დაზიანებული კონფლიქტის პერიოდში.[433] რეალურად, ეუთო-ს ადამიანთა უფლებების დამხმარე მისიის წევრებმა „ბუფერული ზონის“ დათვალიერებისას, დათვალეს დაახლოებით, ბოლო დროს გადამწვარი 140 სახლი, რომელთაგან არც ერთს არ ჰქონდა საომარი მოქმედების კვალი. ყველა შემთხვევაში, ბუფერული ზონის შიგნით და გარეთ სახლებს ეტყობოდა, რომ გაძარცული იყო, ვიდრე ცეცხლს წაუკიდებდნენ.[434] ასევე განზრახ იყო გადამწვარი სკოლები ჭარებში, ბელოტში და ნულში.[435]

Human Rights Watch-ის ანგარიშში ნათქვამია, რომ სახლები თითქმის მთლიანად იყო გადამწვარი სოფლებში: თამარაშენი, ზემო აჩაბეთი, ქვემო აჩაბეთი, ქურთა, კეხვი, ერედვი, ვანათი, ავნევი, ნული, ბელოთი, საცხენეთი, აცირისხევი და დისევი.[436]

რუსეთის შეიარაღებული ძალების მეთაურმა ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში აღიარა, რომ შეიარაღებული ძალებისთვის ცნობილი იყო სახლების გადაწვისა და ძარცვის შემთხვევები, მაგრამ მათ არ შეეძლოთ ძარცვის შეჩერება.[437] თუმცა, თვითმხილველები სხვა ამბავს ჰყვებიან. სოფელ ნულის ერთ-ერთი თვითმხილველი ყვებოდა, რომ რუსული ჯარები თან ახლდნენ მათს კონტროლქვეშ მყოფ მარიონეტულ მებრძოლებს და ეხმარებოდნენ ძარცვაში და ცეცხლის წაკიდებაში. ანალოგიურად სოფელ ვანათაში, როგორც ერთ-ერთი თვითმხილველი აღნიშნავს, რუსული ტანკები და ჯარები იდგნენ იქვე, როდესაც „ოსები“ სახლებს უკიდებდნენ ცეცხლს.[438] დაბოლოს,

---

[433] დანარათი 14: დემოკრატიული ინსიტუტებისა და ადამიანთა უფლებების დაცვის ბიურო (ODIHR), Human Rights in the War-affected Areas Following the Conflict in Georgia, Warsaw, 27 ნოემბერი 2008 pp. 22–24. ხელმისაწვდომია: http ://www .osce.org/docum ents/odihr/2008/12/35656 en. pdf

[434] ODIHR, ადამიანის უფლებების დაცვის ორგანიზაციამ კონფლიქტის შედეგად ომით დაზარალებულ რაიონებში, Amnesty International-ის მკვლევარებმა ჩაატარეს ანალოგიური დაკვირვებები გზებზე ცხინვალიდან ჯავისაკენ. 2008 წლის 27 აგვისტოს: ‘Civilians in the Line of Fire, p.42.

[435] დანარათი 14: ODIHR, Human Rights in the War-affected Areas Following the Conflict in Georgia cited above, p. 43.

[436] დანარათი 3: Human Rights Watch, "Up in Flames: Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict Zone over South Ossetia", 22 იანვარი, 2009, გვ. 130-142, იხ.: http://www.hrw.org/en/repOlis/2009 /01/22/flames-0

[437] დანარათი 14: ODIHR, Human Rights in the War-affected Areas Following the Conflict in Georgia cited above, p.46

[438] დანარათი 14: ODIHR, Human Rights in the War-affected Areas Following the Conflict in Georgia cited above, p. 43.

ქსუისიდან გადაადგილებული პირი აღნიშნავს, რომ რუსები უშუალოდ მონაწილეობდნენ ხუთივე სახლის გადაწვაში.[439]

იძულებით გადაადგილებული პირები აცხადებენ, რომ უყურებდნენ საკუთარი სახლების გადაწვას სოფლებში: მეღვრეკისი,[440] ტირძნისი,[441] ერგნეთი,[442] დისევი,[443] ზემო ხვითი,[444] კარალეთი,[445] საცხენეთი, ატრისხენი და ფრისი.[446]

ისინი იხსენებენ, რომ ცეცხლის წაკიდებას იწყებდნენ რუსეთის კონტროლქვეშ მყოფი მარიონეტული მებრძოლები, რომლებიც საწოლებზე ალაგებდნენ წითელ აალებად ნივთიერებას და შემდეგ ცეცხლს უკიდებდნენ.[447] ამ მხრივ, ძალიან დაზარალდა სოფლები: კეხვი,[448] ქურთა, ქვემო აჩაბეთი, ზემო აჩაბეთი, თამარაშენი,[449] ერგნეთი, ქემერტი, ბერულა და ერედვი.[450]

ეუთო-ს ადამიანთა უფლებების დამხმარე მისიის (HRAM)თანახმად, ზოგი სახლი ასევე დაინგრა საჰაერო დაბომბვის ან პისტოლეტიდან სროლის შედეგად.[451] ეუთო-ს ადამიანთა უფლებების დამხმარე მისიის წევრებმა დაადგინეს, რომ სოფლებში:

---

[439] იქვე.

[440] იქვე, გვ. 28. სადაც 15 სახლი იყო დამწვარი, ODIHR

[441] იქვე. სადაც 20 სახლი იყო დამწვარი.

[442] იქვე. სადაც 100 სახლი მთლიანად დაინგრა გადაწვის გამო და 30 ხანძრით დაზარალდა.

[443] იქვე. რომელიც თითქმის მთლიანად გადაიწვა.

[444] იქვე. სადაც სახლების უმეტესობა იყო დამწვარი.

[445] იქვე. სადაც ზოგი სახლი დაიწვა, ზოგი გადარჩა.

[446] იქვე, გვ. 43.

[447] იქვე, გვ. 42.

[448] იქვე, გვ. Kekhvi village, according to a f01mer resident, was "a mass of burnt ruins" by the time she left. Tamarasheni village , according to one individual, had so many burning houses that it was impossible to count

[449] them.

[450] For satellite imagery of the damage to these villages see UNOSAT, 'Village damage summary: Kekhvi to Tskhinvali, South Ossetia, Georgia, .

http://u nosat.web.cern.ch/unosaUfreeproducts / Geore:ia!Russia ConflictAug:08/UNOSAT GEO Villa£e Damag:e Summarv Tskhinvali 19aue:08 Lowres.pdf

[451] ANNEX 14: ODIHR, Human Rights in the War-affected Areas Following the Conflict in Georgia cited above, p. 28

დვანში, ქვემო ნიქოზში, ზემო ნიქოზში, ზემო ქვითში, მეღვრეკისში და ერგნეთში სახლები დაზიანებული იყო ბომბებით და პისტოლეტით[452]

საქართველოს მთავრობის მიერ „ბუფერულ ზონაში“ ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა 463 გადამწვარი სახლი გორის რაიონში და 115 - ქარელის რაიონში. .

ბევრი იძულებით გადაადგილებული პირი ადასტურებდა, რომ მათი სახლები განზრახ იყო გადამწვარი. სოფელ მეღვრეკისში მოწმეების თანახმად, 15 სახლი იყო დამწვარი, ხოლო ტირძნისში დაახლოებით, 20 სახლი. სოფლებიდან ყველაზე დაზარალებული იყო ერგნეთი, სადაც იძულებით გადაადგილებული პირები აცხადებდნენ, რომ 100 სახლი იყო დანგრეული ცეცხლით და კიდევ, 30 სახლი დაზიანებული. ერთ-ერთი იძულებით გადაადგილებული პირი აღწერდა, თუ როგორ ძარცვავდნენ მის სახლს რუსეთის კონტროლქვეშ მყოფი მარიონეტული მერბძოლები და შემდეგ როგორ წაუკიდეს ცეცხლი.[453] ზემო ხვითი კიდევ ერთი სოფელია, სადაც სახლები განზრახ იყო გადამწვარი. რამდენიმე სახლი იყო გადამწვარი კარალეთში, ზოგი კი გადარჩა.[454]

თამარაშენში, UNOSAT-ის ექსპერტებმა დაითვალეს 177 დანგრეული და დაზიანებული შენობა, უმთავრესად, სოფელში. ქვემო აჩაბეთში არის 87 დანგრეული და 28 ძლიერ დაზიანებული შენობა (სულ, 115); ზემო აჩაბეთში – 56 დანგრეული და 21 ძლიერ დაზიანებული შენობა (სულ 77); ქურთაში – 123 დანგრეული და 21 ძლიერ დაზიანებული შენობა (სულ, 144); კეხვში – 109 დანგრეული და 44 ძლიერ დაზიანებული შენობა (სულ, 153); ქემერტში – 58 დანგრეული და 20 ძლიერ დაზიანებული შენობა (სულ, 78) და ძარწემში 29 დანგრეული და 10 ძლიერ დაზიანებული შენობა (სულ, 39).[455]

ეუთო-ს ადამიანთა უფლებების დამხმარე მისია ესტუმრა ერედვს და დაადასტურა, რომ სოფელი ძალიან იყო დაზიანებული. ბევრი მოწმე აღწერდა, თუ როგორ დებდნენ საწოლებზე აალებად წითელ ნივთიერებას და შემდეგ ცეცხლს უკიდებდნენ. განზრახ გაჩენილმა ცეცხლმა სოფელი ისე დააზიანა, რომ ერთმა

[452] ANNEX 14: ODIHR, Human Rights in the War-affected Areas Following the Conflict in Georgia cited above, p. 28.
[453] ANNEX 14: ODIHR, Human Rights in the War-affected Areas Following the Conflict in Georgia cited above, p. 28.
[454] ANNEX 14: ODIHR, Human Rights in the War-affected Areas Following the Conflict in Georgia cited above, p. 28.
[455] ANNEX 25: Human Rights Watch (HRW), Geon:da: Satellite Images Show Destruction. Ethnic Attacks, available at: http://www .hrw.oi·gf en/n e\vs/ 200 8/08/2 7Ie:eor£i a-sate! lite-im ae:es-sh ow -destru cti on-ethnic-attacks

იძულებით გადაადგილებულმა პირმა თქვა: „ახლა აღარ არსებობს სოფელი სახელად ერედვი.“ იძულებით გადაადგილებული პირები ყველა დაზიანებულ სოფელში მსგავს შემთხვევებზე საუბრობდნენ განზრახ დანგრეულ სოფლებთან დაკავშირებით, რასაც ახორციელებდნენ რუსეთის კონტროლქვეშ მოქმედი მარიონეტული მებრძოლები, რომლებიც თან ახლდნენ რუსეთის შეიარაღებული ძალებს.[456] სახლების გადაწვისა და ძარცვის შემთხვევებს, ძირითადად, ადგილი ჰქონდა ცხინვალის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით მდებარე ქართულ სოფლებში. განსაკუთრებით, დაზარალდნენ სოფლები: კეხვი, ქურთა, ქვემო აჩაბეთი, ზემო აჩაბეთი, თამარაშენი, ერგნეთი, ქემერტი, ბერულა და ერედვი.[457]

ეუთო-ს ადამიანთა უფლებების დამხმარე მისიის წარმომადგენლები გაესაუბრნენ სხვადასხვა პირს, რომლებიც იხსენებდნენ ინტენსიური და დამანგრეველი დაბომბვების შესახებ, რომლებსაც კონფლიქტის პერიოდში ახორციელებდნენ რუსეთის კონტროლქვეშ მოქმედი მარიონეტული მებრძოლები. დაბომბვის შედეგად დანგრეულ შენობებს შორის იყო საბავშვო ბაღი სოფელ ქურთაში; ცხინვალის რეგიონის დროებითი ადმინისტრაციული შენაერთის [458] ყოფილი მეთაურის, დიმიტრი სანაკოევის მშობლიური სოფელი ასევე, ძლიერ იყო დაბომბილი, განსაკუთრებით, სანაკოევის სახლის მახლობლად. ბომბები აგრეთვე, დაეცა თამარაშენის, ჭარებისა და ნულის სამოქალაქო ობიექტებს. საჰაერო დაბომბვებით ძლიერ დაზიანდა სოფლები: ზემო აჩაბეთი, ქვემო აჩაბეთი, ძარცევნი, ხეითი, ავნევი და ოკონა. სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო მთავრობა ადასტურებს რამდენიმე სოფლის ნგრევას, რომელიც განხორციელდა ოსი და რუსული ძალების მიერ კონფლიქტის პერიოდში.[459]

დაბომბვის შემდეგ, ფორმიანმა ოსებმა, ისევე როგორც ოსმა მოქალაქეებმა, რომლებიც თან ახლდნენ რუსული ძალებს შემოტევებისას, წამოიწყეს საცხოვრებელი სახლებისა და სხვა სამოქალაქო ობიექტების სისტემატური

---

[456] დანარათი 14:ODIHR, Human Rights in the War-affected Areas Following the Conflict in Georgia cited above, p. 42.

[457] ამ სოფლების დაზიანებაზე სატელიტური ინფორმაციისათვის იხ.: UNOSAT, 'Villagedamage summary:Kekhvi to Tskhinvali, South Ossetia, Georgia,

http://linosat.web.cem.chluno satlfreeproducts/Georgia!Russia_ConflictAug08/UNOSAT_GEO_Village_Damage_Sum

mary_Tskhinvali_19aug08_Lowres.pdf

[458] დროებითი ადმინისტრაცია შექმნილია კანონის – „სათანადო პირობების შექმნა კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირებისთვის სამხრეთ ოსეთის ყოფილ ავტონომიურ ოლქში“ შესაბამისად. მისი ფუნქციები მოიცავს ღონისძიებებისა და გეგმების შემუშავებას კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებაში წვლილის შესატანად.

[459] დანარათი 14: ODIHR, Human Rightsin the War-affected Areas Following the Conflict in Georgia cited above, p. 41.

გადაწვები ძირითადად, ეთნიკური ქართველებით დასახლებულ სოფლებში. ერთ-ერთმა ერედველმა ეუთო-ს ადამიანთა უფლებების დამხმარე მისიის -ს უამბო, როგორ აიძულეს „ოსებმა“ მისი ცოლის მოხუცი მშობლები გამოსულიყვნენ თავიანთი სახლიდან და შემდეგ მათ თვალწინ წაუკიდეს სახლს ცეცხლი. რამდენიმე იძულებით გადაადგილებულმა პირმა იგივე სოფლიდან, თითქმის ანალოგიური ისტორია მოჰყვა საკუთარ განსაცდელზე და მათი მეზობელი სახლების საერთო ნგრევაზე.[460]

რამდენიმე გამოკითხული პირის თანახმად, სოფელი დისევიც მოექცა თითქმის მთლიანად დანგრეულ სოფლებს შორის. სოფელ ქურთაში, რომელმაც ძლიერი დაბომბვა განიცადა, როგორც იტყობინებიან, ნგრევები განხორციელებული იყო რუსეთის კონტროლქვეშ მყოფი მარიონეტული მებრძოლების მიერ. სოფელ ვანათში, იქაური მცხოვრების ნააბობით, რუსული ჯარები და ტანკები იდგა „ოსების“ გვერდით, რომლებიც სახლებს წვავდნენ. თამარაშენში, ერთ-ერთი პირის თანახმად, იმდენი დამწვარი სახლი იყო, რომ შეუძლებელი იყო მათი დათვლა. ქსუისში, ეუთო-ს ადამიანთა უფლებების მისიას ერთ-ერთმა მოწმემ აუწყა, რომ დაახლოებით, ხუთი სახლი იყო განზრახ დამწვარი.

სოფელი კეხვის, ყოფილი მცხოვრებლის თანახმად, იყო „დამწვარი ნანგრევების მასა“ იმ დროისათვის, როდესაც მან დატოვა სოფელი.[461] საცხენეთში, ყოფილი მცხოვრებლის თანახმად, მხოლოდ სამი სახლი გადარჩა. სოფელ ნულში სახლებს ცეცხლს უკიდებდნენ; ერთ-ერთმა მოწმემ აუწყა, რომ რუსული ჯარები თან ახლდნენ და ეხმარებოდნენ რუსეთის კონტროლქვეშ მყოფ მარიონეტულ ბოევიკებს სახლების გადაწვაში. ეუთო-ს ადამიანთა უფლებების დამხმარე მისია ესტუმრა ყველა ამ სოფელს და დაადასტურა ნგრევები.[462]

სოფელ ვანათის მცხოვრებმა აღწერა გადაწვებით გამოწვეული ძლიერი დაზიანებები ბელოთში, საცხენეთსა და ატრისხევში. სოფელ ქურთას მცხოვრები იტყობინება, რომ როდესაც იგი მთავარ გზაზე მიდიოდა აჩაბეთისა და თამარაშენის გავლით ცხინვალისაკენ, გზაზე ყველა სახლი გადამწვარი იყო. ეუთო-ს ადამიანთა უფლებების მისიამ აღმოაჩინა, რომ ფრისი ძალზედ დაზიანებული იყო და სხვა

[460] დანარათი 14: ODIHR;Human Rights in the War-affected Areas Following the Conflict in Georgia cited above, p. 42

[461] დანარათი 14: ODIHR, Human Rights in the War-affected Areas Following the Conflict in Georgia cited above, p.43

[462] დანარათი. ODIHR, Human Rights in the War-affected Areas Following the Conflict in Georgia cited above, p.43

სოფლებიც.[463]

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ეუთო-ს ადამიანთა უფლებების მისიამ აღმოაჩინა, <u>რომ სოფლებში ზოგიერთი სახლი მიწასთან იყო გასწორებული უთუოდ ბულდოზერების ან სხვა მძიმე ტექნიკის საშუალებით.</u> სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო მთავრობამ, არსებული მონაცემებით აღიარა მოქალაქეთა სახლების გამიზნულად დანგრევა ეთნიკური ქართველი მოსახლეობის დაბრუნებისათვის ხელის შეშლის მიზნით.[464]

ბევრი სხვა სოფელი, მათ შორის, ქვემო აჩაბეთი და ზემო აჩაბეთი, ასევე გადაიწვა და დაინგრა. სკოლები იყო გადამწვარი ჭარებში, ბელოთში და ნულში.[465]

რუსეთის შეიარაღებული ძალების მეთაური სამხრეთ ოსეთში აცხადებდა, რომ შეიარაღებული ძალებისთვის ცნობილი იყო გადაწვისა და ძარცვის ფაქტები, მაგრამ არმიას არ შეეძლო შეეჩერებინა ისინი.[466]

---

[463] დანარათი 14. ODIHR, Human Rights in the War-affected Areas Following the Conflict in Georgia cited above, p.43

[464] დანარათი 14. ODIHR, Human Rights in the War-affected Areas Following the Conflict in Georgia cited above, p.43

[465] დანარათი 14. ODIHR, Human Rights in the War-affected Areas Following the Conflict in Georgia cited above, p.43

[466] დანარათი 14: ODIHR, Human Rights in the War-affected Areas Following the Conflict in Georgia cited above, p.46

საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის მთავრობებისადმი დასმული კითხვების პირველი რიგი, ჰუმანიტარულ საკითხებს ეხებოდა.

კითხვა 6. 2008 წლის საომარი მოქმედებების მსვლელობისას ან მათ შემდეგ, როდის იყვნენ დაპატიმრებული პირები, რომელთაც ძალაუფლება მოიპოვეს თქვენი მხრიდან და პირები, რომელთაც ძალაუფლება მოიპოვეს მოწინააღმდეგის მხრიდან? რა სამართლებრივ საფუძველზე დააპატიმრეს ისინი? როგორ ექცეოდნენ ამ პირებს? აწამებდნენ მათ? როდის მოხდა მათი გათავისუფლება?

მწყობრიდან გამოსული ქართველი ჯარისკაცებისადმი ცუდად მოპყრობასთან დაკავშირებით, რუსეთის ფედერაციის მხრიდან:

ცუდად მოპყრობის მაგალითები იმ ქართველი ჯარისკაცებისადმი, რომლებიც აღარ იღებდნენ მონაწილეობას საომარ მოქმედებებში, საფუძვლიანად არის დასაბუთებული. [467] 30-მდე ჯარისკაცმა, რომლებიც დაკავებულები იყვნენ კონფლიქტის პერიოდში და შემდეგ, განიცადა წამება და საშინელი მოპყრობა, მათ შორის, იარაღით ცემა, დაწვა სიგარეტებით, სანთებელებით და ელექტროშოკი.[468] საერთაშორისო ორგანიზაციების – Amnesty International-ის და Human Rights Watch-ის მიერ დოკუმენტურად დადსტურებულია 13 ჯარისკაცის მიმართ ცუდი მოპყრობის შემთხვევები, 2008 წლის 8 და 19 აგვისტოს შორის ასრებულ პერიოდში დაკავების პროცესში, როდესაც მათ მიიღეს მძიმე დაზიანებები, გამოწვეული ცემითა და წამებით მარიონეტული რეჟიმის სამხედრო და პოლიციის ძალების მიერ. ოთხ ჯარისკაცს საჩვენებელი თითები ძვლამდე ჰქონდა დამწვარი. ამ სამმა ყოფილმა ტყვემ განაცხადა მათთან ერთად დაკავებულ მინიმუმ, სამ ყოფილ ჯარისკაცზე განხორციელებული საერთო წამების ფაქტების შესახებ. ბევრი ყოფილი დაკავებული ჯარისკაცი კვლავ იტანჯება მაშინდელი ტრავმებისაგან. რუსეთმა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რეჟიმმა არ უპასუხეს Amnesty International-ის მიერ დასმულ შეკითხვებს სამხედრო პატიმრების რაოდენობასთან და მათდამი მოპყრობასთან დაკავშირებით.[469]

---

[467] მაგალითისათვის იხ.: დანართი 1: მოწმის, ხვიჩა მელქუაშვილის ჩვენება.

[468] Human Rights Watch, "Up in Flames: Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict Zone over South Ossetia",22 იანვარი, 2009, pages 185-194, available at: http://wwvi .hrw.org/en/reportsi2009/01/?2/flames-O; Human Rights Watch , Summary of Recommendations . Available at: http://www .hrw.org/en /news/2008/ 10/20/summar v- recommendations

[469] Amnesty International, Civilians in the line offire: the Georgia-Russia conflict cited above, p. 46. Available at:http://www.a mnest v.onden/librarv/i nfo/EU R04/005/2008/en

აშკარაა, რომ რუსეთის ფედერაცია არ მოქმედებდა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის (IHL) პრინციპების შესაბამისად, შეიარაღებული კონფლიქტის განმავლობაში და აფხაზეთის, საქართველო, და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის შემდგომი ოკუპაციის პერიოდში. რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალებმა და მათი კონტროლქვეშ მყოფმა მარიონეტულმა ძალებმა არავითარი ზომა არ მიიღეს იმისათვის, რომ მათი იერიშები შეზღუდული ყოფილიყო მხოლოდ კანონიერი სამხედრო სამიზნეებით და უზრუნველყოფილი ყოფილიყო მათი სიზუსტე და პროპორციულობა. იერიშის საშუალებები და მეთოდები არ იყო თანმხლები ზარალის შესაბამისი (როგორც ფიზიკურის, ასევე ფსიქოლოგიურის) მოქალაქეებისადმი; მათ სათანადოდ ვერ დაიცვეს ჰუმანურობის პრინციპი იმ მოქალაქეებისა და იმ ჯარისკაცების მიმართ, რომლებიც აღარ მონაწილეობდნენ საომარ ოპერაციებში.

მოქალაქეებისადმი რუსეთის ფედერაციისა და სეპარატისტული რეჟიმის კონტროლქვეშ მყოფი ძალების ზემოაღწერილი ცუდი მოპყრობების შედეგად დაზარალებული მხარეები დღემდე განიცდიან ფსიქოლოგიურ ტრავმებსა და ძლიერ ტკივილს. ამ ფაქტებთან დაკავშირებით, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა თავიანთ ანგარიშებში შენიშვნები მისცეს რუსეთის ფედერაციას. მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით არ გაკეთებულა არავითარი დასაბუთებული კვლევები ამ საჩივრებზე.[470]

საქართველოს მიერ დაკავებული პირები

- რუსეთის სამხედრო პერსონალი, დაკავებული, როგორც სამხედრო ტყვეები: ხუთი (5)–სეპარატისტული არაკანონიერი შეიარაღებული ფორმირების ოცდათორმეტი (32) წევრი (აღსანიშნავია, რომ ყველა ეს პირი სამხედრო ასაკის

[470] დანართი 2: Council of Europe Parliamentary Assembly, Monitoring Committee Report , 'The implementation of Resolution 1633 (2008) on the consequences of the war between Geo'rgia and Russia', 17 December 2008, AS/Mon(2008)33rev , at paras 32-52. იხ.: განსაკუთრებით, პარაგრ. 46: „რუსეთის პროკურატურის საგამომძიებლო კომიტეტმა დაიწყო კვლევა გენოციდზე, რომელსაც ქართული ჯარები ახორციელებდნენ რუსეთის მოქალაქეების (ეთნიკური ოსები) წინააღმდეგ, სამხრეთ ოსეთში.“ გარდა ამისა, მან გახსნა საქართველოს მიერ ჩადენილი დანაშაულებები რუსი სამხედროების წინააღმდეგ. აქ ჩანს, რომ არ არის არავითარი სურვილი, გამოძიებული იქნეს ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო სამართლის დარღვევები, ჩადენილი რუსეთის ძალებისა და სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო მთავრობის მიერ. რეალურად, სპეციალურმა საგამომძიებლო კომიტეტმა დახურა თავისი გამოძიებები შუა სექტემბერში ზუსტად მაშინ, როდესაც რუსეთის კონტროლირებად ტერიტორიაზე, ე.წ. „ბუფერული ზონების“ ჩათვლით, ყოველდღიურად ადგილი ჰქონდა ძარცვებს, ისევე როგორც ეთნიკური წმენდის ფაქტებს.

ფიზიკურად მომზადებული საქართველოს მოქალაქეა, დაკავებული საომარი მოქმედებების განმავლობაში);

– სავარუადოდ დაქირავებული მებრძოლი: 1 (რუსი მოქალაქე).

ქართველების მიერ დაკავებული ყველა ტყვე გაიცვალა რუსების მიერ დაკავებულ 159 საქართველოს მოქალაქეში და 39 სამხედრო ტყვეში:

– 5 სამხედრო ტყვე;

– სეპარატისტული უკანონო შეიარაღებული ფორმირებების 32 წევრი;

– 1 სავარაუდოდ დაქირავებული მებრძოლი;

– რუსეთის ხელისუფლების მიერ ძებნილი 9 მსჯავრდადებული კრიმინალი, (აღსანიშნავია, რომ ეს ხალხი სასჯელს იხდიდა ქართულ ციხეებში და არ უკავშირდებოდა ომს).

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი-ის (**ICRC) ვიზიტები**

ICRC-ის (წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი) შეეძლო შეუფერხებლად მისვლა დაკავების იზოლატორებში. ICRC ესტუმრა ხუთიდან სამ სამხედრო ტყვეს, დანარჩენი ორი მოგვიანებით, ციხეში გადაიყვანეს. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი მრავალჯერ ესტუმრა იზოლატორებს, რომელსაც იცავდნენ თავდაცვისა და იუსტიციის სამინისტროები. იგი ამოწმებდა არა მხოლოდ სამხედრო ტყვეების, არამედ სეპარატისტული უკანონო შეიარაღებული ფორმირებების წევრების პირობებსაც.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის საელჩო მოიწვიეს რუსი სამხედრო ტყვეების მოსანახულებლად, მაგრამ მან ასეთი ვიზიტი ვერ განახორციელა.

დაკავების ორგანო, იზოლატორები და პირობები

კონფლიქტის პერიოდში, საქართველოს მიერ დაკავებული პირები იმყოფებოდნენ ობიექტებზე, რომლებიც იმართებოდა საქართველოს თავდაცვის, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების მიერ:

თბილისის დროებითი დაკავების იზოლატორი

გორის დროებითი დაკავების იზოლატორი

ადიგენის დროებითი დაკავების იზოლატორი

ბორჯომის დროებითი დაკავების იზოლატორი.

საქართველოს შეიარაღებული ძალების ვაზიანის ბაზა.

№ 8 საპყრობილე, გლდანის რაიონი, თბილისი .

ციხის ცენტრალური საავადმყოფო

ICRC (წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი) ეწვია ვაზიანსა და № 8 საპყრობილეს და კმაყოფილება გამოთქვა დაკავებულების პირობებით.

ყველა ეს ობიექტი, რომელიც გამოყენებული იყო დაკავებულების მოსათავსებლად, აკმაყოფილებდა ან აღემატებოდა საერთაშორისო სტანდარტებს – გლდანის მე-8 საპყრობილე არის ახლადაშენებული პენიტენციალური დაწესებულება, რომელიც აკმყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს და საქართველოში საუკეთესოა. კონფლიქტთან დაკავებული პირები მოათავსეს სხვა პატიმრებისაგან იზოლირებულად. მათ ჰქონდათ სამჯერადი კვება და შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა სამედიცინო მომსახურებაზე, საჭიროების შემთხვევაში.

მე-4 და მე-6 დაკავების იზოლატორები არის ან ახლადაშენებული ან რესტავრირებული. ზოგადად, ამ იზოლატორების საკნები არის 2, 4 ან 6 დაკავებულისათვის, ზომით 12 კვ.მ-დან 16 კვ.მ-მდე. არცერთ შემთხვევაში, დაკავებულების რაოდენობა საკანში არ აჭარბებდა საკნის ტევადობას. ყველა შემთხვევაში, დაკავებულებს – იქნებოდნენ ისინი სამხედრო ტყვეები თუ უკანონო შეიარაღებული ფორმირებების წევრები – ათავსებდნენ სხვა, ჩვეულებრივი კრიმინალებისაგან იზოლირებულად.

თუმცა, პირობები იზოლატორებში განსხვავებულია, ყველა საკანი აღჭურვილია საწოლებით, ლეიბებით, თეთრეულით, წყლითა და სანკვანძით.

ყველა იზოლატორში არის სამჯერადი კვება, საკვებზე მოთხოვნები დამაკმაყოფილებელია. ზოგ იზოლატორს ემსახურება შიდა სასადილო, ზოგს საკვების გარე მიმწოდებლები. ერთ იზოლატორსა და თბილისის მთავარი პოლიციის განყოფილებას საერთო სასადილო აქვს. წყალზე არ დაუწესებიათ არავითარი შეზღუდვა.

საჭიროების შემთხვევაში დაკავებულები იღებდნენ სამედიცინო დახმარებას.

ბადრაგი

შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტროლის ქვეშ მყოფ იზოლატორებში მონიტორინგისა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილება უზრუნველყოფს შიდა მონიტორინგს, მათ შორის, ოფიციალურ და გაუფრთხილებელ, არაოფიციალურ ვიზიტებს. უფრო მეტიც, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტსსაშუალება ჰქონდა, შეუფერხებლად შესულიყო ორ იზოლატორში.

ვაზიანის სამხედრო ბაზასთან ახლადაშენებული დაკავების იზოლატორი არის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი. დაკავების იზოლატორი იმყოფება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის კონტროლის ქვეშ.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს -ის შეუფერხებლად შეეძლო იზოლატორში მისვლა. მისმა წარმომადგენლებმა შეამოწმეს იზოლატორის ყველა ნაწილი, სადაც სამხედრო ტყვეები ან უკანონო სამხედრო ფორმირებების წევრები ჰყავდათ დაკავებული. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა მოინახულა ყველა დაკავებული, ესაუბრა მათ პირადად, და ოჯახებთან ტელეფონით დაკავშირების შესაძლებლობა მისცა.

ჯერჯერობით, არავითარი საჩივარი არ არის მიღებული დაკავებულების არასათანადოდ მოპყრობის შესახებ. თუმცა, საქართველოს პროკურატურა გამოიკვლევს ნებისმიერ ასეთ ფაქტს, რომლის მოწოდებაც შესაძლებელია საჯარო არხების მეშვეობით. ასეთი ინფორმაციის მოწოდება საერთაშორისო ორგანიზაციებსაც შეუძლია.

კითხვა 7. 2008 წლის საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ, იყვნენ თუ არა პირები, რომლებიც აღიქმებოდნენ, მოწინააღმდეგე მხარესთან ასოცირებულ პირებად? მოხდა თუ არა მათი დისკრიმინაცია ან /და ხელი ილახებოდა თუ არა მათი ადამიანის უფლებები? რა ზომები იქნა მიღებული ამგვარი პრაქტიკის წინააღმდეგ?

საქართველოს შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონია ეთნიკურად მოტივირებული ძალადობის ან სხვა დისკრიმინაციული ქმედების არც ერთ შემთხვევას საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ოსების ან რუსების წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ფარგლებს გარეთ ცხოვრობს დაახლოებით 38 000 ეთნიკური ოსი. სიტუაციის გაკონტროლების მიზნით, რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რეგულარულად ჩადიოდა ეთნიკური ოსებით დასახლებულ რეგიონებში – ლაგოდეხში, საგარეჯოში, თელავში, ბაზალეთში, ქვემო შაშვებში, წითელუბანში, ბორჯომში და სხვა რეგიონებში.

ეუთომ მოამზადა ანგარიში საქართველოში სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ოსების მდგომარეობის შესახებ 2009 წლის თებერვალში – 2008 წლის აგვისტოს რუსეთთან ომის შემდეგ. ანგარიშში ნათქვამია:

> „ადამიანის უფლებების და ჰუმანიტარული ორგანიზაციების თავდაპირველი საერთო შეშფოთების მიუხედავად, 2008 წლის აგვისტოს ომმა არ გამოიწვია ეთნიკური ოსების მდგომარეობის ცვლილება საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე და არ გამოუწვევია მათი გრძელვადიანი გადაადგილება მნიშვნელოვანი ოდენობით. ეთნიკურად შერეული სოფლების მოსახლეობას სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მიმდებარე ტერიტორიებზე არ გამოუთქვამს შეშფოთება დისკრიმინაციის გამო. პირიქით, პირველადი ინფორმაცია ადასტურებს, რომ სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის მეზობლებს შორის ადგილი ჰქონდა თანადგომას ომის დროს. ეთნიკური ოსები, რომელთაც გაესაუბრა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი (UNHCR) სხვადასხვა კოლექტივებში აგრეთვე არ გამოთქვამდნენ შეშფოთებას დისკრიმინაციის გამო. გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენელი იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებების დაცვის საკითხში, რომელიც საქართველოში 2008 წლის ოქტომბერში იმყოფებოდა, შეხვდა იძულებით გადაადგილებულ ოსური წარმოშობის პირებს, ძირითადად შერეული ოჯახებიდან, და ვერ აღმოაჩინა მათ ეთნიკურ წარმოშობასთან დაკავშირებული პრობლემები. სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის მიმდებარე ტერიტორიების მცხოვრებლები ამტკიცებდნენ, რომ ქართველებს და ოსებს შორის არ არსებობდა ეთნიკური ხასიათის პრობლემები, რადგან ისინი ხშირად თანაცხოვრობდნენ შერეულ ოჯახებში.“[471]

რაც შეეხება მიდგომას ეთნიკური ქართველებისადმი საომარი მოქმედებების შემდეგ, ისინი კვლავაც ძალადობისა სამიზნეები არიან. ქვემოთ მოტანილია ინციდენტების სია:

აგვისტო

[471] ეუთო, ანგარიში საქართველოში სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ოსების მდგომარეობის შესახებ, გვ. 4-5.

- 13 აგვისტოს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფი შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლები თავს დაესხნენ „ქართუ ბანკის“ წარმომადგენლებს ქალაქ გორში და წაართვეს მათ ავტომობილი Ford Expedition.
- 13 აგვისტოს, დაახლოებით, 13:00 საათზე, ხუთი რუსულ ენაზე მოსაუბრე ჯარისკაცი თავს დაესხა კახაბერ ნადირაძეს (დაბ. 1979 წ., მცხოვრები ჭიათურაში) ქალაქ გორში, წაართვა ავტომობილი „Jeep Pajero“ და სხვა ნივთები.
- 13 აგვისტოს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფი შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის 7 მებრძოლი თავს დაესხა ივანე ელიზბარაშვილს (დაბ. 1974 წ., მცხოვრები გარდაბნის რაიონის სოფელ თელეთში) სოფელ კარალეთის მახლობლად და წაართვა ავტომობილი „Opel-Vectra“.
- 13 აგვისტოს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა მარიონეტული რეჟიმის რამდენიმე შეიარაღებულმა მებრძოლმა გაძარცვა თეიმურაზ ტურაზაშვილი (დაბ. 1956 წ., მცხოვრები თბილისში) და გაიტაცა მისი ავტომობილი „Volkswagen GoIf“.
- 13 აგვისტოს, ორი პიროვნება თავს დაესხა ერვანდ ჩეგელიძეს (დაბ. 1952 წ., მცხოვრები გორში); გაიტაცეს მისი Opel-Vectra, ავტომობილის ნომერი: AMA-845.
- 13 აგვისტოს, სოფელ შაშვების მახლობლად, სამხედრო ფორმიანი შეიარაღებული პირები თავს დაესხნენ მალხაზ ნატრიაშვილს (დაბ. 1964წ., მცხოვრები ქვეშში) და გაიტაცეს მისი ავტომობილი „Opel-Astra,“ ავტომობილის ნომერი: BOI 785.
- 13 აგვისტოს, ორმა რუსულ ენაზე მოსაუბრე ჯარისკაცმა შეაჩერა მიკროავტობუსი გორში; მძღოლს, მერაბ ძოწენიძეს (დაბ.1961 წ. მცხოვრები თბილისში) წაართვეს 3500 ლარი და წაიყვანეს მისი მიკროავტობუსი „Mercedes Benz.“
- 13 აგვისტოს, შეიარაღებული კრიმინალები თავს დაესხნენ თემურ იაკობაშვილს (დაბ. 1952 წ., მცხოვრები ქვემო ქვედურეთში) სოფელ დოღლაურას მახლობლად, ცენტრალურ გზატკეცილზე და გაიტაცეს მისი ავტომობილი „Opel-Vectra,“ ავტომობილის ნომერი: ILO-503. თემურ იაკობაშვილს ზიანი მიაყენეს და შემდეგ გაძარცვეს.
- 13 აგვისტოს, სოფელ ბრეთის ტერიტორიაზე, ექვსმა დაუდგენელმა ოსმა კრიმინალმა გაიტაცა ჯიპი „Grand-Cherokee“ (MHM-970), ქართული კომპანიის „Rus-Energo“-ს საკუთრება.
- 13 აგვისტოს, „ვაზის“ ტიპის ავტომობილი, ნომერი: PSP-452, რომელიც ეკუთვნოდა შპს „გორის სასწრაფო დახმარების სამსახურს 03,“ მოიპარეს გორის სამხედრო ჰოსპიტალის ტერიტორიიდან.
- 14 აგვისტოს, სოფელ კარალეთში მცხოვრები მედიკო სუხიტაშვილის სახლი გადაწვეს.
- 15 აგვისტოს, ექვსი რუსულ ენაზე მოსაუბრე ჯარისკაცი თავს დაესხა ნიკოლოზ ხმიადაშვილს (დაბ., 1961 წ., მცხოვრები გორში), გორის რაიონის სოფელ რეხაში და წაართვეს კუთვნილი ავტომობილიVaz-21011.
- 16 აგვისტოს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფი შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა შეაჩერეს ვაჟა კოპაძე (დაბ. 1959 წ. მცხოვრები ქარელის რაიონის სოფელ დვაწში) ქარელის რაიონის სოფელ ბრეთში და წაართვეს კუთვნილი ავტომობილიVaz-2103.

- 16 აგვისტოს, შეიარაღებულმა რუსულ ენაზე მოსაუბრე ჯარისკაცებმა გაძარცვეს თემურ სააკაშვილი (დაბ. 1958 წ., მცხოვრები თბილისში) გორის რაიონში, სოფელ მეჯვრისხევის მახლობლად და წაართვეს კუთვნილი ავტომობილი Vaz-2103.
- 16 აგვისტოს, მოხდა ბინის გაძარცვა გორში წერეთლის ქ. #2-ში, რომელიც ეკუთვნოდა სონია ბიტაძეს (დაბ.1969 წ., მცხოვრები გორში).
- 18 აგვისტოს, გადაწვეს ნონა ბუხრაძის საკუთრებაში მყოფი სიმინდის მინდვრები სოფელ ძევერაში (დაბ.1969 წ., მცხოვრები მისამართზე ნინოშვილის ქ, 102).
- 18 აგვისტოს, რუსულ კონტროლქვეშ მყოფი შეიარაღებული მებრძოლები თავს დაესხნენ ნუგზარ გამბედელს (დაბ. 1956 წ., მცხოვრები გორის რაიონის სოფ. ყელქცეულაში) და გაიტაცეს მისი ავტომობილი Opel-Astra, ავტომობილის ნომერი: HYH-682.
- 20 აგვისტოს, გაიძარცვა მაღაზია მისამართზე: შინდისის გზატკეცილი # 7, რომელიც ეკუთვნოდა ამირან ხახუტაშვილს (დაბ. 1962 წ.).
- 24 აგვისტოს, რუსმა ჯარისკაცებმა ფოთში შეაჩერეს Nissan-ის მარკის მანქანა, რომელიც ეკუთვნოდა Associated Press-ის კავკასიის ბიუროს და გაიტაცეს ჟურნალისტები დავით პიპინაშვილი (საქართველოს მოქალაქე) და რაულ გალიეგო (ესპანეთის მოქალაქე). რუს ოფიცრებს და საქართველოს პოლიციას შორის მოლაპარაკებების შემდეგ ისინი გაათავისუფლეს.
- 24 აგვისტოს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა გაძარცვეს მაღაზია გორში, ვოლოგდის რაიონში.
- 24 აგვისტოს, ნანული მაკრახიძე (რეგისტრირებული მისამართზე: გორი, მუსხელიშვილის ქ. 54) გარდაიცვალა სამხედრო ბაზის მახლობლად, გორში, წმინდაწყალის ტერიტორიაზე ბომბის აფეთქების შედეგად.
- 24 აგვისტოს, რუსულ-ოსურმა ჯგუფმა მოიპარა მანქანა „Golf-3“ (JIM-105), რომელიც ეკუთვნოდა ჯიმშერ კაჩიძეს (დაბ. 1979 წ., მცხოვრები სოფ. ყვიბისში), სოფელ რეხში, ბადრი კარელაშვილის სახლიდან.
- 24 აგვისტოს, სოფელ კოშკაში, სოფ. ხელჩუას მცხოვრებმა, აბე გობოზოვმა, ესროლა და დაჭრა სოფელ კოშკას ორი მცხოვრები გურამ ჯავახი (დაბ. 1938 წ.) და არკადი თათიური (დაბ. 1961 წ.).
- 25 აგვისტოს, ხაშურის რკინიგზის სადგურის მახლობლად, ნაპოვნი იქნა ზვიად თურმანიძის (დაბ. 1981 წ., ქარელის რაიონის სოფ. ქვენათკოცაში) გვამი. გვამს აღენიშნებოდა რამდენიმე მძიმე დაზიანების კვალი.
- 25 აგვისტოს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა ზიანი მიაყენეს გიორგი კასრაძეს (დაბ. 1941 წ., მცხოვრები სოფ. ერგნეთში).
- 25 აგვისტოს, ნოდარ ქარელმა (დაბ. 1953 წ.,მცხოვრები სოფ. ტყვიავში) დააბიჯა ბომბს, რომელიც აფეთქდა. იგი გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც მას შესაბამისი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს.
- 25 აგვისტოს, ფოთში, რუსმა ჯარისკაცებმა შეურაცხყოფა მიაყენეს და სცემეს ქართული პოლიციის ოფიცერს რამაზ ჟვანიას (დაბ. 1979 წ.). ამჟამად ჟვანია გადის სამედიცინო მკურნალობას.
- 26 აგვისტოს, სოფელ შინდისში, გორის რაიონში ნაპოვნი იქნა დაუდგენელი ვინაობის მამაკაცის გვამი;

- 26 აგვისტოს, ზაზა წერეთელმა (დაბ. 1985 წ., მცხოვრები სოფ. ერგნეთში) განაცხადა, რომ მას ზიანი მიაყენეს რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა მე-3 საჯარო სკოლასთან ახლოს, ამილახვარის ქუჩაზე.
- 26 აგვისტოს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა გაათავისუფლეს თამაზ სირბილაძის შვილები, რომლებიც ომის დროს გატაცებულები იყვნენ. ბავშვები ნაწამები და ნაცემები იყვნენ. თამაზ სირბილაძე არის გორის რაიონის სოფელ ვარიანის მცხოვრები.
- 28 აგვისტოს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფი შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა მოიპარეს საქონელი, რომელიც ეკუთვნოდა მიხეილ ღინტურს (დაბ. 1939 წ., მცხოვრები სოფ. მეჯრისხევში).
- 30 აგვისტოს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფი შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა გაიტაცეს ოთხი ქართველი მეფუტკრე მეფუტკრეობის მეურნეობიდან ძირულას ხეობაში. მათი ადგილსამყოფელი კვლავ უცნობია.
- 30 აგვისტოს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფი შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა შეაჩერეს ნუგზარ გამგებელი (დაბ. 1956 წ., მცხოვრები გორის რაიონის სოფ. ყელქცეულაში), გორის რაიონის სოფელ შინდისში და წაართვეს ავტომობილი „Opel-Astra“.

სექტემბერი

- 1 სექტემბერს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფი ოთხი შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლი თავს დაესხა კვინიკაძეების ოჯახს ქარელის რაიონის სოფელ აბანოს კოდაში, მოკლეს ნორა კვინიკაძე (დაბ. 1936 წ.), ზიანი მიაყენეს მის შვილს გიორგი კვინიკაძეს (დაბ. 1962 წ.) და მის შვილიშვილს რაულ კვინიკაძეს (დაბ. 1988 წ.).
- 1 სექტემბერს, დაუდგენელმა პირებმა ზიანი მიაყენეს ნოდარ ბერკენაშვილს (დაბ. 1953 წ., მცხოვრები სოფ. შინდისში).
- 1 სექტემბერს, მოიპარეს მაკასარაშვილის (დაბ. 1943 წ., მცხოვრები სოფ. მარანაში) კუთვნილი ძროხა.
- 2 სექტემბერს, ჯავშნიანი სატრანსპორტო საშუალებით ორი რუსი ჯარისკაცი და ოთხი რუსული კონტროლის ქვეშ მყოფი შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლი მიუახლოვდა ქართული პოლიციის საკონტროლო პუნქტს გორის რაიონის სოფელ ახალუბანში. ისინი დაემუქრნენ ქართული პოლიციის ოფიცრებს: ბადრი გოგიძეს, ემზარ ღონღაძეს, კახაბერ მეტრეველს, მამუკა მაისურაძეს, შალვა ნებიერიძეს, ივანე დათაშვილს, იოსებ მელანაშვილს, ლევან გიგაურს და წაართვეს მათ შაშხანები და მაკაროვის პისტოლეტები. მათ ასევე, გაიტაცეს მათი „Toyota“-ს მარკის პოლიციის ავტომობილი და გამვლელის ილია მიღრაჯანაშვილის (დაბ. 1984 წ., მცხოვრები ს. ახალუბანში) ავტომობილი „Ford.“
- 3 სექტემბერს, დაუდგენელმა პირებმა მოიპარეს გორის რაიონის სოფელ დისევის მცხოვრებლის იაკობ ბეღელურის კუთვნილი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი.

- 8 სექტემბერს, რუსმა ჯარისკაცებმა და რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა დააკავეს ორი პოლონელი ტელეჟურნალისტი დარიუშ ბოხატკევიჩი და მარტინ ვესოლოვსკი, ასევე, მათი მძღოლი ლევან გულიაშვილი, სოფელ კარალეთის მახლობლად, წაართვეს მათ კამერები და მანქანა. 9 სექტემბერს ისინი გაათავისუფლეს.
- 8 სექტემბერს, 1960 წელს დაბადებული ნოდარ ტატულაშვილი, სოფ. ფლავისმანის მცხოვრები, დაჭრეს დანით მკერდის არეში. ინციდენტი მოხდა ფლავისმანში.
- 9 სექტემბერს, ჟორა ფინავრიტი (დაბ. 1938 წ., მცხოვრები სოფ. ბროწლეთში) დაიჭრა, როდესაც მის ხეხილის ბაღში, გორის რაიონის სოფელ ბროწლეთში, ბომბი აფეთქდა.
- 10 სექტემბერს, დაახლოებით, 10:15 სთ-ზე, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა ცეცხლი გახსნეს რუსული საკონტროლო პუნქტიდან კარალეთში და დაჭრეს ქართული პოლიციის ერთი ოფიცერი კახა ცოტნიაშვილი, რომელიც მოგვიანებით, საავადმყოფოში გარდაიცვალა.
- 10 სექტემბერს ზაზა პავლიაშვილი (დაბ. 1979 წ., მცხოვრები სოფ. ძევერაში) დაჭრეს თავის სოფელში.
- 10 სექტემბერს, ვასილ ჯავახიშვილი (დაბ. 1938 წ., მცხოვრები სოფ. ქსუისში), დაჭრეს ოსებმა თავის სოფელში.
- 11 სექტემბერს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფი შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა სასტიკად სცემეს მიხეილ თუხარელი (დაბ. 1940 წ., სოფ. დისევში, გორის რაიონში). მოგვიანებით, რუსულ კონტროლქვეშ მყოფმა შეიარაღებულმა მებრძოლებმა იგი გაძარცვეს და გადაწვეს მისი სახლი.
- 11 სექტემბერს, გორში გაიტაცეს კერძო ავტომობილი „Ford“, რომელიც პარკირებული იყო სტალინის ქუჩაზე.
- 12 სექტემბერს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფი შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა დაწვეს ეთნიკური ქართველების ცხრა სახლი სოფელ ერედვში, პატარა ლიახვის ხეობაში.
- 12 სექტემბერს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფი შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა სცემეს ვასილ ჯავახიშვილი, ცხინვალის რაიონის სოფელ ქსუისში მცხოვრები ეთნიკური ქართველი.
- 13 სექტემბერს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა გაიტაცეს გორის რაიონის სოფლების დისევის და კოშკას 6 მცხოვრები, გადაასხეს ბენზინი და ცოცხლად დაწვით დაემუქრნენ, თუ არ დატოვებდნენ თავიანთ სოფლებს.
- 13 სექტემბერს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა ცეცხლი გახსნეს ზუგდიდის რაიონის სოფელ განმუხურის მიმართულებით, მოკლეს ქართული პოლიციის ოფიცერი ბესიკ ხულორდავა.
- 15 სექტემბერს, 13:45-ზე, შვიდმა რუსული კონტროლის ქვეშ მყოფი შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლმა შეაჩერა ქართული მიკროავტობუსი გორის რაიონის სოფელ მერეთის მახლობლად, სცემეს მძღოლი და მისი მეწყვილე, დაარბიეს სატრანსპორტო საშუალება და დაიმუქრნენ, რომ „გადაწვავდნენ ავტობუსს მგზავრებთან ერთად, თუ კიდევ ნახავდნენ მათ ამ ტერიტორიაზე.“

- 15 სექტემბერს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა გაძარცვეს და შემდეგ დაწვეს გორის რაიონის სოფელ დიცში ვლადიმერ ბოლაშვილის, და გორის რაიონის სოფელ ზემო ნიქოზში მდებარე ჯიმშერ ლომსაძის სახლები.
- 16 სექტემბერს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა გახსნეს ცეცხლი გორის რაიონის სოფელ ბროწლეთის მცხოვრებლების მიმართულებით, რომლებიც მუშაობდნენ თავიანთი ხეხილის ბაღებში და იძულებულნი გახდნენ სახლებისთვის შეეფარებინათ თავი. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა.
- 16 სექტემბერს, ემირ მინდიაშვილს (დაბ. 1958 წ., მცხოვრები სოფ. დიცში) ზიანი მიაყენეს შეიარაღებულმა მებრძოლებმა თავის სოფელში.
- 16 სექტემბერს, 13:30 საათზე რუსული კონტროლის ქვეშ მყოფი ექვსი შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლი შევიდა გორის რაიონის სოფელ დიცში, გაძარცვა ჯიმშერ მარკოზაშვილის სახლი, ისროლა ჰაერში ადგილობრივი მოსახლეობის შესაშინებლად და სასტიკად სცემა ერთ-ერთს მათგანს, ემირ მინდიაშვილს (51 წლის ასაკის პირს).
- 16 სექტემბერს, 15:00 საათზე რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა გაანადგურეს ოთარ კონიაშვილის (ქონიაშვილის) კუთვნილი ფერმა გორის რაიონის სოფელ ქვეშში და გაიტაცეს მისი პირუტყვი.
- 17 სექტემბერს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა გაძარცვეს გოჩა გიუნაშვილის კუთვნილი ფერმა გორის რაიონის სოფელ ქვეშში, თავს დაესხნენ ფერმის დაცვას და გაიტაცეს პირუტყვი.
- 18 სექტემბერს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფი შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა მოიპარეს ორი ძროხა, რომელიც ეკუთვნოდა სულიკო გიგაურს (დაბ. 1931 წ., მცხოვრები სოფ. კიწნისში).
- 18 სექტემბერს, 12:00-14:00-ზე, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა ხუთმა მარიონეტული რეჟიმის შეიარაღებულმა მებრძოლმა გაძარცვა თამაზ კოპაძის და გოჩა კორაშვილის სახლები ქარელის რაიონის სოფელ დვანში; შემდეგ მათ დაწვეს ეს და კიდევ რამდენიმე სახლი.
- 19 სექტემბერს, სოფელ მეღვრეკისის მახლობლად, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა ორმა შეიარაღებულმა მარიონეტული რეჟიმის მებრძოლმა გაიტაცა ავტომობილი „Opel," ნომერით BOI-598, რომელიც ეკუთვნოდა ბონდო ჩუბინიძეს (დაბ. 1971 წ., მცხოვრები გორში, გორგასალის ქ. 14). ოსმა კრიმინალებმა მოიპარეს მისი და მისი მგზავრის დავით ჩუბინიძის (დაბ. 1970 წ., მცხოვრები გორში, სუხიშვილის ქ. 63) მობილური ტელეფონები.
- 20 სექტემბერს, ვეფხია გეგელაშვილს, დაბ. 1973 წ., მცხოვრებს სოფ. ქვედურეთში ზიანი მიაყენეს დაუდგენელმა პირებმა.
- 21 სექტემბერს, გიორგი მელნიკოვი, დაბ. 1986 წ., მცხოვრების ვარიანში, დაიჭრა საკუთარ ბაღში რუსი ოკუპანტების მიერ დატოვებული ბომბით. ბომბი აფეთქდა და მან მიიღო მძიმე ტრავმები.

- 21 სექტემბერს, დაახლოებით, 19:00 საათზე, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფი შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა გახსნეს ცეცხლი ზუგდიდის რაიონის სოფელ ქურჩას მიმართულებით, მოკლეს ქართული პოლიციის ოფიცერი რამაზ ქიტია და დაჭრეს კიდევ, სამი ოფიცერი.
- 21 სექტემბერს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფი შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა ზნაურის რაიონის სოფელ მუგუთში დაწვეს ოთხი სახლი, რომლებიც ეკუთვნოდათ ეთნიკურ ქართველებს.
- 22 სექტემბერს, ქართული პოლიციის ორი ოფიცერი დაიჭრა ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში ნაღმის აფეთქების შედეგად. ამჟამად ისინი გადიან მკურნალობას. სავარაუდოდ, ნაღმი დატოვებული იყო რუსული კონტროლის ქვეშ მყოფი შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლების მიერ, რომლებიც უფრო ადრე გავიდნენ სოფლიდან.
- 22 სექტემბერს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფი შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა გალის რაიონის სოფელ ბარღებიდან მოიტაცეს 15 წლის ირაკლი ჯალაღონია და მისი ოჯახისგან ითხოვენ გამოსასყიდს 50 000 აშშ დოლარის ოდენობით.
- 22 სექტემბერს, ქართული პოლიციის ოფიცრებმა დაინახეს რუსული მზვერავი თვითმფრინავი გორის რაიონის სოფლების, ხურვალეთისა და წითელუბანის თავზე, რომელიც იღებდა ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ფოტოებს. უპილოტო საფრენი აპარატი ჩამოაგდეს.
- 24 სექტემბერს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფი შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა გალის რაიონის სოფელ ოტობაიადან მოიტაცეს ოთხი ეთნიკური ქართველი პაპუნა ქარაია (დაბ. 1980 წ.), ბეჟან უბირია (დაბ. 1980 წ.), გოგიტა კვირკვია (დაბ. 1983 წ.) და ბადრი ახალაია (დაბ. 1978 წ.). ისინი გამოუშვეს მხოლოს მეორე დღეს, რაც მათმა ოჯახებმა გადაიხადეს გამტაცებლების მიერ მოთხოვნილი გამოსასყიდი.
- 25 სექტემბერს, დაახლოებით, 17:15-ზე, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფი თხუთმეტი შეიარაღებული შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლი, რომლებიც მართავდნენ UAZ-ის ტიპის სატვირთო მანქანას, თავს დაესხნენ გზების მშენებელი კომპანიის „Ashtrom“ მუშებს ქვიშის კარიერზე ახალგორის რაიონის სოფელ ორჭოსანის მახლობლად, და წაართვეს მათი კუთვნილი ნივთები და კომპანიის მიკროავტობუსი „Ford-Transit“.
- 25 სექტემბერს, სოფელ კიტრულში რუსული კონტროლის ქვეშ მყოფი შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა გაძარცვეს ზურაბ დოტიაშვილი, მცხოვრები ს. კირბალაში და მოიპარეს 46 ძროხა.
- 26 სექტემბერს ღამით, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფი შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლები შევიდნენ სოფელ ვანათში (ჯოჯიაანთ დასახლებაში) და დაწვეს დარჩენილი სახლები.
- 27 სექტემბერს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფი 3 შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლი სამხედრო ფორმებით, რომლებიც მართავდნენ ავტომობილ „Niva-ს“, შევიდნენ სოფელ ზემო ნიქოზში. ისინი აძალებდნენ ადგილობრივ

მოსახლეობას აეღოთ ოსური პასპორტები, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ აიძულებდნენ ტერიტორიის დატოვებას და ემუქრებოდნენ მათი სახლების დაწვით.

- 29 სექტემბერს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა გაძარცვეს სანდრო ილურიძისა და ვაჟა გელაშვილის სახლები ახალგორში.

ოქტომბერი

- 2 ოქტომბერს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფი შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლები შევიდნენ სოფელ ქერეში, სადაც ისინი ადგილობრივ მოსახლეობას ტყვიამფრქვევებით ემუქრებოდნენ და დაწვეს ერთი სახლი.
- 3 ოქტომბერს, ქალაქ გორში, სამხედრო ბაზის მახლობლად, ორი მოზარდი, ვაჟა ელბაქიძე და გიორგი მაისურაძე დაშავდნენ ნაღმის აფეთქების შედეგად.
- 3 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, რუსი სამხედროები ავრცელებდნენ პროკლამაციებს გალის რაიონის ქართულ სოფლებში, კერძოდ, ჭუბურხინჯში, ფიჩორში და ოტობაიაში.
- 3 ოქტომბერს რუსმა სამხედროებმა დაიკავეს სოფელ ლუხორის სკოლის შენობა, დაიწყეს სანგრების გათხრა და მიმდებარე ტერიტორიების დანაღმვა. ამ სკოლაში სასწავლო პროცესი შეწყდა.
- 4 ოქტომბერს, სოფლებში – მეღვრეკისი და ერგნეთი, ოსური ბანდა ე.წ. „ტყლიპიანის“ მეთაურობით (სხვა დეტალები უცნობია), ძარცვავდა და ჩხრეკდა სახლებს. ისინი იყენებდნენ ავტომობილებს Mitsubishi Pajero და „UAZ“ სანომრე ნიშნების გარეშე.
- 5 ოქტომბერს, 3:30-ზე, პოლიციის ერთი ოფიცერი დაიჭრა მას შემდეგ, რაც სოფელ ვარიანში რუსული საკონსტროლო პუნქტიდან ცეცხლი გაუხნეს.
- 6 ოქტომბერს, რუსი სამხედროები მოითხოვდნენ ალკოჰოლს გეგერდავების ოჯახისგან, გალის რაიონის სოფელ სიდაში. მათ შეურაცხყოფა მიაყენეს ოჯახის წევრებს და სასიკვდილოდ დაჭრეს მინდია გეგერდავა ცეცხლსასროლი იარაღით.
- 6 ოქტომბერს, 00:50-ზე, წალინჯიხის რაიონის სოფელ ფახულანში ჩამოვარდა 2 ნაღმი (82 მმ) ავტომაგისტრალის მახლობლად, რომლებიც გაისროლეს აფხაზეთის ტერიტორიიდან. 07:10-ზე, იგივე კალიბრის 2 ნაღმი ჩამოგდებული იქნა სოფელ ფახულანის ცენტრში, 200 მ-ში აღმოსავლეთით, მდინარე ილორიდან.
- 6 ოქტომბერს, 8:20-ზე ენგურის კაშხალის მიმდებარე ტერიტორიაზე, რუსეთის არმიის „ურალის“ ტიპის მძიმე სატვირთო მანქანა მიემართებოდა სოფელ ჯვარის მიმართულებით, როდესაც ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა გაიგონეს აფეთქების ხმა.
- 6 ოქტომბერს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფი შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა შეაჩერეს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის 9 დამკვირვებელი, რომლებიც მისიას ახორციელებდნენ 2 სატრანსპორტო საშუალებით და თან ახლდათ 2 ბელგიელი ჟურნალისტი. მათი პირადი ნივთები, ფული, აღჭურვილობა და მობილური ტელეფონები მოიპარეს.

- 9 ოქტომბერს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფი შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა სცემეს ომარ კასრაძე, სოფელ ერგნეთიდან, რომელიც გადაიყვანეს გორის საავადმყოფოში.
- 9 ოქტომბერს, ახალგორის რაიონის სოფელ მოსაბრუნში ოსეთის დე-ფაქტო თავდაცვის სამინისტროს განცალკევებული სამთო ბატალიონის ჯარისკაცებმა (მეთაური ბალა ბეცაუტი) ცეცხლი გახსნეს და გაძარცვეს ადგილობრივი მცხოვრებლის სახლი.
- 10 ოქტომბერს ცხინვალის რაიონის სოფელ სათიხარის მცხოვრებლებმა კიდევ ერთხელ გაძარცვეს სოფელ ქსუისის სკოლა, გაეროს მიერ საჩუქრად გადაცემული გათბობის ძვირადღირებული აღჭურვილობა კი მოიპარეს.
- 11 ოქტომბერს, სამმა რუსულმა აერო-გამანადგურებელმა დაარღვია საქართველოს საჰაერო სივრცე. ნახევარი საათის განმავლობაში ისინი დაფრინავდნენ გორის, ცხინვალის და ახალგორის ტერიტორიების თავზე.
- 12 ოქტომბერს, 10:49-სთ-ზე, სოფელ ზემო ნიქოზში აფეთქდა ორი მექანიზმიანი ნაღმი, 15-წუთიანი ინტერვალით.
- 12 ოქტომბერს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფი შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა გაძარცვეს ალექსიშვილების ოჯახის სახლი, ახალგორის რაიონის სოფელ ბოლში.
- 13 ოქტომბერს, რუსულმა თვითმფრინავებმა ორჯერ დაარღვიეს საქართველოს საჰაერო სივრცე – 09:57 სთ-ზე ორმა თვითმფრინავმა გადაკვეთა საჰაერო საზღვარი სტეფანწმინდას მახლობლად, 10:29 სთ-ზე სამი სამხედრო თვითმფრინავი შევიდა საქართველოს საჰაერო სივრცეში და გადაიფრინა ონის, საჩხერის, ჯავის, ცხინვალის და ყაზბეგის ტერიტორიებზე.
- 14 ოქტომბერს, სოფელ დადიანეთის მახლობლად, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა მოიტაცეს 12 წლის ბიჭი და ითხოვდნენ გამოსასყიდს.
- 15 ოქტომბერს, სოფელ საკაშეთში ადგილობრივი მცხოვრები დაიღუპა რუსი ოკუპანტების მიერ დატოვებული ნაღმის აფეთქების შედეგად, მეორე სამოქალაქო პირმა გენადი კიკნაძემ მიიღო სერიოზული ტრავმები.
- 15 ოქტომბერს, 12:30 სთ-ზე რუსული სამხედრო ვერტმფრენი შევიდა ღრომის ველის მიმართულებით, გადაიფრინა სოფელ მეჯვრისხევზე და გაფრინდა ახალგორის მიმართულებით.
- 15 ოქტომბერს, სოფლებში კეხვი, ქურთა და აჩაბეთი ოსმა მძარცველებმა გაიყვეს ქართველების სახლები და საკუთრება და იღებენ მათ მოსავალს.
- 16 ოქტომბერს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფი შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა მოიტაცეს მწყემსი და მისი საქონელი სოფელ ზემო ნიქოზიდან.
- 16 ოქტომბერს, მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა მოიპარეს პირუტყვი ახალგორის რაიონის სოფელ კორინთადან.
- 16 ოქტომბერს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფი შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა დააკავეს ორი ადგილობრივი ქართველი, როდესაც ისინი ჭრიდნენ ხე-ტყეს ახალგორის რაიონის სოფელ ახმაჯის მახლობლად.

შეიარაღებულმა მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა გაიტაცეს ორი ავტომანქანა „ZIL-131“ და ელექტროხერხები.

- 16 ოქტომბერს, გორის რაიონის სოფელ ზემო ხვითის მიმდებარე ტერიტორიაზე რუსული კონტროლის ქვეშ მყოფი შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის ოთხი შეიარაღებული მებრძოლი თავს დაესხა სოფლის მაცხოვრებლებს – გიორგი ლაზარაშვილს (დაბ. 1943 წ.), გიორგი გოგიშვილს (დაბ. 1957 წ.) და ჯუმბერ ერგემლიძეს. მათ გაიტაცეს ლაზარაშვილის ავტომობილი „Mitsubishi-Montero“ (OOO-010) და მოიპარეს 56 ძროხა; მოგვიანებით, ლაზარაშვილი, გოგიშვილი და ერგემლიძე გაათავისუფლეს.
- 16 ოქტომბერს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფი შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის საბრძოლო ძალები შევიდნენ გორის რაიონის სოფლებში ზარდიაანთკარსა და გუგუთიანთკარში და დაწვეს დარჩენილი სახლები.
- 17 ოქტომბერს, ღამით, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფი შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა გახსნეს ცეცხლი ავტომატური შაშხანებიდან გორის რაიონის სოფელ ნიქოზზე.
- 18 ოქტომბერს, დილით, რუსული უპილოტო საფრენი აპარატი დაფრინავდა გორის რაიონის სოფელ ნიქოზის თავზე. მოგვიანებით, ის გაფრინდა ცხინვალის მიმართულებით.
- 18 ოქტომბერს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა გადაკეტეს წყლის მილსადენი პატარა ლიახვის ხეობიდან გორის რაიონის მიმართულებით. შედეგად, გორის რაიონის 17 სოფელი წყლის გარეშე დარჩა.
- 18 ოქტომბერს, შუადღის დაახლოებით, 03:30 სთ-ზე რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა ააფეთქეს გორის რაიონის სოფელ აძვის ხიდი.
- 18 ოქტომბერს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა დალუქეს და წაიღეს ელექტროტრანსფორმატორი ზნაურის რაიონის სოფელ ზემო ოქონადან, რათა ქართულ მოსახლეობას სოფელი დაეტოვებინა.
- 19 ოქტომბერს, 07:00 სთ-ზე აფხაზური მხრიდან სოფელ ხურჩას მიმართულებით გახსნეს ცეცხლი, ნაღმმტყორცნების ჩათვლით. ერთ-ერთი ადგილობრივი მცხოვრების სახლი მნიშვნელოვნად დაზიანდა.
- 19 ოქტომბერს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა ააფეთქეს ხიდი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებდა გალის რაიონის სოფელ თაგილონს და ზუგდიდის რაიონის სოფელ შამგონას.
- 21 ოქტომბერს, ქარელის რაიონის სოფელ ავლევში დისტანციური ნაღმის მეშვეობით, აფეთქდა ქართული პოლიციის მანქანა, შედეგად, ერთი პოლიციელი, გიორგი პერტენავა დაიჭრა.
- 21 ოქტომბერს, 40 ჯავშნიანი სატრანსპორტო საშუალება და რამდენიმე ასეული რუსი ჯარისკაცი შევიდა ახალგორის რაიონის ტერიტორიაზე, ცხინვალიდან.

- 21 ოქტომბერს, რუსმა ოკუპანტებმა გალის რაიონის სოფელ საბერიოს მოსწავლეებს წალენჯიხის სკოლაში მისვლის საშუალება არ მისცეს. დაახლოებით 60 ბავშვს საშუალება არ ჰქონდა სკოლაში წასულიყო.
- 21 ოქტომბერს, დისტანციური ბომბი აფეთქდა სოფელ ჩეღალის სასადილოში. შენობას, რომელშიც განლაგებულია სასადილო, იყენებენ რუსი ოკუპანტები. სასადილოში ხშირად დადიოდნენ ქართველი მუშებიც და სავარაუდოდ, აფეთქება მათზე იყო გამიზნული. დაშავდა ამ სასადილოში მომუშავე მზარეული.
- 23 ოქტომბერს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა დააკავეს ბექა კალანდაძე (დაბ. 1979 წ.) და ლაშა ცინცაძე (დაბ. 1989 წ.), ზნაურის რაიონის სოფელ მუგუთის მაცხოვრებლები. მოგვიანებით, ისინი გაათავისუფლეს.
- 24 ოქტომბერს, გორის რაიონის სოფელ ხურვალეთში რუსული კონტროლის ქვეშ მყოფი შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლები თავს დაესხნენ დელეგაციას საქართველოს განათლების სამინისტროდან, რომელიც ადგილობრივ სკოლას სტუმრობდა. შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლები ეცადნენ მათი ავტომობილების და პირადი ნივთების წართმევას, მაგრამ დელეგაციას ადგილობრივი მცხოვრებლები დაეხმარნენ.
- 24 ოქტომბერს, დილის 10:00 სთ-ზე საათზე რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა ააფეთქეს სოფლების – შამგონას და თაგილონის დამაკავშირებელი სარკინიგზო ხიდი.
- 25 ოქტომბერს, ღამის 1:15 სთ-ზე და დილის 9:00 საათზე აფხაზეთის ტერიტორიებიდან მოხდა ნაღმების გასროლა სოფელ მუჯავასკენ, მათ დააზიანეს ოთარ საბულუას სახლი.
- 25 ოქტომბერს, როდესაც წალენჯიხის რაიონის გუბერნატორო გია მებონიაა ათვალიერებდა სახლს, რომელზეც წინა ღამით შეტევა განხორციელდა, აფეთქდა ნაღმი, დაიჭრა სახლის პატრონი ოთარ საბულუა და პოლიციელი ზვიად ლაგვილავა. ოთარ საბულუა ტრავმებისგან გარდაიცვალა.
- 25 ოქტომბერს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა მიითვისეს ქართველი მძღოლების კუთვნილი ორი ავტობუსი. ეს ავტობუსები ახალგორისთვის საჩუქრად იყო გადაცემული ადგილობრივი საჭიროებებისთვის პრეზიდენტის მიერ.
- 26 ოქტომბერს, ცხინვალის რაიონის სოფელ არცევში რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლების წარმომადგენლებმა დააკავეს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წევრები და მოგვიანებით, გამოუშვეს.
- 26 ოქტომბერს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა საკუთარი სახლებიდან გააძევეს გივი მამამთავრიშვილი თავისი ოჯახის ოთხ წევრთან ერთად და ანასტასია გიგაური თავისი ოჯახის ორ წევრთან ერთად, ახალგორის რაიონის სოფელ იკოთში იმის გამო, რომ მათ ოსური ენა არ იცოდნენ.
- 27 ოქტომბერს გალის რაიონის სოფელ გუდავაში ჭაში იპოვნეს 19 წლის ალიკა ხუნწარიას გვამი. მოწმეების ჩვენებების თანახმად, ხუნწარია რუსებმა შეაჩერეს

საკონტროლო პუნქტზე და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს იმის გამო, რომ ქართული პირადობის მოწმობა ჰქონდა. მოგვიანებით, ის მოკლული იპოვეს.

- 27 ოქტომბერს, რუსმა ოკუპანტებმა მოსთხოვეს ადგილობრივ მოსახლეობას, გაეწმინდათ ადგილობრივი სასაფლაოს ტერიტორია, სადაც ისინი გეგმავდნენ სამხედრო ბაზის განლაგებას.
- 28 ოქტომბერს, რუსმა ოკუპანტებმა და რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა დანაღმეს მდინარე ენგურის ყველა ნაპირი, რომლებსაც ადგილობრივი ქართველები იყენებდნენ საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე მოსახვედრად.
- 28 ოქტომბერს, შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა მოიტაცეს სოფელ ზერტის 6 მცხოვრები გორის რაიონის სოფელ კირბალის მახლობლად მდებარე ტყიდან.
- 29 ოქტომბერს, ახალგორის დასახლების ნომერ პირველი სკოლის დაცვის თანამშრომელმა თამაზ ვარდუაშვილმა სკოლის ეზოში იპოვა ჭურვი, რომელიც მის ხელში აფეთქდა. დაჭრილი გადაიყვანეს თბილისის ღუდუშაურის საავადმყოფოში.
- 29 ოქტომბერს, გალის რაიონის სოფელ ღუმურიშში 28 წლის ლინდა შაკაია აფეთქდა ნაღმზე, რომელიც იქ დატოვეს რუსმა ოკუპანტებმა. აფეთქების შედეგად შაკაიამ დაკარგა ზედა კიდურები.
- 30 ოქტომბერს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებულმა მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა გახსნეს ცეცხლი ქართული პოლიციის საკონტროლო პუნქტზე ერგნეთში – ცხინვალიდან, ცეცხლი 20 წუთის განმავლობაში გრძელდებოდა.
- 31 ოქტომბერს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებულმა მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა ააფეთქეს ხიდი გორის მახლობლად, რომელიც აკავშირებდა ორ სოფელს, ქვეშს და ზემო არცევს.
- 31 ოქტომბერს, მარიონეტული რეჟიმის შეიარაღებულმა მებრძოლებმა დააპატიმრეს საქართველოს საზოგადოებრივი არხის ჟურნალისტები, რომლებიც ამზადებდნენ რეპორტაჟს სოფელ არცევის მახლობლად ხიდის აფეთქების შესახებ. მოგვიანებით, ჟურნალისტები გამოუშვეს.
- 31 ოქტომბერს, სოფელ ლარგვისში რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებულმა მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა მიითვისეს ნუგზარ შერმადინს რამდენიმე ცხვარი. შერმადინმა წინააღმდეგობა გაუწია. რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებულმა მებრძოლებმა დარჩენილი ცხვრები ავტომატის ჯერით დახოცეს.
- 31 ოქტომბერს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებულმა მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა დააწესეს კომენდანტის საათი, რომელიც ზღუდავდა სამოქალაქო პირების და ტრანსპორტის გადაადგილებას 22:00 სთ-ის შემდეგ. ისინი ამოწმებდნენ ადგილობრივი მცხოვრებლების პასპორტებს. ამ რეჟიმის დარღვევისთვის დააპატიმრეს 8 პირი.

ნოემბერი

- 1 ნოემბერს, ქართულმა პოლიციამ დააპატიმრა იაკობ ტეხოვი, სოფელ დისევის მცხოვრები, F-l-ის ტიპის ხელყუმბარის ტარებისთვის.
- 1 ნოემბერს, რუსმა ოკუპანტებმა ააფეთქეს სამი ხიდი გალში, სოფლების ხურჩას და ნაბაკევის მახლობლად. ადგილობრივი მოსახლეობის გადაადგილება შეზღუდულია, და საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიებთან დამაკავშირებელი მარშრუტები დანაღმულია.
- 1 ნოემბერს, ახალგორის მცხოვრებ ნოდარ ბაშარულს შეურაცხყოფა მიაყენეს ოსებმა მის მაღაზიაში. მათ გახსნეს ცეცხლი მაღაზიაზე, მოიპარეს ალკოჰოლური სასმელები და პროდუქტები მაღაზიიდან. ბაშარული იძულებული გახდა გადასულიყო საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე და საქართველოს ხელისუფლებისთვის დახმარება ეთხოვა.
- 2 ნოემბერს, 6 ქართველი გაიტაცეს ტყიდან, გორის რაიონის სოფელ კირბალის მახლობლად, 11 ნოემბერს ისინი გაათავისუფლეს.
- 4 ნოემბერს, 43 წლის კობა დაქოშვილი გაიტაცეს სოფელ ქვემო ხვითიდან, მან მოახერხა მეორე დილით გამოქცევა.
- 5 ნოემბერს, ცხინვალიდან სოფელ ზემო ნიქოზთან ახლოს მდებარე ქართული საკონტროლო პუნქტების მიმართულებით ცეცხლი გახსნეს.
- 5 ნოემბერს, ალიკ გიგოლაევი, სოფელ ზემო არცევის მცხოვრები უცნობმა პირებმა მოკლეს, სოფელ კორხულას მახლობლად.
- 5 ნოემბერს, რუსებმა გაძარცვეს ახალგორის რაიონის სოფ. ყანჩავეთის მცხოვრების, ნინო წინამძღვრიშვილის სახლი.
- 5 ნოემბერს რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებულმა მებრძოლებმა გაძარცვეს გივი ტატუნიშვილის სახლი ახალგორის რაიონის სოფელ ყანჩავეთში. პატრონი სცემეს და მისი პირუტყვი მოიპარეს.
- 6 ნოემბერს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფი შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მილიციის დაჯგუფების (პოლიციის) მეთაურის ილია ხუბულოვის მიერ გაიძარცვა მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის, ცეზარ ჩოჩელის სახლი ახალგორში. მან მოიპარა ხის საშენი მასალა ანზორ ბესტაევის (მეტსახელად, „ხივა“) კუთვნილი სატვირთო მანქანის გამოყენებით.
- 6 ნოემბერს, 23:00 საათზე, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებულმა მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა გახსნეს ცეცხლი სოფელ დისევიდან ქართული სოფლის, კოშკას მიმართულებით. ცეცხლი არ წყდებოდა დაახლოებით, ერთი საათის განმავლობაში.
- 6 ნოემბერს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებულმა მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა ზნაურის რაიონის სოფელ ავნევში დააპატიმრეს ზურაბ კობალაძე. ეს პიროვნება ფსიქიკურად არაჯანსაღია. კობალაძე მოათავსეს იზოლირებულ საკანში ცხინვალის კგბ-ს შენობაში.
- 6 ნოემბერს, გალის რაიონის სოფელ თაგილონის და ზუგდიდის რაიონის სოფელ შამგონას დამაკავშირებელ ბილიკზე ნაპოვნი იყო 3 ტანკსაწინააღდეგო ნაღმი.
- გალის ქართველი მოსახლეობა ტოვებს სახლებს. სოფელ ნაბაკევში დარჩენილი 40 ოჯახიდან ნოემბრის თვის დაწყისში 10 ოჯახი წავიდა.

- 7 ნოემბერს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებულმა მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა დაიწყეს პირადობის მოწმობების, პასპორტების და სხვა დოკუმენტების წართმევა ქართველი მოსახლეობისგან, გალის რაიონში.
- 7 ნოემბერს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებულმა მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა მოითხოვეს 500 ლარი 70 წლის ძაძამიას გასათავისუფლებლად, რომელიც დაპატიმრებული იყო ე.წ. აფხაზეთის საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით.
- 7 ნოემბერს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებულმა მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა დააკავეს გიგა დგებუაძე და ზური ჯობავა, რომლებიც ნათესავების მოსანახულებლად იყვნენ ჩასულები გალის რაიონის სოფელ ოტობაიაში. მათ წაართვეს ქართული პასპორტები და გადაიყვანეს გალის პოლიციაში.
- 8 ნოემბერს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლების 50-კაციანმა ჯგუფმა გახსნა საკონტროლო პუნქტი საჩხერის რაიონის სოფელ პერევში.
- 8 ნოემბერს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებულმა მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა დაიწყეს პროდუქტების შეგროვება რუსი ოკუპანტებისთვის სოფლების ჭუბურხინჯის და საბერიოს ქართველი მოსახლეობისგან. გამოძალვას ახორციელებდნენ ადგილობრივი ადმინისტრაციის უფროსი ანზორ კირთაძე და რუსეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები. ადგილობრივი მოსახლეობა მათ წინააღმდეგობას ვერ უწევდა.
- 8 ნოემბერს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებულმა მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა დააპატიმრეს 8 ქართველი და დაადანაშაულეს საზღვრის უკანონო გადაკვეთაში, იარაღის და ნარკოტიკების გადატანაში. საზღვარი დაკეტილია და ყველა გასასვლელი კონტროლდება. აფხაზების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე შესვლის ნებართვას აძლევენ მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების წევრებს და ენგურის სადგურზე მომუშავე თანამშრომლებს.
- 10 ნოემბერს, 07:15 სთ-ზე, ქარელის რაიონის სოფელ დვანში 2 პოლიციელი, იმედა კახნიაშვილი და თამაზ ხაჭაპურიძე დაიღუპნენ ნაღმის აფეთქებით, პატრულირების დროს; ნაღმი დამონტაჟებული იყო მარიონეტული რეჟიმის მებრძოლების მიერ. პოლიციის ოფიცრების ჯგუფი მივიდა შემთხვევის ადგილზე დახმარების მიზნით, მაგრამ ეს ჯგუფი ასევე აფეთქდა დისტანციურად მართვად ბომბზე. დაიჭრა პოლიციის სამი ოფიცერი: გიორგი შუბითიძე, გიორგი მდინარაძე და დენის ჯონიდავა.
- 11 ნოემბერს, სოფელ ზემო ბარღების ზუგდიდთან დამაკავშირებელი ავტობუსი გააჩერეს რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა. მოგვიანებით, მძღოლები გამოიძახეს მარიონეტული რეჟიმის პოლიციაში და მოსთხოვეს მუდმივი გადასახადების გადახდა ზუგდიდში მგზავრობისთვის.
- 11 ნოემბერს, გალის რაიონის რამდენიმე მცხოვრები დააპატიმრეს მდინარე ენგურის უკანონოდ გადაკვეთისთვის (ხიდი აფეთქებულია) სოფელ თაგილონის

მახლობლად. მათ გადაახდევინეს 10-15 ათასი რუბლი, ხოლო ისინი, ვინც ვერ გადაიხადა, წაიყვანეს გალის პოლიციაში.

- 12 ნოემბერს, რუსმა ოკუპანტებმა (ჩეჩენმა და სომეხმა ჯარისკაცებმა) სცემეს 3 ქართველი ახალგაზრდა გალის რაიონში, რომლებიც საავადმყოფოში გადაიყვანეს.
- 13 ნოემბერს, მარიონეტული რეჟიმის პოლიციის ოფიცრებმა ტყვარჩელში დაიწყეს ქართული პირადობის მოწმობებისა და მობილური ტელეფონების წართმევა ქართველი მოსახლეობისგან. მათ დააპატიმრეს ცოკოლიას ოჯახის ორი წევრი, რომლებიც ტყვარჩელის პოლიციაში წაიყვანეს.
- 14 ნოემბერს, ნაღმის აფეთქებამ მოკლა პირუტყვი წალენჯიხის რაიონის სოფელ მუჯავაში.
- 15 ნოემბერს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებულმა მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა ცეცხლი გახსნეს ქართული საპატრულო პოლიციის მიმართულებით სოფელ ქალაღალის მახლობლად (ფახულანთან ახლოს). ერთ-ერთი პოლიციელი ზურაბ ჯეჯელავა დაიღუპა მიღებული ტრავმებისგან. ცეცხლი ხელახლა გახსნეს, როდესაც შემთხვევის ადგილზე მოვიდნენ ევროკავშირის დამკვირვებლები.
- 16 ნოემბერს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებულმა მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა დააპატიმრეს ხაშურის მაცხოვრებლები ტრისტან გუგუტიშვილი და ვასილ სიმონიშვილი ცხინვალის რაიონის სოფელ კორკულას მახლობლად. შემდეგ დილას ისინი გაათავისუფლეს.
- 16 ნოემბერს, გორის რაიონის სოფელ კერეს მახლობლად, იპოვნეს რუსული უპილოტო საფრენი აპარატი.
- 17 ნოემბერს, კიდევ ერთი რუსული უპილოტო საფრენი აპარატი იყო ნაპოვნი გორის რაიონის სოფელ ფლავში; მოსახლეობამ გამოიძახა პოლიცია და ადგილზე მოვიდა გამნაღმველთა ჯგუფი. მათი მოსვლის შემდეგ უპილოტო საფრენ აპარატზე მიმაგრებული ნაღმი აფეთქდა და მოკლა ორი გამნაღმველი, გიორგი სხვიტარიძე და მარატ ნოზაძე. პოლიციის კიდევ 8 ოფიცერი დაშავდა, ასევე, 10 წლის ბავშვი, რომელიც შემთხვევის ადგილთან ახლოს იდგა.
- 18 ნოემბერს, ცხინვალის რაიონის სოფელ ქსუისში რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებულმა მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა მოკლეს რამაზ შოშიტაშვილი.
- 20 ნოემბერს, დილის 06:45 სთ-ზე ორი რუსული ჯავშნიანი სატრანსპორტო საშუალება შევიდა სოფელ განმუხურში ოტობაიადან. მათ მოჰყვნენ შეიარაღებული მებრძოლები. მათ ცეცხლი გახსნეს განმუხურში მდებარე ქართული პოლიციის საკონტროლო პუნქტის მიმართულებით ტყვიამფრქვევებიდან, ნაღმმტყორცნებიდან, ყუმბარტყორცნებიდან და ჯავშნიანი სატრანსპორტო საშუალებებიდან. ცეცხლი გრძელდებოდა დაახლოებით, 15 წუთის განმავლობაში. ცეცხლმა დააზიანა ადგილობრივი მცხოვრების გოგელი პერტაიას სახლი. ოკუპანტებმა დანაღმეს გზა განმუხურიდან ოტობაიასკენ. მეორე ინციდენტი მოხდა 10:30 სთ-ზე, როდესაც რუსებმა გახსნეს ინტენსიური ცეცხლი ნაღმმტყორცნებიდან განმუხურში მდებარე ქართული პოლიციის საკონტროლო პუნქტის მიმართულებით. ცეცხლი 5 წუთის განმავლობაში გრძლედებოდა. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის

დამკვირვებლებმა დააფიქსირეს განმუხურის თავზე შედარებით დაბალ სიმაღლეზე მფრინავი 2 საბრძოლო ვერტმფრენი, როდესაც შემთხვევის ადგილზე მოვიდნენ.

- 21 ნოემბერს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებულმა მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა ააფეთქეს რადიო-გადამცემი კოშკი და სადგური ხაშურის რაიონის სოფელ ჩორჩანაში. ამ სადგურს და კოშკს მანამდე იყენებდნენ ბაქო-სუფსას მისალდენის მუშაობისთვის.
- 23 ნოემბერს, შუადღის დაახლოებით, 15 საათზე, ახალგორის რაიონის სოფელ ოძისის მახლობლად განლაგებულმა რუსულმა ოკუპაციურმა ძალებმა გახსნეს ცეცხლი საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და პოლონეთის პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკის კორტეჟის გავლისას.
- 25 ნოემბერს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფი შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლები შევიდნენ სოფელ ფახულანში. ისინი ცდილობენენ გაეგოთ არსებული მოსახლეობის რაოდენობა.
- 26 ნოემბერს, სოფელ დირბის მიმდებარე ტერიტორიებიდან მოიტაცეს 2 ქართველი: კობა ხატაშვილი (დაბ. 1980 წ.) და ომარ მაზმიშვილი (დაბ. 1983 წ.). ისინი გაათავისუფლეს 1 კვირის შემდეგ.
- 27 ნოემბერს, გაიტაცეს გალის მაცხოვრებელი ირინა მებონია. 3 დეკემბერს, სოფელ ნაბაკევის მახლობლად ნაპოვნი იქნა მისი გვამი.
- 30 ნოემბერს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებულმა მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა გახსნეს ცეცხლი ქართულ პოზიციებზე სოფელ ფლავისმანში.

დეკემბერი

- 2 დეკემბერს, ცეცხლი გახსნეს გორის რაიონის ქართული სოფლის გუგუთიანთკარის მიმართულებით.
- 5 დეკემბერს, 18:15 სთ-ზე რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებულმა მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა დაიწყეს სროლა სოფელ ხელჩუადან სოფელ მერეთში მდებარე ქართული პოლიციის სადგურის მიმართულებით. სეპარატისტებმა მიზანს ააცილეს და დააზიანეს ადგილობრივი მცხოვრების ახლომდებარე სახლის ნაგებობები.
- 10 დეკემბერს, დილის 06:00 საათზე გორის რაიონის სოფელ ნიქოზის მახლობლად ფხვენის ხიდზე აფეთქდა დისტანციური მართვის ასაფეთქებელი საშუალება, იმ დროს, როდესაც შიდა ქართლის საპატრულო პოლიციის ოფიცრები ახორციელებდნენ ამ ტერიტორიის პატრულირებას. ამ აფეთქებას შედეგად არ მოჰყოლია მსხვერპლი. თუმცა, დაზიანდა საპატრულო პოლიციის მანქანა.
- 10 დეკემბერს, საღამოს 17:00 საათზე ეუთო-ს მისიის საპატრულო ჯავშნიანი ავტომანქანის მიმართულებით ცეცხლი გახსნეს რუსული კონტროლის ქვეშ მყოფი შეიარაღებულმა მარიონეტული რეჟიმის მებრძოლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან, გორის რაიონის სოფელ ხვითის მახლობლად. ინციდენტს არ გამოუწვევია მსხვერპლი ან ტრავმები, თუმცა, დაზიანდა ავტომანქანა.
- 12 დეკემბერს, დილით ადრე, რუსულმა სამხედრო ძალებმა 8 საათით დატოვეს სოფელ პერევის ტერიტორია. უსართხოების და წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით ქართულმა პოლიციამ დაიწყო პოზიციების დაკავება სოფელში. რუსული სამხედრო

ძალები პერევში დაბრუნდნენ დაახლოებით, საღამოს 17:00 საათზე ერთი ჯავშანტრანსპორტიორის და ოცეულის თანხლებით და დაიბრუნეს პოზიციები, რომლებიც დილით დატოვეს.

- 13 დეკემბერს, დილის 09:00 საათზე რუსმა ოკუპანტებმა დაიწყეს თავისი პოზიციების გამაგრება პერევში, მათ მოახდინეს დაახლოებით 300 საჰაერო დესანტის დისლოცირება 6 საბრძოლო ვერტმფრენიდან და მთის ბატალიონი გადააადგილეს სოფლისკენ. სოფელში დისლოცირებული ქართული პოლიციის დანაყოფებისთვის ცეცხლის გახსნის მუქარის ქვეშ რუსი ოკუპანტები მოითხოვდნენ სოფლიდან მათ უკან დახევას. მზარდი დაძაბულობის განმუხტვის მიზნით, ქართველ პოლიციელებს მოუწიათ პერევიდან უკან დახევა. ევროკავშირის მონიტორები და დამკვირვებლები საქართველოში ეუთოს მისიიდან, ევროკავშირის რამდენიმე ელჩთან ერთად ასევე, გახდნენ რუსი ოკუპანტების მიერ სოფელ პერევში ხელახლა შესვლის მოწმეები.
- 17 დეკემბერს, 21:00 საათზე ქართული პოლიციის საკონტროლო პუნქტი გორის რაიონის სოფელ ხურვალეთში გახდა რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიიდან წამოსული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით განხორციელებული ცეცხლის სამიზნე. შედეგად, პოლიციის ერთი ოფიცერი შალვა სიმონიშვილი მძიმედ დაიჭრა და გორის საავადმყოფოში მოათავსეს.
- 23 დეკემბერს, დილით ადრე, ოთარ გოგოხიას ოჯახი აფეთქდა ნაღმზე (ისინი მიემართებოდნენ ზუგდიდისკენ) სოფელ ჭუბურხინჯის მახლობლად. 4 პირმა ტრავმები მიიღო, ორი მათგანი გადაიყვანეს ზუგდიდის საავადმყოფოში, დანარჩენ ორს ზუგდიდში შესვლის საშუალება არ მისცეს რუსმა ჯარისკაცებმა. ყველა მისასვლელი გზა, გასასვლელები, ხიდები და სხვა წერტილები დანაღმულია რუსების და რუსული კონტროლის ქვეშ მყოფი შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლების მიერ. მოქალაქეების სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, თუ ისინი მიუახლოვდებიან ე. წ. სასაზღვრო ხაზს აფხაზეთსა და საქართველოს შორის.
- 24 დეკემბერს, ოსურ მხარეზე სოფელ კოშკას მახლობლად შეიმჩნეოდა მძიმე ცეცხლი ავტომატური იარაღიდან; რამდენიმეჯერ ისროლეს ქართული პოლიციის პოზიციების მიმართულებით, რასაც არ გამოუწვევია დაზიანება და ტრავმები.
- 27 დეკემბერს, 23:30 სთ-ზე გორის რაიონის სოფელ კოშკაში მდებარე ქართული პოლიციის საკონტროლო პუნქტი გახდა რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიებიდან წამოსული ცეცხლის სამიზნე. შედეგად შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის რეგიონული პოლიციის თანამშრომელი ლავრენტი ფანჩულიძე დაიჭრა.
- 30 დეკემბერს, 21:00 საათზე სოფელ კოშკაში მდებარე ქართული საკონტროლო პუნქტის მიმართულებით ავტომატური იარაღებიდან ცეცხლი იქნა გახსნილი. არავინ დაშავებულა.

იანვარი 2009

- 4 იანვარს, 08:00 საათზე ზუგდიდის რაიონის სოფელ განმუხურში მდებარე ქართული პოლიციის საკონტროლო პუნქტი გახდა რუსეთის კონტროლის ქვეშ მყოფი ტერიტორიიდან, ძირითადად, გალის რაიონის სოფელ ფიჩორიდან

წამოსული, ინტენსიური ცეცხლის სამიზნე. გამოყენებული იყო როგორც ტყვიამფრქვევები, ასევე, ნაღმმტყორცნები. სროლის შედეგად არავინ დაშავებულა.

- 4 იანვარს, დემურ ქირიას ოჯახი გაძარცვა გალის რაიონის სოფელ თაგილონის მცხოვრებლებმა. დემურ ქირია მოიტაცეს და მოკლული იპოვეს 5 იანვარს.
- 8 იანვარს, დილის 05:00 საათზე, რუსებმა და რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებულმა მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა გახსნეს ცეცხლი ავტომატური იარაღიდან და ყუმბარტყორცნებიდან ქართული სოფლის ორსანტიას მიმართულებით. მათ გაისროლეს 15-ზე მეტი ჭურვი. აუფეთქებელი ჭურვები იპოვეს ქვარაიას ოჯახის ეზოში. ინციდენტს არ გამოუწვევია ტრავმები ან მსხვერპლი.
- 11 იანვარს, საღამოს 22:00 საათზე ოსებმა და რუსებმა გახსნეს ცეცხლი სოფელ ზემო ნიქოზში მდებარე პოლიციის განყოფილების მიმართულებით. გამოყენებული იყო როგორც ავტომატური იარაღი, ისევე, ყუმბარმტყორცნები. ინციდენტი გრძელდებოდა 20 წუთის განმავლობაში და არავინ დაშავებულა.
- 13 იანვარს, საღამოს 23:00 საათზე რუსებმა და რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებულმა მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა განახორციელეს შეტევა ქართული პოლიციის საკონტროლო პუნქტზე რუხში, ჭუბურხინჯის მხრიდან. შეტევა გრძელდებოდა 20 წუთის განმავლობაში და განხორციელდა ავტომატური იარაღის გამოყენებით. ინციდენტს არ გამოუწვევია დაზიანება ან მსხვერპლი.
- 14 იანვარს, 14:20 სთ-ზე სოფელ კოშკაში მდებარე ქართული პოლიციის საკონტროლო პუნქტზე განხორციელდა შეტევა რუსული კონტროლის ქვეშ მყოფი შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან სოფელ დისევთან უშუალო სიახლოვეში. შეტევა დაიწყო ყუმბარმტყორცნებით და ავტომატური იარაღით. ინციდენტს არ გამოუწვევია დაზიანება ან მსხვერპლი.
- 16 იანვარს, დილის 10:00 საათზე რუსეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან სროლის შედეგად, შსს-ს შიდა ქართლის რეგიონული პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომელი მამუკა კახნიაშვილი (დაბ. 1982 წ.) მოკლეს სოფელ კნოლევში განლაგებული ქართული პოლიციის საკონტროლო პუნქტის ტერიტორიაზე. გამოძიების თანახმად, ტყვია გასროლილი იყო სნაიპერის მაყუჩიანი იარაღიდან.
- 18 იანვარს, დილის 05:00 საათზე ზუგდიდის რაიონის სოფელ კოშკაში განლაგებული ქართული პოლიციის საკონტროლო პუნქტი გახდა რუსეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან წამოსული ცეცხლის სამიზნე. სროლა ხორციელდებოდა როგორც ტყვიამფრქვევების, ასევე, ნაღმმტყორცნების გამოყენებით, რის შედეგადაც შსს-ს სპეციალური დანიშნულების მთავარი სამმართველოს მეორე სამმართველოს თანამშრომელი დაიჭრა; მოგვიანებით იგი საავადმყოფოში გადაიყვანეს.
- 19 იანვარს, საღამოს, 17:00 საათზე რუსეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან დაცხრილეს პოლიციის პიკაპის ტიპის მანქანა იმ დროს, როდესაც ის ახორციელებდა პატრულირებას ქარელის რაიონის სოფელ დვანში განლაგებული ქართული პოლიციის საკონტროლო პუნქტის მახლობლად. არტილერიის ინტენსიური ცეცხლი რუსეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან ხორციელდებოდა ტყვიამფრქვევების მეშვეობით და გაგრძელდა 20 წუთის განმავლობაში. სროლის შედეგად, დაიჭრა

შინაგან საქმეთა სამინისტროს რამდენიმე თანამშრომელი, კერძოდ: ლევან გოგილაშვილი და მამუკა ჯანიაშვილი, რომლებიც გადაიყვანეს გორის სამხედრო ჰოსპიტალში.

- 23 იანვარს, დილით ადრე, გალის მცხოვრები თენგიზ აქუბარდია ცდილობდა გალიდან ზუგდიდში გამგზავრებას, რათა თავისი მცირეწლოვანი შვილი ექიმთან წაეყვანა. რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებულმა მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა მას $300 მოსთხოვეს, რათა გაეტარებინათ ის საკონტროლო პუნქტზე. მან ვერ შეძლოამ თანხის გადახდა და დაბრუნდა თავისი მანქანით თავის მეუღლესთან, რომელიც მას ენგურის ხიდის მეორე მხარეზე ელოდებოდა. ამის შემდეგ რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებულმა მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა გახსნეს ცეცხლი, რის გამოც ერთი მგზავრი დაშავდა აქუბარდიას მანქანაში.
- 24 იანვარს, ნაშუადღევს, ცეცხლი გახსეს ეუთო-ს პატრულის მიმართულებით, რომელიც ახმაჯის მახლობლად, სიტუაციას აკონტროლებდა. ინციდენტს არ გამოუწვევია დაზიანება ან მსხვერპლი.
- 25 იანვარს, შუადღისკენ, 2 რუსული მი-24 შევიდა საქართველოს მიერ კონტროლირებად საჰაერო სივრცეში ერგნეთიდან და გადაუფრინა ქართული პოლიციის საკონტროლო პუნქტებს სოფლებში: კნოლევი, გოგეთი, დვანი, ნიქოზი, დიცი, ხურვალეთი, ხოლო ლამისყანის და ახმაჯის მხრიდან გაფრინდა ახალგორისკენ.
- 27 იანვარს, 14 წლის იოსებ ხორხელი დაშავდა ხელყუმბარის აფეთქების შედეგად სოფელ კირბალის სკოლის ეზოში. ბიჭმა მიიღო სერიოზული ტრავმები და ჰოსპიტალიზირებული იქნა.
- 27 იანვარს, შუადღის დააახლოებით 14:00 საათზე ცეცხლი გახსნეს პოლიციის საკონტროლო პუნქტის მიმართულებით, ახალგორის რაიონთან ე. წ. ადმინისტრაციული საზღვრის მახლობლად. ინციდენტი მოხდა, როდესაც ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია და ეუთო უბნის მახლობლად პატრულირებას ახორციელებდნენ.
- 28 იანვარს, 23:00 საათზე ცეცხლი გაიხსნა ავტომატური იარაღიდან ქართული პოლიციის საკონტროლო პუნქტის მიმართულებით ენგურის ხიდზე, სოფელ რუხის მახლობლად. ინციდენტს არ გამოუწვევია დაზიანება ან მსხვერპლი.
- 29 იანვარს, გვიან ღამით, რუსი ჯარისკაცები ითხოვდნენ პროდუქტებს მებონიას ოჯახისგან გალის რაიონის სოფელ ნაბაკევში. ოჯახის წევრმა, კობა მებონიამ წინააღმდეგობა გაუწია და მოკლეს თავისივე სახლის ჭიშკართან. მტკიცებულებისა და კვალის დაფარვის მიზნით გვამი ჯარსკაცებმა წაიღეს.
- 31 იანვარს, დილის 11 საათზე ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მონიტორები ლიტველ ჟურნალისტებთან ერთად იმყოფებოდნენ სოფელ შამგონაში, რათა მოემზადებინათ ინფორმაცია ხიდის აფეთქების შესახებ სოფელ თაგილონში, მდინარე ენგურის მეორე მხარეს. რუსებმა და რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებულმა მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა რამდენიმეჯერ ჰაერში ისროლეს ავტომატური შაშხანებიდან ჩაწერის შეწყვეტის მიზნით. ინციდენტს არ გამოუწვევია ტრავმები ან მსხვერპლი.

თებერვალი

- 2 თებერვალს, 15:00 საათზე ქართული პოლიციის საკონტროლო პუნქტზე განხორციელდა შეტევა ავტომატური შაშხანების გამოყენებით სოფელ კნოლევში, ე. წ. სამხრეთ ოსეთის მხრიდან. ინციდენტს არ გამოუწვევია ტრავმები ან მსხვერპლი.
- 7 თებერვალს, დილის 7:00 საათზე, საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებული რუსული ოკუპაციის ქვეშ მყოფი შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლები თავს დაესხნენ მანქანას, რომელიც მოძრაობდა მთავარ აღმოსავლეთ-დასავლეთ ავტომაგისტრალზე და გაიტაცეს მალხაზ ბეუკლიშვილი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელი. ბეუკლიშვილი გაატარეს ამჟამად რუსული ოკუპაციის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე, გატაცებული ავტომობილით. შეიარაღებულ პირთა ჯგუფმა მოითხოვა გამოსასყიდი მძევლის სანაცვლოდ. ბეუკლიშვილი გაათავისუფლეს 8 თებერვალს, საღამოს.
- 7 თებერვალს, საღამოს, რუსმა სამხედროებმა და რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებულმა მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა სოფელ ხურჩას მახლობლად დაჭრეს ზურა ბობოხუა, რომელიც ცდილობდა საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მოხვედრას სოფელ ნაბაკევის მახლობლად. იგი გადაიყვანეს ზუგდიდის საავადმყოფოში სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად.
- 9 თებერვალს, 23:30 სთ-ზე, ქართული პოლიციის განყოფილებაზე სოფელ მერეთში შეტევა განხორციელდა ოსური მხრიდან. შეტევის დროს გამოყენებული იყო ავტომატური შაშხანები. ინციდენტს არ გამოუწვევია დაზიანება ან მსხვერპლი.
- 10 თებერვალს, დაახლოებით დილის 10:30 სთ-ზე, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებულმა მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა გაიტაცეს საქართველოში ეუთო-ს მისიის ორი დამკვირვებელი ოფიცერი გორის რაიონის სოფელ აძვის მახლობლად. დამკვირვებელი ოფიცრები დაკავებული ჰყავდათ რუსეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ქალაქ ცხინვალში. მოგვიანებით, ისინი გაათავისუფლეს.
- 10 თებერვალს, დაახლოებით, 15:00 საათზე ქართველი ჟურნალისტები ტელეარხებიდან „იმედი„ და „პირველი არხი“ დააკავეს რუსული კონტროლის ქვეშ მყოფი შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა და ნახევარ საათში გაათავისუფლეს.
- 11 თებერვალს, დაახლოებით შუადღის 12:20 სთ-ზე რუსეთის ოკუპაციურმა ძალებმა განალაგეს დაახლოებით 50 სამხედრო და 1 ჯავშანტრანსპორტიორი სოფელ ქვემო ნიქოზის მახლობლად, საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე და დაბლოკეს ქართული პოლიციის საკონტროლო პუნქტი. მათ დაიწყეს ტერიტორიის გამაგრება.
- 12 თებერვალს, 20:00 საათზე ქართული სოფლის, კოდას მიმართულებით ცეცხლი გაიხსნა ავტომატური შაშხანების გამოყენებით რუსეთის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიებიდან და რუსული კონტროლის ქვეშ მყოფი შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლების მხრიდან. რამდენიმე სახლი დაზიანდა. ინციდენტს არ გამოუწვევია დაზიანება ან მსხვერპლი.

- 13 თებერვალს, საღამოს 3 დამლაგებელი ქალი აფეთქდა დეტონატორით ოსიაურის სამხედრო ბაზაზე. იქ მყოფებმა მიიღეს სერიოზული ტრავმები, ხოლო ერთი ქალბატონი ტრავმებისგან გარდაიცვალა გორის სამხედრო ჰოსპიტალში.
- 22 თებერვალს, 16:30 სთ-ზე სოფელ კნოლევში მდებარე ქართული პოლიციის განყოფილებაზე სამხრეთ ოსეთის მხრიდან შეტევა განხორციელდა ავტომატური იარაღის გამოყენებით. დაზიანდა მხოლოდ პოლიციის განყოფილება. არავინ არ დაშავებულა.
- 26 თებერვალს, გალის რაიონის დაახლოებით, 50 მცხოვრები იძულებული გახდა, დაეტოვებინა თავისი სახლები და გადასულიყვნენ განმუხურში. გაქცევის მიზეზი იყო მათი იძულება რუსი სამხედროების და რუსული კონტროლის ქვეშ მყოფი შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლების მიერ, რომლებიც მოითხოვდნენ გალის მაცხოვრებლის ირაკლი ბოკუჩავას გადაცემას, რომელიც 25 თებერვალს დაშავდა და ზუგდიდში გაიქცა. 16:00 საათისთვის რუსებმა და რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებულმა მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა ორსანტიაში და ნაბაკევში მოიყვანეს დაახლოებით, 30 ჯავშანტრანსპორტიორი; ახდენდნენ თავისი ძალის დემონსტრირებას და ისროდნენ ჰაერში. მათი მიზანი იყო, ეიძულებინათ ქართული მხარე, გადაეცა მათთვის ირაკლი ბოკუჩავა.
- 26 თებერვალს, დაახლოებით 22:30 სთ-ზე რუსეთის და რუსული კონტროლის ქვეშ მყოფი შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლების მხრიდან გახსნილი იქნა ცეცხლი ქართული სოფლების, მერეთის და გუგუნიანთკარის მიმართულებით. დაზიანდა სახლები და ერთი სატრანსპორტო საშუალება. ინციდენტს არ გამოუწვევია ტრავმები ან მსხვერპლი.
- 27 თებერვალს, დაახლოებით, 16:30 სთ-ზე, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფი შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლები თავს დაესხნენ სოფელ კოდადან სოფელ ჭვრინისის მიმართულებით, (ორივე ქარელის რაიონში, ე.წ ადმინისტრაციული საზღვრის მახლობლად), მიმავალ მანქანას, გაიტაცეს მისი მგზავრები: დავით კაპანაძე, ირაკლი კაპანაძე, დემურ ჭიღლაძე და დავით საძაგლიშვილი. ისინი წაიყვანეს რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიის მიმართულებით. მოგვიანებით, ირაკლი კაპანაძე და დავით საძაგლიშვილი გაუშვეს. დანარჩენი ორი მძევლის, დავით კაპანაძის და დემურ ჭიღლაძის სანაცვლოდ, რომლებიც მას შემდეგ ცხინვალის ციხეში იმყოფებიან, ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლება თავდაპირველად მოითხოვდა გამოსასყიდს 6000 ევროს ოდენობით, ხოლო შემდეგ სამხრეთ ოსეთის კრიმინალების გათავისუფლებას ქართული ციხიდან: მარეკ დუდაევის (რომელიც სასჯელს იხდიდა მრავალჯერადი მკვლელობისთვის), ან გიორგი ზასეევის (რომელიც სასჯელს იხდიდა 2005 წლის 1 თებერვალს გორში პოლიციის განყოფილებაზე ტერორისტულ თავდასხმაში მონაწილეობისთვის).

მარტი

- 4 მარტს, 11:00 და 14:00 საათზე ორმა რუსულმა ვერტმფრენმა მი-24-მა დაარღვია ცეცხლის შეწყვეტის ხაზი სოფლების - განმუხურის და ხურჩას თავზე. მათ გადაიღეს ქართული პოლიციის საკონტროლო პუნქტების ფოტოები და გაფრინდნენ უკან, აფხაზეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე.

- 2009 წლის 4 მარტს, სამხრეთ ოსეთის ეგრეთ წოდებულმა სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტმა (სუკ-ი) დააკავა ორი პირი: თამარ ჩარაევა (დაბ. 1950 წ., ახალგორის # 3 სკოლის მასწავლებელი) და გივი ჩიგოევი (დაბ., 1954 წ., ადგილობრივი რაიონული საბჭოს თავმჯდომარე). რამდენიმე კვირის განმავლობაში ისინი დაკავებულნი იყვნენ დროებითი დაკავების საკანში ცხინვალში. სეპარატისტულმა ხელისუფლებამ ისინი „სახელმწიფო ღალატში“ დაადანაშაულა, მხოლოდ იმის გამო, რომ ეს პირები მონაწილეობდნენ 2006 წლის 12 ნოემბერს ჩატარებულ სამხრეთ ოსეთის ალტერნატიულ საპრეზიდენტოარჩევნებში.
- 5 მარტს, დილის 10:45 სთ-ზე ორმა რუსულმა ვერტმფრენმა მი-24 დაარღვია ცეცხლის შეწყვეტის ხაზი სოფლების განმუხურის და ხურჩას თავზე. მათ გადაიღეს ქართული პოლიციის საკონტროლო პუნქტების ფოტოები და გაფრინდნენ უკან აფხაზეთის კონტროლირებად ტერიტორიაზე.
- 5 მარტს, 17:00 საათზე რუსმა ჯარისკაცებმა სოფელ ოძისის მახლობლად, პლასტმასის საგნები ჩაყარეს წყლის კოლექტორში, რომელიც სასმელ წყალს აწვდის რამდენიმე სოფელს. ამ საგნებმა დაბლოკეს წყლის მიწოდება. მას შემდეგ, რაც ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ეს საგნები წარმოადგენდა პოლიეთილენის მარცვლებს და სოფლის მოსახლეობისთვის სახიფათო არ იყო, წყლის მიწოდება აღდგა.
- 6 მარტს, ღამის 1:00 საათზე, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფი 7 შეიარაღებული მარიონეტული რეჟიმის მებრძოლი თავს დაესხა მწყემსს სოფელ ქვემო ატოცში და მოიპარა 12 ძროხა. ინციდენტს არ გამოუწვევია მსხვერპლი.
- 8 მარტს, დილით ახალგორში მოხდა ძლიერი აფეთქება. იგი გამოწვეული იყო ტექნიკური მიზეზებით, „გრადის“ გამშვები დანადგარების და ყუმბარების საწყობზე. ინციდენტმა ზიანი მიაყენა რამდენიმე რუს ჯარისკაცს.
- 13 მარტს, დაახლოებით, 23:30 სთ-ზე სოფელ დვანში მდებარე პოლიციის განყოფილების მახლობლად, ქართველი პოლიციელების მიმართულებით, ცეცხლი იქნა გახსნილი. საბედნიეროდ, პოლიციის ყველა ოფიცერი გადარჩა და ტრავმები არ მიუღიათ.
- 13 მარტს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებულმა მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა გაძარცვეს და დაწვეს ეთნიკური ქართველების სახლები ახალგორის რაიონის სოფელ წირქოლში, კერძოდ, ფსუტურის და მილაძის ოჯახების სახლები.
- 26 მარტს, დაახლოებით, 14:00 საათზე რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებულმა მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა ცეცხლი გახსნეს სოფელ დიცში მინდვრებში მომუშავე სოფლის მცხოვრებლების მიმართულებით. ინციდენტს არ გამოუწვევია დაზიანება ან მსხვერპლი.
- 27 მარტს, დაახლოებით, 16:45 სთ-ზე რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებულმა მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა გახსნეს ცეცხლი ავტომატური იარაღიდან სოფელ მერეთის მიმართულებით და შემდეგ გადაიტანეს ცეცხლი ქართული პოლიციის შენობაზე. ინციდენტს არ გამოუწვევია დაზიანება ან მსხვერპლი.

- 27 მარტს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებულმა მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა დააკავეს აშშ-ის მოქალაქე კრისტოფერ ჩივერსი, გაზეთ New York Times-ის კორეპონდენტი საქართველოში და მოგვიანებით, იგი გამოუშვეს.
- 29 მარტს, 08:30 სთ-ზე ქართულ სოფელ დვანში ქართული პოლიციის პიკაპს, რომელიც აწარმოებდა რიგით პატრულირებას, დაარტყა დისტანციური მართვის ასაფეთქებელმა მოწყობილობამ. აფეთქების შედეგად სერიოზულად დაშავდა სპეციალური დანიშნულების მთავარი სამმართველოს ოთხი თანამშრომელი, კერძოდ: ოთარ მხითარიანი, დავით ფეიქრიშვილი, ავთანდილ მეგრელიშვილი, ლევან ტანიაშვილი და ბადრი ჯიოშვილი, რომელიც მოგვიანებით, საავადმყოფოში გარდაიცვალა. დაჭრილების დასახმარებლად შემთხვევის ადგილზე დაუყოვნებლივ მივიდნენ შიდა ქართლის პოლიციის ორი ოფიცერი, ვანო დათაშვილი და ზურაბ დურგლიშვილი, მათაც აგრეთვე მიიღეს მძიმე ტრავმები კიდევ ერთი დისტანციური მართვის ასაფეთქებელი მოწყობილობის ამოქმედების გამო. შემდგომში, დაშავებული პოლიციის ოფიცრები გადაიყვანეს გორის ჰოსპიტალში.

აპრილი

- 6 აპრილს, სოფელ ტყვიავში 14 წლის მოზარდმა გიორგი მარიამიძემ იპოვა აუფეთქებელი ჭურვი ადგილობრივი ეკლესიის ეზოში. ჭურვი აფეთქდა მის ხელში და ბიჭმა მიიღო სერიოზული ტრავმები.
- 12 აპრილს, ახალგორის რაიონის სოფელ აძვში რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა სამმა შეიარაღებულმა მარიონეტული რეჟიმის მებრძოლმა გაძარცვეს ადგილობრივი სკოლა, წაიღეს 7 კომპიუტერი და თავს დაესხნენ დაცვას ჯამბულ ხომასურიძეს.
- 21 აპრილს, რუსული კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებულმა მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა დააკავეს ეუთოს ორი დამკვირვებელი ოფიცერი „საზღვრის დარღვევისთვის“ და მოგვიანებით, ისინი გამოუშვეს.
- 22 აპრილს, დილის საათებში ქარელის რაიონის სოფელ კნოლევის მახლობლად ყანაში აფეთქდა ნაღმი. არავინ დაშავებულა.
- 22 აპრილს, 20:30 სთ-ზე კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებულმა მარიონეტული რეჟიმის მებრძოლებმა გახსნეს ცეცხლი ქართული პოლიციის საკონტროლო პუნქტის მიმართულებით, გორის რაიონის სოფელ ფლავის მახლობლად. არავინ დაშავებულა.

კითხვა 8. რა ნაბიჯები გადადგა თქვენმა ან მოწინააღმდეგე მხარემ, რათა გაერკვია იმ პირების ბედი, რომლებიც დაკარგულად არიან გამოცხადებული 1990 წლის შემდეგ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის, მათი ოჯახების, ან იმ მხარის მიერ, რომელთაც ისინი ეკუთვნიან? ეს ნაბიჯები რა შემთხვევებში იყო წარმატებული? და თუ იგი არ იყო წარმატებული, რატომ?

საქართველოს მთავრობა წარმოადგენს ჰუმანიტარული სამართლის ძირითადი საერთაშორისო შეთანხმებების მხარეს, მათ შორის, 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციების და მათი 1977 წლის 8 ივნისის ორი არასავალდებულო პროტოკოლის მხარეს. ეს მექანიზმები ითვალისწინებს იმ ნორმების განხორციელებას, რომლებიც გამიზნულია ოჯახების უფლებების დაცვასა და მათთვის ინფორმაციის მიწოდებაზე დაკარგული წევრების ბედის შესახებ. აგრეთვე, საქართველო წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებების, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტისა (1966 წლის 16 დეკემბრი) და ფუნდამენტალური თავისუფლებების შესახებ კონვენციის (1950 წლის 4 ნოემბრი) ხელმომწერ მხარეს.

1996 წლის 6 მარტს, პრეზიდენტის #218 განკარგულების თანახმად, დაკარგულ პირთა ოჯახების დახმარების მიზნით, შეიქმნა შესაბამისი კომისია. კომისია განახლდა პრეზიდენტის 2004 წლის #479 განკარგულებით. 2005 წელს, განკარგულებას დაემატა შესწორებები, ხოლო 2006 წელს, კომისია გადავიდა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაქვემდებარებაში.
კომისიის ძირითადი მიღწევებია:

1. შეგროვებული და დახარისხებულია მნიშვნელოვანი ინფორმაცია დაკარგული ქართველი ეროვნების პირების შესახებ;
2. მნიშვნელოვანი წვლილი იქნა შეტანილი „სამხედრო მოსამსახურეების ოჯახების მხარდაჭერის შესახებ“ კანონის მიღებაში;
3. წესდების (ნორმატიული აქტის) საფუძველზე, დაკარგული სამხედროების ოჯახებს შესთავაზეს დახმარების სხვადასხვა ფორმები – დოკუმენტებით უზრუნველყოფა, ფინანსური შემწეობა, სამედიცინო დაზღვევა და ა. შ.

დაკარგული პირების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და დახარისხება

კომისია მრავალი წლის განმავლობაში აგროვებდა მნიშვნელოვან ინფორმაციას დაკარგული პირების შესახებ: სამხედრო გამოძიებას, მიახლოებით რუკებს, რომლებიც ადგენდა ამ პირთა შესაძლო საფლავებს (რაზეც მოწმობდნენ შესაბამისი პირები), ამონაწერს შრომის ისტორიიდან და ა.შ. ეს ინფორმაცია სათანადოდ არის შენახული თემატურ და ინდივიდუალურ დოსიეებში კომისიის თბილისის ოფისში. აღსანიშნავია, რომ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დახმარებით, კომისიამ მოახერხა, შეეგროვებინა „გარდაცვალებამდელი“ მონაცემები ყველა დაკარგული სამხედრო და სამოქალაქო პირის შესახებ. შეგროვებული მონაცემები დაემატა გარდაცვალებამდელ

მონაცემთა ბაზას. მონაცემთა ბაზა სასამართლო ექსპერტების მიერ გვამების იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა. კომისია პერიოდულად მართავს შეხვედრებს, თანამშრომლობს აფხაზურ კომისიასთან ჰუმანიტარულ საკითხებშო და ამ სფეროში მომუშავე საზოგადოებრივ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

აფხაზეთის კონფლიქტის შედეგად დაკარგული პირების რაოდენობა და მონაცემები

საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ, კომისიის მიერ 165 ნეშტი იქნა გადმოსვენებული აფხაზების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან. 49 ცხედარი გადაეცა აფხაზურ მხარეს, მაგრამ ბევრის ვინაობა ჯერ კიდევ დაუდგენელია.

- **აფხაზეთის კონფლიქტის შედეგად დაკარგული პირების ოჯახების დახმარება**

სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში 1763 დაკარგული პირის ოჯახი ცხოვრობს, მათ შორის, 795 ჯარისკაცის ოჯახი და 968 სამოქალაქო პირის ოჯახი. კომისიის თანახმად, 1427 ოჯახი არის იძულებით გადაადგილებული. ბოლო წლებში, კომისია სთავაზობდა შემწეობას დაკარგული პირების ოჯახებს, ძირითადად, თბილისსა და მიმდებარე რაიონებში. შემწეობა გამოყოფილი იყო #563 კანონის თანახმად, რომელიც მიღებულ იქნა 1996 წელს კომისიის ჩართულობის შედეგად.

საქართველოსა და რუსეთს შორის კონფლიქტის შედეგად დაკარგული პირების რაოდენობა და მონაცემები (2008 წლის აგვისტო).

- <u>შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში</u>

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, შეიარაღებული კონფლიქტის დროს და შემდგომ პერიოდში, შსს-ს 25 თანამშრომელი იქნა მოკლული. მათგან, 11 პირი მოკლული იყო შეიარაღებული კონფლიქტის დროს, პოლიციის 3 ოფიცერი კვლავ დაკარგულია. 11 პირი მოკლული იყო სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას (ანუ, კონფლიქტის ზონის მიმდებარე ზონების პატრულირების დროს), აქტიური საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ (პოსტებზე).

თითოეული მოკლული/დაკარგული პირის ოჯახმა მიიღო ერთჯერადი სახელმწიფო ფინანსური შემწეობა 15 500 ლარის ოდენობით. ამის გარდა, საქველმოქმედო ფონდს „თანადგომას“ გადაეცა 14 მოკლული/დაკარგული პირის სია და მათმა ოჯახებმა მიიღეს კომპენსაცია 8250 ლარის ოდენობით. ამასთან, შინაგან საქმეთა სამინისტროს 23 დეკემბრის შიდა განკარგულების თანახმად, 17-მა ოჯახმა მიიღო ფინანსური დახმარება 2000-5000 ლარის ოდენობით.

შსს-მ შეიძინა საცხოვრებელი ბინები კონფლიქტის შედეგად დაკარგული/მოკლული შსს-ს ყველა თანამშრომლის ოჯახებისთვის. რაც შეეხება სოციალურ გარანტიებს, შსს-მ ხელი შეუწყო ამ ოჯახების წევრების დასაქმებას შსს-ში ან სხვა სახელმწიფო სტრუქტურებში, ამ ოჯახების შვილებისთვის კი დაწესდა პენსიები მოქმედი

კანონმდებლობის თანახმად. გარდა ამისა, დაკარგული პირების ყველა ოჯახი შსს-გან იღებს მათი დაკარგული წევრების ყოველთვიურ ხელფასს.

- <u>საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურაში</u>

უკანასკნელი სტატისტიკური მონაცემების თანახმად, საქართველოსა და რუსეთს შორის შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურაში დასაქმებული პირებიდან მოკლული/დაკარგულია 170 ადამიანი. საერთო რაოდენობიდან, 52 პირი ნაპოვნი და დნმ-ის მიხედვით იდენტიფიცირებულია, ხოლო 10 სამხედრო პირი კვლავ დაკარგულია.

ყველა ოჯახმა მიიღო მთავრობისგან ერთჯერადი ფინანსური დახმარება 15 500 ლარის ოდენობით და 8250-ლარიანი კომპენსაცია საქველმოქმედო ფონდისგან „თანადგომა.“

თავდაცვის სამინისტრომ შეიძინა საცხოვრებელი ბინები ყველა მოკლული პირის ოჯახისთვის (ძირითადად, ე. წ. „სამხედრო ქალაქში“ თბილისში). რაც შეეხება სოციალურ გარანტიებს, თავდაცვის სამინისტრომ ხელი შეუწყო ამ ოჯახების წევრების დასაქმებას საკუთარ ან სხვა სახელმწიფო სტრუქტურებში, ამ ოჯახების შვილებისთვის კი დაწესდა პენსიები მოქმედი კანონმდებლობის თამახმად.

- <u>სამოქალაქო პირები</u>

არსებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, საქართველოსა და რუსეთს შორის შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დაკარგულია 19 სამოქალაქო პირი. ამ პირების ოჯახებს უშუამდგომლა შსს-მ და დააკავშირა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან დნმ-ის ტესტის ჩასატარებლად, მათი დაკარგული ნათესავების გვამების იდენტიფიკაციის მიზნით. შედეგად, იდენტიფიცირებულია 2 დაკარგული პირი.

კითხვა 9. რა სახის გამოძიება ჩატარდა ან რა ბრალი იქნა წაყენებული 1990 წლის შემდეგ, თქვენი სამართალდამცავი ორგანოების მიერ თქვენი შეიარაღებული ძალების წევრების, მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალების წევრების, ადგილობრივი შეიარაღებული ძალების წევრების და სამოქალაქო პირების მიმართ კონფლიქტთან დაკავშირებული დანაშაულების გამო? რა შემთხვევებში გამოიწვია ამგვარმა სამართლებრივმა დევნამ გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენების გამოტანა? გთხოვთ, წარადგინოთ შესაბამისი გადაწყვეტილებების ასლები. თუ სამართლებრივმა დევნამ არ გამოიწვია არც გამამტყუნებელი და არც გამამართლებელი განაჩენების გამოტანა, რატომ ვერ მიაღწიეს მათ მიზანს?

კითხვა 10. თუ თქვენი კონტროლის ქვეშ მყოფმა შეიარაღებულმა ძალებმა ან პირებმა ჩაიდინეს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ან ადამიანის უფლებების რაიმენაირი დარღვევა, მიიღო თუ არა მსხვერპლმა ზიანის ანაზღაურება? მიღებული იყო თუ არა მართლმსაჯულების ზომები? თუ არ იყო, რატომ? როგორ შეეძლო მსხვერპლს მიეღო ზიანის ამგვარი ანაზღაურება?

1992 წლის 14 სექტემბერს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედმა პროკურორმა აღძრა სისხლის სამართლის საქმე ეროვნული თანასწორობის სერიოზული დარღვევების ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებიც მიმართული იყო შიდა-ეთნიკური შუღლის და ანტაგონიზმის გაჩაღებაზე, რამაც გამოიწვია ადამიანების დაღუპვა და სხვა სერიოზული შედეგები.

გამოძიება დაიწყო 1992 წლის აგვისტოში და სექტემბერში საქართველოში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მომხდარი ეთნიკურად მოტივირებული ძალადობრივი ქმედებების საპასუხოდ. ჩადენილი აქტები სხვებთან ერთად მოიცავდა მკვლელობებს, გაუპატიურებებს, მძიმე ფიზიკური ტრავმების მიყენებას და ეთნიკურ ნიადაგზე ჩადენილ გატაცებებს, აფეთქებებს, სახელმწიფო და კერძო საკუთრების განადგურებას, კომუნიკაციების განადგურებას და ა.შ.

პროკურატურის ფარგლებში შეიქმნა საგამოძიებო ბრიგადა, რომელიც შედგებოდა ცალკეული საგამოძიებო ჯგუფებისგან ავტონომიური რესპუბლიკის თითოეული რაიონისა თუ ქალაქისათვის.

1993 წლის 28 სექტემბერს, საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ეთნიკური ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ გენოციდის სავარაუდო ფაქტთან დაკავშირებით (სისხლის სამართლის საქმე #7793806). სისხლის სამართლის საქმე აღძრულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (იმ დროს მოქმედი) მუხლის 65[1] თანახმად (გენოციდი). აფხაზეთის (საქართველო) პროკურატურის მიერ წარმოებული გამოძიების (შიდა-ეთნიკური შუღლის და ანტაგონიზმის გაჩაღება) მსვლელობაში მოპოვებული მასალები ასევე მიმაგრებულია სისხლის სამართლის საქმეზე. გამოძიება მოიცავდა საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1992 წლის აგვისტოს შემდეგ ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ ჩადენილი ძალადობის/თავდასხმების ყველა ფაქტსა თუ ინციდენტს. კონკრეტული შემთხვევების საპასუხოდ აღძრული ცალკეული სისხლის სამართლის საქმეები გაერთიანებულია სისხლის სამართლის # 7793806 საქმეში.

შეიქმნა სპეციალური საგამოძიებო ჯგუფი, რომელიც მართავდა საგამოძიებო საქმიანობას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, რომელიც დანარჩენთან ერთად მოიცავდა მსხვერპლებისა და მოწმეების დაკითხვებს, სამედიცინო შემოწმებას და ა.შ.

მამხილებელი დანაშაულებრივი შემთხვევების ინტენსივობის გამო, სისხლის სამართლის საქმე ასევე მოიცავდა 1993 წლის შემდეგ ჩადენილ ძალადობრივ ქმედებებს. მაგალითად, მასიურ შეტევებს ეთნიკური ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ გალის რაიონში, 1998 წლის მაისში.

გამოძიების მსვლელობაში, ჩადენილი ქმედებები დამატებით კვალიფიცირებულია, როგორც ეთნიკური წმენდა, გათვალისწინებული (იმ დროს მოქმედი) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 65[2]-ე მუხლის თანახმად.

რამდენიმე პირს წაუყენეს ბრალი, თუმცა, ისინი ყოველთვის იმყოფებოდნენ ცენტრალური მთავრობის კონტროლს მიღმა. უფრო მეტიც, საქართველომ მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება, არ ჩაეტარებინა გამოძიება და ყველა ღონე ეხმარა კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტისთვის.

2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომის დროს ჩადენილ დარღვევებთან დაკავშირებით გამოძიება დაწყებულია. კერძოდ, 2008 წლის 9 აგვისტოს, რუსეთის მიერ საქართველოში შეჭრიდან ორიოდე დღის შემდეგ, პროკურატურამ დაიწყო გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 411-ე მუხლის (ჰუმანიტარული სამართლის დებულებების მიზანმიმართული დარღვევაში და საერთშორისო შეიარაღებული კონფლიქტების დროს), 413-ე მუხლის (საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სხვა დარღვევები ძარცვის, სამოქალაქო საკუთრების უკანონო მითვისებისა და განადგურების ჩათვლით) ჩათვლით. 11 აგვისტოს დაიწყო კიდევ ერთი სისხლის სამართლის საქმე ძარცვის ფაქტებთან დაკავშირებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 413-ე მუხლის თანახმად. ეს გამოძიებები გაერთიანდა. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ გამოძიება არ ტარდება ვინმეს წინააღმდეგ, არამედ მისი მიზანია ფაქტების მოკვლევა, რათა ნათელი მოეფინოს საერთო სიტუაციას. თითოეული პირი, ვისი ბრალეულობაც გამოვლენილი იქნება გამოძიების მსვლელობისას, დაექვემდებარება შესაბამის სამართლებრივ პასუხისგებას. ჯერჯერობით ბრალის წაყენება არ მომხდარა საკმარისი მტკიცებულებების შეგროვებასთან დაკავშირებული სირთულეების გამო. სამხედრო ტყვეებისგან და სამოქალაქო მძევლებისგან მიღებულია თავდაპირველი ჩვენებები, ჩატარებულია სასამართლო ექსპერტიზები, მონახულებული და ინსპექტირებულია საქართველოს კონტროლქვეშ მყოფი დაზარალებული ტერიტორიების. თუმცა, ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში დაზარალებული ტერიტორიებზე წვდომის არარსებობა არსებით დაბრკოლებას წარმოადგენს შედეგზე ორიენტირებული ეფექტიანი გამოძიებისთვის.

რუსეთი

- შეხედულება კონფლიქტზე
- ქრონოლოგია
- სამხედრო ასპექტები – შეკითხვები და პასუხები
- სამხედრო ასპექტები – დამატებითი შეკითხვები და პასუხები
- საერთაშორისო სამართალი – შეკითხვები და პასუხები; დამატებითი დოკუმენტები
- ჰუმანიტარული სამართალი და ადამიანის უფლებები – შეკითხვები და პასუხები
- ჰუმანიტარული სამართალი და ადამიანის უფლებები – დამატებითი შეკითხვები

2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის ზოგადი შეფასებისთვს

2008 წლის აგვისტოში სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ საქართველოს აგრესიის შესახებ

სამხრეთ ოსეთის ხალხის წინააღმდეგ სააკაშვილის რეჟიმის აგრესია 2008 წლის აგვისტოში, თავისი უგუნურობითა და სისასტიკით უპრეცენდენტო მოვლენა გახდა უახლეს ისტორიაში.

„ომი რუსეთსა და საქართველოს შორის“ ტერმინის გამოყენება ამ შემთხვევაში მართებული არ არის. საქართველოს ვერაგულმა თავდასხმამ სამხრეთ ოსეთის მშვიდობიან მოსახლეობასა და რუს სამშვიდობოებზე, ამ თავდასხმის შედეგად დაღუპულთა რაოდენობამ და ასევე, საქართველოს პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის განცხადებებმა მოახდინეს ქართული მხარის აგრესიული ჩანაფიქრის დემონსტრირება.

ამ პირობებში, რუსეთს არ რჩებოდა სხვა არჩევანი გარდა იმისა, რომ გამოეყენებინა თავისი ხელშეუვალი უფლება თავდაცვაზე, რომელიც ემყარება გაერო-ს წესდების 51-ე მუხლს. რუსული მხარის მოქმედებები იყო პროაქტიული და თავდასხმის მასშტაბების თანაზომიერი, ისინი მისდევდნენ ერთადერთ მიზანს – დაეცვათ მშვიდობიანი მოსახლეობა და რუს სამშვიდობოთა კონტინგენტი ქართული მხარის არაპროვოცირებული აგრესიისაგან და მომავალში, თავიდან აეცილებინათ მათზე შეიარაღებული თავდასხმა. რუსეთის მხარეს არ განუხორციელებია მშვიდობიან მოქალაქეებსა თუ სამოქალაქო ობიექტებზე თავდასხმები. რუსეთის მიერ ძალის გამოყენება თავდაცვის მიზნით, გრძელდებოდა მხოლოდ მანამდე, ვიდრე არსებობდა ამის გამომწვევი გარემოებები. უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთის მხარის მიერ სრულად იყო შესრულებული 2008 წლის 12 აგვისტოსა და 8 სექტემბრის დ. მედვედევი–ნ. სარკოზის შეთანხმებები.

შესაბამისი შეტყობინება, რუსეთის ფედერაციის მოქმედებების შესახებ გაერო-ს წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად, გაიგზავნა უშიშროების საბჭოში. საქართველოს მიერ სამხრეთ ოსეთში სამხედრო ოპერაციის უშუალოდ დაწყების შემდეგ, რუსეთმა მოახდინა ამ საკითხის განხილვის ინიცირება გაერო-ს უშიშროების საბჭოში. შექმნილი მდგომარეობა განიხილებოდა 2008 წლის 8 აგვისტოს, ღამის 5951-ე და მომდევნო საბჭოს სხდომებზე.

საქართველოს მთავრობის დანაშაულებრივი მცდელობა „დაემყარებინა კონსტიტუციური წესრიგი," რომელიც განხორციელდა განსაკუთრებული ცინიზმით ზაფხულის ოლიმპიადის დაწყების დღეს, როდესაც ისტორიულად, მიღებულია სამხედრო მოქმედებების შეწყვეტა, ვერ იქნება გამართლებული. იმ მომენტისთვის არსებობდა საკმარისი შესაძლებლობები, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი გადაჭრილიყო ცივილიზებული გზით. ქართულ-აფხაზური და ქართულ-სამხრეთ ოსური კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისათვის არსებობდა მოლაპარაკებისა და სამშვიდობო ფორმატები საერთაშორისო თანამეგობრობის, გაერო-სა და ეუთო-ს პირდაპირი მონაწილეობით. რუსეთი კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის სამშვიდობო და საშუამავლო ფუნქციებს, ცდილობდა ხელი შეეწყო სამშვიდობო შეთანხმებების მიღწევას, ავლენდა თავშეკავებასა და მოთმინებას პროვოკაციების წინაშე. რუსეთმა არ შეცვალა თავისი პოზიცია კოსოვოს დამოუკიდებლობის ცალმხრივი გამოცხადების შემდეგაც კი.

ჩვენ არაერთხელ გაგვიფრთხლებია ბატონი სააკაშვილი, რომ თუ კი იგი მიმართავდა ძალისმიერ მეთოდებს, ეს აუცილებლად ჩაშლიდა მოლაპარაკებების პროცესს და გამოიწვევდა რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას. მან იცოდა, თუ რაზე მიდიოდა და რას აყენებდა რისკის ქვეშ. თუმცა, სააკაშვილის რეჟიმმა ამჯობინა აგრესიული, სისხლიანი გზა, რომელსაც თავიდანვე არ გააჩნდა პერსპექტივა. მომხდარზე ბრალი მთლიანად ეკისრება საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას.

ამ სიტუაციაში სამწუხაროა ის ფაქტიც, რომ რუსეთის მხრიდან გაკეთებული ყველა გაფრთხილება, მოვლენათა ასეთი განვითარების დიდი ალბათობის შესახებ, იგნორირებული იყო საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ. უფრო მეტიც, არსებობდა სააკაშვილის რეჟიმის მებრძოლი მისწრაფებების მორალური და მატერიალური წახალისების მცდელობა. რჩევებმა და შეტევითი შეიარაღების მოწოდებამ ვაშინგტონიდან, კიევიდან და ნატო-ს რიგი ქვეყნებიდან ხელი შეუწყო მილიტარისტული ტენდენციების გაძლიერებას საქართველოს მთავრობის მიერ გატარებულ პოლიტიკაში.

ჩვენმა არა ერთმა მიმართვამ, ხელი მოეწერათ შეთანხმებებზე, საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს, საქართველოსა და აფხაზეთს შორის ძალის არგამოყენების შესახებ, არ მოიპოვა მხარდაჭერა ჩვენს დასავლელ პარტნიორებში. ამასთან, დასავლური მედიის თავდაპირველი ანტირუსული საინფორმაციო პროპოგანდის ცვლილება სამხედრო მოქმედებების შემდგომ, 2008 წლის აგვისტოს ტრაგედიის მიზეზების უფრო

დაბალანსებულ და ობიექტურ შეფასებებზე, მოწმობს, რომ საბოლოოდ „ჭეშმარიტება უფრო ფასეული ხდება.“

2008 წლის 8 აგვისტოს ღამით, სამხრეთ ოსეთზე აგრესიული თავდასხმით, რომელსაც მოჰყვა მრავალრიცხოვანი ადამიანური მსხვერპლი, მათ რიცხვში, სამშვიდობოთა და სხვა რუსეთის მოქალაქეთა შორის და ანალოგიური გეგმის მომზადებით აფხაზეთის წინააღმდეგ, ბატონმა სააკაშვილმა თვითონ გადაუსვა ხაზი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. იმ ერების წინააღმდეგ გამუდმებული უხეში ძალის გამოყენებით, რომელთა ხილვაც, მისი სიტყვების მიხედვით, მას თავისი სახელმწიფოს შემადგენლობაში სურდა, ბატონმა სააკაშვილმა არ დაუტოვა მათ სხვა არჩევანი, გარდა, ეძიათ თავიანთი უსაფრთხოება და გამოეყენებინათ თვითგამორკვევის უფლება დამოუკიდებელ ერებად ჩამოყალიბების გზით. ამასთან დაკავშირებით, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის დ. მედვედევის ბრძანებები რუსეთის ფედერაციის მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებით, ერთადერთი საშუალება გახდა ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად და ამიერკავკასიაში შემდგომი სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად.

შემდგომი ურთიერთობების შეწყვეტამ რუსეთსა და საქართველოს შორის, რომელიც ინიცირებული იყო თბილისის მიერ, ჩვენს ქვეყნებს შორის ტრადიციულად კეთილმეზობლური კავშირებისა და მათი მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ფესვების მიუხედავად, კიდევ უფრო დაამძიმა სიტუაცია რუსულ-ქართულ ურთიერთობებში და ფაქტობრივად „გაყინა.“ ჩვენთვის ცალსახაა, რომ სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ აგრესიაში დამნაშავე არის არა ქართველი ხალხი, არამედ სწორედ ბატონი სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმი. ოფიციალური თბილისის პროპაგანდა დღესაც ახდენს ქვეყნის რიგითი მოქალაქეების შეცდომაში შეყვანას. ამავე დროს რუსეთი, რომელსაც ქართველი ხალხის მიმართ გულწრფელი მეგობრული გრძნობები და სიმპათიები გააჩნია, დარწმუნებულია, რომ ადრე თუ გვიან თვითონ, თავისივე ინიციატივითა და გარედან ჩარევის გარეშე, ქართელები აირჩევენ ღირსეულ ლიდერებს, რომლებიც შესძლებენ ზრუნვას თავიანთ ქვეყანაზე და ურთიერთპატივის განვითარებას, თანასწორუფლებიანი, კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებას კავკასიის ყველა ერთან და ხელს შეუწყობენ რეგიონში უსაფრთხოების გამტკიცებას.

მოკლე ქრონოლოგია

სამშვიდობო ოპერაცია საქართველოში მშვიდობის იძულებით დამყარებისთვის

7 აგვისტო, 2008

00.40 – ქართული მხარე საარტილერიო ცეცხლს ხსნის სარაბუკისა და
00.57 – დმენისის მიმართულებით.
01.00 – საქართველოს შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა გადაწყვეტილებას იღებს რეზერვისტების გამოძახების შესახებ.
02.13 – ქართული მხარე საარტილერიო ცეცხლს ხსნის კერბიდან ცხინვალის მიმართულებით.
09.40 – ნაღმმტყორცნის სამიზნეა უბიათი.
14.30 – ქართველი ოფიცრები ტოვებენ გაერთიანებული შერეული სამშვიდობო ძალების გაერთიანებული შტაბის დისლოკაციის ადგილს. ქართული მხარის დამკვირვებლებმა სამსახურის ადგილები მიატოვეს.
14.45 ნული და ავნევი ნაღმმტყორცნით იბომბება.
15.43 – საქართველოს შეიარაღებული ძალების ავნევში დისლოცირებული ქვედანაყოფები საარტილერიო ცეცხლის ქვეშ არიან.
16.15 – ტანკები და ქვეითი საბრძოლო მანქანები ხეთაგუროვოს მიმართულებით მოძრაობენ; შეტევა განხორციელდა სვერზე და ზემო ნიქოზზე, ასევე ცხინვალის სამხრეთ-აღმოსავლეთ ტერიტორიებზე.
19.00 – ცხინვალი საარტილერიო ცეცხლის ქვეშ არის.
23.30 – საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ბატალიონის მეთაური გენერალი მამუკა ყურაშვილი „ოსი სეპარატისტების“ წინააღმდეგ საომარი მოქმედებების დაწყების შესახებ განცხადებას აკეთებს.
23.40 – დაიწყო მასიური შეტევა ცხინვალზე.

8 აგვისტო, 2008

02.30 – საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებმა მუგუთი დაიკავეს და შეტევითი ოპერაცია დაიწყეს ორი მიმართულებით: მუგუთი, ავნევი და ხეთაგუროვო; მუგუთი, ზემო ნიქოზი და ცხინვალი.
04.15 – ცხინვალზე მრავალჯერადი სარაკეტო სისტემების ცეცხლი გაიხსნა. პირდაპირი დამიზნებით ესვრიან საქართველოს შეიარაღებულ ძალებს (სატანკო ქვედანაყოფებს) სამშვიდობო ძალების გაერთიანებული შტაბის და მშვიდობისმყოფელთა ბატალიონის დისლოკაციის ადგილებში.
06.00 – ქალაქის სამხრეთ მისადგომებზე ქართულმა ქვედანაყოფებზე შეტევა განხორციელდა.
07.40 – საქართველოს საჰაერო ძალები დარტყმას ახორციელებენ ჯავას ყაზარმებზე და სოფელ გუფთაზე.
11.00 – სამხრეთ ოსეთის უშიშროების საბჭო დახმარებისთვის რუსეთს მიმართავს.
11.20 – საქართველოში საყოველთაო მობილიზაცია გამოცხადდა.
11.54 – ცხინვალში, საქართველოს საჰაერო ძალებმა სამშვიდობო ბატალიონის „იუჟნი“ (სამხრეთის) ყაზარმები დაიკავეს და „სევერნის“ (ზედა) ყაზარმებს მიადგნენ.

რუსეთის სამშვიდობო ბატალიონმა „სევერნის“ ყაზარმასთან 5 იერიში მოიგერია და ბრძოლა განაგრძო. მისი დანაკარგი იყო: 2 მოკლული და 5 დაჭრილი.

სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სამთავრობო რეზიდენცია განადგურდა, სამეთაურო ცენტრი შერეული სამშვიდობო ძალების გაერთიანებულ შტაბში გადავიდა.

14. 30 – ამ გარემოებების გამო რუსეთი იძულებული გახდა, გაეძლიერებინა თავისი სამშვიდობო ძალები შერეული სამშვიდობო ძალების შიგნით (მე-19 მოტორიზებული მსროლელთა დივიზიის 693-ე და 135-ე მოტორიზებული მსროლელთა პოლკის ქვედანაყოფებით), რათა რუსეთზე დაკისრებული სამშვიდობო ამოცანები განეხორციელებინა, ამავე დროს, დაეცვა რუსეთის მოქალაქეები სამხრეთ ოსეთში.

22.00 – დამატებითი ქვედანაყოფები: 1/693-ე მოტორიზებული მსროლელთა პოლკი, რომელმაც წინ წაიწია ჯავა-ცხინვალის მონაკვეთში ბლოკირებული სამშვიდობოებისკენ, ქართულ ქვედანაყოფებს შეებრძოლა (დაახლოებით, ერთი ქვეითი ბატალიონი სატანკო ასეულით) ცხინვალიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 6კმ-ზე; l/135-ე მოტორიზებული მსროლელთა პოლკი ცხინვალის ჩრდილოეთ მისადგომებთან გამაგრდა სანგრებში.

ჯავაში შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი (693-ე მოტორიზებულ მსროლელთა პოლკის მოტორიზებულ მსროლელთა ბატალიონი, 141-ე ცალკეული სატანკო ბატალიონი, 239-ე ცალკეული სადაზვერვო ბატალიონი და მე-19 მოტორიზებულიმსროლელთა დივიზიის 292-ე თვითმავალი საარტილერიო პოლკი) სამშვიდობო ბატალიონის დასახმარებლად (განსატვირთად).

9 აგვისტო, 2008

00.00 – საქართველოს ტერიტორიაზე შეწყდა ყველა რუსული სამაუწყებლო არხის მუშაობა. რადიო „ამერიკის ხმამ“ სამაუწყებლო სიხშირე გააორმაგა.

01.25 – ქართული საბრძოლო შენაერთების ძირითადი ძალა ცხინვალს ტოვებს და ცდილობს ქალაქიდან 2 კმ მოშორებით გამაგრდეს.

05.30 – შავი ზღვის ფლოტის ოთხი საბრძოლო ხომალდი ოჩამჩირის რაიონისკენ დაიძრა.

08.00 – საქართველოში 15-დღიანი სამხედრო მდგომარეობა გამოცხადდა.

13.59 – საარტილერიო დარტყმები ცხინვალზე .

15.00 – ქართული არტილერია ცეცხლს უხსნის სამხრეთ ოსეთის ლტოლვილთა კოლონებს „ზარის გზის“ (Zar Road) გასწვრივ და რუსეთის სამშვიდობოების გაძლიერებულ ქვედანაყოფებს. ქართულმა ქვედანაყოფებმა, რომლებიც ქვეითი ბრიგადის მექანიზებული ბატალიონისა და ეროვნული გვარდიის ბატალიონისგან შედგებოდა, საარტილერიო მხარდაჭერით სამხრეთიდან თავდასხმის მცდელობა განახორციელეს 135-ე მოტორიზებულ მსროლელთა პოლკის სამშვიდობო ბატალიონის პოზიციებზე.

15.20 – გადაჯგუფების შემდეგ ქართულმა ქვედანაყოფებმა ახალი თავდასხმის მცდელობა განახორციელეს ცხინვალზე. ბრძოლებში დანაკარგები განიცადეს და ზემო ნიქოზის, ტბეთისა და პრიზის მიდამოებისკენ დაიხიეს.

17.10 – საქართველოს სამხედრო საზღვაო ძალების 5 ხომალდი ფოთიდან ოჩამჩირის პორტისკენ დაიძრა.

19.12 – საქართველოს სამხედრო საზღვაო ძალების ხომალდებმა შავი ზღვის ფლოტის გემებთან მიახლოებისას, რეაგირება არ მოახდინეს სიგნალებზე და უგულებელყვეს მოთხოვნა უსაფრთხოების ზონის დატოვების შესახებ. გამაფრთხილებელი გასროლების შემდეგ, მცირე ზომის ნავსაწინააღმდეგო გემმა „კასიმოვი“ და მცირე ზომის სარაკეტო კატარღა „მირაჟმა“ დარტყმა განახორციელეს და საბრძოლო გემებმა უსაფრთხოების ზონა დატოვეს.

10 აგვისტო, 2008

01.07 – ბატალიონის ტაქტიკური ჯგუფის ხმელეთზე ჩამოსხმა, დიდი სადესანტო გემის „ცეზარ კუნიკოვისგან“ დაკომპლექტდა 108-ე სადესანტო ამფიბიური (სამთო) პოლკი და მე-7 სადესანტო ამფიბიური დივიზია.

03.34 – გრძელდება ქართული საარტილერიო დარტყმა რუსეთის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების კოლონებზე, რომლებიც „ზარის გზაზე“ მოიწევენ.

06.30 – ბატალიონის ტაქტიკური ჯგუფის ხმელეთზე ჩამოსხმა. დიდი სადესანტო გემისგან „სარატოვი“ დაკომპლექტდა 108-ე სადესანტო ამფიბიური (სამთო) პოლკი და მე-7 სადესანტო ამფიბიური (სამთო) დივიზია.

08.00 – „ტეპლიჩნი კომბინატის“ (სასათბურე საწარმო) ტერიტორიაზე შეგროვდა 108-ე სადესანტო ამფიბიური (სამთო) პოლკი, მე-7 სადესანტო ამფიბიური (სამთო) დივიზია (ოჩამჩირიდან 8კმ. ჩრდილო-აღმოსავლეთით); 31-ე ცალკეული სადესანტო ამფიბიური ბრიგადის ბატალიონის ტაქტიკური ჯგუფი ბაბუშერას აეროპორტისკენ დაიძრა.

10.00 – ქართული ქვედანაყოფები ცეცხლს უხსნიან დაჭრილების კონვოის, არ აძლევენ წითელ ჯვარს ევაკუაციის ჩატარების საშუალებას.

17.53 – უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ შესაძლებელია შავი ზღვის ფლოტის გემებს უარი უთხრან სევასტოპოლში დაბრუნებაზე.

20.10 – 108-ე სადესანტო ამფიბიური (სამთო) პოლკის ქვედანაყოფები, მე-7 სადესანტო ამფიბიური დივიზია ბლოკადას ხსნის ენგურის ხიდზე.

24 სთ – საქართველოს შეიარაღებული ძალების ფორმირებები და ქვედანაყოფები (1-ლი, მე-3, მე-4 და მე-5 ქვეითი ბრიგადები, საარტილერიო ბრიგადა და ცალკეული რადიო-ტექნიკური ბატალიონი) განაგრძობდნენ ადგილობრივ ოპერაციებს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ტერიტორიის მოსაპოვებლად. გრძელდება ეროვნული გვარდიის რეზერვისტების მობილიზაცია.

11აგვისტო, 2008

03.00 – საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-3 და მე-4 ქვეითი ბრიგადების ბოლო ქვედანაყოფები ტოვებენ ცხინვალს.

05.00 – აშშ-ის C-17A თვითმფრინავმა ალ კუტიდან (ერაყი) ნოვოალექსეევსკის აეროპორტში 800 ქართველი ჯარისკაცი და 80 ტონა ტვირთი ჩამოიტანა.

12.00 – რუსეთის შეიარაღებული ძალების ფორმირებები და ქვედანაყოფები უსაფრთხოების ზონის გაკონტროლებას იწყებენ;

15.20 – სამი ქართული Su-25 რეაქტიული თვითმფრინავი დარტყმას ახორციელებს სოფელ ტლიაკანის, კვარნეთის, იცეხვის და ერედვის ტერიტორიებზე. ერთი თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

15.30 – გაერო-ს გენერალური მდივნის თანაშემწემ სამშვიდობო საკითხებში ედმონდ მულეტმა განაცხადა, რომ საქართველოში გაეროს სადამკვირვებლო მისიის (UNOMIG) პერსონალი კოდორის ხეობიდან (აფხაზეთი) გაიწვიეს.

18.00 – 70-ე მოტორიზებულ მსროლელთა პოლკმა 234-ე სადესანტო ამფიბიური პოლკის ბატალიონის ტაქტიკურ ჯგუფთან და 693-ე მოტორიზებულ მსროლელთა პოლკმა 104-ე სადესანტო ამფიბიური პოლკის ბატალიონის ტაქტიკურ ჯგუფთან ერთად გორამდე მიაღწიეს და თავდაცვითი პოზიციები დაიკავეს საქაშეთის, ვარიანის და კარალეთის ხაზის გასწვრივ. 108-ე სადესანტო ამფიბიური პოლკის, 526-ე და 558/131-ე ცალკეული მოტორიზებულ მსროლელთა ბრიგადის ქვედანაყოფებმა ზუგდიდის ბლოკირება განახორციელეს.

21.40 – საქართველოს შეიარაღებული ძალების გორის საწვრთნელ ცენტრში შენიშნულია 1-ლი ქვეითი ბრიგადის პირადი შემადგენლობის თავმოყრის ადგილი, რომელიც ერაყიდან ჩამოვიდა.

12 აგვისტო, 2008

06.00 – საქართველოს შეიარაღებული ძალები იწყებენ საბრძოლო ძალების აღდგენას და ჯარების გადაჯგუფებას. სენაკი ბლოკირებულია 108-ე სადესანტო ამფიბიური პოლკის და მე-7 სადესანტო ამფიბიური (სამთო) დივიზიის ქვედანაყოფების მიერ.

07.00 – 247-ე სადესანტო ამფიბიური პოლკის და მე-7 სადესანტო ამფიბიური (სამთო) დივიზიის ქვედანაყოფები ნაბაკევიდან წინ მიიწევენ ტაბარის, ხონის და კალამარი-სუკის უღელტეხილების დასაკავებლად (კოდორის ხეობის აღმოსავლეთით), ქართული ქვედანაყოფების შესაძლო გადაადგილების მარშრუტებზე.

12.00 – საქართველოს შეიარაღებული ძალები თავდაცვით პოზიციებს იკავებენ და ძირითადი ძალების კონცენტრირებას ახდენენ გორში.

12.30 – რუსეთის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებმა (70-ე მოტორიზებულ მსროლელთა პოლკი 234-ე სადესანტო ამფიბიურ პოლკის ბატალიონის ტაქტიკურ ჯგუფთან ერთად და 693-ე მოტორიზებულ მსროლელთა პოლკი 104-ე სადესანტო ამფიბიურ პოლკის ბატალიონის ტაქტიკურ ჯგუფთან ერთად) გორის ჩრდილოეთ მისადგომებს მიაღწიეს.

12.45 – რუსეთის პრეზიდენტი საქართველოს მშვიდობის იძულების ოპერაციის დასრულებას აცხადებს.

13.00 – რუსეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები რუსეთის ჯარების შემდგომი წინ წაწევის შეჩერების შესახებ იღებენ გადაწყვეტილებას.

18.30 – რუსეთისა და საფრანგეთის პრეზიდენტები კონფლიქტის გადაჭრის პრინციპებზე საუბრობენ.

23.25 – ნავსაწინააღმდეგო გემი „სუზდალეცი“ ფოთიდან დიდი სიჩქარით მოძრავ მიზანს შენიშნავს. სამიზნე არ რეაგირებს კითხვებზე. გამაფრთხილებელ ზალპს

უშვებენ AK-630-დან. სამიზნე კვამლის ფარდას შლის, ბრუნდება და უჩინარდება.

13 აგვისტო, 2008

რუსეთის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებს არავითარი საბრძოლო ქმედება არ განუხორციელებიათ. მათ ქართველ ჯარისკაცთა ჯგუფი უსაფრთხოების ზონიდან უკან დაწიეს და კონფლიქტის ზონა დაბლოკეს, უზრუნველყვეს მშვიდობიანი მოსახლეობისთვის ჰუმანიტარული დახმარების მიწოდების პირობები.

03.00 – თვითმფრინავმა ტაქტიკური საჰაერო დაზვერვა და ჰუმანიტარული ტვირთით დატვირთული მანქანის ესკორტი განახორციელა.

09.00 – კოდორის ხეობის მიდამოებში, საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებმა იარაღი დაყარეს და ხეობიდან დაიხიეს. აქვე, აფხაზეთის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებმა ძიებითი ოპერაციები ჩაატარეს.

12.00 – საქართველოს პრეზიდენტი ეთანხმება კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების რუსეთ-საფრანგეთის გეგმის მთავარ პუნქტებს. საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა განაგრძეს ჯარების გაყვანა თბილისის მიმართულებით (I-ლი, მე-3 და მე-4 ქვეითი ბრიგადები).

14 აგვისტო, 2008

18.40 – აშშ-ს პრეზიდენტი განცხადებას აკეთებს „ამერიკელი სამხედროების ხელმძღვანელობით, საქართველოში ჰუმანიტარული მისიის დაწყების შესახებ.“ რუსეთისგან მოითხოვს, რომ „გაიხსნას ყველა საკომუნიკაციო და სატრანსპორტო გზა საქართველოსთვის ჰუმანიტარული დახმარების უზრუნველსაყოფად.“ 14 აგვისტო 2008 .

14.08 – ჰუმანიტარული ტვირთით დატვირთული აშშ-ს C-17A სამხედრო სატრანსპორტო თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში ჯდება.

15.35 – საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების ნაწილი მცხეთისკენ გამობრუნდა, დარჩენილი ჯარები თავდაცვით პოზიციებს იკავებენ თბილისთან ახლოს.

21.00 – აშშ-ს C-17A თვითმფრინავი ხუთ რეისს ასრულებს თბილისის აეროპორტში და ჰუმანიტარული და საომარი ტვირთი ჩამოაქვს.

15 აგვისტო, 2008

06.00 – საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები გადაჯგუფებას განაგრძობენ თბილისის მისადგომებთან საჯარისო შენაერთების შესაქმნელად; სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ცალკეული დივერსიული და სადაზვერვო შენაერთები, ასევე, სნაიპერები ოპერირებენ.

10.00 – თბილისის და მიმდებარე დასახლებების გარშემო შეიქმნა თავდაცვითი რგოლი. გრძელდება თავდაცვითი პოზიციების დაკავება მცხეთის რაიონში.

15.00 – იწყება NATO-ს ქვეყნების ჰუმანიტარული დახმარება საქართველოსთვის.

17.00 – 71-ე მოტორიზებული მსროლელთა პოლკის და 42-ე მოტორიზებული მსროლელთა დივიზიის მეწინავე ქვედანაყოფები ქმნიან ხუთ სამშვიდობო პოსტს უსაფრთხოების ზონის გასაკონტროლებლად.

16 აგვისტო, 2008

10.00 – 429-ე მოტორიზებულ მსროლელთა პოლკის და მე-19 მოტორიზებულ მსროლელთა დივიზიის ძალისხმევით, ლაშეს და კოშკას სექტორში 18 პოსტი შეიქმნა.

13.00 – 693-ე მოტორიზებულ მსროლელთა პოლკმა 104-ე სადესანტო ამფიბიური პოლკის ბატალიონის ტაქტიკურ ჯგუფთან ერთად, თავდაცვითი პოზიციები დაიკავა ბრძოლის ველის წინ დიდი რუის არხის მარცხენა სანაპიროს გასწვრივ, რათა ხელი შეეშალათ საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებისთვის ქუთაისისა და გორის მიმართულებით გადადგილებაში. 70-ე მოტორიზებულ მსროლელთა პოლკმა, 42-ე მოტორიზებულ მსროლელთა დივიზიამ, 234-ე სადესანტო ამფიბიური პოლკის ბატალიონის ტაქტიკურ ჯგუფთან და 76-ე სადესანტო ამფიბიურ დივიზიასთან ერთად თავდაცვითი პოზიციები დაიკავეს ბრძოლის ველის წინ ნალაბრიჟევის ტბის ხაზის გასწვრივ, სიმაღლე 735,6, 500 მ, დასავლეთის სიმაღლე 7514, ნაწრეტის დასავლეთ მისადგომი, რათა ხელი შეეშალათ საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებისთვის თბილისის და გორის მიმართულებით გადადგილებაში.
სამხრეთ ოსეთში არსებული ჯარების გასაძლიერებლად დაიწყო რესპუბლიკის ტერიტორიაზე საჰაერო-სადესანტო ჯარის ქვედანაყოფების შემოყვანა (ცალკეული პოლკის ცალკეული სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფი, 45-ე სპეციალური დანიშნულების პოლკი, 2/104-ე სადესანტო ამფიბიური პოლკი, ბატალიონის ტაქტიკური ჯგუფი, 331-ე საპარაშუტო-სადესანტო პოლკი, 98-ე საჰაერო-სადესანტო დივიზია).

17 აგვისტო, 2008

04.00 – საქართველოს შეიარაღებული ძალების დივერსიული ჯგუფები დივერსიული აქტების განხორციელებას ცდილობდნენ როკის გვირაბის ტერიტორიაზე.

09.00 – ერაყის 1-ლი ქვეითი ბრიგადა თავდაცვით პოზიციებს იკავებს ოკამის გასწვრივ და კასპის აღმოსავლეთ მისადგომებთან; საგურამოს და მცხეთის ხაზს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფი იცავს. რეზერვი (დაახლოებით, სატანკო ბატალიონის სიძლიერის) დიღომშია კონცენტრირებული.

10.00 – 71-ე მოტორიზებულ მსროლელთა პოლკი, 42-ე მოტორიზებულ მსროლელთა დივიზია ზრდის პოსტების რაოდენობას საფრთხის წინაშე მყოფ მონაკვეთებზე. სულ 36 პოსტი შეიქმნა, მათ შორის, 16 დასავლეთით, 20 აღმოსავლეთით.
სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში ძალისხმევის გასაძლიერებლად რეზერვი და აღჭურვილობის მარაგი შეიქმნა, რომელიც მზად იყო კონფლიქტის ზონაში ტრანსპორტირებისთვის: 242-ე და 255-ე მოტორიზებული მსროლელთა პოლკები, 944-ე თვითმავალი საარტილერიო პოლკი, მე-20 მოტორიზებული მსროლელთა დივიზია არდონის რაიონში; 205-ე ცალკეული მოტორიზებული მსროლელთა ბრიგადა მუდმივი ბაზირების ადგილზე.

21.15 – სენაკიდან გადაადგილებული რუსი სამშვიდობოების კოლონას ცეცხლი გაუხსნეს ყუმბარსატყორცნებიდან 301-ე საკონტროლო პუნქტიდან, 3 კილომეტრით, სამხრეთით.
ქართული მხარე აქტიურად ეძებს გზებს თავისი შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძალის აღსადგენად.

22.00 – საქართველოს შეიარაღებული ძალები, ასევე, გორში დაბანაკებული ქვედანაყოფები ყაზარმებში რჩებიან.

18 აგვისტო, 2008

00.00 – რუსეთის შეიარაღებული ძალების ფორმირებები და ქვედანაყოფები დანიშნულების ადგილებს იკავებენ, ატარებენ საძიებო/სადაზვერვო ოპერაციებს და მოსახლეობის უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ მათი პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული ზონებში. ქვედანაყოფები ასევე, ემზადებიან თავიანთი მუდმივი დისლოცირების ადგილებზე გაწვევისთვის.

06.00 – საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი განცხადებას აკეთებს საქართველო-ოსეთის კონფლიქტის ზონაში საერთაშორისო სამშვიდობო ჯარების გაგზავნის საჭიროების შესახებ, აგრეთვე კონფლიქტის მხარეებზე ზემოქმედების მოხდენის თაობაზე, რათა რუსეთის ჯარებმა დატოვონ საქართველოს ტერიტორია.

12.00 – სამხრეთ ოსეთი პროტესტს აცხადებს თავის ტერიტორიაზე საერთაშორისო დამკვირვებლების არსებობასთან დაკავშირებით და რუსეთს რეგიონში რუსული სამხედრო ბაზის განთავსებას სთხოვს.

15.00 – საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები განაგრძობენ საბრძოლო ძალის აღსადგენ და თბილისის მისადგომებთან თავდაცვის გასაძლიერებელ ღონისძიებებს, ასევე აძლიერებენ დივერსიულ და ტერორისტულ აქტივობებს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე.

18.00 – აფხაზეთის პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, რესპუბლიკის რამდენიმე რაიონში სამხედრო მდგომარეობა გაუქმდა.

19 აგვისტო, 2008

06.00 – საქართველოს უსაფრთხოების უწყებების ხელმძღვანელები გორი-თბილისის ავტომაგისტრალზე კონტროლის აღდგენას ცდილობენ.

08.00 – საქართველოს შეიარაღებული ძალები თავდაცვით პოზიციებს იმაგრებენ თბილისის მონაკვეთზე. დაზვერვო ინფორმაციის თანახმად, დაგეგმილია შავ ზღვაში შესვლა: 22 აგვისტო - პოლონეთის გემები (ORP გენერალი პულასკი), აშშ (USS - ტეილორი) და კანადის გემი (HMCS Ville de Quebec); 24 აგვისტო - შეერთებული შტატებიდან (სანაპიროს დაცვის კატერი „დალასი“); სექტემბერი - აშშ, სამხედრო-საზღვაო ფლოტის გემი „Pathfinder;“ 21 სექტემბერი - ფრეგატები ესპანეთიდან (SPS „Almirante Don Juan de Borbon“) და გერმანიიდან (FGS Luebeck).

12.00 – რუსეთი სამშვიდობო ძალების დამატებითი ქვედანაყოფები დანიშნულების ადგილებს იკავებენ და მოსახლეობის უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ მათი პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული ზონებში; გაერთიანებულ სამეფოს და შეერთებულ შტატებს ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრების საგანგებო

შეხვედრაზე წინადადება შემოაქვთ „შეაჩერონ“ რუსეთთან თანამშრომლობა ერთობლივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხში.

13.00 – საქართველოს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის საბრძოლო ქმედითუნარიაონობის დაკარგვის შესახებ ინფორმაცია დადასტურდა. საქართველოს პრეზიდენტი დაესწრო მე–4 ქვეითი ბრიგადის სამწყობრო სწავლებას ვაზიანში, სადაც პირადი შემადგენლობა დათრგუნულად გამოიყურებოდა, დაახლოებით, 200 ჯარისკაცს სამხედრო ფორმა არ ჰქონდა. დაახლოებით, 150 ჯარისკაცმა დატოვა საჩხერეს სამთო ცენტრი. აშშ-ის სამხედრო პერსონალმა, რომელიც საქართველოს შეიარაღებული ძალების წვრთნას ხელმძღვანელობდა, აღნიშნა მათი დაბალი ბრძოლისუნარიანობა და რუსეთის ჯართან დაპირისპირების უუნარობა.

17.00 – სხალტბის რაიონში რუსს სამშვიდობოებზე შეიარაღებული პირების მიერ განხორციელებული თავდასხმის შემდგომი საპასუხო ცეცხლის შედეგად ერთი პოლიციელი მოკლულია და ერთი ტყვედ აიყვანეს.

18.00 – ფოთის პორტის ტერიტორიაზე რუსი სამშვიდობოების მობილურმა ჯგუფებმა აღმოაჩინეს და დააკავეს 20-კაციანი შეიარაღებული დაჯგუფება. ზუგდიდში 20-კაციანი შეიარაღებული დაჯგუფება 5 ჯავშანმანქანაში საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-2, მე-3 და მე-5 ქვეითი ბრიგადების საიდენტიფიკაციო ნიშნებით.

21.00 – საქართველოს სპეციალური დანიშნულების ძალების ქვედანაყოფები ცდილობენ გააძლიერონ დაზვერვა, დივერსიული და ტერორისტული აქტივობები, რისთვისაც აგრძელებენ უპილოტო სადაზვერვო თვითმფრინავების გამოყენებას. ერთი ასეთი თვითმფრინავი ჩამოაგდეს რუსეთის მაშველი ჯარის ქვედანაყოფების საჰაერო თავდაცვის დამატებითმა ქვედანაყოფებმა ცხინვალიდან 16 კმ. სამხრეთით.

20 აგვისტო, 2008

08.00 – საქართველოს შეიარაღებული ძალების საჯარისო ფორმირებები და ქვედანაყოფები აგრძელებენ გადაჯგუფებას და საბრძოლო ძალის აღდგენას. ჯარების ნაწილი თავდაცვით პოზიციებს იკავებს თბილისის მისადგომებთან: 1-ლი ქვეითი ბრიგადა ოკამზე – კასპის ხაზის აღმოსავლეთ ტერიტორიაზე; საგურამო-მცხეთის ხაზზე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების ჯარების ბრიგადა, ხოლო საერთო საჯარისო რეზერვი (ერთი სატანკო ბატალიონი) დიღომში განლაგდა.

გრძელდება მუშაობა პოზიციების ორგანიზებისთვის სოფელ ხოვლეში (კასპიდან 3 კმ სამხრეთ-დასავლეთით).

მე-4 ქვეითი ბრიგადა კონცენტრირებულია ვაზიანში – თავისი მუდმივი დისლოკაციის ადგილზე; ქვეითი ბრიგადა კოჯორში. დაახლოებით, 800 სამხედრო, სავარაუდოდ, მე-2 ქვეითი ბრიგადის ორი ქვეითი ბატალიონი კონცენტრირებულია ონის რაიონში.

საქართველოს სპეციალური დანიშნულების ჯარების ქვედანაყოფები ცდილობენ გააქტიურონ დივერსიული და ტერორისტული ქმედებები სამხრეთ ოსეთის და მიმდებარე ტერიტორიებზე.

08.30 – ესპანური გემი „SPS Almirante Don Juan de Borbon“ და გერმანული „FGS Lucbeck“ დარდანელის სრუტეს კვეთენ.

11.30 – ქართული მეტყვიამფრქვეველთა ეკიპაჟი შენიშნეს ცხინვალის ცენტრალური რესპუბლიკური საავადმყოფოდან 1-2 კმ მანძილზე, მთის ფერდობზე. რუსმა სამშვიდობოებმა მიზნის დასაზიანებლად ცეცხლი გახსნეს.

12.00 – სტავროპოლის ტერიტორიაზე ფედერალური უშუშროების სამსახურის აგენტები აკავებენ რუსეთის შეიარაღებული ძალების უფროს ოფიცერს მ.ხაჩიძეს ჯაშუშობის (საქართველოს სასარგებლოდ) ბრალდებით, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიის ერთ-ერთ სამხედრო ქვედანაყოფში მსახურობდა.

13.00 – შავი ზღვის აუზში თურქეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ოთხი სამხედრო გემი და ერთი წყალქვეშა ნავი შენიშნეს (წყალქვეშა ნავი „Gür," ფრეგატები: Barbaros, TCG Gediz, GöksuداO.K.Peri).

14.35 – საქართველოს შეიარაღებული ძალების მეთაური ცდილობს საკომუნიკაციო სისტემა და ჯარებზე კონტროლი აღადგინოს. შენიშნეს საქართველოს შეიარაღებული ძალების 10 საკომუნიკაციო ცენტრის მუშაობა ულტრამოკლე ტალღების სიხშირეზე.

16.00 – სოფელ დავათიდან 2 კმ მანძილზე აღმოჩენილია და გაყვანილია ორი პორტატული გამშვები დანადგარი და ცხრა ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტა.

21.00 – სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი ხელს აწერს სამხედრო მდგომარეობის გაუქმების შესახებ ბრძანებულებას.

21 აგვისტო, 2008

00.10 – ქართული მხარის ხელმძღვანელობა თხოვნით მიმართავს აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტს ქართველი სამხედროების მუდმივი დისლოკაციის ადგილებზე სასწრაფოდ დაბრუნების შესახებ, რომლებიც წვრთნას გადიან ამერიკის საგანმანათლებლო დაწესებულებებში. გარდა ამისა, აშშ-ის წარმომადგენლებთან აქტიურად განიხილავენ საქართველოსთვის სამხედრო დანიშნულების პროდუქტებით მომარაგების საკითხს.

06.00 – საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები და ფორმირებები ქვეყნის ცენტრალურ ნაწილშია კონცენტრირებული, მათი საბრძოლო ძალის აღსადგენად და შემდგომი ქმედებებისთვის მოსამზადებლად.

1-ელ ქვეით ბრიგადას უკავია ოკამი – კასპის ხაზის აღმოსავლეთ ტერიტორია. საგურამო-მცხეთის ხაზს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფი იცავს. რეზერვი (დაახლოებით, სატანკო ბატალიონის სიძლიერის) დიღომშია კონცენტრირებული.

მე-4 ქვეითი ბრიგადა ვაზიანში – თავისი მუდმივი დისლოკაციის ადგილზეა კონცენტრირებული; დაზვერვის ცნობით, ქართულმა მხარემ დამატებითი ცოცხალი ძალა და ტექნიკა განათავსა მდინარე ქსნის მარცხენა ნაპირზე. აღაიანის ტერიტორიაზე დაახლოებით, შვიდი ტანკი და ერთი ქვეითი ჯარის ჯავშანტრანსპორტიორია კონცენტრირებული, ასევე ხიდისკურში – დაახლოებით, ხუთი ტანკი და ერთი ქვეითი ჯარის ჯავშანტრანსპორტიორი და დაახლოებით, 20 ერთეული სპეციალური ტექნიკა.

08.30 – რუსეთის სამშვიდობო ძალების მაშველი ჯარის ქვედანაყოფები –

სამხრეთ ოსეთის სექტორში:

ასრულებენ 30 სამშვიდობო პოსტზე და ავანპოსტზე სამსახურს გორის რაიონში და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ (71-ე

მოტორიზებული მსროლელთა პოლკი, 42-ე მოტორიზებული მსროლელთა დივიზია, 429-ე მოტორიზებული მსროლელთა პოლკი, მე-19 მოტორიზებული მსროლელთა დივიზია); კონცენტრირების ადგილებზე გრძელდება ტერიტორიის ორგანიზაციების მიერ (70-ე მოტორიზებული მსროლელთა პოლკი, 42-ე მოტორიზებული მსროლელთა დივიზია; და 693-ე მოტორიზებული მსროლელთა პოლკი, მე-19 მოტორიზებული მსროლელთა დივიზია), მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო ნაგებობების დაცვა; მე-20 მოტორიზებული მსროლელთა დივიზიის ქვედანაყოფები ასრულებენ ჩატვირთვის სამუშაოს და სარკინიგზო ტრანსპორტით მუდმივი დისლოკაციის ადგილისაკენ გადაადგილდებიან.

აფხაზეთის სექტორში:

იმყოფებიან კონცენტრაციის ადგილებზე სენაკის დასავლეთით, უზრუნველყოფენ მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვას სენაკის და ფოთის რაიონებში (108-ე სადესანტო პოლკი „ამფიბია," 247-ე სადესანტო ამფიბიური პოლკი და 31-ე ცალკეული სადესანტო ამფიბიური ბრიგადა); აკონტროლებენ კალმარი–სუკის გადასასვლელს (მე-2 სადესანტო პოლკი ამფიბია და 247-ე სადესანტო პოლკი ამფიბია); ემზადებიან დამატებითი სადამკვირვებლო სამშვიდობო პოსტების შესაქმნელად უსაფრთხოების ზონის პირველ (526-ე მოტორიზებულ მსროლელთა ბატალიონისგან, 131-ე ცალკეული მოტორიზებულ მსროლელთა ბრიგადისგან) და მეორე (558-ე მოტორიზებულ მსროლელთა ბატალიონისგან, 131-ე ცალკეული მოტორიზებულ მსროლელთა ბრიგადისგან) ხაზებზე; ასრულებენ ადმინისტრაციული ნაგებობების დაცვას ზუგდიდში (43-ე მოტორიზებული მსროლელთა ბატალიონი, 15-ე ცალკეული მოტორიზებული მსროლელთა ბრიგადა).

13.30 – „ეროვნული კრების" შედეგებზე დაყრდნობით, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რუსეთის პრეზიდენტს უგზავნიან რესპუბლიკების პრეზიდენტებისა და პარლამენტების თხოვნას მათი თვითგამოცხადებული სახელმწიფოების ცნობის თაობაზე.

18.35 – ესპანური გემი „SPS Almirante Don Juan de Borbon" და გერმანული „FGS Luebeck" შავ ზღვაში შედიან.

22 აგვისტო, 2008

08.00 – საქართველოს უსაფრთხოების უწყებების მეთაური განაგრძობს დაზვერვით აქტივობებს რუსეთის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების და სამხრეთ ოსეთის არარეგულარული შეიარაღებული რაზმების მიერ განხორციელებული აქტივობების ხასიათისა და ფოკუსის დასადგენად, ასევე შეიარაღებული აქციებისთვის მოსამზადებლად ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში.

საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები და ფორმირებები ქვეყნის ცენტრალურ ნაწილშია კონცენტრირებული, მათი საბრძოლო ძალის აღსადგენად და შემდგომი ქმედებებისთვის მოსამზადებლად. მიმდინარეობს საინჟინრო-ტექნიკური სამუშაო ოპერატიული თავდაცვის შესაქმნელად.

რუსეთის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები და ფორმირებები, რომლებმაც შეაჩერეს აქტიური საომარი ქმედებები, დანიშნულების ადგილებს

იკავებენ, აწარმოებენ საძიებო და სადაზვერვო ოპერაციებს და მოსახლეობის უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ მათი პასუხისმგებლობის ქვეშ არსებულ ზონებში; არდონიდან 1,5 კმ ჩრდილო-დასავლეთით კონცენტრირებული მე-20 მოტორიზებული მსროლელთა დივიზიის ქვედანაყოფები და ფორმირებები რკინიგზით გადაადგილდებიან თავიანთი მუდმივი დისლოცირების ადგილებისკენ.

10.00 – მცირე ზომის სარაკეტო კატარღა „მირაჟი“ თავის ბაზაზე ბრუნდება სევასტოპოლში, უკრაინელი ხელისუფლების მხრიდან ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.

15.10 – ფრეგატი „ORP General Pulaski Pulaski“ (პოლონეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტი) და აშშ-ის გამანადგურებელი „McFall“ ბოსფორის სრუტეს კვეთენ.

17.30 – რუსეთის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები და ფორმირებები ამთავრებენ სამშვიდობო სადამკვირვებლო პოსტების შექმნას სამხრეთ ოსეთის სექტორის უსაფრთხოების ზონებში (217-ე საპარაშუტო-სადესანტო პოლკი, 98-ე საჰაერო-სადესანტო დივიზია –პირველი ხაზის რვა საბრძოლო პოსტი; 135-ე მოტორიზებული მსროლელთა პოლკი, მე-19 მოტორიზებული მსროლელთა დივიზია – ათი მეორე ხაზის პოსტი) და აფხაზეთის სექტორში (526-ე მოტორიზებული მსროლელთა ბატალიონი, 131-ე ცალკეული მოტორიზებული მსროლელთა ბრიგადა –პირველი ხაზის რვა პოსტი; 558-ე მოტორიზებული მსროლელთა ბატალიონი, 131-ე ცალკეული მოტორიზებული მსროლელთა ბრიგადა –მეორე ხაზის ცხრა პოსტი).

18.00 – რუსეთის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები და ფორმირებები, რომლებმაც სამშვიდობო ოპერაციაში მიიღეს მონაწილეობა, პირველი ხაზის სამშვიდობო სადამკვირვებლო პოსტების უკან გადაადგილდნენ. დაიწყეს მზადება მუდმივი დისლოკაციის ადგილზე გაწვევისთვის 2008 წლის 23 აგვისტოს.

პასუხები 2008 წლის აგვისტოს კავკასიის მოვლენებეთან დაკავშირებული ევროკავშირის ფაქტების დამდგენი მისიის სამხედრო შეკითხვებზე

რა გახდა სამხრეთ ოსეთში 2008 წლის 7-8 აგვისტოს საქართველოს ოპერაციის ძირითადი მიზეზი?

საქართველოს აგრესია სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ სააკაშვილის რეჟიმის პოლიტიკის ლოგიკური გაგრძელება გახდა, რომელიც ხელისუფლების სათავეში აშშ-ის აქტიური ხელშეწყობით, ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შედეგად მოვიდა. სწორედ ამიტომ, საქართველოს ხელმძღვანელობა, ყველა დონეზე, თავს არიდებდა აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან კონფლიქტების გადაჭრისას ძალის გამოუყენებლობის შესახებ ვალდებულებების აღებას და შესაბამისი დოკუმენტების ხელმოწერას.

იმისათვის, რათა შევაფასოთ, თუ რა გახდა სამხრეთ ოსეთში 2008 წლის 7-8 აგვისტოს საქართველოს ოპერაციის ძირითადი მიზეზი, აუცილებელია გავიგოთ იმ ხელმძღვანელების ფსიქოლოგია (როგორც საქართველოში, ასევე მის გარეთ), რომლებიც იღებდნენ გადაწყვიტილებას სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების დაწყების შესახებ. 2008 წლის 8 აგვისტო იყო პეკინში ოლიმპიური თამაშების გახსნის დღე და, როგორც ცნობილია, ოლიმპიური მოძრაობის სამშობლოში – ძველ საბერძნეთშიც კი, როგორც კი იწყებოდა ოლიმპიური თამაშები, წყდებოდა შიდა და საერთაშორისო ბრძოლები. როგორც ამბობენ, ეს საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებაა. პასუხი კითხვაზე, თუ რა გახდა სამხრეთ ოსეთში საქართველოს ოპერაციის ძირითადი მიზეზი, მარტივია - იმ მომენტში, როდესაც აგრესიას არავინ არ ელოდა, საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ, ძალისმიერი გზით განახორციელა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ძალისმიერი ანექსია.

სამხრეთ ოსეთში ვითარება 2008 წლის აგვისტოს დასაწყისიდან გამწვავდა. ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკების დარღვევით, ღამღამობით, მოწინააღმდეგე მხარეები მათ მიერ კონტროლირებადი ტერიტორიებიდან ცეცხლსასროლი იარაღით, მათ შორის სნაიპერული იარაღით და აგრეთვე, ყუმბარმტყორცნებით და ნაღმმტყორცნებით, ისროდნენ ერთმანეთის მიმართულებით. 2008 წლის 6 და 7 აგვისტოს საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების ქვედანაყოფები, რომლებიც დისლოცირებულნი იყვნენ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში და აგრეთვე, საქართველოს ზოგიერთ სხვა რეგიონში, მოიყვანეს საბრძოლო მზადყოფნის უმაღლეს დონეზე და დაიწყეს წინსვლა ოპერატიული დანიშნულების რაიონებში.

შერეული საკონტროლო კომისიის ფორმატში, 2008 წლის 8 აგვისტოსთვის დაგეგმილი მოლაპარაკებების წინ, საქართველოს ხელმძღვანელობამ, ვერაგულად დაარღვია ნაკისრი ვალდებულებები ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და შეუდგა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე „კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის“ სამხედრო ოპერაციის განხორციელებას. კავკასიის, ცენტრალური აზიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილის მეთიუ ბრაიზას განცხადებით, თავდასხმის ოფიციალური მიზეზი გახდა ოსების მიერ სოფელ თამარაშენის მიმართულებით ცეცხლის გახსნა.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გარდა, უნდა აღვნიშნოთ, რომ 2004 წელს ბატონი სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის მომენტიდან, ის ხშირად მოქცეულა დაუფიქრებელად როგორც შიდა, ასევე საგარეო პოლიტიკაში. იგი იყო თავგადასვლების მოყვარული და ავლენდა რისკისადმი მიდრეკილებას. ეს ასევე შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ საქართველომ წინდაუხედავად განახორციელა მსხვილმასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია.

როდის დაიწყო ოპერაცია ქალაქ ცხინვალში?

2008 წლის 7 აგვისტოს, 23.30 სთ-ზე ბრიგადის გენერალმა მ. ყურაშვილმა, საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსის მოადგილემ, რომელიც პასუხისმგებელი იყო სამშვიდობო ოპერაციების წარმართვაზე, სატელევიზიო გამოსვლაში განაცხადა, „ოსი სეპარატისტების“ წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებების დაწყების შესახებ.

2008 წლის 7 აგვისტოს, 23.35 სთ-ზე საქართველომ დაიწყო სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე კონტროლის დამყარების ოპერაცია პირობითი სახელწოდებით „სუფთა ველი.“ საქართველოს მხარემ ზცრს-დან (ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემებიდან) და ლულიანი არტილერიიდან გაუხსნა ძლიერი ცეცხლი ცხინვალსა და სამხრეთ ოსეთის სხვა დასახლებულ პუნქტებს. დაბომბვის შედეგად, სრულიად განადგურდა 10 ოსური დასახლება და სოფელი, ხოლო ქ. ცხინვალში – ყველა სახელმწიფო დაწესებულება, საცხოვრებელი სახლების დიდი ნაწილი და სამშვიდობოების ქალაქი.

როდის შევიდნენ რუსეთის ჯარები რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან როკის გვირაბში? როდის დაიწყო მათი წინსვლა სამხრეთ ოსეთში?

რუსეთზე დაკისრებული სამშვიდობო ამოცანების შესასრულებლად, აგრეთვე სამხრეთ ოსეთში მყოფი რუსეთის მოქალაქეების დასაცავად, 8 აგვისტოს 14.30 სთ-ზე, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, როკის გვირაბის გავლით, შევიდნენ მე-19 მოტომსროლელთა დივიზიის 693-ე და 135-ე მოტომსროლელთა პოლკის ქვედანაყოფები, რომელმაც **დაიწყეს შესვლა სამხრეთ ოსეთში.** მოწინააღმდეგის რეზერვების დაბლოკვის, მისი კომუნიკაციის დარღვევის, საბაზოდ გამოყენებული აეროდრომების წყობიდან გამოყვანის, საწყობებისა და საწვავ-საპოხი მასალების ბაზების განადგურებისა და საბრძოლო მოქმედებათა რაიონების იზოლირების მიზნით, ავიაციამ და არტილერიამ დაიწყო საქართველოს სამხედრო ობიექტებზე შეტევის განხორციელება.

ამ ნაბიჯის გადადგმის საფუძველი გახდა საქართველოს განახორციელი ქმედებები, რომელმაც 2008 წლის 7-8 აგვისტოს, ღამით, ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების არსებული მოლაპარაკების დარღვევით, სცადა ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის გადაჭრა ძალისმიერი (სამხედრო) გზით და წამოიწყო აგრესია სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ.

კონფლიქტის ზონაში საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების გადასროლა ხორციელდებოდა ქვეყნის შიდა რაიონებიდან. დაიწყო ქ. ქუთაისიდან პირადი შემადგენლობისა და მე-3 ქვეითი ბრიგადის ქვედანაყოფების ტექნიკის სვლა ცხინვალიდან სამხრეთ-დასავლეთ რაიონში. გორის რაიონში თავი მოიყარეს რეაქტიული არტილერიის ქვედანაყოფებმა. ხონის რაიონში კი დაიწყო სარკინიგზო ხაზის მე-5 მექანიზირებული ბრიგადის ჯავშანსატანკო ბატალიონით დატვირთვა.

2008 წლის 8 აგვისტოს, 6.00 სთ-ზე, ცხინვალის სამხრეთ გარეუბანში, ბრძოლაში ჩართულმა ქართულმა სამხედრო ნაწილებმა სცადეს ქალაქის ეტაპობრივი დაკავება. შეტევითი ოპერაციის დროს ქართული მხრიდან გრძელდებოდა საჰაერო და საარტილერიო დაბომბვა, მათ შორის, იმ ობიექტებისაც, რომლებიც იმყოფებოდნენ სამშვიდობო ბატალიონისა (მე-2 მოტომსროლელთა ბრიგადა 135-ე მოტომსროლელთა პოლკი) და კოლექტიური სამშვიდობო ძალების გაერთიანებული შტაბის დისლოკაციის პუნქტებში.

2008 წლის 8 აგვისტოს, 7.40 სთ-ზე საქართველოს სამხედრო საჰაერო ძალებმა განახორციელეს სამხედრო-საჰაერო დარტყმა ჯავის და დიდი გუფთას სამხედრო ბაზებზე.

ამ პირობებში, მშვიდობის მხარდამჭერი ოპერაციის გატარების მანდატის შესაბამისად, რუსეთის სამშვიდობოები აგრძელებდნენ ამოცანების შესრულებას სათვალთვალო პოსტებსა და საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე, კონტროლს უწევდნენ ძირითად საგზაო მიმართულებებს და უზრუნველყოფდნენ მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოებას თავიანთი პასუხისმგებლობის ზონაში.
8 აგვისტოს, 11.00 სთ-ზე სამხრეთ ოსეთის უშიშროების საბჭომ დახმარებისთვის მიმართა რუსეთს. ამ დროისთვის ქ. ცხინვალში საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებმა ხელში ჩაიგდეს სამშვიდობო ბატალიონის სამხედრო ბაზა „იუჟნი“ და აგრძელებდნენ ბრძოლას „სევერნის“ ბაზისთვის. 2008 წლის 8 აგვისტოს, 12.00 საათისთვის, სამშვიდობო ძალებისა და სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ფორმირებების წინააღმდეგობის დაძლევის მცდელობისას, ქართულმა ჯარმა ბრძოლაში შეიყვანა სატანკო ქვედანაყოფები. რუსეთის სამშვიდობოებმა, რომლებიც იმყოფებოდნენ „სევერნი“ (ზედა) ბაზაზე, მოიგერიეს 5 თავდასხმა და აგრძელებდნენ უთანასწორო ბრძოლას. **ამ დროს, სამშვიდობოებმა განიცადეს პირველი დანაკარგი (2 მოკლული და 5 დაჭრილი), რამაც უფლება მისცა რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობას მიეღო გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთში ჯარების შეყვანის შესახებ.**

შექმნილ პირობებში, სამხრეთ ოსეთის მთავრობის თხოვნით, ასევე, მის ტერიტორიაზე მყოფი რუსეთის მოქალაქეების დასაცავად, რუსეთის ფედერაცია იძულებული გახდა თავისი სამშვიდობო კონტინგენტის გაძლიერებისთვის მიეღო ზომები და დაეწყო საქართველოს მშვიდობისკენ იძულების ოპერაცია. რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის შესაბამისად (61-ე მუხლის თანახმად, რუსეთი იძლევა გარანტიას, რომ უზრუნველყოფს თავისი მოქალაქეების დაცვასა და მფარველობას საკუთარი საზღვრების გარეთ), და ფედერალური კანონმდებლობით, **რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა 2008 წლის 8 აგვისტოს, მიიღო გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთში რუსეთის მოქალაქეების სიცოცხლისა და ღირსების დაცვის შესახებ**. 2008 წლის 8-12 აგვისტომდე პერიოდში რუსეთის სამშვიდობოების გაძლიერებულმა ქვედანაყოფებმა ჩაატარეს საქართველოს მშვიდობისკენ იძულების ოპერაცია.

იყვნენ თუ არა სამხრეთ ოსეთში განლაგებული რაიმე რუსული შენაერთები 2008 წლის 7 აგვისტომდე და თუ იყვნენ კონკრეტულად, სად?

2008 წლის 8 აგვისტომდე, რუსეთის ქვედანაყოფები სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, მხოლოდ შერეული სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში იმყოფებოდნენ (135-ე მოტომსროლელთა პოლკის მოტომსროლელთა ბატალიონი 496 ადამიანის შემადგენლობით და ჩრდილო ოსეთის რესპუბლიკა – ალანიიდან სამშვიდობო ბატალიონი 488 ადამიანის შემადგენლობით; 2008 წლის 8 აგვისტოს მდგომარეობით,

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამხედრო კონტინგენტის დისლოკაციის სქემა თანდართულია).

როგორი იყო შერეული სამშვიდობო ძალების (რომლებსაც გააჩნდათ მანდატი სამხრეთ ოსეთში) და ასევე, დსთ-ის სამშვიდობო ძალების (რომლებსაც გააჩნდათ მანდატი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში) ქვედანაყოფების როლი და მოქმედებები 2008 წლის აგვისტოში?

შერეული სამშვიდობო ძალების კონტიგენტი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში 1992 წლიდან მოქმედებდა. ქართულ-ოსური კრიზისის მოწესრიგებაში მათი მონაწილეობის მანდატი და პირობები განსაზღვრულია რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ შეთანხმებაში, რომელსაც ხელი მოეწერა 1992 წლის 24 ივნისს.

დსთ-ის სამშვიდობო ძალების მანდატი ქართულ-აფხაზურ კონფლიქტის ზონაში 1994 წლიდან ამოქმედდა. კონფლიქტში მათი მონაწილეობის სამართლებრივი საფუძვლები არის:
1993 წლის 27 ივლისის შეთანხმება აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი შესრულების კონტროლის მექანიზმის შესახებ;
1994 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილება, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში, მშვიდობის მხარდამჭერი კოლექტიური ძალების გამოყენების შესახებ;
1994 წლის 21 ოქტომბრის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილება „სამშვიდობო ოპერაციის ჩატარების მანდატის დამტკიცების შესახებ აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში და საქართველოს რესპუბლიკაში;“
1995 წლის 26 მაისის გადაწყვეტილება, „აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში და საქართველოს რესპუბლიკაში სამშვიდობო ძალების მანდატის განახლებისა და გაგრძელების შესახებ;“
გადაწყვეტილება, აფხაზეთის და საქართველოს კონფლიქტის ზონაში ოპერაციის გაგრძელების შესახებ, 2002 წლის 26 ივლისიდან 2002 წლის 2 ოქტომბრამდე;
გადაწყვეტილება, ,,საქართველოსა და აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების ყოფნისა და კონფლიქტის მომდევნო მოწესრიგების ზომების შესახებ,“ 2003 წლის 18 თებერვლიდან – 2003 წლის 2 აპრილამდე;
გადაწყვეტილება, ,,საქართველოსა და აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების ყოფნისა და კონფლიქტის მომდევნო მოწესრიგების ზომების შესახებ,“ 2003 წლის 25 ივლისიდან 2003 წლის 19 სექტემბრამდე.

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შერეული სამშვიდობო ძალებისა და ქართულ-აფხაზურ კონფლიქტის ზონაში დსთ-ის სამშვიდობო ძალების ძირითადი ამოცანები 2008 წლის 7 აგვისტომდე:

ქართულ-რუსული 1992 წლის 24 ივნისის „ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ შეთანხმება“ და 1994 წლის 14 მაისის ქართულ-აფხაზური ცეცხლის შეწყვეტის და ძალთა დაშორიშორების შესახებ შეთანხმების“ შესრულების უზრუნველყოფა;

კონფლიქტის ზონის ბლოკირებასა და ცეცხლის შეწყვეტაზე კონტროლის უზრუნველყოფა;

ჯარების (შეიარაღებული ფორმირებების) გაყვანა, მათ განიარაღებისა და თავდაცვის ძალების დაშლაზე დაკვირვება და კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოების რეჟიმის უზრუნველყოფა;

მნიშვნელოვანი ობიექტებისა და კომუნიკაციების დაცვა, ჰუმანიტარული ტვირთების გადაზიდვის უზრუნველყოფა;

მხარეების მიერ მათ შორის მიღწეული შეთანხმებების შესრულებაზე დაკვირვება;

კონფლიქტის გადაჭრის თაობაზე მოლაპარაკების პროცესის განხორციელებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;

პირობების შექმნა ლტოლვილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნებისათვის თავიანთ ადრინდელ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე;

კონფლიქტების დროს დაზიანებული რაიონების აღდგენა, მათ შორის, ჰუმანიტარული დახმარების გაწევა, განაღმვითი სამუშაოების შესრულებისა და მნიშვნელოვანი სამოქალაქო ობიექტების აღდგენა;

1994 წ. 6 დეკემბერს, ,,შერეული სამშვიდობო ძალების შესახებ“ ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების შერეული საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქართულ-ოსური კომფლიქტის ზონაში სიტუაციის ნორმალიზებისთვის განკუთვნილი სამხედრო კონტინგენტისა და სამხედრო დამკვირვებელთა ჯგუფების მოქმედებების ძირითადი პრინციპების შესახებ დებულების“ შესაბამისად, სამხედრო კონტინგენტს გააჩნია უფლება, გაერთიანებული სამხედრო სარდლობის ბრძანებების შესაბამისად, ჩაატაროს საბრძოლო მოქმედებები იმ საშუალებებით, რომლებიც გააჩნია მოტომსროლელთა ქვედანაყოფებს შეიარაღებაში.

საბრძოლო მოქმედებების დაწყებიდანვე, სამშვიდობო კონტინგენტები გადავიდნენ თავდაცვაზე. ამასთანავე, ისინი თავიანთ პასუხისმგებლობაში მყოფ ზონებში ასრულებდნენ მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვის ამოცანებს. დამხმარე ძალებისა და საშუალებების ჩამოსვლისთანავე, „მედვედევ-სარკოზის“ შეთანხმებების შესაბამისად,

საქართველოში ევროპული კავშირის მონიტორინგის მისიის გახსნამდე (2008 წ. 1 ოქტომბერი), განაგრძეს სამშვიდობო ამოცანების შესრულება.

2008 წლის 10 ოქტომბერს სამშვიდობო ძალები დაიშალა.

როდის დაიწყო კოდორის ხეობის ზედა ნაწილში შესვლა და ოპერაცია და რომელი შეიარაღებული ფორმირებები იყვნენ მასში ჩართული?

აფხაზეთის ხელისუფლება ყურადღებით ადევნებდა თვალს სამხრეთ ოსეთში განვითარებულ სიტუაციას. თანამეგობრობის „დემოკრატიისა და ხალხთა უფლებებისთვის“ წევრებს (აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, დნესტრისპირეთი) შორის ურთიერთდახმარების შესახებ არსებული შეთანხმების ფარგლებში, საქართველოს მხრიდან სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებების დაწყების შემთხვევაში, აფხაზეთის შეიარაღებული ძალები გეგმავდნენ კოდორის ხეობის ზედა ნაწილში სამხედრო ოპერაციის ჩატარებას.

2008 წლის 7 აგვისტოს, ქ. სოხუმში ჩატარდა აფხაზეთის რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს სხდომა, რომლის მსვლელობისას რესპუბლიკის პრეზიდენტმა ს. ბაღაფშმა განაცხადა, რომ სამხრეთ ოსეთთან არსებული შეთანხმების ფარგლებში, აფხაზეთის მონაწილეობის ხარისხი განსაზღვრული იქნება განვითარებული მდგომარეობის შესაბამისად, და ხელი მოეწერება მიმართვას რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მიმართ თხოვნით, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების სამშვიდობო კონტინგენტის გაძლიერების შესახებ. ასევე, რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები გადავიდნენ „გაძლიერებულ“ საბრძოლო მზადყოფნაში.

2008 წლის 8 აგვისტოს, აფხაზეთის შინაგანი ძალების ჯარების აღმოსავლეთის ჯგუფის ძალებისა და საშუალებების ნაწილი გადაიყვანეს შეიარაღების შეზღუდვის ზონაში, გალის რაიონთან, ადმინისტრაციულ საზღვარზე.

2008 წლის 9 აგვისტოს, 15.25სთ-ზე აფხაზეთის პრეზიდენტმა ს. ბაღაფშმა განაცხადა, რომ აფხაზეთის შეიარაღებულმა ძალებმა დაიწყეს კოდორის ხეობის ზედა ნაწილიდან ქართული ძალოვანი სტრუქტურების განდევნის ოპერაცია. 18.30 სთ-თვის აფხაზეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები ზრდიან დაჯგუფებას № 107 სათვალთვალო პოსტის (ს.პ.) რაიონში, კოდორის ხეობაში ოპერაციის ჩატარებისთვის. 2008 წლის 9-დან 10 აგვისტოს ღამით, აფხაზეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების

ქვედანაყოფების მიერ მდინარე ენგურის სამხრეთ ნაპირზე, საქართველოს შეიარაღებული ფორმირებების არსებობის გამოვლენის მიზნით, ჩატარდა რეიდები.

2008 წლის 10 აგვისტოსთვის ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში განხორციელდა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების სამშვიდობო კონტინგენტის საჰაერო-სადესანტო ჯარების სამხედრო ნაწილებით გაძლიერება.

2008 წლის 11 აგვისტოს 15.30 სთ-თვის გაეროს გენერალური მდივნის თანაშემწის ედმონდ მულეტის შეტყობინებით, კოდორის ხეობიდან გაიყვანეს საქართველოში გაეროს დამკვირვებელთა მისიის თანამშრომლები. კოდორის ხეობის ზედა ნაწილის საქართველოს შეიარაღებული ფორმირებებისგან (დაახლოებით, 2800 ჯარისკაცი) გათავისუფლების მიზნით, **საჰაერო-სადესანტო ჯარების ბატალიონის ტაქტიკური ჯგუფით გაძლიერებულმა აფხაზურმა ფორმირებებმა თანმიმდევრული მოქმედებებით, პრაქტიკულად, წინააღმდეგობის გარეშე, დაიკავეს კოდორის ხეობა.**

2008 წლის 13 აგვისტოს 9.00 სთ-თვის, კოდორის ხეობის რაიონში, საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებმა ჩააბარეს იარაღი და გავიდნენ ხეობიდან. აფხაზეთის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებმა ხეობაში ჩაატარეს სამძებრო მოქმედებები.

ამგვარად, აღდგა „სტატუს ქვო“ - აფხაზეთის სვანეთზე აღდგენილი იქნა აფხაზეთის რესპუბლიკის იურისდიქცია, რომელიც 2006 წლის ივლისიდან კონტროლდებოდა საქართველოს მიერ.

ჯარის რა სახეობები იქნა გამოყენებული და რამდენი სამხედრო მონაწილეობდა ოპერაციის მსვლელობისას ზოგადად და კერძოდ ამ ოპერაციისთვის? რამდენი იყო წვევამდელთა და რეზერვისტთა რაოდენობა?

საქართველოს მშვიდობისკენ იძულების ოპერაცია თავისი შინაარსით ატარებდა სახეობათშორის ხასიათს. ჩართული იყო რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ყველა სახეობა (სახმელეთო ჯარები, სამხედრო-საჰაერო ძალები, სამხედრო-საზღვაო ფლოტი) და აგრეთვე, საჰაერო-სადესანტო ჯარები.
რეზერვი (სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც გაწვეულნი არიან რეზერვიდან) არ იყო გამოყენებული.

რა დონეზე იყო მიღებული გადაწყვეტილებები მიზნებისა და მათი მიღწევის საშუალებების არჩევისას?

მიზნებისა და მათი მიღწევის საშუალებების არჩევის გადაწყვეტილებებს იღებდნენ ყველა დონეზე, მმართველი ორგანოების (შტაბების), სარდლების (მეთაურების) დადგენილი მოვალეობებისა და კომპეტენციის შესაბამისად.

უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულმა ძალებმა შეძლეს საქართველოს მშვიდობისკენ იძულების სამშვიდობო ოპერაციის სამხედრო მიზნების მიღწევა, ხმელეთსა და ჰაერში მასიური ძალის გამოყენების გარეშე.

მთლიანობაში, რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების მოქმედებები ატარებდნენ თავშეკავებულ ხასიათს – სამხედრო დაჯგუფებების სარდლობა „ამუხრუჭებდა“ ჯარებს. ჯარები ითავსებდნენ, როგორც სისწრაფესა და საკმარის ძალას, რომ არ მიეშვათ ქართული რეზერვები, ასევე საკმარის თავშეკავებულობას, რომ მშვიდობიანი მოსახლეობისთვის, მათ შორის, ქართული მოსახლეობისთვისაც, მიეცათ შესაძლებლობა დაეტოვებინათ შეიარაღებული დაპირისპირების ზონა. საბრძოლო ავიაციის დარტყმებს აყენებდნენ მხოლოდ სამხედრო ობიექტებს, რათა არ დაეშვათ სამოქალაქო ინფრასტრუქტურისა და დასახლებული პუნქტების მასიური განადგურება.

რა სამხედრო მზადებები ტარდებოდა უშუალოდ, 2008 წლის აგვისტომდე?

ეგრეთ წოდებული **რუსეთის მხარის სამხედრო მზადებების** შესახებ, აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ უშუალოდ, 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონებში ვითარება კარდინალურად შეიცვალა, პრაქტიკულად, შეწყდა კონფლიქტების პოლიტიკური მოწესრიგების მექანიზმების მუშაობა, იმ მიზეზით, რომ ქართულმა მხარემ მათ საქმიანობაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. საქართველოს ხელისუფლებაში გაჩნდა მყარი ტენდენციები, რომლებიც მიმართული იყო ადრე არსებული ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების მოწესრიგების ფორმატების ნგრევაზე, კონფლიქტის ზონებიდან რუსეთის სამშვიდობოების გაყვანასა და აფხაზური და სამხრეთ ოსური პრობლემის ძალისმიერი გზით გადაჭრაზე.

მიუხედავად ხშირი გაფრთხილებებისა, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ, როგორც ოფიციალურ წყაროებში ასევე მედიაშიც, არსებული შეთანხმების დარღვევით აფხაზური სვანეთის ტერიტორიაზე საქართველოს მიერ შეყვანილი იყო ძალოვანი სტრუქტურის დაჯგუფება 2000 ადამიანზე მეტი რაოდენობით და განთავსებული იყო ე.წ. „აფხაზეთის დევნილი მთავრობა.“ ანალოგიურად, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე საქართველოს ხელისუფლების მიერ განთავსებული იყო ე. წ. დ. სანაკოევის „ალტერნატიული მთავრობა.“

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ჩვენ ყველა დონეზე, არაერთხელ ვაფრთხილებდით ოფიციალურ თბილისს, რომ საქართველოს ხელისუფლების მცდელობები, შეცვალონ აფხაზეთსა და ოსეთში სამშვიდობო ოპერაციების არსებული ფორმატები, გაიყვანონ (ჩაანაცვლონ) რუსეთის სამშვიდობოები, აუცილებლად გამოიწვევდა კონფლიქტების ზონებში ვითარების გამწვავებას, რასაც საბოლოოდ, შეიძლება გამოეწვია სამხედრო მოქმედებების დაწყება და ზოგადად, კავკასიის რეგიონში სიტუაციის კონტროლიდან გამოსვლა. ამ არც თუ ისე მარტივ პირობებში, რუსეთის სამშვიდობოთა კონტინგენტი აგრძელებდა მშვიდობის მხარდამჭერი ამოცანების შესრულებას, იყო ერთადერთი შემაკავებელი ფაქტორი და საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგების გარანტი.

2008 წლის მარტ-აპრილში, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში ვითარების გამწვავების გამო, რომელიც გამოწვეული იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების მძიმე ტექნიკის კონცენტრირებით აფხაზეთის საზღვართან უშუალო სიახლოვეს, აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული ავიაციის ფრენებითა და რუსეთის სამშვიდობოების მიმართ გახშირებული პროვოკაციებით, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში დსთ-ის სამშვიდობო ძალების სარდალმა მიმართა დსთ-ის სამდივნოსა და რუსეთის ფედერაციის სამხედრო-პოლიტიკურ ხელმძღვანელობას თხოვნით, დადგენილი ნორმების ფარგლებში დსთ-ის მმკძ-ის რაოდენობის გაზრდის შესახებ.

> **ცნობის სახით:** 1994 წლის 22 აგვისტოს დსთ-ის სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მშვიდობის მხარდამჭერი კოლექტიური ძალების გამოყენების შესახებ“ გადაწყვეტილების შესაბამისად, დსთ-ის სამშვიდობო ძალების რაოდენობა 2500-3000 ადამიანით იყო განსაზღვრული. 2008 წლის აპრილის მდგომარეობით კი, რაოდენობა 1997 ადამიანს შეადგენდა.

მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, კონფლიქტში მონაწილე მხარეთა შორის სამხედრო მოქმედებების განახლების პრევენციის მიზნით, 2008 წლის 30 აპრილისთვის დსთ-ის სამშვიდობო ძალების რაოდენობა გაიზარდა 545 სამხედრო მოსამსახურით და შეადგინა 2542 ადამიანი. სამშვიდობო კონტინგენტის რაოდენობის გაზრდის შესახებ დსთ-ის სამშვიდობო ძალების მეთაურობის მიერ, ქართული მხარე დროულად იყო ინფორმირებული იმდენად, რამდენადაც ეს გათვალისწინებული იყო მოცემული კონფლიქტის მოწესრიგების ნორმატიული სამართლებრივი ბაზით.

სამხრეთ ოსეთის საზღვრებთან, ბატონი სააკაშვილის მიერ 1992 წ. 24 ივნისის დაგომისის შეთანხმების დარღვევით, შეიქმნა საჯარისო დამრტყმელი დაჯგუფებები, რომელთა რაოდენობა აღემატებოდა 11 ათას ადამიანს, 100-მდე ტანკს, 30-მდე ზალპური ცეცხლის რეაქტიულ სისტემას (ზცრს), 110-ზე მეტ საველე საარტილერიო იარაღს; მათი ძალებისა და შესაძლებლობები აღემატებოდა შერეული სამშვიდობო ძალების პირად შემადგენლობას და საბრძოლო შესაძლებლობებს. ეს სხვაობა მოიცავდა: პირად შემადგენლობაში – 9,75 : 1, ტანკებში – აბსოლუტურს, ზცრს-ში – აბსოლუტურს, საველე არტილერიის იარაღში – 3: 1. ამასთან დაკავშირებით, რუსეთის სამშვიდობოები 2008 წლის 4 აგვისტოდან მოყვანილი იყო საბრძოლო მზადყოფნის უმაღლეს ხარისხში, გაძლიერებული რეჟიმით მსახურობდნენ პოზიციებზე, სამეთვალყურეო პოსტებსა და საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე.

ჩვენ ვაფრთხილებდით, რომ რუსეთი ინარჩუნებს საბრძოლო პოტენციალს და რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების საბრძოლო და მობილიზაციის მზადყოფნას იმ დონეზე, რომელიც უზრუნველყოფს რუსეთის წინააღმდეგ მიმართული აგრესიის მოგერიებას, იტოვებს უფლებას უზრუნველყოს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე მყოფი თავისი მოქალაქეების უსაფრთხოება, ხოლო რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტს შეუძლია, რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად, შეასრულოს მათ წინაშე დაყენებული ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონებში მშვიდობის მხარდამჭერი ამოცანები.

რა გეგმები იყო შემუშავებული ჯარების დაშლისა და მათი კონფლიქტის ზონიდან გაყვანისათვის? როგორი იყო ამ დაშლისა და გაყვანის ვადები და თანმიმდევრობა?

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის გადაწყვეტილების შესაბამისად, **2008 წლის 12 აგვისტოს რუსეთის ჯარი შეჩერებული იყო მიღწეულ პოზიციებთან,** ხოლო ამავე დღის 15.00 სთ-დან რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების შენაერთებმა და სამხედრო ნაწილებმა შეწყვიტეს აქტიური საბრძოლო მოქმედებები. საქართველოს შეიარაღებული ძალები გაიფანტნენ და უწესრიგოდ დაიხიეს თბილისის მიმართულებით, თან ტოვებდნენ აღჭურვილობასა და სამხედრო ტექნიკას.

2008 წლის 18-დან 22 აგვისტომდე, რუსეთის ჯარები, რომლებიც მონაწილეობდნენ სამშვიდობო ოპერაციაში, გაყვანილი იყო საქართველოს ტერიტორიაზე დროებით დაკავებული რაიონებიდან – სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საზღვრების მიმდებარე უსაფრთხოების ზონებში. **2008 წლის 1 სექტემბრისთვის** დასრულდა მათი გეგმიური გაყვანა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, ხოლო სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მოსახლეობის უსაფრთხოებისათვის მიღწეული შეთანხმებების შესრულებაზე

კონტროლის უზრუნველყოფის მიზნებით, უსაფრთხოების ზონებში სამშვიდობო ძალების ქვედანაყოფების მიერ დაყენებული იყო სათვალთვალო პოსტების ორი ხაზი:

აფხაზეთის მიმართულებით – 18 სამშვიდობო სამთვალყურეო პოსტი. მათ შორის, 8 პოსტი – პირველ ხაზზე, დსთ-ს სამშვიდობო ძალების პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფი ზონის სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრის გასწვრივ, 10 პოსტი – მეორე ხაზზე, აფხაზეთისა და საქართველოს საზღვრის გასწვრივ;
19 სათვალთვალო პოსტი – სამხრეთ ოსეთის მიმართულებით, მათ შორის, პირველ ხაზზე – 9, მეორეზე –10 პოსტი.

2008 წლის 8 სექტემბრის შეხვედრაზე ქ. მოსკოვში, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა დ. მედვედევმა და საფრანგეთის პრეზიდენტმა ნ. სარკოზიმ განავრცეს **2008 წლის 12 აგვისტოს მიღწეული შეთანხმება.** კერძოდ, გათვალისწინებული იყო 10 დღის განმავლობაში რუსეთის ფედერაციის რუსული სამშვიდობო ძალების სრული გაყვანა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მიმდებარე ზონებიდან საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე არსებულ ხაზზე, მას შემდეგ, რაც ამ ზონებში ამოქმედდებოდა საერთაშორისო მექანიზმები, ევროკავშირიდან არანაკლებ, 200 დამკვირვებლის ჩათვლით.
2008 წლის 1 ოქტომბერს, ევროკავშირმა განსაზღვრულ ვადებში შეასრულა თავისი ვალდებულებები საქართველოში თავისი დამკვირვებლების განთავსების შესახებ, ხოლო **2008 წლის 9 ოქტომბერს**, დ. მედვედევი-ნ. სარკოზის შეთანხმებებით გათვალისწინებულზე ორი დღით ადრე, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის გარშემო უსაფთხოების ზონებიდან გაყვანილი იყო რუსი სამშვიდობოები.

გთავაზობთ, ცალკე შევჩერდეთ ქართული შეიარაღებული ძალების მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაპყრობის ოპერაციის გეგმების განხილვაზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ და რომელთა დემონსტრირებაც ადრე ხდებოდა. საუბარია ორ კომპაქტ-დისკზე ჩაწერილ ელექტრონული სახის დოკუმენტებზე, რომლებიც ქართული მხარისგან ამოღებული იყო საქართველოს მშვიდობისკენ იძულების ოპერაციის მსვლელობისას. აგრეთვე, საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-4 ქვეითი ბრიგადის მეთაურის 2008 წლის 7 აგვისტოს, „სამაჩაბლოს“ (სამხრეთ ოსეთი) რეგიონში აღნიშნული შენაერთის ქვედანაყოფების საბრძოლო გამოყენებაზე ბრძანებების ასლების შესახებ.

ამ დოკუმენტების დედნები დართულია, როგორც ნივთმტკიცებები სისხლის სამართლის საქმის 201/374108-08 მასალებში, რომელიც აღიძრა რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების – სამშვიდობოებისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე

მცხოვრები ოსური ეროვნების ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ მასობრივი მკვლელობებისა და გენოციდის ფაქტებზე. რუსეთის ფედერაციის პროკურატურასთან არსებული საგამომძიებლო კომიტეტის მთავარ საგამოძიებო სამმართველოში, რომელიც იძიებს მოცემულ სისხლის სამართლის საქმეს, საჭიროებისამებრ, იგზავნებოდა ამ დოკუმენტების მოკლე თარგმანები და აგრეთვე მასალები, მოცემული ინფორმაციის შეფასებით.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას წარმოადგენენ საქართველოს შძ მე-4 ქვეითი ბრიგადის ბრძანებების ასლები თარგმანებით, ასევე კომპაქტ-დისკი და დისკიდან ამობეჭდილი ტოპოგრაფიული რუკები, მათზე დატანილი მდგომარეობითა და დაგეგმილი შეტევის მსვლელობისას, საქართველოს ძალების მოქმედებების ასახვით, ასევე მოწინააღმდეგის ქმედებების სავარაუდო ხასიათი (თანდართულია აღნიშნული მასალები და მათი შინაარსიის შეფასები).

ეს მასალები ადასტურებენ საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ აფხაზეთის რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ტერიტორიებზე შემოჭრის წინასწარ მომზადებას.

ქართული მხარისაგან მოპოვებული ელექტრონული მედია მასალების დასკვნითი შეფასებები

დისკებზე ჩაწერილი ტექსტური ინფორმაცია მოცემულია ქართულ ენაზე, ლათინური შრიფტით. ყველა სქემატური და კარტოგრაფული მასალა შესრულებულია ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების (გშძ) პირობითი ტაქტიკური ნიშნების გამოყენებით და ბლოკის სტანდარტების მიხედვით.

ფაილები შეიქმნა და რედაქტირებულია 2005 წლის მარტიდან 2007 წლის მარტამდე პერიოდში. ავტორებზე მითითებებში არის სახელები დავითი და აკაკი. „J - 3“ ითვლება შემმუშავებელ ორგანიზაციად (ჩვენი მონაცემებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოპერატიული დაგეგმარების სამმართველო).

გარდა ამისა, ორ ფაილზე იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბისა *(2007 წელს გარდაიქმნა გაერთიანებულ შტაბად, რაც ადასტურებს სამხრეთ ოსეთზე კონტროლის ძალისმიერი ხერხებით აღდგენის გეგმების წინასწარ დამუშავებას)* და სახმელეთო ჯარების შტაბის ემბლემები.

დოკუმენტებს ადევთ გრიფი „საიდუმლო“ და წარმოადგენენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაპყრობის მიზნით სამხედრო ძალების გამოყენების გეგმებს. ოპერაციის განზრახვაში მითითებულია, რომ ოპერატიული დაჯგუფება (საქართველოს შეიარაღებული ძალები) 72 საათის განმავლობაში ანადგურებს მოწინააღმდეგეს და აღადგენს საქართველოს იურისდიქციას რეგიონში. დოკუმენტებს შორისაა ტოპოგრაფიული რუკები, მათზე დატანილი მდგომარეობითა და საკუთარი ძალების მომზადებისა და თავდასხმის ამოქმედებების ასახვით, მოწინააღმდეგის სავარაუდო ქმედებების ასახვით, რომლებიც ადასტურებენ საქართველოს შეიარაღებული ძალების წინასწარ მომზადებას, აფხაზეთის რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ტერიტორიებზე შეჭრისათვის.

გარდა ამისა, ისინი შეიცავენ ოპერატიული დაჯგუფების სტრუქტურის, ეროვნული გვარდიის ქვედანაყოფების, საბრძოლო მოქმედებების რაიონის დახასიათებების, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ინფრასტრუქტურის ცალკეული ელემენტების ტექსტურ მასალებს, ცხრილებს ისევე, როგორც კარტოგრაფულ, სქემატურ და ფოტომასალებს. მათ გააჩნიათ ნაწილები, სადაც აღწერილია მოწინააღმდეგისა (ოსების) და რუსეთის სამშვიდობო ძალები, არტილერიის ძალისა და საშუალებების გამოყენების ცხრილი შეტევითი ოპერაციის ყველა ეტაპზე, რომელიც შემუშავებულია სამხრეთ ოსეთში შეტევითი ოპერაციის მსვლელობისას, ქართული დაჯგუფების საცეცხლე მხარდაჭერის ორგანიზებისათვის. ამასთანავე, საარტილერიო მიზნების ჩამონათვალში იყო ცხინვალში რუსეთის სამშვიდობო ძალების შტაბი.

უცხო ქვეყნების, მათ შორის, ნატოს წევრი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში, მსგავსი გეგმები გამოიყენება სამეთაურო-საშტაბო სწავლების ჩატარებისას, ასევე ქვეყნის უმაღლეს სამხედრო-პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან მოხსენებებისთვის (პრეზენტაციებისთვის).

წარმოდგენილ მასალებში ზემოქმედების ობიექტები ქართული ჯარის (ძალების) შეტევის ზოლში, მათ შორის, დასახლებული პუნქტები, სადაც უპირატესად, ოსური მოსახლეობა ცხოვრობს, აღნიშნულია წითელი ფერით (ნატო-ს გშმ-ის ტერმინოლოგიით – „მოწინააღმდეგე“). საარტილერიო მიზნებად, სამხრეთ ოსეთის ძალოვანი სტრუქტურების ობიექტებთან ერთად, აღნიშნული იყო რუსეთის სამშვიდობოთა შტაბი, რესპუბლიკის მთავრობის სახლი და სატელევიზიო ანძა ცხინვალში, ასევე, რუსეთის სამშვიდობო ბატალიონის პოლიგონი.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაპყრობის ყველა გეგმაში გამოსაყენებლად შერჩეული სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების რიცხვში მითითებულია – 152-მმ

თვითმავალი ჰაუბიცა „დანა“და 120-მმ ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები (ზცრს) RM-70, რომლებიც 2003-2007 წლებში საქართველოს ჩეხეთის რესპუბლიკამ მიაწოდა და არ მიეკუთვნება მაღალი სიზუსტის შეიარაღებას. დაზიანების ფართობი ერთი ზალპით – ზცრს RM-70 შეადგენს 14,5 ჰა-ს.

ფაილი „ოპერაციის სადაზვერვო უზრუნველყოფა“ წარმოადგენს 96-გვერდიან პრეზენტაციას. ის შეიცავს ტექსტურ, კარტოგრაფიულ, სქემატურ და ფოტომასალებს. დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს ჯარების მიერ სამხრეთ ოსეთის დაპყრობის შეტევითი ოპერაციის სადაზვერვო უზრუნველყოფის მიზნით. მასში შევიდა ოპერაციის რაიონისა და ინფრასტრუქტურის ცალკეული ელემენტების აღწერა, თანდართული 2004 და 2006 წლებში გადაღებული ფოტოსურათებით. დაწვრილებით განიხილება სტრუქტურა, სამხრეთ ოსეთის ძალოვანი სტრუქტურების რიცხობრივი შემადგენლობა (ქართული ვერსიის შესაბამისად, თავდაცვის სამინისტრო, სპეციალური დანიშნულების მობილური რაზმი, სწრაფი რეაგირების სპეციალური რაზმი, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, მოლაშქრეთა რაზმი, დაქირავებულები), მათი შეიარაღება და სამხედრო ტექნიკა, ასევე ქართველების მიერ ცხინვალის ხელში ჩასაგდებად სამხედრო მოქმედებების დაწყების შემთხვევაში მათი გამოყენების შესაძლო ხასიათი. ასევე დაწვრილებით არის აღწერილი სტრუქტურა, რიცხობრივი და საბრძოლო შემადგენლობა, რუსეთის სამშვიდობო ბატალიონის შეიარაღება და ტექნიკა, სამშვიდობოთა პოსტების განლაგება. რუსეთის ბატალიონის დისლოკაციის ადგილი, ასევე, სამშვიდობოთა სასწავლო პოლიგონი, სამხრეთ ოსეთის ძალოვანების ინფრასტრუქტურის ელემენტებთან ერთად შედის სამხედრო ობიექტების ჩამონათვალში, რომლებიც ექვემდებარება განადგურებას.

ფაილი – „1-ლი საქვეითო ბრიგადის მოქმედებების გეგმა“ დოკუმენტის 102-გვერდიან პრეზენტაციას წარმოადგენს, რომელიც სავარაუდოდ, შემუშავებულია ბრიგადის შტაბში. ის შეიცავს ტექსტურ, კარტოგრაფიულ, სქემატურ და ფოტომასალებს და საქართველოს შეიარაღებული ძალების სხვა შენაერთებთან და ქვედანაყოფებთან ურთიერთქმედებით აფხაზეთში შეტევითი ოპერაციის განხორციელების გეგმის მოხსენება-წარდგენაა. გეგმით გათვალისწინებულია 1-ლი ქვეითი ბრიგადის მიერ შეტევის განხორციელება სანაპირო ზონაში, ოჩამირისა და ბაბუშერას მიმართულებით. დოკუმენტში ასევე განხილულია მოწინააღმდეგის (აფხაზური მხარე) შესაძლო მოქმედებები და მისი განეიტრალების ზომები. დაწვრილებით განხილულია აფხაზური ძალოვანი სტრუქტურების საბრძოლო და რიცხობრივი შემადგენლობა.

ფაილი „1-ლი საქვეითო ბრიგადის სამოქმედო გეგმა - ბარიერი 2“ წარმოადგენს დოკუმენტის 86-ფურცლიან პრეზენტაციას, რომელიც სავარაუდოდ, შემუშავებულია

საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების 1-ლი ქვეითი ბრიგადის შტაბში. ის შეიცავს ტექსტურ, კარტოგრაფიულ, სქემატურ და ფოტომასალებს და საქართველოს შეიარაღებული ძალების სხვა შენაერთებთან და ქვედანაყოფებთან ურთიერთქმედებით სამხრეთ ოსეთის დაპყრობის გეგმის მოხსენება-წარდგენაა. გეგმით გათვალისწინებულია 72 საათის განმავლობაში სამაჩაბლოდან (სამხრეთ ოსეთის ქართული სახელწოდება) მოწინააღმდეგის გაძევებისა და განადგურების სამხედრო ოპერაციის ჩატარება და რეგიონში საქართველოს იურისდიქციის აღდგენა. აღნიშნულია, რომ 1-ლი საქვეითო ბრიგადა შედის ძირითადი ძალების შემადგენლობაში და ასრულებს ცხინვალის დაპყრობის ამოცანას. მის ფლანგებზე დაგეგმილია სხვა შენაერთების მოქმედებები: მარჯვნიდან – მე-3 ქვეითი ბრიგადის, მარცხნიდან კი, – მე-5 ქვეითი ბრიგადის. დოკუმენტში ასევე განხილულია მოწინააღმდეგის (ოსების) შესაძლო მოქმედებების ვარიანტები და მათი განეიტრალების ზომები. დაწვრილებით განხილულია ოსური ძალოვანი სტრუქტურების საბრძოლო და რიცხობრივი შემადგენლობა.

ფაილი „1-ლი ქვეითი ბრიგადის მოქმედებების გეგმა - ბარიერი“ წარმოადგენს დოკუმენტის 88-გვერდიან პრეზენტაციას, რომელიც შემუშავებულია, სავარაუდოდ, საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების 1-ლი ქვეითი ბრიგადის შტაბში. ის შეიცავს ტექსტურ, კარტოგრაფიულ, გრაფიკულ, სქემატურ და ფოტომასალებს და წარმოადგენს საქართველოს შეიარაღებული ძალების სხვა შენაერთებთან და ქვედანაყოფებთან ურთიერთქმედებით სამხრეთ ოსეთის დაპყრობის გეგმის მოხსენება-წარდგენას. განსხვავება გეგმებს შორის ,,ბარიერი“ და ,,ბარიერი 2“ პრაქტიკულად, არ არსებობს, გარდა იმისა, რომ 1-ლი საქვეითო ბრიგადის ფლანგებზე დაგეგმილია სხვა შენაერთების მოქმედებები: მარჯვნიდან – მე-2 საქვეითო ბრიგადის, ხოლო მარცხნიდან – მე-4 ქვეითი ბრიგადის. დოკუმენტში ასევე, გათვალისწინებულია შეტევის დროს რუსეთის სამშვიდობოების დისლოკაციის ადგილების ბლოკირება.

ამგვარად, ელექტრონულ მედიაში არსებული მასალების ანალიზი გვაძლევს საშუალებას გავაკეთოთ დასკვნა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები წინასწარ ემზადებოდნენ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკისა და აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიებზე სამხედრო შეჭრისთვის. წარმოდგენილ გეგმებში გათვალისწინებული იყო განადგურება როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო დანიშნულების ობიექტებისა, მათ შორის სოფლების, სადაც ძირითადად, ოსური ეროვნების მოქალაქეები ცხოვრობდნენ. რუსეთის სამშვიდობოების შტაბი და პოლიგონი ასევე მოიაზრებოდა საარტილერიო დარტყმების სამიზნეებად. შეტევითი მოქმედებების განხორციელებისას დაგეგმილი იყო არტილერიის არაარჩევითი მოქმედების საშუალებების გამოყენება, მათ შორის, ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემების, რომელიც დასახლებულ

პუნქტებში მშვიდობიანი მოსახლეობის მასიურ დაღუპვასა და მოქალაქეთა სასიცოცხლო უზრუნველყოფის ობიექტების მასშტაბურ განადგურებას იწვევს.

კომპაქტ-დისკზე დატანილი გეგმებისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ქართული შეიარაღებული დაჯგუფების მოქმედებების მსვლელობისას, რეალური მოვლენების შედარებითი ანალიზი გვაჩვენებს, რომ მათ შორის არსებობს რიგი მნიშვნელოვანი განსხვავებები. ჩვენი შეფასებით, ეს სავარაუდოდ, გამოწვეულია საქართველოს შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობისთვის ბატონი სააკაშვილის მიერ ოპერაციის ჩატარებისა და მისი მომზადებისთვის შეზღუდული ვადების შესახებ მოულოდნელი გადაწყვეტილების მიღებით.

ამასთანავე, როგორც ზემოთ მოცემული გეგმებით იყო გათვალისწინებული, ქართული მხარის მიერ სამხრეთ ოსეთის მიმართულებით შეიქმნა სამხედრო ძალებისა და საშუალებების დიდი დაჯგუფება და საბრძოლო მასალების დიდი მარაგები, რაც საშუალებას იძლეოდა განეხორციელებინათ მუდმივი საარტილერიო და საცეცხლე შეტევები პოზიციების პერიოდული ცვლილებით. ქვედანაყოფების გაშლა ხორციელდებოდა როგორც სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის გარშემო პერიმეტრზე, ასევე სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე თბილისის მიერ კონტროლირებად ქართულ ანკლავებშიც.

მთლიანობაში, მოცემული მასალები ადასტურებენ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბში არსებულ ინფორმაციას საქართველოს შეიარაღებული ძალების რიცხობრივი, საბრძოლო შემადგენლობისა და შეიარაღების შესახებ, და ასევე, საზღვარგარეთიდან შეიარაღების ცალკეული სახეობების მიწოდებების შესახებ.
სამხედრო ასპექტები – დამატებითი შეკითხვები და პასუხები

საქართველოში განვითარებული კონფლიქტის ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია

სამხედრო საკითხებთან დაკავშირებული დამატებითი კითხვები რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს ხელისუფლებებისადმი

ა. რუსეთის სამშვიდობო ძალებთან დაკავშირებით

1. როდის და რომელი იარაღით განახორციელეს რუსეთის სამშვიდობო ძალებმა პირველი გასროლა ვერხნიგოროდოკში, სამხედრო პერსონალის განთავსების ქვემო და ზემო ბანაკებში, გაერთიანებულ შტაბსა და ცხინვალის ფარგლებს გარეთ მდებარე პოსტებზე?
2. თავდაპირველად, როდის მოხდა რუსეთის სამშვიდობო ძალებისადმი ზიანის მიყენება პერსონალის დაშავებისა და მატერიალური ზარალის სახით? (გთხოვთ, დააზუსტოთ).
3. როდის მიაწოდა გაერთიანებული სამშვიდობო ძალების მეთაურმა – გენერალმა მურატ კულახმეტოვმა ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციას ინფორმაცია აღნიშნული ცეცხლისწარმოებისა და დაშავებულების შესახებ?
4. მიაწოდა თუ არა ვერხნიგოროდოკის ცენტრალური შენობის სახურავზე განთავსებულმა სამშვიდობო ძალების პოსტმა კოორდინატების შესახებ ინფორმაცია სამხრეთ ოსეთის მილიციას ან ჩრდილო (სამხრეთ) ოსეთის სამშვიდობო ძალების ბატალიონს?
ა. კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხევაში – რა დროიდან?
ბ. ამ საკითხთან დაკავშირებით შედგა თუ არა სატელეფონო საუბარი გენერალ მურატ კულახმეტოვსა და საქართველოს სამშვიდობო ძალების მეთაურ მამუკა ყურაშვილს შორის?
გ. კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში – ქართული მხარის მიერ რუსეთის და ოსეთის სამშვიდობო ძალებისთვის და მიზნებით ცეცხლის გახსნამდე უზრუნველყო თუ არა ყურაშვილმა კულახმეტოვის გაფრთხილება სამხრეთ ოსეთის მილიციასთან კოორდინაციის შეწყვეტის შესახებ?
5. ცხინვალის დაცვის განხორციელების განმავლობაში, სხვა რა სახის კოორდინირებას ჰქონდა ადგილი რუსეთის სამშვიდობო ძალებს, ჩრდილო (სამხრეთ) ოსეთის სამშვიდობო ძალებსა და სამხრეთ ოსეთის მილიციას შორის?
6. გაერთიანებული სამშვიდობო ძალების სარეზერვო ქვედანაყოფები:
ა. როდის მიიღეს გაერთიანებული სამშვიდობო ძალების სარეზერვო ძალებმა (რომელთა შემადგენლობაში 300 სამხედრო მოსამსახურის წარგზავნის უფლებამოსილებაც სამშვიდობო ძალების ყოველ ბატალიონს ჰქონდა) ცხინვალისაკენ გადაადგილების ბრძანება?
ბ. დროის რა მომენტიდან გადაეცა გენერალ კულახმეტოვს ამ ქვედანაყოფებზე ტაქტიკური კონტროლის უფლებამოსილება? რომელ ქვედანაყოფებსა და აღჭურვილობაზე?
გ. როდის მოხდა აღნიშნული ქვედანაყოფების დისლოცირება ცხინვალში/რუსეთის სამშვიდობო ძალების პოზიციებზე?

დ. წინასწარ გაგზავნეს თუ არა აღნიშნულმა ქვედანაყოფებმა ცხინვალისაკენ ან ჯავისაკენ რეკოგნოსცირების ან მეკავშირეთა ჯგუფები? დადებითი პასუხის შემთხვევაში – როდის?
7. უზრუნველყო თუ არა 2008 წლის 8-9 აგვისტოს რუსეთის საჰაერო ძალებმა ცხინვალში დისლოცირებული რუსეთის სამშვიდობო ძალების ბატალიონის ახლო საჰაერო მხარდაჭერა? კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში – როდის და რამდენი საბრძოლო ფრენა განხორციელდა?

ბ. ჩრდილო ოსეთი – ალანიას სამშვიდობო ბატალიონთან დაკავშირებით

1. წარმოადგენდა თუ არა ჩრდილო ოსეთის სამშვიდობო ძალების ბატალიონი სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ბატალიონს (პირადი შემადგენლობა)?
2. სამშვიდობო ძალების ბატალიონი რუსეთის ფედერაციის თუ სამხრეთ ოსეთის ქვედანაყოფად ითვლებოდა?
3. როგორი იყო აღნიშნული ბატალიონის პირადი შემადგენლობა და შეიარაღება?
4. რამდენად იყო უზრუნველყოფილი ოსეთის სამშვიდობო ძალების ბატალიონის ქმედებათა სამხრეთ ოსეთის მილიციასთან კოორდინირება – ესკალაციის განმავლობაში და სრულმასშტაბიანი სამხედრო მოქმედებების დაწყების მომენტში?
5. როდის და სად მიიღო ოსეთის სამშვიდობო ძალების ბატალიონმა მონაწილეობა საბრძოლო მოქმედებებში – ესკალაციისა და შეიარაღებული კონფლიქტის განმავლობაში?

გ. საქართველოს სამშვიდობო ბატალიონთან დაკავშირებით

1. როგორი იყო საქართველოს სამშვიდობო ბატალიონის პირადი შემადგენლობა და შეიარაღება ესკალაციის განმავლობაში და სრულმასშტაბიანი სამხედრო მოქმედებების დაწყების მომენტში?
2. რა ფუნქცია შეასრულა საქართველოს სამშვიდობო ბატალიონმა როგორც ესკალაციის, ასევე, საქართველოს რეგულარული ძალების დისლოცირების პერიოდში?
ა. ცხინვალის სამხრეთით მდებარე ზოლში?
ბ. ცხინვალის ჩრდილოეთით მდებარე ქართული სოფლების რიგში?
გ. ქართული მხარის შემოვლითი გზის გასწვრივ (გერი – დმენისი – სარაბუკის მაღლობი და ა.შ.)
(გთხოვთ, კონკრეტულად მიუთითოთ ქმედება, დრო და ადგილმდებარეობა)

3. რამდენად იყო უზრუნველყოფილი საქართველოს სამშვიდობო ძალების ბატალიონის ქმედებათა კოორდინირება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

სპეცდანიშნულების ძალებსა და ქართულ (სანაკოევის დაქვემდებარებაში მყოფ) მილიციასთან?

4. რომელი მიმართულებიდან მონაწილეობდა საქართველოს სამშვიდობო ძალების ბატალიონი ცხინვალზე შეტევაში? (სამხრეთი: ავნევი, ნიქოზი; ჩრდილოეთი: თამარეშენი; აღმოსავლეთი: ქართული მხარის შემოვლითი გზა – გერი-დმენისი? იმ შემთხვევაში, თუ საერთოდ მიიღო მონაწილეობა).

დ. საქართველოს შინაგან საქმეთა სპეცდანიშნულების ძალებთან დაკავშირებით

1. როგორი იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების ძალების პირადი შემადგენლობა და შეიარაღება ესკალაციის განმავლობაში და სრულმასშტაბიანი სამხედრო მოქმედებების დაწყების შემდეგ?
2. რა ფუნქცია შეასრულა საქართველოს სამშვიდობო ბატალიონმა როგორც ესკალაციისა და საქართველოს რეგულარული ძალების დისლოცირების პერიოდში, ასევე, სრულმასშტაბიანი სამხედრო მოქმედებების დაწყების შემდეგ?
ა. ცხინვალის სამხრეთით მდებარე ზოლში?
ბ. ცხინვალის ჩრდილოეთით მდებარე ქართული სოფლების რიგში?
გ. ქართული მხარის შემოვლითი გზის გასწვრივ (გერი – დმენისი – სარაბუკის
მაღლობი და ა.შ.)
(გთხოვთ, კონკრეტულად მიუთითოთ ქმედება, დრო და ადგილმდებარეობა)

2. სამხრეთ ოსეთის მილიციასთან დაკავშირებით
1. როგორი იყო სამხრეთ ოსეთის მილიციის პირადი შემადგენლობა და შეიარაღება აგვისტოს სამხედრო მოქმედებების დაწყებისას?
2. რომელი იარაღი გამოიყენა ამ სტრუქტურამ ხეთაგუროვოში, მუგუთში, ტბეთში, დმენისში და სხვა სოფლებში, აგრეთვე, ქალაქ ცხინვალში განხორციელებული საბრძოლო მოქმედებების დროს?
4. როგორ უზრუნველყოფდნენ ისინი ოსეთის სამშვიდობოებთან კოორდინირებას?

2009 წლის 7 სექტემბერი,
დამატებით კითხვებზე მიღებული პასუხები

რუსეთის მხარისთვის დასმულ სამხედრო თემატიკასთან
დაკავშირებულ დამატებით კითხვებზე პასუხები

პასუხები რუსეთის სამშვიდობო ძალებთან დაკავშირებულ კითხვებზე

ქართული არტილერიის მიერ რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ძალების ობიექტების მიმართულებით, სროლები დაიწყო 2008 წლის 7 აგვისტოს, 23 საათსა და 40 წუთზე ქ. ცხინვალზე შეტევის დროს. პირველი რეაქტიული ჭურვი დაეცა შერეული სამშვიდობო ძალების გაერთიანებული შტაბის ტერიტორიაზე, 8 აგვისტოს, 00 საათსა და 03 წუთზე, მომდევნო – 8 აგვისტოს, 04 საათსა და 08 წუთზე. რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ბატალიონის ტერიტორიაზე (ზედა სამხედრო დასახლება) ჭურვი დაეცა 8 აგვისტოს, 00 საათსა და 45 წუთზე. რუსეთის ფედერაციის სამშვიდობოების პოსტებზე, პირველი ცეცხლი ნაღმტყორცნებიდან გაიხსნა: სვერის პოსტზე – 8 აგვისტოს 03 საათსა და 15 წუთზე, კეხვის პოსტზე – 8 აგვისტოს, 04 საათსა და 35 წუთზე; მსუბუქი შეიარაღებიდან: კვერნეთის პოსტზე – 7 აგვისტოს, 23 საათსა და 57 წუთზე; თამარაშენის პოსტზე – 8 აგვისტოს, 00 საათსა და 01 წუთზე; ვანათის პოსტზე – 8 აგვისტოს, 00 საათსა და 25 წუთზე. 8, 9 და 10 აგვისტოს განმავლობაში საქართველომ არაერთხელ დაუშინა ცეცხლი არტილერიისა და მსუბუქი შეიარაღების გამოყენებით, სათვალთვალო პოსტებს: კეხვი, ვანათი, ერედვი, „ობობა,“ ავნევი, ფრისი, წუნარი, მეღვრეკისი, კვერნეთი, ანძისი. მეღვრეკისის პოსტზე განხორციელდა საავიაციო შეტევა.

პირველი ადამიანური და მატერიალური დანაკარგები რუსეთის სამშვიდობოებმა განიცადეს 8 აგვისტოს, 6 საათსა და 35 წუთზე, ზემო ნიქოზის დასახლებული პუნქტის აღმოსავლეთ გარეუბნიდან ქართული ტანკის მიერ სამშვიდობო ბატალიონის ყაზარმის სახურავზე (ზედა სამხედრო დასახლება) განთავსებულ სათვალთვალო პოსტზე ცეცხლის გახსნისას. ამ სროლის შედეგად დაიღუპა ბატალიონის ერთი სამხედრო მოსამსახურე, ერთი დაიჭრა და დაინგრა ყაზარმის ნაწილი. 8 აგვისტოს, 12 საათისათვის ბატალიონში 2 ადამიანი დაიღუპა, 5 – დაჭრილი იყო.

აღსანიშნავია, რომ ქართული აგრესიის დაწყებისა და მსვლელობის უშუალო მხილველები, 8 აგვისტოს 14 საათსა და 30 წუთამდე, იყვნენ ქ. ცხინვალში ეუთო-ს საველე ოფისის უფროსი ზ. მიხალსკი და გაეროს მისიის ორი დამკვირვებელი ოფიცერი. მათ საქმიანობას ქ. ცხინვალში იცავდა რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ბატალიონის შეიარაღებული ყარაული.

საქართველოში გაეროს მისიის ხელმძღვანელს ტ. ხაკალას, 7 აგვისტოს, 23 საათსა და 48 წუთზე, გენერალმა მ. კულახმეტოვმა ტელეფონით აცნობა ქალაქის საარტილერიო ცეცხლის გახსნის დაწყებისა და ასევე, მის მიერ გენერალ მ. ყურაშვილთან ამ ფაქტთან დაკავშირებული სატელეფონო საუბრის შესახებ. ამის შემდეგ, გენერალ მ. კულახმეტოვს ჰქონდა გაერო-ს მისიის მეთაურთან, მისიის უფროს სამხედრო დამკვირვებელთან ს. იანგთან, არა ერთი სატელეფონო საუბარი და მათ აწვდიდა ინფორმაციას

კონფლიქტის ზონაში საერთო მდგომარეობის განვითარების შესახებ, ამასთან, სამშვიდობოთა შორის დანაკარგების შესახებ.

რუსეთის სამშვიდობო ბატალიონის ყაზარმის სახურავზე განთავსებული სათვალთვალო პოსტი მიღებულ ინფორმაციას გადასცემდა მხოლოდ გაერთიანებულ შტაბს, მის უფროსსა და რუსეთის სამშვიდობო ბატალიონის მეთაურს. ინფორმაცია ამ სადამკვირვებლო პოსტის ქმედებებისა და ქართული მხარის პრეტენზიების შესახებ მ. ყურაშვილს არც ერთხელ არ წარუდგენია. გენერალ მ. კულახმეტოვის ბოლო სატელეფონო საუბარი გენერალ მ. ყურაშვილთან შედგა 7 აგვისტოს, 23 საათსა და 45 წუთზე. საუბრისას, მ. ყურაშვილმა განაცხადა, რომ საქართველო შეუდგა კონსტიტუციური წესრიგის დამყარებისათვის სამხედრო ოპერაციის განხორციელებას. ამ საუბრის შემდეგ, მისი ტელეფონი იყო გათიშული. კავშირზე ის აღარ გამოსულა.

რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის სამშვიდობო ბატალიონების, ასევე სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის მოქმედებების კოორდინაცია ხორციელდებოდა მხოლოდ „დებულება ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში საჯარო კონტინგენტისა და სამხედრო დამკვირვებლების მოქმედებების ძირითადი პრინციპების შესახებ“ დოკუმენტისა და შერეული საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილებების ფარგლებში.

სამშვიდობოების პოსტებზე, გაერთიანებული შტაბისა და რუსეთის ბატალიონის სამხედრო დასახლებაზე ცეცხლის გახსნასთან, ტანკების გამოყენებით მათზე თავდასხმასთან, სამშვიდობოების დაღუპვასა და დაჭრასთან დაკავშირებით, 8 აგვისტოს, 9 საათსა და 30 წუთზე შეიქმნა აშკარა აუცილებლობა რუსეთის სამშვიდობოთა კონტინგენტის გაძლიერებისა და შერეული საკონტროლო კომისიის დოკუმენტებით დადგენილი კვოტების შესაბამისად (დამატებით, 300-300 ადამიანი რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის ბატალიონებისთვის).

მაგრამ, 8 აგვისტოს, 12 საათისა და 00 წუთისთვის, სათვალთვალო პოსტებიდან შემოსული ქართული მხარის მოქმედებების ხასიათის შესახებ ინფორმაციის შეფასების შედეგად, ცხადი გახდა, რომ მის მიერ შექმნილი თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების ძალთა და საშუალებათა დაჯგუფებები ქ. ცხინვალის რაიონებში, ავნევის, ხეთაგუროვოს, ზნაურის, ერედვის, გრომის, არცევის, წინაგარის, სინაგურის, კვაისას დასახლებულ პუნქტებში ითვლიდნენ 10 ათას ადამიანამდე (არანაკლებ, 10 ქვეით ბატალიონს, 3 ჯავშანსატანკო ბატალიონს, სპეციალიზებული დანიშნულების ბატალიონს, რომელსაც ეხმარებოდა 4 საარტილერიო და ერთი რეაქტიული დივიზიონი, ხოლო 8 აგვისტოს დილიდან – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ავიაციასაც; საქართველოს შსს-ის ხუთამდე სპეციალური დანიშნულების რაზმსაც და

რეზერვისტების რამდენიმე ბატალიონსაც, რომლებსაც თავის შემადგენლობაში ჰქონდათ 100-მდე ტანკი, 100-მდე საბრძოლო ჯავშნიანი მანქანა, 110-ზე მეტი ქვემეხი და ნაღმმტყორცნი, 30-მდე ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა).

8 აგვისტოს, 14 საათსა და 30 წუთზე შექმნილი პირობების ფონზე, რუსეთმა მიიღო გადაწყვეტილება სამშვიდობო კონტინგენტის გაძლიერების შესახებ, რომელიც შესრულდა საერთაშორისო მანდატით რუსეთზე დაკისრებული სამშვიდობო ამოცანების შესრულებისა და სამხრეთ ოსეთში მყოფი რუსეთის მოქალაქეების დაცვის ინტერესებში.

გაძლიერების ქვედანაყოფები შევიდნენ კონფლიქტის ზონაში (რაიონში, გუფთის ხიდის სამხრეთით) 8 აგვისტოს, 20 საათსა და 30 წუთზე და დაექვემდებარენ შერეული სამშვიდობო ძალების გაერთიანებული შტაბის კონტროლს. გაძლიერების შემადგენლობაში გამოიყო ორ-ორი ბატალიონი – 135-ე და 693-ე მოტომსროლელთა პოლკებიდან, როგორც გათვალისწინებული იყო შერეული საკონტროლო კომისიის დოკუმენტებით. შემდგომში ცხინვალიდან ჩრდილო-დასავლეთით, ძარის გზით მსვლელობისას, მათ არაერთხელ გაუხსნა ცეცხლი საქართველოს არტილერიამ და ტანკებმა.

ცხადი ხდებოდა, რომ ასეთი დაჯგუფების აგრესიის მოგერიებისთვის, გაძლიერების ქვედანაყოფების გამოყოფის გათვალისწინებითაც, ძალები საკმარისი არ იყო.
8 აგვისტოს, 22 საათისა და 00 წუთისთვის, ჯავის რაიონში თავი მოიყარა გაძლიერების დამატებითმა ძალებმა, რათა დახმარებოდნენ რუსეთის სამშვიდობოებს ბლოკადის მოხსნაში.

სამშვიდობო ძალების საავიაციო მხარდაჭერისას, 8 აგვისტოს, რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების მიერ შესრულდა 63 ფრენა, 9 აგვისტოს – 28 ფრენა. ავიაციის განადგურების ობიექტები იყო: ჯარების თავშეყრის ადგილები, ტექნიკის კოლონები, არტილერიის საცეცხლე და სასტარტო პოზიციები, ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები.

ბ. პასუხები ჩრდილოეთ ოსეთის – ალანიას სამშვიდობო ბატალიონთან დაკავშირებულ კითხვებზე

ჩრდილო ოსეთის სამშვიდობო ბატალიონი არის ჩრდილო ოსეთის რესპუბლიკის, ალანიის – რუსეთის ფედერაციის სუბიექტის ბატალიონი.

ბატალიონი იყო დაკომპლექტებული ოსური ეროვნების რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებით.

7 აგვისტოს მდგომარეობით, ბატალიონის შემადგენლობაში შედიოდა მსუბუქი შეიარაღებით აღჭურვილი 488 ადამიანი. ბატალიონს შეიარაღებაში ჰყავდა 30-მდე საბრძოლო ჯავშანმაქანა, 82-მმ ნაღმტყორცნები და 60-მდე ავტომობილი.

ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ბატალიონი ახორციელებდა მოქმედებების კოორდინაციას სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, მხოლოდ „დებულება ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში საჯარო კონტინგენტისა და სამხედრო დამკვირვებლების მოქმედებების ძირითადი პრინციპების შესახებ“ დოკუმენტისა და შერეული საკონტროლო კომისიის (შემდგომში შსკ) გადაწყვეტილებების ფარგლებში.

პირველად, ბატალიონს (ბატალიონის სამხედრო დასახლებას, საბრძოლო მანქანების პარკს) ქართული მხრიდან საარტილერიო ცეცხლი გაუხსნეს 8 აგვისტოს, 00 საათსა და 03 წუთზე. 8 აგვისტოს, 6 საათსა და 55 წუთზე ქართულმა ავიაციამ დაბომბა ბატალიონის საბრძოლო ტექნიკის პარკი.

უკვე 7 აგვისტოს, საღამოდან დაიწყო სოფ. ერგნეთის ჩრდილოეთ გარეუბნისა და სოფ. ქვემო ნიქოზის ჩრდილოეთ გარეუბნის მიმართულებებიდან ცარზის და მამისანთუბანის პოსტებისთვის ცეცხლის გახსნა, ხოლო 8 აგვისტოს, 06 საათსა და 30 წუთზე – ქვეითი ჯარის შეტევა.

8 აგვისტოს, 00 საათსა და 22 წუთზე საქართველოს ქვეითმა ჯარმა და ტანკებმა ცეცხლი გაუხსნეს იონჩას პოსტს. თავდასხმა ასევე, განხორციელდა: ცანაგარის პოსტზე – 01 საათსა და 35 წუთზე, სარაბუკის პოსტზე – 02 საათსა და 35 წუთზე, გრომის პოსტზე – 03 საათსა და 10 წუთზე, წნელისის პოსტზე – 06 საათსა და 00 წუთზე, ხოლო მუგუთის პოსტს 02 საათსა და 10 წუთზე ცეცხლი გაუხსნეს ცეცხლსასროლი იარაღებიდან, ნაღმტყორცნებიდან და შეუტიეს ქვეითებმა, ტანკების დახმარებით.

გ. პასუხები ქართულ სამშვიდობო ბატალიონთან დაკავშირებულ კითხვებზე

მიღებული შეთანხმებების შესაბამისად, მხარეთა სამშვიდობო ბატალიონების რაოდენობა 500 ადამიანზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ ქართულმა მხარემ შეთანხმებისა და ოფიციალური შეტყობინების გარეშე, ფარულად, 2008 წლის ივნისში

მისი რაოდენობა 600 ადამიანამდე გაზარდა, ივლისში – 700 ადამიანამდე, ხოლო 7 აგვისტოსთვის – 800 ადამიანამდე.

ამ მოქმედებების შედეგად მოხდა პოსტებისათვის დადგენილი რაოდენობის უკანონო გაზრდა: ერედვის პოსტზე – 80 ადამიანით, თამარაშენის – 50 ადამიანით. 2007 წლის ივლისში, უკანონოდ გახსნილი ავნევის პოსტებზე რაოდენობა 80 ადამიანს შეადგენდა, „კოშკზე“ (ავნევის ჩრდილო გარეუბანი) – 10 ადამიანს; 2008 წლის ივლისში გახსნილი სარაბუკის პოსტზე – 30 ადამიანს, რომელიც გაიზარდა შესაბამისად, 120-მდე, 25-მდე და 50 ადამიანამდე. 2008 წლის ივლისიდან ღამის საათებში, საქართველოს შსს სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფებთან ერთად დაიწყეს ერგნეთის პოსტის –დადგმა (25 ადამიანი).

ამ მიზეზის გამო სოფ. ერგნეთის მიდამოებში – ცხინვალის სამხრეთ-აღმოსავლეთ გარეუბანში, სოფოფლებში – ავნები, ხეთაგუროვო, ერედვი, სარაბუკი, დმენისი ვითარება მკვეთრად გამწვავდა, ხოლო 2008 წლის აგვისტოს დასაწყისში, კრიტიკული გახდა. 1-დან 7 აგვისტომდე ამ პოსტებსა და სამხრეთ ოსეთის მხარეს შორის სროლების შედეგად, ორივე მხარეს ჰქონდა მსხვერპლი, დაჭრილები და დაზიანებული საცხოვრებელი სახლები.

აღსანიშნავია, რომ 7 აგვისტოს, 14 საათსა და 30 წუთზე შერეული ძალების გაერთიანებული შტაბის ქართული ნაწილების ოფიცრებმა, მიზეზების ახსნის გარეშე, დატოვეს შტაბის ტერიტორია. ქართული მხრიდან უფროსი სამხედრო ხელმძღვანელი პოლკოვნიკი კ. ურუშაძე 7 აგვისტოს, 19 საათიდან სატელეფონო ზარებს აღარ პასუხობდა.

7 აგვისტოს, დღის მეორე ნახევარში ქართული ბატალიონი შევიდა საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების (საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები) გაერთიანებული დაჯგუფების შემადგენლობაში, რომელმაც განახორციელა აგრესია. მისი ბაზა სოფ.ზემო ნიქოზში, აღჭურვილი პოზიციები სოფ. სარაბუკის დასავლეთით, სოფ. ავნევში, გამოყენებული იყო როგორც შეტევითი მოქმედებების პლაცდარმი.

7 აგვისტოს, დღის ბოლოსთვის ბატალიონის ქვედანაყოფები, რომლებიც იმყოფებოდნენ საბაზო ბანაკში სოფ. ერედვის მიდამოებში და სოფ. სარაბუკის მიმდებარე პოზიციებზე, გადაეცა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-3 ქვეითი ბრიგადის ქვედანაყოფებს და თავი მოიყარეს ნიქოზის სამხრეთ-დასავლეთით.

8 აგვისტოს, ღამით და იმავე დღეს დილით, ბატალიონის ქვედანაყოფები მონაწილეობდნენ სოფ. მუგუთის დაპყრობაში, ახორციელებდნენ საბრძოლო მოქმედებებს სოფ. ხეთაგუროვოში და მოქმედებდნენ ოსეთის სამშვიდობოთა მუგუთის პოსტის წინააღმდეგ.

8 აგვისტოს, დილით ბატალიონმა დაიწყო მოქმედებები საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების გაერთიანებული დაჯგუფების შემადგენლობაში, რომელიც ახორციელებდა ცხინვალზე შეტევას, ქალაქის გარეუბნის სამხრეთ-დასავლეთ რაიონში. ქალაქზე შეტევისას, ბატალიონის მონაწილეობის ხარისხზე მეტყველებს, რომ მან განიცადა ყველაზე დიდი დანაკარგი ამ მიმართულებით მოქმედ საქართველოს გაერთიანებული დაჯგუფების ქვედანაყოფებს შორის.

ბატალიონის ქვედანაყოფები, რომლებიც იმყოფებოდნენ ცხინვალის ჩრდილოეთით ქართულ სოფლებთან, საქართველოს შსს სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფებთან ერთად 7-დან 8 აგვისტოს ღამით და 8-9 აგვისტოს მონაწილეობდნენ თამარაშენის სამხრეთ გარეუბანში აღჭურვილი პოზიციებიდან ქალაქის რაიონებზე (ბამი, ტექსტილი) განხორციელებულ თავდასხმაში, ასევე მონაწილეობდნენ სროლებში ძარწემსა და თლიაყანას შორის, ქურთას დასავლეთ გარეუბანსა და ჩრდილო ოსეთის სამშვიდობოთა პოსტს - მონასტერს შორის.

დ. პასუხები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების ჯარებთან დაკავშირებულ კითხვებზე

კონკრეტული მოქმედებების მიმართულებებისა და აგრესიის დღეების მიხედვით, საქართველოს შსს ქვედანაყოფების შემადგენლობა იცვლებოდა. შსს ძალების ყველაზე დიდი დაჯგუფება 7 აგვისტოს შეიქმნა, დღის ბოლოსთვის, ცხინვალის სამხრეთით, ზემო, ქვემო ნიქოზის – ერგნეთის რაიონში (5 ათასამდე ადამიანამდე).

განსაკუთრებით აღსანისნავია, რომ 2007 წლის მეორე ნახევრისა და 2008 წლის იანვარ-აგვისტოს განმავლობაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფები კონფლიქტის ზონაში წარმოადგენდნენ ძირითად მადესტაბილიზირებელ ძალას, მიუხედავად, მათი იქ ყოფნის ფორმალური ლეგიტიმურობისა. ყველა ძირითადი ინციდენტი სამხრეთ ოსურ და ქართულ მხარეებს შორის ხდებოდა მათი უშუალო მონაწილეობით, ხშირად, მათი ინიციატივით.

2008 წ. ივლის-აგვისტოში გახშირდა ცხინვალის სამხრეთ გარეუბნისთვის ცეცხლის გახსნა ცეცხლსასროლი იარაღიდან, ყუმბარმტყორცნებიდან, მათ შორის,

ავტომატურიდან, ნაღმტყორცნებიდან, ასევე სნაიპერების ქმედებები საქართველოს შსს პოსტებიდან, რომლებიც მოწყობილი იყო სოფ. ერგნეთის ჩრდილოეთ გარეუბანში და სოფ. ზემო ნიქოზში. არგვიცი-ფრისის, ავნევი-ხეთაგუროვოს, სვერი-ანძისის რაიონებში ანალოგიურმა ინცინდენტებმა სისტემატური ხასიათი მიიღეს.

ჯერ კიდევ, 2007 წელს, ქართული დაჯგუფებების შეტევებისთვის, საქართველოს სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფების მიერ, სოფ. ერგნეთისა და სოფ. ქვემო ნიქოზის ჩრდილოეთ გარეუბნებში, სოფ. ზემო ნიქოზის ჩრდილოეთ გარეუბნის სასაფლაოების მხარეს, სოფ. ფრისის სამხრეთ და სოფ. დვანის აღმოსავლეთ გარეუბნებში მოწყობილი პოზიციები პლაცდარმებად გამოიყენეს.

8 აგვისტოს, უკვე დილისკენ, ცხინვალის სამხეთით სოფ. ზემო ნიქოზის, სოფ. ქვემო ნიქოზის, სოფ. ერგნეთის მიდამოებში თავი მოიყარეს: შავნაბადას სპეციალური დანიშნულების რაზმმა და განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა მთავარი სამმართველოს სპეციალური დანიშნულების ორმა რაზმმა, ასევე, ანტიტერორისტული სამმართველოს სპეციალური დანიშნულების რაზმმა, მილსადენების დაცვის სამმართველოს ქვედანაყოფებმა და განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა მთავარი სამმართველოს სპეციალური დანიშნულების რეგიონულმა ქვედანაყოფებმა. ისინი შეადგენდნენ დაჯგუფებების ძალებისა და საშუალებების საფუძველს, რომლებიც მოქმედებდნენ ცხინვალის მიმართულებით. 8 აგვისტოს, მათ რამდენჯერმე შეუტიეს ცხინვალს და მონაწილეობდნენ რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ბატალიონის სამხედრო დასახლებაზე ცეცხლის გახსნაში.

დ. სანაკოევის ადმინისტრაციის ე. წ. შინაგან საქმეთა ქვედანაყოფები, მათი შექმნის პირველივე დღიდან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებს წარმოადგენდნენ. შიდა ქართლის (ქ. გორის) შინაგან საქმეთა რეგიონული სამმართველოს გვერდის ავლით, ისინი პირდაპირ ექვემდებარებოდნენ თბილისს.

2008 წლის ივნისი-აგვისტოს განმავლობაში, ცხინვალის ჩრდილოეთით, ქართული სოფლებში ხდებოდა დ. სანაკოევის ადმინისტრაციის ე. წ. პოლიციის ქვედანაყოფების გაძლიერება საქართველოს შსს სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფებით. ისინი ცეცხლს უშენდნენ ცხინვალს თამარაშენისა და ხეითის სამხრეთ გარეუბნებიდან, კვერნეთის დასახლებულ პუნქტს – იმ პოზიციიდან, რომელიც განთავსებული იყო თამარაშენის დასავლეთ გარეუბნის რაიონში. (დ. სანაკოევის ადმინისტრაციის ე. წ სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფის ქალაქი), ოსურ ანძისს – სოფ. სვერისის ჩრდილო-აღმოსავლეთ გარეუბნიდან. 8-10 აგვისტოს, ისინი ცეცხლს უშენდნენ

თამარაშენის, კვერნეთის, ანძისის, კეხვის რუსეთის სამშვიდობოთა პოსტებს, ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობოთა ძალების პოსტს – მონასტერს.

სოფლების ონის-კვაისას რაიონში მოქმედებდა საქართველოს შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის სპეციალური დანიშნულების რაზმი.
ყველა ამ ქვედანაყოფების ხელმძღვანელობას ანხორციელებდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, გენერალი შ. ჯანაშვილი.

ე. პასუხები სამხრეთ ოსეთის მილიციასთან დაკავშირებულ კითხვებზე

სამხრეთ ოსეთის შსს ქვედანაყოფები საბრძოლო მოქმედებებში იყენებდნენ მსუბუქ შეიარაღებასა და ყუმბარმტყორცნებს. მძიმე შეიარაღება მათ არ გააჩნდათ.
რუსეთისა და ჩრდილო ოსური სამშვიდობო ბატალიონების მოქმედებების კოორდინაცია სამხრეთ ოსურ ქვედანაყოფებთან ხორციელდებოდა მხოლოდ „დებულება ქართულ ოსური კონფლიქტის ზონაში საჯარო კონტინგენტისა და სამხედრო დამკვირვებლების მოქმედებების ძირითადი პრინციპების შესახებ“ დოკუმენტისა და შერეული საკონტროლო კომისიის (შსკ) გადაწყვეტილებების ფარგლებში.

დამატებითი კითხვები რუსეთის მხარესთან ჰუმანიტარულ თემატიკასთან დაკავშირებით

რუსეთის სამხედრო კონტინგენტი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მოქალაქეებისა და ორგანიზაციების მიმართ არ ახორციელებდა და არ ახორციელებს, არც პოლიციურ ფუნქციებს და არც სახელმწიფო ხელისუფლების ელემენტებს.

რუსეთის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები არ იმყოფებოდნენ იმ შენობებში, სადაც იმყოფებოდნენ სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის დროს და კონფლიქტის შემდგომ პერიოდში, არარუსული მხარის მიერ დაკავებული პირები.

რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები (შემდგომში - რუსეთის შძ) 2008 წლის 12 აგვისტოს, 12 საათსა და 30 წუთისთვის მივიდნენ ქ. გორის ჩრდილოეთ გარეუბანთან და მოახდინეს მისი ბლოკირება ჩრდილო-დასავლეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან. ვითარებამ ქ. გორში, რომელიც საქართველოს შძ სამხედრო ნაწილების მიერ მისი დატოვებისა და ადგილობრივი ადმინისტრაციის გაქცევის შედეგად შეიქმნა, 2008 წლის 12 აგვისტოდან, რუსეთის სამხედროების ძალისხმევით, მიიღო სტაბილური ტენდენცია ნორმალიზაციისაკენ.

ვითარების სტაბილიზაციის და საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებულ პუნქტებში სიტუაციაზე კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით, შერეული სამშვიდობო ძალების (შემდგომში – მმშძ) სარდლობის მიერ მიღებული იყო გადაწყვეტილება, 2008 წ. 13 აგვისტოდან რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ძალების ხუთი სათვალთვალო პოსტის (შემდგომში - სპ) დისლოკაციის დროებითი შეცვლის შესახებ:

სპ „ავნევი“ – გადაიწია ქარელიდან ჩრდილოეთით, 1კმ რაიონში (ხიდი მ. მტკვარზე);
სპ „არცევი“ – სოფ. ჩობალაურის ჩრდილოეთით (გზაჯვარედინი თბილისი-გორის ტრასაზე);
სპ „კვერნეთი“ – არადეთის სამხრეთით (გზაჯვარედინი გორი-ქუთაისის ტრასაზე);
სპ „ანძისი“ – სოფ. ახალშენის აღმოსავლეთით (გზაჯვარედინი თბილისი-გორის გზატკეცილზე);
სპ „მეღვრეკისი“ – ახალშენიდან 0,5 კმ აღმოსავლეთით (გზაჯვარედინი თბილისი-ქუთაისის გზატკეცილზე).

მიღებული ზომების წყალობით, 13 აგვისტოს, რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა უსაფრთხოების ზონიდან გააძევეს საქართველოს შძ-ის დაჯგუფება, დაბლოკეს კონფლიქტის რაიონი და ამგვარად, შექმნეს პირობები სამოქალაქო მოსახლეობისთვის ჰუმანიტარული დახმარების მისაწოდებლად.

ადმინისტრაციული მმართველობის აღდგენისა და წესრიგის უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს ხელისუფლებისთვის რუსეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის გენერალ ვ. ბორისოვის მიმართვის შემდეგ, ქ. გორში ჩავიდნენ საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი ა. ლომაია, შიდა ქართლის გუბერნატორი ვ. ვარძელაშვილი და რეგიონში შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი ვ. ჯუღელი და შეთანხმდნენ ქ. გორში საქართველოს შსს თანამშრომლების მიერ შემდგომი უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესის შესახებ.

13 აგვისტოს დაყენებული სათვალთვალო პოსტების გადატანით, უზრუნველყოფილი იყო ვითარების სტაბილიზაციის მიზნით მიღწეული შეთანხმებების შესრულება.

ამას გარდა, 16 აგვისტოს, 10 საათიდან სოფ. ლაშესა და სოფ. კოშკას ნაკვეთებზე დამატებით დაიდგა 18 პოსტი, ხოლო 17 აგვისტოს, 10 საათიდან მათი რაოდენობა გაიზარდა. სულ რუსეთის მხარემ დადგა 36 პოსტი, მათ შორის, დასავლეთის მიმართულებით – 16, აღმოსავლეთის მიმართულებით – 20.

8 აგვისტოდან 10 აგვისტომდე, პერიოდში გამოვლინდა ქართული მხარის მიერ სამედიცინო უზრუნველყოფის ქვედანაყოფების წინააღმდეგ იარაღის გამოყენების შემდეგი ფაქტები:

8 აგვისტოს, 7 საათსა და 45 წუთზე ქართული ქვედანაყოფების მხრიდან რუსეთის სამშვიდობოთა ბატალიონის ადგილმდებარეობის მიმართულებით ტანკებიდან გახსნილი ცეცხლის შედეგად განადგურდა რუსეთის სამშვიდობოთა კონტინგენტის სამედიცინო პუნქტის ტექნიკის 3 ერთეული: ავტოშესახვევი (მისაბმელიანი კამაზის ავტომობილის ბაზაზე), სადაც განთავსებული იყო დაჭრილებისთვის სამედიცინო დახმარების პუნქტი და სანიტარული ავტომობილი „უაზი.“ ტანკიდან პირდაპირი დამიზნებით სროლის შედეგად ნაწილობრივ დაზიანდა ბატალიონის სამედიცინო პუნქტის აგურის შენობა, რვა მშვიდობისმყოფელმა მიიღო მძიმე ჭრილობები.
2008 წლის 8 აგვისტოს, 8 საათსა და 30 წუთზე რუსეთის სამშვიდობო ძალების ბატალიონის ყაზარმასა და სამედიცინო პუნქტს, მოახლოვებული ქართული ტანკებიდან განმეორებით, პირდაპირი დამიზნებით გაუხსნეს ცეცხლი და ფაქტიურად გაანადგურეს ისინი;

9 აგვისტოს 15 საათსა და 00 წუთიდან – 15 საათსა და 20 წუთამდე ქართულმა არტილერიამ ცეცხლი გაუხსნა სამხრეთ ოსურ ლტოლვილთა კოლონებსა და ძარის გზაზე მოძრავ, რუსეთის სამშვიდობო ძალების სამედიცინო დახმარების ქვედანაყოფებს;

9-დან 10 აგვისტოს ღამით, საქართველოს შძ ქვედანაყოფებმა სოფ. ხეთაგუროვოს მხრიდან ცეცხლი გაუხსნეს ძარის გზაზე მომავალ კოლონას დაჭრილებით, რითიც არ მისცეს საშუალება, რუსეთის სამშვიდობო ძალების სამედიცინო სამსახურსა და წითელი ჯვრის თანამშრომლებს, განეხორციელებინათ ევაკუაცია. ყველაზე ძლიერი ცეცხლის გაიხსნა 10 აგვისტოს, 3 საათსა და 34 წუთზე. ანალოგიური ქმედებები გამეორდა 10 აგვისტოს, 10 საათსა და 00 წუთზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ტანკების მიერ ცეცხლის გახსნისა და სროლის მაკორექტირებელი ადგილების განლაგების საზღვრები (საქართველოს სამშვიდობო ბაზის, სოფ. ავნევის ჩრდილო გარეუბანში, ფიჭური კავშირის ანძის რაიონში), გზიდან მათი მოცილებისა და ოპტიკური მოწყობილობების არსებობის გათვალისწინებით, შესაძლებლობას აძლევდა მათ ვიზუალურად დაეფიქსირებინათ შესაბამისი ნიშნების მქონე სამედიცინო უზრუნველყოფის მანქანები.

2008 წლის 7-დან 12 აგვისტომდე, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, რუსეთის სამხედროებს შორის აუნაზღაურებელი დანაკარგი 57 ადამიანს შეადგენდა.

ამასთან, დაზუსტებული მონაცემებით, რომლებიც გაირკვა რუსეთის ფედერაციის პროკურატურასთან არსებული საგამოძიებო კომიტეტის მიერ საგამოძიებო ქმედებების გატარებისას, 2008 წლის 8-9 აგვისტოს განმავლობაში, ქართული შეიარაღებული ძალების მიერ, ქ. ცხინვალში განლაგებულ რუსეთის სამშვიდობო ბატალიონზე, აგრესიული და არაფრით პროვოცირებული თავდასხმის შედეგად, მოკლული იყო რუსეთის 10 სამხედრო მოსამსახურე, ხოლო ბატალიონის 40 მშვიდობისმყოფელს მიაყენეს ჯანმრთელობის ზიანი, სხვადასხვა სიმძიმის ხარისხით. მოკლულთა შორის იყვნენ პოლუშკინი არტიომი, იასკო ვადიმი, შმიგანოვსკი ალექსანდრე, მარჩენკო ანტონი, შეველევი სერგეი, კორენევი ალექსანდრე, კონონოვი სერგეი, შადოვი ზალიმი, გიმატოვი კუბლანი, სინელნიკოვი ვლადიმერი (სია თანდართულია).

2009 წლის 5 აგვისტოს მოხსენებაში, სადაც გამოცხადებული იყო რუსეთის 64 სამხედრო მოსამსახურის სიკვდილის შესახებ, აღრიცხვა ხორციელდებოდა 2008 წლის 26 აგვისტომდე (სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების მომენტამდე და ქართულ-ოსური კონფლიქტის ამგვარად, დასრულებამდე).

დღესდღეობით, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის მიერ აღიარებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოს და შესაბამისად, საერთაშორისო სამართალურთიერთობათა სუბიექტის. 2008 წლის აგვისტოში კონფლიქტის დაწყებისთვის, სამხრეთ ოსური მილიციის ქვედანაყოფების პირადი შემადგენლობის პერსონალური მონაცემები და ზუსტი მონაცემები მათი შეიარაღების შესახებ, რუსეთის ფედერაციის განკარგულებაში არ მოიძებნება. ასეთი სახის ინფორმაცია შეიძლება იყოს მიღებული ევროკავშირის მისიის მიერ უშუალოდ, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან კითხვის გაგზავნით.

ფაქტების დამდგენი ევროკავშირის მისიის ყურადღება გვინდა გავამახვილოთ, იმაზე რომ ინფორმაცია, რომელიც წარდგენილია ქართული მხარის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, გაერო-ს საერთაშორისო სასამართლოსა და ასევე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში, ამახინჯებს მოვლენათა რეალურ განვითარებას.

საქართველოს მიერ არსებითად იყო დარღვეული 1994 წლის 24 ივნისის შეთანხმება ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ.

2008 წლის 7 აგვისტოსთვის კონფლიქტის დემილიტარიზებულ ზონაში თავმოყრილი იყო საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების დაჯგუფება: პირადი შემადგენლობა – 10 ათას ადამიანამდე, 100-ზე მეტი საბრძოლო ჯავშანმანქანა, 100-მდე ტანკი, 110-ზე მეტი ქვემეხი და ნაღმტყორცნი, 30-მდე ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა და ამით საქართველომ ზოგადად, დაასრულა ძირითადი მოსამზადებელი ღონისძიებები სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ აგრესიის განსახორციელებლად. ამასთან, იღებდა აშშ-ის სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელობის სრულ მხარდაჭერას.

აგრესიამდე, 2008 წლის 15 ივლისიდან 31 ივლისამდე, საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარდა ქართულ-ამერიკული ერთობლივი სწავლება „Immediate Response – 2008“ („მყისიერი რეაგირება – 2008“). მანევრებში მონაწილე აშშ-ის სამხედრო მოსამსახურეების რაოდენობა 1500 ადამიანს . ღონისძიება შედგებოდა ორი ეტაპისაგან – სამეთაურო-საშტაბო და პრაქტიკული (საველე წვრთნები), რომელთა მსვლელობისას, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა დასახლებულ პუნქტებში მოქმედებისას ქართული შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების საბრძოლო კოორდინაციის საკითხების შემუშავებას.

სწავლების მსვლელობისას, აშშ-ის სამხედრო სპეციალისტები იღებდნენ უშუალო მონაწილეობას საქართველოს სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ ძალისმიერი ოპერაციის შემუშავებაში და მოამზადეს მის განხორციელებაში ჩართული საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები.

რუსეთის სამშვიდობოთა კონტინგენტი მშვიდობის მხარდამჭერი შერეული ძალების შემადგენლობაში, რომელიც საერთაშორისო შეთანხმებებთან შესაბამისად, იმყოფებოდა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, ქართული მხარის მიერ არ ყოფილა გათვალისწინებული, როგორც შემაკავებელი ფაქტორი. უფრო მეტიც, მშვიდობისმყოფელების დასაცავად, რუსეთის ფედერაციის მიერ სამხედრო-საჰაერო ძალების შესაძლო გამოყენების გამო, საქართველოს ხელმძღვანელობამ წინასწარ გააძლიერა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა იმ რაიონში, რომელიც უშუალოდ ესაზღვრებოდა კონფლიქტის ზონას.

2005 წელს, უკრაინამ საქართველოს მიაწოდა ათი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი „ოსა-აკმ,“ რომელიც შევიდა ჩამოყალიბებული ცალკე საზენიტო-სარაკეტო დივიზიონის შემადგენლობაში. ამავე მიზნით, 2008 წლის ივნისში უკრაინიდან საქართველოში ზღვით შემოვიდა საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების (სსკ) ბატარეა „ბუკ-მ1.“ 2008 წლის ივლისში, გორის რაიონში, უკრაინელი სპეციალისტების

დახმარებით განხორციელდა ამ ქვედანაყოფის პირადი შემადგენლობით დაკომპლექტება, მისი სწავლება და საბრძოლო კოორდინაცია.

ამავე პერიოდში, უკრაინელებმა საქართველოს მიაწოდეს რადიოტექნიკური დაზვერვის კომპლექსი „კოლჩუგამ“ და ასევე, ორი რადიოლოკაციური სადგური 36Д6-М, რომელიც განკუთვნილია საჰაერო სამიზნეების აღმოჩენის, მათ შორის, საკრუიზო რაკეტების გამოცნობისა და თანხლებისათვის. ქართველებმა ასევე, მიიღეს 50-მდე გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი „იგლა-1“ და მათთვის 400-მდე რაკეტა, 1 მილიონზე მეტი ვაზნა ცეცხლსასროლი იარაღისთვის და 8 ათასი გასროლა ყუმბარმტყორცნი რპგ-7-სთვის.

ამას გარდა, ხელში ჩაგდებული, საქართველოს შეიარაღებული ძალების კუთვნილი, არსებული დოკუმენტების შესაბამისად, სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ აგრესიისთვის მომზადების ეტაპზე რუსეთის მშვიდობისმყოფელთა ყველა ობიექტი იყო დაგეგმილი საცეცხლე დაზიანებისთვის და ქართული სატანკო და ქვეითი ქვედანაყოფებით ბლოკირებისთვის.

ზოგადად, მ. სააკაშვილის მმართველობის პერიოდში, საქართველოს მილიტარიზაციის პროცესმა მიიღო ქვეყნის თავდაცვის საჭიროებისთვის არაადეკვატური მასშტაბები და მოიცვა სამხედრო მშენებლობის პრაქტიკულად, ყველა სფერო. 2006-2008 წლებში, საქართველოს ჯარის პირადი შემადგენლობის რაოდენობა გაიზარდა 15 ათასი სამხედრო მოსამსახურით (100%-ით) და 2008 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შეადგინა 32307 ადამიანი (ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულებით, დასაშვებია 40.000 ადამიანი).

სამხედრო ხარჯების ზრდის ტემპებით, საქართველომ პირველი ადგილი დაიკავა მსოფლიოში. თუ 2002 წლის თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი შეადგენდა 18 მლნ. აშშ დოლარს, 2008 წლისთვის ის 50-ჯერ გაიზარდა და 900 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია. არასაბიუჯეტო შემოსავლების („ნაცრისფერი“ სქემები, ჯარის დახმარების ფონდები, დიასპორის „პატრიოტული შენატანები“) ჩათვლით, რომელთა ჯამი დაახლოებით, საბიუჯეტო ხარჯებს უდრის, სამხედრო მიზნებისთვის, თბილისის რეალური ხარჯები, ზოგიერთი შეფასებით, აღემატება მშპ-ს 8,5%.

2005-2008 წლებში, მკვეთრად გაიზარდა შეტევითი შეიარაღების შესყიდვები. გაეროში წარდგენილი ქვეყნის თავდაცვის ბიუჯეტის სტრუქტურის მონაცემების თანახმად, ამ მიზნებისთვის იხარჯებოდა სახსრების 40 %-მდე. გაიზარდა დასავლეთის სამხედრო დახმარებების მოზიდვა. ნატოს ქვეყნები ფაქტიურად, აფინანსებდნენ თბილისის მიერ

იარაღის შესყიდვებს მეორად ბაზარზე, აღმოსავლეთ ევროპისა და ბალკანეთის ქვეყნებში რეალიზებული საბჭოთა წარმოების შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის სიჭარბის ხარჯზე. საქართველოში იარაღის მიმწოდებლებს შორის უკრაინა ლიდერობდა.

2007-2008 წლების განმავლობაში, რუსეთის მხარე მუდმივად ამახვილებდა ეუთო-ს უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის ფორუმის ყურადღებას საქართველოს მიერ ჩვეულებრივი შეიარაღების დაგროვებაზე, რომელიც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კონფლიქტების კონტექსტში სახიფათო იყო. საქართველოს შეიარაღებაში მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლებთან კონტაქტებში, რუსეთის მხარე თანმიმდევრულად მიუთითებდა, რომ ამგვარი ქმედებები ეწინააღმდეგება კავკასიაში ვითარების გაჯანსაღების ძალისხმევას და ამას შეიძლება მოჰყვეს ღია შეიარაღებული კონფლიქტი, რომელიც მოიცავს მთელ რეგიონს.

2005 წლის 1 იანვრიდან 2008 წლის 1 იანვრამდე, შეიარაღების შესყიდვებისა და მოწოდების შედეგად ქართული ჯარის შეიარაღებაში ტანკების რაოდენობა თითქმის 2-ჯერ (98-დან 183-მდე) გაიზარდა, საბრძოლო ჯავშანმანქანების – 1,5-ჯერ მეტად (83-დან 134-მდე), 100 მმ-ზე მეტი კალიბრის არტილერია – ერთი მესამედით (7-დან 9-მდე), თავდასხმითი ვერტმფრენების – 3-ჯერ (3-დან 9-მდე), საბრძოლო თვითმფრინავების – ერთი მესამედით (7-9) (დაანგარიშება გაკეთებულია ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში, საქართველოს მიერ წარმოდგენილი ოფიციალური ინფორმაციის საფუძველზე).

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად, საქართველოს მიერ არ იყო დარღვეული პირადი შემადგენლობისა და შეიარაღების რაოდენობაზე ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულებით დადგენილი შეზღუდვები, მისი და მისი მხარდამჭერი სახელმწიფოების ხელმძღვანელობების ქმედებები ფაქტობრივად, შევიდნენ წინააღმდეგობაში რიგ ფუძემდებლურ საერთაშორისო პრინციპებისა და ეთიკის ნორმებთან:

დარღვეულია ეუთოს ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპი, დაკავშირებული შეიარაღების გადაცემისგან თავის შეკავების საჭიროებასთან, რომელსაც შეეძლო გამოეწვია რაიმე არსებული შეიარაღებული კონფლიქტის გახანგძლივება ან გამწვავება, შეეტანა რომელიმე რეგიონში დესტაბილიზაციის სამხედრო პოტენციალი ან სხვაგვარად შეეწყო ხელი რეგიონული არასტაბილურობის შექმნისთვის.

დარღვეულია ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულების „სული," რომელიც დაიდო ჩვეულებრივი შეიარაღების შემტევი პოტენციალების მადესტაბილიზირებელი დაგროვების არდაშვების მიზნით;

საქართველოს გაძლიერებული „მიზიდვა" ნატოში, მოდის წინააღმდეგობაში ალიანსის კანდიდატების მიმართ მოთხოვნებთან, რომლებიც დაკავშირებულია მოუგვარებელი გარე და შიდა კონფლიქტების უქონლობის აუცილებლობასთან;

საქართველოს ხელმძღვანელობის მილიტარისტული მისწრაფებების ღია მხარდაჭერა დასავლეთის ყველაზე გავლენიანი სახელმწიფოების მხრიდან, გახდა ძლიერი იმპულსი სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ აგრესიის გაღვივებისთვის.

08. 08. 2008 წლიდან 09. 08. 2008 წლამდე სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, საქართველოს მშვიდობისკენ იძულების ოპერაციის ჩატარების მსვლელობისას, შეიარაღებული ძალების დაღუპული პირადი შემადგენლობის სია

№	სამხედრო წოდება	გვარი, სახელი, მამის სახელი	დაბადების თარიღი და ადგილი	დაღუპვის თარიღი და მიზეზი	ოჯახური მდგომარეობა. ახლო ნათესავების მისამართები	დაკრძალვის თარიღი და ადგილი
1.	რიგითი	გიმატოვი კუბლან ალიმაშანის ძე	12.01.1988 დაბ. წ., სოფ. სავინკა, პალლასოვსკის რ-ნი, ვოლგოგრადის ოლქი	08.08.2008 წ. დაიღუპა ბრძოლაში	მამა - ალიშმან ამინის ძე ვოლგოგრადის ოლქი პალლასოვსკის რ-ნი, ს. სავინკა, ხ. კულიკოვი, ქ. მირნაია, ს. 12	18.08.2008 წ. დას. ლიმანის პალლასოვსკის რ-ნი, ვოლგოგრადის ოლქი

2.	რიგითი	კონონოვი სერგეი ვიტალის ძე	12.03.1987 დაბ. წ., სოფ. კოროლენკო ალნაშის რ-ნი უდმურტიის რ-კა	08.08.2008 წ. დაიღუპა ბრძოლაში	მამა - ვიტალი ივანენ ძე, ალნაშის რ-ნი ს. ვარზი-იატჩი, პერვომაისკაია ქ., ს.21	18.08.2008 წ. სოფ. ვარზი-იატჩი, ალნაშის რ-ნი უდმურტიის რ-კა
3.	სერჟანტი	კორენევი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე	09.01.1985 დაბ. წ., კადიჩკანის დას. მაგადანის ოლქი	08.08.2008 წ. დაიღუპა ბრძოლაში	მამა - კონონოვი ალექსანდრე ივანეს ძე, კადიჩკანის დას. მაგადანის ოლქი	19.08.2008 წ. კადიჩკანის დას. მაგადანის ოლქი
4.	რიგითი	მარჩენკო ანტონი ალექსანდრეს ძე	05.09.1987 დაბ. წ., ჩერნიშევცკის დას., ჩიტინსკის ოლქი	08.08.2008 წ. დაიღუპა ბრძოლაში	დედა - მარინა ნიკოლოზის ას, ორენბურგის ოლქი, ბუზულუკსკის რ-ნი, ობუხოვის დას.	19.08.2008 წ. ქ. ბუზულიკი, ორენბურგის ოლქი

№	სამხედრო წოდება	გვარი, სახელი, მამის სახელი	დაბადების თარიღი და ადგილი	დაღუპვის თარიღი და მიზეზი	ოჯახური მდგომარეობა. ახლო ნათესავების მისამართები	დაკრძალვის თარიღი და ადგილი
5.	ეფრეიტორი	პოლუშკინი არტიომი სერგეის ძე	25.05.1987 დაბ. წ., სოფ. დმიტრიევკა ბლაგოვეშენსკის რ-ნი ბაშკორტოსტანის რ-კა	10.08.2008 წ. დაიღუპა ბრძოლაში	მამა - სერგეი ნიკოლოზის ძე, დედა - მარინა პეტრეს ას, ბაშკორტოსტანის რ-კა, ბლაგოვეშენსკის რ-ნი, სოფ. დმიტრიევკა, ბელსკაიას ქ., ს.12	06.09.2008 წ. სოფ. დმიტრიევკა ბლაგოვეშენსკის რ-ნი, ბაშკორტოსტანის რ-კა

6.	უფროსი სერჟანტი	სინელნიკივი ვლადიმირი ალექსანდრეს ძე	06.04.1976 დაბ. წ., სტ. ფიოდოროვსკაია აბინსკის რ-ნი, კრასნოდარის მხარე	08.08.2008 წ. დაიღუპა ბრძოლაში	მამა - ალექსანდრე ეფიმის ძე, კრასნოდარის მხარე, აბინსკის რ-ნი, ხ. ოლგინსკი, ოქტიაბრსცაიას ქ., ს. 24	16.08.2008 წ. ხ. ოლგინსკი, აბინსკის რ-ნი, კრასნოდარის მხარე
7.	ეფრეიტორი	შადოვი ზალიმი ტარზანის ძე	02.06.1983 დაბ. წ., ქ. ტერეკი, კ.-ბ. რესპუბლიკა	08.08.2008 წ. დაიღუპა ბრძოლაში	დედა - ლენა ელდორის ას, კ.-ბ. რესპუბლიკა ქ. ტერეკი, კაბარდინსკაია ქ., ს. 162, ბ. 75	16.08.2008 წ. სოფ. ინორკოი, ტერსკის რ-ნი, კ.-ბ. რესპუბლიკა
8.	უფროსი ლეიტენანტი	შეველიოვი სერგეი იურის ძე	01.03.1981 დაბ. წ., ქ. ფსკოვი	08.08.2008 წ. დაიღუპა ბრძოლაში	ცოლი - ანნა ნიკოლოზის ას, კ.-ბ. რესპუბლიკა, ქ. პროხლადნი, კ. მარკსის ქ., 17, ბ. 53	20.08.2008 წ. ქ. გორნევო, ფსოვის ოლქი

№	სამხედრო წოდება	გვარი, სახელი, მამის სახელი	დაბადების თარიღი და ადგილი	დაღუპვის თარიღი და მიზეზი	ოჯახური მდგომარეობა. ახლო ნათესავების მისამართები	დაგრძალვის თარიღი და ადგილი
9.	რიგითი	შმიგანოვსკი ალექსანდრე ვიქტორის ძე	11.02.1987 დაბ. წ., სოფ. პოროგი, მოკროუსოვის რ-ნი, კურგანის ოლქი	08.08.2008 წ. დაიღუპა ბრძოლაში	მამა - ვიქტორ მატვეის ძე, ქ. კურგანი, მკრ.ტოპოლია, პერ. მირნი, ს.13	10.09.2008 წ. ქ. კურგანი, კურგანის ოლქი

10.	სერჟანტი	იასკო ვადიმი ვლადიმირის ძე	1982 დაბ. წ., ქ. აბაი, ყაზახეთის სსრ	08.08.2008 წ. დაიღუპა ბრძოლაში	ცოლი - ანნა სერგეის ას, კ.-ბ. რესპუბლიკა, ქ. პროხლადნი, სვობოდას ქ., ს.92, ბ. 79	02.09.2008 წ. ქ. პროხლადნი, ყაბარდო-ბალყარეთის რ-კა

საერთაშორისო სამართალი – კითხვები და პასუხები
დამატებითი დოკუმენტები

სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებული კითხვები (პირველი ჩამონათვალი) რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს ხელისუფლებებისადმი

1. გთხოვთ, განგვიმარტოთ, 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დაწყების წინ, ყველა დონეზე, როგორი ოფიციალური და არაოფიციალური ურთიერთობები იყო ჩამოყალიბებული რუსეთის ფედერაციასა და ცხინვალის რეგიონს/სამხრეთ ოსეთს და აფხაზეთს შორის (ყველა ზემოჩამოთვლილის გათვალისწინებით). უწოდებდით თუ არა ბოლო წლებში, რუსეთის ფედერაციასა და ცხინვალის რეგიონს/სამხრეთ ოსეთს და აფხაზეთს შორის სამართლებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში (ინფრასტრუქტურის, ენერგეტიკისა და სოციალური კეთილდღეობის ჩათვლით) ურთიერთობების განვითარებას ინტეგრაციის პროცესს? სამართლებრივი თვალსაზრისით, როგორ შეაფასებდით კონფლიქტის დაწყებამდე, რამდენიმე თვით ადრე, რუსეთის ფედერაციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას რუსეთის ფედერაციასა და ცხინვალის რეგიონს/სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს შორის (ყველა ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით) ოფიციალური კონტაქტების დამყარების შესახებ?
2. გთხოვთ, განგვიმარტოთ ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში მცხოვრები პირების მიერ რუსეთის მოქალაქეობის მიღების პროცესი და დინამიკა, აგრეთვე, განმარტოთ, თუ რა მოსაზრებების საფუძველზე ხდება აღნიშნული სტატუსის მინიჭება. როგორც უთავსებთ ზემოთ აღნიშნულს ამ ტერიტორიების საერთასორისო იურიდიულ სტატუსს?

3. გთხოვთ, მოგვაწოდოთ სოჭის 1992 წლის (ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული) და მოსკოვის 1994 წლის ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა განცალკევების (აფხაზეთთან დაკავშირებული) შეთანხმებების, აგრეთვე, მონაწილე მხარეების მიერ ამ შეთანხმებების რეალურად შესრულების შესახებ ანგარიშები და შესაბამისი ოქმები. რა კავშირში იყო ყოველივე ზემოთ აღნიშნული რუსეთის საჯარისო ქვედანაყოფების იმ გადაადგილებებთან, რომლებიც უშუალოდ, 2008 წლის 7 აგვისტოს მოვლენების წინ განხორციელდა?

4. გთხოვთ, მოგვაწოდოთ განმარტებები 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტამდე და მისი მიმდინარეობის დროს, რუსეთის საჯარისო ქვედანაყოფების გადაადგილებებთან დაკავშირებით. რა კავშირშია ზემოთ აღნიშნული ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ შეთანხმების ადაპტირებულ ვერსიასთან, ასევე, კონფლიქტის წინა პერიოდში რუსეთის მოქმედების დამკვიდრებულ პრაქტიკასთან? გთხოვთ, გადმოგვცეთ ინფორმაცია ქართული სამხედრო ძალების სტრუქტურისა და საჯარისო ქვედანაყოფების გადაადგილების შესახებ (კონფლიქტის დაწყებამდე და მისი მიმდინარეობისას).

5. გთხოვთ, გაგვაცნოთ რუსეთის მიერ ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიების აღიარების იურიდიული და სხვა სახის დასაბუთება. გთხოვთ, შეაფასოთ რუსეთის ფედერაციას, ცხინვალის რეგიონს/სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს შორის (ყველა ზემოთ ჩამოთვლილის გათვალისწინებით) 2008 წლის 17 სექტემბერს დადებული სამეგობრო ხელშეკრულების იურიდიული სტატუსი და მიზნები.

6. კონფლიქტის მიმდინარეობის და საერთაშორისო სამართალთან მიმართებაში პასუხისმგებლობის თვალაზრისით: როგორ დაახასიათებდით რუსულ სამხედრო სტრუქტურასა და სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის შეიარაღებულ ძალებს შორის (ყველა ზემოთ ჩამოთვლილის გათვალისწინებით) ურთიერთობებს 2008 წლის 17 სექტემბრამდე და ამჟამად? გთხოვთ, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოთ შესაბამისი სამეთაურო ბრძანებათა აღწერას.

7. როგორც სამხედრო მოქმედებების მიმდინარეობის დროს, ასევე შემდგომში, რა ზომები მიიღეთ სამოქალაქო პირების დაცვის მიზნით, აგრეთვე, ხულიგნობის, სამოქალაქოთა დაკავებისა და მათთან არასათანადო მოპყრობის შემთხვევების თავიდან ასაცილებლად?

8. რა ზომები მიიღეთ სამხედრო მოქმედებებითა და მათი შედეგებით დაზარალებულ რაიონებში მცხოვრები სამოქალაქო მოსახლეობის მდგომარეობის შემსუბუქებისა და მხარდაჭერის მიზნით?

პასუხები კითხვებზე, რომლებიც ევროკავშირის 2008 წლის აგვისტოში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენმა მისიამ დასვა (სამართლებრივი ასპექტები)

კითხვა #1. როგორი იურიდიული კვალიფიკაცია შეიძლება მიეცეს რუსეთის ფედერაციის მიერ კონფლიქტის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე, რუსეთის ფედერაციას, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს შორის ოფიციალური კონტაქტების დამყარების გადაწყვეტილებას?

პასუხი. 2008 წლის კონფლიქტამდე რუსეთი აღიარებდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს საქართველოს სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილებად. ამასთან, 1990-იანი წლების შეიარაღებული კონფლიქტების შედეგების გათვალისწინებით, აშკარა გახდა, რომ საქართველოს იურისდიქცია პრაქტიკულად არ ვრცელდებოდა ამ ტერიტორიებზე. ამას აღიარებდა თვით საქართველოც.

1996 წლიდან, აფხაზეთის მიმართ მოქმედებდა დსთ-ის სახელმწიფოს მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილებით დაკისრებული სანქციები. ეს ითვალისწინებდა აფხაზეთის დე-ფატო ხელისუფლების ორგანოებთან სამხედრო, სავაჭრო-ეკონომიკურ და სხვა კავშირების აკრძალვას. რუსეთი აღიარებდა და ასრულებდა ამ სასანქციო რეჟიმს. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ სანქციები არ კრძალავდა კავშირებს აფხაზეთის მოქალაქეებსა და ეკონომიკურ სუბიექტებთან. გარდა ამისა, კონტაქტები მყარდებოდა პროცესების დარეგულირების საკითხებზე აფხაზეთის ოფიციალურ ხელისუფლებასთან.

2008 წლის მარტში, რუსეთმა ოფიციალურად განაცხადა სასანქციო რეჟიმიდან გასვლის შესახებ.

დსთ-ის პრაქტიკაში უკვე არსებობს თანამეგობრობის ორგანოების გადაწყვეტილებებიდან სახელმწიფოთა „გასვლის“ შემთხვევები. ჩვენი პოზიცია ემყარებოდა იმას რომ ეს გადაწყვეტილებები (გარდა შიდა ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტილებებისა) პოლიტიკურ ხასიათს ატარებენ. 2008 წლის 6 მარტს, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაუგზავნა დსთ-ის აღმასრულებელ კომიტეტს ნოტა, სადაც იტყობინებოდა, რომ რუსეთის ფედერაცია შეცვლილი გარემოებების დსთ-ის სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს 1996 წლის 19 იანვრის „საქართველო, აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირების ზომების შესახებ“ გადაწყვეტილების დებულებებით თავს შეზღუდულად არ მიიჩნევს. ასეთი ნაბიჯი სრულყოფილად მიესადაგებოდა „დსთ-ის კანონებს.“

როგორც ცნობილია, დსთ-ის სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილება, 1996 წელს, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მხარეების მწვავე დაპირისპირების ფონზე, იმ მიზნით იყო მიღებული, რომ ეიძულებინა აფხაზეთი, პირველ რიგში, ლტოლვილთა დაბრუნებისა და ასევე კონფლიქტის ზონაში ნდობისა და უსაფრთხოების შემდგომი განმტკიცების საკითხების შესახებ, კონფლიქტის მოგვარების პროცესში უფრო მოქნილი პოზიცია დაეკავებინა. დსთ-ის მიერ დასახელებული გადაწყვეტილებიდან რუსეთის „გასვლის“ მომენტისთვის ვითარება რადიკალურად შეიცვალა. აფხაზეთის გალის რაიონში დაბრუნდა ადრე იქ მცხოვრები ქართული ეროვნების დევნილთა უმრავლესობა და ქართული მხარისგან განსხვავებით, აფხაზეთის მხარემ გამოხატა მზადყოფნა კონსტრუქციული ნაბიჯების გადადგმისთვის კონფლიქტის შემდგომი მოწესრიგებისთვის.

რუსეთის მიერ აფხაზეთის მიმართ სანქციების გაუქმება ემთხვევა საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებულ პრინციპს, რომლის მიხედვითაც, ადრესატების მიერ საერთაშორისო თანამეგობრობის შესაბამისი მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში, შესაძლებელია, იძულებითი ზომების თანდათან შერბილება და გაუქმება. ამიტომ, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა შეიცავდა წინადადებას დსთ-ის სხვა წევრი სახელმწიფოებისთვის, გადაედგათ ანალოგიური ნაბიჯები და გასულიყვნენ აფხაზეთის მიმართ 1996 წელს დაკისრებული შეზღუდვების რეჟიმიდან.

2008 წლის აპრილში, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა რუსეთის ფედერაციის მთავრობას მისცა დავალებები, რომლებიც მიმართული იყო სანქციების რეჟიმიდან გასვლის შესახებ გადაწყვეტილების პრაქტიკული განხორციელებისა და აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების უფლებებისა და ინტერესების ყოველმხრივი დაცვისკენ. მთავრობას დაევალა ორი რესპუბლიკის ხელისუფლების დე-ფაქტო ორგანოებთან სავაჭრო-ეკონომიკურ, სოციალურ, სამეცნიერო-ტექნიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო დარგებში თანამშრომლობა. განზრახული იყო ხელისუფლების დე-ფაქტო ორგანოების მიერ ფიზიკურ პირებზე გაცემული იმ დოკუმენტების ჩამონათვალის დადგენა, რომლებსაც რუსეთი აღიარებდა. აღნიშნული დოკუმენტების აღიარება მოხდებოდა რუსეთში. ასევე განზრახული იყო აფხაზი და სამხრეთ ოსური წარმოშობის იურიდიულ პირთა სამართალსუბიექტობის აღიარება. სამართლებრივი დახმარების ფარგლებში, ნებადართული იყო აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან თანამშრომლობა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანოების მიერ, კრასნოდარის მხარესა და სამხრეთ ოსეთში, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, დავალებული იყო ცალკეული საკონსულო ფუნქციების შესრულება.

ეს გადაწყვეტილებები არ ნიშნავდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას ან სახელისუფლებო ორგანოებთან მათი ოფიციალური კავშირების დამყარებას. ეს განპირობებულნი იყო ამ რეგიონებში დამკვიდრებული განსაკუთრებული სიტუაციით. სიტუაცია დამახასიათებელია იმით, რომ მოუგვარებელი შეიარაღებული კონფლიქტების გამო, საქართველო ვერ ავრცელებდა თავის იურისდიქციას ამ ტერიტორიაზე. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ ამ ტერიტორიებზე კონტროლისა და სამართლებრივი რეგულაციების გატარება ელემენტარული წესრიგის შენარჩუნების, დანაშაულთან ბრძოლის განხორციელებისა და კომერციული და საყოფაცხოვრებო გარიგებების გაფორმების საშუალებას იძლეოდა.

საერთაშორისო სამართალში აღიარებულია, რომ ხელისუფლების ამა თუ იმ ორგანოს უკანონობა ავტომატურად არ ნიშნავს ასეთი ორგანოს მიერ გაცემული ნებისმიერი აქტის ბათილად ცნობას. ითვლება, რომ ის აქტები, რომლებიც წარმოადგენენ ადამიანის ფუნდამენტური უფლებების რეალიზაციის აუცილებელ პირობას, მოქმედია. საუბარია, მაგალითად, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციაზე. მათი არაღიარება აშკარად გამოიწვევდა შესაბამისი ტერიტორიის მოსახლეობისთვის ძალზე ნეგატიურ შედეგებს. ეს თეზისი დასტურდება სახელმწიფოთა სასამართლოს, ასევე საერთაშორისო სასამართლო ორგანოების პრაქტიკით. ამდენად, გადაწყვეტილი იყო მოქალაქეთა პირადი საბუთების გარკვეული სახის აღიარება.

გადაწყვეტილება არაღიარებული რესპუბლიკების ხელისუფლების დე-ფაქტო ორგანოებთან თანამშრომლობის მოწესრიგების შესახებ, საერთაშორისო სამართლის იმავე ნორმებიდან გამომდინარეობს. იმ დარგების ჩამონათვალი, სადაც განზრახული იყო ასეთი თანამშრომლობის წარმართვა უპირატესად ჰუმანიტარულ ხასიათს ატარებდა. ის სრულიად შეესაბამება სახელმწიფოთა თანამშრომლობის მიმართულებებს სხვა არაღიარებულ ან კვაზი-სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებთან. 2008 წლის R1808 რეზოლუციის პრეამბულაში, უშიშროების საბჭო აღნიშნავს იმის აუცილებლობას, რომ „მოხდეს აფხაზეთსა და საქართველოში, ეკონომიკური განვითარების სასწრაფო უზრუნველყოფა.“ გამოვდივართ იქიდან, რომ თბილისის მხრიდან, სოხუმის ბლოკადის პირობებში, რეზოლუციის ეს დებულება, შეიძლება შესრულებული ყოფილიყო მხოლოდ აფხაზეთის ხელისუფლებასთან პირდაპირი კონტაქტების საშუალებით.

აღნიშნული მოსაზრებებით, ასევე ნაკარნახევია აფხაზი და სამხრეთ ოსური იურიდიული პირების სამართლებრივ სუბიექტებად აღიარების შესახებ გადაწყვეტილებით. გასაგებია, რომ თანამშრომლობა არაღიარებულ რესპუბლიკებთან

გულისხმობს პირდაპირ კავშირს მოქალაქეებთან და იურიდიულ პირებთან. ამ უკანასკნელის არაღიარებით, საეჭვოა ასეთი თანამშრომლობა განხორციელებულიყო. სხვათა შორის, 1996 წლის სანქციებიც კი, არანაირად არ შეხებია ეკონომიკურ სუბიექტებთან კავშირებს.

სამართლებრივ დახმარებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ რუსეთი და საქართველო ამ საკითხებზე დსთ-ისა და ევროსაბჭოს რიგი კონვენციების მონაწილეები არიან. რუსეთის მხარე გამოდიოდა იქიდან, რომ ეს კონვენციები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან მიმართულებითაც მოქმედებდნენ. მაგრამ, საქართველოს ხელისუფლებამ პრაქტიკაში ვერ უზრუნველყო ასეთი საერთაშორისო ხელშეკრულებების რეალიზაცია ამ რეგიონებთან მიმართებაში და ამავე დროს, აბრკოლებდა რუსეთის მიერ შემოთავაზებულ პირდაპირი კონტაქტების მექანიზმებს. ამ არაკონსტრუქციული პოზიციის საფუძველზე მიღებული იყო გადაწყვეტილება, არაღიარებული რესპუბლიკების დე-ფაქტო ხელისუფლების ორგანოებთან პირდაპირი თანამშრომლობის შესაძლებლობის შესახებ, სამართლებრივი დახმარების უზრუნველყოფის მიზნით.

რაც შეეხება საკონსულო ფუნქციებს, აქ საუბარი იყო, თვით რუსეთის ტერიტორიაზე, რუსეთის ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის შესახებ.

რუსეთის პრეზიდენტის მიერ განხილულ ბრძანებებთან მიმართებით უნდა გავითვალისწინოთ, რომ ისინი ატარებდნენ ხელმძღვანელობით ფუნქციას. ნავარაუდევი იყო, რომ მდგომარეობის განვითარებასთან ერთად მათ შეეძლოთ კონკრეტულ ნორმატიულ აქტებში ენახათ გამოხატულება. 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებულმა კონფლიქტმა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებამ ფაქტობრივად, გააუქმა აპრილის გადაწყვეტილებები.

კითხვა #2. რის საფუძველზე აძლევდნენ რუსეთის მოქალაქეობას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას?

პასუხი: რუსეთის კანონმდებლობა „მოქალაქეობის შესახებ," მიუხედავად გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან მასში განხორციელებული ყველა ცვლილებებისა, ყოველთვის ხასიათდებოდა ლიბერალური მიდგომით ყოფილი სსრკ-ის მოქალაქეებისა და ასევე, იმ პირთა მიმართ, რომლებსაც გააჩნდათ ნათესაური კავშირები რუსეთის მოქალაქეებთან. რუსეთის მოქალაქეობა, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას ეძლეოდა მხოლოდ და მხოლოდ მათი ნებაყოფლობითი

სურვილის გამოვლინებით. ამ მიმართებით, ჩვენ ვერაფერს გასაკიცხს ვერ ვხედავთ, რომ რუსეთის მოქალაქეობას ვანიჭებთ აღნიშნულ პირებს, რომლებსაც რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის შესაბამისად, გააჩნიათ ამის უფლება.

კითხვა #4. გთხოვთ, აგვიხსენით რუსეთის ჯარების გადაადგილება კონფლიქტამდე და კონფლიქტის დროს, 2008 წლის აგვისტოში. რა დამოკიდებულებაშია ეს ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ ადაპტირებულ ხელშეკრულებასთან და რუსეთის პრაქტიკასთან კონფლიქტის დაწყებამდე დროის პერიოდში? გთხოვთ, მოგვაწოდოთ განმარტებები ქართული ჯარების ადგილმდებარეობისა და გადაადგილების შესახებ კონფლიქტამდე და კონფლიქტის დროს.

პასუხი: შეთანხმება ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ ხელშეკრულების ადაპტაციაზე არ შევიდა ძალაში და ამასთან დაკავშირებით, არც რუსეთის და არც სხვა რომელიმე მხარეს არ აკისრებს ვალდებულებებს. 2007 წლის 12 დეკემბერს, რუსეთის ფედერაციამ შეაჩერა ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულების მოქმედება მის სხვა მონაწილეებთან მიმართებით, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის 2007 წლის 29 ნოემბრის განკარგულების საფუძველზე. პრეზიდენტის განკარგულება დადასტურებული იყო 2007 წლის 29 ნოემბრის ფედერალური კანონით.

ამგვარად, ვადასტურებთ, რომ 1992 წლის 9 ნოემბრიდან – ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან – 2007 წლის 12 დეკემბრამდე, რუსეთის ფედერაცია სრული მოცულობით ასრულებდა ამ ხელშეკრულებით დაკისრებულ თავის ვალდებულებებს. დაწყებული 2007 წლის 12 დეკემბრიდან, რუსეთის ფედერაცია ვენის კონვენციის საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ 72-ე მუხლის შესაბამისად, გათავისუფლებულია ვალდებულებისაგან, შეასრულოს ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ ხელშეკრულება და თავს იკავებს ქმედებებისგან, რომლებსაც შიუძლიათ ხელი შეუშალონ მისი ამოქმედებების განახლებას.

კითხვა # 5. გთხოვთ, განსაზღვრეთ მეგობრობის შესახებ ხელშეკრულების სამართლებრივი სტატუსი და მიზნები, რომელიც ხელმოწერილი აქვს რუსეთის ფედერაციას აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან, 2008 წლის 17 სექტემბერს?

პასუხი: რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება ნიშნავს, რომ ჩვენ განვიხილავთ ამ რესპუბლიკებს როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს, რომლებსაც გააჩნიათ საერთაშორისო ხელშეკრულების გაფორმების

უფლებამოსილება. ამასთან დაკავშირებით, 2008 წლის 17 სექტემბერს, ხელმოწერილი ხელშეკრულებები მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ, მიგვაჩნია საერთაშორისო ხელშეკრულებებად, რომლებიც რეგულირდება საერთაშორისო სამართლით. მათი მიზნები განისაზღვრება პრეამბულებში და მდგომარეობს იმაში, რომ ისტორიულად შექმნილ მჭიდრო კავშირებზე, საკუთარი ხალხის მეგობრობისა და კეთილი ურთიერთობის ტრადიციებზე დაყრდნობით დავადასტუროთ, რომ

- ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობების, კეთილმეზობლობისა და ურთიერთდახმარების განმტკიცება პასუხობს ორივე ქვეყნის მოსახლეობის ფუნდამენტურ ეროვნულ ინტერესებს, ემსახურება მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის საქმეს ამიერკავკასიის რეგიონში;
- თავისი ერთგულება საერთაშორისო სამართლის საზოგადოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, პირველ რიგში, გაერო-ს წესდების მიზნებისა და პრინციპების და ასევე, ადამიანის უფლებების სფეროში საზოგადოდ, აღიარებული ნორმების დაცვისა.

ეს ხელშეკრულებები თანხვედრაშია რუსეთის ფედერაციის კურსთან, რომელიც მიმართულია რესპუბლიკებთან ყოვლისმომცველი, პერსპექტივაზე გათვლილი თანამშრომლობის განვითარებზე, მასშტაბური, მრავალდონიანი ურთიერთქმედების დამყარებაზე. ისინი შეიცავენ მხარეების ვალდებულებებს მიახმარონ კოორდინირებული ძალისხმევა რეგიონული კონფლიქტების დარეგულირების ხელშესაწყობად.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ფორმირებების ყოფნისთვის ხელშეკრულებები სამართლებრივ საფუძველს ქმნიან. მათში დაფიქსირებულია მხარეთა ვალდებულებები, გაუწიონ ერთმანეთს დახმარება იმ შემთხვევაში, როდესაც ერთ-ერთი მხარე ხდება თავდასხმის ობიექტი. ხელშეკრულებები ითვალისწინებენ რესპუბლიკების სახელმწიფო საზღვრების ერთობლივ დაცვას.

ხელშეკრულები შეიცავენ დებულებებს, სადაც გათვალისწინებულია თანამშრომლობის მიმართულებების ფართო სპექტრი ეკონომიკურ, სოციალურ და ჰუმანიტარულ სფეროებში. ასევე, მხარეები იღებენ ვალდებულებას, ითანამშრომლონ ორგანიზებულ დანაშაულთან, საეთაშორისო ტერორიზმთან და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლაში.

დასტურდება, რომ ერთი მხარის მოქალაქეებს შეიძლება ჰქონდეთ სხვა მხარის მოქალაქეობა. ორმაგი მოქალაქეობის საკითხების მოწესრიგების მიზნით მუშავდება ცალკე შეთანხმება.

თითოეული მხარე, მათ ტერიტორიაზე მცხოვრები პირებისათვის, განურჩევლად მათი რასის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებებისა, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობისა, ქონებრივი ან სხვა მდგომარეობისა უზრუნველყოფს სამოქალაქო, პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებებსა და თავისუფლებებს.

მხარეებმა აიღეს ვალდებულება, თავიანთ ტერიტორიებზე მიიღონ ეფექტიანი ზომები, რათა დაიცვან პირები ან მოსახლეობის ჯგუფები, რომლებიც მათი ეთნიკური, ენობრივი, კულტურული ან რელიგიური თვითმყოფადობის მიზეზით ხდებიან ან შეიძლება გახდნენ მუქარის ან ძალადობის, დისკრიმინაციის ან მტრული დამოკიდებულების მსხვერპლნი და ასევე, დაიცვან მათი საკუთრების უფლებები. გათვალისწინებულია, რომ მხარეები უზრუნველყოფენ ეროვნულ უმცირესობათა ეთნიკური, ენობრივი, კულტურული და რელიგიური თვითმყოფადობის დაცვას თავიანთ ტერიტორიებზე და შექმნიან პირობებს ამ თვითმყოფადობის გადარჩენისა და განვითარებისთვის. მხარეებმა აიღეს ვალდებულება პირებისთვის, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს უზრუნველყონ უფლება ინდივიდუალურად ან სხვა პირებთან ერთად, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, თავისუფლად გამოამჟღავნონ, დაიცვან და განავითარონ თავიანთი კულტურა მის ყველა ასპექტში, ისე, რომ საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ არ დაექვემდებარონ ასიმილაციის არანაირ მცდელობებს.

ხელშეკრულებების შესაბამისად, მხარეები უზრუნველყოფენ ეროვნული უმცირესობების უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას, ამ პირთა კანონის წინაშე თანასწორობის უფლებას და კანონის მხრიდან თანაბარ დაცვას რაიმე დისკრიმინაციის გარეშე. ისინი შექმნიან აუცილებელ პირობებს ეროვნული უმცირესობების ეფექტიანი მონაწილეობისთვის, კულტურულ-სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ასევე, სახელმწიფოებრივი საქმეების მართვაში, კერძოდ, იმ საკითხებში, რომლებიც მათ ეხებათ.

კითხვა # 6. კონფლიქტის მიმდინარეობისას და საერთაშორისო სამართალში პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, როგორ აღწერდით ფორმალურ და არაფორმალურ ურთიერთობებს რუსეთის სამხედროებსა და სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის

შეიარაღებულ ძალებს შორის, შესაბამისად, 2008 წლის 17 სექტემბრამდე და დღევანდელ დღეს? გთხოვთ, კარგად განგვიმარტეთ შესაბამისი სამეთაურო ბრძანებები.

პასუხი: აგვისტოს კონფლიქტამდე შესაძლებელია ვისაუბროთ იმ თანამშრომლობის დამოკიდებულებაზე რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტსა და სამხრეთ ოსურ და აფხაზურ შეიარაღებულ ფორმირებებს შორის, რომელიც ნორმალური ურთიერთობების ჩარჩოებში, მიღებულია მსგავს სიტუაციებში და სხვა ქვეყნებში, რომელთა ტერიტორიებზეც მოქმედებენ სამშვიდობო კონტინგენტები. ისინი განსაზღვრული იყო ამ სამშვიდობო ძალების მანდატებით.

კერძოდ, რუსეთის სამშვიდობოების სამხრეთ ოსეთში ყოფნას სამართლებრივ საფუძვლად ედო 1992 წლის 24 ივნისის რუსულ-ქართული შეთანხმება ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ. მოცემული დოკუმენტი რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს შორის დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებას წარმოადგენს. მან დააწესა ისეთი შერეული საკონტროლო კომისია (შსკ), რომლის „შემადგენლობაშიც შედიოდნენ კონფლიქტში ჩართული ის მხარეები“ და რომელთანაც იქმნება „მხარეთა შეთანხმებით, შერეული ძალები, მშვიდობის დამყარებისა და სამართლებრივი წესრიგის შესანარჩუნებლად“ (გვ. 3).

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2008 წლის 1 სექტემბრის ნოტით № 6/4141-10, საქართველომ შეატყობინა 1992 წლის შეთანხმების მოქმედების შეწყვეტის შესახებ „რუსეთის ფედერაციის მტრულ ქმედებებთან დაკავშირებით საქართველოს წინააღმდეგ, რაც გამოიხატა სამხედრო აგრესიაში, ქვეყნის ნაწილის ოკუპაციასა და ეთნიკურ წმენდაში, საერთაშორისოდ აღიარებულ საქართველოს ტერიტრიებზე – აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში და მათ უკანონო ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარებაზე, რითიც რუსეთის ფედერაციამ ჩაშალა ადრე არსებული მოლაპარაკებებისა და სამშვიდობო ფორმატები.“ ამავდროულად, საქართველომ მოითხოვა „საქართველოს ტერიტორიიდან იმ სამშვიდობო ძალების დაუყვნებლივ გაყვანა, რომლებიც აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე იმყოფებდნენ საქართველოს ტერიტორიაზე.“

1994 წლის 22 აგვისტოს, დსთ-ის სახლემწიფო მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, დსთ-ის სამშვიდობო კონტინგენტი ან დსთ-ის მშვიდობის მხარდამჭერი კოლექტიური ძალები შეიყვანეს აფხაზეთის ტერიტორიაზე, 1994 წლის 15 მაისის აფხაზეთის მხარისა და 1994 წლის 16 მაისის საქართველოს მხარის შესაბამისი თხოვნების საპასუხოდ. დსთ-ის მმკძ-ის საფუძველს შეადგენდა რუსეთის სამხედრო კონტინგენტი. 1992 წლის 21 ოქტომბრის დსთ-ის სახლემწიფო მეთაურთა საბჭოს

გადაწყვეტილებით განისაზღვრა მანდატი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მშვიდობის მხარდამჭერი ოპერაციის ჩატარებაზე.

აფხაზეთის ტერიტორიაზე სამშვიდობოთა ყოფნა და მათი მანდატი არაერთხელ გაგრძელებულა დსთ-ის სახლემწიფო მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილებებით, ხოლო 2003 წლის 25 ივლისი – 19 სექტემბრის დსთ-ის სახლემწიფო მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილებით, დადგენილია აფხაზეთში დსთ-ის სამშვიდობოების უვადო ყოფნა, ვიდრე მხარეთგან ერთ-ერთი მას არ მიმართავს ამ სამშვიდობო მისიის შეწყვეტის შესახებ თხოვნით. ამ შემთხვევაში, ოპერაცია ავტომატურად შეწყვეტილად ითვლება, ხოლო მმკძ-ის სარდლობა ქართულ მხარესთან შეთანხმებული გეგმა-გრაფიკის საფუძველზე ვალდებულია უზრუნველყოს სამშვიდობო ძალების კონტინგენტისა და შეიარაღების გაყვანა 1 თვის ვადაში.

საგარეო საქმეთა სამინისტროს 2008 წლის 1-ლი სექტემბრის № 7/244-10 ნოტით, საქართველომ შეატყობინა დსთ-ის აღმასრულებელ კომიტეტს სამშვიდობო ოპერაციის შეწყვეტის შესახებ და მოითხოვა 2003 წლის გადაწყვეტილების მე-2 პუნქტით დადგენილი ვადების დაცვა.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რუსეთის არმიას და სამხრეთ ოსურ და აფხაზურ შეიარაღებულ ძალების შორის სამხედრო ოპერაციის დროს ხორციელდებოდა გარკვეული ურთიერთქმედება. როგორც ჩვენ გვესმის, იგი გვარდებოდა მხოლოდ ვიწრო გზებით თვით კონფლიქტის მსვლელობისას. ასეთი ურთიერთქმედების დეტალები არ გაგვაჩნია.

რუსეთის მიერ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარების შემდეგ, რუსეთის შეიარაღებულ ძალებსა და ახალი სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალებს შორის ურთიერთობები იგება საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე და ანალოგიურია იმ ურთიერთობებისა, რომლებიც გააჩნია რუსეთის შეიარაღებულ ძალებს სხვა ქვეყნების შეიარაღებულ ძალებთან, რომლებთანაც რუსეთი ახორციელებს სამხედრო თანამშრომლობას საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე.

ამჟამად, რუსეთის შეიარაღებული ძალები იმყოფებიან ამ ორი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მათი თხოვნითა და თანხმობით.

სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის პრეზიდენტების მიმართვებთან დაკავშირებით, 2008 წლის 26 აგვისტოს, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანებების № 1260

„აფხაზეთის რესპუბლიკის აღიარების შესახებ“ და № 1261 „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის აღიარების შესახებ“ შესაბამისად, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს დაევალა, რუსეთის მიერ აღნიშნულ რესპუბლიკებთან მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ ხელშეკრულებების დადებამდე, მათ ტერიტორიაზე „რუსეთის ფედერაციის მიერ... მშვიდობის მხარდამჭერი ფუნქციების განხორციელების“ უზრუნველყოფა.

2008 წლის 15 სექტემბრის რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის განკარგულებების საფუძველზე, მოსკოვში 2008 წლის 17 სექტემბერს, ხელი მოეწერა ხელშეკრულებებს მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ. ისინი რატიფიცირებულია 2008 წლის 24 ნოემბრის ფედერალური კანონებით. ხელშეკრულება აფხაზეთთან შევიდა ძალაში 2008 წლის 23 დეკემბერს, ხოლო სამხრეთ ოსეთთან – 2009 წლის 20 იანვარს.

ორივე ხელშეკრულების მე-5 მუხლით გათვალისწინებულია: „ხელშეკრულების მხარეთა უსაფრთხოებისა და ასევე, ამიერკავკასიის რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით, თითოეული ხელშეკრულების მხარის მიერ ხელშეკრულების სხვა მხარისათვის საკუთარ ტერიტორიაზე, მისი შეიარაღებული ძალების მიერ, სამხედრო ინფრასტრუქტურისა და სამხედრო ბაზების (ობიექტების) მშენებლობის, გამოყენებისა და გაუმჯობესების უფლების მინიჭება. ასეთი უფლების რეალიზაციის პირობები და წესრიგი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ცალკეული შეთანხმებებით იქნება განსაზღვრული.“

კითხვა # 7. რა ზომებს ახორციელებდით სამოქალაქო პირთა დასაცავად და ძარცვის და სამოქალაქო პირთა არასათანადო მოპყრობის საწინააღმდეგოდ საბრძოლო მოქმედებების დროს და მათ შემდეგ?

პასუხი: ამ კითხვას გააჩნია, როგორც მინიმუმ, ორი მხარე: რა კეთდებოდა უშუალოდ საბრძოლო მოქმედებების დროს მშვიდობიანი მოსახლეობის, მათთან მიმართებით შექმნილი საფრთხეებისაგან დასაცავად და რა კეთდებოდა საბრძოლო მოქმედებების ფარგლებს გარეთ მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად ძარცვისაგან, ცუდი მოპყრობისაგან და ა.შ. მეორე შემთხვევაში, რამდენადაც გვესმის, უფრო მეტად პოლიციური ფუნქციების შესრულება იგულისხმება.

რაც შეეხება საბრძოლო მოქმედებების დროს მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვას, აქ რუსეთის მხარის მიერ გამოყენებული იყო საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით (სჰს), მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად დადგენილი ყველა აუცილებელი ზომა.

რუსეთის შეიარაღებული ძალები საკმარისად კარგად არიან მომზადებულნი სჰს-ის სფეროში.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და საერთაშორისო სამართალის სხვა გამოსაყენებელი ნორმების მოთხოვნები რუსეთის შეიარაღებულ ძალებში შეკრებილია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარიგება-ინსტრუქციებში, რომელიც დამტკიცებულია 08.08.2001 წლის თავდაცვის სამინისტროს №360 ბრძანებით. უშუალოდ სამხედრო მოსამსახურეებისთვის გამიოცა სჰს-ის სადამრიგებლო წიგნაკი. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევისთვის რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 356-ე მუხლით, გათვალისწინებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის კურსი ისწავლება სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ჯარებში. სამხედრო მოსამსახურეებთან ტარდება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლში პრაქტიკული მეცადინეობები.

ნახსენები სადამრიგებლო დარიგება-ინსტრუქციების შესაბამისად, შეიარაღებული კონფლიქტის სიტუაციაში, ამა თუ იმ ძალებისა და საშუალებების საბრძოლო გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას, მეთაურები და ხელმძღვანელობა აფასებენ ასეთი გამოყენების შესაძლო შედეგებს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დაცვის კონტექსტში. სამხედრო შენაერთების დონეზე, ასეთი ექსპერტიზა სამხედრო იურისტების მონაწილეობით ტარდება. რუსეთის სამხედრო მოსამსახურეები კარგად არიან გათვითცნობიერებულნი, თუ რა ზომები უნდა მიიღონ სამოქალაქო მოსახლეობის დასაცავად.

თუ ვისაუბრებთ სამოქალაქო მოსახლეობის ძარცვისგან, და ა.შ. დაცვის ზომებზე, საბრძოლო მოქმედებების ფარგლებს გარეთ, აქ საქმე წარმოდგენილია შემდეგი სახით:

კონფლიქტის მსვლელობისას, საქართველოს ტერიტორიაზე შესვლით, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ფარგლებში, რუსეთი არ წარმოადგენდა ოკუპანტ სახელმწიფოს. ყველა შეიარაღებული ძალების ყოფნა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე არ შეიძლება, ჩაითვალოს ოკუპაციად. ხშირად საუბარია მხოლოდ სამხედრო დასწრების შესახებ.[1]

საერთაშორისო სამართალში ოკუპაციის რეჟიმის აღიარებისთვის განმსაზღვრელ ფაქტორად ითვლება შემოჭრილი სახელმწიფოს მიერ, სახელმწიფოს ტერიტორიაზე და მასზე მცხოვრებ სამშვიდობო მოსახლეობაზე, ეფექტიანი კონტროლის დამყარება.

რუსეთის შეიარაღებულ ძალებს არც საქართველოში და არც სამხრეთ ოსეთში კანონიერი ხელისუფლება არ შეუცვლიათ. ადგილობრივი მოსახლეობისთვის აუცილებელი არანაირი ნორმატიული აქტი მათ მიერ არ იყო გამოცემული. გარდა ამისა, რუსეთის ჯარების რაოდენობა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში (შესაბამისად, 3700 და 3750 ადამიანი) რუსეთს არ აძლევს საშუალებას პრაქტიკაში განახორციელოს ეფექტიანი კონტროლი მათ ტერიტორიებზე, რომელთა საერთო ფართობი შეადგენს 12,5 ათასი კვ. კმ. შეგახსენებთ, რომ ჩრდილოეთ კვიპროსის ბევრად მცირე ფართობის ტერიტორიაზე (3,4 ათასი კვ.კმ.) ეფექტიანი კონტროლი ხორციელდება 30 ათასი თურქი ჯარისკაცის ძალით. შეიარაღებული კონფლიქტის აქტიური ფაზის პერიოდში, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, რუსეთის ჯარების რაოდენობა აღწევდა მაქსიმუმ, 12 ათას ადამიანს. მაგრამ ისინი, ყველანი, დაკავებულნი იყვნენ სამხედრო ქმედებებით და არა ეფექტიანი კონტროლის დამყარებით.[2]

---

[1] სახმელეთო ომის კანონებისა და ჩვეულებების შესახებ ჰააგის IV კონვენციის 42-ე მუხლის შესაბამისად, საერთაშორისო სამართალში ოკუპაციის რეჟიმის არსებობის დასადგენად, განმსაზღვრელ ფაქტორად ითვლება შემოჭრილი სახელმწიფოს მიერ, სახელმწიფოს ტერიტორიაზე და მასზე მცხოვრებ სამოქალაქო მოსახლეობაზე, ეფექტიანი კონტროლის დამყარება. ეფექტიანი კონტროლის კრიტერიუმები გადმოცემულია, მაგალითად, საერთაშორისო ტრიბუნალის ყოფილი იუგოსლავიის საკითხებზე (სტყის) საქმეში „ბრალმდებელი ნალეტილიჩისა და მარტინოვიჩის წინააღმდეგ“ და საერთაშორისო სასამართლოში, საქმეში „კონგო უგანდის წინაარმდეგ.“ სტყის აღნიშნულ საქმეში გამოყოფილ იქნა ხუთი ძირითადი კრიტერიუმი, რომლებიც მოწმობდნენ ეფექტიანი კონტროლის შესახებ. მათგან ორი ძირითადია: ოკუპანტი ხელისუფლებების მიერ ტერიტორიის დროებითი ადმინისტრაციული მართვის დაწესება და კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსახლეობისთვის სავალდებულო ინსტრუქციების გამოცემა.

სტყის-ის ანალოგიურად, ოკუპაციის საკითხს იხილავს საერთაშირისო სასამართლოც, საქმეში, რომელიც ეხება უგანდის შეიარაღებულ ქმედებებს კონგოს წინააღმდეგ.

თუ მივყვებით სასამართლოების ლოგიკას, მაშინ უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების მიერ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების, საკუთარ მმართველობაზე შეცვლის კრიტერიუმის არარსებობა და ოკუპანტი ხელისუფლების მიერ ნოტარიული აქტების გამოცემის არარსებობა შეიძლება ჩაითვალოს საკმარის საფუძვლად იმის დასადასტურებლად, რომ ოკუპაციის რეჟიმი არ არსებობს. ზუსტად ასე მოიქცა საერთაშორისო სასამართლო უგანდისა და კონგოს საქმეში, როდესაც აღიარა უგანდის მხრიდან ოკუპაციის რეჟიმის არსებობა კონგოს მხოლოდ ორ რაიონში, იქიდან გამომდინარე, რომ უგანდის სამხედროებმა ამ რაიონებში დაიწყეს ადგლობრივი

მოსახლეობისთვის სავალდებულო ნორმატიული აქტების გამოცემა და ამგვარად, ჩაანაცვლეს კონგოს კანონიერი ხელისუფლება. კონგოს დანარჩენ რაიონში ადგილი ჰქონდა მხოლოდ უგანდურ სამხედრო დასწრებას.
[2] მოტანილი ციფრები ატარებენ საჯარო ხასიათს და რუსეთის ექსპერტების მიერ იყო გამოყენებული საერთაშორისო სასამართლოში, საქართველო რუსეთის წინააღმდეგ საჩივარზე ჩატარებულ მოსმენებზე.

აქედან გამომდინარე, საკმარისი საფუძველი იმის დასამტკიცებლად, რომ რუსეთის მხარე ქართულ-ოსური კონფლიქტის მსვლელობისას ახორციელებდა ეფექტიან კონტროლს სამხრეთ ოსეთის ან საქართველოს ტერიტორიებზე და შესაბამისად, საკმარისი საფუძველი იმის დასამტკიცებლად, რომ მან დაამყარა საოკუპაციო რეჟიმი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევით.

გამოვდიოდით და გამოვდივართ იქიდან, რომ სამხრეთ ოსეთს გააჩნია საკუთარი სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ ამ ქვეყანაში ეფექტიან კონტროლს და იცავენ კანონის უზენაესობას და ადამიანის უფლებებს. ამასთან, რუსეთის შეირაღებული ძალები, რომლებიც განსაკუთრებულად ახორციელებდნენ საბრძოლო ამოცანებს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, იღებდნენ შეძლებისდაგვარ ზომებს იმისთვის, რომ დაეცვათ მართლწესრიგი და აღეკვეთათ კანონდარღვევები იმ ადგილებში, სადაც ისინი იმყოფებოდნენ, მათ შორის, თვით საქართველოშიც, სადაც ქართული ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლების გაქცევით პოლიციური ხელისუფლების აშკარა ვაკუუმი შეიქმნა. ამასთან, ჩვენ არ შეგვეძლო ჩაგვენაცვლებინა სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება. რუსეთის სამხედროებს არ ჰქონდათ და არ აქვთ მინიჭებული სამხრეთ ოსეთისა და საქართველოს ტერიტორიებზე მართლწესრიგის უზრუნველყოფის კომპეტენცია და გარდა ამისა, მათი რაოდენობა ამისთვის სრულიად არასაკმარისი იყო. მიუხედავად ამისა, რუსეთის ჯარების მიერ ძარცვასა და სხვა დანაშაულებებში ეჭვმიტანილი 250 პირზე მეტი იყო დაკავებული. ყოველი მათგანი გადაეცა ხელისუფლებას შემდგომი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნისთვის.

რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის მიზნით, სამხრეთ ოსეთში გატარებული იყო აქტიური საბრძოლო მოქმედებების რაიონების დაზვერვა ომის ფეთქებადი ნარჩენების მოძიების მიზნით. შემდგომ ქალაქ ცხინვალში, მის შემოგარენში, ზნაურის რაიონში, ხეთაგუროვოს, ავნევის, ზემო ფრისისა და ფრისის დასახლებულ პუნქტებში ჩატარდა ტერიტორიის ომის შემდგომი ფეთქებადი ნარჩენებისგან გაწმენდა.

რუსეთის ჯარების მიერ ასევე, ჩატარდა ომის ფეთქებადი ნარჩენებისგან ტერიტორიების გაწმენდა თვით საქართველოშიც. ადგილობრივი მოსახლეობის მიმართვების საფუძველზე ტერიტორიის გამნაღმველი ღონისძიებები ჩატარდა ყარალეთის, ვარიანის, შინდისის, ფხვენისის, არაშენდას, ახალდაბის, ზემო ხვითის, ზემო ნიქოზის, ერგნეთისა და ტყვიავის დასახლებულ პუნქტებში.

კითხვა # 8. რა ზომები მიიღეთ, მშვიდობიანი მოსახლეობის მხარდაჭერისთვის იმ ზონებში, რომლებსაც შეეხოთ სამხედრო მოქმედებები და მათი შედეგები?

პასუხი: 1993 წლიდან დაწყებული, საქართველოს მთავრობის მოთხოვნის საფუძველზე, რუსეთს არაერთხელ გაუწევია ჰუმანიტარული დახმარება ამ ქვეყნის მოსახლეობისთვის, მათ შორის, ქართულ ხელისუფლებასთან შეთანხმებით კმაყოფილდებოდა ასევე, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოთხოვნები. რუსეთის ფედერაციის სუბიექტები ასევე, უწევდნენ ჰუმანიტარულ დახმარებას ამ რეგიონებს. ამასთან, არასოდეს არ განასხვავებდნენ ეთნიკურ ქართველებს სხვა ეროვნების წამომადგენლებისგან.

სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე საქართველოს თავდასხმის შედეგად, ჰუმანიტარული კატასტროფის შედეგების ლიკვიდაციის მიზნით, რუსეთის ფედერაციის მთავრობის მიერ ჩამოყალიბდა ფედერალური ოპერატიული შტაბი, რომელიც ახორციელებდა რუსეთის ფედერაციის აღმასრულებელი ხელისუფლების ფედერალური ორგანოების ქმედებების საერთო კოორდინაციას, უშუალოდ რეგიონში დაზარალებული მოსახლეობისთვის დახმარების აღმოჩენაში. 2008 წლის 8-10 აგვისტომდე, შეიქმნა მნიშვნელოვანი მარაგები მატერიალური საშუალებების, სურსათის, სასმელი წყლის, მედიკამენტების, წყლის გამწმენდი დანადგარების, დიზელის ელექტროსადგურების, კარვების და ა.შ. კონფლიქტის ზონიდან ორგანიზებული იყო 25 ათასზე მეტი ადამიანის ევაკუაცია, მათ შორის, 7 ათასზე მეტი ბავშვი იყო. დევნილთა მისაღებად რუსეთის ფედერაციის სამხრეთ ფედერალური ოლქის ტერიტორიებზე გაშლილი იყო 4 სტაციონარული, დროებითი თავშესაფარი პუნქტი. აღნიშნულ პუნქტებში ადამიანებს უწევდნენ აუცილებელ სამედიცინო და ფსიქოლოგიურ დახმარებას, აწვდიდნენ საკვებს, აძლევდნენ ნათესავებთან უფასოდ სატელეფონო საუბრის შესაძლებლობას. 2008 წლის 11 აგვისტოს 86 მანქანისაგან შემდგარი საავტომობილო კოლონით ქ. ცხინვალში გადატანილი იყო რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს 2 მობილური საველე ჰოსპიტალი, მიწოდებულ იქნა 58 ტონა სურსათი, 31 ელექტროსადგური, სასმელი წყალი და დანგრეულ შენობებში სამძებრო-სამაშველო სამუშაოების ჩასატარებლად 200-ზე მეტი მაშველი.

2008 წლის 12 აგვისტოს მეორე ჰუმანიტარულმა კოლონამ ცხინვალში სურსათი და წყლის გამწმენდი დანადგარები ჩაიტანა. იმავე დღეს გაიგზავნა დამატებითი ჯგუფი, სადაც შედიოდნენ ცენტრის ფსიქოლოგები და ექიმები (36 ადამიანი), 2 რეანიმობილი და ასევე, განაღმვის 30 სპეციალისტი.

ჰუმანიტარული სიტუაციის დასტაბილიზებასთან და განადგურებული ობიექტების აღდგენასთან ერთად, დევნილებმა დაიწყეს დაბრუნება მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე (სექტემბრის ბოლოსთვის რუსეთის ტერიტორიიდან სამხრეთ ოსეთში დაბრუნდა 25 ათასი ადამიანი). საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს სპეციალისტებმა ჩაატარეს გაზსადენის აღდგენითი სამუშაოები. ტარდებოდა სამუშაოები ნანგრევების გასაწმენდად, აღდგა ელექტროენერგიის მიწოდება რიგი ადმინისტრაციული შენობისთვის და 30-ზე მეტი საცხოვრებელი სახლისთვის.

რუსეთს არ მიუმართავს საერთაშორისო დახმარებისთვის. მიუხედავად ამისა, რიგმა სახელმწიფოებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა, ჰუმანიტარული პრინციპების მიმართ თავისი სოლიდარობისა და ერთგულების გამომჟღავნებით, გაუწიეს ჰუმანიტარული დახმარება, რომელიც მადლიერებით იქნა მიღებული (ბელორუსია, ყაზახეთი, უზბეკეთი, უკრაინა, იორდანია, გაერო-ს დევნილთა უმაღლესი კომისარი, შვეიცარია და სხ.).

რაც შეეხება ჰუმანიტარულ დახმარების მიღების პრობლემებს, ამასთან დაკავშირებით რეგიონში აღნიშნული არ ყოფილა რაიმე ნეგატიური ფაქტი. მისი განაწილება ხორციელდებოდა ჰუმანიტარული არასამთავრობო ორგანიზაციების, წითელი ჯვრის მოძრაობისა და ასევე, წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციების (გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამის) წარმომადგენლების მონაწილეობით.

რუსეთის ფედერაციის ჰუმანიტარული ძალისხმევის შესახებ დადებითი შეფასებები გამოთქვეს, გაეროს დევნილთა უმაღლესმა კომისარმა, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის პრეზიდენტმა და სხვ.

პასუხები დამატებით კითხვებზე, რომლებიც 2008 წლის აგვისტოში კავკასიის მოვლენებთან დაკავშირებულმა ფაქტების შემსწავლელმა ევროკავშირის მისიამ დასვა
(სამართლებრივი ასპექტები)

კითხვა. რა სამართლებრივი საფუძვლები არსებობდა 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის მიერ ძალის გამოყენებისთვის?

პასუხი: უშუალოდ იმის შემდეგ, რაც საქართველომ დაიწყო სამხედრო ოპერაცია სამხრეთ ოსეთში, რუსეთის მიერ ამ საკითხის განხილვა ინიცირებული იქნა გაეროს უშიშროების საბჭოში. შექმნილი მდგომარეობა განიხილებოდა 2008 წ. 8 აგვისტოს ღამით, 5951-ე და საბჭოს შემდგომ სხდომებზე.

საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერი საფუძვლებით განთავსებულ, რუსეთის ფედერაციის სამხედრო მოსამსახურეებზე და რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებზე თავდასხმის მასშტაბები, ამ თავდასხმის შედეგად დაღუპულთა რაოდენობა და ასევე, საქართველოს პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის განცხადებები, რომლებიც აჩვენებდნენ ქართული მხარის აგრესიულ განზრახვებს, მოწმობდნენ, რომ საქმე გვქონდა რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ სამხედრო ძალების არაკანონიერ გამოყენებასთან. ამ გარემოებებში, რუსეთის მხარე იძულებული იყო გამოეყენებინა თავისი ხელშეუვალი უფლება თავდაცვაზე, რომელიც გამყარებულია გაეროს წესდების 51-ე მუხლით. რუსეთის მხარის მოქმედებები იყო თანაზომიერი თავდასხმის მასშტაბებისა და ემსახურებოდა ერთადერთ მიზანს – დაეცვა რუსეთის სამშვიდობოთა კონტინგენტი და მშვიდობიანი მოსახლეობა საქართველოს უკანონო მოქმედებებისაგან და მომავალში, თავიდან აეცილებინათ მათზე შეიარაღებული თავდასხმები. რუსეთის მხარეს არ განუხორციელებია სამოქალაქო მოსახლეობაზე ან სამოქალაქო ობიექტებზე თავდასხმები. რუსეთის სამხედრო ქვედანაყოფებს მიეცათ შესაბამისი განკარგულებები. რუსეთის მიერ ძალის გამოყენება თავდაცვის მიზნით გრძელდებოდა მხოლოდ მანამდე, ვიდრე არსებობდა მათი გამომწვევი გარემოებები. შესაბამისი შეტყობინება, რუსეთის ფედერაციის მოქმედებების შესახებ გაეროს წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად, გაგზავნილი იყო გაეროს უშიშროების საბჭოში.

კითხვა. რის საფუძველზე იყენებდა რუსეთი შეიარაღებულ ძალას სამხრეთ ოსეთის ფარგლებს გარეთ?

პასუხი: სამხრეთ ოსეთის ფარგლებს გარეთ, რუსეთის ფედერაციის მიერ შეიარაღებული ძალების გამოყენება ხდებოდა საქართველოს თავდასხმის შედეგად, რუსეთის

თავდაცვის იმ უფლების მიხედვით, რომელიც გაეროს წესდების 51-ე მუხლის თანახმად, მას სათანადო რეალიზაციის მიზნით გაუჩნდა და რომელიც მხოლოდ ქართული სამხედრო ინფრასტრუქტურის წინააღმდეგ, იმისთვის უნდა გამოეყენებინა, რომ საქართველოს არ მისცემოდა სამხედრო საბრძოლო ქმედებების ჩატარების გაგრძელების საშუალება.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მხრიდან აფხაზეთზე თავდასხმა არ ყოფილა, მის ტერიტორიაზე რუსეთის დამატებითი შეიარაღებული ძალების შეყვანა გახდა აუცილებელი, რადგან არსებობდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ სამხრეთ ოსეთის საკითხის გადაჭრის შემდგომ, აფხაზეთთან მიმართებაში განხორციელებული იქნებოდა ანალოგიური მასშტაბის შეიარაღებული თავდასხმა. საქართველოს ასეთი გეგმები დასტურდებოდა რუსეთისა და აფხაზეთის სადაზვერვო სამსახურების ინფორმაციით.

კითხვა: იყო თუ არა რუსეთი შეიარაღებული კონფლიქტის მხარე?

პასუხი: რუსეთი იყო საქართველოსთან შეიარაღებული კონფლიქტის მხარე 7-12 აგვისტომდე პერიოდში (საქართველოს შეიარაღებული ძალების რუსეთის სამშვიდობოებზე თავდასხმის მომენტიდან), იქიდან გამომდინარე, რომ 12 აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტი რუსეთსა და საქართველოს შორის შეწყდა. ვთვლით, რომ არსებობდა ორი შეიარაღებული კონფლიქტი: შეიარაღებული შიდა კონფლიქტი (არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტი) საქართველოს ტერიტორიაზე, რომლის მხარეც რუსეთი არ იყო, ხოლო ზემოთ აღნიშნულ ვადებში, საერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტი, რომლის ერთ-ერთი მხარე იყო რუსეთი.

კითხვა: თვლით თუ არა, რომ რუსეთის მოქმედებებთან გამოყენებული იქნა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი?

პასუხი: დიახ, რადგან რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის არსებობდა შეიარაღებული კონფლიქტი. შესაბამისად, მისი ორივე მხარე დაკავშირებული იყო ჰუმანიტარული სამართლის დებულებებთან, რომელებიც მიეკუთვნება ასეთი სახის კონფლიქტურ სიტუაციებს. გარდა ამისა, საქართველო დაკავშირებული იყო ვალდებულებებთან, იმ სამართალიდან გამომდინარე, რომელიც გამოიყენება არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტებისათვის.

კითხვა: 2008 წლის საბრძოლო მოქმედებების მსვლელობისას, თუ მათ შემდეგ, როდის მოხდა იმ პირთა დაკავება, რომლებიც თქვენმა მხარემ შეიპყრო? რომელ სამართლებრივ

საფუძვლებზე დაყრდნობით იყვნენ ისინი დაკავებულნი? როგორ ეპყრობოდნენ მათ? აწამებდნენ? როდის გაათავისუფლეს ისინი?

პასუხი: სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში საბრძოლო მოქმედებებში რუსეთის შეიარაღებული ძალების მონაწილეობის მთელი პერიოდის განმავლობაში 2008 წლის 8-12 აგვისტომდე, რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ ხდებოდა მხოლოდ ქართული სამხედრო მოსამსახურეების დაკავება (12. 08. 2008 წლის შემდეგ ქართული სამხედრო მოსამსახურეების დაკავება აღარ მომხდარა), რადგან რუსეთი მონაწილეობდა საერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტში. ეს სამხედრო მოსამსახურეები ჩვენში განიხილებოდნენ, როგორც მებრძოლები საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ფარგლებში. შესაბამისად, დაკავების მერე მათ ანიჭებდნენ სამხედრო ტყვეების სტატუსს. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, კონფლიქტის დასრულებისას, ყველა სამხედრო ტყვე, მათ მიერ სამხედრო დანაშაულების შესაძლო ჩადენასთან დაკავშირებული შემოწმების შემდეგ, ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარის ტ. ჰამერბერგის შუამდგომლობითა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დელეგატების თანდასწრებით, 19 აგვისტოს, ქართულ მხარეს გადაეცა.

რუსეთის მხარის სამხედრო ტყვეებთან მოპყრობა შეესაბამებოდა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოთხოვნებს. მათი წამება არ მომხდარა.

კითხვა: რა მოცულობით ახორციელებს რუსეთის ფედერაცია თავის იურისდიქციას, იმ სამხედრო მოსამსახურეების მიმართ, რომლებიც იგზავნებიან საზღვარგარეთ?

პასუხი: რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, „რუსეთის ფედერაციის სამხედრო ნაწილების სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც დისლოცირებულნი არიან რუსეთის ფედერაციის ფარგლებს გარეთ, დანაშაულებებისთვის, რომლებსაც ჩაიდენენ უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე, დაეკისრებათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ამ კოდექსის თანახმად, თუ რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.“

დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავენ შერეული სამშვიდობო ძალების სამხრეთ ოსეთში და კოლექტიური ძალების შემადგენლობებში შემავალი რუსი სამშვიდობოების ყოფნის პირობებს, არ შეიცავენ დებულებებს იურისდიქციის გადანაწილების შესახებ მიმღებ და გამგზავნ სახელმწიფოთა შორის.

ამგვარად, გამომდინარე იქიდან, რომ თუ რუსეთის სამხედრო მოსამსახურეებმა, რომლებიც იმყოფებოდნენ სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთისა და საქართველოს ტერიტორიაზე, ჩაიდინეს რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობით გათვალისწინებული დანაშაული, მაშინ რუსეთის ფედერაცია ახორციელებს თავის იურისდიქციას და ასეთი სამხედრო მოსამსახურეების მიმართ იყენებს თავის კანონმდებლობას.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში, რუსეთის სამხედრო მოსამსახურეების დისლოკაციის ადგილებში, იმყოფებოდნენ რუსეთის ფედერაციის სამხედრო პროკურატურის ორგანოების თანამშრომლები.

კითხვა. 2008 წლის სამხედრო მოქმედებების დასკვნით ეტაპზე, ახდენდნენ თუ არა იმ პირთა დისკრედიტაციას რომლებიც სავარაუდოდ, მიეკუთვნებოდნენ მოწინააღმდეგის მხარეს და/ან იყო თუ არა დარღვეული მათი უფლებები? რა ზომები იყო მიღებული ასეთ დარღვევების აღსაკვეთად?

პასუხი: 2008 წლის აგვისტოში, სამხედრო მოქმედებების მსვლელობისას, მანამდე და მას შემდეგ, რუსეთის ჯარების მხრიდან დისკრიმინაციის შემთხვევები არ აღნიშნულა. რუსეთის ფედერაცია არ არის ოკუპანტი სახელმწიფო და არ ახორციელებს ეფექტიან კონტროლს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე და/ან მოსახლეობაზე. სამხრეთ ოსეთში და აფხაზეთში მართლწესრიგის უზრუნველყოფა – ამ სახელმწიფოების ხელისუფლებების პრეროგატივაა. ამასთან, რუსეთი ყოველთვის აღნიშნავდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებების მიერ საერთაშორისო სამართლის, კერძოდ, ადამიანის უფლებებათა და თავისუფლებათა საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების დაცვის აუცილებლობას. შესაბამისი დებულებები გვხვდება მაგალითად, რუსეთის მიერ ამ სახელმწიფოებთან დადებულ ხელშეკრულებებში.

თუ რუსეთის სამხედროები ცალკეულ შემთხვევებში ახორციელებდნენ ქმედებებს, რომლებიც შეიძლება განხილული იყოს ადამიანის ამა თუ იმ უფლებების დარღვევად (მაგალითად, გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა), მაშინ ეს ქმედებები ხორციელდებოდა სამოქალაქო მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, კანონსაწინააღმდეგო ქმედებების თავიდან აცილებისა და აღკვეთის, მოქალაქეების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, მიუხედავად მათი ნაციონალური და/ან ეთნიკური კუთვნილებისა.

სხვათა შორის, მედვედევ-სარკოზის შეთანხმების მეხუთე პრინციპის შესაბამისად, რუსეთის სამშვიდობო ძალებს, ვიდრე ისინი ჯერ კიდევ იმყოფებოდნენ სამხრეთ

ოსეთის ტერიტორიაზე, შეეძლოთ მიეღოთ დამატებითი უსაფრთხოების ზომები, ვიდრე არ შეიქმნებოდა უშიშროების შესაბამისი საერთაშორისო მექანიზმი.

კითხვა. თუ თქვენს კონტროლს ქვეშ მყოფი ძალები ან პირები არღვევდნენ საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს ან ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალს იღებდნენ თუ არა აღნიშნული დარღვევებით დაზარალებულები კონპენსაციას? იყო თუ არა მიღებული სხვა ზომები მათი უფლებების აღსადგენად? თუ არა, მაშინ რატომ? როგორ შეუძლიათ დაზარალებულებს მიიღონ კონპენსაცია?

პასუხი: რუსეთის კონტროლს ქვეშ იმყოფებიან მხოლოდ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები. რუსეთი არ ახორციელებს არავითარ კონტროლს (არც ეფექტიანს, არც ფაქტობრივს) სამხრეთ ოსეთის სამხედროებთან ან სამოქალაქო პირებთან, ასევე, მის ტერიტორიასთან მიმართებაში.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, რუსეთის სამხედროების მიერ არ ყოფილა დარღვეული საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალი. რაც შეეხება რუსეთის სამხედრო მოსამსახურეების მიერ ადამიანის უფლებების შესაძლო დარღვევებს, აღსანიშნავია შემდეგი:

დაზარალებულებს დარღვეული უფლებების აღსადგენად, გააჩნიათ გარკვეული სამართლებრივი შესაძლებლობები. პირველ რიგში, მათ შეუძლიათ სარჩელი შეიტანონ რუსეთის სასამართლოებში. თუმცა, ასეთი შემთხვევების შესახებ ჩვენთვის ჯერ არ არის ცნობილი. მეორეც, არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მიმართვის შესაძლებლობა დადგენილი პროცედურის შესაბამისად. როგორც ცნობილია, ამჟამად ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განიხილება საჩივარი „საქართველო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ," რომელზეც სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება ორივე მხარესთან მიმართებაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე დროებითი ზომების მიღების შესახებ. ამ კონტექსტში, რუსეთის მხარე აპირებს, გააგრძელოს თავისი საერთაშორისო ვალდებულებების მკაცრად შესრულება.

რუსეთი, შეიარაღებული დაპირისპირების დაწყებიდანვე, ცდილობდა, მიუხედავად მათი მოქალაქეობისა თუ ეროვნებისა, ლტოლვილთა გადაყვანისა და ჰუმანიტარული დახმარების მიწოდების პირობების შექმნას სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისთვის. მართმადიდებელ ეკლესიასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მოქალაქეთა გაერთიანებებთან მჭიდრო თანამშრომლობით, რუსეთის ჯარები იღებდნენ ზომებს, ჰუმანიტარული დახმარების თავისუფალი დაშვებაის უზრუნველსაყოფად.

საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაზარალებულ სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლებს რუსეთის მხარე ფედერალური ბიუჯეტიდან უხდიდა კონპენსაციებს. გათვალისწინებული იყო რამდენიმე სახის ასეთი გადასახადი: 1. საბრძოლო მოქმედებების შედეგად სამხრეთ ოსეთის ყველა დაზარალებულ მშვიდობიან მოსახლეს გადაუხადეს ერთდროული გადასახადი 1000 რუბლის ოდენობით; 2. ცალკე გადასახადები ეკუთვნოდათ პენსიონერებს; 3. დაბოლოს, მოსახლეობას, რომელმაც საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაკარგა ქონება, გადაუხადეს 50 ათას რუბლამდე.

პრეს-რელიზი
რუსეთის ფედერაციის მთავრობისადმი რუსეთის პრეზიდენტის მიერ მინიჭებული მანდატის შესახებ აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით

რუსეთის პრეზიდენტმა ვ. ვ. პუტინმა დავალებები მისცა რუსეთის ფედერაციის მთავრობას აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან რუსეთის ურთიერთობების რეგულირებასთან დაკავშირებით. დავალებები მიმართულია რუსეთის ხელმძღვანელობის მიერ გაცხადებული კურსის რეალიზაციაზე, რომელიც საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, ეხება ორი რესპუბლიკის მოსახლეობისთვის და იქ მცხოვრები რუსეთის მოქალაქეებისთვის მიზნობრივ დახმარებას, მათ შორის, წარსულში მიღებულ გადაწყვეტილებებს (რუსეთის 1996 წლის დსთ-ის იმ გადაწყვეტილებიდან გამოსვლა), რომელიც ზღუდავდა აფხაზეთთან სახელმწიფოებრივ კავშირებს; აგრეთვე, სახელმწიფო სათათბიროს (დუმა) მიერ გამოთქმული რეკომენდაციებს.

პრეზიდენტის მანდატის შესრულება შექმნის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების მრავალმხრივი დაცვის მექანიზმებს. რუსეთის ფედერაციის მთავრობას დაევალა ამ მიზნებისთვის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების არსებულ ორგანოებთან ურთიერთქმედება, ასევე სავაჭრო-ეკონომიკურ, სოციალურ, სამეცნიერო-ტექნიკურ დარგებში, ინფორმაციის, კულტურისა და განათლების სფეროებში თანამშრომლობის ორგანიზება, მათ შორის, ამ საქმეში რუსეთის რეგიონების ჩართვაც.

რუსეთის ფედერაციის მიერ აღიარებული დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელსაც გასცემენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ფაქტობრივი ორგანოები ფიზიკურ პირებზე დამუშავების პროცესშია. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კანონმდებლობის შესაბამისად, აღიარებული ხდება დარეგისტრირებული იურიდიული პირების სამართალსუბიექტობა, რომელიც მიესადაგება ამ იურუდიულ პირებს. აღმასრულებელი ხელისუფლების ფედერალურ ორგანოებს დაევალათ, რომ აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან განახორციელონ თანამშრომლობა სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების ფარგლებში. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები კრასნოდარის მხარესა და ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა – ალანიაში, საჭიროების შემთხვევაში განახორციელებენ ცალკეულ საკონსულო ფუნქციებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მუდმივად მცხოვრებ პირთა ინტერესების შესაბამისად. გათვალისწინებულია, დამატებითი წინადადებების მომზადება აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან შემდგომი ურთიერთქმედების რიგ კონკრეტულ მიმართულებებთან დაკავშირებით, ამ

რესპუბლიკების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, იქ მცხოვრები მოსახლეობის, მათ შორის, რუსეთის მოქალაქეების უფლებების დაცვის ინტერესების შესაბამისად.

ამ მიმართულებით, ყველა ჩვენი ქმედებების მთავარი მოტივია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის, მათ შორის, იქ მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების ინტერესსზე ზრუნვა. გაჭიანურებული კონფლიქტების წლებში, ამ არაღიარებული რესპუბლიკების მცხოვრებლები აღმოჩნდნენ სავალალო მდგომარეობაში. ისინი ფაქტიურად, მოკლებულნი იყვნენ ღირსეული ცხოვრების შესაძლებლობასა და მდგრადი განვითარების უნივერსალური უფლების რეალიზებას. მათი მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმდება თბილისის ქმედებებით, რომელიც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ნორმალური ეკონომიკური ურთიერთობების გაუმჯობესებისთვისა და სოციალური პრობლემების გადაწყვეტისათვის არსებულ მექანიზმებს იგნორირებას უკეთებს. საქართველოს ხელისუფლება უარს ამბობს სოხუმთან და ცხინვალთან ძალის გამოუყენებლობისა და საომარი მოქმედებების განუახლებლობის შესახებ დოკუმენტების ხელმოწერაზე, სხვადასხვა არხებით ზრდის თავის შეტევით შეიარაღებას და ახდენს აგრესიული განზრახვების დემონსტრირებას, კერძოდ, კოდორის ხეობის ზემო ნაწილში, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების დარღვევით. ამ ფონზე საქართველოს ხელისუფლების მიერ წამოყენებული „ახალი სამშვიდობო ინიციატივები“ არ შეიძლება სერიოზულად იქნას აღქმული.

ჩვენი გადაწყვეტილება გადავიდეთ არაღიარებული რესპუბლიკების მოსახლეობის უფრო მიზნობრივ, პრაქტიკულ დახმარებაზე – არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო საზოგადოების პოზიციას. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ ა.წ. 15 აპრილს, გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ #1808 რეზოლუციაში (საქართველოში გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის მანდატის გაგრძელების შესახებ) პირდაპირ მითითებულია აფხაზეთის ეკონომიკური განვითარებისა და კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების გადაუდებელ საჭიროებაზე.

ჩვენი ქმედებები აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან მიმართებით არ ნიშნავს, რომ რუსეთი არჩევანს საქართველოსთან კონფრონტაციის სასარგებლოდ აკეთებს. ჩვენ მხარს ვუჭერთ ყველა იმ სანქციისა და შეზღუდვის მოხსნას, რომლებიც ხელს უშლიან რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. ეს დასტურდება საქართველოსთან საჰაერო და საზღვაო მიმოსვლის აღდგენითა და კიდევ სხვა ნაბიჯებით, რომლებიც პოზიტიურ ალტერნატივას უქმნიან საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების კურსს.

ყველა აღნიშნული ზომის რეალიზაცია ხელს შეუწყობს უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცებას კავკასიის რეგიონში.

16 აპრილი, 2008 წელი

რუსეთის ფედერაციის ფედერალური ასამბლეის ფედერაციის საბჭოს
მიმართვა
რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს დ. ა. მედვედევს

სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ

პატივცემულო დიმიტრი ანატოლის ძე!

რუსეთის ფედერაციის ფედერალური საკრებულოს ფედერაციის საბჭო, სავსებით უჭერს მხარს სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან მიმართებით პოლიტიკას, რომელსაც ატარებს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი და ხაზს უსვამს, რომ მრავალი წლის განმავლობაში რუსეთი მონაწილეობდა საქართელო-სამხრეთ ოსეთისა და საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების გზების ძიებაში.

აღვნიშნავთ რომ საქართველოს უარმა ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერაზე და შემდგომში 2008 წლის აგვისტოს დასაწყისში მისმა აგრესიულმა ქმედებებმა, რომელთა შედეგად დაიღუპა ათასობით სამხრეთ ოსეთის მშვიდობიანი მოსახლე და გამწვავდა ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, საბოლოოდ ჩამოართვა საქართველოს ხელმძღვანელობას უფლება, განეცხდებინა პრეტენზია მასზედ, რომ სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი დამოკიდებულნი ყოფილიყვნენ მის ავანტურისტულ პოლიტიკაზე, რომელმაც ისინი ჰუმანიტარულ კატასტროფამდე მიიყვანა.

მივესალმებით რა, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ხალხთა მისწრაფებას დამოუკიდებლობის, მშვიდობისა და სტაბილურობისკენ,
ვითვალისწინებთ რა, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის არაერთგზის მიმართვას მათი დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ, მათ შორის, მიღებულს 2008 წლის 22 და 24 აგვისტოს, გთავაზობთ აღიაროთ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა.

რუსეთის ფედერაციის
ფედერალური საკრებულოს
ფედერაციის საბჭო

მოსკოვი
25 აგვისტო, 2008 წელი
№ 296- ფს

სახელმწიფო დუმა
რუსეთის ფედერაციის ფედერალური ასამბლეის
მეხუთე მოწვევის

სახელმწიფო დუმის
მიმართვა

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს დ.ა. მედვედევს, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკისა და აფხაზეთის რესპუბლიკის აღიარების აუცილებლობის შესახებ

პატივცემულო დიმიტრი ანატოლის ძე!

რუსეთის ფედერაციის ფედერალური საკრებულოს სახელმწიფო დუმა გამოხატავს ცალსახა და კონსოლიდირებულ მხარდაჭერას რუსეთის ხელმძღვანელობის ადეკვატურ და მიზანმიმართულ ქმედებებზე, რომლებმაც უზრუნველყეს სამხრეთ ოსეთის დაცვა საქართველოს შეიარაღებული თავდასხმისაგან.

სახელმწიფო დუმის დეპუტატები პატივს მიაგებენ რუსეთის სამხედრო მოსამსახურეების გმირობას, რომელებმაც შეძლეს შეეჩერებინათ აგრესია და გენოციდი, დაეცვათ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა, მათ შორის, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები.

ამ დრამატულ სიტუაციაში, რუსეთი აღმოჩნდა მშვიდობიანი მოსახლეობის ერთადერთი დამცველი; იგი იძულებული გახდა, სასწრაფოდ შეეჩერებინა აგრესორი, რომელიც მიზნად ისახავდა ქალაქებთან და სოფლებთან ერთად ბავშვების, ქალების, მოხუცების და სამხრეთ ოსეთის მთელი მოსახლეობის მიწასთან გასწორებას.

სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის მიერ განხორციელებული ვერაგული შეიარაღებული თავდასხმის შედეგად დაიღუპა ასობით მშვიდობიანი მოსახლე და რუსეთის მშვიდოფისმყოფელი; ათობით ათასი ადამიანი დარჩა უსახლკაროდ და საარსებო წყაროს გარეშე. ლტოლვილთა უზარმაზარმა ნაკადმა და სამხრეთ ოსეთის ინფრასტრუქტურის მასობრივმა განადგურებამ ეს რეგიონი ჰუმანიტარულ კატასტროფამდე მიიყვანა.

სახელმწიფო დუმის დეპუტატები მწუხარებას გამოხატავენ ამ საშინელ ტრაგედიაში ყველა დაღუპულისა და დაზარალებულის გამო. ქართველი ჯარისკაცების მიერ მოკლული ბავშვების მშობლები ვერასოდეს შეძლებენ სააკაშვილის ბრძანებით ჩადენილი ამ შემზარავი ბოროტმოქმედებების დავიწყებასა და პატიებას.

სახელმწიფო დუმამ 2008 წლის 21 მარტის განცხადებაში აღნიშნა, რომ საქართველოს აფხაზეთზე ან სამხრეთ ოსეთზე შესაძლო შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში,

აუცილებელია ყველა ზომის მიღება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების დასაცავად.

სამწუხაროდ, სახელმწიფო დუმის დეპუტატების მიერ გამოთქმული შიში დადასტურდა. მხოლოდ რუსეთის ფედერაციის დროულმა ჩარევამ და ადეკვატურმა ქმედებებმა გახადეს შესაძლებელი კავკასიაში ფართომასშტაბიანი ომის თავიდან აცილება, მათ შორის, ანალოგიური აგრესიისა და გენოციდს აფხაზეთთან მიმართებით, სადაც ბოლო წლებში, კოდორის ხეობაში სააკაშვილის ბრძანებით ხორციელდებოდა აფხაზი ხალხის წინააღმდეგ ომისთვის მზადება.

სააკაშვილის რეჟიმის სამხედრო ოპერაცია სამხრეთ ოსეთის მიმართ წამოწყებული იყო საქართველოს მიერ საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევით. ამ ბარბაროსულმა აგრესიამ იმთავითვე გადაუსვა ხაზი რუსეთისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მიერ შექმნილი „საქართველოს მეგობართა ჯგუფში“ შემავალი სხვა სახელმწიფოებების თხუთმეტწლიან დიპლომატიურ და სამშვიდობო ძალისხმევას, რომელიც მიმართული იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად. ამიერიდან, საკითხი, მისი მთლიანობის პოლიტიკური გზით აღდგენის შესაძლებლობის შესახებ, მოკლებულია რაიმე პერსპექტივას. ეს ახალი რეალობა ადრე თუ გვიან უნდა აღიაროს მთელი მსოფლიოს თანამეგობრობამ, რომელიც ისევე, როგორც რუსეთი, ყოველთვის უარყოფდა პოსტკონფლიქტური დარეგულირების ძალისმიერ სცენარს.

სამხრეთ ოსეთს და აფხაზეთს, რომლებმაც სრულიად სახალხო ნება-სურვილის გამომჟღავნებით, 1992 წელს გამოაცხადეს დამოუკიდებლობა და გასული წლების განმავლობაში ააშენეს დემოკრატიული სახელმწიფოები ლეგიტიმური ხელისუფლების ყველა ატრიბუტით, გააჩნიათ ბევრად მეტი საფუძველი განაცხადონ პრეტენზია საერთაშორისო აღიარებაზე, ვიდრე, მაგალითად, კოსოვოს.

აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ხალხთა მიმართვებს, მათი რესპუბლიკების, როგორც თვითმყოფი, სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფოების აღიარების შესახებ, რომლებიც 2008 წლის 20, 21 და 22 აგვისტოს მოწოდებული იქნა მათი კანონიერად არჩეული ხელისუფლების მიერ, სახელმწიფო დუმის დეპუტატები იურიდიულად დასაბუთებულად და მორალურად გამართლებულად თვლიან. ასეთი აღიარება შექმნის საფუძველს უსაფრთხოებისა და მათი მოსახლეობის გარე საფრთხეებისაგან დაცვის, საერთაშორისო მშვიდობისა და რეგიონული სტაბილურობის გარანტიების უზრუნველყოფისთვის გაეროს წესდების მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად და დაუდებს სათავეს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სახელმწიფოების საერთაშორისო აღიარების პროცესს.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, სახელმწიფო დუმა მოგმართავთ თქვენ, პატივცემულო დიმიტრი ანატოლის ძე, თხოვნით, განიხილოთ საკითხი რუსეთის ფედერაციის მიერ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკისა და აფხაზეთის რესპუბლიკის,

როგორც თვითმყოფი, სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფოების აღიარების შესახებ და ასევე, საკითხი სამხრეთ ოსეთის რესპულიკის და აფხაზეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებების, რაც შეიძლება სწრაფად გამართვის შესახებ, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების სამართლებრივი საფუძვლების შექმნის მიზნით, რომლებიც თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ყველა ასპექტის, მათ შორის, უსაფრთხოების საკითხების რეგულირებას უზრუნველყოფენ.

მოსკოვი
25 აგვისტო, 2008 წელი

ჰუმანიტარული სამართალი და ადამიანის უფლებები – შეკითხვები და პასუხები

შეკითხვები რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს ხელისუფლებების მიმართ ჰუმანიტარულ საკითხებთან დაკავშირებით

(პირველი ჩამონათვალი)

1. გენოციდის შესახებ სიტყვიერ ბრალდებებთან დაკავშირებით, გთხოვთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები თუ ვინ განახორციელა გენოციდი (თუ ასეთ ფაქტებს რეალურად ჰქონდა ადგილი) და თუ გენოციდს ადგილი ჰქონდა, როდის? გთხოვთ, მიუთითოთ ფაქტები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს დავასკვნათ, რომ სახეზე იყო გენოციდის კონკრეტული ელემენტები, კერძოდ, არსებობდა თუ არა დაცული ჯგუფი და იყო თუ არა ამ ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურების მცდელობა.
2. რატომ მიატოვეს ადამიანებმა საცხოვრებელი ადგილები 1990-2008 წლებში, განსაკუთრებით, 2008 წლის აგვისტოში, სექტემბერსა და ოქტომბერში და რა უშლის ხელს მათ დაბრუნებას? როგორ არის დაცული ამ პირების საკუთრების უფლებები? აქვთ თუ არა მათ საკუთრების თავისუფლად განკარგვის შესაძლებლობა?

3. 2008 წლის 7-12 აგვისტოს რომელ დღეს და რომელ სამიზნეებზე განხორციელდა შეტევა იმ ძალების მიერ, რომლებიც არ აკონტროლებდნენ ადგილმდებარეობას, სადაც სამიზნეები იყო განთავსებული? აღნიშნული სამიზნეების ქალაქებსა და სოფლებში განთავსებისას, როგორ შეფასდა სამოქალაქო პირებს შორის შემთხვევითი მსხვერპლის და მათი დაშავების, აგრეთვე სამოქალაქო ობიექტებისათვის ზიანის მიყენების სავარაუდო ალბათობა? შეესაბამებოდა თუ არა რეალური შედეგი ნავარაუდევ მონაცემებს? და თუ არა, რატომ? აღნიშნული შეტევების დროს, სიფრთხილის რა ზომები იყო მიღებული როგორც თავდამსხმელის, ასევე დაცვაში მყოფი მხარის მიერ, სამოქალაქო პირებს შორის შემთხვევითი მსხვერპლის და მათი დაშავების, აგრეთვე, სამოქალაქო ობიექტებისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების ან მინიმუმამდე დაყვანის მიზნით? წარმატებით იქნა თუ არა გამოყენებული აღნიშნული სიფრთხილის ზომები? და თუ არა, რატომ?

4. როგორია თქვენი სამართლებრივი პოზიცია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის კონტექსტში, შეიარაღებული კონფლიქტის დროს „გრადის“ ტიპის მრავალჭურვიანი სარაკეტო დანადაგარებისა და კასეტური საბრძოლო მასალის გამოყენების თვალსაზრისით? რატომ და რომელი სამიზნის წინააღმდეგ (განსაკუთრებით, მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებზე) იქნა გამოყენებული

„გრადის“ ტიპის მრავალჭურვიანი სარაკეტო დანადაგარები და/ან კასეტური საბრძოლო მასალა? რა ზომები იქნა მიღებული ომის ფეთქებადსაშიში გადმონაშთების მოსანიშნად და გასაუვნებელსაყოფად (კერძოდ, მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში)?

5. იმ ტერიტორიებზე, რომლებიც 2008 წლის სამხედრო მოქმედებების დროს თქვენი ან მოწინააღმდეგის ძალების კონტროლის ქვეშ იყო, მთლიანობაში რა კატეგორიის ჯგუფებთან ან ცალკეულ პირებთან მიმართებაში განხორციელდა სიკვდილით დასჯა, გაუპატიურება, სამოქალაქო პირებთან არასათანადო მოპყრობა ან ძარცვა, აგრეთვე, შენობების დაწვა ან განადგურება? რა ზომები იქნა მიღებული ტერიტორიის მაკონტროლირებელი მხარის მიერ ამგვარი ძალადობის შეჩერების ან აღკვეთის მიზნით?

6. 2008 წლის საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ, იყვნენ თუ არა პირები, რომლებიც აღიქმებოდნენ, მოწინააღმდეგე მხარესთან ასოცირებულ პირებად? რა სამართლებრივ საფუძველზე მოხდა მათი დაპატიმრება? როგორ ეპყრობოდნენ მათ? მოხდა თუ არა მათი გათავისუფლება და როდის?

7. 2008 წლის საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ, იყვნენ თუ არა პირები, რომლებიც აღიქმებოდნენ, მოწინააღმდეგე მხარესთან ასოცირებულ პირებად? მოხდა თუ არა მათი დისკრიმინაცია ან /და ხელი ილახებოდა თუ არა მათი ადამიანის უფლებები? რა ზომები იქნა მიღებული ამგვარი პრაქტიკის წინააღმდეგ?

8. რა ნაბიჯები გადადგა თქვენმა ან მოწინააღმდეგე მხარემ, რათა გაერკვია იმ პირების ბედი, რომლებიც დაკარგულად არიან გამოცხადებული 1990 წლის შემდეგ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის, მათი ოჯახების, ან იმ მხარის მიერ, რომელთაც ისინი ეკუთვნიან? ეს ნაბიჯები რა შემთხვევებში იყო წარმატებული? და თუ იგი არ იყო წარმატებული, რატომ?

9. 1990 წლიდან, კონფლიქტთან დაკავშირებულ დანაშაულებთან მიმართებაში, რა სახის საგამოძიებო საქმიანობა და სასამართლოს წესით დევნა იყო განხორციელებული თქვენი სასამართლო ხელისუფლების მიერ, როგორც საკუთარი, ასევე მოწინააღმდეგისა და ადგილობრივი ძალების წევრების, აგრეთვე, სამოქალაქო პირების მიმართ? რომელ შემთხვევებში განაპირობა სასამართლოს წესით დევნამ მსჯავრის დადება ან უდანაშაულობის აღიარება? გთხოვთ, წარმოგვიდგინოთ შესაბამის გადაწყვეტილებათა ასლები. რა იყო წარუმატებლობის მიზეზი იმ შემთხვევებში, როცა სასამართლოს წესით დევნას არ მოჰყოლია არც მსჯავრის დადება და არც უდანაშაულობის აღიარება?

10. თქვენი კონტროლის ქვეშ მყოფი ძალების ან პირების მიერ საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონმდებლობის ან ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მიიღეს თუ არა ძალადობის მსხვერპლებმა კომპენსაცია? იყო თუ არა გამოყენებული აღდგენითი მართლმსაჯულების სხვა ელემენტები? თუ არა, რატომ? რა გზით იქნება შესაძლებელი მსხვერპლებისათვის კომპენსაციის უზრუნველყოფა?

პასუხები ევროკავშირის ფაქტების დამდგენი მისიის კითხვებზე 2008 წლის აგვისტოში კავკასიაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით

(ჰუმანიტარული ასპექტები)

კითხვა #1. გენოციდის შესახებ სიტყვიერ ბრალდებებთან დაკავშირებით, გთხოვთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები თუ ვინ განახორციელა გენოციდი (თუ ასეთ ფაქტებს რეალურად ჰქონდა ადგილი) და თუ გენოციდს ადგილი ჰქონდა, როდის? გთხოვთ, მიუთითოთ ფაქტები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს დავასკვნათ, რომ სახეზე იყო გენოციდის კონკრეტული ელემენტები, კერძოდ, არსებობდა თუ არა დაცული ჯგუფი და იყო თუ არა ამ ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურების მცდელობა.

პასუხი: რუსეთის მხარის განცხადება სამხრეთ ოსეთის გენოციდის შესახებ, რომელიც ქართულმა მხარემ, 2008 წლის აგვისტოში განახორციელა, აღქმული უნდა იყოს იმ წინასწარი ინფორმაციის გათვალისწინებით, რომელიც მოდიოდა კონფლიქტის დაწყების პირველ საათებში და მანამდე არსებულ პერიოდში. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არსებობდა რეალური მიზეზები, რაც ადასტურებს იმას, რომ ქართველების ქმედებები ჩადენილი იყო ოსური ეთნიკური ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ გაენადგურების განზრახვით (7-დან 8 აგვისტოს ღამით, ქართული მხარის მიერ ოსური სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ მძიმე შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის ფართომასშტაბიანი და უპირობო გამოყენება; მანამდე კი, საქართველოს ხელისუფლების მიერ აქტიურად გატარებული „ანტიოსური“ პოლიტიკა). თუმცა, საკითხი მდგომარეობს იმაში, თუ რამდენად მოხერხდა ამგვარ განზრახვასთან დაკავშირებით მტკიცებულებების შეგროვება, რომელზეც უფლებამოსილია მხოლოდ რუსეთის ფედერაციის კომპეტენტური სამართალდამცავი ორგანოები, კერძოდ, რუსეთის ფედერაციის პროკურატურასთან არსებული საგამოძიებო კომიტეტი, რომელმაც ჩვენი ინფორმაციით, დაასრულა თავისი გამოძიება გენოციდთან დაკავშირებულ საკითხზე.

ასევე, აღსანიშნავია, რომ რუსეთმა ოსეთის კონფლიქტზე შეგროვებული მასალები სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურატურას გადასცა. ამჟამად, სასამართლოში მიმდინარეობს ამ მასალების შეფასება გამოძიების დაწყებისათვის საფუძვლების არსებობის თაობაზე, მათ შორის, გენოციდის ფაქტზეც. ველით, რომ საერთაშორისო მართლმსაჯულების ეს ავტორიტეტული ორგანო, აგვისტოს ცნობილ მოვლენებს შესაბამის სამართლებრივ შეფასებას მისცემს.

ამავდროულად, აუცილებლია აღვნიშნოთ, რომ ქართული შეიარაღებული ფორმირებების დანაშაულები სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე დაფიქსირებულია დაზარალებულთა და მოწმეთა დაკითხვის მრავალრიცხოვან ოქმებსა და ფოტომასალებში. მათში გადმოცემულია დეტალური ინფორმაცია, რომელიც შინაარსობრივად ადასტურებს გენოციდის ფაქტებს ოსების ეთნიკური ჯგუფების მიმართ, ქართული მხარის მიერ სამხედრო დანაშაულებების ჩადენას, მათ შორის, ომის წარმოებისას საერთაშორისო ნორმების დარღვევას, რამაც მძიმე ჰუმანიტარული შედეგები გამოიწვია და პირველ რიგში, დაკავშირებულია მშვიდობიანი მოსახლეობისა და სამშვიდობო ძალების სამხედრო მოსამსახურეებს შორის მსხვერპლთან, საცხოვრებელი უბნებისა და სამოქალაქო ობიექტების განადგურებასთან.

კერძოდ, რუსეთის ფედერაციის პროკურატურასთან არსებული საგამოძიებო კომიტეტის მიერ დადგენილი და აღრიცხული იყო შემდეგი ფაქტები:

- სამხრეთ ოსეთის 162 მცხოვრების მკვლელობა და რესპუბლიკის ოსური ეროვნების 255 მშვიდობიანი მოქალაქისთვის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვადასხვა სიმძიმის ზიანის მიყენება;
- რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების სამხედრო ქვედანაყოფების 48 სამხედრო მოსამსახურის მკვლელობა, მათ შორის, 10 სამხედრო მოსამსახურის, რომლებიც შედიოდნენ შერეული სამშვიდობო ძალების ბატალიონის შემადგენლობაში, და ასევე, 162 სამხედრო მოსამსახურისთვის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვადასხვა სიმძიმის ზიანის მიყენება;
- ქართული შეიარაღებული ფორმირებების მიერ სამხრეთ ოსეთის იმ დასახლებული პუნქტების განზრახ განადგურება, სადაც მოსახლეობის უმეტესობას შეადგენდნენ ოსები;
- ქართული შეიარაღებული ძალების მიერ დასახლებული პუნქტებსა და ინფრასტრუქტურის ობიექტებზე ცეცხლის გახსნისას განურჩეველი მოქმედების მქონე მძიმე შეიარაღების გამიზნული გამოყენება;

სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ საქართველოს შეიარაღებული მოქმედებების შედეგად, სამოქალაქო პირთაგან საერთო ჯამში, დაზარალებულად აღიარებულია 5143 რესპუბლიკის მცხოვრები.

შემთხვევის ადგილების დათვალიერების ოქმებში, რუსეთის ფედერაციის პროკურატურასთან არსებული საგამოძიებო კომიტეტის წარმომადგენლების მიერ დაფიქსირდა, რომ ცხინვალზე და სამხრეთ ოსეთის სხვა დასახლებულ პუნქტებზე იერიშისას, საქართველოს მიერ განადგურების თანამედროვე საშუალებების გამოყენების შედეგად, მთლიანად განადგურდა 655 საცხოვრებელი სახლი. ამას გარდა, ნაწილობრივ დაზიანდა 2139 საცხოვრებელი შენობა და ობიექტი, სადაც ძირითადად, ცხოვრობდა რესპუბლიკის ოსური მოსახლეობა.

მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა რესპუბლიკის სამოქალაქო ინფრასტრუქტურას, რის შედეგადაც დაირღვა ათი ათასობით ადამიანის სიცოცხლისა და საქმიანობისთვის მნიშვნელოვანი პირობები. რუსეთის საგანგებო სიტუაციების სამინისტროს მონაცემებით, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე განადგურებული იყო განათლების 29 ობიექტი, ჯანდაცვის 17ობიექტი, სატრანსპორტო 10 ობიექტი, გაზსადენის ქსელების 68 კმ, წყალმომარაგების ქსელების 160 კმ, ელექტრომომარაგების 458კმ.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში კანონმდებლობის შესრულების ზედამხედველობის ფედერალური სამსახურის, ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის სრულიად რუსეთის საზოგადოებისა და სამხრეთ ოსეთის სამინისტროს მონაცემების თანახმად, საქართველო-სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში აღმოჩნდა არქეოლოგიური მემკვიდრეობის 33 ობიექტი (რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული, კულტურული მემკვიდრეობის 62 ობიექტიდან). ისტორიისა და კულტურის ძეგლების ტექნიკური მდგომარეობის დასადგენად, 2008 წლის 15-18 აგვისტოს ჩატარებულმა შერჩევითმა კვლევამ გამოავლინა მთელი რიგი უნიკალური ობიექტების დანაკარგი, რომელიც გამოწვეული იყო ქართული ჯარების მიერ სამხრეთ ოსეთის დასახლებული პუნქტების მძიმე არტილერიის გამოყენებით დაბომბვის შედეგად. გარდა ამისა, საქართველოს შეიარაღებული ძალების მხრიდან დაფიქსირდა ვანდალიზმის, კულტურული ძეგლებისა და ასევე, ოსი ხალხის დაკრძალვის ადგილების განზრახ განადგურების ფაქტები.

სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ საქართველოს სამხედრო მოქმედებების ერთ-ერთი ყველაზე მძიმე შედეგი გახდა მოსახლეობის მასობრივი გასვლა რუსეთის ტერიტორიაზე თავშესაფრის საძიებლად.

საქართველოს უმაღლესი პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობისა და ქართული შეიარაღებული ფორმირებების სამხედრო მოსამსახურეების განზრახ ჩადენილი ქმედებების მტკიცებულებები არის:

- შემთხვევის ადგილების დათვალიერების, მოწმეებისა და დაზარალებულების დაკითხვების ოქმები და ასევე, რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მონაცემები, რომლებიც ეფუძნება საქართველოს მშვიდობისკენ იძულების ოპერაციის მსვლელობისას მოპოვებულ დოკუმენტებსა და ელექტრონულ მედიას (ტერიტორიის დეტალური აეროფოტოგადაღებები და ტოპოგრაფიული რუკები ტაქტიკური მდგომარეობის პირობითი აღნიშვნებით, სამხედრო-საშტაბო გეგმები, ბრძანებები და სხვა საბუთები).

ამ საბუთების თანახმად, საქართველოს შეიარაღებული ძალების [გენერალური] შტაბის მიერ წინასწარ იყო მომზადებული სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიებზე შემოჭრის გეგმები. კერძოდ, აღნიშნული დოკუმენტებით გათვალისწინებული იყო იმ სოფლების განადგურება, სადაც ჭარბობდა ოსური ეროვნების მოსახლეობა. საარტილერიო სამიზნეებად, სამხრეთ ოსეთის ძალოვანი სტრუქტურების ობიექტებთან ერთად, დაგეგმილი იყო რუსეთის სამშვიდობო ბატალიონის შტაბი და პოლიგონი, რესპუბლიკის მთავრობის სახლი და სატელევიზიო ანძა ქ. ცხინვალში.

იერიშისას დაგეგმილი იყო განურჩეველი მოქმედების მქონე საარტილერიო საშუალებების გამოყენება, მათ შორის, ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემების, რომელთა გამოყენება დასახლებულ პუნქტებში იწვევს მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივ დაღუპვას და მოქალაქეთა სასიცოცხლო უზრუნველყოფის ობიექტების ფართომასშტაბიან განადგურებას.

რუსეთის ფედერაციის მთავარ სამხედრო პროკურატურას სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის გენერალურ პროკურატურასთან ერთად ასევე, დადგენილი აქვს საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ საბრძოლო მოქმედებების მსვლელობისას სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ კასეტური საბრძოლო მასალებისა და 500კგ საავიაციო ბომბების გამოყენების ფაქტები, რომელთა გამოყენება მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ აკრძალულია 1980 წლის 10 ოქტომბრის კონვენციით „ჩვეულებრივი იარაღის მეტისმეტი დაზიანებით მიყენებული ან განურჩეველი მოქმედებების სახეობათა გამოყენების აკრძალვის ან შეზღუდვის შესახებ.“

- რუსეთის მიგრაციის ფედერალური სამსახურის სამმართველოს მონაცემების თანახმად, ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა - ალანიასთან დაკავშირებით, 2008 წ. 7-დან 16 აგვისტომდე პერიოდში, სამხრეთ ოსეთის ტერიტორია დატოვა 36 ათასზე მეტმა

ეთნიკურად ოსური წარმოშობის პირმა, რომელთა უმრავლესობას წარმოადგენდნენ მოხუცები, ქალები და ბავშვები.

- ამაზე მოწმობს, ჩამორთმეული და რუსეთის ფედერაციის პროკურატურასთან არსებულ საგამოძიებო კომიტეტის მასალებზე თანდართული საბრძოლო მოქმედებების პერიოდში, ქ. ცხინვალისა და მასთან მიმდებარე დასახლებული პუნქტების წყალმომარაგების დაბლოკვისა და მოწამვლის სამოქმედო გეგმა. აღნიშნული გეგმა დამტკიცდა მანამ სანამ საქართველო განახორციელებდა სამხედრო ინტერვენციას ალტერნატიული „სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს“ საშუალებით, რომელიც თბილისის მიმართ ლოიალურად იყო განწყობილი.
- აუცილებელია, ასევე, გავითვალისწინოთ ქართული აგრესიის შედეგად, სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლების - რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების განცხადებები (სულ 500-ზე მეტი განცხადება), საქართველოს პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში (ქ. ჰააგა) და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

ეს ფაქტები საფუძვლიან მიზეზესს იძლევა იმისათვის, რათა დავრწმუნდეთ, რომ ქართულ მხარეს გააჩნდა ოსების, როგორც ეთნიკური ჯგუფის, განზრახ განადგურების გეგმა. მხვერპლთა შედარებით მცირე რაოდენეობა მხოლოდ იმით არის განპირობებული, რომ ოსურ მოსახლეობას გააჩნდა მაღალი ხარისხის მზაობა საქართველოს იერიშის დროს, რამაც გამოიწვია მოსახლეობის დროული ევაკუაცია და რუსული მხარის სწრაფი სამხედრო ინტერვენცია.

კითხვა # 2. რატომ მიატოვეს ადამიანებმა საცხოვრებელი ადგილები 1990-2008 წლებში, განსაკუთრებით, 2008 წლის აგვისტოში, სექტემბერსა და ოქტომბერში და რა უშლის ხელს მათ დაბრუნებას? როგორ არის დაცული ამ პირების საკუთრების უფლებები? აქვთ თუ არა მათ საკუთრების თავისუფლად განკარგვის შესაძლებლობა?

საქართველოს მთავრობის პოლიტიკამ, ასევე 2008 წლის აგვისტოში სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ მის მიერ განხორციელებულმა სამხედრო მოქმედებებმა გამოიწვია შიდაეთნიკური ურთიერთობების გამწვავება სახელმწიფოს საზღვრებში. ამის შედეგად, მოხდა საქართველოს მოსახლეობის მასობრივი გადასვლა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე. პირველ რიგში, ეს შეეხოთ ეთნიკურ ოსებს, აფხაზებს, რუსებს, სომხებს, აზერბაიჯანელებს და საქართველოში მცხოვრებ სხვა ეთნიკურ უმცირესობებს.

2008 წლის აგვისტოში, მოვლენათა უკიდურესი გამწვავებისას, რუსეთის მიგრაციის ფედერალური სამსახურის ორგანოების მიერ დარეგისტრირებული იყო 36 ათასზე მეტი

ადამიანი, რომლებიც თავშესაფრის საძიებლად საქართველოდან რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე გადავიდნენ. 2008 წლის 12 აგვისტოდან, მას შემდეგ, რაც დაისახა კონფლიქტის ზონაში სიტუაციის სტაბილიზაციისკენ ტენდენცია და რუსეთის ფედერაციამ მიიღო კონკრეტული ზომები სამხრეთ ოსეთისთვის განადგურებული საცხოვრებელი სახლებისა და სოციალური სფეროს ობიექტების აღსადგენად დახმარების გაწევისთვის, დაიწყო ლტოლვილთა სამხრეთ ოსეთში, თავიანთ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნების აქტიური პროცესი. რუსეთის მიგრაციის ფედერალურმა სამსახურმა 33690 მოქალაქეს გაუწია დახმარება სამხრეთ ოსეთში ორგანიზებულად რეპატრიაციის პროცესში.

რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ასევე, იმყოფება 2 ათასზე მეტი საქართველოს მოქალაქე, რომლებსაც დატოვებული ჰქონდათ აფხაზეთი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პერიოდში.

ამას გარდა, რუსეთის მიგრაციის ფედერალური სამსახურის ტერიტორიულ ორგანოებში აღრიცხვაზე დგას 12650 ადამიანი, რომლებმაც დატოვეს საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივი საცხოვრებელი ადგილები 1989-1992 წლებში ეთნიკური კონფლიქტის შედეგად და რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის შესაბამისად, მიიღეს იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსი.

კონფლიქტის დაწყებიდან დღემდე, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ჩავიდა და ლტოლვილად აღიარების შუამდგომლობით მიმართა საქართველოს შიდა რაიონებიდან გადმოსახლებულმა 1846-მა ადამიანმა. აღნიშნულ პერიოდში, საქართველოდან 27 გადასახლებული პირი იყო აღიარებული ლტოლვილად, 530-ს მიეცა დროებითი თავშესაფარი. საქართველოს მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები რუსეთის ფედერაციაში ლტოლვილად აღიარების შუამდგომლობით მიმართვების ძირითად მიზეზებად ასახელებენ: საქართველოს ხელისუფლებას, აგრეთვე ეროვნულ საფუძველზე და პოლიტიკურ შეხედულებებზე ექსტრემისტების მხრიდან დევნის შიშს.

რუსეთის ფედერაციას მტკიცედ სჯერა, რომ გადაადგილებულ პირთა დაბრუნება უნდა მოხდეს უსაფრთხოდ, ნებაყოფლობით და ღირსეულად.

თუმცა, 2008 წლის 29 აგვისტოს, საქართველოს რუსეთის ფედერაციასთან დიპლომატიური კავშირების გაწყვეტასთან დაკავშირებით, საქართველოდან გადმოსახლებულთა სამშობლოში ნებაყოფლობითი დაბრუნების პროცესი მნიშვნელოვნად გართულდა, რადგან აღნიშნული პირებისაგან ბევრს არ გააჩნია პირადობის დამადასტურებელი საბუთი. იძულებით გადაადგილებულ პირთა

მოწესრიგებული დაბრუნების ორგანიზებაზე სამუშაოების დაწყების ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორები ასევე არის ეთნიკური დაძაბულობა და „ბუფერულ ზონებში“ სიტუაციის შესაძლო გამწვავება, რომელიც დაკავშირებულია იქ მყოფი საქართველოს ძალების გაზრდასთან, რამაც შეიძლება სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საზღვრებზე შექმნას დაძაბულობის ახალი კერები.

შექმნილ სიტუაციაში რუსეთის მიგრაციის ფედერალური სამსახურის ტერიტორიული ორგანოები იძულებული გახდნენ პოტენციური რეპატრიანტებისთვის გაეგრძელებინათ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ყოფნის ნებართვა, ვიდრე მათთვის არ იქნება გაფორმებული რეპატრიაციის მოწმობები.

რაც შეეხებათ ეთნიკურ ქართველებს, რომლებიც სამხრეთ ოსეთიდან საქართველოში გამოიქცნენ, მათმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა სახლები სამხედრო ოპერაციის დაწყებამდე დატოვა. აღნიშნული ფაქტი დადასტურებელია ადამიანის უფლებათა საკითხებში ევროსაბჭოს კომისრის ტ. ჰამერგბერგის მიერ წარდგენილ ანაგარიშში. ჩვენი ვარაუდით, 2008 წლის 8 აგვისტომდე და მომდევნო დღეებში ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის წამოსვლის მიზეზი უკავშირდება პირველად ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ქართული მხარე ამზადებდა სამახედრო ოპერაციას და ეს ოპერაცია მათი საცხოვრები სახლების სიახლოვეს უნდა წარმართულიყო. აღნიშნული პროცესი არ იყო განპირობებული ეთნიკურად ქართველების მიმართ წინასწარ განზრახული რაიმე სახის ქმედებით.

ამ დროისთვის დგინება, რომ ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის სახლებში დაბრუნება, განსაკუთრებით კი ლენინგორის რაიონში უკვე დაიწყო. რაც შეეხება იმ მოსახლეობას, რომელთა ადგილსამყოფელიც ცხინვალის ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს, დაბრუნების პროცესი ფიზიკურად შეუძლებელია იმის გამო, რომ დიდი ოდენობით სახლები განადგურდა სამხედრო ოპერაციის შედეგად და ასევე უსაფრთხოების ზომებთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების გამო.

სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე გადაადგილებულ პირთა საკუთრების უფლებების დაცვა უზრუნველყოფილია სამხრეთ ოსეთის სამართალდამცავი ორგანოების მიერ. იმ ორგანიზაციებს, რომლებიც თანამშრომლობენ სამხრეთ ოსეთთან, დავალებული აქვთ არ ჩაერთონ იმ არასამართლებრივ ქმედებებში, რაც უკავშირდება კერძო საკუთრებას.

რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული პასუხები

კითხვა # 3. 2008 წლის 7-12 აგვისტოს რომელ დღეს და რომელ სამიზნეებზე განხორციელდა შეტევა იმ ძალების მიერ, რომლებიც არ აკონტროლებდნენ

ადგილმდებარეობას, სადაც სამიზნეები იყო განთავსებული? აღნიშნული სამიზნეების ქალაქებსა და სოფლებში განთავსებისას, როგორ შეფასდა სამოქალაქო პირებს შორის შემთხვევითი მსხვერპლის და მათი დაშავების, აგრეთვე სამოქალაქო ობიექტებისათვის ზიანის მიყენების სავარაუდო ალბათობა? შეესაბამებოდა თუ არა რეალური შედეგი ნავარაუდევ მონაცემებს? და თუ არა, რატომ? აღნიშნული შეტევების დროს, სიფრთხილის რა ზომები იყო მიღებული როგორც თავდამსხმელის, ასევე დაცვაში მყოფი მხარის მიერ, სამოქალაქო პირებს შორის შემთხვევითი მსხვერპლის და მათი დაშავების, აგრეთვე, სამოქალაქო ობიექტებისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების ან მინიმუმამდე დაყვანის მიზნით? წარმატებით იქნა თუ არა გამოყენებული აღნიშნული სიფრთხილის ზომები? და თუ არა, რატომ?

– საქართველოს მშვიდობისკენ იძულების ოპერაციის მსვლელობისას, აგრესიის დაძლევის ერთადერთი მიზნით მოქმედი რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები ტანკებიდან, ქვეითთა საბრძოლო მანქანებიდან და მცირე შეიარაღებიდან, მთელი ოპერაციის მსვლელობისას, ცეცხლს ესროდნენ მხოლოდ რეალურად გამოვლენილ სამიზნეებს, რითაც გამოირიცხა დანაკარგები მშვიდობიან მოსახლეობას შორის. დარტყმებისთვის სამიზნეებად განსაზღვრული იყო ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემების ერთეულები, საარტილერიო და ნაღმსატყორცნი ერთეულები, ცოცხალი ძალა და მოწინააღდეგის საცეცხლე საშუალებები შეკრების ადგილას.

მთლიანობაში, რეალური ზიანი შეესაბამებოდა მოსალოდნელს. საარტილერიო ცეცხლმა და ავიაციის დარტყმებმა მოწინააღმდეგის ჯარს მიაყენეს მნიშვნელოვანი ზიანი და მათზე მოახდინეს მძიმე მორალურ-ფსიქოლოგიური ზეგავლენა.

ოპერაციის აქტიური ფაზის მსვლელობისას, რუსეთის სარდლობამ მიიღო მთელი რიგი ქმედითი ზომები, რომელიც მიმართული იყო იმ ზიანის გამოსარიცხად, რომელიც შეიძლება სამოქალაქო მოსახლეობისთვის და მოქალაქეთა ქონებისთვის ზიანის მომტანი ყოფილიყო. საარტილერიო ცეცხლი და საავიაციო დარტყმები იგეგმებოდა და ხორციელდებოდა დასახლებული პუნქტებიდან მნიშვნელოვან დაშორებაზე მყოფი, რეალურად გამოვლენილი სამიზნეების მიმართულებით. საარტილერიო საცეცხლე ამოცანების ძირითადი მოცულობა შესრულებული იყო გამოვლენილ სამიზნეებზე, საერთო საჯარისო ნაწილებისა და ქვედანაყოფების მეთაურთა მიერ ცეცხლის კორექტირებით, საარტილერიო მაკორექტირებლებისა და საარტილერიო დაზვერვის მეშვეობით. მშვიდობიანი მოსახლეობისა და სამოქალაქო ობიექტების განლაგების ადგილებს ცეცხლს არ უხსნიდნენ. ქართული ქვედანაყოფების უკან დახევის შემდეგ, მათ მიერ დაკავებული პოზიციებიდან, ცეცხლი წყდებოდა. რუსეთის ავიაცია,

დახმარებას უწევდა სახმელეთო ჯარების ქვედანაყოფებს და ახორციელებდა დარტყმებს ქართული ჯარების თავმოყრის ადგილებზე, საცეცხლე პოზიციებზე და სამხედრო ტექნიკის კოლონებზე. სამიზნეებზე, რომლებიც განლაგებული იყო დასახლებული პუნქტების საზღვრებში და მათ მახლობლად, საავიაციო დარტყმები არ ხორციელდებოდა. მოწინააღმდეგეზე ცეცხლის მიტანის მსვლელობისას, ხორციელდებოდა განადგურებისკენ მიმართული სროლის კონტროლი.

მიღებული ზომების შედეგად, გამოირიცხა დანაკარგები მშვიდობიან მოსახლეობას შორის. ამას გარდა, რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების ძალებით, ორგანიზებული იყო მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია ქართულ-სამხრეთ ოსური კონფლიქტის რაიონიდან, რამაც შესაძლებელი გახადა სამხედრო მოქმედებების მსვლელობისას დაზარალებულ სამოქალაქო პირთა რაოდენობის მნიშვნელოვნად შემცირება.

კასეტური საბრძოლო მასალები, რომლებიც რუსეთის ავიაციის შეიარაღებაშია და განკუთვნილია მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალისა და ჯავშანტექნიკის გასანადგურებლად გახსნილ ტერიტორიაზე, რუსეთის მხარის მიერ, საქართველოს მშვიდობისკენ იძულების ოპერაციის მსვლელობისას არ გამოყენებულა.

ამავე დროს, ქართული მხარის მიერ კასეტური ტიპის საავიაციო საბრძოლო მასალების გამოყენების მტკიცებულებად შეიძლება გამოვიყენოთ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მათი ცალკეული ელემენტები და ასევე ზემოხსენებული საავიაციო საბრძოლო მასალების ელემენტების (შემადგენელი ნაწილების) ფოტოსურათები, რომლებიც აღმოჩენილია ზემო ფრისის (სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის, ცხინვალის რაიონი) დასახლებული პუნქტის მიდამოებში. ქართულ-სამხრეთ ოსური კონფლიქტის დროს ქართული მხარის მიერ გამოყენებული იყო საქართველოს შეიარაღებაში არსებული 152 მმ-იანი თვითმავალი ჰაუბიცა „დანა“ და 2003-2007 წლებში ჩეხეთის მიერ საქართველოსთვის მიწოდებული 120 მმ-იანი ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები რმ-70, რომელიც არ მიეკუთვნება მაღალი სიზუსტის შეიარაღებას (ზცრს რმ-70-ის ერთი ზალპით დაზიანების ფართობი შეადგენს 14,5 ჰა-ს).

რუსეთის სასწრაფო დახმარების სამსახურმა და თავდაცვის სამინისტრომ გააუვნებელყო ქართული მხარის მიერ დატოვებული ამგვარი სახის იარაღის ნარჩენები. რუსეთის სამხედრო დანაყოფებმა ასევე გაატარეს დაზვერვითი სამუშაოები საბრძოლო მოქმედებების სიახლოვეს ფეთქებადსაშიში ნივთიერებების აღმოსაჩენად. სხვა გაწმენდითი სამუშაოები, რომელთა მიზანიც იყო ფეთქებადსაშიში ნივთიერებების

აღმოჩენა და განადგურება, ასევე განხორციელდა ცხინვალსა და მის შემოგარენში, კერძოდ, ზნაურის რაიონში, ხეთაგუროვოში, ავნევში, ზემო ფრისსა და ფრისში.

რუსულმა სამხედრო დანაყოფებმა განახორციელეს გაწმენდითი სამუშაოები ფეთქებადსაშიში ნივთიერებების აღმოსაჩენად და გასანადგურებლად საქართველოშიც. ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნის შესაბამისად, განაღმვითი სამუშაოები ჩატარდა შემდეგ ადგილებში: კარალეთში, ვარიანში, შინდისში, ფხვენისში, არაშენდაში, ახალდაბაში, ზემო ხვითში, ზემო ნიქოზში, ერგნეთსა და ტყვიავში.

ქართულ სოფლებში ხანძრისა და ნგრევის ძირითადი მიზეზი გახდა უკან დახეული საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების მიერ, სახლებზე წინასწარ განზრახული ცეცხლის წაკიდება, რის შედეგადაც ხდებოდა ცალკეული საბრძოლო მასალის აფეთქებები და მათი შემდგომი დეტონაცია. მათ შორის, სროლა ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნებისკენ, რომლებიც ქართული თავდაცვის რაზმების შეიარაღებისთვის, წინასწარ იყო თავმოყრილი რიგი ქართული სოფლების მცხოვრებლების სახლებში (კეხვი, თამარაშენი, ხეითა, ქურთა ერედვი, ავნევი და სხვ.).

კითხვა # 4. როგორია თქვენი სამართლებრივი პოზიცია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის კონტექსტში, შეიარაღებული კონფლიქტის დროს „გრადის“ ტიპის მრავალჭურვიანი სარაკეტო დანადაგარებისა და კასეტური საბრძოლო მასალის გამოყენების თვალსაზრისით? რატომ და რომელი სამიზნის წინააღმდეგ (განსაკუთრებით, მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებზე) იქნა გამოყენებული „გრადის“ ტიპის მრავალჭურვიანი სარაკეტო დანადაგარები და/ან კასეტური საბრძოლო მასალა? რა ზომები იქნა მიღებული ომის ფეთქებადსაშიში გადმონაშთების მოსანიშნად და გასაუვნებელსაყოფად (კერძოდ, მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში)?

<u>**პასუხი:**</u> რეაქტიული არტილერიის ცეცხლი იგეგმებოდა და ხორციელდებოდა მოწინააღმდეგის საარტილერიო, რეაქტიული და ნაღმსატყორცნი ერთეულების მიმართულებით, რომლებიც დასახლებულ პუნქტებს გარეთ, არანაკლებ, 1-1,5 კმ-ის დაშორებით იყვნენ განლაგებულნი. სარაკეტო დარტყმები ხორციელდებოდა მხოლოდ დასახლებულ პუნქტებს გარეთ მყოფი საქართველის ცოცხალი ძალების, სამხედრო ტექნიკისა და საცეცხლე საშუალებების თავმოყრის დადასტურებული რაიონების მიმართულებით.

კასეტური საბრძოლო მასალები, რომლებიც რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების დამრტყმელი ავიაციის შეიარაღებაშია და განკუთვნილია მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალისა და ჯავშანტექნიკის გასანადგურებლად – ღია ადგილებში არ გამოყენებულა.

კითხვა #5. იმ ტერიტორიებზე, რომლებიც 2008 წლის სამხედრო მოქმედებების დროს თქვენი ან მოწინააღმდეგის ძალების კონტროლის ქვეშ იყო, მთლიანობაში რა კატეგორიის ჯგუფებთან ან ცალკეულ პირებთან მიმართებაში განხორციელდა სიკვდილით დასჯა, გაუპატიურება, სამოქალაქო პირებთან არასათანადო მოპყრობა ან ძარცვა, აგრეთვე, შენობების დაწვა ან განადგურება? რა ზომები იქნა მიღებული ტერიტორიის მაკონტროლირებელი მხარის მიერ ამგვარი ძალადობის შეჩერების ან აღკვეთის მიზნით?

<u>**პასუხი:**</u> რუსეთის ჯარების სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე შეყვანის სამართლებრივი საფუძველი გახდა გაერო-ს წესდების 51-ე მუხლის, თავდაცვის უფლების შესახებ, რეალიზაცია, რაზეც დადგენილი წესით ინფორმირებულ იქნა გაერო-ს უშიშროების საბჭო. 2008 წლის 8-12 აგვისტომდე, რუსეთის სამშვიდობოთა გაძლიერებულმა ქვედანაყოფებმა ჩაატარეს სამხრეთ ოსეთში საქართველოს მშვიდობისაკენ იძულების ოპერაცია.

ოპერაციის მსვლელობისას, რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურა თავის ფუნქციებს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ახორციელებდა უშუალოდ, რუსული ჯარების საქმიანობასთან დაკავშირებით. რაც შეეხება რუსეთის სამართალდამცავი ორგანოების მიერ სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ ქართული არმიის დანაშაულებების გამოძიებას, აქ საუბარი იყო გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებებზე საგანგებო სიტუაციის პირობებში. ქართულ-სამხრეთ ოსური კონფლიქტის კულმინაციური ფაზის დასრულების შემდეგ, შესაბამისი უფლებამოსილობა თავის თავზე სრულად აიღეს სამხრეთ ოსეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა.

რუსეთის ფედერაციის პროკურატურასთან არსებული საგამომძიებო კომიტეტის მონაცემებით, რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეების მხრიდან მკვლელობების, ძალადობების, მშვიდობიანი მოქალაქეების მიმართ არაადამიანური მოპყრობის, ძარცვის, გადაწვის და სამოქალაქო შენობების განადგურების ფაქტები, საქართველოს მშვიდობისაკენ იძულების ოპერაციის ჩატარებისას, დაფიქსირებული არ ყოფილა.

ოპერაციის ჩატარების პირველი დღიდან, რუსეთის ჯარების სარდლობამ მიიღო ამომწურავი ზომები ქართული მოსახლეობის მიმართ ძარცვისა და უწესობის შემთხვევების თავიდან ასაცილებლად. რუსეთის ფედერაციის შეირაღაბული ძალების გენერალური შტაბის დირექტივას – სახმელეთო ჯარების მთავარსარდლის ბრძანებას „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების დაცვის

უზრუნველყოფისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების შენარჩუნების შესახებ“ გაეცნო ქვედანაყოფების სრული პირადი შემადგენლობა, რომელიც მონაწილეობდა ოპერაციაში.

რუსეთის ჯარები სამხრეთ ოსურ ძალოვან სტრუქტურებთან ერთად, ქართულ სოფლებში გადარჩენილი სახლებისა და მიწის ნაკვეთების სადღეღამისო დაცვას ახორციელებდნენ, რითიც უზრუნველყოფდნენ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მოსახლეობის უსაფრთხოებას, მიუხედავად მათი ეროვნებისა.

ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის წარმომადგენლების ნებართვით, რუსული ჯარების სამხედრო მოსამსახურეები დახმარებას უწევდნენ ქართველ მოსახლეობას, საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების აღდგენაში. კერძოდ, გორისა და ქარელის დასახლებული პუნქტების მცხოვრებლებს ამგვარი დახმარება გაეწიათ 2008 წლის 16-18 აგვისტოს. ქ. გორის სამოქალაქო მოსახლეობის ჰუმანიტარული დახმარებისათვის ორგანიზებული იყო 30 ტონაზე მეტი სურსათის მიწოდება და გაცემა.

როგორც რუსეთის სამართალდამცავი ორგანოების მასალებიდან გამომდინარეობს, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ოპერაციის – „სუფთა ველის“ შემუშავებაში და განხორციელებაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს უმაღლესი თანამდებობის პირები: თავდაცვის მინისტრი დ. კეზერაშვილი, გაერთიანებული შტაბის უფროსი ზ. გოგავა, შინაგან საქმეთა მინისტრი ვ. მერაბიშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე შ. ჯანაშვილი, დაზვერვის სპეციალური სამსახურის უფროსი გ. ბეჟუაშვილი, თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ბ. ქუთელია, თავდაცვის მინისტრის მოადგილე გ. მუჩაიძე, გაერთიანებული შტაბის J-5 (სტრატეგიული დაგეგმვისა და კონტროლის) დეპარტამენტის უფროსი ი. ბატკუაშვილი, სახმელეთო ჯარების სარდალი ზ. აგლაძე, ეროვნული გვარდიის დეპარტამენტი უფროსი დ. აფციაური, სამშვიდობო ძალების სარდალი მ. ყურაშვილი, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების უფროსი სამხედრო ხელმძღვანელი კ. ურუშაძე. საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი არის ქვეყნის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი.

უშუალოდ დანაშაულის ჩადენის ადგილზე, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე დანაშაულის ჩადენაში მონაწილე პირები აღმოჩენილი და დაკავებული არ ყოფილა. ამასთან, რუსეთის ფედერაცია დიდ ყურადღებას აქცევს, რომ სამხრეთ ოსეთში ჩადენილ დანაშაულებს მიეცეს სამართლებრივი შეფასება, მათ შორის, საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით.

კითხვა # 6,7. 2008 წლის საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ, იყვნენ თუ არა პირები, რომლებიც აღიქმებოდნენ, მოწინააღმდეგე მხარესთან ასოცირებულ პირებად? რა სამართლებრივ საფუძველზე მოხდა მათი დაპატიმრება? როგორ ეპყრობოდნენ მათ? მოხდა თუ არა მათი გათავისუფლება და როდის?

2008 წლის საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ, იყვნენ თუ არა პირები, რომლებიც აღიქმებოდნენ, მოწინააღმდეგე მხარესთან ასოცირებულ პირებად? მოხდა თუ არა მათი დისკრიმინაცია ან /და ხელი ილახებოდა თუ არა მათი ადამიანის უფლებები? რა ზომები იქნა მიღებული ამგვარი პრაქტიკის წინააღმდეგ?

პასუხი: საქართველოს მშვიდობისკენ იძულების ოპერაციის მსვლელობისას, რუსეთის და სამხრეთ ოსეთის სამხედრო ქვედანაყოფების მიერ დაკავებული იყო საქართველოს 85 მოქალაქე. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს ზოგიერთი სამხედრო მოსამსახურე, თავიანთი ქვედანაყოფებიდან დეზერტირობისას, თავიდან იცილებდა იარაღსა და სამხედრო აღჭურვილობას, ანადგურებდა პირად საბუთებს, იცვამდა სამოქალაქო ტანსაცმელს და ა. შ., დაკავებულ პირთა შორის სამხედრო მასამსახურეთა ზუსტი რაოდენობის დადგენა ვერ მოხერხდა.

დაკავებული ქართველი მოქალაქეების წინააღმდეგ რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის სამხედრო მოსამსახურეებს არანაირი კანონსაწინააღმდეგო ზომები არ გამოუყენებიათ. ყველა პირი, რომელმაც განაცხადა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში თავისი მსახურის შესახებ და ვინც უარყოფდა სამხედრო სამსახურში სამსახურს, იმყოფებოდა თანაბარ პირობებში, საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული ყველა მოთხოვნის შესაბამისად.

2008 წლის 27 აგვისტოს, ყველა დაკავებული საქართველოს მოქალაქე, გადაცემის ფაქტის ყველა დოკუმენტის გაფორმებით, გადაეცა ქართულ მხარეს. ერთდროულად, რუსეთის სამხედრო სარდლობის წარმომადგენლებს გადაეცათ ქართული ძალოვანი სტრუქტურების მიერ დაკავებული, რუსეთის 13 სამხედრო მოსამსახურე. გაცვლა ხორციელდებოდა ევროსაბჭოს ადამიანის უფლებების დაცვის კომისრის ტ. ჰამერბერგის ზედამხედველობით. ამ პროცედურისას, ქართველი დაკავებულების მხრიდან, მათი უფლებების დარღვევის შესახებ არანაირი განცხადება არ გაკეთებულა.

რუსეთის ფედერაციას არ გააჩნია ინფორმაცია კომფლიქტის დასრულების შემდგომ, იმ პირთა უფლებების შეზღუდვის ფაქტების შესახებ, რომლებიც ქართულ-სამხრეთ ოსურ კონფლიქტში ქართულ მხარეს წარმოადგენდნენ.

კითხვა #8. რა ნაბიჯები გადადგა თქვენმა ან მოწინააღმდეგე მხარემ, რათა გაერკვია იმ პირების ბედი, რომლებიც დაკარგულად არიან გამოცხადებული 1990 წლის შემდეგ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის, მათი ოჯახების, ან იმ მხარის მიერ, რომელთაც ისინი ეკუთვნიან? ეს ნაბიჯები რა შემთხვევებში იყო წარმატებული? და თუ იგი არ იყო წარმატებული, რატომ?

პასუხი: სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, საქართველოს სპეცსამსახურების მიერ ორგანიზებული ტერორისტული აქტების შედეგად, უგზო-უკვლოდ დაკარგული პირებისა და ასევე დაღუპულების დასადგენად, რუსეთის ფედერაციის პროკურატურასთან არსებული საგამოძიებო კომიტეტის მიერ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის გენერალურ პროკურატურაში გაიგზავნა მოთხოვნა სამართლებრივი დახმარების შესახებ.

კითხვა #9. 1990 წლიდან, კონფლიქტთან დაკავშირებულ დანაშაულებთან მიმართებაში, რა სახის საგამოძიებო საქმიანობა და სასამართლოს წესით დევნა იყო განხორციელებული თქვენი სასამართლო ხელისუფლების მიერ, როგორც საკუთარი, ასევე მოწინააღმდეგისა და ადგილობრივი ძალების წევრების, აგრეთვე, სამოქალაქო პირების მიმართ?

პასუხი: 2008 წლის 8 აგვისტოს, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში, საქართველოს მიერ შეიარაღებული ძალების არამართლზომიერი გამოყენების შედეგად, რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების, სამშვიდობო ფორმირებების შემადგენლობაში შემავალ 13 დაღუპულ და 36 დაჭრილ სამხედრო მოსამსახურესთან დაკავშირებით ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ოლქის რუსეთის ფედერაციის პროკურატურასთან არსებული საგამოძიებო კომიტეტის სამხედრო საგამომძიებო სამმართველოს მიერ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე № 14/00/0051-08 დანაშაულის ნიშნებით, რომლებიც გათვალისწინებულია რფ სსკ-ს 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა," „ბ," „ე" ქვეპუნქტებით (ორი ან მეტი პირის მკვლელობა, მათ მიერ სამსახურეობრივი საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით ჩადენილი საყოველთაოდ საშიში ხერხით).

2008 წლის 12 აგვისტოს, სამხედრო ოპერაციაში რუსეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურის სიკვდილთან დაკავშირებით, ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქოს კრიმინალურიმა საგამოძიებო განყოფილებამ, რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურის საგამოძიებო კომისიის ხელმძღვანელობით, სამართლებრივი ნორმების დაცვით, გახსნა სისხლის სამართლის საქმე #14/00/0052-08 დანაშაულის ნიშნებით, რომლებიც გათვალისწინებულია რფ სსკ-ს 105-ე მუხლის მე-2

ნაწილის „ა,“ „ბ,“ „ე“ ქვეპუნქტებით (რომელიც გაერთიანდა სისხლის სამართლის საქმე № 14/00/0051-08 -ში).

ამ დროისთვის აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე შემდგომი გამოძიებისთვის გადაცემულია რუსეთის ფედერაციის პროკურატურასთან არსებულ საგამოძიებო კომიტეტის მთავარ საგამომძიებო სამმართველოში.

ქართულ-სამხრეთ ოსური კონფლიქტის მსვლელობისას, რუსეთის მხარის მიერ საბრძოლო მოქმედებების ჩატარებისას უკანონო მეთოდების გამოყენების ფაქტები დადგენილი არ არის.

საბრძოლო მოქმედებების პერიოდში რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების, სხვა ჯარების, სამხედრო ფორმირებებისა და ორგანოების სამხედრო მოსამსახურეების მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ რაიმე დანაშაულებები არ ჩადენილა.

სამხედრო მოსამსახურეების მიერ სხვა უცხო ქვეყნების მოქალაქეების, მათ შორის, საქართველოს მოქალაქეების წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენის ფაქტები რუსეთის ფედერაციის სამხედრო პროკურატურის ორგანოებში არ არის დარეგისტრირებული.

საჩივრები, რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალებისა და რუსეთის სხვა სამხედრო ფორმირებების სამხედრო მოსამსახურეების მხრიდან ძალადობრივი დისკრიმინაციული ზომების გატარებაზე ეთნიკური ქართველების მიმართ, სამშვიდობო ოპერაციების ჩატარების ზონებში, რუსეთის სამხედრო პროკურატურის ორგანოებში არ შემოსულა.

პროკურატურის შემოწმებების მსვლელობისას, რუსეთის ჯარების მოქმედებების შედეგად, დაღუპვისა და ეთნიკურად ქართველი სამოქალაქო პირების ძალადობრივი გადაადგილების ფაქტები სამხედრო პროკურორების მიერ არ არის მიღებული.

საზედამხედველო ღონისძიებები და სამხედრო პროკურორების მიერ გამოთხოვილი მასალები არ ადასტურებენ ცნობებს რუსეთის სამხედრო მოსამსახურეების მონაწილეობის შესახებ, საქართველოს მოქალაქეების სასამათლოს გარეშე სიკვდილით დასჯაში, მათი ქონების დატაცებაში, ეთნიკური ქართველების იძულებით გადაყვანში, მათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნების არდაშვებაში, რუსეთის სამშვიდობოების მიერ ეთნიკური ქართველების არაადეკვატურ დაცვაში და ასევე სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკისა და საქართველოს ტერიტორიებზე სოციალური

ინფრასტრუქტურის ობიექტების მიმართულებით საავიაციო, სარაკეტო დარტყმების მიყენებასა და არტილერიით ცეცხლის წარმოებაში.

შესაბამისი საგამოძიებლო ღონისძიებები სამხრეთ ოსური შეიარაღებული ფორმირებების წევრებისა და ასევე ქართულ-სამხრეთ ოსურ კონფლიქტთან დაკავშირებული დანაშაულების ჩამდენ სამოქალაქო პირთა მიმართ, სრული მოცულობით ხორციელდება სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ.

სამხედრო ნაწილების სარდლობა, რომელიც დისლოცირებულია სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, 2008 წლის 17 სექტემბრის „რუსეთის ფედერაციასა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ“ ხელშეკრულების შესაბამისად, დახმარებას უწევს რესპუბლიკის სამართალდამცავ ორგანოებს მართლწესრიგის შენარჩუნებასა და კანონიერების დაცვაში.

გარდა ამისა, სამხედრო სამმართველოს ორგანოები, რუსული სამხედრო კონტინგენტის სამხედრო თანამდებობის პირები, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთქმედებაში, მუდმივად ატარებენ ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალების მოსახლეობაში უკანონო ბრუნვიდან ამოღების ღონისძიებებს (სულ ამოღებულია 50 ერთეულზე მეტი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი).

ამ დროისათვის, 2008 წლის 17 სექტემბრის „რუსეთის ფედერაციასა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ“ ხელშეკრულების შესაბამისად, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებულია რუსეთის სამხედრო კონტინგენტი.

კითხვა # 10. თქვენი კონტროლის ქვეშ მყოფი ძალების ან პირების მიერ საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონმდებლობის ან ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მიიღეს თუ არა ძალადობის მსხვერპლებმა კომპენსაცია? იყო თუ არა გამოყენებული აღდგენითი მართლმსაჯულების სხვა ელემენტები? თუ არა, რატომ? რა გზით იქნება შესაძლებელი მსხვერპლებისათვის კომპენსაციის უზრუნველყოფა?

– რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეების მიერ ჰუმანიტარული საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და ადამიანის უფლებების დარგში უფლებების დარღვევის ფაქტები საქართველოს მშვიდობისკენ იძულების ოპერაციის მსვლელობისას არ დაფიქსირებულა.

ჰუმანიტარული სამართალი და ადამიანის უფლებები

დამატებითი შეკითხვები

ჰუმანიტარულ საკითხებთან დაკავშირებული დამატებითი შეკითხვები რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებების მიმართ

თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს:

1. გთხოვთ, განმარტოთ: იმ შემთხვევებში, როდესაც კონფლიქტის განმავლობაში ან მის შემდგომ პერიოდში, სამხრეთ ოსეთში (განსაკუთრებით, ცხინვალში) ცალკეული პირები დაკავებულნი იყვნენ არა რუსეთის, არამედ კონფლიქტის მონაწილე სხვა მხარეების წარმომადგენლების მიერ, იმყოფებოდნენ თუ არა რუსეთის ძალები იმ ობიექტებში, სადაც დაკავება ხდებოდა?
2. გთხოვთ, განმარტოთ, რატომ გააუქმეს მათი განთავსებიდან ერთი კვირის შემდეგ, ის საკონტროლო-გამშვები პუნქტები და საგზაო ბარიერები, რომლებიც რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა 2008 წლის 13 აგვისტოს ე.წ. ბუფერულ ზონაში (სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე) განალაგეს?
3. გთხოვთ, კონფლიქტის ფაქტების დამდგენ მისიას მიაწოდოთ მონაცემები რუსეთის სამშვიდობოების „სამედიცინო ქვედანაყოფების შენობებსა და სამედიცინო სამსახურის სატრანსპორტო ობიექტებზე“ განხორციელებული იმ თავდასხმების ადგილმდებარეობის, დროისა და გარემოებების შესახებ (ანგარიში „ოსეთის ტრაგედია: სამხილების ფოტოგრაფია“ გვ. 23), რომელთა შესახებ ინფორმაცია მხოლოდ სიტყვიერ მტკიცებას ეფუძნება.
4. გთხოვთ, კონფლიქტის ფაქტების დამდგენ მისიას წარუდგინოთ რუსული სამშვიდობო ძალების იმ წარმომადგენელთა სია, რომლებიც სამხრეთ ოსეთში საქართველოს შეიარაღებული ძალების 7-12 აგვისტოს ოპერაციის შედეგად დაიღუპნენ (სახელების, დაბადების თარიღების, მისამართების, აგრეთვე, დაღუპვის ზუსტი დროის, ადგილმდებარეობისა და გარემოებათა ჩათვლით).
5. თუ სათანადო ინფორმაცია თქვენთვის ხელმისაწვდომია, გთხოვთ, კონფლიქტის ფაქტების დამდგენ მისიას წარუდგინოთ ოსეთის მილიციის იმ წარმომადგენელთა სია, რომლებიც კონფლიქტის შედეგად დაიღუპნენ (სახელების, დაბადების თარიღების, მისამართების და ა.შ. ჩათვლით).

პროკურატურის წარმომადგენლებს:

6. ფაქტების დამდგენი მისიისათვის გადაცემული მონაცემების მიხედვით, კონფლიქტის შედეგად, სამხრეთ ოსეთის 162 სსამოქალაქო პირი დაიღუპა. გთხოვთ, მოგვაწოდოთ აღნიშნულ რაოდენობასთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია (როგორიცაა, დახოცილთა შორის ბავშვების, ქალების, მოხუცებისა და მამაკაცების რიცხვი).

7. სამოქალაქო ობიექტების (საცხოვრებელი სახლების, შენობების და ბინების) დაზიანების თაობაზე – სამხრეთ ოსეთის მილიციის წარმომადგენლების მიერ გარკვეული ობიექტების საცეცხლე და თავდაცვის პოზიციების დანიშნულებით გამოყენების ამსახველი ანგარიშების გათვალისწინებით, გთხოვთ, მიუთითოთ, გარკვეული ობიექტების მიმართულებით ცეცხლის წარმოების პერიოდში პროკურატურის განკარგულებით იყვნენ თუ არა დისლოცირებული მილიციის თანამშრომლები აღნიშნულ ნაგებობაში?

8. გთხოვთ, განმარტოთ, რატომ შეწყვიტა გამოძიება პროკურატურის საგამოძიებო კომიტეტმა 2008 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში, იმის გათვალისწინებით, რომ არსებობდა ინფორმაცია 2008 წლის სექტემბერში სამხრეთ ოსეთში ადამიანის უფლებათა დარღვევების შესახებ და ასევე არსებობდა სიტყვიერი განცხადებები ცალკეული დანაშაულის, მათ შორის ძარცვის, შესახებ, სამხრეთ ოსეთის იმ მაცხოვრებლების მიმართ, რომლებსაც ჰქონდათ რუსული წარმოშობა?

9. 29 ივლისს, როგორც ფაქტების დამდგენ მისიასთან გამართულ შეხვედრაზე აღინიშნა, რომ სისხლის სამართლის 80 საქმე ამჟამად, სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მიერ განხილვისა და წარმოების პროცესშია. თუ შესაბამისი ინფორმაცია თქვენთვის ხელმისაწვდომია, გთხოვთ, მიუთითოთ, აღნიშნულ შემთხვევათაგან რამდენი მათგანი არის დაკავშირებული სამხრეთ ოსეთის ძალებთან?

10. შესაძლოა, პროკურატურის მიერ სამხრეთ ოსეთში ჩატარებული მასშტაბური საგამოძიებო ღონისძიებებით საგამოძიებო კომისიისათვის ხელმისაწვდომი გახდა რუსი ეროვნების არქმონე პირების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების ამსახველი ინფორმაცია ან შესაბამისი სამხილები. გთხოვთ, მიუთითოთ, სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებასთან მიმართებაში რა სახის საკოორდინაციო საქმიანობა განხორციელდა ინფორმაციის შესაბამისი ორგანოებისათვის შემდგომი გამოძიების მიზნით, სათანადოდ გადაცემის უზრუნველსაყოფად.

შესაბამის სახელისუფლებო ორგანოებს:

11. გთხოვთ, წარგვიდგინოთ დამატებითი ინფორმაცია კონფლიქტისა და მისი შედეგებით მიყენებული მატერიალური ზარალის აღდგენის იმ პროგრამასთან დაკავშირებით, რომელიც სამხრეთ ოსეთში რუსეთის დაფინანსებით ხორციელდება.

ინფორმაცია მოიცავს იმ პირების ჩამონათვალს, რომლებსაც ამ პროგრამით დახმარების მიღების უფლება გააჩნიათ.

სამხრეთ ოსეთი

– კონფლიქტის ხედვა და ქრონოლოგია
– სამხედრო ასპექტები – შეკითხვები და პასუხები
– ჰუმანიტარული სამართალი და ადამიანის უფლებები – შეკითხვები

კონფლიქტის ხედვა და ქრონოლოგია

შეხედულება კონფლიქტზე და მისი ქრონოლოგია

თანამედროვე ქართულ-ოსური კონფლიქტის წარმოშობა, რომელიც 2008 წლის აგვისტოში სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ საქართველოს შეიარაღებული აგრესიით დასრულდა, XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს განვითარებული მოვლენებით იყო განპირობებული. ამ პერიოდში, სსრკ-ის უმაღლესი ხელისუფლების უუნარობამ შეეჩერებინა ის ძირეული პროცესები, რამაც ყოფილი საბჭოთა კავშირი საბოლოო დაშლამდე მიიყვანა, საბჭოთა რესპუბლიკებში გააქტიურა ეროვნული მოძრაობები ცენტრალური ხელისუფლებისგან დამოუკიდებლობის მოპოვების მიზნით. საქართველოში ამ პროცესს უძღვებოდა რადიკალი ნაციონალისტი ზ. გამსახურდია, რომელმაც პირველმა გააჟღერა ლოზუნგი – „საქართველო ქართველებისთვის," რაც მოგვიანებით საქართველოს სახელმწიფოებრივი პოლიტიკის საფუძველი გახდა მის ავტონომიებთან მიმართებაში. თავისთავად ცხადია, რომ ასეთ ვითარებაში სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს" შემადგენლობაში ყოფნა აბსოლუტურად შეუძლებელი გახდა.

სსრკ-ის შემადგენლობიდან გასვლის გადაწყვეტილებით, საქართველომ უგულვებელყო სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის უფლება საქართველოს შემადგენლობიდან გასვლის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ მათი ეს უფლება უზრუნველყოფილი იყო 1990 წელს მიღებული „სსრ კავშირიდან რესპუბლიკის გასვლასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარების შესახებ" სსრკ-ის კანონით, რომელიც ასევე, მოქმედებდა იმ ავტონომიური სუბიექტებისთვის, რომლებიც ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იმყოფებოდნენ. 1991 წელს, საქართველომ გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა, ხოლო სამხრეთ ოსეთი, თავისი კონსტიტუციური უფლების გამოყენებით, 1991 წლის 17 მარტს ჩატარებული რეფერენდუმის შემდეგ, დარჩა სსრკ-ის შემადგენლობაში.

ამ დროისთვის პოლიტიკური ბრძოლა უკვე გადაიზარდა საქართველოს ღია შეიარაღებულ აგრესიაში სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის წინააღმდეგ, რომლის

შედეგადაც, სამხრეთ ოსეთის მხრიდან დაიღუპა და უგზო-უკვლოდ დაიკარგა ათასზე მეტი ადამიანი, დაახლოებით, 2,5 ათასმა მიიღო სხვადასხვა სიმძიმის დაზიანება. სამხრეთ ოსეთიდან ჩრდილო ოსეთში ჩავიდა 55 ათასი დევნილი, დაახლოებით, 120 ათასი ოსი, რომლებიც ადრე საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ცხოვრობდნენ, ასევე, იძულებით გახდნენ დევნილები.

1992 წლის დასაწყისში, სახელმწიფო გადატრიალებამ საქართველოში და იქ დაწყებულმა სამოქალაქო ომმა, გარკვეულწილად, შეამცირა სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების ინტენსივობა, მაგრამ 1992 წლის გაზაფხულზე ქართულ-ოსური კონფლიქტი კვლავ მკვეთრად გამწვავდა. ქალაქი ცხინვალ(ი) მთლიანად იყო ბლოკირებული. სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებებში უკვე მონაწილეობდნენ არა მხოლოდ ქართული არარეგულარული შეიარაღებული ფორმირებები და კრიმინალური დაჯგუფებები, არამედ შსს-სა და საქართველოს რეგულარული არმიის ქვედანაყოფები. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე დამწვარი და განადგურებული იყო 100-ზე მეტი ოსური დასახლებული პუნქტი. რუსეთის ზეწოლის შედეგად, საქართველო დათანხმდა მოლაპარაკებებს, რომლებიც 1992 წლის 24 ივნისს, ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების პრინციპების შესახებ დაგომისის შეთანხმების ხელმოწერით დასრულდა. ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების პრინციპების შესახებ დაგომისის შეთანხმება ითვალისწინებდა კონფლიქტის დასარეგულირებლად სპეციალური ორგანოს - შერეული საკონტროლო კომისიის (შსკ) შექმნას, რომელიც შედგებოდა ოთხი მხარის - საქართველო, სამხრეთ ოსეთი, რუსეთი და ჩრდილოეთ ოსეთი – წარმომადგენლებისგან და ეუთოს მონაწილეობით. 1992 წლის 14 ივლისს, მას შემდეგ რაც კონფლიქტის ზონაში შეიყვანეს შერეული სამშვიდობო ძალების სამი ბატალიონი – რუსული, ქართული და ოსური შემადგენლობით, საბრძოლო მოქმედებები შეწყდა.

ამ დროიდან სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკამ, რომელზეც 1990 წლიდან საქართველოს იურისდიქცია ფაქტობრივად არ ვრცელდებოდა, მოიპოვა დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოს სტატუსი.

აგრესიული რიტორიკის მიუხედავად, რომელიც თბილისის მაღალი რანგის ოფიციალური პირებისგან სამხრეთ ოსეთის მისამართით ისმოდა, სამხრეთ ოსეთი აგრძელებდა მოლაპარაკებების პროცესში საერთაშორისოდ აღიარებულ შსკ-ის ფორმატში მონაწილეობას; სამმხრივი სამშვიდობო ოპერაციის ეფექტიანობას ქართული მხარეც აღიარებდა.

ქართულ-ოსური კონფლიქტის ესკალაცია და სამხრეთ ოსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის მკვეთრი გაუარესება 2004 წლის დასაწყისში ხელახლა დაიწყო. ეს დაკავშირებული იყო საქართველოს ხელისუფლებაში მ. სააკაშვილის მოსვლასთან, რომელმაც განაცხადა, რომ იგი გეგმავდა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის საქართველოს შემადგენლობაში ინტეგრირებას ნებისმიერ ფასად. ქართული ხელისუფლების მიერ არჩეულმა პოლიტიკურმა კურსმა გამოიწვია კონფლიქტის ზონაში ქართული მხარის მიერ დაძაბულობის გაღვივება რაც საბოლოოდ გამოიხატა 2004 წლის ივლისში, საქართველოს ღია სამხედრო აგრესიაში სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ. ქართულმა ჯარებმა, რომლებიც ცხინვალის გარშემო სტრატეგიული სიმაღლეების დაკავებას ცდილობდნენ, განიცადეს მნიშვნელოვანი დანაკარგი და 2004 წლის აგვისტოს ბოლოს, უკან დაიხიეს. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ ოსეთი აწარმოებდა მხოლოდდამხოლოდ თავდაცვით სამხედრო მოქმედებებს, სხვა ქვეყნების, მათ შორის რუსეთის მხრიდან, რაიმე სამხედრო დახმარების გარეშე. ამასთან, კონფლიქტის ზონაში მყოფი რუსული სამშვიდობო ქვედანაყოფები საბრძოლო მოქმედებებში არ მონაწილეობდნენ, მაგრამ მათი მანდატის მოთხოვნების შესაბამისად, ცდილობდნენ სამხედრო კონფლიქტში მხარეთა განცალკევებას და მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

2004 წლის ზაფხულში, სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ სამხედრო აგრესიის უშედეგო მცდელობის შემდეგ, 2006 წლის დასაწყისისთვის საქართველოში, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის მიტაცების ახალი გეგმა, სახელწოდებით, „ვეფხვის ნახტომი“ იქნა შემუშავებული. ეს გეგმა 2006 წლის მაისისთვის იყო დაგეგმილი და ითვალისწინებდა რამდენიმე მსხვილმასშტაბიანი პროვოკაციის მოწყობას სამხრეთ ოსეთის ქართული მოსახლეობისა და სამშვიდობოების წინააღმდეგ, რომელთა შორის მრავალრიცხოვანი მსხვერპლი შეიძლება სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ ახალი ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიის განხორციელების მიზეზი გამხდარიყო. ამ გეგმის თანახმად, ქართულ ჯარს ეძლეოდა 7 დღე-ღამე სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ყველა დასახლებულ პუნქტზე კონტროლის მოსაპოვებლად და როკის გვირაბის სრული ბლოკირებისთვის. თუმცა, ეს გეგმა არ ამოქმედებულა, რადგან იმ დროისთვის ქართული არმიის წვრთნა და აღჭურვილობა, მისივე სარდლობის მიერ, არათანაზომიერად იყო შეფასებული.

მოვლენათა ამ სცენარით განვითარებით დაიწყო საქართველოს უპრეცედენტო მილიტარიზაციის პერიოდი. ქვეყნის ხელისუფლებამ განაცხადა ნატო-ში გაწევრიანების დაჩქარებული კურსის შესახებ. საქართველოს ხელისუფლება დემონსტრაციულად ზრდიდა სამხედრო ბიუჯეტს და 2008 წლისთვის ხარჯებმა შეიარაღების იმპორტზე, საქართველოსთვის ასტრონომიულ თანხას მიაღწია – 1 მილიარდი აშშ დოლარი.

საქართველო აქტიურად ყიდულობდა შეტევით შეიარაღებას აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში, რომლებიც არა მხოლოდ ევროკავშირის, არამედ ეუთოს წევრები იყვნენ. აღსანიშნავია, რომ სწორედ ეუთო-ს მისია შუამავლობდა ქართულ-ოსური კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების პროცესს. საქართველოსთვის იარაღის მომწოდებელთა რიცხვში შედიოდნენ აშშ, გაერთიანებული სამეფო, საფრანგეთი, საბერძნეთი, თურქეთი, ისრაელი, ლიტვა, ესტონეთი, უკრაინა, სერბეთი და სხვ.

2006 წლის 18 ივლისს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტების ზონებში სამშვიდობო ოპერაციების შეწყვეტისა და კონფლიქტური ზონების ტერიტორიებიდან რუსეთის სამშვიდობო ქვედანაყოფების გაყვანის შესახებ. ამ დადგენილების პრაქტიკული შედეგი გახდა ქართული სამშვიდობო ბატალიონის გასვლა შერეული სამშვიდობო ძალების შემადგენლობიდან და შერეული სამშვიდობო ძალების ერთიანი სარდლობის დაქვემდებარებიდან. ქართული მშვიდობისმყოფელების მართვა და კონტროლი უშუალოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალა.

საქართველოში აღარ მალავდნენ, რომ სახელმწიფოს არმიის სწავლებას და მომზადებას სამხედრო ინსტრუქტორები აშშ-დან და ისრაელიდან იმ მეთოდებით ატარებდნენ, რომლებიც მუშავდებოდა ყოფილ იუგოსლავიაში სამხედრო მოქმედებების მიმდინარეობისას და მიმართული იყო არა თავდაცვაზე, არამედ მეზობელი ქვეყნების ტერიტორიების ოკუპაციის განხორციელებასა და კონფლიქტების ძალადობრივი მეთოდით გადაწყვეტაზე.

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ 2008 წლის დასაწყისისთვის, საქართველოს სამხედრო ხელმძღვანელობას გააჩნდა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში სავარაუდო სამხედრო მოქმედებათა ასპარეზისთვის განკუთვნილი, დეტალური თანამგზავრული რუკები, რომელთა შედგენაც გამორიცხული იყო საქართველოს ხელმძღვანელობის მიერ, თავისი შეზღუდული შესაძლებლობების ფარგლებში. ადრე ხელმოწერილი ხელშეკრულებების დარღვევით, ქართული მხარე რამდენიმე წლის განმავლობაში თავისი სამშვიდობო კონტინგენტის როტაციას ატარებდა არა ექვს თვეში, არამედ ყოველ 2-3 თვეში ერთხელ, რის შედეგადაც, 2008 წლის ზაფხულისთვის მოასწრო გაეცნო მე-4 ქვეითი ბრიგადის პრაქტიკულად ყველა ქვედანაყოფის შესაძლო საბრძოლო მოქმედებათა ასპარეზსს. მოგვიანებით სწორედ ამ ბრიგადამ განახორციელა სამხედრო იერიში ცხინვალზე 7 აგვისტოს.

2008 წლის 28 იანვარს, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ედუარდ კოკოითმა, საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს გაუგზავნა ოფიციალური

წინადადება, საერთაშორისო ფორმატში კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შორის ეუთოს მოქმედი თავმჯდომარის მონაწილეობით შეხვედრის შესახებ, სადაც ხელი მოეწერებოდა შეთანხმებას სამხედრო ძალის გამოუყენებლობის შესახებ, რომლის საშუალებითაც უნდა მოგვარებულიყო ქართულ-ოსური კონფლიქტი. ეს ინიციატივა რამდენიმეჯერ მიეწოდა საქართველოს მთავრობას განსახილველად, მაგრამ მან აღნიშნული ინიციატივა დემონსტრაციულად უგულვებელყო. 2008 წლის 15 მარტს, პრეზიდენტმა სააკაშვილმა ოფიციალურად განაცხადა უარი ასეთ შეხვედრაზე და აღნიშნა, რომ საქართველო არ აპირებს აიღოს ვალდებულებები ძალის გამოუყენებლობაზე, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის, საქართველოს სასარგებლოდ გადაჭრის ძალადობრივი ხერხი, მისი ხელმძღვანელობისთვის ერთადერთი შესაძლო ვარიანტი იყო. საკმაოდ თვალსაჩინოა, რომ ეს განცხადება გაკეთდა სამხედრო მოსამსახურეების წინაშე მის გამოსვლაში გორის სამხედრო ბაზაზე, რომელიც აშენებულია ქალაქ ცხინვალიდან 30 კილომეტრში.

2008 წლის 4 მარტს, ქართულმა მხარემ ოფიციალურად განაცხადა ეუთო-ს მონაწილეობით ოთხმხრივი მოლაპარაკების პროცესიდან გასვლის შესახებ, რაც არ იყო მისი პირველი მცდელობა 1992 წლის დაგომისის შეთანხმების დენონსირების, მოლაპარაკების პროცესის დაბლოკვისა და სამშვიდობო ოპერაციისთვის სამართლებრივი საფუძვლების გაუქმებისა. აგრეთვე, ამ მიზნებს ემსახურებოდა საქართველოში კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის თანამდებობის გაუქმება და ახალი თანამდებობის – „საქართველოს რეინტეგრაციის მინისტრის“ დაწესება.

ამავე დროს, კონფლიქტის ზონაში სიტუაცია სწრაფად მწვავდებოდა და 2008 წლის ზაფხულისთვის, ქართული მხარის მიერ შეგნებულად იყო უკიდურესობამდე მიყვანილი. ქართული ხელისუფლების მიერ მოწყობილი პოლიტიკური პროვოკაციების ფონზე, როგორიც იყო მაგალითად, 2008 წლის აპრილში, საქართველოში აკრედიტებული უცხო ქვეყნების ელჩების სამხრეთ ოსეთში ვიზიტის ჩაშლა, ცხინვალსა და საქართველოს ტერიტორიის მიმდებარე, სამხრეთ ოსეთის ზოგიერთ დასახლებულ პუნქტში ქართული სპეცსამსახურების მიერ განხორციელდა მთელი რიგი ტერორისტული აქტებისა, რომელთა შედეგად დაიღუპნენ სამხრეთ ოსეთისა და რუსეთის მშვიდობიანი მოქალაქეები. საქართველო დემონსტრაციულად ამზადებდა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაზე თავდასხმისთვის სამხედრო პლაცდარმებს და კონფლიქტის ზონაში ზრდიდა თავის სამხედრო კონტინგენტს, არა მხოლოდ თავის ტერიტორიებსა და სასაზღვრო რეგიონებში, არამედ სამხრეთ ოსეთის იმ რაიონებში, სადაც კომპაქტურად იყო დასახლებული ქართული მოსახლეობა და წინასწარ მომზადებული შემოვლითი გზებით იქ, ცოცხალი ძალა და შეიარაღება გადაყავდა.

სამწუხაროდ, სამხრეთ ოსეთის არა ერთი მიმართვა საერთაშორისო თანამეგობრობას და საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სტრუქტურებს, სადაც იგი მოუწოდებდა შეეჩერებინათ დაძაბულობის ესკალაცია და შეემცირებინათ საქართველოდან წამოსული საფრთხის ხარისხი, უყურადღებოდ დარჩა.

2008 წლის ივლისის მეორე ნახევარში, საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარდა საქართველოსა და აშშ-ის ერთობლივი სამხედრო წვრთნები „დაუყოვნებელი რეაგირება," სადაც მუშავდებოდა სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების ტაქტიკა. ამ სწავლებაში მონაწილე ქართული არმიის ქვედანაყოფები, სწავლების დასრულების შემდეგ გადაიყვანეს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საზღვრებთან. ამავე დროს საქართველოს ხელისუფლება ახორციელებდა საბრძოლო მოქმედებების სავარაუდო ტერიტორიებიდან ქართული მოსახლეობის მასობრივ ევაკუაციას.

ქვემოთ მოყვანილი ქრონოლოგია საჭიროებს ჯეროვან ყურადღებას, რადგან მას გააჩნია პრინციპული მნიშვნელობა იმ ფაქტების დასადგენად, რომლებიც პიდაპირ კავშირშია ცხინვალზე შეტევის დაწყებასა და საქართველოს მიერ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიის წარმოებასთან.

2008 წლის 3 ივლისის ღამით, ცხინვალის სამხრეთ ნაწილში საცხოვრებელ უბნებს დაუშინეს მასიური ცეცხლი ნაღმმტყორცნებიდან, ყუმბარმტყორცნებიდან და ცეცხლსასროლი იარაღიდან. სროლები მიმდინარეობდა ქართული სოფელი ნიქოზიდან და ცხინვალის მიმდებარე საქართველოს ტერიტორიიდან. დაიჭრა ცხინვალის რამდენიმე მშვიდობიანი მოქალაქე, იყვნენ დაღუპულებიც.

2008 წლის 1-დან 2 აგვისტოს ღამით, საქართველოს მხრიდან სნაიპერული იარაღით დაიცხრილა სამხრეთ ოსეთის სამართალდამცავი ორგანოების რამდენიმე პოსტი, ხოლო ცხინვალის საცხოვრებელ კვარტლებს ისევ გაუხსნეს ცეცხლი. დაიღუპა კიდევ 6 ადამიანი. 7 აგვისტოს ჩათვლით, საქართველოსთან მოსაზღვრე სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებს და მათზე არსებულ დასახლებულ პუნქტებს ცეცხლს ესვრიდნენ არა მარტო მსუბუქი შეიარაღების, არამედ ჯავშანტექნიკისა და მსხვილკალიბრიანი საარტილერიო სისტემების გამოყენებით.

7 აგვისტოსთვის დანიშნული შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარეთა საგანგებო სხდომა იმის გამო ჩაიშალა, რომ ქართულმა მხარემ უარი განაცხადა რუსეთის მხრიდან შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარესთან, პოპოვთან შეხვედრაზე, რომელიც სასწრაფოდ ჩავიდა ცხინვალში.

7 აგვისტოს, დაახლოებით 14.30 სთ-ზე, სამშვიდობო ბატალიონის ქართულმა ოფიცრებმა დატოვეს ქალაქ ცხინვალში განთავსებული შერეული სამშვიდობო ძალების გაერთიანებული სარდლობის შტაბი, ხოლო სამხედრო დამკვირვებლებმა საქართველოდან, რომლებიც კონფლიქტის ზონაში ერთობლივ სათვალთვალო პუნქტებზე იმყოფებოდნენ, ახსნა-განმარტების გარეშე დატოვეს თავიანთი პოსტები.

7 აგვისტოს, 20.00 სთ-ზე, ქართულმა ტელეარხებმა გადმოსცეს სამხრეთ ოსეთის ხალხის მიმართ პრეზიდენტ სააკაშვილის მიმართვა, სადაც მან განაცხადა ქართული მხრიდან უპირობო ცეცხლის შეწყვეტისა და ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებისთვის სამხედრო ძალის გამოუყენებლობის შესახებ ვალდებულების თაობაზე.

7 აგვისტოს, 23.30 სთ-ზე ცხინვალს მასიური ცეცხლი გაუსხნეს არტილერიის მსხვილკალიბრიანი იარაღიდან და ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა (ზცრს) „გრადი-“დან. ცოტა ხნით ადრე, შერეული სამშვიდობო ძალების სარდალს, გენერალ კულახმეტოვს თბილისიდან ტელეფონით შეატყობინეს ზავის გაუქმების, სამხედრო ოპერაციის დაწყებისა და სამხედრო მოქმედებებში ჩაურევლობის შესახებ. პირველი ჭურვები აფეთქდა ქალაქ ცხინვალის ცენტრში და სამშვიდობოების ქუჩაზე განთავსებული გაერთიანებული სარდლობისა და შერეული სამშვიდობო ძალების შტაბის ტერიტორიაზე. ე.წ. „ზედა სამხედრო დასახლებაში,“ სადაც განთავსებული იყო რუსეთის სამშვიდობოების ძირითადი ქვედანაყოფები, დაიღუპა 11 რუსი სამხედრო მოსამსახურე, რამდენიმე ათეული დაიჭრა.

8 აგვისტოს, 00.30 სთ-ზე ქართული სამშვიდობო ბატალიონის სარდალმა, გენერალმა ყურაშვილმა ტელეარხ „რუსთავი 2“-ის ეთერში განაცხადა სამხრეთ ოსეთში საქართველოს მიერ „კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის“ ოპერაციის დაწყების შესახებ.

8 აგვისტოს, 01.40 სთ-ზე რუსეთის სამხედრო ტექნიკის კოლონამ დაიწყო მოძრაობა ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა – ალანიას ქალაქ ალაგირიდან სასაზღვრო პუნქტის – „ნიჟნი ზარამაგ“-ისა და როკის გვირაბის მიმართულებით.

8 აგვისტოს, 02.15 სთ-ზე ინტენსიური საარტილერიო მომზადების შემდეგ, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე შევიდნენ ქართული ჯავშანსატანკო ქვედანაყოფები, რომლებიც მოძრაობდნენ ცხინვალისა და სამხრეთ ოსეთის ზნაურისა და ცხინვალის რაიონების დასახლებული პუნქტების მიმართულებით. მათი გადაადგილების ტრანსლაცია, ქართული ტელეარხების კორესპონდენტების მიერ, პირდაპირ ეთერში ხდებოდა.

8 აგვისტოს, 03.40 სთ-ზე საქართველომ პირველი შეტევა მიიტანა ცხინვალზე, რომელიც განახორციელა ჯავშანსატანკო ქვედანაყოფებმა და ქვეითმა ჯარმა.

8 აგვისტოს, დილის 6 საათისთვის საქართველოს შსს-მ ტელევიზიით გაავრცელა ინფორმაცია, რომ იგი სრულიად აკონტროლებდა ოსურ სოფლებს – მუგუთს, დიდმუხას, დმენისს, ასევე, ქალაქ ცხინვალის სამხრეთ გარეუბნებს.

8 აგვისტოს, 08.20 სთ-ზე ქართულმა ავიაციამ სარაკეტო-დაბომბვითი დარტყმა მიიტანა ქალაქ ცხინვალსა და დასახლებულ პუნქტ დზაუზე, სადაც იმყოფებოდა ცხინვალიდან გამოსულ დევნილთა დიდი რაოდენობა. ქალაქ ცხინვალში ამ დროს მიმდინარეობდა ქუჩის ბრძოლები, ქართულმა მხარემ განიცადა პირველი სერიოზული დანაკარგები ჯავშანტექნიკასა და ცოცხალ ძალაში. მიუხედავად ამისა, ქართული ტელეარხები ტრანსლირებდნენ კადრებს, სადაც ქართული ჯავშანტექნიკა და ქვეითი ჯარი გადაადგილდებოდა ცხინვალის ქუჩებში, ხოლო საქართველოს ოფიციალური პირები, მათ შორის, რეინტეგრაციის მინისტრი თ. იაკობაშვილი და შინაგან საქმეთა მინისტრი ვ. მერაბიშვილი აცხადებდნენ, რომ „ქართული არმია ცხინვალში ყოველ ბუჩქს აკონტროლებდა.“

8 აგვისტოს, 11.40 სთ-ზე საქართველოს პრეზიდენტმა მ. სააკაშვილმა ფართომასშტაბიან სამხედრო აგრესიაში დაადანაშაულა რუსეთი და მოუწოდა საერთაშორისო თანამეგობრობას „საქართველოს გადარჩენისკენ.“

9 აგვისტოს, 05.30 სთ-ზე რუსეთის 58-ე არმიისა და ფსკოვის 76-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიის პირველმა ქვედანაყოფებმა ცხინვალის გარეუბნებს მიაღწიეს.9 აგვისტოს, დღისით 135-ე მოტომსროლელთა პოლკის ქვედანაყოფები შეეცადნენ ცეცხლიდან გამოეყვანათ რუსეთის სამშვიდობოები, რომლებიც ბლოკირებული იყვნენ სამხედრო დასახლებულ პუნტში, მაგრამ მათ შეხვდათ ქართული სატანკო და ქვეითი დაჯგუფებები. ამ ბრძოლაში დაიჭრა 58-ე არმიის სარდალი გენერალი ხრულევი და რამდენიმე რუსი ჟურნალისტი.

მოვლენათა მომდევნო ქრონოლოგია კარგად არის ცნობილი, მათ შორის, ქართული წყაროებიდანაც. მიუხედავად ამისა, აუცილებლად ვთვლით ყურადღება გავამახვილოთ ორ დოკუმენტურად დადასტურებულ ფაქტზე:

1. რუსეთის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მას შემდეგ შევიდნენ, რაც საქართველოს ტერიტორიიდან ქალაქ ცხინვალსა და მის გარშემო მყოფ სტრატეგიულ სიმაღლეებზე განხორციელდა მასირებული საარტილერიო დარტყმები, და ქართული ჯარები შევიდნენ ცხინვალის სამხრეთ გარეუბნებში.

2. ქართული მხარის პირველი განცხადებები „საქართველოსთან მიმართებით რუსეთის სამხედრო აგრესიის შესახებ“ სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ გაკეთდა არა სამხედრო ოპერაციის დაწყებამდე, არამედ მას შემდეგ, რაც ქართულმა არმიამ განახორციელა ქალაქ ცხინვალის შტურმით აღების რამოდენიმე წარუმატებელი მცდელობა, და განაგრძო სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე რამდენიმე დასახლებული პუნქტის დაკავება და განადგურება. 3. სამხედრო-სტრატეგიულ გეგმაში საარტილერიო დარტყმა ცხინვალზე, შემდეგ თავდასხმა ქალაქსა და სამხრეთ ოსეთის ახლომდებარე დასახლებულ პუნქტებზე, რაც პირველად, საქართველომ განახორციელა და ასევე, უამრავი მსხვერპლი მშვიდობიან ოსურ მოსახლეობას შორის, ვერანაირად ვერ იქნება გამართლებული საქართველოსთვის რაიმე საფრთხით რუსეთის არმიის მხრიდან, რომლის ქვედანაყოფებს საბრძოლო მოქმედებების ზონაში მხოლოდ ტრანსკავკასიური ავტომაგისტრალით ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა - ალანიას მხრიდან შეეძლოთ შესვლა.

სამხედრო ასპექტები

კითხვები და პასუხები

სამხედრო საკითხებთან დაკავშირებული კითხვები

სამხრეთ ოსეთის სახელისუფლებო ორგანოებისადმი

(პირველი ჩამონათვალი)

1. 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის ქრონოლოგიის ამსახველი მრავალი ანგარიში არსებობს. თქვენი აზრით, როგორია კონფლიქტის ზონაში განვითარებული მოვლენების ქრონოლოგია?

2. დაიცვა თუ არა 2008 წლის აგვისტოში, სამხრეთ ოსეთის მხარემ სოჭის 1992 წლის შეთანხმებისა და სხვა შესაბამისი დოკუმენტების/ოქმების დებულებები? თუ არა, რატომ?

3. გადაკვეთეს თუ არა 2008 წლის აგვისტოში სამხრეთ ოსეთის ძალებმა ქართულ მხარესთან ცეცხლის შეწყვეტის ხაზები, რომლებიც სოჭის 1992 წლის შეთანხმებითა და სხვა შესაბამისი დოკუმენტებით/ოქმებით იყო განსაზღვრული? გადაკვეთეს თუ არა რომელიმე პუნქტში სამხრეთ ოსეთის ძალებმა ტერიტორიის ადმინისტრაციული

სასაზღვრო ხაზი ქართული მხარის მიმართულებით? თუ გადაკვეთეს, სად, როდის და რატომ?

4. კონფლიქტის მსვლელობისას, რა სახის საბრძოლო ამოცანები განახორციელეს სამხრეთ ოსეთის ძალებმა და მილიციამ ქართული მხარის წინააღმდეგ?

5. რა სახის ქვედანაყოფები იყო გამოყენებული და რა რაოდენობით საჯარისო ფორმირებების დისლოცირება მოხდა როგორც მთლიანობაში, ასევე კონკრეტული ოპერაციებისათვის?

6. აღწერეთ სამხრეთ ოსეთის ძალების სტრუქტურა, მართვისა და კონტროლის ერთობლიობა.

7. რომელ დონეზე ხდებოდა სამიზნეთა და საშუალებათა შერჩევასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება?

8. რომელ დონეზე, მართვისა და კონტროლის რა საშუალებებით ხორციელდებოდა თანამშრომლობა სამხრეთ ოსეთის ძალებს, შერეულ სამშვიდობო ძალებსა და რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულ ძალებს შორის? ამგვარი თანამშრომლობის პირობებში, როგორ ხდებოდა ბრძანებების შემუშავება და გაცემა?

9. „შეიარაღებული კონფლიქტის შესახებ“ საერთაშორისო კანონთან დაკავშირებული რა სწავლებები ჩაუტარდათ კონფლიქტში მონაწილე საჯარისო ქვედანაყოფებს? სამოქალაქოთა დაცვისათვის გამიზნული რა სახის გეგმები შემუშავდა სამხედრო ოპერაციების დაწყებამდე? რა ზომები მიიღეს სამხრეთ ოსეთის ძალებმა 2008 წლის სამხედრო მოქმედებების დროს და შემდგომში ადამიანის უფლებების დარღვევის (ძარცვის, სახლების დაწვისა და ა.შ. ჩათვლით) თავიდან ასაცილებლად?

10. 2008 წლის აგვისტოს წინა პერიოდში, რა სამხედრო ხასიათის მზადება განხორციელდა? როგორი იყო სამხრეთ ოსეთის ძალებისა და მილიციის სტრუქტურა, შემადგენლობა და აღჭურვილობა კონფლიქტის დაწყების წინ?

11. უკანდახევისა და ხელახალი დისლოცირების როგორი გეგმები იყო შემუშავებული სამხრეთ ოსეთის ძალების ისეთი ქვედანაყოფებისათვის, რომლებიც სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული ხაზის გადაკვეთდნენ? როგორი იყო ამგვარი უკანდახევისა და ხელახალი დისლოცირებისათვის გათვალისწინებული თანმიმდევრობა და ვადები?

1. არსებული ფაქტობრივი მასალები და აგვისტოს მოვლენათა თანმიმდევრობა პირდაპირ მტკიცებულებას წარმოადგენენ, რომ 2008 წლის 7 აგვისტოს, საქართველომ დაიწყო წინასწარ შემუშავემული გეგმით, ქართულ-ოსური კონფლიქტის ძალისმიერი გზით გადაწყვეტა.

ეს მტკიცებულება შესაბამისი ფაქტებით არის დადასტურებული, რომლებიც საშუალებას იძლევა ეჭვის გარეშე შევაფასოთ მომხდარი, როგორც სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ კარგად მომზადებული ფართომასშტაბიანი შეიარაღებული აგრესია, რაც არ ტოვებს არავითარ საფუძველს 2008 წლის აგვისტოს მოვლენების ნებისმიერი სხვა ინტერპრეტაციისთვის.

ეჭვგარეშეა, რომ საქართველოსთვის არასოდეს არსებობდა სამხედრო საფრთხე არც რუსეთის ფედერაციის, არც სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მხრიდან. საქართველოს ლიდერები ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამოიყენებდნენ სამხედრო საფრთხეს სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ აგრესიის განხორციელებისთვის. შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ საქართველო მიზნად ისახავდა არა თავისი ტერიტორიების გარე საფრთხეებისგან დაცვას, არამედ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის, როგორც პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის განადგურებას. ეს საქართველოს მიერ მესამე მხარეთა მხარდაჭერით და პირდაპირი სამხედრო დახმარებით დაგემილი სამხედრო ოპერაცია მიზნად ისახავდა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან მშვიდობიანი ოსური მოსახლეობის განდევნას და მისი იმ ნაწილის განადგურებას, რომელსაც აგრესორისთვის წინააღმდეგობის გაწევა შეეძლო.

განსაკუთრებულით საყურადღებოა, რომ საქართველომ სამხედრო მოქმედებები დაიწყო პეკინის ოლიმპიური თამაშების დაწყების წინა დღეს და მ. სააკაშვილის ოსი ხალხისადმი სატელევიზიო მიმართვიდან რამდენიმე საათში, რომელსაც გადმოსცემდა ყველა ქართული ტელეარხი 2008 წლის 7 აგვისტოს, 20:00 სთ-ზე (მოსკოვის დროით). ამ მიმართვაში საქართველოს პრეზიდენტი სამხრეთ ოსეთს მოუწოდებდა ყველა წინააღმდეგობის მშვიდობიანი მოგვარებისკენ და არწმუნებდა, რომ ქართული მხრიდან მათ მიმართ არავითარ შემთხვევაში სამხედრო ძალა არ იქნებოდა გამოყენებული.

23:35 სთ-ზე ქალაქ ცხინვალზე განხორციელდა სარაკეტო-საარტილერიო იერიში, რომლის დროსაც, საქართველომ გამოიყენა ნაღმმტყორცნები, ზცრს „გრადი," 155 მმ და 203 მმ-იანი საარტილერიო დანადგარები. პირველი დარტყმა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, შერეული სამშვიდობო ძალების განლაგების ადგილზე განხორციელდა, სასიცოცხლო მნიშნველობის ობიექტებზე, ქალაქის ინფრასტუქტურაზე და ქალაქის საცხოვრებელ უბნებზე. ამავდროულად, საარტილერიო დარტყმები განხორციელდა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის თავდაცვის თვალსაზრისით, სტრატეგიული მნიშვნელობის სხვა ობიექტებზეც.

ინტენსიური ცეცხლის ქვეშ მოექცა ძარას შემოვლითი გზა, რომელიც მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაციისთვის ერთადერთ სატრანსპორტო შესაძლებლობას წარმოადგენდა. 8 აგვისტოს, გამთენიისას, „ქართულმა შემტევმა ავიაციამ კასეტური საბრძოლო მასალების გამოყენებით დაბომბა ქალაქი ცხინვალი და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის სხვა დასახლებული პუნქტები. ამის შემდეგ სამხრეთ ოსეთის საზღვარი გადაკვეთა ქართულმა ჯავშანსატანკო დაჯგუფებამ და საჯარისო ქვეითმა შენაერთებმა, რომლებიც რიცხობრივად სამხრეთ ოსეთის სრულ მოსახლეობას უთანაბრდებოდნენ.

2. 2008 წლის 8 აგვისტომდე, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა მკაცრად იცავდა ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების პრინციპების შესახებ შეთანხმების დებულებებს, რომელიც ხელმოწერილი იყო 1992 წელს დაგომისში. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ საერთაშორისო შეთანხმებით განსაზღვრულ, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის ტერიტორიაზე, ქართული აგრესიის დაწყების მომენტისთვისაც კი, არ არსებობდა სამხრეთ ოსეთის მხარის არც ერთი ერთეული აკრძალული ჯავშანტექნიკა და მძიმე შეიარაღება კონფლიქტის ზონაში. სამხრეთ ოსეთის საზღვრის პერიმეტრს და ობიქტებს მის ტერიტორიაზე, რომლებიც დაცვას საჭიროებდნენ, პატრულირებდნენ და იცავდნენ ძირითადად, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების ქვედანაყოფები, რომლებსაც გააჩნდათ მსუბუქი ცეცხლსასროლი შეიარაღება და დაწესებული საშტატო ამუნიცია. სამხრეთ ოსეთის მხარის მთელი მძიმე შეიარაღება და არმიის ძირითადი ნაწილები და ქვედანაყოფები 1992 წლიდან კონფლიქტის ზონის ფარგლებს გარეთ იმყოფებოდნენ.

ამავე დროს, 2008 წლის აგვისტოსთვის ქართულმა მხარემ, მისი ხელმძღვანელობის მიერ ხელმოწერილი ყველა შეთანხმებისა და ხელშეკრულების დარღვევით, დროის მოკლე მონაკვეთში, კონფლიქტის ზონაში სამხრეთ ოსეთის საზღვრებთან და თვით მის ტერიტორიაზე შექმნა თავდასხმის სამხედრო პლაცდარმები, რომლებიც მოწყობილი იყო კაპიტალური საფორტიფიკაციო ნაგებობებით და მათზე მოახდინა დიდი რაოდენობის მძიმე ჯავშანტექნიკის, მსხვილიკალიბრიანი არტილერიისა და მრავალრიცხოვანი საჯარისო დაჯგუფებების კონცენტრირება.

აღსანიშნავია, რომ 2004 წლის ივლისში, ქართული მხარის მიერ პროვოცირებული შეიარაღებული დაპირისპირების შემდეგ ერთ წელიწადში, საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება გამოეყვანა თავისი კონტინგენტი სამმხრივი (რუსეთის ფედერაცია, ჩრდილო ოსეთის რესპუბლიკა - ალანია, საქართველო) შერეული სამშვიდობო ძალების შემადგენლობიდან და შერეული სამშვიდობო ძალების გაერთიანებული სარდლობისა და გაერთიანებული შტაბის მმართველობიდან და გადაეყვანა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირდაპირ დაქვემდებარებაში, რაც

იყო მისი სამშვიდობო და კონფლიქტის დარეგულირების ფორმატებიდან გასვლის სიგნალი. ამ მომენტიდან დაძაბულობა კონფლიქტის ზონაში მნიშვნელოვნად იზრდება. არსებობს უდავო მტკიცებულებები, რომ შეიარაღებულ პროვოკაციებში, ცხინვალისა და ოსური დასახლების პუნქტებზე იერიშის მიტანაში უშუალო მონაწილეობას იღებდნენ ე.წ. „ქართული სამშვიდობოები," რომლებიც არ ექვემდებარებოდნენ შერეული სამშვიდობო ძალების სარდლობას, მაგრამ ჰქონდათ კონფლიქტის ზონაში ყოფნისა და გადაადგილების უფლება.

მხარეების მიერ კონფლიქტის ზონის რეჟიმისა და ძალის არგამოყენების თაობაზე, ხელშეკრულებების დარღვევებს აფიქსირებდა შერეული სამშვიდობო ძალები, რის შემდეგაც მონაცემები ამ ფაქტების შესახებ განსახილველად გადაეცემოდა ქართულ ოსური კონფლიქტის მოგვარების შერეულ საკონტროლო კომისიას (შსკ). მაგრამ, საქართველომ განაცხადა, რომ შსკ-ის ოთხმხრივი ფორმატი ეუთო-ს მონაწილეობით, აღარ შეესაბამება და არ პასუხობს მის ინტერესებს, რითიც ფაქტიურად მოახდინა 1992 წლის დაგომისის შეთანხმების დენონსირება. ამის გაკეთებით დაბლოკა კომისიის შემდგომი მცდელობები და დაშალა კონფლიქტის დარეგულირების ერთადერთი საერთაშორისოდ აღიარებული ფორმატი.

სამხრეთ ოსეთის მხარისა და მოლაპარაკების პროცესის სხვა მონაწილეების ყველა მცდელობა, დაებრუნებინათ საქართველო მოლაპარაკების მაგიდასთან შერეული საკონტროლო კომისიის ფარგლებში, უშედეგო აღმოჩნდა. ზუსტად ასევე, შესაბამისი რეაგირების გარეშე დარჩა სამხრეთ ოსეთის მიმართვები საერთაშორისო თანამეგობრობისადმი, სადაც იგი მოუწოდებდა ყურადღება მიექციათ საქართველოს აქტიურ მომზადებაზე, სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებებისთვის.

3. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ძალოვანი უწყებების ქვედანაყოფები და სამხედრო შენაერთები არ აწარმოებდნენ რაიმე სახის საბრძოლო მოქმედებებს და სამხედრო ოპერაციებს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ტერიტორიის გარეთ და არასდროს გადაუკვეთიათ საქართველოს სახელმწიფო საზღვარი, მის არც ერთ მონაკვეთზე. უფრო მეტიც, ქართული აგრესიის მოგერიების დროსაც და მის შემდეგაც, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის შორეულ რაიონებში (ლენინგორის რაიონი) სამხედრო კოლონების, ტექნიკისა და პირადი შემადგენლობის გადაადგილება ხორციელდებოდა სამხრეთ ოსეთის საზღვრებში, ძნელად გასავლელი სატრანსპორტო კომუნიკაციებით, მიუხედავად იმისა, რომ ამას თან ახლდა მნიშვნელოვანი მატერიალურ-ტექნიკური და დროითი ხარჯის გაწევა.

4. 2008 წლის 7 აგვისტოს ღამიდან 10 აგვისტოს დილამდე, სამხრეთ ოსური ჯარები მონაწილეობდნენ ქართული მძიმე ჯავშანტექნიკისა და ქვეითი ჯარის წინააღმდეგ სასტიკ თავდაცვით ქუჩის ბრძოლებში, რომლებიც მიმდინარეობდა ცხინვალში და საქართველოს ტერიტორიის მიმდებარე დასახლებულ პუნქტებში (ხეთაგუროვო, მუგუთი, დმენისი, ზნაური, სათიხარი, სარაბუკი და ა.შ.). ასევე ახორციელებდნენ სამხრეთ ოსეთის მთელ ტერიტორიაზე არსებული სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტების (მშვიდობიანი მოსახლეობის თავშეყრის ადგილები, საცხოვრებელი უბნები, სასიცოცხლო უზრუნველყოფის ობიექტები, სატრანსპორტო კომუნიკაციები, საინჟინრო ნაგებობები) დაცვასა და თავდაცვას სამხრეთ ოსეთის მთელ ტერიტორიაზე. მოგვიანებით, სამხრეთ ოსეთის მხარე ახორციელებდა შემტევ საბრძოლო მოქმედებებს და ლოკალურ ოპერაციებს, რომლებიც მიმართული იყო სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან ქართული ჯარების განდევნაზე.

5. აგვისტოს მოვლენების დროს, საერთო რაოდენობა ქართულ დაჯგუფებასთან დაპირისპირებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ყველა ძალოვანი უწყებისა და სამართალდამცავი სტრუქტურების ქვედანაყოფების, სამობილიზაციო რეზერვის ქვედანაყოფების ჩათვლით, არ აღემატებოდა 3,5 ათას ადამიანს. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები ძირითადად, მსუბუქად შეიარაღებული მსროლელი ბატალიონებისგან შედგებოდა, რომლებსაც ერთვოდა საარტილერიო ქვედანაყოფები და საბჭოთა წარმოების მოძველებული ჯავშანტექნიკა. ქართული აგრესიის მოგერიებასთან დაკავშირებულ საბრძოლო მოქმედებებში აგრეთვე, მონაწილეობას იღებდნენ ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა - ალანიიდან ჩამოსული მოხალისეები.

6. აგვისტოს მოვლენების პირველი 24 საათის განმავლობაში, ქართულმა მხარემ რადიოელექტრონული ჩამხშობის საშუალებებით შეძლო მნიშვნელოვნად შეეფერხებინა სამხრეთ ოსეთის თავდაცვის ძალების კომუნიკაციებისა და მართვის საშუალებების მუშაობა. ამ პერიოდში საერთო სამხედრო ხელმძღვანელობა დაყვანილი იყო მინიმუმამდე და სამხრეთ ოსეთის თავდაცვითი ძალების ქვედანაყოფების მართვა ადგილობრივად ხორციელდებოდა. სამიზნეებისა და საშუალებების არჩევანი ნაკარნახევი იყო აუცილებლობით – შეეჩერებინათ ქართული ჯარების გადაადგილება სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის სიღრმეში და დაეცვათ მშვიდობიანი მოსახლეობა. ქვედანაყოფების საერთო ხელმძღვანელობა, რომელიც ახორციელებდა საბრძოლო მოქმედებებს, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების უმაღლესი სამხედრო სარდლების მიერ ხორციელდებოდა.

8. აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ კონფლიქტის ზონაში შერეული სამშვიდობო ძალები იყვნენ ერთ-ერთი იმ პირველთაგანი, ვისზეც ქართულმა ჯარმა განახორციელა შეტევა. მიუხედავად მნიშვნელოვანი დანაკარგებისა შერეული სამშვიდობო ძალების სამხედრო მოსამსახურეები მოქმედებდნენ სამშვიდობოების მანდატის ფარგლებში, რომელიც არ ითვალისწინებს საბრძოლო ურთიერთქმედებას ერთ-ერთი მხარის შეიარაღებულ ძალებთან.

სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულ ძალებს არ ჩაუტარებიათ ერთობლივი სამხედრო ოპერაციები შერეული სამშვიდობო ძალებთან ან რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულ ძალებთან ერთად და მოქმედებდნენ თავიანთი სარდლობის ბრძანებების შესაბამისად. თუმცა, საერთო მტრის მიმართ კოორდინირებული წინააღმდეგობის გაწევის აუცილებლობით განპირობებული ამოცანების შესრულება, გახდა ფაქტორი, რომლის დროსაც ზოგიერთი ქვედანაყოფის ქმედებები, მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა, არ ეწინააღმდეგებოდა სხვა ქვედანაყოფთა ქმედებებს.

9. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეების მომზადება და სასწავლო პროცესი ითვალისწინებს საერთაშორისო სამართლის საფუძვლებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარგებში დამატებითი სწავლების ჩატარებას. ამასთან ერთად, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქვედანაყოფების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც იცავდა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიას, შეადგენდა ქვედანაყოფები, რომლებიც დაკომპლექტებული იყო სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სხვა სამართალდამცავი სტრუქტურების თანამშრომლებით, რომელთა საქმიანობა ზოგადად მიმართული იყო მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვაზე, კანონიერებისა და წესრიგის უზრუნველყოფაზე.

სიტუაციის მკვეთრი გამწვავების გამო, მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად, 2008 წლის აგვისტოს დასაწყისში სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება, ქალაქ ცხინვალიდან და საქართველოსთან მოსაზღვრე ზოგიერთი დასახლებული პუნქტიდან, ზარის შემოვლითი გზით, შეუდგა მოსახლეობის ნაწილობრივ ევაკუაციას (ქალები, მოხუცები, ბავშვები). საბრძოლო მოქმედებების დაწყების პერიოდში ქართულმა მხარემ ძარის შემოვლით გზაზე შეიყვანა ჯავშანტექნიკისა და ცოცხალი ძალების დიდი რაოდენობა, რომლებმაც ერთი მეორის მიყოლებით დაცხრილეს დევნილებით სავსე რამდენიმე მანქანა, რითიც დანარჩენ მანქანებს მოუჭრეს ერთადერთი გასასვლელი გზა საბრძოლო მოქმედებების ზონიდან. მრავალრიცხოვანი დევნილებისთვის, რომლებმაც საბრძოლო მოქმედებების ზონის დატოვება შეძლეს, სამხრეთ ოსეთის ჯავის რაიონში და ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე იყო ორგანიზებული კარვების ბანაკები.

მოსახლეობის სამოქალაქო უფლებების დაცვის სამაგალითო შემთხვევებად შეიძლება ჩაითვალოს, ქართული მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებული, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ლენინგორის რაიონი. ქართული ფორმირებების ამ ტერიტორიიდან განდევნის საბრძოლო მოქმედებების დროს მშვიდობიან მოსახლეობას შორის არ აღრიცხულა არც ერთი მსხვერპლის შემთხვევა, ხოლო სამოქალაქო ობიექტები და საცხოვრებელი სახლები დარჩა ხელუხლებელი. აღსანიშნავია, რომ სამართლებრივი ნორმები დაცული იყო სამხრეთ ოსეთის მთელ მოსახლეობასთან მიმართებაში, მიუხედავად მათი ეროვნული კუთვნილებისა. ამ საქმეში აქტიური მხარდაჭერა გასწია საერთაშორისო წითელმა ჯვარმა და ქალაქ ცხინვალში მისმა ოფისმა.

სამხედრო მოქმედებების დასრულების შემდგომ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ შემუშავებული და განხორციელებული იქნა იმ ღონისძიებათა ცალკეული გეგმა, რომლებიც მიმართული იყო ქართული ოკუპაციიდან განთავისუფლებულ ტერიტორიებზე ძარცვის, გადაწვისა და მიწის ნაკვეთების დატაცების თავიდან აცილებაზე. 2009 წლის 8 აპრილის სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით შეიქმნა სპეციალური კომისია და შემუშავდა განთავისუფლებული ტერიტორიების ომის შემდგომი რეაბილიტაციის უძრუნველსაყოფი ღონისძიებები.

რაც შეეხება აგვისტოს მოვლენების დროს განსაკუთრებით დაზარალებულ დასახლებულ პუნქტებს, რომლებიც მდებარეობდნენ ცხინვალიდან ჩრდილოეთით, ტრანსკავკასიური მაგისტრალის 7- კილომეტრიანი მონაკვეთის გასწვრივ, ეს მართლაც დასანანია, თუმცა მომხდარის მიზეზები ნადვილად იმსახურებს სპეციალური სერიოზული გამოძიების ჩატარებას.

მიუხედავად ამისა, ახლა უკვე არსებობს საკმარისი მტკიცებულება იმისა, რომ სამხრეთ ოსეთის ეს ტერიტორია წარმოადგენდა სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის უსაფრთხოებისთვის რეალურ საფრთხეს. 1989-1992 წლების ქართულ-ოსური კონფლიქტის მოვლენების შემდგომ, ეს ტერიტორია იმყოფებოდა საქართველოს სამხედრო ოკუპაციის ქვეშ, რის შედეგადაც ოსური მოსახლეობა მთლიანად იყო განდევნილი, ხოლო იქ მდებარე დასახლებული პუნქტები გახდა მონოეთნიკურად ქართული.

ამ სოფლების მაცხოვრებლები უშუალო მონაწილეობას ღებულობდნენ 1992 წლის მაისში ძარის გზაზე დევნილთა კოლონის ჩაცხრილვაში. ქართული ხელისუფლების მიერ არაერთხელ იყო გამოყენებული ამ ტერიტორიის კონტროლის შესაძლებლობა პოლიტიკური შანტაჟისა და ცხინვალის სატრანსპორტო, ხოლო მოგვიანებით წყლის

ბლოკადის მიზნით. ტრანსკავკასიური მაგისტრალის ამ მონაკვეთზე, რომელიც მდებარეობდა კონფლიქტის ზონაში და კონტროლდებოდა ქართული პოლიციის მიერ, 1990 წლიდან მოყოლებული მოხდა რამდენიმე ათეული ოსური ეროვნების მოქალაქის გატაცება, მკვლელობა და საჩვენებელი სიკვდილით დასჯა, რომლებიც ჩადენილი იყო მათი ეროვნული მიკუთვნილების გამო. ეს ტერიტორია გახდა იმ კრიმინალთა თავშესაფარი, რომლებიც განდევნილი იყვნენ სამხრეთ ოსეთის დანარჩენი ტერიტორიიდან და დღემდე ქართული ხელისუფლების მიერ წარმოჩენილი არიან, როგორც ოსების წარმომადგენლები, რომლებიც გამოდიან ოსი ხალხის სახელით.

2008 წლის აგვისტოს მოვლენათა დაწყების წინ, საქართველოს ხელმძღვანელობამ მოახდინა სამოქალაქო მოსახლეობის თითქმის სრული ევაკუაცია და ეს ტერიტორია გარდაქმნა კარგად მოწყობილ სამხედრო ობიექტად და საფორტიფიკაციო ნაგებობებით გამაგრებულ სამხედრო პლაცდარმად, რომელშიც საქართველოს მიერ შეყვანილი შეიარაღებული ფორმირებების რაოდენობა ბევრჯერ აღემატებოდა ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობას. შესაბამისად, ქართული აგრესიის მოგერიებისთვის, საბრძოლო მოქმედებების პირობებში შეიქმნა იმ საფრთხის ნეიტრალიზების აუცილებლობა, რომელიც გამომდინარეობდა ამ სამხედრო ობიექტიდან ცხინვალისა და ჯავის მიმართულებით, ამიტომ სამხედრო თვალსაზრისით ოსეთის ტერიტორიაზე მტრის პლაცდარმის განადგურება არის სრულიად გამართებული. მიუხედავად ამისა, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ აგვისტოს მოვლენებამდე ცოტა ხნით ადრე, ამ ტერიტორიიდან გაიყვანა მთელი ადგილობრივი სამოქალაქო მოსახლეობა, რომელიც სამწუხაროდ გახდა ქართული მთავრობის უგუნური პოლიტიკის მძევალი. ეს უკანასკნელი ცდილობს ეს ფაქტი წარმოაჩინოს, როგორც ოსების მხრიდან ეთნიკური წმენდის შედეგი.

10. საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში საქართველო ემზადებოდა სამხრეთ ოსეთში სამხედრო შეჭრისთვის და ქართულ-ოსური კონფლიქტის ძალისმიერი მეთოდით გადაწყვეტისთვის. ევროკავშირისა და ნატო-ს ზოგიერთი წევრი ქვეყნები საქართველოს დიდი რაოდენობით ამარაგებდნენ უახლესი თავდასხმითი შეიარაღებითა და დიდი რაოდენობის საბრძოლო მასალით. 2008 წლის ზაფხულის დასაწყისისთვის საქართველოში ხელისუფლების მიერ გატარებულმა უზომო მილიტარიზაციამ მიაღწია თავის პიკს. ამავე დროს, როდესაც ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ვითარება უკიდურესად დაიძაბა, სამხრეთ ოსეთის მთავრობის არაერთი მიმართვა მსოფლიო თანამეგობრობის მიმართ, რომლებსაც მოუწოდებდნენ ყურადღება მიეპყროთ საქართველოს სამხედრო მზადებისთვის, უშედეგო დარჩა.

2008 წლის 3 ივლისს, ცენტალურ მოედანზე გამართული კონცერტის დროს, ცხინვალზე ნაღმმტყორცნებიდან და მსუბუქი შეიარაღებიდან განხორციელდა მასიური იერიში. შედეგად რამდენიმე ადამიანი მძიმედ დაშავდა. 2008 წლის 1-დან 2 აგვისტოს ღამით სნაიპერული სროლების შედეგად დაიღუპა 6 სამოქალაქო პირი, ხოლო ქალაქ ცხინვალის საცხოვრებელი უბნები კვლავ მოექცა ინტენსიური ცეცხლის ქვეშ, რის შედეგადაც მშვიდობიანი მოსახლეობის შორის დაღუპულთა სია კიდევ უფრო გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ ამ ქმედებაში მონაწილე ქართული სამხედრო მოსამსახურეები დაჯილდოვდნენ საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებით.

2008 წლის აგვისტოს დასაწყისში სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალებისა და ასევე სამართალდამცავი სტრუქტურების ყველა ნაწილი და ქვედანაყოფი მოყვანილი იქნა უმაღლესი ხარისხის საბრძოლო მზადყოფნაში. სამობილიზაციო რეზერვის ცალკე გაწვევა არ მომხდარა.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და ადამიანის უფლებები

კითხვები

საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია

d'EnqueteInternationaleIndependantesur le Conflit en Georgie

შეკითხვები სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას სამართლებრივ საკითხებზე,მათ შორის საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალსა და ადამიანის უფლებების შესახებ კანონის საკითხებზე

1. გთხოვთ, განგვიმარტოთ, 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დაწყების წინ, ყველა დონეზე, როგორი ოფიციალური და არაოფიციალური ურთიერთობები იყო ჩამოყალიბებული რუსეთის ფედერაციასა და ცხინვალის რეგიონს/სამხრეთ ოსეთს შორის. უწოდებდით თუ არა ბოლო წლებში, რუსეთის ფედერაციასა და ცხინვალის რეგიონს/სამხრეთ ოსეთს სამართლებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში (ინფრასტრუქტურის, ენერგეტიკისა და სოციალური კეთილდღეობის ჩათვლით) ურთიერთობების განვითარებას ინტეგრაციის პროცესს? სამართლებრივი თვალსაზრისით, როგორ შეაფასებდით კონფლიქტის დაწყებამდე, რამდენიმე თვით ადრე, რუსეთის ფედერაციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას რუსეთის ფედერაციასა და ცხინვალის რეგიონს/სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს შორის ოფიციალური კონტაქტების დამყარების შესახებ?
2. გთხოვთ, განგვიმარტოთ ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები პირების მიერ რუსეთის მოქალაქეობის მიღების პროცესი და დინამიკა და ასევე, რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების მიზნები.
3. 2008 წლის ომამდე ან ომის დროს, რა შემადგენლობა ჰქონდა სამხრეთ ოსეთის რეგულარულ შეიარაღებულ ძალებს და იყვნენ თუ არა მასში გაერთიანებული მოხალისეები? როგორი ურთიერთობა არსებობდა ერთის მხრივ სამხრეთ ოსეთის რეგულარულ შეიარაღებულ ძალებსა და მეორე მხრივ, რუსეთის ფედერაციას შორის?
4. კონფლიქტის მიმდინარეობის და საერთაშორისო სამართალთან მიმართებაში პასუხისმგებლობის თვალაზრისით: როგორ დაახასიათებდით რუსულ სამხედრო

სტრუქტურასა და სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულ ძალებს შორის ფორმალურ და არაოფორმალურ ურთიერთობებს 2008 წლის 17 სექტემბრამდე და ამჟამად? გთხოვთ, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოთ შესაბამისი სამეთაურო ბრძანებათა აღწერას.

5. რა ეროვნების იყვნენ ის პირები და/ან რა შემადგენლობის იყო ის შეიარაღებული დაჯგუფებები, რომლებიც არ შედიოდნენ სამხრეთ ოსეთის რეგულარულ შეიარაღებულ ძალებში; ვინ მონაწილეობდა საომარ მოქმედებებში და ვინ იმყოფებოდა ისევ სამხრეთ ოსეთში და საქართველოს არასადავო ტერიტორიაზე საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ, კერძოდ, სამხრეთ ოსეთის მოსაზღვრე ე.წ. ბუფერულ ზონებში? როგორი ურთიერთობა არსებობდა ერთი მხრივ, იმ პირებს/დაჯგუფებებს და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას და მეორე მხრივ, რუსეთის ფედერაციის ჯარებს შორის?

6. გენოციდის შესახებ სიტყვიერ ბრალდებებთან დაკავშირებით, გთხოვთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები თუ ვინ განახორციელა გენოციდი (თუ ასეთ ფაქტებს რეალურად ჰქონდა ადგილი) და თუ გენოციდს ადგილი ჰქონდა, როდის? გთხოვთ, მიუთითოთ ფაქტები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს დავასკვნათ, რომ სახეზე იყო გენოციდის კონკრეტული ელემენტები, კერძოდ, არსებობდა თუ არა დაცული ჯგუფი და იყო თუ არა ამ ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურების მცდელობა.

7. 2008 წლის 7-12 აგვისტოს რომელ დღეს და რომელ სამიზნეებზე განხორციელდა შეტევა იმ ძალების მიერ, რომლებიც არ აკონტროლებდნენ ადგილმდებარეობას, სადაც სამიზნეები იყო განთავსებული? აღნიშნული სამიზნეების ქალაქებსა და სოფლებში განთავსებისას, როგორ შეფასდა სამოქალაქო პირებს შორის შემთხვევითი მსხვერპლის და მათი დაშავების, აგრეთვე სამოქალაქო ობიექტებისათვის ზიანის მიყენების სავარაუდო ალბათობა? შეესაბამებოდა თუ არა რეალური შედეგი ნავარაუდევ მონაცემებს? და თუ არა, რატომ? აღნიშნული შეტევების დროს, სიფრთხილის რა ზომები იყო მიღებული როგორც თავდამსხმელის, ასევე დაცვაში მყოფი მხარის მიერ, სამოქალაქო პირებს შორის შემთხვევითი მსხვერპლის და მათი დაშავების, აგრეთვე, სამოქალაქო ობიექტებისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების ან მინიმუმამდე დაყვანის მიზნით? წარმატებით იქნა თუ არა გამოყენებული აღნიშნული სიფრთხილის

ზომები? და თუ არა, რატომ? მიზნით? წარმატებული იყო თუ არა ეს პრევენციული ზომები? თუ არა, რატომ?

8. თქვენს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, რამდენი ადამიანი დაიღუპა 2008 წლის საომარი მოქმედებების დროს და მის შემდეგ? ამ ადამინებიდან რამდენია მოკლული ბრძოლებში მონაწილეობის დროს?

9. იმ ტერიტორიებზე, რომლებიც 2008 წლის სამხედრო მოქმედებების დროს თქვენი ან მოწინააღმდეგის ძალების კონტროლის ქვეშ იყო, მთლიანობაში რა კატეგორიის ჯგუფებთან ან ცალკეულ პირებთან მიმართებაში განხორციელდა სიკვდილით დასჯა, გაუპატიურება, სამოქალაქო პირებთან არასათანადო მოპყრობა ან ძარცვა, აგრეთვე, შენობების დაწვა ან განადგურება? რა ზომები იქნა მიღებული ტერიტორიის მაკონტროლირებელი მხარის მიერ ამგვარი ძალადობის შეჩერების ან აღკვეთის მიზნით?

10. 2008 წლის საომარი მოქმედებების დროს ან მათ შემდეგ, როდის დააპატიმრეს ის პირები, რომლებიც მოხვდნენ თქვენი მხარის ხელში ან მოწინააღმდეგე მხარის ხელში? როგორ ექცეოდნენ მათ? გაასამართლეს თუ არა? როდის გაათავისუფლეს?

11. რატომ მიატოვეს ადამიანებმა თავიანთი საცხოვრებელი ადგილები 1990-2008 წლებში, განსაკუთრებით, 2008 წ. აგვისტოში, სექტემბერში, ოქტომბერში და რა უშლის მათ დაბრუნებას ხელს (ახალგორის რაიონის ჩათვლით)? როგორ არის დაცული ამ ადამიანების საკუთრების უფლება? შეუძლიათ თუ არა მათ საკუთრებაში არსებული ქონების თავისუფლად განკარგვა? კერძოდ, რა ზომები გატარდა, რომ მათი საკუთრების უფლება და ამ საკუთრებასთან დაკავშირებული სარეესტრო დოკუმენტები დაცული იყოს დამწვარი და განადგურებული შენობებისა და სახლების დოკუმენტების ჩათვლით? როგორ რეაგირებთ ბრალდებაზე ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ ეთნიკური წმენდის შესახებ?

12. 2008 წლის საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ, ჰქონდა თუ არა ადგილი მოწინააღმდეგის მხარესთან დაკავშირებული პირების დისკრიმინაციას და/ან რომელიმე ადამიანის უფლებით სარგებლობის შეზღუდვას? რა ღონისძიებები გატარდა ამგვარი პრაქტიკის წინააღმდეგ? რა სახის ღონისძიებები გატარდა, რომ

ქართველებისთვის და სხვა ეროვნების პირებისთვის ოსეთის მოქალაქეობის მინიჭების რეგულაციები და პრაქტიკა არ ყოფილიყო დისკრიმინაციული? სამხრეთ ოსეთში რომელი სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური ან ეკონომიკური უფლებებია დამოკიდებული ოსეთის მოქალაქეობაზე? რა სახის ღონისძიებები ტარდება ეთნიკური ჯგუფებისთვის, მათ შორის, ქართველებისთვის განათლების ენის უზრუნველსაყოფად?

13. რა ნაბიჯები გადადგა თქვენმა ან მოწინააღმდეგე მხარემ, რათა გაერკვია იმ პირების ბედი, რომლებიც დაკარგულად არიან გამოცხადებული 1990 წლის შემდეგ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის, მათი ოჯახების, ან იმ მხარის მიერ, რომელთაც ისინი ეკუთვნიან? ეს ნაბიჯები რა შემთხვევებში იყო წარმატებული? და თუ იგი არ იყო წარმატებული, რატომ? რა ზომები მიიღო თქვენმა ან მოწინააღმდეგე მხარემ დაღუპულების მოსაძებნად და საევაკუაციოდ, ასევე ნეშტის დასაბრუნებლად იმ მხარისთვის, რომელსაც ეკუთვნიან ან მათი ოჯახებისთვის?

14. 1990 წლიდან, კონფლიქტთან დაკავშირებულ დანაშაულებთან მიმართებაში, რა სახის საგამოძიებო საქმიანობა და სასამართლოს წესით დევნა იყო განხორციელებული თქვენი სასამართლო ხელისუფლების მიერ, როგორც საკუთარი, ასევე მოწინააღმდეგისა და ადგილობრივი ძალების წევრების, აგრეთვე, სამოქალაქო პირების მიმართ? რომელ შემთხვევებში განაპირობა სასამართლოს წესით დევნამ მსჯავრის დადება ან უდანაშაულობის აღიარება? გთხოვთ, წარმოგვიდგინოთ შესაბამის გადაწყვეტილებათა ასლები. რა იყო წარუმატებლობის მიზეზი იმ შემთხვევებში, როცა სასამართლოს წესით დევნას არ მოჰყოლია არც მსჯავრის დადება და არც უდანაშაულობის აღიარება?

15. თქვენი კონტროლის ქვეშ მყოფი ძალების ან პირების მიერ საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონმდებლობის ან ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მიიღეს თუ არა ძალადობის მსხვერპლებმა კომპენსაცია? იყო თუ არა გამოყენებული აღდგენითი მართლმსაჯულების სხვა ელემენტები? თუ არა, რატომ? რა გზით იქნება შესაძლებელი მსხვერპლებისათვის კომპენსაციის უზრუნველყოფა?

აფხაზეთი

– მოსაზრებები კონფლიქტის შესახებ

– ქრონოლოგია და საომარი ასპექტები – შეკითხვები და პასუხები

– ჰუმანიტარულ სამართალი და ადამიანის უფლებების შესახებ კანონი – შეკითხვები და პასუხები

2008 წლის აგვისტოს მოვლენების რეზიუმე

აფხაზეთის წინააღმდეგ საქართველოს შესაძლო აგრესიის წინაპირობათა ფორმირება 2008 წლის აგვისტომდე, ბევრად უფრო ადრე დაიწყო. უკვე 2008 წლის დასაწყისში, მდინარე ენგურის ახლომდებარე ტერიტორიაზე გააქტიურდა საქართველოს სპეც-სამსახურების სადაზვერვო საქმიანობა, ზუსტდებოდა ჯარების გადაადგილების მარშრუტები, ენგურზე ფონის მდგომარეობა და აფხაზეთის შეიარაღებული ძალების ძალების მზადყოფნის ხარისხი მდინარე ენგურის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ. რეგულარულად ფიქსირდებოდა აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული უპილოტო აპარატების ფრენები, რომელიც ფართო დანიშნულების იყო. აშკარა იყო, რომ საქართველო მეთოდურად ეწეოდა სადაზვერვო საქმიანობას, სტრატეგიულ ობიექტებზე დაკვირვებისა და აფხაზეთის შეიარაღებული ფორმირებების დისლოკაციის შესახებ ინფორმაციის შეგროვების მიზნით.

ამასთან დაკავშირებით, აფხაზეთის მხარეს არაერთხელ მიუმართავს დსთ-ის შერეული სამშვიდობო ძალებისა და საქართველოში გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელობებისთვის, მიექციათ ყურადღება აფხაზეთის რესპუბლიკის საჰაერო სივრცის საქართველოს მიერ გამოყენების აკრძალვაზე, რაც 1994 წლის მოსკოვის შეთანხმების დარღვევას წარმოადგენს. შეთანხმების 1-ელ პუნქტში ნათქვამია: „მხარეები განუხრელად დაიცავენ ცეცხლის შეწყვეტას მიწაზე, ზღვაში და საჰაერო სივრცეში...“

თბილისი ღიად ეწეოდა სამხედრო მზადებას – ქვეყანაში იწვევდნენ საერთაშორისო სამხედრო სპეციალისტებს, ტარდებოდა ტრენინგები და ერთობლივი სამხედრო

წვრთნები, ხდებოდა მასობრივი მსხვერპლისა და ნგრევების გამომწვევი, თანამედროვე შემტევი შეიარაღების საშუალებების შესყიდვები, საერთაშორისო კონვენციით აკრძალულ სახეობათა ჩათვლით. დღეისთვის არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ საქართველოს მთავრობა ახორციელებდა შეიარაღების შესყიდვებს რიგ ევროპულ ქვეყნებშიც. (ცნობილია, რომ საქართველოს პარლამენტმა 2008 წლისთვის დაამტკიცა 800 მლნ. დოლარის სამხედრო ხარჯები, ხოლო ივლისში იგი 1მილიარდამდე გაიზარდა).

სიტუაციის გამწვავებას ხელს უწყობდნენ რადიკალურად განწყობილი საქართველოს პარლამენტარების სერიოზული განცხადებები, სადაც ისინი ღიად აცხადებენ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად სამხედრო ძალის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ. რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ყოფილი ელჩის, ეროსი კიწმარიშვილის სიტყვებით, 2008 წლის აპრილში, ქართული ხელისუფლების ვიწრო წრეში განიხილებოდა აფხაზეთზე შეტევის შესაძლებლობა. მისი სიტყვებით, „საქართველოს ზოგიერთმა ლიდერმა განაცხადა, რომ აშშ-ის პრეზიდენტი მხარს უჭერს სოხუმის წინააღმდეგ სამხედრო ქმედებას... სააკაშვილმა პირობა დადო, რომ აგვისტოში სოხუმი გახდებოდა საქართველოს დედაქალაქი.“

რამდენიმე გავლენიანმა პირმა, მათ შორის, სააკაშვილის გარემოცვიდან, ღიად განაცხადა, რომ სამხედრო ოპერაცია უბრალოდ შესაძლებელი კი არ არის, არამედ აუცილებელიცაა. შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ერთადერთი საკითხი რომელიც აწუხებდათ ქართველ პოლიტიკოსებს – ეს იყო აფხაზეთის რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სტატუსის გარკვევა და არა ნდობის აღდგენა ან კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირების საკითხები. საქართველოს ძირითადი მიზანი იყო ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ნებისმიერ ფასად. ამის ირიბი მტკიცებულებაა 2008 წლის 23 იანვრის გაერო-ს გენერალური მდივნის მოხსენებაც, სადაც ნათქვამია: „გაურკვევლობისა და შფოთის მიზეზი იყო ის არასარწმუნო ინფორმაცია, რომელიც, პრაქტიკულად, ყოველდღიურად ვრცელდებოდა ქართული მასობრივი საინფორმაციო საშუალებებისა და თვით საქართველოს ხელისუფლების მხრიდან.. ამგვარმა ინფორმაციამ გამოიწვია უნდობლობის ზრდა და უსაფრთხოების დასუსტება, რამაც საბოლოო ჯამში, გაზარდა კონფრონტაციის ალბათობა. აგრეთვე, გაიზარდა ისეთი განცხადებების რიცხვი, რომლებიც კონკრეტულად მიმართული იყო დსთ-ის სამშვიდობო ძალების წინააღმდეგ. ეს განცხადებები, უმეტეს შემთხვევებში, უსაფუძვლო იყო.“

საქართველოს მიერ აფხაზეთთან საკითხის ძალისმიერი გადაჭრის შესაძლებლობის დეკლარირებული კურსი და კოდორის ხეობაში სამხედრო პოტენციალის გაზრდა,

ზოგადად, რეგიონში სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციის დესტაბაილიზაციას ახდენდა. ამავე დროს, აფხაზეთის მხარის ნებისმირი ინიციატივა, ხელი მოეწერათ თბილისსა და სოხუმს, ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმებებზე, წარუმატებელი იყო საქართველოს მხრიდან სურვილის არარსებობის გამო.

რაც შეეხება სიტუაციას კოდორის ხეობაში, ის 2006 წლიდან წარმოადგენდა აფხაზეთის წინააღმდეგ მუდმივი პროვოკაციების წყაროს, მისი მოპოვებისთანავე. საქართველოს პრეზიდენტის, მ. სააკაშვილის სიტყვებით კოდორის ხედობა წარმოადგენდა „მეტისმეტად მნიშვნელოვან სტრატეგიულ პლაცდარმს... იმ ადგილის თავზე, საიდანაც სოხუმამდე შეიძლებოდა საჰაერო გზით მიღწევა, სულ რაღაც 5 წუთში.“ აღსანიშნავია, რომ აფხაზური მხარე არაერთხელ ცდილობდა მშვიდობიანი, დიპლომატიური გზით გადაეწყვიტა კოდორის ხეობიდან სამხედრო ქვედანაყოფების გაყვანის საკითხი, მაგრამ მხოლოდ სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ საქართველოს მიერ სამხედრო ოპერაციის დაწყების შემდეგ იყო მიღებული გადაწყვეტილება ამ პლაცდარმის გათავისუფლების შესახებ, რომელიც ნებისმიერ მომენტში შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო აფხაზეთის წინააღმდეგ.

ხეობაში ოპერაცია აფხაზეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მიერ დამოუკიდებლად ჩატარდა და მოიცავდა მხოლოდ აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიას. აფხაზეთის ხელისუფლებამ კოდორის ხეობის ზედა ნაწილის მოსახლეობისთვის უზრუნლველყო დერეფანი, რომ მოსახლეობას ჰქონოდა შესაძლებლობა დაეტოვებინა საბრძოლო მოქმედებების ზონა. უშუალოდ საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე, ზემო კოდორის ხეობის მოსახლეობა არაერთხელ გააფრთხილეს, რომ მზადდებოდა და ჩატარდებოდა ზემო კოდორის გათავისუფლების ოპერაცია. მოწყობილი იქნა ჰუმანიტარული დერეფანი, როგორც მშვიდობიანი მოსახლეობისთვის, ასევე სამხედრო მოსამსახურეებისთვისაც. ყველა საავიაციო დარტყმა და საარტილერიო ცეცხლის გახსნა ხორციელდებოდა იმგვარად, რომ არ დაზიანებულიყო დასახლებული პუნქტები და მშვიდობიან მოსახლეობას შორის არ ყოფილიყო მსხვერპლი. ზემო კოდორის გათავისუფლების შემდეგ, იქიდან გაყვანეს ყველა სარეზერვო ქვედანაყოფი. პრეზიდენტის ბრძანებით, მოხდა საკომენდანტო რაიონის ორგანიზება და დაინიშნა აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის წარმომადგენელი – რაიონის კომენდანტი.

ამგვარად, კოდორის ხეობაში ოპერაცია ჩატარდა რაიონის მშვიდობიანი მოსახლეობისთვის უმსხვერპლოდ და ზარალის გარეშე, არ დარღვეულა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები, და ადგილი არ ჰქონია ძარცვისა და სახლების დაწვა-განადგურების ფაქტებს.

ქრონოლოგია და საომარი ასპექტები –
შეკითხვები და პასუხები

საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია

აფხაზეთის ხელისუფლებისადმი დასმული შეკითხვების პირველი ნაწილი სამხედრო საკითხებთან დაკავშირებით

1. 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის ქრონოლოგიის ამსახველი მრავალი ანგარიში არსებობს. თქვენი აზრით, როგორია კონფლიქტის ზონაში განვითარებული მოვლენების თანმიმდევრობა განსაკუთრებით ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში?
2. 2008 წლის აგვისტოში დაიცვა თუ არა აფხაზურმა მხარემ 1994 წ. 14 მაისის ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ მოსკოვის ხელშეკრულების პირობები, მათ შორის, უსაფრთხოების ზონისა და შეზღუდული შეიარაღების ზონის სტატუსის პირობები? თუ არა, რატომ?
3. გადაკვეთა თუ არა აფხაზეთის ჯარმა ქართულ მხარესთან არსებული ცეცხლის შეწყვეტის ხაზები 2008 წელს, რომლებიც დაწესდა 1994 წლის 14 მაისის ცეცხლის შეწყვეტის და ძალთა დაშორიშორების შესახებ მოსკოვის ხელშეკრულებით? და თუ ასე მოხდა, სად, როდის და რატომ?
4. რა ტიპის საბრძოლო დავალებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეასრულა აფხაზეთის ჯარმა და მილიციამ ქართული მხარის წინააღმდეგ კონფლიქტის დროს?
5. რა სახის ქვედანაყოფები იყო გამოყენებული და რა რაოდენობით საჯარისო ფორმირებების დისლოცირება მოხდა როგორც მთლიანობაში, ასევე კონკრეტული ოპერაციებისათვის?
6. როგორი იყო აფხაზური ძალების სტრუქტურა, მართვისა და კონტროლის ერთობლიობა? 7. რომელ დონეზე ხდებოდა სამიზნეთა და საშუალებათა შერჩევასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება?
8. რა დონის თანამშრომლობა არსებობდა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აფხაზეთის ძალებს, დსთ-ის სამშვიდობო ძალებსა და რუსეთის ფედერაციის

შეიარაღებულ ძალებს შორის? გასცდა თუ არა ერთობლივი ოპერაციები მოსკოვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცეცხლის შეწყვეტის ოპერაციებს?

9. რა სახის წვრთნა ჩაუტარდა ოპერაციებში მონაწილე ჯარებს „შეიარაღებული კონფლიქტის შესახებ“ საერთაშორისო კანონთან დაკავშირებით? რა გეგმები დაისახა მშვიდობიანი მოსახლეობას დასაცავად საბრძოლო ოპერაციების დაწყებამდე? რა გააკეთა რეგულარულმა ჯარებმა ადამიანის უფლებათა დარღვევის პრევენციისთვის, ძარცვის, სახლების გადაწვის და სხვ. ჩათვლით 2008 წლის აგვისტოს ომის დროს და შემდგომ პერიოდში?

10. 2008 წლის აგვისტომდე, რა სახის საბრძოლო მომზადებები ჩატარდა? როგორი იყო აფხაზეთის ძალებისა და მილიციის ორგანიზაცია, შემადგენლობა და აღჭურვილობა კონფლიქტამდე?

11. რა გეგმები დაისახა კონფლიქტის ზონიდან ძალების გასაყვანად და გადასაჯგუფებლად? რა თანმიმდევრობით და დროის გრაფიკით სრულდებოდა ძალების გაყვანა და გადაჯგუფება?

12. როგორი იყო ძალების გადაჯგუფების/ოპერაციების თანმიმდევრობა და დროის გრაფიკი ზემო კოდორის ხეობაში და რა ძალები მონაწილეობდნენ მასში?

2008 წლის აგვისტოს მოვლენათა სათავე და მიზეზები
აფხაზური მხარის ხედვა
(პოლიტიკური და სამხედრო ასპექტები)

მოვლენათა ქრონოლოგია:

2006 წლის 25 ივლისი – ეს არის კოდორის ხეობაში ქართული სამხედრო ქვედანაყოფებისა და მძიმე ჯავშანტექნიკის შეყვანის თარიღი, რომელიც წარმოადგენს აფხაზეთში სიტუაციის ესკალაციის ამოსავალ წერტილს, რამაც 2008 წლის აგვისტოში კულმინაციას მიაღწია. ამ პერიოდში, ქართული ჯარები პოლიციური ოპერაციის საფარქვეშ, ადრე მიღწეული ყველა შეთანხმების დარღვევით, შეიჭრნენ კოდორის ხეობაში. ამით საქართველოს ხელისუფლებამ ღიად დაადასტურა აფხაზეთთან კონფლიქტის ძალისმიერი გადაწყვეტის სურვილი და მისი მზაობა ნებისმიერ ფასად აღედგინა ტერიტორიული მთლიანობა.

25 ივლისს, დსთ-ის მშვიდობისმყოფელები და საქართველოში გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლები გახდნენ მოწმეები და თავადაც აღრიცხეს 1994 წლის 14 მაისის, ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა განცალკევების შესახებ მოსკოვის შეთანხმების უხეში დარღვევის ფაქტი. შეგახსენებთ, რომ შეთანხმების მე-4 პუნქტში ნათქვამია: „...კოდორის ხეობიდან განხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის ჯარების გადაყვანა აფხაზეთის ფარგლებს გარეთ, მათი დისლოკაციის ადგილებში," ხოლო 1998 წლის 25 მაისს, გაგრაში მხარეების მიერ ხელმოწერილ პროტოკოლში ცეცხლის შეწყვეტის, ძალთა დაშორიშორებისა და საომარი მოქმედებების პრევენციისა და განუახლებლობის შესახებ ნათქვამია: „...ქართული მხარე იღებს ვალდებულებას, მიიღოს ეფექტიანი ზომები, რათა არ დაუშვას აფხაზეთში შეიარაღებული ფორმირებებისა და შეიარაღებული პირების შეღწევა."

კოდორის ხეობის ოკუპირებით, საქართველომ ფაქტობრივად, მოამზადა მყარი საფუძველი აფხაზეთის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის განხორციელებისთვის. აფხაზეთის რესპუბლიკის ტეირიტორიაზე, კოდორის ზემო ხეობაში შევიდნენ საქართველოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა სამინისტროების, სახელმწიფო უშიშროების, სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტისა და სხვა სპეციალური სამსახურების ქვედანაყოფები. ძალთა დაჯგუფება შედგებოდა ერთი მსუბუქი ქვეითი ბრიგადისაგან, ეროვნული გვარდიის ბატალიონისაგან, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სპეციალური ქვედანაყოფებისაგან, რომელთა შეიარაღებაში იყო: ნაღმმრტყორცნი – 24 ერთეულამდე, ქვეითთა საბრძოლო მანქანები – 10 ერთეულამდე, ბმ-21 „გრადი" – 2 ერთეულამდე, იარაღი დ-30 – 6 ერთეული,

საზენიტო დანადგარები 23-2 – 6 ერთეულამდე, ს-60 – 1 ერთეული, ტანკსაწინააღმდეგო საშუალებები (სპგ-9, პტრკ) – 20 ერთეულამდე.

ძალთა დაჯგუფების საერთო რაოდენობა სხვადასხვა პერიოდებში მერყეობდა 1500-დან 3000 ადამიანამდე. ძალთა გაძლიერებისა უზრუნველყოფის მიზნით, კონტიგენტში შედიოდნენ სპეციალური დანიშნულების, სადაზვერვო, საინჟინრო, კავშირგაბმულობის, ჰაუბიცებისა და ნაღმმტყორცნელთა არტილერიისა და ლოგისტიკური ქვედანაყოფები.

ზემო კოდორის ხეობაში, დაგროვდა სასაწყობო იარაღის, საბრძოლო მასალის, სურსათის, საწვავ-საპოხი მასალებისა და სხვა შეიარაღების მარაგები, ხოლო ადგილობრივი სამხედრო ინფრასტუქტურა იძლეოდა ერთდროულად 6000-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურის განთავსებისა და საბრძოლო მოქმედებებისთვის მომზადების საშუალებას; ამ სამხედრო მოსამსახურეებით უნდა დაკომპლექტებულიყო ორი ქვეითი ბრიგადა, რომლებსაც გალისა და ტყვარჩელის დაჯგუფებებთან ერთად შეეძლოთ განეხორციელებინათ იერიში ზემო ლათას, წებელდასა და სუხუმის (იგივე სოხუმის) მიმართულებით.

[ხეობაში] შეიარაღებული დაჯგუფების შეყვანის ძირითადი მიზნები იყო:

– პოზიციათა გამაგრება კოდორის მიმართულებით ოპერატიული დარტყმის მისაყენებლად, რასაც უნდა შეექნა ქალაქ სუხუმთან (იგულისხმება სოხუმი) შესასვლელი პლაცდარმი; შემდგომში, ბაბუშერას აეროპორტის აღება, გალ(ი)-სუხიმის (იგულისხმება გალი-სოხუმი) მიმართულებით საქართველოს სახმელეთო ჯარებისთვის ხელსაყრელი პოზიციების შექმნა.
– აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ქართული ჯარის ძირითადი ნაწილის შეყვანა და აფხაზეთის შეიარაღებული ძალების განადგურების მიზნით, ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებების განხორციელება, მოქმედი პრეზიდენტისა და მთავრობის გადაყენება, აფხაზეთის დამოუკიდებლობის გაუქმება და თავიანთ ტერიტორიასთან მისი ძალადობრივი გზით შემოერთება.

კოდორის ხეობის ოკუპაცია ნიშნავდა, რომ საქართველო, ყველა წინა ხელშეკრულების უგულვებელყოფით, საბოლოოდ, გავიდა მოსკოვის შეთანხმებიდან.

2006 წლის 28 სექტემბერს, გაეროს გენერალურმა მდივანმა თავის მოხსენებაში (S/2006/771) აღნიშნა, რომ „კონფლიქტის ზონაში ვითარება 24 ივლისამდე რჩებოდა სტაბილური, მაგრამ კოდორის ხეობის ზედა ნაწილში ქართული სპეცოპერაციის დაწყების შემდეგ დაიძაბა... 24 ივლისს ღამით, მოსალოდნელი ქართული

სპეცოპერაციის შესახებ პირველადი ცნობების მიღებისას, საქართველოში გაეროს სადამკვირვებლო მისიამ სპეციალური პატრული გააგზავნა დსთ-ის სამშვიდობო ძალების საკონტროლო გამშვებ პუნქტზე, რომელიც იმყოფებოდა კოდორის ხეობის გზაზე, უსაფრთხოების ზონის ჩრდილოეთ საზღვარზე. ამ პატრულმა უსაფრთხოების ზონაში შეამჩნია ორი დაჯავშნული სამხედრო სამაშველო მანქანა ხუთი სამხედრო მოსამსახურით და ქართულ მხარეს შეატყობინა, რომ მან დაარღვია 1994 წლის მოსკოვის შეთანხმება. რამდენიმე საათის შემდეგ, 25 ივლისის დილას, დსთ-ის სამშვიდობო ძალებმა შეამჩნიეს ქართული სამხედრო ავტოკოლონის მოძრაობა, რომელიც შედგებოდა დაახლოებით 30 სატვირთო მანქანის, 4 ჯიპისა და 18 ავტომანქანისაგან „ოთხივე წამყვანი თვლით, რომლებზეც იმყოფებოდა 600-1000 სამხედრო მოსამსახურე. ეს ავტოკოლონა მოძრაობდა კოდორის ხეობის ზედა ნაწილის მიმართულებით. 26 ივლისს, საქართველოში გაეროს სადამკვირვებლო მისიამ, შეამჩნია შვიდი ქართული ვერტმფრენი, მათ შორის, სამი თავდასხმითი ვერტმფრენი, რომლებიც მიფრინავდნენ კოდორის ხეობაში და შეატყობინა ქართულ მხარეს, რომ მან განახორციელა კიდევ ერთი დარღვევა... ქართულმა მხარემ აღიარა ამ რაიონში შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა და ასევე, 30-40 სამხედრო ინჟინრის ყოფნა, რომლებიც მონაწილეობდნენ ხიდების სარემონტო სამუშაოებში. სამხედრო ინჟინრების ყოფნა და ასევე, სამხედრო ძალებისა და საშუალებების გამოყენება ეწინააღმდეგება კოდორის ხეობიდან ჯარების გაყვანის შესახებ, 1994 წლის მოსკოვის შეთანხმების მე-2 (d) პუნქტის დებულებებს (იხ.S/1994/583, დანართი I).“

მთლიანობაში, გაერო-ს გენერალურმა მდივანმა 2006 წლის 28 სექტემბრის მოხსენებაში დააფიქსირა ქართული მხარის მიერ 1994 წლის მოსკოვის შეთანხმების დარღვევის 13 ფაქტი. ამასთან, აფხაზური მხარის ქმედებები, საქართველოში გაეროს სადამკვირვებლო მისიის მიერ არ იყო შეფასებული კანონსაწინააღმდეგოდ და მოსკოვის შეთანხმების დარღვევად. „ქართული ოპერაციის საპასუხოდ, აფხაზურმა მხარემ თავისი ძალები განათავსა სოხუმიდან აღმოსავლეთით, კოდორის ხეობის ქვედა ნაწილის მიმართულებით, მათ შორის, დამატებითი ქვედანაყოფები გადაისროლა შეზღუდული შეიარაღების ზონაში, იმისთვის, რათა აღედგინა თავისი თავდაცვითი პოზიციები გალის არხის გასწვრივ და გაეძლიერებინა პოზიციები კონფლიქტის ზონაში. მაგრამ, აფხაზური მხარის ეს ქმედებები არ წარმოადგენენ 1994 წლის მოსკოვის შეთანხმების დარღვევას“ – მოხსენება (S/2006/771, პუნქტი 16).

2006 წლის 13 ოქტომბრის გაერო-ს უშიშროების საბჭოს #1716 რეზოლუციაში გამოიხატება „შეშფოთება 2006 წლის ივლისში, კოდორის ხეობაში ქართული მხარის ქმედებებთან დაკავშირებით, ასევე, 1994 წლის 14 მაისის ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ მოსკოვის ხელშეკრულების და, აგრეთვე, კოდორის

ხეობასთან დაკავშირებულ სხვა ქართულ-აფხაზური შეთანხმებების ყველა დარღვევასთან დაკავშირებით.“ გაერო-ს უშიშროების საბჭო „დაჟინებით მოუწოდებს ქართულ მხარეს უზრუნველყოს ის, რომ კოდორის ხეობის ზედა ნაწილში ვითარება იყოს მოსკოვის შეთანხმებასთან შესაბამისობაში და იქ არ იმყოფებოდეს არანაირი ჯარები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ შეთანხმებით...“ უშიშროების საბჭომ თავის რეზოლუციაში ქართულ მხარეს მისცა რეკომენდაციები „სერიოზულად მიიღოს აფხაზური მხარის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საფუძვლიანი შეშფოთება, მოერიდოს სახიფათო ნაბიჯებს, და ასევე, თავი შეიკავოს საომარი რიტორიკისა და პროვოკაციული ქმედებებისაგან, განსაკუთრებით, კოდორის ხეობის ზედა ნაწილში.“ (პუნქტები 3, 4, 8) უშიშროების საბჭომ, ასევე, არაერთხელ მიმართა ქართულ მხარეს თავი შეეკავებინა საომარი რიტორიკისა და პროვოკაციული ქმედებებისაგან აფხაზეთთან მიმართებაში. აღსანიშნავია, რომ ე.წ. „პოლიციის სპეცოპერაციის“ ჩატარებისას, საქართველოს ხელმძღვანელობა, პრაქტიკულად, ყოველდღე აჟღერებდა კოდორის ხეობის ზედა ნაწილში თავისი შეჭრის ურთიერთსაწინააღმდეგო მიზნებსა და ამოცანებს. ზოგიერთი ცნობილი ქართველი პოლიტიკოსის სიტყვებით, ე.წ. „პოლიციის სპეცოპერაცია,“ სინამდვილეში წარმოადგენდა ფართომასშტაბიან სამხედრო ქმედებას აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, რომლის მიზანიც იყო „სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პლაცდარმის ხელში ჩაგდება,“ საქართველოს შემდგომი სამხედრო პოტენციალის ზრდისთვის. კერძოდ, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ საჯაროდ განაცხადა, რომ ოპერაცია კოდორის ხეობაში ასევე, გამოიწვევს „განსაკუთრებულად მნიშვნელოვან სტრატეგიულ ბაზაზე... იმ ადგილზე, საიდანაც საჰაერო გზით სოხუმამდე შეიძლება სულ, რაღაც ხუთ წუთში მიღწევა“ კონტროლის დამყარებას, ხოლო საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ღიად გამოთქვა მისი მიზანი კოდორის ხეობის ზედა ნაწილში გასამხედროებული სტრუქტურის გაძლიერების შესახებ. თბილისში პრესკონფერენციაზე მან განაცხადა: „საქართველო არ აპირებს ზემო აფხაზეთის არც ერთი სანტიმეტრის დათმობას... პირიქით, ჩვენ ვაპირებთ განვაგრძოთ ტერიტორიების დაბრუნების პროცესი. ახლა ჩვენ ვაკონტროლებთ აფხაზეთის ტერიტორიის 30%-ს და მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით აღვადგენთ სრულ კონტროლს.“ ბუნებრივია, სიტუაციის ამგვარი განვითარება აფხაზეთის მიმართ საქართველოს აგრესიული ზრახვების ცალსახა დადასტურებად შეფასდა.

სიტუაცია კიდევ უფრო მძიმდებოდა იმის გათვალისწინებით, რომ დასავლეთი დაუფარავად უჭერდა მხარს უმაღლეს დონეზე. კერძოდ, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწემ ევროპისა და ევრაზიის საკითხებში, მეთიუ ბრაიზამ განაცხადა, რომ „საქართველოს მთავრობას გააჩნია უფლება თავისი მოქალაქეების ინტერესების

დაცვის მიზნით გამოიყენოს ნებისმიერი კანონიერი ზომები...“ ამასთან, აღნიშნა, რომ სიტუაცია იქ მოგვარდება მშვიდობიანად „თუ კი, საქართველოს მთავრობა კოდორის ხეობაში ღონისძიებების განხორციელებისას, არ გავა საერთაშორისო მოთხოვნების ფარგლებს გარეთ.“ მაგრამ, პროვოკაციები და დივერსიები კოდორის ხეობის ზედა ნაწილში არ წყდებოდა. 2007 წელს, უსაფრთხოების ჩრდილოეთ ზონაში დივერსიული აქტების რაოდენობა, რომლებიც ხორციელდებოდა, როგორც ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლების, ასევე მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, რამდენჯერმე გაიზარდა, სიტუაცია სულ უფრო რთულდებოდა. მხარეთა შორის ნდობა საბოლოოდ შეირყა.

აფხაზურ მხარეს არაერთხელ განუცხადებია თავისი მკაცრი პროტესტი და მიუმართავს გაერო-ს, რუსეთის ფედერაციის, ეუთო-სა და გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფისთვის თხოვნით, რათა დაგმონ ქართული მხარის ქმედებები და მოუწოდონ მას მოლაპარაკების პროცესში ხელმოწერილი დოკუმენტების დაუყოვნებლივი შესრულებისკენ, მაგრამ აფხაზეთის დიპლომატების მიმართვებს მიექცა სათანადო ყურადღება და ქართული მხარე აგრძელებდა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების, კერძოდ 1716 (2006) რეზოლუციის იგნორირებას.

– 2008 წლის 5 იანვარს, საქართველოში ჩატარდა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები, რის შემდეგაც, ქართული ხელმძღვანელობის საზღვარგარეთიდან მხარდაჭერით გაძლიერებულმა აგრესიულმა ქმედებებმა, კიდევ უფრო მტრულ ხასიათი მიიღო. მიხეილ სააკაშვილმა თავისი საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას, არაერთხელ დადო პირობა „აფხაზური“ საკითხის გადაწყვეტის შესახებ. სინამდვილეში ეს გახდა მთავარი ლოზუნგი მისი საპრეზიდენტო კამპანიისა. საერთაშორისო ანალიტიკოსები აღნიშნავდნენ, რომ ამგვარად, სააკაშვილი ცდილობდა, ამომრჩეველთა ყურადღება შიდა პრობლემებისაგან გადაეტანა.

არჩევნებთან ერთად ჩატარდა რეფერენდუმი საქართველოს ნატო-ში შესვლის შესახებ, სადაც საქართველოს მოქალაქეთა 72,5% ხმა მისცა ქვეყნის გაწევრიანებას ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში; მაგრამ, ყველასთვის ცხადი იყო, რომ შიდა საკითხების გადაჭრის გარეშე, საქართველოსთვის ალიანსში გაწევრიანების გზა არც თუ ისე ადვილი იქნებოდა. ბუქარესტში ნატო-ს სამიტის წინ, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა მიუთითა ევროპაში „სერიოზულ ეჭვებზე“ უკრაინისა და საქართველოს ნატოში მიღებასთან დაკავშირებით. საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნებმა აჩვენა, რომ ქვეყანა ჯერ კიდევ, ვერ გავიდა სტაბილური დემოკრატიული განვითარების გზაზე, განაცხადა შტაინმაიერმა გაზეთ Leipziger Volkszeitung-თან ინტერვიუში. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა

ანგელა მერკელმა კიდევ უფრო ადრე, მკაფიოდ გაახმოვანა თავისი პოზიცია – „ ვთვლი, რომ სახელმწიფოებს, რომლებიც მოცემულ მომენტში ჩარეულნი არიან შიდა და რეგიონულ კონფლიქტებში, არ შეიძლება ჰქონდეთ ნატოში გაწევრიანების პრეტენზია“, – განაცხადა მან ბერლინში, ბუნდესვერის სარდლობასთან შეხვედრაზე. ,,ნატო – ეს არის სახელმწიფოთა კავშირი, რომლებსაც აერთიანებთ უსაფრთხოების საერთო ინტერესები, და არა სახელმწიფოების, რომლებიც დაკავებულნი არიან თავიანთი შიდა პრობლემებით.“ ცხადია, საქართველო დაინტერესებული იყო თავისი ტერიტორიული საკითხების უსწრაფეს გადაწყვეტაში. ნებისმიერი სახელმწიფოს საერთაშორისო ალიანსში შესვლის უფლების აღიარების მიუხედავად, უნდა აღვნიშნოთ, რომ ნატოზე ორიენტაცია და ამ ორგანიზაციის ზოგიერთი წევრისაგან მიღებული პოზიტიური ნიშნები, რომლებიც საქართველოში არასწორად იყო ინტერპრეტირებული, გახდა კიდევ ერთი სტიმული რომელიც საქართველოს ომისკენ უბიძგებდა.

– 2008 წლის 17 თებერვალს, კოსოვოს მხარემ თავი სუვერენულ სახელმწიფოდ გამოაცხადა და მიიღო აშშ-ისა და ევროპული ქვეყნების უმრავლესობის აღიარება. შეიქმნა პრეცედენტი, საქართველოსთვის სახიფათო მაგალითი, რომელსაც ასევე, არ შეეძლო საქართველოს ხელისუფლებისთვის არ ებიძგა უფრო გადამწყვეტი ნაბიჯებისაკენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხების გადასაჭრელად. ამგვარად, საქართველო, ნატოში უსწრაფესი შესვლის სურვილისა და ამავე დროს, სახელმწიფოს მთლიანობის დაკარგვის შიშის გათვალისწინებით, რომელიც გაჩნდა დასავლური ქვეყნების მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ, აღმოჩნდა რთულ სიტუაციაში, მით უმეტეს, რომ აფხაზეთს აღიარებისათვის გააჩნდა უფრო მეტი მორალური, ისტორიული და სამართლებრივი საფუძველი. კოსოვოს აღიარებამ საბოლოოდ განსაზღვრა საქართველოს გადაწყვეტილება აფხაზეთის წინააღმდეგ ფართომაშტაბიანი სამხედრო ოპერაციის სწრაფი მომზადების დაწყების შესახებ.

– 2008 წლის თებერვალ-მაისი – 2008 წლის დასაწყისიდან, მდინარე ენგურის სიახლოვეს, გააქტიურდა საქართველოს სპეცსამსახურების სადაზვერვო საქმიანობა, ზუსტდებოდა ჯარების გადაადგილების მარშრუტები, ენგურზე არსებული მდგომარეობა, აფხაზეთის შეიარაღებული ძალების მზადყოფნის ხარისხი მდინარე ენგურის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ. აფხაზეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო რეგულარულად აფიქსირებს აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული უპილოტო აპარატების ფრენებს, რომელიც ფართო დანიშნულების იყო. საქართველო მეთოდურად ატარებს სადაზვერვო საქმიანობას, რომ უთვალთვალოს ძირითად სტრატეგიულ ობიექტებსა და შეაგროვოს აფხაზეთის შეიარაღებული ფორმირებების დისლოკაციის შესახებ ინფორმაცია. ამასთან დაკავშირებით, აფხაზეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს არაერთხელ მიუმართავს დსთ-ის შერეული სამშვიობო

ძალებისა და საქართველოში გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელობებისთვის, მიექციათ ყურადღება აფხაზეთის რესპუბლიკის საჰაერო სივრცის საქართველოს მიერ გამოყენების აკრძალვაზე, რაც 1994 წლის მოსკოვის შეთანხმების დარღვევას წარმოადგენს. შეთანხმების 1-ელ პუნქტში ნათქვამია: „მხარეები განუხრელად დაიცავენ ცეცხლის შეწყვეტას მიწაზე, ზღვაში და საჰაერო სივრცეში...“ თუმცა, ქართული მხარე არ წყვეტს პროვოკაციულ ქმედებებს, რაც იწვევს დაძაბულობის ესკალაციას. უფრო მეტიც, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოხსენებაში ნათქვამია: „ქართული მხარე აცხადებს, რომ იტოვებს უფლებას განახორციელოს ფრენები საქართველოს სუვერენული საჰაერო სივრცის ფარგლებში იმ უპილოტო თვითმფრინავების რაოდენობით და იმ პერიოდულობით, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის.“ ამგვარად, ქართული მხარე ადასტურებს, რომ ის მზად არის, დაარღვიოს ნებისმიერი ხელშეკრულება და შეთანხმება, თუ იგი არ შეესაბამება საქართველოს ინტერესებს.

მრავალჯერადი სიტყვიერი გაფრთხილებების შემდეგ, აფხაზეთის რესპუბლიკის სამხედრო-საჰაერო ძალები იწყებენ საქართველოს შეიარაღებაში მყოფი, ისრაელის წარმოების, უპილოტო საფრენი აპარატების ჩამოგდება.

2008 წლის 18 მარტს, 12 საათსა და 05 წუთზე, სოფელ ნაბაკევის რაიონში, ზღვის დონიდან დაახლოებით 4,5 ათასი მეტრის სიმაღლეზე, ჩამოგდებული იყო საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების უპილოტო საფრენი აპარატი, სერიული ნომრით 551.

20 აპრილს, 9 საათსა და 57 წუთზე, გალის რაიონის გაგიდას დასახლებული პუნქტის თავზე, ზღვის დონიდან დაახლოებით 6 ათასი მეტრის სიმაღლეზე, აფხაზეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საჰაერო ძალების რეაქტიულმა თვითმფრინავმა, ლ-39-მა ჩამოაგდო საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების უპილოტო საფრენი აპარატი, სერიული ნომრით 553.

4 მაისს, აფხაზეთის რესპუბლიკის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სახმელეთო ძალების მიერ, ოჩამჩირეს რაიონის თავზე, ცაში, ადგილობრივი დროით, 16 საათსა და 06 წუთზე და 16 საათსა და 51 წუთზე იყო ლიკვიდირებული კიდევ ორი ქართული უპილოტო საფრენი აპარატი.

8 მაისს, ოჩამჩირეს რაიონის გუდავას დასახლებული პუნქტის თავზე, 17 საათსა და 05 წუთზე, 1,5 ათასი მეტრის სიმაღლეზე, განადგურებული იყო საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების კიდევ ერთი უპილოტო საფრენი აპარატი.

12 მაისს, აფხაზეთის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებებით, ოჩამჩირეს რაიონის აჩიგვარასა და შეშელეთის დასახლებული პუნქტების თავზე, 14 საათსა და 16 წუთზე და 15 საათსა და 07 წუთზე, 5 ათასზე მეტი მეტრის სიმაღლეზე, იყო განადგურებული კიდევ ორი ქართული უპილოტო მზვერავი.

აფხაზეთის რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში ჩამოგდებული ყველა უპილოტო საფრენი აპარატი, კერძოდ, 7 ერთეული, დამზადებულია ისრაელის „Elbit Systems Ltd“ კომპანიის მიერ და აქვთ მოდიფიკაცია Hermes 450. საქართველოს ხელისუფლებამ ოფიციალურად აღიარა, რომ ამ თვითმფრინავებიდან მხოლოდ ერთი იყო საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაში, კერძოდ, 20 აპრილს ჩამოგდებული უპილოტო საფრენი აპარატი, სერიული ნომრით 553. ამგვარად, სერიული ნომრების თანმიმდევრობა ადასტურებს, რომ ქართული მხარის განცხადება, თითქოს მისიუპილოტო საფრენი აპარატები არ დაფრინავდნენ აფხაზეთის ტერიტორიის თავზე, შეუსაბამოა.

საფრენი აპარატები იყო აღჭურვილი ელექტრო-ოპტიკური, ინფრაწითელი და ლაზერული სენსორებით, ასევე, მონაცემთა გაცვლის სისტემით, რომელსაც შეუძლია რეალური დროის რეჟიმში გადასცეს გამოსახულება მიწისზედა სამართავ პუნქტებს. ეს აპარატები განკუთვნილია თვალთვალის, პატრულირების, დაზვერვისა და საცეცხლე მხარდაჭერის კორექტირების ჩასატარებლად, მათ შეუძლიათ შეამჩნიონ მოძრაობა დაახლოებით 25 კმ-ის მანძილზე, ამოიკითხონ სანომრე ნიშანი ავტომანქანაზე, გადასცენ სატრანსპორტო საშუალებების მგზავრთა სურათები აგრეთვე, იარაღის იდენტიფიცირება. უპილოტო საფრენი აპარატებით გადაღებული სურათები შემდგომში გამოიყენეს აფხაზეთზე თავდასხმის რუკების შესადგენად. არსებობს დოკუმენტური მტკიცებულებები, მათ შორის, ფოტოსურათები, რუკები, თავდასხმის სქემები და გეგმები, რომლებიც ადასტურებენ, რომ საქართველო ემზადებოდა აფხაზეთში სამხედრო შეჭრისთვის. ისინი შეიძლება გადაეცეს კომისიას შემდგომი ანალიზისთვის. როგორც ჩანს, აფხაზეთის ხელში ჩაგდების დეტალური გეგმებიდან, სამხედროთა ქმედებები და თავდასხმების შემუშავება მზადდებოდა, როგორც მინიმუმ, ბოლო ორი წლის განმავლობაში. თანაც, ქართული სამხედროები „ათამაშებდნენ“ არა მხოლოდ თავისი ქმედებების განსხვავებულ ვარიანტებს, არამედ სწავლობდნენ შესაძლო საპასუხო დარტყმების შედეგებს. ცხადია, რომ თავდასხმის ოპერაციის დამოუკიდებლად დაგეგმვა ქართველი სამხედროების შესაძლებლობებს აღემატებოდა. ეს კეთდებოდა უცხოელი ინსტრუქტორების დახმარებით. არსებობს საკმარისი რაოდენობის მასალები, რომლებიც ადასტურებენ საქართველოს აგრესიის მომზადებაში საზღვარგარეთიდან სამხედრო სპეციალისტების მონაწილეობას. 120-ზე მეტი

პენტაგონის წარმომადგენელი, ათასამდე ისრაელის სამხედრო, ასევე „თანაშემწეები“ სხვა ქვეყნებიდან, რომლებიც ასწავლიდნენ ქართველ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს, დიდი ხნის განმავლობაში იყვნენ დაკავებულნი ამ საქმიანობით თბილისში. ამ საკითხებთან დაკავშირებით, აფხაზეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს გააჩნია დეტალური მონაცემები, რომლებიც შემდგომი გაცნობისათვის შეიძლება იყოს წარდგენილი კომისიისთვის.

– 2008 წლის 5 მარტს, გაიმართა აფხაზეთის რესპუბლიკის პარლამენტის რიგგარეშე სხდომა, სადაც მოხსენებული იყო საქართველოსთან მოსაზღვრე აფხაზეთის გალის რაიონის მოსახლეობაზე თავდასხმების, ადამიანთა გატაცებების, დარბევების, ქართული ტერორისტული და დივერსიული რაზმების და სხვა ქმედებების შესახებ. პარლამენტმა მოითხოვა, რომ კოდორის ხეობის ზედა ნაწილში შეწყვეტილიყო ქართული კრიმინალურ-ტერორისტული ანკლავის არსებობა. აფხაზეთის დეპუტატებმა მოუწოდეს რუსეთის, გაეროს, ეუთოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელობას, რათა მიეცათ პრინციპული შეფასება ქართული ხელისუფლების ქმედებებზე, მოეხდინათ მათზე გავლენა, იმისთვის რომ უარი ეთქვათ აფხაზეთის წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენებასა და ტერორისტულ საქმიანობაზე, რომელიც ძირს უთხრის რეგიონში ისედაც, არამდგრად მშვიდობასა და უსაფრთხოებას. ამას გარდა, აფხაზეთის პარლამენტი მოუწოდებს პრეზიდენტ ბაღაფშს მიიღოს ზომები საქართველოს მხრიდან შესაძლო აგრესიის მოგერიებისთვის.
– 2008 წლის აპრილი. სიტუაციის გამწვავებას ხელს უწყობს რადიკალურად განწყობილი ქართველი პარლამენტარების სერიოზული გამონათქვამები, სადაც ისინი ღიად აცხადებენ თავიანთი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, სამხედრო ძალის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ. რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ყოფილი ელჩის, ეროსი კიწმარიშვილის თქმით, 2008 წლის აპრილში, ქართული ხელისუფლების ვიწრო წრეში განიხილებოდა აფხაზეთზე შეტევის შესაძლებლობა. მისი სიტყვებით: „საქართველოს ზოგიერთმა ლიდერმა განაცხადა, რომ აშშ-ის პრეზიდენტი მხარს უჭერს სოხუმის წინააღმდეგ სამხედრო ქმედებას... სააკაშვილმა პირობა დადო, რომ აგვისტოში სოხუმი გახდებოდა საქართველოს დედაქალაქი.“

საქართველოს მთავრობა არ არის განწყობილი აფხაზეთთან ურთიერთობებში ისეთი ახალი მიდგომის შემუშავებისთვის, რომელსაც შეიძლებოდა ურთიერთნდობის ჩამოყალიბებამდე მივეყვანეთ. ამის საწინააღმდეგოდ, ქართველი ლიდერები და ასევე, დიპლომატები მეზობლებთან ურთიერთობებში ირჩევენ დაძაბულობის გამწვავების ხაზს. რამდენიმე გავლენიანი პირი, მათ შორის, სააკაშვილის გარემოცვიდან, ღიად საუბრობდა იმაზე, რომ ისინი დარწმუნებულები არიან, რომ სამხედრო ოპერაცია უბრალოდ შესაძლებელი კი არა, არამედ აუცილებელიცაა. ერთადერთი საკითხი,

რომელიც აღელვებს საქართველოს არის აფხაზეთის რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სტატუსი და არა ნდობის აღდგენის ან კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირების საკითხი. საქართველოს ძირითადი მიზანია – ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ნებისმიერ ფასად, – ასეთია თბილისიდან წამოსული აგრესიული გამონათქვამების რიტორიკა. გაეროს გენერალური მდივნის 2008 წლის 23 იანვრის მოხსენებაში ნათქვამია: „გაურკვევლობისა და შფოთის მიზეზი იყო ის არასარწმუნო ინფორმაცია, რომელიც, პრაქტიკულად, ყოველდღიურად ვრცელდებოდა ქართული მასობრივი საინფორმაციო საშუალებებისა და თვით საქართველოს ხელისუფლების მხრიდან.. ამდაგვარმა ინფორმაციამ გამოიწვია უნდობლობის ზრდა და უსაფრთხოების დასუსტება, რამაც საბოლოო ჯამში გაზარდა კონფრონტაციის ალბათობა. აგრეთვე, გაიზარდა ისეთი განცხადებების რიცხვი, რომლებიც კონკრეტულად იყო მიმართული დსთ-ის სამშვიდობო ძალების წინააღმდეგ. ეს განცხადებები, უმეტეს შემთხვევებში, იყო უსაფუძვლო.“ თავის გამოსვლაში, გაეროს გენერალურმა მდივანმა შეშფოთება გამოხატა ქართული მხარის ასეთი ტენდენციის გამო, რომელიც რეგიონში ემუქრება უსაფრთხოებასა და პროვოცირებს დაძაბულობის ესკალაციას.

საქართველოს მიერ, აფხაზეთთან საკითხის ძალისმიერი გადაჭრის შესაძლებლობის დეკლარირებული კურსი და კოდორის ხეობაში სამხედრო პოტენციალის გაზრდა, ზოგადად, რეგიონში სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციის დესტაბილიზაციას ახდენდა.

თბილისი ღიად ატარებს სამხედრო მზადებას – ქვეყანაში იწვევენ საერთაშორისო სამხედრო სპეციალისტებს, ტარდება ტრენინგები და ერთობლივი სამხედრო წვრთნები, მიმდინარეობს შესყიდვები შემტევი შეიარაღების თანამედროვე საშუალებებისა, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ მასიური მსხვერპლი და ნგრევები, და ამასთან, აკრძალულია საერთაშორისო კონვენციებით. (დღეს, არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ საქართველოს მთავრობა შეიარაღებას ყიდულობდა რიგი ევროპული ქვეყნებიდანაც. ცნობილია, რომ 2008 წლისთვის საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა სამხედრო ხარჯები 800 მლნ.დოლარის ოდენობით, ივლისში კი, გაზარადა 1 მილიარდამდე). მიმდინარეობს სამხედრო ქვედანაყოფების დაფარული გაძლიერება დასავლეთ საქართველოში და კოდორის ხეობაში, რასაც ადასტურებენ აფხაზეთის რესპუბლიკის სპეცსამსახურების რეგულარული ანგარიშები. 2008 წლის გაზაფხულის დასაწყისიდან, საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების მიერ ჩატარდა რიგი ტაქტიკური წვრთვნებისა, მათ შორის რაიონებში, რომლებიც ესაზღვრება უსაფრთხოების ზონას. აპრილში ჩატარდა სასწავლო და სადაზვერვო ფრენები მოიერიშე-თვითმფრინავით სუ-25, ქართულ-აფხაზური ადმინისტრაციული საზღვრის

სიახლოვეს. ეს ყველაფერი ნათლად მეტყველებდა საქართველოს მიერ აფხაზეთის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის ჩატარების შესაძლებლობის შესახებ.

აფხაზეთის სპეცსამსახურების მონაცემებით, აპრილის ბოლოს, განხორციელდა ქართული სამხედრო ქვედანაყოფების ფორსირებული კონცენტრაცია კოდორის ხეობაში. საუბარია ქართული მხარის მიერ კოდორის ხეობის ზედა ნაწილში შეიარაღების, საწვავ-საპოხი მასალების, სურსათისა და შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის გადასროლის შესახებ. რეგიონში ქართული სამხედროებისა და პოლიციელების საერთო რაოდენობა, აფხაზეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით, შეადგენდა დაახლოებით, 7 ათას ადამიანს. ხეობაში დაბინავდა ქართული სპეცდანიშნულების, პოლიციის, კონტრდაზვერვისა და შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები. ამას გარდა, რეგიონში გადაისროლეს საარტილერიო ქვედანაყოფები, კერძოდ, 122-მილიმეტრიანი იარაღი და ნაღმმტყორცნები. ყველა მონაცემი მიუთითებს, რომ საქართველო ქმნის პლაცდარმს აფხაზეთში სამხედრო შეჭრისთვის. აფხაზური სპეცსამსახურების მონაცემებით, საქართველო აფხაზეთზე შეტევის განხორციელებას 2008 წლის 9 მაისს ამზადებდა, რაზეც მიუთითებდა ზუგდიდის რაიონში სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღებული ძალების გადასროლა.

– 2008 წლის მაისი-ივლისი – ჩნდება დაძაბულობის ახალი ეტაპი. საქართველო აგრძელებს აფხაზეთის წინააღმდეგ აქტიურ დივერსიულ-ტერორისტულ საქმიანობას. დროის შედარებით მცირე პერიოდში, ჩატარდა რიგი ტერორისტულ-დივერსიული აქტები:

18.06.08 – 18 სთ. 00 წთ-ზე, კელასურის რაიონში, რკინიგზაზე მოხდა 2 აფეთქება, მსხვერპლი არ მოჰყოლია.

27.06.08 – 11 სთ. 30 წთ-ზე, ტურბაზის რაიონში (აფხაზეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მოპირდაპირედ), რკინიგზის სიახლოვეს მოხდა დაუდგენელი წარმოების ასაფეთქებელი მოწყობილობის ძლიერი უკვამლო აფეთქება. საბედნიეროდ, მსხვერპლი და ნგრევა არ მოჰყოლია.

28.06.08 – 8სთ. 10 წთ-სა და 8 სთ. 15 წთ-ს შორის, ქ. გაგრაში მოხდა 2 აფეთქება. დაიჭრა 6 ადამიანი. ყველა –აფხაზეთის მცხოვრები.

30.06.08 – 12 სთ. 00 წთ-ზე, ქ. სუხუმის (იგულისხმება სოხუმი) ცენტრალურ ბაზარზე მოხდა 2 აფეთქება. მსხვერპლი არ მოჰყოლია, მსუბუქად დაიჭრა 9 ადამიანი.

02.07.08 – აფეთქება მოხდა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო პოსტსა და სამშვიდობოების საკონტროლო-გამშვებ პუნქტს შორის.

09.07.08 – ცეცხლი გაუხსნეს თავდაცვის სამინისტროს პოსტს, სოფ. ლათაში. სროლების შედეგად დაიჭრა აფხაზეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ორი სამხედრო მოსამსახურე, ერთი მათგანი მძიმედ.

ასევე დაფიქსირდა აფეთქებები და სროლები, საქართველოსთან მოსაზღვრე, აფხაზეთის გალის რაიონში, რის შედეგადაც, რამდენიმე მშვიდობიანი მოქალაქე დაიჭრა და დაიღუპა, საქართველოში გაეროს დამკვირვებელთა მისიის ადგილობრივი თანამშრომლების ჩათვლით.
აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის, სერგეი ბაღაფშის 2008 წლის 6 ივლისის გამოსვლიდან: „საქართველოს სპეცსამსახურების მიერ ორგანიზებული, ბოლო პროვოკაციების სერია რუსეთის სამშვიდობოების მიმართ, აფეთქებები რკინიგზის მაგისტრალზე და რესპუბლიკის ქალაქებში, – ეს იგივე ჯაჭვის რგოლებია. ისინი მიმართულია კონფლიქტის ზონაში ვითარების დესტაბილიზაციაზე, რაც ხდებოდა საერთაშორისო თანამეგობრობის ინფორმაციული მომზადების მიზნით, აფხაზეთის წინააღმდეგ საქართველოს მოსალოდნელ აგრესიასთან დაკავშირებით.“ ამ მომენტში ცხადი გახდა, რომ მოვლენები გადაიზარდა ღია კონფრონტაციულ ფაზაში, რაზეც არაერთხელ გვაფრთხილებდნენ წამყვანი რუსი და დასავლელი პოლიტოლოგები, სხვადასხვა გამოცემები და ორგანიზაციები. კერძოდ, კონფლიქტების მიზეზების გამომძიებელი, ცნობილი დამოუკიდებელი საექსპერტო ორგანიზაცია „International Crisis Group,“ თავის 2008 წლის 5 ივნისის N193 მოხსენებაში, ღიად აცხადებს თბილისის სამხედრო მომზადების შესახებ და აფრთხილებს რეგიონში შესაძლო სამხედრო ესკალაციის შესახებ. კერძოდ, მოხსენებაში ნათქვამია: „თბილისი ფარულად ატარებს სამხედრო მომზადებას, განსაკუთრებით, დასავლეთ საქართველოსა და კოდორის ხეობის ზედა ნაწილში. პრეზიდენტი სააკაშვილის გარემოცვიდან რამდენიმე გავლენიანი მრჩეველი და სტრუქტურა, როგორც ჩანს, სულ უფრო რწმუნდებიან, რომ აფხაზეთში სამხედრო ოპერაცია შესაძლებელია და აუცილებელი.“ მაგრამ, ეს ყველა საექსპერტო შეფასება ისევ დარჩება სათანადო ყურადღების გარეშე და კონფლიქტის თავიდან აცილებასთან დაკავშირებული შესაძლებლობები საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან, ხელიდან იქნება გაშვებული.

აფხაზეთის მხარე რეგულარულად მიმართავს საერთაშორისო ინსტანციებს, გაერო-ს უშიშროების საბჭოს, გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფს მოწოდებით, გაამახვილონ ყურადღება საქართველოში იარაღის მუდმივად მიწოდებაზე, შეშფოთებას გამოთქვამს აფხაზეთის საზღვართან საქართველოს მიერ თავდასხმითი სამხედრო პოტენციალის ზრდასთან დაკავშირებით და ასევე, შიშს საქართველოს მიერ აფხაზეთის წინააღმდეგ ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით.

აფხაზეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ქართულ-აფხაზური მოლაპარაკების პროცესის მონაწილეებთან თავის მიმართვაში აცხადებს: „იმ პირობებში, როდესაც საქართველოსა და აფხაზეთს შორის არ არსებობს სამშვიდობო ხელშეკრულება და საქართველოს სამხედრო ხარჯები არის არაპროპორციულად დიდი, აფხაზეთის მხარე საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღებას კიდევ ერთხელ ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ამ მიმართულებით ვითარების მომდევნო გაგრძელება, შექმნის საფრთხეს მთელი კავკასიის რეგიონისთვის და გამოიწვევს მრავალრიცხოვან მსხვერპლსა და დევნილთა ნაკადს, რითიც შექმნის ჰუმანიტარულ კატასტროფას. პასუხისმგებლობა უსაფრთხოების სიტუაციის გაუარესებასთან დაკავშირებით, მთლიანად დაეკისრება არა მხოლოდ ქართულ მხარეს, არამედ მოლაპარაკების პროცესის იმ მონაწილეებსაც, რომლებიც თავისი უმოქმედობით საქართველოს აქეზებენ.“ აფხაზეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამონისტრო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველო აგრძელებს პროვოკაციულ ქმედებებს, რომლებიც აფხაზეთს ართმევენ მოლაპარაკებების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობას.

– მაისში, აფხაზეთში, ერთმანეთის მიყოლებით ჩამოდიან აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე მეთიუ ბრაიზა, რომელიც სახელმწიფო დეპარტამენტში საქართველოსთან ურთიერთობებს კურირებს, ევროკავშირის რამდენიმე ქვეყნის ელჩი თბილისში და ასევე, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი ხავიერ სოლანა. საერთაშორისო შუამავლები გამოხატავენ მზადყოფნას, მიიღონ უფრო აქტიური მონაწილეობა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებაში. აფხაზეთის მხარე აშშ-ის, გერმანიის დიპლომატებთან, ევროკავშირის ქვეყნების ელჩებთან შეხვედრებზე, დაჟინებით მოითხოვდა საქართველოს მხარესთან არსებული ყველა შეთანხმების შესრულების მხარდაჭერას. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხებოდა კოდორის ხეობასა და საქართველოსთან შეთანხმების გაფორმებას საომარი მოქმედებების განუახლებლობის შესახებ; მაგრამ, აფხაზეთის დიპლომატების საკითხების მშვიდობიანი გზით მოგვარების მოწოდებებს, წარმატება არ მოჰქონდათ.

– 18 ივლისი, რესპუბლიკაში შედგა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერის ვიზიტი, რომელმაც აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან, სერგეი ბაღაფშთან ერთად განიხილა ქართულ-აფხაზური პრობლემის დარეგულირების გეგმა. აფხაზეთის მხარისთვის მთავარი პირობა იყო კოდორის ხეობის ზედა ნაწილიდან ქართული ჯარების გაყვანის შესახებ დებულება და საომარი მოქმედებების არგანახლების შესახებ შეთანხმების ხელმოწერა; მაგრამ, ეს პირობები არ იყო მისაღები ქართული მხარისთვის, რომელიც თვლიდა, რომ საკითხი კოდორის ხეობაში სიტუაციის შესახებ არ შეიძლება იყოს განხილვის საგანი. უფრო მეტიც,

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა „უაზრო ინიციატივა“ უწოდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის წინადადებას, ხელი მოეწეროს თბილისსა და სოხუმს შორის შეთანხმებას, ძალის არგამოყენების შესახებ. შედეგად, მხარეების მიერ გეგმა არ იყო მიღებული.

ამგვარად, კონფლიქტის დარეგულირების საქმეში, საერთაშორისო შუამავლების გულმოდგინე ძალისხმევა კიდევ ერთხელ ნულამდე იყო დაყვანილი, იმის გამო, რომ საქართველოს აშკარად არ სურდა მშვიდობიანი გზით საკითხების გადაჭრა.

– 2008 წლის 7-8 აგვისტო – საქართველომ დაიწყო სამხედრო აგრესია სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ. ქალაქი ცხინვალი და მიმდებარე სოფლები მასიურად დაიბომბა. შემოდის პირველი ცნობები დაღუპულებისა და დაჭრილების შესახებ. საქართველოს ჯარებმა ცეცხლი გაუხსნეს პოსტს და მოკლეს რუსეთის სამშვიდობოები.

ამოქმედდნენ ქართული ქვედანაყოფები ენგურის ახლომდებარე ტერიტორიაზე და ზედა კოდორშიც. ზედა კოდორში ქართული ჯარების დაჯგუფება მოყვანილი იყო „უმაღლეს“ საბრძოლო მზადყოფნაში და დაიწყო შეტევითი ოპერაციის მომზადების ღონისძიებების გატარება. დაჯგუფების შემადგენლობა:

– ზედა კოდორში: ერთი მსუბუქი ქვეითი ბრიგადა, ეროვნული გვარდიის ბატალიონი, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ცალკეული ქვედანაყოფები, მთელი პირადი შემადგენლობა 3000-მდე ადამიანი, იარაღი დ-30 – 6 ერთეული, ნაღმმტყორცნები – 24 ერთეულამდე, საზენიტო დანადგარები 23-2 – 6 ერთეულამდე, ს-60 – 1 ერთეული, ტანკსაწინააღმდეგო საშუალებები (სპგ-9, პტრკ) – 20-მდე, ზალპური ცეცხლის რეაქტიული დანადგარი LAR-160 – 1 დანადგარი, რომელიც აღჭურვილია საერთაშორისო კონვენციებით გამოსაყენებლად აკრძალული, კასეტური ბომბებით.

– უსაფრთხოების სამხრეთ ზონაში მოქმედებდა შინაგან საქმეთა სამინისტროს, სპეციალური დანიშნულების მე-2 სამმართველოს 20 პოსტი, სასაზღვრო საგუშაგოები, პოლიციური განყოფილებები და მათი მმართველი ორგანოები. ჩატარდა ფარული მობილიზაცია, საომარი დროის შტატების რაოდენობამდე იყო მიყვანილი ქუთაისის ბრიგადა და სენაკის ბაზა, ამ მიმართულებაზე დაჯგუფების საერთო რაოდენობამ 10 000 ადამიანს მიაღწია.

შექმნილმა ვითარებამ, აფხაზეთის ხელისუფლებისგან მოითხოვა, შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისთვის და აფხაზეთის მიმართ საქართველოს სამხედრო აგრესიის თავიდან ასაცილებლად, რიგი ღონისძიებების ჩატარება.

აფხაზეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მიერ იყო ჩატარებული საბრძოლო მზადყოფნის ამაღლების ღონისძიებები:

2008 წლის 8 აგვისტოს, აფხაზეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ჯარების აღმოსავლეთი ჯგუფის, მე-2 ცალკეული საზღვაო ქვეითი და 1-ელი ცალკეული სატანკო ბატალიონები, მთავარსარდლის ბრძანებით, წაიწია საზღვრისკენ მდ. ენგურის გასწვრივ, მაგრამ სამშვიდობო ძალების მეთაურის მოთხოვნით, უსაფრთხოების ჩრდილოეთ ზონის საზღვრებთან გაჩერდა. შემდგომში, სამხრეთ ოსეთში საქართველოს მუდმივი აგრესიისა და კოდორის ხეობაში და ენგურის ახლომდებარე ტერიტორიაზე საქართველოს რესპუბლიკის შძ დაჯგუფების კონცენტრაციის პირობებში, შეიქმნა აფხაზეთის ტერიტორიაზე მათი შეჭრის საფრთხე. გალის რაიონის უსაფრთხოების ზონაში განლაგებული იყო სასაზღვრო რაზმისა და აფხაზეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მცირე ქვედანაყოფები, რომლებიც დამოუკიდებლად ვერ გაუმკლავდებოდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს ჯარების შეჭრით შექმნილ საფრთხეს. გადაწყდა აფხაზეთის რესპუბლიკის შძ ჯარების აღმოსავლეთ დაჯგუფების ნაწილების წინ წაწევა და მდინარე ენგურის გასწვრივ მათი გამაგრება.

უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით, აფხაზეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ბრძანებებით დაისვა ამოცანა, გალის რაიონში სამხედრო კონფლიქტის ლოკალიზაციის გეგმის ამოქმედებისა და აფხაზეთის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტილების აღსრულების დაწყების შესახებ, რომლითაც კოდორის ოპერატიული მიმართულებით იგეგმებოდა შეტევითი ოპერაციის ჩატარება.

– 2008 წლის 9 აგვისტო – აფხაზეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროში, სამხედრო ნაწილებისა და ქვედანაყოფების მეთაურებთან გამართულ თათბირზე, რომელიც კოდორის ოპერაციის მომზადება-ჩატარებას ეხებოდა, საბრძოლო ამოცანების დაყენებისას, მათი განსაკუთრებული ყურადღება მიმართული იყო აფხაზეთის რესპუბლიკის შძ-თვის, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარიგება-ინსტრუქციების მკაცრი შესრულების აუცილებლობაზე. აფხაზეთის პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა ოფიციალურად განაცხადა კოდორის ხეობაში ქართული ქვედანაყოფების განდევნის ოპერაციის დაწყების შესახებ.

9 აგვისტოს, დილის მდგომარეობით, ძალაში შევიდა აფხაზეთის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტილება, კოდორის ოპერატიულ მიმართულებაზე, შეტევითი ოპერაციის განხორციელების შესახებ. აფხაზეთის რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში, სამხედრო კომისარიატები შეუდგნენ რეზერვის სამხედრო ვალდებულების მქონე პირების შეტყობინებას, შეგროვებასა და ადგილზე მიყვანას,

რომლებიც გამოიყენებოდნენ ოპერაციაში მონაწილე აფხაზეთის რესპუბლიკის შძ-ის ქვედანაყოფების, საომარი დროის შტატების რაოდენობამდე შესავსებად. იმისთვის, რომ თავიდან აეცილებინათ მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში, აფხაზეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო მდივნის აპარატის მიერ გატარდა ზომები ზედა კოდორის მოსახლეობის გასაფრთხილებლად, აფხაზეთის შეიარაღებული ძალების დაგეგმილი შეტევითი ქმედებების შესახებ. კოდორიდან დაიწყო მშვიდობიანი მოსახლეობის გასვლა.

– **7.00 საათიდან**, ზემო ლათას და ლათას რაიონში იქმნება შემტევი დაჯგუფება.
– **10 საათისთვის**, სახელმწიფო მდივანმა და თავდაცვის მინისტრის მოადგილემ მიმართეს გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის მოადგილეს, ი. პეტროვს წინადადებით, გაეყვანათ ზედა კოდორიდან საქართველოში გაეროს დამკვირვებელთა მისიის სამხედრო დამკვირვებლები;
– **13 საათისთვის,** საქართველოში გაერო-ს სადამკვირვებელო მისიის სამხედრო დამკვირვებლებმა დატოვეს მომავალი საბრძოლო მოქმედებების ზონა. აფხაზეთის რესპუბლიკის შძ მთავარსარდალმა – აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა დაადასტურა აფხაზეთის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტილება, კოდორის ოპერატიულ მიმართულებაზე, შეტევითი ოპერაციის განხორციელების შესახებ. აფხაზეთის პრეზიდენტის მიმართვაში ნათქვამია: „სამხედრო პროვოკაციებთან დაკავშირებით, რომელთაც ადგილი ჰქონდათ წინა ღამით უსაფრთხოების ზონაში, ქართული მხრიდან აფხაზურ პოსტებზე ცეცხლის გახსნით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, გალის რაიონში, სამშვიდობო კოლექტიური ძალების პასუხისმგებლობის ზონაში, აფხაზეთის არმიის ქვედანაყოფების შეყვანის შესახებ. ყველა ჩვენი ქმედების შესახებ გაფრთხილებული იყო როგორც სამშვიდობო ძალების სარდლობა, ასევე გაეროს მისიაც. ნათლად ვაცნობიერებთ, რომ ამგვარად, აფხაზეთი არღვევს მოსკოვის შეთანხმებას. იმის სრული გაგებით, რომ ეს არის მოსკოვის შეთანხმების დარღვევა, ჩვენ მაინც მივიღეთ ასეთი გადაწყვეტილება, რადგან სხვა გამოსავალი ჩვენ არავინ დაგვიტოვა. მე კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ჩვენი ქმედებები აბსოლუტურად დასაბუთებულია, ისინი მიმართულია ხალხის, აფხაზეთის სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე.“
– **14. 20 სთ-ზე**, გაიხსნა აფხაზეთის რესპუბლიკის შძ-ის მართვის პუნქტები (საკონტროლო პუნქტები (სპ), სათადარიგო საკომანდო პუნქტები (სსპ), მოწინავე მართვის პუნქტები (მმპ)).
– **14. 30 სთ-ზე,** პირველი საავიაციო დარტყმა მიიტანეს მტრის დასაყრდენ პუნქტებზე და ძალოვანი დაჯგუფების გაერთიანებულ შტაბზე.

– **10 აგვისტო.** აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, სერგეი ბაღაფშმა გამოსცა ბრძანება „გალის რაიონის, ტყვარჩელის რაიონის, ოჩამჩირეს რაიონის, გულრიფშის

რაიონისა და ნაწილი სოხუმის რაიონის ტერიტორიაზე – ფსხუს, აგრას, გუმას, აკაფას, ძიგუთასა და ზედა კელასურის დასახლებული პუნქტების საზღვრებში, საომარი მდგომარეობის შემოღების შესახებ," სადაც კერძოდ, ნათქვამია: „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ საქართველოს შეიარაღებულ აგრესიასთან, ასევე აფხაზეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ საქართველოს აგრესიის უშუალო საფრთხესთან დაკავშირებით, 2008 წლის 11 აგვისტოს 00:00 სთ-დან, 10 დღის ვადით, აღნიშნულ ტერიტორიებზე შემოღებულ იქნასს საომარი მდგომარეობა." იმავე ბრძანებით, აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამოცხადდა ნაწილობრივი მობილიზაცია. აფხაზეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია: „ქართული მხარე აფხაზეთის საზღვარზე არ წყვეტს პროვოკაციებს, ზრდის თავის სამხედრო ყოფნას, დაიწყო სროლები და ამის გამო, რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები იძულებულნი არიან შევიდნენ უსაფრთხოების ზონაში და წაიწიონ ქართული საზღვრისკენ." ფაქტობრივად, აფხაზეთი იძულებულია გახსნას მეორე ფრონტი და წამოწია თავისი ქვედანაყოფები საქართველოს საზღვრისკენ, იმისთვის, რომ ქართული შეიარაღებული ქვედანაყოფების ყურადღება სამხრეთ ოსეთიდან გადაიტანოს თავის თავზე. შეგახსენებთ, რომ „აფხაზეთის რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ," 2005 წლის 19 სექტემბრის, ხელშეკრულების მე-9 მუხლის შესაბამისად, „მშვიდობისა და სტაბილურობის საფრთხის წარმოქმნის შემთხვევაში, ხელმომწერი მხარეები, თავიანთი ქმედებების კოორდინირებისთვის, დაუყოვნებლივ დაიწყებენ ერთმანეთთან კონსულტაციებს, ასეთი საფრთხის აღმოფხვრის, მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფისთვის ეფექტიანი ზომების მიღების მიზნით."

აფხაზეთის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის, 10 აგვისტოს ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია: „ბოლო დღეებში, ზედა კოდორში საქართველოს შეიარაღებული ძალების დაჯგუფების რაოდენობა ორჯერ გაიზარდა და მიაღწია 2500 ადამიანს. აღნიშნული ქვედანაყოფები უზრუნველყოფილი არიან მსხვილკალიბრიანი სახის იარაღით, როგორც გადასატანი, ასევე სტაციონალური საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებით, არტილერიითა და მძიმე შეიარაღებით. როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, მათი იქ ყოფნა და მძიმე შეიარაღება 1994 წლის მოსკოვის საბაზო შეთნხმების უხეში დარღვევაა. ასეთი საჯარისო დაჯგუფება საფრთხეს უქმნის აფხაზეთის სახელმწიფოებრიობას. შექმნილ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით, რომელიც საფრთხეს უქმნის გაეროს სამხედრო დამკვირვებლების სიცოცხლეს, გაეროს მისიის ხელმძღვარელობას მივეცით რეკომენდაცია, ზედა კოდორიდან გაეყვანათ საერთაშორისო სამხედრო დამკვირვებლები... ჩვენი მონაცემებით, ზედა კოდორის მშვიდობიანი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი გავიდა ხეობიდან. მინდა მივმართო მათ, ვინც დარჩა და ასევე, ქართულ სამხედრო

მოსამსახურეებს, ისარგებლონ შემოთავაზებული შესაძლებლობით – დატოვონ ხეობა 11 აგვისტოს, 19:00 საათამდე. თუ ქართული სამხედროები არ ისარგებლებენ ამ შესაძლებლობით, იძულებულნი ვიქნებით გამოვიყენოთ ძალა.“ აფხაზეთის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება კოდორის ხეობის ზედა ნაწილის მოსახლეობა უზრუნველყოს დერეფნით, იმისთვის, რომ მოსახლეობას ჰქონდეს შესაძლებლობა დატოვოს საბრძოლო მოქმედებების რაიონი. უშუალოდ, საბრძოლო ქმედებების დაწყების წინ, ზედა კოდორის მოსახლეობა მრავალჯერ იქნა გაფრთხილებული, კოდორის ხეობის გათავისუფლების ოპერაციის მზადებისა და ჩატარების შესახებ, გაკეთდა ჰუმანიტარული დერეფანი, როგორც მშვიდობიანი მოსახლეობისთვის, ასევე სამხედრო მოსამსახურეებისთვისაც. ყველა საავიაციო დარტყმა და საარტილერიო ცეცხლის გახსნა ხორციელდებოდა იმგვარად, რომ არ დაზიანებულიყო დასახლებული პუნქტები და მშვიდობიან მოსახლეობას შორის არ ყოფილიყო მსხვერპლი. აფხაზეთის რესპუბლიკის შძ-ის მიერ ზედა კოდორის გათავისუფლების შემდეგ, იქიდან გაიყვანეს ყველა სარეზერვო ქვედანაყოფი, პრეზიდენტის ბრძანებით ორგანიზებული იყო კომენდანტის რაიონი, დაინიშნა აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის წაემომადგენელი, რაიონის კომენდანტი. ამგვარად, კოდორის ხეობაში ოპერაცია ჩატარდა რაიონის მშვიდობიანი მოსახლეობისთვის მსხვერპლისა და ზარალის გარეშე, არ დარღვეულა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები და ადგილი არ ჰქონია ძარცვისა და სახლების დაწვა-განადგურების ფაქტებს. აფხაზეთის რესპუბლიკის შძ-ის გენერალური შტაბი შეუდგა კოდორის მიმართულებით შეტევითი ოპერაციის დაზუსტებული გადაწყვეტილების შემუშავებას:

10.00 სთ-დან, აფხაზეთის რესპუბლიკის შძ „გაძლიერებულ“ საბრძოლო მზადყოფნაში იქნა მოყვანილი სარეზერვო ბრიგადების მოტომსროლელთა ქვედანაყოფები და საომარი დროის შტატებამდე იყო შევსებული.

12-დან 13 სთ-მდე, დამხმარე ავიაციამ მიიტანა იერიში ოთხ სამიზნეზე – დასაყრდენ პუნქტებზე, მართვის პუნქტებზე, ქვაბჩარას, ჩხალთას, ქვემო აჟარასა და მარცხენა გენწვისი რაიონებში მდებარე საველე აეროდრომზე.

11 აგვისტოს, ზედა კოდორის რაიონში, განხორციელებული სარაკეტო დარტყმების მიუხედავად, აგრძელებს შენარჩუნებას ადრე შექმნილი საჯარისო დაჯგუფება, ერთდროულად ტარდება რაიონიდან დაჯგუფების გაყვანის მოსამზადებელი ღონისძიებები, დღის ბოლოსთვის დაიგეგმა მათი გასვლა.

21.00 სთ-დან, საქართველოს საჯარისო ქვედანაყოფების რადიოკავშირმა კოდორის ხეობაში შეწყვიტა არსებობა.

დილიდან მოქმედებაში იქნა მოყვანილი აფხაზეთის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის, 2008 წლის 10 აგვისტოს გადაწყვეტილება კოდორის ოპერატიულ მიმართულებაზე შეტევითი ოპერაციის განხორციელების შესახებ.

12 აგვისტოს, კოდორის ოპერატიულ მიმართულებაზე შექმნილი შემტევი დაჯგუფების ქვედანაყოფებმა, იმის შემდეგ, რაც 02. 00 სთ, 04. 00 სთ, და 06.00 სთ-ზე განახორციელეს საავიაციო დარტყმები სამიზნეებზე, კოდორში მოწინააღმდეგის დაჯგუფების ობიექტებზე, ჩაატარეს ავიადაზვერვა, გაიარეს საარტილერიო მომზადება, ერთდროული ტაქტიკური საჰაერო დესანტის გადმოსხმით ჩხალთას დასახლებული პუნქტის რაიონში, გადავიდნენ შეტევაზე.

20.30 სთ-ზე, აფხაზეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შემტევი ჯარების მოწინავე ქვედანაყოფები გავიდნენ ყალამრი-სუკმ-ის და ხიდას მთიან უღელტეხილებზე, რითიც შეასრულეს კოდორის ოპერატიულ მიმართულებაზე, შეტევითი ოპერაციის ამოცანა.

საომარი მოქმედებების დასრულების შემდგომ, სარეზერვო ქვედანაყოფები სამშვიდობო დროის შტატებამდე იყო დაყვანილი და დაუბრუნდნენ მუდმივი დისლოკაციის ადგილებს.

სულ, 2008 წლის აგვისტოს მოვლენებში მონაწილეობდა აფხაზეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების ქვედანაყოფები (სარეზერვო ბრიგადების მოტომსროლელთა ქვედანაყოფები, სამთო-მსროლელი, სადაზვერვო, სატანკო, საარტილერიო და საინჟინრო-სასანგრო ქვედანაყოფები); აფხაზეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საჰაერო ძალები. ოპერაციაში მონაწილე სამხედრო მოსამსახურეთა საერთო რაოდენობა შეადგენდა დაახლოებით, 9 ათასს ადამიანს.

კოდორის ოპერაციის ჩატარების მომენტისთვის, აფხაზეთის ძალების მართვისა და კონტროლის ინსტანციების სტრუქტურა და ერთობლიობა შემდეგნაირი იყო: აფხაზეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს საკომანდო პუნქტი (სპ) თავდაცვის მინისტრის ხელმძღვანელობით, 9 აგვისტოს 14.20 სთ-დან, გახსნილი იყო წებელდას დასახლებულ პუნქტში, იმავე ვადებში იყო გახსნილი:

- აფხაზეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სათადარიგო საკომანდო პუნქტი (სსპ) ქალაქ სოხუმში, გენერალური შტაბის უფროსის ხელმძღვანელობით.
- კოდორის მიმართულებით, აფხაზეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მოწინავე მართვის პუნქტი (მმპ), ზემო ლათას დასახლებული პუნქტის რაიონში, სახმელეთო ჯარების სარდლის მეთაურობით.
- გალის მიმართულებით, აფხაზეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მოწინავე მართვის პუნქტი (მმპ), ქ. ოჩამჩირეში, საბრძოლო მომზადების დარგში, თავდაცვის მინისტრის მოადგილის მეთაურობით.
-

მართვის ყველა პუნქტიდან, სრული ოპერატიული ინფორმაცია მიეწოდებოდა საკომანდო პუნქტს და აფხაზეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს. ყველა გადაწყვეტილება მიიღებოდა თავდაცვის მინისტრისა და აფხაზეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის დონეზე და აუცილებლობის შემთხვევაში, თანხმდებოდა აფხაზეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალთან.

აგვისტოს მოვლენებამდე, ერთი წლის განმავლობაში ჩატარდა აფხაზეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მომზადებასთან დაკავშირებული ღონისძიებები. კერძოდ, ყოველწლიური გეგმების შესაბამისად ჩატარდა:

- სამეთაურო-საშტაბო სწავლება;
- სამეთაურო-საშტაბო სამობილიზაციო სწავლება;
- სამეთაურო-საშტაბო ვარჯიში;
- ორი სამეთაურო-საშტაბო სამობილიზაციო ვარჯიში;
- სამი საბატალიონო-ტაქტიკური სწავლება საბრძოლო სროლების გარეშე;
- სამი საბატალიონო-ტაქტიკური სწავლება საბრძოლო სროლებით.

ყოველთვიურად ტარდებოდა საშტაბო ვარჯიშები და რადიოვარჯიშები.

– 2008 წლის 18 აგვისტოს, აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა გასცა ბრძანება, „გალის რაიონის, ტყვარჩელის რაიონის, ოჩამჩირეს რაიონის, გულრიფშის რაიონისა და ნაწილი სოხუმის რაიონის ტერიტორიაზე, ფსხუს, აგრას, გუმას, აკაფას, ძიგუთასა და ზედა კელასურის დასახლებული პუნქტების საზღვრებში, საომარი მდგომარეობის გაუქმების შესახებ.“

აღსანიშნავია, რომ ყველა სამხედრო ოპერაცია, 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე და მათ დროსაც, განხორციელდა აფხაზეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მიერ, დამოუკიდებლად და მხოლოდ აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალი და ადამიანის უფლებების შესახებ კანონი

კითხვები და პასუხები

საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია

აფხაზეთის ხელისუფლებისადმი დასმული კითხვები სამართლებრივ საკითხებზე ჰუმანიტარული სამართალისა და ადამიანის უფლებების შესახებ კანონის ჩათვლით

1. გთხოვთ, განგვიმარტოთ, 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დაწყების წინ, ყველა დონეზე, როგორი ოფიციალური და არაოფიციალური ურთიერთობები იყო ჩამოყალიბებული რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს და აფხაზეთს შორის. უწოდებდით თუ არა ბოლო წლებში, რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის სამართლებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში (ინფრასტრუქტურის, ენერგეტიკისა და სოციალური კეთილდღეობის ჩათვლით) ურთიერთობების განვითარებას ინტეგრაციის პროცესს? სამართლებრივი თვალსაზრისით, როგორ შეაფასებდით კონფლიქტის დაწყებამდე, რამდენიმე თვით ადრე, რუსეთის ფედერაციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის ოფიციალური კონტაქტების დამყარების შესახებ?

2. როგორ აღწერდით ზედა კოდორის ხეობის რეგიონის (რაიონის) სამართლებრივ სტატუსს, ასევე ადმინისტრაციულ და სამხედრო სტრუქტურას 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტამდე. რა იყო აფხაზეთის ამ ნაწილში აფხაზური და რუსული ძალების სამხედრო ქმედებათა გავრცელების მიზეზი?

3. გთხოვთ, განგვიმარტოთ აფხაზეთში მცხოვრები პირების მიერ რუსეთის მოქალაქეობის მიღების პროცესი და დინამიკა.

4. 2008 წლის ომამდე ან ომის დროს, რა შემადგენლობა ჰქონდა აფხაზეთის რეგულარულ შეიარაღებულ ძალებს და იყვნენ თუ არა მასში გაერთიანებული მოხალისეები? როგორი ურთიერთობა არსებობდა ერთის მხრივ აფხაზეთის რეგულარულ შეიარაღებულ ძალებსა და მეორე მხრივ, რუსეთის ფედერაციას შორის?

5. კონფლიქტის მიმდინარეობის და საერთაშორისო სამართალთან მიმართებაში პასუხისმგებლობის თვალაზრისით: როგორ დაახასიათებდით რუსულ სამხედრო სტრუქტურასა და აფხაზეთის შეიარაღებულ ძალებს შორის ფორმალურ და არაოფორმალურ ურთიერთობებს 2008 წლის 17 სექტემბრამდე და ამჟამად? გთხოვთ, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოთ შესაბამისი სამეთაურო ბრძანებათა აღწერას.

6. რა ეროვნების იყვნენ ის პირები და/ან რა შემადგენლობის იყო ის შეიარაღებული დაჯგუფებები, რომლებიც არ შედიოდნენ აფხაზეთის რეგულარულ შეიარაღებულ ძალებში; ვინ მონაწილეობდა საომარ მოქმედებებში და ვინ იმყოფებოდა ისევ აფხაზეთში და საქართველოს არასადავო ტერიტორიაზე საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ? როგორი ურთიერთობა არსებობდა ერთი მხრივ, იმ პირებს/დაჯგუფებებს და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას და მეორე მხრივ, რუსეთის ფედერაციის ჯარებს შორის?

7. რატომ მიატოვეს ადამიანებმა თავიანთი საცხოვრებელი ადგილები 1990-2008 წლებში, განსაკუთრებით, 2008 წ. აგვისტოში, სექტემბერში, ოქტომბერში და რა უშლის მათ დაბრუნებას ხელს? გთხოვთ, წარმოადგინოთ თქვენი კანონმდებლობა ამ საკითხთან მიმართებაში. როგორ არის დაცული ამ ადამიანების საკუთრების უფლება? შეუძლიათ თუ არა მათ საკუთრებაში არსებული ქონების თავისუფლად განკარგვა? როგორ რეაგირებთ ბრალდებაზე ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ ეთნიკური წმენდის შესახებ?

8. 2008 წლის 7-12 აგვისტოს რომელ დღეს და რომელ სამიზნეებზე განხორციელდა შეტევა იმ ძალების მიერ, რომლებიც არ აკონტროლებდნენ ადგილმდებარეობას, სადაც სამიზნეები იყო განთავსებული? აღნიშნული სამიზნეების ქალაქებსა და სოფლებში განთავსებისას, როგორ შეფასდა სამოქალაქო პირებს შორის შემთხვევითი მსხვერპლის და მათი დაშავების, აგრეთვე სამოქალაქო ობიექტებისათვის ზიანის მიყენების სავარაუდო ალბათობა? შეესაბამებოდა თუ არა რეალური შედეგი ნავარაუდევ მონაცემებს? და თუ არა, რატომ? აღნიშნული შეტევების დროს, სიფრთხილის რა ზომები იყო მიღებული როგორც თავდამსხმელის, ასევე დაცვაში მყოფი მხარის მიერ, სამოქალაქო პირებს შორის შემთხვევითი მსხვერპლის და მათი დაშავების, აგრეთვე, სამოქალაქო ობიექტებისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების ან მინიმუმამდე დაყვანის მიზნით? წარმატებით იქნა თუ არა გამოყენებული აღნიშნული სიფრთხილის ზომები? და თუ არა, რატომ?

9. 2008 წლის საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ, ჰქონდა თუ არა ადგილი მოწინააღმდეგის მხარესთან დაკავშირებული პირების დისკრიმინაციას და/ან რომელიმე ადამიანის უფლებით სარგებლობის შეზღუდვას? რა ღონისძიებები გატარდა ამგვარი პრაქტიკის წინააღმდეგ? რა ღონისძიებები გატარდა ამგვარი პრაქტიკის

წინააღმდეგ, განსაკუთრებით გალის რაიონში? რა სახის ღონისძიებები გატარდა, რომ ქართველებისთვის და სხვა ეროვნების პირებისთვის აფხაზეთის მოქალაქეობის მინიჭების რეგულაციები და პრაქტიკა არ ყოფილიყო დისკრიმინაციული? აფხაზეთში რომელი სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური ან ეკონომიკური უფლებებია დამოკიდებული ოსეთის მოქალაქეობაზე? რა სახის ღონისძიებები ტარდება ეთნიკური ჯგუფებისთვის, მათ შორის, ქართველებისთვის განათლების ენის უზრუნველსაყოფად?

10. იმ ტერიტორიებზე, რომლებიც 2008 წლის სამხედრო მოქმედებების დროს თქვენი ან მოწინააღმდეგის ძალების კონტროლის ქვეშ იყო, მთლიანობაში რა კატეგორიის ჯგუფებთან ან ცალკეულ პირებთან მიმართებაში განხორციელდა სიკვდილით დასჯა, გაუპატიურება, სამოქალაქო პირებთან არასათანადო მოპყრობა ან ძარცვა, აგრეთვე, შენობების დაწვა ან განადგურება? რა ზომები იქნა მიღებული ტერიტორიის მაკონტროლირებელი მხარის მიერ ამგვარი ძალადობის შეჩერების ან აღკვეთის მიზნით?

11. 2008 წლის საომარი მოქმედებების დროს ან მათ შემდეგ, როდის დააპატიმრეს ის პირები, რომლებიც მოხვდნენ თქვენი მხარის ხელში ან მოწინააღმდეგე მხარის ხელში? როგორ ექცეოდნენ მათ? გაასამართლეს თუ არა? როდის გაათავისუფლეს?

12. რა ნაბიჯები გადადგა თქვენმა ან მოწინააღმდეგე მხარემ, რათა გაერკვია იმ პირების ბედი, რომლებიც დაკარგულად არიან გამოცხადებული 1990 წლის შემდეგ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის, მათი ოჯახების, ან იმ მხარის მიერ, რომელთაც ისინი ეკუთვნიან? ეს ნაბიჯები რა შემთხვევებში იყო წარმატებული? და თუ იგი არ იყო წარმატებული, რატომ?

13. 1992 წლიდან, კონფლიქტთან დაკავშირებულ დანაშაულებთან მიმართებაში, რა სახის საგამოძიებო საქმიანობა და სასამართლოს წესით დევნა იყო განხორციელებული თქვენი სასამართლო ხელისუფლების მიერ, როგორც საკუთარი, ასევე მოწინააღმდეგისა და ადგილობრივი ძალების წევრების, აგრეთვე, სამოქალაქო პირების მიმართ? რომელ შემთხვევებში განაპირობა სასამართლოს წესით დევნამ მსჯავრის დადება ან უდანაშაულობის აღიარება? გთხოვთ, წარმოგვიდგინოთ შესაბამის გადაწყვეტილებათა ასლები. რა იყო წარუმატებლობის მიზეზი იმ შემთხვევებში, როცა სასამართლოს წესით დევნას არ მოჰყოლია არც მსჯავრის დადება და არც უდანაშაულობის აღიარება?

14. თქვენი კონტროლის ქვეშ მყოფი ძალების ან პირების მიერ საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონმდებლობის ან ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მიიღეს თუ არა ძალადობის მსხვერპლებმა კომპენსაცია? იყო თუ არა გამოყენებული

აღდგენითი მართლმსაჯულების სხვა ელემენტები? თუ არა, რატომ? რა გზით იქნება შესაძლებელი მსხვერპლებისათვის კომპენსაციის უზრუნველყოფა?

პასუხები

აგვისტოს მოვლენების სამართლებრივ ასპექტებთან დაკავშირებულ კითხვებზე

1. აფხაზეთის ოფიციალური და არაოფიციალური ურთიერთობები რუსეთის ფედერაციასთან 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დაწყებამდე

აფხაზეთმა და რუსეთმა ურთიერთობების ხანგრძლივი და ზოგჯერ, წინააღმდეგობრივი ისტორიული გზა გაიარეს. 1992-1993 წლების აფხაზეთის სამამულო ომის შემდეგ, აფხაზეთი გამოვიდა წინადადებით, რუსეთთან ასოცირებული ურთიერთობების შესახებ, რაც ითვალისწინებდა სამხედრო-პოლიტიკურ, საბაჟო, სასაზღვრო და ასევე, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებების დადებას. პირველად, ეს წინადადება აფხაზეთის პირველი პრეზიდენტის, ვ. გ. არძიმბას მიერ გახმოვანდა. შემდგომში, აფხაზეთის პარლამენტს არაერთხელ მიუღია მიმართვები, სადაც სთხოვდა სახელმწიფო დუმას და რუსეთის ფედერაციის ფედერალურ საკრებულოს აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებასა და შესაბამისი შეთანხმებების ხელმოწერას. მართალია, რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებას, სხვადასხვა დონეზე, არაერთხელ განუცხადებია ჩვენი ქვეყნების დამაკავშირებელ ღრმა ისტორიულ, პოლიტიკურ და ჰუმანიტარულ კავშირებზე, რუსეთის დაინტერესებაზე აფხაზი ხალხის პრობლემების სამართლებრივი გადაწყვეტის შესახებ, მაგრამ მიუხედავად ამისა, რუსეთს არ გადაუდგამს აფხაზეთთან დაახლოების ნაბიჯები. უფრო მეტიც, ზუსტად რუსეთმა, აფხაზეთისთვის რთულ, ომის შემდგომ პერიოდში, გამოაცხადა ემბარგო მათ წინააღმდეგ. შეგახსენებთ, რომ 1996 წლის 19 იანვრის, ე.წ. „გადაწყვეტილება, კონფლიქტის დარეგულირების ზომების შესახებ აფხაზეთში, საქართველო“ ინიცირებული იყო რუსეთის ფედერაციის მიერ, მას ხელი მოაწერა რუსეთის პრეზიდენტმა ბ.ნ. ელცინმა და ასევე, მის ხელმოწერაზე რეკომენდაცია გაეწია დსთ-ის ქვეყნების ლიდერთა უმრავლესობას.

ამის გარდა, რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობა, უმაღლეს დონეზე, აცხადებდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის შესახებ. თუმცა, საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებში, კერძოდ, ჰელსინკის აქტში, არ არის მითითებული რაიმე, რაც მიანიშნებს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის უპირატასეობას სხვა ფუძემდებლურ პრინციპზე – ხალხთა თვითგამორკვევის უფლებაზე. რაც შეეხება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, რომელიც

ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტია, მასში ტერიტორიული მთლიანობის ცნება საერთოდ არ არსებობს. თუმცა, აფხაზეთის დიპლომატების მოსაზრებები ხშირად იყო იგნორირებული; ამგვარად, მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების ქმედებებმა აიძულა რუსეთი უარი ეთქვა ამ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღიარებაზე, რათა შეეჩერებინა საერთაშორისო სამართლის ყველა ძირითადი პრინციპის შელახვის პროცესი და შეეწყვიტა ერთი ხალხის მიერ მეორის განადგურება. საერთაშორისო სამართალში, ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი არეგულირებს სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს. მისი მიზანია თავიდან აიცილოს სახელმწიფოთა აგრესია ერთმანეთის წინააღმდეგ. ამგვარად, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ, რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის შემდგომი მხარდაჭერა წინააღმდეგობაში მოდიოდა ზოგადსაკაცობრიო ჰუმანურ პრინციპებთან. არსებითად, აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების გადაწყვეტილებით, რუსეთმა დაიცვა აფხაზი ხალხი სისხლისღვრისა და კიდევ ერთი სამხედრო აგრესიისგან, აღადგინა სტალინის ეპოქაში წართმეული, აფხაზეთის სახელმწიფიებრიობა და რეგიონში სტაბილურობა დაამყარა.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის წინააღმდეგ განხორციელებული სანქციები, არაერთხელ გააკრიტიკა რუსეთის დუმამ, რომელიც მიანიშნებდა მის უკანონობაზე, მაგრამ არ იღებდა სათანადო მხარდაჭერას პარლამენტში; საბოლოოდ 2008 წლის მარტში მიღებული იქნა გადაწყვეტილება აფხაზეთის წინააღმდეგ სანქციების გაუქმების შესახებ. სახელმწიფო დუმის დეპუტატებმა მხარდაჭერა გამოუცხადეს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვ. პუტინისა და რუსეთის ფედერაციის მთავრობის ძალისხმევას, აფხაზეთის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მისი საგარეო ეკონომიკურ საქმიანობაზე შეზღუდვების მოხსნაზე, აფხაზეთის მოსახლეობისთვის რუსული და მსოფლიო კულტურის მიღწევების უპირატესობით სარგებლობის უზრუნველყოფაზე, განათლებასთან წვდომაზე, აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები რუსეთის ფედერაციის მოქალაქეთა და რუსეთის თანამემამულეთა უფლებების დაცვაზე.

აფხაზეთისთვის ეკონომიკური ემბარგოს მოხსნის გადაწყვეტილებაზე, საქართველომ მისთვის ჩვეული ქმედებით უპასუხა, ბრალი დასდო რუსეთს საქართველოს წინააღმდეგ პროვოკაციაში. საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში, თემურ იაკობაშვილმა, განაცხადა: „ამ გადაწყვეტილებიდან რუსეთის გასვლა ნიშნავს ერთს – ადგილი აქვს ეკონომიკური ანექსიის მცდელობას. ამას საქართველოს ხელისუფლება არ დაუშვებს.“ მაგრამ, რუსეთი გავიდა სანქციებიდან, რომელთა გაგრძელება უბრალოდ, არ იყო მომგებიანი, პირველ რიგში, ეკონომიკური მიზეზების გამო. სანქციების მოხსნის გადაწყვეტილება ნაკარნახევი იყო მიმდინარე მომენტის ობიექტური რეალობებით. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო,

ოფიციალურ ნოტაში თავის გადაწყვეტილებას იმით ხსნის, რომ 1996 წლიდან ვითარება მკვეთრად შეიცვალა და ქართულ მხარეს საყვედურობს ადრე მიღწეული შეთანხმებების შესრულებისთვის კონსტრუქციული მიდგომის არარსებობაში. რუსეთი გავიდა აფხაზეთის წინააღმდეგ დაკისრებული სანქციებიდან, იმიტომ, რომ ვერ ხედავდა აზრს შემდგომ მკაცრ შეზღუდვებში. უფრო მეტიც, სანქციების მოხსნა ნიშნავდა ეკონომიკურ, კულტურულ, სოციალურ და სხვა სფეროებში ურთიერთობების ორმხირვად სასარგებლო განვითარებისთვის ახალი შესაძლებლობების გაჩენას. დღეს, რუსეთი არის აფხაზეთის პრაქტიკულად, ერთადერთი სავაჭრო-ეკონომიკური პარტნიორი და კრედიტორი. აფხაზეთის ეკონომიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსეთის ეკონომიკასთან, ჩვენ ასევე, გვაკავშირებს სატრანსპორტო გზები და ინფრასტრუქტურული ობიექტები. მაგრამ, რაც მთავარია, აფხაზეთის პრაქტიკულად ყველა მცხოვრები ერთდროულად, არის რუსეთის ფედერაციის მოქალაქეც. რუსეთი იყო და რჩება კავკასიაში უსაფრთხოებისა და მშვიდობის გარანტად. 2008 წლის 17 სექტემბერს, მოსკოვში, რუსეთის ფედერაციისა და აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტების მიერ ხელმოწერილი, რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის, მეგობრობისა და ურთიერთდახმარების შესახებ ხელშეკრულების მე-2 მუხლში ნათქვამია, რომ „ხელშეკრულების მხარეები მჭიდროდ ითანამშრომლებენ საგარეო პოლიტიკის სფეროში, უმაშავებენ ერთად ამიერკავკასიის რეგიონში მშვიდობის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცების საქმეებში და ამ მიზნით, რეგულარულად ჩაატარებენ კონსულტაციებს, საერთო ინტერესების მქონე, საერთაშორისო და რეგიონულ პრობლემებზე. ისინი იღებენ ვალდებულებას გამოიჩინონ კოორდინირებული ძალისხმევა რეგიონული კონფლიქტების მოწესრიგების ხელშესაწყობად.“

და, რა თქმა უნდა, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ რუსეთის განსაკუთრებული როლი სამშვიდობო პროცესში, რაც თავდაპირველად, უპირატესობას აძლევდა მას მოლაპარაკების პროცესის სხვა მონაწილეებს შორის. სწორედ რუსეთი გახდა ინიციატორი შერეული სამშვიდობო ძალების შექმნისა, რომლებიც თავიანთ საქმიანობას ახორციელებდნენ 1994 წლის 13 იანვარს ხელმოწერილი, ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ შეთანხმების შესაბამისად. ხელშეკრულებაში ნათქვამია: „დამოუკიდებელი სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალები და სამხედრო დამკვირვებლები, დაარსებული ამ შეთანხმების პროტოკოლის შესაბამისად, იქნებიან განლაგებულნი უსაფრთხოების ზონებში, ამ შეთანხმების შესრულებაზე დაკვირვების მიზნით.“ რუსეთი მონაწილეობდა სამშვიდობო ოპერაციაში, როგორც ძალა, რომელიც ანცალკევებდა მხარეებს ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე და დსთ-ის შერეულ სამშვიდობო ძალებს ფაქტობრივად, მხოლოდ რუსეთის სამხედრო მოსამსახურეები წარმოადგენდნენ. სწორედ რუსეთის მშვიდობისმყოფელთა წყალობით, მოხერხდა მშვიდობის

არამდგრადი შენარჩუნება, მათი უდიდესი ძალისხმევისა და ადამიანთა მსხვერპლის ფასად. შეგახსენებთ, რომ უსაფრთხოების ზონაში 100-ზე მეტი რუსი მშვიდობისმყოფელი დაიღუპა.

2. კოდორის ხეობის ზედა ნაწილში ადმინისტრაციული და სამხედრო სტრუქტურების სამართლებრივი სტატუსი 2008 წლის აგვისტომდე

გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია #1716, ქართულ მხარეს უწესებდა ადრე ხელმოწერილი შეთანხმებების შესრულებას და კოდორის ხეობიდან ჯარების გაყვანის ვალდებულებას. ხელმოწერილი იყო სხვა შეთანხმებებიც, რომლებსაც ხელს აწერდნენ გაეროს წარმომადგენლებიც. კერძოდ, 1998 წლის 25 მაისის გაგრის პროტოკოლი, სადაც პირდაპირ ჩაწერილია, რომ შეიარაღებული რაზმები და ცალკეული პირებიც კი, საქართველოს ტერიტორიიდან არ უნდა შედიოდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე და ქართული მხარე იღებს ვალდებულებას ამის შესრულებაზე.

მაგრამ იმის მაგივრად, რომ კოდორის ხეობის ტერიტორიიდან გაეყვანათ საქართველოს სამხედრო ფორმირებები, პრეზიდენტი სააკაშვილი იღებს გადაწყვეტილებას ე.წ. „აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის“ იქ განთავსების შესახებ. „მე, საქართველოს პარლამენტთან და ქვეყნის პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით, მივიღე გადაწყვეტილება კოდორის ხეობაში განვათავსო 1993 წლიდან პირველად, აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობა, რომელიც გაავცელებს ამ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციას,“ – განუცხადა სააკაშვილმა 2006 წლის 27 ივლისს, „რია ნოვოსტის“ სააგენტოს.

თუმცა, როგორც ცნობილია, ე.წ. „აფხაზეთის ლეგიტიმურ მთავრობას“ არანაირი რეალური ძალაუფლება არ გააჩნდა, მით უმეტეს, რომ ეს მთავრობა არავის აურჩევია, ხოლო სააკაშვილის მიერ ამ ხელოვნურად შექმნილი მარიონეტული ხელისუფლების გადაწყვეტილებების კანონიერება ვრცელდებოდა მხოლოდ უშუალოდ კოდორის ხეობის ტერიტორიაზე. ასეთივე ფსევდოლეგიტიმური სქემით მუშაობდნენ საწვრთნელი ე.წ. „ახალგაზრდული პატრიოტული ბანაკები“ ზუგდიდის რაიონის სოფელ განმუხურში. შეგახსენებთ, რომ განმუხური საქართველოს იურისდიქციის ქვეშ მყოფი დასახლებული პუნქტია, რომელიც განთავსებულია მდინარე ენგურის მარჯვენა ნაპირზე. მიხეილ სააკაშვილის მიერ 2007 წლის 26 მაისს, გახსნილი ეს ბანაკი, თავისი არსით, წარმოადგენდა იდეოლოგიურ ბერკეტს, რომელიც იმალებოდა ფსევდოპატრიოტული ლოზუნგების ქვეშ და საქართველოს ხელისუფლების მიერ გამოყენებული იყო აფხაზეთის ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის პროვოკაციების მოწყობის და ასევე, დივერსიული აქტების ორგანიზებისთვის. აფხაზეთის

ხელისუფლებას არაერთხელ ხაზგასმით აღუნიშნავს შესაძლო ნეგატიური შედეგების შესახებ, რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყოს ამგვარი ბანაკის ორგანიზებასთან. ახალგაზრდული ბანაკის მადესტაბილიზირებელი როლი ასევე, აღნიშნა გაეროს გენერალურმა მდივანმა, პან გი მუნმა თავის 2007 წლის ივლისის გამოსვლაში უშიშროების საბჭოსადმი, მისი გაუქმების შეთავაზებით.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მიერ, აფხაზეთის ტერიტორიაზე და მის საზღვართან უშუალო სიახლოვეში მყოფ ტერიტორიებზე შექმნილ ადმინისტრაციულ და სამხედრო სტრუქტურებს არ გააჩნდათ არანაირი რეალური სამართლებრივი ბაზა და ლეგიტიმურობა და საქართველოს ხელისუფლების მიერ გამოიყენებოდნენ მხოლოდ აფხაზეთის წინააღმდეგ დაგეგმილი აგრესიისთვის, ისინი მაინც არც დაშლილა და არც მათი ლიკვიდაცია მომხდარა. უფრო მეტიც, მათი არსებობა არ დაუგმიათ არც საქართველოში მყოფ მონიტორინგის საერთაშორისო ორგანიზაციებს.

3. აფხაზეთში მცხოვრები პირების მიერ რუსეთის მოქალაქეობის მიღების პროცესი

რუსეთი, რომელიც ყველა საბჭოთა რესპუბლიკის შეთანხმებით, გახდა სსრკ-ის სამართალმემკვიდრე, გააჩნდა განსაკუთრებული პასუხისმგებლობა საბჭოთა კავშირის ყოფილი მოქალაქეების წინაშე. სსრკ-ის დაშლის შემდგომ, ის იძულებული გახდა გადაეჭრა ზოგიერთი საკითხი, მათ შორის, მოქალაქეობასთან დაკავშირებულიც. რუსეთის კანონმდებლობის შესაბამისად, სსრკ-ის ის მოქალაქეები, რომლებსაც არ აუღიათ სხვა ქვეყნების მოქალაქეობა და მიმართეს დახმარებისთვის რუსეთს, უნდა ყოფილიყვნენ უზრუნველყოფილნი რუსეთის მოქალაქეობით. ამგვარი საკანონმდებლო ნორმა რუსეთმა შეიტანა თავის კანონში „მოქალაქეობის შესახებ.“ ამის შესაბამისად, აფხაზეთის ბევრმა მცხოვრებმა, რომლებიც ამ წლების განმავლობაში ამაოდ ცდილობდნენ, მოეპოვებინათ თავიანთ ქვეყანაში თავისუფალი შესვლისა და გამოსვლის შესაძლებლობა, როგორც ეს გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, მიიღეს ამგვარი შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთს არაერთხელ მიუმართავს სხვადასხვა საერთაშორისო ინსტანციებისთვის თხოვნით, რომ უზრუნველყონ ჩვენი მოქალაქეები ალტერნატიული საბუთებით, არაერთხელ დაუყენებია საკითხი (კერძოდ, გაეროს წინაშეც), რომ ჩვენი მოქალაქეებისთვის მიეცათ გაეროს ნიმუშის სამგზავრო დოკუმენტები (ამგვარი პროცედურა შემოტანილი იყო თავის დროზე, კოსოვოში). თუმცა, ისეთი სახის სამგზავრო დოკუმენტებზე, როგორიც გაერომ გასცა კოსოვოს მოსახლეობისთვის, ჩვენ უარი გვეთქვა. აფხაზეთის ხელისუფლებას ეუბნებოდნენ, რომ კოსოვო – ეს ერთია, ხოლო აფხაზეთი სულ სხვა, და მაშინ ბევრმა მოქალაქემ დახმარებისთვის მიმართა რუსეთს (თავიდან ყველაფერი კეთდებოდა პირადი ინიციატივით, შემდეგ მან მასიური

ხასიათი მიიღო). ამგვარად, აფხაზეთის მოწოდებებს, როგორმე გადაეწყვიტათ პასპორტებთან დაკავშირებული სიტუაცია, გამოეხმაურა მხოლოდ რუსეთი, რომელიც დათანხმდა აფხაზეთის მოსახლეობისთვის საზღვარგარეთის ნიმუშის რუსეთის პასპორტების გაცემას. ამ მომენტიდან, ჩვენს თანამემამულეებს გაუჩნდათ რეალური შესაძლებლობა რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ გასვლისა და საერთაშორისო უფლებებისა და ნორმების მიხედვით, ესარგებლათ თავისი უფლებებითა და თავისუფლებებით.

რუსეთის ფედერაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ, აფხაზეთის რესპუბლიკის კანონმდებლობაში იყო შეტანილი შესაბამისი ცვლილებები და შემოღებული ახალი ცნება – ორმაგი მოქალაქეობა. კერძოდ, „აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლში ნათქვამია, რომ აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქე უფლებამოსილია, მიიღოს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობა.

4-6. აფხაზეთის რეგულარული არმიის შემადგენლობა. აფხაზეთის არმიის ეროვნული შემადგენლობა

აფხაზეთის კონსტიტუციის 33-ე მუხლის თანახმად: „სამშობლოს დაცვა – აფხაზეთის რესპუბლიკის ყოველი მოქალაქის მოვალეობა და ვალდებულება.“ უნდა ითქვას, რომ რეგულარული აფხაზური არმიის გარდა, არსებობს დიდი, მობილური, კარგად მომზადებული რეზერვისტების ნაწილი. კოდორის ხეობაში ოპერაციის ჩატარებისას, მოხდა რეზერვისტთა მობილიზება.

თუ ვისაუბრებთ სამხედრო მოსამსახურეთა ეთნიკურ კუთვნილებაზე, მაშინ აფხაზეთის რეგულარულ არმიაშიც და რეზერვშიც მსახურობენ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები. 1992-1993 წლებში აფხაზეთის ეროვნულ-გამათავისუფლებელ ომში მონაწილეობდა აფხაზეთში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენელი. აფხაზეთის არმია, რომელიც შეიქმნა ომის შემდეგ, შედგებოდა მისი დამცველებისგან, მისი ხალხისგან, რომელიც ცნობილია, არის მრავალეთნიკური. დღესაც, აფხაზეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების რიგებში მსახურობენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები. არმიის მრავალეთნიკური შემადგენლობა კვლავ შენარჩუნებულია.

უნდა ითქვას, რომ კოდორის ოპერაციის მსვლელობისას, ხეობის მოსახლეობა, ეთნიკური სვანები, დახმარებას უწევდნენ აფხაზეთის არმიის სამხედრო მოსამსახურეებს. აფხაზეთის მხარე განიხილავს სვანებს, როგორც აფხაზეთის მოქალაქეებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ არ მიუღიათ აფხაზეთის მოქალაქეობა და არ აქვთ აფხაზეთის პასპორტები.

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ როდესაც დაიწყო საქართველოს სამხედრო ოპერაცია სამხრეთ ოსეთში, აფხაზეთმა რესპუბლიკების პრეზიდენტების მიერ ხელმოწერილი შეთანხმების შესაბამისად, წამოწია თავისი ჯარები საქართველოს საზღვრებთან და გავიდა ენგურის ნაპირებთან, შევიდა საქართველოს ტერიტორიაზე იმ ადგილებში, სადაც საზღვარი გადადის მარჯვენა ნაპირზე. მაგრამ შემდეგ, სამშვიდობო ძალებისა და გაეროს ძალების მოთხოვნით შეაჩერა თავისი ჯარების წინსვლა. დღესდღეობით, ყველაზე დიდი საფრთხე და პროვოკაციები ზუსტად, იმ მონაკვეთებზე ეწყობა, სადაც საზღვარი გადიოდა მარჯვენა ნაპირზე. ამ მონაკვეთებს კვლავ შეუძლიათ შექმნან პრობლემა, ამიტომ აფხაზეთის ხელისუფლება დაინტერესებულია საზღვრების დაცვასა და გაძლიერებაში. აფხაზეთის არმია, მიუხედავად იმისა, რომ მას ჰქონდა კონსულტაციები აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედ რუსეთის ძალებთან, მაინც დამოუკიდებლად მოქმედებდა და მხოლოდ აფხაზეთის ტერიტორიაზე. აფხაზეთის არმია არ გასულა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, საქართველოს ტერიტორიაზე ზემოაღნიშნული მოკლევადიანი შესვლის გამონაკლისით.

2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ, საკადრო ცვლილებები აფხაზეთის რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში, ისევე როგორც ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელ, სასამართლოს უმაღლეს ორგანოებში არ განხორციელებულა. ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ყველა ჩამოთვლილ მაღალ ინსტანციაში, მათ შორის, საპასუხისმგებლო თანამდებობებზეც, დაკავებულნი არიან აფხაზები, რუსები სომხები, ებრაელები, ქართველები და აფხაზეთში მცხოვრები, სხვა ეროვნების წარმომადგენლები.

5. ურთიერთობები აფხაზეთის რეგულარულ არმიასა და რუსეთის ფედერაციის არმიას შორის.

აფხაზეთის მხარე აუცილებლობის შემთხვევაში, მისთვის საინტერესო საკითხებზე, კონსულტაციებს მართავს რუსეთის მხარესთან. შეგახსენებთ, რომ რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის, მშვიდობისა და ურთიერთდახმარების შესახებ ხელშეკრულების მე-3 მუხლში დაფიქსირებულია, რომ ,,ხელმომწერი მხარეები ერთმანეთთან მჭიდროდ ითანამშრომლებენ სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის დაცვისა და რუსეთის ფედერაციისა და აფხაზეთის რესპუბლიკის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეებში. ისინი ყოველთვის, დაუყოვნებლივ ჩაატარებენ ერთმანეთთან კონსულტაციებს მაშინ, როდესაც ერთ-ერთი ხელმომწერი მხარის აზრით, გაჩნდება მასზე თავდასხმის საფრთხე, ერთობლივი თავდაცვის, მშვიდობისა და ურთიერთუსაფრთხოების მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიზნით. ამ

კონსულტაციის მსვლელობისას იქნება განსაზღვრული იმ დახმარების აუცილებლობა, სახე და მოცულობა, რომელსაც შექმნილი საფრთხის აღმოფხვრაში დახმარების მიზნით, ერთი ხელშემკვრელი მხარე გაუწევს მეორე ხელშემკვრელ მხარეს.“

მას შემდეგ, რაც ხელი მოეწერა ხელშეკრულებას რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის, მშვიდობისა და ურთიერთდახმარების შესახებ, მუშავდება სამხედრო ხასიათის სხვადასხვა მიმართულების შეთანხმებები, რომლებიც ეხება აფხაზეთის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების იურისდიქციას, ერთობლივ სასაზღვრო თანამშრომლობასა და ასევე, ზოგადად, სამხედრო თანამშრომლობას. ამასთან დაკავშირებით, იმედი გვაქვს, რომ აფხაზეთში იქნება დისლოცირებული რუსეთის შეიარაღებული ძალების საკმარისი რაოდენობა, რომლებიც აფხაზეთის შეიარაღებულ ძალებთან ერთად შეძლებენ ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფას. აღნიშნული ხელშეკრულების მე-5 მუხლის თანახმად, ,,ხელმომწერი მხარეების უსაფთხოებისა და ასევე, ამიერკავკასიის რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის მიზნით, თითოეული ხელმომწერი მხარე მიანიჭებს სხვა ხელშემკვრელ მხარეს მისი შეიარაღებული ძალებით, თავის ტერიტორიაზე, სამხედრო ინფრასტრუქტურისა და სამხედრო ბაზების (ობიექტების) მშენებლობის, გამოყენებისა და გაუმჯობესების უფლებას.“ ხოლო მე-4 მუხლში ნათქვამია, რომ ,,ხელმომწერი მხარეები ერთობლივად მიიღებენ მათთვის ყველა შესაძლო ზომას მშვიდობის საფრთხისა და მშვიდობის დარღვევის აღმოსაფხვრელად, და ასევე, რომ დაძლიონ მათ წინააღმდეგ ნებისმიერი სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის აგრესიის შეტევები და ერთმანეთს გაუწიონ აუცილებელი დახმარება, მათ შორის, სამხედროც, ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის უფლების განსახორციელებლად, გაეროს წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად.“

7. 9. 10. დევნილები და მათი დაბრუნების დაბრკოლებები. დისკრიმინაცია და ნებისმიერი უფლების ჩამორთმევა 2008 წლის აგვისტოს შემდეგ. გალის რაიონი – სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი თავისუფლებების უზრუნველყოფა

ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში, დევნილთა დაბრუნების საკითხი ფრთხილ და დაბალანსებულ მიდგომას მოითხოვს. ყველამ, მათ შორის, მოლაპარაკების პროცესის საერთაშორისო მონაწილეებმაც, ამ საკითხის გადაწყვეტისას უნდა გააცნობიერონ პასუხისმგებლობის ხარისხი და მიუკერძოებლად, ეროვნული და სხვა განსხვავებების მიუხედავად, დაეხმარონ კონფლიქტებში დაზარალებულ ყველა ჯგუფს.

ამავე დროს, დევნილთა დაბრუნების საკითხის გადაწყვეტისას, აფხაზეთის მხარე ზუსტად ასრულებდა აღებულ ვალდებულებებს, კერძოდ, ყოველთვის მკაცრად იცავდა

მოსკოვის შეთანხმების დებულებებს. 1994 წლის 14 მაისს ხელმოწერილი დოკუმენტის შესაბამისად, პირველ ეტაპზე უზრუნველყოფილი იყო დევნილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნება გალის რაიონში. ამგვარად, აფხაზეთის ხელისუფლებამ თავად მოახდინა აფხაზეთის გალის რაიონში, დევნილთა დაბრუნების ეტაპობრივი პროცესის ინიცირება. ომის შემდგომი თექვსმეტი წლის განმავლობაში, უკვე 60 ათასზე მეტმა ადამიანმა, რომლებმაც გამოთქვეს დაბრუნების სურვილი, დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში გალის რაიონში. (აღვნიშნავთ, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ეთნიკურ ქართველთა ცხოვრება არ შემოიფარგლება მხოლოდ გალის რაიონით. 2008 წლის 1 იანვრისთვის, აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო სტატისტიკური სამსახურის მონაცემებით, გაგრის რაიონში ცხოვრობს 13,329 ქართველი; გულრიფშის რაიონში – 729; ოჩამჩირეს რაიონში –1,970 და ტყვარჩელის რაიონში – 6,794 ადამიანი).

აფხაზეთში დაბრუნებულ ქართველ დევნილთა რაოდენობის აღრიცხვის მცდელობით, აფხაზურმა მხარემ მხარი დაუჭირა დევნილთა საქმეებზე გაეროს უმაღლესი კომისრის სამმართველოს ინიციატივას, ვერიფიკაციისა და რეგისტრაციის პროცედურების ჩატარებასთან დაკავშირებით. ვერიფიკაცია საშუალებას მოგვცემდა უფრო ზუსტად დაგვედგინა დაბრუნებულთა და იმ პირთა რაოდენობა, რომლებსაც კიდევ სურთ დაბრუნება. დევნილების შესახებ ზუსტი მონაცემები ასევე, მოგვცემდნენ საშუალებას განგვესაზღვრა აუცილებელი ეკონომიკური რესურსები, რომლებიც საჭიროა ასეთი დიდი რაოდენობის მოსახლეობის მისაღებად; მაგრამ საქართველოს ხელისუფლება ყველანაირად ეწინააღმდეგება დევნილთა გადამოწმებას. უფრო მეტიც, იმის უდავო ფაქტები, რომ ქართულ-აფხაზური მოლაპარაკების პროცესისას, საქართველომ აფხაზეთის წინააღმდეგ 3 ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია წამოიწყო – 1998 წლის მაისში, 2001 წლის ოქტომბერში და 2006 წლის ივლისში, რითიც ჩაშალა მოლაპარაკების მთელი პროცესი, დაარღვია მშვიდობა რეგიონში, გააჩაღა ომი სამხრეთ ოსეთში, თავად ლაპარაკობს თავის თავზე. ფაქტობრივად, დევნილთა რაოდენობის გაზრდით, საქართველოს ხელისუფლებამ მშვიდობიანი მოსახლეობისთვის შექმნა დამატებითი ტანჯვა არა მხოლოდ აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში, არამედ თავად საქართველოშიც.

რაც შეეხება დაბრუნების საკითხს აფხაზეთის სხვა რეგიონებში, ეს საკითხი პირდაპირ დამოკიდებულია მხარეებს შორის არსებულ ნდობის ხარისხზე. თუმცა, ქართული მხარე, მთელი ამ წლების განმავლობაში ყველანაირად აფერხებდა დაბრუნების პროცესს და ყველაფერს აკეთებდა, რომ ჩაეშალა აფხაზური მხარის დევნილთა დაბრუნების სამშვიდობო ინიციატივები. ფაქტობრივად, ყველაფერი გაკეთდა, რომ შექმნილიყო ისეთი პირობები, სადაც დევნილთა უსაფრთხო დაბრუნება იქნებოდა შეუძლებელი, დაუსრულებელი დივერსიულ-ტერორისტული აქტების გამო. ჯერ კიდევ, არ არის

ცნობილი, ქართული სპეცსამსახურების მიერ გატაცებული, გალის რაიონის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე დავით სიგუას ბედი, რომელიც ქალაქ გალში, საკუთარი სახლიდან გაიტაცეს 2007 წლის 3 თებერვალს, თავისი საჯარო გამოსვლის შემდეგ, სადაც საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებდა არ მოეხდინათ დევნილთა საკითხით სპეკულირება.

ქართულმა მხარემ ჯერაც არ აგო პასუხი განხორციელებულ პროვოკაციებზე, რომლებიც მიმართული იყო აფხაზეთის მშვიდობიანი მოსახლეობის, რუსეთის მშვიდობისმყოფელებისა და ასევე, გაეროს მისიის თანამშრომლების წინააღმდეგ, რომლებიც 2001 წლის ოქტომბერში დაიღუპნენ კოდორის ხეობაში, ქართული სამხედრო პროვოკაციის შედეგად. აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ საქართველო ახორციელებდა გალის რაიონში ვითარების დესტაბილიზაციის მიზანმიმართულ ქმედებებს, რაც დაფიქსირებულია გალის რაიონში ვითარების შემსწავლელი გაეროს ერთობლივი მისიის ანგარიშში (2000 წელი, 20-24 ნოემბერი) – C თავის, III ნაწილის, 58-ე პუნქტში ნათქვამია: „ღია საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ, რამდენიმე წლის განმავლობაში, ქართველებისგან შემდგარი შეიარაღებული ჯგუფები, გალის რაიონში ახორციელებდნენ მიზანმიმართულ თავდასხმებს. ყველაზე ცნობილი დაჯგუფებების, ისეთი როგორიცაა, „თეთრი ლეგიონი“ და „ტყის ძმები“ – ლიდერთა საჯარო განცხადებებში აღნიშნული იყო, რომ მათ ძირითად ამოცანას წარმოადგენს აფხაზეთის ძალით დაბრუნება. მათი უშუალო ამოცანა იყო გალის რაიონში დაბრუნებულთა შორის შიშისა და არასტაბილური ატმოსფეროს შექმნა, რათა ეჩვენებინათ, რომ აფხაზეთის მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ყოფნა შეუძლებელია. ამისთვის ისინი მიმართავდნენ ისეთ ხერხებს, როგორიცაა, ჩასაფრებები, გატაცებები და მიზანმიმართული დანაღმვები.“

გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომისიის დამკვირვებელი აღნიშნავდა, რომ საქართველოს უარყოფის მიუხედავად, არის მუდმივი და სარწმუნო ცნობები იმის შესახებ, რომ „პარტიზანულ ჯგუფებს აქვთ კავშირები საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებთან, ასევე უშიშროების სახელმწიფო სამსახურებთან და მთავრობის ზოგიერთ წევრთან.“ საქართველოს მაღალი თანამდებობის პირმა, რომელთა რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ იმერეთის რეგიონში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული თემურ შაშიაშვილი, დაუმალავად განაცხადა, რომ „სახალხო შურისმაძიებლების მოძრაობის ზრდა გარდაუვალია... აფხაზეთიდან განდევნილებს ვერავინ ჩამოართმევს სახლში დაბრუნების უფლებას.“ აღვნიშნავთ, რომ აფხაზეთის ხელისუფლებას არც ერთი ეთნიკურად ქართველი საკუთარი სახლიდან არ განუდევნია. აფხაზეთის მოსახლეობა, რომლებსაც არ დაურღვევიათ რესპუბლიკის კანონი და არ ჩაუდენიათ სამხედრო დანაშაული, უკვე დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში.

ეთნიკური ქართველები კანონით არ იდევნებიან, სარგებლობენ ყველა უფლებითა და თავისუფლებით, ისევე, როგორც რესპუბლიკის სხვა მოქალაქეები. აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-11 მუხლის თანახმად: „აფხაზეთის რესპუბლიკა აღიარებს და უზრუნველყოფს უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტებში, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და სხვა საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისოსამართლებრივ აქტებში.“

აგვისტოს მოვლენებამდე ცოტა ხნით ადრე, საქართველოს სპეცსამსახურების მიერ აფხაზეთის ქალაქებში ჩატარდა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ტერორისტული აქტების სერია. შედეგად დაზარალდნენ უდანაშაულო ადამიანები, ხოლო 2008 წლის 6 ივლისს, ქალაქ გალში ტერორისტული აქტის შედეგად დაიღუპა ოთხი ადამიანი და რამდენიმე მძიმედ დაშავდა, რაც საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების ჩართულობის კიდევ ერთი პირდაპირი მტკიცებულებაა, აფხაზეთის წინააღმდეგ ტერორისტულ საქმიანობაში.

აგვისტოს მოვლენებმა აფხაზურ საზოგადოებას ნდობა საბოლოოდ დაუკარგა. მთლიანობაში, 2008 წლის აგვისტოდან დაწყებული, ქართული მხარის მიერ განხორციელებული ტერორისტული აქტების შედეგად დაიღუპა 5 ადამიანი და 10-ზე მეტი დაიჭრა. ეს გახდა საქართველოში ჩატარებული ამნისტიის შედეგი, როდესაც 2008 წლის სექტემბერში, აფხაზეთის წინააღმდეგ ტერორისტული საქმიანობის განახლების მიზნით, ციხეებიდან გამოუშვეს დივერსიულ-ტერორისტული ჯგუფის წევრები. თუ დავაკვირდებით გალის რაიონში სიტუაციის დინამიკას, მაშინ შეგვიძლია დავინახოთ, რომ სტაბილურობისა და უსაფრთხოების პერიოდი იყო 2008 წლის აგვისტოში, საქართველოს მშვიდობისკენ იძულების ოპერაციის დროს. ამ პერიოდში, 20-ზე მეტი რუსული ოჯახი იძულებული გახდა აფხაზეთის გავლით დაეტოვებინა საქართველოს ტერიტორია, იმის გამო, რომ გახდნენ მუდმივი დევნისა და თავდასხმის ობიექტები. საქართველოს რამდენიმე მოქალაქემ მიმართა აფხაზეთის ხელისუფლებას პოლიტიკური თავშესაფრის თხოვნით, იმის გამო, რომ საქართველოში მათ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა.

ბოლო დროის განმავლობაში, აფხაზეთის ოფიციალურ სტრუქტურებში არ შემოსულა მონაცემები, აფხაზეთის ქართული მოსახლეობის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე, მათ შორის, აგვისტოს მოვლენების შემდეგაც. ასეთი ფაქტები არ დაუფიქსირებია არც გალის რაიონში მყოფ საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს. 2008

წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ, არ დაფიქსირებულა გალის რაიონის მოსახლეობის მიერ სახლების დატოვების ფაქტებიც. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აგვისტოს მოვლენების შემდეგ სიტუაცია გალის რაიონში არ შეცვლილა.

გალის რაიონში ფუნქციონირებს 21 სკოლა, რომელთაგან 11 ქართულია. ქართულ ენაზე სწავლა არ შეწყვეტილა, რაც დადასტურებულია საერთაშორისო დამკვირვებლების ანგარიშებში. აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-6 მუხლის თანახმად: „სახელმწიფო გარანტიას აძლევს აფხაზეთში მცხოვრებ ყველა ეთნიკურ ჯგუფს, მათი მშობლიური ენის თავისუფალი გამოყენების უფლებას.“

ეთნიკური ქართველები მუშაობენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში (გალის რაიონის ადმინისტრაციის 18 ხელმძღვანელიდან, 15 ეროვნებით ქართველია).
საქართველოს უწყვეტი პროვოკაციების მიუხადავად, აფხაზეთის მხარე აგრძელებს თვალ-ყურის დავნებას ეთნიკურად ქართველების უსაფრთხოების მდგომარეობაზე და ითვალისწინებს, აფხაზეთში მცხოვრები დანარჩენი ეთნიკური ჯგუფების ინტერესებს, მით უმეტეს, რომ აფხაზეთის ყველა მოქალაქე, მიუხედავად მათი ეროვნული, რელიგიური და სხვა კუთვნილებისა, პირდაპირ ან ირიბად დაზარალდნენ საქართველოს ქმედებებისგან, რომლებიც მიმართული იყო კონფლიქტის ესკალაციაზე მთელ რეგიონში.

აფხაზეთის რესპუბლიკა – მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური სახელმწიფოა, სადაც მშვიდობიანად თანაარსებობენ განსხვავებული ეროვნებისა და კონფესიების წარმომადგენლები. მათთვის შექმნილია ცხოვრებისა და განვითარების ხელსაყრელი პირობები, მათი უფლებები და თავისუფლებები დაცულია ისევე, როგორც დაცულია ეთნიკური უმრავლესობის უფლებები და თავისუფლებები. ამ უმცირესობების წევრები წარმოდგენილნი არიან სახელმწიფოს სახელისუფლებო სტრუქტურებში. რესპუბლიკაში იბეჭდება ეროვნული გაზეთები, ფუნქციონირებს ეროვნული სკოლები, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობენ რუსული, ბერძნული, სომხური, გერმანული, ებრაული, პოლონური, თათრული, ესტონური საზოგადოებები. სულ, აფხაზეთში დარეგისტრირებულია 100-მდე არასამთავრობო და საზოგადოებრივი ჰუმანიტარული ორგანიზაცია, რელიგიური ორგანიზაციების გარდა.

გარდა ამისა, აფხაზეთში ფუნქციონირებენ სხვა დემოკრატიული ინსტიტუტებიც:

- აქტიური სამოქალაქო საზოგადოება მჭიდროდ თანამშრომლობს სახელმწიფოსთან;

- რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს გააჩნია სიტყვის, აზრისა და შეხედულების თავისუფლების უფლება, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის თავისუფალი და დამოუკიდებელი მედიის არსებობისთვის;
- კონსტიტუციის თანახმად, ყველა ადამიანს გააჩნია გაერთიანების, მშვიდობიანი მიტინგების, შეკრებების, მსვლელობებისა და დემონსტრაციების გამართვის უფლება.

აფხაზეთში ფუნქციონირებს საზოგადოებრივი პალატა, რომელიც განკუთვნილია მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მხარდასაჭერად და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის განსახორციელებლად. აფხაზეთის გალის რაიონში გახსნილია და წარმატებით ფუნქციონირებს ადამიანის უფლებათა ოფისი. ქვეყანაში ბევრი სხვადასხვა პარტია და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობაა, მათ შორის, ოპოზიციური ხასიათისაც.

ამჟამად აფხაზეთში ჩამოყალიბებულია სტრუქტურა, რომელსაც გააჩნია ომბუდსმენის ინსტიტუტის მსგავსი ამოცანები. ამის შესახებ, 26 თებერვალს REGNUM-ის საინფორმაციო სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა ადამიანის უფლებათა ევროპის საბჭოს კომისარმა თომას ჰამერბერგმა. მისი სიტყვებით, მექანიზმი, რომელიც ფორმირდება აფხაზეთში ძალიან მნიშვნელოვანია და უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების ეფექტურ დაცვას. „მე ვესაუბრე წარმომადგენელს, რომელიც დანიშნული იყო აფხაზეთის პრეზიდენტის მიერ და ვფიქრობ, ჩვენ დავეხმარებით მათ ამ სტრუქტურის ჩამოყალიბებაში," – აღნიშნა ჰამერბერგმა.

დღეს აფხაზეთი არის საერთაშორისოდ აღიარებული სახელმწიფო (2008 წლის 28 სექტემბერს, მისი დამოუკიდებლობა აღიარა რუსეთის ფედერაციამ, ხოლო იმავე წლის 3 სექტემბერს – ნიკარაგუას რესპუბლიკამ). აფხაზეთი, 15 წელიწადზე მეტია, რაც არის UNPO-ს პრეზიდიუმის წევრი (არაწარმომადგელობითი ერებისა და ხალხების ორგანიზაცია) რომლის ძირითადი თეზისია: ,,საკუთარ ტერიტორიებზე მცხოვრები მკვიდრი მოსახლეობა, იმ „უცხო" ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც მათ იმონებენ."

ქართული მხარის მუდმივი ბრალდებები იმის შესახებ, რომ ხდება გალის რაიონის „ქართული მოსახლეობის" შევიწროვება, რომელთა უფლებები ვითომდა ირღვევა, სინამდვილეში წარმოადგენს მეგრული ეროვნების მოსახლეობას, რის დავიწყებასაც საქართველოს ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს. აღსანიშნავია, რომ გალის რაიონის მოსახლეობის ძირითად ნაწილს შეადგენენ მეგრელები, ცალკეული ეთნიკური ჯგუფი, ქართველი ხალხის სუბეთნოსი. ქართველები და მეგრელები განსხვავდებიან მენტალიტეტით და ხასიათით, მაგრამ რაც მთავარია, მათ განსხვავებული ენები აქვთ,

ასე რომ, შეიძლება ითქვას, რომ მათ აქვთ განსხვავებული იდენტობა. ისტორიის მსვლელობისას, მეგრელები არაერთხელ შესულან ღია დაპირისპირებაში ქართველებთან, რომლებიც ახორციელებდნენ მეგრული მოსახლეობის ძალადობრივ ასიმილაციას. 1925 წელს, დასავლეთ საქართველოში დაიწყო დამოუკიდებელი მეგრული ავტონომიის შექმნის მოძრაობა, ხოლო უკვე 1926 წელს, მეგრელები, როგორც ცალკეული ეთნიკური ჯგუფი, გაქრა მოსახლეობის აღწერის სიიდან. 30-იან წლებში, მეგრული ენა აკრძალული იყო. ქართული ენის მრავალსაუკუნოვანი გავლენის შედეგად, მეგრულმა ენამ პრაქტიკულად დაკარგა თავისი დამწერლობა (მეგრელები განიხილება, როგორც ქართველების ნაწილი, მეგრული ენა კვლავ განიხილება, როგორც ქართულის დიალექტი და მისი დამწერლობის განვითარება არ არის წახალისებული). 1939 წელს, მოსახლეობის საყოველთაო-საკავშირო აღწერის მონაცემებში, სვანებთან და აჭარლებთან ერთად, მეგრელები ჩაიწერენ, როგორც ქართველები. „ეროვნების“ გრაფაში მეგრელებს, ისევე როგორც სვანებს, აჭარლებსა და ებრაელებს დაწერილი უნდა ჰქონოდათ „ქართველი.“ საბჭოთა პერიოდში, კითხვაზე: „რომელი ხალხის ცხოვრება არის ყველაზე მოკლე?“ მეგრული ეროვნების წარმომადგენლები პასუხობდნენ: „მეგრელების, რადგან 16 წლის ასაკის შესრულებისას და პასპორტში შესაბამისი ჩანაწერის შემდეგ, ისინი ყველანი - ქართველები არიან.“ (გ. გეგელია 25.9.1993 წ.გაზეთ „საბჭოთა რუსეთის“ არქივიდან).

ხანგრძლივი დროის განმავლობაში მეგრელები, როგორც ერი განიცდიდნენ ზეწოლას საქართველოს ხელისუფლებისაგან, რომელიც მათ თავს ახვევდა ქართულ იდენტობას და ცდილობდა თავი დაეცვა კიდევ ერთი „პრობლემური ეთნიკური რეგიონის“ გაჩენისგან. ამავე დროს, აფხაზეთის საზოგადოებაში არსებობს მკაფიო წარმოდგენა იმისა, რომ გალელები – არიან მეგრელები, თავიანთი ენით, კულტურითა და ისტორიით.

ეთნიკურ წმენდასთან დაკავშირებით, გვინდა შეგახსენოთ, რომ 1993 წლის ოქტომბერში, ომის დასრულების შემდეგ, ე.ა შევარნაძის მოწვევით, მონიტორინგის ჩასატარებლად აფხაზეთში ჩავიდა გაეროს კომისია, ეთნიკური წმენდების ფაქტების დადგენის მიზნით. აფხაზეთის ხელისუფლება არ აფერხებდა კომისიის მუშაობას, პირიქით, ყველანაირ დახმარებას უწევდა, რადგან დაინტერესებული იყო რეალური ფაქტების დადგენით და სამართლიანობის აღდგენაში. კერძოდ, 1993 წლის 22-27 ოქტომბრამდე პერიოდში, კომისიის წევრებს შესაძლებლობა ჰქონდათ არა მარტო გამოეკითხათ მოწმეები და მრავალრიცხოვანი დაზარალებულები და ადგილზე დალაპარაკებოდნენ სამოქალაქო პირებს, არამედ შეხვედროდნენ აფხაზეთის ხელისუფლებას, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროების წარმომადგენლებს, პოლიტოლოგებსა და უფლებათა დამცველებს.

კომისიის მუშაობის შედეგების მიხედვით, შედგა დეტალური დოკუმენტი, სადაც ნათქვამია, რომ ომის მსვლელობისას, როგორც ერთი, ასევე მეორე მხარეც მასობრივად არღვევდა ადამიანის უფლებებს. „ადამიანის უფლებების დარღვევის მსხვერპლი ხდებოდნენ სამოქალაქო პირები, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ ყველა ეთნიკურ ჯგუფებს“ – ნათქვამია კომისიის ანგარიშში და ეს სულაც არ არის გასაკვირი, სამწუხაროდ, ასეთია ნებისმიერი ომის შედეგი.

მეორე დოკუმენტი, რომელიც მოგვყავს – ეს არის ანგარიში, გალის რაიონში სიტუაციის შემსწავლელი გაეროს ერთობლივი მისიისა, რომელმაც 2000 წლის 20-24 ნოემბერს ჩაატარა რაიონში სიტუაციის მონიტორინგი და ამ ანგარიშშიც არ არის აღიარებული ეთნიკური წმენდის ფაქტები.

ამ მხრივ გაუგებრობას იწვევს ეუთო-ს ანგარიშები და მოხსენებები ვითომდა, ეთნიკური წმენდისა და აფხაზეთიდან ქართველების მასობრივი განდევნის შესახებ, სხვათაშორის, ეუთო-ს აფხაზეთის ტერიტორიაზე არასოდეს არ ჩაუტარებია მონიტორინგი. კერძოდ, 1996 წლის ეუთოს ლისაბონის მოხსენებაში ნათქვამია: „ჩვენ ვგმობთ „ეთნიკურ წმენდას,“ რომლის შედეგადაც აფხაზეთში ადგილი აქვს ძირითადად, ქართული მოსახლეობის მასობრივ განადგურებასა და ძალადობრივ განდევნას. ასევე ვგმობთ სეპარატისტების დესტრუქციულ ქმედებებს, მათ შორის, დევინლთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნებაში დაბრკოლებების შექმნას...“

პირველ რიგში, აფხაზეთიდან ქართული მოსახლეობა არ იყო განდევნილი აფხაზეთის ხელისუფლების მიერ. მათ დატოვეს აფხაზეთი უკან დამხევ ქართულ არმიასთან ერთად. მეორეც, ზუსტად აფხაზური მხარე გახდა თავის ტერიტორიაზე დევნილთა ცალმხრივი დაბრუნების ინიციატორი. გალის რაიონში სიტუაციის შემსწავლელი ერთობლივი მისიის ანგარიშში დაფიქსირებულია: „..აფხაზურმა მხარემ გალის რაიონში დაბრუნების დაკანონების და ასევე, რეგისტრაციის ჩატარების თავისი ცალმხრივი ინიციატივის განხორციელება დაიწყო.“ შეგახსენებთ, რომ მზადდებოდა გალის რაიონში დევნილთა დაბრუნების შესახებ დოკუმენტის ხელმოწერა, მაგრამ ზუსტად ქართული მხარის ინიციატივით, მისი ხელმოწერა ჩაიშალა.

8. 2008 წლის 7 აგვისტოდან 12 აგვისტომდე სამოქალაქო ობიექტების განადგურება, დაღუპულთა რაოდენობა. აფხაზეთის ტერიტორიაზე მტრის არდაშვებისათვის ჩატარებული პრევენციული ზომები.

კოდორის ხეობის გათავისუფლების ოპერაცია ჩატარდა მსხვერპლის გარეშე. აფხაზეთის ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა, რომ არ დაშავებულიყო მშვიდობიანი მოსახლეობა. არტილერიასა და ავიაციას არ განუხორციელებია დარტყმები საცხოვრებელ შენობებზე, რასაც ადასტურებენ საერთაშორისო დამკვირვებლებიც.

აღსანიშნავია, რომ ქართულმა მხარემ უარი თქვა კოდორის ხეობაში სიტუაციის მშვიდობიანი გადაწყვეტის ყოველგვარი პირობების განხილვაზე, რომლებსაც აფხაზეთის მხარე სთავაზობდა ოპერაციის მსვლელობის დროსაც კი. მიუხედავად ამისა, აფხაზური ძალების მიერ შექმნილი იყო ჰუმანიტარული დერეფანი, იმისთვის რომ ადამიანებს არ შექმნოდათ საფრთხე. ამ მხრივ საინტერესოდ გვეჩვენება ყოფილი საველე მეთაურის, დალის ხეობაში დაბადებული და გაზრდილი (დალ - კოდორის ხეობის ისტორიული სახელწოდებაა, ხოლო კოდორის ხეობის ქვედა ნაწილის –ცაბალ ეწოდება), ე. კვიციანის სიტყვები: „...სააკაშვილის ხელისუფლებისგან განსხვავებით, აფხაზები აღმოჩნდნენ ბევრად უფრო პატიოსნები და თავისი სიტყვის პატრონები. ჩვენ გვქონდა ჯენტლემენური შეთანხმება, რომელსაც არ არღვევდა არც ერთი მხარე და ასევე, გვქონდა მოწესრიგებული ურთიერთობები. ნდობას კი, მხოლოდ ის ადამიანები იმსახურებენ, რომლებიც არ იტყუებიან, არ ღალატობენ თავის სიტყვას, ვინც არის ნამდვილი მამაკაცი და არა ლაჩარი და მატყუარა, როგორც სააკაშვილი," – 2009 წლის 23 მარტის გაზეთ „პირველთან" ინტერვიუდან.

ოპერაციის დასრულებისთანავე, მოიწვიეს აფხაზეთის რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომა, სადაც მიიღეს გადაწყვეტილებები და გაიცა შესაბამისი განკარგულებები სამხედრო ოპერაციის დროს კოდორის ხეობიდან გამოსული მთელი მოსახლეობის, გამონაკლისის გარეშე, დაბრუნების შესახებ.

რაც შეეხება გალის რაიონს, 2008 წლის აგვისტოს მოვლენების პერიოდში, მოსახლეობის არანაირი მიგრაცია არ დაფიქსირებულა. ხელისუფლების მიერ არ არის დაფიქსირებული გალის რაიონის მოსახლეობის წინააღმდეგ, ეთნიკურ საფუძველზე ჩადენილი სახლების დაწვის ან სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებები.

11.მოწინააღმდეგის დაკავებები

კოდორის ხეობაში ოპერაციის მსვლელობისას, მოწინააღმდეგის დაკავებები არ განხორციელებულა, ტყვეები არ არის.

12. 1992 წლიდან უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ბედი, ოჯახების გაერთიანების ხელშეწყობა

1992-1993 წლების ომის შემდეგ, შეიქმნა უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სპეციალური კომისია. ასეთივე კომისია შექმნა საქართველოს მხარემაც. ორივე მხარე აქტიურად თანამშრომლობდა ასეთი ფაქტების გამოვლენის საკითხებზე. მოიწვიეს სპეციალისტები, რომლებიც ახდენდნენ დაღუპულთა ნეშტების იდენტიფიცირებას. საწყის ეტაპზე თანამშრომლობა საკმაოდ ეფექტიანი იყო, შემდეგ კომისიის საქმიანობამ თანდათანობით დაკარგა ინტენსივობა. დღეისათვის, როგორც აფხაზური, ასევე ქართული მხრიდან დაფიქსირებულია უგზო-უკვლოდ დაკარგული ადამიანების საკმაოდ დიდი რაოდენობა, თუმცა, მათი პოვნა დიდი ალბათობით შეუძლებელია. აფხაზური მხარის აზრით, ეს ადამიანები, სავარაუდოდ, უკვე დაიღუპნენ.

რაც შეეხება ოჯახების გაერთიანების საკითხს, უნდა აღვნიშნოთ, რომ აფხაზეთის მხარე არასოდეს ეწინააღმდეგებოდა ოჯახთა გაერთიანების პროცესს, უფრო მეტიც, იღებდა ყველა ზომას და იყენებდა არსებულ შესაძლებლობას ამ პრობლემის გადასაჭრელად.
აფხაზეთში, ოჯახების გაერთიანების საკითხზე აქტიურად მუშაობდა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ორგანიზაცია, რომელიც 1992 წლიდან ჩართული იყო ამ პროცესში. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მონაცემებით, 1992-1993 წლების ომის შემდეგ, მხოლოდ ამ ორგანიზაციის ძალიხმევით, 504 ოჯახი კვლავ გაერთიანდა. აფხაზეთში, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი ასევე, უწევს დახმარებას უგზო-უკვლოდ დაკარგულებზე ინფორმაციის შეგროვებას. 2007 წელს, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დახმარებით, გამოიცა აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულების შესახებ ხსოვნის წიგნი „იმედი არ კვდება.“

13. გამოძიებები და სამართალწარმოებები 1992 წლიდან

ცნობილია და დოკუმენტურად დაფიქსირებულია, აფხაზეთის სოფლების ტერიტორიებზე ქართული ჯარების სადამსჯელო ექსპედიციები, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ ფრონტზე. აფხაზეთში 1992-1993 წლების ომის მსვლელობისას, ქართული სამხედრო მოსამსახურეების მიერ გამოყენებული ეთნიკური წმენდის მეთოდები უკიდურესად სასტიკი და არაადამიანური იყო, მძევლად აყვანები, ქალების, მოხუცებისა და ბავშვების მკვლელობები, მთელი სოფლების მოქცევა საქართველოს ტანკების, არტილერიისა და ავიაციის ცეცხლქვეშ, რომელთა სამხედრო ძალები ბევრად აღემატებოდა აფხაზეთის მეამბოხე ჯგუფების ქვედანაყოფების ძალებს. ცნობილია შემთხვევები (მაგალითად, სოფ. აძიუჟბაში), როდესაც სამხედრო კოლონების გადაადგილებისას, მძევლები ცოცხალ ფარად გამოიყენეს. ხშირად ხდებოდა სახლების დაწვა, ყაჩაღობები, მეთოდურად ნადგურდებოდა აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურა. აფხაზეთის არმიის ჯარისკაცებზე არ ვრცელდებოდა სამხედრო

ტყვეების უფლებები. არაერთხელ, გაცვლის შეთანხმებულ თარიღზე რამდენიმე საათით ადრე, აფხაზი ტყვეები სიკვდილით დასაჯეს, თანაც ამას გულგრილად იღებდნენ ვიდეო და ფოტოფირებზე. საქართველოს არმიის სამხედრო მოსამსახურეები და ოფიცრები ომის წარმოების არანაირ საერთაშორისო ნორმებს არ იცავდნენ. ქართული ჯარებისგან ქალაქ ოჩამჩირეს გათავისუფლების დროს, ხელში იქნა ჩაგდებული დოკუმენტალური მასალების დიდი რაოდენობა, მათ შორის რუკები, სქემები და დეტალური გეგმა, თუ როგორ ემზადებოდა საქართველო ბირთვული საბრძოლო მასალებით ცეცხლის წარმართვისთვის. გაუგებარი მიზეზების გამო, ეს ფაქტი დღემდე არ არის სათანადოდ გაშუქებული და შეფასებული შესაბამისი საერთაშორისო ორგანოების მიერ.

აფხაზი ხალხის წინააღმდეგ ქართული ხელისუფლების გენოციდის ფაქტების დასაბუთებული მტკიცებულებები ჯერ კიდევ ელოდება თავის წარდგენას უმაღლეს საერთაშორისო სასამართლო ინსტანციებში. აფხაზეთის ხალხისა და აფხაზეთის სახელმწიფოს მიმართ ნაციზმის პრაქტიკა, რომელსაც საქართველოს სახელმწიფო იდეოლოგია დღემდე უწევს პროპაგანდას, საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ უნდა იყოს დაგმობილი.

14. სამართლიანობის აღდგენის ზომები, ზარალისა და კომპენსაციის ანაზღაურება ომის დაზარალებულთათვის

2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ, აფხაზეთის კოდორის ხეობაში უკვე დაბრუნდა ის ადამიანები, ვინც აპირებდა დაბრუნებას, ისევე, როგორც აფხაზეთის სხვა მოქალაქეები სარგებლობენ იმავე უფლებებითა და თავისუფლებებით, მათ შორის, კერძო საკუთრების უფლებითაც, რაც დასტურდება გალის რაიონში დაბრუნებული ადამიანების მაგალითებით. აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ ყველა მოსახლეს, მიუხედავად მათი მოქალაქეობისა, უფლებები არ ელახებათ.

მიუხედავად იმისა, რომ გალის რაიონში დაბრუნებული დევნილები, გარკვეულ პოლიტიკურ ზეწოლას განიცდიდნენ (სხვათა შორის, პოლიტიკური ზეწოლა დღესაც არ შეწყვეტილა), ვერ ბედავდნენ აფხაზეთის მოქალაქეობისა და პასპორტის აღებას, აფხაზეთის ხელისუფლებამ გააკეთა ყველაფერი ამ ადამიანების ნდობის დასაბრუნებლად. ბოლო წლების განმავლობაშიც კი, აფხაზეთის ხელისუფლება პოულობდა იმის შესაძლებლობებს, რომ გამონაკლისის გარეშე, აფხაზეთის ყველა მცხოვრებს ჰქონოდა შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღოთ პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნებში და ასევე, სხვა მნიშვნელოვან სახელმწიფო ღონისძიებებში. ახლა, ყველა დაბრუნებულ ადამიანს აქვს აფხაზეთის მოქალაქეობისა და პასპორტის მიღების შესაძლებლობა, მაგრამ ეს ხდება ყოველგვარი ზეწოლისა და დაძალების გარეშე.

ეს არის ნებაყოფლობითი არჩევანი თითოეული აფხაზეთის მოქალაქისა, თითოეული ადამიანის, რომელიც თავს თვლის ამ ქვეყნის მცხოვრებლად.

არაერთხელ შევთავაზეთ ჩვენს პარტნიორებს სამშვიდობო პროცესში, მრავალრიცხოვან საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომ დახმარება გაეწიათ და თავიანთი წინადადებები შემოეთავაზებინათ აფხაზეთის მოქალაქეობისა და პასპორტის გარეშე, ჩვენს ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანთა ლეგიტიმაციისთვის. აქ საჭირო იყო დაბალანსებული გადაწყვეტილების პოვნა, რომ დაკანონებულიყო მათი აფხაზეთში ყოფნა. მაგრამ, არანაირი ღირსეული შემოთავაზება ამას არ მოჰყოლია და ამ პირობებში, აფხაზეთის ხელისუფლებამ შესთავაზა თავისი ქვეყნის მცხოვრებლებს გაეკეთებინათ საკუთარი არჩევანი. დღეს, აფხაზეთის რესპუბლიკის შსს-ს საპასპორტო-სავიზო სამსახურის მონაცემებით, აფხაზეთის გალის რაიონის მცხოვრებლებისგან, განსახილველად საბუთები მიღებულია 2108 პირისგან, გაცემულია – 583 პასპორტი.

ოფიციალური დოკუმენტები

– 6-პუნქტიანი გეგმა, ხელმოწერილი მისი აღმატებულება ბ-ნი ნიკოლა სარკოზის მიერ.

– 6-პუნქტიანი გეგმა, ხელმოწერილი მისი აღმატებულება ბ-ნი ნიკოლა სარკოზისა და მისი აღმატებულება ბ-ნი მიხეილ სააკაშვილის მიერ.

– 6-პუნქტიანი გეგმა, ხელმოწერილი მისი აღმატებულება ბ-ნი დიმიტრი მედვედევის მიერ.

– 6-პუნქტიანი გეგმა, ხელმოწერილი მისი აღმატებულება ბ-ნი სერგეი ბაღაფშისა და მისი აღმატებულება ბ-ნი ედუარდ კოკოითის მიერ.

– განხორციელების გეგმა.

– ბრძანებები № 1 და № 2.

რესპუბლიკის პრეზიდენტი

ურთიერთგაგების მემორანდუმი

1. ძალის გამოყენებაზე უარის თქმა

2. საბრძოლო მოქმედებებისგან თავის შეკავება

3. ჰუმანიტარული დახმარებისთვის თავისუფალი მიმოსვლის უზრუნველყოფა

4. საქართველოს შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნდნენ მუდმივი დისლოკაციის ადგილებში

5. რუსეთის შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნდნენ სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე არსებულ პოზიციებზე. საერთაშორისო მექანიზმების შექმნამდე, რუსეთის სამშვიდობო ძალები განახორციელებენ უსაფრთხოების დროებით ზომებს

6. საერთაშორისო მოლაპარაკებების დაწყება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის პირობების თაობაზე

ევროკავშირის სახელით,

ევროკავშირის პრეზიდენტი საფრანგეთიდან

ნიკოლა სარკოზი

ხელმოწერილია

ურთიერთგაგების მემორანდუმი

1. ძალის გამოყენებაზე უარის თქმა

2. საბრძოლო მოქმედებებისგან თავის შეკავება

3. ჰუმანიტარული დახმარებისთვის თავისუფალი მიმოსვლის უზრუნველყოფა

4. საქართველოს შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნდნენ მუდმივი დისლოკაციის ადგილებში

5. რუსეთის შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნდნენ სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე არსებულ პოზიციებზე. საერთაშორისო მექანიზმების შექმნამდე, რუსეთის სამშვიდობო ძალები განახორციელებენ უსაფრთხოების დროებით ზომებს

6. საერთაშორისო მოლაპარაკებების დაწყება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის პირობების თაობაზე

ევროკავშირის სახელით,

ევროკავშირის პრეზიდენტი საფრანგეთიდან

ხელმოწერილია

ნიკოლა სარკოზი

საქართველოს რესპუბლიკის სახელით,

საქართველოს პრეზიდენტი

ხელმოწერილია

მიხეილ სააკაშვილი

საფრანგეთის რესპუბლიკის

პრეზიდენტის რეზიდენცია

პრესსამსახური

პარიზი, 2008 წლის 16 აგვისტო

კომუნიკე

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის რეზიდენციას გამჭვირვალობის მიზნით სურს გამოაქვეყნოს წერილი, რომელიც ზუსტად ადგენს ექვსპუნქტიანი ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების მე–5 პუნქტის განხორციელების პირობებს ისე, როგორც ეს გამომდინარეობს 12 აგვისტოს საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის – **ნიკოლა სარკოზის** პრეზიდენტ **დიმიტრი მედვედევთან** მოლაპარაკებიდან. 14 აგვისტოს ეს წერილი გაეგზავნა პრეზიდენტ **მიხეილ სააკაშვილს.**

== ციტატის დასაწყისი ==

ბატონო პრეზიდენტო,

ექვსპუნქტიანი შეთანხმების მე-5-ე პუნქტთან დაკავშირებით, რომელსაც თქვენ პრეზიდენტი მედვედევის შემდეგ დაეთანხმეთ ამა წლის 12 აგვისტოს, ჩვენი თბილისში შეხვედრის დროს და რომელიც ითვალისწინებს, რომ „რუსეთის სამხედრო ძალები უნდა დაუბრუნდნენ იმ ხაზებს, რომელიც არსებობდა საომარი მოქმედების დაწყებამდე“ და, რომ „საერთაშორისო მექანიზმის მოლოდინში რუსეთის სამშვიდობო ძალებმა უნდა განახორციელონ უსაფრთხოების დამატებითი ღონისძიებები,“ მე მსურს თქვენ გაგიზიაროთ შემდეგი დაზუსტებები:

– როგორც მე ეს დავაზუსტე თბილისში ჩვენი ერთობლივი პრესკონფერენციის დროს, „უსაფრთხოების ეს დამატებითი ღონისძიებები“ შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სამხრეთ ოსეთის უშუალო სიახლოვეს, საქართველოს ტერიტორიის ნებისმიერი სხვა ნაწილის გარდა;

– უფრო ზუსტად, ეს „ღონისძიებები“ შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ რამდენიმე კილომეტრის სიღრმის ზონის შიგნით, სამხრეთ ოსეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის ადმინისტრაციული საზღვრიდან, იმგვარად, რომ იგი არ მოიცავდეს არც ერთ მნიშვნელოვან საქალაქო ცენტრს – კერძოდ, ვგულისხმობ ქალაქ გორს - უნდა განისაზღვროს განსაკუთრებული ზომები, საქართველოს საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალებზე მოძრაობისა და ცირკულაციის თავისუფლების გარანტირებისთვის;

– „უსაფრთხოების ეს დამატებითი ღონისძიებები“ მიიღებენ პატრულირების ფორმას, რომელიც შესრულდება მხოლოდ რუსეთის სამშვიდობო ძალების მიერ არსებული შეთანხმებებით ნებადართულ დონეებზე, რუსეთის სხვა ძალები კი, დაიხევენ თავიანთ, 7 აგვისტოს წინა პოზიციებზე, ურთიერთგაგების მემორანდუმის შესაბამისად.

საფრანგეთის რესპუბლიკის

პრეზიდენტის რეზიდენცია

პრესსამსახური

– ამ „ღონისძიებებს“ ექნებათ დროებითი ხასიათი, უმოკლეს ვადებში „საერთაშორისო მექანიზმის“ დადგენამდე, რომლის ხასიათი და მანდატი უკვე განხილვის საგანია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, კერძოდ კი, ეუთოში, ევროკავშირსა და გაეროში.

ამ დაზუსტებებზე დაყრდნობით გთხოვთ, დამიდასტუროთ თანხმობა, რომელიც თქვენ მომეცით და რომელიც საჯაროდ გამოაცხადეთ თბილისში, ხელი მოაწერეთ რა, ექვსპუნქტიან ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომელსაც თვითონაც მოვაწერე ხელი, როგორც მოწმემ და გარანტმა ევროკავშირის სახელით. პრეზიდენტმა მედვედევმა გუშინ დამარწმუნა, რომ თქვენი ხელმოწერა გამოიწვევს რუსეთის ძალების უკან დახევას გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად.

ბატონო პრეზიდენტო, გთხოვთ მიიღოთ ჩემი უმაღლესი პატივისცემა

ხელმოწერილია: **ნიკოლა სარკოზი**

== ციტატის დასასრული ==

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის რეზიდენციას სურს დაამატოს შემდეგი 3 დაზუსტება:

– ცეცხლის შეწყვეტასთან დაკავშირებული დოკუმენტის თანმხლებ წერილში ხსენებული ტერიტორია გაგებული უნდა იყოს როგორც კონფლიქტის ზონის უშუალო სიახლოვე, როგორც ეს განსაზღვრულია წინა შეთანხმებებით, საქართველოს ტერიტორიის ნებისმიერი სხვა ნაწილის გარდა. ამ დოკუმენტით განსაზღვრული ღონისძიებები შეიძლება განხორციელებული იქნას მხოლოდ რამდენიმე კილომეტრის სიღრმის ზონის შიგნით, ცხინვალის გარშემო კონფლიქტის ზონაში.

– წერილში ხსენებულმა ღონისძიებებმა არანაირად არ უნდა შეზღუდონ ან საფრთხე შეუქმნან მოძრაობისა და ცირკულაციის თავისუფლებას საქართველოს საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალებზე.

– კონფლიქტის გადაჭრის პროცესის სხვა ასპექტები შემდგომ იქნება განხილული.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი დ.ა. მედვედევი და საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ნ. სარკოზი მხარს უჭერენ კონფლიქტის დარეგულირების შემდეგ პრინციპებს და მოუწოდებენ შესაბამის მხარეებს ხელი მოაწერონ ამ პრინციპებს:

1. ძალის გამოყენებაზე უარის თქმა

2. საბრძოლო მოქმედებებისგან თავის შეკავება

3. ჰუმანიტარული დახმარებისთვის თავისუფალი მიმოსვლის უზრუნველყოფა

4. საქართველოს შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნდნენ მუდმივი დისლოკაციის ადგილებში

5. რუსეთის შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნდნენ სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე არსებულ პოზიციებზე. საერთაშორისო მექანიზმების შექმნამდე, რუსეთის სამშვიდობო ძალები განახორციელებენ უსაფრთხოების დროებით ზომებს

6. საერთაშორისო მოლაპარაკებების დაწყება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის პირობების თაობაზე

ქართული მხრიდან: სამხრეთ ოსეთის მხრიდან: აფხაზეთისმხრიდან:

შუამდგომლობით:

რუსეთის მხრიდან

(მედვედევის ხელმოწერა)

მონაწილეობით:

ეუთოს მხრიდან

ევროკავშირის მხრიდან

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი დ. ა. მედვედევი და საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ნ. სარკოზი მხარს უჭერენ კონფლიქტის დარეგულირების შემდეგ პრინციპებს და მოუწოდებენ შესაბამის მხარეებს ხელი მოაწერონ ამ პრინციპებზე:

1. ძალის გამოყენებაზე უარის თქმა

2. საბრძოლო მოქმედებებისგან თავის შეკავება

3. ჰუმანიტარული დახმარებისთვის თავისუფალი მიმოსვლის უზრუნველყოფა

4. საქართველოს შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნდნენ მუდმივი დისლოკაციის ადგილებში

5. რუსეთის შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნდნენ სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე არსებულ პოზიციებზე. საერთაშორისო მექანიზმების შექმნამდე, რუსეთის სამშვიდობო ძალები განახორციელებენ უსაფრთხოების დროებით ზომებს

6. საერთაშორისო მოლაპარაკებების დაწყება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის პირობების თაობაზე

ქართული მხრიდან:	სამხრეთ ოსეთის მხრიდან:	აფხაზეთის მხრიდან:
	(კოკოითის ხელმოწერა)	(ბაღაფშის ხელმოწერა)

შუამდგომლობით:

რუსეთის მხრიდან

მონაწილეობით:

ეუთოს მხრიდან

ევროკავშირის მხრიდან

2008 წლის 12 აგვისტოს გეგმის განხორციელება

2008 წლის 12 აგვისტოს მედვედევის-სარკოზის გეგმით გათვალისწინებული ყველა ვალდებულების სრული შესრულების კიდევ ერთხელ დადასტურება.

1. ძალების უკან დახევა

- ყველა რუსული საჯარისო შენაერთის ფოთიდან სენაკამდე 5 ბლოკ-საგუშაგოდან მაქსიმუმ 7 დღის ვადაში გაყვანა, 8 სექტემბერს ხელმოწერილი იმ სამართლებრივი დოკუმენტის გათვალისწინებით, რომელიც ითვალისწინებს აფხაზეთის წინააღმდეგ ძალის არ გამოყენების ვალდებულებას.
- რუსული სამშვიდობო ჯარების სრული გაყვანა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მიმდებარე ზონებიდან და მათი დაბრუნება იმ პოზიციებზე, სადაც ისინი შეიარაღებული დაპირისპირების დაწყებამდე იმყოფებოდნენ. გაყვანის ეს პროცესი განხორციელდება, ამ ზონებში საერთაშორისო მექანიზმების ამოქმედებიდან 10 დღის ვადაში, მათ შორის იგულისხმება არანაკლებ 200 დამკვირვებელი ევროკავშირიდან, და რომელიც უნდა შესრულდეს 2008 წლის 1 ოქტომბრამდე, იმ სამართლებრივი დოკუმენტების გათვალისწინებით, რომელიც ითვალისწინებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ ძალის არ გამოყენების ვალდებულებას.
- საქართველოს შეიარაღებული ძალების საკუთარი დისლოკაციის ადგილებზე დაბრუნების დასრულება 2008 წლის 1 ოქტომბრამდე.

2. საერთაშორისო სადამკვირვებლო მექანიზმები

- გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლები განაგრძობენ თავიანთი მანდატით განსაზღვრულ საქმიანობას მათი პასუხისმგებლობის ზონებში იმავე რაოდენობრივი შემადგენლობითა და განლაგების სქემის მიხედვით, როგორც იყვნენ 2008 წლის 7აგვისტოს, ვიდრე გაერო-ს უშიშროების საბჭოს შესაძლო მომავალი გადაწყვეტილება არ შეიტანს რაიმე ცვლილებას. ეუთო-ს საერთაშორისო დამკვირვებლები განაგრძობენ თავიანთი მანდატით განსაზღვრულ საქმიანობას მათი პასუხისმგებლობის ზონებში იმავე რაოდენობრივი შემადგენლობითა და განლაგების სქემის მიხედვით, როგორც იყვნენ 2008 წლის 7 აგვისტოს, ვიდრე ეუთოს მუდმივმოქმედი საბჭოს შესაძლო მომავალი გადაწყვეტილება არ შეიტანს რაიმე ცვლილებას.
- უნდა დაჩქარდეს მოსამზადებელი ღონისძიებები, რათა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთის მიმდებარე ზონებში განლაგდნენ საკმარისი რაოდენობის დამატებითი

დამკვირვებლები, რათა მათ ჩაანაცვლონ რუსული სამშვიდობო ჯარები 2008 წლის 1 ოქტომბრამდე, ამ დამკვირვებელთაგან არანაკლებ 200 დამკვირვებელს გამოაგზავნის ევროკავშირი.

- ევროკავშირი, როგორც ძალის არგამოყენების პრინციპის გარანტორი არსებული სადამკვირვებლო მექანიზმების გარდა, დამატებით აქტიურად ამზადებს სადამკვირვებლო მისიის განლაგებას.

3. საერთაშორისო განხილვები

- მედვედევ - სარკოზის მიერ ხელმოწერილი 2008 წლის 12 აგვისტოს 6 პუნქტიანი გეგმით გათვალისწინებული საერთაშორისო მოლაპარაკებები დაიწყება 2008 წლის 15 ოქტომბერს ქ. ჟენევაში. მოსამზადებელი საუბრები დაიწყება უკვე სექტემბერში.

ისინი ძირითადად შეეხება:

- რეგიონის სტაბილურობისა და უსაფრთხოების ღონისძიებებს;
- ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა საკითხი, საერთაშორისო დონეზე აღიარებული პრინციპებისა და პოსტ-კონფლიქტური დარეგულირების პრაქტიკის საფუძველზე;
- მხარეთა ერთობლივი თანხმობით დამატებით, ნებისმიერი სხვა საკითხი

ბრძანებები № 1 და № 2

რუსეთის ფედერაციამ, საქართველოში განვითარებული კონფლიქტის ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია უზრუნველყო მასალებით, რომლებიც მედიაში გახდა ცნობილი სახელწოდებით, „საბრძოლო ბრძანებები №1 და №2“ ცნობილი დოკუმენტების ასლებს წარმოადგენდა და სიტყვიერი მტკიცების თანახმად, საქართველოს მე-4 ქვეითი ბრიგადის მეთაურის მიერ 2008 წლის 7 აგვისტოს იყო გაცემული. რუსეთმა მისიას გადასცა აგრეთვე, სხვა მასალები, რომლებიც, მისი განცხადებით, საქართველოს შეიარაღებული ძალების კუთვნილი ის ოპერატიული რუკები იყო, რომლებიც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ დაგეგმილ საბრძოლო მოქმედებებს ასახავდა. აღნიშნული დოკუმენტების ასლებთან ერთად რუსულმა მხარემ მისიას გადასცა რუსულ ენაზე შესრულებული თანდართული თარგმანები, ასევე ინგლისურ ენაზე შესრულებული თარგმანების არაოფიციალური ვერსიებიც.

რუსული მხარის რჩევების საფუძველზე, ფაქტების დამდგენმა მისიამ ზემოთ მითითებული სავარაუდო „ბრძანებები № 1 და № 2“ ქართულ მხარეს გააცნო, რაც გულდასმით შესწავლისა და კომენტარების გაკეთების უზრუნველყოფის მიზნით. ქვემოთ მითითებულია საქართველოს სახელისუფლებო ორგანოების წერილობითი პასუხი, სადაც აღნიშნული დოკუმენტების ავთენტურობა უარყოფილია.

„ბრძანებები № 1 და № 2“ მათი ავთენტურობის დადგენის მიზნით, გადაეცა დამოუკიდებელ ორგანოსაც, რომელსაც გააჩნია სპეციალური ცოდნა და გამოცდილება. ამ უკანასკნელს საბოლოო დასკვნები ჯერ არ წარუდგენია. გაცხადებულ იქნა, რომ დოკუმენტებში უხეში ფალსიფიკაციის ნიშნები არ აღინიშნება. თუმცა, იქიდან გამოდინარე, რომ ხელმისაწვდომი იყო არა დოკუმენტების ორიგინალები, არამედ მხოლოდ მათი ასლები, იმ ელემენტების რაოდენობა, რომელთა შემოწმებაც მოხერხდა, დოკუმენტების ავთენტურობის საბოლოო შეფასებისათვის საკმარისი არ არის.

Приложение 8

ხაიდუმლო
ეგზ.№ 5
მე-4 ქვეითი ბრიგადის
შტაბი
დგასზიანი
07.0130 აგვისტო 2008 წ.

განიარაღებელი ბრძანება №01
რუკა №1:50 000, К-38-64-А, К-38-90- Б , К-38-64-В, К-38-64-Г
1987 წ. გამოშვება
დროითი სარტყელი: ადგილობრივი

1. კითარება

90 იანი წელებში დაიძაბა სიტუაცია სამაჩაბლოს რეგიონიში, ადგილობრივმა ხელისუფლებამ რუსეთის პოლიტიკური დახმარების საშუალებით მოახდინა ქართული მოსახლეობის ნაწილის რეგიონიდან განდევნა. რეგიონში დარჩა მხოლოდ დიდი ლიახვის კომპაქტურად დასახლებული ქართული მოსახლეობა. რუსეთმა პოლიტიკურ-ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით მოახდინა საშშვიდობო ძალების შეყვანა რეგიონში, რომლებიც ხელს უწყობენ რეგიონში დესტაბილიზაციას, ღიად უჭერენ რა მხარს სეპარატისტულ მთავრობას.

ბოლო დროს არაკანონიერი ბანდფორმირებები რეგულარულად ახორციელებენ თავდასხმას რეგიონში მცხოვრებ ქართულ მოსახლეობაზე, გაუხსნეს ცეცხლიუ როგორც მცირე კალიბრიანი ასევე მსხვილ მკალიბრიანი შეიარაღებიდან, პარალელურად ხორციელდება ბანდ-ფორმირებების აღჭურვა, რაც თავის მხრივ ზრდის საფრთხეს რეგიონში მცხოვრები ქართული მოსახლეობისათვის.

ა. **მოწინააღმდეგე ძალები.**

სამაჩაბლოს რეგიონში ოსი სეპარატისტები აგრძელებენ მშვიდობიანი მოსახლეობისა და საშშვიდობო ძალების მიმართულებით მეიარაღებულ საცეცხლე დაპირისპირებას.

მათ ძირითად ტაქტიკურ ხერხებს წარმოადგენს თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობები, სნაიპერები, თვითნაკეთი რაკეტმტყორცნები, 60-82 მმ. ნაღმტყორცნები, ასევე ანხორციელებენ კომპლექსურ წასაყრებებს.

ბ. საკუთარი ძალები:
- 41 ქვეითი ბატალიონი
- 42 ქვეითი ბატალიონი
- 43 ქვეითი ბატალიონი
- ჯ/საგანკო ბატალიონი
- საარტილერიო დივიზიონი
- უმრუნველყოფის ბატალიონი
- საშტაბო ასეული
- სადაზვერვო ასეული
- საინჟინრო ასეული
- კ/ტ ასეული

გ. **მოშაგრებული ქვედანაყოფები.**
არ გვყავს

2. ამოცანა

IV- ქვეითი ბრიგადის დაქვემდებარებული ქვედანაყოფები მოვიდნენ საბრძოლო მზადყოფნაში დისლოკაციის ადგილზე არაუგვიანეს 2008 წლის 7 აგვისტოს 08:00 საათამდე, რათა განახორციელონ ოპერატიული დაჯგუფების მხარდაჭერა.

3. აღსრულება.

ა) ოპერაციის კონცეფცია: ამ ოპერაციაში მნიშვნელოვანია დისლოკაციის ადგილზე სწრაფი საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანა, რათა განვახორციელოთ კომბინირებული ოპერაციული დაჯგუფების ოპერაციების მხარდაჭერა, რომელიც ხელს შეუწყობს სტაბილურობის ღონისძიებებს მოქმედების ცხინვალის რეგიონში. ბრიგადა განახორციელებს ოპერაციის სრულ სპექტრს სამანევრო ქვედანაყოფებით.

ბ) დავალებები სამანევრო ქვედანაყოფებს:

მსუბუქი ქვეითი ბატალიონები

დავალება: ქვედანაყოფები მოიყვანონ საბრძოლო მზადყოფნაში არა უგვიანეს 2008 წლის 11:00 საათამდე, ბრიგადის დისლოკაციის ადგილიდან გამოსასელელად და ოპერაციული დაჯგუფების ოპერაციების მხარდასაჭერად; მოქმედების რაიონში სტაბილურობის, შეგვითი და თავდაცვითი ოპერაციების საწარმოებლად.

გ) დავალებები მხარდამჭერ ქვედანაყოფებს:

საარტილერიო დივიზიონი

დავალება: მზად იყოს სამანევრო ქვედანაყოფებისათვის მხარდამჭერი ოპერაციების განსახორციელებლად.

დაზვერვის ასეული

დავალება: სადაზვერვო ასეულმა ოპერაციის რაიონში დაიწყოს სადაზვერვო ოპერაციების წარმოება მ/წლის 7 აგვისტოს 05:00 საათიდან. ბრიგადის თავმოყრის რაიონის ადგილის შესწავლის მიზნით

დ) მაკოორდინირებელი ინსტრუქციები:

1. ბრძანება ძალაში შედის გამოცემიდან;
2. მეთაურის მოთხოვნა მნიშვნელოვან ინფორმაციაზე
- ქვედანაყოფების სრული მზადყოფნა ამოცანის შესასრულებლად;
-დაკომპლექტება აღჭურვილობით სრული სტანდარტების მიხედვით, დასახლებულ პუნქტებში დღისით და

ღამით ოპერაციების შესასრულებლად;
- მომარაგების კლასების მდგომარეობა;
3. ბრძოლაში ჩართვის წესების დაცვა;
4. ქვედანაყოფები მოქმედებენ ბრიგადასთან კოორდინირებულად.

4. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;

IV ქვეითი ბრიგადის უზრუნველყოფა კლასების მიხედვით განხორციელდება უზრუნველყოფის ბატალიონის ძალებით.

პრიორიტეტი ეძლევა შემდეგ კლასებს I, III, V , VIII და წყალი.

5. მართვა და კავშირი.

მართვა და კავშირი განხორციელდება სტანდარტული ოპერატიული პროცედურების შესაბამისად. (SOP)

მეოთხე ქვეითი ბრიგადის მეთაური

მაიორი გ. კალანდაძე

საიდუმლო
ეგზ.№
მე-4 ქვეითი ბრიგადის
შტაბი
დაბაზიანი
07.0515 აგვისტო 2008 წ.

ბრძანებულებელი ბრძანება №02
ფოტოუნა №1:50 000, K-38-64-A, K-38-90- Б , K-38-64-B, K-38-64-Г
1987 წ. გამოშვება
დროები სარტყელი: ადგილობრივი
1. ვითარება.
ცვლილებების ბარეში (იხილეთ გამაფრთხილებელი ბრძანება №01)
2. მოწინააღმდეგე ძალები.
ცვლილებების ბარეში (იხილეთ გამაფრთხილებელი ბრძანება №01)
ბ. საკუთარი ძალები:
ცვლილებების ბარეში (იხილეთ გამაფრთხილებელი ბრძანება №01)

ზემდგომი მეთაურის ამოცანა
ოპერატიულმა ჯგუფებმა განახორციელოს საბრძოლო ოპერაცია სამაჩაბლოს რეგიონში და 72 საათის განმავლობაში გაანადგუროს მოწინააღმდეგე. აღადგინოს საჰართველოს ადმინისტრაცია რეგიონში.

ზემდგომი მეთაურის ჩანაფიქრი
– სწრაფი საბრძოლო მოქმედებისგანხორციელება;
– მშვიდობიანი მოსახლეობისა და მათი ქონების განადგურების რისკის შემცირება;
– ზუსტი წერტილოვანი დარტყმებით მოწინააღმდეგე ძალების განადგურება;
– საკუთარი ძალების დაცვა

3. მომაგრებული ქვედანაყოფები.
არ გვყავს

2. ამოცანა
IV- ქვეითი ბრიგადის დაქვემდებარებული ქვედანაყოფები მოვიდნენ საბრძოლო მზადყოფნაში დისლოკაციის ადგილზე ორაუოვანის 2008 წლის 7 აგვისტოს 11:00 საათამდე, რათა განახორციელონ ოპერატიული დაჯგუფების მხარდაჭერა.

3. აღსრულება.
მეთაურის ჩანაფიქრი:
– სწრაფი საბრძოლო მოქმედების განხორციელება;
– მშვიდობიანი მოსახლეობისა და მათი ქონების განადგურების რისკის შემცირება;
– ზუსტი წერტილოვანი დარტყმებით მოწინააღმდეგე ძალების განადგურება;
– საკუთარი ძალების დაცვა
– ოპერაციის რაიონში შეტევითი და თავდაცვითი ოპერაციების განხორციელება;
– სამოქალაქო ფუნქციების უსაფრთხოების დაცვა;

საბოლოო შედეგი:
– რეგიონში ანტი სეპარატისტული ძალების გაუნეიტრალება
– რეგიონში მშვიდი და უსაფრთხო ვარემოს შექმნა.

მე-4 ბრიგადა სადმი: საზღვრები
ჩრდილოეთით: კ 858864; კ 056868.
აღმოსავლეთით: კ. 056868 კ 112732
სამხრეთით: კ. 112732; კ. 977690; კ. 951682; კ. 868709
დასავლეთით: კ. 868 709

<u>მე-4 ბრიგადის შიდა საზღვრები:</u>
<u>41 ქვეითი ბატალიონი:</u>
ჩრდილოეთით: კ. 858864; კ. 935865
აღმოსავლეთით: კ. 935865; კ. 977690
სამხრეთით: კ. 977690; კ. 948681. . 878708
დასავლეთით: კ 878708; კ. 858864.

<u>42 ქვეითი ბატალიონი:</u>
ჩრდილოეთით: კ. 935865; კ. 973867
აღმოსავლეთით: კ. 973867; კ. 025748; კ. 046718
სამხრეთით: კ. 046718; კ. 977690
დასავლეთით: კ 977690; კ. 935865

<u>43 ქვეითი ბატალიონი:</u>
ჩრდილოეთით: კ. 973867; კ. 056868
აღმოსავლეთით: კ. 056868; კ. 112732
სამხრეთით: კ. 112732; კ. 046718.
დასავლეთით: კ 046718; კ. 025748. . 973867

მეთაური მოთხოვნა მნიშვნელოვან ინფორმაციაზე (CCIR).

(ა) დაზვერვის პრიორიტეტული მოთხოვნები (PIR).

<u>1</u> საშუალებები/მეთოდები/რეჟიმები, რომელთაც გამოიყენებენ ანტისეპარატისტული ძალები რეგიონის უსაფრთხოების დესტაბილიზაციისათვის.

<u>2</u> სად ხდება უშუალოდ ძალების დაპირისპირება.

<u>3</u> ვინ უჭერენ მხარს ანტისეპარატისტულ ძალებს?

<u>4</u> სად მდებარეობენ ანტსეპარატისტული ძალების ბანაკები, და სამალავები;

<u>5</u> სად აქვთ განლაგებული ძირითადი საცეცხლე საშუალებები;

<u>6</u> რა შემადგენლობა და საშუალებები გააჩნიათ მოწინააღმდეგე ძალებს;

<u>7</u> სად და როდის ჩაატარებენ მოწინააღმდეგე ძალების ხრეადასხვა დაჯგუფებები კოორდინირებულ შეტევას საკუთარი ძალების წინააღმდეგ

<u>8</u> ვინ არის გაელვნიანი პირები (ლიდერები) ოპერაციის რაიონში.

რისკი

— სამაჩაბლოს რეგიონში არსებული რუსული საშვიდობო ბაზები ზრდის პროვოკაციის რისკს მათზე ცეცხლის გახსნის შემთხვევაში;

— მშვიდობიანი მოსახლეობისა და ლტოლვილთა გადმოადგილებისას საშიშროება, რომ მათ შორის აღმოჩნდეს სეპარატისტული დაჯგუფების წევრები, რომლებიც შეეცდებიან დესტაბილიზაციის შექმნას ზურგში

დაგალებები სამანევრო ქვედანაყოფებს:

- სამანევრო ქვედანაყოფებმა (41-ე, 42-ე და 43-ე ბატალიონები) მოამზადონ სალაზვერვო ოცეულები ტაქტიკური სადაზვერვო ოპერაციების საწარმოებლად თავთავიანთ საპასუხისმგებლო რაიონში;
- სამანევრო ქვედანაყოფებთან შეტევითი და თავდაცვითი ოპერაციების საწარმოებლად, ჩაატარონ ყარაულში ოპერაციების საწარმოებლად, (შეტევა დასახლებულ პუნქტებში, შენობებში შესვლა ჩხრეკა, თავდასხმითი და აყვანის ოპერაციები)

დაგალებები მხარდამჭერ ქვედანაყოფებს:

ბრიგადის მხარდამჭერი ქვედანაყოფებმა (ჯ/საგ. ბატ; საარტ. დივიზიონი; უზრ. ბატალიონი და ცალკეული ასეულები) – მოიყვანოს ქვედანაყოფები სრულ საბრძოლო მზადყოფნაში სამანევრო ქვედანაყოფების მხარდასაჭერად და იყვნენ მზად მარშის განსახორციელებლად ბრიგადის თავმოყრის რაიონში კგ. 0259

უსაფრთხოების ღონისძიებები:

— მარშის მსვლელობისას დაცული იქნეს უსაფრთხოების ზომები;
— ქვედანაყოფებმა თავიანთ გადაადგილების მიმართულებებზე უზრუნველყონ ფლანგები და ხურგის დაცვა.

4. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;
   ცვლილებების გარეშე (იხილეთ გამაფრთხილებელი ბრძანება N01)

5. მართვა და კავშირი.
   ცვლილებების გარეშე (იხილეთ გამაფრთხილებელი ბრძანება N01)

მეოთხე ქვეითი ბრიგადის მეთაური

მაიორი გ. კალანდაძე

7390 5020 (1: 50 000)

N 42°51'59"–E 41°07'39"

ბაბუშერას აეროდრომი





•განლაგებულია ქ. სოხუმიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 17კმ-ს დაშორებით.

•აეროდრომი განკუთვნილია საერთაშორისო - კომერციული რეისებისთვის, გააჩნია საჰაერო მოძრაობის კონტროლის თანამედროვე საშუალებები და სანავიგაციო სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ თვითმფრინავების ავტომატური რეჟიმით დაჯდომის შესაძლებლობას.

•საფრენის შესანახი გაზის ტევადობა 8400 ტონაა, რაც სატრანზიტო რეისების გამართვის შესაძლებლობას იძლევა.

•გააჩნია თანამედროვე ჩამრეცლელ-დასატვირთი საშუალებები (ამშვავებს 5 ტონამდე წონის ტვირთს);

•ასაფრენ-დასაფრენი ბილიკის სიგრძეა 3640მ, ხოლო სიგანე –x52.5მ; საფარი ასფალტ-ბეტონისაა.

•შეზღუდულია სარემონტო სამუშაოების ჩატარება (მხოლოდ მცირე რემონტი).

Формуляры объектов на территории Абхазии, планируемые к поражению ВС Грузии

7047 5940 (1: 50 000)
N 42°57′01″–E 41°05′18″

საავტომობილო ხიდი
(მდ. მაჭარა)



•xidi md. maWaraze, sof. maWara /7058/.

•xidi rkinabetonis, koWuri, Wrili. malebis konstruqcia – 6 koWi; savali nawili asfaltbetonis safariT. sayrdenebi rkinabetonis, masiuri.

•xidis maxasiaTeblebia:

_ sigrZe - 56 m;

_ sigane - 10 m;

_ savali nawilis sigane – 6 m;

_ tvirTamweoba - 60 t.

•mdinaris sigane 10m, wylis siRrme 0,6m, dinebis siCqare 0,8m/wm, fskeris grunti xreSian- kenWnariani. napirebis simaRle: marjvena 8-10m, marcxena 0,5-1m, flate.

по состоянию на 8.08.2008 г.

Республика Северная Осетия - Алания

РОССИЙСКАЯ ФЕДЕРАЦИЯ

Состав Смешанных сил по поддержанию м
в зоне грузино-осетинского конфликта

Страны	Количество личного состава, военной техники и вооружения	Коли по
Российская Федерация	Личный состав - 496 чел. БТ - 43; АТ - 57; минометы - 9	5+1
Северная Осетия	Личный состав - 488 чел. БТ - 42; АТ - 56	8+1
Грузия	Личный состав - 530 чел. БТ - 16; АТ - 14; минометы - 4	2+5
Всего	Личный состав 1524 чел. БТ - 10; АТ - 127; минометы - 13	16+3 сс +6 вре

Группировка войск Грузи
в зоне грузино-осетинского конф
3 пбр (без 2-х лпб), 4 пбр, бр Рез. с
обСпН - 2, абр
легких пехотных батальонов
механизированных батальонов
обСпН
артиллерийская бригада
личного состава до 1100
танков
ББМ
орудий и минометов
РСЗО
авиагруппа:
8 Су-25, 8 Ми-8, 8 Ми-

Южная Осетия

Джавский район

ДЖАВА

Северный
инский анклав

Восточный грузинский анклав

г.Цинвар

Пеша

Кехви

Монастыри

1653.4

ССПМ

Тамарашени

Ваната

Сарабуки

Цхинвальский район

мсб РСО-А

мсб МС

ЦХИНВАЛИ

Ерцо

Ксуиси

Присы

Квемо-Бикари

Ленингорийский район

Шуа-Захори

Сунки

Мугути

Ихна

Дзани

Эрнети

Ахали

Дзиси-Громи

Ихоти

Цинвали

4 пбр
41, 42, 43 лпб,
мехб, адн, рр

3 пбр
31, 32, 33 лпб,


gudauta
gadajgurebis raioni
f.x. "C" s+
nteresis raioni
f.x. "B" s+
СУХУМИ
2079
4040

Дислокация
российского воинского контингента в зоне грузино-осетинского конфли
по состоянию на 8.08.2008 г.

Республика Северная Осетия - Алания

РОССИЙСКАЯ ФЕДЕРАЦИЯ

Кесатикау

тун.Рокский

Состав Смешанных сил по поддер
в зоне грузино-осетинского ко

Страны	Количество личного состава, военной техники и вооружения
Российская Федерация	Личный состав - 496 чел. БТ - 43; АТ - 57; минометы - 9
Северная Осетия	Личный состав - 488 чел. БТ - 42; АТ - 56
Грузия	Личный состав - 530 чел. БТ - 16; АТ - 14; минометы - 4
Всего	Личный состав 1524 чел. БТ - 10; АТ - 127; минометы -

Южная Осетия

Джавский район

ДЖАВА

Северный грузинский анклав

Восточный грузинский анклав

Западный грузинский анклав

Цхинвальский район

Ленингорийский ра

ЦХИНВАЛИ

ССПМ

мсб РСО-А

мсб МС

Группировка во
в зоне грузино-осетин
3 пбр (без 2-х лпб), 4
обСпН - 2,
легких пехотных батальоно
механизированных батальо
обСпН
артиллерийская бригада
личного состава
танков
ББМ
орудий и минометов
РСЗО
авиагруппа:
8 Су-25,

გამგზავნი: გიორგი ბოკერია, საგარეო საქმეთა სამინისტრო

მიმღები: ელჩი ჰეიდი ტალიავინი

2009 წლის 27 ივლისი

პატივცემულო ჰეიდი, პატივცემულო კოლეგავ!

მადლობას მოგახსენებთ იმ წერილობითი მოთხოვნისათვის, რომელიც მისიისათვის წარდგენილ და საქართველოს ხელისუფლებისათვის მიწოდებულ შერჩეულ მასალებთან (კონკრეტულად – ე.წ. „ბრძანებები N 1 და N 2; უპილოტო საფრენი მოწყობილობების სავარაუდო ფოტოების ნაკრებები; ჩრდილოეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში სამშვიდობოთა ადგილმდებარეობის ამსახველი რუკები, აგრეთვე სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სხვა სავარაუდო სამხედრო რუკები) დაკავშირებული საკითხების გარკვევას ეხება. წინამდებარე წერილში ზემოთ მითითებულ მასალებთან დაკავშირებული განმარტებები და ინფორმაციაა მოყვანილი.

ე.წ. „ბრძანებები N1 და N2“

საქართველოს ხელისუფლება აცხადებს, რომ მისიისადმი წარდგენილი ორივე ე.წ. სამხედრო „ბრძანება“ ფალსიფიკაციას წარმოადგენს. ეს განცხადება ეფუძნება იმ ფაქტს, რომ საქართველოს მთავრობას შენარჩუნებული აქვს ორივე ბრძანების ორიგინალი, რომლებიც არსობრივად განსხვავდება იმ ფალსიფიცირებული დოკუმენტებისაგან, რომლებიც მისიას წარუდგინეს. ამჟამად მიმდინარეობს ორივე დოკუმენტის გრიფით „საიდუმლოს“ მოხსნის პროცესი, რომლის დასრულებისთანავე აღნიშნული მასალა გადაეცემა მისიას.

საქართველოს მთავრობა გულდასმით სწავლობს როგორც ორივე დოკუმენტზე განთავსებულ ხელმოწერებს, ასევე მათ ძირითად ტექსტს.

<u>უპილოტო საფრენი აპარატების სავარაუდო ფოტოები</u>

მისიამ მოგვაწოდა მასალები, რომლებიც სავარაუდოდ, მაჭარას ხიდისა და ბაბუშერას აეროპორტის იმ ფოტოებს წარმოადგენდა, რომლებიც უპილოტო საფრენი აპარატებიდან იყო გადაღებული. ამ ფოტომასალის წარმოშობა გაურკვეველია, მაგრამ იგი გარკვეულწილად, მსგავსია იმ მონაცემებისა, რომლებიც საქართველოს ხელისუფლების მიერ გამოყენებული საშუალებებით იყო მოპოვებული და როგორც მეგობარი ქვეყნების მთავრობებს, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციების გადაეცა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოს ხელისუფლება გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, რეგულარულად იყენებდა შეუიარაღებელ უპილოტო საფრენ აპარატებს აფხაზეთის რეგიონში, სადაც რეალური სურათის გარკვევის სხვა საშუალებების გამოყენება შეუძლებელი და აღკვეთილი იყო.

<u>სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში სამშვიდობოთა ადგილმდებარეობის რუკები</u>

რუსული ოკუპაციის დაწყებამდე, საქართველო შერეული საკონტროლო კომისიის წევრი იყო. აქედან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლება, სტანდარტული ოპერატიული პროცედურების შესაბამისად, რეგულარულად იღებდა სამშვიდობოთა ადგილმდებარეობის ამსახველ რუკებს. მისიის მიერ მოწოდებული ორივე რუკა სამშვიდობოთა აღნიშნული რუკების მსგავსია. თუმცა, გასაგები მიზეზების გამო, 2008 წლის 8 აგვისტოთი დათარიღებული რუკები საქართველოს ხელისუფლებისათვის არ იყო გადაცემული. შესაბამისად, ჩვენ ამ რუკების ნამდვილობის დადასტურების უნარი არ შეგვწევს.

<u>სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის და აფხაზეთის სავარაუდო სამხედრო რუკები</u>

რუკას, რომელიც სამხრეთ ოსეთიდან/ცხინვალის რეგიონიდან რუსეთის მიერ განხორციელებული ოკუპაციის პოტენციურ მარშრუტებს ასახავს, არ გააჩნია განმასხვავებელი დამადასტურებელი ნიშნები ან იდენტიფიკაციის სხვა ფორმები, რომლებიც მათ საქართველოს ხელისუფლებასთან კავშირს ადასტურებს. რუკებზე მინიშნებული არ არის კონკრეტული დრო და თარიღი და აქედან გამომდინარე, შეუძლებელია მათი დაკავშირება კონკრეტულ ავტორთან ან შესადარებელ წყაროსთან. საუკეთესო შემთხვევაში, აღნიშნული მასალა მოცემულ რეგიონში მოქმედი ძალების საქმიანობის სპეკულაციურ ინტერპრეტაციას წარმოადგენს.

აფხაზეთის „რუკა,“ რომელიც პოტენციური შემოჭრის გეგმებს /მარშრუტებს/სცენარებს ასახავს, ასეთივე არადამაჯერებელია. მას არ აქვს დართული არავითარი საიდენტიფიკაციო ნიშნები, თარიღისა და დროის მონაცემები ან რაიმე ისეთი ინფორმაცია, რომელიც რომელიმე მხარესთან მის კავშირს დაადასტურებდა. მსგავსი რუკა საქართველოს შეიარაღებული ძალებისათვის ხელმისაწვდომი არც წარსულში ყოფილა და არ არის ჩვენი მხარის განკარგულებაში.

საუკეთესო სურვილებით,

გიგა ბოკერია

საქართველო

საგარეო საქმეთა მინისტრის

პირველი მოადგილე

7/135-02

17 08 2009

საიდუმლო
ეგზ. № 1
მე-4 ქვეითი ბრიგადის
შტაბი
დ. ვაზიანი
09:00, 07.08.2008

ბამაფრთხილებელი ბრძანება №01

1. მიმოხილვა:

უკანასკნელ დღეებში ინტენსიურად მიმდინარეობს ცხინვალის რეგიონში განლაგებული ქართული სოფლების, პოლიციისა და სამშვიდობო ქვედანაყოფების წინააღმდეგ ცეცხლი, მათ შორის მსხვილკალიბრიანი არტილერიითაც. არიან დაჭრილები.

ცხინვალის რეგიონში რუსეთიდან ინტენსიურად შემოდის მძიმე ტექნიკა და შეიარაღებული ქვედანაყოფები.

2. ამოცანა:

მე-4 ქვეითი ბრიგადის დაქვემდებარებული ქვედანაყოფები მოვიდნენ საბრძოლო მზადყოფნა №1-ში დისლოკაციის ადგილზე, არაუგვიანეს 2008 წლის 7 აგვისტოს 13:00 საათამდე; ბრძანების მიღებისთანავე მზად იყვნენ დასმული ამოცანების შესასრულებლად.

3. აღსრულება:

სტანდარტიული ოპერატიული პროცედურების შესაბამისად

4. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა:

განხორციელდეს უზრუნველყოფის ბატალიონის ძალებით.
პრიორიტეტი კლასების მიხედვით: I, III, V, VIII.

5. მართვა და კავშირი:

სტანდარტული ოპერატიული პროცედურების შესაბამისად.

მაიორი
გ. კბილანდაძე
მე-4 ქვეითი ბრიგადის მეთაური

საიდუმლო
ეგზ. № 4
მე-4 ქვეითი ბრიგადის
შტაბი
დ. ვაზიანი
15:00, 07.08.08

ბამაშრთხილებელი ბრძანება №02

რუკა: 1:50.000, K-38-64-A, K-38-64-Б, K-38-64-В, K-38-64-Г.

1. ვითარება:

გრძელდება ცხინვალის რეგიონში განლაგებული ქართული სოფლების, პოლიციისა და სამშვიდობო ქვედანაყოფების წინააღმდეგ ცეცხლი, მათ შორის მსხვილკალიბრიანი არტილერიითაც. სამშვიდობო ძალებში არის მსხვერპლი.

ცხინვალის რეგიონში რუსეთის ფედერაციიდან გრძელდება მძიმე ტექნიკისა და შეიარაღებული ქვედანაყოფების შემოსვლა.

2. ამოცანა:

მე-4 ქვეითი ბრიგადის დაქვემდებარებული ქვედანაყოფები გადაადგილდნენ ბრიგადის თავმოყრის რაიონში ცენტრით სიმაღლე 701.6 (0259). მზად იყვნენ ბრძანების მიღებისთანავე დასმული ამოცანების შესასრულებლად.

3. ასრულება:

ა) დავალებები სამანევრო ქვედანაყოფებს:

41-ე ქვეითმა ბატალიონმა განახორციელოს გადაადგილება მარშრუტით ვაზიანი-თბილისი-გორი და 18:00 სთ-სთვის განლაგდეს თავმოყრის რაიონში ცენტრით სიმაღლე 658.0 (0060), იყოს მზადყოფნაში დასმული ამოცანების შესასრულებლად.

42-ე ქვეითმა ბატალიონმა განახორციელოს გადაადგილება მარშრუტით ვაზიანი-თბილისი-გორი და 18:00 სთ-სთვის განლაგდეს თავმოყრის რაიონში ცენტრით 677.0 (0459), იყოს მზადყოფნაში დასმული ამოცანების შესასრულებლად.

43-ე ქვეითმა ბატალიონმა განახორციელოს გადაადგილება მარშრუტით ვაზიანი-თბილისი-გორი და 18:00 სთ-სთვის განლაგდეს თავმოყრის რაიონში ცენტრით 712.2 (0260), იყოს მზადყოფნაში დასმული ამოცანების შესასრულებლად.

ბ) დავალებები მხარდამჭერ ქვედანაყოფებს:

ჯავშანსატანკო ბატალიონი, საარტილერიო დივიზიონი, უზრუნველყოფის ბატალიონი და ცალკეული ასეულები მოიყვანილ იქნენ სრულ საბრძოლო მზადყოფნაში სამანევრო ქვედანაყოფების მხარდასაჭერად და განახორციელონ მარში მარშრუტით ვაზიანი-თბილისი-გორი და 18:00 სთ-სთვის განლაგდნენ ბრიგადის თავმოყრის რაიონში ცენტრით სიმაღლე 701.6 (0259).

4. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა:

განხორციელდეს უზრუნველყოფის ბატალიონის ძალებით.

პრიორიტეტი კლასების მიხედვით: I, III, V, VIII.

5. მართვა და კავშირი:
სტანდარტული ოპერატიული პროცედურების შესაბამისად.

მაიორი გ. კალანდაძე

მე-4 ქვეითი ბრიგადის მეთაური

პატივცემულო ჰეიდი, პატივცემულო კოლეგავ,

ჩემი 2009 წლის 27 ივლისით დათარიღებული წერილის შემდგომ გიგზავნით საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-4 ბრიგადის ბრძანებათა ორიგინალებს, კონკრეტულად კი, – N1 და N 2 ბრძანებებს, რომლებზეც გრიფი საიდუმლო ახლახანს მოიხსნა.

აღვნიშნავ, რომ მისიისადმი გადმოცემული ფალსიფიცირებული ბრძანებების სტრუქტურა გარკვეულწილად, ჩვენს მიერ აქ წარდგენილი დედნის მსგავსია. გამოყენებული ფორმატი ეფუძნება საქართველოს შეიარაღებული ძალების საველე სახელმძღვანელოებს, რომლებიც მნიშვნელოვანწილად, ამერიკული საველე სახელმძღვანელოების მსგავსია. (საველე სახელმძღვანელო (FM) 101-5, შტაბის სტრუქტურა და ოპერაციები. გავრცელებასთან დაკავშირებული შეზღუდვები: „ნებადართულია საჯარო გამოცემა, გავრცელება შეუზღუდავია“). ფალსიფიცირებულ მასალაში სახელმძღვანელოში გადმოცემული ინფორმაცია დეტალურად არის გათვალისწინებული.

ჩვენი დასკვნის შესაბამისად, მისიისადმი გადაცემული ორივე ფალსიფიცირებული ბრძანების პირველ გვერდზე განთავსებული ხელმოწერები მიუთითებს, რომ ხელმომწერი იყო მაიორი შალვა დოლიძე (რომელიც ბრძოლაში დაეცა 2008 წლის 9 აგვისტოს, ცხინვალის დასავლეთ ნაწილში). მაიორი დოლიძის ხელმოწერები ორივე დოკუმენტზე გაყალბებულია.

მისიისადმი გადაცემული ორივე ფალსიფიცირებული ბრძანების ბოლო გვერდზე განთავსებულია მე-4 ბრიგადის მეთაურის – მაიორი გიგი კალანდაძის სავარაუდო ხელმოწერები. აღნიშნული ხელმოწერების იდენტიფიკაცია შეუძლებელია.

ტექსტის სტრუქტურისაგან განსხვავებით, მისი შინაარსი არათანმიმდევრულია და სტანდარტულ სამხედრო ლოგიკას არ ემორჩილება (მაგ. N 1 ბრძანებაში ისტორიული მონაცემების განთავსება), ამავდროულად, ქართული ტექსტი დაწერილია აღნიშნული ენის არასათანადოდ მცოდნე პირის მიერ (მაგ. ქართული ჯარის მიერ „ანტისეპარატისტული ძალების“ მიზანში ამოღება).

ფალსიფიცირებული დოკუმენტების შინაარსი მიუთითებს იმაზე, რომ მათი გამყალბებელი პირები მიზნად ისახავდნენ თავიანთი კონტექსტუალური მიზეზების შექმნას საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ ძალის გამოყენების შესახებ, რომელიც ამ სავარაუდო ტექსტში დაკავშირებულია N1 და N2 ბრძანებებთან. მისიისათვის წარდგენილი გაყალბებული ბრძანება N2-ის რიტორიკა სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში „კონსტიტუციური მართლწესრიგის/იურისდიქციის აღდგენის“ აუცილებლობით საქართველოს მიერ განხორციელებული სამხედრო ქმედების გამართლებაზე იყო გამიზნული. ჩვენი აზრით, ბრძანებათა ფალსიფიკატორების მიერ შერჩეული იყო თვალთახედვის კონკრეტული კუთხე, რაც მიზნად ისახავდა ისეთი თანმიმდევრული სქემის ჩამოყალიბებას, რომელიც საქართველოს საზღვრის რუსეთის მიმართულებიდან გადმომკვეთი რუსული ძალების, განსაკუთრებით კი, – სამხედრო ქვედანაყოფებისა და ტექნიკის მონიტორინგის ხსენების თავიდან აცილებას განაპირობებდა. ამავდროულად, დოკუმენტში გადმოცემული იყო მოცემულ რეგიონში არსებული სიტუაციის საკმაოდ დეტალური, თუმცა, არასათანადოდ ფორმულირებული აღწერა.

ამ კონტექსტში უნდა გავიხსენოთ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ, 7 აგვისტოს დილას გააკეთა კონკრეტული საჯარო განცხადება (რომელიც საერთაშორისო საზოგადოებისადმი და განსაკუთრებით, ევროკავშირისადმი იყო მიმართული), რომელიც საქართველოს საზღვრის რუსეთის მხრიდან (როკის გვირაბის მეშვეობით) გადმომკვეთ სამხედრო ქვედანაყოფებსა და ტექნიკას ეხებოდა[1].

პატივისცემით,

გიორგი ბოკერია

[1]DEUTCHE PRESSE-AGENTUR

2008 წლის 7 აგვისტო

თბილისი/ბრიუსელი – ხუთშაბათს, საქართველოს ხელისუფლებამ რუსების განცხადებების საპასუხოდ განაცხადა, რომ საქართველოს სეპარატისტულ პროვინციაში – სამხრეთ ოსეთში ოთხშაბათის ღამეს, განვითარებული საბრძოლო მოვლენების დაწყებაში ბრალი უნდა ედებოდეს რუსეთს და არა – საქართველოს.

ბოლოდროინდელ მოვლენებზე სრული პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს რუსეთს: სამხედრო ძალები შემოიჭრნენ რუსეთის ტერიტორიიდან, როკის გვირაბის გავლით. დაქირავებული მებრძოლები, სამხედრო ტექნიკა და სამხედრო ძალები გამოყენებული იყო ცხინვალის რეგიონის მშვიდობიან სოფლებზე რეიდის განსახორციელებლად და საქართველოს სიღრმეში შემოსაღწევად – განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა.

გვერდი 638 ----------

DVD: მხარეების მიერ მოწოდებული დამატებითი მასალა

საქართველო

- პარლამენტის დროებითი სპეციალური კომისიის პრეზენტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტები;
- ჰუმანიტარული სამართალი და ადამიანის უფლებები – პასუხები და გამოყენებული ლიტერატურა;
- საერთაშორისო სამართალი – პასუხები და გამოყენებული ლიტერატურა
  - სამხედრო ასპექტები – პასუხები და გამოყენებული ლიტერატურა
  - სამხედრო ასპექტები – დამატებითი პასუხები და გამოყენებული ლიტერატურა
  - აფხაზეთის შესახებ გადაღებული ქართული ფილმი – აფხაზეთში (საქართველო) განვითარებული კონფლიქტის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ნამუშევარი;
  - აფხაზეთის შესახებ გადაღებული ქართული ფილმი;
  - სამშვიდობო ინიციატივები საქართველოს ხელისუფლებისაგან;
  - რუსული აგრესია საქართველოში, საქართველოს ხელისუფლებისაგან;
  - რუსული აგრესიის ქრონიკა. ქართველთა ეთნიკური წმენდა. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევა.

რუსეთი

– მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო. რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენციის გამოყენება – ისტორიული მონაცემები;

– მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო. რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენციის გამოყენება – მოვლენათა ქრონოლოგია;
– მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო. რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენციის გამოყენება – შესაბამისი ფაქტებისა და დოკუმენტების შეგროვება;

_ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო. რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენციის გამოყენება –მოსამართლის საქაღალდე. ნაწილი I;

– მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო. რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენციის გამოყენება - მოსამართლის საქაღალდე. ნაწილი II.

სამხრეთ ოსეთი

– 2009 წლის ივნისში გადაცემული დოკუმენტების ნაკრები;
– შეთანხმება საქართველო-ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესის შემდგომი განვითარებისა და კონტროლის ერთობლივი კომისიის შესახებ (1992 წლის 24 ივნისი);
– 2009 წლის მაისში გადაცემული დოკუმენტების ნაკრები - ნაწილი I;
– 2009 წლის მაისში გადაცემული დოკუმენტების ნაკრები - ნაწილი II;
– სამხრეთ ოსეთის მხრიდან – ფოტოები;
– საქართველო-ოსეთის კონფლიქტში მონაწილე მხარეთა უსაფრთხოებისა და მათ შორის, ორმხრივი ნდობის გაძლიერებისათვის განსახორციელებელი აუცილებელი ღონისძიებების ამსახველი მემორანდუმი (1996 წლის 16 მაისი);
– სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პარლამენტის რეზოლუციები;
– სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა – დოკუმენტები, მოვლენათა ქრონოლოგია, მოკლე ისტორიული ინფორმაცია.

აფხაზეთი

– აფხაზური მხარის მიერ გადმოცემული დოკუმენტაცია – 4 ფილმი, 2008 წლის ნოემბერი;
– აფხაზეთის მხრიდან მიღებული დოკუმენტების ნაკრები;
– ამერიკელი კონტრაქტორების ფოტოები;
– Power point-ის პრეზენტაცია, რომელიც საქართველოს აფხაზეთთან დაკავშირებულ სამხედრო გეგმას ასახავს;
– ფოტოები;
– კოდორის ფოტოები;
– კოდორის ხიდების ფოტოები;
– რუკები;
– უპილოტო საფრენი აპარატები აფხაზეთის თავდაცვის სამინისტროსთან – ფილმი.

საქართველოში კონფლიქტებთან დაკავშირებული

ფაქტების შემსწავლელი საერთაშორისო დამოუკიდებელი კომისია

ელჩს ქალბატონ ჰაიდი ტალიავინს

დოკუმენტების შემოწმება

ღრმად პატივცემულო ქალბატონო ელჩო,

დანართში გიგზავნით თქვენს მიერ მოთხოვნილ ანგარიშს გამოძიების შესახებ. სხვა კითხვებთან და პროფესიულ საკითხებთან დაკავშირებით მზად ვართ გემსახუროთ.

პატივისცემით,

ციურიხის კანტონის პოლიცია

კრიმინალურ-ტექნიკური განყოფილება

დოქტორი პეტერ ვ. პფეფერლი

დანართი:

კონფიდენციალური

ანგარიში გამოძიების შესახებ

პირადად, ქალბატონ ელჩს, ჰ. ტალიავინს

საქართველოში კონფლიქტებთან დაკავშირებული

ფაქტების შემსწავლელი საერთაშორისო დამოუკიდებელი კომისია

რეგისტრაციის ნომერი _____

წერილის თემა: დოკუმენტების გაყალბების ნიშნების კვლევასთან დაკავშირებით

1. დავალება

2009 წლის 23 ივლისს, ქალბატონმა ჰ. ტალიავინიმ ციურიხის კანტონის პოლიციის კრიმინალურ-ტექნიკური განყოფილების სასამართლო საბუნებისმეტყველო სამსახურს გადასცა ქვემოთ აღწერილი არსებითი მტკიცებულება. 2009 წლის 18 აგვისტოთი დათარიღებულ წერილში ითხოვდნენ, საეჭვო დოკუმენტების შემოწმებას გაყალბების ნიშნების გამოსავლენად და ამასთან, გამოეკვლიათ ხელმოწერების და სხვა ხელნაწერი ჩანაწერების ნამდვილობა და ასევე, იმის დადგენას, განხორციელებულია თუ არა რაიმე სახის მანიპულაცია ნაბეჭდ ტექსტებზე.

2. კვლევის მასალა

X/1 ორგვერდიანი ნაბეჭდი წერილი Nr. 1, ’07.0130’ (ფერადი ასლი)

X/2 სამგვერდიანი ნაბეჭდი წერილი Nr. 2, ’07.0515’ (ფერადი ასლი)

3 მეთოდური პროცედურა

3.1. ხელნაწერების ანალიზი

შედარებითი ანალიზისას, ხელნაწერებს სისტემატურად ამოწმებენ იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ემთხვევა ან არ ემთხვევა ისინი ზოგად თუ განსაკუთრებულ ნიშნებთან მიმართებაში. ზოგად კრიტერიუმებში მოიაზრება მაგალითად, შტრიხის სახე, ფიზიკური დაწოლა წერისას/ბეჭვდისას, გადაბმა, ტექსტის განლაგება და ა.შ. განსაკუთრებული ნიშნების სფერო მოიცავს იმ გრაფიკულ კვალს, რაც წარმოიქმნება ხელის მოძრაობის თვითმყოფადობიდან და შრიფტის დეტალებს. საეჭვო დოკუმენტების ავთენტურობისა და ავტორობის შემოწმება კატეგორიულად მოითხოვს სანდო ნამდვილ, დროსთან მიმართებაში ადეკვატურ შედარებით მასალას დედანში.

საეჭვო დოკუმენტები წარმოდგენილია ასლების სახით, რომლებსაც ცუდი ხარისხის გამოსახულება აქვთ, ამიტომ ხელნაწერ ტექსტებზე ანალიზის ჩატარებაშეზღუდულია. ერთი მხრივ, ხელნაწერის შედარებითი კვლევებისას ხელნაწერების მრავალრიცხოვანი მნიშვნელოვანი ნიშნების, როგორებიცაა ბეჭდვის პროცესი, შტრიხის სტრუქტურა, ხელის მოძრაობის სინატიფე და ა.შ. შეფასება არ არის შესაძლებელი ან არასანდოა, ასლების შემთხვევაში. მეორე მხრივ, დედანზე არსებული კვალი, რომელიც იძლევა მინიშნებებს შედგენის ტექნიკასა და შესაძლო მანიპულაციებთან (კალკის გამოყენების კვალი, ესკიზები, ავთენტური ხელმოწერების მონტაჟის ნიშნები და სხვ) დაკავშირებით, ასლზე ვეღარ დგინდება. აღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, ასლების საშუალებით შეუძლებელია დამაჯერებელი მოსაზრებების გამოთქმა დოკუმენტების საავტორო იდენტურობასა და არაიდენტურობაზე.

3.2. მატერიალურ-ტექნიკური შემოწმება მანიპულაციაზე

დოკუმენტებზე განხორციელებულმა მანიპულაციებმა, შესაძლოა, კვალი დატოვოს; მაგალითად, როგორიცაა, მინიშნებები მექანიკურ ან ქიმიურ წაშლაზე, დაწერილ ან დაბეჭდილ დოკუმენტებზე სხვადასხვა საღებავის (მელნის) გამოყენება, ტექსტის პასაჟების გადაადგილება, ჩამატება და ა.შ. მიკროსკოპის, ულტრაიისფერი და ინფრაწითელი სპექტრალური გამოკვლების გარდა, კრიმინალურ ტექნიკოსებს ხელი მიუწვდებათ მთელ რიგ სხვა მეთოდებზე.

ვინაიდან საეჭვო დოკუმენტები მხოლოდ ასლების სახითაა წარმოდგენილი, გამოკვლევა ფოკუსირებულია იმ შესაძლო მანიპულაციების კვალზე, რომლის

რეპროდუცირება განხორციელდა ასლზე და ამდენად, რეპროდუქციაზეც შეიძლება იქნას დადასტურებული.

ტექსტის პასაჟების ჩამატებისას, ხშირად დგინდება მეორეული ჩანაწერის ადგილიდან გადაცდომა. თუ ჩამატებისას არ გამოიყენეს იგივე საბეჭდი მანქანა ან იგივე პრინტერი, მაშინ ისინი განსხვავებული იქნება პირველად ტექსტში გამოყენებული შრიფტის ნიშნების ფორმისგან. სტრიქონების პარალელურობისა და სვეტების ვერტიკალურობის, ასევე, შრიფტის დაშრევების შემოწმების გზით შესაძლებელია ამ მინიშნებების შემოწმება.

ასლის გადაღება ან დასკანერება და შემდგომ ამობეჭვდა თანამედროვე ფერადი ლაზერული პრინტერის მეშვეობით, დოკუმენტზე ტოვებს შეუიარაღებელი თვალისათვის შეუმჩნეველ ლატენტურ კოდს. ამის გაშიფვრა შესაძლებელია და იდეალურ შემთხვევაში, მწარმოებლის მონაცემების წყალობით მიგვიყვანს შესაბამისი ხელსაწყოს ადგილმდებარეობასთან ან მისამართთან.

4. გამოკვლევები

4.1. ოპტიკური ფიზიკურ-ტექნიკური წინასწარი გამოკვლევები

დოკუმენტები X/1 და X/2 თავიდან შეამოწმეს მაკროსკოპიულად, სტერეომიკროსკოპიულად და ექსტრავიზუალური სინათლის ქვეშ (ულტრაიისფერი და ინფრაწითელი) გაყალბების ნიშნების გამოვლენის მიზნით. უზუსტობა ვერ დადგინდა.

ინტერპრეტაცია: წინამდებარე დოკუმენტები (ასლები) არ ავლენენ მატერიალურ-ტექნიკურ მანიპულაციებს. თუმცა, აუცილებელი არაა, ეს იმას ნიშნავდეს, რომ დედნებზე არ განხორციელებულა შინაარსობრივი გაყალბება. დოკუმენტების ხარისხობრივად კარგი გაყალბების შემთხვევაში, ასლის გადაღების/დასკანერების მეშვეობით, შედგენის კვალი იმგვარად ინიღბება, რომ მათი დადასტურება აღარაა შესაძლებელი.

4.2. ლატენტური (შეუმჩნეველი) კვალის გამოკვლევა

საეჭვო დოკუმენტების X/1 და X/2 ყველა ფურცელი წინა და უკანა მხარესაც შემოწმდა ლატენტური წერისას/ბეჭვდისას დაწოლის გამო წარმოქმნილი ღარაკების და სხვა, შეუიარაღებელი თვალისათვის პირდაპირ შეუცნობადი კვალის გამოსავლენად.

გამოყენებული იქნა ელექტროსტატიური რეპროდუქციის მეთოდი. ვერ გამოვლინდა კვალი, რაც კი, ანალიზის აუცილებლობას მოითხოვდა.

ინტერპრეტაცია: სუბსტრატში ღარაკების ან სხვა ლატენტური კვალის არარსებობა იმას მიგვანიშნებს, რომ დოკუმენტებს გარკვეულწილად, ფრთხილად ექცეოდნენ და მაგალითად, არ გამოუყენებიათ, როგორც დოკუმენტის საფუძველი. ასლის გადაღებისას არ მოხდა ღარაკების, წაშლის ლატენტური კვალის და ა.შ. რეპროდუქცია. აქედან გამომდინარე, ჩატარებული კვლევების შედეგებიდან შეუძლებელია იმ დასკვნის გაკეთება, რომ ასევე ორიგინალებშიც არ აღინიშნება ამგვარი ლატენტური კვალი.

შენიშვნა: დამკვეთთან მოლაპარაკების თანახმად, არ ჩატარდა შემოწმება თითის ანაბეჭდებსა და DNA-ის კვალზე.

4.3 ხელნაწერების გამოკვლევა

ორივე საეჭვო წერილზე, პირველ გვერდზე მაღლა, მარცხნივ არის კომპლექსური გაურკვევლად ნაწერი ხელმოწერა ასევე, ხელით მიწერილი ტექსტი (შესაძლოა კირილური შრიფტით) და (თარიღის) ჩანაწერი „70808.“ ქვემოთ მარჯვნივ, ბეჭდის შიგნით ხელითაა ჩაწერილი ციფრები. ორივე ხელმოწერას ეტყობა, რომ სწრაფადაა შესრულებული, ხელისშემშლელი ნიშნები არ შეიმჩნევა. ხელმოწერების შემთხვევაში, ასლების მიხედვით, ხელის მოძრაობის ზუსტი პროცესის ყველა ნაწილში განსაზღვრულად აღქმა არ არის შესაძლებელი.

X/1-ის მეორე გვერდზე და X/2-ის მესამე გვერდზე, ტექსტების ბოლოში, არის კიდევ ერთი, ასევე გაურკვეველი ხელმოწერა. ამ მოკლე ნაწერებშიც არ არის შესაძლებელი ყველა ნაწილში ხელის მოძრაობის ზუსტი პროცესის განსაზღვრულად აღქმა.

ინტერპრეტაცია**:** ზემოაღნიშნული ნაწერების იდენტობასა და არაიდენტობასთან დაკავშირებით (რამდენადაც შესაძლებელია მათი ანალიზი და შედარება) შესაძლებელია შემდეგი მოსაზრებების გამოთქმა:

- ორივე საეჭვო დოკუმენტის (X/1 და X/2) შემთხვევაში სახეზეა, რომ პირველ გვერდზე თარიღის ჩანაწერის ფარგლებში, ზემოთ, მარცხნივ შესრულებული ჩანაწერი და ქვემოთ, მარჯვნივ ჩაწერილი რიცხვები **სხვადასხვა** პირის მიერაა შესრულებული.

- X/1-ს პირველ გვერდზე და X/2-ს პირველ გვერდზე შესრულებული ჩანაწერების შედარებისას, სახეზეა, რომ ორივე ხელმოწერა და ცალკეული ტექსტებისა თუ რიცხვების, **ავტორი იდენტურია.**
- X/1-ის მეორე გვერდზე არსებული ხელმოწერის X2-ის მესამე გვერდზე არსებულთან შედარებისას, შეინიშნება ფორმალური განსხვავებები. შეიძლება თუ არა ეს ცდომილებები უკავშირდებოდეს ვარიაციების სპექტრს და ამდენად, არ უნდა ვისაუბროთ საავტორო იდენტურობაზე ან მიგვანიშნებს, თუ არა ეს განსხვავებულ ავტორებზე, ვერ დამტკიცდება მოწოდებული მასალის საფუძველზე.
- შესადარებელი მასალის ნაკლებობის გამო, ვერ მოწმდება საეჭვო ხელმოწერების შემთხვევაში, არსებული პირების ნამდვილ ხელწერასთან გვაქვს საქმე, თუ გაყალბებასთან (მიბაძვა ან ფანტაზიის პროდუქტი). ამისათვის უნდა გვქონდეს იმ პირების ავთენტური ხელმოწერების გარკვეული რაოდენობა, რომელთა ხელმოწერებიც უნდა იყოს ეს. ვიდრე საეჭვო დოკუმენტები მხოლოდ ასლების სახით იქნება წარმოდგენილი, შეუძლებელი იქნება საბოლოო მოსაზრების გამოთქმა ნამდვილობის დადასტურებასთან დაკავშირებით, რადგან მონტაჟი (მაგალითად, ნამდვილი ხელმოწერის გადაღება და ჩასმა) გამორიცხული არ არის.
- ხელით შესრულებული ჩანაწერებისათვის გამოყენებული საწერი საშუალებების შესახებ წინამდებარე ასლების მიხედვით, შეუძლებელია მოსაზრებების გამოთქმა.

4.4. მატერიალურ-ტექნიკური გამოკვლევები

სუბსტრატი

დოკუმენტების X/1 და X/2 სუბსტრატი შემდეგნაირად გამოიყურება: თეთრი ფურცელი, ფორმატი A4, წყლის ნიშნის გარეშე, ოპტიკურად გაღიავებული; ფურცლების ფერის, დალაქავებისა და ბადურის სტრუქტურის დიფერენციაცია არ არის შესაძლებელი.

ფურცლების სისქე შეადგენს დაახლოებით, 105-108 μm-ს (დოკუმენტი X/1, გვერდი 1 = 105 μm, დოკუმენტი X/1, გვ.2 = 108 μm, დოკუმენტი X/2, ყველა გვერდი = 106 μm).

ბეჭდვა

სპეციფიკური დაშრევების ნიშნების საფუძველზე, X/1-ის და X/2-ის ყველა დოკუმენტი (გვერდი) შეიქმნა ტონერზე დაფუძნებული სისტემების მეშვეობით (ფერადი ტონერი, არამაგნიტური). ყველა დოკუმენტზე აღნიშნულია პრინტერის იდენტური კოდები. მათი ანალიზით გამოვლინდა, რომ საქმე გვაქვს ფირმა CANON-ის ბეჭდვის

სისტემასთან; განათებები თანმიმდევრულად CANON-ის ზეწოლის ერთეულისათვის, რომლებიც ჩამონტაჟებულია ფირმა HEWLETT-PACKARD (HP) Color Laserjet 2600 სერიული ტიპის ლაზერულ პრინტერებში. დამატებითი ინფორმაციისათვის საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება ხელსაწყოს მწარმოებელთან დაკავშირება.

გარდა ამისა, შეიძლება ასლის გადაღებისა და/ან რეპროდუქციის ნიშნების შეცნობა, რომლებიც ერთმანეთს შეესაბამება. ეს გამოხატულია პრაქტიკულად მსგავსი პოზიციის მქონე „წერტილებში“ ან ზეწოლის არტიფაქტებში, რა შემთხვევაშიც, საქმე არა გვაქვს არც ინტერპუნქციასა და არც შრიფტის სიმბოლოებთან.

ინტერპრეტაცია: პრინტერის იდენტურად განლაგებული კოდები ადასტურებენ, რომ წინამდებარე დოკუმენტები (ასლები) დაბეჭდილი იქნა ერთი და იგივე პრინტერით. თუმცა, ერთი პოზიციის მქონე რეპროდუქციის ნიშნების (წერტილების) სათავე არ უნდა ვეძებოთ დოკუმენტების X/1 და X/2-ის ამობეჭდვაში. ისინი აშკარად მიანიშნებენ მანამდე დედანის ან ასლის დასკანერებაზე.

მექანიკურად შექმნილი შრიფტი

საეჭვო დოკუმენტებზე ტექსტების ჩანაწერები არ არის შესრულებული ლათინური სიმბოლოებით. ამის გამო შრიფტის სიმბოლოს ფორმის განსაზღვრა არ არის შესაძლებელი. თუმცა თვალშისაცემია , რომ ცალკეული ჩანაწერებისას შრიფტის განსხვავებული ზომებია გამოყენებული, ჩვენ მაინც შევეცადეთ ცალკეული სიმბოლოების დაშრევება იმის შემოწმების მიზნით, შეიძლება თუ არა დადასტურებულ იქნა საეჭვო დოკუმენტებზე X/1 და X/2 მანიპულაციის ფაქტი. ტონერის შედარებით ბუნდოვანი კონტურებისა და ქართული შრიფტის ცალკეული სიმბოლოების ფორმის არცოდნის საფუძველზე შრიფტების შედარებასთან დაკავშირებით ვერ მოხდება საბოლოო მოსაზრებების გამოთქმა.

საეჭვო დოკუმენტებს X/1 და X/2 შორის ანალოგიური (რამდენადაც შესაძლებელია შეფასება) ჩანაწერების დაშრევების შედეგად ჰორიზონტალურად დგინდება გადაცდომა.

ინტერპრეტაცია: ტექსტებში შრიფტის განსხვავებული ზომების და/ან სახეობების გამოყენება - განსაკუთრებით განსხვავებული აბზაცებით, ჩამოთვლით და ა.შ.

იშვიათობას არ წარმოადგენს და აქედან გამომდინარე, არ იძლევა იმის დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ ტექსტი ჩამატებულია.

ანალოგიური ჩანაწერების აღწერილი გადაცდომა იმით შეიძლება იქნას ახსნილი, რომ დოკუმენტების სტრიქონები ერთ ზომაზეა დაყენებული, რასაც შედეგად მოჰყვება ასოების შეძლებისდაგვარად თანაბარი განაწილება და ეს ავტომატიურად იწვევს ცალკეული სიტყვების განსხვავებულ ჰორიზონტალურ გაფართოებას.

სტრიქონების პარალელურობისა და სვეტების ვერტიკალურობის შემოწმება

საეჭვო დოკუმენტების X/1 და X/2 ჩანაწერები 1 მმ-იანი ბადური ფოლგის დახმარებით იქნა შემოწმებული სტრიქონების პარალელურობასა და სვეტების ვერტიკალურობაზე. ამ გამოკვლევების ფარგლებში ვერ დადგინდა რაიმე გადაცდომა.

თუმცა თვალშისაცემია, რომ საეჭვო დოკუმენტების მარცხენა გვერდის ნაპირზე განთავსებულია არათანაბარი აბზაცები.

ინტერპრეტაცია: არსებული სტრიქონების პარალელურობა და სვეტების ვერტიკალურობა მიუთითებს, რომ არ არის ჩამატებული ტექსტის პასაჟები ან ჩამატებისას, ძალიან ზუსტად იმუშავეს. ბოლოს აღნიშნული ფაქტის განხორციელება შედარებით მარტივადაა შესაძლებელი, გამოსახულების დამუშავების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით.

5. დასკვნები

ვინაიდან საეჭვო დოკუმენტები წარმოდგენილია არა დედნის, არამედ ამობეჭდილი რეპროდუქციების სახით, ძალიან არის შეზღუდული მანიპულაციებთან დაკავშირებული ანალიზის ჩატარება.

თუმცა, შესაძლებელია შემდეგი მოსაზრებების გამოთქმა:

- საეჭვო დოკუმენტები (X/1 და X/2) დაბეჭდილია ერთი და იგივე პრინტერით.
- არ გამოვლინდა იმის საფუძვლები, რომ საეჭვო დოკუმენტებზე მანიპულაციები განხორციელდა. ამდენად, საქმე ეხება ან ავთენტური დოკუმენტების ასლებს ან შესაძლო მანიპულაციების კვალი არ დასტურდება.

ციურიხის კანტონის პოლიცია

კრიმინალურ-ტექნიკური განყოფილების ხელმძღვანელი

დოქტორი პეტერ ვ.პფეფერლი

ციურიხის კანტონის პოლიცია

სასამართლო საბუნებისმეტყველო სამსახურის ხელმძღვანელი

დოქტორი როლფ ჰოფერი